აკაკი სურგულაძე

რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში

1963

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სათანადო ფაკულტეტებზე მათი არსებობის დღიდან იკითხება საბჭოთა კავშირის ისტორია, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე ვერ მოხერხებულა ამ დიდ საგანში ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნა.

თბილისის უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირის ისტორიის კათედრამ მიზნად დაისახა ნაწილობრივ მაინც ამ ხარვეზის ამოვსება და აქამდე შესძლო კიდევაც რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელოს (ლექციების კურსის, ცალკეული მონოგრაფიების თუ მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევების) შექმნა სსრ კავშირის ისტორიის სხვადასხვა პერიოდებზე.

წინამდებარე წიგნიც ამ დანიშნულებას ემსახურება. იგი ავტორის მიერ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სსრ კავშირის ისტორიაში წაკითხული ზოგადი კურსის ერთი ნაწილია. ავტორი შეეცდება შემდეგ ნაწილებში გააგრძელოს სსრ კავშირის ისტორიის თხრობა.

წიგნი ასახავს რუსეთის იმპერიაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს XIX საუკ. პირველ ნახევარში. ამ პროცესების ახსნა-გარკვევისას გამოყენებულია ჩვენი თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მიღწევები. იმის გამო, რომ წიგნი ქართველი სტუდენტების და საერთოდ ახალგაზრდობისათვისაა განკუთვნილი, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ყურადღება გაგვემახვილებინა და ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა ამ პერიოდში საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე, აქ გაჩაღებული მასობრივი თუ იდეური მოძრაობის ხასიათზე.

ჩვენ ყურადღებით და მადლიერების გრძნობით მივიღებთ წიგნის მიმართ გამოთქმულ ყველა სამართლიან შენიშვნას.

ა ვ ტ ო რ ი.

შესავალი

XIX საუკუნეს კაცობრიობის ისტორიაში ყველა წინა საუკუნესთან შედარებით განსაკუთრებული ადგილი უკავია. არცერთ წინა საუკუნეში ადამიანს არ დაუპყრია აზრის ისეთი მწვერვალები, როგორც ამ საუკუნეში; არსად, არასოდეს არ ყოფილა ისეთი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები მეცნიერებასა და ტექნიკაში, როგორც ამ დროს; საკაცობრიო კულტურის თანავარსკვლავედში არასდროს არ გამოჩენილა ისეთი მრავალრიცხოვანი მანათობელი შუქურები, როგორც ამ ეპოქაში. ამ საუკუნემ თავის ზურგზე გადაიტანა დიდი მასშტაბის ომები და სისხლისღვრანი, სახელმწიფოთა პოლიტიკური ფორმების ხშირი ცვლა და რევოლუციური აფეთქებანი.

საკაცობრიო აზრს წინათ არასოდეს არ შეუქმნია სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრისაგან ადამიანის განთავისუფლების ისეთი მრავალი პოლიტიკური თეორიები, როგორც ამ დროს. საკმარისია ითქვას, რომ ამ საუკუნეში დაიბადა ექსპლოატატორული სისტემის დამხობის, ადამიანთა საზოგადოების ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობის და მის ნანგრევებზე კომუნისტური საზოგადოების აშენების ის ყოველისმძლე თეორია, — მეცნიერული სოციალიზმი — რომელიც მომდევნო მეოცე საუკუნემ სისრულეში მოიყვანა და მილიონიანი თაობის ოცნებიდან გადააქცია სინამდვილედ. XIX საუკუნე იყო ცივილიზაციის დიდი საუკუნე, მან კაცობრიობას შესძინა იმდენი რამ, რამდენიც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით — ერთად აღებულმა მთელმა წინა საუკუნეებმა.

რა იყო XIX საუკუნის ასეთი განსაკუთრებულობის მიზეზი, რამ განაპირობა აზრების ასეთი მძლავრი, უწყვეტი ნაკადი, გონების ასეთი შემართება?

XIX საუკუნე იყო დამყაყებულ, ძირმომპალ, რეაქციულ ფეოდალურ-ბატონყმურ სოციალ-პოლიტიკურ სისტემაზე იმ დროისათვის მოწინავე, ბურჟუაზიული სოციალ-პოლიტიკური სისტემის გამარჯვების საუკუნე. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაამხო ინგლისში ფეოდალური მონარქია და ეს ქვეყანა ყველაზე მოწინავე ტექნიკის, დიდი სამრეწველო გაქანების ქვეყნად გადააქცია. დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ XVIII საუკუნის მიწურულში დაანგრია ავრეთვე ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი საფრანგეთში და ეს ქვეყანაც XIX საუკუნის პირველ ათეულში გამოიყვანა უდიდეს შესაძლებლობათა გზაზე. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ექომ ფეხზე დააყენა მთელი მსოფლიო. მან დასაბამი მისცა ბურჟუაზიული რევოლუციების ერას მთელი ევროპის მასშტაბით. ევროპაში მიყოლებით დაიწყო ფეოდალური ბურჯების დანგრევა და ბურჟუაზიული სოციალ-პოლიტიკური სისტემის გაბატონება.

ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაციის დამხობას და ბურჟუაზიული ფორმაციის გაბატონებას, რა თქმა უნდა, არ მოჰყოლია სოციალ-პოლიტიკური ჩაგვრისაგან ადამიანთა განთავისუფლება. აქ მხოლოდ ექსპლოატაციის ერთი სისტემა შეიცვალა მეორეთი. მაგრამ საკაცობრიო პროგრესისათვის ეს იყო უდიდესი მოვლენა, მისი შემდგომი წინსვლისათვის აუცილებელი აქტი, მისი განვითარების ახალი, უფრო მაღალი ეტაპისათვის გზების გაკაფვა. ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა დაამსხვრიეს ბორკილები, რომლებიც ბოჭავდნენ მწარმოებლურ ძალებს, ააფეთქეს ის მოძველებული, ეპოქისათვის უკვე დრომოჭმული და შეუფერებელი საწარმოო ურთიერთობანი, რომლებიც გზას უღობავდნენ ეკონომიურ პროგრესს, ამუხრუჭებდნენ მატერიალური და სულიერი დოვლათის წარმოებას, გასაქანს არ აძლევდნენ ეკონომიკასა და იდეოლოგიაში იმ მზარდ, პროგრესულ, საზოგადოებისათვის აუცილებელ წამოწყებებს, რომელთა მოქმედების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კრიზისის დაძლევა და მოძრაობა. ახალმა, ბურჟუაზიულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა, რომლებიც ფეოდა-

ლიზმის ნამსხვრევებზე გაბატონდნენ, გასწმინდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩახერგილი მდინარე, გზა გაუკაფეს მის სწრაფ წინსვლას პროგრესისაკენ.

ფეოდალიზმის წინააღმდეგ რომ იბრძოდა, ბურჟუაზიამ გამოიყენა საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონი, მან შექმნა ახალი წარმოებითი ურთიერთობანი და იგი შესაბამისობაში მოიყვანა ჯერ კიდევ ფეოდალიზმის წიაღში წარმოშობილ საწარმოო ძალთა ხასიათისადმი. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმ სწრაფი წინსვლისა ცხოვრების ყველა დარგში, რომლითაც წინა საუკუნეებთან შედარებით XIX საუკუნე ხასიათდებოდა. სწორედ ამაში გამოიხატა ბურჟუაზიის პროგრესული როლი.

ბურჟუაზიამ ამ დროს ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიყოლია საზოგადოების ყველა დაჩაგრული ჯგუფები. იგი მეთაურობდა ჯერ კიდევ კლასობრივად მკვეთრად გაუმიჯნავ მთელ მესამე წოდებას, ებრძოდა არა მარტო ფეოდალურ რეაქციას, არა მარტო მის ნაშთებს ეკონომიკასა, პოლიტიკასა და იდეოლოგიაში, არამედ მეთაურობდა პროგრესულ ბრძოლას ნაციონალურ სახელმწიფოთა შექმნისათვის. ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა და გამაერთიანებელმა ომებმა XIX საუკუნის ევროპაში შექმნეს მსხვილი ბურჟუაზიული ნაციონალური სახელმწიფოები გერმანიაში, იტალიაში. ბურჟუაზიას ამ დროს ხელთ ეპყრა ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, იგი ერის ავანგარდს წარმოადგენდა წინსვლის გზაზე. მაშინდელს ვითარებაში იყო ხელმძღვანელი, დამრაზმველი პროგრესული ძალა საზოგადოების დახავსებული, დრომოჭმული ძალების წინააღმდეგ.

ამ დიდს და პროგრესულ ბრძოლაში, რომელსაც ბურჟუაზია ეწეოდა, იბადებოდა ახალი აზრები, თეორიები, ბორკილებახსნილი წარმოება ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობდა. დიდი სოციალური ძვრების ეპოქას, რომლითაც დაიწყო XIX საუკუნე, თან ახლდა დიდი შთაგონებანი, აზრის დიადი შემართება. ამიტომ იყო, რომ ამ ეპოქაში მანამდე არნახული ტემპით განვითარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერება, სოციალე-

რი მეცნიერებანი, აყვავდა ლიტერატურა, ხელოვნება. ამ საუკუნემ გიგანტური ნაბიჯით წასწია წინ პროგრესი, ცივილიზაციის შუქი მოფინა მთელ დედამიწას.

მიუხედავად ამ დიდი რევოლუციურობისა განსაზღვრულ პერიოდში, ბურჟუაზიას საერთოდ არ შეეძლო ბოლომდე შეასრულებინა საზოგადოებრივი პროგრესის მედროშის როლი. კაპიტალისტური წარმოების წესი ისევე შემცველი იყო გადაულახავი წინააღმდეგობებისა, როგორც თავის დროზე მონათმფლობელური, ან ფეოდალური. კაპიტალიზმი იმთავითვე ხასიათდებოდა შეურიგებელი წინააღმდეგობით წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო, კაპიტალისტურ ფორმას შორის. კაპიტალიზმმა, მართალია, წარმოებას მისცა საზოგადოებრივი ხასიათი, უზარმაზარ ფაბრიკებსა და ქარხნებში მან თავი მოუყარა ათასობით მუშებს და დააკავშირა ისინი ერთმანეთთან შრომის დანაწილების საშუალებით, მაგრამ ძალაში დატოვა კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, მაშინ როცა წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას მოითხოვდა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამიტომ იმ თავითვე საწარმოო ძალები დაუპირისპირდნენ წარმოებით ურთიერთობებს, მათი წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის ეპოქაში თანდათან მწვავდებოდა და იწვევდა ამ ურთიერთობათა აფეთქების ისეთსავე აუცილებლობას, როგორიც თავის დროზე ფეოდალიზმის მიმართ განხორციელდა.

XIX საუკუნე ბურჟუაზიასთან ერთად იყო პროლეტარიატის ფორმირების საუკუნე. პროლეტარიატი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა ბურჟუაზიასთან ერთად. იგი თვით შობა კაპიტალიზმმა როგორც მისი არსებობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და ბოლოს როგორც მისი უარყოფა. პროლეტარიატი დაუპირისპირდა ბურჟუაზიას სწორედ იმ წინააღმდეგობათა გამო, რომელიც წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების პროდუქტების მითვისების კერძო, კაპიტალისტურ ფორმაში გამოიხატება. ეს იყო საზოგადოებრივი დოვლათის შემქმნელთა და არაფრისმქონეთა, გაყვლეფილთა

და დაჩაგრულთა ბრძოლა წარმოების მფლობელთა, ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ეს შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლა მთელი XIX საუკუნის მანძილზე წითელი ზოლივით გასდევს მსოფლიო ისტორიას, განსაკუთრებით ევროპის ისტორიას, სადაც ბურჟუაზიის ბატონობა ყველაზე ადრე და დასრულებულად გამოიკვეთა. იგი ამ საუკუნის შინაარსს, საზოგადოების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. პროლეტარიატი იბრძვის წარმოების პროდუქტების მითვისების კაპიტალისტური ფორმების წინააღმდეგ, იბრძვის იმ პრივილეგიური მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელიც ბურჟუაზიამ მისი გამარჯვების შემდეგ დაიმკვიდრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ბურჟუაზია კი თავისი კლასობრივი ბატონობის შესანარჩუნებლად ყველა საშუალებით უსწორებს ანგარიშს მის შეურიგებელ მტერს — პროლეტარიატს, ამისთვის იყენებს იგი თავის არმიას, პოლიციას, იდეოლოგიას. ახლა ბურჟუაზია თვით ებღაუჭება კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებს, რომელთა შესაბამისობა მუდმივ განვითარებაში მყოფ საწარმოო ძალებთან ირღვევა, თვით განაპირობებს საზოგადოებრივი პროგრესის მემუხრუჭის როლს და ამგვარად, რევოლუციურობის პოზიციიდან, რომელიც მას ერთ დროს ეკავა, ინაცვლებს რეაქციულობის პოზიციაზე.

საფრანგეთში, 1831 წელს ლიონის მუშათა გამოსვლით და ინგლისში ჩარტისტული მოძრაობით დაწყებული პროლეტარული მოძრაობა ევროპაში თანდათანობით იზრდებოდა, შეუპოვარი, მასობრივი, კლასობრივად გამოკვეთილი ხდებოდა, უფრო და უფრო მძლავრი იერიშები მიქონდა კაპიტალიზმზე. XIX საუკ. 70-იან წლებში ეს ბრძოლა იმდენად მაღალ საფეხურზე ავიდა, რომ საფრანგეთში შესძლო კიდეც შეენგრია კაპიტალიზმის რკინის კედელი. ეს იყო ცნობილი პარიზის კომუნა, პროლეტარული სახელმწიფოს პირველი სახე და პირველი ჩასანახი მთელ მსოფლიოში, რომელმაც მართალია, დიდხანს ვერ შეინარჩუნა არსებობა, მაგრამ მსოფლიოს დაანახვა, რომ

ბურჟუაზიის ბატონობა სრულიადაც არ იყო მარადიული, ხოლო მისი ძალები სრულიადაც არ ყოფილა დაუძლეველი.

ამ ბრძოლაში, რამდენადაც ძლავრი და კონსოლიდირებული ხდებოდა პროლეტარიატის ძალა და შემართება, რამდენადაც იგი გამოკვეთილად აყენებდა თავის კლასობრივ მოთხოვნებს და ბარიკადებზე გამოდიოდა, იმდენად უფრო იზრდებოდა ბურჟუაზიის გააფთრება, უფრო მძლავრად ებღაუჭებოდა იგი თავის ბატონობას და ტყვეებისა და საპყრობილეების გარდა იგონებდა ახალ-ახალ საშუალებებს ბატონობის შესანარჩუნებლად. ამ ბრძოლაში ბურჟუაზია ივიწყებდა თავის ვოლტერიანულ ტრადიციებს, თავისი უფლებების დასასაბუთებლად მიმართავდა რელიგიას და თავს აფარებდა მის კალთებს, ივიწყებდა პარლამენტარიზმს და აბატონებდა შიშველ დიქტატურას. ბურჟუაზია ამ დროიდან შემოიფარგლა თავისი ვიწრო კლასობრივი, ეგოისტური ინტერესებით. ქვეყნის, ერის, სამშობლოს მისწრაფებანი მან თავისი კლასის მისწრაფებებს დაუქვემდებარა და ხიშტები მოიმარჯვა იმათ წინააღმდეგ, რომელთაც ერთ დროს წინამძღოლობდა პროგრესისათვის ბრძოლაში. ასე გააკეთა მან 1848 წლის რევოლუციაში, როცა პარიზის ქუჩებში კავენიაკის ხელით დახვრიტა მუშათა დემონსტრაცია; ასე გააკეთა 1871 წელს, როცა სისხლში ჩაახშო საფრანგეთის დამოუკიდებლობასა და პროგრესისათვის მებრძოლი პარიზის კომუნა. ბურჟუაზიამ ამ დროიდან გადააგდო და ტალახში ამოსვარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, იგი კლასობრივ დროშაში გაცვალა, დაუპირისპირდა ერს, ქვეყნის უდიდეს უმრავლესობას, მის მამოძრავებელ ძალებს და თავის დროშის ქვეშ მხოლოდ ბნელ, რეაქციულ ძალებს მოუწოდა. ამრიგად მას შემდეგ, როცა მძლავრად გაისმა ხმა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, ბურჟუაზიის პროგრესულობა, როგორც ერის მეთაურისა, მოკვდა. ამ დროიდან დაიბადა იმის საჭიროება, რომ ეროვნული დროშა, ბურჟუაზიის მიერ გადაგდებული და შეგინებული, ხელთ აეტაცა პროლეტარიატს, რომლის სისხლშიც იყო იგი ამოსვრილი, რადგან პროლეტარიატი ამ დროიდან ყველაზე პროგრესულ კლასს და

ერის კეთილდღეობისათვის ბოლომდე დაინტერესებულ ერთადერთ ძალას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის მიწურულში კაპიტალიზმი მის ბოლო, ლპობად და მომაკვდავ სტადიაში — იმპერიალიზმში გადაიზარდა. იმპერიალიზმში ცხადია, არ შეცვლილა კაპიტალისტური წარმოების წესი, იგი ძალაში დარჩა, პირიქით, გაიზარდა კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობანი, შრომისა და კაპიტალის დაპირისპირება. იმპერიალიზმმა მოახდინა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, დაამყარა მონოპოლიების ბატონობა და ყოვლისშემძლეობა, გაამწვავა ბრძოლა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. მოამწიფა მსოფლიო მასშტაბის სისხლისმღვრელი ომები, გაზარდა მასების პაუპერიზაცია, მაგრამ ამასთან ერთად გააძლიერა დაჩაგრული მასების საბრძოლო აქტიურობა, კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, დღის წესრიგში დააყენა კაპიტალისტური ფორმაციის საბოლოო ლიკვიდაციის ამოცანა და შეამზადა კიდეც ობიექტური პირობები ამ ისტორიული მისიის განსახორციელებლად, თანამედროვე საწარმოო ძალების ხასიათის შესაბამისი წარმოებით ურთიერთობათა დასამყარებლად.

და აი, თავისი განვითარების ამ ახალ, მაგრამ ხრწნად და ლპობად სტადიაში ბურჟუაზიის რეაქციულობა უკიდურესობამდე მივიდა. სოციალისტური რევოლუციის წინაშე გაბოროტებულმა შიშმა იგი იქამდე მიიყვანა, რომ გაბატონა მუშტის ველური დიქტატურა — ფაშიზმი, აუტოდაფე მოუწყო კაცობრიობის ნათელ აზრებს, აღვირი მიუშვა ბნელეთის მოციქულებს პოლიტიკაში და დააყენა სისხლის ისეთი მორევი, რომელიც წინათ არ ახსოვდა კაცობრიობის ისტორიას, XIX საუკუნეში ბურჟუაზია, ჯერ კიდევ მტკიცედ გრძნობდა რა თავს ისტორიის სცენაზე, არ მისულა პოლიტიკაში ისეთ ვულგარულ შავბნელ დიქტატურამდე, როგორიც იყო მაგალითად ფაშიზმი XX საუკუნეში. მაგრამ შიშველი მუშტისა და პროგრესისადმი ბრძოლის ის მეთოდები, რომელსაც ბურჟუაზია ჩვენს საუკუნეში იყენებს და წამყვან კურსად აღიარებს, თა-

ვის საწყისს XIX საუკუნეში იღებს, იმ დროიდან იწყებენ აღმოცენებას. მეცნიერებისა და პროგრესისადმი სიძულვილი ამ ეპოქაში უკვე ხდება მისი დამახასიათებელი. ბურჟუაზიის იდეოლოგები პოლ ბურჟესა და ფერდინანდ ბრუნეტიერის სახით უკვე XIX საუკ. 90-იან წლებში აცხადებენ, რომ „მეცნიერება გაკოტრდა", რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და ინდივიდუალური მორალის დასაყრდენი მხოლოდ რელიგია არისო".

კლასობრივ ანტაგონისტურ საზოგადოებაში დაჩაგრული მასების ძირითადი ოცნება ყოველთვის იყო თავისუფლება, სწრაფვა ისეთი მომავლისაკენ, როცა არ იქნებოდნენ მჩაგვრელები, ბუნების სიკეთით თანასწორად ისარგებლებდა ყველა მისი შვილი და ადამიანს შეეძლებოდა თავისი სამუშაო ძალის და მისი მონაპოვარის პატრონი ყოფილიყო. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ხოლო უფრო ინტენსიურად XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა მრავალი თეორია კომუნიზმის შესახებ; მათი ავტორები იყვნენ სენ-სიმონი, ფურიე, ოუენი, კამპანელა და სხვები. ამ თეორიებში დახატული იყო მომავალი კომუნისტური საზოგადოება, სადაც კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მონობა და დამოკიდებულება, თვითნებობა და სიღატაკე, გაფთრებული ბრძოლა ლუკმა პურისთვის და ომები ხალხთა შორის უნდა შეცვლილიყო მშვიდობით, თავისუფლებით, ნებაყოფლობითი შრომით, ძმობითა და თანასწორობით. ეს ლამაზი, მომხიბვლელი თეორიები, მიახლოებული იყო სინამდვილესთან მომავლის გააზრებაში, მაგრამ მცდარი და უტოპიური — ამ საზოგადოების მოპოვებისათვის ბრძოლის გზების დასახვაში. უტოპისტ-სოციალისტები ითვალისწინებდნენ გაბატონებულ ბურჟუაზიულ კლასთან შეთანხმებით ბრძოლას კომუნიზმისათვის. ძირითად მეთოდად დარწმუნების, ფილანტროპიული მოქმედების მეთოდი მიაჩნდათ. ბურჟუაზიის კლასობრივი შინაარსის ასეთი ყალბი გაგება ერთის დაკვრით და ნათლად გამომჟღავნდა უკვე 1848 წლის რევოლუციაში, როცა ბურჟუაზიამ გამოაჩინა რა თავისი კლასობრივი

სახე, თავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატს ტყვიები დაუშინა და აგრძნობინა, რომ მის დამოუკიდებელ მოქმედებას ვერ შეურიგდებოდა.

1848 წლის მიწურულში, როცა ჩახშობილ იქნა ბურჟუაზიული რევოლუციები ევროპაში, როცა პროლეტარიატს ამოსდეს კლასობრივი მორჩილების მძლავრი ლაგამი, სოციალიზმზე წვრილბურჟუაზიულმა ილუზიებმა სასიკვდილო დარტყმა განიცადეს. ამ მარცხის შემდეგ დიდი მოაზროვნენი ევროპასა და რუსეთში პესიმიზმს მიეცნენ, მათ ყველაფერი დაღუპულად ჩასთვალეს, წარმოიდგინეს, რომ დაჩაჩანაკებულ ევროპაში აღარ მოიპოვებიან მხსნელი ძალები და იგი მიემართება დაღუპვის გზით. ასე ფიქრობდა, მაგალითად, გერცენიც.

და სწორედ ამ ტრაგიკულ პერიოდში, როცა ბურჟუაზიის რევოლუციურობა მოკვდა, ხოლო პროლეტარიატის რევოლუციური შესაძლებლობანი ჯერ კიდევ მთელი ძალით გაშლილი არ ყოფილა, არენაზე გამოვიდა მარქსიზმი, ყველა ეპოქის უდიდესი მონაპოვარი, დასრულებული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, მეცნიერული სოციალიზმის იდეოლოგია, რომელმაც გააშუქა კაცობრიობის წარსული და მომავალი გზები, დაასაბუთა ექსპლოატატორული რეჟიმის დაღუპვის აუცილებლობა და მიუთითა რა კომუნიზმის განხორციელების სწორ გზებსა და მეთოდებზე, პროლეტარიატს აქტიური ბრძოლებისაკენ მოუწოდა.

მარქსის და ენგელსის მეცნიერული შემოქმედება, მათი დაუცხრომელი პოლიტიკური მოღვაწეობა XIX საუკ. 50-იანი წლებიდან ამ საუკუნის თითქმის დასასრულამდე, წარმოადგენდა ტიტანურ ძალას, რომელმაც გაიყოლია მილიონები, უდიდესი კვალი დასტოვა მათს გონებრივ ცხოვრებაში. კომუნისტური პარტიის მანიფესტი მოეკლინა მუშათა კლასს, როგორც უდიდესი საპროგრამო დოკუმენტი, როგორც უბასრესი იდეოლოგიური იარაღი; მან განამტკიცა რწმენა მომავლისადმი, იმის რწმენა, რომ ისტორიის რკინის კანონით მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის, რომ პროლეტარიატის დაუცხრომელ ბრძოლას ბურჟუაზიული რეჟიმის წინააღმდეგ აუცილებლად

მივუყევართ სოციალიზმის გამარჯვებამდე, მხოლოდ პროლეტარიატს შესწევს ძალა და უნარი კაპიტალისტური წყობილების დამხობისა, რომლის ნანგრევებზე აღმოცენდება პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც გარდამავალი საფეხური უკლასო სოციალისტურ საზოგადოებაში.

„მარქსის მთელი გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი", — რომ მან პასუხი გასცა იმ კითხვებზე, რომლებიც უკვე დააყენა კაცობრიობის წინაშე აზროვნებამ. მისი მოძღვრება წარმოიშვა როგორც ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრების პირდაპირი და უშუალო გაგრძელება".[1]

ამ დიადმა მოძღვრებამ, გარდა იმისა, რომ უქრობი ჩირაღდნებით გააშუქა კაცობრიობის მომავალი, აგრეთვე განამტკიცა პროლეტარიატის მორალური სულისკვეთება. მან ცხადჰყო, რომ დამარცხებანი, რაც განიცადა და შეიძლება თავის საბრძოლო გზაზე ისევ განიცადოს პროლეტარიატმა, მხოლოდ დროებითი ხასიათისაა, ამიტომ სრულებითაც არაა საჭირო თავისდახრა და უიმედობა. ამ მძაფრ ბრძოლებსა და დროებით დამარცხებებში იჭედება მშრომელთა ბედნიერი მომავალი და არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაახვევინოს ისტორია იმ გზიდან, რომელიც ბოლოს და ბოლოს კომუნიზმისაკენ მიდის.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში პროლეტარიატის კლასობრივმა ბრძოლამ უფრო მასობრივი, მწვავე ხასიათი მიიღო, იგი აღმავალი გზით წარიმართა, თავი იჩინა პარიზის კომუნაში. პარიზის კომუნა უკვე წარმოადგენდა კლასობრივად გათვითცნობიერებულ, მტრისადმი უკომპრომისო, შეურიგებელ საბარიკადო გამოსვლას, სადაც მოპოვებულ იქნა კიდეც პირველი წარმატებანი და პირველად დაიწყო პრაქტიკული განხორციელება იმ იდეებისა, რაზედაც დაჩაგრული მასები საუკუნეთა მანძილზე ოცნებობდნენ. მაგრამ პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 3—4.

ჰქონდა სათანადო გამოცდილება, ბრძოლის მაღალი ორგანიზაცია, ევროპის ბურჟუაზია სოლიდარულად აღსდგა პარიზის პროლეტარების წინააღმდეგ და სისხლში ჩაახშო მათი გამოსვლა. მაგრამ ამ მარცხს პროლეტარიატი სულიერად არ დაუცია, მან ისევ იწყო ძალების მოკრება და სამზადისი უკეთ ორგანიზებულ და უფრო მძლავრი, მასობრივი იერიშებისათვის კაპიტალიზმის ბურჯების დასამხობად.

მარქსი და ენგელსი პროლეტარიატის საერთაშორისო განმათავისუფლებელ ბრძოლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ აქტიურობას, რომლითაც ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში გამოიჩინა რუსეთის მუშათა კლასმა. მეცნიერული სოციალიზმის გენიალური შემოქმედნი ჭვრეტდნენ რუსეთის პროლეტარიატის წინაშე მდგომ დიდ რევოლუციურ გზებს, მათ მიაჩნდათ, რომ რუსეთი კაცობრიობას ეტყოდა თავის რევოლუციურ სიტყვას და შესაძლებელი იყო კიდეც სწორედ აქედან დაწყებულიყო მომავალი ყველაზე მძლავრი იერიშები და კომუნისტური საზოგადოებისათვის პირველი საფუძვლების ჩაყრა.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ეს გენიოსი პროგნოზისტები უკვე ცოცხალი აღარ იყვნენ, მაგრამ მოვლენები ვითარდებოდნენ სწორედ ისე, როგორც მათ განსჭვრიტეს. რუსეთში გადმოინაცვლა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა და რუსეთის პროლეტარიატი მართლაც აღმოჩნდა ის ავანგარდული ძალა, რომელმაც შესძლო სულ რაღაც 13 წლის განმავლობაში განეხორციელებინა სამი დიდი რევოლუცია, რომელთაგან მესამემ დაასამარა კაპიტალისტური რეჟიმი და დასაბამი მისცა კომუნიზმის მშენებლობას არა მარტო რუსეთში, არამედ კომუნიზმის ეპოქას მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ამრიგად, ხორცი შეასხა მარქსიზმის თეორიას, კაცობრიობის საუკეთესო შვილთა თაობების სანუკვარ ოცნებას.

საიდან მომდინარეობდა მარქსისა და ენგელსის ასეთი იმედები რუსეთზე, მის მუშათა კლასზე, რატომ მოხდა რომ რუსეთი XX საუკუნის დასაწყისიდანვე აღმოჩნდა პროგრესისა

და თავისუფლებისათვის ბრძოლის სათავეში, რატომ გახდა იგი ლენინიზმის — კაცობრიობის ყველაზე უდიდესი მოძღვრების სამშობლო? შემთხვევითი იყო ყოველივე ეს, თუ რუსეთი XIX საუკ. ისტორიის მთელი მსვლელობით შემზადებული იყო ამ დიდი საკაცობრიო მისიისათვის? ამ კითხვაზე პასუხისთვის გადავავლოთ ზოგადად თვალი მოვლენათა განვითარებას რუსეთში XIX საუკუნეში.

დავიწყოთ საგარეო ამბებით. XIX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკაში რუსეთს იმთავითვე მოუხდა ეთამაშა უდიდესი როლი. მთელი ასი წლის მანძილზე, ნაპოლეონის წინააღმდეგ ომებით დაწყებული და 1900 წელს ჩინეთის ომში მონაწილეობით დამთავრებული, საერთაშორისო ასპარეზზე არ გადაჭრილა არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომ რუსეთს მასში წამყვანი მონაწილეობა არ მიეღოს.

რუსეთს მოუხდა გადამწყვეტი როლი შეესრულებინა ნაპოლეონის უღლისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლებაში. როცა რუსეთის ჯარებმა ნაპოლეონის დიდება ჯერ კიდევ რუსეთში დაასამარეს, ხოლო შემდეგ მას ევროპაში სდიეს და მოკავშირეებთან ერთად პარიზში შესვლით დაამხეს ბონოპარტეს ბატონობა ევროპაზე, ამით დაანგრიეს მსოფლიო მონარქიის შექმნის რეაქციული, ფანტასტიკური გეგმები და ნაციონალური თვითმყოფობის გზები გაუკაფეს ნაპოლეონის მიერ გათოკილ ავსტრიას, პრუსიას, გერმანულ სახელმწიფოებს, იტალიას, და ესპანეთს. რუსეთის არმიის ეს ობიექტურად განმათავისუფლებელი როლი სრულებითაც არ შეესატყვისებოდა ცარიზმის მიზანდასახულებას, რომელიც თავისი შინაარსით მეტად თუ არა, ნაკლებად რეაქციული როდი იყო ვიდრე ნაპოლეონის რეჟიმი. და რომელმაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, წაშალა ისტორიულად გამართლებული მონაპოვარი, მაგრამ ცარიზმის სუბიექტურ მიზანდასახულებას არაფერი ჰქონდა საერთო იმ ობიექტურ შედეგებთან, რომელიც ამ ლაშქრობას თავისთავად მოჰყვა და არტახებით შებოჭილ ევროპას მხსნელად მოევლინა.

არა რუსეთის ცარიზმის, არამედ მთელი რუსეთის ამ დამსახურებას ევროპის წინაშე, სადაც ნაპოლეონის შემდეგ რუსე-

თის მიმართ მრავალი ცილისმწამებლები აღმოჩნდნენ. სამართლიანად აღნიშნავდა ჯერ კიდევ ალექსანდრე პუშკინი, როცა იგი წერდა:

„იქნებ იმიტომ გსურთ ჩვენი ენება,
რომ ჩვენ მოსკოვის ალმოდებულ, ნგრეულ თაღებთან
არ ვცანით მისი თავხედი ნება,
ვინც თქვენ მონურად გაცახცახებდათ?
მისთვის ხომ არა, რომ მოვსპეთ ნისლი,
რომ სამეფოთა მტანჯველ ურჩხულს წარვკვეთეთ თავი:
და მოვუპოვეთ ევროპას სისხლით
თავისუფლება, ღირსება, ზავი?“

რუსეთის მრავალი ომები XIX საუკუნეში თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ თავისი ობიექტური შედეგებით ასევე პროგრესული იყო ბალკანეთის სლავებისა და კავკასიელი ხალხებისათვის. თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ რომ იბრძოდა, ცარიზმის მმართველ ზედაფენას, ახალი ბაზრები, ახალი გავლენის სფეროები, სტრატეგიული პუნქტები ესაჭიროებოდა ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ეს ომები აუძლურებდა რა ამ აგრესულ ქვეყნებს, ჰქმნიდა ხელსაყრელ ვითარებას ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბულგარელი, სერბი, ხორვატი, ბერძენი და სხვა ხალხების ირან-თურქეთის აღმოსავლური დესპოტიზმისაგან განთავისუფლებისათვის, მათი ისტორიული საზღვრების აღდგენისათვის.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ცარიზმის მთელი საგარეო პოლიტიკა აგრესიული, რეაქციული იყო და ემსახურებოდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის გაძლიერებას. ცარიზმის მმართველი ზედაფენა მთელი XIX საუკ. პირველი ნახევრის მანძილზე ასრულებდა სამარცხვინო როლს ევროპის ჟანდარმისა და ავსტრიის, პრუსიის, საფრანგეთის მმართველებთან ერთად ევროპაში გზას უღობავდა პროგრესს, ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კერებს, ყველა საშუალებით მონარქიული რეჟიმის განმტკიცებას ემსახურებოდა.

მაგრამ მას შემდეგ, როდესაც რუსეთმა წააგო მის მიერვე

წამოწყებული ყირიმის ომი თურქეთის, ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. მისი საერთაშორისო ავტორიტეტი შეირყა. მისი ჟანდარმული პოზიციები ევროპაში შესუსტდა. საერთაშორისო რეაქციის ცენტრმა ამ დროიდან თანდათანობით იწყო ცენტრალურ ევროპაში გადანაცვლება. რუსეთის ცარიზმს ამ დროიდან საკუთარ სახლში გაუჩნდა ხანძარი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და რომლის კერების ლიკვიდაციას იგი ახმარდა თავის არმიას და პოლიციას. მაგრამ ამ ვითარებაშიც, რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის რეაქციული კურსი არ შეცვლილა. იგი კვლავ უპოტინებდა ხელებს ბალკანეთსა და სრუტეებს, მიიკვლევდა გზას წყნარი ოკეანისაკენ, შუა აზიის ველებზე ცეცხლითა და მახვილით მკვიდრდებოდა. იმ გაცხოველებულ იმპერიალისტურ ძარცვა-გლეჯაში, რომელიც ამ დროს შორეულ-აღმოსავლეთსა და ჩინეთში დაიწყეს ინგლისმა, ამერიკამ, იაპონიამ, საფრანგეთმა და გერმანიამ, ტოლს არავის უგდებდა. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისიდან ქვეყნის შიგნით მძაფრმა რევოლუციურმა კრიზისმა, იაპონიასთან ომში მარცხმა და პირველი რევოლუციის მძლავრმა შეტევამ 1905-1907 წლებში ცარიზმი დაასუსტა. დააბეჩავა. ჩამორჩენილი დაუძლურებული, იგი იძულებული გახდა ძლიერ სახელმწიფოთა იმპერიალისტურ დაჯგუფებებში დაქვემდებარებული პოზიცია დაეკავებინა და დასავლეთ ევროპის მძლავრი ქვეყნების — ინგლისისა და საფრანგეთის მოდარაჯე ქოფაკად გადაქცეულიყო აღმოსავლეთში.

მეტად მწვავე შინაგანი კონფლიქტებით ხასიათდებოდა ცარიზმის საშინაო მდგომარეობა მთელი XIX საუკუნის მანძილზე.

XIX საუკუნეში რუსეთმა გადმოაბიჯა, როგორც თვითმპყრობელურმა სახელმწიფომ. ცნობილია, რომ თავის დროზე თვითმპყრობელობა ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში ერთგვარად პროგრესულ როლს ასრულებდა. იგი მართლაც უწყობდა ხელს რუსეთის სახელმწიფო ტერიტორიის შემოკრება-შემომტკიცებას, ცალკე ფეოდალურ ერთეულებად გათიშულ და დაქ-

საქსულ სამთავროთა გაერთიანებას ერთიან სახელმწიფოდ, გამოდიოდა ქვეყანაში წესრიგის, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავის, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა მოთავის როლში. ასე იყო ივანე IV და განსაკუთრებით პეტრე I ეპოქაში. პეტრე, როგორც ცნობილია, თვით გამოვიდა პროგრესულ სახელმწიფო რეფორმების ინიციატორად და მისმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქვეყნის წინსვლას, მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობის განმტკიცებას.

მაგრამ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის თვითმპყრობელობამ, როგორც პროგრესულმა ძალამ, ამოსწურა თავისი თავი. იგი როგორც მოძველებული, დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური ბაზისის ზედნაშენი მუხრუჭი გახდა წინმიმავალი ისტორიული პროცესისა. ამიერიდან იგი დასაყრდენი იყო მხოლოდ მომაკვდავი თავადაზნაურული კლასისა და ამ კლასის ინტერესების დასაცავად დაუძინებელი მტერი ყოველივე ახლისა და პროგრესულისა ქვეყნის ცხოვრებაში.

XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელობა ყველა საშუალებით ებრძოდა მის წიაღშივე მომწიფებულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ძალებს. იგი ხიშტებით უმასპინძლდებოდა გლეხთა გამოსვლებს, ახრჩობდა, როზგავდა, ციმბირის ყინულებში გზავნიდა პროგრესულად მოაზროვნეებს, მის ზღურბლთან მოდარაჯედ ყოველთვის იდგა არაკჩეევისა და ბენკერდორფის სახით რეაქციის ქოფაკები, იგი თეორიულ დასაბუთებასაც კი მიმართავდა თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის მარადისობის დასამტკიცებლად. მაგრამ ისტორიის ულმობელი წინსვლა, მისი ობიექტური კანონზომიერებანი იმავე ცარიზმს, რომელიც ბატონყმობის დასაცავად ყველა საშუალებებს მიმართავდა, აიძულებდა თვით განეხორციელებინა ბურჟუაზიული ურთიერთობის მომძლავრების ღონისძიებანი, თვით შემოეტანა რუსეთში რკინიგზა, აეგო ფაბრიკა-ქარხნები, საბაჟო მფარველობა გაეწია სამამულო მრეწველობისათვის და ამგვარად გამოეთხარა მისივე ყოვლისშემძლეობის საძირკვლები.

ყირიმის ომში მარცხმა საყოველთაო ააშკარაოზე გამოიტანა ცარიზმის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღებმა უფრო მძლავრად შეუტია ბატონყმურ-ფეოდალური რეჟიმის ბურჯებს. სახალხო რევოლუციის ''ბიშმა ცარიზმი აიძულა თვით აეღო ინიციატივა ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაციისა, იმ ანგარიშით, რომ შემოენახა მთავარი — თვითმპყრობელობის ყოვლისშემძლეობა და მემამულეთა მსხვილი მიწათმფლობელობა.

1860-ანი წლების ბურჟუაზიულმა რეფორმებმა რუსეთში გზა გაუკაფა ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციის გაბატონებას. კაპიტალიზმმა, იშოვა რა თავისუფალი მუშახელი, მძლავრად იწყო განვითარება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების შემონახვის პირობებში. ეს ძველი დამყაყებული ურთიერთობანი ეკონომიკაში და ცარიზმის ძველი უფლებების ხელშეუხებლობა პოლიტიკაში, რუსეთში ისევ ძალაში სტოვებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის აუცილებლობას, დაბეჩავებული უმიწაწყლო გლეხობის ბრძოლა მიწისათვის ამ დროიდან ერწყმოდა ახლადფორმირებული პროლეტარიატის ბრძოლასთან კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

რუსეთის სუსტმა ბურჟუაზიამ რეფორმების შემდგომ პერიოდშიც ვერ მოახერხა მძლავრ, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ძალად ჩამოყალიბება. იგი ცარიზმის კალთებქვეშ და ნაწილობრივ მისი მხარდაჭერით გამოვიდა ასპარეზზე და ვერც კი მოასწრო ძალაუფლების დაპატრონება, რომ საბარიკადო ბრძოლებში აღმოჩნდა მუშათა კლასთან. ამან განაპირობა რუსეთის ბურჟუაზიის კლასობრივი კავშირი თვითმპყრობელობასთან. რომლის ხიშტები და მათრახები ერთგულ სამსახურს უწევდნენ მას პროლეტარიატისა და გლეხობის მძაფრი შეტევების ჩასახშობად.

XIX საუკ. მიწურულიდან, როდესაც კაპიტალიზმი საერთოდ თავის უმაღლეს, ლპობად სტადიაში გადავიდა. რუსეთში ევროპის ყველა ქვეყანაზე უფრო მწვავედ იჩინა თავი ცარიზ-

მის დამხობის. იმპერიალიზმის სამხედრო-ფეოდალური სისტემის ლიკვიდაციის აუცილებლობამ. რუსეთია ის დიდი სახალხო რევოლუცია 1905-1907 წლებში რომ აზვირთდა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთელ მანძილზე მწიფდებოდა. იმპერიალიზმის ეპოქისათვის ეს იყო პირველი დიდი რევოლუცია არა მარტო რუსეთში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რუსეთის პროლეტარიატი ამიერიდან კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის წინააღმდეგ იერიშების ავანგარდში აღმოჩნდა. ეს ავანგარდული როლი შეპირობებული იყო მოვლენათა ობიექტური მსვლელობით. ამ რევოლუციის ფესვები ფართოდ იყო გაშლილი რუსეთის XIX საუკუნის ნიადაგში და ამ საუკუნის განმათავისუფლებელი მოძრაობის წყაროებიდან უხვად საზრდოობდა.

რუსი ხალხი იმთავითვე ხასიათდებოდა მწვავე სოციალური ჩაგვრისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ბატონყმურ-ფეოდალური დესპოტური რეჟიმისადმი ხალხის შეურიგებლობა და თავისუფლებისადმი სწრაფვა მკაფიო გამოხატულებას პოულობდა ჯერ კიდევ ადრე გლეხთა იმ მსხვილ მღელვარებებში, რომლებიც ივანე ბოლოტნიკოვის, კონდრატ ბულავინის, სტეფანე რაზინის, ემილიან პუგაჩოვის მეთაურობით ხდებოდა XVII და XVIII საუკუნეებში.

რუსეთის თვითმპყრობელობის და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლამ XIX საუკუნის დასაწყისიდანვე რუსეთში ორგანიზებული ხასიათი მიიღო. ეს ორგანიზებულობა პირველყოვლისა გამოვლინდა დეკაბრისტების ცნობილ აჯანყებაში 1825 წელს. დეკაბრიზმი — ეს იყო რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემაზე დემოკრატული ბანაკის პირველი მძლავრი შეტევა, რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი სათავე. პროგრესისათვის ბრძოლაში რუსი ადამიანების ფოლადისებური ნებისყოფის, თავგანწირვის სულისკვეთების ბრწყინვალე გამოხატულება. დეკაბრისტები დამარცხდნენ, მაგრამ მათ რევოლუციური კერები გააღვივეს მთელ ქვეყანაში, წარუშლელი კვალი დაამჩნიეს რუსეთის გონებრივ ცხოვრებას და თავიანთი სახრჩობელის რიდედან მომავალ თა-

ობას უანდერძეს სოციალური ჩაგვრისადმი, ტირანიისადმი შეურიგებლობის, თავისუფლების დაუცხრომელი ძიების სულისკვეთება.

XIX საუკუნის 50-იან წლებში ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიოში მეორე ქვეყანა, რომელიც ხასიათდებოდეს ძველისა და ახლის, თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეაქციისა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ისეთი მწვავე, მძაფრი შეჯახებებით, როგორითაც ხასიათდებოდა რუსეთი. სახალხო რევოლუციის ალყაში მოქცეული და ბატონყმობის ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილი რეაქცია თავს იცავდა გააფთრებით იმ იერიშებისაგან, რომელსაც მასზე ერთდროულად აწარმოებდა თავისუფლების უფლების შეგნებით გაჟღენთილი გლეხობა, ფორმირების პროცესში მყოფი პროლეტარიატი, მოწინავე ინტელიგენცია. ეს იყო რუსეთში დეკაბრისტული იდეების შემდგომი გაღრმავების, ხალხთან დაახლოების და მისდამი ნდობის აღიარების, სწორი რევოლუციური თეორიისა და გზების დაუცხრომელი ძიების პერიოდი, როცა ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ კრიტიკის სფეროში ეჭცეოდა თვით კრიტიკა და საზოგადოება მოღლილი იყო ჭეშმარიტების შიმშილით. ამ ეპოქამ გამოზარდა გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი და მათთან ერთად რაზნოჩინელთა ის შესანიშნავი თაობა, რომლებმაც დეკაბრიზმის დროშა აიტაცეს, რუსეთში გლეხური რევოლუციის წამხალისებლად გამოვიდნენ. შექმნეს რუსეთის ისტორიის „პროკლამაციური პერიოდი", უნივერსიტეტების აუდიტორიები რევოლუციურ ტრიბუნებად გადააქციეს, ხოლო შემდეგ გადავიდნენ ხალხში სოციალიზმის იდეების საქადაგოდ, დიდი გლეხური ბუნტების მოსაწყობად, ეს იყო პერიოდი, როცა გერცენი კოლოკოლის ფურცლებზე აღტაცებული აღნიშნავდა „მძინარე ჩრდილოელი კოლოსი გოლიათი, მეფის მორჩილი იღვიძებს და ოდნავადაც აღარაა ისეთი მორჩილი, როგორიც იყო გაბრიელ რომანის ძე დერჟავინის დროს... ყური მიაპყარით, კიდევ კარგი რომ ბნელი უკუნეთი არ გვიშლის მოსმენას. უზარმაზარი ჩვენი სამშობლოს ყოველი მხრიდან — დონიდან და ურალიდან, ვოლგიდან და დნეპრი-

დან იზრდება გმინვა, ისმის დრტვინვა. ეს ზღვის ტალღის პირველი ღრიალია. ის ქაფდება და საშინლად მომქანცველი სიჩუმის შემდეგ წარმოშობს ქარიშხლებს...“ რუსეთის ამ პერიოდის რევოლუციონერთა შესახებ ენგელსი სწერდა პაპრიცს: „რუსეთში იყო კრიტიკული აზრიც და წმინდა თეორიის თავდადებული ძიებაც, რაც ღირსი იყო იმ ხალხისა, რომლებმაც მოგვცა დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი. მე ვლაპარაკობ არა მარტო აქტიურ რევოლუციურ სოციალისტებზე, არამედ ისტორიულ და კრიტიკულ სკოლაზეც რუსულ ლიტერატურაში. რომელიც შეუდარებლად უფრო მაღლა დგას ყოველივე იმაზე, რაც გერმანიასა და საფრანგეთში ოფიციალურ ისტორიულ მეცნიერებას შეუქმნიაო“.

XIX საუკუნეში რუსეთი მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა არა მხოლოდ ცარიზმის ჟანდარმული ღონისძიებებით; თუ რუსეთის თვითმპყრობელობა გამოდიოდა რევოლუციური მოძრაობის ჩამხშობ ძალად, თუ ალექსანდრე პირველისა და ნიკოლოზ პირველის საექსპედიციო კორპუსები წარმოადგენდნენ საერთო ევროპული რეაქციის საიმედო ძალას საფრანგეთში, იტალიაში, უნგრეთში, ესპანეთში, გერმანიის ქვეყნებში აზვირთებული განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, სამაგიეროდ იმავე რუსეთში ცარიზმის წინააღმდეგ წამოზრდილი რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული კულტურის მონაპოვარი საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში იმკვიდრებდა საპატიო ადგილს და უდიდეს გავლენას ახდენდა მის შემდგომ განვითარებაზე. სწორედ XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთში აღმოცენება იწყო და გოლიათურად გაშალა მხრები ველიკორუსულმა ეროვნულმა კულტურამ. განსაკუთრებით დიდი იყო მნიშვნელობა რუსული ლიტერატურისა, რომელსაც გორკი უწოდებდა რა გასაოცარ ფენომენს, აღნიშნავდა: „დასავლეთის არცეთი ლიტერატურა არ წარმოდგენილა ასეთი ძალითა და სისწრაფით, ნიჭის ასეთი კაშკაშა ბრწყინვალებით. ევროპაში არავის შეუქმნია ისეთი დიადი, მთელი მსოფლიოს მიერ აღიარებული წიგნები. არავის შეუქმნია ასეთი განსაცვიფრებელი სილამაზე ასეთ მძიმე პირობებში.

ეს ურყევად დასტურდება დასავლეთის ლიტერატურისა და ჩვენი ლიტერატურის ისტორიის შედარების გზით. თითქმის მთელი ასი წლის განმავლობაში არსად არ გამოჩენილა დიად სახელთა ისეთი ბრწყინვალე თანავარსკვლავედი, როგორც რუსეთში. არსად არ ყოფილა ისე უხვად მოწამეობრივი მწერალი. როგორც ჩვენშიო“.

რუსეთის კულტურას ყოველთვის ახასიათებდა ორგანიული კავშირი რუსეთის რევოლუციურ, განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, მებრძოლი დემოკრატიზმი, რეალიზმი. მის დროშაზე წარწერილი იყო ჰუმანიზმის იდეები, იგი იდგა რუსეთის თვითმპყრობელურ ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე. რუსეთის კულტურის ეს მონაპოვარი, მისი მატერიალისტური, დემოკრატიული აზროვნება უდიდეს გავლენას ახდენდა მეზობელ ხალხებზე. რუსეთის ლიტერატურის ტრადიციებზე გაიზარდა პოლონეთის, სერბეთის, ჩეხეთის, ბულგარეთის ლიტერატურა. რუსული ენა XIX საუკ. გადაიქცა მეორე მშობლიურ ენად სლავი ხალხებისათვის.

რუსეთის ლიტერატურას უდიდესი გავლენა და გამოძახილი ჰქონდა მთელს მსოფლიოშიც. ამის მიზეზი ის იყო, რომ მის მიერ წამოყენებული იდეები, მის მიერ შექმნილი სახეები სისხლხორცეული იყო არა მარტო რუსი ხალხისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის. იგი ხელს უწყობდა საკაცობრიო პროგრესს, ახლის ძველზე გამარჯვებას. არცერთი ქვეყნის ლიტერატურა არ ყოფილა ისე მჭიდროდ დაკავშირებული ცხოვრებასთან, ხალხის ტკივილებთან, ოცნებებთან, როგორც რუსეთის ლიტერატურა.

როდესაც პროსპერ მერიმემ — აღნიშნავს განსვენებული აკადემიკოსი ე. ვ. ტარლე — და პირველმა მთარგნელებმა ევროპას გააცნეს პუშკინი, როცა ბოდენშტედტმა „აღმოაჩინა“ ლერმონტოვი, როცა ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი სენტ-ბევი ალაპარაკდა გოგოლის შესახებ, ხოლო მეორე იმპერიის პერიოდის პარიზი მქუხარე აპლოდისმენტებით და დაუცხრომელი სიცილით შეხვდა გოგოლის „რევიზორის“ პირველ თეატრალურ წარმოდგენას,—ყველაფერი ეს იყო მხოლოდ დასაწყისი

მსოფლიო არენაზე რუსეთის დიდი ლიტერატურის ტრიუმფალური გამოსვლისა.... დასავლეთის კრიტიკოსებმა და ბელეტრისტებმა ერთხმად აღიარეს, რომ „ომისა და ზავის“ „ანა კარენინას“, „აღდგომის“ გამოჩენის შემდეგ, „დანაშაული და სასჯელის“ „წერილები მკვდარი სახლიდან“, „კარამაზოვების“ შემდეგ. მოთხოვნილებანი მხატვრული ლიტერატურის მიმართ იმდენად გაუგონრად გაიზარდა, რომ შეუძლებელი შეიქმნა წერა „ძველებურად“ და მთელმა მკითხველმა კაცობრიობამ იგრძნო, რომ სიტყვიერ შემოქმედებაში, მხატვრულ ფსიქოლოგიურ ანალიზში გადაიდგა ახალი გიგანტური ნაბიჯი იმ გზაზე, რომელთა გაკაფვა მხოლოდ დაიწყეს XIX საუკ. დასაწყისსა და შუა წლებში ისეთმა დიდმა მხატვრებმა. როგორიც იყვნენ ბალზაკი, სტენდალი და ფლობერი, დიკენსი და ტეკერეი.

XIX საუკ. რუსი მწერლები მსოფლიო ავტორიტეტები იყვნენ. ტურგენევის მოწაფედ თვლიდა თავს გოლსუორსი, ჩეხოვისა — პრისტლი და ბერნარდ შოუ, ლევ ტოლსტოისა — რომენ როლანი. პუშკინის დაბადების ასი წლის თავზე ემილ ზოლა წერდა „ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ ფიქრითა და მწერლის მთელი სულითა და გულით თქვენთან ვარ იმ დღეს, როდესაც პატივსა სცემთ თქვენი უკვდავი პუშკინის გენიას... მეც მიყვარდა იგი, რადგან კაცს უნდა უყვარდეს დიდი გონება. რომლის წყალობითაც ეროვნული საქმე მსოფლიო საუნჯის ნაწილად იქცევა. მე გამოვთქვამ უსაზღვრო აღტაცებას მის შესახებ და მთელი მსოფლიოს მწერლებს მართებთ ეს ვალი მოიხადონ. ეს იქნება ჭეშმარიტი საქვეყნო საქმე და მსოფლიო ცივილიზაციის ზეიმი“. 1909 წელს გოგოლის იუბილესთან დაკავშირებით ინგლისელ მწერალთა ჯგუფი წერდა: „რუსეთის ლიტერატურა გადაიქცა ჩირაღდნად, რომელიც ანათებდა რუსეთის ცხოვრების ყველაზე ბნელ კუნჭულებს, მაგრამ ამ ჩირაღდნის შუქი შორს გასცდა რუსეთის საზღვრებს და მან გაანათა მთელი ევროპა“. ამავე წელს ვოგიუე აღნიშნავდა, რომ გოგოლმა ყველა ცივილიზებულ ქვეყანას მოჰფინა რუსული გენიის შუქი. ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი რენანი წერდა ტურგენევის შესახებ „ტურგენევი იყო მთელი ხალხის

სინდისი. მასში ეტეოდა და მისი პირით ლაპარაკობდა მთელი მსოფლიო... სახელი და დიდება დიდ სლავ რასას, რომლის მოწინავეობაც ისტორიის სარბიელზე ჩვენი საუკუნის ყველაზე გასაოცარი ფენომენია, სახელი და დიდება მას. რომ თავის გამომხატველად ასეთი შეუდარებელი მხატვარი მონახა. ტურგენევი ერთ ტომს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი ეკუთვნოდა კაცობრიობასაც".

ლევ ტოლსტოის სიკვდილის დღეებში ინგლისური ჟურნალი მიუთითებდა, რომ შექსპირის შემდეგ კაცობრიობამ არასოდეს არ იცოდა მხატვრული შემოქმედების დარგში ისეთი მსოფლიო დიდება, როგორიც ლევ ტოლსტოიმ. ვ. ი. ლენინი ლევ ტოლსტოის შესახებ ამბობდა, რომ იგი წინგადადგმული ნაბიჯია მსოფლიოს მხატვრულ განვითარებაშიო.

და განა მარტო რუსეთის ლიტერატურა! XIX საუკუნის რუსეთმა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში ძვირფასი შენაძენი შეიტანა ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში. რუსული მუსიკა — გლინკას, ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის და სხვათა სახით, რუსული მხატვრობა — სურკოვის, ვერეშჩაგინის, ივანოვის, ლევიტანის, რეპინის და სხვათა სახით, რუსეთის მეცნიერება — ლებედევის, ლობაჩევსკის, კოკალევსკის, ლოდიგინის, სეჩენოვის, მენდელეევის, რუსული ფილოსოფია რადიშჩევის, გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და სხვ. სახით დარჩა აზრის უდიდეს მონაპოვრად, საკაცობრიო პროგრესის ზღვაში შენაკად წყალუხვ მდინარედ.

რუსეთის რევოლუციური განმათავისუფლებელი მოძრაობის ის მდიდარი ტრადიციები, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე გროვდებოდა, რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული კულტურის უდიდესი მონაპოვარი შეისისხლხორცა ლენინიზმმა, როგელიც სამართლიანადაა აღიარებული როგორც რუსეთისა და მთელი საკაცობრიო კულტურის უმაღლესი მიღწევა. რუსეთი თავისი ისტორიული განვითარებით, მოვლენების მთელი მსვლელობით მომზადებული იყო იმისათვის, რომ შეექმნა ლენინი — მსოფლიოს პროგრესული აზროვნების კი-

რიფე და ლენინიზმი, როგორც იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის მარქსიზმი, როგორც პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა, მეცნიერული კომუნიზმის უბასრესი იდეოლოგიური იარაღი, მსოფლიოს ყველა ჩაგრულთა და უუფლებოთა განთავისუფლების, კაცობრიობის ყველა თაობის საოცნებო საზოგადოების — კომუნიზმის აშენების იდეოლოგიური იარაღი.

ვ. ი. ლენინი რუსეთში სწორედ იმ პერიოდში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როდესაც პროლეტარიატი უკვე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ძალათ, კლასად თავისთვის და მძლავრად აღმართა მუშტი კაპიტალიზმისა და ცარიზმის წინააღმდეგ. როცა მას ახალ ვითარებაში, კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავების, მისი ლპობისა და აგონიის ვითარებაში სჭიროდა საბრძოლო ჩირაღდანი. 80-ანი წლების ოპორტუნისტებისაგან შერყვნილი მარქსიზმი საჭიროებდა გაწმენდას და თავის უფლებებში აღდგენას. შემოქმედებითად განვითარებას ახალი ეპოქის სულისკვეთებათა შესაბამისად. ვ. ი. ლენინმა, მართლაც, განავითარა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქსისტული რევოლუციური თეორია, რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა ძლევამოსილ განმათავისუფლებელ ბრძოლას გზა გაუნათა. ვ. ი. ლენინის უდიდესი ისტორიული დამსახურებაა ის, რომ იგი ღრმად შევიდა მარქსიზმის თეორიის სიღრმეში და სრულყოფილად ფლობდა რა დიალექტიკურ მეთოდს, დაიცვა ეს მოძღვრება ყოველგვარი დამახინჯებისაგან, გაამდიდრა იგი ახალი დასკვნებით და დებულებებით. ვ. ი. ლენინი მუდმივად, ისტორიის ყოველ ახალ მოსახვევებში მარქსიზმს აკავშირებდა ეპოქის განსაზღვრულ პრაქტიკულ ამოცანებთან და თავისი შემოქმედებითი მიდგომით მარქსისა და ენგელსის დებულებებისადმი უჩვენებდა, რომ იგია არა მკვდარი დოგმა, არამედ ცოცხალი სახელმძღვანელო მოქმედებისათვის.

რუსეთის შიგნით და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ დაუცხრომელ ბრძოლაში, მარქსიზმის გრანიტოვან საძირკვლებზე ვლადიმერ ილიას ძე ლე-

ნინმა რუსეთში შექმნა ახალი ტიპის პარტია — კომუნისტური პარტია, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა იმის უნარის მქონე, რომ სათავეში ჩადგომოდა რუსეთის პროლეტარიატს და წაეყვანა იგი ბრძოლისა და გამარჯვების გზით. ეხელმძღვანელა ჯერ ცარიზმის დამხობის, ხოლო შემდეგ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

XIX-XX საუკუნის ზღურბლზე ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ იერიშებისათვის რუსეთს ჰყავდა არა მარტო აქტიური, უკვე ბარიკადებზე მებრძოლი პროლეტარიატის მრავალმილიონიანი არმია თავისი საიმედო მოკავშირით — რუსეთის გლეხობით, რომელსაც გაჩაღებული ჰქონდა იმპერიის მასშტაბით აგრარული რევოლუციის ხანძარი, არამედ გააჩნდა მთელი, ამ მოძრაობის საიმედო შტაბიც — ახალი ტიპის პარტია და ჰყავდა ისეთი გენიოსი შორსმჭვრეტელი კაპიტანი ლენინის სახით, რომელსაც შეეძლო რევოლუციის ხომალდი უტყუარი გზით წაეყვანა.

ყოველივე ამან განაპირობა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის გადმონაცვლება რუსეთში და რუსეთის მუშათა კლასს XX საუკუნეში დააკისრა საკაცობრიო მისია ექსპლოატაციის რეჟიმის საბოლოო ლიკვიდაციისა და დიდი კომუნისტური საზოგადოების პრაქტიკული მშენებლობისა;

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ XX საუკუნე — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უდიდესი აღმავლობის, საუკუნეთა მანძილზე და კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა ოცნების — კომუნიზმის აშენების საუკუნე, მეცნიერებასა და ტექნიკაში ატომის, კოსმოსის დაპყრობის და მრავალ ისეთ დიდ შესაძლებლობათა საუკუნე, რომელთა წინასწარ განჭვრეტა ყველაზე სრულყოფილ გონებასაც გაუჭირდება, — ყველაფერი ეს ღვიძლი შვილია XIX საუკუნისა. მის წიაღში აღმოცენდა და მის მხრებზე წამოიზარდა.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ XIX საუკუნის რუსეთის ისტორიის შესწავლა არის არა მარტო ისტორიისადმი ინტერესის გამოხატულება, არამედ აქტიური ცხოველმყოფელი პოლიტიკური ამოცანაც.

თავი I

რუსეთის ეკონომიკა XIX საუკუნის პირველ ნახევარში

ფეოდალურ-ბატონყმური ეკონომიკის რღვევა

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ შემოაპირა როგორც ევროპის კონტინენტზე უდიდესმა და უძლიერესმა სახელმწიფომ. ამ დროისთვის მისი საზღვრები უკვე ყირუელოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე და წყნარი ოკეანიდან დუნაიმდე იყო გადაჭიმული, ხოლო მოსახლეობა 40 მილიონამდე აღწევდა. შვედების წინააღმდეგ ომში, შვიდწლიან ომში, თურქეთის წინააღმდეგ ორგზის ომში რუსეთის გამარჯვებებმა, სპარსეთში წარმატებითმა ლაშქრობამ, პოლონეთის დანაწილებაში წამყვანმა როლმა და საფრანგეთის წინააღმდეგ ევროპის მონარქთა კოალიციურ ომში მეთაურობამ მთელს მსოფლიოს დაანახვეს, რომ რუსეთის სახით წამოიზარდა ქვეყანა, რომლის აქტიური მონაწილეობის გარეშე ამიერიდან ვერ გადაწყდებოდა მსოფლიოს ვერცერთი მნიშვნელოვანი საკითხი და რომლის არმია, პეტრე პირველის, რუმიანცევის, სუვოროვის, კუტუზოვის გამარჯვებათა შემდეგ გადაიქცა მრისხანე ძალად, რომელსაც შეეძლო არა მარტო დაეცვა თავისი ქვეყნის ხელშეუხებლობა, არამედ ჩაეშალა ევროპის მძლავრ სახელმწიფოთა მესვეურების გეგმები.

მაგრამ გარეგნულად ბრწყინვალე და ძლევამოსილი რუსეთის თვითმპყრობელური შენობის საძირკვლებში როდი იყო რიგზე ყველაფერი. აქ უკვე ეჩინა თავი გაბატონებულ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ლპობითს პროცესს. ეკონომიკაში, სახელმწიფოებრივ წყობილებაში, კლასობრივ სტრუქ-

ტურაში, სოციალურ-ურთიერთობასა და კულტურაში — ერთი სიტყვით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში უკვე მიმდინარეობდა ძველ, დრომოჭმულ ურთიერთობათა რღვევა. ფეოდალური ფორმაციის წიაღში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისიდან აღმოცენებული კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები უკვე შესამჩნევად იზრდებოდნენ, გზას მიიკვლევდნენ ყველა სფეროში, მკაცრი აუცილებლობით გაბედულად იკრებოდნენ პოლიტიკაში, ხრწნიდნენ, უკან ახევინებდნენ და ზოგჯერ სპობდნენ ყველა დაბრკოლებას. ვერავითარ ძალას — ვერც რუსეთის მრისხანე და პატივმოყვარე მონარქების—ალექსანდრე პირველისა და ნიკოლოზ პირველის კონტროლისძიებებს. ვერც მათი ქოფაკების არაკჩეევებისა და ბენკენდორფების გააფთრებულ თავდასხმას პროგრესზე, ვერც ფეოდალურ ურთიერთობას მტკიცედ ჩაბღაუჭებული რეაქციული თავადაზნაურობის სისხლიან ანგარიშსწორებას ურჩი ყმა გლეხობისადმი, ვერც ცარიზმის ხიშტებს და თეორიულ იარაღს —ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგიას — არ შესწევდა უნარი იმისა, რომ საბოლოოდ შეეჩერებინა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება, რადგან ეს იყო მკაცრი ობიექტური აუცილებლობა, ისტორიის რკინის კანონი. ძველისა და დრომოჭმული ფეოდალური ფორმაციის თავგამოდებულ დამცველთა გააფთრება აძლიერებდა მხოლოდ ქვეყნის შინაგან ლპობას, ზრდიდა რუსეთის ჩამორჩენილობას ევროპის ქვეყნებთან შედარებით, სადაც გამარჯვებული ბურჟუაზიული წყობილება დიდი სისწრაფით იპყრობდა ეკონომიკასა და კულტურის მწვერვალებს. მაგრამ სწორედ ეს გაძლიერებული ლპობადი პროცესი ბატონყმური რუსეთის ორგანიზმში კიდევ უფრო აახლოვებდა მის საბოლოო კრახს, ამასთანავე ააქტიურებდა იმ საზოგადოებრივ ძალებს, რომელთა ბრძოლა პროგრესს ემსახურებოდა.

ფეოდალურ-ბატონყმური სახელმწიფოს ხრწნის პროცესი, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან რომ მძლავრად იჩინა თავი, ყველაზე მეტად მაინც რუსეთის ფეოდალურ ეკონომიკაში იგრძნობოდა.

...ბ...ეკონ...ლო-ფეოდალი და საბაზრო ურთიერთობანი სწორედ ამ პერიოდში ძლავრად იდგამს ფესვებს ფეოდალური რუსეთის ეკონომიკაში და აჩქარებს მის რღვევას. ამ ურთიერთობის წარმოშქმნელი ფაქტორები — შრომის დანაწილება, რაც სოფლის მეურნეობიდან მრეწველობის გამოყოფაში მდგომარეობს, ქალაქების ზრდა, ხელოსნების, სამრეწველო საწარმოებისა და ცენტრების ქსელის გაფართოება, თვით სოფლის მეურნეობაში ინტენსიური სპეციალიზაცია, — იწვევენ ფეოდალური სოფლის კარჩაკეტილობის მსხვრევას, რუსეთის სხვადასხვა რაიონებს შორის აღებმიცემობის გაფართოების აუცილებლობას, ამსხვილებენ ქვეყნის საშინაო ვაჭრობას, ზრდიან მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციაზე, იწვევენ სამრეწველო ბაზარზე კადრების შიმშილობას. ერთი სიტყვით, აშიშვლებენ რუტინულ ტექნიკაზე დამყარებული ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის უკურნებელ წყლულებს და ამტკიცებენ მისი მოსპობის აუცილებლობის შეგნებას.

მრეწველობა

ძველი, დრომოჭმული და ახალი, ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ მზარდი ურთიერთობების შეჯახება ყველაზე მძლავრად მაინც მრეწველობის სფეროში მიმდინარეობდა. ჩვენც მისი მიმოხილვით დავიწყოთ.

ვ. ი. ლენინი თავის გენიალურ ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ ერთმანეთისაგან ანსხვავებს სამ ეტაპს კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებაში. ეს ეტაპებია: 1) „წვრილი სასაქონლო წარმოება (წვრილი, უმთავრესად გლეხური სარეწები) — კაპიტალისტური მანუფაქტურა — ფაბრიკა (მსხვილი მანქანური ინდუსტრია)“.[1] აქვე ლენინი მიუთითებს, რომ ამ სტადიათა „კავშირი და თანამომდევნობა უაღრესად მჭიდრო და უაღრესად უშუალოა. ფაქტები სავსებით

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 641.

ამკარად გვიჩვენებენ, რომ წვრილი სასაქონლო წარმოების ძირითადი ტენდენცია კაპიტალიზმის განვითარებაში, კერძოდ მანუფაქტურის შექმნაში მდგომარეობს, ხოლო მანუფაქტურა ჩვენს თვალწინ უდიდესი სისწრაფით იქცევა მსხვილ მანქანურ ინდუსტრიად".[1]

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში ამ ეტაპების ერთმანეთში გადასვლა სწრაფად, ყოველგვარი შუალედების გარეშე მიმდინარეობდა.

აქ ჩვენ სახეზე გვაქვს წვრილი წარმოებაც, მანუფაქტურაც, კაპიტალისტური ფაბრიკა ჩანასახურ მდგომარეობაშია, მაგრამ საკმარისი ხდება ორი-სამი ათეული წელი, რომ წვრილი წარმოებანი და მანუფაქტურები ზედიზედ დაიხურონ, ხოლო სამანქანო ინდუსტრიამ მრეწველობის ძირითად დარგებში დაიკავოს გაბატონებული მდგომარეობა. ეს იყო რუსეთში საძრეწველო გადატრიალების პროცესი.

წვრილი სასაქონლო წარმოება, რომლის დამახასიათებელ ნიშნად ვ. ი. ლენინი სრულიად პრიმიტულ, უხსოვარი დროიდან უცვლელ, ხელის ტექნიკას თვლის, მე-18 საუკუნის რუსეთში მძლავრად იყო განვითარებული, ხოლო მე-19 საუკუნეში მან ახალი ზრდა განიცადა. წვრილი, გლეხური კუსტარული მრეწველობის ეს ზრდა გაფართოებული ბაზრის ახალ-ახალი მოთხოვნებით იყო შეპირობებული. განსაკუთრებულ ზრდას იგი განიცდიდა ცენტრალურ სამრეწველო გუბერნიებში. ნიჟნინოვგოროდის, ტვერის, იაროსლავის, ვლადიმირის, მოსკოვის გუბერნიებში იყო მთელი რიგი სოფლები და მაზრებიც კი, რომლებიც შინამრეწველობაზე იყვნენ გადასული და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს არ აწარმოებდნენ, ხარბალს ბაზარზე იძენდნენ. მაგალითად, ვლადიმირის გუბერნიის სოფ. ივანოვოში, თანამედროვეს გადმოცემით, ბიწათმოქმედება მეორეხარისხოვან საქმეს წარმოადგენდა, გლეხობა მთლიანად ბიტკლის წარმოებაზე იყო გადასული, პური მეზობელი სოფლებიდან შემოქონდათ, ბოსტნეულის ნაწარმი — სუზდალიდან.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 642.

სოფელ ივანოვოში გლეხი შინამრეწველიდან რამდენიმე მსხვილი მეფაბრიკე წამოიზარდა. მე-18 საუკუნის 40-იან წლებში შინამრეწველური წრიდან გამოსულმა ბუგრიმოვმა და გრაჩევმა მანუფაქტურები დააარსეს. გრაჩევმა 1795 წელს გამოისყიდა თავი 135 ათას მანეთად (ასიგნაციით). ივანოვოში მე-18 საუკ. 70-ანი წლებისათვის უკვე 12 კაპიტალისტური მანუფაქტურა არსებობდა, ხოლო 80-იან წლებში — 24, 1825 წლისათვის სოფელ ივანოვოში აღრიცხული იყო 125 ჩითისა და ბამბეულის მსხვილი საქსოვი ფაბრიკა, ზოგიერთი მათგანი იმ დროისათვის შესამჩნევად მსხვილ საწარმოს წარმოადგენდა. მაგალითად, იამანოვსკის ფაბრიკაში იდგა 1000 დაზგა და დასაქმებული იყო 1500 მუშა. ყველა ეს ფაბრიკები გრაფ შერემეტიევის ან ყმებს, ან ყოფილ ყმებს — გლეხ შინამრეწველებს ეკუთვნოდათ.

ვ. ი. ლენინს მოჰყავს მრავალი მაგალითი იმისა, თუ გლეხი შინამრეწველები როგორ ახერხებდნენ მსხვილ საწარმოებელ— მეფაბრიკემდე ამაღლებას. „სავა მოროზოვი იყო ყმა გლეხი (თავი დაიხსნა 1820 წ.) მწყეცსი, მეეტლე, ფეიქარ-მუშა, ფეიქარი-შინამრეწველი, რომელიც ქვეითად დაიარებოდა მოსკოვში, რომ შემსყიდველებისათვის მიეყიდნა თავისი საქონელი; შემდეგ წვრილი საწარმოს — დამარიგებელი კანტორის —ფაბრიკის მფლობელი. ის გარდაიცვალა 1862 წ., როცა მას და მის მრავალრიცხოვან შვილებს 2 დიდი ფაბრიკა ჰქონდათ. 1890 წ. 4 ფაბრიკაში, რაც მის შთამომავლებს ეკუთვნოდა, იყო 39 ათასი მუშა, რომელნიც 35 მილიონი მანეთის ნაწარმს ამზადებდნენ. ვლადიმირის გუბერნიის აბრეშუმის წარმოებაში მთელი რიგი მსხვილი მეფაბრიკეები ფეიქარ-მუშათა და ფეიქარ-შინამრეწველთა წრიდან გამოვიდნენ. ივანოვო-ვოზნესენსკის უდიდესი მეფაბრიკეები (კუვაევები, ფოკინები, ზუბკოვები, კოკუშკინები, ბობროვები და მრავალი სხვ.) შინამრეწველთაგან გამოვიდნენ“.[1]

უკვე გაძდიდრების გზაზე შემდგარი გლეხი შინამრეწველების მიერ მებატონეთაგან თავის გამოსყიდვა ამ დროს ხშირ მოვლენას წარმოადგენს. 1818 წ. თავადმა შახოვსკიმ გაათავი-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 3, გვ. 642.

სუფლა კოსტრომის გუბერნიიდან 2 ყმა 10 ათას მანეთად, ძაი-ორმა კოლიჩევმა — 8 სული 320 ათას მანეთად. გლეხმა შინა-მრეწველმა პროხოროვმა, რომელმაც დააარსა ცნობილი პრო-ხოროვის მანუფაქტურა, მსხვილ თანხად გამოისყიდა თავი მე-ბატონისაგან, შეიძინა სახლი მოსკოვში და აგო დიდი ფაბრიკა.

ბევრი ყოფილი ყმა — მეფაბრიკე თვითვე ყმა-გლეხების მფლობელი ხდებოდა. მემამულეთაგან ისინი მსხვილ მამულებს იძენდნენ, ყმებს ყიდულობდნენ და აბამდნენ წარმოებაში.

წვრილი წარმოების ანუ მარტივი კაპიტალისტური კოოპე-რაციის სტადიაში შრომის დანაწილებას ფართო მასშტაბით კი-დევ არ აქვს ადგილი. წარმოება აქ მთლიანად ხელით შრომა-ზეა დამყარებული, აქ მხოლოდ შეერთებულია რამდენიმე მუ-შის ძალა მძიმე სამუშაოთა საწარმოებლად. შინამრეწველურ სახელოსნოს შედარებითი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიმე მუშის ერთდროული შრომით მიღწეულია წა-რმოების პროცესის დაჩქარება, ამავე დროს მიღწეულია შე-ნობის ეკონომიაც. ამ სტადიაზე ჯერ კიდევ ვიწროა ბაზარი, ახ-ლოა მანძილი თვით მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, თვით წარმოებაც ადგილობრივ პირობებსაა შეგუებული.

მაგრამ ბაზრის გაფართოება, სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდა იწვევს წარმოების შემდგომი ზრდის აუცილებლობას. მწარმოებლური ძალები ვითარდებიან. მარ-ტივი კაპიტალისტური კოოპერაცია ადგილს უთმობს კაპიტა-ლისტურ მანუფაქტურას, სადაც მეტია შრომის ნაყოფიერე-ბა.

მანუფაქტურულ სტადიაში წვრილი წარმოებისაგან განსხ-ვავებით საქმე უკვე გვაქვს მსხვილ კაპიტალთან, პროლეტარი-ატის ფორმირებად ფართო ფენასთანაც. „წარმოების საშუა-ლებათა მეპატრონესა და მომუშავეს შორის უფსკრული უკვე საგრძნობ ფარგლებს აღწევს. ჩნდება „მდიდარი“ სამრეწველო დაბა სოფლები, სადაც მცხოვრებთა მასას სრულიად არაფრის მქონე მომუშავენი შეადგენენ. ვაჭართა მცირერიცხოვანი წრე, რომელიც ნედლეულის შესასყიდად და პროდუქტის გასასაღებ-ლად უდიდეს თანხებს ატრიალებს, და ღღიდან დღემდე მცხო-

ვრები მედეტალე მუშათა მასა, — ასეთია მანუფაქტურის ზოგადი სურათი".[1] — მიუთითებს ვ. ი. ლენინი.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ კაპიტალისტური მრეწველობის ეს ზემოდ დასახელებული ძირითადი ფორმები მკვეთრად არიან დროის მიხედვით გამიჯნული ერთიმეორისაგან. რუსეთის სინამდვილეში, განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისისათვის ჩვენ გვხვდება სამივე, მაგრამ მათგან ზოგი განვითარებას განიცდის, აღმავლობის გზით მიემართება, ზოგიც თანდათანობით გაქრობის წინაშე დგას. მსხვილი საფაბრიკო მრეწველობა ამ დროს მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაშია, მაგრამ მისია მომავალი, მაშინ როცა წვრილი წარმოება და მანუფაქტურა მიუხედავად უპირატესი მდგომარეობისა, კვდომის გარდუვალი პროცესის წინაშე დგანან.

წვრილ წარმოებასა და მანუფაქტურას შორის შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს. მანუფაქტურული წარმოება, რომელიც უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებას ემყარება, სდევნის, აჩანაგებს, სპობს წვრილ მწარმოებელს. ეს ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა წვრილი წარმოების გვერდით მანუფაქტურა გაჩნდა, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის.

1767 წლების მონაცემების მიხედვით მანუფაქტურული კოლეგიის უწყებაში აღრიცხული იყო 498 წარმოება 45 464 მუშით. 1804 წლის ანგარიშში კი წარმოდგენილია 2 423 წარმოება 95.202 მუშით. ამასთანავე ყურადღება მისაქცევია ის გარემოებაც, რომ მუშათა ზემოდდასახელებული კონტინგენტიდან 1767 წელს მხოლოდ 39,2% იყო ნებით დაქირავებული. 1804 წელს კი ნებით დაქირავებულთა პროცენტი შედარებით მაღალია. იგი 48-ს აღწევს.

კაპიტალისტური მანუფაქტურული წარმოებანი XIX საუკუნის პირველ მეოთხედში კიდევ უფრო სწრაფ ვანვითარებას განიცდიან. 1825 წლისათვის საწარმოთა რიცხვი 5261-მდე იზრდება. ამ სტატისტიკაში შედის წვრილი წარმოებანიც, სა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 3, გვ. 644.

დაც ვთქვათ 2-3 მუშა იყო დასაქმებული. თუ ამ რაოდენობიდან გამოვრიცხავთ წვრილ საწარმოებს, ისეთებს, რომლებშიც 15 მუშაზე ნაკლები იყო ჩაბმული, მაშინ მივიღებთ, რომ რუსეთს 1804 წელს ჰქონდა 1200 წარმოება, 1825 წელს — 1828, ხოლო საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულისათვის — 2.800.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის შედარებით მსხვილ სამრეწველო ცენტრებს წარმოადგენდნენ მოსკოვის, პეტერბურგის, იაროსლავის გუბერნიები. პეტერბურგის ლითოხდამშუშავებელი და საფეიქრო წარმოება მსხვილ პროდუქციას იძლეოდა. მთელ ქვეყნებში იყო განთქმული მოსკოვის გუბერნიის ბამბეულის პროდუქცია. მეტალურგიული მრეწველობის ცენტრებს წარმოადგენდნენ ურალი და ციმბირი. რუსეთის შავი მეტალურგიის ძირითად ბაზას ურალი წარმოადგენდა. აქ მუშაობდა 170 თუჯის გამომდნობი ქარხანა, რომელთა სიმძლავრე 10,2 მილიონ ფუთ თუჯს შეადგენდა. 1860 წელს მარტო ურალის სამთამადნო მრეწველობა 87 ბრძმედის ქარხნებს ითვლიდა. მათგან ყველაზე ძლიერი იყო ნიჟნი ტაგილში დემიდოვის ძველი ქარხანა. ურალის მეტალურგიულ წარმოებაში უკვე თავს იჩენდა გაუმჯობესებული ტექნიკა. ზოგიერთ ქარხანაში შემოღებული იყო ინგლისური ცილინდრული ჰაერსაბერი მანქანები. ზრდის ტენდენცია ეტყობოდა სპილენძის წარმოებას. ურალისა და ციმბირის ქარხნებში ახლად იდგამდა ფეხს ძვირფასი ფერადი ლითონების—პლატინის, ოქროს წარმოება. რაც შეეხება მძიმე მრეწველობის სხვა დარგებს, მაგალითად სათბობის. ქვანახშირის, ნავთის მრეწველობას, ისინი ჩანასახ ფორმებში თუ არსებობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბაქოში ნავთის არსებობა დიდი ხანია ცნობილი იყო, მისი ექსპლოატაცია არ სწარმოებდა. 1790 წელს რუსეთის სამხრეთში ქვანახშირიც აღმოაჩინეს, მაგრამ არც მის წარმოებაზე უზრუნვია ბატონყმურ რუსეთს.

მსუბუქი ინდუსტრიის დარგებიდან ყველაზე მეტად დაწინაურებული იყო საფეიქრო მრეწველობა, რომელიც თავის არსებობას XVII საუკუნიდან მოითვლიდა. 1804 წელს რუსეთს

ჰქონდა 285 ტილოს და 155 მაუდის მანუფაქტურული საწარმო, 328 აბრეშუმის ფაბრიკა. შედარებით ახალ დარგს წარმოადგენდა ბამბეულის მრეწველობა, რომელმაც ფეხი XVIII საუკუნის დასასრულს აიდგა, მაგრამ მეტად სწრაფად ვაქკაცდებოდა, ისე, რომ, მაგალითად. 1812 წლისათვის მარტო მოსკოვში იყო 11 ფაბრიკა 780 სართავი მანქანით.

მრეწველობის ზრდა XIX საუკ. პირველ ნახევარში რუსეთში ხასიათდებოდა არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი ცვლილებითაც. განუხრელად იზრდებოდა წარმოებაში ნებითდაქირავებულ მუშათა რიცხვი, მაშასადამე იცვლებოდა მუშათა სოციალური სტრუქტურა. თუ 1804 წელს დამამუშავებელ მრეწველობაში ნებით დაქირავებულ მუშათა პროცენტი 48-ს შეადგენდა, 1835 წლისათვის იგი 54-მდე ავიდა, 1860 წელს კი 87 პროცენტს აღწევდა. ნებითდაქირავებულ მუშათა პროცენტი განსაკუთრებით მაღალი იყო საფეიქრო მრეწველობაში. 1825 წლისათვის ბამბეულის მრეწველობაში ნებითდაქირავებულნი 94,7% შეადგენდნენ, ტილოს მრეწველობაში — 60,4%, აბრეშუმის მრეწველობაში 74 პროცენტს. ნებითდაქირავებულ მუშათა რიცხვის ასეთი თვალსაჩინო ზრდა სრულიად ახალი მოვლენა იყო რუსეთის მრეწველობაში. ეს იყო მისი კაპიტალისტური ხასიათის მაუწყებელი.

ნებითდაქირავებულნი, რა თქმა უნდა, ნამდვილ პროლეტარებს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ. მათი უმრავლესობა ფეოდალის საკუთრებას შეადგენდა. ეს იყო ის კატეგორია მოღალე საბატონო ან სახელმწიფო გლეხებისა, რომლებმაც მიაშურეს მახლობელ ფაბრიკა-ქარხნებს, რომ მებატონის ან სახელმწიფოსათვის ფულადი ღალა გადაეხადათ. მემამულეს უფლება ჰქონდა თავისი სურვილისამებრ გამოეწვია ისინი წარმოებიდან სოფლად სამუშაოდ. ბატონყმური ურთიერთობა საერთოდ წინ ეღობებოდა, ამუხრუჭებდა მრეწველობისათვის ნამდვილად თავისუფალი მუშახელის შექმნას. მამამულე-ფეოდალისაგან დამოუკიდებელი მუშები, რომლებიც ქალაქის მეშჩანებისაგან, ხელოსნებიდან იყენენ წარმომდგარი მცირე პროცენტს შეადგენდნენ, მაგრამ ბატონყმურ უღელში შებმული

ნებითდაქირავებულნიც კი, ჩვეულებრივი ყმა გლეხობისაგან განსხვავებით ერთგვარ თავისებურ კატეგორიას ქმნიდნენ, ხოლო მათგან დაკომპლექტებული საწარმოც თვისობრივად განსხვავდებოდა საბატონო ან პოსესიური მანუფაქტურებისაგან. ეს უკვე იყო კაპიტალისტური წყობა ფეოდალურ-ბატონყმური მეურხეობის პირობებში.

ნებით დაქირავებულ მუშებს საბატონო მუშებთან შედარებით დიდი უპირატესობა ახასიათებდათ. მათი შრომა უფრო მაღალნაყოფიერი იყო. ისინი უკეთ იყვნენ დასპეციალებული ამა თუ იმ საქმეში, უკეთ ეგუებოდნენ წარმოების პროცესში დანერგილ ახალ, მანქანურ ტექნიკას. წარმოების მეპატრონე ყოველთვის ირჩევდა საქმე ისეთ მუშასთან ჰქონოდა, რომელიც მეტ ზედმეტ ღირებულებას, მეტ პროდუქციას ქმნიდა. ასეთ მუშას იგი ხელფასსაც მეტს აძლევდა.

საბატონო მანუფაქტურებში მაღალი ტექნიკის დანერგვას წინ გადაულახავი დაბრკოლებები ეღობებოდა. ყმა გლეხების კვალიფიკაცია დაბალი იყო. ისინი წარმოებაში მუშაობდნენ იძულებით, როზგის ქვეშ იხდიდნენ ვალდებულებას. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის მათ არავითარი დაინტერესება არ გააჩნდათ. საბატონე მანუფაქტურის მუშათა მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო ვიდრე ყმა გლეხებისა. ყმა მუშები გარბოდნენ, ამსხვრევდნენ წარმოებას, მიმართავდნენ აჯანყებებს. ტექნიკა მეტად დაბალ დონეზე იდგა და არავითარ გაუმჯობესებას არ განიცდიდა. ასეთი მანუფაქტურების ხელსაყრელობა თანდათან მცირდებოდა, ვიწროვდებოდა მისი ბაზარი.

მსგავს მოვლენებს ჰქონდა ადგილი პოსესიურ მანუფაქტურებშიც. პოსესიური მანუფაქტურების პროფილი სახელმწიფოს მიერ მკაცრად იყო რეგლამენტირებული, ამიტომ მოუხერხებელი ხდებოდა მისი შეფარდება ბაზრის მოთხოვნილებებთან, წარმოების შემცირება ან გაფართოება საჭიროების მიხედვით. პოსესიურ მანუფაქტურებში უკიდურესობამდე მცირე იყო ხელფასი, უკიდურესობამდე ხანგრძლივი სამუშაო დღე. მუშები ამ აუტანელ ექსპლოატაციას ებრძოდნენ სხვა-

დასხვა საშუალებებით. ხშირად საქმე მსხვილ აჯანყებამდე მიდიოდა. პოსესიურ მანუფაქტურებში წარმოების პროცესის გაუმჯობესებას არ ექცეოდა ყურადღება. სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატი ასეთი მანუფაქტურებიდან საკმაო ქრთამს იღებდა; საწარმოთა პატრონები კი ნებაზე იყვნენ მიშვებული.

ასეთი ჩამორჩენილი, მოუხეშავი, ახალ ვითარებასთან შეუგუებელი წარმოებანი კაპიტალისტურ მანუფაქტურებთან კონკურენციაში მარცხს განიცდიდნენ. მთავრობა თვით რწმუნდებოდა მათს ნაკლებ სარგებლობაში. 1816 წელს გაუქმდა ყმა გლეხების მანუფაქტურისათვის შესყიდვის უფლება. მთავრობამ ჯერ კიდევ დასტოვა ძალაში ძველი პოსესიური მანუფაქტურები, მაგრამ ახლების დაარსების ნებას იგი უკვე აღარ იძლეოდა. ამასთან დაკავშირებით მცირდებოდა პოსესიურ მუშათა რაოდენობაც. თუ მაგალითად, 1812 წლისათვის დამამუშავებელ მრეწველობაში მათი რიცხვი 35.581 აღწევდა, 1826 წლისათვის 29.328-მდე დავიდა. პოსესიური ქარხნების მფლობელები, უკვე თვალხათლივ გრძნობდნენ რა ნებით დაქირავებულთა შრომის უპირატესობას, პოსესიურ მუშებს თვით ათავისუფლებდნენ, ან ხურავდნენ პოსესიურ წარმოებებს. ამრიგად, თვით ცხოვრების განვითარების ობიექტური კანონი თანდათანობით საწარმოო პროცესიდან ბატონყმურ შრომას სდევნიდა, გზებს უხსნიდა ნებით დაქირავებულ, იურიდიულად თავისუფალ მუშა ხელს, ესე იგი წარმოების პროცესს კაპიტალისტურ ყაიდაზე წარმართავდა.

ეს პროცესი ბატონყმურ რუსეთში არ შეიძლებოდა სწრაფი და უმტკივნეულო ყოფილიყო. ძველი წარმოებითი ურთიერთობანი მძლავრად ბოჭავდნენ ყოველგვარ სიახლეს და პროგრესს წარმოებაში. რუსეთის მრეწველობის რიგ დარგებში მთელი XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში ისევ ყმური იძულებითი შრომა ბატონობდა. მაგალითად მეტალურგიული მრეწველობა ურალში ძირითადად ბატონყმურ შრომაზე იყო დაფუძნებული.

ვ. ი. ლენინი შენიშნავს, რომ „ურალის უძრაობის მთავარი

მიზეზი იყო ბატონყმობა; სამთო მრეწველები მემამულეებიც იყვნენ და მექარხნენიც, ისინი თავის ბატონობას ამყარებდნენ არა კაპიტალსა და კონკურენციაზე, არამედ მონოპოლიასა და თავიანთ მფლობელობითს უფლებაზე".[1]

ურალელი მუშის კაბალურ მდგომარეობასთან, მის დაბალ ხელფასთან ბუნებრივად იყო დაკავშირებული ურალის ტექნიკური ჩამორჩენილობა, ხოლო ამ ნიადაგზე რუსეთის მეტალურგიული მრეწველობის სერიოზული ჩამორჩენა კაპიტალისტურ ინგლისთან შედარებით. თუ XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი თუჯის გამოდნობაში ინგლისს უსწრებდა, პირველი მეოთხედის ბოლოსათვის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. 1825 წელს რუსეთში თუჯის გამოდნობა 10 მილ. ფუთამდე დაეცა, მაშინ როცა კაპიტალისტურ ინგლისში მან 37 მილიონ ფუთს მიაღწია.

XIX საუკუნის დასაწყისში ევროპის და განსაკუთრებით ინგლისის მრეწველობა, რომელიც მანამ განვითარების მანუფაქტურულ სტადიაში იმყოფებოდა, გადადის განვითარების მანქანურ სტადიაში. მექანიკური ძრავა მკვიდრდება ფაბრიკა-ქარხნებში, მანქანა სცვლის ადამიანს წარმოების ძირითად დარგებში. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, მთელი გადატრიალება მრეწველობაში, რამაც მანამ მიუწვდომელ დონემდე ასწია შრომის ნაყოფიერება, გააფართოვა მრეწველობის ასორტიმენტი და მასშტაბები, დააყენა ბაზრების გაფართოების, ნედლეულის ახალი წყაროების გამოძებნის პრობლემა, შესცვალა მუშათა კადრების სტრუქტურა და კვალიფიკაცია, დააჩქარა ქალაქების ზრდა, ერთი სიტყვით გახდა ქვეყნის ეკონომიური აღორძინების ერთერთი ყველაზე მთავარი ფაქტორი.

რუსეთში XIX საუკუნის დასაწყისში მანქანები სამრეწველო წარმოებაში, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ გამოყენებული არ ყოფილა. თვით ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური სისტემა, ე. ი. ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი წინ ეღობებოდა, აფერხებდა ტექნიკურ პროგრესს.

მაგრამ ევროპის სამრეწველო ცხოვრებაში ამ უმნიშვნე-

---

[1] ვ. ი. ლენინი თხზ., ტ. 3. გვ. 574.

ლოვანეს მოვლენას ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის ცხოვ-
რებაშიც დიდი გამოძახილი ჰქონდა. რუსეთის მრეწველებმა
ნათლად დაინახეს რა მანქანური ტექნიკის დიდი უპირატესობა,
ინგლისიდან მისი გაძლიერებული შემოტანა დაიწყეს. 1815 —
1816 წლებში რუსეთში შემოტანილი იქნა 83 ათასი მანეთის
გაუმჯობესებული ინსტრუმენტები, იარაღები და მანქანები.
1825 წელს — 828 ათასისა, 1840 წელს 3.500 ათასი მანეთის,
1850 წელს 8.397 ათასი მანეთისა. ხელით შრომიდან მანქანურ-
ზე გადასვლა მრეწველობის დარგებიდან ყველაზე სწრაფად სა-
ფეიქრო მრეწველობაში ხდებოდა. 1843—1854 წლამდე რუ-
სეთში ძაფსახვევი თითისტარების რაოდენობა 350 ათასიდან
1 მილიონამდე გაიზარდა. ალექსანდროვის, მოროზოვის, ხლუ-
დოვის და სხვ. საფეიქრო წარმოებანი გარდაიქმნა მანქანურ
ყაიდაზე. 1858 წელს მარტო მოსკოვის გუბერნიაში აღრიცხუ-
ლი იყო 152 ორთქლის მანქანა 3.115 ცხენის ძალისა.

უცხოეთიდან მანქანების შემოტანასთან ერთად XIX საუკ.
პირველ ნახევარში რუსეთში ნელ-ნელა ფეხს იდგამდა სამა-
მულო მანქანათმშენებელი მრეწველობა. ჩნდებიან მანქანათ-
მშენებელი ქარხნები პეტერბურგში, მოსკოვში, კალუგისა და
კოსტრომის გუბერნიებში. 1851 წელს რუსეთში მოქმედებდა
19 მანქანათმშენებელი ქარხანა, 1860 წელს 99. რა თქმა უნდა,
აქ წარმოდგენილი ციფრობრივი მასალა, ისეთი ვეებერთელა
ქვეყნისათვის, როგორიც რუსეთი იყო, სამრეწველო ცხოვრე-
ბაში არსებით ცვლილებებს ჯერ კიდევ არ გულისხმობდა. რუ-
სეთის მრეწველობა 30-იან, 40-იან წლებში ძირითადად მაინც
ხელით შრომაზე იყო დაფუძნებული, ბატონყმურ-ფეოდალური
რეჟიმი წინ ეღობებოდა, ყოველმხრივ აფერხებდა ტექნიკურ
პროგრესს, მრეწველობის მექანიზაციას. რუსეთს XVIII სა-
უკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში
არა ერთი და ორი შესანიშნავი გამომგონებელი ჰყავდა, რო-
მელთაც, შეიძლება ითქვას, უატზე ადრე მიაგნეს მანქანის საი-
დუმლოებას, ორთქლის ძრავას საიდუმლოებას, მაგრამ ეს აღ-
მოჩენები რუსეთში ვერ ხორციელდებოდა, ისინი არქივის სა-
კუთრება ხდებოდა. ცნობილია, რომ ი. ი. პოლზუნოვმა —

შსოფლიოში ამ პირველმა თვითნასწავლმა რუსმა გამომგონებელმა — შექმნა ორცილინდრიანი ორთქლის „ცეცხლოვანი“ მანქანა, მაგრამ მას გამოყენება არ ჰქონია. თუჯის ჩამომსხმელ, რკინის დამამუშავებელ მრეწველობაში რუსმა გამომგონებლებმა მრავალი ახალი სიტყვა თქვეს, მრავალი შესანიშნავი გამოგონება განახორციელეს, მაგრამ არცერთი მათგანი წარმოებაში არ დანერგილა. რუსი მრეწველები ამჯობინებდნენ ან მანქანების ინგლისიდან შემოტანას, ან ისევ წარმოების ძველ დამყაყებულ მეთოდების დაცვას. ევროპაში მრეწველობის სწრაფი მექანიზაცია, რუსეთში კი ძირითადში ისევ ხელით შრომა იყო მიზეზი იმისა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე რუსეთი ეკონომიკაში საგრძნობლად ჩამორჩა დასავლეთს, ამასთან, რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა ჩვენში ბატონყმურ-ფეოდალური რეჟიმი თავისი რუტინული ტექნიკით, ხოლო ევროპას ახალ-ახალი გაუმჯობესებანი შექონდა წარმოებაში და ზრდიდა მექანიზაციას, ეს ჩამორჩენილობა კიდევ უფრო იზრდებოდა და იზრდებოდა.

ვლაპარაკობთ რა XIX საუკუნის 30—40-იან წლებში რუსეთში ევროპიდან მანქანების შემოტანაზე, ჩვენ ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ეს იყო რუსეთში სამრეწველო გადატრიალება. სამრეწველო გადატრიალება გულისხმობს არა მარტო ცვლილებას ტექნიკაში, არამედ ცვლილებებს სოციალ-ეკონომიურ პირობებში; ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ მანქანური ინდუსტრია კაპიტალიზმის უმაღლესი სიტყვაა, რომ „ტექნიკურ გადატრიალებას აუცილებლად მოსდევს წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობის მძაფრი მსხვრევა, საბოლოო განხეთქილება წარმოების მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, კავშირის სავსებით გაწყვეტა ტრადიციასთან, კაპიტალიზმის ყველა ბნელი მხარის გამწვავება და გაფართოება და ამასთან ერთად შრომის მასობრივი განსაზოგადოებაც კაპიტალიზმის მიერ“.[1] XIX საუკუნის 30—40-იან წლების რუსეთში ასეთი პირობები ჯერ კიდევ არ არსებულა.

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის პირობებში ყველაფე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 535—536.

რი ეს შეუძლებელი ხდებოდა. ამ პერიოდში ჩვენ სამრეწველო გადატრიალების მხოლოდ დასაწყისზე უნდა ვილაპარაკოთ. გადატრიალების ეს პროცესი მისი თავისებურების გამო ხანგრძლივი იყო, ნელა და მტკივნეულად მიმდინარეობდა, ძირითადად უცხოეთიდან შემოტანილი მანქანების ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ 60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ იგი სწრაფად წავიდა წინ. სამრეწველო გადატრიალების ყველაზე ინტენსიური პერიოდი სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევარია. ხოლო ამ საუკუნის დასასრულისათვის შეიძლება სამრეწველო გადატრიალება რუსეთში დამთავრებულად ჩაითვალოს.

„გადატრიალების" ის დასაწყისი, რომელმაც რუსეთის მრეწველობაში XIX საუკუნის 30-ან და 40-ან წლებში იჩინა თავი, თავისთავად წარმოადგენდა იმის ყველაზე ნათელ მაჩვენებელს, რომ რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაციის საერთო კრიზისი გაძლიერდა და მოახლოებული იყო ამ ძველი, დრომოჭმული ურთიერთობის აფეთქების, მისი უფრო მაღალი პროგრესული, მწარმოებლური ძალების განვითარების ხასიათთან შესაბამისი. ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობათა გამარჯვების ეპოქა.

სოფლის მეურნეობა

XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება რუსეთის სოფლის მეურნეობაში, რომელიც წარმოების ფეოდალურ წესზეა დაფუძნებული, მაგრამ ამ წესის კრიზისულ ეტაპზე იმყოფება.

ვ. ი. ლენინი ფეოდალური, საბატონო მეურნეობის სისტემის დახასიათებისას გამოჰყოფს ოთხ ძირითად ნიშანს, ოთხ ძირითად პირობას. პირველი ესაა — ნატურალური მეურნეობის ბატონობა, ე. ი. თვითკმარი, კარჩაკეტილი ბატონყმური შამული, რომელსაც ძალზე სუსტი კავშირი აქვს ბაზართან; მეორე — უშუალო მწარმოებლისათვის წარმოების საშუალებების საზოგადოდ და კერძოდ მიწის გადაცემა, მისი მიმაგრება

მიწაზე, რადგან ესაა მემამულის მუშახელით უზრუნველყოფის მთავარი საშუალება. მესამე — გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან, რაც გლეხის პიროვნების მიმართ მემამულის პირდაპირ ძალაუფლებაში გამოიხატება. ესაა გარეეკონომიური იძულება, რომლის ფორმა და ხარისხი შესაძლებელია სულ სხვადასხვანაირი იყოს, დაწყებული ბატონყმური მდგომარეობით და გათავებული გლეხის წოდებრივი არასრულუფლებიანობით; მეოთხე — ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული დონე[1].

ფეოდალური ურთიერთობის ეს ძირითადი ნიშნები რუსეთის ბატონყმური სისტემისათვის ძალაში რჩებოდა მისი განვითარების ყველა ეტაპზე. ფეოდალის საკუთრება მიწაზე წარმოადგენდა მთავარ საშუალებას, რომლითაც ფეოდალი ზედმეტ პროდუქტს ითვისებდა. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი. ზედმეტი პროდუქტის მითვისების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა აგრეთვე გლეხის მიმართ ფეოდალის ძალაუფლება, ყმა გლეხზე მემამულის საკუთრება, რომელიც რაც დრო გადიოდა, რუსეთში მით უფრო სრულყოფილი ხდებოდა ისე, რომ ყმა გლეხი თანდათან მონის მდგომარეობაში ვარდებოდა. ფეოდალური ურთიერთობის უკანასკნელ ეტაპზე (XVIII საუკუნიდან 1861 წლის საგლეხო რეფორმამდე) ფეოდალის ძალაუფლებამ გლეხის მიმართ სრულყოფილი ფორმა მიიღო, ისეთი, რომ გლეხი ისე, როგორც მონა მონათმფლობელური ფორმაციის დროს, მისი პატრონის საკუთრებად, მის ნივთად იქცა. მთავრობის მიერ მიღებული ზოგიერთი შემზღუდველი ღონისძიებანი, როგორც მკვლევარი ა. პრედტეჩენსკი მიუთითებს,[2] ან ზოგიერთი მემამულის ცდა შეემცირებინათ მონათმფლობელური ელემენტების მნიშვნელობა ბატონყმობაში, სავსებით უმნიშვნელო იყო და რაიმე რეალური შედეგებით არ ხასიათდებოდა. ეყრდნობოდა რა ეკონომიური იძულების უცილობელ უფლებას, ფეოდალი ითვისებდა გლეხის ზედმეტ

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 208.

[2] А. В. Предтеченский Очерки общественно-политической истории России первой четверти XIX века. Изд. Академий наук. Москва-Ленинград, 1957 г. стр. 30.

პროდუქტს, მის შეუზღუდველ ექსპლოატატორს წარმოადგენდა.

XVIII საუკუნიდან შინაგანი და საგარეო ბაზრის თანდათანობითი გაფართოება ფეოდალ მიწათმფლობელებში ჰქმნიდა დაინტერესებას მეტი სასაქონლო პროდუქციის მიღებისათვის. მაგრამ რუტინული, ჩამორჩენილი ტექნიკის ვითარებაში შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, მეტი პროდუქციის მისაღებად არ არსებობდა სხვა საშუალება, თუ არა ყმური ექსპლოატაციის შემდგომი გაძლიერება. მემამულეები სწორედ ამიტომ ზრდიდნენ ბეგარას, გლეხური ნაკვეთების ხარჯზე ადიდებდნენ საბატონო სახნავს, შავ ნიადაგიან გუბერნიებში ყმა გლეხობა ღალიდან ბეგარაზე გადაჰყავდათ და მრ. სხვ. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება თვით საბატონო მეურნეობის საფუძვლებს შლიდა, მის კრიზისს აღრმავებდა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში გლეხობის ნადელური მიწების რაოდენობა თანდათან მცირდებოდა. ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსიობით 30-40-ან წლებში მიმდინარეობდა. ამასთანავე იზრდებოდა სავსებით უმიწო შინაყმების რიცხვი. ეს თავისთავად ნიშნავდა ფეოდალური სისტემის ერთერთი ძირითადი პირობის — უშუალო მწარმოებლისათვის მიწის გადაცემის — მოშლას. ეს იყო იგივე წვრილი მწარმოებლის ექსპროპრიაცია, მისი კაპიტალისტურ წარმოებაში გადასვლის პირობა.

მეტი სასაქონლო პროდუქციის მიღებით დაინტერესებული მემამულე ეძებდა აგრეთვე სხვადასხვა საშუალებებს სახნავ-სათესი ფართობის გასადიდებლად. მთელი ეს შრომა ახალი მიწების ათვისებისა ყმის ზურგზე გადადიოდა. მისი საბეგრო დღეები განსაკუთრებით ზაფხულში შეუზღუდველად იზრდებოდა, ისე რომ წლის ამ ყველაზე ცხარე პერიოდში საკუთარი მეურნეობისათვის აღარც ეცალა. ამავე დროს ზედმეტ სამუშაოებში ცვდებოდა გლეხის ინვენტარი, მცირდებოდა მისი ფართობიდან შემოსავლიანობა, ამასთან, მიწის ეს გაძლიერებული ექსპლოატაცია, როცა არავითარი აგროღონისძიებანი

გამოყენებული არ ყოფილა, ფიტავდა ნიადაგს, ამცირებდა მოსავლიანობას.

ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საბატონო სამუშაო ზოგან კვირაში 5—6 დღეს აღწევდა. თანამედროვეების (ნ. ტურგენევი) მოწმობით, მაგალითად, ტულის, რიაზანის და სხვა სამიწათმოქმედო გუბერნიებში ზაფხულზე საბატონო სამუშაო კვირის ყველა დღეს შეადგენდა. გლეხს თავის განკარგულებაში მხოლოდ კვირა დღე რჩებოდა. თავის მეურნეობაში იგი ღამეობით მუშაობდა. საბატონო სამუშაოს ასეთი ზრდიდან გლეხის დამოუკიდებელი მეურნეობის სავსებით შეწყვეტამდე ერთი ნაბიჯი რჩებოდა. ეს ბევრ შემთხვევაში ხორციელდებოდა კიდეც. ბევრგან გლეხი მთლიანად საბატონო სამუშაოზე გადადიოდა, მონის მდგომარეობაში ვარდებოდა და მებატონისაგან, არსებობა რომ შეენარჩუნებინა, ყოველი თვის ბოლოს იღებდა საჭმელ-სასმელს („მესიაჩინა").

საბატონო სამუშაოს ფრიად გავრცელებული ფორმა იყო აგრეთვე ე. წ. საბარგულების ბეგარა, იგი გულისხმობდა მებატონისათვის საბარგულისა და მუშა ხელის მიწოდებას მემამულის მეურნეობიდან პროდუქტის ქალაქში ბაზრობაზე გასატანად. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი გზების მდგომარეობას, ბაზრების სიშორეს — ეს იყო მეტად მძიმე ვალდებულება, რომელიც გლეხს თვეობით და მეტხანს სწყვეტდა თავის მეურნეობას. მებეგრე გლეხები თავისი საბარგულებით 400—500 კილომეტრის სიშორიდან მიეზიდებოდნენ მემამულის პურს. XIX საუკუნის 40-იან წლებში მოსკოვში შექონდათ 9 მილიონი ფუთი პური, ტრანსპორტის ერთადერთ სახეს სწორედ ეს საბარგულები შეადგენდნენ, ამ რაოდენობის პურის შეტანას 450 ათასი საბარგული სჭიროდა.

საბატონო სამუშაოს სხვაგვარ ფორმას წარმოადგენდა მემამულის მეურნეობაში გახსნილი საწარმოები. ამ ფაბრიკა-ქარხნებში შრომა მთელი წლის განმავლობაში სწამოებდა.

დილიდან საღამომდე. ეს იყო ყველაზე ძძიმე სამუშაო. ყმა გლეხები იმდენად შეშინებული იყვნენ ასეთი საწარმოებით, რომ ამა თუ იმ მემამულურ მეურნეობაში მის აღმოცენებას შავი ჭირის გაჩენას ადარებდნენ. ასეთი საწარმოები მომრავლდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

რუსეთის ზოგ, მეტწილად არაშავნიადაგიან გუბერნიებში ყმა გლეხის ექსპლოატაციის გაბატონებულ ფორმად საღალო სისტემა ხდებოდა. საღალო სისტემის დროს ყმა გლეხს მემამულე აძლევდა განსაზღვრული რაოდენობის მიწას, რომლისაგან მოწეული ჭირნახულის გარკვეული ნაწილი გლეხს მიწის პატრონისათვის უნდა ჩაებარებინა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში სასაქონლო ფულადი ურთიერთობის ზრდის ვითარებაში, როცა მემამულეს ფულისადმი ლტოლვა განსაკუთრებით უცხოველდებოდა, იგი ამჯობინებდა ღალა ფულადი სახით მიეღო. ამ შემთხვევაში იგი თვით უბიძგებდა ყმა გლეხს მახლობელ ქალაქში წასულიყო, რომელიმე ფაბრიკა-ქარხნის მუშა გამხდარიყო და იქედან მიღებული ხელფასიდან დაეფარა საბატონო ვალდებულება. ამ პროცესის გაძლიერებული ხასიათი თავის საფუძველშივე შლიდა ბატონყმური მეურნეობის სისტემას.

ამ კატეგორიის ყმები უკვე თანდათანობით წარმოების საშუალებებიდან გამოყოფილ მწარმოებლებად ხდებოდნენ, ე. ი. კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელ სოციალურ ჯგუფს ქმნიდნენ. მათი შთამომავლობა ქალაქში განაგრძობდა საქმიანობას, სოფლის ცხოვრებასთან სრულიად წყვეტდა კავშირს; მუშათა კლასის პირველ კადრებს ქმნიდა.

ფულადი ვალდებულება არ იყო რეგლამენტირებული. მემამულეები მას თანდათანობით ადიდებდნენ. XVIII საუკ. ბოლოსათვის იგი მერყეობდა 2—5 მანეთამდე ერთ სულზე (ადგილმდებარეობისა და გლეხის შესაძლებლობის გათვალისწინებით) საშუალოდ ამ პერიოდში გლეხური კომლის ღალის რაოდენობა 10—12,5 მანეთით განისაზღვრებოდა. XIX საუკ. პირველ ათწლეულში იგი 25—35 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო

30-40 წლებში — 70 მანეთამდე. ცხადია, აქ მხედველობაში მისაღები ფულის გაუფასურებაც, მაგრამ ფაქტია, რომ ფულადი რენტის ამოქაჩვაში მებატონე შეუზღუდველი იყო და თავისი გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლად იგი ამ ვალდებულებას მაქსიმუმამდე ზრდიდა.

ბეგარიდან ღალაზე გადასვლა, ან პირიქით, რასაც ამ დროს ხშირად ჰქონდა ადგილი, და რაც ამა თუ იმ რაიონის ეკონომიური განვითარების დონეზე იყო დამოკიდებული, თავისთავად გულისხმობდა მემამულის მიერ გზების ძიებას მეტი შემოსავლიანობისათვის. ჩამორჩენილი რუტინული ტექნიკის ვითარებაში შეუძლებელი იყო შრომის ნაყოფიერების გადიდება. მემამულეს კი მეტი სასაქონლო პროდუქცია, მეტი ფული სჭიროდა. მემამულენი მშვენივრად ხედავდნენ მეურნეობის წარმოების ძველი ფორმების უვარგისობას. ეს იყო საგანგაშო მდგომარეობა. მემამულეები ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ეძიებდნენ, მაგრამ ეძიებდნენ ბატონყმური სისტემის ფარგლებში, რადგან ბატონყმურ სისტემაზე ხელის აღება მათ — მებატონეებს არ აწყობდათ.

ფეოდალური მეურნეობის რაციონალიზაციის ცდები

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის საფუძვლებში მომწიფებული კრიზისის დაძლევას ზოგიერთი მემამულე თავისი მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციით, მასში ნებით დაქირავებული მუშახელის გამოყენებით ვარაუდობდა. მემამულეთა ერთი ჯგუფი, რომელსაც საზღვარგარეთ საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული, მშვენივრად იცნობდა კაპიტალისტურ მეურნეობის ორგანიზაციას, მაგალითად, ინგლისში, სადაც ყოველგვარ სამუშაოს დაქირავებული მუშები ასრულებდნენ, გამოყენებული იყო გაუმჯობესებული ტექნიკა და ტარდებოდა აგრონომიული ღონისძიებანი. რიგმა მემამულეებმა რუსეთში მართლაც სცადეს ასეთი რაციონალიზაცია, მაგრამ ყველა ეს ღონისძიება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პალიატურ ხასიათს ატარებდა, მას მხოლოდ დროებითი და

არა არსებითი გაუმჯობესება შეჰქონდა ფეოდალურ მეურნეობაში.

ფეოდალური მეურნეობის ტექნიკური გაუმჯობესებისათვის ზრუნვა შესამჩნევია XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. დიდ როლს ასრულებდა ამ მხრივ თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება, რომელიც 1765 წელს შეიქმნა. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია გაბატონებული კლასის — თავადაზნაურობის სამეურნეო ინტერესების სადარაჯოზე დადგა. საზოგადოება შეუდგა შესწავლას რიგი საკითხებისა, რომლებიც მეურნეობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, აგრო-ღონისძიებათა დანერგვას და სხვ. ისახავდა. დაისვა მაგალითად საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი კულტურაა უფრო შესაფერისი რუსეთისათვის და სპეციალისტთა დიდი უმრავლესობის დასტურით ასეთად აღიარებულ იქნა ხორბალი; სასურველად იქნა მიჩნეული აგრეთვე კარტოფილის კულტურის ფართოდ გავრცელება, სელისა და კანაფის მოყვანა, მეცხოველეობის განვითარება, ტყეების დაცვა. საზოგადოების ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებდა მასალებს ნიადაგის განაყოფიერებაზე, ჭაობების ამოშრობაზე, სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაზე, მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარების საკითხებზე და სხვ. ამავე დროს საზოგადოება, დაინტერესებული იყო რა მეურნეობის მართვის სისტემის გაუმჯობესებით, ამ საკითხზე საუკეთესო წინადადებისათვის კონკურსსაც კი აცხადებდა.

თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებას წევრებად ჰყავდა გამოჩენილი სწავლულები — აგრონომები. მაგალითად, პ. ი. რიჩკოვი, ი. მ. კომოვი და სხვები, რომლებიც ბატონყმური სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის მრავალ საყურადღებო წინადადებას იძლეოდნენ.[1] XIX საუკუნის პირველ ნახევარში თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების საქმიანობა უფრო გააქტიურდა. შეიქმნა ახალი საზოგადოებანი. 1819 წელს ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის მოსკოვის საზოგა-

[1] იხ. История Русской экономической мысли. Том I, часть первая, Москва 1955 გვ. 450-461.

დოება. სოფლის მეურნეობის საზოგადოებანი ჩამოყალიბდნენ აგრეთვე უკრაინაში, ბალტიისპირეთში, ყაზანში, კავკასიაში. შეიქმნა აგრეთვე მეცხვარეობის, შაქრის საზოგადოებანი, შემოტანილ იქნა ცხვრის გაუმჯობესებული ჯიშები და სხვ. გამრავლდა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. სამეწარმოქმედო და ეკონომიური ჟურნალები სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე ბეჭდავდნენ საინტერესო წერილებს, რუს მეურნეებს აცნობდნენ საზღვარგარეთის გამოცდილებას. ფართო გავრცელება ჰპოვა ე. დ. დაშკოვის შრომამ „თვალსაზრისი გუთანსა და სახნისზე". 1806 წელს საზღვარგარეთ გამოიცა ყაისაროვის ნაშრომი „რუსეთში ყმების გათავისუფლების შესახებ", 1808 წელს გამოიცა პოლონურ და რუსულ ენებზე სტრიონოვსკის წიგნი მემამულეთა გლეხებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ამ წიგნებში კონკრეტული ფაქტებითა და მასალებით ნაჩვენები იყო ნებით დაქირავებული შრომის უპირატესობა ყმურ შრომაზე. 1812 წელს თავისუფალმა ეკონომიურმა საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი იმის დასამტკიცებლად, თუ რომელი შრომა უფრო ხელსაყრელია — ბატონყმური თუ ნებით დაქირავებული. წარმოდგენილი ნაშრომების ნახევარი ნებით დაქირავებული შრომის უპირატესობაზე მიუთითებდა. პროფესორი იაკობი, რომლის ნაშრომმა კონკურსზე პირველი პრემია მიიღო, ასაბუთებდა ყმური დამოკიდებულებიდან გლეხთა თანდათანობითი განთავისუფლების აუცილებლობას.

ბევრმა მემამულემ სცადა თავის მეურნეობაში შეეტანა ტექნიკური გაუმჯობესება, დაენერგა აგრონომიული ღონისძიებანი. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დ. მ. პოლტარაცკი, რომელმაც თავის მამულ „ოვჩურინოში" (კალუგის მაზრა) 1790 წლებიდან დაიწყო საზღვარგარეთული ტექნიკის გამოყენება. „ოვჩურინო" რუს მემამულეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მრავალი მემამულე მიემგზავრებოდა კალუგაში პოლტარაცკის მამულის დასათვალიერებლად. თვით პოლტარაცკი გატაცებით ეწეოდა მის მიერ წამოწყებულ რაციონალურ ღონისძიებათა პროპაგანდას. პოლ-

ტარაცკის ამ ღონისძიებებს დიდი მოწონებით ეხმაურებოდა მაგალითად, გრაფი როსტოპჩინი, რომელიც აგრეთვე აწარმოებდა რიგ საცდელ სამუშაოებს მეურნეობის გასაუმჯობესებლად. პოლტარაცკის და როსტოპჩინს მართლაც გაუჩნდნენ მიმბაძველები. პავლე ციციანოვისადმი წერილში როსტოპჩინი სიამაყით აღნიშნავდა, რომ მათი მამულის სახელი და დიდება სწრაფად იზრდება და მრავლდება აგრეთვე მიმდევართა რაოდენობაო. სწორედ ამ პერიოდში რუსეთში გაჩნდნენ აგრონომ-პრაქტიკოსთა შესანიშნავი კადრები, რომელთა შორის, პოლტარაცკისთან ერთად შეიძლება აღვნიშნოთ, ი. სამარინი, დ. შელეხოვი, ს. გაგარინი, ა. ბოლოტოვი, ნ. მურავიოვი და სხვები.

ახალი კაპიტალისტური ტექნიკა სოფლის მეურნეობაში უფრო შესამჩნევად გავრცელებას იწყებდა რუსეთის სამხრეთში, სადაც ბატონყმური ურთიერთობა უფრო საფუძვლებშერყეული, სუსტი იყო და ნებითდაქირავებული შრომის გამოყენებას მეტი გავრცელება ჰქონდა. მნიშვნელობა ჰქონდა ევროპულ ბაზრებთან სიახლოვეს და კავშირის მოსახერხებლობას, რაც შავი ზღვის ნავსადგურების მეშვეობით ხორციელდებოდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ეს მხარე დასახლებული იყო კოლონისტებით, რომლებიც უმთავრესად ფერმერულ-გლეხურ მეურნეობას ეწეოდნენ (მათ შორის იყვნენ მსხვილი კაპიტალისტი მეურნენიც). მანქანური ტექნიკის გამოყენება აქ მოსახერხებული იყო.

მაგრამ ყველაფერი ეს, რაზედაც ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით, იყო არატიპიური მოვლენა მაშინდელის მეურნეობაში, არამედ ერთეულადი შემთხვევები. ისინი წარმოადგენდნენ პატარ-პატარა კუნძულებს რუტინულ ტექნიკაზე დაფუძნებულ ჩამორჩენილ ბატონყმურ მეურნეობათა ოკეანეში და როგორც შემთხვევით ჩნდებოდნენ, ისევე ქრებოდნენ. მაშინდელი ვითარება ამგვარ წამოწყებათა ფართოდ დანერგვის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ძალიან ცოტას თუ ესმოდა ამგვარ გაუმჯობესებათა საჭიროებაც. უმრავლესობა ისევ ნაცად ძველ წესებს

ებლაუჭებოდა და მეურნეობაში შეტანილ ყოველგვარ სიახლეს დაცინვით უწოდებდა „მედასავლეთეობას“, მშობლიური რუსული ტრადიციებისაგან გადახვევას და ამგვარ წამომწყებთ ბრალს ანტიპატრიოტობაში დებდა.

მეურნეობის ინგლისურ ყაიდაზე წარმოების ენთუზიაზმი მალე ჩაუქრათ იმ ერთეულებსაც, რომლებიც ასე თავგამოდებით ლამობდნენ თავი დაეღწიათ კრიზისისათვის და გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება. კაპიტალისტურმა ტექნიკამ ვერ გაიხარა ბატონყმურ ეკონომიკისა და მეურნეობის ბატონყმური ორგანიზაციის ნიადაგზე, გაუმჯობესებული ტექნიკა მოითხოვდა ჯერ ერთი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის არსებობას, მეორე — თავისუფალ კვალიფიციურ მუშა-ხელს. მემამულე ფეოდალს არც ერთი გააჩნდა, არც მეორე. ხელსაყრელი საბაზრო კონიუქტურის პირობებში გაუმჯობესებულ ტექნიკაზე დამყარებული მეურნეობა ხარობდა, სჯობნიდა რუტინულ საბატონო მეურნეობას, მაგრამ თუ საბაზრო კონიუნქტურა იცვლებოდა, უარესდებოდა, მაშინ რაციონალიზებულ მეურნეობაში, სადაც გარკვეული თანხა იყო დახარჯული, მდგომარეობა გამოუვალი ხდებოდა. თვითღირებულებაზე დაბლა პროდუქციის გაყიდვა ფერმერული ყაიდის მეურნეს არ შეეძლო, იგი გაჩანაგდებოდა, ყმურ შრომაზე დაფუძნებული მეურნეობა კი ამ დარტყმას უძლებდა. მეტად მძიმე აღმოჩნდა ამ მხრივ XIX საუკუნ. 20-იანი წლების კრიზისი, რომელმაც ინტენსიფიკატორების ოცნებებს ცივი წყალი გადაასხა. შემთხვევითი როდია, რომ ამ საუკუნის 40—50-იან წლებში, თვით რაციონალიზებულ მეურნეობათა ენთუზიასტებს შორისაც გაიგებდით სარკასტულ სიტყვებს მეურნეობის „ინგლისური“ და „ფრანგული“ ყაიდების შესახებ.

ამრიგად, ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ბატონობის ვითარებაში, ბატონყმური ეკონომიკის ბატონობის გამო მეურნეობის გაუმჯობესების ინტენსიფიკაციის ცდები განწირული ჩანდა. კაპიტალისტური ტექნიკა კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობას მოითხოვდა. ამ ფაქტშიც გამოსჭვივის ძველი დამყაყებული სისტემის აფეთქების აუცილებლობა.

ბურჟუაზიული ურთიერთობანი ნელა და მტკივნეულად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ შეჭრას სოფელში. ისინი არა მარტო მემამულე ფეოდალის, არამედ ყმა გლეხის მეურნეობაშიც ფესვებს იდგამდნენ. ამ დროიდან უკვე ისახება საფუძვლები გლეხობის დიფერენციაციისა, რასაც რუსეთში განსაკუთრებული ინტენსიობით ადგილი ჰქონდა 60—70-იან წლებში. ყმა გლეხების კატეგორიიდან სოფლად აღმოცენებას იწყებენ გამდიდრებული პირები. ისინი ახერხებენ თავის გამოსყიდვას, იძენენ მემამულისაგან დიდძალ მიწებს, წყლის წისქვილებს, მეურნეობაში ხსნიან სახელოსნოებს, პროდუქცია მიაქვთ შორეულ ბაზრებზე გასაყიდად. ფლობენ რა მსხვილ თანხებს ისინი უმთავრესად სასაქონლო მიწათმოქმედებას ეწევიან, თუმცა ხშირად ხდებიან მსხვერპლი მემამულეთა ძალადობისა.

სოფლის ბურჟუაზიის ფორმირების ეს პროცესი, რომელიც ბატონყმურ ეკონომიკაში მებატონე მეურნეთა სურვილების საწინააღმდეგოდ და ზოგჯერ მათი ხელისშეწყობითაც მიმდინარეობდა, ასევე აღრმავებდა კრიზისს, ძირს უთხრიდა ძველ ურთიერთობებს, მოითხოვდა საწარმოო ძალთა განვითარებისადმი შესაბამის ახალ წარმოებითს ურთიერთობებს.

სახაზინო გლეხები

მწარმოებელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ხვედრით წონას რუსეთში სახელმწიფო გლეხები, ე. ი. სახაზინო გლეხები შეადგენდნენ. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის სახაზინო გლეხობა ევროპული რუსეთის გლეხური მოსახლეობის 45%-ს აღწევდა. თუ ამ ძირითად მასას დავუმატებთ ციმბირისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხებს, მაშინ მათი რაოდენობა თითქმის თანაბარი იქნება საბატონო და საუფლისწულო გლეხების რაოდენობისა.

სახაზინო გლეხები შეადგენდნენ სახელმწიფოს საკუთრებას და ფეოდალურ ექსპლოატაციას ხაზინისაგან განიცდიდნენ. მართალია სახაზინო გლეხებს ტრადიციულად „სოფლის თავისუფალ მცხოვრებლებს“ უწოდებდნენ, მაგრამ მათი თავისუფ-

ლება მოჩვენებითი იყო. ველიკორუსულ გუბერნიებში სახაზინო გლეხებს საბატონოსთან შედარებით ერთგვარი შეღავათი ჰქონდათ, მაგრამ რუსეთის განაპირა მხარეებში, (ბალტიისპირეთი, უკრაინა, ბელორუსია), მათი მდგომარეობა მეტად მძიმე იყო, მათი ვალდებულებანი რეგლამენტირებული არ ყოფილა. ისინი ერთდროულად ასრულებდნენ სახელმწიფო და საბატონო ვალდებულებებს.

სახაზინო გლეხების ცნობილი მკვლევარი პროფ. ნ. მ. დრუჟინინი მიუთითებს, რომ ამ კატეგორიას ფეოდალურ რუსეთში განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა. ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის დომენალური გლეხებისაგან განსხვავებით, ისინი ეკუთვნოდნენ არა სამეფო გვარს, არამედ სახელმწიფო ხაზინას, რომელიც თავის ხელში აერთიანებდა თვითმპყრობელური მონარქიის ცენტრალიზებულ ხელისუფლების უდიდეს მატერიალურ რესურსებს. ისინი რუსეთში შეიქმნენ გვიან, როცა სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებამ შეამზადა ახალი, კაპიტალისტური ფორმაციის წინამძღვრები.

პროფ. ნ. მ. დრუჟინინის აზრით ფეოდალური ფორმაციის კრიზისის პერიოდში რუსეთის სოფელში ერთდროულად არსებობდა და ერთიმეორეზე სოციალურ, კულტურულ და საყოფაცხოვრებო გავლენას ახდენდა ორი ძირითადი სექტორი: ერთის მხრივ სახელმწიფო, მეორეს მხრივ კერძომფლობელობითი. ისინი ერთნაირად განიცდიდნენ ფეოდალის ექსპლოატაციას, მაგრამ ვითარდებოდნენ ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული მიმართულებით. იმ დროს, როცა ფეოდალურ მამულებში ძლიერდებოდა საბატონო ბეგარა, სახაზინო მიწებზე მიმდინარეობდა მარქსის მიერ აღწერილი ფეოდალური რენტის კლასიკური ევოლუცია: თანდათანობით ისპობოდა დამუშავებითი და პროდუქტული რენტა, ხოლო ფეოდალური ექსპლოატაცია იღებდა ფულადი რენტის ამოღების ფორმას, რაც აახლოებდა ხელშეკრულებით ურთიერთობას. თუ მემამულეები და მათი წაბაძვით საუფლისწულო უწყებანი იქითკენ მიისწრაფოდნენ, რომ გაეძლიერებინათ ფეოდალური ექსპლოატაციის ნორმები, სახელმწიფო გლეხები იხდიდნენ

შედარებით ზომიერ ღალას, კერძომფლობელობით მამულის ღალაზე 1, 1/2—2-ჯერ ნაკლებს. გარე ეკონომიური იძულების სისტემა სახაზინო მიწებზე არასოდეს არ იღებდა ნივთიერი უფლების ფორმებს და, მიუხედავად სამეფო ადმინისტრაციის თვითნებობისა და ძალადობისა, ეთავსებოდა გლეხის პირადი თავისუფლების აღიარებას, თავისი სამუშაო ძალის დამოუკიდებლობის უფლების აღიარებას. „სოფლის თავისუფალ მცხოვრებთა“ ამ უფლების მრავალჯერ დარღვევის მიუხედავად, სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობა მაინც უფრო დამოუკიდებელი რჩებოდა და მათ შედარებით ეკონომიურ თავისუფლებას ანიჭებდა.[1]

კაპიტალისტური ურთიერთობა XIX საუკ. პირველ ნახევარში მძლავრად იდგამდა ფესვებს სახაზინო გლეხთა მეურნეობაში. ახალი ვითარება უფრო შესამჩნევი იყო რუსეთის ცენტრალურ შინამრეწველურ გუბერნიებში. სახაზინო გლეხების მნიშვნელოვან ნაწილს არ ჰქონდა წვრილი სახელოსნოები, მეორე ნაწილი სასაქონლო მეურნეობას ეწეოდა, ან ქალაქში მიდიოდა სამუშაოდ.

შავნიადაგიან გუბერნიებშიც კი, სადაც ბატონყმური მეურნეობა შედარებით მტკიცე და ხელუხლებელი იყო, სახელმწიფო გლეხებს შორის იგრძნობოდა სასაქონლო ფუსფუსი. მათ თავიანთი ნაწარმი გაქონდათ მახლობელ ბაზრებზე და იარმარკებზე. მრავალი გლეხი ტოვებდა სოფელს და მიდიოდა მუდმივ ან სეზონურ სამუშაოზე ქალაქად. ამავე პერიოდში სახაზინო სოფლებში შესამჩნევი ხდებოდა დიფერენციაცია. გლეხური მასიდან ამოტივტივებას იწყებდნენ სოფლის ბურჟუები, რომლებიც ახერხებდნენ კაპიტალის დაგროვებას, იძენდნენ მამულებს, ხსნიდნენ სხვადასხვა საწარმოს, აწარმოებდნენ მსხვილ სავაჭრო ოპერაციებს. აქვე მოსახლეობის საკმაო ნაწილი სრულიად ღატაკდებოდა, თავის ნაჭერ მიწას ჰკარგავდა, საკუთარ მეურნეობას ვეღარ აწარმოებდა, „ბობილი“ ხდებოდა, ქალაქის პროლეტარული მოსახლეობის შემვსებ წყაროდ იქცეოდა.

[1] Н. М. Дружинин. Государственные крестьяне и реФорма П. Д. Киселева т. I-II, стр. 571-572. Москва, 1958 г.

ბაზრები და ქალაქები

XIX საუკუნის პირველ ნახევარში წინა საუკუნეებთან შედარებით ინტენსიური ზრდა განიცადეს რუსეთის ქალაქებმა. თუ 1796 წელს ქალაქური მოსახლეობა რუსეთში მთელი მოსახლეობის 4,1 %-ს შეადგენდა, 1851 წლისათვის პროცენტული შემადგენლობა უკვე 7,8-მდე ავიდა. აბსოლუტურ ციფრებში ეს შეიძლება ასე გამოვხატოთ: 1796 წელს რუსეთის ქალაქებში ცხოვრობდა 1 301 ათასი კაცი (4,1 %), 1811 წელს — 1 765 ათასი (4,4 %), 1856 წელს — 5 684 ათასი (8 %).

XIX საუკ. პირველი ნახევრის რუსეთში ქალაქების რიცხვი საკმაოდ დიდია, მაგრამ მათი უმრავლესობა საშუალო ტიპისაა, არაუმეტეს 10 ათასი მცხოვრებით. მხოლოდ რამდენიმე ქალაქი გამოირჩეოდა მცხოვრებთა განსაკუთრებული სიმრავლით. მაგალითად პეტერბურგი, სადაც XIX საუკ. დასაწყისში ცხოვრობდა 330 ათასი კაცი, მოსკოვი — 200 ათასზე მეტი. 10 ათასიდან 70 ათასამდე მცხოვრებით აღრიცხული იყო 35 ქალაქი, ხოლო 1-დან 10 ათასამდე მცხოვრებით 878 ქალაქი.

ქალაქების რიცხვის ეს ზრდა მიმდინარეობდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების, მრეწველობის აღმავლობის, სასაქონლო მიმოქცევის ზრდის, საბაზრო ურთიერთობის განვითარების შედეგად.

ქალაქების ზრდა ძირითადად მაინც სამრეწველო მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. ეს იყო სოფლიდან დაძრული მასა მოღალე ყმა გლეხობისა, რომლებიც ქალაქად ხელოსნურ წარმოებაში ებმებოდნენ, ფაბრიკა-ქარხნებს აწყდებოდნენ. ეს პროცესი იმას ნიშნავდა, რომ ერთის მხრით იზრდებოდა ქალაქების მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, მეორეც — სოფელს აკლდებოდა მუშა ხელი მეურნეობის წარმოებისათვის. ამ ვითარებაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასები იზრდებოდა.

თანამედროვენი ამას გრძნობდნენ და მიზეზად სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის გამრავლებას ასახელებდნენ. ცნო-

ბილი ეკონომისტი შვიტკოვი თავის თხზულებებში მიუთითებდა, რომ, ვისაც სურს და შეუძლია, სახაზინო და არა სახაზინოც, მოვაჭრენიც და არა მოვაჭრენიც, მფლობელნიც და მათი ქვეშევრდომებიც, მკვიდრნიც და მოსულნიც, საერონიც და სასულიერონიც იწყებენ სხვადასხვა მანუფაქტურების, ფაბრიკებისა და ქარხნების დაარსებას, აშენებენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებში სავაჭროებს, ქარხნებს, აქირავებენ მას. მრავალმა ისწავლა ვაჭრობა, მრავალმა შესცვალა თავისი სპეციალობაო.

XVIII საუკ. დასასრულს ცნობილი ეკონომისტი შერბატოვი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ გლეხთა უდიდესმა რაოდენობამ მიატოვა მიწათმოქმედება და სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი.[1]

მრეწველობის ზრდა, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება, შინაგანი ბაზრის გაფართოება იწვევდა ვაჭრობა-აღებმიცემობის, სასაქონლო ბრუნვის გაცხოველებას. ფართოვდებოდა ბაზარი, მრავლდებოდა მათი რაოდენობა, იზრდებოდა იარმარკების რიცხვი, მათი საბრუნავი თანხა.

50-იანი წლების მიწურულისათვის იარმარკების საერთო რიცხვი რუსეთში 6 ათასს აღემატებოდა. მათგან მსხვილი იარმარკები, რომელთა წლიური ბრუნვა მილიონს აღემატებოდა, 33-ზე მეტი იყო. იარმარკებზე გამოტანილი იყო უმეტესად სასოფლო-სამეურნეო ნედლეული. აქვე საღდებოდა რუსეთის ახლად ფეხადგმული მრეწველობის ნაწარმი. თვითეულ ეკონომიურ რაიონს, როგორც წესი ჰქონდა თავისი იარმარკა, რომლის გარშემო იყვნენ დაჯგუფებული ადგილობრივი ვაჭარ-კაპიტალისტები, რომლებსაც ხელთ ეპყრათ ამ რაიონში საქონლის შეძენა-გასაღების მთელი საქმე.

რუსეთში ყველაზე მსხვილ იარმარკას წარმოადგენდა მაკარევის იარმარკა (ქალაქ მაკარევში), რომელმაც 1817 წელს ხანძრის შემდეგ ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში გადაინაცვლა და

---

[1]. И. В. Кузнецов, В. И. Лебедев. История СССР XVIII-середина XIX в. Москва, 1958 г. стр. 116-117.

„ნიჟეგოროდის იარმარკის“ სახელწოდება მიიღო. არანაკლებ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა ხარკოვის, კურსკის, ირბიტსკის, კიევის საკონტრაქტო, სამხრეთ-დასავლეთ ციმბირისა და სხვ. იარმარკები, რომლებიც ზოგჯერ მთელი თვეობით არ სწყვეტდნენ ბაზრობას. იარმარკები რუსეთის შინაგანი ვაჭრობის უმსხვილესი ობიექტები იყვნენ. 1825 წელს ნიჟეგოროდის იარმარკაზე გაიყიდა 12,66 მილიონი მანეთის (ვერცხლით) საქონელი, ხოლო 1852 წელს — 57,6 მილიონი მანეთისა.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გაცხოველების, ქვეყნის საშინაო ვაჭრობის ზრდის ვითარებაში თანდათან შესამჩნევი ხდებოდა იმპერიის ერთგვარი ეკონომიური დარაიონებაც. რუსეთის არაშავნიადაგიანი ცენტრალური და ჩრდილოეთის გუბერნიები (მოსკოვისა, ვლადიმირისა, იაროსლავისა, ტვერისა და სხვ.) უფრო მეტად სამრეწველო და ამდენად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მომხმარებელ რაიონებად იქცნენ. სამაგიეროდ რუსეთის სამხრეთი და დასავლეთი გუბერნიები (კურსკისა, ტამბოვისა, პენზისა, ორიოლისა, პოლტავისა, მინსკისა, ვიტებსკისა, ნოვოროსიისა და სხვ.) სოფლის მეურნეობის—მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის რაიონებად დარჩნენ, და სამრეწველო პროდუქციის მომხმარებლებს წარმოადგენდნენ. ჩრდილო-დასავლეთ გუბერნიებში (პსკოვისა, ნოვგოროდისა) ტექნიკური კულტურების მოყვანაში სპეციალდებოდნენ. აღმოსავლეთის გუბერნიებიდან, სამხრეთიდან ცენტრში მოედინებოდა სახორცე საქონელი, სამაგიეროდ ცენტრიდან მიემართებოდა სამხრეთისაკენ საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმით დატვირთული ურემ-საბარგულები, სამდინარო იალქნიანი ხომალდები. თითოეული ეს სამეურნეო რაიონი ხდებოდა საერთო რუსული ბაზრის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად, იმპერიის სამეურნეო ცხოვრების ჯაჭვში გარკვეულ რგოლს წარმოადგენდა.

საგარეო ვაჭრობა

საშინაო ვაჭრობასთან შედარებით მცირე, მაგრამ მაინც შნიშვნელოვან აღმავლობას განიცდიდა საგარეო ვაჭრობა. XIX საუკ. პირველი ნახევრის ცნობილი სტატისტიკოსის კ. ი. არსენიევის გამოანგარიშებით საგარეო ვაჭრობის წლიური ბრუნვა XIX საუკუნის პირველი მეოთხედისათვის უდრიდა 235 მილიონ მანეთს, მაშინ როცა შინაგანი ვაჭრობის წლიური ბრუნვა 1 მილიარდამდე აღწევდა.

ცნობილია, რომ XVIII საუკ. მეორე ნახევარში ინგლისში მოხდა სამრეწველო გადატრიალება. ინგლისი პირველ რიგში, და მის შემდეგ რიგი ევროპული ქვეყნებისა, თანდათან ინდუსტრიულ ქვეყნებად გადაიქცნენ. ამ ქვეყნებში დიდად გაიზარდა მოთხოვნილება ნედლეულზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. რუსეთი კი, როგორც ამ მხრივ უდიდეს შესაძლებლობათა ქვეყანა, გადაიქცა მრეწველობის მხრივ განვითარებულ ევროპულ ქვეყნების მსხვილ მიმწოდებლად. ასეთ ვითარებაში გაფართოვდა ვაჭრობა, გაიზარდა ექსპორტი.

საგარეო ვაჭრობის საერთო ზრდა XIX საუკ. პირველი ნახევრის რუსეთში შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი ციფრებით: 1801—1805 წლებში გატანილ იქნა 75,10 მილიონი მანეთის (ოქროთი) საქონელი. შემოტანილ იქნა 52,76 მილიონი მანეთისა, 1812—1815 წლებში გატანილ იქნა — 61,98 მილიონი მანეთისა, შემოტანილ იქნა — 39,10 მილიონი მანეთისა; 1821—1825 წლებში გატანა უდრიდა 81,37 მილიონ მანეთს, შემოტანა — 72,25 მილიონ მანეთს; 1831—1835 წწ. გატანა უდრიდა 94,32 მილიონ მანეთს, შემოტანა — 80,99 მილიონ მანეთს; 1846—1850 წლებში გატანა უდრიდა 151,75 მილიონ მანეთს, შემოტანა — 131,52 მილიონ მანეთს.[1]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსული ექსპორტის ძირითად სახეს წარმოადგენდა სელის, ქერელის ნაწარმი, რკი-

---

[1] История СССР. Россия в XIX веке, под редакцией М. В. Нечкиной, Москва, 1954 г. стр. 30-31.

ნა, ქონი. რუსული მეტალურგია XVIII საუკუნეში, როგორც ზევით ვთქვით, როდი იდგა უკანასკნელ ადგილზე და რუსეთის რკინაც ერთერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. მაგრამ XIX საუკ. დასაწყისიდან რკინის ექსპორტმა იკლო და შუა წლებისათვის ნულამდე დავიდა. ამის მიზეზი იყო სწრაფი აღმავლობა ინგლისური მეტალურგიისა, რომელთანაც რუსულ რკინას ხარისხითა და სიიაფით კონკურენციის გაწევა აღარ შეეძლო. XVIII საუკუნეშივე დიდი გასავალი ჰქონდა სელსა და ქერელს, სელის ნაწარმს სახომალდო იალქნებისათვის იყენებდნენ. მაგრამ XIX საუკუნეში ამ მხრივაც იკლო ექსპორტმა, რადგან ინგლისის საზღვაო ტრანსპორტში იალქნიანი გემები ორთქლის გემებმა შესცვალეს. სამაგიეროდ XIX საუკ. პირველ ნახევარში გაიზარდა პურეულის ექსპორტი. ექსპორტის საერთო ჯამში პურეულის ხვედრი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: 1802—1807 წლებში პურეულის ღირებულება ექსპორტის საერთო თანხის 18,7% შეადგენდა. 1816—1820 წლებში — 31,2%-ს. 1826—1830 წლებში 15,7%-ს. ციფრები ცხადყოფს, რომ 20—30-იან წლებში პურეულის ექსპორტი შემცირდა ევროპის საბაზრო კონიუნქტურის შეცვლასთან დაკავშირებით. მაგრამ 40—50-იან წლებში პურეულის ექსპორტი ისევ გაიზარდა. მაგალითად, თუ 1826—1830 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად გაჰქონდათ 24 მილიონი ფუთი პურეული, 1856—1860 წლებისათვის ეს რიცხვი 69 მილიონამდე გაიზარდა.

რუსული სამრეწველო პროდუქციის ასპარეზს ძირითადად, როგორც ვთქვით, საშინაო ბაზარი წარმოადგენდა. ევროპის ქვეყნებში მისი გატანა გასაგები მიზეზების გამო არ ხდებოდა. სამრეწველო პროდუქციის გატანა ხდებოდა უმთავრესად აღმოსავლეთის ბაზრებზე (ჩინეთში, სპარსეთში, თურქეთში, შუა აზიის სახანოებში), სადაც მრეწველობის განვითარების დონე კიდევ უფრო დაბალი იყო, ვიდრე რუსეთში.

რუსეთის საგარეო ვაჭრობაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ინგლისთან ვაჭრობას ეკავა. 1802—1806 წლებში, პეტერბურგში ყოველი 100 ვაჭრიდან, რომელთაც საქონელი გაქონდათ რუსეთიდან, 63 ინგლისელი იყო. ინგლისი იყო ძირითა-

დად სელის, ქერელის, ქონის, რკინეულის, ხორბლეულის შემსყიდველი. სამაგიეროდ ინგლისიდან შემოქონდათ რუსეთში შალის, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები, მანქანები, ინსტრუმენტები, ბამბის ძაფი, კოლონიური საქონელი და სხვ.

XIX საუკ. პირველ ნახევარში, საშინაო და საგარეო ვაჭრობა მისი ტემპების ერთგვარი გაცხოველების მიუხედავად, მაინც საგრძნობლად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. საშინაო და საგარეო ვაჭრობის ეს ჩამორჩენა რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა. ამ ჩამორჩენილობის ძირითადი და უმთავრესი მიზეზი რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება იყო, რომელიც რუსეთში წინ ეღობებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ განვითარებას. ვაჭრობა-აღებმიცემობის ფართოდ გაჩაღების ერთერთ შემაფერხებელ გარემოებას რუსეთში წარმოადგენდა შესაფერისი გზებისა და ტრანსპორტის უქონლობა. ევროპაში ამ დროს რკინიგზების გაცხოველებული მშენებლობა მიმდინარეობდა, საზღვაო და სამდინარო გზებზე იალქნიან გემებს სცვლიდნენ ორთქლის გემები, რომელთა სისწრაფე, ტვირთის ტევადობა გაცილებით მეტი იყო. ახალ ვითარებაში ევროპაში საქონლის მიმოქცევა, მათი გატანა საზღვაო ნავსადგურებთან, ქვეყნის განაპირა კუთხეებში და საზღვარგარეთ გაცილებით სწრაფად ხდებოდა და იაფადაც, ვიდრე, რუსეთში, სადაც ტრანსპორტის ძირითად სახეს საბარგულები შეადგენდნენ, რომელთაც უამინდობის პირობებში ტალახიან გზებზე გავლაც კი არ შეეძლოთ. უყურადღებოდ იყო მიტოვებული მაგისტრალური გზების მოვლა-პატრონობა, ხოლო რკინიგზების მშენებლობას რუსი მოხელეები ზედმეტადაც თვლიდნენ. ცნობილია, მაგალითად რომ სარელსო გზის მშენებლობის ინიციატივა რუს გამომგონებლებს ეკუთვნოდათ. 1788 წელს ალექსანდრეს საზარბაზნე ქარხანაში აგებულ იქნა პირველი „ჩუგუნკა". ასეთივე ჩუგუნკა 1806—1810 წლებში 2 კილომეტრის მანძილზე მოქმედებდა ზვენიგოროდის შახტში (ალტაი). მისი კონსტრუქტორი იყო პ. კ. ფრო-

ლოვი, რომელმაც აგრეთვე რკინიგზის რიგი პროექტები შეადგინა, მაგრამ მათ განხორციელება არ მოჰყოლია.

მაგრამ XIX საუკ. 50-იან წლებში ქვეყნის ეკონომიური წინსვლით გამოწვეულმა ცვლილებებმა ცარიზმი ორთქლის ტრანსპორტის გამოყენების აუცილებლობის წინაშე დააყენა. 1843—1848 წლებში გაყვანილ იქნა ვარშავა-ვენის რკინიგზა, 1847—1851 წლებში მოსკოვ-პეტერბურგის რკინიგზა, 1859 წელს გაიხსნა პეტერბურგ-ვარშავის რკინიგზის ხაზი. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი დასაწყისი. რუსეთის ეკონომიურ სხეულში პირველი სასიცოცხლო არტერიის შეყვანა. საგლეხო რეფორმის წლებში რუსეთის რკინიგზის ხაზის სიგრძე 1 500 ვერსამდე აღწევდა, მაშინ როცა ინგლისში იგი 15 000 ვერსს, ხოლო გერმანიაში 10 ათას ვერსს უდრიდა.

სატრანსპორტო გზების განვითარება XIX საუკ. პირველ ნახევარში ძირითადად მაინც სამდინარო მაგისტრალების გაფართოების ხარჯზე მიმდინარეობდა. დაიწყო არხების მშენებლობა, რომელიც ვოლგის, დასავლეთ და ჩრდილოეთ დვინის, ნემანისა და ვისლის აუზებს შეაერთებდა; რეკონსტრუირებულ იქნა ძველი არხები. XIX საუკ. დასაწყისში აგებულ იქნა ორი ხელოვნური წყლის სისტემა — მარინისა და ტიხვინისა. ხელოვნური არხებით დაუკავშირდა დნეპრი ვისლას და სხვ. 1813 წელს აიგო პირველი თბომავალი გემი რუსეთში. ორთქლის გემები თანდათან გამოჩნდნენ რუსეთის მდინარეებში. მიღებულ იქნა აგრეთვე ღონისძიებანი შარაგზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის. რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებანი დიდათ უწყობდნენ ხელს რუსეთში ვაჭრობა-მრეწველობის შემდგომ აღმავლობას, მაგრამ ისინი მეტადნელა, ზლაზვნით, მტკივნეულად ხორციელდებოდნენ. საგულისხმოა, რომ ნიკოლოზ პირველის ფავორიტი, ყოვლისშემძლე ფინანსთა მინისტრი კანკრინი პირველი ეღობებოდა წინ, მაგალითად, რკინიგზების მშენებლობას და ამტკიცებდა, რომ რუსეთისათვის იგი ნაკლებრენტაბელურია, ვიდრე ცხენის ტრანსპორტი. ასეთი შუასაუკუნეებრივი რეაქციული შეხედულებანი ნიკოლოზ პირველის დროინდელ რუსეთში როდი-

იყო გამონაკლისი. ცარიზმის რეაქციული ხროვა აფერხებდა ქვეყნის წინსვლას და ვერც კი გრძნობდა, რომ ამით თავისივე თავს უმზადებდა იმ სამარცხვინო განაჩენს, რომელიც ყირიმის ომმა მოუტანა.

ფინანსები

XIX საუკ. პირველ ნახევარში სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსეთის ფინანსები, რომელიც ბატონყმური სახალხო მეურნეობის წყაროებზე იყო დაფუძნებული.

სახელმწიფო ფინანსების დარგში რუსეთს XIX საუკუნეში თან გადმოჰყვა ის ქაოსი და დეფიციტურობის ავადმყოფობა, რომლითაც XVIII საუკუნეში იყო შეპყრობილი. ამასთან სახელმწიფო მეურნეობის კრიზისი და ფინანსების მოშლა XIX საუკ. პირველ ნახევარში უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა, რასაც ერთის მხრივ ხელს უწყობდა ცარიზმის მიერ წარმოებული გამუდმებული ომები, მეორეს მხრივ — ფინანსური წყაროების სიღარიბე და მოუგვარებლობა. 1832 წელს სახელმწიფო გასავლის ჯამი რუსეთში ჩვეულებრივი ბიუჯეტის მიხედვით 141,9 მილიონ მანეთს შეადგენდა, მაშინ, როცა შემოსავალი 137 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა. 1847 წელს გასავალი 249,9 მილიონ მანეთს უდრიდა, შემოსავალი 209,8 მილ. მანეთს. ყირიმის ომის შემდეგ გასავალმა 344,8 მილიონ მანეთს მიაღწია, შემოსავალი კი 309,4 მილიონ მანეთს უდრიდა.[1] ბიუჯეტის გასავლის საერთო ჯამიდან არმიასა და ფლოტზე თითქმის მესამედი მოდიოდა, მაშინ როცა, ვთქვათ, სახალხო განათლებაზე ერთი პროცენტიც არ იხარჯებოდა.

1808 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 124 მილიონ მანეთს შეადგენდა (ასიგნაციებით); 1809 წელს — 143 მილიონ მანეთს.

დეფიციტი ბიუჯეტისა იფარებოდა სესხებით, საკრედიტო ოპერაციებით და ქაღალდის ფულის გამოშვებით, მაგრამ ეს

---

[1] П. И. Лященко. История народного хозяйства СССР, том I Докапиталистические формации. Госиздат, 1952 г. стр. 573.

საქმეს ვერ შველოდა. გასავლის ასეთი მსხვილი თანხა მძიმედ აწვა სახელმწიფოს, მისი ატანა ბატონყმურ ფინანსურ სისტემას არ შეეძლო, ხოლო ქაღალდის ფულის გაძლიერებული გამოშვება ფულის კურსს აუფასურებდა.

ბატონყმურ რუსეთში სახელმწიფო ფინანსების ძირითად წყაროს გლეხობის სულადობრივი, საღალო და არაპირდაპირი გადასახადები შეადგენდნენ. მცირე იყო მასში სავაჭრო ბრუნვასა და კაპიტალზე დადებული გადასახადების ხვედრი, უფრო მცირე — პრივილეგიური წოდებიდან შემავალ გადასახადთა ხვედრი.

ეს წყაროები როდი იყვნენ ყოველთვის ერთგვარად წყალუხვი. ომებისა და უმოსავლო წლების პირობებში განსაკუთრებით, რაც არა იშვიათი იყო რუსეთის ცხოვრებაში, გლეხობა ვერ ახერხებდა სახელმწიფო დავალიანებათა შეტანას. საერთოდ რუსეთის ბიუჯეტი მუდამ დეფიციტით მთავრდებოდა.

მთავრობა, ხედავდა რა სახელმწიფო ფინანსების დარვში შექმნილ მძიმე ვითარებას, გამოსავალს ეძებდა. ასეთი გამოსავალის მონახვის ერთ-ერთი ცდა იყო საფინანსო რეფორმა, რომელიც რუსეთში 1839 წელს გატარდა. ამ რეფორმის ინიციატორი იყო ფინანსთა მინისტრი კანკრინი, რომელიც ამ პოსტზე 1823-1844 წლებში მუშაობდა.

კანკრინი არ იყო რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების მომხრე. მას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რუსეთში რკინიგზის გაყვანაც კი აშინებდა. კანკრინის მთელი მოღვაწეობა, როგორც ამას პ. ი. ლიაჩშენკო მიუთითებს[1] არაფერს ახალს, შემოქმედებითს არ შეიცავდა. მას ისევე სძულდა რუსი პროგრესისტები, როგორც ნიკოლოზს და ბატონყმობა მიაჩნდა ერთადერთ ინსტიტუტად, რომელიც რუსეთის ძლიერებას განაპირობებდა.

კანკრინის ფინანსური პოლიტიკის ძირითადი შინაარსი სახ-

---

[1] П. И. Лященко. История народного хозяйства СССР. том I. стр. 486.

სრების ეკონომიაში მდგომარეობდა. კანკრინმა ვერ მოახერხა გამონახულიყო სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების რაიმე ახალი წყარო. მან მხოლოდ გაზარდა ზოგიერთი არაპირდაპირი გადასახადი და გაზარდა ბაჟები უცხოურ საქონელზე.

კანკრინის დამსახურებას წარმოადგენდა ფულის რეფორმა, რომელსაც იგი ახორციელებდა მიმოქცევიდან ასიგნაციების ამოღებით და მტკიცე ვალუტის შემოღებით. ეს რეფორმა ხორციელდებოდა 1839-1843 წლებში და მან მართლაც შეუწყო ხელი რუსეთში მანეთის კურსის განმტკიცებას.

ყველა რეფორმა, რასაც ფინანსების დარგში მთავრობა ახორციელებდა, პალიატური ხასიათისა იყო. მათ არ შეეძლოთ ბატონყმურ ეკონომიკაზე დაფუძნებული ქვეყნის ფინანსების საქმე მოეგვარებინათ. აქაც, ისე როგორც რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სხვა დარგში, იგრძნობოდა გამოუვალი კრიზისი.

ცვლილებანი კლასობრივ სტრუქტურაში

მრეწველობის წინსვლა, ვაჭრობა-აღებმიცემობის სწრაფი ზრდა და ყველა ის ცვლილებები, რაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად რუსეთის ფეოდალურ ფორმაციაში მიმდინარეობდა, გავლენას ახდენდნენ ქვეყნის კლასობრივ სტრუქტურაზე, ხელს უწყობდნენ რუსეთის სინამდვილეში ახალი სოციალური ფენის — ბურჟუაზიული ფენის ფორმირებას.

ბურჟუაზია რუსეთში როგორც კლასი უცბად არ წარმოქმნილა ბურჟუაზიული რეფორმების ხანაში. მისი ფორმირების პროცესი ისევე ხანგრძლივი იყო, როგორც ფეოდალურ-ბატონყმურ წიაღში კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდა-განვითარებისა.

სამრეწველო ბურჟუაზიის ფორმირებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მარქსი თვლიდა კაპიტალის პირველდაწყებით დაგროვებას. მან ეს პროცესი შეისწავლა ინგლისის მაგალითზე, სადაც იგი ე. წ. „კლასიკურ ფორმებში" წარიმარ-

თა. კაპიტალის დაგროვების პირველდაწყებითი პროცესი აქ მიმდინარეობდა ბატონყმობის ლიკვიდაციის შემდეგ, უკვე თავისუფალი დ დამოუკიდებელი წვრილი მწარმოებლის სწრაფი ექსპროპრიაციის ბაზაზე, სახელმწიფო, საეკლესიო, სათემო მიწების, საძოვრების და სხვ. იძულებითი დატაცების ბაზაზე. ამ პროცესს ერთი მხრივ ახლდა წვრილი მწარმოებლების დიდი ნაწილის პროლეტარიზაცია, გაქალაქება, მეორეს მხრივ სოფლად კაპიტალისტი ფერმერის, ქალაქად კაპიტალისტი მრეწველის ფორმირება. რუსეთში ეს პროცესი ერთგვარ სპეციფიკურ პირობებში მიმდინარეობდა. კაპიტალის პირველდაწყებითი დაგროვება აქ დაიწყო ჯერ ერთი გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე ინგლისში, და მეორე, რაც მთავარია, მიმდინარეობდა თვით ბატონყმური ფორმაციის ბატონობის პირობებში, რაც რუსეთის ბურჟუაზიის კლასობრივ ფორმირებას თავისებურ დაღს ასვამდა და ახანგრძლივებდა.

პ. ი. ლიაშჩენკო მიუთითებს რუსეთში პირველდაწყებითი კაპიტალისტური დაგროვების სხვადასხვა წყაროებზე.[1] ასეთებია სახელმწიფო და სათემო მიწების დატაცება, კოლონიური პოლიტიკა, ომები და სახაზინო შეკვეთანი; ფავორიტიზმი, საგარეო ვაჭრობა, საშინაო ვაჭრობა, სახელმწიფო კრედიტის სისტემა, იჯარები და მონოპოლიები, გამოსასყიდი ოპერაციები და სხვ.

სახელმწიფო და სათემო მიწების დატაცება ინტენსიურად მიმდინარეობდა რუსეთში ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში. XIX საუკუნეში, იგი უფრო გაძლიერდა, თუმცა ინგლისისაგან განსხვავებით, აქ იგი ბატონყმური ურთიერთობის პირობებში ხდებოდა და არ შეეძლო წვრილ მწარმოებელთა პირდაპირი და მასობრივი ექსპროპრიაციის მიზეზი გამხდარიყო. მაგრამ, რუსეთშიაც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გვხვდებოდა კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც მიწასა და წარმოების საშუალებებს მოკლებული იყვნენ. ეს სოციალური კატეგორია რუსეთის პროლეტარიატის პირველ ჩანასახს წარმოადგენდა.

---

[1] П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, том. II. Капитализм. Госиздат, 1952 г. стр. 11-18.

სახელმწიფოს მიერ მიწების დატაცებას ადგილი ჰქონდა ცენტრში და განაპირა ადგილებში, განსაკუთრებით დაპყრობილ კოლონიურ მხარეებში. უკრაინაში XVIII საუკუნეში მემამულეებმა ხელთ იგდეს მრავალი ათასი ჰექტარი კაზაკთა და გლეხთა მიწები, მათგან შექმნეს მსხვილი ლატიფუნდიები და იგი შემოსავლის უხვ წყაროდ გადააქციეს. მართალია, დატაცებულ მიწებზე XVIII საუკუნეში ისევ ყმური შრომა იყო გამეფებული, მაგრამ XIX საუკუნიდან აქ, განსაკუთრებით საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებში უკვე იჭრება ნებით დაქირავებულთა შრომა, ხდება წვრილ მწარმოებელთა განდევნა, მათი ექსპროპრიაცია, კაპიტალისტ მრეწველების და ფერმერების გაჩენა.

დიდ როლს პირველდაწყებით კაპიტალისტურ დაგროვებაში ასრულებდა კოლონიური პოლიტიკა, რომელსაც ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში მიმართავდა მოსკოვის სახელმწიფო. გავიხსენოთ ციმბირის ტომების ულმობელი ძარცვა-გლეჯა, რომელსაც მოსკოვის უმაღლესი ბოიარები მიმართავდნენ. ციმბირის ბეწვეულის მინის ყელსაკიდებსა და უბრალო სათამაშოებზე გადაცვლით, ციმბირის მდიდარი საბადოების ველური ექსპლოატაციით გამდიდრდნენ სტროგონოვები, რომანოვები და სხვები. კოლონიური ძარცვა გაიზარდა XVIII-XIX საუკუნეებში. დაპყრობილ ტერიტორიებზე — შორეულ აღმოსავლეთსა და შუა აზიაში, კავკასიასა და ყირიმში, ბალტიისპირეთსა და უკრაინაში კოლონიური ძარცვა მრავალი რუსი უმაღლესი მოხელის ზღაპრული გამდიდრების წყარო ხდებოდა.

რუსეთის ცარიზმი XVIII-XIX საუკუნეებში ხშირად აწარმოებდა ომებს, რომელთაც თან ახლდა დაპყრობილი ხალხების ძარცვა. ომის პერიოდში სახელმწიფო მსხვილ დაკვეთებს აძლევდა მოიჯარადრეებს. ყველაფერი ეს იყო გარკვეულ პირთა დიდი შემოსავლის წყარო. ამ გზით მილიონის ქონება შეიძინეს მენშიკოვმა, შერემეტიევმა, აპრაკსინმა და სხვებმა. სახელმწიფო შეკვეთებიდან დააგროვეს ურიცხვი ქონება იაკოველევებმა, შემიაკინებმა და სხვებმა, რომელთა შთამომავლობა მსხვილი ბურჟუების წრეს ქმნიდა რუსეთში.

პირველდაწყებით დაგროვების სპეციფიკურ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა რუსეთში ფავორიტიზმი. იმპერატორებთან განსაკუთრებით დაახლოებულ პირებს უხვად ეძლეოდათ წყალობანი. პეტრე პირველმა მენშიკოვი, მთელს რუსეთში უმდიდრეს კაცად აქცია. სახელმწიფო ქონებას გულუხვად ურიგებდნენ თავიანთ საყვარლებს ანა ივანეს ასული, ელისაბედი, ეკატერინე მეორე და სხვები. ეს ფავორიტები ხდებოდნენ რუსეთში უმდიდრესი ადგილების მფლობელებად, წიაღისეული საბადოების, მეტალურგიული ქარხნების მფლობელებად, ხოლო მათი შთამომავლობანი XIX საუკუნეში მსხვილ კაპიტალისტებად, კონცენსიონერებად, სამრეწველო და საბანკო აქციების მფლობელებად იქცნენ.

პირველდაწყებითი კაპიტალისტური დაგროვების უხვ წყაროს შინაგანი ვაჭრობა წარმოადგენდა. იგი დიდად უწყობდა ხელს ფეოდალური კარჩაკეტილობის ნგრევას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ პროგრესს მძლავრ ბიძგს აძლევდა; გაცხოველებულ ვაჭრობა-აღებმიცემობაში ეკონომიურად წინაურდებოდა გარკვეული სოციალური კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ახერხებდნენ რა მსხვილი კაპიტალის შეძენას, თანდათან მსხვილ მრეწველებად, აქციონერებად ხდებოდნენ. შედარებით მცირე, მაგრამ მაინც თვალსაჩინო როლს ასრულებდა ამ მხრივ საგარეო ვაჭრობაც.

პირველდაწყებით კაპიტალისტურ დაგროვებას დიდად უწყობდა ხელს იჯარები და მონოპოლიები. მსხვილი მონოპოლისტური წარმოებანი რუსეთში (მაგალითად მენშიკოვის თევზის სარეწები თეთრ ზღვაზე. ასტრახანისა და კამჩატკის თევზსარეწები, შუვალოვის რკინისა და თუჯის ქარხნები, არყის ხდის მონოპოლია და სხვ.) მილიონობით შემოსავალს აძლევდა გარკვეულ პირებს. სხვადასხვა საქონლით საზღვარგარეთთან ვაჭრობის მონოპოლისტური უფლებით უზომოდ მდიდრდებოდნენ ვორონცოვებისა და კურაკინების ოჯახები. სახელმწიფო იჯარაზე უდიდეს მოგებას იღებდნენ გარკვეული პირები. ეს მოგებანი დაედო საფუძვლად შემდეგში ცნო-

ბილი მრეწველების იაკოვლევების, ზლობინების, საპოჟნიკოვების, კოკორევების სიმდიდრეს.

ყველა ისინი, ვინც კაპიტალის პირველდაწყებითი დაგროვების პროცესში ძარცვა-გლეჯის სხვადასხვა მეთოდების საშუალებით დიდძალი ქონების პატრონები ხდებოდნენ, მსხვილ კაპიტალისტთა კლასის პიონერებს წარმოადგენდნენ. მათგან ზოგიერთი თავიდანვე არისტოკრატიული წარმოშობისა იყო, მაგრამ მრავალიც დაბალი ფენიდან მოდიოდა და თანდათან, ახერხებდა სოციალურ კიბეზე წინსვლას, გრაფობისა და ბარონობის ტიტულის მიღებას. ჯერ კიდევ პეტრეს ეპოქაში რუსეთში შეიქმნა ფენა სამრეწველო კაპიტალის მსხვილი წარმომადგენლებისა, რომლებიც თავიანთი წარმოშობით პრივილეგირებულ კლასს არ ეკუთვნოდნენ. (შეგოლინები, მიკლიაევები, მასლოვები, სოლოდოვნიკოვები, ციმბალშჩიკოვები და სხვ.). მაგალითად, შემდეგში ცნობილი მილიონერ საავა იაკოვლევს, პეტერბურგში რომ ჩავიდა, ჯიბეში დიდი-დიდი მანეთი თუ ედო. აქ მან ხელი მოჰკიდა წვრილ ვაჭრობას თევზეულით, თანდათან დააგროვა კაპიტალი, შემდეგ გადავიდა მსხვილ ოპერაციებზე, განსაკუთრებით გამდიდრდა იჯარაზე, ხოლო ეს მოგება დააბანდა მრეწველობაში — შეიძინა მეტალურგიული ქარხნები ურალში, ფაბრიკები და მანუფაქტურები რუსეთის სხვადასხვა კუთხეში. ამ იაკოვლევმა, დემიდოვმა, მანცევმა, გონჩაროვმა, გუჩკოვმა, ჟუკოვმა და სხვ. რომლებიც მსხვილ მრეწველებს წარმოადგენდნენ, მალე მიიღეს გრაფობის ტიტული, აზნაურობა და პრივილეგიურ წოდებაში გადავიდნენ.

ბურჟუაზიული კლასის ფორმირება განსაკუთრებული ინტენსიურობით, ცხადია, რეფორმის შემდეგ წარიმართა და 70-80-იანი წლებისათვის დასრულდა კიდეც, მაგრამ ჯერ კიდევ რეფორმამდე, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში, იგი უკვე სწრაფად მიმდინარეობდა იმ ბაზაზე, რომელსაც ზევით შევეხეთ. XIX საუკ. პირველ ნახევარში რუსეთის სოფლებში, ადგილობრივ ბაზრებზე, იარმარკებზე, სამაზრო საგუბერნიო და მსხვილ ქალაქებში განსაკუთრებით მომრავლდნენ გლეხი „კაპიტალისტები“ — ეს ქორვაჭრები, შემსყიდველები,

ბითუმათ მოვაჭრენი, საზღვარგარეთთან მსხვილი სავაჭრო ოპერაციების ოსტატები. ვაჭართა ფენა გადიდდა, გამრავალრიცხოვანდა, გაიზარდა გილდიების რიცხვი. მაგალითად, 1830-1858 წლებში გილდიების რიცხვი რუსეთში 133 პროცენტით გაიზარდა. თუ 1836 წელს ვაჭართა წოდებაში აღრიცხული იყო 123-796 სული მამრობითი ქსესისა, 1851 წლისათვის ეს ციფრი 180 359 გაიზარდა.

ბურჟუაზიული კლასის ფორმირების პროცესში გარეგნულადაც თანდათან იცვლიდნენ სახეს თვით ქალაქებიც. მაგალითად, მოსკოვი, რომელიც ადრე აზნაურულ ქალაქად იყო ცნობილი, XIX საუკ. 30-40-იან წლებში ახალ ელფერს იღებს. ცნობილი მოგზაური ჰაქსტაუზენი, რომელმაც XIX საუკ. 40 წლებში მოსკოვი ინახულა, აღნიშნავდა, რომ მოსკოვი აზნაურული ქალაქიდან თანდათან გარდაიქმნა საფაბრიკო — ქალაქად, იგი გახდა საფაბრიკო საქმიანობისა და ვაჭრობის ცენტრი, თავადაზნაურთა დიდი ნაწილი წარმოების მეპატრონეთ გადაიქცაო. ახლა თუ იკითხავთ ვის ეკუთვნის ესა და ეს სასახლე. გიპასუხებენ მავან და მავან მეფაბრიკეს ან ვაჭარს, წინათ კი გიპასუხებდნენ მავან და მავან თავადსო.

ისტორიული მატერიალიზმი არ უარყოფს გარკვეულ ეპოქაში ბურჟუაზიის პროგრესულ როლს. ძველ, დრომოჭმულ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზია ავანგარდულ როლს ასრულებდა. მისი ღონისძიებანი ხელს უწყობდნენ საწარმოო ძალთა განვითარების დონისადმი შესაბამის წარმოებით ურთიერთობის გაბატონებას დრომოჭმული მწარმოებლური ურთიერთობის დამსხვრევის ბაზაზე. XVIII საუკუნის მიწურულს საფრანგეთში ბურჟუაზია მეთაურობდა ე. წ. მესამე წოდებას დამყაყებული აბსოლუტიზმის წინააღმდეგ იერიშებში. ინგლისის ბურჟუაზია პროგრესის მედროშედ გამოდიოდა, როცა იგი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გაბედულად უტევდა ფეოდალური შენობის ბურჯებს.

ბურჟუაზია ევროპის ქვეყნებში ნაციონალური სახელმწიფოების ფორმირებაში წამყვან ძალას განასახიერებდა. მაგ

ხელთ ეჭირა ეროვნული დროშა, მისი მისწრაფებანი ჯერ კიდევ არ უპირისპირდებოდა საერთო სახალხო ინტერესებს. სწორედ ბურჟუაზიის აქტიურმა ბრძოლამ დააჩქარა ბურჟუაზიული რევოლუციები, გზა გაუკაფა საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკური კანონის მოქმედებას, ფეოდალიზმის წიაღში უკვე მომწიფებულ ბურჟუაზიულ საწარმოო ძალებს შეუქმნა მისთვის შესაბამისი მწარმოებლური ურთიერთობანი.

რუსეთში ბურჟუაზიას ამ მხრივ ერთგვარი სპეციფიკა ახასიათებდა, რაც რუსეთში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების მეტად ხანგრძლივი, ნელი ტემპით აიხსნება. რუსეთის ბურჟუაზია ვერ წამოიზარდა როგორც რევოლუციური კლასი. იგი იმთავითვე ხასიათდებოდა რეაქციისადმი უკლონით, ხოლო სრულ ბატონობის ხანაში პროგრესისა და რევოლუციისადმი განსაკუთრებული სიძულვილითა და შეურიგებლობით. რევოლუციამდელ რუსეთში, მართალია, ფეოდალური ფორმაცია კაპიტალისტურმა შესცვალა, მაგრამ არ ყოფილა ეპოქა, როცა წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალთა განვითარების დონისა და ხასიათის შესაბამისი ყოფილიყოს. აქ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, თვით იმპერიალიზმის ეპოქაშიც, ჭარბად შეიცავდნენ ძველი, დროგადასული ფეოდალური ურთიერთობის ელემენტებს, ისინი ყოველთვის საწარმოო ძალებს ჩამორჩებოდნენ, მის განვითარებას აფერხებდნენ.

რუსეთის ბურჟუაზია თავიდანვე ცარიზმის კალთებქვეშ ყალიბდებოდა. თვით ცარიზმი იძულებული ხდებოდა მისი მფარველი ყოფილიყო, აღეჭურვა იგი ზოგიერთი უფლებებით, რომელთაგან ბევრი ბატონყმურ სისტემასთან იყო დაკავშირებული. ცარიზმი იცავდა ბურჟუაზიას უცხოური კონკურენციისაგან, ცარიზმის არმია მიიკვლევდა გზებს ახალ-ახალ ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისაკენ, ცარიზმი თრგუნავდა ხიშტებითა და მათრახებით მუშათა მოძრაობას ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში. ბურჟუაზიამ მშვენივრად იცოდა თავისი დიდი მოკავშირისა და მფარველის — რუსეთის თვით-

მპყრობელობის ფასი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საკითხებში მას ოპოზიციაში ედგა, რუსეთის ბურჟუაზიის დამოკიდებულება მონარქისტული ხელისუფლებისადმი არ ატარებდა ანტაგონისტურ ხასიათს. შიში სახალხო რევოლუციისადმი, რომელიც რუსეთის სინამდვილეში ყოველთვის იმპერიის ზღურბლთან იდგა, ბურჟუაზიას უკარნახებდა თავისი კლასობრივი ინტერესების დამცველად ცარიზმის შეჯავშნული მუშტი აერჩია. ამიტომაა, თუ ჩვენ გავადევნებთ თვალს მთელი XIX საუკუნის მანძილზე ლიბერალურ მოძრაობას, რომელიც ბურჟუაზიის ინტერესებს ასახავდა, დავინახავთ, რომ იგი არასოდეს რევოლუციამდე არ ამაღლებულა, არასოდეს არ გასცილებია მათხოვრულ მოწყალებას, არასოდეს არ დაუყენებია დღის წესრიგში თვითმპყრობელობის დამსხვრევა. ლიბერალები მისი უდიდებულესობის მხოლოდ ზომიერ ოპოზიციას წარმოადგენდნენ მარცხნიდან და მუდამ ვაჭრობდნენ ცარიზმთან ხელისუფლების სადავეების გაყოფისათვის, ხოლო როცა საქმე ნამდვილ რევოლუციას შეეხებოდა, ისინი შასებისაგან პირს იბრუნებდნენ და თვითმპყრობელობის დამცველთა როლში გამოდიოდნენ. ასე იყო 1859-60, 1879-80, 1905-1907 და 1917 წლებში. მოხდენილად შენიშნავდა დიდი რუსი სატირიკოსი სალტიკოვ-შჩედრინი — თუ ჩვენ კარგად გადავფხეკავთ ლიბერალის ნააზრევს, მასში პირწავარდნილ რეაქციონერს აღმოვაჩენთო.

ცარიზმის ღონისძიებანი ჩამორჩენილობიდან თავისდაღწევისათვის

რუსეთის ფეოდალურ ბატონყმურ ხელისუფლებას თვით თავისი კლასობრივი ინტერესები უკარნახებდნენ წასულიყვნენ ზოგიერთ დათმობაზე ბურჟუაზიის მიმართ. სხვას რომ თავი დავანებოთ, იმ დიდი ომებისათვის, რომელსაც ცარიზმი აწარმოებდა, საჭირო იყო დიდძალი საბრძოლო საჭურველი და ტანსაცმელი, მექანიზებული ტრანსპორტი, ძლიერი სამხედრო საზღვაო ფლოტი. ყველაფერი ეს წარმოუდგენელი იყო კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების გარეშე.

სათანადო კადრების გარეშე, სახელმწიფო ფინანსების რეგულაციის, უცხოელ კონკურენტებისაგან ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის, ვაჭრების მფარველობის გარეშე. ამრიგად, ცარიზმი მიდიოდა დათმობებზე ახალი ძალის მიმართ, ამას ობიექტური აუცილებლობა უკარნახებდა ცარიზმს, მაგრამ ეს დათმობახი, ეს ხელისშეწყობახი ბურჟუაზიის მიმართ იმდენი იყო, რომ იგი მბრძანებლური პოზიციების დატოვებას არ ითვალისწინებდა და თვით მიწათმფლობელ ფეოდალთა ინტერესებს შეესაბამებოდა.

1810 წელს გამოცემული ამკრძალველი საბაჟო ტარიფი უცვლელად იყო ძალაში 1817 წლამდე. პროტექციონული იყო თავისი შინაარსით 1822 წელს გამოცემული საბაჟო ტარიფი, რადგან იგი უცხოურ ფაბრიკატებზე მაღალ ბაჟს ითვალისწინებდა, ხოლო ზოგიერთის შემოტანას კრძალავდა კიდეც. ეს ტარიფი ძალაში იყო მთელი 30 წლის მანძილზე და ცოტა სამსახურს როდი უწევდა ახლად ფეხადგმულ მრეწველობას რუსეთში, იცავდა მას უფრო იაფი და უკეთესი ხარისხის უცხოური პროდუქციის კონკურენციისაგან.

მრეწველობის შემდგომი განვითარების ინტერესებს ემსახურებოდა 1828 წელს მანუფაქტურული საბჭოს შექმნა, რომელსაც დაეკისრა ამოცანად განეხილა და მოეგვარებინა რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო წარმოების უმნიშვნელოვანესი საკითხები. მრეწველობის კადრებით უზრუნველყოფის საქმეს ემსახურებოდა ტექნიკური სასწავლებლების დაარსება, რუს მრეწველთა წახალისებას ისახავდა მიზნათ სამრეწველო გამოფენანი რუსეთში, ფულის რეფორმა და მრავალი სხვა.

რუსეთის ჩამორჩენილობიდან გამოყვანისა და ეპოქის შესაფერისი მიმართულების ძებნას გამოჰხატავდა ის ბრძოლა, რომელიც XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ფრიტრედერებსა და პროტექციონისტებს შორის მიმდინარეობდა. ორთავე ეს მიმართულება ერთი კლასის, პრივილეგირებული კლასის ინტერესების სამსახურისათვის იყო ნავარაუდევი და, ცხადია, სხვადასხვა სოციალური კატეგორიების ინტერესებს არ გამოხატავდა. ეს იყო თავადაზნაურული მიმართულება და ემსახუ-

-რებოდა ეპოქის შესაბამისად ბატონყმური რუსეთის უმტკივნეულო გარდაქმნას ბურჟუაზიულ მონარქიად თავადაზნაურობის ყოვლისშემძლეობის შენარჩუნებით.

ფრიტრედერები (free trade — თავისუფალი ვაჭრობა) სრულებითაც არ თვლიდნენ სავალდებულოდ სამამულო მრეწველობის განვითარებას რუსეთში. ისინი მიუთითებდნენ, რომ ინგლისური საქონელი უფრო იაფია და მაღალხარისხოვანი, რატომ უნდა აღვუდგეთ წინ მის შემოტანას. დეე, იყოს თავისუფალი ვაჭრობა ყველა ქვეყანასთან. თავის მოძღვრებაში ფრიტრედერები ეყრდნობოდნენ ცნობილ ბურჟუაზიულ ეკონომისტ ადამ სმიტს, რომელიც თავის წიგნში „ხალხთა სიმდიდრის შესახებ" ინგლისის ბურჟუაზიის სასარგებლოდ თავისუფალი ვაჭრობის თვალსაზრისს იცავდა. ფრიტრედერები, უპირატესობას აძლევდნენ რა უცხოურ, განსაკუთრებით ინგლისურ სამრეწველო პროდუქციას, რუსეთის ეკონომიკის ძირითად პროფილად სოფლის მეურნეობას აცხადებდნენ. ხოლო მრეწველობაში კუსტარული წარმოების იქეთ არ მიდიოდნენ. ფრიტრედერების ამ თვალსაზრისს, რომლის ერთგული დამცველები იყვნენ ფინანსთა მინისტრი გურევი, მეცნიერი ეკონომისტი იაკობი და შტორხი და სხვები, ცხადია, არსებითად დიდი ზიანი მოჰქონდა რუსეთისათვის, იგი მას უკან ეწეოდა. სტოვებდა მშობლიური მრეწველობის გარეშე. ურომლისოდაც წარმოუდგენელია საერთოდ ქვეყნის მაღალი ეკონომიური და პოლიტიკური დონე.

ფრიტრედერობის საწინააღმდეგო მიმართულებამ — პროტექციონიზმმა გზა გაიკაფა რუსეთში XIX საუკ. ოციან წლებში. მის წარმატებაში ცოტა როლი როდი ითამაშა კონტინენტურმა ბლოკადამ. 1810 წლის 19 დეკემბრის ტარიფი უკვე წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი კურსის წარმართვას პროტექციონიზმის მიმართულებით და ეს მიმართულება ბატონობდა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამ მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო გამტარებლებად რუსეთში გ. გ. სპერანსკი და ო. პ. კოზოდავლევი ჩაითვლებიან. ამავე მი-

მართულებას ემხრობოდნენ ნ. რუმიანცევი, მორდვინოვი, ადმირალი შიშკოვი, კანკრინი და სხვები.

პროტექციონისტები ამტკიცებდნენ რუსეთში სამამულო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების აუცილებლობას. ისინი მოითხოვდნენ რუსეთის ახლად ფეხადგმული მრეწველობის დაცვას უცხოური კონკურენციისაგან, იმპორტზე მაღალ ბაჟებს. მორდვინოვი მიუთითებდა, რომ რუსეთმა, თუ მას სურს არ ჩამორჩეს სხვა ხალხებს, უნდა შესცვალოს თავისი საქმიანობა, სოფლის მეურნეობიდან თანდათან გადავიდეს მრეწველობასა და ვაჭრობაზე. პროტექციონისტები მწვავედ აკრიტიკებდნენ ადამ სმიტის სისტემას და მიუთითებდნენ, რომ იგი არ გაიზიარა თვით ინგლისის ბურჟუაზიამ.

სპერანსკიმ თავისი ყოვლისშემძლეობის დროს, 1810 წელს, შეიმუშავა ტარიფი, რომლითაც რუსეთში ნებადართული იყო ნედლეულის შემოტანა უბაჟოთ, სამაგიეროთ ნედლეულზე, რომელიც რუსეთიდან უნდა გაეტანათ, ბაჟი იყო დაწესებული. ამ ღონისძიების მიზანი ის იყო, რომ ნედლეული არ გასულიყო რუსეთიდან და თვით ქვეყანაში გამონახულიყო მისი დამუშავების გზები და საშუალებანი. ეს ტარიფი 1816 წლამდე იყო ძალაში და მართლაც უწყობდა ხელს რუსეთის მრეწველობის აღმავლობას. 1816-1819 წ.წ. ტარიფები მეტ თავისუფლებას აძლევდნენ რუსეთში უცხოურ საქონელს. მოიხსნა ადრინდელი შეზღუდვანი, მაგრამ ამან მრეწველებისა და ვაჭრების დიდი პროტესტი გამოიწვია. 1822 წლის ახალმა ტაოიფმა აკრძალა რუსეთში მთელი რიგი საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან, დააწესა მაღალი ბაჟები. ტარიფმა, რომელიც მფარველობით ხასიათს ატარებდა, კეთილსასურველი გავლენა მოახდინა რუსეთის მრეწველობის განვითარებაზე.

პროტექციონიზმის მხურვალე დამცველი სპერანსკის შემდეგ მთავრობის წრეებში იყო კოზოდავლევი, რომელიც, 1810-1819 წ.წ. შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას, ახორციელებდა რუსეთის მრეწველობა-ვაჭრობის მფარველობის რიგ ღონისძიებებს.

კოზოდავლევის ურყევი ეკონომიკური შეხედულება იმაში

ჰდგომარეობდა, რომ რუსეთის აყვავების საფუძველს წარმოადგენს მრეწველობა, ხოლო მრეწველობის განვითარება შეუძლებელია მთავრობის მუდმივი და ენერგიული დახმარების გარეშე.

ფრიტრედერებსა და პროტექციონისტებს შორის ამ ბრძოლაში გამარჯვება პროტექციონისტებს ხვდათ წილად, მთავრობის წრეებში მათ მეტი მხარდაჭერა ჰქონდათ. XIX საუკ. პირველ ნახევარში ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკა რუსეთის მრეწველობის მფარველობაში მდგომარეობდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. პროტექციონისტები ფრიტრედერებთან შედარებით პროგრესულ აზრებს ანვითარებდნენ. რუსეთის წინსვლა მხოლოდ მისი მრეწველობის განვითარებისათვის ხელისშეწყობით შეიძლებოდა.

რუსეთის სამეურნეო-ტექნიკური ჩამორჩენილობის მიზეზი

1855 წლის ოქტომბერში, როცა რუსეთის არმიამ მოკავშირეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ინკერმანთან მორიგი დამარცხება განიცადა, კ. მარქსი გაზეთ „ნიუ-იორკ ტრიბუნის" ფურცლებზე წერდა: ეს ბრძოლა გვიჩვენებს, რომ რუსეთის ქვეითთა დიდება ქარწყლდება. იგი გვიჩვენებს, რომ რა წარმატებასაც არ უნდა მიაღწიონ რუსებმა, დასავლეთი წინ მიიწევს, სულ ცოტა, ორჯერ უფრო სწრაფად და რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დასძლიოს დასავლეთის ჯარები არა მარტო ძალთა თანასწორობის შემთხვევაში, არამედ მაშინაც, როცა უპირატესობა აქვთ, როგორც ეს, მაგალითად, ინკერმანთან იყო.

მარქსის ეს სიტყვები — დასავლეთი წინ მიიწევს, სულ ცოტა, ორჯერ უფრო სწრაფად — თვალნათლივ გამოხატავს იმ ტექნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას, რომლითაც ევროპასთან შედარებით ხასიათდებოდა რუსეთი 50-იან წლებში და რაც საბედისწერო აღმოჩნდა კიდეც მისთვის ყირიმის ომის პერიოდში, ომისა, რომელიც რუსეთის მატერიალური ძალების უმკაცრეს გამოცდას წარმოადგენდა. რუსეთის დამარცხება

ომში გამოვლინება იყო ბატონყმურ-ფეოდალური რუსეთის შინაგანი უძლურებისა და სიდამპლისა.

ყირიმის ომამდე რუსეთის იმპერია ევროპაში უძლიერეს მონარქიად იყო აღიარებული. ნიკოლოზ პირველი ისევე აძლევდა ტონს ევროპას, როგორც თავის დროზე ნაპოლეონ I. რუსეთი მაშინ უხეშად ერეოდა ევროპის სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და წარმოადგენდა რეაქციის საიმედო ბურჯს მთელ კონტინენტზე. ევროპიელი დიპლომატები რუსეთის მოჩვენებითი ძლიერების წინაშე ქედს იხრიდნენ და ყოველთვის გაურბოდნენ მასთან გართულებას, სჯეროდათ რომ რუსეთის ძლევამოსილი არმიის გამკლავება შეუძლებელი იყო რომელიმე სახელმწიფოს ჯარებისათვის.

ყველაფერი ეს მოჩვენებითი იყო. ეს იყო მხოლოდ ასლად შელამაზებული ფასადი იმ შენობისა, რომლის საძირკვლები საფუძვლიანადაა მორყეული და ყოველთვის მოსალოდნელია დანგრევა. გარეგნულად ბრწყინვალე, ბრჭყვიალა რუსეთის იმპერია თავის სხეულში ატარებდა უკურნებელ იარებს, იგი შიგხით დამპალი, დაუძლურებული იყო. ეს იყო თიხის ფეხებზე შემდგარი კოლოსი, რომლის წაქცევა არ გასჭირვებია კიდეც ევროპას, რომელიც განვითარების დონით ორჯერ და მეტად მაღლა იდგა რუსეთზე.

ევროპასთან შედარებით რუსეთის ჩამორჩენილობის ერთადერთი და ძირითადი მიზეზი მის ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემაში მდგომარეობდა. ბატონყმური ბორკილების ვითარებაში შეუძლებელი იყო ნამდვილი სამრეწველო განვითარება. მრეწველობის ყველა დარგი დაკავშირებული იყო ბატონყმურ მეურნეობასთან და რამდენადაც უფრო დიდი იყო ეს კავშირი, იმდენად დიდი იყო ჩამორჩენა, რადგან მით უფრო დაბალი იყო ტექნიკა, დაბალი იყო შრომისნაყოფიერება. დასავლეთის მრეწველობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში განიცდიდა შეუნელებელ პროგრესს, ზედიზედ მიმდინარეობდა იქ ტექნიკური გაუმჯობესებანი, მაღლა იწევდა შრომის ნაყოფიერება. რუსეთი კი ფაქტიურად ერთ ადგილზე იტკეპნებოდა, მის საწარმოებში ძირითადად ძალაში იყო ისევ ხელით

შრომა, ისევ იძულება. ცხადია, რუსეთის მრეწველობას ასეთ ვითარებაში არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო კონკურენცია გაეწია დასავლეთისათვის, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის ამკრძალავი ტარიფები, რომელსაც ცარიზმი მიმართავდა. ბატონყმური რუსეთი ჩამორჩებოდა არა მარტო ისეთ პირველხარისხოვან სამრეწველო-კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი, არამედ მეორეხარისხოვან ქვეყნებსაც. რუსეთის სამრეწველო პროდუქცია ძვირი და უხარისხო იყო. მისი რეალიზაცია ჭირდა შინაგან ბაზარზედაც. რუსეთის მოსახლეობის დაბალი სყიდვითი უნარიანობა, ქვეყნად ჯერ კიდევ გაბატონებული ნატურალური მეურნეობა, წვრილი საშინაო წარმოება დაბრკოლებას უქმნიდნენ რუსულ საქონელს საკუთარ ქვეყანაშიც კი. ბატონყმური ურთიერთობა ასევე ბოჭავდა სამრეწველო მუშათა კადრების ჩამოყალიბებას, გზას უხშობდა ეროვნულ ტექნიკურ აზრს, ვერ უზრუნველყოფდა საჭირო ნადლეულს მრეწველობისათვის.

მიუხედავად ზოგიერთი წარმატებებისა მრეწველობის დარგში, რუსეთის მრეწველობის მოცულობა ძალზე მცირედ გამოიყურებოდა ევროპასთან შედარებით. სამრეწველო პროდუქციის რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე რუსეთში გაცილებით უფრო მცირე იყო, ვიდრე ინგლისში. რუსეთში საქალაქო მოსახლეობა მთელი მოსახლეობის მხოლოდ 8 პროცენტს შეადგენდა. რუსეთს ფაქტიურად XIX ს. პირველ ნახევარში არც კი ჰქონდა რკინიგზა. რუსეთის სავაჭრო ფლოტი ახლოსაც ვერ მიდიოდა ინგლისურთან. 1852 წელს ინგლისს ჰყავდა 150 ორთქლის გემი, საფრანგეთს—108; რუსეთს—მხოლოდ 24. რუსული რკინის პროდუქცია ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში გამოიდევნა ევროპის ბაზრიდან. მუდმივ ქაოტიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ფინანსები და სხვა.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის მმართველი ზედაფენა მთელი XIX საუკ. პირველ ნახევარში სახალხო რევოლუციის ვულკანზე იჯდა. დეკაბრისტებმა უკვე ქვეყანას ამცნეს ორგანიზებული რევოლუციური ბრძოლის დასაწყისი. გლეხთა აჯანყებანი რუსეთში ყოველ

წელს უფრო და უფრო ფართოვდებოდა და მისი ტალღები მძლავრად ეხეთქებოდა საფუძვლებ მომპალ თვითმპყრობელურ შენობას. რუსეთის მონარქებისა და მემამულე-მებატონეთა კარებთან მუდმივად იდგა აჩრდილი ხმალ აღმართული პუგაჩოვისა, რომელიც მათ აღსასრულს მოაგონებდა.

ასეთ ვითარებაში უძლური იყო რუსეთის რეაქციული მმართველი ფენის ყველა ცდა შინაგანი კრიზისის შესაჩერებლად. აღარ შეიძლებოდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური სისტემის შეკეთება, იგი ისტორიის წინმიმავალ ძალთა მიერ ძირფესვიანად იყო დახრული და აგონიას განიცდიდა.

რუსეთის შემდგომი წინსვლა შეიძლებოდა მხოლოდ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ლიკვიდაციის შედეგად, ქვეყნად ახალი, ბურჟუაზიული მწარმოებლური ურთიერთობების გაბატონების შედეგად, ქვეყნის ბაზისსა და ზედნაშენში ძირფესვიანი ბურჟუაზიული გარდაქმნების შედეგად.

რუსეთი გამოუვალი კრიზისის წინაშე იდგა.

თავი II

რუსეთის ცარიზმი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე

პავლე I

რუსეთის XIX საუკუნის ისტორიას ტრადიციულად იწყებენ სასახლის იმ გადატრიალებიდან, რომელიც 1801 წელს მოხდა და რომელმაც ტახტზე ალექსანდრე პავლეს ძე აიყვანა. ჩვენ ერთგვარად ვღალატობთ ამ ტრადიციას. საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც დავახასიათოთ რუსეთის ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა პავლე I დროს, რომლის მრისხანე თვალმა XIX საუკუნის რუსეთშიც შემოანათა. პავლეს პიროვნებისა და მისი იმპერატორობის ხანმოკლე პერიოდში განხორციელებულ საქმეთა ეს მოკლე დახასიათება, ამავე დროს, მოგვცემს გასაღებს XIX საუკ. პირველი ათწლეულის სოციალ-პოლიტიკური ვითარების უფრო სწორად და ღრმად გაგებისათვის.

პავლე I რუსეთის საიმპერატორო ტახტზე 1796—1801 წლებში იჯდა. მისი პიროვნებისა და საქმიანობის შეფასებაში ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო კონცეპცია ჩამოაყალიბა.

პირველი თვალსაზრისის მიხედვით პავლეს ეპოქა იყო შიშისა და საშინელ მოულოდნელობათა ეპოქა, დესპოტი მეფის ჟინიანობისა და თვითნებობის ეპოქა, როცა ქაოსმა და სასოწარკვეთილებამ დაისადგურა იმპერიაში. პავლეს მეფობა ეს იყო მრისხანე მეტეორის გამოჩენა რუსეთის ცაზეო — ამბობდა ისტორიკოსი კარამზინი. მეორე თვალსაზრისის მიხედ-

ვით პავლე პირველი წარმოგვიდგება მკაცრი, მაგრამ „სამართლიანი“ გამგებელის სახით, რომელსაც უყვარდა უბრალო ხალხი და იცავდა კიდეც მის ინტერესებს; პავლე პირველმა რუსეთის უბრალო ადამიანებში დასტოვა კეთილი მოგონება, რაც შეეხება თავადაზნაურობის სიძულვილს იმპერატორისადმი, იგი გამოწვეული იყო იმ უბედურებით, რაც მან რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლეს ფენას დაატეხა თავსო (დ. ა. მილიუტინი, პ. ნ. ბუცინსკი, ნ. ნ. კლოჩკოვი და სხვ.).

ცნობილი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ვ. ო. კლუჩევსკი ახასიათებს რა პავლე პირველს, აღნიშნავს, რომ „წესრიგის, დისციპლინის და თანასწორობის ინსტიქტი წარმოადგენდა ამ იმპერატორის მოღვაწეობაში სახელმძღვანელო გულისწადილს, ბრძოლა წოდებრივ პრივილეგიებთან — მის მთავარ ამოცანას“[1]. იქვე კლუჩევსკი მიუთითებს, რომ „მოკლე დროში პავლეს საქმიანობა მთლიანად მიმართული იყო იმის გასანადგურებლად, რაც მისი წინაპრების მიერ იყო გაკეთებული“[2]. დაახლოებით ამავე მოსაზრებისაა მეორე ცნობილი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ს. თ. პლატონოვი, რომელიც რუსეთის ისტორიის ლექციების კურსში აღნიშნავს, რომ პავლეს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა საფუძველი ჩაუყარეს მემამულური ძალაუფლების პირველ შეზღუდვას, პავლეს ეს ღონისძიებანი მიმართული იყო დაბალი კლასის ინტერესების დასაცავად და მაღალი კლასების ინტერესთა საზიანოდო[3].

არცერთი ეს თვალსაზრისი არ შეიძლება სავსებით მართებულად ჩაითვალოს. პირველ თვალსაზრისში არის სიმართლის ერთგვარი ნაწილი, მაგრამ საერთოდ ისიც ცალმხრივია და სწორ მეცნიერულ არგუმენტაციას არ ემყარება.

პავლე პირველს ბევრი უცნაურობა ახასიათებდა. ამ მხრივ გარკვეულ როლს მისი ინდივიდუალური თვისებები თამაშობ-

---

[1] В. О. Ключевский, сочинения, том V, Курс русской истории часть 5. Москва, 1958, стр. 139..

[2] იქვე, გვ. 193.

[3] Проф. С. Ф. Платонов, Лекции по Русской истории, изд. 8-е. С-Петербург, 1913 г. стр. 650.

და. მაგრამ ეს მაინც არაა ძირითადი. პავლეს წინააღმდეგობრივი ხასიათის ახსნა პირველყოვლისა რუსეთის მაშინდელ სოციალ-ეკონომიურ წყობილებაში უნდა ვეძიოთ. რუსეთის ისტორიაში ეს იყო პერიოდი, როცა ბრძოლა ძველს, დრომოჭმულ ფეოდალურ-ბატონყმურ ფორმაციასა და მის წიაღშივე შობილ და მზარდ კაპიტალისტურ ელემენტებს შორის უკვე სერიოზულ ხასიათს იღებდა და მონარქებსაც თავის ნებაზე ათამაშებდა. რუსეთის თვითმპყრობელს, ეყრდნობოდა რა თავადაზნაურობას, ყველა საშუალება უნდა ეხმარა მისი კლასობრივი ინტერესების დასაცავად; პავლე ამ მხრივ სრულებითაც არ წარმოადგენდა გამონაკლისს და მის მიერ გატარებული ღონისძიებანი რუსეთის ფეოდალური ბურჯების განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. მისი „დემოკრატიზმი", რასაც ასე თავგამოდებით აღიარებს ზოგი ისტორიკოსი, ნაკარნახევი იყო არა მასების მდგომარეობის შემსუბუქების მისწრაფებით, არამედ იმავე თავადაზნაურული კლასის გადარჩენის სურვილით, რადგან ყმების მიმართ მემამულეთა სრული თვითნებობის ვითარებაში რუსეთში მოსალოდნელი იყო გლეხთა ახალი რევოლუცია, რომელისაც პავლე პირველს ყველაზე უფრო ეშინოდა.

პავლეს პირადი თვისებებიდან ხაზი უნდა გაესვას მის თავნებობას, ჯიუტობას, ნევრასტენიულ განწყობილებას, უკიდურეს ეჭვიანობას, უპრინციპობას, საშუალოზე ნაკლებ სახელმწიფოებრივ ნიჭს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იმპერატორს აკლდა ტახტის გამგებლისათვის საჭირო განათლება. პავლეს ამ თვისებების ჩამოყალიბებაში საკმაო დიდ როლს ასრულებდა აღზრდის მანკიერი სისტემა და განსაკუთრებით ის გარემო, რომელიც გარს ერტყა გონებრივი ცხოვრების მთელ პერიოდში. პავლე დაბადებისთანავე ჩამოცილდა მის დედას ეკატერინეს. იმპერატრიცა ელისაბედის ვარაუდით მის შემდეგ პავლე უნდა ყოფილიყო რუსეთის თვითმპყრობელი, რადგან მის დისშვილს პეტრე თეოდორეს ძეს საამისო მონაცემები არ გააჩნდა.

როგორც ცნობილია, ბედმა სხვაგვარად გადაწყვიტა. პეტრე თეოდორეს ძე (III) ელისაბედის შემდეგ რუსეთის იმ-

პერატორი გახდა, მაგრამ ხანმოკლე დროით. პავლეს დედა ეკატერინე სათავეში ჩაუდგა სასახლის შეთქმულებას, რომელმაც პეტრე III თავიდან მოიცილა. საიმპერატორო ტახტზე დაჯდა ეკატერინე, რომელსაც პავლესადმი ყოველგვარი დედობრივი გრძნობები გაციებული ჰქონდა და იგი საშინლად სძულდა კიდეც იმისათვის, რომ მასში უკანონოდ მიტაცებული ტახტის კანონიერ პრეტენდენტს ხედავდა.

პავლე ეკატერინე მეორის სიცოცხლის მთელ მანძილზე ტახტიდან განდგომილად ცხოვრობდა, იგი მშვენივრად გრძნობდა დედის შეურიგებელ სიძულვილს, ეკატერინეს მლიქვნელ უმაღლეს მოხელეთა მტრობას და სიძულვილს. ტახტისაგან მოშორებით გატჩინაში ცხოვრობდა და ირგვლივ ერტყა თავისი წრე, რომელიც ამბისტანიობით კიდევ უფრო ამწვავებდა დედაშვილის დამოკიდებულებას. პავლეს თვალწინ ედგა მამის საშინელი ხვედრი და ყოველთვის შიშობდა პატივმოყვარე დედას ახლა იერიშები მასზე არ მიეტანა. ეს სრულებითაც არ იყო გამორიცხული, რადგან ტახტის მემკვიდრედ ეკატერინე ალექსანდრე პავლეს ძეს ზრდიდა და თავის სიცოცხლეში სცადა კიდეც ოფიციალურად გაეფორმებინა პავლესათვის ტახტის ჩამორთმევა და ალექსანდრესათვის გადაცემა.

1796 წელს, ტახტზე ასვლისთანავე პავლე პირველმა დაიწყო საძულველ დედასა და მის ფავორიტებთან ანგარიშგასწორება. პირველ აქტს ამ მხრივ წარმოადგენდა ე. წ. „გარდაცვლილთა კორონაცია". მან პეტრე III კუბო აკლდამიდან ამოიღო და ეკატერინე II კუბოს გვერდით დაასვენებია. ამავე დროს სასახლიდან განდევნა ეკატერინეს დროს აღზევეული პირები, თავის გარშემო გატჩინელი მეგობრები შემოიკრიბა. ეკატერინესადმი სამაგიეროს მიზღვევის აქტს წარმოადგენდა კოსტიუშკოს, რადიშჩევის, ნოვიკოვის გათავისუფლება და სხვა რიგი ფაქტებისა, რომლებიც ჰქმნიდნენ გარეგნულად იმის შთაბეჭდილებას, რომ თითქოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ცვლილებები ხდებოდა.

მაგრამ პავლე პირველის ამ ღონისძიებებს ნამდვილად ოდნავადაც არ შეუცვლია თავადაზნაურულ-მონარქიული იმპე-

რიის შინაარსი, არ შეუცვლია ცარიზმის აღებული კურსი არც საშინაო და არც საგარეო საკითხებში. ტახტს ჩამოსცილდა ერთი ჯგუფი მსხვილი მოხელეებისა, მოვიდა მეორე, მაგრამ პოლიტიკა იგივე დარჩა, რადგან ერთიც და მეორეც იმავე თავადაზნაურული კლასის შვილებს წარმოადგენდნენ და მის ინტერესებს იცავდნენ, პავლემ პირიქით, გააღრმავა და უკიდურესობამდე მიიყვანა პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლის ის კურსი, რომელიც ეკატერინე მეორემ საფრანგეთში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ აშკარად აიღო.

პავლე პირველის წინაშე მთელი სიცოცხლის მანძილზე აღმართული იყო სამი მრისხანე აჩრდილი, რომლებიც მას მუდამ სიკვდილს მოაგონებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ეს იყო აჩრდილი პუგაჩოვშჩინისა, აჩრდილი სასახლის გადატრიალებისა და აჩრდილი საფრანგეთის რევოლუციისა. ეშინოდა რა ამ საშინელი აჩრდილებისა, იგი ყველაფერს აკეთებდა, რომ თავიდან აეცდინა რომელიმე მათგანის გასულიერება, აეცდინა პუგაჩოვის მახვილი, ან პეტრე III ხვედრი, ან თავსაკვეთელა, რომელზედაც რევოლუციურმა საფრანგეთმა ლუი XVI აიყვანა. როგორც დავინახეთ, პავლემ მიუხედავად უკიდურესობამდე გაფთრებისა, ეს მაინც ვერ შესძლო და მოუხდა თავისი მამის ხვედრის გაზიარება.

პავლე I საშინაო პოლიტიკა

პავლეს იმპერატორობის პერიოდში ცარიზმის საშინაო პოლიტიკიდან აღსანიშნავია შემდეგი: 1797 წელს გამოცემულ იქნა ბრძანებულება, რომელიც მემამულეებს უკრძალავდა აეძულებინათ გლეხები შეესრულებინათ საბატონო სამუშაო (ბეგარა) კვირა დღეებში და დიდი საეკლესიო დღესასწაულების დროს. ამავე ბრძანებულებაში იყო აგრეთვე მითითება იმისა, რომ საბატონო სამუშაო კვირაში უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 3 დღისა.

1798 წლის 3 და 17 აპრილის ბრძანებულებებით სამხედრო სამსახურიდან მოხსნილ იქნა ყველა ის ოფიცერი, რომლებსაც აზნაურის წოდება არ გააჩნდათ და ქვევიდან იყვნენ დაწინაუ-

რებულნი. ამიერიდან არა აზნაური არ შეიძლება წარდგენილი ყოფილიყო უნტერ-ოფიცრინ ხარისხზეც კი, რადგან ეს ხარისხები ბრძანებულების სიტყვით „მხოლოდ აზნაურებს უნდა მინიჭებოდათ". აზნაურ ოფიცრობას აეკრძალა, აგრეთვე, სხვა წოდების ქალზე დაქორწინება.

1799 წლის 14 ოქტომბრის ბრძანებულებით გაუქმებულ იქნა გუბერნიის თავადაზნაურთა კრებები. პავლეს დროსვე ფიზიკური დასჯა გავრცელებულ იქნა თავადაზნაურთა წოდებაზე, რაც ადრე, ეკატერინეს მიერ თავადაზნაურობისადმი 1785 წელს ბოძებული წყალობით, აკრძალული იყო.

1797 წელს გამოცემულ იქნა ახალი კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ.[1] ამიერიდან ადგილი აღარ უნდა ქონოდა რუსეთში ქალების მმართველობას. ტახტი გადადიოდა მემკვიდრეებზე უფროსობის მიხედვით მხოლოდ მამაკაცთა სქესიდან.

პავლემ ერთგვარი ცვლილება შეიტანა ადმინისტრაციულ მმართველობაში. ეკატერინეს დროს შექმნილი 50 გუბერნიისა და ოლქის ნაცვლად მან შექმნა 41 გუბერნია და 1 ოლქი. აქედან 30 გუბერნიაში ძალაში დასტოვა იმპერიაში მოქმედი კანონები საერთოდ, ხოლო 11 გუბერნიაზე (ლიფლანდია, ესტლანდია, კურლანდია და სხვ) გაავრცელა განსაკუთრებული რეჟიმი, რომელიც გულისხმობდა აქ ძველი, რუსეთთან შეერთებამდე არსებული დაწესებულებების ძალაში დატოვებას.

პავლემ ცვლილებანი განახორციელა რუსეთის არმიაში. აქ მან შემოიღო ახალი ფორმა (რომელიც პრუსიულის პირდაპირ ასლს წარმოადგენდა), არმიის საწვრთნელად შემოიღო ახალი წესდება (აგრეთვე პრუსიულის ასლი), დაამკვიდრა პრუსიული მუშტროვკა და ბრძოლა გამოუცხადა იმ ეროვნულ ტრადიციებს, რომლებიც პეტრე პირველის დროიდან დამკვიდრდა რუსეთში.

---

1. პეტრე I 1722 წლ. 5 თებერვლის კანონით ტახტის მემკვიდრეს ნიშნავდა იმპერატორი საკუთარი მოსაზრების მიხედვით. ამ კანონს, როგორც ცნობილია, რუსეთის საიმპერატორო ტახტზე მრავალი გაუგებრობა მოჰყვა.

ასეთია პავლეს მითითებით მთავრობის მიერ განხორციელებული ძირითადი ღონისძიებანი. ამ კანონებში იგრძნობა არათანმიმდევრულობა, წინააღმდეგობრივი ხასიათი. ერთის შეხედვით აქ მოჩანს ის „დემოკრატიზმი" კიდეც, რასაც პავლეს ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი მიაწერს. მაგრამ ახლა ვნახოთ, რა ვითარებაში ხდებოდა ამ ღონისძიებათა გატარება და როგორი იყო მათი მიზანი:

პავლეს გამეფების წელს რუსეთში გლეხთა მოძრაობა აღმავლობას განიცდიდა. პუგაჩოვის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ იგი ერთდროულად სხვადასხვა გუბერნიებში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ფართო ხასიათი გლეხების გამოსვლას ჰქონდა ორიოლის გუბერნიაში, სადაც მთავრობამ შეიარაღებული ძალები გაგზავნა მოძრაობის ჩასახშობად. გლეხთა მოძრაობის ეს მასობრივი ხასიათი, როგორც ვთქვით, ეშვიანი და მშიშარა იმპერატორის წინაშე აცოცხლებდა აჩრდილს პუგაჩოვისა, რომელმაც პავლეს მახსოვრობაში ძრწოლაში მოიყვანა რუსეთის თავადაზნაურობა და კინაღამ მოსკოესა და პეტერბურგს არ დაეპატრონა. გლეხთა მოძრაობის ჩასახშობად პავლეს არ დაუზოგია ტყვია-წამალი, მაგრამ საფუძვლებ მერყეული თავადაზნაურობის გადასარჩენად მან მიზანშეწონილად ჩასთვალა ფეოდალ-მემამულეთა გლეხობისადმი დამოკიდებულების ერთგვარი რეგულაცია და ზოგიერთი რეგლამენტაცია თავგასულ მემამულეთა ექსპლოატატორული მადისა, რომელიც იქამდეც კი მიდიოდა, რომ ყმა გლეხს მთელი კვირის განმავლობაში ამუშავებდა საბატონო საქმეზე და მონად აქცევდა, რაც თვით სახელმწიფოსათვის საზიანო იყო. 1797 წლის კანონი კვირა დღეებში და საეკლესიო დღესასწაულებში საბატონო სამუშაოს აკრძალვის შესახებ ამ მიზანს ემსახურებოდა. იგი თავადაზნაურთა კლასის გადასარჩენად, მისი ინტერესებისათვის იყო გატარებული. ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ კი ამ აქტში მეფის დემოკრატიზმი დაინახა. ამასთანავე იგი ყურადღებას ამახვილებდა 3 დღიან ბეგარაზე, მაშინ როდესაც „უქაზში" სამ დღიანი ბეგარის შესახებ

მოცემულია მხოლოდ რჩევა მემამულისადმი და მას სრულებითაც არ აქვს მინიჭებული სავალდებულო ხასიათი.

პავლეს „დემოკრატიზმის“ საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს მთელი მისი საქმიანობა. მანიფესტში, რომელიც 1797 წ. 29 იანვარს გამოიცა, იმპერატორი ყმა გლეხებს აფრთხილებდა: ყოფილიყვნენ მშვიდად თავიანთი მებატონის განკარგულებაში, უსიტყვოდ შეესრულებინათ ყველა მათი დავალება, მოეხადათ ბეგარა, ჩაებარებინათ ღალა და ერთი სიტყვით ყველა საბატონო ვალდებულება წესიერად და დროზე შეესრულებინათ. ყველა ურჩს იგი სასტიკ სასჯელს პირდებოდა. პავლემ ბატონყმური წესები გაავრცელა დონზე, სამხრეთ უკრაინაზე, აზოვისპირეთზე. პავლეს დროს გაცხოველებული ტემპებით მიმდინარეობდა მსხვილ აზნაურთა მიერ სახელმწიფო მიწების დატაცება. პავლემ 4 წლის განმავლობაში აზნაურებს დაურიგა 600 ათასი სული გლეხი და ამ მხრივ თავის დედასაც გადააჭარბა. პავლე იმ აზრისა იყო, რომ სახაზინო გლეხები მთლიანად მემამულეებისათვის გადაეცათ. „..მემამულეები უკეთ ზრუნავენ გლეხებზე, მათ თავიანთი სამამულო პოლიცია ჰყავთო“, — ამბობდა პავლე.

პავლემ თავადაზნაურთათვის 1797 წელს შექმნა სახელმწიფო სათავადაზნაურო დამხმარე ბანკი, სადაც შეღავათიან პროცენტებში მემამულე აზნაური მიწებს დააგირავებდა და თანხას მიიღებდა. ერთერთი თანამედროვე მემამულე ბელტოვი მოგვითხრობს, რომ პავლემ საშინელი სიმკაცრით დაასჯევინა ის ყმები, რომლებიც შეეცადნენ შეეტანათ საჩივარი თავიანთი ბატონების უკანონო ქცევის შესახებ. მან ბრძანა ყმებისთვის იმდენი როზგი დაერტყათ, რამდენსაც მემამულეები მოისურვებდნენ. ამ აქტით, აღნიშნავს ბელტოვი, პავლემ ყველა ყმას დაუკარგა ჩივილის სურვილი და თავადაზნაურობის მხრივ დიდი ქებადიდება და მადლობა დაიმსახურაო.

პავლეს „დემოკრატიულობის“ დასამტკიცებლად ვერ გამოდგება აგრეთვე ფაქტი მის მიერ თავადაზნაურული თვითმმართველობის ერთგვარი შეზღუდვისა და აზნაურზე ფიზიკური დასჯის გავრცელების შესახებ. ორთავე შემთხვევაში პავლეს ამოძრავებდა პათოლოგიური შიში საფრანგეთის რე-

ვოლუციისადმი, რომლისგანაც მას რუსეთი უნდა გადაერჩინა. პავლეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ბევრი მოლიბერალო აზნაური მხურვალედ თანაუგრძნობდა რევოლუციას საფრანგეთში და რუსეთში მისი განხორციელების საჭიროებას ხედავდა. ეს იყო დრო, როცა რუსეთში თავადაზნაურთა შორის გამოჩნდნენ პირველი რადიშჩევები, ნოვიკოვები, გრუზინოვები და სხვები, რომლებიც რევოლუციურ იდეებს ქადაგებდნენ და ასეთ ვითარებაში პავლეს აფიქრებდა, რომ თავადაზნაურთა საგუბერნიო საკრებულონი, სადაც წინამძღოლის არჩევა ხდებოდა, არ გადაქცეულიყვნენ რევოლუციური აზრებისა და მოქმედების საშიშ კერებად, ოპოზიციური ელემენტების ტრიბუნად. ამ მიზნით აკრძალა პავლემ ეს თავადაზნაურული თვითმმართველობა, თუმცა, არსებითი ცვლილებანი აქ არ მოუხდენია, თავადაზნაურობის პრივილეგიები არ შეულახავს. თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობების აკრძალვის შემდეგაც ძალაში დარჩა სამაზრო შეკრებანი, სამაზრო წინამძღოლთა არჩევნები. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ თავადაზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლი ირჩეოდა თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლების წრიდან. წოდებრივ პრინციპში აქ არავითარი დარღვევა არ ყოფილა. მოხდა მხოლოდ ის, რომ სამოხელეო აპარატი აქტიურად ჩაერია სათავადაზნაურო საქმეებში, ეს იყო სახელმწიფოს ცენტრალიზაციის შემდგომი განმტკიცებისაკენ მიმართული ღონისძიება.

პავლემ მართალია, დაარღვია თავადაზნაურობისადმი 1785 წლის წყალობის სიგელი იმით, რომ აზნაური ოფიცერი დაასჯევინა ფიზიკურად, მაგრამ ამ ღონისძიებასაც გარკვეული მიზანდასახულობა ჰქონდა. ოფიცერი როჟნოვი, რომელზედაც სასჯელი გავრცელდა, ბრალდებული იყო იმაში, რომ, მისი აზრით, ყველა ხელმწიფე ტირანი, ბოროტმოქმედი და მწამებელია და არცერთი კეთილშობილი კაცი არ დათანხმდება იყოს ხელმწიფე. ვახტპარადს იგი აფასებდა როგორც ტიკინების კომედიას, გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ადამიანები ბუნებით თანასწორნი არიან და ერთს არა აქვს

უფლება მეორის დასჯისა, რომ ხატებზე მხოლოდ უსინდისო ადამიანები ლოცულობენ და სხვ.[1] როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს ათეისტთან, ფრანგი განმანათლებლობის მხურვალე მიმდევართან, ერთი სიტყვით თავადაზნაურ რევოლუციონერთან, რომლისაც პავლეს ასე პანიკურად ეშინოდა. ასეთი ადამიანების მიმართ მას საჭიროდ მიაჩნდა გამონაკლისი, უმკაცრესი ფიზიკური სასჯელი, რომ მსგავსი იდეები თავადაზნაურთა შორის არ გავრცელებულიყო. საფუძველი აქ კვლავ რჩება თავადაზნაურული კლასის ინტერესების დაცვა, რევოლუციის დამანგრეველი სენისაგან მისი გადარჩენა.

ცნობილია, თუ რა უკიდურესობამდე მივიდა პავლე საფრანგეთის რევოლუციის იდეების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან რევოლუციისადმი ზიზღით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ფრანგულ მოდას, მან ბრძანა რუსული ენიდან ამოეღოთ ისეთი სიტყვები, როგორიცაა „საზოგადოება“, „ხელშეკრულება“, „დემოკრატია“, „სამოქალაქო“ და სხვ. რადგან იგი ხალხს რევოლუციურ საფრანგეთს მოაგონებდა. მან დააკეტინა ყველა კერძო სტამბები, რომ იქ რაიმე რევოლუციური არ დაებეჭდათ. 1797 წელს უცხოურ წიგნებზე დაწესდა სპეციალური ცენზურა, ხოლო 1800 წლიდან მათი შემოტანა საერთოდ აკრძალულ იქნა.

ასევე რეაქციული იყო პავლეს მიერ არმიაში გატარებული „გარდაქმნები“. პავლე ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრეობის პერიოდში, პუგაჩოვშჩინის მძვინვარების დღეებში წინადადებას იძლეოდა ნაციონალური არმიის ლიკვიდაციის შესახებ, რუსეთში რეკრუტობის გაუქმებისა, დაქირავებული არმიის შექმნის შესახებ. რეკრუტობაში იგი ხედავდა საფრთხეს სახელმწიფოსათვის, რადგან რეკრუტები ხომ იგივე საბატონო გლეხები იყვნენ, რომელთაც არმიაშიც მოქონდათ პუგაჩოვური სულისკვეთება: დამყაყებული ფეოდალური პრუსიის სამხედრო რეჟიმი, სადაც დისციპლინის საფუძველს ჯოხი წარმოადგენდა, პავლეს ყველაზე მისაღებად ეჩვენებოდა. ამ

[1] Проф. С. Б. Окунь. Очерки истории СССР, конец XVIII-первая четверть XIX века, Ленинград, 1956, г. стр. 60.

ზვიად ერთმმართველს სურდა ჯარისკაციც და ოფიცერიც უსიტყვოდ მორჩილ არსებად გადაექცია. ამ მხრივ თავადაზნაურობასაც კი არ ინდობდა. სუვოროვისებური მამაშვილური აღზრდის საპირისპიროდ იგი მონურ მორჩილებას, თავშეუკავებელ სიმკაცრეს ამკვიდრებდა. არცერთმა ოფიცერმა, რომელიც ვახტპარადზე მიდიოდა, მტკიცედ არ იცოდა, რომ პარადის შემდეგ სახლს დაუბრუნდებოდა. ციმბირში გადასახლება ეს იყო ჩვეულებრივი სასჯელი, რომელსაც იმპერატორი ავრცელებდა ყველაზე, ვინც თვალში არ მოუვიდოდა. შეშინებულ ოფიცრებს მუდამ მზად ჰქონდათ თბილი ტანსაცმელით სავსე ჩემოდანი, რომ იმპერატორის რისხვის შემთხვევაში ყინულოვან ციმბირში გამგზავრება მოულოდნელი არ ყოფილიყო.

პრუსიული წესების გაბატონებით, გაუთავებელი პარადომანიითა და მუშტროვკით რუსეთის არმიის ბრძოლისუნარიანობა დაბლა ეცემოდა. ეს იყო ხელის აღება რუსეთის ნაციონალურ სამხედრო ხელოვნებაზე, რომელმაც შესანიშნავად გაამართლა თავისი თავი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ომებში. ამიტომ იყო მუდმივი კონფლიქტი პავლესა და სუვოროვს შორის.

პავლეს მთელს საქმიანობას მართლაც დაჰკრავს წინააღმდეგობათა და უკიდურესობათა ელფერი. ეს მისი პირადი ხასიათით, მისი ჯიუტობით, მისი ეპვიანობით, მისი საშინელი სიმკაცრით, უნებისყოფობით იყო შეპირობებული, მაგრამ ამ პირად თვისებებს, ამ ახირებულებას პავლე არასოდეს არ მიუყვანია იქამდე, რომ თავადაზნაურობის კლასის ინტერესებისათვის ეღალატა და დაჩაგრულთა მოსარჩლედ გამოსულიყო. პირიქით, მისი ეს ღონისძიებანი თავადაზნაურული რეაქციის უკიდურეს გააფთრებას მოასწავებდა.

პავლე I საგარეო პოლიტიკა

წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა ცარიზმის საგარეო პოლიტიკაც 1796-1801 წლებში, ხშირ შემთხვევაში ეს იმავე პავლეს პირადი ხასიათიდან მომდინარეობდა, თუმცა საგარეო პო-

ლიტიკაშიც, მიუხედავად რიგი უკიდურესობებისა, ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა სახელმძღვანელო პრინციპს. პავლეს ტახტზე ასელისას რუსეთს პრუსიასთან, ინგლისთან და ავსტრიასთან დადებული ჰქონდა შეთანხმება რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ლაშქრობის მოსაწყობად. ამ კოალიციაში რუსეთი წამყვან როლს კისრულობდა და ამზადებდა კიდეც 60.000-ან საექსპედიციო კორპუსს სუვოროვის მეთაურობით საფრანგეთში ბურბონთა დასაბრუნებლად.

პავლემ პირველ ხანებში თავი შეიკავა ეკატერინეს მიერ ჩატარებული ამ სამზადისის გაგრძელებისაგან. აქაც მან დედისადმი საპირისპირო დამოკიდებულება გამოიჩინა და განაცხადა კიდეც, რომ ჩაურევლობის პოლიტიკას განახორციელებს. მაგრამ ეს იყო მოკლე ხნით. საფრანგეთში რევოლუციის შემდგომმა გაღრმავებამ პავლეს ხელი ააღებინა „ჩაურევლობაზე" და იგი კვლავ წამყვან ძალად იქცა ახალ კოალიციაში, რომელიც რუსეთის, ინგლისის, ავსტრიის, თურქეთისა და ნეაპოლის სამეფოს შემადგენლობით შეიქმნა 1798 წლის მიწურულში. რუსეთის შავი ზღვის ესკადრამ ხმელთაშუა ზღვაში დაიწყო წარმატებითი სამხედრო ოპერაციები ადმირალ უშაკოვის მეთაურობით ფრანგების წინააღმდეგ. რუსეთის სახმელეთო არმიამ გამოჩენილი მხედარმთავრის სუვოროვის სარდლობით იტალიაში დაიწყო ლეგენდარული შეტევა საფრანგეთის ძალებზე.[1]

ზღვაზეც და ხმელეთზეც რუსეთი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, მაგრამ კოალიციამ მაინც ვერ გაამართლა. ავსტრია-ინგლისის მიზეზით ფრანგებმა ისევ მიაღწიეს წარმატებებს. ავსტრია და ინგლისი მოკავშირეობაში კეთილსინდისიერი ვერ აღმოჩნდნენ. პავლე მალე დარწმუნდა, რომ არც ავსტრია, არც ინგლისი თავს არ იწუხებდნენ სამოკავშირეო ვალდებულებათა შესრულებისათვის, ცბიერი ალბიონი რუსეთისაგან ფარულად ხმელთაშუა ზღვაში თავის საქმეებს

---

1. სუვოროვის ამ ლაშქრობათა შესახებ დაწვრილებით იხ. ა. სურგულაძე „დიდი რუსი მხედართმთავრები" საბლიტგამი, 1954 წ.

აკეთებდა, ჰაბსბურგები კი საიდუმლოდ აწარმოებდნენ მოლაპარაკებას საფრანგეთთან სეპარატიული ზავის შესახებ. ახლა პავლეს აღარც საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკა ეჩვენებოდა რუსეთისათვის მომაკვდინებელ საფრთხედ, რადგან ნაპოლეონის სახით ხედავდა ადამიანს, რომელიც ადრე თუ გვიან თვით გაუსწორებდა ანგარიშს რესპუბლიკას.

ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა პავლე, როცა მან მოულოდნელად თავისი ელჩები გამოიწვია ვენიდან და ლონდონიდან; ამასთან ერთად იგი წამოეგო ცბიერი ნაპოლეონის ანკესზე, როცა მიიღო მის მიერ შემოთავაზებული წინადადება კავშირის შეკვრის შესახებ. 1800 წელს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში კურსი 180 გრადუსით შეიცვალა. რუსეთი ნაპოლეონს ამოუდგა გვერდში და მისი რჩევით კაზაკთა პოლკები დასძრა ინდოეთის წინააღმდეგ, რომ იქედან ინგლისი გამოედევნა.

სამართლიანად მიუთითებს პროფ. ოკუნი იმის შესახებ, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი მოხდა ორი მსხვილი პოლიტიკური მოვლენის ფონზე. პირველი ეს იყო კოალიციის კრახი, მეორე — 1799 წლის სახელმწიფო გადატრიალება საფრანგეთში — 18 ბრიუმერი, რომელშიც ნაპოლეონი პირველი კონსულის ტიტულით საფრანგეთის სრულუფლებიან გამგებლად გადაიქცა.[1]

ინგლისთან კავშირის გაწყვეტა და საფრანგეთთან დაახლოება პავლეს თვითნებურ გადაწყვეტილებათა შორის მისთვის ყველაზე საბედისწერო აღმოჩნდა. თავადაზნაურობა, რომელიც ისედაც უკმაყოფილო და გულარძნილი იყო ჩვენს მიერ ზემოდმითითებულ ღონისძიებათა გამო, ახლა ძრწოლამ მოიცვა. ინგლისი ერთადერთი ქვეყანა იყო მაშინ, რომელიც რუსეთის სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ხელსაყრელ ფასებში ყიდულობდა. ინგლისიდან შემოდიოდა ყველაზე იაფი და მაღალხარისხოვანი სამრეწველო პროდუქცია. ინგლისთან ვაჭრობა სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენდა რუსეთის გაბატონებული კლასისთვის და

[1] Проф. С. Б. Окунь. Очерки истории СССР, стр. 106.

ვის გადაჭრას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდებოდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ინგლისთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, რამაც არა ერთი რუსული საბანკო კანტორა გააჩანაგა და რუსეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაწოლა გამოიწვია, საბოლოოდ მომწიფდა აზრი ამ თავნება, ჯიუტი, მიზეზიანი ეჭვიანი და გაუტანელი თვითმპყრობელის თავიდან მოცილებისა, რასაც აგრეთვე აქტიურად თანაუგრძნობდა ინგლისური აგენტურა, კერძოდ ინგლისის ელჩი პეტერბურგში ვიტვორტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში პავლეს უარყოფითმა თვისებებმა უკვე შეუზღუდველად იჩინეს თავი. ეს მოხდა განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა პავლეს შვილი მიხეილი შეეძინა. პავლეს ოჯახური დრამა დაიძაბა, იგი მეუღლეს მართა თეოდორეს ასულს ჩამოსცილდა და ლოპუხინები დაიახლოვა. ამ დროს მოხდა ქუთაისოვისა და სხვა შემთხვევითი პირების აღზევება, რომლებმაც იმპერატორი სასახლის ჭორების ქსელში გახვიეს. პავლემ ალექსანდრე მის საშიშ მეტოქედ მიიჩნია და შინაგანი პატიმრობა მოუწყო; ამავე დროს დაიწყო ზოგიერთი წინად დაახლოებული პირების მიმართ ანგარიშგასწორება.

ამ ვითარებაში შეთქმულებმა მრავალი მომხრე გაიჩინეს. შეთქმულთა სულისჩამდგმელი გახდა გრაფი პალენი, რომელმაც აიყოლია აგრეთვე დედაქალაქის ოფიცრობა. შეთქმულებმა პალენის მითითებით 1801 წლის 11 მარტს პავლე თავის სასახლეში სიცოცხლეს გამოასალმეს.

მასობრივი მოძრაობანი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი XVIII-XIX საუკ. მიჯნაზე

XVIII საუკ. მიწურულისა და XIX საუკ. დასაწყისში რუსეთის ისტორიული ცხოვრება სრულად ვერ წარმოგვიდგება, თუ არ შევეხეთ მასობრივ მოძრაობასა და საზოგადოებრივ—პოლიტიკურ აზრს ამ ეპოქაში. XVIII საუკ. 70-იან წლებში პუგაჩოვის ხელმძღვანელობით გლეხთა დიდი ომის ჩახშობის შემდეგ გლეხთა მოძრაობა რუსეთში სავსებით არ ჩამკვდარა. იგი გა-

ნუწყვეტლად მიმდინარეობდა ხან ერთ,ხან მეორე გუბერნია-ში. მაგრამ სწორედ ამ დაქსაქსულობის და სპორადულობის გამო მთავრობა ადვილად ახერხებდა მისდამი ანგარიშგასწორებას.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში გლეხთა მოძრაობის მძლავრ კერებს წარმოადგენდნენ ნოვგოროდის, პსკოვის, ტვერის და ბალტიისპირეთის გუბერნიები. 90-იანი წლებიდან გლეხთა მოძრაობამ იმატა და იგი რუსეთის 41 გუბერნიიდან და 1 ოლქიდან 32 გუბერნიას მოედო. ამასთან ზოგიერთ გუბერნიაში მას მეტად მასობრივი ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, ორიოლის გუბერნიაში თავად გოლიცინისა და აპრაკსინის მამულების აჯანყებულ ყმა გლეხთა რაოდენობა 13 ათასს აღწევდა.

გლეხთა მღელვარებების მიზეზი ფეოდალურ ბატონყმურ ვალდებულებათა ზრდაში მდგომარეობდა. გლეხები ჩიოდნენ იმ განუკითხავი ყვლეფის გამო, რომელსაც მათ მემამულეები უწევდნენ. განსაკუთრებით აუტანელს მათთვის წარმოადგენდა ის ბატონყმური საწარმოები, რომლებსაც მემამულეები აგებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე და სადაც გამეფებული იყო აუტანელი მონური შრომა. ბევრ გუბერნიაში აჯანყების მიზეზით გლეხები ბეგარის ზრდას ასახელებდნენ. გლეხობა უარს ამბობდა ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულებაზე, გარბოდა მემამულეთა მიწებიდან, ხშირ შემთხვევაში იაიაღით უსწორებდა ანგარიშს საძულველ მემამულეს, ამასთან ხშირად უკვე სერიოზულ კოლექტიურ შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა მთავრობის ჯარებს.

გლეხთა მოძრაობის ცენტრებს მოსკოვის, იაროსლავის ორიოლის გუბერნიები წარმოადგენდნენ. ყველაზე მძლავრი იყო ორიოლის გუბერნიის სოფ. რადოგოშჩის და სოფ. ბრასოვის გლეხთა მოძრაობა, სადაც მთავრობამ მძლავრი დამსჯელი ექსპედიცია მიავლინა. შეტაკებაში 20 გლეხი მოჰკლეს, 70 დასჭრეს, სოფლები ცეცხლის ალს მისცეს.

გლეხთა მოძრაობა არ დამცხრალა XIX საუკ. პირველ ათეულ წლებში. 1800-1810 წელს რუსეთში გლეხთა გამოსვლების 83 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით

მძლავრი გაქანება პოვა გლეხთა მოძრაობამ ნოვგოროდის გუბერნიაში, სადაც კერებს წარმოადგენდნენ ბოროვიჩის, კრესტეცკის, ტიხვინის, ბელოზერსკის მაზრები. მსხვილ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ლიფლანდიის გუბერნიაში 1802 წელს. 1804-1805 წლებში გლეხები, განსაკუთრებით ბატრაკები შეუპოვარ ბრძოლას ეწოდნენ ესტონეთში. გლეხთა სერიოზულ მღელვარებებით ხასიათდებოდნენ აგრეთვე ბელორუსიის გუბერნიები.

გლეხთა ყველა ეს გამოსვლები, ცხადია, დამარცხებისათვის იყო განწირული. ყველა მათ აკლდათ პროგრამის სიცხადე, აკლდათ ორგანიზებულება. ისინი ხან ერთ, ხან მეორე გუბერნიაში იწყებდნენ აღმოცენებას, ასე რომ მთავრობას შესაძლებლობა გააჩნდა ძალთა მანევრირება მოეხდინა.

ეს გამოსვლები ბატონყმურ-ფეოდალური რეჟიმის კრიზისული მდგომარეობის გამწვავებაზე მიუთითებდნენ, ისინი ამავე დროს ხელს უწყობდნენ ამ კრიზისის შემდგომ გაღრმავებას, აახლოებდნენ დრომოჭმული ფეოდალური ფორმაციის დაცემას.

გლეხთა საკითხი ამ დროს ერთერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცევა სახელმწიფოში. იგი აღელვებდა რუსეთის იმპერატორს, მის უმაღლეს მოხელეებს. მთავრობა ახალ-ახალ რეცეპტებს იძლეოდა სახელმწიფოს ამ მტკივნეული ადგილის განსაკურნებლად, მაგრამ უშედეგოდ. გლეხთა მღელვარება თანდათან იზრდებოდა, მეტ ორგანიზებას იძენდა და მასობრივ სახალხო რევოლუციად გადაქცევას იმუქრებოდა.

რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმურ საფუძვლებში მიმდინარე კრიზისული პროცესი, გლეხთა მასობრივი მღელვარებანი, ევროპაში მიმდინარე რევოლუციური გარდაქმნები, მძლავრ გავლენას ახდენდა რუსეთის საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც ამ დროს უკვე მომწიფებას განიცდიდა და თავის წინაშე აყენებდა საკითხს რუსეთის მომავლის გზების შესახებ.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის საზოგადოებრივი აზრის უდიდეს წარმომადგენელს ა. ნ. რადიშჩევი წარმოადგენს. რადიშჩევმა მოღვაწეობა XVIII საუკ. 80-იან წლებში

დაიწყო და ტრაგიკულად დაამთავრა 1802 წელს. მთელი ამ ხნის განმავლობაში და შემდეგაც რადიშჩევი წარმოადგენდა რუსული საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების პროგრესისათვის მებრძოლთა სულიერ მამას. რადიშჩევმა თავისი ცნობილი ნაწარმოები „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ 1790 წელს დაამთავრა და დაბეჭდა საკუთარ სტამბაში 600 ეგზემპლარის რაოდენობით. ამ წიგნმა უკიდურესი გააფთრება გამოიწვია სასახლეში, სადაც რადიშჩევი პუგაჩოვზე საშიშ კაცად მონათლეს და დაატუსაღეს კიდეც. მთავრობის ღონისძიებათა მიუხედავად ეს წიგნი მაინც გავრცელდა ფარულად და რუსეთის ახალგაზრდობაში ბევრი მხურვალე თანამგრძნობნი და მიმდევარი ჰპოვა.

ა. ნ. რადიშჩევმა ამ შესანიშნავ თხზულებაში დაგვიხატა რუსი ხალხის საშინლად მძიმე, ტანჯული ცხოვრების მართალი სურათი. მან პირველმა მიახალა პირში გააფთრებულ მემამულეებს სიმართლე იმის შესახებ, რომ გლეხობის მიმართ ისინი გაუმაძღარ მხეცებს, სისხლისმწოველ ობობებს წარმოადგენდნენ, მას სტაცებენ ყველაფერს გარდა ერთისა, ჰაერისა, რისი წართმევაც არ შეუძლიათ.

ა. ნ. რადიშჩევმა არა მარტო დახატა ფეოდალური ექსპლოატაციის ობიექტური სურათი, არამედ მკაცრი განაჩენი გამოუტანა მთელ წყობილებას. მან გარდუვალად მიიჩნია ფეოდალური ფორმაციის დაღუპვა, გაბედულად მოითხოვა ბატონყმობისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ჩაგვრის მოსპობა რუსეთში. გამოდიოდა რა „ბუნებრივი პრინციპის“ თეორიიდან, რადიშჩევმა რუსეთში პირველმა აღიარა, რომ ადამიანი ამ ქვეყანაზე თავისუფალი იბადება და თავისუფლად უნდა ცხოვრობდეს, არავის არა აქვს მისი დამონების უფლება.

„ბარბაროსო—შენ არა ხარ ღირსი ატარებდე მოქალაქის სახელს“ — მიმართავდა იგი მემამულეს და მკაცრად აკრიტიკებდა იმ სახელმწიფო წყობილებას, სადაც ერთნი ხარებივით მუშაობენ და მუდამ მშიერნი არიან, ხოლო მეორენი უსაქმობისაგან ლპებიან, მაგრამ განცხრომაში ცხოვრობენ.

რადიშჩევი სავსებით სწორედ მიუთითებდა, რომ რუსეთის ეკონომიური და კულტურული განვითარების მთავარ დაბრკოლებას სწორედ ბატონყმობა წარმოადგენდა.

ა. ნ. რადიშჩევის სანუკვარ იდეალს წარმოადგენდა სახალხო რევოლუცია, რომელსაც უნდა აღეგავა ჩაგვრისა და მონობის ქვეყანა. იგი წერდა:

„წამოვა ხალხი აღვსილი რისხვით,
იმედს ბრძოლისთვის აინთებს ცეცხლად
და გვირგვინოსან ტირანის სისხლით
სირცხვილის ლაქას ჩამოირეცხავს.
ვხედავ, ვით ბრწყინავს პირბასრი ხმალი,
როგორ დაფრინავს სიკვდილი მალი
ამ მედიდურად აწეულ თავზე;
ილხინე, ხალხო, ტანჯულო მარად,
ვხედავ, ბუნების შურისმგებ ძალას
თვით მეფე აჰყავს სახრჩობელაზე!“

რუსეთის მომავალი რადიშჩევს ეხატებოდა როგორც რესპუბლიკა, სადაც პოლიტიკურად ყველა თანასწორია, სადაც მართალია, არსებობს კერძო საკუთრება, მაგრამ არ ხდება ერთის მიერ მეორის ეკონომიური და პოლიტიკური დამონება, სადაც არ იქნებიან არც მეფენი, არც მემამულენი, სადაც მოქალაქეთა საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზე მოეწყობა ყველაფერი, არ იქნება არც მტრობა ცალკეულ პირთა და ქვეყნებს შორის, დამკვიდრდება კაცთმოყვარეობა და მშვიდობა და ადამიანთა მთელი ენერგია მიმართული იქნება ბუნების ძალთა დამორჩილებისაკენ, მატერიალური და სულიერი დოვლათის სიუხვის შექმნისაკენ.

რა თქმა უნდა, ეს იყო დიდი მოაზროვნის ლამაზი ოცნება, მაგრამ თვითმპყრობელური რეჟიმის მძვინვარების ხანაში ასეთი ლამაზი მომავალის დასურათება იმათთვის, ვინც საშინელ ჩაგვრას განიცდიდნენ და გამოსავალი ვერ ეპოვათ, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა.

რადიშჩევმა თავის ნაწარმოებში ჩამოაყალიბა იმ დროისთვის მოწინავე და ორიგინალური სისტემა ეკონომიური შე-

ხედულებებისა. მან შესანიშნავად უჩვენა მაგალითად, ყმური შრომის არარენტაბელობა, უვარგისობა. მან უჩვენა, რომ შრომა სახალხო სიმდიდრის წყაროა. რადიშჩევი ამასთანავე იყო სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში საწარმოო ძალთა განვითარების პროპაგანდისტი. რადიშჩევს პროგრესის მთავარ ძალად მშრომელი ხალხი მიაჩნდა. მათში ხედავდა იგი შრომის მოყვარეობას, მორალურ სისპეტაკეს, მოვალეობისადმი ერთგულებას, სამშობლოსადმი სიყვარულს.

თვითმპყრობელობამ რუსეთის დიდი განმანათლებელი — ფილოსოფოსი, მატერიალისტი, რევოლუციონერი დემოკრატი რადიშჩევი სასტიკად დასაჯა ამ აზრებისათვის. იგი მუდმივად ციხესა და გადასახლებაში იმყოფებოდა. პეტერბურგს ა. ნ. რადიშჩევი მხოლოდ 1801 წელს პავლეს მკვლელობის შემდეგ დააბრუნეს. ა. ნ. რადიშჩევი შეცდომაში შეიყვანა ალექსანდრე პირველის ლიბერალურმა დემაგოგიამ, მან წარმოიდგინა, რომ პავლეს შემდეგ რუსეთში ნაწილობრივ მაინც შეიძლებოდა მისი იდეალების განხორციელება და შეამზადა კიდეც ზოგიერთი პროექტი, რომელიც ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას ითვალსწინებდა. მაგრამ რადიშჩევს ისევ დაემუქრნენ ციხით, გადასახლებით. მორალურად გატეხილმა მოხუცმა რადიშჩევმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. გადმოგვცემენ მის სიტყვებს სიკვდილის წინ: „შთამომავლობა სამაგიეროს მიუზღავს...“

ა. ნ. რადიშჩევი მაშინდელს რუსეთში ერთადერთი და განმარტოებული არ ყოფილა თვთმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე პერიოდში ცნობილი რუსი განმანათლებელი ნ. ი. ნოვიკოვი, რომელიც ნიღაბს ხდიდა ეკატერინე მეორის ფარისევლურ განმანათლებლობას, მწვავედ დასცინოდა რუსეთის თავადაზნაურობის ყოყოჩობას, მსხვილ მოხელეთა უმეცრებას, გაბედულად ააშკარავებდა ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის წყლულებს; მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ს. ე. დესნიცკი, რომელიც ბატონყმობის შეზღუდვას და მის თანდათანობით გაუქმებას, თავადაზნაურობის წოდებრივი პრივილეგიების ლიკვიდა-

ციას, თვითმპყრობელობის ყოვლისშემძლეობის შეზღუდვას მოითხოვდა; ა. ი. პოლენოვი, რომელმაც თავის თხზულებებში ასახა ყმური შრომის საშინელებანი და დაასაბუთა მისი უვარგისობა.

1792 წელს დააპატიმრეს 72 წლის მოხუცი გავრილა პოპოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ „თავხედური“ დოკუმენტის შედგენაში. ვაჭართა წრიდან გამოსული პოპოვი ებრძოდა უსამართლობას მთელი თავისი შეგნებით, იგი ადამიანთა თავისუფლებას ღვთისაგან ბოძებულად აღიარებდა და თითოეულის მოვალეობად თვლიდა მის სიყვარულს და პატივისცემას. პოპოვი, ჩანს კარგად იცნობდა იმ მოვლენებს, რაც საფრანგეთში მიმდინარეობდა და რუსეთის იმ ადამიანებს, რომლებიც თავისუფლების მტრები იყვნენ, ასეთივე რევოლუციით ემუქრებოდა.

საყურადღებო პიროვნებას XVIII საუკ. მიწურულს თავისუფალ მოაზროვნეთა შორის წარმოადგენს ფ. კრეჩეტოვი, რუსეთის არმიის პოდპორუჩიკი, რომელიც შემდეგ არმიიდან თადარიგში გავიდა და თავს უპრეტენზიო სამუშაოებით ირჩენდა. კრეჩეტოვი ინიციატორი იყო თავისუფალი „საზოგადოებისა“, რომელიც რუს ხალხში განათლების შეტანას ისახავდა, იგი თავს უყრიდა თავის თანამოაზრეებს, მოღვაწეობდა პროგრესისათვის. კრეჩეტოვზე შეიტანეს დასმენა, რომ იგი რუსეთში წინასწარმეტყველობს ამბოხებას, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა, რომ პეტრე პირველს უწოდებს „დიდ ტირანს“, ეკატერინეს — „მკვლელს“, გლეხებს აქეზებს აჯანყებისაკენ თავისუფლების მოსაპოვებლად და სხვ. 1793 წელს კრეჩეტოვი დააპატიმრეს. გაჩხრიკეს მისი ბინა, სადაც იპოვეს კიდეც თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო აზრებით გამსჭვალული წიგნები და მისი წერილები. დაკითხვის დროს კრეჩეტოვი არ უარყოფდა თავის განწყობილებას. თვითმპყრობელობამ კრეჩეტოვი შლისელბურგის ციხეში გამოამწყვდია ისე, რომ სავსებით მოსწყვიტა სამყაროს.

XVIII საუკ. მიწურულს რუსეთის პროგრესული საზოგა-

დოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში ძვირფასი წვლილი მიუძღვით აგრეთვე ძმებს კოზელსკებს, პოლკოვნიკ კახოვსკის, პასეკს, ი. პანინს, ი. ბორნს, ვ. პაპუგაევს, ა. ვოსტოკოვს და სხვებს, რომლებიც მხურვალე დამცველები იყვნენ განათლებისა და გაბედულად ებრძოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობას, ქვეყნის უსამართლო სოციალურ და პოლიტიკურ რეჟიმს.

ამ პლეადაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძმების ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების (ნამჩევაძეთა) საქმიანობას, რაზედაც საჭიროდ მიგვაჩნია შედარებით შეტად გავამახვილოთ ყურადღება.

1800 წელს სპეციალური სამხედრო განაჩენის მიხედვით ქალაქ ჩერკასკში, მთავარ მოედანზე სიკვდილით დასაჯეს გვარდიის პოდპოლკოვნიკი ევგრაფი და მისი ძმა პეტრე იოსების ძე გრუზინოვები. გრუზინოვი არ ყოფილა მათი ნამდვილი გვარი. ნამდვილად ისინი იყვნენ ნამჩევაძენი, შთამომავალნი აზნაურ რომან ნამჩევაძისა, რომელმაც XVIII საუკ. დასაწყისში დასტოვა საქართველო და თავი რუსეთს შეაფარა.

საერთოდ ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ეპოქაში საქართველოდან გადახვეწილა არა ერთი და ორი ადამიანი, რომელთაც, ან რომელთა შთამომავლობას იმ ქვეყნის ისტორიაში, სადაც თავი შეაფარეს, გარკვეული წვლილი შეუტანიათ. გავიხსენოთ ის ცხოველი კულტურული საქმიანობა, რომელსაც რუსეთში ეწეოდა ქ. მოსკოვის ქართული კოლონია. ვახტანგ VI და მისი მრავალრიცხოვანი მხლებლების შთამომავლებმა გარკვეული როლი შეასრულეს რუსეთის პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიაში. გავიხსენოთ არჩილ მეფის ვაჟი ალექსანდრე, რომელსაც პეტრე I კარზე გენერალ ფელდცეიხმეისტერის წოდება ჰქონდა და მონაწილეობდა პეტრეს დროინდელ სახელმწიფო საქმეებსა და ბრძოლებში, ან სახელგანთქმული პეტრე ბაგრატიონი, რომლის მხედართმთავრული ტალანტი ბრწყინავდა სუვოროვის, ნაპოლეონისა და კუტუზოვის ტალანტებთან ერთად რუსეთსა და მთელს ევროპაში; სახელგანთქმული მეცნიერები დავით და იოანე ბატონიშვილები, პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი, პეტერბურგის სამეცნიერო

აკადემიის საპატიო წევრი თეიმურაზ ბაგრატიონი, ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში მებრძოლი ქართველი გენერლები, დეკაბრისტული მოძრაობის აქტიური მონაწილენი განგებელიძე და ბარათაშვილი; დეკაბრისტებზე რადიკალურად განწყობილი ივანე მუხრანბატონი და მრავალი სხვები, ბევრი მათგანი ქართული კულტურის დარგში მუშაობდა და მათი ნამოღვაწარი ჩვენი ეროვნული საგანძურის შენაძენია, მაგრამ ისინიც კი, რომლებიც ქართული კულტურის დარგში არ მუშაობდნენ და იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი აზრის თვალსაჩინო ფიგურებს წარმოადგენდნენ, თავიანთი ტრადიციებით, მემკვიდრეობით, ხშირ შემთხვევებში სულისკვეთებით დაკავშირებული იყვნენ მშობლიურ ქვეყანასთან, მის ბედთან და კულტურასთან.

ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების ცხოვრება და საქმიანობა ასე წარმოგვიდგება: ევგრაფი დაიბადა 1770 წელს ჩერკასკში, 16 წლისა შევიდა სამხედრო სამსახურში, იყო „წარმოსადეგი, ტანადი, შესახედავი, გოლიათური ძალღონის პატრონი და მოხერხებული“. 1788 წელს დონელ კაზაკთა რაზმის მეთაურია და გატჩინაში გაიწვიეს, სადაც პირადად გაეცნო პავლე I. მონაწილეობს 1788—1790 წლ. რუსეთ-შვედეთის ომში, პოლონეთის კამპანიაში 1794 წელს, 25 წლისა უკვე პოდპოლკოვნიკია, 1796 წელს აკომპლექტებს კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკს, რომლის მეთაურად ინიშნება და პოლკოვნიკიც ხდება. ევგრაფთან ერთადაა მისი ძმა პეტრეც, რომელმაც ადრე გაითქვა სახელი და წმინდა გიორგის ჯვარი მიიღო ოჩაკოვისა და რიმნიკის ბრძოლებში.

1798 წელს მოულოდნელად ევგრაფ გრუზინოვი პავლემ პავლოვსკში გამოიძახა. არაა ცნობილი მათი შეხვედრის სცენა, მაგრამ ფაქტია, რომ ამის შემდეგ ევგრაფს ბორკილები დაადეს და რეველის ციხეში დაამწყვდიეს. მალე მისი ძმა პეტრეც დააპატიმრეს. 1798 წ. აგვისტოში ასევე მოულოდნელად გრუზინოვები გაათავისუფლეს. მაგრამ ეს ხანმოკლე აღმოჩნდა. ისინი ჩერკასკში გადაასახლეს, ამავე დროს დააწესეს მათზე საგანგებო მეთვალყურეობა, ხოლო მალე კვლავ დააპატიმრეს, გაასამართლეს და დასაჯეს.

რუსეთის ისტორიოგრაფიაში ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების შესახებ საერთოდ მეტად ძუნწი ცნობები მოიპოვება. წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელია წამოყენებული მოსაზრებანი გრუზინოვების დაპატიმრებისა და დასჯის შესახებ. უმრავლესობა იმ აზრს იზიარებდა, რომ თითქოს ძმები იმპერატორთან ბოროტი პირების დასმენის უმიზეზო მსხვერპლნი გახდნენ. მეტად საინტერესო გამოკვლევა გრუზინოვებს მიუძღვნა ახალგაზრდა მკვლევარმა ო. გვინჩიძემ,[1] რომელმაც მრავალ საყურადღებო დოკუმენტს მიაკვლია და გადაგვიშალა ქართველი ოფიცრების რევოლუციური სულისკვეთება, ახსნა მათი დასჯის მიზეზები.

ახლა შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ ევგრაფი გრუზინოვი და მისი ძმა პეტრე XVIII საუკუნის მიწურულში თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა ყველაზე აქტიურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ. სასამართლო ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ევგრაფ გრუზინოვს გეგმად ჰქონია რუსეთის თვითმპყრობელობისადმი ომის გამოცხადება, უსამართლობის რეჟიმის დამხობა . და თავისუფლების დამყარება. მომავალ სახელმწიფოში, რომელიც გრუზინოვს რესპუბლიკად წარმოუდგებოდა, ყველა ადამიანი უნდა ყოფილიყო თანასწორი კანონის წინაშე. აქ აღარ იარსებებდა ადამიანთა შორის შუღლი და მტრობა, სამართლიანად გადაწყდებოდა ნაციონალური საკითხი, სადაც სენატის მიერ შემუშავებული ბრძნული კანონი დაიცავდა ადამიანებს ყოველგვარი ბოროტებისა და უკანონობისაგან. „აზრის თავისუფლება მოითხოვს, რომ მისთვის ვერავინ ვერ შესძლოს საზღვრების დადება“ — ამბობს ევგრაფი გრუზინოვი და ამით გამოთქვამს მხურვალე პროტესტს იმ საშინელი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთში ყოველგვარ პროგრესულ აზრს ბორკილებს ადებდა და ჯურღმულებში კეტავდა. ევგრაფი გრუზინოვი ვარაუდობდა თვით ჩასდგომოდა სათავეში იმ მრავალრიცხოვან არმიას, რომელ-

[1] ო. გვინჩიძე, რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან (ძმები ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები — ნამჩევაძენი. თბილისი, 1957 წ.

საც უკანონობის ქვეყანა უნდა დაემხო და რუსეთისათვის თავისუფლება მოეტანა.

შემთხვევითი არაა ამის შემდეგ ის, რომ ევგრაფი გრუზინოვ-ნამჩევაძე უხეშად იხსენიებდა, ლანძღავდა იმპერატორი პავლეს, რომ მან უარი სთქვა პავლეს მიერ ბოძებულ ყმა გლეხების პატრონობაზე.

ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, ცნობილი გახდა პავლე პირველისათვის, რომელმაც მანამდე დაფასებული და ფრიად დაახლოებული გრუზინოვები ასე სასტიკად დაასჯევინა.

მკვლევარ ო. გვინჩიძის მიერ შესრულებულ სერიოზულ სამუშაოთა მიუხედავად, ნამჩევაძეთა პოლიტიკური საქმიანობის გასარკვევად ჯერ კიდევ სერიოზული კვლევაა ჩასატარებელი. ეჭვი არაა, რომ ნამჩევაძეთა ბიოგრაფიის ყველაზე მდიდარი, შინაარსიანი ნაწილი მაინც პეტერბურგია, თუმცა მათ სულ 10 წელი მოუხდათ იქ ცხოვრება. პეტერბურგში ხდება მათი მეამბოხური სულისკვეთების ჩამოყალიბება. გატჩინაში და ლაშქრობის დროსაც ევგრაფი გრუზინოვი ალბად ხვდებოდა და უკავშირდებოდა კიდეც ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანებს, მსჯელობდა მათთან რუსეთის აწმყოზე და მომავალზე, ეცნობოდა ფრანგი განმანათლებლების, ა. ნ. რადიშჩევის შეხედულებებს და ალბად ემზადებოდა კიდეც გარკვეული პრაქტიკული მოღვაწეობისათვის რუსეთის მმართველობის გადასახალისებლად. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ ვარშავის კამპანიის შემდეგ, პავლეს მიერ არმიიდან განდევნილი ოფიცერი კახოვსკი სმოლენსკში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევა და იაკობინურ ჯგუფს ხელმძღვანელობს. ნამჩევაძეთა და კახოვსკის მსოფლმხედველობათა ფორმირება დროში ემთხვევა ერთმანეთს. ჯერ კიდევ არაა გარკვეული ვინ იყვნენ გრუზინოვების იდეური თანამოაზრენი. არ არსებობს ხელშესახები ცნობა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გრუზინოვები უსათუოდ იცნობდნენ. მაგალითად, ვლადიმერ იაშვილს, რომელიც სრულიადაც არ იყო სასახლის კარის პატივმოყვარე გენერალი და გარკვეული იდეებით ხელმძღვანელობდა, როცა აქტიურად ჩაება პავლე I

წინააღმდეგ შეთქმულთა ჯგუფში. შესაძლებელია მომავალში რაიმე ხელშესახები საბუთი აღმოჩნდეს არქივში. ეს მეტ სინათლეს მოფენდა ნამჩევაძეთა პიროვნებას. ევგრაფი და პეტრე გრუზინოვ-ნამჩევაძენი ჩერკასკიდან სავსებით ახალგაზრდა გაემგზავრნენ პეტერბურგს. პეტერბურგიდან ჩერკასკში კი ისინი დააბრუნეს როგორც „მეამბოხენი", „ბოროტმოქმედნი". ევგრაფის მიერ ჩერკასკში გატარებული ხანმოკლე პერიოდი განმარტოებისა და აქ შედგენილი გეგმები, დაჯამება და დასისტემება იყო ყოველივე იმისა, რაც ადრე, პეტერბურგში ყოფნის დროს შეისისხლხორცა.

გრუზინოვების პოლიტიკურ შეხედულებათა ფორმირება რუსეთის მაშინდელი ეპოქის ფონზე მოჩანს სრულიად კანონზომიერ მოვლენად. ეს იყო ბატონყმურ-ფეოდალური სისტემის კრიზისის ვითარებაში მომწიფებული აზრი, პირველი ჩანასახი იმ დიდი საზოგადოებრივი მოძრაობისა, რომელიც შემდეგ დეკაბრისტებმა გააფართოვეს და დიდ რევოლუციურ სიმაღლეზე აიყვანეს.

თ ა ვ ი III

ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის პირველ ათწლეულში

საშინაო პოლიტიკა 1801-1807 წ.

ალექსანდრე I. პავლე პირველზე თავდასხმის დღეებში უფლისწულები ალექსანდრე და კონსტანტინე მიხეილის ციხე-სიმაგრეში იყვნენ ჩაკეტილი შინაურს პატიმრობაში. პავლეს არც თუ უსაფუძვლო ეჭვები ჰქონდა იმისა, რომ მისი შვილი, რომელიც ეკატერინემ თავიდანვე დაუპირისპირა როგორც მეტოქე, გარკვეულ პირობებში შეეცდებოდა კიდეც მამისათვის ტახტი წაერთმია და იმპერატორი გამხდარიყო.

დადასტურებულია, რომ ალექსანდრე მართლაც დაკავშირებული იყო შეთქმულებთან, თუმცა თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ცდილობს დაასაბუთოს ალექსანდრეს უდანაშაულობა მამის წინააღმდეგ ჩადენილ აქტში. ალექსანდრეს უდანაშაულობის საბუთად ასეთი ფაქტი მოაქვთ: როდესაც პავლეს მკვლელობის შემდეგ გრაფი პალენი ალექსანდრესთან მოვიდა და აუწყა პავლეზე თავდასხმის შედეგი, ალექსანდრე გულწასული დაეცა და უგრძნობლად ეგდო, ძლივსძლივობით მოიყვანეს გონზე. „შემდეგ პირჩამხობილი ქვითინებდა, მხოლოდ პალენმა და სხვებმა აიძულეს დაეწყო მეფობაო“.

ვერც ეს შელამაზებული ფინალი და ვერც ალექსანდრეს მიერ შეთქმულებისადმი შემდეგში რიგრიგობით ანგარიშგასწორება ვერ ფარავს მის მონაწილეობას პავლეს მკვლელობა-

ში. ალექსანდრე შეთქმულების შესახებ ადრევე იყო ინფორმირებული გრაფი პალენისაგან, მაგრამ სინდისის თვითდამშვიდებისათვის მათ მითითებას აძლევდა არ მოეკლათ პავლე, თუმცა დარწმუნებული იყო ისევე, როგორც შეთქმულთა მოთავენი, რომ ეს არ მოხდებოდა. პალენი იგონებს: „მე მივეცი მას ეს პირობა. ისე უჭკუო როდი ვიყავი, რომ მეკისრა ის, რის შესრულებაც შეუძლებელია, მაგრამ საჭირო იყო ჩემი მომავალი ხელმწიფის სინდისის თვითდამშვიდება. მე გარეგნულად ვიზიარებდი მის თვალსაზრისს, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი განუხორციელებელი იყო". პალენსა და მომავალ იმპერატორს შორის ეს იყო ჩვეულებრივი დიპლომატიური თამაში, რაც შეეხება მომავალი იმპერატორის ქვითინს — ამის შესახებ მოსწრებულად შენიშნავს ერთ-ერთი ისტორიკოსი: იგი მოგვაგონებს ქვითინს იმ პატარძლისას, რომელსაც თავზე საქორწინო გვირგვინს ადგამენო.

მრისხანე პავლეს აღსასრულს და ტახტის დაკავებას ალექსანდრეს მიერ, რომელიც უკვე კოპწიაობდა მოლიბერალო შეხედულებებით, დედაქალაქი დიდი ზეიმით შეხვდა. დამთავრდა შიშისა და ძრწოლის, მოულოდნელ საშინელებათა განცდის, გვარიშვილური პატივმოყვარეობის შეურაცხყოფის ეპოქა".

„Умолк рев народа сиповатый,
Закрылся грозный страшный зрак".

წერდა ამ დღეებში პოეტი დერჟავინი და ახალგაზრდა იმპერატორს ქება-დიდებას ასხამდა. ბრწყინვალე არისტოკრატია ალექსანდრეს სახით უკვე ხედავდა ეკატერინესეულ „ოქროს ეპოქის" აღორძინებას, რადგან მანიფესტში მან უკვე აუწყა თავადაზნაურულ რუსეთს, რომ ამიერიდან ქვეყანას „საყვარელი ბებიას" პრინციპით წარმართავდა.

ალექსანდრეს მიერ მეფობის პირველ ხანებში გატარებული ღონისძიებანი მართლაც ერთგვარ შვებად მოჩანდა დაძაბულობისა და სულშეხუთულობის ვითარებაში. ალექსანდ-

რეს მითითებით შეწყვეტილ იქნა უაზრო ომი ინგლისთან და სალაშქრო გზიდან უკანვე გამოიწვიეს ინდოეთისაკენ მიმავალი რუსი კაზაკები. აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისთან, მოიხსნა ყველა შეზღუდვანი, რომელიც უცხოეთიდან რუსეთში სხვადასხვა საქონლის შემოტანას აფერხებდა, გამოცხადდა ამინისტია და შორეული ციმბირიდან დაბრუნეს ზოგიერთი პოლიტიკური პატიმარი. რუსი ემიგრანტებისათვის გაიღო ქვეყნის კარები, ნებადართულ იქნა უცხოური ლიტერატურის შემოტანა, აღდგენილ იქნა კერძო სტამბები, სასახლიდან გაძევებულ იქნენ პავლეს დროს აღზევებული შემთხვევითი პირები (შტალმეისტერი ქუთაისოვი, პროკურორი ობოლიანინოვი, ობერ-პოლიცმეისტერი ერტელი და სხვ.), სახელმწიფო საქმეებს დაუბრუნდნენ ეკატერინესდროინდელი გამოცდილი მოხელეები და სხვ.

მაგრამ ეს ღონისძიებანი ძირითადსა და მთავარს — დრომოჭმულ ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას ოდნავადაც არ შეხებიან. ეპოქის მიერ მომწიფებული საკითხები ისევ გადაუჭრელი რჩებოდა. ალექსანდრეს მიერ წამოწყებული გადახალისებანი ისევ თავადაზნაურული იმპერიის მორყეული საფუძვლების განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად, ალექსანდრეს უკეთ, ვიდრე სხვებს მისი ოჯახიდან, შეეძლო დაენახა სად ჩნდებოდნენ უფრო საშიში ბზარები. იგი ხან ლიბერალის მანტიაში გაეხვეოდა, ხან რეაქციონერის შეჯავშნულ მუშტს მოიქნევდა იმისათვის, რომ კვლავაც უზრუნველეყო თავადაზნაურული კლასის ბატონობა.

ალექსანდრე პირადი თვისებებით თავისი მამის სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა. ბარეგნულად წარმოსადეგი, ქალივით ლამაზი, არისტოკრატული მანერებით აღჭურვილი, მაღალი გემოვნებით დაჯილდოებული, იგი ხიბლავდა თანამედროვეთ. მას გააჩნდა არტისტული უნარი დაემალა ნამდვილი აზრები, არ გადმოენთხია რისხვა პირველსავე წყენის დროს, ეკოპწიავა მოდური იდეებით, აღტაცებაში მოეყვანა გულუბრყვილონი თავისი კეთილშობილებითა და სამართლიანობით.

იმ რთულ ეპოქაში ძირმომპალი თავადაზნაურული კლასის ინტერესების დამცველ კაცს ეს თვისებები მართლაც სჭირო-

და. მაგრამ მას აკლდა ქვეყნის მმართველის მაღალი გონება, მხედართმწვრთნელი ნიჭი, რის გამოც რუსეთი არა ერთხელ საბედისწერო მდგომარეობის წინაშე დააყენა.

ალექსანდრე პირველის ცხიერებას, ორპირობას, ავადმყოფურ თავმოყვარეობას და სხვა თვისებებს ზოგი ისტორიკოსი აღზრდის მანკიერებით ხსნის. ისტორიკოსი კლუჩევსკი, მაგალითად შენიშნავს, რომ „მას ასწავლიდნენ როგორ დაეჭირა თავი, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ არ ასწავლიდნენ ფიქრსა და მოქმედებას. არ ეკითხებოდნენ არც სამეცნიერო, არც ცხოვრებიდან აღებულ პრობლემებზე, რომელიც მას თვით უნდა გადაეწყვიტა, თვით დაეშვა და გაეს წორებინა ისინი. მას ყველაფერზე სთავაზობდნენ მზამზარეულ პასუხებს — პოლიტიკურ და ზნეობრივ დოგმებს, რომელთაც არც შემოწმება, არც მოფიქრება სჭიროდა, სჭიროდა მხოლოდ დამახსოვრება. მას არ აიძულებდნენ თავი ეტეხა, ძალღონე დაეძაბა, არა თუ ზრდიდნენ, არამედ როგორც მშრალ ღრუბელს ქელნთავდნენ დისტილირებული პოლიტიკური და საერთოსაკაცობრიო მორალით, ამარაგებდნენ ევროპული აზრის ტკბილეულობით...“ ეს იყო თვალწარმტაცი, მაგრამ მხოლოდ სათბურის ყვავილი, რომელმაც ვერ მოასწრო ან არ შეეძლო რუსულ ნიადაგზე აკლიმატიზირება. ის იზრდებოდა და ყვაოდა საუცხოოდ, ვიდრე კარგი ამინდი იდგა, მაგრამ როცა ჩრდილოეთის ქარიშხალმა დაუბერა, როცა დაიწყო ჩვენებური რუსული შემოდგომის უამინდობა, იგი მოეშვა და დასჭკნა“.[1]

აღზრდას უსათუოდ ჰქონდა ერთგვარი გავლენა ალექსანდრეს ხასიათის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ის ვითარება იყო, რომელშიც ალექსანდრე მეფობდა.

ალექსანდრეს აღზრდა, როგორც ცნობილია, პირადად იკისრა მისმა ბებიამ ეკატერინემ, რომელმაც მოიწვია მასწავლებლები და მათ სპეციალური ინსტრუქცია შეუდგინა. ევროპაში ამ დროს მოდაში იყო აღზრდის რუსოსებური იდეები; ნიმუშად მიჩნეული იყო მისი „ემილი“. დიდი ფრანგი განმანათ-

[1] В. О. Ключевский, Сочинения, том V. стр. 206.

ლებელი ჟან ჟაკ რუსო აღიარებდა, რომ მავნეა ყრმისათვის ფუფუნება, იგი გაჭირვებაში უნდა აღიზარდოს, გამოიწრთოს, იმთავითვე განიცადოს ამქვეყნიური ცხოვრების სიმკაცრე, რომ მოუმზადებელი არ შეხვდეს იმ განსაცდელს, რასაც მომავალი ყველა ადამიანს უმზადებსო.

ეკატერინე მეორე უძლური იყო შემოქმედებითად აეთვისებინა რუსოს ეს აზრები. იგი ზერელე მიმბაძველის როლში გამოვიდა, როცა მაგალითად, ბრძანა რომ ჩვილი ყრმის საძინებელ ოთახში, იმ დროს როცა ზარბაზნებიდან სალუტებს აძლევდნენ, ფანჯრები გაეღოთ. ეკატერინე ვარაუდობდა, რომ ამით მომავალი იმპერატორი თავიდანვე შეეჩვეოდა საბრძოლო ქუხილს. პირველ ღონისძიებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ალექსანდრემ ცალ ყურში სმენადობა დაჰკარგა. ალექსანდრეს მასწავლებლად მოწვეული იყო შვეიცარიელი პოლკოვნიკი ლაგარპი, რომელიც ზომიერ ლიბერალს წარმოადგენდა და ფარულად ეტრფოდა ფრანგ განმანათლებლებს, რესპუბლიკურ მმართველობასა და საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას კანონზომიერ მოვლენად თვლიდა. ლაგარპმა უსათუოდ მოახდინა გავლენა მომავალ იმპერატორზე. რომელიც თანატოლებში ხშირად ლაპარაკობდა რესპუბლიკური მმართველობის უპირატესობაზე, კონსტიტუციის შემოღების საჭიროებაზე, მემკვიდრეობითი ხელისუფლების უკანონობაზე და სხვა. „მე მიყვარს კონსტიტუციური დაწესებულებანი და ვფიქრობ ყოველ წესიერ ადამიანს უნდა უყვარდეს იგი“ — წერდა ალექსანდრე მეგობრისადმი გაგზავნილ ერთერთ წერილში. ახალგაზრდულ ასაკში ალექსანდრე რუსეთის გადახალისების ფართო გეგმებს აწყობდა. მაგრამ ეს იყო მისი ჭაბუკური გატაცება, ოცნება იმ ადამიანისა, რომელიც რუსეთის ცხოვრებას არ იცნობდა, რომელსაც რუსეთის გაბატონებული რეაქციული მმართველი ხროვის მხრივ დაბრკოლება არ გამოეცადა. მაგრამ ყველაფერი ეს დროებითი აღმოჩნდა და საპნის ბუშტებივით გაქრა, როცა მას შეჯახება მოუხდა რუსულ რუტინასთან, როცა უფრო ცხადად, ხელშესახებად წარმოუდგა იმ კლასის ინტერესები, რომელსაც თვითონაც ეკუთვნოდა.

მართალია, ამის შემდეგაც ცბიერი იმპერატორი ზოგჯერ გაეხვეოდა ხოლმე ლიბერალურ წამოსასხამში, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გაებრიყვებინა საზოგადოება, მოეხიბლა წრე, რომელშიც ტრიალებდა. სინამდვილეში კი იგი იყო და დარჩა პირწავარდნილ რეაქციონერად, არაკეთილშობილ რეჟიმის მოტრფიალედ და წამქეზებლად.

ის ორპირობა, მდგომარეობასთან შეგუების არტისტული ნიჭი, რომელიც ახალგაზრდობიდანვე დაჰყვა და ბოლომდე შერჩა იმპერატორს, აგრეთვე აღზრდის, გარემოს შედეგი იყო. როგორც ცნობილია, იგი ძირითადად ბებიასთან იზრდებოდა და ეკატერინესეული არისტოკრატიის ჩვეულებს ითვისებდა. ბებიისადმი თაყვანისმცემლობის მლიქვნელურ წესებს ემორჩილებოდა. მაგრამ კვირაში ერთხელ, ყოველ პარასკევს ალექსანდრე მიემგზავრებოდა გატჩინაში თავის მამასთან. გატჩინა კი წარმოადგენდა ზამთრის სასახლის სრულ წინააღმდეგობას. აქ სუფევდა სამხედრო რეჟიმი; ეკატერინესეულ არისტოკრატიისადმი საშინელი სიძულვილი, ყაზარმული სიმკაცრე და უფერულობა. ალექსანდრე ამ წრესაც უნდა შეჩვეოდა, მასთან საერთო ენა მოენახა, მამის აზრები გაეზიარებინა. ყოველივე ამან ალექსანდრე იმთავითვე შეაჩვია ორპირობას, მისი ხასიათის გაორება მოხდა; იგი გულჩათხრობილი და მომთმენი გახდა. პავლეს გამეფების შემდეგაც ალექსანდრე იძულებული ხდებოდა განსაკუთრებით ფრთხილად, არტისტული ოსტატობით დაეჭირა თავი მამასთან. მართალია ამ დროს იგი პეტერბურგის გუბერნატორი იყო და გვარდიულ კორპუსს მეთაურობდა, მაგრამ სრულიადაც არ ყოფილა იმისაგან დაზღვეული, რომ ცვალებადი ბუნების, ახირებული ხასიათის პავლე თავიდან ჩამოიცილებდა, მით უმეტეს, რომ მამისადმი განკერძოებაში ადრევე იყო შენიშნული.

ეს თვისება ალექსანდრეს იმ მშფოთვარე ეპოქაში ერთგვარ სამსახურს უწევდა. „ცბიერი ბიზანტიელი", როგორც ნაპოლეონი უწოდებდა ხოლმე, ახერხებდა ამა თუ იმ ვითარებაში მოეგო საზოგადოების გული, გამოეწვია ლიბერალური წრეების აღტაცება, მიეღწია მისი პიროვნების ქება-დიდებისათვის, რაც პატივმოყვარე იმპერატორს ძალზე უყვარდა. იგი, მაგა-

ლითად, ახერხებდა პარიზში მადამ დე სტალის სალონში ყველა მოეხიბლა თავისი „დემოკრატიული აზრებით“, შეპირებოდა მათ, რომ რუსეთში დაუყოვნებლივ მოსპობდა ბატონყმობას, ამავე დროს გაეჯოხინებინა რუსი ჯარისკაცები და გადაეხადა ლუი XVI-ის პანაშვიდი, იგი ახერხებდა კონსტიტუცია მიეცა პოლონეთისათვის, დიდი დაპირებებით მოეთაფლა ფინეთი; ამავე დროს სასტიკი არაკეთილშობილური რეჟიმი დაემკვიდრებია რუსეთში და მოეტყუებინა სამამულო ომში მონაწილე, ბატონყმური ექსპლოატაციისაგან გაწამებული რუსი გლეხობა.

„მონარქები ხან ელაქუცებოდნენ ლიბერალიზმს, ხან კი რადიშჩევის ჯალათებად გვევლინებოდნენ და ერთგულ ქვეშევრდომად არაკეთილშობილებს „მიუსევდნენ ხოლმე“,[1] — წერს ვ. ი. ლენინი და ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰყავს სწორედ ალექსანდრე პირველი; მას დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაციისა და აღმავალი ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შეურიგებელ ბრძოლაში უკეთ, უფრო მოხერხებულად შეეძლო დაეცვა ინტერესები თავისი კლასისა, ვიდრე პავლე პირველს, ან ნიკოლოზ პირველს, რომლებიც ალექსანდრესთან განსხვავებით რეაქციისადმი სამსახურში ამჟღავნებდნენ მეტ პირდაპირობას, მოუქნელობასა და უხეშობას და რუს ხალხს „ჯალათობის მაქსიმუმს“ აჩვენებდნენ.

რაც შეეხება ალექსანდრე პირველის სახელმწიფოებრივ ჭკუაგონებას, იგი ამ მხრივ ოდნავადაც არ ბრწყინავდა, არ ბრწყინავდა აგრეთვე მხედართმთავრული ტალანტით. საშუალო გონების პატრონ იმპერატორს ხშირ შემთხვევაში შველოდა ღრმად შეთვისებული ცბიერება. მართებული და მოხდენილია ალექსანდრე პირველის პუშკინისეული დახასიათება:

„Властитель слабый и лукавый,
плешивый щегол, враг труда“.

---

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5; გვ. 36.

ინტიმური კომიტეტი და ზოგიერთი მოლიბერალო ღონისძიება

პავლე პირველის დესპოტიზმის დაცემამ საერთო სიხარული გამოიწვია მთელს რუსეთში. ზეიმობდნენ რუსეთის თავადაზნაურობის რეაქციული და პროგრესული ჯგუფები, ზეიმობდნენ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წარმომადგენლები. საიმპერატორო ტახტზე მომხდარი ცვლილება თვითეულ ამ მიმართულებას იმის რწმენას უნერგავდა, რომ რუსეთის მომავალი მმართველობა მისთვის სასურველი გზით წარიმართებოდა. რეაქციული თავადაზნაურობა მოელოდა, რომ ეკატერინეს საყვარელი შვილიშვილი რუსეთის გაბატონებულ კლასს დაუბრუნებდა იმ დიდებას, მოსვენებას, ყოვლისშემძლეობას, რაც ახირებულ პავლეს პერიოდში ერთგვარად შელახულ იქნა, აღადგენდა რუსეთის შინაცხოვრების „ოქროს საუკუნეს". პროგრესულად განწყობილი, ევროპულად განათლებული თავადაზნაურთა ჯგუფი ალექსანდრეში ხედავდა იმ გონიერ მმართველს, რომელიც დესპოტურ, ტირანულ და აღმოსავლურ მოულოდნელობებით აღსავსე რუსეთს გარდაქმნიდა ევროპული ყაიდის სახელმწიფოდ, სადაც კანონი იქნებოდა უმაღლესი ხელისუფალი, დაწესდებოდა წარმომადგენლობითი დაწესებულება და საზღვარი დაედებოდა მონარქთა თვითნებობას და თავაშვებულობას.

დამახასიათებელია ის მრავალი წერილები, რჩევა-დარიგებანი, პოლიტიკური პროექტები, რომელიც იმპერატორის სახელზე მოდიოდა სხვადასხვა მხრიდან. ლუბიანოვსკი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივ საკითხებზე ცხარე მსჯელობანი მოდაში შემოვიდა.

მოლიბერალო მემამულე ვ. ნ. კარაზინი, მაგალითად, ალექსანდრესადმი წერილში აყენებდა პოლიტიკური საკითხების მთელ სერიას. იგი მოითხოვდა მტკიცე კანონების შემოღებას, ხალხის წარმომადგენლების მოწვევას მათი მოსაზრებების მოსასმენად, გადასახადების შემცირებას, ყმათა ვალდებულებების რეგულირებას, სახალხო მეურნეობაში წამახალისებელ ღონისძიებათა გატარებას და სხვ.

ა. რ. ვორონცოვი თავის ვრცელ წერილში იმპერატორისადმი განიხილავდა რა სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობას წარსულში, ჰგმობდა, მისი აზრით, ზოგ უგუნურ ღონისძიებას, მოითხოვდა სენატის უფლებების გაფართოებას, კორექტივი შეჰქონდა სახელმწიფო საბჭოს საქმიანობაში. ამ წერილში ნათლად გამოსჭვივოდა თვალსაზრისი თავადაზნაურულ-არისტოკრატისა, რომელსაც სახელმწიფო საქმეებში თავადაზნაურობის ზედაფენების მონაწილეობა მიაჩნდა საშუალებად პავლე პირველისებური აბსოლუტიზმის აღსაკვეთად.

ს. რ. ვორონცოვი — რუსეთის ელჩი ინგლისში თავის წერილში მკაცრად ამხელდა რუსეთის სინამდვილეს და მოითხოვდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ევროპული წესრიგის დამყარებას. რუსეთი ეს ის ქვეყანაა — წერდა იგი, რომელსაც მართავს არა კანონები, არამედ ახირებულება იმპერატორთა ფავორიტებისა, რომლებიც დიდ ვეზირებს ჰგვანან. რუსეთში ადამიანები დამცირებულია, მაგრამ ისინი იმდენად განუსჯელნი, თავქარიანნი არიან, რომ ივიწყებენ მათ მტანჯველ დესპოტიზმს იმისათვის, რომ ნება დართული აქვთ ატარონ მრგვალი ქუდები. რუსეთში ლაპარაკობენ მეფის კეთილი ბუნების შესახებ, რომელმაც ქვეყანას თავისუფლება მისცა, მაგრამ ამასთან არავინ არ დაფიქრდება, რომ შეიძლება მეფეს ხასიათი შეეცვალოს, ან რომ მას მოჰყვება მეორე ტირანი. ახლანდელი მდგომარეობა რუსეთში ტირანობისაგან მხოლოდ დროებითი შემსუბუქებაა, ჩვენი თანამემამულენი ჰგვანან რომაელ მონებს სატურნალიის დროს, რომლის შემდეგ ისინი კვლავ მონებად უნდა იქცნენ. ს. ვორონცოვს სახელმწიფოს საფუძვლად მიაჩნია თავადაზნაურობა, მოითხოვს მათი უფლებების გაფართოებას. იგი, მსგავსად თავისი ძმისა, ურჩევს იმპერატორს რუსეთის თავადაზნაურულ არისტოკრატიას მისცეს ფართო გზა სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობისათვის. ამ შემთხვევაში შეიძლება რუსეთმა აიცილოს თავიდან მოსალოდნელი უბედურებანიო.

ლიბერალური აზრებით გამოირჩევა ალექსანდრეს აღმზრდელის ლაგარპის წერილი (ლაგარპი რუსეთში ისევ ჩამოვიდა 1801 წლის აგვისტოში და დარჩა 1802 წლის მაისამდე). ლა-

გარპი თავის მოწაფეს ურჩევს განსაკუთრებით და პირველ რიგში იზრუნოს ხალხის განათლებაზე, გამოიმუშავოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები. ლაგარპი მიუთითებს აგრეთვე მესამე წოდების მძიმე მდგომარეობაზე და ურჩევს ხელმწიფეს მის გათავისუფლებას თავადაზნაურობის უღლისაგან. არაა საჭირო ბატონყმობის გაუქმება ერთბაშად, მაგრამ საჭიროა ყმა გლეხობის ნელი, თანდათანობითი გათავისუფლება და სხვ.[1]

ამ პროექტებს ერთგვარი გავლენა ახალგაზრდა იმპერატორზე, ცარიზმის კურსზე XIX საუკ. პირველ წლებში უსათუოდ ჰქონდა. ალექსანდრე ანგარიშს უწევდა გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა რიგ გონივრულ მოსაზრებებს და პაველეს პოლიციური რეჟიმის საპირისპიროდ თავისუფალი აზრის ერთგვარ გასაქანს ჰქმნიდა.

შემთხვევითი არაა, რომ ამ დროს დაიბეჭდა რუსეთში რუსოს, ადამ სმიტის, ბეკარიას, ვოლტერის, ბენტამის, მონტესკიეს, რეინალის და სხვათა თარგმანები, გამოქვეყნდა რუს მოაზროვნეთა — ი. პ. პნინის, ა. ს. ყაისაროვის და სხვათა ორიგინალური თხზულებანი, რომლებიც მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ცვლილებებს მოითხოვდნენ, დაარსდა ჟურნალები „სევერნი ვესტნიკი", „ვესტნიკ ევროპი", „ლიცეი" და სხვები, რომლებიც მრავალ სერიოზულ საკითხებზე მსჯელობდნენ და საზოგადოებრივ აზრს ასახავდნენ.

1801 წლის 30 მარტის ალექსანდრეს ბრძანებით შეიქმნა უცვლელი საბჭო, რომელშიაც შევიდა იმპერატორის მიერ დანიშნული 12 პირი. საბჭო აღჭურვილი იქნა სათათბირო უფლებით. მას ეკისრებოდა მსჯელობა იმ კანონებზე, რომელთა განხორციელება დღის წესრიგში იდგა, იმპერატორისათვის რჩევა-დარიგება. უცვლელ საბჭოს ეს ფუნქციები სინამდვილეში არ შეუსრულებია. ახალგაზრდა იმპერატორმა სათათბირო დაწესებულებად გადააქცია სულ სხვა არაოფიციალური ორგანო. ეს იყო საიდუმლო კომიტეტი. უცვლელმა საბჭომ

---

[1] იხ. А. В. Предтеченский. Очерки общественно-политической истории России первой четверти XIX в. გვ. 63-89.

კი 1810 წლამდე იარსება, ისე რომ რაიმე მნიშვნელოვანი კვალი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში არ დაუტოვებია.

ინტიმური (საიდუმლო) კომიტეტის (ანუ არაოფიციალური კომიტეტისა, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ იმის გამო, რომ იგი ოფიციალურად შექმნილი დაწესებულება არ ყოფილა) საქმიანობა რუსეთის იმპერატორის მმართველობის პირველ წლებს განეკუთვნება. კომიტეტის პირველი შეკრება 1801 წლის ზაფხულში მოხდა, უკანასკნელი — 1803 წელს. ამ დაწესებულებას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ცარიზმის საშინაო პოლიტიკის განსაზღვრაში. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასზე უფრო დაწვრილებით შეჩერება.

საიდუმლო კომიტეტის წევრები სტროგანოვი, ნოვოსილცევი, კოჩუბეი, ჩარტორიისკი იმპერატორის ძველი მეგობრები იყვნენ. ჩარტორიისკი მოგვითხრობს, რომ იმპერატორს იგი 1797 წელს, პავლეს კორონაციის დროს დაუახლოვდა. კოჩუბეი ალექსანდრეს ბავშვობის ამხანაგი იყო, ნოვოსილცევი და სტროგანოვი ალექსანდრეს აგრეთვე პავლეს მეფობის წლებში დაუახლოვდნენ. სწორედ ამ დროს ალექსანდრე იზიარებდა დემოკრატიულ ტენდენციებს, ერთგვარად თანაუგრძნობდა კიდეც საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას. მოდური იდეებით გატაცებულმა ახალგაზრდებმა ადრევე იპოვეს საერთო ენა და ისინი ფარულად გაცხარებით მსჯელობდნენ რუსეთის მომავალ ბედზე, ამასთანავე ისეთ აზრებს ავითარებდნენ, რაც რუსეთის მმართველი რეაქციული ხროვის წინააღმდეგ იყო მიმართული. პავლეს პოლიციურ-დესპოტური რეჟიმის პირობებში ახალგაზრდობის ეს მეგობრული შეკრება-მსჯელობანი შეწყდა. სასახლის თავისებური ცხოვრება, სადაც ყველას ყოველთვის უთვალთვალებდნენ და ერთმანეთს დასმენაში ეცილებოდნენ, ახალგაზრდა მეგობრებს სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა. ზოგიერთმა მათგანმა ამჯობინა სავსებით გასცლოდა რუსეთს. მაგალითად, ნოვოსილცევი ინგლისს გაემგზავრა. კოჩუბეი — დრეზდენს, ჩარტორიისკი დანიშნულ იქნა ელჩად სარდინიაში. რუსეთში მხოლოდ სტროგანოვი დარჩა.

სახელმწიფო გადატრიალების ცნობამ იმპერატორის

ახალგაზრდა მეგობრებში აღძრა გულწრფელი სურვილი აქტიური მონაწილეობა მიეღოთ იმ გარდამქმნელ ღონისძიებებში, რომელსაც მათი ახლო მეგობარი ახალგაზრდა იმპერატორი აპირებდა. 1801 წლის 27 მარტს ვ. პ. კოჩუბეი წერდა ს. რ. ვორონცოვს დრეზდენიდან, რომ იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრება რუსეთში. ყველა კეთილშობილი ადამიანი ვალდებულია გაერთიანდეს ალექსანდრეს გარშემო, რათა მოაშუშოს ის მრავალი ჭრილობა, რომელიც სამშობლოს მისმა მამამ მიაყენაო.

სახელმწიფო საქმეებში ახლო მეგობრებთან თათბირის იდეა ალექსანდრეს სტროგანოვმა შთააგონა. ალექსანდრეს მართლაც სურდა ამ დროს გვერდით ჰყოლოდა გულწრფელი მრჩევლები. ვერც მარტის შეთქმულების მესვეურებს (იმისათვის რომ შეთქმულებასთან ალექსანდრეს რაიმე კავშირი არ გამომჟღავნებულიყო) და ვერც პავლეს დროს დაწინაურებულ მოხელეებს ალექსანდრე ვერ დაეყრდნობოდა.

1801 წლის ივნისში ინტიმური წრე უკვე შეკრული იყო. უცხოეთიდან გამოძახებულ იქნენ ნოვოსილცევი და ჩარტორიისკი. „ახალგაზრდა მეგობრებს“ ახლა უკვე სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ სახელმწიფო საკითხებისადმი. ის ახალგაზრდული გატაცებანი, ენთუზიაზმი და აზრთა უკიდურესობა, რაც პირველი შეხვედრისას ახასიათებდათ, უკვე ჩამქრალიყო. გაიარა ბასტილიისა და იაკობინურ უკიდურესობათა ეპოქამ. ახლა ევროპაში შექმნილი ვითარება, როცა რევოლუციის ჯარისკაცი ნაპოლეონი მონარქისტულ საფეხურზე მიაბიჯებდა, ხელს უწყობდა რუს არისტოკრატთა ლიბერალური განწყობილების შენელებას. მათ ახლა ჰქონდათ მეტი გამოცდილება, ბრწყინვალე განათლება და გამახვილებული კლასობრივი თვითშეგნება, თუმცა ინგლისურად აღზრდილებსა და იქაური წეს-ჩვეულების მოტრფიალეთ, აკლდათ თავისი ხალხის ცხოვრების, მისი გაჭირვებისა და ოცნებების გაგება.

საიდუმლო კომიტეტის პირველი სხდომა 1801 წლის 24 ივნისს შედგა. კომიტეტს, მიუხედავად მისი წევრების ცდისა, ბოლომდე არ ჰქონია მუშაობის მტკიცე შინაგანაწესი, საკითხების თანმიმდევრულად დამუშავებული წინასწარი გეგმა.

კომიტეტი ერთბაშად მოეკიდა რამდენიმე რთულ საქმეს. ერთბაშად დაიწყო ყველა იმ პროექტების შესწავლა-განხილვა, რომელიც მრავლად დაგროვდა ალექსანდრეს ტახტზე ასვლის პირველსავე დღეებში. კომიტეტში მსჯელობანი მიმდინარეობდა რუსეთის ადმინისტრაციის უვარგისი შენობის რეფორმაზე, იყო ყრუ მითითებანი კონსტიტუციის შემოღებაზე, გლეხთა განთავისუფლებაზე, მაგრამ რეალური შედეგი ამ მსჯელობებს არ მოჰყოლია.

ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანისათვის კარდინალურ საკითხზე მსჯელობისას ეს არისტოკრატული წრე ვერ ახერხებდა საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებამდე ამაღლებულიყო და ამა თუ იმ პროექტის შემუშავებისას თავადაზნაურული კლასის იდეოლოგიიდან გამოდიოდა. ინტიმური კომიტეტის საქმიანობის მაგალითზე ერთხელ კიდევ გამოჩნდა, რომ ცარიზმი საერთოდ უძლური იყო ხალხისათვის მიეცა რაიმე სერიოზული რეფორმა, თვით ყოფილიყო ქვეყნის გადემოკრატიულების, სოციალურად საჭირბოროტო საკითხების სწორი გადაწყვეტის ინიციატორი.

მიუხედავად ამისა, საიდუმლო კომიტეტის საქმიანობაში სასახლის რეაქციულმა არისტოკრატიამ დაინახა „იაკობინელთა ხროვა“, რომელიც თითქოს რუსეთს საფრანგეთის საშინელ ხვედრს უმზადებდა (მართალია, კომიტეტის საქმიანობა კონსპირაციულად დაიწყო, მაგრამ იგი მალე გახმაურდა).

საიდუმლო კომიტეტის რეკომენდაციით განხორციელებულ რეფორმათაგან ყურადღებას იქცევს პირველ რიგში სენატის უფლებების განსაზღვრა და სამინისტროების დაარსება რუსეთში.

სენატი ალექსანდრეს მეფობის დასაწყისში უფლება დაკარგული, ავტორიტეტ შელახული დაწესებულება იყო და სრულებითაც ვერ ახორციელებდა იმ ფუნქციებს, რომელიც პეტრე I დროს დაეკისრა. სენატს თავისი უფლება-მოვალეობის შესახებ მოხსენების წარმოდგენა დაევალა ჯერ კიდევ საიდუმლო კომიტეტის შეკრებამდე. კომიტეტის წინაშე თავი მოიყარა მრავალმა პროექტმა, რომელიც ამ დაწესებულების შემდგომ ბედს შეეხებოდა. საყურადღებო იყო ამ მხრივ ზავა-

დოვსკის მიერ წარდგენილი მოხსენება, ვორონცოვის, მორდვინოვის, დერჟავინის პროექტები. ზოგი მოითხოვდა ამ ორგანოს არჩევითობასაც კი. დერჟავინი, მაგალითად, სენატს აკისრებდა „უმაღლესი მთავრობის“ ფუნქციას; მას უნდა განეხორციელებინა საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სამოსამართლო და დაცვითი ხელისუფლება.

სენატის უფლებების ასეთი ზრდა, რაც ეკატერინეს ეპოქის უმაღლეს მოხელეთა ოცნებას წარმოადგენდა, სრულებითაც არ აწყობდა ალექსანდრეს. სენატში იგი საშიშ ოპოზიციას ხედავდა და, პირიქით, მისი უფლებების შეკვეცისაკენ მიისწრაფოდა, თუმცა არც ის სურდა, რომ პირველ ხანებში აბსოლუტური უფლებებისაკენ ასეთი სწრაფვა გამოეჩინა.

სენატის შესახებ ბოლოს და ბოლოს მიღწეულ იქნა შეთანხმება. იგი აღიარებულ იქნა როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული და სამოსამართლო ორგანო. მაგრამ ამ ფორმალური აღიარების ქვეშ მოხდა სენატის ფუნქციების მკაცრი რეგლამენტაცია. მის ადმინისტრატიულ ფუნქციაში, მაგალითად, შედიოდა მინისტრთა წლიური ანგარიშების განხილვა და რაიმე ბოროტმოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში იმპერატორისადმი მოხსენება. ეს ფუნქცია სენატს მალე წაერთვა იმიტომ, რომ ალექსანდრემ მასში თავისი პრეროგატივების შელახვა დაინახა. სენატს, როგორც კანონების დამცველს, უფლება ჰქონდა მეფისათვის წარედგინა თავისი თვალსაზრისი ზოგიერთი კანონის უვარგისობაზე. მაგრამ როცა 1803 წელს სენატმა მოისურვა ამ უფლების გამოყენება და სენატორმა სევერინ პოტოცკიმ იმპერატორს მოახსენა სენატის უარყოფითი დამოკიდებულება სამხედრო მინისტრის მოხსენებისადმი აზნაურთა სამხედრო სამსახურის ვადების შესახებ, ალექსანდრე, რომელსაც სამხედრო სამინისტროს მოხსენებაზე ხელი უკვე მოწერილი ქონდა, გააფთრდა. იგი სენატს დაემუქრა, რომ წაართმევდა მეფის საქმეებში ჩარევის უფლებას. მალე სენატს ეუწყა, რომ მისი უფლება წინააღმდეგობის გაწევისა ვრცელდება მხოლოდ იმ კანონებზე, რომლებიც მხოლოდ წინა მეფობის დროსაა გამოცემული. ამრიგად, სენატის ეს უფლებაც არარაობამდე იქნა დაყვანილი და სენატი ალექსანდრე პირვე-

ლის მთელს მეფობაში ისევ უუფლებო, მნიშვნელოვან ფუნქციებს მოკლებულ დაწესებულებად დარჩა.

1802 წლის 8 სექტემბერს სენატის უფლება-მოვალეობის შესახებ მანიფესტთან ერთად გამოიცა მანიფესტი სამინისტროთა შესახებ. ეს საკითხიც საიდუმლო კომიტეტში ადრევე დაისვა დღის წესრიგში. საქმე ისაა, რომ კოლეგიური მმართველობის ის სისტემა, რომელიც პეტრე I დააწესა, რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების პრაქტიკაში უკვე მოძველებული იყო. ერთმმართველობა ცენტრალურ ადმინისტრაციულ დაწესებულებებში უკვე მტკიცედ იწყებდა დამკვიდრებას. საჭირო იყო მხოლოდ ახალი წესებისათვის იურიდიული ფორმის მიცემა. კოლეგიების სამინისტროებად გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ კომიტეტის წევრებს ერთი მოსაზრება ჰქონდათ. მსჯელობას იწვევდა მხოლოდ ცალკეულ სამინისტროთა შორის დამოკიდებულებისა და სამინისტროების სენატთან დამოკიდებულების განსაზღვრა. საბოლოო მხარდაჭერა პოვა ადამ ჩარტორიისკის პროექტმა. 8 სექტემბრის მანიფესტით რუსეთში არსებობდა 8 სამინისტრო (საგარეო საქმეთა, სამხედრო-სახმელეთო საქმეთა, სამხედრო-საზღვაო საქმეთა, იუსტიციისა, შინაგან საქმეთა, ფინანსებისა, კომერციისა და სახალხო განათლებისა) სამინისტროებში შემოღებულ იქნა სრული ერთმმართველობა. ეკატერინეს დროინდელმა უმაღლესმა მოხელეებმა და საიდუმლო კომიტეტის წევრებმა ახალ სამინისტროებში საპასუხისმგებლო პოსტები მოიპოვეს. მაგალითად, კოჩუბეი დანიშნულ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრად, სტროგანოვი — მინისტრის ამხანაგად, ვორონცოვი საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო ჩარტორიისკი საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად, დერჟავინი იუსტიციის მინისტრად, და ა. შ.

საიდუმლო კომიტეტის გაკვრითი მსჯელობანი კონსტიტუციურ მმართველობაზე საიდუმლოდ დარჩა. რუსი ხალხისადმი უმაღლესი სიგელის ბოძების პირვანდელი გეგმები, რაშიაც წარმომადგენლობითი ხელისუფლების მსგავსი ღონისძიება იგულისხმებოდა, აგრეთვე განზე გადაიდო, ხოლო რადიშჩევის წინააღმდეგ, რომელსაც ხელისუფლების დეკლარაციის ტექსტის მომზადება დაევალა, თვით კომიტეტის წევრთა შორის

დაიწყო ცილისმწამებლური კამპანიები, რამაც დიდი რუსი განმანათლებელი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. რადიშჩევის შემდეგ, „რუსი ხალხისადმი სიგელის“ ტექსტზე ვორონცოვი მუშაობდა. მაგრამ მისი მეტად ზომიერი პროექტიც განზე გადაიდო, რადგან წამოიჭრა საკითხი ყველა წოდების— მათ შორის გლეხობის უფლებათა განსაზღვრის შესახებ. აქ კი თავი იჩინეს საკითხებმა, რომელთა ხელის ხლება იმპერატორის მეგობრებმა უდროოდ და საზიანოდ მიიჩნიეს.

X

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის შინაგანი კრიზისის პირობებში რუსეთის თვითმპყრობელობისათვის ერთერთ ყველაზე მტკივნეულს გლეხთა საკითხი წარმოადგენდა. ყმური შრომის დაბალი ნაყოფიერება, გლეხთა მზარდი უკმაყოფილება, შიში პუგაჩოვშჩინის წინაშე თვით თავადაზნაურულ წრეებში აყენებდა საკითხს გლეხთა მდგომარეობის მოგვარების აუცილებლობის შესახებ. ამიტომ შემთხვევითი რიდია, რომ XIX საუკ. პირველ წლებში განათლებულ თავადაზნაურულ წრეში დგებოდა და ახალგაზრდა იმპერატორის მისამართით იგზავნებოდა პროექტები, რომლებიც გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში ცვლილებებს ითვალისწინებდნენ.

საიდუმლო კომიტეტს თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე პორტფელში გლეხთა საკითხზე მრავალი ასეთი პროექტი ჰქონდა. იგი იმთავითვე შეუდგა ამ პროექტების შესწავლას.

ამ პროექტთა შორის ერთერთ მნიშვნელოვანს წარმოადგენდა გრაფ ნ. ს. მორდვინოვისა და ა. ბ. ფოკის პროექტი. ავტორები მიუთითებდნენ, რომ რუსეთში მოიპოვება სავსებით აუთვისებელი, დაუმუშავებელი ვეებერთელა მიწა-წყალი; შესაძლებელია ისინი მცირე შრომის დახარჯვის შედეგად შემოსავლისა და დიდი სიმდიდრის წყაროდ გადავაქციოთ. თუ აქამდე ამ დაუმუშავებელ სახაზინო მიწებს მთავრობა ჰყიდდა მხოლოდ თავადაზნაურობაზე, ამიერიდან აუცილებელია ასეთივე უფლება გავრცელდეს სხვა წოდებებზეც. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. პროექტით ცხადია, გამორიცხული იყო ასეთივე უფლების გავრცელება ყმურ მოსახლეო-

ბაზე. მორდვინოვ-ფოკის პროექტი ამასთანავე მიუთითებდა, რომ ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს მემამულისა და გლეხის დამოკიდებულებაში, რომ გლეხთა განთავისუფლება შეიძლება თვით თავადაზნაურთა ინიციატივით დაიწყოს.

მორდვინოვისა და ფოკის პროექტის განხილვა 1801 წლის ნოემბრიდან დაიწყო. ინტიმურ კომიტეტის წევრთა შორის ამ პროექტის გარშემო აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი. აღსანიშნავია, რომ იმპერატორი არა თუ მხარს უჭერდა მორდვინოვის წინადადებებს, არამედ სტროგანოვის სიტყვებით რომ ვოქვათ, უფრო შორსაც მიდიოდა და მოითხოვდა შესყიდვის უფლება არა მარტო დაუსახლებელ, არამედ დასახლებულ მიწებზეც გავრცელებულიყო. ამის პარალელურად კომიტეტში იდგა საკითხი გლეხთა უმიწოდ გაყიდვის აკრძალვის შესახებ. საიდუმლო კომიტეტის ზოგიერთი წევრი (კოჩუბეი, სტროგანოვი) შეაშინა ამ საკითხმა. ისინი მიუთითებდნენ თავადაზნაურობის უკმაყოფილებაზე, არისტოკრატიული ოპოზიციის ზრდის საშიშროებაზე. საიდუმლო კომიტეტმა ამ მეორე საკითხზე თავი შეიკავა.

1801 წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნებულ იქნა უქაზი, რომლითაც ვაჭრებს, მეშჩანებს და სახაზინო მცხოვრებთ უფლება ეძლეოდათ შეესყიდათ ის მიწები, რომლებიც ყმებით დასახლებული არ ყოფილა.. ეს იყო განვითარებადი ბურჟუაზიულ ურთიერთობისადმი მცირეოდენი დათმობის გამოვლინება. საკუთრების უფლება თავადაზნაურული წოდების გარდა ამიერიდან ვაჭარ-მოქალაქეებზეც ვრცელდებოდა, თუმცა ეს კანონი სრულებითაც არ იწვევდა თავადაზნაურობის წოდებრივი პრივილეგიების შელახვას.

საიდუმლო კომიტეტს ხელთ ქონდა აგრეთვე ვ. ზუბოვის პროექტი, რომელიც მემამულეების გლეხობისადმი დამოკიდებულების კრიტიკას შეიცავდა და ამ მხრივ მოითხოვდა ზოგიერთ ღონისძიებას, რომელსაც უფრო სრულყოფილი უნდა გაეხადა 1802 წლის 12 დეკემბრის კანონი. ზუბოვი, მაგალითად, მოითხოვდა სახელმწიფოს ანგარიშში გამოსყიდულიყო მემამულეთაგან შინამოსამსახურეები, ჩარიცხულიყო ისინი გილდიებში და ცეხებში და შემდგომში საერთოდ აკრძალულიყო

გლეხთა შინამოსამსახურეობაზე გადაყვანა. ზუბოვის წინადადებანი ინტიმურმა კომიტეტმა არ გაიზიარა.

1802 წლის ნოემბერში ს. პ. რუმიანცევმა ალექსანდრეს გაუგზავნა ცნობილი წერილი რუსეთში თავისუფალ მიწათმოქმედთა წოდების შექმნის შესახებ. 1801 წ. 12 დეკემბრის უქაზი რუმიანცევს მიაჩნდა აგრარულ-საგლეხო რეფორმის პირველ ნაბიჯად და წინადადებას აყენებდა რუსეთში მონობის მოსასპობად შემდგომი ნაბიჯებიც გადადგმულიყო. იგი თვლიდა, რომ ყმების გათავისუფლება მომწიფებულია რუსეთში, ზოგიერთი მემამულე მისთვის უფრო სასარგებლოდ თვლის ყმას თავისუფლება მისცეს, ნება დართოს გამოისყიდოს თავისი თავი. სახელმწიფო არა თუ წინააღმდეგი უნდა იყოს ამ პროცესისა, არამედ, პირიქით, დააკანონოს იგი. მემამულემ ყმას, თუ იგი თავს გამოისყიდის, უნდა გამოუყოს მიწის ნაკვეთი პირად ან თემურ სარგებლობაში. გლეხობა რომ წავახალისოთ მემამულესთან ასეთი გარიგებისათვის, უნდა შეექმნათ განსაკუთრებული წოდება „განთავისუფლებული გლეხებისა", რომლებიც თავიანთ თავისუფლებაში გარანტირებულნი იქნებიან. ამასთანავე ყოველგვარი განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მიწიანადო.

რუმიანცევის ეს პროექტი განსახილველად შეტანილ იქნა აგრეთვე უცვლელ საბჭოში, სადაც იგი საკმაოდ „შეალამაზეს" მემამულეთა სასარგებლოდ. მხოლოდ ამის შემდეგ 1803 წლის 20 თებერვალს გამოიცა უქაზი ე. წ. „თავისუფალ მიწათმოქმედთა შესახებ". ახალი კანონით მემამულეს უფლება ეძლეოდა წინასწარი შეთანხმების შემდეგ გამოსყიდვის საფუძველზე გაეთავისუფლებინა ყმა მიწით, რომელიც შემდეგ „თავისუფალი მიწათმოქმედების" თანრიგში გადაირიცხებოდა. ის ორმაგი შეთანხმება, რომელსაც კანონი ითვალისწინებდა გათავისუფლების შემთხვევაში, ცხადია, მემამულის სასარგებლოდ ხორციელდებოდა. მემამულე ისეთ პირობებს აყენებდა როგორიც თვითონ სურდა. ამასთანავე „გათავისუფლებული" ყმა ამიერიდან იხდიდა რიგ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. ყმებთან ერთად იგი იხდიდა სულადობრივ გადასახადს,

სარეკრუტო და საერობო ვალდებულებებს ასრულებდა სახაზინო გლეხების თანაბრად. კანონს მალე მოჰყვა შინაგან საქმეთა მინისტრის კოჩუბეის ახსნა-განმარტება, რომ იგი (კანონი) მემამულეს საშუალებას აძლევს ხელსაყრელ ფასებში გაჰყიდოს მიწა თავისსავე გლეხებზე, რომ ყმური ურთიერთობა ძალაში რჩება ისევე, როგორც აქამდე იყო და სხვ.

ამ უქაზის რეალური შედეგები არარაობა გამოდგა, რადგან ძალზე ცოტა მემამულე აღმოჩნდა მსურველი „გლეხთა გათავისუფლებისა". პროფ. სემეევსკიმ დაახლოებით გამოთვალა გარიგებანი, რომელიც ამ უქაზს მოჰყვა ალექსანდრე I დროს. 47,153 სული თავისუფალი მიწათმოქმედი, ანუ იმპერიის მთელი ყმური მოსახლეობის ნახევარი პროცენტი, — ასეთი იყო შედეგი.

ამ უქაზის შემდეგ თავადი როსტოპჩინი პავლე ციციანოვს წერდა: „გლეხებს მაინც არავინ არ ათავისუფლებს, რადგან ისინი (გლეხები) უძლურნი არიან გადაიხადონ ფულიო". მიუხედავად ამისა, უქაზით თავადაზნაურობამ შეურაცყოფილად იგრძნო თავი. მღელვარებამ მოიცვა გაბატონებული კლასი. იმავე როსტოპჩინი ციციანოვს აღუწერდა იმ მღელვარე დღეებს, რომლებიც ამ უქაზს მოჰყვა მოსკოვში. ე. რ. ვორონცოვი, მაგალითად, თვლიდა, რომ ამ უქაზს შეიძლება მოჰყვეს მთელი იმპერიისათვის დამღუპველი შედეგებიო.

ეს იყო და ეს. ამაზე შორს გლეხთა საკითხში ინტიმური კომიტეტი და მისი წამმართველი ალექსანდრე I არ წასულა. მიუხედავად იმისა, რომ განათლებულ ანგლომანებს შეიძლება მშვენივრადაც ესმოდათ ყმურ შრომასთან შედარებით ნებით დამქირავებელი შრომის უპირატესობა, რეალური ნაბიჯები ვერ გადაიდგა. ახალგაზრდა მეგობრებს ეშინოდათ რეაქციული თავადაზნაურობის იმ მძლავრი ჯგუფისა, რომელიც მთელი არსებით ყმურ შრომასთან იყო დაკავშირებული. ისინი ყოველი ლიბერალური ფრაზის წარმოთქმისას შიშით აქეთ-იქეთ იყურებოდნენ, მიუხედავად ამისა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უკიდურეს მეამბოხეთა მეტსახელი ჰქონდათ შერქმეული.

შემდეგი პროექტები გლეხთა საკითხზე საიდუმლო კომიტეტში არც კი განხილულა. იმპერატორი თანდათან როლში შედიოდა. იგი უფრო და უფრო ნაკლებ უწევდა ანგარიშს სიყრმის მეგობრებს. მათდამი ვალდებულება მოხდილი იყო იმით, რომ ახლა თითოეულ მათგანს საპასუხისმგებლო პოსტი ეჭირა. სახელმწიფო აპარატი ჩვეულებრივ ბიუროკრატიული გზით მიემართებოდა, ხოლო იმპერატორის პირადი სიმპათია— ანტიპათია სწრაფად იცვლებოდა. ასეთ კითარებაში ინტიმური კომიტეტის წევრთა წინანდელი მხურვალე დამოკიდებულება თანდათანობით ცივდებოდა და ოფიციალურ ხასიათს იღებდა. კომიტეტის უკანასკნელი სხდომა 1803 წლის ბოლოს შედგა.

საიდუმლო კომიტეტმა აქტიური როლი ითამაშა იმ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რომელიც რუსეთში XIX საუკუნის პირველ ათწლეულში განხორციელდა.

რუსეთის თანდათანობითი ბურჟუაზიული განვითარება. ევროპული ცხოვრების ორბიტში ჩართვა, სახელმწიფოს მზარდი ბიუროკრატიული აპარატი ახალ-ახალ კადრებს საჭიროებდა, რომლის მოცემა მაშინდელ განათლების ქსელს არ შეეძლო. თვით ცხოვრებამ, მისმა მზარდმა პრაქტიკულმა მოთხოვნებმა კულტურულად მეტისმეტად ჩამორჩენილ რუსეთში გადაუდებელ ამოცანად დააყენეს საგანგებო ზრუნვა სწავლა-განათლების ქსელის გასაფართოებლად.

ერთერთ პირველი რიგის მნიშვნელოვან ღონისძიებად ამ მხრივ განათლების სამინისტროს შექმნა წარმოადგენდა. ახალმა სამინისტრომ ენერგიულად მოჰკიდა ხელი იმ ღონისძიებათა გატარებას, რომელსაც ადრევე აყენებდნენ თავიანთ პროექტში ლაგარპი და სხვები.

1803 წლის 24 იანვარს დამტკიცდა ახალი დებულება სასწავლო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ. დებულების თანახმად რუსეთი 6 სასწავლო ოლქად დაიყო, თითოეულ ოლქს სათავეში ჩაუდგა პოპეჩიტელი (მზრუნველი) სასწავლო დაწესებულებანი 4 თანრიგად დანაწილდა; სამრევლო, სამაზრო, საგუბერნიო (გიმნაზიები) და უნივერსიტეტი. ყველა ეს საფეხურები ერთი მთლიანი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწი-

ლები უნდა ყოფილიყვნენ. თითოეულ სასწავლო ოლქში განათლების ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა უნივერსიტეტს.

XIX საუკუნეში, როგორც ცნობილია, რუსეთს შემოჰყვა ერთი უნივერსიტეტი — მოსკოვისა (დაარსდა 1755 წელს). ახალმა ხელისუფლებამ ამ მხრივ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. 1802 წელს დაარსდა დერპტის უნივერსიტეტი, 1803 წელს — ვილნოსი, 1804 წელს — ყაზანისა და ხარკოვისა, გაიხსნა პეტერბურგის პედაგოგიური ინსტიტუტი, 1811 წელს შეიქმნა ცარსკოე სელოს ლიცეუმი, 1819 წელს პეტერბურგის პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად.

უნივერსიტეტებმა ე. წ. ავტონომია მიიღეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლება უნივერსიტეტის შინა ცხოვრებაში ფორმალურად არ ერეოდა. უნივერსიტეტების ხელმძღვანელი ორგანოები (რექტორი, დეკანები, პროფესორთა საბჭო) არჩევით პრინციპზე ჩამოყალიბდა. უნივერსიტეტებში შეიქმნა სასამართლო, რომელიც განაგებდა სტუდენტთა და პროფესორთა საქმეებს.

უნივერსიტეტების საქმიანობაში ავტონომიური მდგომარეობა დიდ პროგრესულ როლს ასრულებდა, თუმცა, შემდეგ დავინახავთ, რომ მთავრობა უმეტეს შემთხვევაში ავტონომიას ან უხეშად არღვევდა, ან სრულიად აუქმებდა.

მნიშვნელოვანი პროგრესული ღონისძიებანი გატარდა ცენზურის დარგში. ცენზურის მხრივ რუსეთში მანამ საერთოდ არ არსებობდა რაიმე დებულება და ამა თუ იმ გამოცემათა ბედი მთლიანად ადმინისტრაციის თვითნებობაზე იყო დამოკიდებული.

1804 წ. გამოცემული საცენზურო წესდება აწესებდა საერთო წესს ყველა გამომცემლობის სახელმძღვანელოდ. წინასწარ ცენზურას გადიოდა დასაბეჭდად წარდგენილი ყველა ხელნაწერი, მაგრამ მკაცრი შეზღუდვის გარეშე.

განათლების დარგში გატარებულმა ღონისძიებებმა და ახალმა საცენზურო წესდებამ რუსეთის კულტურის აღმავლობისათვის ერთგვარი სამსახური გასწიეს, მაგრამ საქმეს ეს რო-

დი შველოდა. რუსეთის მასების დიდი უმრავლესობა ისევ იხრ-ჩობოდა სიბნელესა და უვიცობაში, რაც ცარიზმის რეაქციულ-ლი საშინაო პოლიტიკის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ საიდუმლო კომიტეტი დიდი ენთუზიაზ-მით შეუდგა რუსეთის უვარგისი ადმინისტრაციული შენობის გარდაქმნას, მაგრამ შედეგები მეტად საეალალო აღმოჩნდა. საიდუმლო კომიტეტის წამოწყებათა კრახის ძირითადი მიზე-ზი XIX საუკ. პირველი ათწლეულის საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობაში უნდა ვეძიოთ. მართალია საიდუმლო კომიტე-ტი და პირადად ალექსანდრე ყურადღებით მოეკიდნენ იმ გავ-ლენიან წრეებს, რომლებიც რეფორმებს მოითხოვდნენ, მაგ-რამ ერთსაც და მეორესაც აკლდათ თანმიმდევრობა, სიმტკიცე, გაბედულება. ისინი შიშით ცახცახებდნენ მასების წინაშე, დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ რაიმე მნიშვნელოვანი სო-ციალური ღონისძიება მასების გამოსვლას გამოიწვევდა და კითხვის წინაშე დააყენებდა მთელ სისტემას. ეს მერყეობა სო-ციალურ-პოლიტიკური საკითხების დარგში განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა საგლეხო საკითხებში, სადაც საიდუმლო კომიტეტმა ვერ გადადგა ვერცერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

საიდუმლო კომიტეტის საქმიანობამ გვაჩვენა, რომ ცარიზ-მი უძლური იყო სერიოზული რეფორმები ჩაეტარებინა. მთავ-რობის ამ მერყეობისათვის ბოლოს მოღება შეეძლო თვით ხალხთა მასებს, მაგრამ ამ დროს მასობრივი მოძრაობა სუსტი იყო, იგი სპორადულ, სტიქიურ ხასიათს ატარებდა, არ გამოირ-ჩეოდა პროგრამის გამოკვეთილობით, ორგანიზებულობითა და აღმავლობით. ამ ეპოქაში და შემდეგაც, ბევრი რამ დამოკი-დებული იყო საზოგადოებრივი წნევის სიმძლავრეზე. რამდე-ნადაც მეტი იყო იგი, მთავრობა რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად მეტ დათმობებზეც მიდიოდა.

საიდუმლო კომიტეტის ინიციატივით გატარებულმა ზო-გიერთმა ღონისძიებებმა ვერ დასტოვეს ღრმა კვალი. ეს იყო მხოლოდ ფასადის შეთეთრება საფუძვლებშერყეული შენობი-სა, ბატონყმურ-ფეოდალური სისტემა ხელშეუხებელი დარჩა. რეფორმათა ზერელე ხასიათი მალე ცნობილი გახდა. კრიზისი

ვერ აღმოიფხვრა, იგი თანდათან უფრო ძლიერდებოდა. ამასთანავე შთავრობა თანდათან ხელს იღებდა რეფორმებზე და რეპრესიებს აძლიერებდა.

საიდუმლო კომიტეტში მერყეობა და ეჭვები გარდამქმნელ ღონისძიებათა წარმატებებისადმი ადრევე დაიბადა. მაგრამ პირველ ხანებში ეს წრე მაინც სიცოცხლისუნარიანი ჩანდა, სისტემატურად იკრიბებოდა და შეთანხმებასაც პოულობდა. იგი რეგულარულად მართავდა სხდომებს 1801 წ. ივნისიდან 1802 წლის მაისამდე. ამის შემდეგ კომიტეტის შეკრებანი დიდი ხნით შეწყდა, მხოლოდ 1803 წლის ოქტომბერში კვლავ შეიკრიბნენ მისი წევრები. მაგრამ სულ რაღაც 3-4 სხდომა შესდგა და საბოლოოდ დასრულდა მისი არსებობა. 1803 წლის ნოემბრიდან სწყდება კომიტეტის მდივნის სტროგანოვის ჩანაწერები, რაც ისტორიკოსებისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საიდუმლო კომიტეტის მთელი მოღვაწეობის გასარკვევად.

საქართველოს რუსეთთან შეერთება

პავლე პირველის დესპოტიზმის დაცემის ერთერთი მიზეზი მდგომარეობდა საგარეო ურთიერთობაში აღებულ იმ უსწორო კურსში, რომელიც რუსეთის თავადაზნაურობას ძალზე აწუხებდა. ახალი იმპერატორი მამისეულ შეცდომის გამოსწორებას დაუყოვნებლივ შეუდგა. ამ დროს ფორმალურად რუსეთი ინგლისთან საომარ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა და მეგობრული კავშირის აქტი საფრანგეთთან გაფორმებული არ ყოფილა. ეს კიდევ მეტ გაურკვევლობას და დაძაბულობას ქმნიდა. ალექსანდრეს მოუხდა გარკვეულობისა და სიცხადის შეტანა ორ დიდ ქვეყანასთან ურთიერთობაში.

1801 წლის 12 მარტს გაიცა ბრძანება ინდოეთისაკენ კაზაკთა პოლკების ლაშქრობის შეწყვეტის შესახებ. ლონდონს სასწრაფოდ გაიგზავნა დიპლომატიური კურიერი რუსეთის ყოფილ ელჩ ვორონცოვთან, რომელიც ახლა იქ როგორც კერძო პირი ცხოვრობდა და დაევალა მას ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკება მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობის აღ-

დგენის შესახებ. ამასთან გაუქმებულ იქნა პავლეს ბიერ ინგლისურ საქონელზე დადებული ემბარგო, ალექსანდრემ უარი თქვა მიეღო მალტის ორდენის მაგისტრობა. ინგლისის მმართველ წრეებს აწუხებდათ რუსეთის მონაწილეობა ე. წ. შეიარაღებულ ნეიტრალიტეტში. მათ რუსეთთან მოლაპარაკებისას პირობად წამოაყენეს ამ ნეიტრალიტეტის გაუქმება. მოლაპარაკება მიმდინარეობდა პეტერბურგში. 5 ივნისს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ურთიერთმეგობრობის შესახებ.

ინგლის-რუსეთის კონვენციას მეგობრობის შესახებ ძალე მოჰყვა (1803 წ. 26 სექტემბერს) საფრანგეთ-რუსეთის ზავი და აგრეთვე ფარული კონვენცია. ნაპოლეონმა მიიღო რუსეთის შუამდგომლობა საფრანგეთსა და თურქეთის კონფლიქტის მოგვარებაში. გადაწყდა, რომ ნაპოლეონიც და ალექსანდრეც ავსტრიასთან და იტალიასთან ურთიერთობას წინასწარი მოლაპარაკების შედეგად წარმართავდნენ.

ევროპაში სიმშვიდე ჩამოვარდა. რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობაც თითქოს განმტკიცდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი შესვენება იმ ქარიშხლების წინ, რაც ევროპაში XIX საუკ. დამდეგიდან დაიწყო და მანამ მძვინვარებდა, ვიდრე „კორსიკელ ვეშაპს“ არ დააკარგვინეს ევროპის მთლიანი გადაყლაპვის ძადა. ამაზე ქვევით. ახლა კი ყურადღება მივაქციოთ რუსეთის ერთ საყურადღებო აქტს სამხრეთში. მხედველობაში მაქვს რუსული მმართველობის დაძკვიდრება საქართველოსა და კავკასიაში.

ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი მეცნიერული ინტერესის შემცველი და პოლიტიკურად აქტუალურია, დღემდე ჯეროვნად არაა შესწავლილი. აქამდე არ მოგვეპოვება განმაზოგადებელი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც შუქს მოფენდა ქართველი ხალხის ისტორიულ ბედში ამ უდიდესი აქტის დადებითს. თუ უარყოფით მხარეს, ახსნიდა ამ აქტის მიზეზებსა და მნიშვნელობას.

აქ შეუძლებელია საკითხზე ვრცელი მსჯელობა. ჩვენ მას შევეხებით რუსეთის საგარეო პოლიტიკის შეფასების თვალ-

საზრისით და შევეცდებით გავამახვილოთ ყურადღება აქამდე გამოთქმულ ზოგ სადაო მოსაზრებაზე.

საქართველოში რუსეთის დამკვიდრება, რომელიც 1801 წელს მოხდა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა.

ჯერ კიდევ მოსკოვის ცენტრალიზებულ სახელმწიფოს აღმოცენებისა და განმტკიცების ეპოქაში დაისვა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ზღვებზე რუსეთის გასვლის საკითხი, რაც შემდგომში, რუსეთის გაძლიერებასთან ერთად, თანდათან იქცეოდა მისი საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხად. ბალტიის ზღვაზე გასვლის პრობლემა წარმატებით გადაიჭრა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. შავსა და კასპიის ზღვებზე დამკვიდრება კი, რუსეთის მხრივ რამდენიმე ცდის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა.

მთავარ დაბრკოლებას რუსეთის სამხრეთით წინსვლის გზაზე წარმოადგენდნენ ირანი და თურქეთი. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე დაუძლურების გზაზე იდგა და შინაგანი შფოთის ვითარებაში მყოფი, თითქმის აღარ წარმოადგენდა სერიოზულ ძალას რუსეთის წინსვლის შესაჩერებლად. სამაგიეროდ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ოსმალეთის იმპერია, რომელსაც ამ დროს მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული ეპყრა, კავკასიაში მძლავრად ფეხმოკიდებული იყო და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზეც ბატონობდა.

შავ ზღვაზე მტკიცედ დამკვიდრების, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლისა და დარდანელის — დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ამ ოქროს ხიდის — ხელში ჩაგდების საკითხი XVIII საუკ. მეორე ნახევრიდან რუსეთის შემტევი საგარეო პოლიტიკის მთავარ პრობლემად ხდება. ძირითადი მოწინააღმდეგე, რომელიც რუსეთს ამ პრობლემის განსახორციელებლად უნდა დაეძლია, იყო თურქეთი. თურქეთის პოზიციებს საკუთარ ძლიერებასთან ერთად ამტკიცებდა მხარდაჭერა რიგი ევროპული სახელმწიფოებისა, რომელთაც ერთის მხრივ თურქეთისადმი საკუთარი კოლონიური და მეორეს მხრივ რუსეთის ტერიტორიული შეზღუდვის ინტერესები ამოქმედებდათ.

რუსეთის მმართველი ზედაფენა ამ პრობლემის განხორციელებისათვის ბრძოლაში მიმართავდა ერთის მხრივ პირდაპირ შეტევებს თურქეთზე (1768 — 1774 წლებისა და 1789—1791 წლების ომები), მეორეს მხრივ ეძებდა მოსახერხებელ სტრატეგიულ პოზიციებს, რომლებიც მას ირანზე და ოსმალეთზე შემდგომი შეტევისათვის და ახლო აღმოსავლეთში მტკიცედ დამკვიდრებისათვის გამოადგებოდა. ასეთს, რუსეთისათვის მართლაც ყველაზე მოსახერხებელ პოზიციებს, ბალკანეთი და კავკასია წარმოადგენდნენ.

ბალკანეთის ნახევარკუნძული, როგორც ცნობილია, სლავური მოდგმის ხალხებით იყო დასახლებული (ბულგარები, სერბები, ხორვატები, სლოვაკები, ჩერნოგორელები) ყველა ისინი თურქული დესპოტიზმის უღელქვეშ იტანჯებოდნენ და ეწეოდნენ შეუპოვარ ბრძოლას თურქი ასიმილატორების წინააღმდეგ. ბალკანეთის სლავებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა რუსეთის ინტერესებს უპასუხებდა. იგი დიდად თანაუგრძნობდა ამ ბრძოლას, არ აკლებდა მას დახმარებას შესაძლებლობის ფარგლებში, ამასთანავე მის მიერ გაწეულ დახმარებას მომძე სლავი ხალხებისადმი თანაგრძნობისა და მეგობრობის რომანტიკულ ტახსაცმელში ხვევდა. ცარიზმის ეს ღონისძიებანი, როგორც ჩვენ შემდგომში დავინახეთ, ობიექტურად მართლაც დიდ როლს თამაშობდნენ ეროვნულ ჩაგვრისაგან სამხრეთ სლავების განთავისუფლებაში და ამდენად პროგრესულ ღონისძიებას წარმოადგენენ, მაგრამ ცარიზმის სუბიექტური მიზანდასახულობა, როცა იგი სლავ თანამოძმეებს თავს ევლებოდა, იმაში მდგომარეობდა, რომ გაბატონებულიყო ბალკანეთში, მტკიცედ მიებჯინა ფეხი ბოსფორისა და დარდანელისათვის. ამავე დროს, გადაეღობა გზები ავსტრიისათვის, რომელიც აღმოსავლეთის საკითხში რუსეთის ერთერთ მძლავრ მოქიშპეს წარმოადგენდა.

მეორე სტრატეგიული პოზიცია — კავკასია, ბალკანეთზე არანაკლებად მოხერხებული და სასარგებლო ჩანდა რუსეთისათვის. კავკასია — ეს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინი, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთო-

ბის უმოკლესი და ყველაზე ხელსაყრელი გზა, ამავე დროს პირდაპირ ებჯინებოდა თურქეთს ჩრდილოეთის და ირანს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. კავკასიონის ქედის გადალმა დამკვიდრება რუსეთისათვის მოასწავებდა ახლო აღმოსავლეთში დიდ სტრატეგიულ უპირატესობას ევროპის იმ სახელმწიფოებთან შედარებით, რომლებიც ამ დროს ირან-ოსმალეთის საქმეებში თანდათან იწყებდნენ ჩარევას და მათ რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ. კავკასიაში დამკვიდრება ნიშნავდა აგრეთვე თურქეთის მუსლიმანური სამყაროს საგრძნობ შეზღუდვას, მისგან ჩრდილოეთ კავკასიის ერთმორწმუნე ხალხების ჩამოცილებას. სტრატეგიულ ხელსაყრელობასთან ერთად კავკასია რუსეთს ესახებოდა როგორც ერთერთი მდიდარი კოლონიური შენაძენი, დიდი სიმდიდრის ქვეყანა, აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობა-აღებმიცემობის მოხერხებული გზაჯვარედინი.

ეს მიზანდასახულობანი წარმოადგენენ კავკასიის მიმართ რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსის საფუძველს. რუსეთის მმართველ ზედაფენას წარმატება ამ მიმართულებითაც უეჭველი ეჩვენებოდა, რადგან კავკასიაში ერთადერთი შემორჩენილი დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეული — საქართველო — რუსეთისათვის კავკასიაში ფეხმოკიდების გზას თვით წალდავდა.

რა ვითარება აიძულებდათ საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ მესვეურებს თვით ეძიათ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შემზღუდველი გარეშე ძალა?

როგორც ცნობილია, XIII საუკუნეში საქართველო დაიპყრეს მონღოლებმა, რომლებმაც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე იბატონეს და განუწყვეტელი თარეშითა და ძარცვა-რბევით საქართველოს ეკონომიური ცხოვრება, პოლიტიკური სიმტკიცე და კულტურული დონე დააქვეითეს. თათარ-მონღოლთა დასუსტებისა და დაცემის შემდეგ, XV საუკუნიდან ვითარება, არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად კავკასიის ხალხებისათვის მეტისმეტად გართულდა: სამხრეთ-დასავლეთით დამკვიდრდნენ ოსმალო-თურქები, რომლებმაც ჩაჰ-

კეტეს გარეშე კულტურულ სამყაროსთან ამიერკავკასიის ურთიერთობის გზები და იგი აგრესიის რეალური საშიშროების წინაშე დააყენეს. ამავე პერიოდში ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაძლიერდა ირანი, რომელსაც აზერბაიჯანისა და სომხეთის მიწა-წყლის მიტაცების შემდეგ მახვილი უშუალოდ საქართველოზე ჰქონდა მიბჯენილი. საქართველო. ჯერ ერთი, წარმოადგენდა ირანსა და ოსმალეთს შორის ატეხილი დაუსრულებელი ომების ასპარეზს, რასაც თან ახლდა ქვეყნის აოხრება — გაპარტახება, მეორეც — თითოეული მათგანის ცალკე გამუდმებული თავდასხმების საგანს. ირანისა და თურქეთის მმართველი წრეები საქართველოს თვლიდნენ მდიდარ, სტრატეგიულად ხელსაყრელ ქვეყნად და გააფთრებული მიისწრაფოდნენ მისი დაპყრობა-დამონებისათვის. მოიკიდებდნენ თუ არა ფეხს საქართველოს ტერიტორიაზე. თურქი და ირანელი დამპყრობნი აოხრებდნენ და აპარტახებდნენ ქვეყანას, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ მაჰმადის სჯულს, ასახლებდნენ აქ თურქმანებს იმ მიზნით, რომ ქართველი ხალხის ასიმილაცია მოეხდინათ, ამოეძირკვათ მისი ვინაობა და საბოლოოდ შემოემტკიცებინათ ეს ტერიტორია.

ამ გამუდმებული ომების ვითარებაში საქართველოს შინაგანი სისუსტე მატულობდა. კიდევ უფრო ძლიერდებოდა ის პოლიტიკური დაშლა-დაქუცმაცება, ეკონომიური განკერძოება, რაც ჯერ კიდევ მონღოლთა ბატონობის ხანაში დაიწყო. ბატონყმობის ნიადაგზე აღმოცენებულმა სათავადოების სისტემამ საქართველოს პოლიტიკური სხეული დაანაწევრა.

ქართველი ხალხი გასაოცარი სიმტკიცითა და მამაცობით იცავდა თავს და დიდი მსხვერპლის ფასად ახერხებდა კიდეც პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, მაგრამ ის დიდი საგარეო საფრთხე, ოსმალეთისა და ირანის მოძალებით რომ შეიქმნა, თანდათან იზრდებოდა და ქართველებისათვის საკუთარი ძალებით ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობას აღემატებოდა. ოსმალო დამპყრობლებმა მიიტაცეს კიდეც საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ირანელი დამპყრობლები დათარეშობდნენ ქართლში და კახეთში, აოხრებდნენ ქვეყანას, მოსახლეობას იძულებით ჰყრიდნენ, სამხრეთისაკენ მიერეკებოდნენ, ქართულ მიწაზე ყიზილბაშებს ასახლებდნენ და სხვ.

ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც საქართველო მეზობელ დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდა, აუცილებელს წარმოადგენდა ძლიერი მოკავშირე, რომელსაც შეეძლებოდა ერის მფარველობაში აყვანა, მისთვის მხარდაჭერა.

ასეთ ძალად საქართველოს პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, დასავლეთში იმედგაცრუების შემდეგ, მიიჩნიეს მოსკოვის სახელმწიფო, რომელიც ამ დროს საკმაოდ მძლავრ ცენტრალიზებულ ქვეყანას წარმოადგენდა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას გააჩნდა ერთგვარი ტრადიციები. XI—XII საუკუნეებში საქართველოსა და კიევის რუსეთს შორის არსებობდა პოლიტიკური ეკონომიური, კულტურული თანამშრომლობა, რაც შავი ზღვით ხორციელდებოდა. ეს კავშირი შეწყდა მონღოლთა ბატონობის პერიოდში, მაგრამ მონღოლთა უღლის დამხობის შემდეგ, მოსკოვის სახელმწიფოს მზარდი ძლიერება და მისი სწრაფვა სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ ჰქმნიდა ძველი ურთიერთობის აღდგენის და გაცხოველების პირობებს. ამ დროს ხომ მოსკოვის სახელმწიფოს ინტერესები, როგორც ზევით აღვნიშნეთ სამხრეთით ირან-ოსმალეთის ინტერესებს უპირისპირდებოდა.

რუსეთთან ურთიერთობის პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა 1491 წელს კახთა მეფის, ალექსანდრე გიორგის ძის მიერ ელჩების გაგზავნა მოსკოვს დიდ მთავარ ივანე მესამესთან. საგანგებო ელჩები აახლა მოსკოვის მეფე ივანე IV-ს. აგრეთვე ლევან კახთა მეფემ, რომელიც მე-16 საუკ. შუა წლებში მოღვაწეობდა. 1564 წელს ივანე IV მფარველობა შესთავაზა ლევანს და მას მეციხოვნე ჯარი ათხოვა. მოსკოვთან ურთიერთობა შემდგომ წლებში კიდევ უფრო ცხოველი გახდა. ქართველი პოლიტიკოსები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ მოსკოვში თურქეთ-ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიას მნიშვნელოვან

როლს აკუთვნებდნენ და დაინტერესებული იყვნენ მასთან მეგობრული ურთიერთობით. 1587 წ. ალექსანდრე კახთა მეფემ მიიღო მოსკოვის ხელმწიფის ერთგულების ფიცი. ალექსანდრეს მოუვიდა მოსკოვის ხელმწიფის წყალობის სიგელი.

მომდევნო საუკუნეებში ოსმალურ-ირანული აგრესიის გაძლიერებასთან ერთად მწიფდებოდა რუსეთის მფარველობის აზრიც. კლასობრივ სახელმწიფოში ერთის მიერ მეორისათვის მფარველობის თხოვნა ნიშნავს გარკვეულ მსხვერპლს ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმეში, რადგან ასეთი მფარველობა ძლიერის მხრივ ხორციელდება არა კაცთმოყვარული ინტერესებით, არამედ გარკვეული პოლიტიკური ანგარიშით. შეუძლებელია დავუშვათ, რომ დიპლომატიაში დახელოვნებულ ქართველ პოლიტიკურ მესვეურებს ეს არ სცოდნოდათ. ისიც ფაქტია, რომ რუსეთის მფარველობაზე საქართველოს მიერ აღებული გეზი დიდ შეშფოთებას იწვევდა ირან-ოსმალეთის მმართველ წრეებში, რომელთაც ძლიერი მტრის კავკასიაში გაბატონების საფრთხე თვალწინ ედგათ. ამიტომ იყო, რომ ირანიც და ოსმალეთიც მეტი გააფთრებით უტევდნენ საქართველოს და ლამობდნენ მის სავსებით ამოძირკვას მანამ, ვიდრე კავკასიაში რუსეთი გაბატონებას მოასწრებდა. ამრიგად, მოსკოვთან ურთიერთობა ამ მხრითაც დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. მაგრამ იგი მაინც ჩანდა როგორც უკეთესი გამოსავალი იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რომელმაც XVII საუკუნეში განსაკუთრებით რეალური ხასიათი მიიღო. ამიტომ საქართველოს მხრივ ასეთი მფარველობისკენ მისწრაფება თანდათან ცხოველდებოდა, ხოლო მოსკოვის სახელმწიფო მას იმდენად სვამდა დღის წესრიგში და ისეთ ნაბიჯებს დგამდა, რამდენადაც იგი ახლო აღმოსავლეთში მის კონკრეტულ გეგმებს და შესაძლებლობას უპასუხებდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გაცხოველდა, ხოლო ამავე საუკუნის სამოციანი წლების მიწურულში შეიქმნა ვითარება, როცა საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა მიზანი განხორციელების წინაშე დადგა. რუსეთმა 1768 წელს წამოიწყო ომი თურქეთთან. რუსეთმა თურქეთის ძალების დაქსაქსვის, მისი ჯარების გარ-

კვეული ნაწილის საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაბანდებისა და დუნაის ცენტრალური ფრონტის განტვირთვის მიზნით საქართველოში გამოგზავნა ჯარი გენერალ ტოტლებენის სარდლობით. საქართველო შეუდგა ლაშქრობას ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ.

რუსეთმა ამ ომში თურქეთი სასტიკად დაამარცხა. საქართველოსათვის ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მისი საშიში მტრის ძლიერება ირყეოდა. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის ერთი პუნქტი საქართველოსაც ეხებოდა. მაგრამ ეს ომი საქართველოსათვის მაინც ვერ აღმოჩნდა ისეთი შედეგიანი, რასაც საქართველოს პოლიტიკური მესვეურები მოელოდნენ. ქართველ პოლიტიკოსთა ძირითადი მიზანდასახულება კვლავ მიუღწეველი დარჩა. ამ ომის შედეგად იმერეთისა და ქართლ-კახეთის მოწინავე წრეები ვარაუდობდნენ რომ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდოდა და ეს აქტი იურიდიულად იქნებობოდა აღიარებული თურქეთისა და ირანის მიერ. ეს არ მოხდა. ამავე დროს იმედგამაცრუებელი იყო რუსეთის ამ პირველი მაშველი ჯარის მეთაურის გენერალ ტოტლებენის მოქმედება, რომელიც თვითნებურად იქცეოდა და ამჟღავნებდა საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფის ბოროტ მისწრაფებას.

კავკასიაში ფეხმოკიდების საკითხი, რაზედაც რუსეთი XVIII საუკ. 70-იან წლებში ჯერ კიდევ თავს იკავებდა, 80-იან წლებში მომწიფდა, დროული გახდა. ამ დროისათვის რუსეთის სამხრეთი საზღვარი უკვე მოებჯინა კავკასიონის ქედს. ამასთანავე დღის წესრიგში დაისვა კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროების კვლავ ხელში ჩაგდების საკითხი, რაშიაც კავკასიის პლაცდარმს დიდი როლი ენიჭებოდა. თურქეთის წინააღმდეგ ისევ ინასკვებოდა ახალი კონფლიქტი; ომის ვითარებაში კავკასიის ფრონტი რუსეთს დიდ სტრატეგიულ უპირატესობას აღუთქვამდა. ამ ვითარებაში რუსეთის მხარე, რომელიც აქამდე საქართველოდან შეთავაზებულ წინადადებისადმი მფარველობის შესახებ დიდ სიფრთხილეს იჩენდა და მის გადაწყვეტას აჭიანურებდა, ახლა გააქტიურდა. თურქეთის განადგურებისა და ევროპიდან გამოდევნის ის გრანდიოზული გეგმა (საბერძნეთის პროექტი), რომელიც რუსეთის სამეფო კარზე შემუშავდა, ვარაუ-

დობდა კავკასიიდან თურქების განდევნას, საქართველოს აყვანას რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ამ ვითარებაში ადვილად მოინახა საქართველო-რუსეთის ინტერესების შეხების წერტილი. დასავლეთ ევროპაზე იმედგაცრუებული (1781 და 1782 წლების ცდის წარუმატებლობა) საქართველოს პოლიტიკური მესვეურები კმაყოფილებით შეხვდნენ რუსეთის მხრივ ამ აქტიურობას. ორმხრივი დაინტერესების შედეგს წარმოადგენდა მფარველობის ის აქტი, რომელიც 1783 წელს იქნა ხელმოწერილი ქ. გიორგიევსკში.

ჩვენ აქ ვერ შევუდგებით ამ „ტრაქტატის" ანუ „მეგობრობითი პირობის" დაწვრილებით განხილვას. მივუთითებთ მხოლოდ ზოგიერთ მთავარ მომენტზე:

მფარველობითი ტრაქტატი ნამდვილად წარმოადგენდა ქართული პროგრესული პოლიტიკური წრეების გამარჯვებას. იგი დაგვირგვინება იყო იმ ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლებისა, რომელსაც ქართველობა პოლიტიკური დაჩიხულობიდან, ბარბაროსული გარემოცვიდან გამოსვლისათვის ეწეოდა. ეს იყო თურქულ-ირანული აგრესიიდან უკეთესი გამოსავალი იმ პირობებში, რუსული გეზისათვის სამსაუკუნოვანი ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება.

მაგრამ ტრაქტატს გააჩნდა მეორე მხარეც — რასაც მკვლევარები ზოგჯერ ივიწყებენ. ეს იყო საქართველოს სუვერენულ მდგომარეობაზე, მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, მის თვითმყოფობაზე ხელისაღების პირველი ნაბიჯი. შეზღუდა რა ნაწილობრივ თავისი სუვერენული უფლებები და დაუმორჩილა რა იგი რუსეთის საიმპერატორო კარის ნება-სურვილს, ამით საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ დაუშვა მის საშინაო საქმეებში გარეშე ძალის ჩარევა. ისტორიის ხანგრძლივი გამოცდილებით დადასტურებულია, რომ კლასობრივ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ეს ხელშეკრულებანი, ეს ტრაქტატები თავიანთ პირვანდელ შინაარსს იშვიათად თუ ინარჩუნებენ. ყველაფერი ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული. ძლიერი მხარე ყოველთვის იმას ცდილობს, რომ ხელშეკრულება თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს და ამ მიმართულებით გააღრმავოს. 1783 წელს ტრაქტატი რუსეთისათვის

დიდ დიპლომატიურ წარმატებას მოასწავებდა (ასე შეაფასეს იგი ევროპაშიც) მან უკვე ფეხი მოიკიდა კავკასიაში, შექმნა აქ თავისი პირველი პლაცდარმი, კავკასიაში გაიჩინა ადგილობრივი პოლიტიკური ერთეული, რომელიც მისი ინტერესების სადარაჯოზე იდგა და მისი კარნახით მოქმედებდა. მისთვის, როგორც ძლიერი მხრისათვის, ამ აქტის შემდეგ გაადვილებული ჩანდა პლაცდარმის გაფართოება და შემომტკიცება, თავისი ნება-სურვილის გაღრმავება და საქართველოსათვის თავზე მოხვევა.

ამრიგად, 1783 წლის ტრაქტატს მრავალ პროგრესულ შედეგებთან ერთად დიდი ჩრდილოვანი მხარეც ახასიათებდა. იმ მომენტში ეს საუკეთესო გამოსავალი ჩანდა, თუმცა საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მესვეურნი დარწმუნებული არ ყოფილან, რომ ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის იმ გზით წავიდოდა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს საქართველო სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციამდე მიიყვანა.

ასეთი იყო ტრაქტატის ორი მხარე. იგი იყო, — ვიმეორებთ — იმ ვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი პროგრესული აქტი ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ერთგვარი მსხვერპლიც. ამავე დროს სარისკო ნაბიჯი. ამიერიდან ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული — შესძლებდნენ თუ არა საქართველოს მესვეურები შეეკავებინათ რუსეთის შემდგომი მოძალება და საშინაო საქმეებში ჩარევისაკენ მისწრაფება, შესძლებდნენ თუ არა რუსეთის დახმარება გამოეყენებინათ საქართველოს დაკარგული მთლიანობისა და ძლიერების აღსადგენად, თუ დასთმობდნენ ახალ პოზიციებს და რუსეთს ახლო აღმოსავლეთში ფართო ოპერაციების შესაძლებლობას მოუმზადებდნენ.

ეს ასეც მოხდა.

შინაგანი უძლურების ვითარებაში, საქართველომ ჯეროვნად ვერ გამოიყენა რუსეთის მხრივ აღიარებული მფარველობა. ერთხანს დამფრთხალი მუსლიმანური სახანოები მალე გონს მოვიდნენ. ოსმალეთმა მათ მფარველობა აღუთქვა და საქართველოს წინააღმდეგ დარაზმა. ამ საშიშ მომენტში რუსეთმა საქართველოდან გაიყვანა ის ჯარები, რომელიც ტრაქტატის

საფუძველზე 1783 წლის ნოემბერში იქნა შემოყვანილი თბილისში. რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი კვლავ აღვივებდა სამხრეთელი დამპყრობლისგან განთავისუფლების იმედს, მაგრამ არც მას შეუცვლია მდგომარეობა. დასავლეთ საქართველოში ისევ თურქები ბატონობდნენ. ამავე წლებში ირანში თავის შეტოქეებზე გამარჯვებული და გაძლიერებული აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა საქართველოს რუსულ ორიენტაციაზე ხელისაღება მოსთხოვა. საქართველოში ეს შეუძლებლად მიიჩნიეს. აღა-მაჰმად-ხანმა საქართველოზე ლაშქრობა დაიწყო. მას აქტიური დახმარება გაუწიეს მუსლიმანურმა სახანოებმა. ეს ლაშქრობა გამანადგურებელი აღმოჩნდა. მან უკანასკნელი მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოს, ააოხრა და გააპარტახა იგი. რუსეთის ჯარი ერეკლეს დასახმარებლად 1795 წლის დეკემბერში მოვიდა საქართველოში. საქართველოსათვის ეს გვიანი იყო, თუმცა რუსეთის ჯარმა ამჟამად ზუბოვის მეთაურობით 1796 წელს აღა-მაჰმად ხანის დასჯის მოტივით კავკასიაში სერიოზული ოპერაციების ჩატარება დაიწყო.

ზოგადად ასე ვითარდებოდნენ მოვლენები XVIII საუკუნის დასასრულამდე. ასე მოაღწია დამოუკიდებელმა საქართველომ XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნამდე. ამ საუკუნის ბოლო წლებში ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. შინაგანმა კრიზისმა გაღრმავება იწყო. უფლისწულთა ქიშპობამ და განკერძოების ტენდენციებმა სრული არევ-დარევა გამოიწვიეს ქვეყანაში. გართულებულ საგარეო ურთიერთობის მოგვარებას და შინაგანი კრიზისის დაძლევას გიორგი XII რუსეთის დახმარებით ვარაუდობდა. იგი დაჟინებით მოითხოვდა 1783 წლის ტრაქტატის ვალდებულებათა დაცვას რუსეთის მხრივ. რუსეთმაც, დაინახა რა ხელსაყრელი ვითარება, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო ხელშეკრულების შინაარსის გაღრმავება თავისი უფლებების ზრდის მიმართულებით. პავლე პირველმა დაამტკიცა რა გიორგი XII-ის მიერ წაყენებული მოთხოვნილება, უკვე გადადგა ახალი ნაბიჯი ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმების მიმართულებით. გიორგი XII გარდაცვალებამ და სამეფო ტახტის გარშემო ატეხილმა დავამ, პავლე პირველს საბაბი მისცა ქართლ-კახეთის სამეფო გაეუქმე-

ბინა. 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად ცხადდებოდა.

პავლეს არ დასცალდა ეს მანიფესტი პრაქტიკულად სისრულეში მოეყვანა. იგი დაახრჩვეს. საქართველოს საკითხი გადაუჭრელი გადავიდა ალექსანდრეს ეპოქაში.

იმ ახალ საგარეო ვითარებაში, რომელიც რუსეთისათვის ალექსანდრე პირველის გამეფების შემდეგ შეიქმნა, საქართველოს საკითხი ისევ მსჯელობის საგანი გახდა. იმპერატორმა ეს საკითხი დააყენა ინტიმურ კომიტეტში. ზოგი წინააღმდეგი აღმოჩნდა საქართველოს შეერთებისა, რომ ამით ახალი გართულება არ მომხდარიყო ახლო აღმოსავლეთში ინგლისთან. უმრავლესობამ კომიტეტში და თვით იმპერატორმა სწორად გაითვალისწინეს რუსეთისათვის საქართველოს მნიშვნელობა. 1801 წ. აგვისტო-სექტემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დაწესების შესახებ. 1801 წ. 12 სექტემბერს ქარლ-კახეთის რუსეთთან შეერთების მანიფესტი გამოქვეყნდა.

რუსეთმა ქართლ-კახეთში ახალი მმართველობა შექმნა. მოისპო ძველი ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება. ახალმა მმართველობამ მეფის რუსეთის კოლონიურ-პოლიტიკური რეჟიმი დაამკვიდრა. ეს იყო სამხედრო-საოკუპაციო სისტემა, რომელიც თავისთავში ხალხისათვის ორმაგ-სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას გულისხმობდა.

ქართლ-კახეთში დამკვიდრების შემდეგ რუსეთმა დღის წესრიგში დააყენა დასავლეთ საქართველოს შეერთების საკითხიც. რუსეთმა კარგად ისარგებლა ფეოდალურ სამთავროთა შორის ატეხილი შუღლით, იმერეთის მეფის წინააღმდეგ მებრძოლ დადიანის მფარველობა იკისრა; ამავე დროს ჯარები შეიყვანა დასავლეთ საქართველოში და სოლომონ II აიძულა ხელი მოეწერა ტრაქტატზე, რომელიც იმერეთის მეფეს საქართველოს მთავარსარდლის ბრძანებათა აღმასრულებლად და რუსეთის მსახურად ხდიდა. დასავლეთ საქართველოსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების შეერთებისათვის ახალი ნაბიჯები გადაიდგა 1804 წ. ოქტომბერში ყულევში ჯარების გა-

დასხმით. იმერეთის მეფე შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა.

რუსეთმა თანდათან მთელი დასავლეთ საქართველოს შეერთება შესძლო. რუსეთის არმია წარმატებით ეწეოდა ბრძოლებს აგრეთვე კავკასიის მუსლიმანური სახანოების წინააღმდეგ და 1813 წლის გულისტანის ზავით შემოიმტკიცა კიდეც, როგორც ქვევით დავინახავთ, კასპიის ზღვის სანაპირო.

ასე დასრულდა საქართველოს შეერთების ეს ხანგრძლივი პროცესი. რუსეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი კავკასიაში და ენერგიულად მიჰყო ხელი მთელი კავკასიის შემომტკიცებას.

როგორ უნდა შევაფასოთ ეს ისტორიული აქტი ქართველი ხალხის ცხოვრებაში?

ზოგიერთი ისტორიკოსი ამ ფაქტის შეფასებაში ცალმხრივობას იჩენს. გამოდიან რა იქედან, რომ საბოლოო ჯამში საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ორთავე ხალხის ცხოვრებაში დადებითი როლი შეასრულა, რიგი ავტორებისა ამ შეერთებაში ცდილობს აჩვენოს ცარიზმის დამსახურებაც. ისინი აფუჩეჩებენ, ჩრდილში აყენებენ ცარიზმის რეაქციულ კოლონიზატორულ პოლიტიკას საქართველოსა და კავკასიაში საერთოდ, ცდილობენ გამართლება მოუნახონ ცარიზმის საგარეო პოლიტიკის აგრესიულ ხასიათს და ვითარებას ისე ხატავენ, რომ შეერთება მხოლოდ ნებაყოფლობით აქტს წარმოადგენდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული აქტის მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეფასება არ არის ამომწურავი, ამდენად არ არის ობიექტური. შუა აზიის რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც 1959 წელს შესდგა ქალ. ტაშკენტში, ერთერთი ძირითადი მომხსენებელი პროფ. პიასკოვსკი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ყოველივე ამაში (ე. ი. შეერთების აქტის შეფასებაში) „ადგილი აქვს ორი სხვადასხვა საკითხის — შუა აზიაში მეფის თვითმპყრობელობის მძარცველური, დამპყრობლურ-კოლონიზატორული, მხეცური, ყაჩაღური პოლიტიკის, როგორც ამას არაერთხელ ახასიათებდა ვ. ი. ლენინი, — აღრევას იმ ობიექტურად — პროგრესულ როლთან, რომელიც შუა აზიის, კავკასიის და სხვა განაპირა

ქვეყნების რუსეთთან შეერთებამ შეასრულა. სინამდვილეში ამ ორ საკითხს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. ყველა ის პროგრესული, რაც ჩაგრულ ხალხს რუსეთთან შეერთებამ მოუტანა, ყველა ის პროგრესული პროცესები შუა აზიის ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკასა და კულტურაში, რომელიც რუსეთის გავლენით ხორციელდებოდა, მიმდინარეობდა ცარიზმის ნებასურვილის გარეშე და მისი მჩაგვრელური, ნაციონალ-კოლონიური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ".[1]

ფაქტია ის, რომ ცარიზმი საქართველოსთან 1783 წელს დადებულ ხელშეკრულებას ყოველ ნაბიჯზე არღვევდა, ცდილობდა იგი იმგვარად გამოეყენებინა, როგორადაც ახლო აღმოსავლეთში დასახულ მის პოლიტიკურ მიზნებს გამოადგებოდა. ფაქტია ისიც, რომ ცარიზმმა, ისარგებლა რა საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარებით და თავისი ძლიერებით, ბოლოს და ბოლოს ხელშეკრულების ვალდებულებანი არარაობად აქცია და ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობა მთლიანად მოსპო, ამასთანავე დასავლეთ საქართველო იარაღის გამოყენებით შეიერთა.

ეს პროცესი, რომელიც ტრაქტატიდან საქართველოში რუსული მმართველობის სრულ დამყარებამდე ხორციელდებოდა, იყო რუსეთის მხრივ ძალადობის, იძულების, სხვისი ტერიტორიის დაპყრობის, ანუ ანექსიის პროცესი. რუსეთის ცარიზმი კავკასიისაკენ რომ მიისწრაფვოდა, ვიმეორებთ, ხელმძღვანელობდა არა კაცთმოყვარული პრინციპებით, ერთმორწმუნე ქრისტიანებისადმი მფარველობის სულისკვეთებით, როგორც ამას პირმოთნე ალექსანდრე პირველი აცხადებდა თავის მანიფესტში, და როგორც ამას შემდეგ რუსეთის თავადაზნაურუ-

---

[1] Проф. А. В. Пясковский, Присоединение средноазятских народов к революционной борьбе русского народа—важнейшие прогресивное последствие присоединения средней Азии к России. См. в книге: Академия Наук СССР, академия наук УЗССР, академия наук Туркм. ССР, акад. наук Тадж. ССР, акад. наук Кирг. ССР обедененная научная сессия, посвященная прогрессивному значению присоединения средней азии к россии. Ташкент, 1959.

ლი ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, არამედ იმ ანექსიონისტურ-დამპყრობლური პოლიტიკით, რომელიც რუსეთის ცარიზმისათვის იყო დამახასიათებელი.

რუსეთის ცარიზმმა პირველი სოლი კავკასიაში ფეხისმოკიდებისათვის საქართველოსთან 1783 წლის ტრაქტატით ჩაასო. შემდეგ იგი, მისთვის ხელსაყრელი ვითარების შესაბამისად უფრო და უფრო აძლიერებდა თავის პოზიციებს, 1801 წელს შეიერთა რა საქართველო, მეტი ინტენსიობით დაიწყო მთელი კავკასიის პოლიტიკური ათვისება და იგი მხოლოდ ამ საუკუნის 50-იანი წლების მიწურულისათვის დამთავრდა.

უდაო ფაქტია, რომ კავკასიის რუსეთთან შეერთებას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ ამ პროგრესულობის აღიარება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ ანექსიონისტურ-კოლონიურ მძარცველურ პოლიტიკას, რომელსაც ცარიზმი კავკასიაში, შუა აზიაში და სხვა დაპყრობილ ადგილებში აწარმოებდა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა რომ რუსეთის სამეურნეო განვითარებაში კაპიტალიზმის ისტორიული როლის პროგრესულობა სავსებით შეთავსებულია კაპიტალიზმის შავბნელი მხარეების აღიარებასთან. მარქსიზმ-ლენინიზმს მიაჩნია რომ გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში ბურჟუაზია უსათუოდ პროგრესულ როლს ახორციელებდა, თუმცა ეს პროცესი სისხლითა და ჭუჭყით იყო აღსავსე და ხალხთა უბედურებითა და დამცირებით ხასიათდებოდა.

რუსეთმა, დამკვიდრდა რა საქართველოში, გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა, გააბატონა რუსი მოხელეები, ხალხს კისრად დაადვა ეროვნული ჩაგვრის უღელი. ცარიზმი ბატონყმური სისტემის უერთგულესი დამცველი გახდა. იგი სისხლში ახრჩობდა მშრომელი მასების აღშფოთების ყოველგვარ გამოხატულებას. ცარიზმი ამავე დროს სდევნიდა, აბუჩად იგდებდა ყოველივე ეროვნულს, ქართული ტრადიციების ამოძირკვას და ერის ასიმილაციას ახორციელებდა. იგი მიისწრაფვოდა რომ განაპირა ქვეყანა სიბნელესა და უვიცობაში ჰყოლოდა, განგებ აფერხებდა ქვეყნის სამრეწველო-ეკო-

ნომიურ განვითარებას და ერის. ინტერესებს მეტროპოლიის ბურჟუაზიის ინტერესებს უმორჩილებდა. ეს იყო შეერთების ბნელი მხარე, მისი სამწუხარო შედეგი.

მაგრამ რუსი და არარუსი ხალხების, კერძოდ რუსი და ქართველი ხალხის ისტორიული ურთიერთობა რომ მხოლოდ ცარიზმის რეაქციულ ღონისძიებათა ჩარჩოებში მოვათავსოთ და განზე დავტოვოთ ის პროცესები, რომლებიც ორივე ხალხის ცხოვრებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობდნენ, ისტორიის უხეშ ფალსიფიკაციამდე მივალთ. ასე იქცეოდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტები. ისინი თვალს განგებ ხუჭავდნენ იმ ობიექტურად პროგრესულ შედეგებზე, რომლებიც ამ ისტორიულ აქტს მოჰყვა და ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ ცარიზმის კოლონიზატორულ-ანექსიონისტურ რეაქციულ პოლიტიკაზე. ცალმხრივ მსჯელობას, ცხადია, მცდარი დასკვნები მოსდევდა.

რაში მდგომარეობს ცარიზმის რეაქციული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი და მისი საპირისპირო, ობიექტურად ის პროგრესული პროცესები, რომელიც ამ აქტის შემდეგ ქართველი ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში ხორციელდებოდა და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდათ!

რუსეთთან თანაცხოვრებით ქართველმა ხალხმა თავიდან აიცილა მონობა ირან-ოსმალეთისა, რომლებიც მარქსისა და ენგელსის დახასიათებით „...ფეოდალიზმის ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ სტადიაზე იდგნენ“ და საშინელ ასიმილატორებს წარმოადგენდნენ.

საქართველოში დამკვიდრებით რუსეთმა შექმნა რა ხელსაყრელი პლაცდარმი, ინტენსიურად იწყო შეტევა თურქეთ-ირანის წინააღმდეგ. რუსეთის ომები ირანის და თურქეთის წინააღმდეგ სავსებით შეესაბამებოდნენ ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებს, რადგან გულისხმობდნენ თურქი და ირანელი დამპყრობლებისაგან აზერბაიჯანისა და სომხეთის განთავისუფლებას, საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენას ნაწილობრივ მაინც. ამიტომ იყო რომ ამ ომებში ამიერკავკასიის ხალხები რუსეთის არმიის მხარდამხარ იბრძოდნენ.

რუსეთთან შეერთებას მოჰყვა საქართველოს ეკონომიური დაწინაურება. რუსეთთან შეერთებამდე აგრესიული გარემოცვის რკალში მოქცეული საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო მეურნეობიდან განზე იდგა და ირან-ოსმალეთის და ლეკთა განუწყვეტელი თარეშისა და ქართველი თავადაზნაურების თავაშეებული პარტიკულარული მისწრაფებების ვითარებაში ნგრევას განიცდიდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ კი, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა (საქართველო. ა. ს). დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან; დადუმდა ყღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, გაქრა ცეცხლი, რომელიც წვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელი და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დარჩა".[1] მშვიდობიანმა პირობებმა შექმნეს შედარებით ხელსაყრელი ვითარება სამეურნეო ცხოვრების აღმავლობისათვის XIX საუკ. დამდეგიდანვე, განსაკუთრებით კი 30-ნი წლებიდან, საქართველო რუსეთის კაპიტალისტური გზით მიმავალი ცხოვრების ფერხულში ჩაება; დაიწყო ფეოდალური პარტიკულარიზმის ალაგმვა, ცალკეულ კუთხეთა შორის ნატურალური კარჩაკეტილობის რღვევა, მოსახლეობამ ხელი მოკიდა ინტენსიურ მეურნეობას, გაიზარდა მოსახლეობა. კაპიტალიზმმა საქართველო ერთ მთლიან სამეურნეო ერთეულად დააკავშირა და საბოლოოდ დაასრულა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების ვრცელი ისტორიული პროცესი.

რუსეთთან შეერთებამ შექმნა ფართო შესაძლებლობანი ქართველი ხალხის ძირძველი და მაღალი სულიერი კულტურის განვითარებისა.

ამრიგად, რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო საქართველოს ცხოვრების წინსვლას, ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაციას, კაპიტალიზმის განვითარებას, ქართველი ხალხის

---

[1] ი. ჭავჭავაძე თხზ., ტ. II. პ. ინგოროყვას რედაქციით, 1941 წ. გვ. 438.

ერად ჩამოყალიბებას, საქართველოში მუშათა კლასის წარმოქმნას და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას.

ცარიზმის რეაქციულ-კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში მტკიცდებოდა და ვითარდებოდა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა. ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესები და მისწრაფებანი რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს ერთიანი საბრძოლო დროშის გარშემო რაზმავდა. ამ ერთიანობაში ხალხები ბრძოლით მიიკვლევდნენ გზას სოციალისტური წყობილებისაკენ, რამაც ჩვენ ხალხებს ბედნიერება მოუტანა.

ასეთია საქართველოს ოუსეთთან შეერთების შეფასების ორი მხარე. თუ ამ ორი მხარიდან ერთ რომელიმეს არ მიაქცევ ყურადღებას და მიაფუჩეჩებ, მიიღებ საკითხის ცალმხრივ და არა სწორ გაშუქებას. ერთ შემთხვევაში მკვლევარი შეიძლება ადგილობრივ ნაციონალისტურ, ხოლო მეორე შემთხვევაში ველიკოდერჟავულ შეხედულებათა ტყვეობაში მოექცეს. მარქსისტ-ლენინელი ისტორიკოსისათვის კი ორთავე ეს შეხედულება მავნე და მიუღებელია.

სწორადაა მითითებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში რომ „სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაუქმება და უცხო რეჟიმის დამყარება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ისტორიაში განცდილ დიდ მარცხს მოასწავებდა. ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია ამ მოვლენას და შეუნელებლივ განაგრძობდა ბრძოლას მანამდის, ვიდრე მან, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, თავისუფლება და სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ მოიპოვა“.

ცარიზმის საგარეო პოლიტიკა 1801—1812 წწ.

XIX საუკუნე ევროპაში რთული პოლიტიკური მოვლენებით დაიწყო. კორსიკელმა აზნაურმა ნაპოლეონ ბონაპარტემ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მშფოთვარე წლებში მოხერხებულად გაიკაფა გზა პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ. აღმოჩნდა რა საიმპერატორო ტახტზე, ნაპოლეონმა დაიწყო რევოლუციის ჩახშობა და საფრანგეთის ტერიტორიის

გაფართოება სხვა სახელმწიფოთა ხარჯზე. ნაპოლეონი ევროპის არენაზე გამოვიდა როგორც უძლიერესი დამპყრობელი, რომელმაც მიზნად დაისახა მსოფლიო მონარქიის შექმნის ფანტასტიკური გეგმის განხორციელება.

ამ გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში პირველი რიგის ამოცანად ნაპოლეონს ინგლისის დამარცხება მიაჩნდა. საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის კარნახით ნაპოლეონი ვარაუდობდა ჩამოეცილებინა გზიდან ევროპის ეს ყველაზე ძლიერი ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელსაც მაშინ მთელ ევროპაზე და მსოფლიოზეც დიდი გავლენა ჰქონდა. 1803 წელს კვლავ დაიწყო საფრანგეთ-ინგლისის ომი.

1805 წლიდან საფრანგეთ-ინგლისის ომმა უფრო აქტიური ხასიათი მიიღო. ნაპოლეონმა გადაწყვიტა „მერკანტელური კოლოსისათვის" ბოლო მოეღო ერთი დარტყმით. მიუხედავად ინგლისის დიდი ძლიერებისა ზღვაზე, ნაპოლეონმა იწყო დიდი საზღვაო დესანტის მომზადება ბულონის ტყეში. დესანტს უნდა გადაელახა ლამანშის სრუტე და შესეოდა ბრიტანეთის იმპერიას მისი სასწრაფო განადგურების მიზნით.

ნაპოლეონის მიერ ამ მზადებას წინ უძღოდა ისეთი აქტები, რამაც ევროპის მონარქთა შორის შიში და ძრწოლა გამოიწვია. ნაპოლეონმა დახვრიტა ბურბონთა ოჯახის ერთერთი წევრი ენგიენის ჰერცოგი, რომელსაც იგი შეთქმულებაში მონაწილეობას აბრალებდა. იგი ამავე დროს სხვებისთვის ანგარიშგაუწევლად ამაგრებდა პოზიციებს ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში ნაპოლეონის ასეთი თავნება და აგრესიული ნაბიჯები მტრულ რეაგირებას იწვევდა რუსეთში. ახლა ყველა ხედავდა, რომ „კორსიკელი ვეშაპი" ევროპას გადაყლაპვას უპირებდა. შინაარსის სიმკვეთრით გამოირჩეოდა ნოტა, რომელიც ალექსანდრე პირველმა ენგიენის ჰერცოგის მკვლელობის გამო ნაპოლეონს გაუგზავნა, მაგრამ უფრო მკვეთრი იყო ნაპოლეონის პასუხი, სადაც საკმაოდ გარკვევით იყო მითითებული ალექსანდრე პირველის მონაწილეობაზე მამის მკვლელობაში. რუსეთის და საფრანგეთის იმპერატორების დამოკიდებულება თანდათან რთულდებოდა. რუსეთის დიპლომატია სამართლიან შიშს გამოთქვამდა ნაპოლეონის დამპყრობლური

გეგმების გამო. ეს გეგმები ევროპაში პოლიტიკურ წონასწორობას არღვევდა რუსეთის საზიანოდ. განსაკუთრებით შემაშფოთებელი რუსეთისათვის იყო ნაპოლეონის ღონისძიებანი ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ თურქეთში, რაც რუსეთს პოზიციების დაკარგვით ემუქრებოდა.

ასეთი იყო განწყობილება რუსეთის დიპლომატიურ წრეებში, როცა ინგლისმა ითავა ნაპოლეონის წინააღმდეგ ახალი კოალიციის მოწყობა. ინგლისს არ ჰყავდა ძლიერი სახმელეთო არმია და მოკავშირეების გარეშე არ შეეძლო ნაპოლეონისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ინგლისის დიპლომატია არ იშურებდა სახსრებს ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ეს აწყობდათ შვეციას, ავსტრიას და რუსეთს, რომლებიც მეტად მტრულად უყურებდნენ ნაპოლეონის ასეთ ნებისმიერ ოპერაციებს ევროპის პოლიტიკურ რუკაზე და ხედავდნენ თავიანთი ინტერესების უგულვებელყოფას. ინგლისის ღონისძიებას წარმატება ხვდა. 1805 წელს შეიქმნა მესამე კოალიცია, რომელშიაც შევიდნენ ინგლისი, შვეცია, რუსეთი და ავსტრია.

კოალიციის შექმნისთანავე ავსტრიამ დაიწყო სამხედრო მოქმედება. ავსტრიის დიდი არმია გენერალ მაკის სარდლობით დაიძრა საფრანგეთისაკენ. ეს იყო 1805 წლის ოქტომბრის დასაწყისში, როცა ნაპოლეონს თავისი დიდი სადესანტო არმია ბულონის ტყეში საბრძოლო მდგომარეობაში ჰყავდა და მხოლოდ ხელსაყრელ ამინდს ელოდა, რომ ბრიტანეთში გადამსხდარიყო.

აი ამ დროს ნაპოლეონს მიუტანეს ორი ცნობა — ერთი რომ ავსტრიის დიდი არმია დასავლეთისკენ დაიძრა ნაპოლეონის წინააღმდეგ და რომ რუსეთის არმიამ კუტუზოვის მეთაურობით გადალახა სახელმწიფო საზღვარი და მიემართება ავსტრიის არმიასთან შესაერთებლად.

ნაპოლეონმა სწრაფად შეიმუშავა შოქმედების ახალი გეგმა. 220 ათასიანი მზა არმიით იგი ბავარიისკენ დაიძრა, რომ პირველ რიგში გენერალი მაკი გაენადგურებინა. ნაპოლეონი იყო თავისი ეპოქის უდიდესი სამხედრო ხელოვანი. ამავე დროს ჰყავდა ნიჭიერი გენერალიტეტი და შესანიშნავად გაწრთვნილი არმია, რომელშიაც ძლიერი იყო რევოლუციური

ტრადიციები. ასეთი არმიით მან ერთის დაკვრით დაამარცხა უნიპო მაკი და მისი არმია მთლიანად დაატყვევა, ამასთანავე კურსი უშუალოდ ვენაზე აიღო.

მაკის კაპიტულაციის შემდეგ ავსტრია უარმიოდ დარჩა და ვენისაკენ მიმავალი ნაპოლეონის ვეებერთელა არმიის პირისპირ აღმოჩნდა მხოლოდ რუსეთის არმია მ. კუტუზოვის სარდლობით. ეს არმია რიცხობრივად ხუთჯერ ნაკლები იყო ნაპოლეონისაზე და ცხადია, მოწინააღმდეგისათვის გამკლავება არ შეეძლო. ნაპოლეონი კი რუსეთის კორპუსის გარშემორტყმას და განადგურებას ამზადებდა. კუტუზოვმა ამოცანო მოწინააღმდეგის ზრახვები და გადაწყვიტა თავისი ჯარები ოსტატური მანევრირებით მტრის გარემოცვიდან გამოეყვანა და მოკავშირეთა მთავარი ძალებისათვის შეერთებინა. დაიწყო რუსეთის არმიის გადანაცვლება ბრაუნაუდან ოლმიუცისაკენ. ამავე დროს არმიის არიერგარდი, რომელსაც სათავეში უმამაცესი ქართველი გენერალი პეტრე ბაგრატიონი ედგა, აჩერებდა ფრანგების მოძალებას. შენგრაბენთან საარიერგარდო ბრძოლაში ბაგრატიონმა არა თუ მოიგერია ნაპოლეონის საუკეთესო გენერლების ლანის, სულტის, მიურატის ხუთგზის ჭარბი ძალების იერიში, არამედ გაარღვია გარემოცვის რკალი და 3 000 ფრანგი ტყვე გაიყვანა. კუტუზოვმა დაუზიანებლივ ჩაიყვანა თავისი ძალები ოლმიუცში და ჩაშალა ნაპოლეონის გეგმა. 500 კილომეტრიანი ეს უკანდახევითი მანევრი, რომელიც კუტუზოვმა ასე ოსტატურად განახორციელა, სამხედრო ხელოვნების ისტორიაში მიჩნეულია ერთერთ შესანიშნავ მანევრად. საფრანგეთის მარშალი მარმონი მას „კლასიკურად გმირულ“ უკანდახევას უწოდებდა.

ოლმიუცში (მორავიაში) მოკავშირეების მთავარი ბანაკი იყო მოწყობილი. აქ იყვნენ რუსეთის და ავსტრიის იმპერატორები ალექსანდრე პირველი და ფრანც იოსები. ნაპოლეონის წინააღმდეგ გადამწყვეტ სამხედრო ოპერაციას ამუშავებდა ავსტრიის გენერალური შტაბი, რომელიც უნიპო გენერალიტეტს აერთიანებდა და დახავსებულ ტაქტიკას იზიარებდა. კუტუზოვს ეს გეგმა დამღუპველად მიაჩნდა, მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა. რუსეთის იმპერატორს კუტუზოვმა

ურჩია თავი შეეკავებინა, ვიდრე მოკავშირეთა ძალები არ გაიზრდებოდნენ, მაგრამ სამხედრო საქმეში უნიჭო და განდიდების მანიით შეპყრობილმა იმპერატორმა კუტუზოვს არ დაუჯერა. იგი ვეიროტერის მანკიერმა გეგმამ მოხიბლა, ამავე დროს ადვილად წამოეგო ნაპოლეონის ანკესზე, რომელსაც ყველაზე მეტად უნდოდა გენერალური ბრძოლა, რომ თავისი უპირატესობა გამოეყენებინა და ომი ერთის დაკვრით მოეგო.

1805 წლის 20 ნოემბერს (2 დეკემბერს ახალი სტილით) აუსტერლიცის ველზე მოხდა ევროპაში ერთერთი უდიდესი მასშტაბის ბრძოლა. ნაპოლეონმა ბრძოლის დასაწყისშივე ამოიცნო მოკავშირეთა საბრძოლო განლაგების ყველაზე სუსტი ადგილი და იქ დაარტყა. ავსტრიის გენერალიტეტი ბრძოლას ვერ ხელმძღვანელობდა. კუტუზოვს კი მოქმედების ინიციატივა წართმეული ქონდა. მას, მაგალითად, იძულებით დაატოვებინეს პრაცენის სიმაღლეები, რომელსაც ბრძოლის ველზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. ნაპოლეონმა ეს სიმაღლე დაიკავა, მალე გაარღვია მოკავშირეთა ცენტრი და გათიშული ნაწილები სასტიკად დაამარცხა. აუსტერლიცთან მოკავშირეებმა დიდი ზარალი განიცადეს, რუსებმა დაჰკარგეს 21 ათასი მეომარი, 133 ქვემეხი, 30 დროშა. აუსტერლიცთან ეს მარცხი ავსტრიის გენერალური შტაბის უნიჭო გეგმის მიზეზით მოხდა. ამ გეგმას ალექსანდრეც თანაუგრძნობდა. მაგრამ ალექსანდრემ მარცხის პასუხისმგებლობა კუტუზოვს დააკისრა და მთავარსარდლის პოსტიდან გადააყენა.

მესამე კოალიცია დაიშალა. ავსტრიის იმპერატორმა ფრანც იოსებმა ხელი მოაწერა ნაპოლეონის ნაკარნახევ ზავს, რომელიც საფრანგეთისადმი დიდ ტერიტორიულ დათმობას და 85 მილიონ ფრანკ კონტრიბუციას ითვალისწინებდა. ნაპოლეონთან ზავზე ხელი მოაწერა რუსეთის წარმომადგენელმა უბრიმ, მაგრამ იგი რუსეთის იმპერატორმა არ დაამტკიცა. ალექსანდრე თავს დამარცხებულად არ გრძნობდა და ახალი ბრძოლებისათვის ემზადებოდა.

1806 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ ინგლისის მეთაურობით ახალი კოალიცია შეიქმნა. ავსტრიის ნაცვლად კოალიციას შეუერთდა პრუსია, მაგრამ მისი ბრძოლისუნარიანობა მეტის-

მეტად დაბალი აღმოჩნდა და ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში (1806 წ. 2 ოქტომბერს იენასთან და აუერშტადტთან) სასტიკად დამარცხდა. პრუსიის იმპერატორი ტილზიტში გაიქცა, ფრანგები ბერლინში შევიდნენ.

ნაპოლეონის წაქეზებით 1806 წელს რუსეთს ომი გამოუცხადა თურქეთმა. თურქეთს ნაპოლეონი ყირიმის ნახევარკუნძულს შეპპირდა, თუ კი იგი რუსეთს შეავიწროებდა და ახლო აღმოსავლეთიდან განდევნიდა.

რუსეთის არმია ნაპოლეონის ძალების წინააღმდეგ კვლავ მარტოდმარტო აღმოჩნდა. მთავარ ბრძოლაში, რომელიც 1807 წ. 17 იანვარს მოხდა, რუსებმა დიდი სიმტკიცე უჩვენეს. რუსეთის არტილერიამ მოწინააღმდეგეს დიდი ზიანი მიაყენა. ნაპოლეონმა ვერ შესძლო განეხორციელებინა რუსეთის ძალების გარშემორტყმის მანევრი. ნაპოლეონმა აქ თავი გამარჯვებულად აღიარა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ბრძოლის ველიდან ახალ პოზიციაზე პირველად რუსეთის ძალებმა გადაინაცვლეს. ნაპოლეონი თვით გრძნობდა, რომ ეს გამარჯვება მოჩვენებითი იყო, რადგან მან ჭარბი ძალებით ვერ მოახერხა რუსების ვერც განადგურება, ვერც ალყაში მოქცევა. რუსები თავის მხრივ ამ ბრძოლას მოგებულად თვლიდნენ. ალექსანდრე პირველმა რუსთა კორპუსების მთავარსარდალი ბენიგსენი ამ ოპერაციის გამო უხვად დააჯილდოვა.

ზამთრის განმავლობაში ორთავე მხრივ სამზადისი მიმდინარეობდა. გაზაფხულზე ფრიდლანდთან რუსეთის და საფრანგეთის არმიები კვლავ ერთმანეთს შეეჯახნენ. ძალები თითქმის თანაბარი იყო, მაგრამ ბენიგსენის შეცდომამ გადასწყვიტა ბრძოლის ბედი. რუსები სასტიკად დამარცხდნენ. გამარჯვებულმა ფრანგებმა კენიგსბერგი დაიკავეს და უშუალოდ რუსეთის სახელმწიფო საზღვარს მიადგნენ. რუსეთის დიპლომატიამ სწორად ივარაუდა, რომ ომის გაგრძელება ფრანგებთან არახელსაყრელი იყო. ქვეყანა სამობილიზაციო მდგომარეობაში არ ყოფილა. ევროპიელი მოკავშირეები განადგურებული იყვნენ. ინგლისის რეალური დახმარება არ ჩანდა. ასეთ ვითარებაში უმჯობესი იყო მოწინააღმდეგესთან შერიგება.

ნაპოლეონსა და ალექსანდრეს შორის საზავო მოლაპარა-

კება ტილზიტში დაიწყო და წარმატებით წარიმართა, რადგან ალექსანდრემ იმთავითვე აღიარა, რომ იგი მხარს დაუჭერდა ნაპოლეონის ღონისძიებებს ინგლისის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, პირობები, რომელიც ნაპოლეონმა წამოაყენა მეტად სამძიმო იყო რუსეთისათვის. რუსეთი უნდა შეერთებოდა იმ კონტინენტურ ბლოკადას, რომელიც საფრანგეთმა წამოიწყო ინგლისის წინააღმდეგ, ამავე დროს მხარი დაეჭირა ინგლისის წინააღმდეგ საფრანგეთის საბრძოლო ოპერაციებისათვის. რუსეთმა ეს პირობები მიიღო, 1807 წ. 13 ივნისს ტილზიტის ზავი ხელმოწერილ იქნა. რუსეთმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ინგლისთან. საგარეო პოლიტიკაში ალექსანდრეს მიერ გადადგმულ იქნა მეტად სარისკო ნაბიჯი.

ტილზიტის მოლაპარაკებისას საკითხი წამოიჭრა აგრეთვე ევროპაში გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ — დასავლეთი მე, აღმოსავლეთი თქვენ— ეუბნებოდა ნაპოლეონი ალექსანდრეს. დასავლეთ ნემანის იქეთა მხარე ნაპოლეონს უკვე თავის საკუთრებად მიაჩნდა და ალექსანდრეს მხრივ ამ საკუთრების აღიარებას მოითხოვდა. სამაგიეროდ ალექსანდრეს იგი მიუთითებდა ფინეთისაკენ, რომელსაც მისი მოწინააღმდეგე შვეცია ფლობდა.

ალექსანდრეს მხარდაჭერით ტილზიტში ნაპოლეონმა პრუსიას დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა, თუმცა მისი ტერიტორია ძლიერ შეკვეცა. ამ ტერიტორიების ხარჯზე დასავლეთით ნაპოლეონმა შექმნა ვესტფალიის სამეფო, ხოლო აღმოსავლეთით ვარშავის საჰერცოგო.

ვარშავის საჰერცოგო ნაპოლეონის ვარაუდით რუსეთის წინააღმდეგ მომავალ ომში ტრამპლინის როლს შეასრულებდა. ის დემაგოგიური ცერემონიები, რომელსაც ნაპოლეონი პოლონეთისათვის დამოუკიდებლობის მიცემისას ან პოლონეთის არმიის პატივისცემისათვის ასრულებდა, რუსეთის წინააღმდეგ იყო გამიზნული. პოლონეთი მას სჭიროდა, როგორც ამას თვით აღიარებდა დაახლოებულ პირებთან, არა როგორც ფორუმი, არამედ როგორც ბანაკი, რუსეთის წინააღმდეგ.

ტილზიტის ზავი რუსეთისათვის საზიანო იყო და ამიტომაც, რუსული საზოგადოებრიობა მას იმთავითვე მტრულად

შეხვდა. განსაკუთრებით მძიმე ვალდებულებას წარმოადგენდა კონტინენტური ბლოკადის აღიარება, რაც რუსეთის ნაციონალურ ეკონომიკას დიდ სიძნელეებს უქმნიდა. რუსეთი მაშინ ინგლისთან ცხოველ ვაჭრობას ეწეოდა. ინგლისი წარმოადგენდა ძირითად ბაზარს რუსეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და აგრეთვე ძირითადად შემსყიდველ პუნქტს, საიდანაც რუსეთში მოდიოდა იაფი და საუკეთესო ხარისხის საფაბრიკო-საქარხნო პროდუქცია. საფრანგეთს არ შეეძლო ამ მხრივ ინგლისი შეეცვალა. რუსეთის საგარეო ვაჭრობამ განიცადა დიდი შეფერხება, რუსეთის ფინანსებმა—მძიმე დარტყმა. სწრაფად დაეცა რუსული მანეთის კურსი, ხოლო ამან რუსეთის მთელ მეურნეობაზე დამანგრეველი გავლენა მოახდინა.

საფრანგეთთან ზავის შემდეგ ალექსანდრემ ადრე განცდილი მარცხის კომპენსირება ფინეთის დაპყრობით განიზრახა. ფინეთის საზღვარი ზედ სატახტო ქალაქ პეტერბურგთან იყო მიბჯენილი. ფინეთი ეპყრა იმ დროისათვის ძლიერ შვეციას, რომელიც ინგლისთან კავშირში იმყოფებოდა და ახლა რუსეთის მოწინააღმდეგე ბანაკს ეკუთვნოდა. შვეცია-რუსეთის ომით დიდად იყო დაინტერესებული ნაპოლეონი, რომელსაც სურდა ეს ქვეყანა ინგლისის ხელიდან გამოეგლიჯა და კონტინენტური ბლოკადის მონაწილე გაეხადა.

რუსეთ-შვეციის ომი 1808 წ. თებერვალში დაიწყო. რუსეთის ჯარებმა ბუკსჰევდენის სარდლობით მთელი ფრონტით შეუტიეს ფინეთს. შვეციას ფინეთში 20 ათასიანი არმია ჰყავდა, მაგრამ იგი მთელ მხარეში იყო გაფანტული და ამდენად აქტიური წინააღმდეგობის საშუალება არ გააჩნდა. რუსეთის არმია სწრაფად მიიწევდა წინ სამი მიმართულებით. თებერვლის შუა რიცხვებისათვის უკვე აღებული იყო ჰელსინგფორსი. რუსეთის ჯარებმა მალე ალყა შემოარტყეს სვეაბორგს, ამავე დროს დაიკავეს აბო, ალანდის კუნძულები, გოტლანდის კუნძული და სხვ. გაზაფხულზე, იმის გამო, რომ რუსთა კომუნიკაციები მეტისმეტად გაჭიმული აღმოჩნდა, ხოლო შვედებმა ძალთა შევსება და კონსოლიდაცია მოახერხეს, განხორციელდა კონტრშეტევა, რამაც რუსები აიძულა დაეტოვებინათ ზოგიერთი დაკავებული ადგილები. მალე შვედებს ინგლისელთა მაშ-

ველი ძალებიც მოუვიდა, მაგრამ გაზაფხულის წყალდიდობის გამო მათი გამოყენება ვერ მოხერხდა. რუსებმა ისარგებლეს საზაფხულო შესვენებით, დამხმარე ძალები მიიღეს და ისევ შეტევა გააჩაღეს. სექტემბერში რუსეთის ძალებმა ზედიზედ დაამარცხეს შვედები. ომის შემდეგი საფეხური იწყება ფინეთში მოქმედი რუსეთის ჯარების სარდლად კნორინგის დანიშვნის შემდეგ. ბაგრატიონმა მიმართულება აიღო ვაზუდან ალანდის კუნძულებისაკენ და სწრაფი მარშით იგი დაიკავა. ბარკლაი დე ტოლის სარდლობით განხორციელდა მარში ვაზუდან უმეოზე, შუვალოვის სარდლობით ტორნეოზე. შვეციას სრული დაპყრობის საფრთხე დაემუქრა, რაც არც ალექსანდრეს მოკავშირე ნაპოლეონს აწყობდა. ხაქმე შედარებით იოლად გადაწყდა იმით, რომ შვეციის სამეფო კარზე ცვლილება მოხდა გუსტავ IV ტახტიდან ჩამოაგდეს. ახალმა მეფემ კარლოს XIII რუსეთთან ადრე დაწყებული მოლაპარაკება განაახლა.

1809 წ. სექტემბერში ფრიდრიხსჰამში შვეციასა და რუსეთს შორის დაიდო ზავი. ფინეთი რუსეთის მფლობელობაში გადმოდიოდა (საზღვარი მდინარე ტორნეოზე გადიოდა) შვეცია შეუერთდა კონტინენტურ ბლოკადას, ალანდის კუნძულები რუსეთს გადაეცა.

ალექსანდრე პირველს კარგად ესმოდა, რომ ფინეთის ტერიტორიის შემოერთება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. აშკარა ანექსია აქ არ გამოდგებოდა, რადგან იმ დიდი ომის მოლოდინში, რაც რუსეთსა და საფრანგეთს შორის გარდუვალი ჩანდა, ფინეთი შეიძლება რუსეთისათვის ჩრდილოეთის ფრონტად გადაქცეულიყო. საჭირო იყო ფინელი ხალხის გულისმოგება და მისი მოსარჩლის როლში გამოსვლა. შვეციის უღლიდან განთავისუფლებულ ფინელ ხალხს ახლა ყველაზე სასიამოვნო ჯილდოდ დამოუკიდებლობა მიაჩნდა. ცბიერმა ალექსანდრემ ამ გრძნობას დაუმიზნა. „ფილანდია სახელმწიფოა და არა გუბერნია“ ლაპარაკობდნენ მაშინ რუსეთის სამეფო წრეებში. ამ შინაარსით გაიხსნა ბორგოს სეიმი 1809 წ. მარტში, ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფრიდრიხსჰამის ზავი ხელმოწერილი არ ყოფილა.

სეიმის გახსნას რუსეთის იმპერატორი ესწრებოდა და აქ

მან ფინეთს აღუთქვა, რომ ქვეყანას შეუნარჩუნებდა კონსტიტუციას; მისცემდა საშინაო დამოუკიდებლობას.

სეიმი სინამდვილეში თავის ნამდვილ უფლებებს მოკლებული აღმოჩნდა. მან განსახილველად მხოლოდ იმპერატორის მიერ შეთავაზებული საკითხები დააყენა. სეიმის დახურვისას ალექსანდრემ კვლავ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც სპერანსკის მიერ იყო დაწერილი. ალექსანდრე ფინელ ხალხს მათი ეროვნული უფლებებისადმი პატივისცემას პირდებოდა.

ყველაფერი ეს მალე დავიწყებულ იქნა. ფინეთის კონსტიტუცია მაუდ ქვეშ ამოსდეს. ფინეთის სეიმმა დაკარგა რა დამოუკიდებელი მოქმედების უფლება, სავსებით შესწყვიტა არსებობა. ფინეთის ბატონპატრონი გუბერნატორი გახდა. ამრიგად, 1812 წ. ომის შემდეგ ცარიზმმა ფინეთთან ცერემონიას თავი მიანება და იგი მუდამ ავიწროებდა ფინელ ხალხს, მუდამ ეროვნული ჩაგვრის უღელს უმზადებდა, ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ფინელ ხალხს ეროვნული თავისუფლება არ მიანიჭა.

1808 წელს ნაპოლეონის ინიციატივით ერფურტში ერთმანეთს შეხვდნენ ნაპოლეონი და ალექსანდრე პირველი. ორთავე იმპერატორი საჯაროდ, ერთმანეთს მეგობრობას ეფიცებოდა და მხარდაჭერას აღუთქვამდა, სინამდვილეში ორთავენი გრძნობდნენ, რომ საწინააღმდეგო გზით მიემართებოდნენ და შეჯახება გარდუვალი ჩანდა. ნაპოლეონი ამ დროს ავსტრიასთან ომისთვის ემზადებოდა და მას სჭიროდა ალექსანდრე პირველის მხარდაჭერა, რაც ტილზიტის ზავით იყო გათვალისწინებული. რუსეთი უხალისოდ დათანხმდა ტილზიტის შეთანხმების ეს მუხლი განეხორციელებინა, საკომპენსაციოდ მოითხოვა მოლდავეთისა და ვალახეთის შემოერთება. რუსეთ-თურქეთის ომის გაგრძელების შემთხვევაში საფრანგეთი მხარს რუსეთს დაუჭერდა, იმ შემთხვევაში, თუ ავსტრია თურქეთის მხარეზე გამოვიდოდა.

ნაპოლეონმა მართლაც ელვისებურად დაიწყო ოპერაცია ავსტრიის წინააღმდეგ. რუსეთის არმია განგებ ნელა მიემართებოდა ნაპოლეონის დასახმარებლად, ისე ნელა, რომ ფრანგებმა

უკვე მოასწრეს ავსტრიის განადგურება, ვიდრე რუსები საომარ ოპერაციაში ჩაებნენ.

ნაპოლეონმა ავსტრიას თავზე მოახვია ახალი მძიმე ზავი. მისი ტერიტორიის ნაწილი — გალიცია ვარშავის საჰერცოგოს შეუერთა და ამით კვლავ გაზარდა მისი ძალები რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი ომის საჭიროებისათვის. რუსეთს კი ნაპოლეონმა ავსტრიის კუთვნილი ტარნოპოლის ოლქი არგუნა. ამ აქტით იგი ავსტრიასა და რუსეთს შორის შუღლს აგდებდა და მომავალ კონფლიქტში რუსეთთან ავსტრიის მხარდაჭერას ვარაუდობდა.

რუსეთ-თურქეთის ომი 1805—1812 წწ.

ერფურტში შეხვედრის შემდეგ, რუსეთმა მიიღო რა ნაპოლეონის მხარდაჭერა, განაახლა ომი თურქეთთან, რომელიც 1806 წლის მიწურულში დაიწყო და ტილზიტის მოლაპარაკების პერიოდში დროებით შეჩერდა.

თურქეთმა უარყო რუსეთის მიერ შეთავაზებული წინადადებანი კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ. რუსეთი მოითხოვდა ბესარაბიის, მოლდავეთის და ვალახეთის გადაცემას, სერბეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და რუსეთისათვის საქართველოს შეერთების აღიარებას, იმერეთის და სამეგრელოს გადაცემას. თურქეთს ამ დროს ინგლისის და ავსტრიის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და თავი გამომწვევად ეჭირა.

1811 წლამდე საბრძოლო ოპერაციებს დუნაის ფრონტზე რუსეთისათვის არსებითი წარმატება არ მოუტანია. რუსეთის არმიები იპყრობდნენ ციხე-სიმაგრეებს, მაგრამ კონტრშეტევის შედეგად ისევ კარგავდნენ. ომი მეტისმეტად გაჭიანურდა, ძალები დაქსაქსული იყო. მთავარსარდალი რამდენჯერმე შეიცვალა, წარმატება კი არ ჩანდა.

1811 წლიდან, როცა საფრანგეთთან ომის გარდუვალობა ცხადი გახდა, რუსეთის სამეფო კარმა გადაწყვიტა თურქეთთან კონფლიქტი სასწრაფოდ გადაეჭრა. ოპერაციების ხელმძღვანელობა ახლა გენერალ კუტუზოვს მიენდო.

მოქმედ არმიაში კუტუზოვი 1811 წლის აპრილში ჩავიდა. აქ მას არასახარბიელო მდგომარეობა დახვდა. დუნაის 46 ათასიან არმიას 1 000 კმ. სიგრძის ფრონტი ეკავა. ჯარის ასეთი კორდონული განლაგებით შეუძლებელი იყო შეტევაზე ფიქრი. თურქები ჩაკეტილი იყვნენ ციხე-სიმაგრეში და შეუპოვრად იცავდნენ თავს. ისინი უმიზნებდნენ სილისტრიას, რუშჩუკს და ნიკოპოლს, რომლებსაც რუსთა მცირერიცხოვანი გარნიზონები იცავდნენ.

კუტუზოვმა უკუაგდო სახაზო შეტევის ტაქტიკა. მან ბრძანა დაენგრიათ სილისტრიისა და ნიკოპოლის სიმაგრეები, არმიას თავი მოუყარა ერთ დამკვრელ კოლონად და თავდაცვაზე გადაიყვანა. მან განგებ შექმნა თავისი ძალების სისუსტის შთაბეჭდილება, რომ ამით მოწინააღმდეგე გაშლილ ველზე გამოეწვია, აქ გაენადგურებინა, შეტევაზე გადასულიყო და აეძულებინა თურქეთი ზავი ეთხოვა.

ოსტატურმა მანევრმა მტერი ანკესზე წამოაგო. თურქებმა იფიქრეს რუსეთს უპირს და შეტევის ყველაზე საუკეთესო მომენტი ახლა დადგაო. ისინი გამოვიდნენ შუმლის ციხე-სიმაგრიდან, რომ მოლდავეთი და ვალახეთი დაებრუნებინათ. თურქებმა 50.000 არმიით ამავე დროს ბუქარესტზე თავდასხმა გადაწყვიტეს. ამ მიმართულებით კუტუზოვმა მტერს მრავალი დაბრკოლება შეუქმნა და ბოლოს და ბოლოს აიძულა რუშჩუკისთვის დაერტყა.

კუტუზოვმა დუნაიზე გადაიყვანა მთავარი ძალები და რუშჩუკიდან 4 კმ სამხრეთით დაიკავა თავდაცვის პოზიცია. რუსეთის არმიის ზურგში იყო დუნაი, ასე რომ, უკან დასახევი გზა აღარ არსებობდა. ასეთი გაბედული სვლა გამარჯვების ურყევი რწმენიდან გამომდინარეობდა.

22 ივნისს რუშჩუკთან მოხდა დიდი ბრძოლა. კუტუზოვს აქ 114 ქვემეხი ჰქონდა და 15 000 მეომარი ყავდა. თურქეთის დიდ ვეზირს კი — 60.000 არმია და 78 ქვემეხი.

კუტუზოვმა ოსტატური მანევრებით გასტეხა მტრის შემტევი ძალა და აიძულა იგი უკან დაეხია. თურქები სასტიკად დამარცხდნენ. კუტუზოვს შეეძლო გაქცეულთ დადევნებოდა

(თურქებიც ასე ვარაუდობდნენ), მაგრამ მან, შემუშავებული ჰქონდა რა მეტად ორიგინალური სტრატეგიული გეგმა, დადევნების ნაცვლად ააფეთქა რუშჩუკი და დუნაის ჩრდილო ნაპირზე გადაინაცვლა. მან მშვენივრად იცოდა, რომ უკანდახეული თურქები თავს ისევ შუმლას შეაფარებდნენ, შუმლის იერიში კი ომის ბედს სრულებით არ სწყვეტდა. მთავარი იყო არა შუმლის აღება, არამედ ომის მოგება. „ბევრად აჯობებს ვაეამხნევო, ჩემო მეგობრებო, ახმეტ ბეი და ის კვლავ გვეწვევა“ — ეუბნებოდა კუტუზოვი ოფიცრებს. მას სწამდა, რომ თურქები ამჟამადაც წამოეგებოდნენ ანკესზე და დუნაის ისევ გადმოლახავდნენ.

ახმეტ ბეიმ კუტუზოვის მოქმედებაში რუსეთის არმიის სისუსტე ამოიკითხა. ამავე დროს მას შეტევისათვის აქეზებდნენ სულთანი და ნაპოლეონი. დიდი ვეზირი ახლა 70 ათასიანი არმიით დაიძრა რუსების წინააღმდეგ 50 ათასი კაცით იგი რუშჩუკთან დუნაის მარცხენა ნაპირზე გადავიდა, ხოლო 20 ათასი კაცი, სურსათი, ზარბაზნების ნაწილი დუნაის მარჯვენა ნაპირზე დატოვა.

კუტუზოვმა ძირითადი ძალები (30 ბატალიონი, 40 ესკადრონი, 10 კაზაკთა პოლკი) განალაგა პატრიკთან და თურქეთს საშუალება არ მისცა წინ წაწეულიყვნენ. ამავე დროს მან გამოჰყო 7 ათასიანი რაზმი მარკოვის მეთაურობით, რომელსაც დაუსახა ამოცანა გადაელახა დუნაი და გაენადგურებინა თურქთა ის ნაწილი, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე იყო თავმოყრილი.

1 ოქტომბერს თურქთა ბანაკიდან დაცილებით მარკოვის ნაწილები გადავიდნენ დუნაის მარჯვენა ნაპირზე, გაჰყვნენ დინებას და თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ბანაკს. რამდენიმე საათის შემდეგ ეს ბანაკი აღარ არსებობდა. მარკოვის დანაკარგი კი 9 მოკლულს და 40 დაჭრილს უდრიდა. მარკოვის გამარჯვებულმა რაზმმა თურქთა ქვემეხები დუნაის მარცხენა ნაპირისაკენ მიმართა. ამ დროს ამოქმედდნენ კუტუზოვის ძირითადი ძალები და დუნაის ფლოტილია. თურქეთის არმია გარემოცვაში აღმოჩნდა. მთავარსარდალმა გაქცევით უშველა თავს. მშიერი არმია, რომელმაც თავისი შემადგენლობის ორი-

მესამედი უკვე დაჰკარგა, 25 ნოემბერს იძულებული შეიქმნა დანებებულიყო.

ძალგამოცლილი თურქეთის წინააღმდეგ კუტუზოვმა აამოქმედა აგრეთვე თავისი დიპლომატია და აიძულა პორტა ბუქარესტში ხელი მოეწერა რუსეთისათვის მეტად ხელსაყრელ საზავო პირობებზე.

1812 წლის 16 მაისს დაიდო ბუქარესტის ზავი რუსეთსა და თურქეთს შორის. ზავის მიხედვით ბესარაბია რუსეთს შეუერთდა, რუსეთ-თურქეთის საზღვარი დაწესდა მდინარე პრუტის გაყოლებით მის დუნაისთან შესართავამდე. რუსეთმა დუნაის მთელ დინებაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება მოიპოვა. სერბეთს მიეცა ავტონომია შინაგანი თვითმმართველობის საკითხებში.

დუნაიზე რუსეთის გამარჯვებას და ბუქარესტის ზავს, როცა რუსეთ-საფრანგეთის ომი ეს-ეს იყო უნდა დაწყებულიყო, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ჩაშალა ნაპოლეონის ვარაუდები თურქეთი გამოეყენებინა სამხრეთით რუსეთის წინააღმდეგ შეტევისათვის და რუსეთის არმიას შეუქმნა დასავლეთის ფრონტზე დაჯგუფების შესაძლებლობა. ამ ომმა კიდევ უფრო შეარყია თურქეთის ძლიერება, გააღვივა ბალკანეთის სლავთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნაპერწკალი. ბესარაბიის ცხოვრებაში ამ ომმა დიდი პროგრესული როლი ითამაშა. იგი თურქეთის მონობის უღლისაგან გათავისუფლდა.

რუსეთის გამარჯვებამ და განსაკუთრებით ბუქარესტის ზავმა გააოფთრა ნაპოლეონი. იგი თურქებს გამოყეყეჩებულებს უწოდებდა. საომრად განწყობილი იმპერატორი ხედავდა, რომ მას ხელიდან გამოეცალა რუსეთისათვის სამხრეთიდან შეტევის ერთ-ერთი ხელსაყრელი პოზიცია.

ცარიზმის საშინაო პოლიტიკა ტილზიტის ზავის შემდეგ

ტილზიტის ზავის შემდეგ ალექსანდრე პირველმა გადასწყვიტა უფრო მეტი ენერგიულობით მოეხედა საშინაო საქმეებისათვის. განწყობილება რუსეთში ამ დროს დამამშვიდებელი არ

ყოფილა. თავადაზნაურობა და თვით სასახლის არისტოკრატია უკმაყოფილო იყო ტილზიტის ზავით. ბევრი ამ უკმაყოფილებას აშკარადაც გამოთქვამდა. უფრო და უფრო ფართო საგანგაშო ხასიათს იღებდა გლეხთა მღელვარებანი. რუსეთში ვითარება დაძაბული იყო. საჭირო იყო ოპოზიციური ელემენტებისადმი ზოგიერთი დათმობა. ლიბერალიზმთან გათამაშების პოლიტიკა ისევ დღის წესრიგში იდგა.

საიდუმლო კომიტეტი, რომელსაც იმპერატორი თავის მოსაზრებებს უზიარებდა, 1805 წლიდან დაშლას იწყებს. ახალგაზრდა მეგობრებში თავი იჩინა იმპერატორის პოლიტიკისადმი უნდობლობამ და კრიტიკულმა დამოკიდებულებამ. 1805 წელს, აუსტერლიცის ბრძოლის წინ ნოვოსილცევი და ჩარტორიისკი, რომლებიც თან ახლდნენ იმპერატორს, ურჩევდნენ მას ხელი აეღო ნაპოლეონთან ბრძოლაზე და ამ მოსაზრებას ისინი კუტუზოვის ავტორიტეტით ამაგრებდნენ. ალექსანდრემ ეს არ დაიჯერა. როგორც მკვლევარი პრედტეჩენსკი შენიშნავს, ავადმყოფური თავმოყვარეობა ალექსანდრეს უფლებას არ აძლევდა თავისივე შეცდომები ეპატიებინა სხვისთვის, თუ იგი მისი თანდასწრებით ხდებოდა. პირველად ეს იწვნია ჩარტორიისკიმ, რომელიც 1806 წელს გათავისუფლებულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ასევე ჩამოიცილა ალექსანდრემ ნოვოსილცევიც, რომელიც აღშფოთებული ტილზიტის ზავით. იმპერატორს ეუბნებოდა: ნაპოლეონისათვის ცნობილია, რომ მე მისი მტერი ვარ და ინგლისისადმი სიმპატურად ვარ განწყობილი, ახალი მოკავშირე რომ ერთგულებაში დაარწმუნოთ, თქვენ არ შეგიძლიათ მიყოლიოთ თქვენს ახლოს, პირიქით, მე უნდა გამდევნოთ, გამდევნოთ საჯაროდ. ალექსანდრეს პოლიტიკის გაუფრთხილებლად განსჯის გამო მოსალოდნელმა საფრთხემ იგი აიძულა საზღვარგარეთ წასულიყო. საზღვარგარეთ დიპლომატიურ სამუშაოზე გაგზავნილ იქნა სტროგანოვი. 1807 წელს უვადო შვებულებაში გაშვებულ იქნა კოჩუბეიც. ამრიგად, ინტიმური კომიტეტი მოკვდა. იმპერატორმა სახელმწიფო საქმეებზე დააწინაურა და დაიახლოვა სხვა პირები, მათ შორის, ნ. რუმიანცევი, ო. კოზოდავლიევი, ა. რაზუმოვსკი და მ. სპერანსკი. ამ შემადგენლობაში ყველაზე

სანდო და ჭკვიან კაცად იმპერატორმა მიიჩნია სპერანსკი, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე იმპერატორთან ყველაზე დაახლოებულ და მთელს რუსეთში ყველაზე გავლენიან პირად იქცა.

მ. მ. სპერანსკი (1772—1839 წწ.) იყო მღვდლის შვილი, წარმოშობით ვლადიმირის გუბერნიიდან. დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. სამსახურში მოეწყო თავად კურაკინთან და ჯერ კიდევ პავლეს დროს გამოიჩინა თავი, როგორც უაღრესად ნიჭიერმა, განათლებულმა, დინჯმა და სანდო მოხელემ. ალექსანდრეს გამეფების შემდეგ სპერანსკი ჯერ ტროშჩინსკისთან, ხოლო შემდეგ კოჩუბეისთან მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. სპერანსკის უფლება-მოვალეობანი გაიზარდა. მას მუშაობა უხდებოდა სახელმწიფოებრივი გარდაქმნის პროექტებზე. აქ თავისი გაბედული და გონიერი მოსაზრებებით უკვე მიიქცია იმპერატორის ყურადღება. ალექსანდრე სპერანსკის ადრევე იცნობდა. 1803 წელს კოჩუბეის რეკომენდაციით იმპერატორმა სპერანსკის დაავალა დაეწერა პროექტი არსებულ დაწესებულებათა გადახალისებისა.

თავის პირველ, 1802—1803 წლებში შექმნილ პოლიტიკურ ტრაქტატებში, სპერანსკი გამოდის თვითმპყრობელური ხელისუფლების შეზღუდვის მომხრედ, მას საჭიროდ მიაჩნია რუსეთისათვის ერთგვარი არისტოკრატიული კონსტიტუცია. ბონარქიის გვერდით, მისი აზრით, უნდა არსებულიყო ორპალატიანი წარმომადგენლობითი დაწესებულება. ზედა პალატა მხოლოდ მემკვიდრეობითი არისტოკრატიისთვის.

სპერანსკის ამ პირველ პროექტებს დასრულებული სახე არ ჰქონიათ, მათში გამოკვეთილი არ ყოფილა სახელმწიფოებრივი გადახალისების გეგმები.

1807 წლიდან დაიწყო იმპერატორთან სპერანსკის დაახლოება, სპერანსკის ამაღლება, ისე რომ იგი მალე მთელს იმპერიაში პირველი კაცი გახდა. სპერანსკი ახლდა ერფურტში ალექსანდრეს. ფრანგოფილი სპერანსკი, სასახლის არისტოკრატიის ტილზიტისადმი უკმაყოფილების ვითარებაში, უერთგულეს და სანდო პირად დასახა იმპერატორმა. კრიზისულმა ვითარებამ ქვეყნის შიგნით, იმპერატორი, როგორც აღვნიშნეთ

ისევ აიძულა ლიბერალიზმის მანტია წამოესხა. სწორედ აქ იყო საჭირო სპერანსკის ის პროექტები, რაზედაც 1802—1803 წლებში მუშაობდა.

იმპერატორმა გ. სპერანსკის დაავალა შეედგინა და მისთვის წარედგინა სახელმწიფოებრივი მმართველობის გარდაქმნის პროექტი. 1809 წლისთვის ეს დავალება სპერანსკიმ შეასრულა და იმპერატორს წარუდგინა ნაშრომი „სახელმწიფო-კანონთა დებულების შესავალი".

ამ დოკუმენტში პირველყოვლისა დახასიათებულია ის მიზეზები, რომლებიც რუსეთში სახელმწიფოებრივ გადახალისებათა აუცილებლობას აპირობებენ. სპერანსკი მიუთითებს რუსეთში შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე, ადარებს მას იმ მდგომარეობას, რომელიც საფრანგეთში არსებობდა 1789 წლის რევოლუციის წინ.

მდგომარეობის კრიზისს სპერანსკი იმაში ხედავს, რომ ხალხში გაქრა უფროსებისადმი პატივისცემის, მორჩილების გრძნობა, შეიმჩნევა ხელისუფლების მორალური დაცემა, ამ ვითარებაში გასაქანი ეძლევა „ბოროტადგანწყობილ პარტიებს". ასევე ხდებოდა სხვა სახელმწიფოებშიც იმ ეპოქაში, როცა ფეოდალური სისტემა თავის დაცემას უახლოვდებოდა. სპერანსკი ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ დასავლეთიდან რუსეთში ვრცელდებოდა რევოლუციური იდეები, რომელთა ხელოვნური საშუალებებით შეკავება შეუძლებელი იყო. სახელმწიფოში შექმნილი ეს დაძაბული ვითარება არაა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების (ტილზიტის) შედეგი. ნუთუ შაქრისა და ყავის სიძვირეა მიზეზი ყველა ამ უკმაყოფილებისა? არა, უპასუხებს სპერანსკი. მიზეზი იმაშია, რომ „მმართველობის ახლანდელი სისტემა უკვე შეუფერებელია საზოგადოებრივი სულისკვეთებისათვის. საჭიროა სხვაგვარი წესწყობილება, რადგან გამოცდილება გვასწავლის, რომ ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი, როცა „განათლებული კომერციული ხალხი დიდხანს მონობაში დარჩენილიყო".

რუსეთი რევოლუციის პირზეა — განაგრძობს სპერანსკი. მაგრამ შეიძლება მისი თავიდან აცილება: ყველაფერი დამოკიდებულია მონარქის სიბრძნეზე. მას შეუძლია მშვიდობია-

ნი გზით მომკოს ქვეყნის გარდაქმნის ის კეთილმყოფელი შედეგები, რასაც რევოლუცია მოითხოვს, რომელსაც თან ახლავს უდიდესი მსხვერპლი და უბედურება. ასეთი გამოსავალი არის კონსტიტუცია. იგი რუსეთს მისცემს მმართველობის ყველაზე შესაფერ ფორმებს, იგი რუსეთს თავიდან ააცილებს რევოლუციის საშინელებას.

როგორია შინაარსი იმ კონსტიტუციისა, რომელიც სპერანსკის რუსეთის ხსნად მიაჩნია?

კონსტიტუცია ძალაში სტოვებს ბატონყმობას და თვითმპყრობელობას, რომლებიც მთავარ მიზეზს წარმოადგენდნენ იმპერიის კრიზისული მდგომარეობისა. სპერანსკი მშვენივრად გრძნობს ბატონყმური ურთიერთობის დრომოჭმულობას, უვარგისობას. იგი აკი აცხადებს კიდეც, რომ განათლებული და კომერციული ხალხი დიდხანს მონობაში ვერ დარჩებაო, მაგრამ მას არ ყოფნის გამბედაობა აშკარად დააყენოს ამ სოციალური ინსტიტუტის მოსპობის საკითხი. მას ეშინია შედეგებისა, რაც შეიძლება ბატონყმობის მოსპობას მოჰყვეს და ამჯობინებს ოდნავ შელამაზებული სახით შემოინახოს ეს დაწესებულება.

კონსტიტუცია ითვალისწინებს მთელი მოსახლეობისათვის მოქალაქეობრივი უფლების აღიარებას, თუმცა არაერთნაირად ყველასათვის. კონსტიტუციით რუსეთში ნაგულისხმევია სამი წოდება: აზნაურობა, „საშუალო წოდება" (ანუ ვაჭრები, მოქალაქეები, სახელმწიფო გლეხები) და „მუშა ხალხი" — (მემამულეთა ყმები, მუშები და შინამოსამსახურენი). პოლიტიკური უფლება სახელმწიფოში მხოლოდ პირველ ორ წოდებას ეკუთვნის. კონსტიტუცია ყველა წოდებას აკუთვნებს აგრეთვე უძრავი და მოძრავი ქონების შექმნის უფლებას, მაგრამ ადამიანთა საკუთრების ანუ ყმების საკუთრების უფლებას თავადაზნაურული წოდების პრივილეგიად აღიარებს. პოლიტიკური უფლება სახელმწიფოში შეიძლება მიეცეს ყველას, ვისაც აქვს საკუთრება.

სპერანსკი აღიარებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანიზაციის მონტესკიესებურ სისტემას. მისი აზრით, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სამად უნდა იყოფოდეს: საკა-

ნონმდებლოდ, აღმასრულებლად და სამოსამართლეოდ. საკანონმდებლო დაწესებულებას რუსეთში განახორციელებს სახელმწიფო სათათბირო, რომელიც იქნება ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. სათათბიროს თავმჯდომარე, კანცლერი დაინიშნება უმაღლესი ხელისუფლების მიერ იმ კანდიდატებისაგან, რომელსაც სათათბირო წარადგენს. სათათბიროს მოწვევა არ იქნება დამოკიდებული მეფის ნება-სურვილზე. იგი შეიკრიბება ყოველ წლიურად სექტემბერში. მეფეს უფლება აქვს მხოლოდ შესწყვიტოს სათათბიროს მუშაობა, გარეკოს მისი შემადგენლობა, დანიშნოს ახალი არჩევნები.

არჩევნები ოთხსაფეხურიანია: ხმისმიცემის უფლების მქონე პირები და აგრეთვე სახაზინო გლეხთა მამასახლისები (ყოველ 500 სახაზინო გლეხზე ერთი) შეადგენენ სათემო სათათბიროს, რომელიც ყოველ სამ წელში იკრიბება. აქ ხდება საოლქო სათათბიროსათვის დეპუტატების არჩევა, ბიუჯეტის განხილვა და სხვ. ამის შემდეგ იწვევა საოლქო სათათბირო, რომელიც ირჩევს საგუბერნიო სათათბიროს და იხილავს ადგილობრივ საკითხებს.

საგუბერნიო სათათბიროს მიერ არჩეული დეპუტატები შეადგენენ სახელმწიფო სათათბიროს. არჩევნების ასეთივე სისტემა უდევს საფუძვლად სასამართლო ინსტანციებს.

აღმასრულებელი ხელისუფლება იმპერატორს ეკუთვნის. მასთან არსებობს სახელმწიფო საბჭო, სადაც თავს იყრის ყველა ძაფები მმართველობისა. სახელმწიფო საბჭო განიხილავს ყველა პროექტს ყველა კანონისა, რასაც მიიღებს სახელმწიფო სათათბირო, იგი იხილავს ბიუჯეტს და მინისტრთა ანგარიშებს. იმპერატორი აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელია. მასვე ეკუთვნის საკანონმდებლო ინიციატივა, ცხოვრებაში კანონთა განხორციელების კონტროლი, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობაზე კონტროლი. მეფე წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს, საგარეო პოლიტიკის მიმართულებას. სახელმწიფო საბჭოს გარდა მას ემორჩილებიან სენატი და მინისტრთა კომიტეტი.

ასეთია მოკლედ სპერანსკის მიერ აღიარებული გარდაქმნათა შინაარსი.

ბურჟუაზიულ-ლიბერალურმა ისტორიოგრაფიამ სპერანსკის ეს დებულებანი მეტისმეტი გადაჭარბებით შეაფასა. ისტორიკოსი ვ. ო. კლუჩევსკი სპერანსკის უწოდებდა რუსეთის ვოლტერს, ამავე დროს მიაჩნდა, რომ სპერანსკის მაღალი იდეალები ნაადრევი იყო რუსეთისათვის. „შეუდგა რა სახელმწიფოებრივი რეფორმების საერთო გეგმის შედგენას — წერდა კლუჩევსკი — მან ჩვენს სამშობლოს შეხედა როგორც დიდი გრიფელის დაფას, რომელზედაც შეიძლება დახაზო ნებისმიერი მათემატიკურად სწორი სახელმწიფოებრივი ნაგებობა. მან მართლაც დასახა ასეთი გეგმა, რომელიც საოცარი სიმწყობრით, აღიარებულ საწყისთა გატარებაში თანმიმდევრობით გამოირჩეოდა. მაგრამ როცა საქმე ამ გეგმის განხორციელებაზე მიდგა, ვერც ხელმწიფემ, ვერც მინისტრებმა ვერ შესძლეს იგი მიეყენებინათ რუსეთის ნამდვილ მოთხოვნილებათა დონისა და არსებული საშუალებებისათვის“.[1] ეს არაა მართალი. იმ კუდმოკვეცილი, ნახევრად ბურჟუაზიული რეფორმებისათვის, რასაც სპერანსკის დებულება შეიცავდა, რუსეთი უკვე დიდი ხნით მომზადებული იყო. ეს უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიულ საწყისებზე გადახალისებული ფეოდალური მონარქია. სპერანსკი გამოდიოდა რევოლუციის მტრად, მიზნად ისახავდა რუსეთის მონარქიის გადარჩენას ზევიდან რეფორმების განხორციელებით. მართლაც, მის მიერ მოფიქრებულ ღონისძიებათა განხორციელებას დროებით შეეძლო კრიზისის შენელება, რადგან ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისათვის ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა, მაგრამ თვითმპყრობელურ მონარქიას და მის საყრდენ აზნაურობას საბოლოოდ იგი ვერ გადაარჩენდა.

სპერანსკის მიერ მოფიქრებულ რეფორმებიდან ცხოვრებაში მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი განხორციელდა. ერთ-ერთი ეათგანი იყო სახელმწიფო საბჭოს შექმნა. 1810 წლის იანვარში გამოცემულ იქნა მანიფესტი უცვლელი საბჭოს რეორგანიზაციისა და სახელმწიფო საბჭოს შექმნის შესახებ. ეს იყო იმპერატორთან არსებული სათათბირო დაწესებულება, რომ-

[1] В. О. Ключевский, Соч. т. V, стр. 218-219.

ლის წევრებად ინიშნებოდნენ უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები. რამდენადაც სპერანსკის რეფორმებს საკანონმდებლო ხელისუფლების დაწესების შესახებ განხორციელება არ ეწერა, თვითმპყრობელობა სახელმწიფო საბჭოს აკისრებდა ამ ფუნქციასაც. ასევე იყო მითითებული საბჭოს დებულებაში.

დიდი რეფორმების უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდა აგრეთვე ახალი კანონი სამინისტროების შესახებ. ზუსტად დამუშავდა სამინისტროთა სტრუქტურა, გაიზარდა სამინისტროთა რიცხვი (დაემატა პოლიციისა და გზათა სამინისტროები და მათთან უფლებით გათანაბრებული სახელმწიფო კონტროლი), გამომუშავდა სამინისტროებში საქმის წარმოების დებულება, მინისტრები შეყვანილ იქმნენ სენატის შემადგენლობაში და სხვ.

მნიშვნელოვანი იყო ფინანსების დარგში გატარებული ღონისძიება. იგი ნაკარნახევი იყო სახელმწიფო ფინანსებში შექმნილი კატასტროფიული ვითარებით. გასავალი თითქმის ორჯერ აჭარბებდა შემოსავალს. სპერანსკიმ შეადგინა ე. წ. „ფინანსების გეგმა", რაც 1810 წლის 2 თებერვლის მანიფესტით ძალაში შევიდა. დაწესდა ხარჯების რეგლამენტაცია. სახელმწიფო გასავალი შემოსავალს დაუქვემდებარდა. შემოსავალი ნაწილის ზრდა ნავარაუდევი იყო გადასახადების გადიდებით. „ფინანსების გეგმას" არ შეუტანია და არც შეეძლო შეეტანა არსებითი გაუმჯობესება, რადგან მისი მოშლილობის ძირითადი საფუძველი — ბატონყმური ურთიერთობა ხელუხლებელი რჩებოდა.

1810 წელი სპერანსკის ძალაუფლების კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა. მაგრამ მისი დაცემა გარდაუვალი ჩანდა. რადგან გავლენის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სასახლის არისტოკრატიის შური და მტრობა, მისდამი აუტანელი ზიზღი და სიძულვილი. სპერანსკის პროექტებს რუსეთის სახელმწიფოებრივი მანქანის გადახალისების შესახებ რეაქციულად განწყობილი სასახლის არისტოკრატია მტრულად უყურებდა, რადგან მასში რუსეთის ძველთაძველი ტრადიციების რღვევას, რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ყოვლისშემძლეობის აღსასრულს ხედავდა. სპერანსკის საქმიანობაში ისინი ბონაპარ-

ტიზმის სულს ხედავდნენ, მას რევოლუციური იდეების გავლენით ხსნიდნენ. ტილზიტის სამარცხვინო ხელშეკრულებაზე გულმოსულ თავადაზნაურობას სპერანსკის სიახლოვე იმპერატორთან, მისი ყოვლისშემძლე ზეგავლენა, მისი ფრანგოფილობა პირდაპირ აცოფებდა. მის შესახებ ათასგვარი ჭორები ვრცელდებოდა, ეძებდნენ ხელსაყრელ შემთხვევას თავიდან მოსაცილებლად.

სასახლის თავნება და უვიცი არისტოკრატიის გახელება გამოიწვია ორმა უქაზმა — ერთი შეეხებოდა სასახლის წოდებას, მეორე იმ თანამდებობის პირთა გამოცდას, რომლებიც მინისტრთან შეთანხმების გარეშე იყო სამსახურში მიღებული. ორთავე ეს უქაზი ულათუოდ დროული იყო და სასახლის არისტოკრატიის თვითნებობას, უვიცობასა და უსაქმურობას ერთგვარად მაინც ზღუდავდა. პირველი უქაზით ყველა ისინი, ვისაც სასახლეში კამერჰერის ან კამერიუნკერის წოდება ჰქონდა, მაგრამ არავითარ სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურს არ ეწეოდა, ვალდებულნი იყვნენ ორი თვის განმავლობაში აერჩიათ მათი მომავალი სამსახურის დარგი — სამხედრო თუ სამოქალაქო. თუ უწინ სასახლის წოდება ამავე დროს რაიმე თანრიგს შეიცავდა, ახლა ეს პრივილეგიები უქმდებოდა და სასახლის თანამდებობა რაიმე სახელმწიფოებრივ თანამდებობასთან უნდა ყოფილიყო შეფარდებული. მეორე უქაზი პირდაპირ ურტყამდა იმ უსაქმურ, უცოდინარ და გაყოყოჩებულ არისტოკრატიას, რომელიც სასახლეში განცხრომით ცხოვრებას ეწეოდა. ამიერიდან კოლეგიის ასესორის თანრიგის მისაღებად საჭირო იყო უნივერსიტეტის კურსის დასრულების მოწმობა ან სათანადო გამოცდების ჩაბარება.

სპერანსკის სახელი სასახლისათვის აუტანელი გახდა. მის წინააღმდეგ რეაქციულმა თავადაზნაურობამ შეთქმულება დაიწყო. გაუვრცელეს ხმა თითქოს ნაპოლეონის ჯაშუში იყო. სპერანსკი გრძნობდა მის წინააღმდეგ არსებული მძლავრი დაჯგუფების სამზადისს იერიშისათვის და 1811 წელს გადადგომა ითხოვა. იმპერატორი მაშინ არ დათანხმდა, მაგრამ არ გასულა ერთი წელიც კი, რომ რუსეთში იმპერატორის შემდეგ ეს პირველი კაცი ნიჟნი ნოვგოროდში გადაასახლეს.

იმპერატორის ასეთ შემობრუნებას ხელს უწყობდა ორი გარემოება. ერთი — სასახლის რეაქციული არისტოკრატიის იერიში და მეორე — ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის გარდუვალობა, რაც 1812 წლისათვის ყველასათვის თვალსაჩინო გახდა.

თავადაზნაურული რეაქციის პროგრამულ დოკუმენტს წარმოადგენდა ისტორიკოს კარამზინის „წერილები ძველი და ახალი რუსეთის შესახებ", რომელიც იმპერატორს 1811 წელს მიართვეს.

ნიკოლოზ მიხეილის ძე კარამზინი (1760—1836 წ. წ.) რუსულ ლიტერატურაში თავადაზნაურული სენტიმენტალიზმის საუკეთესო წარმომადგენელი და მამამთავარი, ამავე დროს თავისი დროის საუკეთესო ისტორიკოსიც იყო. 1803 წლიდან სასახლეში მას ოფიციალური ისტორიოგრაფის თანამდებობა ეჭირა და დასწერა კიდეც „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია", რომელიც, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა. კარამზინის ისტორიული თხზულება იყო მიმზიდველად საკითხავი, დიდი ერუდიციით დაწერილი დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ნარკვევი, თუმცა მას საფუძვლად ედო რეაქციული იდეოლოგია. ეს იდეოლოგია, რომელიც მონარქისა და მისი მათრახის დაცვას ისახავდა მიზნად, უფრო გამოკვეთილად ჩამოყალიბებულ იქნა კარამზინის „წერილებში ძველი და ახალი რუსეთის შესახებ".

ეს დოკუმენტი შეიქმნა თავადაზნაურ-რეაქციონერთა იმ ჯგუფის დაკვეთით, რომელსაც იმპერატორის და ეკატერინე პავლეს ასული მფარველობდა და სადაც კარამზინის გარდა შედიოდნენ ფ. ვ. როსტოპჩინი, გრაფი ა. ი. მუსინ-პუშკინი, ი. ი. დმიტრიევი და სხვები. ეს იყო თავისებური სალონი, რომლის ცენტრს წარმოადგენდა ეკატერინე პავლეს ასულის სახლი ტვერში. კარამზინი ამ სალონში 1809 წლიდან მიიწვიეს. იმპერატორს კარამზინი ჯერ მოსკოვში შეხვდა, შემდეგ ტვერში და მას უკითხავდა თავებს თავისი ისტორიიდან. ალექსანდრეს გადაწყვეტილი ჰქონდა კარამზინი განათლების მინისტრად დაენიშნა, მაგრამ ამ მოსაზრებას წინ აღუდგა სპერანსკი.

სალონში სპერანსკისადმი მტრული განწყობილება იყო გაბატონებული. კარამზინის მხრივ ამ განწყობილებამ სრული მხარდაჭერა ჰპოვა. სწორედ ამიტომ მას, როგორც რუსეთის წარსულის ყველაზე საუკეთესო მცოდნეს დაევალა იმპერატორისათვის წერილობით მოეხსენებინა ის, თუ რა „უბედურებას" უმზადებდა რუსეთს სპერანსკის რეფორმები.

ნ. მ. კარამზინის წერილები იწყება რუსეთის წარსულის პოლიტიკური მიმოხილვით, კარამზინს ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ იმპერატორისთვის დაემტკიცებინა, თითქოს, რუსეთის ისტორიული განვითარების ბუნებრივი ტენდენცია შესისხლხორცებულია თვითმპყრობელობასთან, დაენახვებინა, თუ რა შედეგები მოსდევდა ხოლმე ყოველ გადახვევას ამ „ბუნებრივი გზიდან".

რუსეთის ძლიერება — მიუთითებს კარამზინი — მუდამ თვითმპყრობელობის ურყეობაზე იყო დაფუძნებული. რუსეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში თვითმპყრობელობის პრინციპი რამდენჯერმე შეირყა და სწორედ მაშინ ქვეყნის წინაშე ჩამოწვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე.

რუსეთის დანაწევრებამ საუფლისწულოებად და მანამდე ერთიანი და ცენტრალიზებული ხელისუფლების გაფანტვამ საუფლისწულოთა მთავრებს შორის კინაღამ რუსეთი დაღუპვამდე არ მიიყვანა, მაგრამ იგი გადაარჩინეს მოსკოვის დიდმა მთავრებმა, რომლებმაც რუსეთის გათიშულობას ბოლო მოუღეს და თვითმპყრობელობა აღადგინეს. რუსეთის დანაწევრება საუფლისწულოებად იყო ისტორიული უბედურება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს იყო საერთო სახელმწიფოებრივი წყლული ყველა ევროპულ ქვეყნისათვის. ამის შემდეგ რუსეთში თვითმპყრობელობის წინაშე ორგზის ჩამოწვა სასიკვდილო საფრთხე, რომლებიც ისტორიულად აუცილებელი სრულიადაც არ ყოფილა და მონარქთა პირადი თვისებებიდან მომდინარეობდა. ეს იყო შუისკის ჯვარკურთხევა და ანა ივანეს ასულის „კონდიციები". ორთავე ისინი გულისხმობდნენ თვითმპყრობელური ხელისუფლების თვითშეზღუდვას.

ისტორიული ექსკურსის შემდეგ კარამზინი გადადის ძირითად ნაწილზე, რომელიც რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას შეეხება. კარამზინი ისე როგორც სპერანსკი თანამედროვეობას შეშფოთებული უყურებს, კრიზისულ მდგომარეობას ხედავს, აუცილებლად მიაჩნია მოიძებნოს გამოსავალი, მაგრამ გზები და საშუალებები, რომელსაც მდგომარეობის გამოსასწორებლად კარამზინი იძლევა, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება სპერანსკის მიერ შეთავაზებულ გზებსა და საშუალებებს.

კარამზინი ჰკიცხავს ალექსანდრეს მრჩევლებს, რომლებმაც ქვეყნის მართვა-გამგეობაში მოინდომეს სიახლე, მაგრამ უყურადღებოდ დატოვეს ის ბრძნული წესი, რომ ყოველგვარი სიახლე სახელმწიფოებრივ წესრიგში ბოროტებაა, რომელსაც მხოლოდ უკიდურესი. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მივმართოთ. სახელმწიფოებრივი სიბრძნე უნდა იყოს უფრო მეტად დამცველი, ვიდრე შემოქმედებითი. თვითმპყრობელს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, მაგრამ არ შეუძლია კანონით შეზღუდოს თავისი ძალაუფლება. კონსტიტუციას, გარდა იმისა, რომ მონარქის ნება-სურვილს ზღუდავს, ქვეყანა დაღუპვამდე მიჰყავს; რუსეთში არ არსებობენ ძალები, რომლებიც ასეთი კონსტიტუციის გარანტიას მოგვცემდნენ; თუ იგი, ვთქვათ, მონარქმა დაარღვია, გამოაცხადებს თუ არა მას სენატი დამნაშავედ? აღშფოთდება თუ არა ხალხი? არის თუ არა რაიმე შესაძლებლობა შეიზღუდოს თვითმპყრობელის ხელისუფლება, რომ მას ზიანი არ მოჰყვეს? ზოგი თავქარიანი იტყვის, რომ საჭიროა ხელმწიფის ხელისუფლებაზე მაღლა კანონი დავაყენოთ. მაგრამ ვინ უნდა დაიცვას ამ კანონის ხელშეუხებლობა? სენატმა? საბჭომ? ეს ხომ ორი ძალაუფლებაა სახელმწიფოში, ხოლო ორი ხელისუფალი ყველა ქვეყანაში იგივეა, რაც ერთ გალიაში დამწყვდეული ორი მრისხანე ლომი, რომლებიც ერთმანეთს დაგლეჯენ.

კარამზინი აკრიტიკებს ალექსანდრეს საგარეო და საშინაო პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკის დარგში მას არასწორად მიაჩნია ანტინაპოლეონურ კოალიციაში რუსეთის მონაწილეობა. რუსეთის ისტორიიდან მაგალითების მოშველიებით

კარამზინი ამტკიცებს, რომ საგარეო პოლიტიკის კურსის ამოსავალი ყოველთვის იყო და იქნება რუსეთის უშუალო ინტერესები. შეცდომა იყო ტილზიტში მოლაპარაკება, რომელმაც ალექსანდრე ნაპოლეონის იარაღად გადააქცია; რუსეთი არ უნდა დათანხმებულიყო ვარშავის საჰერცოგოს შექმნაზე...

ასევე შეცდომებით იყო აღსავსე ალექსანდრეს ნაბიჯები საშინაო პოლიტიკის დარგში. საჭირო იყო რუსეთის მართვა ეკატერინეს დროინდელი მეთოდებით. შეცდომა იყო სამინისტროების შექმნა. ქვეყნის მართვის მთავარი იარაღი მონარქისათვის უნდა ყოფილიყო არა მინისტრთა კომიტეტი, არამედ სენატი; მავნე იყო სახელმწიფო საბჭოს შექმნა.

მწვავედ აკრიტიკებდა რა ყოველგვარ სიახლეს, კარამზინს ისინი მიაჩნდა უაზრობად, ფრანგულისადმი მიბაძვად, ხოლო ყოველგვარ მიბაძვას ფრანგულისადმი შეიძლება მოჰყვეს რევოლუცია.

კარამზინი თავს ესხმის მთავრობის ღონისძიებებს განათლების დარგში. ისინი მიაჩნია ზედმეტ ფუფუნებად. იგი მწარედ დასცინის სპერანსკის მიერ გატარებულ ღონისძიებებს თანამდებობის პირთა გამოცდის შესახებ.

კარამზინი გამოდის ბატონყმობის დამცველად. იგი წინააღმდეგია გლეხთა განთავისუფლებისა, რადგან მიწა მემამულეების საკუთრებაა, ხოლო განთავისუფლებული გლეხები უმიწაწყლოდ დარჩებიან. თავისუფალი გლეხები არ იმუშავებენ, ლოთობას დაიწყებენ და დაიღუპებიან. ან რა საჭიროა ბატონყმობის მოსპობა, როცა მემამულე ყმის კეთილისმყოფელი უფროსია, მასზე მუდმივად მზრუნველია...

ასეთია კარამზინის მსჯელობა. უნდა ითქვას რომ ეს მსჯელობა, გარდა იმისა რომ რეაქციულია, მოკლებულია სიღრმეს, არგუმენტაციას. კარამზინი აქ მსჯელობს როგორც უბრალო ობივატელი. მსჯელობის სიღრმისა და განზოგადებული დასკვნების მხრივ იგი დიდად ჩამოუვარდება სპერანსკის. ამდენად კარამზინის წერილები საინტერესოა არა როგორც პოლიტიკური ტრაქტატი, არამედ როგორც ასახვა რეაქციულად განწყობილი თავადაზნაურობის ფართო ჯგუფისა.

რას ურჩევს მაგალითად კარამზინი რუსეთის თვითმპყრო-

ბელს? იგი ურჩევს იყოლიოს 50 კეთილსინდისიერი გუბერ-ნატორი. კარგ გუბერნატორებთან ერთად რუსეთს უნდა მიეცეთ კარგი მღვდლები, უნდა გაიზარდოს თავადაზნაურობის როლი და უფლებები, ამაღლდეს უწმინდესი სინოდის მნიშვ-ნელობა. თუ ყველაფერი ეს გაკეთდება, რუსეთისათვის მაშინ საჭირო აღარ იქნება არავითარი რეფორმებიო.

კარამზინის ამ არგუმენტებმა როდი მოხიბლეს ალექსან-დრე. მაგრამ ვითარება სპერანსკის საწინააღმდეგოდ მოქმე-დებდა. ახლოვდებოდა ნაპოლეონთან შეჯახება. საჭირო იყო კურსის შეცვლა, ამასთანავე, თავადაზნაურობის გულისმოგე-ბა, რომელზედაც დაყრდნობით ვარაუდობდა ალექსანდრე ომის წარმოებას. ბონაპარტისტული საფრანგეთის მსგავსი დაწესებულებები ამ ვითარებაში აღიზიანებდა კონსერვატო-რულად განწყობილი რუსი თავადის განწყობილებას. თუ კა-რამზინი იდეოლოგიური იარაღით შეებრძოლა სპერანსკის, რეაქციონერთა მეორე ჯგუფმა სხვა ხერხი აირჩია. პოლიციის მინისტრის ბალაშოვის მეთაურობით შეთხზულ იქნა ვერსია სპერანსკის ჯაშუშური საქმიანობის შესახებ. იმპერატორმა, რომელსაც ახლა სასახლის წრეების მხარდაჭერა სჭირო-და, ამ შემოტევას დაუთმო და სპერანსკი გასწირა. 1812 წლის მარტში სპერანსკი გამოიძახა ალექსანდრემ. 2 საათს გრძელ-დებოდა მათი საუბარი. აცრემლებული დაბრუნდა სპერანსკი თავის ბინაზე, რომელიც ამ დროს უკვე გაჩხრეკილი იყო ბალაშოვის ბრძანებით, ხოლო კარეებთან ეტლი უცდიდა, რო-მელსაც იგი, როგორც გადასახლებული, ნიჟნი ნოვგოროდში უნდა წაეყვანა.

რეაქცია გამარჯვებას ზეიმობდა. პავლეს სიკვდილსაც კი არ გამოუწვევია ის სიხარული, რაც რეაქციონერთა შორის სპერანსკის დამხობამ გამოიწვია. სპერანსკიზე ისევ ახალ-ახალი დასმენები მოდიოდა, ამიტომ თვითმპყრობელობამ იგი ნიჟნი ნოვგოროდიდან უფრო შორს, პერმში გადაასახლა.

თავი IV

1812 წლის სამამულო ომი

1812 წლის სამამულო ომი რუსეთის ისტორიაში ერთერთ უმნიშვნელოვანეს, გმირულ ეპოპეას წარმოადგენს.

ამ ომში რუსმა ხალხმა დაამარცხა მსოფლიოში უდიდესი დამპყრობელი ნაპოლეონ ბონაპარტე, დაიცვა თავისი ქვეყნის მთლიანობა და დამოუკიდებლობა.

ომმა უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა რუსი ხალხის შემდგომ ისტორიულ ბედზე. მან პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისთვის გამოაღვიძა რუსეთი.

ომმა თვალსაჩინო როლი შეასრულა აგრეთვე თვით ევროპის ხალხთა შემდგომ ისტორიულ ცხოვრებაში. რუსეთის არმია აღმოჩნდა ძირითადი ძალა, რომელმაც დაანგრია ევროპის მონარქიის ის შეკოწიწებული შენობა, ნაპოლეონი რომ ფრანგი და დაპყრობილი ხალხების შვილთა ძვლებით აშენებდა. ომმა დასწყვიტა ბორკილები, რომლითაც ნაპოლეონს შებოჭილი ჰყავდა ევროპის ნაციონალური სახელმწიფოები და მათ ბუნებრივი განვითარების გზები გაუკაფა.

1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის ეს მრავალმხრივი მნიშვნელობა გვიკარნახებს შედარებით ერცლად განვიხილოთ მისი ისტორია.

* *

1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის შესახებ ბევრია დაწერილი. ეს ომი იმთავითვე იპყრობდა და ახლაც იპყრობს ისტორიკოსთა ყურადღებას მთელ მსოფლიოში.

ფრანგულმა ნაციონალისტურმა ისტორიოგრაფიამ, რო-

მელმაც ნაპოლეონის კულტი შექმნა, ვერ გაიგო ამ ომის ხასიათი, ვერ ახსნა ომში რუსი ხალხის გამარჯვების მიზეზები. ნაპოლეონის დამარცხებას ფრანგი ისტორიკოსები რუსეთის თვალუწვდენი სივრცითა და ჩრდილოეთის მკაცრი ბუნებით ხსნიდნენ და თავიანთი დიდი სარდლის ტრაგედიას 1812 წელს ისინი არა რუსეთის არმიას, მისი სარდლობის გამარჯვებას, არამედ კლიმატს უკავშირებდნენ.

ამ ომის ისტორია დამახინჯებულად წარმოგვიდგინა აგრეთვე ბევრმა ინგლისელმა მკვლევარმა, რომლებიც ნაპოლეონის დამარცხებაში ძირითად როლს არა რუსეთს და მის არმიას, არამედ ინგლისელთა მცდელობას მიაწერდნენ. ინგლისელი მკვლევარი ვილსონი, მაგალითად, ბოროდინოს ბრძოლას ტენდენციურად აშუქებდა, თვლიდა მას ფრანგების გამარჯვებად, კუტუზოვს როგორც მხედართმთავარს უნიჭოს უწოდებდა, ხოლო შემდეგში ნაპოლეონის მარცხს რუსეთში კვლავ ამ ქვეყნის მკაცრ ბუნებას მიაწერდა.

ამ ომის ისტორიის დამმახინჯებელნი მრავლად იყვნენ გერმანელთა შორისაც. პრუსიელი შოვინისტი ბერნგარდი მთელი თავისი შესაძლებლობით იმას ამტკიცებდა, რომ ნაპოლეონზე 1812 წელს გაიმარჯვა არა რუსულმა, არამედ გერმანულმა ინტელექტმა, რომ კუტუზოვისა და ბაგრატიონის ყველა საბრძოლო გეგმის ავტორები და შთამაგონებლები გერმანელები იყვნენო. ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი კლაუზევიცი თავის წიგნში 1812 წ. ომის შესახებ უხეშად ამახინჯებდა ფაქტებს, სამხედრო ოპერაციებს ცალმხრივად აშუქებდა, კუტუზოვს უნიჭო სარდალს უწოდებდა და ბოროდინოს ველზე მისი როლი ნულამდე დაჰყავდა. ყველაზე დიდი როლი ბოროდინოსთან გერმანელებმა შეასრულესო, — ამტკიცებდა კლაუზევიცი.

1812 წლის ომის ხასიათის ახსნაში მცდარი კონცეფციით ხელმძღვანელობდა რუსეთის თავადაზნაურული ისტორიოგრაფია. მეფის ოფიციალური ისტორიკოსები მოზეიმე ტონით წერდნენ ამ ომზე, როგორც მეფისა და ხალხის სულისკვეთების ერთიანობის გამოვლინებაზე, მთავარ დამსახურებას ომში

თვითმპყრობელობას, რუსეთის თავადაზნაურობას, იმპერატორ ალექსანდრე პირველს მიაწერდნენ, ხაზს უსვამდნენ იმ „ჰარმონიულობას“, რომელიც თითქოს რუსეთის ‘ხვადასხვა წოდებათა შორის არსებობდა.

ომის ხასიათი. მასში რუსი ხალხის გამარჯვების ჭეშმარიტი მიზეზები რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვისაც გამოუცნობი დარჩა.

1812 წლის ომის შესწავლაზე დიდი მუშაობა ჩაატარეს საბჭოთა ისტორიკოსებმა. გამოვლინებულ იქნა ახალი ფაქტები და მასალები, გამოქვეყნდა რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, დაიწერა ახალი მონოგრაფიები საერთოდ ომის და მის ცალკეულ ეპიზოდებზე, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ომის გამომწვევი მიზეზების ღრმა ანალიზის, ომის ყველა დეტალისა და ომის პროცესში ხალხის განწყობილების შესწავლის საფუძველზე დაარღვია ისტორიკოსთა წინა თაობის (რუსულის და უცხოურის) ტენდენციური შეხედულებანი და ჩამოაყალიბა ომში რუსეთის გამარჯვების ნამდვილი მიზეზები, რომელთა შესახებ ჩვენ ქვევით ვილაპარაკებთ.

ომისწინა ვითარება, ომის მიზეზები

გენიალურმა სარდალმა და უნიჭიერესმა სახელმწიფო მოღვაწემ ნაპოლეონმა თავისი კარიერა რევოლუციის უბრალო ჯარისკაცობიდან დაიწყო, მაგრამ სულ რაღაც ათი წლის მანძილზე ისე შორს წავიდა, რომ თავის ფერხთა ქვეშ ევროპაც უკმარად მოეჩვენა და მსოფლიოზე ბატონობის ფანტასტიკური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლას შეუდგა.

ნაპოლეონმა დაასამარა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, ფრანგ ხალხს კვლავ კისრად დაადო მონარქიული ჩაგვრის მძიმე უღელი. რევოლუციისაგან ნაპოლეონმა, — ეგვიპტისა და იტალიის კამპანიებში უზომოდ გამდიდრებულმა და თავისი მდგომარეობით უმსხვილესმა ბურჟუამ, — მონარქის ტახტზე ასვლის შემდეგ მხოლოდ სამრეწველო-ფინანსური ბურჟუაზიის ინტერესები აღიარა საფრანგეთის დიდებად

და თავისი მჭრელი ძახვილით ევროპის კონტინენტზე ფრანგი კაპიტალისტების იმპერიალისტურ მისწრაფებებს გზა გაუკაფა. 1812 წელს, რუსეთთან ომის წინ ნაპოლეონი ევროპის კონტინენტის მბრძანებელი იყო. მის ხელისუფლებას აღიარებდნენ იტალია და ჰოლანდია, ბელგია და ესპანეთი, გერმანიის სამეფოები და პოლონეთი, ავსტრია და პრუსია, ევროპის შეკოწიწებული მონარქიის საზღვრები მჭიდროდ იყო მიბჯენილი რუსეთთან, რომლის დაპყრობა ნაპოლეონს მორიგ ამოცანად ჰქონდა დასახული.

— „ახლა მე ყველაფერი შემიძლია", — ეუბნებოდა იგი თავის ძმას ლუსიენს ტილზიტის შემდეგ. ამ გრძნობებით აღჭურვილ ნაპოლეონს უკვე აღარ ეძნელებოდა რუსეთის სივრცეების გადათელვა, რუსი ხალხის დამონება, რუსეთის გზით ინდოეთს გალაშქრება, რომ ინდოეთის წართმევით წაეხრჩო ინგლისი და მთელ აღმოსავლეთ ნახევარსფეროს დაპატრონებოდა.

— ალექსანდრე მაკედონელმა ხომ მიაღწია განგს, გაემართა რა მისკენ ისეთივე შორეული პუნქტიდან, როგორიც მოსკოვია — ეუბნებოდა ნაპოლეონი მარშალ ნარბონს 1811 წელს, — დავუშვათ, რომ მოსკოვი აღებულია, რუსეთი დამარცხებულია, მეფემ ზავი გვთხოვა ან დაიღუპა რომელიმე სასახლის შეთქმულების შედეგად, და აბა მითხარით — განა შეუძლებელია მაშინ ფრანგების არმიისა და მისი დამხმარე ჯარებისათვის განგამდე მიღწევა? ხოლო საკმარისია განგს ფრანგული მახვილი შეეხოს, რომ მერკანტელისტური კოლოსის (ე. ი. ინგლისის) მთელი შენობა დაინგრესო".

1812 წელს, ესე იგი რუსეთთან ომის დაწყების წინ, ნაპოლეონი უკვე იყო მთელი ევროპის მფლობელი. მის ფერხთა წინაშე იყო გართხმული პრუსია, მისი მონა-მორჩილი იყო ავსტრია-უნგრეთი. ნაპოლეონი ამ დროს სერიოზულად ამუშავებდა მსოფლიოზე ბატონობის გეგმას. „ხუთი წლის შემდეგ მე ვიქნები მსოფლიოს ბატონ-პატრონი, რჩება მხოლოდ რუსეთი, მაგრამ მე მას გავსრეს" — ასე იკვეხდა იგი.

ნაპოლეონის ყოფილმა მარშალმა ბერნადოტმა, რომელიც

ომის წინ შვეციის მეფე გახდა და რუსეთის იმპერატორთან კავშირი შეჰკრა საფრანგეთის წინააღმდეგ. ალექსანდრეს საიდუმლოდ აცნობა ის გეგმები, რომელიც ნაპოლეონს ჯერ კიდევ ადრე ჰქონდა მოფიქრებული. ეს გეგმა ითვალისწინებდა რუსეთისათვის სასიკეთილო დარტყმას, შემდეგ მასთან კავშირის შეკვრას, მორჩილი რუსეთის გადაქცევას საფრანგეთის ვასალად, მისი არმიის გამოყენებას თურქეთის წინააღმდეგ, კონსტანტინეპოლის აღებას, ეგვიპტის დამორჩილებას, ინდოეთში ლაშქრობას და მის ხელში ჩაგდებას.

ერფურტის შეხვედრის დროს, მიუხედავად იმ საჯარო ხვევნა-ალერსისა, რომლითაც ალექსანდრე პირველი და ნაპოლეონ ბონაპარტე მეგობრობის დემონსტრაციას ახდენდნენ, საქმეში ღრმად ჩახედულმა დიპლომატებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ მეგობრობაში ღრმა ბზარი იყო გაჩენილი და უფსკრული თანდათან იზრდებოდა; ამ დროს მართალია ჯერ კიდევ შორეული, მაგრამ გარდუვალი ჩანდა ორი იმპერატორის შეჯახება. აკი, ერფურტშივე ცბიერი და დიპლომატიურ ინტრიგებში უბადლო ტალეირანი ალექსანდრესთან მეგობრული ურთიერთობის ძაფებს აბამდა და თავის იმპერატორს ღალატობდა.

ნაპოლეონის ერფურტის შემდგომმა ღონისძიებებმა ევროპაში, კერძოდ ავსტრიისა და ვარშავის საჰერცოგოს მიმართ, ხოლო ალექსანდრეს ღონისძიებებმა შვეციასა და თურქეთში რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის დაძაბულობა გააღრმავა. იყო ერთი პირადული მომენტიც. ნაპოლეონისათვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა უარი, რომელიც მან ალექსანდრე პირველისაგან, ანა პავლეს ასულის მეუღლედ შერთვის განზრახვაზე მიიღო. პატივმოყვარე იმპერატორმა ავსტრიის იმპერატორის ასული ანა ლუიზა დასვა დედოფლად და ცენტრალურ ევროპაში დასაყრდენად გადააქცია ავსტრიის სამეფო, რომელსაც რუსეთთან დიდი ხნის მტრული ანგარიშები ჰქონდა.

1810-1811 წლებში ნაპოლეონი რუსეთის მიმართ თავის უკმაყოფილებას უკვე აღარ მალავდა. 1811 წლის აგვისტოში

მან რუსეთის ელჩს კურაკინს ტიულრის სასახლეში საზეიმო მიღებისას, რაც იმპერატორის დღეობასთან იყო დაკავშირებული, გამომწვევი ტონით გადმოულაგა თავისი პრეტენზიები— რუსეთი ინგლისურ ხრიკებს აჰყვა, ჩემთან მეგობრობაზე მხოლოდ ცარიელ სიტყვებს ლაპარაკობს, ნამდვილად ომისათვის ემზადება — ამბობდა ნაპოლეონი. იმპერატორის საუბარი კურაკინთან იმდენად გამომწვევი იყო, რომ მეორე დღეს მთელ ევროპაში დაჟინებით ლაპარაკობდნენ რუსეთსა და საფრანგეთს შორის მომავალი ომის შესახებ.

რაში მდგომარეობდა ის კონფლიქტები, რომელიც ორ იმპერატორს შორის დამოკიდებულებას ომამდე ამწვავებდა?

ძირითადი და მთავარი ეს იყო კონტინენტური ბლოკადა. კონტინენტური ბლოკადა, რომელიც ნაპოლეონმა ინგლისის წინააღმდეგ თავს მოახვია ევროპის სახელმწიფოებს და მათ შორის რუსეთსაც, უარყოფით გავლენას ახდენდა ამ ქვეყნების და თვით საფრანგეთის ეკონომიურ განვითარებაზე. რუსეთისათვის, რომლის მრეწველობა იმ დროს ახლად იდგამდა ფეხს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ხელსაყრელ ბაზარს მოითხოვდა, ინგლისთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის სრული გაწყვეტა ნამდვილად დამღუპველი ჩანდა. კონტინენტური ბლოკადის წლებში რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა მკვეთრად შემცირდა. ასე მაგალითად, თუ 1806 წელს იგი 120 მილიონ მანეთს უდრიდა, 1807-10 წლებში 83 მილიონამდე დაეცა. 1801-1805 წლებში რუსეთიდან გატანილი იყო 1064 ათასი ჩეტვერტი ხორბალი 1806-1810 წლებში მხოლოდ 176 ათასი. რუსეთის მთელი საექსპორტო ქერელის 73 პროცენტი, კანაფის 91 პროცენტი, რკინის 71 პროცენტი, ჯაგრის 80 პროცენტი ინგლისისკენ მიემართებოდა. კონტინენტურმა ბლოკადამ ინგლისისაკენ გზები ჩაჰკეტა და ამ საქონლის ჩაწოლა გამოიწვია.

საფრანგეთს რუსეთისათვის ამ დანაკლისის კომპენსირება არ შეეძლო. მას ამ დროს ისე განვითარებული მრეწველობა არ ჰქონია, რომ რუსული ნედლეული გადაემუშავებინა, ან რუსული ბაზრისთვის ინგლისურის სანაცვლოდ სამრეწველო

პროდუქცია მიეწოდებინა. საფრანგეთიდან რუსეთში შემოდიოდა ზოგიერთი ფუფუნების საგანი. საერთოდ რუსეთ-საფრანგეთის ეკონომიური კავშირი სუსტი იყო. 1802 წელს, მაგალითად, რუსეთის ნავსადგურებში შემოსულ 986 სავაჭრო ხომალდიდან 477 ინგლისს ეკუთვნოდა. საფრანგეთს კი მხოლოდ 5.

რუსეთის ისტორიოგრაფიაში იყო გამოთქმული აზრი ახლადფეხადგმული რუსეთის მრეწველობისათვის კონტინენტური ბლოკადის ვითომცდა სარგებლიანობის შესახებ (ტუგან-ბარანოვსკი, პოკროვსკი) მაგრამ ეს შეხედულება არაა მართებული. რუსეთში საკმაოდ დაწინაურებული რკინის და ტილოს მრეწველობა და ახლად ფეხადგმული საფეიქრო წარმოებაც დიდად იყო დამოკიდებული ინგლისურ ბაზარსა და ნახევრადფაბრიკატებზე. ამავე დროს ნაპოლეონის მიერ შეთავაზებული იძულებითი ასორტიმენტი სავაჭრო ურთიერთობაში, რუსეთის ნაციონალურ ეკონომიკას დიდ ზიანს აყენებდა.

კონტინენტური ბლოკადა სამძიმო იყო თვით საფრანგეთისათვის. ნაპოლეონის მკაცრი ღონისძიებების მიუხედავად — არ დაეშვა საფრანგეთში ინგლისური საქონელი, იგი კონტრაბანდის სახით მაინც შედიოდა. ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტამ იმდენად უარყოფითი გავლენა მოახდინა საფრანგეთის სამრეწველო-ეკონომიურ ცხოვრებაზე, რომ ჯიუტი ნაპოლეონი დათმობაზე წავიდა და ზოგიერთი საქონლის შეტანის ნება დართო.

მაგრამ ეს გამონაკლისი მხოლოდ საფრანგეთისათვის იყო დაშვებული. რუსეთს საფრანგეთი მკაცრად ადევნებდა თვალს და ბლოკადის დარღვევის ყოველ ფაქტს მის წინააღმდეგ მტრულ მოქმედებად თვლიდა. ნაპოლეონი უკმაყოფილებას გამოთქვამდა რუსეთის ნავსადგურებში ნეიტრალური სახელმწიფოების გემების შესვლის გამო, რადგან ამ გემებზე ინგლისური საქონელი ინახებოდა. თვლიდა რა ომს რუსეთთან გარდუვალად, ნაპოლეონი ყოველმხრივ ცდილობდა გამოეწვია რუსეთის ეკონომიკის ნგრევა. ამავე მიზანს ისახავდა რუ-

სულ საქონელზე ბაჟების გადიდება, რამაც ცხადია, რუსეთშიც საპასუხო ღონისძიებები გამოიწვია.

ცარიზმისათვის თანდათან ნათელი ხდებოდა კონტინენტური ბლოკადის მავნე შედეგები. რუსეთის სავაჭრო ხომალდები ფარულად მართლაც მოეზიდებოდნენ ინგლისურ საქონელს. ცარიზმი განგებ ხუჭავდა თვალს ასეთ შემთხვევებზე, ხოლო ნაპოლეონის გააფთრებას და გამომწვევ ღონისძიებებს სათანადო პასუხს აძლევდა. ნაპოლეონი ალექსანდრეს ბრალად სდებდა რა კონტინენტური ბლოკადისადმი უპატივცემულობას, აშკარად მიუთითებდა რომ ამ ვითარებაში ომი რუსეთთან დღეს თუ ხვალ გარდუვალი იქნებაო.

1812 წ. შექმნილ ვითარებას ფ. ენგელსი ასე ახასიათებდა:

„სავაჭრო ბლოკადა აუტანელი ხდებოდა. ეკონომიკა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დიპლომატია და მეფე, ერთად აღებული. სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან ფარულად ისევ აღდგენილ იქნა, ტილზიტის პირობები დაირღვა და 1812 წლის ომი გაჩაღდა“.[1]

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის უკიდურესობამდე გამწვავების მეორე მიზეზად აღიარებულია პოლონეთის საკითხი.

ვარშავის საჰერცოგო, როგორც ზევით მივუთითეთ, ნაპოლეონმა 1807 წელს, ტილზიტის საზავო ხელშეკრულების შედეგად შექმნა. პოლონელი მაგნატები, რომელთაც დამოუკიდებლობა XVIII საუკ. მიწურულში დაჰკარგეს, თავიანთი სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე და ძველი სამფლობელოების დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. პოლონელ მემამულეთა ასეთი მისწრაფებების შესახებ რუსეთშიც კარგად იცოდნენ და ალექსანდრე პირველი ვარაუდობდა კიდეც პოლონეთის აღდგენას ნაწილობრივ მაინც თავის სახელმწიფოებრივ უფლებაში, მისთვის კონსტიტუციის მიცემას, ცხადია რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ამ მიზნისათვის იგი თავისი მინისტ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XVI, ч. 2, 1936, გვ. 20.

რის — ჩარტორიისკის შუამდგომლობას და რუსეთში მცხოვრებ პოლონელ მემამულეთა მხარდაჭერას იყენებდა.

მაგრამ ნაპოლეონმა დაასწრო; დემაგოგიურად გამოიყენა რა პოლონელი ზედაფენის ნაციონალისტური განწყობილება, ნაპოლეონმა აღუთქვა მათ მთლიანად ის ტერიტორია, რაც სამჯერ დაყოფის შედეგად დაჰკარგეს. რუსეთის დიპლომატიურ წრეებში მაშინვე ამოიცნეს ნაპოლეონის მიზანდასახულება: პოლონეთს იგი დამოუკიდებლობას სთავაზობდა არა იმიტომ, რომ სამართლიანობის აღდგენას ემსახურებოდა, არამედ იმიტომ, რომ იგი რუსეთისათვის დაეპირისპირებინა, რუსეთის წინააღმდეგ საზარბაზნე ხორცად გამოეყენებინა, შეექმნა პლაცდარმი, საიდანაც მოახერხებდა რუსეთის მიწაწყალზე უმტკივნეულოდ შეჭრას.

ამას ზოგიერთი შორსმჭვრეტელი პოლონელიც გრძნობდა. ტყუილად როდი დასცინოდნენ ასე სახელდახელოდ გამოცხობილ სახელმწიფოს: „საჰერცოგო ვარშავისა, მანეთი პრუსიული, ჯარები პოლონური, მეფე საქსონური, კოდექსი ფრანგული“.

ნაპოლეონი თანდათან ზრდიდა ვარშავის საჰერცოგოს ავსტრიის და პრუსიის ხარჯზე. ამასთან, რუსეთის ელჩს პარიზში გრაფ კურაკინს არწმუნებდა, რომ მას არ აქვს მისწრაფება პოლონეთის ძველი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღადგინოს. რუსმა დიპლომატებმა დაიწყეს მოლაპარაკება საფრანგეთთან; კონვენცია, რომელიც პოლონეთის შემდგომ ზრდაზე ხელისაღებას ითვალისწინებდა, უკვე მზად იყო, მაგრამ სწორედ ამ დროს ნაპოლეონმა უარი მიიღო რუსეთის საიმპერატორო ტახტთან დანათესავებაზე. ეს ფაქტი, რასაც მალე ავსტრიის მეფის ქალიშვილზე ქორწინება მოჰყვა, ნაპოლეონმა იმისთვის გამოიყენა რომ კონვენციის ძალაში შესელაზე უარი ეთქვა. ამიერიდან პოლონეთი გადაიქცა რუსეთის ყელზე მიბჯენილ მახვილად. ნაპოლეონი პოლონეთის კორპუსს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საავანგარდოდ ამზადებდა.

ნაპოლეონ-ალექსანდრეს ურთიერთობა გაამწვავა ოლდენ-

ბურგის საჰერცოგოს საკითხმაც. 1810 წელს ნაპოლეონმა საფრანგეთს შეუერთა ჰანზის ქალაქები და წვრილი გერმანული საჰერცოგოები, რომელთა შორის იყო ოლდენბურგის საჰერცოგოც. ეს ფაქტი რუსეთში მიიღეს როგორც მტრული და ამავე დროს პირადად შეურაცმყოფელი აქტი. ჯერ ერთი, ოლდენბურგის ჰერცოგი რუსეთის მეფის ბიძა იყო, ხოლო დიდი მთავრინა ეკატერინე პავლეს ასული ოლდენბურგის ჰერცოგს მეუღლედ ჰყავდა. ასე უცერემონიოდ მიტაცება იმ მიწაწყლისა, რომლის პატრონს რუსეთის საიმპერატორო ტახტთან ბევრი რამ აკავშირებდა, ნიშნავდა რუსეთის პირდაპირ გამოწვევას, ცენტრალურ ევროპაში მისი პრესტიჟის შესაბღალავად გადადგმულ ნაბიჯს, იმის აღიარებას, რომ მისი მოკავშირის, რუსეთის პოზიციას ევროპულ საკითხებში ნაპოლეონი ამიერიდან ოდნავადაც ანგარიშს აღარ გაუწევდა.

ნაპოლეონის ასეთ გამომწვევ მოქმედებას რუსეთმა ენერგიული საპროტესტო ნოტით უპასუხა. რუსებმა ეს ნოტა ყველა ევროპულ სახელმწიფომდე დაიყვანეს და ნაპოლეონს აგრძნობინეს რომ რუსეთი ვალში არ დარჩებოდა. რუსების დაჟინებითი პროტესტის გაცნობის შემდეგ ნაპოლეონმა წამოიძახა: „როცა პროტესტს ამ სახით გიცხადებენ, ეს იმას ნიშნავს რომ ხელთათმანს გესვრიანო". მაშასადამე, ამ მხრივაც საქმე დუელამდე მიდიოდა.

ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო აგრეთვე რუსეთ-საფრანგეთის დამოკიდებულება თურქეთისადმი. რუსეთი, როგორც ვნახეთ, ამ დროს თურქეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ნაპოლეონი ფორმალურად თანახმა იყო, რუსეთს რომ დუნაის ზოგიერთი პროვინცია შეეერთებინა, მაგრამ საერთოდ თურქეთის დასუსტება ბალკანეთში და იქ რუსეთის მომძლავრება თავის საზიანოდ მიაჩნდა. რუსეთის წინააღმდეგ ნაპოლეონი ავსტრიას აქეზებდა, ამასთანავე არც მალავდა თავის უკმაყოფილებას მოლდავეთსა და ვალახეთში რუსეთის ძალების შესვლის გამო. გრაფ ჩერნიშევთან საუბარში ნაპოლეონი შენიშნავდა: ომი რუსეთთან შეიძლება აღმოცენდეს ორ შემთხვევაში: თუ რუსეთი დადებს დამოუკიდებელ ზავს

ინგლისთან და ან თუ იგი დუნაის მარჯვენა ნაპირზე რაიმეს შეიძენს. თურქეთის მთლიანობა ევროპის პოლიტიკური წონასწორობის ფაქტორია და ნაპოლეონი თურქეთის დანაწილებას არ დაუშვებსო.

თუ ყველა ამ საკონფლიქტო საკითხებს იმას დავუმატებთ, რომ ნაპოლეონს მომავალ მსოფლიო საიმპერატორო ტახტზე რუსეთი ფეხქვეშ განრთხმული უნდა ჰყოლოდა და რუსეთის გზით ინდოეთისაკენ ინგლისისათვისაც ბოლო უხდა ეჭიღო, ცხადი გახდება, რომ საფრანგეთის დიდი დამპყრობელი მთელი შესაძლებლობით ემზადებოდა ჩრდილოეთის კოლოსის გასასრესად.

რუსეთის წინააღმდეგ ომის სიძნელეებს ნაპოლეონი წინასწარ ითვალისწინებდა. მას უკვე გამოცდილი ჰქონდა რუსი ჯარისკაცების მამაცობა პრაისიშ ეილაუსთან. იცოდა რუსეთის ტერიტორიის სიდიდის, უხვი რეზერვების, ძალთა მანევრირების დიდი შესაძლებლობის შესახებ. ამიტომ იყო რომ ომს იგი დიდი გულმოდგინებით, დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა, ამასთან ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა უკვე მისი მორჩილი მთელი ევროპა.

ნაპოლეონმა გასწია დიდი დიპლომატიური სამზადისი იმისთვისაც, რომ რუსეთის წინააღმდეგ ერთდროულად სამი ფრონტი გახსნილიყო. მან კარგად იცოდა რომ შვეცია, რომელმაც რუსეთთან ომში ფინეთი დაჰკარგა, ხელსაყრელ შემთხვევაში რევანშს აიღებდა, იგი გულდამშვიდებული იყო იმ მხრივაც, რომ თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა და რუსეთის არმიის ერთი ნაწილი დუნაიზე იყო დაბანდებული.

მაგრამ 1812 წლის გაზაფხულზე, სწორედ ომის წინა თვეებში ნაპოლეონისთვის გაუთვალისწინებელი ორი შემთხვევა მოხდა: 1812 წ. აპრილში შვეციამ ფარული კავშირი დასდო რუსეთთან, ხოლო 1812 წლის მაისში ხელმოწერილ იქნა ბუქარესტის ზავი თურქეთთან.

შვეციის ეს ნაბიჯი ნაპოლეონისათვის მართლაც მოულოდ-

ნელი იყო. შვეციის სამეფო ტახტზე მისი ყოფილი მარშალ• ბერნადოტი იჯდა. ნაპოლეონი დარწმუნებული იყო, რომ შვეციი სიამოვნებით შევიდოდა ნაპოლეონის კოალიციაში, რათა რუსეთისათვის ფინეთი წაერთმია. ამ რწმენით ნაპოლეონმა ბერნადოტს 'მესთავაზა დაედოთ სამოკავშირო ხელშეკრულება. შვეციას რუსეთის წინააღმდეგ უნდა გამოეყვანა 30 ათას კაციანი კორპუსი და ეომნა რუსეთთან მანამ; ვიდრე იგი არ დათანხმდებოდა შვეციისათვის მიეცა ფინეთი.

ეს მეტად ხელსაყრელ წინადადებად ჩანდა, მაგრამ შვეციის მეფე ბერნადოტი ვითარებაში უფრო ჩახედული და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ნაპოლეონს ეგონა. ბერნადოტმა სწორად განსაჯა, რომ ნაპოლეონთან კავშირის შემთხვევაში მას უნდა ეომნა წინააღმდეგ ინგლისისა, რომელთანაც დიდათ იყო დამოკიდებული. მას უნდა ეომნა აგრეთვე წინააღმდეგ რუსეთისა, რომლის არმიის ძალა უკვე გამოსცადა. შვეციის საზღვარი დაუცველი იყო როგორც ინგლისის მხრივ, ისე რუსეთის მხრივ თავდასხმისაგან. რაც შეეხება ნაპოლეონის დაპირებებს, იგი ამ მხრივ მეტად გულუხვი იყო, მაგრამ შესრულებისას ძუნწობდა.

ყველაფერი ეს ივარაუდა ბერნადოტმა; რუსი დიპლომატები კი ამ დროს მას თავის მხარეზე ეწვოდნენ და სთავაზობდნენ ნორვეგიას. ბერნადოტის სასწორი რუსეთისაკენ გადაიხარა. 1812 წ. 24 მარტს დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ტერიტორიული მთლიანობის გარანტიას ორივე მხრივ. რუსეთი აღუქვამდა მხარდაჭერას შვეციისათვის ნორვეგიის გადაცემის საქმეში. გაერთიანებული რუსულ-შვედური კორპუსი იმოქმედებდა ნორვეგიაში, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გერმანიის ტერიტორიაზე საფრანგეთის წინააღმდეგ.

ასევე მძიმე დარტყმა ნაპოლეონისათვის იყო თურქეთის ზედიზედ მარცხი და 1812 წლის ბუქარესტის ზავი, რომელმაც მას რუსეთის წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი დაუკეტა. გაიგო რა ამ ზავის დადება, აღშფოთებულმა ნაპოლეონმა წამოიძახა: „თურქებს ძვირად დაუჯდებათ მათი

შეცდომა. იგი იმდენად დიდია, რომ მისი წარმოდგენაც კი ძნელია".

შვეიცარიაზე და თურქეთზე იმედგაცრუების მიუხედავად ნაპოლეონი მაინც თავს მხნედ გრძნობდა, რადგან ცენტრალურ ევროპაში საიმედო მოკავშირენი ჰყავდა. ესენი იყვნენ ავსტრია, პრუსია, ვარშავის საჰერცოგო.

ავსტრიის სამეფო კარი ნაპოლეონის, როგორც ყოველისშემძლე სიძის წინაშე განუსაზღვრელად მლიქვნელობდა. ხმები რუსეთთან საფრანგეთის მომავალი ომის შესახებ ავსტრიის მმართველ წრეებს აღაფრთოვანებდა. ისინი ძოუთმენლად ელოდნენ აღმოსავლეთის საშიში მეზობლის დამარცხებას, „თავისი" ტერიტორიის დაბრუნებას, ამავე დროს თურქეთის მიმართულებით რუსეთის მადის შეკვეცას. საფრანგეთსა და ავსტრიის შორის სამოკავშირეო წინასწარი შეთანხმება ჯერ კიდევ 1811 წლის დეკემბერში დაიდო. რუსეთთან ომის წინ ნაპოლეონმა ისევ გადასინჯა ეს შეთანხმება და 1812 წლის 2 მარტს გააფორმა იგი. ხელშეკრულების მიხედვით ავსტრიას რუსეთის წინააღმდეგ უნდა გამოეყვანა 30 ათასიანი კორპუსი. თავის მხრივ ნაპოლეონი ავსტრიას პირდებოდა გალიციის უკან დაბრუნებას და ილირიის პროვინციების გადაცემას.

დაუბრკოლებლად წარიმართა საქმე პრუსიაშიც. პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ III ტილზიტის შემდეგ მზად იყო ნაპოლეონთან კავშირში ეომა ყველა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ნაპოლეონის განზრახვა რუსეთში ლაშქრობისა, პრუსიის მეფეს ახალ საშოვარს უქადდა და მან ადვილად დაივიწყა ის სამსახური, რომელიც ალექსანდრემ ტილზიტის მოლაპარაკებისას გაუწია. 1812 წლის 12 თებერვალს გაფორმდა საფრანგეთ-პრუსიის სამოკავშირეო ხელშეკრულება. პრუსიის მეფემ იკისრა რუსეთის წინააღმდეგ ომში ნაპოლეონის მხარეზე გამოეყვანა 20 ათასიანი კორპუსი, მიეცა ფრონტის საჭიროებისათვის 1,5 მილიონი ფუთი ფქვილი, 44 ათასი ხარი და სხვ.

ნაპოლეონმა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ადვილად მოიგო პოლონეთის შლიახტის გული. დემაგოგიის დიდოსტატი,

იგი რუსეთის წინააღმდეგ ომს „პოლონეთის მეორე კამპანიას“ უწოდებდა, პირდებოდა მათ დიდი პოლონეთის აღდგენას ლიტვის, ვიტებსკის, პოლოცკის, მოგილევის, უკრაინისა და პოდოლიის ხარჯზე. არც ერთი ამათგანი ნაპოლეონს ძვირად არ უღირდა, რადგან მის საკუთრებას არ შეადგენდა. ხოლო პოლონეთის პლაცდარმს, სურსათს, არმიას, მისი გამოანგარიშებით, შეეძლო ვეებერთელა სამსახური გაეწია. ვარშავის საჰერცოგომ ნაპოლეონის სამსახურში თოფქვეშ 70 ათასი კაცი დააყენა.

1812 წლის გაზაფხულზე ნაპოლეონმა რუსეთის საზღვართან უკვე დააჯგუფა თავისი ძირითადი ძალები. ჩატარდა რუსეთში შეჭრისათვის კოლოსალური სამზადისი. ფრანგმა ინტენდანტებმა გერმანიაში შეისყიდეს 200 ათასი ცხენი, დამატებით ჩამოყალიბებულ იქნა 20 ცალკე საზიდრების ბატალიონი, აღმოსავლეთ პრუსიაში ადგილობრივი რესურსებით შესდგა დამხმარე ტრანსპორტი, მდინარე ვისლა-ვარშავის, დანციგ-კენიგსბერგის ხაზზე აიგო ვეებერთელა საწყობები, დეპოები. ძარტო დანციგის მთავარმა საიხტენდანტო საწყობმა წინასწარ მოამზადა 50 დღის სამყოფი სურსათი 400 ათასი კაცისა და 50 ათასი ცხენისათვის.

საფრანგეთისა და ნაპოლეონის ხელქვეით სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების რაოდენობა 1812 წლისათვის ერთ მილიონ 187 ათას კაცს უდრიდა. რუსეთის წინააღმდეგ სალაშქროდ ნაპოლეონმა გამოჰყო 678 ათასი კაცი, რომელთაგან ქვეითი იყო 480 ათასი, ცხენოსანი — 100 ათასი, არტილერია — 30 ათასი, ხოლო დანარჩენი საპონტოხო და მომსახურე ნაწილები. მაშინდელს ევროპაში ეს იყო უდიდესი ძალა, მით უმეტეს, რომ მას სათავეში ედგა გენიალური ნაპოლეონი, რომელსაც აგრეთვე შესანიშნავი გენერალიტეტი ჰყავდა.

მიუხედავად დიდი საბრძოლო გამოცდილებისა, გაწვრთნილობისა და კარგი შეიარაღებისა, ნაპოლეონის „დიდი არმია“ ამ დროისათვის შეპყრობილი იყო ერთი ორგანული დაავადებით, რაც მის საბრძოლო ძლიერებაზე დიდად უარყოფით

გავლენას ახდენდა, ეს აღარ იყო თავისი შინაგანი სიმტკიცით ის არმია, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის მონაპოვარს იცავდა.

რევოლუციის წლებში საფრანგეთის არმია გამსჭვალული იყო უაღრესი რევოლუციური ენთუზიაზმით. ფრანგი ხალხი, რომლის პირმშოსაც ეს არმია წარმოადგენდა, თავს იცავდა რეაქციულ სახელმწიფოთა შეტევისაგან, რომელთაც რევოლუციის მონაპოვართა ხელყოფა და ფეოდალურ-მონარქიული რეჟიმის აღდგენა სურდათ. რევოლუციის პერიოდში „მთელი ხალხი და მეტადრე მასები, ე. ი. ჩაგრული კლასები — წერს ვ. ი. ლენინი — უსაზღვრო რევოლუციური ენთუზიაზმით იყვნენ გამსჭვალულნი. ომი ყ ვ ე ლ ა ს სამართლიან, თავდაცვით ომად მიაჩნდა, და იგი ნამდვილადაც ასეთი იყო. რევოლუციური საფრანგეთი თავს იცავდა რეაქციულ-მონარქისტული ევროპისაგან“.[1]

მაგრამ ნაპოლეონმა თვით ჩააბშო რევოლუცია. მისი არმია მონარქიული გახდა, რომელმაც ჩაგრული ხალხის ინტერესები სავსებით დაივიწყა და მსხვილი ბურჟუაზიის სამსახურში ჩადგა. ნაპოლეონმა თვით წამოიწყო დამპყრობლური ომები, რომლებიც ჩაგრული მასებისათვის გაუგებარი, ზედმეტი, უსარგებლო იყო და მისგან აუარებელ მსხვერპლს მოითხოვდა. ამ გარემოებამ თვით ფრანგულ არმიაში ნელ-ნელა ჩააქრო ძველი რევოლუციური ენთუზიაზმი, დააქვეითა მისი მორალური სიმტკიცე, მისი საბრძოლო განწყობილება.

ამასთანავე ნაპოლეონის არმია ახლა აღარ შესდგებოდა მხოლოდ ფრანგებისაგან. რუსეთის წინააღმდეგ გამიზნულ 678 ათასიან არმიაში, მაგალითად, ფრანგი იყო 356 ათასი, ნაპოლეონის მორჩილი ქვეყნების ჯარისკაცები 322 ათასი. ჯარისკაცებს იმ ქვეყნებისა, რომლებიც ნაპოლეონს ჰქონდა დაპყრობილი, არავითარი სურვილი არ გააჩნდათ ეომნათ ნაპოლეონის მხარეზე და მის გასაძლიერებლად. ყველა ისინი გულში ატარებდნენ მათი დამპყრობლისადმი მძულ-

---

[1]. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25 გვ. 442

ვარებას; ნაპოლეონის მხარდამხარ მათ მხოლოდ შიში მიერეკებოდა.

ამრიგად, „დიდი არმია“, რომელიც შესდგებოდა ფრანგების გარდა, პრუსიის, ავსტრიის, ბავარიის, ილირიის, დანიის, პორტუგალიის, პოლონეთის, ესპანეთის, შვეიცარიის და არაბთა პოლკებიდან, ჯერ ერთი ჭრელ მასას წარმოადგენდა; მას არ გააჩნდა ერთგვარი მისწრაფება, ერთი სულისკვეთება. ერთადერთი, რაც ამ ვეებერთელა მასას, გარდა იძულებისა, რუსეთისაკენ მიერეკებოდა, სხვა ქვეყანაში გამდიდრების სურვილი იყო. შემთხვევითი როდია ის საშინელი მაროდიორობა, რომელიც არმიას რუსეთში შეჭრის პირველ დღიდანვე ახასიათებდა.

ანგარიშგასაწევია შემდეგი ფაქტიც: მიუხედავად იმისა, რომ 1812 წელს ნაპოლეონი თავისი ძლიერების ზენიტში იდგა, მისი იმპერიის დამანგრეველი მიწისქვეშა ძალები უკვე ხმაურს იწყებდნენ. ნაპოლეონის დამორჩილებულ ქვეყნებში როდი იყო მშვიდობა. ფრანგი დამპყრობლისაგან ეროვნული გათავისუფლების იდეა თანდათან ხორცს ისხამდა. ასე იყო პრუსიაში, იტალიაში, ავსტრიაში. რაც შეეხება ესპანეთს, ნაპოლეონის წინააღმდეგ იგი ეწეოდა შეუპოვარ ომს, რომელიც ნაპოლეონის ახალ-ახალ ძალებს ნთქავდა და რომელსაც დასასრული არ უჩანდა. ესპანეთის მმართველი ჟოზეფ ბონაპარტე თავის ძმას წერდა: „ასიათასი ეშაფოტი დასჭირდებოდა იმ კაცს, რომელსაც ბედმა ესპანეთის გამგებლობა მიანდოო“. ეს საერთო ევროპული განწყობილება თავის გავლენას ერთგვარად მაინც ახდენდა არმიის ნერვებზეც. ამიტომ იგი აღარ იყო სანდო და მორალურად მტკიცე. იგი იომებდა, თუ წინ არ შეხვდებოდა ძლიერი დაბრკოლება. და ცუდი საშოვარი, მაგრამ იგი უნდა დაცემულიყო და ბრბოდ ქცეულიყო იმ დაბრკოლებათა წინაშე, რომელსაც ნაპოლეონს რუსი ხალხი უმზადებდა.

ჩრდილოეთსა და სამხრეთში იმედების გაცრუება ნაპოლეონს აიძულებდა მხოლოდ ერთი — დასავლეთის მხრიდან დაერტყა რუსეთისათვის. მისი ძალები მართლაც მხოლოდ ამ

ფრონტზე იყო თავმოყრილი. ბევრს ფიქრობდა იმპერატორი იმაზე თუ რა მიმართულება აერჩია სწრაფი და ეფექტური გამარჯვების მისაღწევად. ამ მიზნით იგი სწავლობდა რუსეთის იმპერიაში ადრეულ ლაშქრობებს. კარლოს XII გამოცდილება ნაპოლეონს იმაში აჯერებდა, რომ უკრაინაზე კურსის აღება, რუსეთის სიღრმეში ღრმად შეტოპვა დამღუპველი იყო. მიმართულებათა ანალიზის შედეგად მისი არჩევანი მოსკოვზე შეჩერდა. საზღვრიდან მოსკოვი ყველაზე ახლოა, ამასთან იგი რუსეთის გულია. მოსკოვის აღება რუსეთის სიკვდილი იქნებაო.

თუ მე კიევს დავიკავებ — ამბობდა ნაპოლეონი — მაშინ რუსეთს ხელს ფეხში წავავლებ, თუ პეტერბურგს დავეუფლები, — თავში. მაგრამ თუ მოსკოვი დავიკავე, მაშინ შიგ გულში მივაყენებ ჭრილობასო.

მოწინააღმდეგის ქვეყნის გზებისა და რესურსების შესწავლასთან ერთად, პირველ რიგში, ნაპოლეონი მტრის არმიის საბრძოლო უნარს, მისი სარდლობის ტაქტიკას, შესაძლობლობებს სწავლობდა. ამ მხრივ იმპერატორი თავს ერთგვარად დაშშვიდებულად გრძნობდა: მისი არმია რუსეთისას ჭარბობდა რიცხობრივად; რუსეთის არმიის გენერალიტეტი, ბაგრატიონის გარდა, მას უნიჭოდ მიაჩნდა. კუტუზოვს იგი ჭკვიან და ცბიერ გენერლად თვლიდა (ჩრდილოეთის მელას უწოდებდა), მაგრამ კმაყოფილი იყო, რომ არმიის ხელმძღვანელობის საქმეს ჩამოცილებული იყო. რა, თქმა უნდა, რუსეთის არმიის გენერალიტეტის შეფასებაში ნაპოლეონი, როგორც თვით დარწმუნდა შემდეგში, სასტიკად ცდებოდა. რუსეთის არმიის მრავალი დივიზიისა და კორპუსის სათავეში იდგნენ სუვოროვისა და კუტუზოვის სახელოვანი მემკვიდრენი და მოწაფენი, რომლებიც სიმამაცესა თუ სამხედრო ხელოვნებაში ნაპოლეონის მარშლებს არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ.

აირჩია რა მოსკოვზე უმოკლესი გზა, ნაპოლეონი იმასაც ვარაუდობდა, რომ რუსეთის დაჩოქების საქმე ეგების მოსკოვამდეც მოეგვარებინა. მან იცოდა რა რომ რუსეთის არმია ჯერ კიდევ მობილიზებული არ ყოფილა, რიცხობრივად ნაკ-

ლები იყო ნაპოლეონისაზე და ამავე დროს ნაკლები საბრძოლო ტრადიციები გააჩნდა. ნაპოლეონს სურდა პირველი შეხვედრისთანავე გაემართა გენერალური ბრძოლა და დაენგრია რუსეთის არმიის ძლიერება. ნაპოლეონმა გამოცდილებით იცოდა, რომ მისი არმიის პირველი დაკვრა იმდენად ძლიერი, გამანადგურებელი იყო, რომ მას რუსეთის ძალები ვერ გაუძლებდნენ. ამ გეგმებითა და მოსაზრებებით აღფურვილმა ნაპოლეონმა თავის ჯარებს 1812 წლის 12 ივნისს ბრძანება მისცა რუსეთის საზღვრების გადალახვის შესახებ.

ახლა ვიკითხოთ — რა ძალები ჰყავდა დასავლეთის ფრონტზე რუსეთს და როგორი იყო მათი განლაგება?

ალექსანდრე პირველისა და მისი ახლო პირებისათვის ადრევე იყო ცნობილი ნაპოლეონის სამზადისი რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის. გრაფ კურაკინის, ნიკოლოზ ჩერნიშევის, გენერალ დოხტუროვის, ლიეენის და სხვ. დასმენები პარიზიდან და პოლონეთიდან სამეფო კარს აძლევდნენ საკმაოდ სრულ წარმოდგენას იმ გეგმებზე, რომელსაც ნაპოლეონი ამუშავებდა.

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, რუსეთი ამზადებდა თავის შეიარაღებულ ძალებს. მუშავდებოდა ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ მოქმედების სხვადასხვა ვარიანტი.

პეტრე ბაგრატიონის მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც მან იმპერატორს წარუდგინა, შეტევის ოპერაციებს გულისხმობდა. რუსეთის არმიას არ უნდა ელოდნა ნაპოლეონის რუსეთის საზღვრებში შემოჭრისათვის, თვით უნდა შეჭრილიყო ვარშავის საჰერცოგოში და აღმოსავლეთ პრუსიაში, დაეკავებინა აქ უმნიშვნელოვანესი პუნქტები, ნაპოლეონის ჯარებისა და მისი მოკავშირე ქვეყნებისათვის წაერთმია სურსათი, საჭურველი და ამრიგად, ფრონტი რუსეთიდან შორს, დასავლეთში გადაეტანა.

ეს გეგმა ალექსანდრემ არ გაიზიარა. მას ჰქონდა ცნობები იმის შესახებ, რომ ნაპოლეონს ვარშავასა და აღმოსავლეთ პრუსიაში, მეტი ძალები ჰყავდა ვიდრე მას შეეძლო დაეპირისპირებინა. ამასთანავე, ალექსანდრესთან საიდუმლოდ უკვე

ეწეოდა მოლაპარაკებას პრუსიის მეფის ფრიდრიხ ვილჰელმის. კაცი ნაპოლეონის წინააღმდეგ კავშირის შესახებ.

რუსეთში იმ დროს მრავალი ნიჭიერი გენერალი იყო და. მათ შეეძლოთ საზღვრების გამაგრების შესანიშნავი გეგმების დამუშავება, მაგრამ ალექსანდრე პირველი, ისე როგორც მისი მამა პავლე პირველი, დიდი მოტრფიალე იყო პრუსიული სამხედრო სკოლისა. მასთან დიდათ დაახლოებული პიროვნება იყო ფრიდრიხ მეორის ყოფილი გენერალი, მიხრწნილი მოხუცი ფონპფუელი, რომლისთვისაც უცნობ ქვეყანას წარმოადგენდა სამხედრო ხელოვნებაში XVIII საუკ. მიწურულისა და XIX საუკ. დასაწყისის მიღწევები, ის ახალი, რაც მასში ნაპოლეონმა, სუვოროვმა, კუტუზოვმა შეიტანეს. ფრიდრიხის და რომაელი სარდლების დიდი მოტრფიალე ფონპფუელი ომის მხოლოდ კორდონულ სისტემას სცნობდა. პფუელი სამხედრო ხელოვნებაში ლექციებს უკითხავდა იმპერატორს, ჰხიბლავდა მას თავისი აბსტრაქციებით. იმპერატორმა საზღვრების დაცვის გეგმა სწორედ ამ პფუელის კონსტრუქციით დაამუშავა. თეორიულად ეს გეგმა ავსტრიელ ლასსის, პრუსიელ ბიულოვის და სხვ. მოძველებულ შეხედულებებს ეყრდნობოდა.

უცნობია რა წყაროებზე დაყრდნობით, მაგრამ დაჯერებით ნაპოლეონის შემოსევას ალექსანდრე მხოლოდ ვილნოს ან გროდნოს გზით ვარაუდობდა. ამიტომაც, სწორედ ამ მიმართულების ჩასაკეტავად დაიწყო მან გამაგრებული ბანაკების მშენებლობა. პირველი ბანაკი შეიქმნა დასავლეთ დვინაზე დაბა დრისასთან. აქ განლაგებულ იქნა ძირითადი ძალა — პირველი არმია ბარკლაი დე ტოლის სარდლობით. გამაგრებული პუნქტი შეიქმნა აგრეთვე ბორისოვთან, რომელსაც გროდნოს მიმართულება უნდა დაეფარა. აქ განლაგებულ იქნებოდა დასავლეთის მეორე არმია.

ამ გეგმის მიხედვით, რომელსაც საქმეში ჩახედული ოფიცრები ან მოღალატის, ან სულელის შემოქმედებას უწოდებდნენ, დაიწყო საზღვრების გამაგრება. რუსეთის არმია გაჟიმულ იქნა მთელ დასავლეთის საზღვარზე კორდონებად. დრისას ბანაკი 120 ათასი კაცს მოითვლიდა. მეორე არმიის რიცხვობ-

რივი შემადგენლობა 40 ათასს აღწევდა. მათ შორის მანძილი 100 კილომეტრს უდრიდა. მესამე არმია 40 ათასი კაცის რაოდენობით, რომელიც მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედებისათვის იყო გამიზნული, აგრეთვე ჩამოცილებული იყო ძირითად ძალებს. ფრონტი 800 კილომეტრზე იყო გაჭიმული. ყველაფერი ეს ნაპოლეონს აძლევდა შესაძლებლობას ესარგებლა ფართო შუალედებით, შეჭრილიყო რუსეთის სიღრმეში, ცალ-ცალკე ალყაში მოექცია და გაენადგურებინა რუსეთის ნაწილები.

ნაპოლეონის შემოსევა

1812 წლის 12 ივნისს ნაპოლეონის არმიამ ომის გამოუცხადებლად მდ. ნემანთან გადმოლახა სახელმწიფო საზღვარი და შემოიჭრა რუსეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ომისათვის მზადებას რუსები ადრეც ეწეოდნენ და ნაპოლეონთან ომი გარდუვალად მიაჩნდათ, მათთვის მაინც ერთგვარად მოულოდნელი აღმოჩნდა ნაპოლეონის შემოსევა. ალექსანდრე პირველი სწორედ ამ დღეებში ვილნოში იმყოფებოდა და დროს უზრუნველად ატარებდა. ერთ-ერთ ბალზე მას მოახსენეს ნაპოლეონის ჯარების შემოჭრის შესახებ.

ალექსანდრემ ნაპოლეონის ბანაკში გაგზავნა პოლიციის მინისტრი ბალაშოვი. წერილში იგი საფრანგეთის იმპერატორს სთავაზობდა წინადადებას მოლაპარაკების შესახებ, რომლის პირველ პირობად აცხადებდა ნაპოლეონის მიერ რუსეთის სახელმწიფო საზღვრებიდან ჯარების გაყვანას. თუ მოლაპარაკება ახლა არ შესდგებოდა და ნაპოლეონი ისევ განაგრძობდა ომს, მაშინ მეფე სიტყვას სდებდა რომ „...სანამ თუნდაც ერთი შეიარაღებული ფრანგი იქნება რუსეთში, არ ილაპარაკებს არც ერთ სიტყვას ზავის შესახებ“.

ნაპოლეონმა, რომელსაც გარეგნული ეფექტებიც უყვარდა, ბალაშოვი ვილნოში მიიღო, სწორედ იმ სასახლეში, საიდანაც იგი რამდენიმე დღის წინ ალექსანდრემ გაგზავნა. ბა-

ლაშოვთან საუბარში ნაპოლეონი ამტკიცებდა, რომ რუსეთზე სამჯერ ძლიერია, რომ რუსებმა კამპანია მოუმზადებლად დაიწყეს, რომ ომის დაწყებაში დამნაშავე თვით ალექსანდრეაო და სხვ. ეს თავისმართლება ან ტრაბახი საკუთარი ძლიერების შესახებ გამიზნული იყო რუსეთის იმპერატორზე მორალური ზემოქმედებისათვის. საუბარში ნაპოლეონმა გვერდი აუარა ალექსანდრე I შეთავაზებულ წინადადებას. ჩანს, იგი დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. ბალაშოვი უკანვე დაბრუნდა. ომი რუსეთის მხრივაც შევიდა ძალაში.

ვილნოს დაკავების შემდეგ ნაპოლეონის ძირითადმა ნაწილებმა კურსი დრისას ბანაკზე აიღეს. ნაპოლეონმა იცოდა, რომ აქ იდგა ბარკლაი დე ტოლი თავისი ნაწილებით. მას იმედი ჰქონდა დრისასთან გამართავდა გენერალურ ბრძოლას რუსებთან და პირველსავე შეხვედრისას გაანადგურებდა მას. მაგრამ დრისას ბანაკი მას მიტოვებული დახვდა, რუსები უკან იხევდნენ ვიტებსკის მიმართულებით.

ისტორიკოსთა შორის ერთხანს დავა იყო ატეხილი რუსეთის არმიის უკანდახევის შესახებ. ზოგი მას წინასწარ განზრახულებად აცხადებდა, მიუთითებდა რაღაც ე. წ. „სკვითური გეგმის“ შესახებ, რომელიც წინასწარ ითვალისწინებდა ნაპოლეონის შემოტყუებას რუსეთის სიღრმეში და იქ განადგურებას. ზოგი მას ბარკლაის მშიშრული ბუნებით ხსნიდა. იყო მითითება აგრეთვე იმაზე, რომ ამ გეგმის სულისჩამდგმელი იყო შვეიცის მეფე მარშალი ბერნადოტი, გრაფი როსტოპჩინი და სხვები, რომლებიც არ მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად ნაპოლეონისათვის გენერალური ბრძოლის გამართვას საზღვართან.

რუსეთის ორთავე არმიის უკანდახევა, სმოლენსკამდე მაინც ეს იყო არა თავისუფალი არჩევანი, არამედ „მკაცრი აუცილებლობა“,[1] როგორც ამას სავსებით სამართლიანად მიუთითებდა კ. მარქსი. რუსეთის არმიის განლაგების ის უნიჭო გეგმა, რომელიც ალექსანდრესა და მისი ფავორიტის პფულის მიერ იყო შედგენილი, არავითარ შემთხვევაში არ იძლეოდა

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. XI, ч. II, стр. 569.

მოწინააღმდეგის გამკლავების შესაძლებლობას. ჯერ ერთი, ნაპოლეონს მართლაც სამგზის ჭარბი ძალები ჰყავდა, მეორეც— რუსეთის ფრონტი 800 კილომეტრზე იყო გაჭიმული და ძალები დაქსაქსული. ნაპოლეონს ადვილად შეეძლო (და იგი ამას კიდეც ვარაუდობდა) ცალკ-ცალკე პირველი და მეორე არმიების გარემოცვა და განადგურება. მაშასადამე შექმნილი მძიმე ვითარება როგორც ბარკლაი დე ტოლის — პირველი არმიის სარდალს, ისე პეტრე ბაგრატიონს — მეორე არმიის სარდალს იმას ავალებდა, რომ გასცლოდნენ მოწინააღმდეგეს, საარიერგარდო ბრძოლებში უზრუნველეყოთ ძირითადი ნაწილების უკანდახევა მანამ, სანამ ისინი შეერთდებოდნენ. ასეთი შეერთების პუნქტად ნავარაუდევი იყო სმოლენსკი.

ამიტომ იყო რომ მთელ ფრონტზე რუსთა ძალებმა უკან გადანაცვლება იწყეს, ამავე დროს, მოწინააღმდეგის მოძალებას გმირული საარიერგარდო ბრძოლებით აჩერებდნენ.

ნაპოლეონი დაედევნა უკანდახეულ ბარკლაის, იმ იმედით, რომ ვიტებსკში შესაძლებლობა ექნებოდა გენერალური ბრძოლისა, რაზედაც ასე ოცნებობდა. ვილნოდან ვიტებსკამდე გზა გაცილებით ძნელი აღმოჩნდა. ამ დროს დაიწყო ისეთი პაპანაქება სიცხეები, როგორიც ფრანგ ვეტერანებს ეგვიპტეშიც კი არ ენახათ. შემდეგ მოვიდა წვიმები, რამაც გზები საშინლად აატალახა და მოძრაობა უარესად გააძნელა. რაც მთავარია, სურსათის აღლები, რომლებიც ისედაც ჩამორჩენილი იყვნენ ქვეითთა სწრაფი წინსვლის გამო, წვიმის შემდეგ ტალახში ჩაეფლნენ. არმია შიმშილის საფრთხის წინაშე დადგა. დამშეული ჯარისკაცები სოფლებს შეესივნენ და ძარცვა დაიწყეს, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა სრულიადაც გულგრილად არ შეხვედრია და მომხდომთ ვაჟკაცურად უმკლავდებოდა. ნაპოლეონმა მშვენივრად იცოდა, რომ მაროდიორობა საშინელი სენი იყო არმიაში და თუ მას დროზე არ აღკვეთდა, იგი გახრწნიდა მთელ არმიას. მან გამოსცა უკიდურესად მკაცრი ბრძანება მაროდიორობის წინააღმდეგ, მაგ-

რამ საქმეს არც ამან უშველა. შიმშილის ბრძანება უფრო ძლიერი იყო, იგი ჯარისკაცებს თავის ნებაზე ათამაშებდა.

სწრაფი მარშ-მანევრის განხორციელების შემდეგ პირველი არმია 11 ივლისს ვიტებსკში შევიდა. ბარკლაის არ ჰქონდა ზუსტი ცნობები მეორე არმიიდან და იგი გაძაგრდა ქალაქში, რომ ნაპოლეონისათვის გზა მოეჭრა სმოლენსკისაკენ. სააარიერგარდო ბრძოლაში ნაპოლეონის საავანგარდო ნაწილებთან პირველად ჩაება გენერალ ოსტერმანის კორპუსი, რომელმაც მთელი დღის განუწყვეტელ ბრძოლებში შეაჩერა ფრანგების ავანგარდი. ღამით ოსტერმანის ნაწილები კონოვნიცინის ნაწილებმა შესცვალეს. რუსებს თავდაცვისათვის მეტად მოხერხებული პოზიცია ეკავათ და ფრანგებს წინსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ამ ხნის განმავლობაში მოვიდა დასმენა გენერალ ბაგრატიონისაგან. მას კურსი სმოლენსკზე ჰქონდა აღებული. ბარკლაიმ გასცა ბრძანება ძირითადი ნაწილები სმოლენსკისაკენ დაძრულიყვნენ. მთელი ეს ოპერაცია ისე მოხერხებულად, ფარულად ჩატარდა, რომ ნაპოლეონმა 2 დღის შემდეგ 18 ივლისს გაიგო ვიტებსკის დატოვების ამბავი. 20 ივლისს პირველი არმია სმოლენსკში შევიდა.

რა მდგომარეობაში აღმოჩნდა მეორე არმია?

ნაპოლეონის შემოსევის შემდეგ მეორე არმიის სარდალმა პ. ბაგრატიონმა მიიღო ბარკლაი დე ტოლის მითითება ემოქმედა ნაპოლეონის მთავარი ძალების მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ. აუცილებლობის შემთხვევაში დაეხია ქ. ბორისოვისაკენ. ბაგრატიონი მშვენივრად მიხვდა ამ წინააღმდეგობით აღსავსე მითითებების არსს. და მან ისევე, როგორც ბარკლაიმ, დაიწყო თავისი გაფანტული ნაწილების თავმოყრა და გადანაცვლება სიღრმეში. ბაგრატიონის წინააღმდეგ სამოქმედოდ ნაპოლეონს გამოყოფილი ჰყავდა მისი ძმა, ვესტფალიის მეფე ჟერომი. იგი გროდნოს მხრიდან მიიწევდა ბაგრატიონზე, მაგრამ უნიჭო სარდალმა ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი შესაძლებლობანი და 5 დღე უმოძრაოდ იდგა გროდნოში, მაშინ როცა ბაგრატიონმა მოასწრო ძალების თავმოყრა. ნაპოლეონმა ახლა ბაგრატიონის წინააღმდეგ ვილნოდან გაგზავნა თავისი ყველა-

ზე საუკეთესო მარშალი დავუ, რომელსაც 50 ათასი კაცით გზა უნდა გადაეჭრა ბაგრატიონისთვის, არ დაეშვა პირველ არმიასთან მისი შეერთება. დავუმ ბაგრატიონზე ადრე დაიკავა ქალაქი მინსკი და მართლაც მოსჭრა უახლოესი გზა პირველი არმიისაკენ. მაშინ ბაგრატიონმა კურსი მოგილევზე აიღო. 10 ივლისს, როცა ბაგრატიონმა სტაროე ბიხოვოსთან დნეპრს მიაღწია, მან გაიგო, რომ მოგილევში ფრანგები უკვე შეჭრილიყვნენ.

მარშალი დავუ ბაგრატიონის ნაწილებს მოუთმენლად მოელოდა მოგილევთან. მის ხელთ იყო ხიდი მდინარე დნეპრზე. ქალაქის სამხრეთთან დავუმ შეარჩია ყველაზე ხელსაყრელი საბრძოლო პოზიცია, განალაგა თავისი ნაწილები ისე, რომ მოწინააღმდეგისთვის მოაწყო ხაფანგი და სრულიად დაიმედებული იყო, რომ ბაგრატიონი, რომელსაც სხვა გზა ქალაქისკენ არ გააჩნდა, მის ტომარაში აღმოჩნდებოდა.

ბაგრატიონის მზვერავმა კაზაკებმა ზუსტი ცნობები მოიტანეს მოგილევში დავუს ნაწილების განლაგების შესახებ. შეაფასა რა მტრის პოზიცია, ბაგრატიონმა ამოიცნო მისი ზრახვები და მეტად მოხერხებული კონტრგეგმა დაუპირისპირა.

ბაგრატიონმა გენერალ რაევსკის ქვეითთა კორპუსს უბრძანა დაეწყო მოწინააღმდეგის პოზიციებზე შეტევა. ამასთანავე ეს შეტევა ისე ენერგიული, ფართო და მრავალმხრივი უნდა ყოფილიყო, რომ მოწინააღმდეგეს შექმნოდა შთაბეჭდილება რუსთა მთელი ძალების ბრძოლაში ჩაბმის შესახებ. პლატოვის კაზაკებს დავალება მიეცათ ალყა შემოერტყათ მოგილოვისათვის, არ გაეშვათ ქალაქიდან მოწინააღმდეგის მზვერავები, ამავე დროს, შეექმნათ ქალაქის გარემოცვის და ირგვლივი შეტევის შთაბეჭდილება. თუ ბაგრატიონი ამ მიზანდასახულებას წარმატებით გაართმევდა თავს და მტერს შეცდომაში შეიყვანდა, მას ამოცანა გადაწყვეტილად მიაჩნდა, რადგან ბრძოლის ამ პერიოდში, ფრანგებისაგან შეუმჩნეველად ამზადებდა მდინარე დნეპრის ფორსირებას მოგილევიდან დაცილებით, და ამგვარად გზას სმოლენსკისაკენ ხსნიდა მთელი არმიისათვის.

სარდლის დავალება რაევსკის კორპუსმა და პლატოვის კაზაკებმა ბრწყინვალედ შეასრულეს.

11 ივლისს დაბა დაშკოვკასთან დაიწყო რაევსკის ნაწილების შეტევა ფრანგების პირველ ხაზზე. რაევსკიმ პირველსავე შეტევითს ბრძოლაში მსხვილი ძალების ფართო მანევრები განახორციელა — ერთი დივიზია პასკევიჩის მეთაურობით და ჰუსართა პოლკი შემოვლითი მანევრით ფრანგებს გვერდიდან დაესხა. ამავე დროს, კაზაკები ცხენებს დააქროლებდნენ მოგილევის ირგვლივ და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, რომ თითქოს მთელი ქალაქის გარემოცვა მზადდებოდა.

დავუ წამოეგო ანკესზე. მან ჩასთვალა, რომ ბაგრატიონის არმია გენერალურ ბრძოლაში ჩაითრია და ამზადებდა ძალებს კონტრდარტყმისათვის. ამ დროს კი ბაგრატიონის მესანგრენი მოგილევიდან დაშორებით დნეპრზე ნოვი ბიხოვთან სახელდახელოდ აგებდნენ ხიდს არმიის გადასაყვანად.

რაევსკიმ შენიშნა, რომ მოწინააღმდეგე კონტრიერიშს ამზადებდა. ცხადია, მის კორპუსს, რომელიც რიცხვობრივად ოცჯერ ნაკლები იყო ფრანგთა ძალებზე, არ შეეძლო ამ იერიშის გამკლავება. მოსალოდნელი იყო მთელი ჩანაფიქრის ჩაფუშვა. და აქ რაევსკიმ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯარისკაცები უკიდურესობამდე იყვნენ დაღლილი ზედიზედ იერიშების გამო, გადაწყვიტა ერთხელ კიდევ განეხორციელებინა იერიში, რომ ფრანგებისათვის არ მიეცა ძალების კონსოლიდაციის და კონტრიერიშის განხორციელების საშუალება. რუს ჯარისკაცებზე უდიდესი მორალური ზეგავლენა მოახდინა რაევსკის თავგანწირულმა, გმირულმა მოქმედებამ: მან ხელი ჩასჭიდა თავის ორ შვილს და მოიერიშეთა წინ დადგა. უფროსმა შვილმა, რომელსაც დროშა ეჭირა ხელში, დასძახა რუსული ურა. რაევსკის მეორე — უმცროსი ვაჟი მამას ედგა გვერდში. მამაც გენერალს აჰყვა ქვეითთა ბატალიონები. მძლავრი რუსული ურათი გაემართნენ წინ და მტერს ზურგი აბრუნებინეს. დავუ იძულებული შეიქნა ისევ თავდაცვაზე გადასულიყო. დღეც მიიწურა. ღამით მეორე არმია სრული წესრიგით გადავიდა მდინარე დნეპრზე და მოგილევისათვის გვერდის აევლით

კურსი სმოლენსკისაკენ აიღო. დავუმ ყველაფერი ეს მაშინ გაიგო, როცა რუსები შორს იყვნენ და მათი დაწევა აღარ შეიძლებოდა.

ამრიგად, სტრატეგიული უკანდახევის დროს ბაგრატიონმა ნაპოლეონს აჯობა. 23 ივლისს ბაგრატიონი სმოლენსკში შევიდა. მას თოფქვეშ 40.000 ჯარისკაცი ჰყავდა. 750 კილომეტრი მანძილი ამ არმიამ პეტრე ბაგრატიონის სარდლობით ისე გაიარა, რომ მტრის ყველა ცდა გზის მოჭრისა ჩაშალა, მას საგრძნობი ზიანი მიაყენა; მისი დანაკარგი უმნიშვნელო იყო. არმიას შესანიშნავი საბრძოლო სულისკვეთება ჰქონდა.

ვიტებსკში, მას შემდეგ, რაც ბარკლაის ჯარებმა ეს ქალაქი დასტოვეს, ნაპოლეონის მდგომარეობა არც ისე სახარბიელო ჩანდა. კოვნოდან ვიტებსკამდე განვლილი გზა, მართალია, წინსვლის გზა იყო, მაგრამ სანამ შეიძლებოდა ასეთი წინსვლა, როცა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა უვნებელი რჩებოდა, ხოლო კომუნიკაციები თანდათან იზიმებოდა და ძალები იქსაქსებოდა! თუ კოვნოში მას 400 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა, ვიტებსკთან და მინსკთან 190 ათასიღა დარჩა. სად წავიდნენ ეს ძალები?

ნაპოლეონს მოუხდა ჯარის საკმაო რაოდენობა დაეტოვებინა დაპყრობილ ქალაქებში, როგორც საოკუპაციო გარნიზონები. მან ომის დასაწყისშივე გამოჰყო 25 ათასიანი რაზმი მაკდონალდის მეთაურობით და დავალება მისცა ტილზიტიდანვე შეტევა რიგაზე ეწარმოებინა. უკრაინაში ავსტრიელ გენერალ შვარცენბერგს 36000 კაცით დავალება ჰქონდა შეებოჭა გენერალ ტორმასოვის არმია. გარდა ამისა, ნაპოლეონმა უფრო გვიან პოლოცკთან გამოჰყო მარშალ უდინოს კორპუსი (40000 კაცი), რომელსაც უნდა შეეტია გენერალ ვიტგენშტეინისათვის, პეტერბურგის მისადგომებს რომ იცავდა. თუ ამ დაქსაქსულ ძალებს დავუმატებთ საფრანგეთის არმიის დანაკარგს, რაც ომის 1 თვის განმავლობაში საკმაოდ დიდი იყო, და იმას, რომ რუსეთში ფრანგების შემოჭრის დღიდანვე გაჩაღებული სახალხო ომი დაკავებული პოზიციების შემომტკიცებისათვის მრავალრიცხოვან ძალებს მოითხოვდა, ჩვენთვის ნათელი გახ-

დება ნაპოლეონის არმიის ასე მკვეთრად შემცირების მიზეზები.

ვიტებსკში, სადაც აუტანელი პაპანაქება იყო, ნაპოლეონმა შეასვენა თავისი ნაწილები. აქვე მან ანალიზი გაუკეთა განვლილ გზას, სცადა განეკვრიტა უახლოესი მომავალი. ომის შემდგომი მსვლელობის შესახებ მარშლებთან მსჯელობისას უკვე გამოითქვა ის აზრები, რაც ნაპოლეონის არმიაში ბევრს აწუხებდა.

მარშლები დიუროკი, დარიუ, ბერტიე და კოლენკური რუსეთის არმიის შემდგომ დადევნებას და რუსეთის სიღრმეში შეჭრას იმპერატორს არ ურჩევდნენ. მტერი განგებ გვიტყუებს თავის სიღრმეში, რომ იქ გაგვანადგუროსო — ამტკიცებდნენ ისინი. ეს შიში ნაპოლეონსაც აწუხებდა. იგი ფიქრობდა სმოლენსკში გამოზამთრებაზეც, მაგრამ გადამწყვეტ ნაბიჯს ვერ დგამდა, ყოყმანობდა.

ამ ინერტული მდგომარეობიდან, როგორც აკად. ე. ტარლე მიუთითებს, ნაპოლეონი 10 აგვისტოს გამოიყვანა ცნობამ იმის შესახებ, რომ რუსთა კავალერია თავს დაესხა გენერალ სებასტიანის ნაწილებსო. ნაპოლეონმა ივარაუდა, რომ რუსები ახლოს არიან, ისინი აღარ გარბიან და გენერალური ბრძოლის შესაძლებლობით აღტყინებულმა გასცა ბრძანება სმოლენსკისაკენ წინსვლის შესახებ.

სმოლენსკში რუსეთის პირველი და მეორე არმიის შეერთების შემდეგ მთავარსარდლობა ხელთ აიღო ბარკლაი დე ტოლიმ. სმოლენსკის დაცვის, ნაწილების განლაგების საკითხებში ბარკლაისა და ბაგრატიონს შორის ადრე არსებული უკმაყოფილება უფრო გამწვავდა. ბაგრატიონი გადაჭრით წინააღმდეგი იყო მტრის სმოლენსკში შეშვებისა და გენერალურ ბრძოლას ამზადებდა. ბარკლაი ფრთხილობდა, ვერ ამოიცნო რა ნაპოლეონის გეგმა სმოლენსკზე შეტევისა, ჯარები მთელი კვირის განმავლობაში გადაჰყავდა ერთიდან მეორე ადგილზე. უკმაყოფილების ხმა გაისმა ოფიცრობაშიც. მთავარსარდლის მოქმედებას აკლდა სიმტკიცე, დროის მომჭირნეობა.

ნაპოლეონის ძირითადმა ნაწილებმა სმოლენსკზე სწორედ

იმ მხრიდან — ქ. კრასნიდან — დაიწყეს შეტევა, საიდანაც ბაგრატიონი ვარაუდობდა. კრასნის თან საარიერგარდო ბრძოლებისათვის განლაგებული იყო გენერალ ნეველროვსკის რაზმი 7000 კაცის შემადგენლობით. ნეველროვსკიმ დასტოვა კრასნი და დაიწყო ბრძოლით უკანდახევა. ნეველროვსკის უტედვნენ მიურატის კავალერია და ლედრიუს დივიზიის ქვეითები. ბრძოლა ძალთა უთანასწორობის ვითარებაში მიმდინარეობდა: მაგრამ რუსები „ლომივით იცავდნენ თავს". ისინი „კარეთი" იხევდნენ უკან, სპობდნენ მათზე საიერიშოდ მოჭრილ მიურატის კავალერისტებს. ნეველროვსკის მებრძოლებმა ძძიმე მსხვერპლის ფასად მტრის ორმოცამდე გააფრთებული იერიში მოიგერიეს და ასე გმირული თავდაცვით მიაღწიეს სმოლენსკს. თვით ფრანგები ნეველროვსკის რაზმის შესახებ, რომლებიც სულ ახალგაზრდა მებრძოლებისაგან შესდგებოდა, ასე წერდნენ: „რუსი მხედრები თავისი ცხენებითურთ თითქოს მიწაში იყვნენ ჩარგულნი... რამდენიმე ჩვენი პირველი იერიში მარცხით დამთავრდა... რუსები (უკანდახეულები) ყოველთვის ანაზდეულად იბრუნებდნენ ჩვენსკენ პირს და თოფის ცეცხლით უკუგვაგდებდნენ". ბაგრატიონი ამ დივიზიის შესახებ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: „შეუძლებელია სათანადოდ შეაფასო ის სიმამაცე და სიმტკიცე, რომლითაც დივიზია, სრულიად ახალი, იბრძოდა მოწინააღმდეგის მეტისმეტად ჭარბი ძალების წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სიმამაცის მაგალითი არცერთ არმიას არ უჩვენებია".

სმოლენსკთან საარიერგარდო ბრძოლებში ნეველროვსკის წამოეშველა გენერალ რაევსკის კორპუსი, რომელშიც 15000 კაცი ითვლებოდა.

4 აგვისტოს დაიწყო ნაპოლეონის ძალების შეტევა სმოლენსკზე. ფრანგმა არტილერისტებმა ქალაქს დიდძალი ყუმბარები დაუშინეს. ქალაქის ბასტიონებზე ქუხდნენ რუსთა ქვემეხები. რაევსკის რაზმებს პირველად მარშალ ნეის ნაწილები ეკვეთნენ. რუსები თავს მედგრად იცავდნენ; შემოჭრილ მტერს ისინი ხიშტებით ეკვეთნენ და უკუაქციეს. ჩაიშალა მეორე იერიშიც. ბრძოლის ველზე გამოცხადდა თვით ნაპო-

ლეონი. შეაფასა რა ვითარება, მან იერიში მეორე დღისათვის გადადო. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის პირველმა არმიამ, რომელიც დნეპრის მარჯვენა ნაპირზე იდგა, გადმოლახა მდინარე და განლაგდა სმოლენსკის მახლობელ სიმაღლეებზე. ნაპოლეონი აღაფრთოვანა რუსეთის არმიის დანახვამ. „როგორც იქნა, რუსები ხელში ჩამივარდნენ!“ — წამოიძახა მან.

რაევსკის შეთხელებული რიგები ბაგრატიონის ბრძანებით გენერალ დოხტუროვის კორპუსმა შეცვალა. ნაპოლეონმა უბრძანა მარშლებს ქალაქი იერიშით აეღოთ. არტილერისტებმა ცეცხლგამჩენი ყუმბარები დაუშინეს სმოლენსკს. ქალაქში გაჩნდა ხანძარი. დოხტუროვის ნაწილები ფეხს არ იცვლიდნენ პოზიციიდან და ფრანგების ზედიზედ იერიშებს გმირულად უმკლავდებოდნენ. მთელ დღეს გრძელდებოდა ბრძოლა, მაგრამ ფრანგებმა წინ ვერ წაიწიეს. ქალაქი კი იწვოდა.

დოხტუროვის გმირულმა საარიერგარდო ბრძოლებმა რუსეთის ძირითად ძალებს საშუალება მისცეს დაეტოვებინათ სმოლენსკი. ასეთი იყო ბარკლაი დე ტოლის ბრძანება, რომელსაც ბაგრატიონი და რუსეთის არმიის ოფიცრები იძულებით ასრულებდნენ. აფეთქებულ იქნა თოფის წამლის საწყობები. ღამით, 6 აგვისტოს, პოზიციებიდან დოხტუროვის კორპუსიც მოიხსნა. ფრანგებს დარჩათ ხანძრით დაფერფლილი, ყუმბარებით დანგრეული ქალაქი.

სმოლენსკის კედლებთან ფრანგების წინააღმდეგ რუსეთის არმიის ბრძოლა ერთერთი საუკეთესო ეპიზოდია ამ ომის ისტორიაში. თვით ფრანგულ ძუნწ და მშრალ ანგარიშებშიც კი, როგორც აკად. ე. ტარლე შენიშნავს, მაინც მოტანილია ამ ბრძოლის გასაოცარი ეპიზოდები. რუსი მეომრები სიცოცხლეს არ იშურებდნენ ქალაქის დასაცავად. ისინი სულ ახლოს უშვებდნენ მტერს, რომ მიზანი არ აეცდინათ, შემდეგ ხიშტზე გადასულიყვნენ. პ. ბაგრატიონი აღნიშნავდა: „ჭეშმარიტად, ჩვენმა გმირებმა სმოლენსკთან გვაჩვენეს ისეთი მამაცობა და მზადყოფნა მტრის დამარცხებისა, რომ ამის მსგავსი მაგალითი არც კი მეგულებაო“.

სმოლენსკის დატოვება რუსეთის მთავარსარდლობის დი-

დი შეცდომა იყო. ეს მძლავრი ციხე-სიმაგრე, ამავე დროს, წარმოადგენდა მოსკოვის გასაღებს დასავლეთიდან. პეტრე ბაგრატიონი, ბარკლაის განუწყვეტლი უკანდახევით შეშფოთებული, აღნიშნავდა, რომ მას მტერი პირდაპირ მოსკოვში მიჰყავსო. აშკარად გაისმოდა უკმაყოფილება თვით არმიის პირად შემადგენლობაში. რიგითი ჯარისკაცები, რომლებიც სმოლენსკთან ბრძოლას იყვნენ მოწყურებული, ბარკლაის ლანძღავდნენ. მათ თავმოყვარეობაზე მძიმედ მოქმედებდა ასეთი განუწყვეტელი უკანდახევა.

ნაპოლეონიც სმოლენსკს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. შესდგა ფეხი თუ არა ამ ქალაქში, მან სიამაყით განუცხადა მარშლებს: „ახლა ჩემი ხაზი შესანიშნავადაა დაცული. დავრჩეთ აქ. ამ ციხე-სიმაგრის საფარქვეშ მე შემიძლია შევაგროვო ჩემი ჯარები, მივცე მათ შესვენება, დავუცადო დამხმარე ძალებს და მომარაგებას დანციგიდან, პოლონეთი დაპყრობილი და კარგად დაცულია; ეს შედეგები საკმარისია. ორი თვის განმავლობაში ჩვენ იმდენი ნაყოფი მოვიმკეთ, რომელსაც ორი წლის განმავლობაშიც არ ველოდით. კმარა! გაზაფხულამდე უნდა მოვაწყოთ ლიტვის ორგანიზაცია და კვლავ შეექმნათ უძლეველი არმია. მაშინ, თუ ზავი არ მოგვძებნის ჩვენ ზამთრის ბინაში, ჩვენ მას ვიპოვით და ბრძოლით მოვიმკით მოსკოვთან“.

ამ სიტყვებს ნაპოლეონი სიამაყით ლაპარაკობდა, მაგრამ მარშლებთან ერთად ამშვიდებდა საკუთარ თავს, რომელშიც უკვე შეპარული იყო მწარე ეჭვები მისი პირველ განზრახვის ჩაშლის შესახებ. სმოლენსკში გამოზამთრება მართლაც შესაძლებელი იყო, მაგრამ ნაპოლეონს აწუხებდა სხვა: რუსეთის არმია ისევ ხელუხლებელი დარჩა. იგი სულ ახლოს იდგა სმოლენსკთან და განა შეიძლებოდა ამ დანგრეულ ქალაქში მშვიდი გამოზამთრება, როცა რუსთა ძალები ახალ-ახალი რეზერვების შემატებით ყოველდღიურად იზრდებოდნენ, ხოლო თვით იგი პარიზიდან ასე დიდათ იყო დაცილებული?

ნაპოლეონს მარშლებიდან ბევრი ურჩევდა სმოლენსკში გამოზამთრებას. ეს მართლაც უკეთესი იყო სამხედრო თვალ-

საზრისით. მაგრამ ნაპოლეონი ვითარებას აფასებდა როგორც პოლიტიკოსი, როგორც იმპერატორი საფრანგეთისა და მბრძანებელი მთელი ევროპისა. ევროპის დაპყრობილ ქვეყნებში როდი იყო სიმშვიდე. ოპოზიციური ელემენტები თვით პარიზშიც იწყებენ აქტიურობას. მას, საიმპერატორო ტახტის უსუსურპატორს განუწვეტლივ უნდა ეხვეჭა დიდება, ერთ ადგილზე ტკეპნას არავინ აპატიებდა. სმოლენსკთან შეჩერება ევროპის თვალში როდი იყო ეფექტური წარმატება. — სმოლენსკთან ახლო მოსკოვია, თუ იქ შევაღწევთ, ეს იქნება „დიდება, ღირსება და დასვენება“, ყველაფერი ეს იქნება მხოლოდ მოსკოვში — უმტკიცებდა ნაპოლეონი თავის მარშლებს, რომლებიც დაეპვებული იყვნენ შემდგომი წინსვლის მიზანშეწონილებაში.

ნაპოლეონმა გეზი მოსკოვზე აიღო. იგი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა რუსეთის არმიებს, რომლებიც აღმოსავლეთით მიეძართებოდნენ. რუსებმა დასტოვეს დოროგობუჟი, რომელიც ააოხრეს, გაძარცვეს და დაწვეს ფრანგებმა, დასტოვეს ვიაზმა. ფრანგების წინსვლას ოდნავ ანელებდა გენერალ პლატოვის კავალერია, რომელიც შემდეგ კონოვნიცინმა შესცვალა. საზღვარი არ ჰქონდა ბაგრატიონის გააფთრებას. დამახასიათებელია ასეთი დეტალი: დოროგობუჟთან სამხედრო ძალების დათვალიერებისას, მან შენიშნა, რომ პოლკოვნიკ ტოლს რუსები განელაგებინა ისე, რომ პირი მოსკოვისკენ ჰქონდათ შექცეული. ტოლის ასეთმა მოქმედებამ ისე აღაშფოთა ბაგრატიონი, რომ მან დაჟინებით მოითხოვა ან დაეხვრიტათ პოლკოვნიკი ტოლი, ან ჩამოერთვათ ოფიცრის ღირსება და ჯარისკაცად განეწესებინათ. ბარკლაი დე ტოლმა ძლივს იხსნა ტოლი სასჯელისაგან.

სმოლენსკის შემდეგ რუსეთის არმიის ბედმა მთელი ქვეყანა შეაშფოთა. რუსეთის არმიის მთავარსარდალ ბარკლაი დე ტოლის წინააღმდეგ უკმაყოფილება არა მარტო არმიაში, არამედ მთელს რუსეთში იმდენად გაძლიერდა, რომ მისი ამ პოსტზე დატოვება შეუძლებელი იყო. ბარკლაის ასე განუწყვეტელ უკანდახევას ზოგი იმას მიაწერდა, რომ მას როგორც უცხოელს სრულიადაც არ შესტკიოდა გული რუსეთზე, ზო-

გიც ნაპოლეონის ჯაშუშს, ქვეყნის მოღალატეს უწოდებდა. პეტერბურგში — სასახლეში, აგრეთვე მოსკოვსა და სხვა ქალაქებში დაჟინებით მოითხოვდნენ მის გადაყენებას და მთავარსარდლის პოსტზე სახელმოხვეჭილი გენერლის მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვის დანიშვნას.

იმპერატორ ალექსანდრე პირველს კუტუზოვი არ უყვარდა. იგი თურქეთის კამპანიის შემდეგ იმპერატორის გულისწყრომის შედეგად სამხედრო საქმეებს ჩამოცილებული იყო და თავის მამულში ცხოვრობდა. ნაპოლეონი რომ რუსეთში შემოიჭრა, პატრიოტ გენერალს გულმა ვერ გაუძლო და პეტერბურგს მოაშურა. აქ მას მოლაშქრეთა მეთაურობა მიანდეს.

ალექსანდრე პირველი ხედავდა, რომ არმიაში საქმე რიგზე ვერ იყო. ისეთი სახელგანთქმული სარდლის წინააღმდეგ, როგორიც ნაპოლეონი იყო, ომში არმიის მეთაურობას ალექსანდრე ვერ იკისრებდა, რადგან ჰქონდა მწარე გამოცდილება. მართალია კუტუზოვი არ უყვარდა, მაგრამ მისი მხედართმთავრული ტალანტის უარყოფა არ შეიძლებოდა. მით უმეტეს, რომ რუსეთის მხსნელად მთელი ქვეყანა ასახელებდა კუტუზოვს. ერთგული როსტოპჩინი მოსკოვიდან იმპერატორს წერდა: მოსკოვის სურვილია, ხელმწიფეე, რომ ჯარებს კუტუზოვი უფროსობდეს და წინ მიჰყავდეს ჩვენი ძალები, სხვანაირად არ იქნება არავითარი ერთობა და ყოველივე ამას ნაპოლეონი ძალიან კარგად ხვდებაო...

ალექსანდრე იძულებული გახდა ემოქმედნა თავისი სურვილის წინააღმდეგ და მხარი დაეჭირა მთავარსარდლად კუტუზოვის დანიშვნისათვის. ცბიერი იმპერატორი, ამასთანავე, წინასწარ იზღვევდა თავს მომავალი უბედურების დროს მისი პირადი პასუხისმგებლობისაგან და კუტუზოვის დანიშვნას თელიდა როგორც იძულებით ღონისძიებას. თავის დას ეკატერინე პავლეს ასულს, მაგალითად, შემდეგს სწერდა: „პეტერბურგში მე დავინახე, რომ ყველა დაჟინებით მომხრე იყო მთავარსარდლად მოხუცი კუტუზოვის დანიშვნისა. ეს იყო საერთო სურვილი. ვიცნობდი რა ამ კაცს, თავიდან ვეწინააღმდე-

გებოდი მის დანიშვნას, მაგრამ როდესაც როსტოპჩინმა 5 აგვისტოს წერილში მაცნობა, რომ მთელი მოსკოვის სურვილია კუტუზოვი მეთაურობდეს არმიასო... მე მრჩებოდა ის, რომ დამეთმო ამ ერთსულოვანი აზრისთვის და კუტუზოვი დავნიშნე".[1]

1812 წლის 24 ნოემბერს ბარკლაი დე ტოლის იმპერატორი სწერდა: „მოსკოვი და პეტერბურგი ერთსულოვნად მიმითითებდნენ თავად კუტუზოვზე. როგორც ერთადერთ კაცზე, რომელსაც, ერთი სიტყვით, შეეძლო სამშობლოს ხსნა. მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო. პირველად სახელმწიფოს დედაქალაქი იმყოფებოდა საშიშ მდგომარეობაში და მე სხვა არაფერი დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ დამეთმო საყოველთაო შეხედულებისათვის; ყოველ შემთხვევაში ის მაინც გავაკეთე, რომ წინასწარ საკითხი განვიხილე საბჭოში, რომელიც იმპერიის უმაღლესი მოხელეებისაგან შესდგება. აქ ითქვა საკითხის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ. დავუთმე რა საბჭოს თვალსაზრისს, მე იძულებული გავხდი ჩამეხშო ჩემი საკუთარი გრძნობა".[2]

ბრძანება და რესკრიპტი მ. კუტუზოვის რუსეთის არმიის მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ გამოქვეყნდა 1812 წლის 8 აგვისტოს.

პირმოთნე იმპერატორი ამის გამო მ. ი. კუტუზოვს სწერდა:

„... საყოველთაოდ ცნობილი მხედრული ღირსებები, სამშობლოსადმი სიყვარული და არაერთგზისი სანიმუშო გმირობა ჭეშმარიტ უფლებას განიჭებთ ჩემი თქვენდამი ნდობისა.

განდობთ რა ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს, მე ვთხოვ ყოვლისშემძლე ღმერთს აკურთხოს თქვენი საქმენი რუსეთის იარაღის სადიდებლად, დაე გაამართლოს ის ბედნიერი იმედები, რომელსაც სამშობლო თქვეხზე აძყარებს"...[3]

[1] М. И. Кутузов, IV, ნაწ 1, გვ. 73.

[2] იქვე, გვ. 475.

[3] იქვე, გვ. 74.

ამრიგად, მთავარსარდლობის პოსტზე კუტუზოვი ხალხის შიერ იყო წარგზავნილი.

მ. ი. კუტუზოვის დანიშვნა რუსეთის არმიის მთავარსარდლის პოსტზე იმ დროს მოხდა, როცა მოწინააღმდეგეს სტრატეგიული ინიციატივა ჰქონდა. მისი ჯარები თითქმის უახლოვდებოდნენ მიზანს: რუსეთის ძალები უკან იხევდნენ, მოსკოვი სულ რამდენიმე დღის სავალზე იყო, ხოლო მოსკოვში შესვლით ნაპოლეონი მახვილს ჩასცემდა მთელ რუსეთს.

ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში დააკისრა ქვეყანამ კუტუზოვს სამშობლო ეხსნა. მოხუცი გენერალი გრძნობდა ამ უდიდეს პასუხისმგებლობას და მიემგზავრებოდა რა მოქმედ არმიაში მოსკოვის გავლით, იგი ყველაფერს აკეთებდა რათა მტრის წინსვლა შეეჩერებინა.

მ. ი. კუტუზოვი იმთავითვე ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ნაპოლეონის სამხედრო ოპერაციებს, კარგად ჰქონდა შესწავლილი მისი მხედართმთავრული ტალანტი, მისი სუსტი ადგილებიც. მას სწამდა, რომ ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ ეს ომი რუსი ხალხისა იყო ჭეშმარიტად სახალხო ომი, ამიტომაც ამოუწურავი იქნებოდა რეზერვები არმიისა; ვინაიდან არმია და ხალხი ერთად იომებდა მომხდურ მტერთან. კუტუზოვმა ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის სტრატეგია შეიმუშავა საერთო პოლიტიკური ვითარების, ომის ხასიათის, რუსეთის მატერიალური რესურსების, ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. ეს სტრატეგია გულისხმობდა ომის მოგებას, დამპყრობლის განადგურებას რუსეთის ტერიტორიაზე, ან განდევნას ქვეყნის ფარგლებიდან. ამ სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის გამოცდილ რუს მხედართმთავარს საჭიროდ მიაჩნდა ნაპოლეონის ჯერ კიდევ ჭარბი ძალების მოქანცვა, სისხლისაგან დაწრეტა, რუსეთის არმიის რეზერვების გაზრდა, გაფანტული ძალების თავმოყრა.

მოსკოვში და გზაზე, მოქმედ არმიაში გამგზავრებისას მან ამ მიმართულებით უკვე ზოგი რამ გააკეთა. მისი ვარაუდით უახლოეს ხანში რუსეთის შეიარაღებული ძალები იმდე-

ნად უნდა გაზრდილიყო, რომ ფრანგებისათვის გადაეჭარბებინა.

17 აგვისტოს კუტუზოვი მოქმედ არმიაში მივიდა. აქ, ცარევო ზაიმიშჩეში ბარკლაი დე ტოლი პოზიციას ამზადებდა ფრანგებთან შეჯახებისათვის. ეს პოზიცია არ იყო რუსებისათვის ხელსაყრელი.

კუტუზოვმა მშვენივრად იცოდა არმიის განწყობილება. ჯარისკაცის ფსიქოლოგიის საუკეთესოდ მცოდნეს ახლა, პირველსავე საზეიმო შეხვედრისას უნდა აეწია მეომართა განწყობილება.

—„ როგორ შეიძლება ასეთი ვაჟკაცები გყავდეს და უკან იხევდე“ — წარმოთქვა მან ჯარისკაცების გასაგონად. ფრაზა მართლაც ზუსტად გამოკვეთილი აღმოჩნდა ჯარისკაცთა მორალური სულისკვეთების ამაღლებისთვის. იგი პოლკიდან პოლკს გადაეცემოდა, საერთო მოწონებას იმსახურებდა. აქვე სახელდახელოდ შეიქმნა სიმღერა:

„Приехал Кутузов быть французов!“

ბოროდინოს ბრძოლა

კუტუზოვმა ცარევო ზაიმიშჩესთან შეჩერება არ მოისურვა. მან ბრძანება გასცა კვლავ ევლო არმიას აღმოსავლეთის მიმართულებით. ცარევო ზაიმიშჩესთან, ჯერ ერთი, პოზიცია არახელსაყრელი იყო, მეორეც, რუსეთის არმიის გასაძლიერებლად მოსკოვში უკვე მიიღო ზომები და დამხმარე ძალები ფრონტისკენ მოეშურებოდნენ. საჭირო იყო მათთვის დაცდა. ამ დროს ნაპოლეონს 130-140 ათასი კაცი ჰყავდა. რუსეთის პირველი და მეორე არმია კი მხოლოდ 100 ათასს მოითვლიდა. ძალთა ასეთი თანაფარდობის ვითარებაში გენერალური ბრძოლა მეტად სარისკო ხდებოდა.

გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი კლაუზევიცი ავრცელებდა ჭორს იმის შესახებ, რომ თითქოს კუტუზოვს მიზნად არ ჰქონია დასახული ნაპოლეონის განადგურება, თითქოს მას არც კი გააჩნდა მოქმედების რაიმე გარკვეული გეგმა და ბო-

როდინოსთან ბრძოლაც კი, აიძულა სასახლის, ხალხის, მთელი რუსეთის ხმამ, თვით კი ამ ბრძოლას გარდუვალ ბოროტებად თვლიდაო. ამ სიყალბეს შემდეგ ზოგიერთი რუსი ისტორიკოსიც იზიარებდა. სინამდვილეში, როგორც ამას პირუთვნელი დოკუმენტები მოწმობენ, კუტუზოვი მთავარსარდლის პოსტზე დანიშვნის პირველი დღიდანვე ნაპოლეონის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას ითვალისწინებდა და მას, არმიის განწყობილების ასამაღლებლად აუცილებლად მიაჩნდა გენერალური ბრძოლა, რისთვისაც იგი წინასწარ სამზადისს ეწეოდა. 20 აგვისტოს თარიღით იგი გენერალ ა. პ. ტორმასოვს სწერდა:

„მოვედი რა არმიაში, მე მათ შევხვდი, გუატსკთან უკანდახევის დროს. არმიის ახლანდელი მოძრაობის აზრი იმაშია, რომ გავაძლიეროთ იგი ზურგში მყოფი ძალებით იმდენად მაინც, რომ მოწინააღმდეგე ჩვენ დიდათ არ აღგვემატებოდეს. გუშინდელი რიცხვიდან ჩვენებს უკვე შეემატა 15000 კაცი, რომლებიც სარეკრუტო ბატალიონების დეპოდანაა მოყვანილი, არმია თანდათანობით გაძლიერდება მოსკოვის ლაშქრით.

ამრიგად, მოწინააღმდეგეს მე დაველოდები გენერალური ბრძოლისათვის მოჟაისკთან, ვამყარებ რა ჩემს იმედებს ყოვლისშემძლე ღმერთის დახმარებასა და რუსეთის ჯარების სიმამაცეზე, რომლებიც ასეთ ბრძოლას მოუთმენლად ელოდებიან...“.[1]

ამავე თარიღით ადმირალ პ. ვ. ჩიჩაგოვისადმი წერილში კუტუზოვი აღნიშნავდა „...მოვედი რა არმიაში, მე მოწინააღმდეგე დავინახე ძველი რუსეთის გულში, თვით მოსკოვთან და ახლა ჩემი მიზანია თვით მოსკოვის გადარჩენა“...[2] წერდა რა თავის ძირითად განზრახვათა შესახებ, მთავარსარდალი ტორმასოვს და ჩიჩაგოვს მიუთითებდა, რომ მესამე არმიის ამოცანა ამჟამად მდგომარეობს არა შორეული პოლონეთის პროვინციების დაცვაში, არამედ რუსეთის გულის — მოსკო-

---

[1] М. И. Кутузов, IV , ნაწ. 1, გვ. 83-84.

[2] იქვე, გვ. 84.

ვის გადარჩენაში, რასაც ყველა სხვა ინტერესები უნდა დაუმორჩილდესო.

მეფემ და მოსკოვის გუბერნატორმა როსტოპჩინმა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ამავე დროს მოსკოვის სარდლობა, კუტუზოვს აღუთქვეს, რომ მალე რუსეთის არმიის შემადგენლობა იმდენად გაიზრდებოდა, რომ ნაპოლეონისას სამჯერ გადააჭარბებდა. მოსკოვის კრემლში ალექსანდრე პირველმა მოიწვია თავადაზნაურთა და ვაჭართა კრება. თავადაზნაურობა მეფეს შეპირდა, რომ ყოველ ათ ყმაზე ერთ მოლაშქრეს გამოიყვანდა. გამოცხადდა ახალი რეკრუტი. რუსეთის არმიისათვის მას 612000 მეომარი უნდა მიეცა. როსტოპჩინი დაპირებას იძლეოდა, რომ მხოლოდ მოსკოვი გამოიყვანდა 80000 მეომარს.

ცარევო-ზაიმიშჩედან მოჟაისკამდე კუტუზოვი გენერალური ბრძოლისათვის ხელსაყრელი პოზიციის ძიებაში იყო. მრავალ ვარიანტს შორის ყველაზე ხელსაყრელად მან სოფელი ბოროდინო მიიჩნია. ჯარების საბრძოლო განლაგების წინ მან დაწვრილებით შეისწავლა პოზიციის ძლიერი და სუსტი მხარეები, გაითვალისწინა მოწინააღმდეგის შემტევი გეგმის ვარაუდები. იმპერატორისადმი 23 აგვისტოს გაგზავნილ წერილში კუტუზოვი აღნიშნავდა: „პოზიცია, რომელიც მე ავირჩიე სოფ. ბოროდინოსთან, მოჟაისკის წინ 12 კილომეტრით, ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, რომელიც შეიძლება საერთოდ ვაკე ადგილზე მოიძებნოს. ამ პოზიციის სუსტი ადგილი, რომელიც მარცხენა ფლანგზე მდებარეობს, შევეცდები ხელოვნურად გავამაგრო. სასურველია, რომ მტერმა ამ პოზიციაზე მიიტანოს იერიშები, მაშინ მე გამარჯვების დიდი იმედი მაქვს. მაგრამ თუ იგი, ჩასთვლის რა ჩემ პოზიციას მტკიცედ, დაიწყებს მანევრირებას სხვა გზებით, რომლებიც მოსკოვისკენ მიემართებიან, მაშინ შეიძლება მომიხდეს მოჟაისკის უკან განლაგება, სადაც ყველა ეს გზა ერთდება: როგორც არ უნდა იყოს, მოსკოვი უნდა დავიცვათ“.[1]

[1] М. И. Кутузов, IV, ნაწ. 1, გვ. 129-130.

22 აგვისტოს რუსეთის არმია ბოროდინოს მიუახლოვდა. ორიერგარდი გმირულად აჩერებდა ნაპოლეონის ავანგარდის მოძალებას. ნაპოლეონი ბოროდინოზე მოდიოდა. ახლა აღარ იყო ეჭვი იმისა, რომ გენერალური ბრძოლა ორ არმიას შორის სწორედ აქ უნდა მომხდარიყო.

კუტუზოვის მიერ არჩეული თავდაცვის ხაზი ჰკეტავდა მოსკოვისაკენ მომავალ ძველ და ახალ სმოლენსკის გზებს. მარჯვენა ფლანგი, რომელიც მდინარე მოსკოვს ეკვროდა, მიუვალი იყო. ცენტრში არსებული ბუნებრივი სიმაგრეები თავდაცვისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ. მარცხენა ფრთაზე, ბუნებრივ სიმაგრეთა არარსებობის მიუხედავად, ნაპოლეონი სივიწროვის გამო თავისი ძალების მანევრირებას ვერ მოახერხებდა. ნაპოლეონი იძულებული ხდებოდა აერჩია ფრონტალური დარტყმა, სწორედ ისე, როგორც ამას კუტუზოვი ითვალისწინებდა. ამრიგად, კუტუზოვი ხელსაყრელი პოზიციის ვითარებაში ნაპოლეონს თავს ახვევდა თავის გეგმას.

აქ კუტუზოვმა ერთ ხერხსაც მიმართა: მარცხენა ფლანგი და ცენტრი მან ჯერჯერობით ყურადღებიდან გამოტოვა და ნაპოლეონს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს რუსეთის თავდაცვის ყველაზე სუსტი მხარე იყო. მაგრამ სწორედ ბრძოლის წინა ღამით კუტუზოვმა ფარულად გადააჯგუფა ძალები, „კურგანაია ვისოტაზე“ ააგებინა ლუნეტი 18 ქვემეხისათვის („რაევსკის ბატარეა“), გააძლიერა ცენტრი და მარცხენა ფრთა. სოფ. სემიონოვკასთან (მარცხენა ფრთაზე) გაკეთდა მიწაყრილები და დაიდგა 36 ქვემეხი. მთელი ეს ფრთა, რომლის მოვლა-პატრონობა პეტრე ბაგრატიონს დაეკისრა (ბაგრატიონის ფლეშები), ბრძოლის წინ წარმოადგენდა მტრისათვის მრისხანე ციხე-სიმაგრეს, ამავე დროს ნაპოლეონისათვის არ იყო სხვა გამოსავალი, თუ არა ამ სიმაგრეზე იერიშების მიტანა.

კუტუზოვმა, ითვალისწინებდა რა ბრძოლის შემდეგ კონტრშეტევას, შექმნა დიდძალი რეზერვები, რომელსაც ბოროდინოს ბრძოლა უნდა დაეგვირგვინებინათ მტრისადმი და-

დევნებით. ცალკე საკავალერიო ნაწილებს მან დააკისრა ღრმა რეიდები მტრის ზურგში.

ნაპოლეონის არმია სმოლენსკის შემდეგ თითქმის ფეხდაფეხ მისდევდა უკანდახეულ რუსთა ძალებს. კონოვნიცინი აჩერებდა ფრანგების მოძალებას. ვიაზმა ფრანგებს ცეცხლის ალში გახვეული დახვდათ. ამავე დროს მთელი გზა სმოლენსკიდან გჟატსკამდე გაერანებული იყო და პაპანაქება სიცხეში ჯარისკაცებს ამღვრეული წყალიც კი ენატრებოდათ; არ იყო საკმაო სურსათი. საქმელ-სასმელის ძიებაში ჯარისკაცები აქეთ-იქეთ იფანტებოდნენ და მრავალი მათგანი პარტიზანების მსხვერპლი ხდებოდა.

ტროპიკული სიცხეები მალე კოკისპირულმა წვიმებმა შესცვალეს. გზები თითქმის გაუვალი გახდა. აცივდა. მარშლებს შორის ისევ იჩინა თავი შიშმა და იქვმა წარმატების შესახებ. ბერტიემ შეგდა იმპერატორს — შეეწყვიტათ დადევნება. განრისხებულმა ნაპოლეონმა მას „ბებრუხანა“ უწოდა: მაგრამ დაფიქრდა კი: — ეს წინადადება მიზანშეწონილი ეჩვენა და გჟატსკში შესვენებისას, 3 სექტემბერს მარშლებს აღუთქვა თუ ხვალ მზიანი ამინდი არ იქნა, ჩვენ შევჩერდებითო...

მაგრამ 4 სექტემბერს, თითქოს განგებ, მზიანი დღე დადგა. ნაპოლეონმა აქ შეამოწმა არმია. ამოკითხვამ ცხადყო, რომ მას სახეზე 130000 კაცი და 587 ქვემეხი გააჩნდა.

გჟატსკიდან გასულ ფრანგების ავანგარდს 5 სექტემბერს სოფ. შევარდინოსთან წინ რუსთა სიმაგრეები გადაეღობა.

შევარდინოს სიმაგრეზე განლაგებული იყო 36 ქვემეხი. მას იცავდა რუსების 2 დივიზია, საკავალერიო პოლკები სულ 8 ათასი ქვეითი და 4 ათასი ცხენოსანი. პოზიცია მოხერხებულად იცავდა რუსეთის ძირითადი ძალების განლაგებას. მისი დაძლევის გარეშე ნაპოლეონს არ შეეძლო გენერალური ბრძოლის დაწყება, რადგან ფლანგიდან დარტყმის საშიშროებას ვერ ასცდებოდა. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, ნაპოლეონმა უბრძანა მიურატს და დავუს პირველი დაეწყოთ იერიშები შევარდინოს რედუტებზე, მარშალ პონიატოვსკის ფრან-

გებისთვის მხარი უნდა დაეჭირა. ძალები, რომელიც შევარ-დინოსათვის ბრძოლაში ნაპოლეონმა ჩაბა, 40 ათას მეომარს და 186 ქვემეხს უდრიდა.

— დღის მეორე ნახევრიდან ფრანგებმა სამი მხრით დაიწყეს შევარდინოზე იერიშები. რამდენიმე იერიში მოგერიებულ იქ-ნა. მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ რუსები თავგამეტებით იბრძოდნენ და პოზიციებზე შემოჭრილ მტერს ხიშტებით სპობდნენ, ან უკან აბრუნებდნენ. მაგრამ ძალები უთანასწორო იყო. მამაცურად იბრძოდნენ კირასირები, რომლებიც მოწი-ნააღმდეგის ქვეითთა რიგებში შეიჭრნენ და ნადავლით დაბ-რუნდნენ. გაჭირვების ჟამს ბაგრატიონმა თვით წაიყვანა იე-რიშზე გრენადერები. შევარდინოს რედუტები ხელიდან ხელ-ში გადადიოდა. ნაპოლეონმა მიზანს ვერ მიაღწია, შევარდინო ვერ შეანგრია, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ველზე 6 ათასი მეომარი დასტოვა.

საღამოს შევარდინოს გმირმა დამცველებმა კუტუზოვისა-გან მიიღეს ბრძანება პოზიციის დატოვების და სემიონოვკის ფლეშებზე გადანაცვლების შესახებ. ბაგრატიონმა სრული საბ-რძოლო წესრიგით დატოვა შევარდინო. დრო მოგებულ იქნა. ამ ხნის განმავლობაში კუტუზოვმა შესანიშნავად მოასწრო მთელი თავისი ძალების საბრძოლო განლაგება.

დაიკავეს რა რუსებისაგან მიტოვებული შევარდინო, ნაპო-ლეონის ძალებმა განაგრძეს წინსვლა. 5 სექტემბერს გვიან საღამოს ნაპოლეონმა თავისი შტაბი სოფ. კალუევოში განა-ლაგა. მან მოიკითხა ტყვეები რუსთა ბანაკიდან, მაგრამ მარ-შალმა კოლენკურმა მოახსენა: „ჩვენ ხელთ ვერცერთი ტყვე ვერ ჩავიგდეთ". იმპერატორი გაოცებული იყო რუსების სიმა-მაცით. მათ გადაწყვეტილი აქვთ ან დაიხოცონ, ან გაიმარჯ-ვონ — მწუხარებით ამბობდა იგი. მისი სიბოროტე თანდათან იზრდებოდა. გრძნობდა რომ დადგა გადამწყვეტი მომენტი. გა-მარჯვებაში დარწმუნებული იყო, თუმცა მისი მოუსვენრობა და მიზეზიანობა იმაზე მეტყველებდნენ, რომ ეს რწმენა მთლად მტკიცე არ ყოფილა.

25 აგვისტო გენერალური ბრძოლის უკანასკნელ სამზადისს მიეძღვნა.

ნაპოლეონმა ძირითადი ძალები ისე დააჯგუფა, რომ ჩანდა გადამწყვეტ დარტყმას რუსეთის არმიის მარცხენა ფლანგზე აპირებდა. საღამოს პოლკებში კითხულობდნენ იმპერატორის წინასაბრძოლო მოწოდებას. ...„ ჯარისკაცებო აი ბრძოლა, რომელიც თქვენ ასე გსურდათ. ამიერიდან გამარჯვება თქვენზეა დამოკიდებული. იგი ჩვენთვის აუცილებელია, იგი მოგვცემს სიუხვეს, კარგ საზამთრო ბინებს, სამშობლოში სწრაფად დაბრუნებას. მოიქეცით ისე, როგორც აუსტერლიცთან, ფრიდლანდთან, ვიტებსკთან, სმოლენსკთან, და დაე ყველაზე შორეულმა თაობამ ილაპარაკოს ამ დღეს თქვენი მოქმედების შესახებ. დაე თქვეხზე თქვან: იგი მონაწილეობდა მოსკოვის კედლებთან დიდ ბრძოლაში!“

რუსთა ბანაკში სრული სიმშვიდე სუფევდა. ამთავრებდნენ უკანასკნელ სიმაგრეთა მშენებლობას. მხედარმთავარმა ჩამოიარა თავისი პოლკები. მას არ გამოუცია არავითარი მოწოდება. დარწმუნებული იყო, რომ რუსებს სიტყვებით შემართება არ სჭიროდა. ამ ბრძოლას ისინი დიდი ხანია ელოდნენ. თითოეული გრძნობდა პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე.

გათენდა 26 აგვისტოს დილა. მოეფინა თუ არა დედამიწას მზის პირველი სხივები, ნაპოლეონმა, რომელსაც მთელი ღამე არ უძინია, აღტაცებით წამოიძახა: „აი აუსტერლიცის მზე“. მარშალ ნეის შიკრიკის შეკითხვაზე დაიწყონ თუ არა იერიში, ნაპოლეონმა უპასუხა — „წინ, გავხსნათ მოსკოვის კარები!“.

5 საათსა და 30 წუთზე გავარდა პირველი ზარბაზანი — ლევ ტოლსტოი თავის შესანიშნავ ეპოპეაში „ომი და მშვიდობა“ ასე აგვიწერს ბოროდინოს სისხლიან ალიონს: „თენდებოდა, ცა მოიწმინდა, მხოლოდ ერთი ღრუბელი იწვა აღმოსავლეთის მხარეზე. დილის სუსტ სინათლეზე ჩანდა, თუ როგორ იფერფლებოდა მიტოვებული კოცონები. მარჯვნივ გაისმა ზარბაზნის გასროლის მკვრივი ხმა, იგი გაიფანტა და ჩაკვდა საერთო სიჩუმეში. პირველს მეორე, მესამე მოჰყვა. შეირხა ჰაერი, მეოთხე, მეხუთე გაისმა ახლოს და საზეიმოდ. პირველი

გასროლის ხმები ჯერ კიდევ არ ჩამწყდარიყო, რომ მას უერთდებოდა სხვა, კიდევ და კიდევ ახალი გასროლის ხმები, ისინი ერთმანეთში ირეოდნენ, ერთი მეორეს წინ უსწრებდნენ".

ფრანგების არტილერიამ დილიდანვე გააჩაღა საშინელი კონონადა, რომლის ხმები მოსკოვშიც ისმოდა. 100 ზარბაზანი განუწყვეტლივ უშენდა რუსების მარცხენა ფლანგს, რომლის წინააღმდეგ იერიშზე უკვე დაიძრნენ მიურატის, დავუს, ნეის, ჟიუნოს კორპუსები. ამასთანავე დელზონის დივიზიამ შეუტია სოფელ ბოროდინოს, რომელიც შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ფრანგებს დარჩათ.

მარჯვენა ფლანგზე ფრანგების იერიში გამიზნული იყო რუსეთის სარდლობის თვალისასახვევად. ნაპოლეონი ყველაზე სუსტ ადგილად რუსების მარცხენა ფლანგს თვლიდა და ძირითადი ძალები სწორედ აქეთკენ მიმართა.

პირველი იერიში მარცხენა ფრთაზე რუსებმა მოიგერიეს. ფრანგებს იგი ძვირი დაუჯდათ. დავუმ კონტუზია მიიღო. დაეცა ბრძოლის ველზე მრავალი გენერალი. მოწინააღმდეგე მარცხენა ფლანგზე ახალ იერიშს ამზადებდა. კუტუზოვმა, რომელიც სათვალთვალო პუნქტიდან მტრის განზრახვას ადვილად უღებდა ალღოს, მარცხენა ფლანგის გასამაგრებლად გაგზავნა 6 პოლკი, გრენადერთა ბატალიონები, 100 ქვემეხი.

ფრანგებმა ძლიერი საარტილერიო ზალპის შემდეგ ისევ მარცხენა ფლანგზე განაახლეს იერიში. ისინი ახლა მეტი გააფთრებით ეკვეთნენ რუსთა სიმაგრეებს. გაიმართა შეუპოვარი ხელჩართული ბრძოლა, მაგრამ ამჟამადაც რუსებმა შეინარჩუნეს პოზიცია. ძლიერმა საპასუხო ცეცხლმა და ხიშტით კვეთებამ ფრანგები აიძულა უკან დაეხიათ. ბრძოლის ველზე ასობით ჯარისკაცებთან ერთად დაეცნენ გენერლები კომპანი, დიუპელენი და რაპი. რუსებმა კონტრიერიშის დროს ფრანგებს 12 ზარბაზანი წაართვეს. ბრძოლაში კავალერია ჩაება.

ნაპოლეონმა მეტის გულმოდგინებით მოამზადა მესამე იერიში. ახლა მარშალ დავუს წამოეშველნენ მარშალ ნეის და ჟიუნოს კორპუსები, კავალერია. ბაგრატიონმა მიიღო საპასუ-

ხო ღონისძიებანი. მან ბრძოლაში ჩააბა ნეველოვსკის დივიზია, გენერალ რაევსკის კორპუსის ნაწილები, გრენადერთა და კირასირთა დივიზიები.

მესამე იერიშზე დავუს, ნეის, მიურატის კორპუსები თავგანწირულად ეკვეთენ ბაგრატიონის ფლეშებს. ფრანგებმა ალყა შემოარტყეს სიმაგრეებს და შიგ შეიჭრნენ. ბაგრატიონმა იერიშზე გადაიყვანა თავისი ნაწილები. რუსების თავგანწირულმა კონტრდარტყმამ შეარყია ფრანგ მოიერიშეთა რიგები. მიურატმა უკან დაიხია. დავუ და ნეი ნაპოლეონს სთხოვდნენ დამხმარე ძალებს. ნაპოლეონი გვარდიას ხელუხლებლად ინახავდა. სამაგიეროდ მან არტილერიის ცეცხლი გააძლიერა.

მარშალ პონიატოვსკის, ეჟენ ბოგარნეს კორპუსები გააფთრებით უტევდნენ მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ უშედეგოდ.

მეოთხე იერიშისათვის ნეისა და დავუს შეთხლებული კორპუსები ახალი ძალებით იყო შევსებული. ნაპოლეონმა გააადიდა რიცხვობრივი შემადგენლობა. ფრანგებს ახლა 30000 მეომარი ჰყავდათ აქ დაგროვებული. 200 ქვემეხი განუწყვეტლივი ცეცხლით უკაფავდა მათ გზას. ბაგრატიონის განკარგულებაში კი იყო 15 ათასი მეომარი და 200 ქვემეხი.

ძალთა ორჯერ სიჭარბის შედეგად ფრანგებმა შესძლეს რუსების შევიწროება. იერიშის შედეგად მათ დაიკავეს სამივე ფლეში, სოფელი სემიონოვკა. მაგრამ ეს მოხდა სულ მცირე ხნით. ბაგრატიონმა კონტრიერიშზე გადაიყვანა გრენადერთა მეორე დივიზია, რაევსკის კორპუსის 8 ბატალიონი, კონოვნიცინის მესამე დივიზია. სოფელი სემიონოვკა და ფლეშები ფრანგებისაგან გაწმენდილ იქნა. ფრანგებმა გამოსავალ პოზიციამდე უკან დაიხეს. ამავე დროს ბაგრატიონს კუტუზოვისაგან მოუვიდა ახალი შევსება. ახლა მას ჰყავდა 30000 მეომარი და ჰქონდა 300-ზე მეტი ქვემეხი.

ერთდროულად ფრანგები გააფთრებულ იერიშებს აწარმოებდნენ რაევსკის ბატარეაზე. პირველი იერიში რაევსკის ქვემეხებზე მიტანილ იქნა მაშინ, როცა ბაგრატიონის ფლეშები დროებით ფრანგებს ეკავათ. ეს იერიშები მოგერიებულ იქნა. ბატარეებზე მეორე იერიში, რომელიც ფრანგებმა 11 საათზე

დაიწყეს, თითქმის წარმატებით დამთავრდა. გენერალი ბონაბი შეიჭრა რუსების საცეცხლო პოზიციაზე, მაგრამ ესეც დროებითი გამოდგა. კუტუზოვის ადიუტანტმა გენერალმა ერმოლოვმა და გენერალმა ქუთაისოვმა კონტრიერიშზე გადაიყვანეს არტილერისტები და ქვეითები. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი განიცადა და კვლავ უკან დაიხია. ამ იერიშს ქუთაისოვი გმირულად შეეწირა.

10 საათზე ბაგრატიონის წინააღმდეგ ნეი და დავუ მეხუთე იერიშზე გადავიდნენ. ნაპოლეონმა ამ უბანზე ბრძოლაში ჩააბა აგრეთვე ნანსუტის და ლატურ-მობურის საკავალერიო კორპუსები. განმეორდა თითქმის იგივე რაც მეოთხე იერიშის დროს. ფრანგები შეიჭრნენ რუსების პოზიციებში, მაგრამ კონტრიერიშის შედეგად იძულებულნი გახდნენ ისევ უკან დაეხიათ.

მორიგი იერიში რუსების მარცხენა ფლანგზე ფრანგებმა სხვა ხერხით დაიწყეს. დავუს და ნეის ნაწილები ,ისევ პირდაპირ ეკვეთნენ რუსეთის პოზიციებს. ჟიუნოს კორპუსმა კი სამხრეთიდან იწყო შემოვლა, მაგრამ არც ეს მანევრი გამოვიდა. მოგერიებულ იქნა როგორც საფრონტო, ისე საფლანგო იერიშები და ფრანგებმა ისევ უკან დაიხიეს. მათ დაუყოვნებლივ, შესვენების გარეშე იმავე ტაქტიკური ხერხით განახორციელეს მეშვიდე იერიში, მაგრამ ამჯერადაც ვერ მიაღწიეს წარმატებას.

სწორედ ამ დროს კუტუზოვმა ატამან პლატოვს უბრძანა კაზაკთა ცხენოსანი რაზმებით მოეწყო რეიდი მტრის ზურგში და მარცხენა ფრთაზე. პლატოვმა თავისი რაზმებით, რომელშიც 8 ათასი ცხენოსანი და 36 ქვემეხი იყო, ეს რეიდი წარმატებით განახორციელა, შიში და პანიკა შეიტანა მტრის განლაგებაში, აიძულა ნაპოლეონი ზურგისათვის მიეხედა და გაეძლიერებინა მარცხენა ფრთა.

ფრანგები სწორედ ამ დროს ამზადებდნენ მერვე, გადამწყვეტ იერიშს, რომელიც თავისი ძალებით, წინა იერიშებზე გაცილებით ძლიერი იყო. რუსთა პოზიციებს ერთდროულად ურტყამდა მტრის ოთხასი ქვემეხი. ამ ცეცხლის საფარქვეშ

ფრანგების ქვეითები და კავალერია სამი მხრივ — ფრონტიდან და ფლანგებიდან ეკვეთნენ რუსებს.

ბაგრატიონმა გადასწყვიტა მტრისათვის საკუთარ ფლეშებთან არ ელოდნა. მან თავისი ნაწილები გადაიყვანა ფრანგ მოიერიშეების წინააღმდეგ ხიშტით კვეთებაზე. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. თანამედროვეთა გადმოცემით ეს იყო ენით აუწერელი საშინელი სანახაობა. ერთი კილომეტრის სიგანის უბანს ორთავე მხრიდან ურტყამდა შვიდასზე მეტი ქვემეხი. რუსები და ფრანგები ერთიმეორეში იყვნენ არეული და ჟლეტდნენ ერთმანეთს.

სწორედ იმ დროს, როდესაც ბრძოლის ბედი წყდებოდა, მტრის ყუმბარით ფეხში მძიმედ დაიჭრა პეტრე ბაგრატიონი, რომელიც რუსთა გმირული კონტრიერიშის სულსა და გულს წარმოადგენდა. ბაგრატიონმა სცადა დაემალა ჭრილობა, რომ არ შეენელებინა მეომართა საბრძოლო შემართება, მაგრამ მას ძალამ უღალატა და სისხლისაგან თითქმის დაცლილი გაიყვანეს ბრძოლის ველიდან. ბაგრატიონის სიკვდილის ამბავი — ივონებს ბრძოლის მონაწილე ერმოლოვი — ელვისებური სისწრაფით გავრცელდა მთელს პოზიციაზე. ბაგრატიონთან ერთად დაიჭრა მისი შტაბის უფროსი. განწყობილება შეიცვალა. უმეთაუროდ დატოვებული მეომრები შედრკენ, დაიწყო უკანდახევა. ამ ფსიქოლოგიური მომენტით ისარგებლეს ფრანგებმა, რომლებმაც იერიშის ტემპები კიდევ უფრო გააძლიერეს და მოახერხეს რუსთა პოზიციებში შეჭრა. „ამ უბედურმა შემთხვევამ (ბაგრატიონის სასიკვდილოდ დაჭრამ), — აღნიშნავს მ. კუტუზოვი თავის რელიციაში მთელი ჩვენი მარცხენა ფრთის უნარიანი მოქმედება, რაც მოწინააღმდეგეზე უპირატესობას ჰქმნიდა, მოშალა.

ბაგრატიონის ნაცვლად სარდლის პოსტი გენერალმა კონოვნიცინმა დაიკავა. რუსებმა ნახევარი კილომეტრით უკან გადაინაცვლეს. ფრანგები ფლეშებს დაეუფლნენ.

ეს მძიმე დანაკლისი იყო. მაგრამ მას მაინც არ შეეძლო გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა ბრძოლის მთელ ბედ-იღბალზე. მარშალმა ნეიმ და დავუმ ვეღარ განავითარეს იერიშები. მა-

ოი ძალები სისხლისაგან იყო დაცლილი. განუხორციელებელი აღმოჩნდა ჟიუნოს ცდაც — შეეჭრილიყო რუსების საბრძოლო რიგებში და მარცხენა ფრთა გაეთიშა მარჯვენასაგან. რუსების ძლიერმა საპასუხო ცეცხლმა ფრანგ მოიერიშეებს უკან დაახევინა. დავუს და ნეის არაერთგზის თხოვნა ნაპოლეონისადმი — მიეშველებინა რეზერვები, უპასუხოდ რჩებოდა. იმპერატორი ყოყმანობდა, ფრთხილობდა, იგი ვერ ბედავდა სასწორზე დაედო მისი უკანასკნელი იმედის — გვარდიის მდგომარეობა, რადგან რუსების საბრძოლო სულისკვეთება გატეხილი არ ყოფილა და კუტუზოვსაც არა ნაკლები რეზერვები ჰყავდა.

ფრანგების შეტევის მიმართულებამ ახლა ცენტრში, რაევსკის ბატარეის მიმართულებით გადაინაცვლა. კუტუზოვმა ამ უბანს მიაშველა დამხმარე ძალები. რამდენიმე იერიში წარუმატებლად დამთავრდა. 3 საათზე, მესამე იერიშის დროს რაევსკის ბატარეის დასაპყრობად დაიძრნენ მორანის, ჟერარის, ბრუსიეს, მონბრენის, ლატურ-მობურის, ვატეს, კლაპარედის დივიზიები, რომლებიც ფრონტიდან და ფლანგებიდან ეკვეთნენ რუსებს.

ფრანგებმა მოახერხეს ბატარეების პოზიციებში შეეჭრა რუსები ქვემეხებს არ თმობდნენ გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. მთელი უბანი—თხრილები და ბრუსტვერები გვამებით იყო მოფენილი. ფრანგების ნაწილმა მოახერხეს ბატარეების ზურგში გაჭრა, მაგრამ ეს სოლი ლიკვიდირებული იქნა რუსი კავალერისტების მიერ. ახალი ძალის დახმარებით ფრანგებმა შეავიწროვეს ბატარეის დამცველნი. რუსებს პოზიციიდან ფეხი არ მოუცვლიათ. მეომრები თავიანთ ქვემეხებთან დაწვნენ. დიდი მსხვერპლის ფასად 3 საათსა და 30 წუთზე ფრანგებმა ბატარეის უბანი დაიკავეს.

ბრძოლის ბედი ვერც სოფელ სემიონოვსკაიასა და რაევსკის ბატარეის ანუ „ბორცვლიანი სიმაღლის" დაკარგვამ გადასწყვიტა. რუსმა არტილერისტებმა, რომელიც ამ უბნის დასაბრუნებლად მოვიდნენ, დაიკავეს ახალი პოზიცია ბორცვიანი სიმაღლიდან 300—500 ნაბიჯის დაცილებით და ბორცვიან სი-

მაღლეს, სადაც ფრანგები იყვნენ განლაგებული, გაუხსნეს მასირებული ცეცხლი. იმდენად დიდი იყო ამ ცეცხლის ძალა, რომ ფრანგები იძულებულნი შეიქნენ უკან გადაენაცვლებინათ. ბორცვიანი სიმაღლე კი მთლიანად ყუმბარებით გადაიხნა და გაუკაცრიელდა. „ეს მეორე სიმაღლე — წერს ისტორიკოსი ტისო — დაფარულ იქნა ბატარეებით, რომლებიც კარგად მოქმედებდნენ და თავიანთი განუწყვეტელი ცეცხლით ჩვენ ჯარებს (ე. ი. ფრანგებს) ქანცავდნენ, ხელს უშლიდნენ წინსვლას, რომლის განხორციელება ნეის ეწადა“.

წარუმატებლად მიმდინარეობდა ფრანგების იერიშები რუსთა თავდაცვის მარჯვენა ფლანგზე. დღე უკვე მიიწურა. მარშლები ისევ მიუთითებდნენ ნაპოლეონს გვარდიაზე, რომლის ბრძოლაში ჩაბმა მათ აუცილებლად მიაჩნდათ. ფრანგებს, გვარდიის გარეშე, აღარ ყოფნიდათ ძალა წამოეწყოთ ახალი ეფექტური იერიში რომელიმე უბანზე. რუსები კი ისევ მტკიცედ იდგნენ პოზიციაზე, განუწყვეტლად გრიალებდნენ ქვემეხები.

4-5 საათზე მისწყდა საბრძოლო ყიჟინის ხმა. იერიშები დამთავრდა. მიურატი ისევ მოითხოვდა რეზერვებს და ახალ იერიშს ამზადებდა, მაგრამ ნაპოლეონის მარშლები ბესიერი, ბერტიე და სხვები წინააღმდეგი იყვნენ. ისინი, შენიშნავს სეგიური თავის მოგონებაში, მიურატს მიუთითებდნენ იმ მანძილზე, რომელიც ნაპოლეონსა და ევროპას შუა იყო გაჭიმული, იმ სიმტკიცეზე, რასაც რუსები თავდაცვაში იჩენდნენ და ამჯობინებდნენ ბრძოლის შეწყვეტას.

ამრიგად, ნაპოლეონი იძულებული გახდა 4-5 საათზე შეეწყვიტა ბრძოლა, შეეწყვიტა თავისი იერიშები. ბრძოლის ველი არტილერიას დარჩა. 4 საათს შემდეგ დაღამებამდე ორთავე მხრიდან ისმოდა მხოლოდ ქვემეხების ქუხილი.

ბოროდინოს ბრძოლა 1812 წლის სამამულო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლამ გადაწყვიტა მთელი კამპანიის

ბედი. ეს იყო გარდამტეხი ეტაპი როგორც რუსეთის, ისე საფრანგეთის არმიის მთელ საბრძოლო ცხოვრებაში.

ბოროდინოზე ბევრია დაწერილი. მრავალფეროვანია ისტორიკოსთა თვალსაზრისიც. ნაციონალისტურად განწყობილი ფრანგი ისტორიკოსები ამ ბრძოლაში გამარჯვებას ნაპოლეონს მიაწერდნენ. მაგალითად, ლავისისა და რამბოს რედაქციით გამოქვეყნებულ ისტორიულ ნარკვევში, რომელიც ევროპის XIX საუკუნეს შეეხება, აღნიშნულია რომ ბოროდინოსთან დამარცხებისაგან „მხოლოდ ღამემ იხსნა რუსეთის არმია".[1] ბოროდინოს ბრძოლის მნიშვნელობა სწორად ვერ შეაფასა მრავალმა რუსმა ისტორიკოსმა. მხოლოდ საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ შესძლო ღრმად შეესწავლა, გაეანალიზებინა ბოროდინოს ბრძოლა და შეეფასებინა ის როლი, რომელიც ამ ბრძოლამ ომში ითამაშა. ბევრ ისტორიკოსს ბოროდინოს ბრძოლის მნიშვნელობა მოსკოვის დაცვამდე დაჰყავდათ, და რადგან ბოროდინოს შემდეგ რუსეთის არმიის უკანდახევა არ შეწყვეტილა და ფრანგები მოსკოვში აღმოჩნდნენ, ისეთ დასკვნას აკეთებდნენ, რომ ბრძოლა რუსებმა წააგესო.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა ღრმად შემცდარია. ბოროდინოს ბრძოლის ნამდვილი შეფასება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მის როლს განვსაზღვრავთ იმ სტრატეგიულ გეგმასთან შეფარდებით, რომელიც თითოეულ მხარეს ჰქონდა.

გავიხსენოთ ნაპოლეონის სტრატეგიული გეგმა: ეს გეგმა ითვალისწინებდა ელვისებური სისწრაფით თავდასხმას რუსეთზე, არმიის სრულ განადგურებას პირველსავე გენერალურ ბრძოლაში და რუსეთისათვის მძიმე საზავო პირობების თავზე მოხვევას. ნაპოლეონი რუსეთში შემოჭრის პირველსავე დღიდან ეძებდა გენერალურ ბრძოლას. ამაზე ოცნებობდა იგი ვილნოში, ვიტებსკთან, სმოლენსკთან და როცა ბოროდინოს ველზე მიეცა ასეთი შესაძლებლობა, მან ომის მთელი ბედი ამ ბრძოლას დააკისრა. ამ ბრძოლის მოგებით

---

[1] История XIX века, под редакцией професоров Лависса и Рамбо, том 2, Москва, 1938, გვ. 264.

ელოდა მოსკოვის გასაღებს, თბილ ბინებს, მისთვის ხელსაყრელ ზავს და სამშობლოში გამარჯვებულ დაბრუნებას.

რა მისცა ბოროდინოს ბრძოლამ ნაპოლეონს? ამ ბრძოლაში დაჰკარგა მან თავისი არმიის თითქმის ნახევარი. მის საბრძოლო რიგებს გამოაკლდა 58.000 მოკლული და დაჭრილი, მათ შორის 47 გენერალი. არმია მოიქანცა, სისხლისაგან დაიწრიტა, მისი რწმენა იოლი წარმატებებისა შეირყა, მისი მორალური სულისკვეთება დაეცა. ნაპოლეონმა ამ ბრძოლაში ვერც რუსეთის არმია გაანადგურა, ვერც მისთვის სასურველი ზავი მიიღო. ომის შემდგომი ბედი გაურკვეველი დარჩა, უკან 800 ლიეს მანძილზე, ისევ მშფოთვარე ევროპა იდგა, რომელიც ნაპოლეონის იოლ გამარჯვებას მიჩვეული, ახლა უკვე ყრუდ ბობოქრობდა, წინ კი ისევ და ისევ შეუმუსვრელი, რეზერვებით ულევი რუსეთის არმია და სახიფათო გზა, ამ ვრცელ და მკაცრ კლიმატიანი ქვეყნის სიღრმეში. თვით ნაპოლეონი ასე აფასებდა ბოროდინოს: „ყველა იმ ბრძოლათაგან, რომელიც მე გამიმართავს, ყველაზე საშინელია მოსკოვთან ბრძოლა. ფრანგებმა აქ გვიჩვენეს, რომ ღირსნი არიან გამარჯვებისა, ხოლო რუსებმა მოიპოვეს უფლება იყვნენ უძლეველნი... ჩემს მიერ ჩატარებული 50 ბრძოლიდან, მოსკოვთან ბრძოლაში გამოვლინდა ყველაზე მეტი სიმამაცე და მოპოვებულ იქნა ყველაზე ნაკლები წარმატება“.

სულ სხვა როლი შეასრულა ბოროდინომ რუსეთის არმიის სარდლობის სტრატეგიულ ჯაჭვში.

კუტუზოვი ერთ ბრძოლაში ნაპოლეონის არმიის სრულ განადგურებას არ ფიქრობდა, ბოროდინოს ბრძოლის დანიშნულებას მხოლოდ ამით არ განსაზღვრავდა. მას მშვენივრად ესმოდა ამ ომის ხასიათი. იცოდა, რომ რუსეთის ძალები მხოლოდ იწყებდნენ მხრების გაშლას და ომის ბედი საბოლოოდ დამოკიდებული იყო რეზერვებზე, რომელიც მას გაცილებით მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაპოლეონს.

მიუხედავად ამისა, მტერთან გენერალური ბრძოლის გამართვა მოსკოვამდე აუცილებელი იყო. იგი აუცილებელი იყო არმიის მორალური სულისკვეთების ასამაღლებლად, რომე-

ლიც კამპანიის პირველი დღიდანვე უკან იხევდა და ამ განუწყვეტელ უკანდახევისას საკუთარი შესაძლებლობის რწმენას ჰკარგავდა. შეუძლებელი იყო მტრის შეშვება რუსეთის გულში — მოსკოვში გენერალური ბრძოლის გარეშე. მოსკოვის უბრძოლველად დატოვებას არა მარტო რუს ხალხში, არამედ მთელს ევროპაში ქვეყნისათვის მეტად საზიანო რეზონანსი ექნებოდა.

მაგრამ მთავარი მაინც მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის მოქანცვა, მისი სისხლისაგან დაწრეტა, მისი ძლიერების ხერხემლის გადამტვრევა იყო. მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი კონტრშეტევაზე გადასვლა, მოსკოვის მისადგომების გამაგრება, მტრის დადევნება და მისი განდევნა სამშობლოს საზღვრებიდან, ან ქვეყნის შიგნით სრული განადგურება. ბოროდინოს გარდატეხა უნდა მოეხდინა ომის მსვლელობაში. თავდაცვითი ომიდან იგი შემტევ ომად უნდა გადაექცია.

კუტუზოვის ეს მიზანდასახულებანი ბოროდინოს ბრძოლამ გაამართლა. რუსეთის არმიამ პირისპირ იხილა მტერი, რომლის უძლეველობის მითი შიშის ზარს სცემდა მთელ ევროპას. პირისპირ შეჯახებისას რუსეთის ძალებმა გაუძლეს ნაპოლეონის ჭარბ ძალებს, მიაყენეს მას საშინელი ზარალი, ამავე დროს შეინარჩუნეს პოზიცია. რუსეთის არმიის დანაკლისი მცირე იყო ნაპოლეონის დანაკლისთან შედარებით, მისი სულისკვეთება კი აწეული, გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე ამ ბრძოლამდე.

სამამულო ომის დოკუმენტებიდან მტკიცდება, რომ კუტუზოვი მეორე დღესვე ფიქრობდა კონტრშეტევაზე გადასვლას, რომ მოჟაისკთან თავისი ძალები მან სწორედ ამ მიზნით განალაგა, მაგრამ კონტრშეტევაზე მან უარი სთქვა იმიტომ, რომ არ გამართლდა ის დაპირება, რომელიც მეფისა და მოსკოვის გუბერნატორ როსტოპჩინისაგან ჰქონდა მიღებული. თვით კუტუზოვს ბოროდინოს ბრძოლა მის გამარჯვებად მიაჩნდა. მეუღლისადმი წერილში იგი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ მან ეს ბრძოლა მოიგო. ასევე აფასებდნენ ბოროდინოს სხვა რუსი გენერლებიც. გენერალი ერმოლოვი აღფრთოვანე-

ბით წერს თავის მემუარებში იმ ბრწყინვალე წარმატებებზე, რომელიც ბოროდინოსთან რუსეთის არმიამ მოიპოვა. 28 აგვისტოს თავისი ჯარებისადმი ბრძანებაში კუტუზოვი წერდა: „ამჟამად, ვაგემეთ რა უსაშინელესი მარცხი ჩვენს მტერს, ჩვენ მას მივაყენებთ... საბოლოო დარტყმას. ამ მიზნით ჩვენი ჯარები მიემართებიან შესახვედრად ახალ ძალებთან, რომლებიც მოწინააღმდეგესთან შებრძოლების ასეთივე აღტყინებით არიან შეპყრობილი“.

ამრიგად, ბოროდინოს ბრძოლაში გამარჯვება რუსეთის არმიამ მოიპოვა. ამ გამარჯვებას ჰქონდა უდიდესი საშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობა. ამ გამარჯვებამ, რომელმაც საბოლოოდ გაფანტა ნაპოლეონის არმიის უძლეველობის მითი, გარდატეხა შეიტანა ომის მთელ მსვლელობაში რუსეთის არმიის სასარგებლოდ და გარდუვალჰყო ნაპოლეონის დამარცხება. ბოროდინოს შემდეგ გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ნაპოლეონის მიერ დაპყრობილ ხალხთა შორის, ბოროდინომ მთელ ქვეყანას აჩვენა რუსეთის შეიარაღებული ძალების ძლიერება, ხოლო რუს ხალხს, რუსეთის იმპერიის ხალხებს განუმტკიცა რწმენა მის ქვეყანაში შემოჭრილი მტრის განადგურებისა.

ბოროდინოს შემდეგ კუტუზოვმა განაგრძო ნელი უკანდახევა. რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ მას ჰქონდა უტყუარი ცნობები ნაპოლეონის არმიის შევსების შესახებ. ნაპოლეონმა გამოითხოვა სტრატეგიული რეზერვები და მისი შეთხელებული ძალების შესავსებათ მოდიოდნენ ახალი და ახალი ძალები. ასეთსავე ახალ ძალებს მოელოდა კუტუზოვიც. მას ჰქონდა მეფისა და როსტოპჩინის დაპირება. იგი მოსკოვიდან 80 ათას მოლაშქრეს მოელოდა. მაგრამ რეზერვები არ ჩანდნენ და კუტუზოვი იხევდა უკან, ამავე დროს წინასწარ ამზადებდა პოზიციებს ხელახალი გენერალური ბრძოლისათვის მოჟაისკთან, სოფელ მამონოვოსთან, დაბა ფილში და თვით მოსკოვის უახლოეს მისადგომებთან.

კუტუზოვმა შევსება ვერ მიიღო. ამავე დროს პოზიცია გენერალური ბრძოლისათვის, რომელიც შტაბის უფროსმა ბე-

ნიგსენმა და პოლკოვნიკმა ტოლმა შეარჩიეს, მოუხერხებელი იყო ისეთი საპასუხისმგებლო შეჯახებისათვის, რომელსაც ორი მოწინააღმდეგე არმიის ბედი საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა.

დაბა ფილთან კუტუზოვმა ერთხელ კიდევ დააზუსტა თავისი და მოწინააღმდეგის ძალები, გაითვალისწინა ყველა ის შედეგები, რაც ნაპოლეონთან შეჯახებას შეიძლება მოჰყოლოდა. დამხმარე ძალები არსაიდან არ სჩანდა. ქალაქში უკვე პანიკა იყო. ახლა საჭირო იყო მთელი ვითარების უფრთხილესი ანალიზი და ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რაც სამშობლოს მძიმე განსაცდელისაგან დაიხსნიდა.

1 სექტემბერს დაბა ფილში, გლეხ ანდრია სევასტიანოვის ქოხში, კუტუზოვმა შეჰკრიბა თავისი გენერალიტეტი. თათბირს ესწრებოდნენ ბარკლაი დე ტოლი, დოხტუროვი, პლატოვი, უვაროვი, ოსტერმანი, კონოვნიცინი, ტოლი, ერმოლოვი, ლანსკოი, ბენიგსენი. ამ სახელმოხვეჭილთა შორის არ იყო ორი გენერალი: ბაგრატიონი, რომელიც მძიმე ჭრილობას იშუშებდა მოსკოვის მახლობლად და მამაცი მილორადოვიჩი, რომელიც ფრანგების ავანგარდს უმკლავდებოდა თავისი საარიერგარდო ძალებით. თათბირის წინაშე კუტუზოვმა განსახილველად დააყენა უმნიშვნელოვანესი საკითხი: „არმია რუსეთის ხსნაა — ამბობდა იგი ამ თათბირის დაწყებისას — ხელსაყრელია თუ არა გავწიოთ რისკი არმიისა და მოსკოვის დაკარგვისა გენერალური ბრძოლის გამართვით, თუ ჩავაბაროთ მოსკოვი უბრძოლველად? აი რა საკითხის გარშემო მსურს ვიცოდე თქვენი შეხედულება".

თათბირზე აზრთა მკაცრ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი. ბენიგსენი მოსკოვის დატოვებას უგუნურებად აცხადებდა და წინადადებას იძლეოდა რუსეთის არმია განლაგებულიყო გენერალური ბრძოლისათვის მის მიერ შერჩეულ პოზიციაზე. პოლკოვნიკი ტოლი ასევე საჭიროდ თვლიდა მოწინააღმდეგისათვის გზის გადაღობვას და იძლეოდა ჯარების მოსკოვთან დისპოზიციის ახალ გეგმას.

დამსწრეთაგან ბევრი აგრეთვე დიდ უბედურებად თვლიდა

მოსკოვის დატოვებას, ანგარიშს არ უწევდა იმას, თუ რა საშიშროების წინაშე იდგა გენერალური ბრძოლის შემთხვევაში არა თუ მოსკოვის, არამედ მთელი არმიის ბედი.

მეტისმეტად მძიმე იყო ამ თათბირზე კუტუზოვის მდგომარეობა. ბენიგსენი და ზოგი სხვა მისი დამქაში უკვე ავრცელებდნენ ჭორებს მთავარსარდლის უნებისყოფობის, მშიშროების შესახებ. მაგრამ კუტუზოვისათვის — იზმაილისა და რუშჩუკის გმირისათვის უნებისყოფობისა და სიმხდალის დაბრალებას არ ჰქონდა არავითარი საფუძველი, გარდა შურისა და გაბოროტებისა. კუტუზოვს ამ თათბირზე, როგორც აკად. ე. ტარლე შენიშნავს, იმ სიტყვებისთვის, რომელიც მან თათბირის დასასრულს წარმოთქვა, გაცილებით მეტი ვაჟკაცობა სჭირდებოდა, ვიდრე იზმაილთან, როცა იგი ცეცხლქვეშ იერიშზე პოლკებს მიუძღოდა. ამ თათბირზე ყველაზე მეტად გამოჩნდა მისი ნებისყოფის სიმტკიცე. იგი წავიდა სასახლის, გენერალიტეტის, არმიის სურვილის წინააღმდეგ და მარტო თავის თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედისათვის. ასე იმიტომ მოიქცა, რომ თავისი სტრატეგიული გეგმის წარმატების რწმენა ჰქონდა: „...თქვენ გეშინიათ მოსკოვიდან უკანდახევისა — მიმართავდა იგი გენერლებს, — მაგრამ მე წინასწარ ვჭრეტ ამაში არმიის ხსნას. ნაპოლეონი გრიგალისებური ნიაღვარია, რომლის შეჩერება ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია. მოსკოვი ის ღრუბელია, რომელიც მას შეიწოვს“.

საბოლოოდ საკითხი კუტუზოვის მითითებამ გადაწყვიტა თათბირზე მისი განზრახულების საპირისპიროდ ღირსშესანიშნავი ვერაფერი სთქვეს გენერლებმა. იგი ურყევად დარჩა თავის გადაწყვეტილების ერთგული — დაეტოვებინა მოსკოვი, თუმცა შესანიშნავად ესმოდა რა დიდ პასუხისმგებლობას იღებდა თავის თავზე მთელი რუსეთის წინაშე. „მოსკოვის დაკარგვით — განაცხადა მან დასკვნით სიტყვაში — რუსეთი დაკარგული კიდევ არ არის. ჩემს პირველ მოვალეობად ვთვლი არმიის შენარჩუნებას, იმ ჯარებთან დაახლოებას, რომლებიც მის გასამაგრებლად მოდიან, თვით მოსკოვის დატოვებით მტერს ჩვენ ვუმზადებთ გარდუვალ დაღუპვას. მე განზრახული მაქვს მოს-

კოვის დატოვების შემდეგ დავიხიო რიაზანის გზით. ვიცი, რომ პასუხისმგებლობა მე მეკისრება, მაგრამ ჩემ თავს ვწირავ სამშობლოს ხსნისთვის. გიბრძანებთ უკანდახევას".

ასე შეიძლება მხოლოდ ის ადამიანი მოქცეულიყო, რომელიც ურყევად იყო დარწმუნებული თავისი სტრატეგიული ჩანაფიქრის სისწორესა და მისი წარმატების აუცილებლობაში.

ამრიგად, ბრძანება მოსკოვის დატოვების შესახებ გაცემულ იქნა. ეს ხმა სწრაფად დაირხა ქალაქში. მოსკოვის მცხოვრებლებმა იწყეს გახიზვნა ქალაქიდან. ერთი დღის განმავლობაში მოსკოვი თითქმის დაცარიელდა, დარჩნენ უცხოელები, მოხეტიალენი, ზოგიერთი მდიდარი აზნაურის შინამოსამსახურენი ბატონის ქონების დასაცავად და სხვ. მოსკოვში დარჩენილთა რიცხვი როსტოპჩინის მოწმობით 10.000-ს არ აღემატებოდა.

ნაპოლეონი მოსკოვში

ნაპოლეონის არმია ნელა და ფრთხილად მიიწევდა წინ მოსკოვისაკენ. იგი ქალაქის კედლებთან ისევ ელოდა გენერალურ ბრძოლას, მაგრამ მზვერავებმა მოახსენეს რუსეთის არმიის უკანდახევის შესახებ.

2 სექტემბერს შუადღისას ნაპოლეონი პაკლონნაია გორასთან იყო. აქედან მოსჩანდა მთელი ქალაქი, კრემლის მოოქროვილი გუმბათები — „დაბოლოს აი, ეს სახელგანთქმული ქალაქი" — აღმოხდა ნაპოლეონს მოსკოვის დანახვისას. მოსკოვისაკენ ნაპოლეონის მთელი არმია განსაკუთრებული სიხარულით მოისწრაფოდა. ამ ქალაქთან იყო დაკავშირებული მათი აზრით თბილი ბინები, დასვენება, ომის დამთავრება, შინ დაბრუნება.

„ყველა უწესრიგოდ, სწრაფად მირბოდა, — იგონებს სეგიური — და მთელი არმია, ტაშისცემით, აღტაცებით იმეორებდა „მოსკოვი! მოსკოვი!" ფრანგების აღტაცებას არ ჰქონდა საზღვარი. მათგან ზოგიერთი მოსკოვის დანახვისას იგონებდა ბავშვობისას გაგონილ აღმოსავლურ ზღაპარს „ათასერთი ღამის შესახებ", ზოგიერთიც ტასსოს იმეორებდნენ და თავისი თავი წარმოედგინათ ჯვაროსნებად იერუსალიმის წინ".

ნაპოლეონი, აღტაცებული გამარჯვების სასიამოვნო გრძნობებითა და მოსკოვის გრანდიოზულობით, პაკლონნაია გორასთან ელოდა ქალაქის უხუცეს ბოიართა ჯგუფს, რომელიც მას პურმარილს და ქალაქის გასაღებს მიართმევდა.

ეს ლოდინი ამაო იყო. ნაპოლეონმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, როცა ნას კარიერის მოყვარე ერთგულმა ოფიცერმა წარუდგინა 5-6 მაწანწალა, როგორც დელეგაცია. სწორედ ამ დროს მოახსენეს იმპერატორს, რომ ქალაქი ცარიელიაო.

რუსეთის არმიამ მოსკოვიდან რიაზანისა და ვლადიმირის გზით დაიხია. ამ გზითვე მისდევდა არმიას ქალაქიდან გახიზნული მცხოვრებლები.

ფრანგები სამ კოლონად მოემართებოდნენ მოსკოვში: ვორობიევის მთიდან, ტვერის კარიბჭიდან, დრაგომილოვკის ხიდიდან. ისინი საზეიმოდ, მუსიკითა და დოლების ბრახუნით შედიოდნენ მათთვის აღთქმულ ქალაქში.

ქალაქის მკვდრული სიცარიელე ნაპოლეონს ცუდად ენიშნა; მეტად მძიმე გავლენას ახდენდა იგი მამაც ფრანგ მარშლებზე, ოფიცრებზე. ნაპოლეონი გამარჯვებული შესულა მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში — და იგი პირველად ხედავდა ასეთ მუნჯ, მაგრამ შემაზრზენ შეხვედრას, „ეს იყო საშინელებით აღსავსე სიჩუმე“ — შენიშნავს სეგიური.

2 სექტემბრის ღამე იმპერატორმა დოროგომილოვის კარიბჭესთან მიკიტნის სახლში გაათია. მან ვერ გაბედა პირდაპირ შესულიყო კრემლში, რადგან ამ ციხე-სიმაგრიდან უცნობი პატრიოტები თოფებს ესროდნენ ქალაქში შეპრილ დამპყრობლებს. ფრანგები მოედვნენ მოსკოვს, დაიკავეს მისი ცენტრი და შეუდგნენ უპატრონოდ დარჩენილი შენობების ძარცვას.

2 სექტემბერს, ფრანგების მოსკოვში შესვლის დღესვე ქალაქში დაიწყო ხანძარი. იგი გაჩნდა ქალაქის ცენტრში, სწორედ იმ ადგილებში, სადაც ფრანგები დაბანაკდნენ და 2 დღის შემდეგ მთელ მოსკოვს მოედო. სწორედ ამ დღეებში მძვინვარებდა ძლიერი ქარი, რომელსაც ცეცხლი ერთი ადგილიდან

მეორეზე გადაჰქონდა. ხანძარი შეიპრა კრემლშიც, სადაც იმპერატორი ცხოვრობდა. მხოლოდ 5 სექტემბერს ღამით ქარი ჩადგა, 7 სექტემბერს გაწვიმდა და ჩაქრა ხანძრის უკანასკნელი კერები. მოსკოვი გადაიწვა მთლიანად. მისი 9158 სახლიდან 6532 მთლიანად დაიწვა.

მოსკოვის ხანძარი ამ ომის ერთერთი ყველაზე შემაზრზენი ეპიზოდია. აურაცხელი იყო ხანძრით გამოწვეული ზარალი, რაც ფრანგ მაროდიორებს გადაურჩა, ცეცხლის ზღვამ შთანთქა. „მოსკოვი — მსოფლიოს ეს ულამაზესი და უმდიდრესი ქალაქი ამიერიდან აღარ არსებობს — თითქოს ციინიკურად აცხადებდა ამ ხანძრის შესახებ ნაპოლეონის ბიულეტენი. მოსკოვის ხანძარმა გააკვირვა და აღაშფოთა მთელი მსოფლიო. მასზე წერდნენ იმ ხანებში მსოფლიოს ყველა გაზეთები.

მოსკოვის ხანძრის შემდეგ ფრანგულმა ისტორიოგრაფიამ ყალბი ვერსია შექმნა. ნაპოლეონს და საფრანგეთის პრესტიჟს ის სჭიროდა, რომ ამ დიდებული ქალაქის დაწვის დანაშაული თავიდან აეცდინა.

ფრანგებმა გაავრცელეს ხმა იმის შესახებ, რომ ქალაქი კუტუზოვის ბრძანებით განგებ დასწვეს მოსკოველებმა, რათა ფრანგებისათვის თბილი ბინა და სურსათის მარაგი მოესპოთ, რომ საკუთარი ქალაქის დაწვა ესეც იყო ომის რაღაც, „სკვითური" თავისებურება.

საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ახალი ფაქტები და დოკუმენტები გამონახა ამ ვერსიის წინააღმდეგ და მიუთითა, რომ მოსკოვში ხანძარი ძირითადად ფრანგებმა გააჩინეს.

ხანძრის პირველი კერები მოსკოვში გაჩნდა წითელ მოედანზე, კიტაიგოროდში, ნიკოლსკისთან, ვარვარკაზე. ესე იგი იქ, სადაც ფრანგი ჯარისკაცები დაბანაკდნენ.

ხანძარი ფრანგი მაროდიორებისათვის ქალაქის ძარცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. ცეცხლის წაკიდების დროს, ან მისი „ჩაქრობის" ცდის ქვეშ მაროდიორები ამტვრევდნენ კლიტეებს, იჭრებოდნენ ბინებში, ძარცვავდნენ განძეულობას, იტაცებდნენ ყოველივეს, რაც ხელში ხვდებოდათ. მოსკოვის ფრანგების მიერ გადაწვის შესახებ არსებობს

თანამედროვეთა მრავალი მოწმობა. სააღმზრდელო სახლის ინსპექტორი ი. ვ. ტუტოლმინი, რომელიც მოსკოვში დარჩა და მეთვალყურე იყო ფრანგების ქცევისა, შემდეგს აღნიშნავს: „4 სექტემბერს იყო ყველაზე უსასტიკესი ხანძარი, რომლის საშინელებათა შესახებ არ შემიძლია... სრულად ვილაპარაკო: მთელი ქალაქი ალში იყო გახვეული; იწვოდა ტაძრები, ფერფლად იქცეოდნენ უმშვენიერესი სასახლეები და შენობები; მამები და დედები ალში ეხვეოდნენ, რომ ეხსნათ დასაღუპავად განწირული შვილები... სააღმზრდელო სახლი უდიდესი საშიშროების ქვეშ იმყოფებოდა, რადგანაც ალით იყო გარშემორტყმული... როცა მე ხელქვეითებით და სახანძრო მილით ვცდილობდი ცეცხლი ჩამექრო, ფრანგი წამკიდებლები სხვა მხრიდან ხელახლად უკიდებდნენ ცეცხლს; ვინაიდან ფრანგი ცეცხლის გამჩაღებლები სახლის ახლო მოძრაობას არ წყვეტდნენ, მე დავაწესე ჩემი ხელქვეითების განუწყვეტელი, დღითა და ღამით მორიგეობა. ისინი უვლიდნენ შენობას და მზად ჰქონდათ წყალი. ასეთი ღონისძიებით ვიხსენი მე სახლი ცეცხლისაგანო“.[1]

მარკიზი ლორისტონი, რომელიც კუტუზოვს ეწვია ბანაკში იმ მიზნით, რომ საზავო მოლაპარაკებისათვის მიეღწია, მთავარსარდალთან საუბარში მოსკოვის ხანძარს რუსებს აბრალებდა. ამაზე კუტუზოვმა შემდეგი უპასუხა:

„რაც შეეხება მოსკოვის ხანძარს, მე საკმაოდ მოხუცი, გამოცდილი ვარ, ვსარგებლობ რუსი ხალხის ნდობით და ამიტომ ვიცი, თუ რა ხდება მოსკოვში თითოეულ დღეს, თითოეულ საათში. მე თვით ვუბრძანე საწყობების დაწვა, მაგრამ ფრანგების შემოსვლისთანავე რუსებმა თვით გაანადგურეს მხოლოდ კარეტების რიგი და კარეტების ურთიერთშორის გაყოფა დაიწყეს. მცხოვრებთაგან ხანძრის გაჩენის შემთხვევა ძალიან ცოტა იყო. თქვენ დაანგრიეთ ქალაქი თქვენებური მეთოდით! ხანძრისთვის წინასწარ საზღვრავდით დღეებს და ჰყოფდით ქალაქის უბნებს, რომელთათვისაც განსაზღვრულ

---

[1] История Москвы, том III, გვ. 107.

საათში ცეცხლი უნდა წაგეკიდებინათ. მე ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მაქვს. იმის საბუთად, რომ მოსკოვი მის მცხოვრებთ არ დაუნგრევიათ, საკმარისია ისიც, რომ თქვენ ხანძრის პერიოდში ზარბაზნებით ანგრევდით სახლებს და შენობებს, რომლებიც მეტად მაგარი იყო. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ სამაგიეროს გადაგიხდით".[1]

ზოგიერთ პუნქტში ხანძარი უბრალო გაუფრთხილებლობის შედეგად ჩნდებოდა. ადგილობრივი მცხოვრებლების მხრივ წინააღმდეგობას მოკლებული ჯარისკაცები ყოველგვარი სიფრთხილის დაუცველად აჩაღებდნენ კოცონებს, კერძის მოსახარშად ცეცხლს შენობებში ანთებდნენ, თვრებოდნენ, შენობის მიტოვებისას არ აქრობდნენ, ცხადია ასეთ ვითარებაში ხანძარი ადვილი მოსალოდნელი იყო, მით უმეტეს, რომ ძლიერი ქარი მის გაღვივებას და ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას ყოველმხრივ ხელს უწყობდა.

ჩვენ ადრევე მივუთითებდით, რომ ეროვნულად ჭრელ „დიდ არმიას" ჯერ კიდევ კამპანიის დასაწყისში არ გააჩნდა ომის ენთუზიაზმი, მათ იძულებით მოერეკებოდნენ რუსეთში. ერთადერთი ინტერესი, რაც ჯარისკაცთა უმეტესობას შეიძლებოდა ჰქონოდა მისთვის ამ უცხო და შორეულ ქვეყანაში, ეს იყო პირადი გამდიდრება.

ნაპოლეონის ჯარისკაცებს ეგონათ რომ მოსკოვი მათ თბილ ბინებს მისცემდა, ომის დამთავრებას გადაწყვეტდა და ისინი დიდებამოსილნი და გამდიდრებულნი დაბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყანაში. არცერთი ეს დაპირება არ გამართლდა. ბინები თვით გადაწვეს ფრანგებმა, ხოლო ზავი, რომელიც ამ საშინელ მომქანცველ ლაშქრობას ბოლოს მოუღებდა, არ ჩანდა. ამრიგად, არმიის შემადგენლობაში მთლიანად ჩაქრა ომის მიზნებთან დაკავშირებული ენთუზიაზმი, სანუკვარი ოცნებებიდან ისინი მწარე სინამდვილეში აღმოჩნდნენ.

მოსკოვში შეჭრის პირველსავე დღიდან, განსაკუთრებით ხანძრის პერიოდში, დისციპლინა არმიაში სავსებით მოიშალა. ჯარისკაცები აღარ უგდებდნენ ყურს უფროსებს, მთელ დღე-

[1] История Москвы, том III, გვ. 107.

ებს ნადავლის ძიებაში ატარებდნენ, იჭრებოდნენ ბინებში და აგროვებდნენ ძვირფას ნივთებს და ტანსაცმელს წასაღებად, ურთიერთ შორის ვაჭრობდნენ ნაძარცვი ქონებით.

გაბოროტებულები, ისინი აგრეთვე ამსხვრევდნენ, აფუჭებდნენ რის წაღებაც თან არ შეეძლოთ. ცეზარ ლოჟიე თავის მოგონებაში მოსკოვში ფრანგ ჯარისკაცთა ქცევაზე აღნიშნავს: „ირგვლივ, უმშვენიერეს სკამებზე, აბრეშუმგადაფარებულ დივანზე სხედან ჭუჭყიანი და კვამლისაგან გაშავებული ოფიცრები და ჯარისკაცები. ბიწაზე, ტალახში აქა-იქ მიმოფანტულია ქიშმირის შალი, ძვირფასი ციმბირის ბეწვეული, ირანულ ფარჩა“.

სერჟანტი ბურგანი ასევე გვიხატავს თავისი პოლკის სურათს: „მე მეგონა რომ ჩემს ირგვლივ ვხედავდი ქვეყნის სხვადასხვა ტომის ადამიანთა კრებულს, — ჩვენი ჯარისკაცები ჩაცმული იყვნენ ვინ კალმიკურად, ვინ კაზაკურად, ვინ თათრულად, სპარსულად ან თურქულად, ხოლო ზოგიერთნი თავს იწონებდნენ მდიდრული ბეწვეულით. ზოგიერთი გამოწყობილი იყო სასახლის კოსტუმში ფრანგული გემოვნებით, გვერდზე ხმლებითა და ალმასივით ბრწყინვალე სახელურებით. ამასთან, მთელი მოედანი გატენილი იყო ტკბილეულით — რა გინდა სულო და გულო — დიდი რაოდენობის ღვინოებით, ლიქიორებით; იყო ახალი ხორცის მცირე მარაგი, ვიჩინა და მსხვილი თევზეული, ცოტაოდენი ფქვილი, — პური კი არ ყოფილა“.

ეს იყო პირველ დღეებში, როცა ჯარისკაცებს საწყობებიდან და ბინებიდან გამოქონდათ ქალაქში მიტოვებული მარაგი, მაგრამ შემდეგ როცა ყველაფერი ეს შეისვა და შეიჭამა, ჯარისკაცებში შიმშილობამ იჩინა თავი. ამასთან დაკავშირებით გაფართოვდა ძარცვა-გლეჯა, მაროდიორობა, კიდევ უფრო მოიშალა დისციპლინა, ბევრმა მეომარმა სავსებით დაჰკარგა მხედრული სახე.

მაროდიორები განსაკუთრებით ეტანებოდნენ ეკლესია-მონასტრებს, იცოდნენ რა რომ მათში ოქრო-ვერცხლი იქნე-

ბოდა შენახული. ეკლესიების ძარცვა-გლეჯას თან ახლდა მომსახურე პერსონალის შეურაცხყოფა.

ძარცვავდნენ არა მარტო რიგითი ჯარისკაცები. ამ მხრივ მათ არ ჩამორჩებოდნენ უმცროსი და საშუალო ოფიცრობა. ოქროსა და სხვა ძვირფასეულს ხარბად აგროვებდნენ ნაპოლეონის მარშლებიც.

აუტანელ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ მოსკოვში დარჩენილნი. ფრანგებმა საშინელი რეპრესიები დააწესეს. მოსახლეობამ ხანძრის შედეგად დაჰკარგეს ბინა, სურსათის მარაგი. ისინი სიკვდილისათვის განწირული აღმოჩნდნენ.

გაბოროტებული მცხოვრებნი ფრანგ მაროდიორებს შესაძლებლობის პირობებში სასტიკად უსწორებდნენ ანგარიშს. ომის მონაწილე ფრანგი მემუარისტები მოგვითხრობენ მრავალ შემთხვევას ფრანგ ჯარისკაცებზე მოსკოველთა თავდასხმისა, სადაც კი წამოეწეოდნენ თითოობლივ ჯარისკაცს, მოსკოველები ან ქვით უხეთქავდნენ თავს, ან ახრჩობდნენ.

მოსახლეობის ასეთი წინააღმდეგობის ვითარებაში ყოველგვარ საზღვარს მოკლებული იყო ფრანგების გააფთრება. ისინიც, თავის მხრივ სადაც კი მოსკოველებს დაინახავდნენ ჰკლავდნენ, ან აკეთებინებდნენ ყველაზე მძიმე სამუშაოს, ბდიდნენ ტანსაცმელს, ხელიდან აცლიდნენ უკანასკნელ პურს.

რაც დრო მიდიოდა, ვითარება უფრო დაძაბული ხდებოდა, არმიის ხრწნა იღებდა საშინელ ხასიათს, ეცემოდა მისი სულისკვეთება. ნაპოლეონი ყოველივე ამას ხედავდა, ამიტომ ეჩქარებოდა მას ზავი, ეჩქარებოდა მოსკოვის მიტოვება.

ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რეზერვებს იკრებდა და მტკიცდებოდა არა მარტო რეგულარული არმია, არამედ თავის ძალაში შედიოდა უდიდესი მასშტაბის სახალხო ომი, რომელმაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ უდიდესი როლი შეასრულა მტრის საბოლოო განადგურებაში.

ომის საყოველთაო სახალხო ხასიათი. პარტიზანული მოძრაობა.

რუსეთში შემოჭრილი ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ ომმა იმთავითვე მიიღო საყოველთაო სახალხო ხასიათი. რუსეთის მშრომელი მოსახლეობა აღსდგა თავისი ქვეყნის, ოჯახის, ეროვნული თავისუფლების დასაცავად იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც მას წალეკვას, დამონებას უპირებდა.

რუსეთის არმიის მხედართმთავარი მ. კუტუზოვი მარკიზ ლორისტონთან საუბარში შესანიშნავად აფასებდა ამ ომის ხასიათს რუსი ხალხისთვის და ლორისტონს, მისი პროტესტის მიუხედავად, ნათელი საბუთებით უმტკიცებდა, რომ რუსები ნაპოლეონს უყურებენ როგორც უსასტიკეს დამპყრობელს, ჩინგის ხანს და სამკვდრო სასიცოცხლოდ იბრძვიან, რომ ქვეყანა მისგან დაიცვანო.

თავადაზნაურულმა ისტორიოგრაფიამ რუსი ხალხის ასეთი ერთსულოვანი საბრძოლო შემართება იმის საბუთად გამოიყენა, რომ თითქოს რუსეთში არ არსებობდა წოდებათა დაპირისპირება, რომ მეფე და ხალხი ერთიანი მისწრაფებით მოქმედებდნენ და სხვ. და სხვ. ეს არაა მართალი. რუს გლეხს ჭირივით სძულდა თავისი მემამულე აზნაური, მეფე და მისი მოხელეებიც, მაგრამ ამჟამად, როცა საქმე სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ეხებოდა, მან აისხა იარაღი, რადგან ფრანგი დამპყრობლების შემოსევას სწორ შეფასებას აძლევდა, გრძნობდა რომ ნაპოლეონს რუსი ხალხისათვის მოჰქონდა ეროვნული ჩაგვრა-დამონება.

სახალხო ომი აზვირთდა რუსეთში ნაპოლეონის არმიის შემოჭრისთანავე. ლიტველი და უკრაინელი გლეხობა, სადაც დამპყრობლებმა პირველად შესდგეს ფეხი, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს: გლეხები ჰკლავდნენ ფრანგ მაროდიორებს, რომლებიც იჭრებოდნენ მათ სახლებში, ისინი ადგენდნენ პატარ-პატარა საბრძოლო ჯგუფებს, თავს ესხმოდნენ მოწინააღმდეგის ზურგის ნაწილებს, საბარგულებს, შიკრიკებს და სპობდნენ.

უკრაინაში ომის პირველი დღიდანვე დაიწყო დიდი სახალ-ხო მოძრაობა არმიის, ფრონტის დასახმარებლად. ხალხის მიერ გაღებულ იქნა რამდენიმე მილიონი. მარტო პოლტავის, ჩერ-ნიგოვის, კიევის გუბერნიებმა არმიას შესწირეს 26 ათასი ხა-რი, 10 ათასი ცხენი და საბარგულები. უკრაინის კაზაკთა პოლ-კების აღჭურვისა და შენახვის მთელი ხარჯები მოსახლეობამ იკისრა. როდესაც ავსტრიელი გენერლის, შვარცენბერგის ჯა-რები უკრაინულ გუბერნიებში შეიჭრნენ, ადგილობრივმა მო-სახლეობამ ხელში აიღო იარაღი და დამპყრობლებს სასტიკი ბრძოლა გაუმართა. ეს იყო პირველი გამოვლინება მძლავრი პარტიზანული ომისა, რომელიც თანდათან მძლავრად იჩენდა თავს.

ფრანგ დამპყრობლებს ასევე მტრულად შეხვდა ლატვიის მოსახლეობა. ლატვიელმა თავადაზნაურობამ ადვილად მონახა ენა დამპყრობლებთან და შეეცადა გამოეყენებინა იგი რო-გორც ძალა მოსახლეობის მორჩილებაში მოსაყვანად. ნაპო-ლეონის მოხელეები ლატვიაში გაბატონებულ წრეებს ეყრდნო-ბოდნენ. მშრომელი მასები კი მძლავრ წინააღმდეგობას უწევ-დნენ ფრანგებს. პარტიზანული ჯგუფები შეიქმნენ რაიონებში დაუგავას დასაცავად. ნაპოლეონის მოხელეებს უხდებოდათ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყოლოდათ თავიანთი სამ-ხედრო ნაწილები, რომლებსაც სისტემატურად ესხმოდნენ თავს პარტიზანები.

დამპყრობლების წინააღმდეგ აღსდგა ბელორუსიის გლე-ხობა. ბელორუსიაში ყველგან, სადაც დამპყრობლები შეიჭრ-ნენ, გაიშალა პარტიზანული მოძრაობა. პარტიზანები ასრუ-ლებდნენ მზვერავთა როლს, ეხმარებოდნენ რუსეთის რეგუ-ლარულ არმიას, მოჰყავდათ მოენები, ანგრევდნენ მტრის კომუნიკაციებს. მძლავრი რაზმი ჰყავდა ჩამოყალიბებული გლეხ ტარასი ბორისენკოს, რომელმაც მტერზე მრავალგზის განახორციელა თავდასხმა. მოგილევში ადგილობრივი მოსახ-ლეობა იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ რუსეთის არმიის გვერდით.

საყოველთაო სახალხო ომის გაჩაღება მძიმე დარტყმა იყო

ფრანგებისათვის. ეს იყო შურისძიებით აღსავსე ადამიანთა ულეველი რეზერვი, რომელიც აორკეცებდა რუსეთის რეგულარული არმიის ძლიერებას. ნაპოლეონმა იმთავითვე მიიღო ღონისძიებანი საყოველთაო სახალხო ომის წინააღმდეგ, მაგრამ იგი არ ცხრებოდა, პირიქით ძლიერდებოდა. ის ფრანგი ოფიცრები, რომლებსაც ესპანეთი ენახათ, რუს პარტიზანულ რაზმელების შესახებ ამბობდნენ, რომ „ეს რაზმები გაცილებით ძლიერია, ვიდრე ესპანელი გვერილიასები, მიუხედავად იმისა რომ ისინი უფრო ცუდათ შეიარაღებულნი არიანო".

რუსეთის გლეხობა, რომელიც საფრონტო ზოლში მოსახლეობდა, ერთსულოვნად მოქმედებდა რუსეთის არმიასთან, უწევდა არმიის პოლკებს ყოველგვარ დახმარებას, აწვდიდა სურსათს, მონაწილეობდა სიმაგრეთა მშენებლობაში.

ს. გლინკა თავის წერილებში შენიშნავს, რომ გლეხებს გამოაქვთ გამომცხვარი პური, მიერეკებიან ნახირს, ყველა საჭირო საგანს აწვდიან ჩვენს ჯარისკაცებს... სოფლებში უკვე ლაპარაკია ქუდზე კაცის გაწვევაზე, საყოველთაო აჯანყებაზე, სულისკვეთება იღვიძებს, ხალხი ითხოვს, იარაღს, რომ თავისუფლება არ დაკარგოს, მაგრამ სახალხო ომი ერთობ ახალია ჩვენთვის და ვგონებ ეშინიათ კიდეც ამ სახალხო მოძრაობისაო. ერმოლოვი თავის მოგონებებში მიუთითებს მოსახლეობის კეთილშობილურ სურვილებზე — ყველაფრით დაეხმარონ არმიას, მისი გამარჯვებისათვის არ დაიშურონ თვით სიცოცხლეც კი.

ფრონტისპირა სოფლებში გლეხობა თავისი ინიციატივით აგებდა სიმაგრეებს, აწყობდა მტერზე გამუდმებულ თვალთვალს, შეიარაღებული რაზმებით აწარმოებდა ღამის ოპერაციებს და მტერს ზიანს აყენებდა. რიგი სოფლები ნამდვილ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. ცნობილი პარტიზანი, დენის დავიდოვი, თავის დღიურებში წერს: „ის ადგილებიც კი, სადაც მოწინააღმდეგე ჯერ არ შესულიყო, ჩვენ მრავალ დაბრკოლებას გვიქმნიდა. მოსახლეობის საერთო და ნებაყოფლობითი ლაშქარი გზას გვიღობავდა. თითოეულ სოფელში დაკეტილი იყო ჭიშკარი. მასთან თავმოყრილი იყო დიდი და პატარა შეიარა-

ღებული ვინ ორთითებით, ვინ ცულებით და ზოგიერთი მათგანი ცეცხლმსროლელი იარაღითაც კი. თითოეულ სოფელში რომელიმე ჩვენგანი იძულებული იყო მისულიყო და მცხოვრებლებისთვის ეთქვა, რომ ჩვენ რუსები ვართ, რომ ჩვენ მათ დასახმარებლად მოვედით. ხშირად ჩვენ გვპასუხობდნენ ან ზარბაზნის გასროლით, ან ცულის მოღერებით, რომლის დარტყმისაგან რაღაც ბედისწერა გვიხსნიდა. მე შემეძლო შემომევლო ასეთი სოფლებისათვის, მაგრამ მსურდა გამევრცელებინა ხმა, რომ ჯარები ბრუნდებიან და მზად იყვნენ ფრანგებისაგან თავდაცვისათვის, გვაცნობონ მტრის მოახლოება, ამიტომაც იყო რომ თითოეულ სოფელთან დიდხანს გრძელდებოდა მოლაპარაკება, სანამ ქუჩებში გავიდოდით. იქ კი სცენა უეცრად იცვლებოდა, როცა ეპვები გაიფანტებოდა და დარწმუნდებოდნენ რომ ჩვენ რუსები ვართ, ჯარისკაცებისათვის გამოქონდათ პური, ლუდი, ნამცხვარი".

პარტიზანულ ომს ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ ორი წყარო ასაზრდოებდა, რუსეთის რეგულარული არმია და საერთო სახალხო შურისგება.

პარტიზანული ომის მნიშვნელობა კარგად ჰქონდა შეგნებული რუსეთის არმიის სარდალს მ. ი. კუტუზოვს, მის სახელოვან თანამებრძოლ პეტრე ბაგრატიონს. მათი მითითებით მოქმედი არმიიდან იყოფოდნენ სპეციალური რაზმები, რომელთაც სათავეში ყველაზე მამაცები ედგნენ. ამ რაზმებს ისინი ავალებდნენ მტრის ზურგში მოქმედებას — მისი ზურგის, შისი კომუნიკაციების მოშლას, დეზორგანიზაციის შეტანას მტრის რიგებში. ასეთი რაზმები რეგულარული არმიიდან გამოიყო დენის დავიდოვის, დოროხოვის, ფიგნერის და სხვ. ხელმძღვანელობით.

ბაგრატიონის ადიუტანტის პოდპოლკოვნიკ დენის დავიდოვის რაზმმა მტრის ზურგში მოქმედება დაიწყო ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ. კალუგის გზაზე იგი აწყობდა მოულოდნელ თავდასხმებს მტრის მცირე რაზმებზე, ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას, ხშირად იპრებოდა მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში და მას დიდ ზიანს აყენებდა. დავიდოვის რაზმი თანდათან

იზრდებოდა. მას კაზაკთა ორი პოლკი შეუერთდა. მარტო 2 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდე დავიდოვის რაზმმა ტყვედ ჩაიგდო და მთავარ ბანაკს ხელწერილის ქვეშ ჩააბარა დამპყრობელთა 3.500 ჯარისკაცი და 43 შტაბის ოფიცერი.

პარტიზანებს მ. კუტუზოვი თვით აძლევდა ინსტრუქციებს, დავალებებს, სისტემატური კავშირი ჰქონდა მათთან დამყარებული პარტიზან დოროხოვისადმი დარიგებაში კუტუზოვი აღნიშნავდა: „პარტიზანთა მფრინავი რაზმის სვლა უნდა იყოს შეუმჩნეველი, პატარა გზებით. როცა რაზმი რომელიმე სოფელში შევა, იქედან არავინ არ უნდა გაუშვას, რათა რაზმის შესახებ ცნობები არ გაიტანონ. დღისით რაზმი უნდა იმალებოდეს ტყეებში ან ხევ-ხუვებში. პარტიზანი უნდა იყოს მტკიცე, მკვირცხლი, დაუღალავი“.

მოსკოვის დატოვების შემდეგ პარტიზანული რაზმების რიცხვი რეგულარული არმიის ხარჯზე გაიზარდა. კუტუზოვის მიერ შექმნილი ასეთი რაზმები მოქმედებდნენ თითქმის ყველა მიმართულებით. დავიდოვისა — კალუგისა და სმოლენსკის გზაზე; ვადბოლსკისა —მოჟაისკის რაიონში, ვინცინგეროდეს, ფიგნერის, სესლავინის რაზმები — მოსკოვთან, ფონვიზინისა — ბოროვსკთან, კუდაშევისა — სერპუხოვის გზაზე და სხვა.

განსაკუთრებით მძიმე დავალება კუტუზოვისაგან მიცემული ჰქონდა არტილერისტ კაპიტან ფიგნერს, რომელმაც, 28 წლისამ შესანიშნავად, უაქცენტოდ იცოდა ფრანგული, იტალიური, გერმანული, პოლონური, ინგლისური და შესანიშნავი საერთო განათლება ჰქონდა. ფიგნერი გადაცმული შედიოდა ფრანგებით სავსე ქალაქ მოსკოვში, უთვალთვალებდა მტრის ძალებს, მათ განლაგებას. ფრანგებისაგან მან ქალაქში შესასვლელი მუდმივი საშვიც კი მიიღო.

ფიგნერმა იცოდა, როდის გამოდიოდა მოსკოვიდან მახლობელ ადგილებში მცირე რაზმები. მას თავისი პარტიზანული რაზმი ტყეში ჰყავდა დამალული და მტერს ანადგურებდა. ფიგნერს ეკუთვნის მრავალი მამაცური, მხედრული მოხერხებული მხრივ ნამდვილად გასაოცარი ოპერაცია.

არანაკლებ როლს ასრულებდნენ ის პარტიზანული რაზმე-

ბი, რომლებიც სოფლებში, სტიქიურად, თვით გლეხთა ინიციატივით იქმნებოდნენ. ეს რაზმები მოქმედებდნენ ზოგჯერ სრულიად დამოუკიდებლად, ზოგჯერ კუტუზოვის მიერ ორგანიზებულ პარტიზანულ რაზმებთან ერთად. ისინი შესანიშნავად იცნობდნენ რა ადგილმდებარეობას, აწყობდნენ ჩასაფრებას, თავს ესხმოდნენ მტრის ტრანსპორტს, იმ შენობებს, სადაც მოწინააღმდეგის ცალკე ნაწილების შტაბი იყო დაბანაკებული. ნ. მურავიოვი (კარსკი) იგონებს, რომ პარტიზანები გზავნიდნენ მთავარ ბანაკში მრავალ ტყვეს, მათ შორის „ბევრს იქერდნენ გლეხები, რომლებიც იარაღდებოდნენ და ჯგუფებად ესხმოდნენ თავს მოწინააღმდეგის ფურაჟირებს. ისე დღე არ გავიდოდა, რომ მათ არ მოეყვანათ ასეულობით ტყვე მთავარ ბანაკში. სოფლელები არ მოითხოვდნენ სხვა რამე ჯილდოს, გარდა იარაღისა და თოფის წამლისა, რასაც მათ აძლევდნენ მათ მიერ მოწინააღმდეგისათვის წართმეული იარაღების მარაგიდან. ზოგიერთ სოფელში გლეხები თვით ადგენდნენ ლაშქარს და ემორჩილებოდნენ დაჭრილ ჯარისკაცებს, რომლებსაც ისინი თვით იყვანდნენ ბრძოლის ველზე. მათ შექმნეს ცხენოსანი ლაშქარიც, ქმნიდნენ ავანპოსტებს, გზავნიდნენ მზირებს, აწესებდნენ პირობით ნიშნებს განგაშისათვის“.

ასეთი რაზმების შედგენა მასობრივ ხასიათს იღებს მტრის მიერ სმოლენსკის აღების შემდეგ. პარტიზანული ომი ამ დროიდან შედის თავის ძალაში და მტრის ძალების განადგურებაში ერთერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სმოლენსკიდან მოსკოვამდე ფრონტისპირა ზოლში აღმოცენებული გლეხთა პარტიზანული რაზმები. სამუსისა, გერასიმე კურინისა, ჩეტვერტაკოვისა, ვასილისა კოჟინასი და მრ. სხვ. მტრის რისხვად ხდებიან.

გერასიმე კურინი, ბოგოროდსკის მაზრის სოფ. პავლოვოს გლეხი, თავს უყრის თანასოფლელებს და პირველ ხანებში მცირე რაზმით მოქმედებს ფრანგების წინააღმდეგ. მისი სახელი შორს გავარდა. კურინის რაზმში სიხარულით ეწერებიან მახლობელი სოფლის გლეხები. მალე მის ხელქვეით 5800 კაცი მოქმედებს, რომელთაგან 500-ზე მეტი ცხენოსანია. კურინს მო-

უხდა არაერთგზისი შეუპოვარი ბრძოლა და მტერს მან დიდი ზიანი მიაყენა.

ერმილე ჩეტვერტაკოვი რეგულარული არმიის ჯარისკაცი იყო. იგი დაიჭრა ცარევო-ზაიმიშჩესთან, ამასთან ტყვედ ჩავარდა. გამოჯანსაღების შემდეგ მან გაქცევა მოახერხა, მივიდა ერთერთ რუსულ სოფელში გჟატსკთან. პირველად მცირე რაზმი ჰყავდა, მაგრამ როცა ბრძოლებში სახელი მოიხვეჭა, რაზმში ყოფნის მრავალი მსურველი აღმოჩნდა. ჩეტვერტაკოვის რაზმები მტერს მოსვენებას არ აძლევდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ ვიდრე ფრანგებმა უკან არ დაიხიეს და გჟატსკის მხარეს საბოლოოდ არ გასცილდნენ.

პეტრე პოტაპოვს (სამუსს) იარაღქვეშ ჰყავდა 2000 კაცი და ფრანგებს დიდ ზიანს აყენებდა. სიჩევკის მაზრის გლეხობა შეაიარაღა მამაცმა პარტიზანმა ქალმა ვასილისა კოჟინამ, რომლის მეთაურობით მოლაშქრენი მტერზე მამაცურ თავდასხმებს აწყობდნენ.

ისტორიამ სახალხო ომის ბელადების 70-მდე სახელი შემოგვინახა, სინამდვილეში ისინი გაცილებით მეტნი იყვნენ.

ფრონტისპირა მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, ერთსულოვნად მონაწილეობდა ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში. ომის მონაწილე გლინკა 1812 წლ. 17 აგვისტოს დღიურში წერდა: „სახალხო ომი ყოველ საათობით ავლენს ახალ ახალ ბრწყინვალებას. ასე გეჩვენება, რომ ალში გახვეული სოფლები მცხოვრებლებში აღვივებდნენ ცეცხლს შურისგებისა. ათასობით სოფლელები, რომლებიც ტყეებს არიან შეხიზნულნი და ნამგალი და ცელი თავდაცვის იარაღად გადაუქცევიათ. სამხედრო ხელოვნების გარეშე, მხოლოდ მამაცობით იგერიებენ ბოროტმოქმედებას... ქალებიც კი იბრძვიან!.. — დღეს, გჟატსკის მაზრის გლეხები, თავად გოლიცინის სოფლელები, რომლებიც ერთი ჩასაფრებიდან გამოდევნეს, გადადიოდნენ მეორე, მეზობელ ტყეში იმ სოფელზე გავლით, სადაც იყო მთავარი სადგომი (რუსეთის პირველი არმიისა ა. ს.) აქ მრავალ დაჭრილს შეუხვიეს. ერთი 14 წლის ბიჭი, რომელსაც ფეხი ტყვიით ქონდა გახვრეტილი, ფეხით მიდიოდა და არ ჩიოდა. შეხვევა მან

დიდი სიმამაცით აიტანა. ორი ახალგაზრდა გლეხი ქალიშვილი დაჭრილი იყო ხელში. ერთი მიეშველა თავის ბაბუას, მეორემ როკის ხით მოკლა ფრანგი, რომელიც მის დედას მიეტანა. მრავალს გახვრეტილი ქონდა ქუდი, კალთა, ქალამანი — აი საპატიო სოფლელი მეომრები!"

ნაპოლეონის არმიის დანაკარგი მარტო პარტიზანული რაზმებისა და სოფლელთა სახალხო ლაშქრების წინააღმდეგ ბრძოლებში რუსეთის მარტო 3 მაზრაში უდრიდა შემდეგს: კალუგის გუბერნიის მოსალსკის მაზრაში — 987 მოკლულს და 450 ტყვეს; მედინსკის მაზრაში — 894 მოკლულს და 593 ტყვეს, ბოროვსკის მაზრაში — 2199 მოკლულს და 1300 ტყვეს. ასეთი ფრონტისპირა მაზრები კი ასობით იყო.

პარტიზანები წარმოადგენდნენ მტრის გარემოცვის პირველ რკალს მოსკოვში. ჩაკეტილი ჰქონდათ რა ქალაქიდან გასასვლელი გზები, ისინი სურსათის საშოვნელად მოწანწალე ფრანგ მაროდიორებს სასტიკად უსწორდებოდნენ, ამავე დროს აწვდიდნენ ძვირფასს ცნობებს ტარუტინოში მ. ი. კუტუზოვს.

პარტიზანებმა უდიდესი როლი შეასრულეს მოსკოვიდან უკანდახეულ ნაპოლეონის რაზმების განადგურებაში. პარტიზანმა სესლავინმა პირველმა გაიგო როდის აპირებდა ნაპოლეონი მოსკოვის დატოვებას. პარტიზანებმა ააფეთქეს ხიდი მალოიაროსლავეცთან, აუშვეს წისქვილის საგუბრები და არმიას გაუწიეს დიდი დახმარება მტრის ძალების შეკავებაში.

პარტიზანული მოძრაობის ასეთი მძლავრი გაქანება ამ ომის სახალხო ხასიათიდან მომდინარეობდა. ომის ამ თავისებურებას მაშინვე შენიშნავდა მხედართმთავარი მ. ი. კუტუზოვი, როცა ნაპოლეონის უკანდახევას პირველ რიგში ამ ომის სახალხო ხასიათით ხსნიდა. „...იგი (ნაპოლეონი ა. ს.)—ამბობდა კუტუზოვი — წინ სხვას ვერაფერს ხედავდა, გარდა საშინელი სახალხო ომის გაგრძელებისა, რასაც შეეძლო სულ მოკლე ხანში საესებით გაენადგურებინა მისი არმია. თითოეულ მცხოვრებში იგი ხვდებოდა მეომარს. მიუხედავად მისი ცდისა რაიმეთი მაინც მოეხიბლა მოსახლეობა, იგი ყველგან აწყდებოდა შეუ-

პოვრობას, ყველა წოდების მტკიცე გადაწყვეტილებას მკერდით დაეცვათ საყვარელი სამშობლო“.

ასევე სწორად გაიგო ამ ომის საყოველთაო სახალხო ხასიათი გენიალურმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ. თავის შესანიშნავ რომანში „ომი და მშვიდობა“ იგი წერს, რომ ფრანგების განადგურების ძირითადი მიზეზი ეს იყო სახალხო ომის კეტი, რომელიც აღიმართა მთელი თავისი ძლიერებით. იგი აღიმართებოდა და დაეშვებოდა ფრანგების თავზე, კვლავ აღიმართებოდა და დაეშვებოდა, ვიდრე შემოჭრილი მტერი საბოლოოდ არ განადგურდაო.

ომის მონაწილე, შემდეგში დეკაბრისტული მოძრაობის ერთერთი მეთაური იაკუშკინი წერდა: „1812 წლის ომმა რუსი ხალხი გააღვიძა სიცოცხლისათვის. ეს ომი შეადგენს რუსი ხალხის პოლიტიკური არსებობის მნიშვნელოვან პერიოდს. მთავრობის ყველა განკარგულება და ღონისძიება უმნიშვნელო იქნებოდა რუსეთში შემოჭრილი გალებისა და მასთან ერთად სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე მტრის გასარეკავად, რომ ხალხი წინანდებურად ხელფეხშეკრული და გარინდული ყოფილიყო, ახლაც მახსოვს ჩემს გვერდით მომავალი ჯარისკაცის სიტყვები: „მადლობა ღმერთს მთელი რუსეთი ლაშქრად წავიდა“. ჯარისკაცთა შორის აღარ იყვნენ უაზრონი და ბრმანი. თითოეული გრძნობდა, რომ ის მოწოდებულია ხელი შეუწყოს დიად საქმესl“

* * *

რუსეთის არმიის კონტრშეტევა

მოსკოვიდან უკანდახევის შემდეგ კუტუზოვმა ტარუტინოს ცნობილი მარშ-მანევრი განახორციელა. მოსკოვიდან უკანდახეული რუსეთის არმია პირველად რიაზანის გზაზე მიემართებოდა. ორი გადასასვლელის შემდეგ კუტუზოვის ბრძანებით მან სამხრეთით დაუხვია და ძველი კალუგის გზით სოფელ პახრში ჩავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ არმია ტარუტი-

ნოში დაბანაკდა. კუტუზოვის ეს საფლანგო მანევრი „სამართლიანად ითვლება სამხედრო ხელოვნების ისეთ მიღწევად ნათქვამია კუტუზოვის ბიოგრაფიაში, — რომელსაც მარტოოდენ შეეძლო მისთვის გენიალური მხედართმთავრის სახელი მოეხვეჭა. ამ მანევრით მან მთელი სტრატეგიული ვითარება მკვეთრად შეცვალა თავის სასარგებლოდ. ჯერ ერთი, მან არმია მტრის დარტყმებიდან გამოიყვანა და ის დასვენებისა და ახალი ბრძოლებისათვის მომზადების მშვიდი პირობებით უზრუნველჰყო; მეორე, კუტუზოვმა დაიფარა არა მხოლოდ კალუგა, სადაც თავმოყრილი იყო არმიისათვის საჭირო უზარმაზარი მარაგი, არამედ ტულაც მისი იარაღის ქარხნითურთ; მესამე, მან შეინარჩუნა მიმოსვლა რუსეთის სამხრეთ ოლქებთან, რომლებიც არმიას ჰკვებავდნენ ადამიანთა შევსებით, ცხენებითა და ყველა სახის მომარაგებით. აქედანვე კუტუზოვი უთვალთვალებდა მოსკოვ-სმოლენსკის გზას და ნაპოლეონს ხელიდან აცლიდა თავისუფალი მანევრირების საშუალებას.

ტარუტინოს ბანაკში კუტუზოვი ძირითად ამოცანად ისახავდა არმიის შევსებას, დაკომპლექტებას, ისე რომ ძალთა თანაფარდობა რუსებსა და ფრანგებს შორის შეცვლილიყო რუსების სასარგებლოდ. რუსეთში ამ დროს მართლაც ინტენსიურად მიმდინარეობდა გაწვევა არმიის რიგებში და ახალი პოლკების ფორმირება. არზამასში , იაროსლავში. კალუგაში. ნოვგოროდში, ტვერში, ვლადიმირში, კოსტრომაში, რიაზანში, ტულაში, ტამბოვში და სხვ. ადგილებში მობილიზებული არმიელები მიემართებოდნენ ტარუტინოსაკენ, დონიდან მიდიოდნენ კაზაკთა ახალი ნაწილები, ვოლგისპირეთიდან — ბაშკირთა ცხენოსანი ლაშქრები. ქვეყნის ყველა კუთხეში ყველა ეროვნების ხალხი გზავნიდა თავის შვილებს ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ახალმა რეკრუტმა რუსეთის არმიას 180 ათასზე მეტი კაცი შემატა. აქვე მიიღო მან საარტილერიო შევსება.

მოსკოვის არსენალიდან, ბრიანსკიდან, ურალის ქარხნებიდან მოტანილ იქნა ახალი ზარბაზნები, რომელთა რაოდენობა პირველ არმიაში უკვე 622-ს აღწევდა. ამავე დროს მიმდინა-

რეობდა სახალხო ლაშქრის გაწვრთნა, რომელსაც თვით ხელ-მძღვანელობდა კუტუზოვი. ამ პერიოდში მომზადებულ იქნა 120 ათასამდე მოლაშქრე მოსკოვის, ტულის, ტვერის, იაროს-ლავის, ვლადიმირის, რიაზანის, კალუგის და სმოლენსკის გუ-ბერნიებიდან. ეს მოლაშქრენი აქტიურად მონაწილეობდნენ მოსკოვის ალყაში.

კუტუზოვის ამ ღონისძიებათა შედეგად, ოქტომბრის პირ-ველი რიცხვებისთვის მოწინააღმდეგეების ძალთა თანაფარდო-ბა მკვეთრად შეიცვალა. მოსკოვში მყოფი ნაპოლეონის არმია ითვლიდა 107 ათას მეომარს 533 ქვემეხით. ტარუტინოში და-განაკებული რუსეთის პირველი არმია კი აერთიანებდა 130 ათას მეომარს (80.000 ქვეითი, 80.000 ცხენოსანი) 622 ქვემეხით. ამას გარდა მოსკოვს ირგვლივ ერტყა 100-120 ათასი მო-ლაშქრე.

ტარუტინოს ბანაკში, კონტრშეტევისათვის რუსეთის არ-მიის მომზადების პერიოდში კუტუზოვთან გამოცხადდა ნა-პოლეონის ადიუტანტი მარკიზი ლორისტონი და შემპარავი ტო-ნით დაუწყო საუბარი ზავის შესახებ. ამასთან ლორისტონი ჩიოდა, რომ რუსები ეწევიან ომს არაჩვეულებრივი წესით, ასეთი ომი მას არსად არ უნახავს. ნაპოლეონი მეტად ძლიე-რია, მაგრამ მას სისხლის ღვრა მოსწყინდაო და სხვ.

კუტუზოვმა ერთ ფრაზაში გამოჰხატა რუსეთისათვის ამ ომის სამამულო ხასიათი: — რუსი ხალხი ფრანგებს ისე უყუ-რებს, როგორც თათრებს, რომლებიც შემოიჭრნენ ჩინგის ხა-ნის მეთაურობითო. ასეთი შედარების გამო ლორისტონის აღ-შფოთების საპასუხოდ კუტუზოვმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ რუსი ხალხი ჩინგის ხანსა და ნაპოლეონს შორის განსხ-ვავებას ვერ ხედავსო. კუტუზოვმა შესანიშნავად ამოიცნო ისიც, რომ ნაპოლეონის კაცი მასთან გაჭირვებამ მიიყვანა, თუმცა ლორისტონი ბევრს ლაპარაკობდა ნაპოლეონის ძლიე-რებაზე.

რუსეთი მხოლოდ ახლა იწყებს ომს — ასეთი იყო კუტუ-ზოვის გადაჭრილი პასუხი ლორისტონის მიმართ.

ტარუტინოდან ლორისტონი იმედგაცრუებული დაბრუნ-

და. ჩაიშალა მარშალ ბერტიეს ცდაც — ზავზე მოლაპარაკებადა კუტუზოვს. „ძნელია შეაჩერო ხალხი — წერდა კუტუზოვი ბერტიეს, — რომელიც გაღიზიანებულია ყოველივე იმით, რაც მან ნახა; ხალხი, რომელსაც 300 წელიწადია არ უნახავს ომი სახელმწიფოს შიგნით, რომელიც მზად არის თავი შესწიროს სამშობლოს და არ განასხვავოს ის, რაც მიღებულია და მიუღებელია ჩვეულებრივ ომებში“.

კუტუზოვმა შეიმუშავა ნაპოლეონის არმიაზე კონტრშეტევის გეგმა. ეს გეგმა გულისხმობდა ნაპოლეონის არმიის გარშემორტყმას და მის სრულ განადგურებას რუსეთში. ჩიჩაგოვისა და გენერალ ვიტგენშტეინისადმი დაგზავნილ განკარგულებებში მშვენივრად მოჩანს ამ გეგმის სახე.

6-7 ოქტომბრიდან კუტუზოვმა დაიწყო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად. პირველი შეჯახება ფრანგებთან მოსკოვის გარემოცვის შემდეგ მოხდა 6 ოქტომბერს ადრე დილით მდინარე ჩერნიშნასთან. გენერალ ორლოვ-დენისოვისა და ბაგოუტის ნაწილები თავს დაესხნენ მიურატის პოლკებს და მათ სასტიკი მარცხი აგემეს. ამ ბრძოლის მოკლე ანგარიშში კუტუზოვი აღნიშნავს, რომ რუსებმა მოსპეს 2500 ფრანგი, ტყვედ წამოიყვანეს 2000 და ხელთ იგდეს 28 ზარბაზანი. რუსების მხრივ დანაკარგი შეადგენდა 300 მოკლულსა და 900 დაჭრილს.

მდინარე ჩერნიშნასთან ბრძოლის ქუხილი მშვენივრად ისმოდა მოსკოვში. ნაპოლეონთან მალე მიურატიც გამოცხადდა და მოახსენა ოპერაციაში რუსების წარმატების შესახებ. ნაპოლეონს ამ დროისთვის უკვე მოფიქრებული ჰქონდა მოსკოვის დატოვება, თუმცა ყოყმანობდა კიდეც. რუსების მიერ საომარი ოპერაციების განახლებამ ნაპოლეონი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მის წინააღმდეგ უკვე დაიწყო კონტრშეტევა და იგი გარემოცვის და დაღუპვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ამის შემდეგ დაყოვნება შეუძლებელი იყო და იმპერატორმა გასცა სასწრაფო ბრძანება მოსკოვის დატოვების შესახებ.

აპირებდა რა მოსკოვიდან უკანდახევას, ნაპოლეონმა ადრე-

ვე გაგზავნა დატაცებული განძეული, შემდეგ დაპრილთა ევაკუაცია დაიწყო. 6 ოქტომბერს ქალაქიდან გავიდა ტრანსპორტი. 7 ოქტომბერს გავიდა თვით ნაპოლეონი. მაგრამ მოსკოვში მან დასტოვა გარნიზონი მარშალ მორტიეს მეთაურობით, რომელსაც დაავალა უკვე დანაღმული კრემლის აფეთქებისა და დანგრევის შემდეგ გასულიყო მოსკოვიდან. 10 აპრილს ღამით კრემლში დაიწყო აფეთქებანი, დაზიანდა რამდენიმე ნაგებობა და კედელი, მაგრამ ქალაქი გადარჩა იმის გამო, რომ ძლიერმა წვიმამ პატრუქები დაასველა. ამის შემდეგ მოსკოვი მორტიეს ნაწილებმა დასტოვეს. ქალაქი კვლავ ცეცხლის ალში გაეხვია.

მოსკოვიდან ნაპოლეონის არმია დაიძრა კალუგის გზით მალოიაროსლავეცის მიმართულებით. ახლა მას საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა ჩასულიყო სმოლენსკში, სადაც ეგულებოდა ზამთრისთვის საჭირო მარაგი, სადაც შეიძლებოდა შესვენება, ახალი ძალების გამოთხოვა და მშვიდათ გამოზამთრება. მოსკოვიდან სმოლენსკისაკენ ორი გზა არსებობდა. ერთი. რომლითაც იგი სმოლენსკიდან მოვიდა მოსკოვში, მეორე— კალუგიდან. პირველი გაეერანებული, მკვდრებით მოფენილი იყო. ამ გზით წასვლა არ სურდა ნაპოლეონს. მას ჭირდებოდა სურსათი, რომლის შოვნას იგი ახალ, ხელუხლებელ გზაზე ვარაუდობდა. ნაპოლეონი ამ თავის განზრახვას ყოველმხრივ ნიღბავდა, იგი ცდილობდა გზა აევლო კუტუზოვის არმიისათვის და ჩაესწრო სმოლენსკში, ისე, რომ მის ძირითად ძალებთან შეჯახება არ მოსვლოდა.

კუტუზოვმა ნაპოლეონის არმიის მოძრაობის შესახებ დოხტუროვისაგან, პარტიზან სესლავინისაგან, გენერალ მილორადოვიჩისაგან მიიღო პირველი ცნობები. კუტუზოვმა ამ დასმენებიდან გააკეთა ზუსტი დასკვნა, რომ მტერი ბოროვსკ-მალოიაროსლავეცზე მიდის. მხედართმთავარმა გადასწყვიტა დაესწრო ფრანგებისათვის, მოეპრა მათი უკანდახევის გზა. გენერალ დოხტუროვს და პლატოვს მიეცა დავალება სასწრაფოდ დაეკავებინათ მალოიაროსლავეცი. ამავე მიმართულებით მალე მან თავისი ძირითადი ძალებიც დასძრა.

მალოიაროსლავეცთან დოხტუროვისა და პლატოვის ნაწილებმა შეუტიეს ფრანგების ავანგარდს, რომელსაც უკვე მოესწრო ქალაქის დაკავება. ფრანგები მართალია, ქალაქში პირველი შევიდნენ, მაგრამ ვერ გადალახეს მდინარე ლუჟა, რომლის ხიდი დასწვეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. მათვე აუშვეს წისქვილთა საგუბრები და ასე შეაკავეს ფრანგები გათენებამდე, ვიდრე დოხტუროვის ნაწილები არ გამოჩნდნენ.

12 ოქტომბერს ადრე დილიდანვე დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა მალოიაროსლავეცისათვის. ფრანგებს ჭარბი ძალები ჰყავდათ და მათ შეავიწროვეს რუსთა პოლკები. მალე ორთავე მხრივ ბრძოლაში ახალი ძალები ჩაებნენ. შეტაკებები უშუალოდ ქალაქის ქუჩებში სწარმოებდა. რუსები მამაცურად გადადიოდნენ ხიშტით კვეთებაზე. ნაპოლეონი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ბრძოლას. იგი გზავნიდა ახალ და ახალ დივიზიებს. ქალაქი 8-ჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. ფრანგებმა ვერ შესძლეს რუსების უკუგდება და გზის გაკაფვა. ასეთ ვითარებაში დაღამდა. კუტუზოვის ხელუხლებელი ძირითადი ნაწილები დასასვენებლად განლაგდნენ. კუტუზოვმა ჩაჰკეტა სწორედ ის გზა სმოლენსკისაკენ, კალუგის გავლით, რომელიც უკანდასახევად ჰქონდა არჩეული ნაპოლეონს.

ეს ღამე განსაკუთრებით მშფოთვარე იყო ნაპოლეონისათვის. მეორე დღეს მას ელოდა ახალი ბოროდინო. თუ იგი განაგრძობდა უკანდახევას კალუგის გზით, მას ბრძოლით უნდა გაეღღვია რუსების ფრონტი. მაგრამ შეეძლო კი ფრონტის გარღვევა? იმ საღამოს თათბირზე, ქოხში ნაპოლეონმა მოისმინა თავისი მარშლების აზრი. ბესიერი იმპერატორს ურჩევდა თავი აერიდებინა რუსებთან გენერალური ბრძოლისათვის და ისევ ძველი გზით წასულიყვნენ სმოლენსკისაკენ. ბესიერი ურყევი არგუმენტებით ამტკიცებდა რომ გამარჯვება რუსებთან შეუძლებელია, რომ ფრანგებს დაღუპვა მოელით. ბევრი დუმდა. ნაპოლეონი გაჰყვა ბესიერის რჩევას. საფრანგეთის იმპერატორმა, ევროპის მრისხანე დამპყრობელმა ნაპოლეონმა, რომელმაც არ იცოდა აქამდე რა იყო მტრისაგან გაქცევა, რომელიც აქამდე თვით ეძებდა გენერალურ ბრძოლას, ახლა,

პირველად თავის სიცოცხლეში, ვერ გაბედა მოწინააღმდეგეს-თან პირდაპირი შეტაკება. „პირველად — შენიშნავს აკადემი-კოსი ე. ტარლე — ამ სისხლიანი კამპანიის განმავლობაში ნაპოლეონმა ზურგი უჩვენა რუსებს, გადასწყვიტა მდევნელის პოზიციიდან გადასულიყო დევნილის პოზიციაზე“. ამგვარად, სმოლენსკისაკენ ნაპოლეონს დარჩა ერთადერთი გზა, ის, რო-მელიც მისი ჯარისკაცების ჯერ კიდევ გაუხრწნელი გვამებით იყო მოფენილი და უდაბნოს წარმოადგენდა, სადაც სურსა-თის შოვნა კი არა, სუნთქვაც არ შეიძლებოდა. ნაპოლეონი ამ გზას დაადგა.

გრაფი სეგიური შენიშნავს, რომ ამ მომენტიდან შეწყდა ნაპოლეონის მიერ სამყაროს დაპყრობა, აქ გაქრა ოცწლიან გამარჯვებათა ყველა ნაყოფი და დაიწყო საშინელი ნგრევა ყოველივე იმისა, რის შექმნასაც ნაპოლეონი ფიქრობდა.

სმოლენსკის ძველ გზაზე ნაპოლეონის არმიაში უკიდურე-სობამდე მოიშალა დისციპლინა. იგი აღარც კი ჰგავდა არმიას. ნაძარცვი ნივთებით დატვირთულ ჯარისკაცებს დაკარგული ჰქონდათ მხედრული სახე. იხოცებოდნენ ცხენები. ნაძარცვი ქონებით დატვირთული საბარგულები გზაზე რჩებოდა. მკვეთ-რად აცივდა. მოვიდა თოვლი. აუტანელმა სიცივემ უფრო გააუარესა მდგომარეობა. ახლა უკანდახევა გაქცევაში გადა-იზარდა. უწესრიგოდ მირბოდნენ ჯარისკაცები, რომლებსაც შიმშილისა და სიცივისაგან ქანცი ელეოდათ.

კუტუზოვი შესანიშნავი ოსტატობით დაედევნა ნაპოლეო-ნის არმიას. რუსების ძირითადი ძალები მისდევდნენ მტერს ბიკოვაია-ბელი ხოლმი-ლიახოვის გზით, რომ სმოლენსკისათ-ვის სამხრეთიდან შემოევლოთ. მილორადოვიჩი ეგოროვსკი-დან სმოლენსკის გზაზე მისდევდა ფრანგთა მთავარ ძალებს და ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში მას ბრძოლას უმართავდა. პლატოვი მოწინააღმდეგეს ზურგში მისდევდა, ხოლო პარტი-ზანები ფრანგებს თავსა და გვერდებში ურტყამდნენ. სმო-ლენსკის გზის ჩრდილოეთით მიიწევდნენ წინ გენერალ-ადიუტანტ კუტუზოვის ნაწილები, რომლებიც ნაპოლეონის მარჯვენა ფლანგს ავიწროებდნენ, ამავე დროს უზრუნველ-ყოფდნენ კოორდინაციას ვიტგენშტეინთან; ნაპოლეონის მთა-

ვარი ძალები სამხრეთით პარალელურად მიიწევდნენ წინ. ოჟეროვსკის ნაწილები, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ქალაქთა გარნიზონებზე თავდასხმა, ამ ქალაქების განთავისუფლება.

როგორც ვხედავთ, ნაპოლეონის არმია შებოჭილი იყო არტახებით. რუსები განუწყვეტლად ურტყამდნენ მტერს დღეცა და ღამეც, ზურგიდან და ფლანგებიდან. ნაპოლეონის წინაშე თანდათან იზრდებოდა საფრთხე გზის მოჭრისა, ამიტომ იგი, რაც შეიძლება სწრაფად გარბოდა, გზაზე ტოვებდა დაჭრილებს, საბარგულებს, იარაღსაც კი.

მოსკოვიდან სმოლენსკამდე უკანდახევის პერიოდში ნაპოლეონის არმიამ განიცადა მეტად საგრძნობი დანაკარგი. მოსკოვიდან გასვლისას მისი არმია 107 ათას მეომარს და 533 ქვემეხს მოითვლიდა. სმოლენსკში მან 42 ათასი მეომარი მიიყვანა.

სმოლენსკზე ნაპოლეონი დიდ იმედებს ამყარებდა. პირველყოვლისა, ამ ქალაქში იგი სურსათის დიდ მარაგს ელოდა, მაგრამ ინტენდანტებმა მოატყუეს. ქალაქში აღმოჩნდა იმდენი სურსათი, რომ მის არმიას მხოლოდ 15 დღეს ეყოფოდა. ცხენები დაიხოცა ფურაჟის უქონლობის გამო, შემაშფოთებელი ცნობები მოუვიდა მარშლებიდან: გენერალი ოჟერო ტყვედ ჩავარდა თავისი ჯარებითურთ, რუსებმა გაათავისუფლეს ვიტებსკი და ავიწროებენ მარშლების ვიქტორის და სენსირის ნაწილებს, დუნაის არმია მიიწევდა მინსკის მიმართულებით, ვიტგენშტეინი, რომელსაც ახლა 45 ათასამდე მეომარი ჰყავდა, სჭრიდა უკანდასახევ გზას. ასევე შემაშფოთებელი იყო პარიზში დატრიალებული ამბები. კერძოდ ის, რომ რესპუბლიკელმა გენერალმა მალემ ნაპოლეონი მოკლულად გამოაცხადა; დააპატიმრა პოლიციის მინისტრი სავარი და პოლიციის პრეფექტი, მოჰკლა პარიზის კომენდანტი. მართალია, მალე შეიპყრეს და დასაჯეს, მაგრამ ეს შემთხვევა სიმპტომატური ხასიათის იყო. პარიზში და ევროპაში ღელავდნენ. იმპერატორის მტრული ძალები სააშკარაოზე გამოდიოდნენ. ასეთ ვითარებაში მთავარი იყო პარიზში გამოჩენა.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა რაც შეიძლება სწრაფად ევლო პარიზამდე. 1 ნოემბერს მისი არმია ცალკე ნაწილებად გავიდა ქალაქ სმოლენსკიდან. რუსეთის მთავარი ძალები მას კრასნისთან ელოდნენ. პირველი იერიში ნაპოლეონის გვარდიის კოლონებზე მილორადოვიჩის ნაწილებმა მიიტანეს. ამ შეტაკებაში მილორადოვიჩმა დიდ წარმატებას მიაღწია. მან ტყვედ 2 000 ფრანგი წამოიყვანა, ხელთ იგდო 11 ქვემეხი. აქვე მძიმე ზარალი განიცადეს ეჟენ ბოგარნეს ნაწილებმა. 2 ათასი მეომარი მოკლულ იქნა. 17 ქვემეხი დარჩათ. ბოგარნემ მხოლოდ ღამით შესძლო გაპარულიყო და ნაპოლეონის მთავარ ძალებს შეერთებოდა: ნაპოლეონმა თავისი ძალები მიმართა მილორადოვიჩის წინააღმდეგ, რომ ამით მარშალ დავუს კორპუსისთვის, რომელიც არიერგარდში იბრძოდა, გზა გაეწმინდა. რუსების ძლიერმა საარტილერიო ცეცხლმა ნაპოლეონს ჩაუშალეს ეს განზრახვა. დავუს კორპუსი რუსებმა თითქმის გააჩანაგეს. დავუმ ამ ბრძოლაში 7 ათასი მეომარი და 70 ზარბაზანი დაჰკარგა. სულ სმოლენსკიდან კრასნიმდე მოწინააღმდეგის ტყვედ დანებებული მეომრების რაოდენობა 23.000 უდრიდა. კრასნისთან ბრძოლამ საბოლოოდ გასტეხა ნაპოლეონი. მისი არმია აღარ არსებობდა. მან მალე მიატოვა ეს ქალაქი და ორშასკენ აიღო გეზი ისე, რომ ბედის ანაბარა დასტოვა ნეი, რომელიც მტრის მოძალებას იგერიებდა. კრასნისთან ბრძოლების შესახებ მ. ი. კუტუზოვი წერდა: „რუსეთის არმიამ აქამდე გაუგონარი დიდება მოიპოვა, რადგან ამ დღეებში მოწინააღმდეგემ იწვნია მთელი კამპანიის განმავლობაში უძლიერესი დარტყმები“.

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა მარშალ ნეის კორპუსი, რომელსაც განუწყვეტლივ სდევნიდნენ პლატოვის კაზაკები. 6 ნოემბერს ნეის ნაწილები გარშემორტყმული აღმოჩნდნენ მილორადოვიჩისა და პლატოვის ნაწილების მიერ. ღამით ნეიმ კორპუსის მცირე ნაწილი გაიყვანა გაყინულ დნეპრზე. ორშაში მიიყვანა სულ ხუთასი მეომარი, მაშინ როცა სმოლენსკთან 8 ათასამდე მეომარი ჰყავდა.

ნაპოლეონს მინსკში ეგულებოდა სურსათის მარაგი, მაგ-

რამ რუსებმა მინსკი ადრე დაიკავეს. რუსებმა მას შეასწრეს ბორისოვშიც. კიდევ რამდენიმე ოპერაცია და გზა საესებით მოჭრილი იქნებოდა. ამიტომ ნაპოლეონი ჩქარობდა მდინარე ბერეზინაზე გადასვლას.

კუტუზოვის გეგმის თანახმად ბერეზინასთან უნდა დამთავრებულიყო „დიდი არმიის“ საბოლოო განადგურება, მაგრამ ამ შემთხვევაში სრული უნიჭობა გამოიჩინეს ჩიჩაგოვმა და ვიტგენშტეინმა, რომლებმაც არ შეასრულეს კუტუზოვის განკარგულებანი. საერთოდ ერთიც და მეორეც ომის განმავლობაში მოქმედებდნენ თვითნებურად. ალექსანდრე პირველის ფავორიტ ადმირალს და გენერალს კუტუზოვისადმი მორჩილება სავალდებულოდ არ მიაჩნდა. ვიტგენშტეინმა დააგვიანა იმ პოზიციების დაკავება, რაც ნაპოლეონს გზას უჭრიდა. ადმირალი ჩიჩაგოვი კი მოტყუვდა.

ნაპოლეონმა ბორისოვში მისვლამდე გაიგო, რომ ქალაქში ჩიჩაგოვის ნაწილები ელოდნენ. მან ისიც იცოდა, რომ ამ მიმართულებით მოისწრაფოდა ვიტგენშტეინი. გზა მოჭრილი იყო, მაგრამ თუ იგი მდინარეზე გადასვლას მოასწრებდა რუსთა მთავარი ძალების მისვლამდე, შეეძლო ეხსნა თავისი არმიის ნარჩენები.

მარშალმა უდინომ ბორისოვში შეუტია ჩიჩაგოვის კორპუსს და დაამარცხა, აიძულა იგი ბერეზინის მარჯვენა ნაპირზე გადასულიყო. 12 ნოემბერს ბორისოვში ფრანგები შევიდნენ. ნაპოლეონმა ჩიჩაგოვის დასანახად ბორისოვთან მდინარის გადალახვისათვის მზადების იმიტაცია ჩაატარა. სინამდვილეში მან ბერეზინის გადასალახავად სტუდენკასთან მართლაც ააგებინა ხიდები, რომლითაც 14 ნოემბერს დაიწყო არმიის გადაყვანა.

მდინარეზე არმიის გადასვლა დაიწყო იმ მომენტში, როცა რუსეთის მთავარი ძალები უკვე დაეწიენ ნაპოლეონს. იმპერატორი ჩქარობდა. მდინარის გადალახვა პანიკაში გადაიზარდა. მხოლოდ ნაწილმა მოასწრო გადასვლა. ჯარისკაცთა ნაწილი და ლტოლვილები ბერეზინას გამოღმა, თოვლით დაფარულ. უკაცრიელ ვესელოვსკაიას ველზე დარჩნენ, რადგან ნაპოლე-

ონმა ხიდები დააწვევინა. ბერეზინასთან დატრიალდა საშინელი ტრაგედია, იგი უპატრონოდ დარჩენილ ათასობით ადამიანის სასაფლაოდ იქცა. ნაპოლეონის გადარჩენილი ძალები აღარ წარმოადგენდა არმიას; ეს იყო დამშეულ ყაჩაღთა ბრბო, რომელიც გარბოდა სულმოუთქმელად, ანგრევდა და ნთქავდა ყველაფერს, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა.

ნაპოლეონმა კურსი ვილნოსაკენ აიღო. სმარგონთან მან მიატოვა მისი „დიდი არმიის" საცოდავი ნარჩენები და პარიზს გაეშურა. ბერტიეს რჩევას — რომ მისი წასვლა საბოლოოდ დაღუპავდა გადარჩენილთ, — ნაპოლეონმა ყური არ ათხოვა. მას ეჩქარებოდა პარიზში, რომ ისევ დაეწყო მზადება შერცხვენილი სახელისა და დამსხვრეული დიდების დასაბრუნებლად.

ფრანგთა ნარჩენები 27 ნოემბერს ვილნოში ჩავიდნენ. ისინი მოედვნენ ქალაქს, გატეხეს საწყობები, მაღაზიები, შეუდგნენ ყველაფრის ჩანთქმას. მალე ქალაქთან მოაღწიეს რუსებმა. ფრანგებმა განაგრძეს უკანდახევა 36 გრადუსიანი ყინვის პირობებში. ვილნოსთან სულ ახლოს პონორის ბორცვებთან გაქცეულთ ისეთი აღმართი გადაეღობათ, რომ ვერცერთმა ცხენმა მასზე ფეხი ვერ მოიკიდა. აქ ფრანგები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ უკანასკნელი საბარგულები ავადმყოფებითა და დაჭრილებით, უკანასკნელი ქვემეხები, არქივები, საიდუმლო ქაღალდები და ის საბარგულებიც კი, რომელშიც საჯარისო ხაზინა ინახებოდა (10 მილიონი ფრანკი). ნოემბრის ბოლოს კოვნოსთან მათ ნემანს მიაღწიეს და საზღვარი გადალახეს. ეს „ბედნიერება" წილად ხვდა 400—500 კაცს, მაგრამ მათ ადამიანური ღირსება დაკარგული ჰქონდათ. ყველა დანარჩენმა ნახევარმა მილიონმა მეომარმა, რომელიც ნაპოლეონმა რუსეთს შემოუსია, ამ მიწა-წყალზე ნახა თავისი საფლავი.

1812 წლის 25 დეკემბერს გამოცემული მანიფესტი აუწყებდა რუსეთის მცხოვრებთ ნაპოლეონის რუსეთის საზღვრებიდან განდევნის შესახებ, სამამულო ომის რუსეთის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრების შესახებ.

რუსეთის არმიის ლაშქრობა ევროპაში და მისი შედეგები

1813 წლის პირველი იანვრიდან რუსეთ-საფრანგეთის ომის მსვლელობაში ახალი ეტაპი იწყება. ომის ასპარეზი ცენტრალურ ევროპაში ინაცვლებს. შემტეევი მხარე ახლა რუსეთია, რომლის გარშემო თანდათან იკრიბებიან ნაპოლეონის ყოფილი მოკავშირენი. ეს დიდი კოალიცია ამთავრებს რუსეთში დაწყებულ პროცესს ნაპოლეონის განადგურებისა. იცვლება ევროპის რუკა, იცვლება სახელმწიფოთა პოლიტიკური წყობილება და ურთიერთობა. სანამ ომის ამ ახალ ეტაპზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროა განვსაზღვროთ 1813—1814 წწ. ომების ხასიათი და ის როლი, რომელიც ნაპოლეონის უღლის დამხობაში რუსეთის არმიამ შეასრულა.

ზოგიერთი ისტორიკოსი 1812 წლის ომს გამოჰყოფს 1813—1814 წლის ომებისაგან. მიაჩნია ისინი რუსეთისათვის ორი სხვადასხვა ხასიათის ომებად. 1812 წელს რუსეთი თავს იცავდა ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლებიც შემოიჭრნენ ქვეყანაში და მას დამონებით ემუქრებოდნენ. ამ პერიოდში ომს მართლაც სამამულო ხასიათი ჰქონდა. სულ სხვაა 1813—1814 წლების ომი თავისი ხასიათით. ამ კამპანიაში რუსეთი ეწევა ისეთსავე უსამართლო, დამპყრობლურ ომს, როგორსაც ადრე ნაპოლეონი ეწეოდა. კუტუზოვი ყველაზე უკეთ ხვდებოდა ამას და წინააღმდეგი იყო ევროპაში ლაშქრობისა.

ეს თვალსაზრისი სწორი არაა. ვფიქრობთ, სამართლიანად მიუთითებს პროფ. ს. ბ. ოკუნი[1], რომ რუსეთისათვის 1813—1814 წლები წარმოადგენდნენ 1812 წლის ომის ბუნებრივ გაგრძელებას. ნაპოლეონის ძლიერებას 1812 წელს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა რუსეთმა, მაგრამ ვიდრე ნაპოლეონი საფრანგეთის ტახტზე იჯდა და ევროპის სახელმწიფოთა ბედს განაგებდა, ყოველთვის წარმოადგენდა ახალი ომის გაჩაღების წყაროს. იგი ყველა შესაძლებლობას, ყველა

---

[1] Проф С. Б. Окунь, Очерки истории СССР, конец XVIII, первая часть XIX века, Ленинград, 1956. ss. 247-249.

ძალას არა მარტო საფრანგეთში, არამედ მის მონა-მორჩილ ევროპაში იმისათვის გამოიყენებდა, რომ 'რევანში აეღო, რუსეთი საბოლოოდ დაემონებინა და ათგზის უფრო შეუბრალებლად და მძიმედ დაესაჯა იმ მწარე დღეებისათვის, რომელიც რუსეთმა მას განაცდევინა. როგორც ცნობილია, ნაპოლეონმა ადრევე დატოვა მისი არმიის საცოდავი ნარჩენები და ფარულად ჩავიდა პარიზს, რომ სასწრაფოდ დაეწყო ახალი ძალების მობილიზება.

პარიზში დაბრუნების შემდეგ ნაპოლეონის განზრახვაზე ნათლად მეტყველებს მის მიერ გატარებული ღონისძიებანი. მან ახალი მობილიზაცია გამოაცხადა, გააუქმა ყველა შეღავათები. არმიის რიგებში გარეკა გაწვევის ასაკს მიუღწეველი ახალგაზრდებიც კი და ამრიგად თოფქვეშ ისევ დააყენა ნახევარი მილიონი კაცი, რომლებსაც სასწრაფოდ ასწავლიდნენ საომარ საქმეს ვეტერანები. ამ ძალით ნაპოლეონს შეეძლო, თუკი მას სულისმოთქმის საშუალება ექნებოდა, ბოლო მოეღო ევროპის ზოგიერთი მოკავშირის მერყეობისათვის, იძულებული გაეხადა ავსტრია, პრუსია, პოლონეთი და სხვა პატარა სახელმწიფოები ისევ გამოეყვანათ ჯარები, რომლისგანაც ნაპოლეონი ისევ შეაკოწიწებდა დიდ არმიას და რუსეთს შემოუსევდა. ამრიგად, ნაპოლეონის არმიის რუსეთის საზღვრებიდან გადარეკვით ხელახალი აგრესიის საფრთხე აღკვეთილი არ ყოფილა, იგი კარებთან იდგა, ისევ მოსალოდნელი იყო ის რბევა და ხანძარი, ის ძარცვა და განადგურება, რაც რუსეთმა 1812 წელს განიცადა.

ამ მოვლენის თავისებურების უკეთ გასაგებად ასეთი ანალოგია შეიძლება მოვიშველიოთ: როგორც ცნობილია, ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიამ დამპყრობლებს სასტიკი დამარცხება აგემა ზედიზედ და უზურნველჰყო 1944 წლისათვის ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიის დაბრუნება და სახელმწიფო საზღვარზე გასვლა. სახელმწიფო საზღვარზე საბჭოთა არმიის გასვლა იმას ნიშნავდა, რომ მან ბრწყინვალედ დაიცვა საბჭოთა ქვეყნის ღირსება და დამოუკიდებლობა, და-

ამარცხა და უკუაგდო ვერაგი მტერი; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა ფაშისტური აგრესიის საფრთხის ლიკვიდაციას, არ ნიშნავდა იმას, რომ საბჭოთა არმიამ თავის ქვეყანას ააცილა ომი, აღკვეთა მის ტერიტორიაზე შეჭრის შესაძლებლობანი. საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებიდან განდევნილი მტერი ჯერ კიდევ არ ყოფილა სავსებით მოსპობილი, ფაშისტი მხეცი მხოლოდ დაიჭრა, და მან ფაშისტურ ბუნაგს მიაშურა. რომ ძალები მოეკრიბა, სული მოეთქვა და ხელახლად დაეწყო ბრძოლა საბჭოთა ქვეყნის დამარცხებისათვის, მისი ხალხის დამონებისათვის. წითელი არმიის სახელმწიფო საზღვრებზე გასვლის შემდეგ ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ უკანდახეული მტრისთვის მოეწყოთ დადევნება, არ მიეცათ მისთვის შესვენების, სულისმოთქმის, ძალების მოკრების საშუალება და გაენადგურებინათ მისსავე ბუნაგში მანამ, ვიდრე ძალების ხელახალი მოკრების შემდეგ ახალ შეტევაზე გადმოვიდოდა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა არმიამ განახორციელა ფაშიზმისათვის დაუყოვნებელი დადევნება და მოსპო იგი მისსავე ბუნაგში — ბერლინში, მანამ ვიდრე ევროპაში ხელახლად დაანთებდა ყაჩაღური ომის ხანძარს. საერთოდ ისტორიაში ანალოგიებისადმი მეტად ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო. ცნობილია, რომ 1941—1945 წწ. ჰიტლერულ გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მასშტაბები, მისი მამოძრავებელი ძალები, მიზანდასახულებანი გაცილებით სხვა და გაცილებით ფართო ხასიათისა იყო, ვიდრე 1812 წელს, ამასთან, რაც მთავარია სოციალ-პოლიტიკური ვითარებაც სხვაგვარი იყო, მაგრამ 1812 წლის ბოლოს და 1813 წლის დასაწყისში რუსეთის საზღვართან შექმნილი ვითარების დასახასიათებლად ჩვენს მიერ გატარებული ანალოგია უადგილო მაინც არ უნდა იყოს.

ამრიგად, ლაშქრობა, რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებს იქეთ, ნაპოლეონისათვის დადევნება, მისი მონარქიის დამხობა ომის შემდგომ, ბუნებრივ ეტაპს წარმოადგენდა. რუსეთის არმიას არ დაუყოვნებია სახელმწიფო საზღვართან, მან გა-

ნაგრძო გზა პარიზამდე და ომი მის ბუნებრივ დასასრულამდე მიიყვანა.

ახლა განვიხილოთ საკითხი, იმის შესახებ, თუ როგორი იყო რუსეთის არმიის როლი ევროპაში?

რუსეთი ამ დროს, როგორც ცნობილია, ფეოდალურ-ბატონყმურ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მისი მმართველი წრეების—მეფის და მემამულე-თავადაზნაურობის ინტერესები ძველი, დრომოჭმული ბატონყმური წყობილების დაცვაში მდგომარეობდა. ცარიზმი ახალსა და პროგრესულს, ესე იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ებრძოდა მთელი შესაძლებლობით თავის საკუთარ ქვეყანაში და ქვეყნის გარეთაც, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ამიტომ ცხადია, ალექსანდრე პირველის მიზანდასახულება ევროპაში რომ ჯარები მიჰყავდა და ნაპოლეონის ტახტის დამხობისათვის იბრძოდა, სრულიადაც არ იყო პროგრესული. ცარიზმის ძირითადი ინტერესები ევროპაში რევოლუციამდელი რეჟიმის აღდგენას, ფეოდალიზმის ყოვლისშემძლეობის აღდგენას, საფრანგეთის ტახტზე ბურბონების დაბრუნებას ემსახურებოდა. რუსეთის მეფე ყოველთვის ერთგული იყო ლეგიტიმიზმის იმ პრინციპებისა, ვენის კონგრესზე რომ წამოაყენა ტალეირანმა და იგი მეფეთა „კანონიერ უფლებებს", მათი ტახტის ურყეობას იცავდა, ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას პროგრესულ ძალებს და იდეებს. სწორედ ამიტომ დაიმკვიდრა ისტორიაში ევროპის ჟანდარმის სახელი.

მაგრამ რუსეთის არმიის ლაშქრობა ევროპაში და ნაპოლეონის წინააღმდეგ ომი, რუსეთის ცარიზმის სუბიექტური რეაქციული მიზანდასახულობის მიუხედავად, ობიექტურად ერთგვარად მაინც პროგრესულ ღონისძიებას წარმოადგენდა და რუსეთის ფეოდალური სახელმწიფოს არმიას, პრინციპში რეაქციის იარაღს, იმ მომენტში, ობიექტურად, ეკისრებოდა ნაპოლეონის უღლისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლების მისია. ერთის შეხედვით ეს დებულება პარადოქსად მოსჩანს. მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, იგი მართებულია. ისტორიაში სხვა

დროსაც და სხვა ხალხის მიმართაც შექმნილა ვითარება, როცა ცარიზმის რეაქციული სუბიექტური მიზანდასახულება ობიექტურად დამთხვევია ინტერესებს იმ ხალხისა, რომელსაც იგი „ეხმარებოდა". მაგალითად, ცარიზმი თურქეთის უღელქვეშ დაჩაგრულ ბალკანეთის სლავი ხალხების მფარველად რომ აცხადებდა თავს და თურქეთს ებრძოდა, დაინტერესებული იყო მხოლოდ ბალკანეთში ფეხისმოკიდებით, შავი ზღვის სრუტეებზე კონტროლის დაწესებით, სამხრეთიდან ავსტრიისათვის საშიშროების შექმნით, ახალი კოლონიური შენაძენით. სლავი ხალხის თავისუფლებასა და დემოკრატიულ მოწყობაზე ცარიზმი სრულებითაც არ ფიქრობდა. მაგრამ, მიუხედავად ამ რეაქციული მიზანდასახულებისა, მიუხედავად სლავი ხალხის რუსეთის იმპერიის მფლობელობაში მოქცევის ზრახვებისა, თავისთავად პანსლავიზმის რეაქციული შინაარსისა, რუსეთის ცარიზმის ღონისძიებებს ბალკანეთის სლავი ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებაში ობიექტურად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდათ და როგორც შემდეგ, XIX საუკ. მანძილზე ბალკანეთში ცარიზმის პოლიტიკის შედეგებიდან ვნახავთ, რუსეთმა შეასრულა გადამწყვეტი როლი ბალკანეთში თურქეთის დესპოტიზმის დამსხვრევაში.

ჩვენ ზევით უკვე დავახასიათეთ ნაპოლეონის იმპერია და ვიცით, რომ იგი წარმოადგენდა იარაღით შეკოწიწებულ პოლიტიკურ ერთეულს, სადაც ყველაფერი დამორჩილებული იყო საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებისადმი. ნაპოლეონის ძალაუფლების ქვეშ არც ავსტრიას, არც პრუსიას, არც იტალიას, არც ესპანეთს და არც ევროპის სხვა პატარა სახელმწიფოებს არ ჰქონდათ საშუალება ეროვნული ინტერესების დაცვისა. მათი განვითარების ბუნებრივი გზა დახშული იყო. თითოეული ამ ქვეყნის საკუთარი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესები ნაპოლეონის მახვილით დამორჩილებული იყო საფრანგეთის მმართველი ზედაფენის ინტერესებისადმი. თითოეულ ამ ქვეყანაში იმ დროს მიმდინარეობდა ფარული თუ აშკარა ბრძოლა ნაპოლეონის უღლისაგან გათავისუფლებისათვის. ამ ბრძოლას სათავეში ედგნენ და წარ-

მართავდნენ იმ დროისათვის პროგრესული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ელემენტები. მაგრამ მებრძოლი ძალები სუსტი იყვნენ. ნაპოლეონის მკაცრი რეპრესიების ვითარებაში მათ მხრების გაშლა არ შეეძლოთ. სწორედ ამიტომ იყო საჭირო გარეგანი ძალა, რომელიც მხარს დაუჭერდა, დააჩქარებდა ნაპოლეონის იმპერიის დასამხობად და ევროპის სახელმწიფოთა გასათავისუფლებლად დაწყებულ პროცესს ევროპაში. ამრიგად, რუსეთის არმია, სდევნიდა რა ნაპოლეონს პარიზამდე და მუსრავდა რა მის ძლიერებას, ამით, იგი რუსეთის მომავალი უმიშროების უზრუნველყოფასთან ერთად ასრულებდა ერთგვარად ევროპის პროგრესული ძალების მძლავრი მოკავშირის მისიას, სულერთია, შედიოდა თუ არა ეს ცარზმის სუბიექტურ გეგმებში.

ევროპაში ლაშქრობის საკითხში ზოგიერთ ნაშრომში ყალბადაა გაგებული მ. ი. კუტუზოვის პოზიცია და ვითარება ისეა დახატული, თითქოს იგი წინააღმდეგი იყო სახელმწიფო საზღვრების გადალახვისა და მტრის დადევნებისა ევროპის ასპარეზზე. არც ესაა მართალი.

კუტუზოვი მშვენივრად იცნობდა 1813 წლის მიწურულისათვის შექმნილ ვითარებას. მან იცოდა, რომ ომი ჯერ კიდევ წინაა და საჭიროა მისთვის მომზადება, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის არმიას ევროპის ვრცელ კომუნიკაციებზე შეიძლება ის ბედი სწვეოდა, რაც ეწვია ნაპოლეონის ჯარებს რუსეთში. ხანგრძლივი ლაშქრობით მოქანცული, განუწყვეტელი ბრძოლებისაგან შემეჩხრებული არმია, რომლის მომარაგება არ იყო ორგანიზებული, პირველ რიგში, შესვენებას და შევსებას საჭიროებდა. კუტუზოვმა იცოდა, რომ ნაპოლეონი ახლა მთელ თავის ძალებს დასჭიმავდა და დიდ რეზერვებს მოუყრიდა თავს. ევროპის სიღრმეში შეჭრა, კომუნიკაციების გაჭიმვა რეზერვების გარეშე მას დამღუპველად მიაჩნდა. ამიტომაც სახელმწიფო საზღვართან ხანმოკლე შესვენებას მოითხოვდა.

მ. ი. კუტუზოვი რუსეთის მაშინდელ მმართველ წრეებზე მაღლა იდგა არა მარტო როგორც სარდალი, არამედ როგორც დიპლომატიც. იგი სრულებითაც არ აქცევდა ყურადღებას, მაგალი-

თად, ინგლისის ელჩის ვილსონის „რჩევებს“, რადგან იგი რუსეთის ინტერესებს არ უპასუხებდა. კუტუზოვმა იცოდა, რომ ნაპოლეონი აშკარა მტერი იყო რუსეთისა, ინგლისი კი — ფარული, ინგლისი ცდილობდა ნაპოლეონი რუსეთის ხელით დაეტყვევებინა. ვილსონი შიშობდა, რომ კუტუზოვის აუჩქარებლობას შეეძლო დაეღუპა ინგლისის მდგომარეობა, მაგრამ სრულებითაც არ უწევდა ანგარიშს რუსეთის არმიის მდგომარეობას. მას არ აღელვებდა რუსი ჯარისკაცის ზედმეტად დაღვრილი სისხლი. კუტუზოვი იმასაც ხედავდა, რომ ნაპოლეონის იძულებითი მოკავშირენი — პრუსია და ავსტრია — პოზიციას იცვლიდნენ და ახლა რუსეთის მხარეზე გადმოსვლისათვის ემზადებოდნენ. ეს გააადვილებდა ნაპოლეონის გახადგურებას. კუტუზოვმა როგორც აკადემიკოსი ე. ტარლე შენიშნავს „გეხიალურად განსჭვრიტა ლუცენის, ბაუცენის, დრეზდენის, მძიმე, სისხლიანი დღეები და ის, რომ მოკავშირეები 1813 წლის შემოდგომამდე ან ძალიან ცოტას დაეხმარებიან რუსეთის არმიას, როგორც მაგალითად პრუსია და შვედეთის კრონ პრინცი ბერნადოტი, ან არც კი გამოუცხადებენ ომს ნაპოლეონს, როგორც ავსტრია, რომელმაც მხოლოდ აგვისტოში გადადგა ეს ნაბიჯი, ან როგორც ინგლისი, რომელიც ატყუებდა თავის რუს მოკავშირეებს“. ამრიგად, კუტუზოვი ალექსანდრე პირველზე და მის ოფიციალურ დიპლომატებზე უკეთ გრძნობდა, რომ ნაპოლეონის საფრთხის საბოლოო ლიკვიდაცია შესაძლებელია არა ნემანზე, არამედ სენასთან, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელებისათვის საჭირო იყო სათანადო სამხედრო და დიპლომატიური მომზადება.

1813 წლის 1 იანვარს რუსეთის არმიამ გადალახა სახელმწიფო საზღვარი და დაიწყო მტერზე შეტევა სამი მიმართულებით: ვიტგენშტეინისა და პლატოვის ჯარები მარიენვერდენისა და დანციგის მიმართულებით დაიძრნენ; ჩიჩაგოვი, რომელიც ცენტრში იმყოფებოდა, ტორნასკენ მიიწევდა. მარცხენა ფლანგზე მიემართებოდა მთავარი არმია — პოლოცკისა და ვარშავის მიმართულებით. ვისლას შემდეგ მნიშვნელოვან ზღუ-

დეს ოდერი წარმოადგენდა, რომლის ფორსირებას საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა პრუსიის პოზიცია — დარჩებოდა იგი წინანდელ მბრძანებელთან, თუ შეუერთდებოდა რუსეთის შემტევ არმიას. მართლაც, პრუსიამ ოფიციალურად გამოაცხადა საფრანგეთთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა და სულ მალე რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება დასდო.

რუსეთის სარდლობამ კუტუზოვის მეთაურობით შესანიშნავად განახორციელა ოდერის გადალახვის და ბერლინის დაკავების ოპერაცია. ბერლინს მოჰყვა ბრესლავლი, დრეზდენი, და გერმანიის სხვა ქალაქები ელბას ზღუდემდე. ყველა ეს ოპერაცია კუტუზოვის მიერ დიდი ოსტატობით იყო მოფიქრებული. კუტუზოვი თავს იკავებდა სილრმეში მეტისმეტი სწრაფი გაჭრისაგან, რომ მეწინავენი რეზერვებს არ მოწყვეტილიყვნენ. მისი ნელი მოქმედების შესახებ სასახლის ბევრი თავქარიანი გენერალი საყვედურობდა; მაგრამ კუტუზოვი ყურს არ უგდებდა მათ. — ნება მომეცით, მე ერთხელ კიდევ გავიმეორო ჩემი თვალსაზრისი ჩვენი წინსვლის სისწრაფის შესახებ, — ეუბნებოდა კუტუზოვი ერთერთ ასეთ მრჩეველს, — მე ვიცი, რომ მთელ გერმანიაში თითოეული პატარა ინდივიდუმი თავის თავს ნებას აძლევს იყვიროს ჩვენი აუჩქარებლობის შესახებ. თვლიან, რომ ყოველი მოძრაობა წინ გამარჯვების თანაბარმნიშვნელოვანია, ხოლო ყოველი დაკარგული დღე არის დამარცხება. მე დაკისრებული მოვალეობა მავალდებულებს ავწონო თითოეული ოპერაცია, მე ზუსტად უნდა გავითვალისწინო ელბადან ჩვენ რეზერვებამდე არსებული მანძილი და მტრის უკვე შეკრებილი ძალები, რომელთაც შესაძლებელია ჩვენ შევხვდეთ ან ამ ან იმ სიმაღლეზე. მე უნდა შევუფარდო სწრაფი წინსვლის პერიოდში ჩვენი პროგრესული დასუსტება ჩვენი რესურსებიდან თანდათანობით მეტი მანძილით დაცილებას... დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენი ერთი რომელიმე კორპუსის დამარცხება მოსპობს იმ პრესტიჟს, რომლითაც გერმანიაში ვსარგებლობთო.

გერმახიის მოსახლეობა აღფრთოვანებით ხვდებოდა რუსეთის არმიას. კუტუზოვის ეტლს გერმანიის გზაზე შიაცილებდა

ხალხის აღტაცებული შეძახილები და ტაში. კუტუზოვისაგან დიდად დავალებული პრუსიის მეფე მას ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდა. კუტუზოვის სახელი და დიდება ქუხდა ევროპაში, მაგრამ მოხუცი ფელდმარშალის დღეები უკვე დათვლილი იყო. 1813 წლის 16 აპრილს იგი გარდაიცვალა ბუნცლაუში.

1813 წლის ზაფხულის კამპანიაში ნაპოლეონმა არა ერთგზის მოიპოვა გამარჯვება. მან იარაღქვეშ დააყენა რა 200 ათასზე მეტი არმია, რუსეთისა და პრუსიის ძალებს მარცხი მიაყენა ლუცენთან. ამ ბრძოლაში მოკავშირეებმა 20 ათასზე მეტი კაცი დაჰკარგეს და დასტოვეს თავიანთი პოზიციები. მაგრამ 1813 წლის აგვისტოში რუსეთ-პრუსიის ბანაკში გადმოვიდა ავსტრიაც, რომელიც მანამ ვაჭრობას ეწეოდა ნაპოლეონთან და ვერ მორიგდა. მოკავშირეებს შეუერთდნენ აგრეთვე წვრილი გერმანული სახელმწიფოები. მათი ძალები გაიზარდა, რეზერვები გადიდდა. ახლა ნაპოლეონთან მებრძოლი არმიის რაოდენობა მილიონამდე ავიდა, მაშინ, როცა ნაპოლეონის რეზერვები ილეოდა და მისი ძალები თანდათან დნებოდა.

მიუხედავად ამისა, ზაფხულის კამპანიაში ნაპოლეონმა მოკავშირეებს ერთხელ კიდევ სასტიკი მარცხი აგემა. ეს იყო აგვისტოში დრეზდენთან. ნაპოლეონის ამ გამარჯვებამ მწარედ დააფიქრა ავსტრიელი დიპლომატები — ხომ არ იჩქარეს მათ პოზიციის შეცვლა. მაგრამ დრეზდენს ბალე მოჰყვა კულმის პრძოლა, სადაც მოკავშირეებმა მდგომარეობა გამოისწორეს და რუსეთის მოკავშირენიც დამშვიდდნენ.

მიუხედავად ზაფხულში ზოგიერთი წარმატებისა, ნაპოლეონის მდგომარეობა უიმედო იყო. მისი რეზერვები ილეოდა, საფრანგეთში მღელვარება მატულობდა უკიდურესი დაძაბულობის გამო. 1813 წლის შემოდგომის კამპანიებში უკვე იჩინა თავი ნაპოლეონის ძალების სისუსტემ. მისმა მხედართმთავრულმა ტალანტმა ვერ უზრუნველჰყო მოწინააღმდეგის ძალთა უპირატესობის კომპენსირება.

მთელ ამ კამპანიაში უდიდესი მასშტაბის ბრძოლა მოკავშირეებისა და ნაპოლეონის არმიებს შორის 1813 წლის 4-6

ოქტომბერს მოხდა ლაიპციგთან. ისტორიაში ეს ბრძოლა ცნობილია „ხალხთა ბრძოლის“ სახელწოდებით. ბრძოლა ნაპოლეონის უპირატესობით დაიწყო, მან პირველ დღეებში გაცილებით ნაკლები დანაკლისი განიცადა, მაგრამ ყველაფერი რეზერვებმა გადაწყვიტეს. ნაპოლეონს, რომელსაც ბრძოლის ველზე პირველ დღეს 155 ათასი მეომარი ჰყავდა, გადამწყვეტ ჟამს მხოლოდ 15 ათასი სარეზერვო მეომარი მოუვიდა, მოკავშირეებს კი ჰყავდათ რა ბრძოლის ველზე 220 ათასი, მოუვიდა 110 ათასი სარეზერვო მეომარი. გადამწყვეტი შეჯახება 6 ოქტომბერს მოხდა. ნაპოლეონმა ძალთა სიმცირის ვითარებაში იგი წააგო და განაგრძო უკანდახევა. მართალია ბრძოლაში ნაპოლეონის დანაკარგი ნაკლები იყო, ვიდრე მოკავშირეების (60 ათასი ნაპოლეონისა, 65 ათასი მოკავშირეებისა), მაგრამ ის დანაკარგი ძვირად არ უღირდათ მოკავშირეებს, ნაპოლეონისათვის კი იგი საბედისწერო იყო.

ლაიპციგის ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონის იმპერიის მსხვრევა დასრულდა. მას საბოლოოდ ჩამოსცილდნენ მოკავშირეები მცირე გერმანულ სახელმწიფოებიდან. უღალატა მისმა ყოფილმა მარშალმა — მიურატმა, ნეაპოლის მეფემ. დაეცა ვესტფალიის სამეფო, ხოლო ჟერომი — ვესტფალიის მეფე გაიქცა. მხოლოდ საფრანგეთი შემორჩა, მაგრამ ლაიპციგის შემდეგ მოკავშირეებმა გადალახეს რაინი და საფრანგეთის ტერიტორიაზეც შეიჭრნენ.

მთელ ამ კამპანიაში ნემანიდან პარიზამდე რუსეთის არმია წარმოადგენდა ძირითად ძალას, „ცენტრალურ ბირთვს“ — როგორც ამაზე მიუთითებდა ფ. ენგელსი. რუსეთის ჯარები ყველა ბრძოლაში ცენტრალურ პოზიციაზე იდგნენ. მართალია, მ. კუტუზოვის გარდაცვალების შემდეგ მთავარსარდლობა რუსეთის არმიისა ვერ ბრწყინავდა (ვიტგენშტეინი), მაგრამ შესანიშნავი ოსტატობა რუსი გენერლებისა, რომლებიც ახლა ნაპოლეონის ტაქტიკას და ბრძოლის ხერხებს შესანიშნავად ფლობდნენ, ფარავდა ამ დიდ დანაკლისს არმიაში.

რაინის გადალახვის შემდეგ მოკავშირეებმა კურსი პირდაპირ პარიზზე აიღეს. ომის პარიზში დასრულებას ალექსანდრე

პირველს ურჩევდა ნაპოლეონის საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი. ამ გაქნილმა დიპლომატმა ადრევე უღალატა ნაპოლეონს და რუსეთის მეფესთან ფარული კავშირი ჰქონდა. რუსმა კაზაკებმა, ამავე დროს, ხელთ იგდეს ნაპოლეონისადმი მარია ლუიზას წერილი, სადაც ლაპარაკი იყო პარიზში შექმნილი სავალალო მდგომარეობის შესახებ. ნაპოლეონს მართლაც აღარ აღმოაჩნდა მისი უკანასკნელი თავშესაფარის — საფრანგეთის დედაქალაქ პარიზის დაცვის საშუალება. 1814 წლის 18 მარტს მასში მოკავშირეები შევიდნენ.

ნაპოლეონი გადადგა. მოკავშირეებმა იგი კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. საფრანგეთში აღდგა ბურბონების ძალაუფლება. ეს იყო რუსეთის ცარიზმის, პრუსიისა და ავსტრიის მონარქების, ინგლისის მმართველი წრეების უკიდურესი რეაქციული კურსის გამოხატულება. აღადგინეს რა „წესრიგი“ ევროპაში, გამარჯვებულები ახლა მიუსხდნენ მაგიდას ნადავლის გასაყოფად. ამ მიზნით შეიკრიბა კონგრესი ვენაში 1814 წელს.

1814 წლის სექტემბერში ვენაში შეიკრიბა ევროპის სახელმწიფოთა 216 წარმომადგენელი (თურქეთის გარდა). წამყვანი მდგომარეობა კონგრესზე ეკავა რუსეთს, რომელმაც ნაპოლეონის განადგურებაში ძირითადი როლი შეასრულა. რუსეთის იმპერატორთან ერთად აქვე იყვნენ პრუსიის მეფე და ავსტრიის იმპერატორი. მცირე ქვეყნების წარმომადგენლები რაიმე არსებით როლს არ ასრულებდნენ. მნიშვნელოვანი საკითხები უმთავრესად არაოფიციალური შეხვედრების დროს წყდებოდა, ხოლო ძირითადი დრო ზეიმს, ბალ-მასკარადებს ეთმობოდა (ამიტომაც მას „მოცეკვავე კონგრესს“ უწოდებდნენ).

კონგრესის ძირითად ამოცანად მის რეაქციონერ მესვეურებს მიაჩნდათ ევროპის სახელმწიფოებში ძველი, ფეოდალური რეჟიმის რესტავრაცია, ევროპის ნაპოლეონამდელი რუკის აღდგენა, ბონაპარტისტული რეჟიმის განმეორების ცდის წინააღმდეგ წინასწარ ღონისძიებათა დასახვა და იმ სახელმწიფო-

თა პრეტენზიების დაკმაყოფილება, რომლებიც ომში გამარ-ჯვებულნი გამოვიდნენ.

კონგრესზე ბურბონული საფრანგეთის წარმომადგენელი იყო ტალეირანი, რომელმაც აქ წამოაყენა ე. წ. ლეგიტიმიზმის პრინციპი, რომლის ძირითადი შინაარსი ჟდგომარეობდა ევ-როპის აღდგენაში იმ სახით, როგორათაც იგი 1792 წლამდე, ე. ი. რევოლუციურ ეპოქამდე გამოიყურებოდა. ცბიერი ტა-ლეირანი ამ პრინციპის განხორციელების შემთხვევაში უზ-რუნველყოფდა არა მარტო საფრანგეთის ტერიტორიის მთლი-ანობას, რის შენარჩუნებაც მას არმიის საშუალებით არ შეეძ-ლო, არამედ აღწევდა რუსეთის და პრუსიის ტერიტორიული პრეტენზიების ალაგმვასაც. ეს ნიშნავდა, რომ ალექსანდრე I უარი უნდა ეთქვა პოლონეთზე, რომელიც მას 1792 წლამდე არ ეკუთვნოდა, ხოლო პრუსიას საქსონიაზე.

პოლონეთისა და საქსონიის საკითხი ვენის კონგრესზე ცხარე მსჯელობის, სახელმწიფოთა დაჯგუფებების, მათი ფა-რული მტრობის გაღვივების ერთერთ მთავარ მიზეზს წარმო-ადგენდა. ავსტრიისა და ინგლისის ინტერესებში არ შედიოდა რუსეთის და პრუსიის გაძლიერება. ამიტომ ისინი ალექსანდრე პირველისა და ფრიდრიხ ვილჰელმის პრეტენზიებს ყოველ-მხრივ ხელს უშლიდნენ. 1815 წ. იანვარში ინგლისმა, საფ-რანგეთმა და ავსტრიამ შეჰკრეს სამხედრო კავშირი რუსეთის და პრუსიის წინააღმდეგ — არ დაეშვათ ამ სახელმწიფოთა მიერ საპრეტენზიო მიწა-წყლის მთლიანი მიტაცება.

რუსეთი იძულებული შეიქმნა ხელი აეღო მთლიან პოლო-ნეთზე. პოლონეთი გაყოფილ იქნა. მისი დასავლეთი ნაწილი ე. წ. პოზნანის საჰერცოგო პრუსიას გადაეცა. ავსტრიამ მიი-ღო ზოგიერთი სამხრეთი ტერიტორია, რუსეთს კი დარჩა ვარ-შავის საჰერცოგოს ნაწილი ე. წ. პოლონეთის სამეფო. მოგ-ვარდა საქსონიის საკითხიც: პრუსიას გადაეცა მისი ჩრდილოე-თი ნაწილი, ხოლო დანარჩენი დამოუკიდებელ სამეფოდ გა-მოცხადდა. პრუსიას გადაეცა აგრეთვე რაინის პროვინცია და

ვესტფალია. პოლონეთის ამ მეოთხე დანაწილების შემდეგ მხოლოდ კრაკოვში შეიქმნა პატარა საქალაქო დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

ევროპის გაყოფა ჯერ კიდევ დამთავრებული არ ყოფილა, რომ მონარქებს თავზარი დასცა ისტორიის სცენაზე ნაპოლეონის ხელახლად გამოჩენამ. ელბას კუნძულზე გადასახლებულმა ნაპოლეონმა, რომელიც ვენის კონგრესის შინაგანი განხეთქილებისა და საფრანგეთში ბურბონების უკიდურესი რეაქციული პოლიტიკის შედეგებზე მშვენივრად იყო ინფორმირებული, ვითარება ხელსაყრელად ჩასთვალა რათა საიმპერატორო ტახტი დაებრუნებინა. ელბას კუნძული ნაპოლეონმა მცირე მხლებლებით დასტოვა 1815 წლის თებერვლის ბოლოს, ხოლო მარტის 20-სთვის როგორც იმპერატორი ტრიუმფით შევიდა პარიზში.

ისტორიაში ამ გაუგონარმა შემთხვევამ ევროპის რეაქციონერი მონარქები დააფრთხო. ევროპაში ხელახლა იწყებოდა ხალხთა დიდი ომი. ვენის კონგრესის მონაწილენი სწრაფად შეთანხმდნენ სადაო საკითხებზე.

ნაპოლეონი კანონგარეშე გამოაცხადეს. მის წინააღმდეგ მოკავშირეებმა მიმართეს მთელი თავიანთი ძალები და შესაძლებლობანი. 6 ივნისს ვატერლოოსთან ბრძოლაში ნაპოლეონმა საბოლოო მარცხი განიცადა. იგი დაატყვევეს და გადაასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც 1821 წელს გარდაიცვალა.

1815 წლის 28 მაისს ვატერლოოს ბრძოლამდე რუსეთმა ხელი მოაწერა ვენის კონგრესის დასკვნით აქტს. ამ აქტით ევროპის პოლიტიკური რუკა ასე დაზუსტდა: საფრანგეთი 1792 წლის საზღვრებში იქნა მოქცეული. ინგლისმა მიიღო მალტა და იონიის კუნძულები და ამრიგად ხმელთაშუა ზღვაზე განიმტკიცა თავისი პოზიციები. ჰოლანდია და ბელგია გააერთიანეს. პრუსიამ მიიღო საქსონიის ტერიტორიის ორიმეხუთედი, რაინის პროვინცია და პომერანია; რუსეთმა — ლომის წილი — პოლონეთის სამეფო. ავსტრიას ერგო ვენეცია, ლომბარდია, ილირიის პროვინციები. შვეიცარიას მიეცა ნორვეგია,

რომელიც ჩამოართვეს დანიას, როგორც ნაპოლეონის მოკავშირეს.

ვენის კონგრესი, რომელმაც ევროპაში თავის უფლებებში აღადგინა ევროპაში დამხობილი დინასტიები, მთლიანად გაჟღენთილი იყო რეაქციული სულისკვეთებით და ებრძოდა იმ ახალსა და პროგრესულს, რომელიც ევროპაში დამყაყებული ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ წამოიზარდა და განმტკიცდა. ეს მისწრაფება ნათლად გამომჟღავნდა ე. წ. საღვთო კავშირის შექმნაში. ამ კავშირს საფუძველი ვენის კონგრესზე ჩაეყარა და საბოლოოდ გაფორმდა 1815 წლის სექტემბერში. საღვთო კავშირში შევიდნენ რუსეთი, ავსტრია, პრუსია, საფრანგეთი. შემდეგ მათ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ.

საღვთო კავშირი გამოვიდა დეკლარაციით, რომელიც რელიგიურ-მისტიკური ფრაზეოლოგიის ქვეშ ევროპაში რეაქციული მონარქიული რეჟიმის შემონახვა-განმტკიცებას გულისხმობდა. საღვთო კავშირის მონაწილე მონარქები „ქრისტიანული ძმობის“, ქრისტიანული ოჯახის საბაბით ერთმანეთს აღუთქვამდნენ დახმარებასა და მხარდაჭერას რაიმე საშინაო ან საგარეო გართულების შემთხვევაში. ქრისტიანული ფრაზეოლოგიის ქვეშ დაფარული რეაქციული ზრახვები ასეთი იყო: საღვთო კავშირი გაერთიანებული ფრონტით უცხადებდა ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ევროპაში მძლავრად იწყებდა აზვირთებას ნაპოლეონის მონარქიის დამხობის შემდეგ. იგი ჰქმნიდა ერთიან ფრონტს რევოლუციის წინააღმდეგ, რეაქციის დასაცავად. ამ დაწესებულების მთავარი სულისჩამდგმელი და წამყვანი ძალა იყო რუსეთის ცარიზმი. ამ აქტით მან ისტორიაში სამართლიანად დაიმკვიდრა სახელი ევროპის ჟანდარმისა, რომელსაც თავისი შეჯავშნული მუშტი მუდამ მზად ჰქონდა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წასახრჩობად.

მაგრამ რეაქციის ასეთი კოალიციური ღონისძიებანი უძლური იყო შეეკავებინა ტალღები იმ მძლავრი დემოკრატიული მოძრაობისა, რომლის ჯებირები ნაპოლეონის ევროპული იმპერიის დამარცხებამ გახსნა. ევროპაში ნაციონალური რევოლუციების ხანა იწყებოდა, ხოლო თვით რუსეთში ცარიზმის წინააღმდეგ ღვივდებოდა ფართო ხანძარი[1].

---

[1]. ამ ომში მონაწილე ქართველი მხედრების შესახებ იხ. ი. გ. ანთელავა. „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში". თბილისი, 1962 წ. ტრ. რუხაძე „ქართველი მხედრები 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში". თბ., 1942 წ.

თავი V

ცარიზმის საგარეო და საშინაო პოლიტიკა 1812-1825 წლებში

ცარიზმი ევროპის ჟანდარმი

ნაპოლეონის მონარქიის დაცემის შემდეგ ევროპის საერთაშორისო ვითარება მოკლედ ასე ხასიათდება:

ევროპაში გაბატონებულია ფეოდალურ-არისტოკრატიული რეაქცია. ვენის კონგრესმა და საღვთო კავშირმა, რომლის აქტიური წევრები იყვნენ პრუსია, ავსტრია, ხოლო პირველი ორგანიზატორი რუსეთის მონარქია, ევროპის ხალხებს წაართვეს ნაპოლეონის აგრესიულ იმპერიაზე გამარჯვების ნაყოფი. საღვთო კავშირმა მიზნად დაისახა ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება და აღდგენა ყოველივე იმისა, რაც უკვე დაამსხვრია და დაასამარა საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელმაც ევროპაში ფეოდალური აბსოლუტიზმის საერთო ნგრევის ეპოქა დაიწყო.

რეაქციის მესვეურები ასპარეზზე მართალია ქრისტიანული ძმობისა და ერთობის დეკლარაციით გამოდიან, მაგრამ სინამდვილეში მათ შორის შეურიგებელი წინააღმდეგობანი მწიფდება. ამ შინაგანმა წინააღმდეგობებმა თავი იჩინეს საღვთო კავშირის საქმიანობის პირველ ანუ ყველაზე აქტიურ პერიოდში, ხოლო შემდეგ გარდუვალი გახდნენ.

ავსტრიის კანცლერ მეტერნიხს, გაქნილ დიპლომატს, რომელიც საღვთო კავშირის პრაქტიკულ საქმეებს განაგებდა, შიშის ზარს გვრიდა მომავალი რევოლუცია, რომელიც ავსტრიის შეკოწიწებულ იმპერიას დაშლით ემუქრებოდა. მაგრამ მისთვის არანაკლებ საშიში იყო რუსეთის მონარქი, რომლის

პოლიტიკური წონა ევროპაში 1812 წლის ომის შემდეგ მეტისმეტად გაიზარდა. ავსტრიელ დიპლომატებისათვის კარგად იყო ცნობილი რუსეთის სწრაფვა ბალკანეთში და სრუტეებისაკენ. ბერძნებისა და ბალკანეთის სლავი ხალხებისადმი მხარდაჭერით რუსეთი მტკიცე პოზიციას იკავებდა ავსტრიის სამხრეთით, რაც ავსტრიის მრავალეროვან იმპერიისათვის სასიკვდილო საფრთხეს ქმნიდა. მეტერნიხი, პანიკურად ეშინოდა რა რუსეთისა, ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ შეეზღუდა ამიერიდან რუსეთის მონაწილეობა ევროპის საქმეებში, ჩაეყენებინა იგი თავის ყალიბში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის რეაქციული მუშტი აღელვებული ევროპის დასაწყნარებლად მასაც პირველ მხსნელ საშუალებად მიაჩნდა.

რუსეთის მონარქისა არანაკლებ ეშინოდა პრუსიას. ფრიდრიხ ვილჰელმ მესამეს შიშს გვრიდა აგრეთვე რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება. ინგლისი, რომელმაც სხვისი ხელებით უკვე მოიმკო სასურველი გამარჯვება, ახლა თავის ღონისძიებებს მიმართავდა ევროპაში პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნებისათვის. მართალია იგი არ ყოფილა საღვთო კავშირის ოფიციალური წევრი, მაგრამ მონარქთა რეაქციულ ღონისძიებებს სავსებით თანაუგრძნობდა. ინგლისის მმართველ წრეებს შიშს გვრიდა მხოლოდ რუსეთის გაძლიერება და ყველა ღონისძიებას — ფარულსა და აშკარას იქეთკენ მიმართავდა, რომ რუსეთის შემდგომი პრეტენზიები ახლო აღმოსავლეთში შეეკავა. ამავე დროს ცენტრალურ ევროპაში მისი გავლენა შეესუსტებინა.

რუსეთის მონარქიისათვის უცხო არყოფილა მისი ევროპელი კოლეგების განწყობილება. მან კარგად იცოდა, რომ რაიმე ზედმეტი გაბედული ნაბიჯ ქრისტიანულ აღთქმას ფეხქვეშ გათელავდა და ევროპის სახელმწიფოებს მის წინააღმდეგ განაწყობდა. ამის ნათელი მაგალითი იყო მეტერნიხის მიერ 1814—1815 წელს რუსეთის ზურგს უკან ჩამოყალიბებული მტრული კოალიცია. მიუხედავად ამ შინაგანი წინააღმდეგობისა, ალექსანდრე პირველი თავგამოდებით ებღაუჭებოდა საღვთო კავშირს და თავის უპირველეს მისიად თვლიდა ევროპაში ფეოდალურ-არისტოკრატიული რეჟიმის განმტკიცებისა-

თვის ბრძოლას. როგორც ცნობილია, ალექსანდრემ 1818 წელს აახენის კონგრესზე წამოაყენა იდეა „საერთაშორისო მონარქიული არეოპაგისა", რომელიც სისტემატურად უნდა შეკრებილიყო და განეხილა იდეოლოგიური და პოლიტიკური საკითხები, მოეხდინა რეაქციის საერთო ევროპული ძალების კოორდინაცია. ეს წინადადება ვერ განხორციელდა. ცბიერმა ინგლისელმა დიპლომატებმა — კისტრლიმ და ველინგტონმა მასში რუსეთის მეფის გავლენის ზრდის ახალი საშუალება დაინახეს. ფაქტი მაინც ფაქტად რჩებოდა — მეფის რუსეთი რეაქციის ამ საერთო პარპაშის ვითარებაში ავანგარდის როლს ასრულებდა. მალე რეაქციის ოთხეულს თანასწორუფლებიან წევრად შეუერთდა მონარქისტული საფრანგეთი, რომელმაც მოიხადა თავისი ვალდებულებანი და დაშვებულ იქნა საერთოევროპული საქმეების მართვის თანასწორ მონაწილედ. ოთხთა გამგებლობა (ტეტრარხია) ევროპაში ხუთთა გამგებლობით, ანუ „პენტარხიით" შეიცვალა.

მიუხედავად იმ შინაგანი წინააღმდეგობისა, რომელიც საღვთო კავშირს ახასიათებდა და თითოეული ქვეყნის რეალური ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებით იყო შეპირობებული, ეს დაწესებულება პირველ ეტაპზე (1815—1822 წლები) განსაკუთრებით აქტიურობდა და ცხოველ მონაწილეობას იღებდა იმ განმათავისუფლებელი ბრძოლების წინააღმდეგ, რომელთა მთელი სერია ევროპაში 1815 წლის შემდეგ დაიწყო.

1820 წელს ევროპის კონტინენტზე ერთდროულად მაგრამ სხვადასხვა პუნქტებში იფეთქა მძლავრმა რევოლუციურმა გამოსვლებმა. ესპანეთში დაიწყო დიდი სახალხო მოძრაობა. იტალიაში — „კარბონარები" ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში ჩადგნენ. მეფის რუსეთში დაიწყო უკმაყოფილება არმიაში, რაც ყველაზე მკვეთრად სემიონოვის პოლკის გამოსვლაში გამოიხატა.

1820 წელს მამაცი მეომრების პოდპოლკოვნიკ რიეგოს და პოლკოვნიკ კვიროგას მეთაურობით აჯანყდნენ ესპანელთა პოლკები, რომლებიც სამხრეთ ამერიკაში უნდა გაეგზავნათ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ესპანური კოლონიების

წინააღმდეგ. ეს მოძრაობა მრავალ პროვინციას მოედო. აჯანყებულთა მოთხოვნა — ინკვიზიციის მოსპობის, თავადაზნაურობისათვის გადასახადების გაწერის, მონასტრების დახურვის, მემამულეთა დიდი ლატიფუნდიების კონფისკაციის, 1812 წლის კონსტიტუციის აღდგენის და სხვ. შესახებ დიდად პოპულარული გახდა და მას ხალხთა მასებმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს. მთავრობა შეშინდა. ფერდინანდ VII-მ გაკეთა რიგი დათმობები. მან მოიწვია კორტესები, ხალხს მისცა კონსტიტუცია.

ესპანეთის ამბებმა გავლენა მოახდინეს იტალიაზე, სადაც ნაპოლეონის მკაცრი რეჟიმი კიდევ უფრო მკაცრმა ავსტრიის მონარქიულმა რეჟიმმა შესცვალა. იტალიაში თანდათან ღვივდებოდა ანტიფეოდალური მოძრაობა, რომელმაც 1820 წელს აშკარა ხასიათი მიიღო. პირველად აჯანყება ნეაპოლის სამეფოში დაიწყო. აჯანყებულთა რაზმმა გენერალ პეპეს მეთაურობით მოითხოვა კონსტიტუციის მიღება. მსგავსად ესპანეთისა, აჯანყება შემდეგ მოედო პიემონტს, სადაც კარბონარიებმა ბურჟუაზიულ რეფორმებთან ერთად მოითხოვეს იტალიის განთავისუფლება ავსტრიელთა ეროვნული ჩაგვრისაგან.

ესპანეთ-პორტუგალიისა და იტალიის ამბებს წინ უსწრებდა დემოკრატიული წრეების აშკარა უკმაყოფილება გერმანიის სახელმწიფოებში, სადაც აგრეთვე მოითხოვდნენ კონსტიტუციას.

ამრიგად, ევროპაში უკვე იჩინა თავი რევოლუციურმა კრიზისმა. პროგრესულმა საზოგადოებრივმა ძალებმა უკვე იარაღს მოჰკიდეს ხელი.

საღვთო კავშირი ფეხზე დადგა. ალექსანდრე პირველი, რომელსაც ამ დროს საკუთარ სახლშიც ვერ ჰქონდა საქმე დაწყობილი, ევროპაში რევოლუციური ხანძრის ახალ-ახალმა კერებმა კიდევ უფრო შეაშფოთა. არანაკლებ შეშფოთებულნი იყვნენ მეტერნიხი და რეაქციის სხვა მესვეურები ევროპაში. 1820 წელს შემოდგომაზე ტროპაუში შეიკრიბა საღვთო კავშირის კონგრესი (შემდეგ გადატანილ იქნა ქალ. ლაიბახში).

კონგრესზე საღვთო კავშირის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მიღწეულ იქნა შეთანხმება რევოლუციის ვითარებაში

ევროპის სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ. ეს შეთანხმება განმტკიცდა დეკლარაციით, რომელიც საღვთო კავშირს „უფლებას“ ანიჭებდა მოეწყო თავისი ძალების ინტერვენცია ყველგან, სადაც კი რევოლუცია დაიწყებოდა. კონგრესზე მეტერნიხი მთელი თავისი დიპლომატიური არსენალით იბრძოდა იმისთვის, რომ იტალიის პროვინციებში რევოლუციის ჩახშობის ეს „უფლება“ მხოლოდ და მხოლოდ ავსტრიას ჰქონოდა და რუსეთის საინტერვენციო ძალები არ დაეშვათ ამ მხარეში. მეტერნიხმა ამას მიაღწია. იტალიის რევოლუციის ჯალათის როლი თვით იკისრა და 1821 წელს განახორციელა ინტერვენცია იტალიაში, სისხლში ჩაახშო იტალიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლა.

ესპანეთის რევოლუციის ჩახშობის საკითხს მიეძღვნა საღვთო კავშირის მეორე კონგრესი, რომელიც 1822 წელს ვერონაში შეიკრიბა. კონგრესმა რევოლუციური ესპანეთის წინააღმდეგ ინტერვენცია დააკისრა საფრანგეთს, რომლის მმართველი მთავრობა ლუი XVIII სახით რეაქციის უერთგულესი დამცველი იყო. საფრანგეთის საინტერვენციო ძალებმა, რომელიც 100.000 კაცს შეიცავდა, რევოლუცია ესპანეთში დაამარცხეს და ფერდინანდ VII-ის თვითმპყრობელობა აღადგინეს. ამრიგად, საღვთო კავშირმა ახლაც შეასრულა თავისი მისია.

რუსეთის მონარქს საღვთო კავშირი მიაჩნდა ახლო აღმოსავლეთის საკითხში ახალი ნაბიჯების გადადგმის მოხერხებულ საშუალებად. ევროპის ქრისტიან მონარქთა ეს ძმური გაერთიანება ალექსანდრეს აზრით უნდა გამოსულიყო მუსლიმანური უღლის ქვეშ მყოფი სამხრეთევროპელი ხალხების მოსარჩლედ. საღვთო კავშირის საქმიანობის ამ მიმართულებით გაშლას ევროპელმა დიპლომატებმა მხარი არ დაუჭირეს. რუსეთის მონარქი კი, რომელიც ევროპაში თავს მტკიცედ გრძნობდა, სწორედ ახლა ხედავდა ყველაზე ხელსაყრელ ვითარებას ახლო აღმოსავლეთში გავლენის გაფართოებისათვის.

რუსეთში შესანიშნავად იცოდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხით რუსეთზე არა ნაკლებ დაინტერესებული იყვნენ ინგლისი, ავსტრია, საფრანგეთი. 1815 წლის შემდეგ საფრანგეთს საერთოდ აღარ გააჩნდა ახლო აღმოსავლეთში აქტიური

მოქმედების საშუალება. ინგლისს საკუთარი ძალებით ახლო-აღმოსავლეთისათვის ომი არ შეეძლო. ავსტრიასთან ანგარიშ-გასწორება შეიძლებოდა. ამით ხელმძღვანელობდა რუსეთის დიპლომატია, როცა 1816 წელს რუსეთის ელჩს ლონდონში გრაფ ლივენს აძლევდა ინსტრუქციას, რომ ახლო აღმოსავ-ლეთში რუსეთი არასოდეს არ დაუშვებს „უცხო სახელმწი-ფოს არც შუამავლობას, არც ჩარევას და არც მეგობრულ სამ-სახურს". ასე რომ ამ პერიოდიდან რუსეთი უკვე იწყებდა სამ-ზადისს აქტიური დამოუკიდებელი მოქმედებისათვის თურქე-თის წინააღმდეგ.

ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, რომ ბალკანეთში პოზიციების განსამტკიცებლად, შავი ზღვის სრუტეებზე გაბატონებისათვის რუსეთის ცარიზმს ყველაზე ხელსაყრელად მიაჩნდა თურქე-თის უღლის წინააღმდეგ ბალკანელი ხალხის ბრძოლის გამოყე-ნება. ობიექტურად, როგორც ვთქვით, ცარიზმის ეს მისწრა-ფება ეხმაურებოდა ბალკანეთის სლავთა ეროვნულ-განმათავი-სუფლებელ მოძრაობას. ამიტომ კონკრეტულად ცარიზმის ეს ცხოველი ინტერესი სლავი ხალხებისათვის ობიექტურად პრო-გრესულ ღონისძიებად გამოიყურებოდა.

ბალკანეთში მტკიცე საყრდენების შექმნას ისახავდა მიზ-ნად ალექსანდრე პირველის დამოკიდებულება საბერძნეთი-სადმი. საბერძნეთში სწორედ ამ ხანებში დაიწყო სამზადისი თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებისა, რაც 1821 წლიდან ფართო სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობად იქცა და მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო.

ნიშანდობლივია, რომ აჯანყების მომზადების ერთერთ კერას სწორედ რუსეთი წარმოადგენდა. რუსეთში, კერძოდ ოდესაში მოღვაწეობდნენ ბერძენთა სახალხო აჯანყების გმი-რები ალექსანდრე და დიმიტრი იპსილანტები. ალექსანდრეს-თან დაახლოებული პიროვნება და საგარეო საქმეთა მინისტ-რი იყო ბერძენი კაპოდისტრია, რომელიც შემდეგ საბერძნე-თის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა. ფაქტებით დადასტუ-რებულია, რომ რუსეთში აღვივებდნენ ბერძნების გამოსვლას, რუსეთი ენერგიულ მხარდაჭერას აღუთქვამდა მათ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოდესაში, კიშინიოვში და სამხრეთ

რუსეთის სხვა ზღვისპირა პუნქტებში ბერძნული ჰეტერიები ყალიბდებოდნენ.

მაგრამ საბერძნეთში სახალხო აჯანყება რუსეთის მონარქიისათვის არახელსაყრელ ვითარებაში დაიწყო. ეს იყო ევროპის სხვადასხვა პუნქტებში (ესპანეთში, იტალიაში) რევოლუციის მძლავრი კერების გაჩენის პერიოდი, როცა საღვთო კავშირის მთავარ საზრუნავად ამ კერების ჩაქრობა და მშვიდობისა და წესრიგის აღდგენა წარმოადგენდა.

ლაიბახის კონგრესზე ალექსანდრემ ვერ მოახერხა აშკარად დაეყენებინა საბერძნეთის საკითხი, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა საღვთო კავშირის პრინციპებს, კერძოდ ლეგიტიმიზს. რა ლოგიკა იქნებოდა რუსეთის მონარქის მხრივ ერთ და იმავე დროს უკანონოდ ჩაეთვალა აჯანყება იტალიაში და წაექეზებინა ავსტრია სისხლში ჩაეხშო ეს მოძრაობა, ხოლო მეორეს მხრივ წაექეზებინა ბერძნების მოძრაობა, რომლებიც მათი „კანონიერი მონარქის“ თურქეთის წინააღმდეგ აჯანყდნენ. ასეთი ულოგიკობა საბურველს ხდიდა რუსეთის მონარქის ნამდვილ მიზანდასახულობას. ამიტომ იყო, რომ ალექსანდრემ ლეგიტიმიზმის პრინციპების ერთგულებას შესწირა საბერძნეთის საკითხი და როცა, მაგალითად, ძმებმა იპსილანტებმა მას დახმარებისათვის მიმართეს, ალექსანდრემ ასეთი პასუხი გასცა: „არავითარ დახმარებას, არც პირდაპირს, არც არაპირდაპირს თქვენ იმპერატორისაგან ვერ მიიღებთ, რადგან ჩვენ ვიმეორებთ — რომ უღირსად მიგვაჩნია თურქეთის იმპერიის საფუძვლებს ძირი გამოეუთხაროთ საიდუმლო საზოგადოების სამარცხვინო და დანაშაულებრივი მოქმედებით. არც თქვენ, არც თქვენი ძმები ამიერიდან აღარ ირიცხებით რუსეთის სამსახურში და ვეღარასოდეს ვერ მიიღებთ რუსეთში დაბრუნების ნებართვას“. რამდენად გულწრფელად იყო ნათქვამი ეს სიტყვები, ამას ისიც მოწმობს, რომ იგი დაწერილი იყო ბერძენ კოპოდისტრიას მიერ, ცხადია რუსეთის იმპერატორის კარნახით. ალექსანდრე პირველი იცავდა თურქეთის უფლებას საბერძნეთზე! ამ შემთხვევაში იგი მსხვერპლს სწირავდა. ევროპის მონარქიული რეჟიმის დაცვისა და ავტორიტეტისათვის. ეს მსხვერპლი მას გამართლებულად მიაჩნდა.

ალექსანდრეს ასეთი განცხადება ევროპის დიპლომატებმა, პირველ რიგში მეტერნიხმა, მათ გამარჯვებად მიიჩნიეს. მაგრამ აღელდა რუსეთის პროგრესული საზოგადოებრიობა, რომელსაც გულწრფელად აწუხებდა ბედი გმირულად მებრძოლი ბერძენი ხალხისა და რცხვენოდა იმ როლისა, რომელიც რუსეთის ცარიზმმა გაითამაშა. პრესაში გამოჩნდა საზოგადოების ამ გულისწყრომის ამსახველი წერილები. მალე ჩახშობილ იქნა რევოლუცია ნეაპოლსა და პიემონტში და ალექსანდრემ ისევ შემოაბრუნა საბერძნეთის საკითხი. ახლა მან თურქეთს წაუყენა ულტიმატუმი (1821 წლ. ივნისში) რომლითაც მოსთხოვა ბერძენი ხალხისადმი ველური ანგარიშგასწორების შეწყვეტა. თურქეთმა უპასუხოდ დასტოვა რუსეთის ულტიმატუმი. ამას შედეგად დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა მოჰყვა.

თურქეთის ზურგს უკან დადგნენ ინგლისი და ავსტრია. მათ აგრძნობინეს რუსეთს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ რუსეთის მიერ თურქეთის დამარცხებას. სწორედ ამ ხანებში მეტერნიხი მთელ თავის დიპლომატურ არსენალს რუსეთის მეფის ახლო აღმოსავლეთის საკითხისაგან ჩამოცილებას ახმარდა და აშინებდა მას საერთო ევროპული ხანძრით. მეტად შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა პოლონეთიდან. ამ ვითარებაში ალექსანდრე პირველმა ვერ გაბედა დაეწყო მოქმედება თურქეთის წინააღმდეგ.

ვერონის კონგრესზე ავსტრიის, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ცოტა მუშაობა როდი ჩაატარეს ახლო აღმოსავლეთის საკითხში რუსეთის მიზანდასახულობის შესანელებლად. ესპანეთის რევოლუციის ჩახშობის პერიოდში წინ ისევ ლეგიტიმიზმის პრინციპი წამოიწია. ამიტომ იყო, რომ ავსტრიამ, რუსეთმა და პრუსიამ გამოაცხადეს, რომ ბერძენ აჯანყებულებს მეამბოხეებად თვლიან, რომლებმაც წამოიწყეს უკანონო ომი თავიანთი „კანონიერი ხელმწიფის" — თურქეთის სულთანის წინააღმდეგო.

„მე არასოდეს არ გამოვეყოფი მონარქებს — ჩემს მოკავშირეებს — სიამაყით აცხადებდა კონგრესზე ალექსანდრე. სა-

ჭიროა ხელმწიფეთა აშკარა კავშირი საიდუმლო საზოგადოებათა წინააღმდეგ“.

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე პირველმა ამ შემთხვევაშიც გასწირა საბერძნეთი, რომ ევროპის რევოლუციური ხანძრის ჩასახშობი ინსტრუმენტი — საღვთო კავშირი შეენარჩუნებინა. ასეთი ინსტრუმენტის არსებობა მემამულე-თავადაზნაურობის ინტერესების დამცველ მონარქს პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა. მაგრამ საღვთო კავშირს დიდხანს არსებობა აღარ ეწერა. მისი შინაგანი გამთიშველი ძალები თანდათან იზრდებოდნენ. ინგლისის მმართველი წრეები ფაქტიურად ჩამოშორდნენ ამ დაწესებულებას. გაუცივდა მისდამი ინტერესები მეტერნიხსაც. 1824 წელს პეტერბურგში საღვთო კავშირის მორიგი კონგრესის მოწვევის ცდა ფაქტიურად ჩაიშალა. რუსეთს სურდა აქ სპეციალურად დაეყენებინა ახლო აღმოსავლეთის პრობლემა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რუსეთის ამ ახალ დაინტერესებას მეტად გულგრილად შეხვდნენ. კონგრესის ჩაშლა ალექსანდრესათვის სერიოზული დარტყმა იყო. ამიერიდან მან გადაწყვიტა დამოუკიდებელი მოქმედება, მაგრამ მას პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. მალე რუსეთის იმპერატორი გარდაიცვალა.

ცარიზმის საშინაო პოლიტიკა 1814—1825 წლებში

არაკჩეევშჩინა. 1812 წლის ომი, მართალია, რუსეთისათვის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ თავისი შედეგებით ბატონყმურ-ფეოდალური მეურნეობისათვის მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა. ეს სიმძიმე კი ყველაზე მეტად ზურგზე დააწვა რუსეთის მშრომელ მასებს, რომლებიც ომის შემდეგ თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას მოელოდნენ.

ომმა შთანთქა დიდძალი ფინანსები. ფინანსთა მინისტრ გურევის ცნობით 1812 წლის ომის ხარჯები 157,5 მილიონ მანეთს შეადგენდა. ომმა გააერანა მთელი გზა ნემანიდან მოსკოვამდე, აურაცხელი მატერიალური ზარალი მიაყენა ფრონტისპირა გუბერნიებს და ისეთ მდიდარ ქალაქებს, როგორიც იყვნენ მოს-

კოვი და სმოლენსკი. ამას გარდა ომში მობილიზებულ იქნა რუსეთის ჯანსაღი მუშა-ხელის დიდი რაოდენობა (1 მილიონი რეკრუტი, 300 ათასი მოლაშქრე), რომელიც დიდიხნით მოსწყდა სოფლის მეურნეობას. ამ გაწვეულთა დიდი ნაწილი საერთოდ აღარ დაბრუნებია თავის ოჯახს, რადგან დიდი იყო მსხვერპლი რუსეთის არმიაში.

ყოველივე ამას ზედ დაერთო მოუსავლიანი წლები. გავერანებულ გუბერნიებში მოსახლეობა შიმშილობის წინაშე აღმოჩნდა. გაბატონებული კლასები გლეხობისაგან ძველებურად მოითხოვდნენ ღალა-ბეგრის შესრულებას. ფეოდალური თვითნებობა, საერთო რეაქციული კურსის პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა. გლეხობა კი, რომელიც ერთსულოვნად აღსდგა სამშობლოს დასაცავად და არსებითი როლი ითამაშა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლაში, მოტყუებული დარჩა. არ გამართლდა მისი მოლოდინი: — ომში დამსახურების აღსანიშნავად მთავრობის მხრივ შეღავათების დაწესების, ბატონყმური ექსპლოატაციის შემსუბუქების შესახებ. ომიდან დაბრუნებული გლეხი მოლაშქრე, რომლის მეურნეობა თითქოს განადგურებული იყო, იძულებული ხდებოდა უსიტყვოდ შეესრულებინა მთავრობის და მებატონის ყველა ვალდებულება.

მთავრობამ გლეხთა საკითხში არა თუ მიიღო რაიმე ღონისძიებანი მემამულე აზნაურთა თვითნებობის შეზღუდვისათვის, არამედ, პირიქით, წააქეზა კიდეც იგი. მაგალითად: 1815 წლამდე ფორმალურად ძალაში იყო 1754 წლის კანონი, რომლითაც მემამულეზე საბოლოოდ მიმაგრებულად ითვლებოდნენ ის გლეხები, რომლებიც მასთან მიწერილი იყვნენ პირველი და მეორე რევიზიის შედეგად. 1815 წ. 21 სექტემბერს გამოცემულ იქნა კანონი, რომლითაც ყველა გლეხი, რომლებიც მემამულეზე მიწერილი იყვნენ არა მარტო პირველი ორი, არამედ შემდგომი რევიზიების დროსაც, ითვლებოდნენ თავისუფლად გასვლის უფლებამოკლებულად და მტკიცედ უნდა ყოფილიყვნენ მიმაგრებული მემამულეზე.

1822 წელს ცარიზმმა მემამულეებს დაუბრუნა აგრეთვე

ძველი უფლება თავიანთი ყმების ციმბირში, საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნისა.

ამრიგად, რუსეთის მონარქი, რომელიც ევროპის რეაქციის ბურჯად ითვლებოდა, თავის საკუთარ ქვეყანაში ყველა ღონისძიებით ცდილობდა მონარქიული სახელმწიფოს ფეოდალურ ბატონყმური საფუძვლების — უკვე საკმაოდ ძირმომპალისა და შერყეულის — განმტკიცებას, და არავითარ ანგარიშს არ უწევდა რა ეპოქის მოთხოვნებს, თავისი პოლიტიკით აღვივებდა, ობიექტურად ხელს უწყობდა რევოლუციური კრიზისის მომწიფებას.

მთავრობის ახალი რეაქციული კურსის ურყევი და პრაქტიკული განხორციელება დაკავშირებულია არაკჩეევის სახელთან და მთელი ეს ეპოქაც, 1814—1825 წლამდე, ვიდრე სახელმწიფო საქმეებში პირველ კაცად არაკჩეევი ითვლებოდა, რუსეთის ისტორიაში აღიარებულია არაკჩეევშჩინად, რომლის შინაარსი გულისხმობს ბრძოლას ყოველივე ახლისა და პროგრესულის წინააღმდეგ, არსებული რეჟიმის დაცვას ყველა საშუალებებით, საზოგადოებრივი აზრის გაყინვას, რევოლუციური იდეების ამოძირკვისათვის თავგამოდებული ბრძოლის შიშველ უხეშობას, არაადამიანური ძალადობის გამოვლინებას პოლიტიკაში.

ალექსანდრე ანდრიას ძე არაკჩეევი (1769—1834) დაწინაურდა ჯერ კიდევ პავლე პირველის დროს, რომელიც მოხიბლული აღმოჩნდა მისი ერთგულებით. იგი გახდა ქალ. პეტერბურგის კომენდანტი, შემდეგ არტილერიის ინსპექტორი. ალექსანდრემ ადრე გაიცნო არაკჩეევი და მისი კმაყოფილი დარჩა. 1808 წელს არაკჩეევი სამხედრო მინისტრად დანიშნეს, 1810 წელს კი მას სახელმწიფო საბჭოს სამხედრო საქმეთა დეპარტამენტის უფროსობა ჩააბარეს.

მთელი ამ ხნის მანძილზე რუსეთის მონარქმა არაკჩეევში თავისი მამის მსგავსად, დაინახა „უმლიქვნელო და ერთგული“ პიროვნება, რომელსაც გააჩნდა აგრეთვე იმის უნარი, რომ აელაგმა ზოგიერთი მოლიბერალო სახელმწიფო მოხელის თვითნებობა. მას შემდეგ, რაც სამამულო ომი მოიგო და ევროპის საქმეებში დაიწყო ხელის ფათური, ალექსანდრეს სა-

შინაო საქმეების მართვისათვის დრო აღარ რჩებოდა. იგი დროის მეტ ნაწილს საზღვარგარეთ ატარებდა. ამ ვითარებაში „ყველა საქმის სული და გული“, იმპერატორის მიერ უსაზღვრო ნდობით აღჭურვილი პირი გახდა არაკჩეევი, რომელიც არავის წინაშე, გარდა იმპერატორისა, პასუხს არ აგებდა და მოქმედებდა მისი სახელით.

არაკჩეევი ბუნებით აუტანელი დესპოტი იყო. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მის მამულში — სოფ. გრუზინოში (ახლ. ვოლხოვზე) შემოღებული რეჟიმი. აქ მან ყმებისთვის დააწესა ყაზარმული, კატორღულზე უფრო მძიმე წესები, სადაც ყველაფერი ზუსტად უნდა შესრულებულიყო, ხოლო ბრძანებიდან მცირე გადახვევისათვის დაწესებული იყო უსასტიკესი სასჯელი. არაკჩეევის გამოგონება იყო მარილში გაჟღენთილი ჯოხი, რომლითაც იგი დამნაშავეებს ასჯევინებდა. არაკჩეევმა ხასად დაისვა ერთერთი საკუთარი მეეტლის ცოლი, რომელმაც სისასტიკეში გადააჭარბა თავის საყვარელს და უდიდესი სიამოვნების გრძნობით სჯიდა ფიზიკურად ყმებს, განსაკუთრებით ქალებს. მან ბრძანა მისი კანონიერი ქმარი ცეცხლში დაეწვათ. არაკჩეევის ხასა ასეთი სისასტიკის გამო სიცოცხლეს გამოასალმეს, ხოლო გაბოროტებულმა არაკჩეევმა შური იმით იძია, რომ სიკვდილით დაასჯევინა არა მარტო მკვლელი და მისი და, არამედ 22 შინამოსამსახურე, რომლებიც ამ ამბის მოწამენი იყვნენ.

არაკჩეევმა თავის თანამედროვეებში, სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანებში საშინელი ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურა. „წყეული გველი“, „გარეწარი“, „რუსეთში ყველაზე მავნე ადამიანი“ — ასეთი ეპიტეტებით იყო იგი შემკული, მაგრამ მისთვის ანგარიშგასწორებას ვერავინ ბედავდა. მისი ყველას პანიკურად ეშინოდა. ერთერთი თანამედროვე — ვიგელი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ „არაკჩეევი პირველად გამოყენებულ იქნა როგორც გამოსასწორებელი ღონისძიება არტილერიისათვის, შემდეგ როგორც არმიის სასჯელი, და, დაბოლოს, როგორც შურისძიება მთელ რუს ხალხზე“. არაკჩეევის უხეში, ბრიყვი, პატივმოყვარე, ბოროტი პიროვ-

ნება მშვენივრადაა დახასიათებული ა. პუშკინის ეპიგრამებში. მეტად გაბედულად დააახასიათა ბოროტი არაკჩეევის საქმიანობა მომავალმა დეკაბრისტმა კ. რილეევმა.

ვლაპარაკობთ რა არაკჩეევისა და არაკჩეევშჩინის შესახებ, ჩვენ არ უნდა შეგვექმნეს გადაჭარბებული წარმოდგენა ამ პიროვნებაზე. ნამდვილად იგი წარმოადგენდა არა რეაქციის შემოქმედს, არამედ მის პრაქტიკულ მოღვაწეს, ვითარების პროდუქტს. იგი და მისი თანამოაზრენი და უახლოესი თანაშემწენი — არქიეპისკოპოსი სერაფიმი, განათლების მინისტრი გოლიცინი, ყაზანის უნივერსიტეტის პოპეჩიტელი მაგნიცკი, შიშკოვი და სხვები მხოლოდ უნარიანი გამტარებლები იყვნენ იმ კურსისა, რომელიც ევროპის რეაქციულმა მონარქებმა და მათმა ძირითადმა დასაყრდენმა ალექსანდრე პირველმა აიღეს.

სამხედრო დასახლებანი

არაკჩეევის სახელთან რუსეთში დაკავშირებულია სამხედრო დაბების შემოღება. მართალია, არაკჩეევს ალექსანდრე პირველმა დააკისრა სამხედრო დაბების უფროსობა, მაგრამ ამ ინსტიტუტის რუსეთში შემოღების ინიციატორი თვით იყო. სამხედრო დაბები რეაქციის კურსის პირდაპირი შედეგი იყო. საჭიროდ მიგვაჩნია მისი უფრო დაწვრილებით დახასიათება.

სამხედრო დაბები ცარიზმის ის ერთერთი ღონისძიებათაგანი იყო, რომლითაც იგი ცდილობდა გადაერჩინა უკვე დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება და გამოსულიყო იმ მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური სიძნელეებიდან, რომელიც რუსეთს 1812 წლის ომის შემდეგ შეექმნა.

სამხედრო დასახლებანი რუსეთში წინადაც არსებობდა. პირველად იგი პეტრე I შემოიღო, თუმცა მას ,იმ დროისათვის სხვა დანიშნულება — საზღვრების დაცვა ჰქონდა დაკისრებული. 1810 წელს ალექსანდრემ განიზრახა სამხედრო დასახლებათა შემოღება რუსეთში. პირველ ასეთ ადგილად შერჩეულ იქნა კლიმოვიჩის მაზრა. მთავრობა საიდუმლოდ ახორციე-

ლებდა ამ ღონისძიებას. 1812 წლის აპრილში ამ მხრიდან 667 კომლი გასახლებულ იქნა ნოვოროსიისკის გუბერნიაში. გადასახლება მოხდა საიდუმლოდ და სწრაფად. გზაზე მრავალი დაიღუპა. გადასახლებულთა სახლკარი დაიკავა ელეცკის პოლკმა. პოლკში უმრავლესობა ცოლშვილიანი იყო. უცოლშვილონი სასწრაფოდ დააქორწინეს მეზობელი სოფლის გლეხების ქალიშვილებზე. ჯარისკაცებს მისცეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და დააკისრეს სამხედრო სამსახურთან ერთად სასოფლო-სამეურნეო სამუშაო.

ეს პირველი სამხედრო დაბა უდღეური აღმოჩნდა. ომმა იგი წარეცხა. ხარჯები აუნაზღაურებელი დარჩა. ომის შემდეგ რუსეთში სამხედრო დაბების მოწყობის იდეამ იმპერატორი ისევ გაიტაცა და არაკჩეევს მან დავალება მისცა შეედგინა მისი მოწყობის ახალი პროექტი. მონარქი ვარაუდობდა სამხედრო დაბების ფართოდ შემოღებას რუსეთში. ამ იდეის სარგებლიანობას თვითმპყრობელობა შემდეგი მოტივებით ხსნიდა:

1. ცარიზმს, რომელმაც არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში რევოლუციის მესაფლავის როლი იკისრა, სჭირდებოდა მრავალრიცხოვანი მზა არმია, არანაკლებ 1 მილიონისა, რომლის მობილიზაცია და შენახვა სახელმწიფოს ძალიან ძვირი უჯდებოდა. არმიის შევსებისათვის არსებული სარეკრუტო სისტემა მეურნეობას სწყვეტდა ყველაზე ჯანსაღ, შრომისუნარიან მუშახელს. ეს იწვევდა მემამულე თავადაზნაურთა უკმაყოფილებას, რომელთაც სასაქონლო პურის წარმოებისათვის რუტინული ტექნიკის პირობებში ყოველთვის სჭიროდათ და აკლდათ მუშახელი.

2. ომმა გამოაღვიძა რუსეთის გლეხობა, განამტკიცა მისი მისწრაფება თავისუფლებისადმი, ბატონყმობის მოსპობისადმი. ომის შემდეგ მოტყუებულმა ყმა გლეხობამ ისევ მოჰკიდა ხელი ნაჯახს შინაური მტრის — მემამულე ბატონების წინააღმდეგ. გლეხთა მღელვარებანი რუსეთში გახშირდა. ასეთ ვითარებაში მოკრებილ რეკრუტს არ შეიძლება სოფლიდან თან არ გამოჰყოლოდა ანტიბატონყმური, რევოლუციური გან-

წყობილება. ეს არმია აღარ იყო საიმედო მთავრობის რეაქციული კურსის უზრუნველსაყოფად. ამიტომ მთავრობას ძიზანშეწონილად მიაჩნდა რეკრუტობის თავიდან აცდენა და ან უკიდურესობამდე შემცირება. სამაგიეროდ არმიის დაკომპლექტება მოხდებოდა სამხედრო დაბებში აღზრდილი ახალგაზრდებისაგან, რომლებიც რევოლუციური განწყობილებისაგან იზოლირებულ და მეფისა და ღვთის უსიტყვო მორჩილების ვითარებაში აღიზრდებოდნენ. მთავრობა იმასაც ვარაუდობდა, რომ რუსეთში მოსალოდნელი გლეხთა რევოლუციის ვითარებაში მის ჩასახშობად სანდო ძალად სწორედ სამხედრო დაბები გამოდგებოდნენ, რომლებიც რევოლუციის გავლენისაგან დაცული და ბატონყმური რეჟიმის მოტრფიალე ოფიცრების მიერ იქნებოდნენ გაწვრთნილი.

ამრიგად, სამხედრო დაბებს რუსეთში (პეტრესდროინდელი დაბებისაგან განსხვავებით) ერთერთ მთავარ ამოცანად შინაგანი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა ეკისრებოდა. შემთხვევითი არაა, რომ ასეთი დაბები, პირველყოვლისა რუსეთის გლეხური რევოლუციის ყველაზე საშიშ კერებში იქმნებოდნენ.

3. ომის შემდეგ შექმნილი ფინანსური კრიზისის პირობებში სამხედრო დაბებს უნდა უზრუნველეყო მრავალრიცხოვანი არმიის შესანახი ხარჯების მკვეთრი შემცირება. ომის შემდგომი ბიუჯეტი ქრონიკულ დეფიციტს განიცდიდა. 1813 წელს ბიუჯეტის შემოსავლის დანაკლისი 161 მილიონ მანეთს შეადგენდა. სახალხო მეურნეობა მოშლილი იყო. დიდი არმია კი დიდ ხარჯებს მოითხოვდა, რომლის გაღება სახელმწიფოს აღარ შეეძლო. სამხედრო დაბებს მთავრობა აკისრებდა სამეურნეო საქმიანობას. ეს იმას ნიშნავდა, რომ არმიის კვების ხარჯებიდან იგი თავისუფლდებოდა. სამეურნეო ანგარიშზე დაფუძნებული დაბები თავისთავს გამოჰკვებავდნენ.

ყოველივე ამასთან ერთად, სამხედრო დაბები იქნებოდნენ რა მუდმივ მზადყოფნის ვითარებაში, დაიცავდნენ რუსეთის დასავლეთის საზღვარს მოულოდნელი თავდასხმისაგან.

1815 წლის პირველი იანვრისათვის რუსეთის მონარქს

არაკჩეევმა წარუდგინა სამხედრო დაბების ორგანიზაციის პროექტი. პროექტის მიხედვით სამხედრო დასახლების რაიონებში გლეხური საკარმიდამოს მფლობელები მტკიცდებოდნენ „უფროსის“ წოდებაში და ჩაირიცხებოდნენ ჯარისკაცად იქვე დასახლებულ ბატალიონში. ეს გლეხები ყოველმიზეზგარეშე ცოლშვილიანი და ამავე დროს „კარგი ყოფაქცევისა“ უნდა ყოფილიყვნენ. თუ ვინმე არასაიმედო აღმოჩნდებოდა, სამხედრო დაბების მმართველობა მას შორეულ გარნიზონში გაასახლებდა. მცირეწლოვან გლეხთა შვილები ხდებოდნენ ე. წ. კანტონისტებად და სრულწლოვანობის დროს ჩაირიცხებოდნენ სარეზერვო მოქმედ ბატალიონებში. ამასთან თითოეულ გლეხ „უფროსს“ თავის მეურნეობაში უნდა მიეღო და მუდმივ საცხოვრებლად ჩაესახლებინა ორი ჯარისკაცი, რომლებიც მას სასოფლო-სამეურნეო საქმეებში დაეხმარებოდნენ. სამაგიეროდ თავისუფლდებოდა რიგი სახელმწიფო გადასახადისაგან. გლეხს მასზე მუდმივად მიმაგრებული ჯარისკაცების შენახვა გაცილებით მეტი უჯდებოდა ვიდრე სახელმწიფო ვალდებულებანი. ამასთანავე იგი ვალდებული ხდებოდა გაეწია მძიმე საველე სამსახური, ხოლო შვილები მიეცა მოქმედი არმიისათვის.

ყველაფერი ეს გლეხის მდგომარეობას რეკრუტობასთან შედარებით კიდევ უფრო აუარესებდა. ეს იყო ბატონყმური დამოკიდებულების ყველაზე უვარგისი ფორმების შერწყმა ჯარისკაცული სამსახურის ასევე ყველაზე უარეს ფორმებთან.[1]

1816 წლიდან სამხედრო დაბების მოწყობა ინტენსიურად დაიწყო. მეფის განკარგულებით ვისოცკის თემში დასახლებულ იქნა არაკჩეევის პოლკის მეორე გრენადერთა ბატალიონი, ხოლინსკის თემში ოქტომბერში დაასახლეს პერნოვსკის პოლკი. 1818 წ. თებერვალში მედვედევის თემში დაასახლეს 1-ლ და მეორე კარაბინერთა პოლკების ბატალიონები. ნოვგოროდის გუბერნიაში დასახლდა მთლიანად გრენადერთა პირველი დივიზია, რომელიც 18000 კაცისაგან შესდგებოდა.

---

[1] В. А. Феодоров, Борьба крестьян России против военных поселений (1810 – 1818). Вопросы истории № 11, 1952 г.

ფართოდ მიმდინარეობდა ასეთი დასახლებანი უკრაინაში. 1817 წლის აპრილში ხერსონისა და სლობოდა-უკრაინის გუბერნიებში დასახლებულ იქნა ულანთა ორი დივიზია. მოკლე ხანში სამხედრო დასახლების ვითარებაში აღმოჩნდა 375 ათასზე მეტი სახაზინო გლეხი. დასახლებათა რიცხვი თანდათან ფართოვდებოდა ნოვგოროდის, პეტერბურგის, მოგილევის, სლობოდა-უკრაინის, ეკატერინოსლავის, ხერსონის გუბერნიებში. მთავრობის გეგმები უფრო შორს მიდიოდა. მას ასეთ დასახლებაზე უნდა გადაეყვანა მთელი არმია.

სამხედრო დაბებში გააბატონეს საშინლად მძიმე რეჟიმი. გლეხთა მთელი ყოფა-ცხოვრება რეგლამენტირებულ იქნა. სოფლები დაემორჩილა სამხედრო უწყებებს. გლეხთა სახლებს ანგრევდნენ და მათ ნაცვლად აგებდნენ ყაზარმებს, რომლებიც გარედან ლამაზი მოჩანდა, მაგრამ აუტანელი იყო ცხოვრებისათვის. სამუშაო დღე გრძელდებოდა ზაფხულზე გათენებიდან საღამოს 7 საათამდე. ჯარისკაცებს შემოცვეთილი ჰქონდათ ტანსაცმელი. საინტენდანტო უწყებებში გამეფებული იყო აღვირახსნილი ქურდობა და ჯარისკაცებს არ ეძლეოდათ მათზე განკუთვნილი ულუფა. ისინი შიმშილობდნენ, ფეხშიშველი, ტანსაცმელ-შემოფლეთილი დაიარებოდნენ. დაბების გლეხობას აკრძალული ჰქონდა რაიმე სარეწების გაჩენა, ამიტომ მათი მეურნეობა ჩანაგდებოდა. მეთაურებად არჩევდნენ ყველაზე უხეშ, რეაქციული შეხედულებების ოფიცრებს, რომლებიც ჩაგრავდნენ და აწამებდნენ ჯარისკაცებს.— ცუდად მოხნული მინდორი—ჯოხი, ცუდად გაწმენდილი ამუნიცია — ჯოხი, ცუდად შესრულებული ილეთი — ჯოხი, ჯოხი ყოველთვის და ყველაფრისთვის — ასეთი იყო სამხედრო დაბების ჯარისკაცთა ხვედრი — იგონებს ერთერთი ოფიცერი. დაბების გლეხობა ვეღარ უძლებდა ამ რეჟიმს. იგი მის წინანდელ სავალალო მდგომარეობასაც ნატრობდა. ერთერთ საჩივარში მეფის სახელზე ნათქვამია შემდეგი: „მოგვიმატე ჩვენ გადასახადი, მოითხოვე თითოეული ოჯახიდან ვაჟკაცი სამხედრო სამსახურში, წაგვართვი ყველაფერი და გაგვაგდე ველზე: ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდებით, ჩვენ გვაქვს ხელი და იქ

ვიმუშაოებთ, ვიცხოვრებთ ბედნიერად, მაგრამ ნუ შეეხები ჩვენს ტანსაცმელს, ჩვენს მამაპაპათა ზნე-ჩვეულებას, ნუ გადაგვაქცევ ჩვენ ყველას ჯარისკაცად".

სამხედრო დაბებში გამეფებული ეს რეჟიმი ამზადებდა ნიადაგს დიდი უკმაყოფილებისათვის, რაც მალე შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა. არ გამართლდა ცარიზმის იმედები — დაეპირისპირებინა სამხედრო დაბები, როგორც საიმედო დასაყრდენი ძალა მღელვარე გლეხური სოფლებისთვის. სინამდვილეში პირიქით გამოვიდა, ამას ქვემოთ ვნახავთ.

რეაქცია კულტურის დარგში

იმ სუსხიანმა რეაქციულმა რეჟიმმა, რომელმაც ცარიზმის პოლიტიკაში მკვეთრად და აშკარად იჩინა თავი 1812 წ. სამამულო ომის შემდეგ, ყველაზე ცხადი გამოხატულება კულტურის დარგში ჰპოვა. საღვთო კავშირის პრინციპების თავგამოდებული გამტარებელი რუსეთის მონარქი, ქვეყნის საშინაო საქმეებში თანაშემწე არაჩეევი და მისი ხროვა მთელი არსებით აღუდგნენ წინ პროგრესულ, დემოკრატიულ იდეოლოგიას და განიზრახეს თაობის გარდაქმნა მეფისა და ღვთისადმი უსიტყვო მორჩილების სულისკვეთებით.

ცარიზმმა განსაკუთრებული სისასტიკით შეუტია უმაღლეს სასწავლებლებს, საგამომცემლო საქმეს, დააწესა მკაცრი მეთვალყურეობა გონებაზე, რომ სახელმწიფოში არ გავრცელებულიყო თავადაზნაურულ-მემამულური რეჟიმისათვის მავნე შეხედულებები, აამუშავა საიდუმლო პოლიცია, ამავე დროს ფართო გასაქანი მისცა ბიბლიურ საზოგადოებებს, გააცხოველა რეაქციულ-მისტიკური პროპაგანდა.

ყველაზე მძიმე დარტყმა უნივერსიტეტებმა განიცადეს.

1817 წელს სახალხო განათლების სამინისტრო გადაკეთდა სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტროდ. ამ ახალი, ნახევრად რელიგიური დაწესებულების სათავეში ცარიზმმა დააყენა თავადი გოლიცინი, კარიერისტი, რომელიც 1812 წლამდე ლიბერალობდა კიდეც, მაგრამ ომის

შემდეგ ალღო აუღო რა შექმნილ ვითარებას, პირწავარდნილი რეაქციონერი მისტიკოსი გახდა და ულმობელი ბრძოლა გააჩაღა პროგრესის წინააღმდეგ. გოლიცინმა შემოიკრიბა მისი თანამოაზრე, რეაქციის უსიტყვოდ ერთგული ადამიანები, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდნენ ლ. მაგნიცკი და რუნიჩი. რეაქციის ეს სამეული შეუდგა რუსეთის განათლების საქმის იმგვარად წარმართვას, რომ კარამზინიც კი — თვითმპყრობელობის ეს ერთგული აპოლოგეტი — იძულებული შეიქმნა მისთვის „დაბნელების სამინისტრო“ ეწოდებინა.

ორ, საეკლესიო და საერო უწყებათა გაერთიანებას განათლების ერთ სისტემაში მიზნად დასახული ჰქონდა ისე წარემართა განათლების საქმე რუსეთში, რომ მას საფუძვლად ჰქონოდა „ჭეშმარიტად ქრისტიანული ღვთისმოშიშობა“. სასწავლებელთა მთავარმა სამმართველომ, რომლის ყველაზე აქტიური წევრი იყო მაგნიცკი, შეადგინა ინსტრუქცია, რომლითაც ამიერიდან უნდა წარმართულიყო სწავლების პროცესი და ამ ინსტრუქციის საფუძველზე დაიწყო კიდეც არსებული მდგომარეობის შემოწმება.

მაგნიცკის რევიზია პირველად თავს დააცხრა ყაზანის უნივერსიტეტს, სადაც მან რამდენიმე თვე დაჰყო, შეისწავლა სტუდენტთა ჩანაწერები — პროფესორ-მასწავლებელთა აზრის მიმართულება, სტუდენტთა განწყობილება და დაბრუნდა. იმ შთაბეჭდილებით, რომ საჭირო იყო ამ უნივერსიტეტის საჯარო დანგრევა. ასეთი ხასიათის მოხსენებითი ბარათი მაგნიცკიმ წარუდგინა იმპერატორს, რომელმაც ბარათს წააწერა: „რატომ დავანგრიოთ, შეიძლება გამოვასწოროთ“. გოლიცინმა საქმის „გამოსწორება“ მიანდო თვით მაგნიცკის; რომელიც ამის გამო დაინიშნა კიდეც ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველად. მაგნიცკიმ „გაწმინდა“ ყაზანის უნივერსიტეტი; დაითხოვა პროგრესულად განწყობილი პროფესორ-მასწავლებლები, შესცვალა ხელმძღვანელობა და ამავე დროს შეიმუშავა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ პროფესორ-მასწავლებლებსა და რექტორს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. ინსტრუქციაში მითითებული იყო თუ რა

კურსი და როგორი შინაარსით უნდა წაკითხულიყო. მაგალითად, ფილოსოფიის კურსს საფუძვლად უნდა დადებოდა პავლე მოციქულის სახარება, მსოფლიო ისტორიის კურსში მხოლოდ გაკვრით უნდა ყოფილიყო ლაპარაკი პირველყოფილ საზოგადოებაზე, უნდა ეჩვენებინათ თუ ერთი წყვილიდან როგორ გამრავლდა მთელი კაცობრიობა; რუსეთის ისტორიის ლექციებში უნდა დამტკიცებულიყო, რომ ვლადიმერ მონომახის დროს რუსეთის სახელმწიფო წინ უსწრებდა ყველა სახელმწიფოს განათლებაში და ამის საბუთად მოტანილი ყოფილიყო მონომახის კანონმდებლობა სახალხო განათლების დარგში, თუმცა, როგორც ირონიულად შენიშნავს ისტორიკოსი კლუჩევსკი, ინსტრუქცია არ მიუთითებდა თუ რომელი წყაროდან ამოეღო ლექტორს ცნობები ამ კანონმდებლობის შესახებ. საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ასევე ნათლად უნდა წარმოჩენილიყო ყოვლისშემძლე ღმერთის სასწაულებრივი მოქმედებანი. ბუნების ისტორიის სპეციალისტს, მაგალითად, უნდა ემტკიცებინა, რომ ბუნების ის მრავალფეროვანი სამეფო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რამდენადაც ბრძნული და მიუწვდომელი არ უნდა იყოს იგი ჩვენთვის, მაინც წარმოადგენს სუსტ ანაბეჭდს იმ უმაღლესი წესრიგისა, რომლისთვისაც ხანმოკლე სიცოცხლის შემდეგ განკუთვნილი არიან ადამიანები და მრავალი სხვ. ინსტრუქცია აბსურდების გროვას შეიცავდა. მათემატიკის მასწავლებელს მაგალითად ასეთი რამ უნდა ემტკიცებინა: თუ მათემატიკაში ერთის გარეშე არ შეიძლება იყოს რიცხვი, ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო არ შეიძლება იყოს ერთი, შემომქმედის (ე. ი. ღმერთის) გარეშე.

ინსტრუქციაში განსაზღვრული იყო სტუდენტთა ყოფაცხოვრების წესრიგი. იმ სტუდენტებზე, რომლებიც კერძო სახლებში ცხოვრობდნენ, წესდებოდა პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობა. უნივერსიტეტში მცხოვრები სტუდენტები იყოფდნენ მათი ყოფაქცევის მიხედვით ცალკ-ცალკე ჯგუფებად, რომლებსაც ერთმანეთთან შეხვედრა ეკრძალებოდათ. შემცოდველ სტუდენტებს ათავსებდნენ განსაკუთრებულ

ოთახში — კარცერში, რომლის შესასვლელთან წარწერილი იყო ციტატები სახარებიდან, ხოლო კედლები მოხატული იყო „საშინელი სამსჯავროს“ სცენებით. პატიმარს ყოველდღე ნახულობდა მღვდელი, რომელიც მას ცოდვების მონანიებას ურჩევდა, ხოლო სტუდენტები ვალდებული იყვნენ ყოველ დილით ელოცათ მისი სულისათვის, ვიდრე დამნაშავე არ გამოსწორდებოდა და ცოდვებს არ მოინანიებდა.

ყაზანის უნივერსიტეტის მსგავსი ბედი ეწია პეტერბურგის უნივერსიტეტსაც. აქ სასწავლო ოლქის პოპეჩიტელად მუშაობდა რუნიჩი, რომელმაც მიიჩნია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში ახალ თაობას ზრდიან ანტიქრისტიანული სულისკვეთებით. მან მიიღო უნივერსიტეტის რევიზიის ნებართვა, შეისწავლა სტუდენტთა ჩანაწერები, პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომები და ის დასკვნა გამოიტანა, რომ უნივერსიტეტი რუვნის ახალგაზრდობას, უნერგავს მას ურწმუნოებას ღმერთისა და მეფისადმი, აღვივებს მათში ისეთ მეამბოხურ განწყობილებას, რომელმაც ბევრი ევროპული სახელმწიფო რყევაში მოიყვანა. რუნიჩმა საბრალდებულო სკამზე დასვა უნივერსიტეტის ოთხი პროფესორი, ფილოსოფიისა — გალიჩი, მსოფლიო ისტორიისა — რაუპახი, სტატისტიკისა — გერმანი და არსენიევი, რომლებიც თითქოს ავრცელებდნენ მავნე შეხედულებებს. პროცესი ამ მეცნიერთა წინააღმდეგ იმდენად ხელოვნური და დაუსაბუთებელი იყო, რომ იგი შესწყვიტა მთავრობამ.

პროგრესული აზრის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლა აწარმოა გოლიცინის ხროვამ ნეჟინის, სარატოვის, ხარკოვის სასწავლებლებში.

ცარიზმის რეაქციული კურსი განსაკუთრებით დაეტყო საგამომცემლო საქმეს. 1804 წლის საცენზურო წესდება იძლეოდა ლიბერალიზმის გამოვლინების შესაძლებლობას. მთავრობამ წესდება უკიდურესად შეზღუდა. საცენზურო საქმე მიანდო პირწავარდნილ რეაქციონერებსა და უვიც ადამიანებს, რომლებმაც დაიწყეს გააფთრებული ნადირობა იმ წიგნებსა და ჟურნალებზე, სადაც პროგრესული შეხედულებანი იყო გატარე-

ბული. რეაქციის პერიოდში რუსეთის ცენზურის სისასტიკე და ამავე დროს სიბრიყვე უკიდურესობამდე მივიდა. მოხდენილად შენიშნავს ისტორიკოსი კლუჩევსკი, რომ ქაღალდებში უწესრიგობის აღკვეთა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ქუჩაში, მაგრამ მთავრობამ ქაღალდებს მეთვალყურედ მიუჩინა ისეთივე ტიპები, როგორიც ქუჩის პოსტებს იცავდნენო.

ცენზურა არ აჭაჭანებდა რაიმე მსჯელობას ქვეყნის პოლიტიკურ წყობილებაზე, სდევნიდა რუსი და უცხოელი პოეტების უვნებელ ლირიკასაც კი, განსაკუთრებული გააფთრებით ესხმოდა თავს პუშკინის ლექსებს. თვით ალექსანდრე პირველი დიდ პოეტს ემუქრებოდა ციმბირში გადასახლებით, საიდანაც იგი გავლენიანმა პირებმა — კარამზინმა და ჟუკოვსკიმ დაიხსნეს. თუმცა პოეტს მაინც არ ასცდა სამხრეთში გადასახლება.

1824 წელს ცენზურამ აკრძალა პირწავარდნილი რეაქციონერის მაგნიცკის სტატია კონსტიტუციის შესახებ. ამ სტატიაში გაკრიტიკებული იყო კონსტიტუციური მმართველობა და „დასაბუთებული“ იყო მისი მავნეობა რუსეთისათვის. ცენზურამ ივარაუდა რომ სიტყვა კონსტიტუციის ხსენებაც კი მავნე ასოციაციებს იწვევს მოსახლეობაში და საერთოდ სჯობია ასეთი სტატიებისაგან თავი შევიკავოთ. ცენზურა ჩეხავდა წიგნებსა და სტატიებს, ცვლიდა მრავალ ჩვეულებრივ ფრაზას ან სიტყვას, რადგან ისინი მავნედ ეჩვენებოდა. ერთერთმა ცენზორმა სტატიიდან ამოიღო სიტყვა „შიშველი ჭეშმარიტება“, რადგან, მისი აზრით, ჭეშმარიტება მდედრობითი სქესის სიტყვაა და სირცხვილია, რომ იგი შიშველი იყოს. თვით მაშინდელ წრეებშიც კი ანეგდოტები დადიოდა ცენზორ კრასოვსკის უმეცრებასა და სიბრიყვეზე, რომელმაც ვალტერ სკოტის უვნებელი ლირიკული ლექსის თარგმანი ამოიღო იმიტომ, რომ იქ ცალკეულ სიტყვებში მავნე სულისკვეთება აღმოაჩინა. მანვე არ გასცა ნებართვა დაებეჭდათ სტატია შხამიანი სოკოების შესახებ, რადგან სოკო — ეს სამარხვო. საჭმელია და მათ მავნებლობაზე წერა იმას ნიშნავს, რომ ხალხის რწმენას ძირი გამოუთხაროო.

რეაქციული კურსის იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა მისტიკური პროპაგანდა, რომელსაც განათლების მინისტრი თავადი გოლიცინი ხელმძღვანელობდა. რუსეთში გავრცელდა ბიბლიური საზოგადოებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ რელიგიური იდეების დანერგვას საპირისპიროდ იმ თავისუფალი აზრებისა, რომელიც ფარულად ვრცელდებოდა.

ავრცელებდნენ რა საზოგადოებაში რელიგიურ ოპიუმს, ებრძოდნენ რა სიახლესა და პროგრესს ყველა საშუალებებით, უმაღლეს სამოხელეო აპარატში მოკალათებული ეს ბნელეთის მიციქულები ამავე დროს ერთმანეთს ჭამდნენ, ასმენდნენ მეფესთან, რომ მისი მეტი ნდობა და წყალობა დაემსახურებინათ. ამ „თაიგულის“ ერთერთ ყველაზე მყრალ ყვავილს წარმოადგენდა არქიმანდრიტი ფოტი, რომელიც დამსახურებულადაა გათახსირებული პუშკინის ეპიგრამებში. ფოტიმ მიაღწია დიდ გავლენას მისტიკურად განწყობილ მეფეზე, მან გზიდან ჩამოიცილა გოლიცინიც კი, რომელიც არანაკლებ რეაქციონერმა შიშკოვმა შეცვალა. ამ ინტრიგების ძირითად საფუძველს წარმოადგენდა ბრძოლა რეაქციის უფრო მძაფრი კურსისათვის, რომელიც არხიმანდრიტ ფოტსა და პეტერბურგის მიტროპოლიტ სერაფიმს, — აგრეთვე ალექსანდრე პირველის ნდობით აღჭურვილ პირს რუსეთში მონარქიის შენარჩუნების მთავარ პირობად მიაჩნდათ.

რეაქციის კურსის გაძლიერება გამოიხატა პოლიციის ქსელის გაფართოებაში. გარდა იმისა, რომ რუსეთში არსებობდა საიდუმლო პოლიცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სპეციალური აგენტურა, რომელსაც პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი განაგებდა და არაკჩეევის პირადი აგენტურა, რუსეთში 1821 წელს შეიქმნა სამხედრო პოლიცია, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა სპეციალურად გვარდიულ კორპუსს. ეს ჯაშუშები საიდუმლოდ მეთვალყურეობდნენ ყველა მოხელეს და თვით არაკჩეევიც კი დარწმუნებული იყო იმაში, რომ საიდუმლო თვალთვალი მასზეც იყო დაწესებული.

მასობრივი მოძრაობანი

რეაქციის მძლავრობის ვითარებაში, მთავრობის სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, მასების უკმაყოფილებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ იგი გამოვლინდა მთელ რიგ საბალხო გამოსვლებში. მასობრივი შეიარაღებული აჯანყებები მოაწყეს რუსეთის რიგი გუბერნიების გლეხებმა, სამხედრო დაბების ჯარისკაცებმა. მღელვარება მეფის საიმედო დასაყრდენს — არმიასაც მოედო.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე გლეხთა მღელვარებების რიცხვი რუსეთში თანდათან იზრდებოდა. 1801 წლიდან 1810 წლამდე აღრიცხული იყო მღელვარების 83 შემთხვევა, 1811 წლიდან 1820 წლამდე — 124 შემთხვევა, ხოლო 1821 წლიდან 1830 წლამდე—156 შემთხვევა.

გლეხთა ეს მღელვარებანი თავიანთი ფორმებით, მასშტაბებითა და ხანგრძლივობით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. ყველაზე მასობრივ მოვლენას წარმოადგენდა გლეხთა ურჩობანი — მემამულურ და სახელმწიფო ბეგარა-ვალდებულებებზე უარის თქმა, გაქცევა. არც თუ იშვიათი შემთხვევა იყო მემამულეზე შეიარაღებული თავდასხმა, ინდივიდუალური ტერორი. მღელვარების ყველაზე მწვავე ფორმას წარმოადგენდა შეიარაღებული აჯანყება. გლეხთა ეს გამოსვლები ლოკალურ ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ ზოგჯერ მოძრაობის ხანძარი მოედებოდა მთელ გუბერნიასაც და წლობით გრძელდებოდა. მემამულე კაშტალინსკის წინააღმდეგ გლეხთა მღელვარება პსკოვის გუბერნიაში 1817 წლიდან 1822 წლამდე გრძელდებოდა.

სამამულო ომის შემდეგ გლეხთა მოძრაობის სიხშირე და მასობრიობა აიხსნებოდა ყმური მოსახლეობის შეგნების დონის ამაღლებით. ომმა, როგორც ამაზე სამართლიანად მიუთითებდნენ თანამედროვენი, პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოაღვიძა რუსეთი. რუსმა მოლაშქრეებმა არმიაში შეიგნეს არა მარტო თავიანთი ერთობის ძალა, არამედ ბატონყმური რეჟიმის დრომოჭმულობაც, ის რომ სხვისი მონობა სრულიადაც

არაა ღვთის განგებით მოვლენილი და მუდმივი მოვლენა, რომ რიგი ქვეყნის მშრომელი გლეხები უკვე გათავისუფლდნენ ამ სამარცხვინო სენისაგან. მოლაშქრე გლეხებში ომის დროს უკვე იყო ჩუმი ლაპარაკი რუსეთში ბატონყმობის მოსპობაზე. ყმა გლეხები ვარაუდობდნენ რომ, მეფე მათ დააჯილდოებდა ომში გამოჩენილი ერთგულებისათვის და თავისუფლებას უბოძებდა. „როცა 1812 წ.—წერს კ. მარქსი — გლეხობას მოუწოდებდნენ ლაშქრად წასულიყვნენ, მათ თუმცა არაოფიციალურად, მაგრამ იმპერატორის ჩუმი თანხმობით შეპირდნენ გათავისუფლებას, როგორც ჯილდოს პატრიოტიზმისათვის. ადამიანებს, რომლებმაც წმინდა რუსეთი დაიცვეს, ხომ აღარ შეიძლებოდა მოპყრობოდნენ ვითარცა მონებს“.[1]

მაგრამ თვითმპყრობელობამ ყველაფერი ეს დაივიწყა და 1812 წ. დეკემბრის საზეიმო მანიფესტში, რომელიც ნაპოლეონის საბოლოო განადგურების აღსანიშნავად გამოიცა, გლეხობის მიმართ პირდაპირ დამცინავად იყო ნათქვამი: — გლეხობის ეს დამსახურება სამშობლოს წინაშე იმ ქვეყნად ანაზღაურდებაო.

მთავრობის მხრივ მოტყუებამ, ამავე დროს, მემამულეთა თვითნებობის კიდევ უფრო გაძლიერებამ, ბატონყმური ჩაგვრის სისასტიკემ გლეხობა მოთმინებიდან გამოიყვანა. „ჩვენ სისხლი დავღვარეთ — ამბობდნენ ისინი — ჩვენ კი ისევ გვაიძულებენ ოფლს ვღვრიდეთ ბეგარაზე, ჩვენ სამშობლო ვიხსენით ტირანისაგან, ხოლო ჩვენზე ისევ ტირანობენ ბატონები“.

1815-1825 წლებში გლეხთა მღელვარებების ძირითად ცენტრებს ცენტრალური და მალოროსიული გუბერნიები წარმოადგენენ.

მკვიდრი საცხოვრებლებიდან აყრას და მასობრივ გაქცევას ადგილი აქვს ეორონეჟის, სარატოვის, პენზის, რიაზანის, ტვერის, ტამბოვის და სხვ. გუბერნიებში. 1815 წ. კირიაკოვის მამულიდან 300 გლეხი უნდა გადაესახლებინათ ხერსონესის.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XI. ч. I, გვ. 543

გუბერნიაში. გლეხებმა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს, ხელისუფლებამ კაზაკური პოლკის ესკადრონი გამოიძახა. მოხდა შეტაკება. გლეხებმა წარმატებას მიაღწიეს. მათ უარი განაცხადეს არა მარტო ხერსონესში წასვლაზე, არამედ მემამულე კირიაკოვისათვის სამსახურზეც და საჩივარი მეფეს მიართვეს. გადამწყვეტ შეტაკებებში გლეხები დამარცხდნენ, მაგრამ საკმაო ზიანი განიცადა სამხედრო ძალებმაც.

გლეხთა მღელვარების რამდენიმე კერა გაჩნდა 1815-1820 წლებში კოსტრომის გუბერნიაში. ერთერთ სოფელში სამასამდე შეიარაღებულმა გლეხმა ხელთ იგდო ზარბაზანი, და ისე ებრძოდა დამსჯელ რაზმებს. მემამულე აბალდუევის ათასზე მეტი ყმა შეუპოვრად იბრძოდა თავისუფლებისათვის.

ყველაზე მძლავრ, მასობრივ გამოსვლას ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა დონზე, რომელიც, როგორც უკვე ცნობილია, ძველთაგანვე წარმოადგენდა გლეხთა მღელვარების ყველაზე მძლავრ კერას მთელ რუსეთში.

მღელვარებანი დონზე 1811 წ. დაიწყო. მისი ძირითადი მიზეზი იყო ფეოდალური ექსპლოატაციის სიმძიმე, რაც ომისშემდგომ წლებში დონზე განსაკუთრებით გაიზარდა. თვითნებურად იქცეოდნენ კაზაკთა ზედა ფენები-მამასახლისები, რომლებიც მემამულეები გახდნენ და გამოქცეული გლეხები, რომლებიც აქ თავისუფლების საძიებლად მოვიდნენ, ისევ აუტანელ ყმურ მდგომარეობაში ჩააგდეს. კაზაკურ ქვედაფენებში და გლეხობაში თანდათან მწიფდებოდა უკმაყოფილება და აღშფოთება ზედა ფენების თვითნებობის გამო. 1816 წლიდან მდ. სალას სანაპიროზე გაშენებულ სოფლებში ადგილი ჰქონდა კაზაკობის მთელ რიგ შეტაკებებს ზედა ფენებთან, მაგრამ ნამდვილად მასობრივი, საყოველთაო შეიარაღებული გამოსვლების ხასიათი ამ მოძრაობამ 1820 წლიდან მიიღო. ამასთან გაფართოვდა მღელვარების მასშტაბები. იგი მოედო მიუსის ოლქს, დონეცის ოლქის ნაწილს, ეკატერინოსლავის გუბერნიის ზოგიერთ მაზრას, ისე რომ მოძრაობაში მონაწილე გლეხობის რიცხვმა 45 ათასს მიაღწია. მოძრაობის ცენტრი იყო სოფ. მარტინოვკა.

ცარიზმი უსასტიკესად გაუსწორდა დონელთა აჯანყებას. დამსჯელი ექსპედიციის მეთაურად გაგზავნილ იქნა გენერალ ადიუტანტი ჩერნიშევი. მის პოლკებს მრავალჯერ მოუხდათ სისხლისმღვრელი შეტაკება აჯანყებულებთან და ზარბაზნებით გზის გაკვლევა. მეფის პოლკები შეიჭრნენ მარტინოვკაში. აჯანყება თანდათან დაცხრა. ამის შემდეგ დაიწყო დაპატიმრებანი და დამნაშავეთა დასჯა. 217 „დამნაშავიდან“ ნაწილი გაჯოხეს, ნაწილი კი ციმბირში ან სხვა გუბერნიებში მძიმე სამუშაოებზე გადაასახლეს. მხარის მმართველთა ოფიციალურ მოხსენებებში ამ აჯანყების შესახებ თავს იჩენს დამახასიათებელი შტრიხი: მეფის მოხელეები მიუთითებენ, რომ გლეხობაში გამჯდარია აზრი თავისუფლებისა, გლეხობა დაჟინებით მიუთითებს თავისუფლების უფლებაზე და მის საძიებლად მთელი არსებით იბრძვისო. თავისუფლების ასე მასობრივი შეგნება 1812 წლის ომის შემდეგ რუსეთის ყმა გლეხობაში მართლაც ფესვებს იდგამდა.

1817-1820 წლებში ფართო მოძრაობა გაჩაღდა აგრეთვე სამხედრო დაბებში.

მღელვარებანი პირველად ნოვგოროდის და პეტერბურგის გუბერნიების სამხედრო დაბებში დაიწყო. სახაზინო გლეხები, რომლებიც არმიაში ჩარიცხეს, აწყობდნენ საიდუმლო შეკრებებს, გზავნიდნენ მეფესთან თავიანთ არჩევით წარმომადგენლებს რომელთაც ატანდნენ კოლექტიურად შედგენილ საჩივრებს, ხშირად წვავდნენ ყაზარმებს, ანგარიშს უსწორებდნენ უხეშ ოფიცრებს და სხვ. 1817 წ. დასაწყისში სოფ. დუბოვიცის გლეხებმა მოაწყვეს საიდუმლო კრება, მოკრიბეს ფული და თავიანთი დეპუტატები გაგზავნეს პეტერბურგში არაკჩეევზე საჩივრად. დეკაბრისტი ი. დ. იაკუშკინი იგონებს: „ნოვგოროდის გუბერნიაში იმ თემების სახაზინო გლეხები, რომლებიც პირველი სამხედრო დასახლებისათვის იყვნენ განკუთვნილნი, გრძნობდნენ რა რუსი ადამიანის წინათგრძნობით იმ უბედურებას, რომელიც მათ მოელოდათ, აღშფოთდნენ. გრაფმა არაკჩეევმა მათ წინააღმდეგ გაგზავნა კავალერია და არტილერია. მათ ესროდნენ, ჩეხდნენ, ბევრს მწყობრს შუა

ატარებდნენ (როზგავდნენ) და უბედური ადამიანები იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ... იმპერატორი ალექსანდრე, ევროპაში ლიბერალიზმის მფარველი და თითქმის კორიფე, რუსეთში იყო არა მარტო სასტიკი, არამედ მასზე უარესი — უაზრო დესპოტი".

განსაკუთრებული წინააღმდეგობა სამხედრო დაბებს უკრაინის — კაზაკებმა გაუწიეს.

ბუგის კაზაკები შეუპოვრად ებრძოდნენ მთავრობის ყველა ღონისძიებას მათი სამხედრო დაბებად გარდაქმნის წინააღმდეგ. გენერალ ვიტტს, სამხედრო დაბების უფროსს, მრავალჯერ მოუხდა შეტაკება კაზაკებთან, რომლებიც არ ასრულებდნენ მთავრობის განკარგულებებს.

ფართო მღელვარებას ჰქონდა ადგილი აგრეთვე სლაბოდა-უკრაინაში, სადაც ულანთა მესამე დივიზიის სამხედრო დასახლება მიმდინარეობდა. გლეხებმა ჯერ საჩივრები დაწერეს მეფის, აგრეთვე დიდი მთავრის მიხეილ პავლეს ძეს სახელზე, როცა აქედან არაფერი გამოვიდა, განაცხადეს უარი მიწების დამუშავებაზე. მრავალ სოფელში გლეხებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი და ბრძოლა გაუმართეს ხელისუფლებას.

სლაბოდა-უკრაინის სამხედრო დასახლებებში მღელვარებამ ნამდვილი მასობრივი შეიარაღებული გამოსვლის ხასიათი 1819 წელს მიიღო. პირველი აჯანყდა ჩუგუეევის პოლკი. მას მალე ტაგანროგის პოლკიც შეუერთდა. აჯანყება იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ მთავრობამ მის ჩასახშობად 2 ბრიგადა გაგზავნა. უკრაინაში ჩავიდა თვით არაკჩეევი. აჯანყება სისხლში ჩაახშეს. არაკჩეევის მიერ მიღებული ზომები უსასტიკესი იყო. ჩუგუეევოს პოლკიდან 1104 დააპატიმრეს, ტაგანროგის პოლკიდან — 899. სასამართლომ 275-ს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ეს განაჩენი ოდნავ შეამსუბუქეს. 40 კაცი მწყობრს შუა გაატარეს, მათგან ნახევარზე მეტი იქვე გარდაიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო დაბებს გლეხობა ასეთ წინააღმდეგობას უწევდა, მთავრობა მას მაინც დაჟინებით

ნერგავდა. გლეხთა გმირული წინააღმდეგობით გააფთრებული იმპერატორი დაჟინებით გაიძახოდა: — „სამხედრო დაბები რუსეთში მაინც იარსებებენ, იმ შემთხვევაშიც კი, რომ საჭირო გახდეს პეტერბურგიდან ჩუდოვომდე მთელი გზა გვამებით მოიფინოსო“. სამხედრო დაბების არსებობა გრძელდებოდა ნიკოლოზ პირველის დროსაც. ცარიზმი ძალზე გვიან დარწმუნდა, რომ მისმა ამ ღონისძიებამ ვერ გაამართლა თავისი თავი, მან არა თუ შეუწყო ხელი ანტიბატონყმური მღელვარებების შემცირებას, არამედ პირიქით, უფრო მასობრივი და შეურიგებელი გახადა იგი.

რეაქციის მძლავრობის პერიოდში მღელვარებამ თავი იჩინა ცარიზმის სამხედრო ძალებშიც. არმიაში უკმაყოფილების მრავალ მიზეზთაგან შეიძლება შემდეგი ძირითადი დავასახელოთ:

რუსეთის არმია XVIII საუკ. მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში იწვრთნებოდა და იზრდებოდა სუვოროვისა და კუტუზოვის ტრადიციებზე, რომლებიც მთავარ ყურადღებას აქცევდნენ არა პარადომანიასა და ჯარისკაცთა მუშტროვკას, არამედ მათ საბრძოლო მომზადებას. ისინი წინააღმდეგი იყვნენ ჯოხის დისციპლინისა, რასაც პრუსიულის მიბაძვით, ცარიზმი ნერგავდა. ჯარისკაცთან მამაშვილური დამოკიდებულება, შეგნებული დისციპლინა მათ მიაჩნდათ არმიის მაღალი ბრძოლისუნარიანობის ყველაზე საუკეთესო პირობად. ამ ტრადიციებმა თავისი გამართლება მართლაც რომ ჰპოვეს სამამულო ომში. მაგრამ ომის შემდეგ ცარიზმმა ამ ტრადიციების ამოძირკვა დაიწყო. პროგრესულად განწყობილ ოფიცრებს იგი სდევნიდა, ჯარში პარადომანიას, მუშტროვკას ამკვიდრებდა, ჯარისკაცებს ჯოხით უმასპინძლდებოდა და სხვ.

ცნობილია, რომ ძველ არმიაში სამსახური ჯარისკაცისათვის საერთოდ აუტანელი იყო. ამ დროს ჯარისკაცები 25 წლის განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ კერას. თუ ამას დავუმატებთ რეპრესიებს, რაც რეაქციის ვითარებაში პირდაპირ აუტანელი გახდა, ცხადია მღელვარებისათვის ნიადაგი მომზადებული იყო.

არმიაზე ასეთი შეტევა ცარიზმმა იმ პერიოდში დაიწყო, როცა ჯარისკაცთა შეგნებულობა შესამჩნევად ამაღლდა. ომმა არმიაზე დიდი გამათვითცნობიერებელი ზეგავლენა მოახდინა. რუსმა ჯარისკაცებმა ილაშქრეს ევროპაში, თავიანთი თვალებით ნახეს იქაური პოლიტიკური ცხოვრება, გაიგეს, თუ როგორ დაანგრიეს ბატონყმობა საფრანგეთში. ცხადია, მათი განწყობილება შეიცვალა. გამარჯვებული, სიამაყის გრძნობით რომ რუსეთში ბრუნდებოდნენ, ისინი მოელოდნენ, რომ მთავრობა მათ დამსახურებას აღნიშნავდა რაიმე ჯილდოთი, — შეამსუბუქებდა ჯარისკაცის სამსახურს, დააფასებდა მის ადამიანურ ღირსებებს. აქ კი პირიქით გამოვიდა. ამრიგად, მღელვარების ერთერთი ძირითადი მიზეზი ჯარისკაცთა პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებაში მდგომარეობდა.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ჯარისკაცები სოფლის შვილები იყვნენ, მათთვის ახლობელი და მტკივნეული იყო ის საშინელი ბატონყმური ექსპლოატაცია, რომელსაც მათი მშობლები, ძმები, დები განიცდიდნენ სოფელში. მრავალ ჯარისკაცს არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტანტული განწყობილება ჯერ კიდევ სოფლიდან მოჰყვებოდა და იგი აქ არმიაში უფრო ღვივდებოდა. რუსეთის სოფლებში მზარდი გლეხთა მღელვარებანი აგრეთვე წამაქეზებელი გარემოება იყო არმიაში მღელვარებისა.

არმიელ მოლაშქრეთა შორის სერიოზულ მღელვარებას ჰქონდა ადგილი 1812 წ. დეკემბერში. ის საკავალერიო ნაწილები, რომლებიც განლაგებული იყვნენ პენზაში, ინსარაში, სარანსკში და სხვ. აუჯანყდნენ მეთაურებს, უარი თქვეს სალაშქროდ წასვლაზე, დაიტაცეს პოლკის ქონება და სხვ. აჯანყება სისხლში ჩაახშეს. 1812-დან 1820 წლამდე რეგისტრირებულია არმიაში მღელვარების რამდენიმე ათეული შემთხვევა.

ყველაზე მძლავრ, იმ დროისათვის დამახასიათებელ გამოსელას ადგილი ჰქონდა სემიონოვის გვარდიულ პოლკში 1820 წელს.

სემიონოვის გვარდიული პოლკი ერთერთი რჩეულთაგანი იყო დედაქალაქში განლაგებულ სამხედრო ნაწილებს შორის.

მისი შეფი იყო თვით იმპერატორი. ჯარისკაცები ორმაგ ულუ-ფას იღებდნენ. პირადი შემადგენლობაც საგანგებოდ იყო და-კომპლექტებული. ჯარისკაცები სხვებთან შედარებით კულ-ტურის მაღალი დონითაც გამოირჩეოდნენ.

პოლკის პირადი შემადგენლობის მაღალი კულტურული დონე, მათი მომზადებულობა პირველ რიგში იმით აიხსნებო-და, რომ აქაური ოფიცერთა შემადგენლობა ის ადამიანები იყვნენ, რომელთაც სისხლსა და ხორცში ჰქონდათ გამჯდა-რი აღზრდის სუვოროვისებური და კუტუზოვისებური ტრადი-ციები. ამ პოლკის თვალსაჩინო ოფიცრები იყვნენ მომავალი დეკაბრისტები — სერგეი და მატვეი მურავიოვ-აპოსტოლები, ტრუბეცკოი, იაკუშკინი, ბესტუჟევ-რიუმინი და სხვები, რომ-ლებსაც თავისი ეპოქის შესატყვისი მაღალი განათლება ჰქო-ნდათ მიღებული, შესანიშნავად იცნობდნენ ევროპას, მის პო-ლიტიკურ წყობილებას და იყვნენ რა მხურვალე პატრიოტები, ოცნებობდნენ რუსეთის ნათელ მომავალზე, მის დემოკრა-ტიულ თავისუფლებაზე.

პოლკის ეს ოფიცრობა გონივრულ ცხოვრებას ეწეოდა. მე-გობრები იკრიბებოდნენ საღამოობით და მსჯელობდნენ საქ-ვეყნო საკითხებზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ჯარის-კაცები მათ უყვარდათ და ადამიანურად ეპყრობოდნენ.

რეაქციის სუსხიან ვითარებაში ასეთი ლიბერალიზმი მო-ნარქის ერთგულ კარიერისტებს თვალში ხვდებოდათ. არ მო-წონდა ეს მეფის ძმას მიხეილ პავლეს ძეს, რომელიც პირვე-ლი გვარდიული ბრიგადის უფროსად ითვლებოდა. ოფიცრებს მეფესთან უჩივლეს. მეფემ გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამ ლი-ბერალიზმისათვის. პოლკის მეთაურობიდან მოხსნა პოტიომ-კინი და მის ნაცვლად დანიშნა პოლკოვნიკი შვარცი, რომელიც ცნობილი იყო როგორც პირწავარდნილი რეაქციონერი, ულ-მობელი, უხეში და სადისტი ოფიცერი.

შვარცის პოლკის მეთაურად დანიშვნის შემდეგ სემიონო-ველთა ცხოვრება აუტანელი გახდა. გაუქმდა მათი ყველა პრივილეგია. დაწესდა ჯოხის დისციპლინა. დანიშვნიდან 5

თვის განმავლობაში შვარცმა მოასწრო დაერიგებია მრავალი სასჯელი, მათ შორის 14.250 ჯოხდარტყმა. ჯარისკაცებს შეუმცირდათ შვებულება, გაუდიდდათ სავარჯიშო საათები. შვარცი დასცინოდა, აბუჩად იგდებდა ჯარისკაცებს, ლახავდა მათ ადამიანურ ღირსებას.

შვარცისადმი სიძულვილი იზრდებოდა, ჯარისკაცთა მოთმინების ფიალა აივსო. 1820 წლის 16 ოქტომბერს შვარცმა ერთერთ რიგით ჯარისკაცს, რომელიც მან დამნაშავედ მიიჩნია, ხელი ჩასჭიდა, ჩაატარა მწყობრის წინ და ბრძანება გასცა ყველა ჯარისკაცს დამნაშავისათვის შეეფურთხებინა. ამან ისე აღაშფოთა სემიონოველები, რომ მათ გადაწყვიტეს საჩივრის აღძვრა. საღამოს ამოკითხვაზე პირველი ასეული არ გავიდა. მას მხარი სხვებმაც დაუჭირეს. ჯარისკაცთა ასეთი გადაწყვეტილება ცნობილი გახდა ზედა ორგანოებში. ეს რუსეთის არმიაში გაუგონარი შემთხვევა იყო. ასეულს ვერ გადაათქმევინა საჩივარი დივიზიის მეთაურმა. პოლკი ღელავდა. შვარცი მიიმალა. პირველი ასეული მოტყუებით, ვითომცდა მოლაპარაკებისათვის მანეჟზე მიიწვია კორპუსის მეთაურმა. აქ სემიონოველები დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხისკენ გაუყენეს. ეს ამბავი გაიგეს პოლკში. მთელმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა პირველ ასეულს და უარი თქვა სამსახურზე. დაპატიმრებულ იქნენ პოლკის დანარჩენი ასეულებიც.

ცარიზმი სემიონოველებს სასტიკად გაუსწორდა. პოლკი დაშლილ იქნა და ჯარისკაცები დაფანტეს შორეულ გარნიზონებში.

მართალია, მთავრობა ამ მღელვარებას იოლად გაუსწორდა, მაგრამ შიში, რომელმაც იგი მოიცვა, სავსებით გონივრული იყო. ეს იყო ჯარისკაცთა სტიქიური პროტესტის გამოხატულება, მაჩვენებელი იმ შინაგანი პროცესისა, რომელიც ამ დროს არმიაში მიმდინარეობდა. დამახასიათებელი იყო ის ფაქტი, რომ სწორედ ამ დღეებში აღმოჩენილ იქნა პროკლამაცია, მიმართული პრეობრაჟენსკის პოლკისადმი, სადაც მოცემული იყო არსებული რეჟიმის მწვავე კრიტიკა, ხოლო რუ-

სეთის მონარქი „ავაზაკად“ იყო გამოცხადებული. ამ მღელვარების დღეებში ტყუილად როდი იმყოფებოდა დაძაბულ სდგომარეობაში პეტერბურგის დიდკაცობა. ბევრს ეშინოდა იმისა, რომ თუ საქმე იარაღზე მიდგებოდა, პეტერბურგის დანარჩენი პოლკები არ ესროდნენ სემიონოველებს და შესაძლებელია მღელვარება საყოველთაო გამხდარიყო.

1814-1825 წლების მასობრივ მოძრაობას მხარს აძლევდნენ რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მუშებიც, რომლებიც ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ. მართალია, ამ დროს რუსეთში მუშათა კლასი, როგორც საზოგადოებრივი ძალა, ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებულ ადამიანებს მაინც ჰქონდათ გლეხობისაგან განსხვავებული ცხოვრება. თანამედროვე პრესა მიუთითებდა იმაზე, რომ რამდენიმე ათასი ადამიანების ერთად ცხოვრება აორგანიზებს მათ, განაწყობს აქტიური წინააღმდეგობისათვის. მუშები, განიცდიდნენ რა სასტიკ ექსპლოატაციას წარმოების მეპატრონეთაგან, ამავე დროს მებატონის მხრივ სასტიკ შევიწროებას, თავიანთ მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად ხშირად მიმართავდნენ საჩივრებს, ღალაზე უარს ამბობდნენ, ანგარიშს უსწორებდნენ ექსპლოატატორებს, ამტვრევდნენ მანქანებს და სხვ. 1814-1825 წლებში რუსეთში აღრიცხულია მუშათა მღელვარების 37 შემთხვევა.

მსხვილ მღელვარებას ჰქონდა ადგილი ბატაშევის მანუფაქტურაში (ვლადიმირის გუბერნია), ურალის ქარხნებში და სხვაგან.

მასობრივი მოძრაობის ასეთი აღმავლობა, რომლითაც როგორც ზემოთ ვნახეთ 1814—1825 წლები ხასიათდება, მოწმობდნენ რევოლუციური კრიზისის გაღრმავებას რუსეთში, ნიადაგის მომწიფებას იმ მძლავრი შეიარაღებული გამოსვლისათვის, რომელიც დეკაბრისტებმა განახორციელეს.

თავი VI

დეკაბრისტები

ისტორიოგრაფია

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში დეკაბრისტებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ. დეკაბრისტებმა პირველად იარაღით ხელში ორგანიზებულად მიიტანეს იერიში ფეოდალურ-ბატონყმურ რუსეთზე. ამ მოძრაობის შინაარსი, მისი იდეოლოგია წარმოადგენდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის პროგრესული თაობის საბრძოლო დროშას. მართალია, ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში დეკაბრისტები დამარცხდნენ, მაგრამ მათ, როგორც ამას სამართლიანად მიუთითებდა დიდი რუსი განმანათლებელი გერცენი, თავიანთი სახრჩობელის რიდედან რუსეთს თვალი აუხილეს.

დეკაბრისტული მოძრაობის მნიშვნელობის შეფასება მოცემული აქვს ვ. ი. ლენინს. სტატიაში „გერცენის ხსოვნას" ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „...თავადაზნაურებმა მისცეს რუსეთს ბირონები და არაკჩეევები, უამრავი „ლოთი ოფიცრები, შფოთისთავები, ბანქოს მოთამაშეები, ბაზრობათა გმირები, მეძაღლეები, მოჩხუბრები, მათრახისა და ჰარამხანის გმირები" და ყოვლად კეთილი მანილოვები. „და მათ შორის — წერდა გერცენი — განვითარდნენ 14 დეკემბრის ადამიანები, ფალანგა გმირებისა, რომლებიც რომულისა და რემის მსგავსად, გამოზრდილნი იყვნენ ნადირის რძით... ესენი იყვნენ რაღაც დეკგმირები, თავით ფეხებამდე წმიდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, თანამებრძოლნი, რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს, რათა ახალი ცხოვ-

რებისათვის გაეღვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში შობილნი. ასეთ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა გერცენი. დეკაბრისტების აჯანყებამ გამოაღვიძა და „განწმინდა“ იგი“.[1]

იმავე სტატიაში ვ. ი. ლენინი დეკაბრისტებს რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის დამწყებად აღიარებს. „აღვნიშნავთ რა გერცენის ხსოვნას, — მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან, მაგრამ მათ საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი, გერცენმა გაშალა რევოლუციური აგიტაცია“.[2]

დეკაბრისტულ მოძრაობაზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს. სხვადასხვაგვარად აღწერდნენ და აფასებდნენ ამ აჯანყებას რუსეთის სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების წარმომადგენლები.

თავადაზნაურულმა ისტორიოგრაფიამ (ბოგდანოვიჩი, შილდერი, კორფი და სხვ.) დეკაბრისტების გამოსვლას უარყოფითი შეფასება მისცა. იგი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ დეკაბრისტულ იდეებს საერთო არა ჰქონდა რა რუსულ სინამდვილესთან, რომ ეს იყო რუსეთში დასავლეთიდან შემოტანილი იდეების შედეგი, რომ დეკაბრისტები ქვეყნისათვის უცხო, ანტიპატრიოტი გარეწარი ადამიანები იყვნენ. ამ სულისკვეთებითაა, მაგალითად, გაჟღენთილი ბარონ კორფის შრომა „იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ტახტზე ასვლა“, რომელიც სასტიკად გააკრიტიკეს და გაჰკიცხეს ჟურნალ „კოლოკოლის“ ფურცლებზე, ჯერ კიდევ გერცენმა და ოგარევმა.

რუსეთის ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამაც (პიპინი, კორნილოვი, სამეევსკი, პავლოვ-სილვანსკი, დოვნარ-ზაპოლ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 11—12.

[2] იქვე, გვ. 18—19.

სკი, კლიუჩევსკი და სხვ.) ვერ ახსნა დეკაბრიზმის მიზეზები, მართებულად ვერ შეაფასა ამ მოძრაობის მიზანი და დანიშნულება. ბურჟუაზიული ისტორიკოსების ნაწილს დეკაბრისტები რუსეთისათვის ისტორიულ შემთხვევითობად მიაჩნდა (კლიუჩევსკი); ნაწილი კი, უარყოფდა დეკაბრისტების რევოლუციონერობას და მთელ მოძრაობას მშვიდობიანი რეფორმების მოთხოვნით ფარგლავდა (ა. ნ. პიპინი). დეკაბრისტებს სერიოზული გამოკვლევები მიუძღვნა ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულების ისტორიკოსმა ვ. ი. სემეევსკიმ, რომელმაც ღრმად შეისწავლა ამ მოძრაობის მთელი ისტორია. მაგრამ სემეევსკიმაც, ისე როგორც სხვა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა, უარყო რა კლასობრივი ანალიზის პრინციპი, მართებულად ვერ ახსნა და ვერ შეაფასა ეს უღირსშესანიშნავესი მოვლენა რუსეთის ისტორიულ ცხოვრებაში, ვერ გასცილდა ლიბერალურ მიმართულებას.

დეკაბრისტების შეფასებაში ბევრი შეცდომა დაუშვა ისტორიკოსმა მ. ნ. პოკროვსკიმ. მან ამ მოძრაობის აღმოცენების მიზეზები პურზე ფასების აწევამდე დაიყვანა, წარმოადგინა იგი ჩვეულებრივი სასახლის გადატრიალებად, აბუჩად აიგდო დეკაბრისტების პატრიოტიზმი.

დეკაბრისტული მოძრაობის ნამდვილი მეცნიერული ისტორია საბჭოთა ეპოქაში იწყება. საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ღრმად შეისწავლა და გააანალიზა ის სოციალ-ეკონომიური კონკრეტული ისტორიული ვითარება, რომელშიც მომწიფდა და აღმოცენდა დეკაბრიზმი, მარქსისტული მეთოდოლოგიის გამარჯვებით გაარკვია დეკაბრიზმის იდეური წყაროები, მისი იდეოლოგიური მიმართულება, მარცხის მიზეზები და სათანადო ადგილი მიუჩინა მას რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. საბჭოთა ეპოქაში გამოქვეყნდა აგრეთვე დიდძალი დოკუმენტური ლიტერატურა დეკაბრისტთა ეპოქაზე, დეკაბრისტთა სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებზე. გამოვლინებულ იქნა მანამდე უცნობი დიდძალი

ახალი საარქივო მასალა, გამოიცა სასჯელმოხდილი დეკაბრისტების წერილები და მოგონებანი (ი. დ. იაკუშკინისა, ნ. ა. და მ. ა. ბესტუჟევებისა, ნ. ი. ტურგენევისა, ნ. ი. ლორერისა, ი. ი. გორბაჩევსკისა და სხვ.). დეკაბრისტების შესახებ საბჭოური ისტორიოგრაფიის მდიდარი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ. ვ. ნეჩკინას ნაშრომები და მისი საბოლოო შემაჯამებელი ორტომიანი ნარკვევი — „დეკაბრისტების მოძრაობა".[1] პროფ. ნ. მ. დრუჟინინის — „დეკაბრისტი ნიკიტა მურავიოვი",[2] და სხვ.

დეკაბრიზმის იდეური წყაროები

დეკაბრისტულ მოძრაობას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თავად-აზნაურული ისტორიოგრაფია რუსეთში დასავლეთიდან გადმონერგილს, მშობლიური ნიადაგიდან მოწყვეტილსა და უცხოს უწოდებდა. საბჭოთა ისტორიკოსებმა ეს ანტიმეცნიერული, ტენდენციური კონცეფცია სამართლიანად უარყვეს და ღრმად შეისწავლეს რა ის კონკრეტულ ისტორიული ვითარება, რომელშიაც მომწიფდა დეკაბრიზმი, ცხადჰყვეს, რომ ეს მოძრაობა წარმოიშვა რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ნიადაგზე და წარმოადგენდა გამოხატულებას იმ მძაფრი კრიზისისა, რომელსაც განიცდიდა ხრწნადი ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი, იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერთის მხრივ ლპობად და მომაკვდავ, ბატონყმურ რუსეთსა და მეორე მხრივ მზარდ და პროგრესულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რუსეთს შორის. მაგრამ აქვე ისიც უნდა მივუთითოთ, რომ ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი დეკაბრიზმის იდეური ფესვების რუსულ სინამდვილეში ძიებისას ერთგვარ უკიდურესობამდეც მივიდა, სავსებით უარყო რა ის გავლენა, რომელიც ამ მოძრაობაზე დასა-

---

[1] М. В. Нечкина—Движение декабристов, т. I, II изд. Акад. Н. СССР Москва 1955 г.

[2] М. И. Дружинин—Декабрист Никита Муравьев. 1933 г.

ელეთ ევროპის იდეებს, რუს მეომართა საზღვარგარეთულ ლაშქრობას ჰქონდა.

განვიხილოთ ეს წყაროები.

დეკაბრისტები, როგორც რევოლუციონერები, საზოგადოებრივ არენაზე მაშინ გამოვიდნენ, როდესაც რუსეთის პროგრესული ძალების ძირითად საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა დამყაყებული ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს ევროპაში. საფრანგეთის რევოლუციის ქუხილის ექო ჯერ კიდევ დამცხრალი არ ყოფილა. ფეოდალური ბურჯების რყევა, რეაქციული საღვთო კავშირის ღონისძიებათა მიუხედავად, თანდათანობით ძლიერდებოდა, და რიგ ევროპულ ქვეყნებში ბურჟუაზია ისტორიულ სცენიდან იძულებით აძევებდა ამ დრომოჭმულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას.

რუსეთის ეკონომიური მიმოხილვიდან, რომელიც კურსს თავში წარვუმძღვარეთ, ნათლად ჩანს, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში სწრაფად და გაბედულად იკაფავდნენ გზას ახალი, ბურჟუაზიული წყობილების ელემენტები. ისტორიის ობიექტური აუცილებლობა მოითხოვდა ამ ახალი, პროგრესული და მზარდი ძალებისთვის გასაქანის მიცემას, გზის დაცლას. მაგრამ ფეოდალურ-ბატონყმური წარმოებითი ურთიერთობანი ბოჭავდნენ, გზას უღობავდნენ ბურჟუაზიულ განვითარებას, აფერხებდნენ მწარმოებლური ძალების წინსვლას, განაპირობებდნენ მძაფრ კრიზისს ეკონომიკაში, იწვევდნენ ქვეყნის ჩამორჩენილობას, აძწვავებდნენ დაჩაგრული მასების მდგომარეობას, ხელს უწყობდნენ მათი სოციალური პროტესტის გამძაფრებას.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ბურჟუაზიულმა ძალებმა ეკონომიკაში უფრო სწრაფად იწყეს წინსვლა და კონფლიქტი და შეჯახებანი ძველსა და ახალს შორის უფრო მწვავე, შეურიგებელი გახდა. ბატონყმური რეჟიმის მანკიერებამ თანამედროვე ვითარებაში, მისმა უკურნებელმა წყლულებმა ისე სააშკარაოდ იჩინეს თავი, რომ ბევრი სწავლული, საქმეში

ღრმად ჩახედული ადამიანი თვით რუსეთის თავადაზნაურული კლასის რიგებიდან ბატონყმური რეჟიმის უვარგისობაზე ალაპარაკდა. ის პროექტები ქვეყნის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გადახალისებისა, რომელსაც ჯერ კიდევ საიდუმლო კომიტეტში იხილავდნენ, ან ის ღონისძიებანი, რომლის განხორციელებას მეფობის პირველ წლებში ალექსანდრე პირველი ვარაუდობდა, ან თვით სპერანსკის მიერ მოფიქრებული ფართო რეფორმა ნაკარნახევი იყო იმ მკაცრი აუცილებლობით, რასაც რუსეთის მაშინდელი სინამდვილე აყენებდა დღის წესრიგში. კაისაროვის, პნინის და სხვ. ნაშრომები, სადაც გაბედულად იყო წინ წამოწეული საკითხი ბატონყმურ შრომასთან შედარებით ნებით დაქირავებული შრომის უპირატესობის შესახებ, რუსეთის სოფლის მეურნეობის მაშინდელი კონკრეტული ვითარების ანალიზიდან ამოდიოდა.

ამრიგად, თვით გაბატონებულ წრეებში ამ დროს უკვე დაიბადა აზრი, რომ საჭირო იყო ძირფესვიანი გარდაქმნები ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის უკვე რევოლუციური სიტუაციის მომწიფების ერთერთი მთავარი ელემენტი იყო. მაგრამ კლასობრივმა შეზღუდულობამ ცარიზმის მოხელეებს, როგორც ზევით დავინახეთ, რაიმე არსებით გარდაქმნებზე ხელი ააღებინა. კრიზისი კი თანდათან ღრმავდებოდა, ბატონყმურ-ფეოდალური რეჟიმის ლიკვიდაციის საკითხი მუდმივად ისევ დღის წესრიგში იდგა.

რევოლუციური სიტუაციის ელემენტების მომწიფების ფაქტი ვლინდებოდა იმ მძაფრ მასობრივ მოძრაობაში, რომელსაც რუსეთში ადგილი ჰქონდა 1815-1825 წლებში, არაკჩეევშჩინის პერიოდში. რუსეთის გლეხობის, სამხედრო დაბების ჯარისკაცების, რეგულარული არმიის, ფაბრიკა-ქარხნების მუშების მღელვარებანი, რომელზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი, წარმოადგენდნენ ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ სტიქიური აღშფოთების გამოხატულებას. სწორედ ამ დროს, ომისშემდგომ ვითარებაში, რუსეთის მშრომელი მასების თვითშეგნების ამაღლების შედეგად, მასებში მტკიცედ

ჯერდა აზრი თავისუფლების უფლების შესახებ. ეს აზრი, ეუფლებოდა რა მასებს, სწორედ ამ დროიდან, იქცეოდა ძლავრ მატერიალურ ძალად. ცარიზმის მოხელეები შეშფოთებით წერდნენ გლეხობაში თავისუფლების შეგნების მომძლავრების შესახებ. ეს სტიქიური მოძრაობანი, ამგვარად, წინ უსწრებდნენ რა დეკაბრიზმს, თანდათანობით ამზადებდნენ მას. დეკაბრისტებმა ეპოქის ამ ძირითად მოთხოვნილებებს ორგანიზებული ხასიათი მისცეს. მათ რევოლუციური იდეოლოგიის საფუძველზე რუსეთის სინამდვილეში პირველად შექმნეს რევოლუციური ორგანიზაცია.

დეკაბრისტული მოძრაობის საბრძოლო დროშაზე პირველ ლოზუნგად წარწერილი იყო ბატონყმობის რეჟიმის დაუყოვნებლივი მოსპობა რუსეთში. ეს აზრი, ეს რევოლუციური იდეოლოგია პირველად დეკაბრისტთა თავებში როდი ჩაისახა. ამ მხრივ დეკაბრისტებს თვით რუსულ სინამდვილეში რუს მოღვაწეთა შორის სახელოვანი წინაპრები ჰყავდათ. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ა. რადიშჩევი — XVIII საუკუნის მიწურულის რუსეთის ეს უდიდესი მოაზროვნე, რომელმაც გაბედულად აღიმაღლა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ, იდეურად დაასაბუთა რუსეთისათვის მისი უვარგისობა, მავნებლობა და სამშობლოს ჭეშმარიტ შვილთა წინაშე დააყენა მისი ლიკვიდაციის ამოცანა. რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“, რომელიც ყმაგლეხთა აჯანყებების უშუალო შთაბეჭდილებების ქვეშ იყო დაწერილი, წარმოადგენდა იმ დროს ხალხთა მასების ოცნების იდეურ-თეორიულ გამოხატულებას. ეს იდეური იარაღი, ასალ სინამდვილეში მძლავრად მოიმარჯვეს დეკაბრისტებმა.

დეკაბრისტების საბრძოლო დროშაზე ასევე გაბედულად იყო წარწერილი თვითმპყრობელურ-მონარქისტული რეჟიმის ლიკვიდაცია რუსეთში. მართალია, დეკაბრისტთა ერთი ჯგუფი თვითმპყრობელობის მხოლოდ შეზღუდვით კმაყოფილდებოდა, მაგრამ მეორე ჯგუფი გარკვევით მიუთითებდა რესპუბლიკაზე, რომელიც რევოლუციური გადატრიალების შედეგად უნდა შექმნილიყო. დეკაბრისტთა ასეთი ლოზუნგი თავის

დროზე მიაჩნდათ მათი იდეოლოგიის უცხოურობის საბუთად — ფრანგ განმანათლებელთა მიბაძვის შედეგად. თქმა არ უნდა, რომ დეკაბრისტები შესანიშნავად იცნობდნენ XVIII საუკუნის ფრანგ განმანათლებელთა მოძღვრებას, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პოლიტიკურ პროექტებს და თეორიებს, მაგრამ რუსეთში რესპუბლიკური წყობილების იდეისთვის მათ სრულიადაც არ სჭიროდათ მხოლოდ ფრანგული წყარო. თუ ჩვენ იმავე რადიშჩევის რევოლუციურ იდეოლოგიას გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ რესპუბლიკური მმართველობის იდეა რუსეთში ჯერ კიდევ რადიშჩევმა წამოაყენა. იგი ოცნებობდა ეხილა რუსეთი ბატონყმობისაგან თავისუფალი, მეფეთა ტირანიისაგან თავისუფალი, სადაც აღარ იქნებოდა სიტყვა „მონა" და „ბატონი", არ იქნებოდა ადამიანების მიერ ადამიანთა ჩაგვრა და შევიწროება. მომავალი რუსეთი რადიშჩევს ესახებოდა რესპუბლიკად. სადაც მოისპობოდა ეკონომიური და პოლიტიკური უთანასწორობა, აღარ იქნებოდა მეფე, მემამულეები, ყმები და სხვა წოდებანი.

1815—1825 წლებში რუსეთში რევოლუციური იდეოლოგიის ფორმირებაზე და განსაკუთრებით დეკაბრისტულ მსოფლმხედველობის ფორმირებაზე უდიდესი გავლენა ჰქონდა 1812 წლის ომს, რომელმაც ათეული წლებით დააჩქარა ხალხის, მისი საუკეთესო შვილების თვითშეგნების ამაღლება, მათი პოლიტიკური მომზადება — დავაჟკაცება. რუსეთს რომ ნაპოლეონის არმია შემოესია, მომავალი დეკაბრისტები მაშინ ის-ის იყო ყრმობის ასაკიდან გამოდიოდნენ. ისინი იყვნენ ბრწყინვალე არისტოკრატულ ოჯახებში აღზრდილი ახალგაზრდები, რომელთაც შესანიშნავი განათლება ჰქონდათ, მაგრამ არ გააჩნდათ რუსული ცხოვრების, რუსული სინამდვილის ცოდნა. ისინი თავიანთი არისტოკრატული ფანჯრებიდან გაჰყურებდნენ რუსეთის სინამდვილეს, საიდანაც ყველაფერი ვარდისფრად შეფერადებული მოჩანდა, რუსეთი მათს შეგნებაში ეს იყო მწყობრი, ჰარმონიული სამყარო, ბილინების

ქვეყანა, აზნაური მეომრისა და გლეხის-მშვიდობიანი მშრომელის, მათი მამაშვილური ურთიერთობის ქვეყანა. ეს ახალგაზრდები, რა თქმა უნდა, რომანტიკული წამოსასხამიდან დანახულ მშობლიურ მხარეზე თავდავიწყებით შეყვარებულნი იყვნენ, მაგრამ მათ არ იცოდნენ მისი ტკივილები, არ ჰქონდათ შემჩნეული მისი წყლულები, მისი სამარცხვინო სენი.

ომმა ამ ახალგაზრდებს თვალები აუხილა. ნაპოლეონის წინააღმდეგ ყველა ლაშქრობაში უშუალო მონაწილეობამ მომავალ დეკაბრისტებს დაანახვა რუსეთის უბრალო ხალხი. ყმა მოლაშქრეებთან უშუალო ურთიერთობამ მათ განაცდევინა ამ ადამიანების მწარე ხვედრი, მათი სევდა, მათი ოცნება, ამავე დროს აგრძნობინა ის მძლავრი, უტეხი ძალა და ნებისყოფა, რომელიც მრავალმილიონიან რუს გლეხობაში იმალებოდა. ამ გონიერი ახალგაზრდობის პოლიტიკური თვითშეგნება ომმა აამაღლა ერთის დაკვრით, ისეთი ნახტომით, რაც ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ცხოვრების ათეულ წლებშიც ვერ მოხერხდებოდა. ომმა გამოაფხიზლა ისინი რომანტიკული ბურუსიდან და დაანახვა რეალური სინამდვილე — ერთმანეთისაგან გათიშული, ერთმანეთთან მტრულად დაპირისპირებული ორი რუსეთი — მჩაგვრელი და ჩაგრული.

დეკაბრისტი ფონვიზინი დაკითხვის პროცესში აღიარებდა, რომ მასში „სამამულო ომის დიდმა მოვლენებმა, დატოვეს ღრმა შთაბეჭდილებანი, აღუძრეს რაღაც მოუსვენარი გრძნობა მოღვაწეობისა. ნაპოლეონი შეიჭრა რუსეთში, და მაშინ რუსმა ხალხმა შეიგრძნო თავისი ძალა; მაშინ აინთო მის შვილთა გულებში დამოუკიდებლობის გრძნობა, პირველად პოლიტიკური, შემდეგ სახალხო. ეს იყო რუსეთში თავისუფალი აზროვნების დასაწყისი — მიუთითებდნენ თავიანთ ჩვენებებში დეკაბრისტები.

„ჩვენ ვიყავით 12 წლის შვილები" — ასე მოკლედ და მკაფიოდ გამოხატა დეკაბრისტი ახალგაზრდობის დამოკიდებულება 1812 წლის ომისადმი დეკაბრისტმა მ. მურავიოვმა.

დეკაბრისტული მსოფლმხედველობის ფორმირებაში ერთ-

ერთი ძირითადი ფაქტორი იყო აგრეთვე სამამულო ომის დამამთავრებელ ეტაპზე რუსეთის არმიის ბრძოლა ევროპის კონტინენტზე და გამარჯვებული შესვლა პარიზში. ეს იყო პერიოდი, როცა მთელს ევროპაში გაჩაღებული იყო არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი ნაპოლეონის წინააღმდეგ, არამედ დაუნდობელი ბრძოლა ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობებში დეკაბრისტთა თვალწინ გადაიშალა ყოფა-ცხოვრება იმ ქვეყნებისაც, სადაც უკვე ლიკვიდირებული იყო ბატონყმური რეჟიმი და მონარქიული დესპოტიზმი. ამ შთაბეჭდილებებმა მათს წარმოდგენაში ხორცი შეასხეს იმ დიდ განმათავისუფლებელ იდეებს, რომელსაც ადრე წიგნის საშუალებით იცნობდნენ რადიშჩევის, ნოვიკოვის, დიდროს, ვოლტერის, მონტესკიეს, ადამ სმიტის, ბეკარიას, სეისის, სისმონდის და სხვათა თხზულებებში, დააჩქარეს დეკაბრისტთა რევოლუციური იდეოლოგიის გაფორმება.

დეკაბრისტულმა ახალგაზრდობამ უცხოეთში, განსაკუთრებით პარიზში, შეისისხლხორცა ახალი, რევოლუციური სულისკვეთება, რომელიც მათ ბობოქარ ახალგაზრდულ ხასიათს და გამარჯვების თავბრუდამხვევ სიამაყეს ესიტყვებოდა. პარიზში ისინი ჭეშმარიტად ამაყობდნენ იმ განმათავისუფლებლური ხვედრით, რომელიც წილად ხვდა რუსეთის არმიას ნაპოლეონის დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ გულწრფელად სჯეროდათ იმ სიტყვებისაც, რომელსაც ცბიერი მონარქი, ლიბერალის მანტიაწამოსხმული ალექსანდრე პათეტიურად წარმოთქვამდა პარიზის რჩეულთა სალონებში. ახალი აზრებით, ახალი გეგმებით ბრუნდებოდნენ ისინი მშობლიურ რუსეთში და თან მოჰქონდათ რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთება, რომელიც მაშინ ღვივოდა მთელი ევროპის პროგრესულ თაობაში.

მაგრამ რუსეთი მათ სხვაგვარად შეხვდა. დეკაბრისტი იაკუშკინი იგონებს: „საფრანგეთიდან 14 წელს ჩვენ რუსეთში დავბრუნდით ზღვით. პირველი გვარდიული დივიზია გადმოსხმული იქნა ორიენბაუმთან და ისმენდა სამადლობო წირვას, რომელსაც უფროსი მღვდელი დერჟავინი ასრულებდა.

წირვის დროს პოლიცია უწყალოდ ურტყამდა ხალხს, რომელიც ცდილობდა მოახლოვებოდა ჯარის ძწყობრს. ამან ჩვენზე სამშობლოში დაბრუნებისთანავე პირველი არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა". ასეთი სცენები გლეხთა გაროზგვისა, უდანაშაულო ადამიანების წამებისა, უბრალო ნივთივით მათი ყიდვა-გაყიდვისა, მცირეოდენი პროგრესული აზრების საჯაროდ გამოთქმისათვის ციმბირში გადასახლებისა, მოსახლეობის დიდი უმრავლესობის არაადამიანური სიღატაკისა და შიმშილისა — მათს წინაშე განუწყვეტლივ მეორდებოდა და ერთმანეთს ცვლიდა. დეკაბრისტულ ახალგაზრდობას, უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნებულს სამშობლო წარმოუდგა როგორც ვეებერთელა საპყრობილე, სადაც განუსაზღვრელი იყო ძალა მათრახისა და ციმბირისა და ყოველ ნაბიჯზე შეურაცხყოფილი იყო ადამიანის ღირსება.

ომგადახდილი, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ქალაქის ცხოვრებაში ასე ვთქვათ „ორი ბანაკი" ჩამოყალიბდა. პირველი — ეს იყო „მოხუცთა" ბანაკი — ეკატერინე მეორის ტრადიციებზე აღზრდილი რუსეთის ბრწყინვალე არისტოკრატია, თავისი დიდი პრეტენზიებით, პატივმოყვარეობით, ყოველგვარი სიახლისადმი სიძულვილით, უცხოურისადმი მონური მიბაძვით, რომლებსაც თავი დიდ პატრიოტებად მოჰქონდათ, მაგრამ სრულებითაც არ ეთაკილებოდათ რუსეთის ჩამორჩენილობა, საკუთარი უვიცობა, უცხოურის წინაშე ქედმოხრა, თავისი მამულიშვილებისადმი არაადამიანური დამოკიდებულება. ისინი ისტორიის ეტლმა მთელი საუკუნით უკან მოიტოვა.

აი ამ ბანაკს, „მოხუცთა" წრეს, დაუპირისპირდა სამამულო ომში ბრძოლის ველზე დავაჟკაცებული, განათლებული ახალგაზრდობა, რომელსაც სულს უხუთავდა რუსეთის საპყრობილური ატმოსფერო, რცხვენოდა ადამიანზე ადამიანის ბატონობისა, რასაც ითმენდა და იცავდა რუსული რეჟიმი, თვალწინ ეხატებოდა ის დემოკრატიული წყობილება, რომე-

ლსაც რუს და საზღვარგარეთელ ავტორებისაგან და საზღვარგარეთ ლაშქრობიდან იცნობდა. მათ საერთოდ სწყუროდათ მოქმედება, იდეური სიცოცხლე. გულში ენთოთ წრფელი პატრიოტიზმი და მზად იყვნენ თავგანწირვისათვის.

ამ ორი ბანაკის შესახებ მინიშნებული აქვთ თვით დეკაბრისტებს. „1814 წელს — წერს იაკუშკინი — პეტერბურგში ცხოვრება ახალგაზრდობისათვის მოსაბეზრებელი იყო. ორი წლის მანძილზე ჩვენს თვალწინ ჩაიარა უდიდესმა მოვლენამ, რომელმაც ბევრ შემთხვევაში განსაზღვრა ხალხთა ბედი და რომელშიც რაღაცნაირად ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა; ახლა კი აუტანელი იყო ცქერა პეტერბურგის ამ ცარიელი ცხოვრებისა და მოსმენა მოხუცთა ლაყბობისა, რომელიც ყველა დრომოჭმულს ადიდებდა და ჰაიცხავდა ყოველგვარ წინსვლას. ჩვენ მათ 100 წლით წინ გავუსწარით“.

ამ ორ ბანაკს შორის, როგორც ერთერთი თანამედროვე შენიშნავს, ამტყდარი იყო ნამდვილი შინა ომი. ძველები კბილებით იცავდნენ თავიანთ ტრადიციებს, ძველებურ ცხოვრებას და დესპოტურ შეხედულებებს, ახალგაზრდებს თავქარიანებს უწოდებდნენ და დასცინოდნენ. ახალთაობა კი ზიზღით იყო მათდამი განწყობილი და დიდი მოქმედებისათვის ემზადებოდა.

დედაქალაქის ეს ორი ბანაკი შესანიშნავად დახატა თავის უკვდავ პოემაში „ვაი ჭკუისაგან“ დიდმა რუსმა პოეტმა გრიბოედოვმა, რომელმაც ძველ ბანაკს — სკალოზუბების, მოლჩალინების ბანაკს დაუპირისპირა — ჩაცკი — გამოღვიძებული, მოქმედი, საღად მოაზროვნე, რევოლუციური რუსეთის ეს შესანიშნავი მხატვრულად განზოგადებული სახე.

რუსეთის მაშინდელ სინამდვილეში არსებული ბოროტება-უსამართლოებისაგან დეკაბრისტებს ძირითადად ბატონყმობა მიაჩნდათ და რცხვენოდათ იმისა, რომ რუსეთი, ვისი არმიაც ევროპაში ნაპოლეონის დესპოტიზმს ებრძოდა, თავის საკუთარ ქვეყანაში ითმენდა ადამიანის მონობას.

„სამხედრო დიდების საუკუნე დამთავრდა ნაპოლეონთან

ომით. ახლა დადგა მონობიდან ხალხის განთავისუფლების ხანა, და ნუთუ რუსები, რომლებმაც ბრწყინვალე საბრძოლო გმირობით გამოიჩინეს თავი ამ ჭეშმარიტად სამამულო ომში და ნაპოლეონის მონობისაგან იხსნეს ევროპა, ნუთუ ვერ დაამხობენ მონობას საკუთარი ქვეყნის შიგნით...

...შეხედეთ ხალხს, როგორაა ის დაჩაგრული! ვაჭრობა დაეცა, მრეწველობა თითქმის არა გვაქვს, სიღარიბე იქამდე მივიდა, რომ შეუძლებელი გახდა არა მარტო გადასახადის, არამედ ვალების გადახდა. ჯარი უფრო და უფრო დრტვინავს"... ბესტუჟევ-რიუმინის ეს სიტყვა, წარმოთქმული სამხრეთის ღა შეერთებული სლავთა საზოგადოების წევრთა თათბირზე ნათლად გვიხატავს შეთქმულთა განწყობილებას.

„...ჩვენი წინაპრები, თავისუფალი წინაპრები აღშფოთებით შეხედავდნენ თავისი შთამომავლობის ამ საშინელ მდგომარეობას — წერდა დეკაბრისტი რაევსკი, — ისინი გაიკვირვებდნენ და არ ირწმუნებდნენ, რომ რუსები მონები გახდნენ და ჩვენ, ვისმა ხელისუფლებამ და სახელმა მიუვალი ჩრდილოეთის პოლუსიდან დუნაიმდე, ბალტიის ზღვიდან კასპიის ზღვამდე მრავალრიცხოვან ტომებს მისცა კანონები და ხელისუფლება, ჩვენი დიდების შიგნით ვერ ვხედავთ დამცირებას ხალხთა მონობის გამო".

„...ხალხებმა ჩქარა დაინახეს თუ როგორ მოატყუეს ისინი. მონარქები მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ თუ როგორ შეენარჩუნებინათ თავიანთი განუსაზღვრელი ძალაუფლება, როგორ გაემაგრებინათ მორყეული ტახტი, როგორ ჩაექროთ თავისუფლებისა და განათლების უკანასკნელი ნაპერწკალი. შეურაცხყოფილმა ხალხებმა მოითხოვეს დანაპირების შესრულება, მაგრამ მათ ბორკილები და წყეულიადი მიიღეს..." — წერდა კახოვსკი.

იგივე კახოვსკი აღშფოთებულია იმის გამო, რომ რუსეთის მონარქი საღვთო კავშირის — რეაქციის ამ სამარცხვინო დაწესებულების მესვეური გახდა და მთელი ძალღონით შეებრძოლა ევროპაში პროგრესულ მოძრაობას.

„...ჩვენ რუსები ვყოყოჩობთ, თავისთავს ევროპის მხნელს

ვუწოდებთ, მაგრამ უცხოელები ასე როდი გვიყურებენ. ისინი ხედავენ, რომ ჩვენი ძალები საღვთო კავშირის დესპოტიზმის რეზერვს წარმოადგენენ... ერის სიძულვილი შეუძლებელია და უცხოელებს სძულთ არა რუსები, არამედ მისი მთავრობა, რომელიც ერევა მათ ყველა საქმეში და მეფეთა სასარგებლოდ ხალხებს ავიწროებს".

დეკაბრისტებს რუსეთში ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაცია ეპოქის მოთხოვნად მიაჩნდათ. ისინი რუსეთის რევოლუციას, როგორც ისტორიკოსი ოკუნი მიუთითებს, განიხილავდნენ როგორც ერთერთ შემადგენელ რგოლს იმ ბურჟუაზიული რევოლუციებისა, რომელსაც სათავე XVIII საუკ. ბოლო წლებში დაედო. ყველა საუკუნეს თავისი საკუთარი სახე გააჩნია — ამბობდა პ. პესტელი. ჩვენი საუკუნის განმასხვავებელი თვისება ისაა, რომ იგი რევოლუციური აზრებით ცოცხლობს და სუნთქავს. ევროპის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე ყველგან ერთი და იგივეა, პორტუგალიიდან რუსეთამდე, ყველა სახელმწიფოს ჩათვლით, თვით ინგლისშიც და თურქეთშიაც, დაპირისპირებულთა ბრძოლაა. იგივე ხდება ამერიკაში. გარდაქმნის სულისკვეთება იწვევს, ასე ვთქვათ მრავალი გონების დუღილსო. ამიტომ იყო რომ დეკაბრისტები მიესალმებოდნენ ესპანელ რევოლუციონერებს. „დიდება შენ სახელმოხვეჭილო ესპანეთის არმიავ, დიდება ესპანელო ხალხო. მეორეჯერ ესპანეთი ცხადჰყოფს, თუ რას ნიშნავს ხალხის სულისკვეთება, რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული!" — წერდა დეკაბრისტი ნ. ტურგენევი თავის წერილებში. დეკაბრისტები ასევე სულითა და გულით თანაუგრძნობდნენ ბერძენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ და ჰკიცხავდნენ რუსეთის მონარქს, რომელმაც წააქეზა ეს მოძრაობა, შეპირდა მის მესვეურებს დახმარებას, ხოლო მძიმე მომენტში „მიატოვა იგი ბედის ანაბარა" (შტეინგელი) და თურქეთის სულთანის ბატონობის კანონიერების დასაბუთებას შეუდგა.

დეკაბრისტებს თავისი ანგარიში ჰქონდათ რუსეთის მონარქისადმი, რომელიც, მათი აზრით, ძირითადი დამნაშავე

იყო რუსეთში არსებული უსამართლობისა. დეკაბრისტების სიძულვილი რუსი მონარქისადმი დაიწყო საზღვარგარეთ ლაშქრობის პერიოდში, პარიზიდან, სადაც იმპერატორი შეურაცყოფდა, აბუჩად იგდებდა რუსი ოფიცრობის პატრიოტულ გრძნობებს და თავმოყვარეობას, რუსებს გაუთლელსა და ბრიყვებს უწოდებდა, რუს ჯარისკაცებს აჯოხინებდა, ხოლო მის გამარჯვებას ნაპოლეონთან უცხოელთა დამსახურებას მიაწერდა.

ეს სიძულვილი უფრო გაღვივდა, როცა ომისშემდეგ ალექსანდრემ გამოაჩინა რეაქციონერ-დესპოტის მანამდე შებურვილი სახე, როცა მან აუშვა რეაქციის ქოფაკი არაკჩეევი, შეზიზღა საზოგადოებრივი აზრი ცენზურის ხუნდებით და დაიწყო იარაღით ანგარიშგასწორება საკუთარი გლეხების და არმიის წინააღმდეგ. ეს მომთაბარე დესპოტი, როგორც მას დეკაბრისტები უწოდებდნენ, საფოსტო ეტლიდან მართავდა რუსეთს. მას არ აწუხებდა ქვეყნის ტკივილები, ევროპის რეაქციულ საქმეებში იყო ჩაფლული და რუსეთში აქეზებდა თავადაზნაურობის თვითნებობას. იმპერატორის ასეთმა სამარცხვინო როლმა დეკაბრისტების ერთი ნაწილი მისი თავიდან მოცილების, მისი მოკვლის აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა.

როგორც ვხედავთ, დეკაბრისტული მოძრაობისათვის რუსეთში საკმაოდ იყო მომწიფებული ნიადაგი და რევოლუციური ახალგაზრდობის მეამბოხური სულისკვეთების ჩამოყალიბებისათვის თვით რუსულ ვითარებაში საკმაოზე მეტი მიზეზები არსებობდა.

განათლებულ, გათვითცნობიერებულ, სულით მტკიცე და პატრიოტ ახალგაზრდობის მიზანდასახულებად იქცა ამ ძველისა და დრომოჭმული რეჟიმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა და მისი დამხობა. მაგრამ ეს ბრძოლა შეუძლებელი იყო აშკარად. რეაქციის მრისხანე თვალი თითოეულ კუნჭულს ზვერავდა და პროგრესულ აზრს სასტიკად უსწორდებოდა. საჭირო იყო ფარული მოქმედება. ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის დამხობისაიდუმლოდ შემზადება, „შეუძლებლობა მისი (თვითმპყრობე-

ლური რეჟიმის. ა. ს.) პოლიტიკური შეცვლისა აშკარად, გვაიძულებდა ჩვენ მიგვემართა საიდუმლო საშუალებებისათვის. აი, როგორც მე ვფიქრობ, მიზეზები, რომლებიც წინ უსწრებდნენ და ბადებდნენ აზრს საიდუმლო პოლიტიკური საზოგადოებების ჩამოყალიბებისაო" — აჩვენებდა დეკაბრისტი ლუნინი.

ზოგიერთი ისტორიკოსი დეკაბრისტების მისწრაფებას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისა — მათი პატივმოყვარეობით ხსნიდა. ეს აზრი კრიტიკას ვერ უძლებს. დეკაბრისტები ნამდვილად სამშობლოს ყველაზე მგზნებარე პატრიოტები იყვნენ. ბრძოლაში, რომელიც მათ ასე მტკიცედ გადაწყვიტეს, ისინი არა თუ ჰპოვებდნენ რაიმე პირადულ ბედნიერებას, არა თუ იძენდნენ რაიმე ახალს, არამედ ჰკარგავდნენ უზრუნველ არისტოკრატიულ ცხოვრებას, სიმდიდრეს, საფრთხეში აგდებდნენ საკუთარ სიცოცხლეს, ოჯახს. ისინი, არ შეუშინდნენ იმ მსხვერპლს, რომელსაც მომავალი ბრძოლა მოითხოვდა და ბოლომდე დარჩნენ შეუდრეკელნი, ფოლადისაგან გამოჭედილნი, როგორც მათ უწოდებდა გერცენი. 1870 წ. სვისტუნოვი წერდა: „ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ადამიანები, რომლებიც რუსეთში გადატრიალების მოხდენაზე ფიქრობდნენ, ჰკარგავდნენ ყველა იმ პრივილეგიას, რომლითაც საზოგადოებაში სარგებლობდნენ. მხოლოდ სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით, მისთვის კეთილდღეობის დამკვიდრების სურვილით შეიძლება აიხსნას თავგანწირვისათვის მათი მზადყოფნა. დეკაბრისტი იაკუშკინი, როცა მან თავისთავზე იდო მეფის მოკვლა, ამბობდა: „მე მზად ვარ შევწირო სიცოცხლე, ოღონდ რუსეთი ვიხსნა დაღუპვისაგან". დეკაბრისტი ლორერი თავის წერილებში, რომელიც XIX საუკ. 70-იან წლებში დაიწერა, აღნიშნავდა: „ორმოცმა წელმა განვლო იმ დღიდან და მე თამამად ვიტყვი, რომ არცერთი წუთითაც არ მინანია, რომ ყველაფერი ასე მოხდა და არა სხვაგვარად". 78 წლის ვოლკონსკი წერდა: „ჩემმა იდეებმა მე მიმიყვანეს უმაღლეს სასამართლომდე, კატორღამდე, ოცდაათწლიან განდევნამდე და მიუხედავად ამისა, არცერთ ჩემს იდეაზე უარს არ ვიტყვი".

ამრიგად, დეკაბრისტების მთელი მოქმედება ეს იყო წინას-

წარ გააზრებული, საიდუმლო ორგანიზაციებში დახვეწილი, ღრმად შეგნებული შეიარაღებული სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა ცარიზმის და ბატონყმობის წინააღმდეგ, ახალი, პროგრესული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რუსეთისათვის, ხოლო თვით მებრძოლები ქვეყნის ყველაზე საუკეთესო, ყველაზე რჩეულ შვილებს წარმოადგენდნენ.

ახლა ვნახოთ როგორ შეიქმნენ და ვითარდებოდნენ დეკაბრისტთა ფარული ორგანიზაციები.

პირველი ფარული საზოგადოებანი

დეკაბრისტთა შეიარაღებულ გამოსვლას წინ უსწრებდა ხანგრძლივი მოსამზადებელი ორგანიზაციული მუშაობა.

პეტერბურგის ოფიცერთა შორის, განსაკუთრებით გვარდიელებში საიდუმლო ორგანიზაციათა ჩასახვა საზღვარგარეთიდან შეჭრობიდან დაბრუნებისთანავე დაიწყო. აქ პირველ რიგში უნდა მივუთითოთ სემიონოვის გვარდიული პოლკის ე. წ. „სემიონოველთა არტელზე“, რომლის შესახებ ჩვენ გაკვრით ადრეც გვქონდა ლაპარაკი.

„სემიონოველთა არტელი“ აღმოცენდა 1814 წ. და არსებობდა 1817 წლამდე. მასში შედიოდნენ ს. ტრუბეცკოი, მატვეი და სერგეი მურავიოვ-აპოსტოლები, იაკუშკინი და სხვ. ეს იყო სემიონოვის პოლკის ოფიცერთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, ცხადია, არა საიდუმლო. ოფიცრები ერთად იკრიბებოდნენ სამსახურის შემდეგ, ცხარედ მსჯელობდნენ რუსეთის საკითხზე, მის მომავალზე. გატაცებული იყვნენ ნოვგოროდის რესპუბლიკური მმართველობით. „ოფიცერთა არტელს“ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცარსკოე სელოს ლიცეუმთან, პეტერბურგის მოწინავე ლიტერატურულ ახალგაზრდობასთან. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა გენერალური შტაბის ოფიცერთა გაერთიანება ე. წ. „წმინდა არტელი“, რომელშიც მომავალი დეკაბრისტები ალექსანდრე და მიხეილ მურავიოვები, ბურცოვი, პუშჩინი, კუხელბეკერი და სხვ. შედიოდნენ. ამ არტელის გონებრივი ცხოვრება რუსეთის თანამედროვე საპირბოროტო საკითხებს დატრიალებდა.

საიდუმლო ორგანიზაციის შექმნის ცდას წარმოადგენს სამამულო ომის აქტიური მონაწილე გენერალ-მაიორ მიხეილ ორლოვისა და მათე დმიტრიევ-მამონტოვის „რუს რაინდთა ორდენი“. ეს ფარული ორგანიზაცია საბოლოოდ არ გაფორმებულა. მისმა ორგანიზატორებმა შეიმუშავეს კიდეც პროექტი რუსეთის მომავალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა, რაც თავისი შინაარსით თვითმპყრობელური ძალაუფლების შეზღუდვას შეიცავდა. ორგანიზაციის წევრები დაიფანტნენ.

ყველა ეს ზემოთდასახელებული არტელები თუ ორგანიზაციები უსათუოდ წარმოადგენდენ ერთგვარ შემამზადებელ საფეხურს დეკაბრისტული ფარული ორგანიზაციის შესაქმნელად. ეს ფარული ორგანიზაცია მართლაც გაფორმდა 1816 წელს პეტერბურგში. მისი ორგანიზატორი იყო გენერალური შტაბის პოლკოვნიკი 23 წლის ალექსანდრე მურავიოვი. საიდუმლო ორგანიზაციის შექმნის იდეა ალექსანდრე მურავიოვმა პირველად თავის ნათესავს გენერალური შტაბის პრაპორშჩიკს ნიკიტა მურავიოვს და გენერალური შტაბის პორუჩიკს სერგეი ტრუბეცკოის გაანდო. მათი პირველი თათბირი, როგორც ამას იგონებს იაკუშკინი, 1816 წ. დასაწყისში შედგა. მალე შეთქმულმა ოფიცრებმა გადაიბირეს უახლოესი მეგობრები მათე და სერგეი მურავიოვ-აპოსტოლები, ივანე დიმიტრის ძე იაკუშკინი. მათე მურავიოვ-აპოსტოლი ამ დროს იყო 22 წლის ახალგაზრდა, სერგეი — 19 წლისა, იაკუშინი 22 წლისა. ასეთი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ყველა ესინი მშვენივრად განათლებულნი, მონაწილენი იყვნენ სამამულო ომისა, საზღვარგარეთული ლაშქრობის, ოფიცერთა არტელებისა.

თავიანთ ჩვენებებში დეკაბრისტები მიუთითებენ, რომ პირველი დამფუძნებელი კრება საიდუმლო ორგანიზაციისა 1816 წ. თებერვალში მოხდა. მალე ორგანიზაციის შემადგენლობა გაიზარდა. მასში მიზიდულ იქნენ მ. ნ. ნოვიკოვი, მ. ს. ლუნინი, თ. პ. შახოვსკი, პ. ი. პესტელი, ი. ა. დოლგორუკოვი და სხვები. შეთქმულთა საერთო რაოდენობამ 32 კაცს მიაღწია.

ამ პირველ ფარულ საზოგადოებას, რომელმაც 1816 წლის თებერვლიდან 1817 წლის აგვისტომდე იარსება, ეწოდება სამ-

შობლოს ჭეშმარიტ და ერთგულ შვილთა საზოგადოება, ანუ „ხსნის კავშირი“. თვით სახელწოდება ნასესხებია რადიშჩევის წიგნიდან. ეს ფაქტიც ნათლად მიუთითებს დეკაბრისტების იმ უხვ იდეურ წყაროზე, რომელიც რადიშჩევის შეხედულებათაგან მოედინებოდა.

შემორჩენილი არ არის „ხსნის კავშირის“ წესდება. მაგრამ დეკაბრისტთა ჩვენებებიდან, მათი შემდგომი მოგონებებიდან ირკვევა, რომ ასეთი წესდების შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობდა. წესდების შექმნაზე მუშაობდნენ პესტელი, დოლგორუკოვი, ტრუბეცკოი. მათ მიერ წარმოდგენილი პროექტები ცხარე მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. შეთქმულნი რიგ ძირითად საკითხებში ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ და ამ იდეურ ბრძოლაში თანდათან ყალიბდებოდა ორი მიმდინარეობა: რადიკალური, რომელიც რუსეთში ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის ლიკვიდაციას, პოლიტიკური მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას ალიარებდა და მეორე — ლიბერალური — შემარიგებელური, რომელიც მოითხოვდა ბატონყმობის მოსპობას, მაგრამ რუსეთის მონარქს ისევ ტოვებდა, ოღონდ შეზღუდულს კონსტიტუციით. ეს ორი ძირითადი მიმდინარეობა დეკაბრისტულ ფარულ ორგანიზაციებს, როგორც შემდგომ დავინახავთ, მთელი მათი არსებობის მანძილზე გაჰყვათ.

თავისი ხანმოკლე არსებობის პერიოდში „ხსნის კავშირმა“, როგორც აკად. მ. ვ. ნეჩკინა მიუთითებს, შეიმუშავა, განიხილა და მიიღო არა ერთი პროგრამის საფუძვლები, არამედ თავისი შინაგანი ცხოვრების წესებიც. დეკაბრისტებმა გამოიმუშავეს კონსპირაციისა და შინაგანი დაქვემდებარების რთული ფორმები. გამცემის, ფიცის დამრღვევის სასჯელად საზოგადოებამ დაწესა საწამლავი და ხანჯალი. საზოგადოება დაიყო „ბოიარებად“, „მუჟიკებად“ და „ბრატებად“. „ბოიარი“ — ეს საიდუმლო საზოგადოების ძირითადი წევრი იყო, „მუჟიკი“ — ის ვინც იცოდა საზოგადოების არსებობის შესახებ და იღებდა მისდამი ერთგულების ფიცს და „ბრატ“ — ის, ვინც საზოგადოების ერთგულების ფიცს იღებდა, მაგრამ არ ეცნობოდა მის საიდუმლოებას.

„ხსნის კავშირშივე“ დაიბადა რუსეთის მონარქის ალექსანდრე I მოკვლის იდეა. ეს საკითხი იხილებოდა ძირითადი მმართ-

ველობის სხდომებზე, რომელსაც ესწრებოდნენ პესტელი, მურავიოვ-აპოსტოლი, ნიკიტა მურავიოვი, ლუნინი. დაისახა გეგმა მეფის ცარსკოე სელოში მოკვლისა, რასაც უნდა მოჰყოლოდა რუსეთში კონსტიტუციური მმართველობის დამყარება. მეორედ ეს საკითხი წამოაყენა იაკუშკინმა, რომელმაც იკისრა კიდეც ეს საქმე თავისთავზე აეღო.

მონარქის მკვლელობის საკითხის პრაქტიკულად დაყენებამ კიდევ მეტად გამოავლინა ხსნის კავშირში ჩასახული ორი მიმდინარეობის შეურიგებლობა. შემარიგებლები (მიხეილ მურავიოვი, კოლოშინი, ბურცოვი) კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ისეთი რადიკალური ღონისძიებებისა, როგორიც იყო მეფის მკვლელობა, შეიარაღებული აჯანყება, რესპუბლიკური მმართველობის შემოღება და სხვ. ისინი საჭიროდ თვლიდნენ საგანმანათლებლო — პროპაგანდისტული მუშაობის გაჩაღებას, „შეხედულებებზე ზემოქმედებას“ მშვიდობიანი გზით. მათი აზრით ასეთ მშვიდობიან საქმიანობას გარკვეულ პერიოდში მოჰყვებოდა თავისი შედეგი.

მეორე — რადიკალური ჯგუფი (პესტელი, ლუნინი, იაკუშკინი, ფონვიზინი, ლოპუხინი და სხვ.) კი საჭიროდ თვლიდა იმთავითვე უკიდურეს ღონისძიებებს და თავისი მიზნის მისაღწევად ძირითად საშუალებას იარაღში ხედავდა. ამ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში დუღდა ფარული საზოგადოების იდეური ცხოვრება. დაუსრულებელ, ვნებათა ღელვის აღმძვრელ კამათში იბადებოდა ბრწყინვალე აზრები. პეტერბურგის საუკეთესო ახალგაზრდობა ცხოვრობდა და სულდგმულობდა ამ იდეებით. ლიცეუმის, გვარდიული პოლკების მოწინავე ნაწილი შემოკრებილი იყო ამ ახალგაზრდა შეთქმულთა გარშემო. მათთან ცხოველ ურთიერთობაში იმყოფებოდა გენიალური რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი. ლექსი „თავისუფლება“ პოეტმა დაწერა სწორედ იმ იდეურ ატმოსფეროში, რომელიც ფარული ორგანიზაციის გარშემო იყო შექმნილი.

მაგრამ აზრთა ასეთი მწვავე შეჯახებანი ხსნის კავშირის დაშლის მიზეზიც გახდა. ნაწილი დეკაბრისტებისა პეტერბურგიდან სხვაგან გადავიდა. პავლე პესტელი, მაგალითად, მიტავაში გა-

დაიყვანეს. იაკუშკინი ჩამოცილდა ორგანიზაციას. ზომიერთა ფრთამ, რომელიც ახლა უმრავლესობას შეადგენდა, ხსნია კავშირის წესდება მეტისმეტად შემზღუდველად მიიჩნია. ხსნის კავშირი უკვე დაიშალა და ზომიერი ფრთის ინიციატივით დაიწყო ახალი ფარული ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ისტორიაში ცნობილია „კეთილდღეობის კავშირის“ სახელწოდებით.

„კეთილდღეობის კავშირი“ შეიქმნა 1818 წელს, არსებობდა 1821 წლამდე. ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბება წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს დეკაბრისტულ მოძრაობაში. კეთილდღეობის კავშირის საქმიანობის პერიოდი დაემთხვა რევოლუციური ბრძოლის აღმავლობას მთელ ევროპაში. (იტალიის, ესპანეთის, საბერძნეთის, პორტუგალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა) ამან თავისი როლი ითამაშა რუსი ახალგაზრდობის რევოლუციური სულისკვეთების ამაღლებაში, დეკაბრისტულად მოაზროვნეთა წრის გაფართოებაში. თუ ხსნის კავშირში წევრთა რაოდენობა 30-ს არ აღემატებოდა, კეთილდღეობის კავშირში შეთქმულების რიცხვმა 200-ს მიაღწია.

ზოგი მკვლევარი კეთილდღეობის კავშირის შექმნას მიიჩნევდა დეკაბრისტთა რევოლუციურ შეხედულებებში ერთგვარ უკანდახევად, ლიბერალურ-ფილანტროპიული მიმდინარეობის გამარჯვებად, რევოლუციურობაზე ხელის აღებად. ბურჟუაზიული ისტორიკოსი ა. პინნი კეთილდღეობის კავშირს ნახევრადლეგალურ ორგანიზაციას უწოდებდა და მისი პროგრამის წყაროს პრუსიაში ადრე აღმოცენებულ „ტუგენდბუნდში“ ხედავდა. ეს მცდარი თვალსაზრისი შემდეგ ისტორიკოსმა მ. ნ. პოკროვსკიმაც გაიზიარა. ამ თვალსაზრისის განსამტკიცებლად თვით ფარული ორგანიზაციის სახელწოდებასაც იშველიებდნენ.

მართლაც, დეკაბრისტების ახალი ორგანიზაციის სახელწოდება, უფრო „მშვიდობიანად“ ეღერდა, ვიდრე ხსნის კავშირი. მაგრამ, როგორც ამას აკად. მ. ვ. ნეჩკინა აღნიშნავს, უნდა გავაფრთხილოთ ისინი, ვინც მაშინვე ამ პირველ შთაბეჭდილებაა აჰყვება და მოვაგონოთ, რომ ძველისძველი რუსული სიტყვა „კეთილდღეობა“, ე. ი. კეთილი დღე, კეთილი ცხოვრება, დე-

კაბრისტებს ესმოდათ არა ამ სიტყვის ობივატელური გაგებით, არამედ სულ სხვა მნიშვნელობით. რა იგულისხმებოდა ამ კეთილდღეობის ქვეშ? — რუსეთის კეთილდღეობა. აი, მაგალითად რა შინაარსით ჰქონდა ეს სიტყვა წარმოდგენილი პ. პესტელს. „მე ჩემი სულისკვეთებით რესპუბლიკელი გავხდი და არაფერ სხვაში არ ვხედავდი რუსეთისათვის დიდ კეთილდღეობას და უმაღლეს ნეტარებას, თუ არა რესპუბლიკურ მმართველობაში...“

კეთილდღეობის კავშირი — შენიშნავს მ. ვ. ნეჩკინა — იყო კონსპირატული ორგანიზაცია, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებდა. კეთილდღეობის კავშირის თვალსაჩინო წევრი ნიკოლოზ ტურგენევი, თავის დღიურშიაც კი, რომელიც გამოქვეყნებისათვის არ იყო განკუთვნილი, ერთი სიტყვაც არ უთქვამს ამ ორგანიზაციის არსებობის შესახებ. რა თქმა უნდა, — ორგანიზაციის ყველა წევრი ერთნაირად როდი იცავდა კონსპირაციის მოთხოვნებს, მაგრამ მაინც სამი წლის განმავლობაში მთავრობამ ვერ მოახერხა გაეხსნა ამ ორგანიზაციის არსებობა“[1].

ხელოვნურია ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მოსაზრება კეთილდღეობის კავშირის „ტუგენდბუნდიდან“ მომდინარეობის შესახებ. ტუგენდბუნდი (კეთილმოქმედთა კავშირი) შეიქმნა პრუსიაში ნაპოლეონის ბატონობის ეპოქაში. იგი სრულიადაც არ ისახავდა მიზნად არსებული სოციალური და პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას. ორგანიზაციის მიზანს შეადგენდა ეროვნული ძალების კონსოლიდაცია მთავრობის გარშემო ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებისათვის. მომავალი დეკაბრისტები ცხადია, იცნობდნენ ტუგენდბუნდის წესდება-პროგრამას, თარგმნეს კიდეც იგი რუსულად, მაგრამ მისი ძირითადი მოთხოვნილებანი დეკაბრისტების მიზანდასახულებას სრულიადაც არ შეეფერებოდა. კეთილდღეობის კავშირის ძირითად პროგრამად, ისე როგორც ხანის კავშირისა, რჩებოდა ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ, მისი ლიკვიდაცია, ბრძოლა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. არავითარ ამის მსგავს ტუგენდბუნდი არ მო-

---

[1] М. В. Нечкина, Движение декабристов, т. I, Москва, 1955 г. стр. 187.

ითხოვდა. იგი, პირიქით, მთავრობასთან თანამშრომლობას მის ხელისშეწყობას აღიარებდა.

ისინი, ვინც კეთილდღეობის კავშირის მოღვაწეობას თვლიან უკანდახევად ხსნის კავშირთან შედარებით, ეყრდნობიან კეთილდღეობის კავშირის წესდებას, ე. წ. „მწვანე წიგნს", სადაც საზოგადოების პროგრამული საკითხებია ჩამოყალიბებული.

მართლაც „მწვანე წიგნში" არაა მითითებული არც ბატონყმობის ლიკვიდაციის, არც რუსეთში კონსტიტუციური მმართველობის დამყარების შეახებ. იქ ნათქვამია, რომ საზოგადოების წევრები შეეცდებიან გააუმჯობესონ მემამულის ყმებისადმი დამოკიდებულება, დაარწმუნებენ, რომ გლეხებიც ისეთივე ქვეშევრდომნი არიან რუსეთისა, როგორც მემამულენი და რომ ქვეყნად საერთოდ არ არსებობს არავითარი განმასხვავებელი უფლებანი. საზოგადოების წევრები ვალდებულებად იღებენ მაღალი ზნეობისათვის ბრძოლას, უმთავრესად პირადი მაგალითის საფუძველზე. მართლმსაჯულების, სამართლიანობის, კანონიერების დაცვისათვის მეთვალყურეობას და სხვ.

მართლაც, ერთი შეხედვით ეს დებულებანი მხოლოდ და მხოლოდ ნელი და მშვიდობიანი რეფორმების გატარებას გულისხმობენ და გამორიცხავენ იმ რევოლუციურ, გადამწყვეტ, რადიკალურ ღონისძიებებს, რასაც დეკაბრისტი შეთქმულები მიზნად ისახავდნენ.

მაგრამ „მწვანე წიგნის" ეს ლეგალური ნაწილი, როგორც ეს შესანიშნავად უჩვენეს საბჭოთა ისტორიკოსებმა, სრულებით არ წარმოადგენს დეკაბრისტთა ერთადერთ და სრულ საპროგრამო დოკუმენტს. თვით დეკაბრისტების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ კეთილდღეობის კავშირი მიზნად ისახავდა რუსეთში ბატონყმობის ლიკვიდაციას, კონსტიტუციურ მმართველობას. ტრუბეცკოი, პესტელი, კოლოშინი, ობოლენსკი, პუშჩინი და სხვები დაკითხვების დროს გამოუკლებლად მიუთითებდნენ მათს ძირითად მიზანდასახულებაზე, რაც გლეხთა განთავისუფლებასა და კონსტიტუციური მმართველობის დაწესებაში მდგომარეობდა. ერთერთ ჩვენებაში პ. პესტელი აღიარებს: „ჩვენი საიდუმლო საზოგადოება იყო რევოლუციური მისი შექმნის პირველი დღი-

დანვე და ასეთადვე დარჩა იგი მთელი თავისი არსებობის განმავლობაში. ის ცვლილებანი, რომელიც მასში ხდებოდა, ეხებოდნენ მის შინაგან აგებულებას და ემსახურებოდნენ უკეთ წარმართვას იმ მიზანდასახულებისა, რომელიც ყოველთვის რევოლუციური რჩებოდა. ამიტომაც არ იყო ფარულ საზოგადოებაში ისეთი წევრი, რომელზედაც კავშირი იმედს არ დაამყარებდა სწორედ რევოლუციის მოხდენის საკითხში, მისი ხელისშეწყობის, ან მასში უშუალო მონაწილეობის სახით". ლუნინი აჩვენებს: „რევოლუციური აზრები ანუ ახალი წესრიგის შემოღების სურვილი თავიდანვე საზოგადოების საფუძველს წარმოადგენდაო".

პროფ. მ. ვ. ნეჩკინას „მწვანე წიგნის" ამ ლეგალური ნაწილის დებულებათა დაწვრილებითი ანალიზის შედეგად შესანიშნავად აქვს ნაჩვენები, რომ დეკაბრისტებმა მასში ჩააქსოვეს სრულიად არალეგალური აზრები და თუ, მაგალითად, არ გავცილდებით „მწვანე წიგნის" ამ ცნობილ დებულებათა ფარგლებსაც კი, მოჩანს რომ ისინი არსებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების სრულ გადახალისებაა მოითხოვდნენ.

მაგრამ დეკაბრისტებს, როგორც ეს საბჭოთა ისტორიკოსებმა გაარკვიეს, ჰქონდათ არა მარტო „მწვანე წიგნის" ეს ოფიციალური ნაწილი. დეკაბრისტთა ძირითად ჯგუფს, ყველაზე მოქმედ, ხელმძღვანელ ბირთვს გააჩნდა მეორე საპროგრამო დოკუმენტი, სრულიად საიდუმლო, სადაც ჩამოყალიბებული იყო ყველა ის ძირითადი მიზანდასახულება, რაც დეკაბრისტული მოძრაობის სულსა და გულს, მის საძირკველს შეადგენდა. „მწვანე წიგნი" წარმოადგენდა ერთგვარ ნიღაბს, ორგანიზაციის ჩავარდნის შემთხვევაში მეხთამრიდს იმ ძირითადი დანაშაულისათვის, რასაც მათი აზრები და შეხედულებები იმსახურებდნენ. „მწვანე წიგნის" ეს მეორე ნაწილი აღმოჩენილი არაა. მ. გრამ კეთილდღეობის კავშირის მთელი საქმიანობის ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ ასეთი დოკუმენტი, თუნდაც პროექტის სახით არსებობდა. ამას ძიების მასალებიც ადასტურებენ. მაგ. ნიკიტა მურავიოვი აჩვენებს, რომ „მწვანე წიგნის" მეორე ნაწილი შეთხზულ იქნა მოსკოვში 1818 წელს. მ. ნეჩკინა ვარაუდობს, რომ „მწვანე წიგნის" მეორე ნაწილი არსებობდა, იგი

გავრცელებული იყო და ხელთ ჰქონდათ საზოგადოების ხელმძღვანელ პიროებს. მიმდინარეობდა მისი განხილვა, მაგრამ ეს პროცესი არ დასრულებულა და „მწვანე წიგნის“ მეორე ნაწილი არ დამტკიცებულა.[1] ამ მეორე ნაწილის ძირითად დებულებათა გამო კეთილდღეობის კავშირში მიმდინარეობდა იგივე ბრძოლა, რასაც ადრე ადგილი ჰქონდა ხსნის კავშირში.

კეთილდღეობის კავშირი, როგორც ზევით აღვნიშნავდით, ოფიცერ შეთქმულთა ფართო წრეს აერთიანებდა და თავისი ფილიალები გააჩნდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ასეთები იყო მოსკოვის გამგეობა, ტულჩინოს გამგეობა, კიშინიოვისა და სხვ.

ყველაზე ძლიერს და ამავე დროს რადიკალურს კეთილდღეობის კავშირში წარმოადგენდა ტულჩინოს გამგეობა, რომელსაც მეთაურობდა პავლე პესტელი.

ტულჩინო — ეს იყო პატარა პოლონური ქალაქი — დასახლება, რომელიც რუსეთმა პოლონეთის მეორე გაყოფის შედეგად შეიერთა. აქ განლაგებული იყო რუსეთის მეორე არმიის შტაბი, სადაც ხშირად იყრიდა თავს ახლო-მახლო განლაგებული სამხედრო ნაწილების ოფიცრობა. პესტელმა აქ შექმნა შეთქმულთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, მარტო 1819 წელს კავშირში მიღებულ იქნენ პოდპოლკოვნიკი კომაროვი, დოქტორი ვოლფი, გენერალ-მაიორი კალმი, იუშნევსკი და სხვ. 1820 წელს — ა. ბარიატინსკი, ს. ვოლკონსკი, ძმები კრიუკოვები და სხვ. გამგეობაში თავი მოიყარა 30-მდე შეთქმულმა. ამ ჯგუფის უმრავლესობა იზიარებდა პესტელის რესპუბლიკურ შეხედულებებს. ეს ჯგუფი წარმოადგენდა ხერხემალს სამხრეთის იმ ფარული საზოგადოებისა, რომელიც მოსკოვის ყრილობის შემდეგ აღმოცენდა.

კეთილდღეობის კავშირს ჰქონდა არა მარტო ფილიალები, არამედ გააჩნდა მხარდამჭერი, მოკავშირე ორგანიზაციები. ერთ-ერთი ასეთი „თანაგვერდა გამგეობა“ იყო საიდუმლო ლიტერატურული ორგანიზაცია „მწვანე ლამპა“ და „ჟურნალისტთა საზოგადოება“.

---

[1] იხ. М. В. Нечкина, Движение декабристов, გვ. 200.

ამ ფარული ლიტერატურული წრის წევრები სისტემატურად იკრიბებოდნენ ნიკიტა ვსევოლოჟსკის ბინაზე, რომელიც მწვანე ლამპით იყო განათებული. მ. ვ. ნეჩკინა მიუთითებს ამ ჯგუფის პოლიტიკურ საქმიანობაზე და აღნიშნავს ახლო ნათესაობას „მწვანე ლამპისა“ „მწვანე წიგნთან“, რომელიც დეკაბრისტების წესდებას წარმოადგენდა.

ამ ჯგუფში თავმოყრილი იყვნენ ს. ტრუბეცკოი, ი. ტოლსტოი, თ. გლინკა, ნ. ვსევოლოჟსკი, ა. დელვიგი, ა. იაკუბოვიჩი, პ. კავერინი, ა. როძიანკო, დ. ბარკოვი და სხვები. ამავე ლიტერატურულ ორგანიზაციაში შედიოდა პოეტი ალექსანდრე პუშკინი. წრის შეკრებებზე კითხულობდნენ ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მსჯელობდნენ მათს შესახებ, ხშირად საუბარი პოლიტიკურ თემაზე გადადიოდა, სადაც წრის წევრები გამოთქვამდნენ იმავე შეხედულებებს, რასაც დეკაბრისტების პროგრამა ითვალისწინებდა. „მწვანე ლამპის“ არსებობა კეთილდღეობის კავშირის წევრებისათვის ცნობილი იყო და მათ ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მწვანე ლამპა“ იყო დეკაბრისტული შეთქმულების ლიტერატურული განყოფილება.

დეკაბრისტი ნ. ტურგენევი აქტიურ სამზადისს ეწეოდა რუსეთში დეკაბრისტული ჟურნალის გამოცემისათვის. მასთან ერთად ამ საქმეში მონაწილეობდნენ ნიკიტა მურავიოვი; თეოდორე გლინკა, ბურცევი და სხვები. „ჟურნალისტთა საზოგადოების“ ორგანიზაცია და ჟურნალის გამოცემა საბოლოოდ ვერ განხორციელდა. ამის ერთერთი მიზეზი იყო კეთილდღეობის კავშირის ლიკვიდაცია.

კეთილდღეობის კავშირის მრავალრიცხოვან წევრთა შეხედულებები მომავალი რუსეთის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, როგორც ვთქვით, ერთგვარი არ ყოფილა. ამ შეხედულებათა მიხედვით ფარული საზოგადოება შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: ლიბერალურ-ფილანტროპიული, რომელიც „მწვანე წიგნის“ პირველი ნაწილის პროგრამას აღიარებდა; კონ-

სტიტუციურ-მონარქიული, რომელიც რუსეთში ბატონყმობის მოსპობას და კონსტიტუციური მმართველობის შემოღებისათვის იბრძოდა და რესპუბლიკური, რომელიც ბატონყმობის ლიკვიდაციასთან ერთად მოითხოვდა მონარქიული რეჟიმის დამხობას და რუსეთში რესპუბლიკური მმართველობის დამყარებას.

ამ შეხედულებათა შორის ბრძოლა წარმოებდა. ამ შეურიგებელ სადაო საკითხებზე მსჯელობა მიმდინარეობდა ყველა შეკრებაზე, ამაზე მსჯელობდნენ ძირითად მმართველობაშიც. შევჩერდეთ ძირითადი მმართველობის ერთერთ ასეთი ხასიათის სხდომაზე, რომელიც 1820 წელს შედგა პეტერბურგში ფარული საზოგადოების წევრ თ. გლინკას ბინაზე.

თათბირს დაესწრნენ ფ. ტოლსტოი, ი. დოლგორუკოვი, ნ. ტურგენევი, თ. გლინკა, ი. შიპოვი, ს. მურავიოვ-აპოსტოლი, ნ. მურავიოვი, ა. ბრიგგენი, პ. კოლოშინი, პ. პესტელი, მ. ლუნინი, ს. სემიონოვი, მურავიოვ-აპოსტოლი, იაკუშკინი. ძირითადი საკითხი, რომელიც იქ დაისვა განსახილველად, იყო რევოლუციური გადატრიალების შემდეგ რუსეთის მმართველობის ფორმების საკითხი. მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა პ. პესტელი. თვით პესტელი ეგონებს:

„თავადმა დოლგორუკოვმა სხდომის გახსნისას, რომელიც პოლკოვნიკ გლინკას ბინაზე შესდგა, მმართველობას წინადადება მისცა ეთხოვათ ჩემთვის წარმედგინა როგორც მონარქიული, ისე რესპუბლიკური მმართველობის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები, იმ ანგარიშით, რომ შემდეგ თითოეულ წევრს ამის შემდეგ წარმოედგინა თავისი მსჯელობა და თვალსაზრისი. ეს ასეც მოხდა. ბოლოს, ბევრი ლაპარაკის შემდეგ კამათი დამთავრდა და გამოცხადდა, რომ ხმების შეგროვება მოხდება შემდეგნაირად: თითოეულმა წევრმა უნდა თქვას — რა სურს მონაოქი თუ პრეზიდენტი...

დასასრულ ყველამ ერთხმად რესპუბლიკური მმართველობა აღიარა. კამათის დროს მხოლოდ ერთი გლინკა ლაპარაკობდა მონარქიული მმართველობის სასარგებლოდ, ამასთანავე წინადადებას იძლეოდა ტახტზე ელისაბედ ალექსანდრეს ასული აგვეყვანა“. ამ თათბირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო

რესპუბლიკური მმართველობის შემოღებისათვის ბრძოლის აღიარება. ეს იყო ყველაზე მემარცხენე შეხედულების გამარჯვება. ძირითადი გამგეობის მიერ მიღებული დადგენილება, როგორც პესტელი აჩვენებს, სახელმძღვანელოდ ყველა გამგეობებს გადაეცათ.

რესპუბლიკური მმართველობის აღიარება ცხადია, არ ნიშნავდა იმას, რომ კონფლიქტი შეწყდა. თვით რესპუბლიკის ცნებაც ამ ფორმის მომხრეებს სხვადასხვაგვარად ესმოდათ. ლუნინი იგონებს, რომ როცა პესტელმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება და საქმე კენჭისყრაზე მიდგა, ვიღაცამ წამოიძახა: პრეზიდენტი ფართო უფლებების გარეშე (ეს იყო ნ. ტურგენევი ა. ს.). იყო ჩემი შეხედულებაც — კონსტიტუციური მმართველობა აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვით, მონარქის ან პრეზიდენტის არსებობით. ამრიგად, უთანხმოება ისევ გრძელდებოდა და მან უფრო მკაფიოდ იჩინა თავი მეორე თათბირზე, რომელიც შიპოვის ბინაზე შესდგა. მეორე თათბირზე მოსმენილ იქნა ნიკიტა მურავიოვის მოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღო პ. პესტელმა. აქ წამოიჭრა საკითხი მონარქის მოკვლის შესახებ. ნაწილი მხარს უჭერდა რესპუბლიკას—დროებით მთავრობის შექმნას, ნაწილი კი მონარქიულ კონსტიტუციური მმართველობის მომხრე იყო. აქ პირდაპირ ითქვა: „თუ იმპერატორი თვით მისცემს რუსეთს კარგ კანონებს, მაშინ ჩვენ მისი მომხრე უნდა ვიყოთო“.

ფარულ საზოგადოებაში მომწიფებულმა ამ უთანხმოებამ დღის წესრიგში დააყენა ყრილობის მოწვევის საკითხი. ყრილობის მოწვევის ინიციატორთა როლში გამოვიდა უფრო შემრიგებლური ჯგუფი (ძმები მიხეილ და ივანე ფონვიზინები, პ. გრაბბე და სხვ.), რომელსაც მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ფარული საზოგადოების რესპუბლიკური ჯგუფის მიერ აღიარებული პროგრამა. ყრილობის მოწვევის ინიციატორები სრულებითაც არ ფიქრობდნენ ფარული ორგანიზაციის ლიკვიდაციაზე, რაც ყრილობამ დაადგინა. მათ მიზანს შეადგენდა მეტი სიცხადის შეტანა საწესდებო და პროგრამულ საკითხებში, შეთანხმების მიღწევა და ორგანიზაციის განმტკიცება.

ყრილობის მოწვევის დღედ დადგენილ იქნა 1821 წლის იან-

ვარი. ამ დროისათვის მოსკოვში შეიკრიბნენ დეკაბრისტთა გამგეობის წარმომადგენლები პეტერბურგიდან — ნ. ტურგენევი და თ. გლინკა, კიშინიოვიდან — მ. ორლოვი და კ. ახოტნიკოვი, ტულჩინოდან — ი. ბურცოვი და ნ. კომაროვი. მოსკოველი დეკაბრისტებიდან ყრილობაზე მონაწილეობდნენ ძმები მ. და ი. ფონვიზინები, ი. იაკუშკინი, პ. გრაბბე, პ. კოლოშინი.

ყრილობა გახსნა ნ. ტურგენევმა. პირველი გამოვიდა მ. ორლოვი, რომელმაც განავითარა აზრი დაუყოვნებლივი მოქმედების შესახებ. მისი აზრით უნდა მომხდარიყო ერთდროულად სამხედრო გამოსვლები სხვადასხვა პუნქტებში. ამბოხების შესამზადებლად გავრცელდებოდა პროკლამაციები, რომელსაც დაბეჭდავდნენ არალეგალურად მოწყობილ სტამბებში.

მ. ორლოვის ამ გამოსვლამ დიდი კამათი გამოიწვია, უმრავლესობა მას წინ აღუდგა. ზოგიერთმა ისიც კი დააბრალა, რომ მან ასეთი ფანტასტური გეგმა მოქმედებისა წარმოადგინა განგებ, რომ ამით გამოეწვია მისდამი საერთო უკმაყოფილება და ამ საბაბით გასცლოდა ორგანიზაციას. იაკუშკინი თავის წერილებში ორლოვზე აღნიშნავს, რომ მას სურდა ორგანიზაციიდან წასვლა, რადგან სწორედ ამ ხანებში ქორწინდებოდა გენერალ რაევსკის ქალიშვილზე და ქალის მშობლები მისგან მოითხოვდნენ საიდუმლო ორგანიზაციაში მუშაობისაგან ხელის აღებასო. ყრილობაზე ორლოვის გამოსვლის გულწრფელობის საკითხს ვრცლად ეხება თავის ნაშრომში ს. ჩერნოვი.[1] მას მიაჩნია, რომ ორლოვმა პირადი ბედნიერების ზღურბლზე დასახა პირდაპირი გეგმა: ან ენერგიული რევოლუციური მოქმედება, რომლის დროს იგი დარჩება საზოგადოებაში, ან სავსებით წასვლა საზოგადოებიდან. პირველ შემთხვევაში იგი პირად ბედნიერებას სწირავდა, მეორე შემთხვევაში სავსებით იღებდა ხელს შეთქმულებასთან ურთიერთობაზე. მ. ვ. ნეჩკინას ეჭვი არ ეპარება ორლოვის გულწრფელობაში და მიუთითებს იაკუშკინის შეცდომაზე. საქმე ისაა, რომ ორლოვი ყრილობის შემდეგაც, 1822—23 წლებში უკვე დაქორწინებული, დეკაბრისტული საქმიანობის

[1] С. Н. Чернов К истории политических столкновений на Московском съезде, 1821 года.

ცენტრში ტრიალებს და მის საქმიანობას თანაუგრძნობს რაევსკის ოჯახიც.

ორლოვის შემდეგ ყრილობაზე გამოვიდა პ. გრაბბე, რომელმაც მოიტანა შემაშფოთებელი ფაქტები იმისა, რომ ზემდგომ ორგანოებში უკვე იციან რაღაც საიდუმლო ორგანიზაციის არსებობის შესახებ და მიმდინარეობს კვლევა-ძიება. ამ განცხადების შემდეგ შეტანილ იქნა წინადადება არსებული საიდუმლო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ. ყრილობის მონაწილეებმა ივარაუდეს, რომ „კეთილდღეობის კავშირის" დაშლა ჯერ ერთი, გზა-კვალს აურევდა მთავრობას, რომელსაც უკვე ჰქონდა ხელთ ძაფი საიდუმლო ორგანიზაციის მისაგნებად, და მეორეც, ახალ ფარულ ორგანიზაციაში, რომელიც ყრილობის შემდეგ შეიქმნებოდა სხვადასხვა პუნქტებში, გზა გადაეღობებოდა უკიდურესად რადიკალურად განწყობილ პირებს. ყრილობაზე ითქვა, რომ ახალ ფარულ საზოგადოებაში არ უნდა იქნენ მიღებულნი ისეთი პირები, რომლებიც ან ძლიერ მერყეობენ, ან მეტისმეტად რადიკალურად არიან განწყობილნი. ასეთ რადიკალურ პიროვნებად, მაგალითად, ბევრს მიაჩნდა პავლე პესტელი და ვარაუდობდნენ კიდეც მის ჩამოცილებას.

მოსკოვის ყრილობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დეკაბრისტული მოძრაობის ისტორიაში. მან ლიკვიდაცია უყო „კეთილდღეობის კავშირს" და დასაბამი მისცა ახალ ფარულ საზოგადოებათა არსებობას, ახალ, უფრო მაღალ ეტაპს დეკაბრისტთა მთელს მოღვაწეობაში.

სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფარული საზოგადოებანი

მოსკოვის ყრილობას არ შეუწყვეტია დეკაბრისტების ფარული საქმიანობა დიდი ხნით. მართალია, „კეთილდღეობის კავშირი" დაიშალა, მაგრამ მის სანაცვლოდ ახალი ფარული საზოგადოებების აღმოცენება პეტერბურგსა და ტულჩინოში დაუყოვნებლივ მოხდა. მოსკოვის ფილიალი კი ისევ ძველებურად განაგრძობდა არსებობას.

პეტერბურგში ახალი საზოგადოების ორგანიზების მეთაუ-

რობა ნ. ტურგენევსა და ნ. მურავიოვს ჰქონდათ მინდობილი. დედაქალაქში დაბრუნებისთანავე მათ მართლაც ცხოველი საქმიანობა გააჩაღეს ამ მხრივ, მაგრამ ორგანიზაციის გაფორმება მაინც ხანგრძლივი დროით შეფერხდა. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ დედაქალაქიდან გაყვანილ იქნა გვარდია, რომლის ოფიცრობა შეთქმულთა ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. დაიფანტნენ თვით ორგანიზაციის მესვეურებიც. ამიტომ, როგორც მ. ვ. ნეჩკინა შენიშნავს, ჩრდილოეთში მურავიოვისა და ტურგენევის მიერ დაწყებული საქმე გარკვეულ დრომდე „ემბრიონულ" მდგომარეობაში დარჩა. ნ. ტურგენევსა და ნ. მურავიოვს ამ დროს საზოგადოების მიზნებზე სხვადასხვა შეხედულებანი ჰქონდათ. მაგრამ დროთა განმავლობაში მათი აზრები შერწყმულ იქნენ. ნ. მურავიოვმა თანდათან გადაინაცვლა ნ. ტურგენევის უფრო შემარიგებლურ პოზიციაზე და 1822—23 წლიდან, როცა დაიწყო „ემბრიონის" გამოცოცხლება და ზრდა, ჩრდილოეთის ფარული საზოგადოება უკვე კონსტიტუციურ-მონარქიულ თვალსაზრისზე იდგა.

ტულჩინოში მოსკოვის ყრილობის გადაწყვეტილების შესახებ პირველი ცნობები კომაროვმა ჩაიტანა. პესტელმა დაგმო ყრილობაზე ბურცოვის შემარიგებლური პოზიცია, თავის უახლოეს თანამოაზრეებთან ერთად ყრილობის გადაწყვეტილება უკანონოდ გამოაცხადა და განაგრძო მუშაობა. მარტში, როცა ტულჩინოში ბურცოვი ჩავიდა, პესტელის ბინაზე შეიკრიბნენ ტულჩინოს აქტიური დეკაბრისტები — იუშნევსკი, ბარიატინსკი, ვოლფი, აბრამოვი, ივაშევი, ბასარგინი, ძმები კრიუკოვები. ბურცოვმა წარადგინა ყრილობის მოკლე ანგარიში და დადგენილება ფარული საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ, არაფერი თქვა, რომ ფარული საზოგადოებების ორგანიზაცია თავიდან უნდა დაწყებულიყო. პესტელმა, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, ყრილობის გადაწყვეტილება დაახასიათა როგორც უკანონო, ყრილობის რწმუნების გადაჭარბებული აქტი და დააყენა საკითხი ორგანიზაციის მუშაობის შემდგომი გაცხოველების შესახებ. ბურცოვმა და მისმა ზოგმა თანამოაზრემ სხდომა დასტოვეს. სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ მოსკოვის ყრილობამ გადააჭარბა თავის ძალაუფლე-

ბას, რადგან მას დავალებული ჰქონდა არა საზოგადოების ლიკვიდაცია, არამედ მისი გადახალისება. ამიტომ ტულჩინოს გამგეობა არ ემორჩილება რა ყრილობის დადგენილებას, აღიარებს საზოგადოების არსებობას ძველებურად და განზრახული აქვს განაგრძოს თავისი მოღვაწეობაო.

ეს დადგენილება წარმოადგენს სამხრეთის ფარული საზოგადოების შექმნის დასაწყისს. ორგანიზაციის წამყვანი ძალა, მისი სული და გული გახდა პავლე პესტელი.

სამხრეთის ფარული საზოგადოების შექმნა სრულიადაც არ ნიშნავდა რაიმე ცვლილებებს პროგრამულ საკითხებში. პესტელის ორგელივ შემოკრებილი შეთქმული ახალგაზრდობა ისევ ერთგული დარჩა რესპუბლიკური თვალსაზრისისა, პესტელი აჩვენებს, რომ 1821 წლის მარტის დადგენილება მუშაობის გაგრძელების შესახებ ნიშნავდა არა იმას, რომ მის მოღვაწეობაში რაიმე ახალი მიზანი ისახებოდა, არამედ იმას, რომ უკვე აღიარებული თვალსაზრისი რჩებოდა. როცა ვიხილავდით საკითხს საზოგადოების მიზნის შესახებ და მე დავსვი საკითხი სცელის თუ არა საზოგადოება თავის რესპუბლიკურ მიზანს — ყველამ ერთსულოვნად დაადასტურა თავისი რესპუბლიკელობაო — ამბობს პესტელი.

შემდეგ შეკრებაზე განისაზღვრა სამხრეთის ფარული საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა: საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პესტელი, იუშნევსკი — მეთვალყურედ. შესდგა აგრეთვე საზოგადოების დირექტორია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პესტელი, იუშნევსკი და ნიკიტა მურავიოვი. ნიკიტა მურავიოვის შეყვანა დირექტორიის შემადგენლობაში პესტელს იმისათვის მიაჩნდა საჭიროდ, რომ ხაზი გაესვათ სამხრეთის ფარული საზოგადოების საყოველთაო რუსული ხასიათისათვის. მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში ნიკიტა მურავიოვი პესტელისათვის ცნობილი იყო როგორც რესპუბლიკურად განწყობილი პიროვნება. საზოგადოება დაიყო ორ გამგეობად. პირველის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა ივაშოვი, მეორისა—აბრამოვი. საზოგადოებამ საჭიროდ აღიარა

ახალი წევრების შემოკრების საჭიროება, ამასთან მიუთითა კონსპირაციულობის გაღრმავების აუცილებლობაზე.

სამხრეთის ფარული ორგანიზაცია პ. პესტელის მეთაურობით ცხოველ მუშაობას ეწეოდა არა მარტო ორგანიზაციულ, არამედ იდეურ სფეროში. იმ ცხარე თათბირებში, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა კიევის საკონტრაქტო ბაზრობის დროს, მიმდინარეობდა დაზუსტება დოკუმენტისა, რომლის ავტორი პესტელი იყო და რომელიც შეიცავდა რევოლუციის შემდგომი რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის მთლიან პროგრამას. შემარიგებლებისაგან თავისუფალი და რადიკალურად განწყობილი სამხრეთელები პესტელის თვალსაზრისს ძირითადში იზიარებდნენ, ამ მსჯელობაში ხდებოდა მრავალი საპროგრამო საკითხის დახვეწა და დაზუსტება.

ეს საპროგრამო დოკუმენტი, პავლე პესტელმა რომ შეადგინა, ისტორიაში ცნობილია „რუსკაია პრავდას“ სახელწოდებით.

„რუსკაია პრავდა“ იყო რუსეთის სახელმწიფოს ძირითადი კანონი ანუ კონსტიტუცია. იგი ხალხისათვის აწესებდა რევოლუციის შედეგად მოპოვებულ უფლებებს, მთავრობისათვის — იმ მოვალეობას, რომელსაც მას დემოკრატიული რესპუბლიკა ანიჭებდა.

„რუსკაია პრავდა“ იყო იმ დროის უდიდესი რევოლუციური დოკუმენტი, ამიტომ გასაგებია ის განსაკუთრებული კონსპირაცია, რომლითაც ამ დოკუმენტს ინახავდნენ სამხრეთელები და ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც საგამომძიებლო კომისია და პირადად იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ამ დოკუმენტისადმი იჩენდა. დეკაბრისტების დაპატიმრების დიდი ხნის შემდეგაც კონსტიტუცია გადამალული იყო. საგამომძიებლო კომისიამ დამსმენთაგან იცოდა მისი არსებობა. ერთ-ერთმა დამბეზღებელმა კაპიტანმა მაიბოროდამ დაახლოებით აჩვენა კიდეც ის ადგილი, სადაც პესტელი თითქოს „რუსკაია პრავდას“ ინახავდა, მაგრამ დამბეზღებლის კვალი სწორი არ აღმოჩნდა. ძიების პროცესში გაირკვა, რომ პესტელს „რუსკაია პრავდა“ შესანახად გადაუცია კრიუკოვისათვის, ხოლო კრიუ-

კოვს ზაიკინისათვის. ზაიკინს იგი დაუმარხია მიწაში ტულჩინოს მახლობლად. იპოვა რა ეს დოკუმენტი, თვითმპყრობელობა მას დიდი საიდუმლოებით ინახავდა და მხოლოდ 1906 წ. გახდა შესაძლებელი მისი გამოქვეყნება.[1]

საბჭოთა ისტორიკოსებმა დაადგინეს, რომ არსებობს „რუსკაია პრავდას" ორი ვარიანტი და მეორე ვარიანტი, რომელიც პირველის დახვეწა-დაზუსტებას წარმოადგენდა, უფრო რადიკალური მიმართულებისაა. ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სიმწიფის ზრდასთან თანდათან ღრმავდებოდა პესტელის რევოლუციურ-დემოკრატიული მრწამსი.

რაში მდგომარეობს „რუსკაია პრავდას", რუსეთის ამ პირველი რევოლუციური კონსტიტუციის ძირითადი აზრი, როგორ წყვეტს იგი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს?

რევოლუციის გამარჯვებისთანავე ყველაზე მთავარ, ძირითად საკითხად პესტელს მიაჩნდა თვითმპყრობელობის დამხობა, რუსეთში რესპუბლიკური წყობილების დამყარება. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთში შეიქმნებოდა ახალი მთავრობა — „დროებითი უმაღლესი მმართველობა", რომელსაც „რუსკაია პრავდა" გადაეცემოდა როგორც სახელმძღვანელო, საპროგრამო დოკუმენტი. ეს მთავრობა რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს გადაწყვეტდა „რუსკაია პრავდას" მითითებათა მიხედვით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ საკითხებიდან იყო რუსეთში ბატონყმობის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია. „რუსკაია პრავდა" მიუთითებს, რომ ბატონყმობა — მონობა „დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს და თავადაზნაურობას დაუყოვნებლივ და საუკუნოდ უნდა წაერთვას სხვა ადამიანებზე ბატონობის უპირატესობა".

თუ რომელიმე ბოროტი აზნაური წინ აღუდგება ბატონყმობის მოსპობას, მის მიმართ მიღებულ უნდა იქნას უმკაცრესი ზომები. მონობისა და ყმური მდგომარეობის მოსპობა ეკისრება

---

[1] იხ. П. И. Пестель, Русская правда, наказ Временному Верховному правлению, С Петербург, 1906. г.

დროებით უმაღლეს მმართველობას, როგორც მისი უწმინდესი და უპირველესი მოვალეობა.

პესტელი „რუსკაია პრავდას", როგორც აღვნიშნეთ, დროებითი უმაღლესი მმართველობის განაწესად თვლიდა. აქ კითხვა ისმის: თუ იგი აღიარებდა რესპუბლიკურ წყობას და არჩევით ორგანოებს რუსეთისათვის, მაშინ რაღა საჭირო იყო ეს დროებითი უმაღლესი მმართველობა, რომელსაც რევოლუციის შემდეგ კი არ ირჩევდნენ, არამედ ნიშნავდნენ და რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში დიქტატორული უფლებები ქონდა მინიჭებული?

ამ კითხვაზე თვით პესტელი შემდეგნაირ პასუხს იძლევა. ისტორიას არა ერთხელ ახსოვს რევოლუციის შემდეგ ძველი, დამხობილი რეჟიმის რესტავრაციის შემთხვევა. ასეთი იყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგაც. „საშინელმა მოვლენამ (ე. ი. მონარქიის რესტავრაციამ), რომელსაც ადგილი ქონდა საფრანგეთში რევოლუციის დროს — აღნიშნავს პესტელი — მაიძულა მე მომეძებნა საშუალება ასეთის თავიდან ასაცილებლად და ამან შემდეგ ჩემში აღიარა აზრი დროებითი მმართველობისა და მისი აუცილებლობის შესახებ..."

ამრიგად, დროებითი უმაღლესი მმართველობა, პესტელის აზრით, იქნებოდა გარდამავალი საფეხური, რომლის დროსაც დათრგუნვილი იქნებოდა რეაქციის ძალები და თანდათან დამკვიდრდებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებული არჩევითი ხელისუფლება.

ხელისუფლების ორგანოები და ფუნქციები პესტელს ასე აქვს წარმოდგენილი: რუსეთში ხელისუფლება, თავისი ფუნქციის მიხედვით იყოფა სამ ნაწილად: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, საკონტროლო. რუსეთში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უნდა იყოს სახალხო ვეჩე, აღმასრულებელი ორგანო— სახელმწიფო სათათბირო, უმაღლესი საკონტროლო ორგანო— უმაღლესი კრება.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ანუ სახალხო ვეჩე შესდგება ხალხის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც აირჩევიან ხუთი წლით. ამასთან ყოველწლიურად უნდა მოხდეს მისი შემადგენლობის $^1/_5$-ის გადარჩევა. ეს მუდმივი ცვალებადობა

სახალხო ვეჩეს ხელს შეუწყობს ახლო იყოს ხალხთან და გამოხატავდეს მის განწყობილებებს. სახალხო ვეჩეს დათხოვნის უფლება არავის არ აქვს. ის რუსეთში ყველაზე მაღალი ორგანოა, ხალხის ნების გამომხატველი, ის აცხადებს ომს, დებს ზავს.

აღმასრულებელი ხელისუფლება ანუ სახელმწიფო სათათბირო შესდგება 5 წევრისაგან, რომლებსაც 5 წლით ირჩევს სახალხო ვეჩე. ყოველწლიურად ამ შემადგენლობიდან გამოჰყავთ ერთი წევრი და შეჰყავთ ახალი. სათათბიროს თავმჯდომარეა ის, ვისაც მასში ყოფნის მეხუთე წელი შეუსრულდა. სახელმწიფო სათათბირო მმართველობის მუდმივი ორგანოა. მას ემორჩილებიან სამინისტროები. იგი მართავს ქვეყანას, სისრულეში მოჰყავს ის განკარგულებანი და კანონები, რომელსაც აწესებს სახალხო ვეჩე.

საკონტროლო ხელისუფლება — ან უმაღლესი კრება შესდგება 120 კაცისაგან. მისი შემადგენლობა მუდმივია. უმაღლესი კრების წევრებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელ ორგანოებში. მათი მოვალეობაა კანონიერებისადმი თვალყურის დევნება.

ამ მიზნით უმაღლესი კრება თითოეულ სამინისტროში და თითოეულ ოლქში ნიშნავს თავის წარმომადგენელს „გენერალ პროკურორს". იგივე ნიშნავს მოქმედი ჯარების მთავარსარდალს. პესტელს საჭიროდ არ მიაჩნია ამ ორგანოს მუდმივი გადახალისება ისევე, როგორც ეს უნდა ხდებოდეს უმაღლეს კრებასა და სახელმწიფო სათათბიროში. ეს იმიტომ რომ, უმაღლესი კრების თვით ხასიათი, მისი დანიშნულება არ ქმნის ხელისუფლების უზურპაციის საშიშროებას. ამავე დროს მისი მუდმივობა წარმოადგენს ხელისუფლების სხვა ორგანოების გადაგვარების საშიშროების გამაფრთხილებელ საშუალებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „რუსკაია პრავდას" ეს ნაწილი (VI თავი) საბოლოოდ დამუშავებული არ ყოფილა. პესტელმა ვერ მოასწრო ამ მონაკვეთის საბოლოო ჩამოყალიბება და რედაქცია. ამიტომ მკვლევარები სახელმწიფო ხელისუფლების პესტელისებურ აღნაგობაზე მსჯელობენ „რუსკაია პრავდის"

სხვადასხვა ვარიანტებისა და ძიების პროცესში პესტელის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებათა მიხედვით.

„რუსკაია პრავდას“ მიხედვით რუსეთში რევოლუციის შემდეგ აღარ იარსებებს წოდებრივი უთანასწორობა. ყველა, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, თანასწორი იქნება კანონის წინაშე. სახელმწიფოში „ყველა მოქალაქეს ექნება ერთგვარი უფლება და კანონის წინაშე ყველა იქნება თანასწორი“ — ნათქვამია კონსტიტუციაში. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას მიიღებს ყველა მამაკაცი, რომელსაც ოცი წელი შეუსრულდა. კონსტიტუციაში გამორიცხულია ქონებრივი, ან განათლების ცენზი, მაგრამ მას მაინც ახლავს თავადაზნაურული შეზღუდულობა. კერძოდ, ხმის უფლება წართმეული აქვთ ქალებს.

სახალხო ვეჩეში არჩევნები ორსაფეხურიანია: სათემო კრება ირჩევს დელეგატებს საოლქო, ან საგუბერნიო კრებაში, ხოლო ეს უკანასკნელი თავისი შემადგენლობიდან — სახალხო ვეჩეს დეპუტატებს. რაც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს და უმაღლეს კრებას, მათი შემადგენლობისათვის კანდიდატების შერჩევა ხდება ოლქში, ან გუბერნიაში. მათგან საჭირო რაოდენობას თვით ირჩევს სახალხო ვეჩე.

პესტელი „რუსკაია პრავდაში“ მიუთითებს ხელისუფლების მტკიცე ცენტრალიზაციის აუცილებლობაზე. ფედერაციული მმართველობა, მისი აზრით, საზიანოა, იგი ასუსტებს ხელისუფლების ერთიან მტკიცე ორგანიზმს. ფედერაცია ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელმაც შეიძლება მოისურვოს ან ცალკე კანონების გამოცემა, ან არ ისურვოს მონაწილეობა იმ ომში, რომელსაც სახელმწიფო გამოაცხადებს. პესტელი ვარაუდობს დაიყოს რუსეთი 10 ოლქად. აქ მხედველობაში არაა მიღებული არავითარი ნაციონალური შემადგენლობა. რუსეთის სხვადასხვა ერების შესახებ პესტელს ცალკე პარაგრაფები აქვს დაწერილი, მაგრამ ეს პარაგრაფები ჩვენამდე არაა მოღწეული. საერთოდ კი იგი ვარაუდობს, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ერებს არავითარი თვითგამორკვევის უფლება არ აქვთ, და რომ გარკვეული დროის გან-

შავლობაში ყველა ისინი შერწყმულ უნდა იქნან საერთო შემადგენლობაში. ნაციონალური საკითხის დაყენება და გადაწყვეტა არა მარტო პესტელის, არამედ საერთოდ დეკაბრისტების მიერ ატარებდა თავადაზნაურული შეზღუდულობის დაღს, იგი ველიკორუსული შოვინიზმის სენით იყო დაავადებული. მათ ვერ შესძლეს სწორად გაეგოთ უფლებები იმ ერებისა, რომლებმაც უფრო ძლიერი ძალის დაწოლის შედეგად დაჰკარგეს თავიანთი სუვერენიტეტი, ან ნებაყოფლობით შეუერთდნენ რუსეთს. დეკაბრისტები გამონაკლისს მხოლოდ პოლონეთის მიმართ აკეთებდნენ, ისიც იმიტომ, რომ პოლონელ შეთქმულთა გული მოეგოთ, მათთან მოქმედების კოორდინაცია არ დაერღვიათ.

ეხება რა კავკასიის ხალხებს, მეორე თავის („რუსეთში მცხოვრები ტომების შესახებ") მე-11 პარაგრაფში, პესტელი მიუთითებს კავკასიის მხარის სიმდიდრეზე, მისი შემოერთების სარგებლიანობაზე, კავკასიელი ტომების მოუსვენრობაზე, მათი სწრაფი დამორჩილების შეუძლებლობაზე და უმაღლეს დროებით მმართველობას ასეთ განაწესს აძლევს: 1. საბოლოოდ დაპყრობილი და შემომტკიცებულ იქნას სპარსეთის და თურქეთის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ზღვისპირეთითურთ (ამიერკავკასია); გაიყოს კავკასიის ხალხები ორ თანრიგად — მშვიდობიან და მშფოთვარედ, მათგან პირველნი დატოვებულ იქნას საცხოვრებელ ადგილზე, მიეცეს მათ რუსული კანონ-სამართალი, ჩასახლებულ იქნას კავკასიაში რუსი კოლონისტები, რომელთაც გადაეცეს მშფოთვარე მოსახლეობისათვის ჩამორთმეული მიწები, ამით უზრუნველყოფილი იქნება კავკასიის დამშვიდება და ეს მხარე გადაიქცევა მშვიდ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქადო.[1] ხალხთა ბედის ასეთი გადაწყვეტა როგორც ვხედავთ, არაფრით არ განსხვავდებოდა იმ პოლიტიკისაგან, რასაც რუსეთის მონარქიული ხელმძღვანელობა ახორციელებდა. ეს იყო მწვავე კოლონიური რე-

---

[1] П. И. Пестель, Русская правда, наказ Временному Верховному правлению. 1906 г. зз. 47-48.

ქიმის წახალისება. ამ ფაქტში ნათლად ჩანს პესტელის, როგორც თავადაზნაური რევოლუციონერის, კლასობრივი შეზღუდულობა, ის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რომელსაც „რუსკაია პრავდა“ ზოგიერთ, განსაკუთრებით ნაციონალურ საკითხში, შეიცავს ზემოდმითითებული მიზეზის გამო.

ეს შეზღუდულობა, წინააღმდეგობრივი ხასიათი თავს იჩენს აგრეთვე აგრარულ საკითხშიაც, სადაც პესტელი ერთ და იმავე დროს აღიარებს მიწაზე სათემო და კერძო საკუთრებას და ვერ იჩენს თანამიმდევრობას ფეოდალური მიწათმფლობელობის სრული ლიკვიდაციის საქმეში.

პესტელი აგრარული საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად უდებს ორ საპირისპირო თვალსაზრისს: ადამიანი ცხოვრობს მიწაზე, მხოლოდ მიწაზე შეუძლია მას არსებობა, მიწა აძლევს მას საზრდოს. ადამიანთა მოდგმა ღმერთმა მიწაზე შექმნა და მიწა მისცა მას მონაპოვრად, რადგან ისაა მისი საზრდო. ბუნება თვით ქმნის ყოველივეს, რაც ადამიანს კვებისთვის სჭირდება. ცხადია, მიწა მთელი კაცობრიობის საერთო საკუთრებაა და არა რომელიმე კერძო პირისა, ამიტომაც მიწა არ შეიძლება რამოდენიმე პირს შორის განაწილდეს, ისე რომ ზოგიერთს არაფერი ხვდეს. თუ დედამიწაზე არსებობს თუნდაც ერთი კაცი, რომელიც მიწის სიკეთით ვერ სარგებლობს, ამით დარღვეულია ღვთის ნება და ბუნების კანონი და შელახულია ადამიანის ბუნებრივი უფლებანი ძალადობითა და უკანონობით. მეორე თვალსაზრისი, საპირისპიროდ პირველისა, აღიარებს, რომ შრომა საკუთრების წყაროა და ის, ვინც მიწა გაანაყოფიერა და მოსავლიანად აქცია, აღჭურვილია მასზე მესაკუთრის განსაკუთრებული უფლებით. ამას ისიც ემატება — შენიშნავს პესტელი — რომ საკუთრება მიწაზე ერთერთი წყაროა მიწათმოქმედების აყვავებისა, რომ თუ მიწის მფლობელს არ აქვს რწმენა საკუთრებისა, თუ მიწა ხელიდან ხელში გადადის, არასოდეს არ იქნება მიღწეული მიწათმოქმედების აყვავება, მოსავლიანობის ზრდა.[1] ამრიგად პესტელი ერთის

---

[1] П. И. Пестель, Русская правда, наказ Временному Верховному правлению. 1906 г. зз. 203.

მხრივ აღიარებს, რომ მიწა საყოველთაოა. მეორეს მხრივ პატივს სცემს პრინციპს კერძო საკუთრებისა, რომელიც ადამიანთა საზოგადოების დღიდანაა დაწესებული და ხელშეუხებელი. ამ ორი საპირისპირო პრინციპების შერიგება, მისი აზრით, შესაძლებელია შემდეგნაირად: დაწესდება მიწის საზოგადო და კერძო სარგებლობის ფონდები. საზოგადო ფონდიდან არსებობისათვის აუცილებელი მიწის ნაკვეთი მიეცემა ყველას დროებითი სარგებლობისათვის. ეს მიწა საზოგადოა. მისი გასხვისების, მემკვიდრეობის უფლება გამორიცხულია. ამით „თითოეული რუსი — ნათქვამია კონსტიტუციაში — სავსებით დაკმაყოფილებულ იქნება მისთვის აუცილებელით და დარწმუნებული იქნება, რომ თავის თემში ყოველთვის იქნება უზრუნველყოფილი მიწის ნაკვეთით, რომელიც მას გამოჰკვებავს და დამოკიდებული იქნება არა ღვთის მოწყალებაზე, არამედ საკუთარ შრომაზე, რომელსაც იგი მოახმარს დამუშავებას იმ მიწისა, რომელიც ეკუთვნის მას, როგორც სათემო საზოგადოების წევრს სხვა თანამოქალაქეთა თანაბრად. საერთო ფონდში პირველყოვლისა შევა სახაზინო და სამონასტრო მიწები.

მიწის საზოგადოებრივი ფონდის გვერდით იარსებებს ფონდი კერძო მფლობელობისათვის. კერძო მფლობელობის მიწები იქნება ხაზინის ან კერძო პირების საკუთრება; მისი მფლობელები ისარგებლებენ სრული თავისუფლებით მოხმარების საქმეში, ექნებათ უფლება გაასაჩუქრონ, გაჰყიდონ, მემკვიდრეს გადასცენ იგი. მიწის ამ ფონდის მიზანია სიუხვის შექმნა.

ჩვენთვის ცხადია პესტელის მიერ აგრარული საკითხის გადაწყვეტის უტოპიური ხასიათი. მისი გულწრფელი მისწრაფება — მოესპო რუსეთში სიღატაკე, ყველასათვის შეექმნა არსებობის მინიმუმი, ხოლო მსურველთათვის დამატებითი პროდუქტის წარმოების საშუალება — იყო ლამაზი ფრაზა, რომელსაც მის მიერ მოფიქრებულ ღონისძიებათა შედეგად განხორციელება არ ეწერა. კლასობრივი შეზღუდულობა პესტელისა გამოვლინდა აგრეთვე თავადაზნაურული მიწათმფლობელობისადმი დამოკიდებულებაში. მიწის საზოგადოებრივი

ფონდის შექმნისათვის პესტელი ვარაუდობდა მიწების ჩამორთმევას მხოლოდ იმ მემამულეთათვის, რომელთაც 5 ათას დესეტინაზე მეტი მიწა ჰქონდათ. ხოლო იმათ, რომელთა მამული 5 ათას დესეტინას არ აღემატებოდა, ერთმეოდა მხოლოდ ნახევარი, ისიც ფულადი ანაზღაურებით, ან სანაცვლო ნაკვეთის სხვა რაიონში მიცემით. ამრიგად საშუალო აზნაურები — მიწათმფლობელები რუსეთში ისევ ხელუხლებელნი რჩებოდნენ.

პესტელი დიდ ყურადღებას უთმობს მრეწველობის განვითარებას რუსეთში. სამამულო სამრეწველო წინსვლის ძირითად პირობად მას მიაჩნია თავისუფალი კონკურენცია. მთავრობა უნდა ზრუნავდეს დაიცვას სამამულო მრეწველობა უცხოური კონკურენციისაგან, ამის საუკეთესო საშუალებაა საბაჟო ტარიფების გადიდება.

„რუსკაია პრავდა“, გზას აძლევს რა თავისუფალ კონკურენციას, მოითხოვს სამრეწველო მონოპოლიების, სავაჭრო გილდიების, ხელოსნური ცეხების ლიკვიდაციას. დამახასიათებელია ისიც, რომ განახლებული რუსეთის დედაქალაქად მას დასახული აქვს ნიჟნინოვგოროდი (ვლადიმირის სახელწოდებით). ეს ქალაქი, როგორც ცნობილია, რუსეთის სინამდვილეში მართლაც იყო უმსხვილესი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი.

„რუსკაია პრავდა“, როგორც ვნახეთ, პირველი რესპუბლიკური კონსტიტუციაა რუსეთის ისტორიაში. მისი განხორციელება იქნებოდა წინგადადგმული დიდი ნაბიჯი რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განვითარების გზაზე. ამდენად „რუსკაია პრავდა“ უდიდესი მნიშვნელობის პროგრესული მოვლენაა და ერთერთი საყურადღებო საფეხურია რუსეთის საკონსტიტუციო ისტორიაში.

დეკაბრისტულმა მოძრაობამ შემოგვინახა მეორე კონსტიტუცია, რომელიც დაკავშირებულია დეკაბრისტთა ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების ერთერთი მესვეურის ნიკიტა მურავიოვის სახელთან.

ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ მოსკოვის ყრილობაზე „კეთილ-დღეობის კავშირის“ ლიკვიდაციის შემდეგ პეტერბურგში ნ. ტურგენევისა და ნ. მურავიოვის მეთაურობით დაიწყო წევრების შემოკრება ახალი ფარული საზოგადოების შესაქმნელად, მაგრამ გარკვეულ დრომდე ახალი ფარული საზოგადოება „ემბრიონულ“ მდგომარეობაში დარჩა. 1822—1823 წლიდან მუშაობა ისევ ცოცხლდება. ჩრდილოეთის შეთქმულთა წრე, რომლის ბირთვს შეადგენდნენ ნ. მურავიოვი, ნ. ტურგენევი, ს. ტრუბეცკოი, ე. ობოლენსკი, მ. ლუნინი, ი. პუშჩინი და სხვ., თანდათან ფართოვდება. აქაც რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე ცხარე მსჯელობა მიმდინარეობს. ნ. მურავიოვი, რომელიც ადრე რესპუბლიკურ იდეოლოგიას იზიარებდა, თანდათან იხრება მარჯვნივ. მისი ასეთი ევოლუცია ნათლად ჩანს იმ კონსტიტუციაში, რომელიც მან 1821—22 წლებში შეადგინა.

ნ. მურავიოვის კონსტიტუციის სამი ვარიანტია ცნობილი. ძიების პირველ დღეებში ჟანდარმერიამ ვერ მიაგნო ამ დოკუმენტის კვალს. ნ. მურავიოვს დაევალა წერილობით წარედგინა მისი ძირითადი დებულებანი. ამრიგად, 1825 წელს, ციხეში ყოფნისას ნ. მურავიოვმა დასწერა კონსტიტუციის შემოკლებული ტექსტი და იგი ამჟამად ჩვენთვის ცნობილ ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ძიებამ შემდეგ მიაგნო ამ დოკუმენტს, იგი იპოვეს ტრუბეცკოის ქაღალდებში. ტექსტი გადაწერილი იყო თვით ტრუბეცკოის მიერ 1822 წელს. მესამე ვარიანტი ესაა კ. რილეევის ხელით გადაწერილი ცალი, რომელიც პუშჩინთან ინახებოდა და, რომელიც აჯანყების დამარცხების დღეს შესანახად გადაეცა პოეტ ვიაზემსკის. ეს ტექსტი 1904 წელს იაკუშკინის შვილისშვილმა შესწირა რუმიანცევის (ამჟამად ვ. ი. ლენინის სახელობის) ბიბლიოთეკას. ბოლო რედაქცია იმითაა საყურადღებო, რომ რიგ ცვლილებებს, შესწორებებსა და დამატებებს შეიცავს.

ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების ცხოვრება და ნ. მურავიოვის კონსტიტუცია საფუძვლიანადაა შესწავლილი ჩერნოვის, აკსიონოვის, ნეჩკინას, სიროეჩკოვსკის ნაშრომებში,

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც ნიკიტა მურავიოვს მიუძღვნა ნ. დრუჟინინმა.[1]

ნ. მურავიოვის კონსტიტუციური პრინციპების გასაღებს წარმოადგენს შესავალი ნაწილი, სადაც აღიარებულია ადამიანის ნების თავისუფლება, ერთპიროვნული თვითნებობისა და ბრმა მორჩილების დაუშვებლობა. „ნებისყოფის თავისუფლება"-ს—ამბობს ნ. მურავიოვი—„აუცილებლად მივყეოართ პოლიტიკურ თავისუფლებამდე. კანონი, რომელიც სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ზღუდავს, არის გარეგანი გამოხატულება ნორმალური, ბუნებრივი წესრიგისა".

„ყველა ხალხის და ყველა დროის გამოცდილებამ გვიჩვენა — წერს ნ. მურავიოვი — რომ თვითმპყრობელური ძალაუფლება ერთნაირად დამღუპველია როგორც მმართველთათვის, ისე საზოგადოებისათვის; იგი ვერ უთანხმდება ვერც ჩვენს წმინდა რწმენას, ვერც ჯანსაღი გონების საწყისებს. შეუძლებელია მთავრობის საფუძვლად დავუშვათ ერთი კაცის თვითნებობა, შეუძლებელია დავეთანხმოთ, რომ ყველა უფლება იყოს ერთ მხარეზე, ხოლო ყველა ვალდებულება — მეორეზე. მონური მორჩილება შეიძლება დაფუძნებული იყოს მხოლოდ შიშზე და უღირსია როგორც გონიერი მბრძანებლისათვის, ისე გონიერი აღმსრულებლისათვის... ევროპის ყველა ხალხი კანონსა და თავისუფლებას აღწევენ. მათზე ყველაზე მეტად რუსი ხალხი ერთსაც და მეორესაც იმსახურებს".

პირველ თავში, რუსი ხალხისა და მისი მმართველობის შესახებ შესავალში მოცემული პრინციპებიდან გამომდინარე, განსაზღვრულია ის სამი საწყისი, რომელზედაც დაფუძნებულია შემდეგ მთელი მისი კონსტიტუციური შენობა. ეს სამი საწყისია — ხალხის სუვერენიტეტი, კონსტიტუციის უმაღლესობა და სახელმწიფოებრივი მმართველობის მოკავშირეობითი ხასიათი.

წინააღმდეგ პესტელისა, განახლებული რუსეთის ხელისუფ-

---

[1] Н. Дружинин, Декабрист Никита Муравьев.

ლება ნ. მურავიოვის კონსტიტუციაში წარმოდგენილია როგორც კონსტიტუციური მონარქია. მონარქის უფლება-მოვალეობანი სხვადასხვა რედაქციებში სხვადასხვაგვარადაა განსაზღვრული. პირველ ვარიანტში, მაგალითად, მონარქის უფლებები არაა კონკრეტულად მოხაზული, მითითებულია რომ მისი მოვალეობაა სახელმწიფოში უმაღლესი მოხელეების (მინისტრების) დანიშვნა.

მეორე ვარიანტში უფრო დაკონკრეტებულია მონარქის უფლება-მოვალეობა. მას ეკუთვნის მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება რუსეთში. ამავე დროს იგი უფლებამოსილია დაამტკიცოს საკანონმდებლო ორგანოების მიერ მოწონებული კანონ-პროექტი. თუ ხელმწიფე დაამტკიცებს საკანონმდებლო წინადადებას, ან ათი დღის განმავლობაში უკან არ დააბრუნებს, იგი ავტომატურად ძალაში შედის. მაგრამ თუ ხელმწიფემ არ დაამტკიცა კანონპროექტი, იგი წელახლად გადაეცემა განსახილველად საკანონმდებლო ორგანოს. თუ ამჯერადაც პალატის უმრავლესობამ ეს კანონპროექტი მიიღო, ხელმწიფეს აღარ აქვს მისი შეჩერების უფლება და იგი კანონის ძალას იღებს.

ხელმწიფეს დიდი უფლებები რჩება. იგი სახელმწიფოს სახმელეთო და საზღვაო ძალების უფროსია, მისი პრეროგატივია ფინანსთა, სამხედრო, საგარეო საქმეთა მინისტრების დანიშვნა, იგია მთავარსარდალი შეიარაღებული ძალებისა, ხოლო კონსტიტუციის მესამე ვარიანტის ძალით მინიჭებული აქვს ზოგი საკანონმდებლო ინიციატივაც კი. დიდია ხელმწიფის შემოსავალი — წლიურად 10 მილიონი მანეთი ვერცხლით.

წინააღმდეგ პესტელისა, ნ. მურავიოვის კონსტიტუციაში რუსეთი წარმოდგენილია როგორც ფედერაციული სახელმწიფო. რუსეთის ფედერაციულ დანაწილებას ნ. მურავიოვი საფუძვლად არ უდებს ნაციონალურ პრინციპს. ნაციონალურ საკითხში ისიც, როგორც პ. პესტელი, დგას არა ერთა თვითგამორკვევის, არამედ რუსეთის იმპერიის მთლიანობისა და განუყოფლობის თვალსაზრისზე. მაგრამ რუსეთის ფედერაციული დაყოფა არამექანიკურია. მას საფუძვლად უდევს ისტო-

რიული, ან ხშირ შემთხვევაში ეკონომიური პრინციპი. მთელს იმპერიაში მას ნავარაუდევი აქვს 14 ფედერაციული ერთეული და 2 ოლქი, თვითეულ მათგანს აქვს თავისი დედაქალაქი. მაგალითად ვოლხოვისა — დედაქალაქი პეტერბურგი; შავი ზღვისა — დედაქალაქი თბილისი; ბალტიისპირეთისა — რიგა; დასავლეთისა — ვილნო; დნეპრისა — სმოლენსკი; ვოლგისპირეთისა — იაროსლავი; კავისა — ყაზანი, მოსკოვისა — მოსკოვი და ა. შ.

რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ მურავიოვის კონსტიტუცია აღიარებს სახალხო ვეჩეს, რომელიც შესდგება ორი პალატისაგან. ქვედა, ანუ სახალხო წარმომადგენელთა პალატა აირჩევა 2 წლის ვადით ყოველ 50 ათას მცხოვრებზე 1 დეპუტატი (ანუ მაშინდელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით 420 დეპუტატი). ზედა პალატა — უმაღლესი სათათბირო შესდგება თითოეული ფედერაციიდან 3 და თითოეული ოლქიდან ორი წარმომადგენლისაგან ანუ სულ 46 კაცისაგან. ყოველ ორ წელიწადში უნდა მოხდეს სახელმწიფო სათათბიროს შემადგენლობის ერთი მესამედის გადარჩევა.

უმაღლესი სათათბიროს ფუნქციებში გარდა საკანონმდებლო საქმისა, შედის აგრეთვე მინისტრების, უმაღლესი მოსამართლეების და სხვა მსხვილი მოხელეების საქმეების გარჩევა იმ შემთხვევაში, თუ ისინი მხილებულ არიან დანაშაულში სახალხო წარმომადგენლების მიერ. უმაღლესი სათათბირო იმპერატორთან ერთად მონაწილეობს ზავის დადებაში, უმაღლესი სასამართლო ორგანოების მოსამართლეთა დანიშვნაში და სხვ.

ხელისუფლების საკუთარი ორგანოები გააჩნია თითოეულ ფედერაციულ ოლქს — დერჟავას. ოლქის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა საკანონმდებლო კრება, რომელიც აგრეთვე ორი პალატისაგან შესდგება—რჩეულთა პალატა და სათათბირო. რჩეულთა პალატის დეპუტატთა რაოდენობა განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (ყოველ 10 ათას სულზე 1 დეპუტატი), ხოლო სათათბიროსი — რჩეულთა პალატის ერთი მესამედით. აღმასრულებელი ხელისუფ-

ლება ფედერაციულ ერთეულში ეკუთვნის ოლქის მმართველს, მის მოადგილესა და მრჩეველს.

ნ. მურავიოვის კონსტიტუციაში თავადაზნაურული კლასობრივი შეზღუდულობა თავს იჩენს ყველა არსებითი საკითხის გადაწყვეტაში. იგი არა თუ სტოვებს მონარქს რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში, არამედ საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებს ზღუდავს იმგვარად, რომ დაცული რჩება პრივილეგიური კლასების ინტერესები. მას, წინააღმდეგ პესტელისა, ნავარაუდევი აქვს მაღალი ქონებრივი ცენზი. ამომრჩევლებს, ქონების მიხედვით ნ. მურავიოვი ჰყოფს ოთხ თანრიგად. პირველი თანრიგის ამომრჩევლები არიან ისინი, ვინც ფლობს ან 30 ათას მანეთის უძრავ, ან 60 ათასი მანეთის მოძრავ ქონებას, მეორე თანრიგისა — 15 ათასი მანეთის უძრავ, ან 30 ათასი მანეთის მოძრავ ქონებას; მესამე — 2 ათასი მან. უძრავ, ან 4 ათასი მან. მოძრავ ქონებას, მეოთხე თანრიგი — 500 მან. უძრავ, ან 1000 მან. მოძრავ ქონებას. ამასთან პირველ თანრიგის ამომრჩევლები უფლებამოსილი არიან არჩეულ იქნან უმაღლეს სათათბიროში, მეორე თანრიგისა — საოლქო სათათბიროში, მესამე თანრიგისა — რჩეულთა პალატაში. რაც შეეხება მეოთხე თანრიგს, ისინი მხოლოდ ირჩევენ, არსად არ აირჩევიან.

საარჩევნო ხმის უფლება სავსებით წართმეული აქვთ გლეხებს (შეზღუდულ უფლებებს ნ. მურავიოვი მხოლოდ სახაზინო გლეხებს აძლევს), „მომთაბარე ტომებს".

ნ. მურავიოვის კონსტიტუციას იერიში მიაქვს ბატონყმურ რეჟიმზე: „ყმური მდგომარეობა და მონობა უქმდება" — „მონა, რომელიც შეეხება რუსეთის მიწას, თავისუფალია! — ნათქვამია კონსტიტუციაში. ეს, როგორც მ. ვ. ნეჩკინა მიუთითებს, მურავიოვის პროექტის მთავარი პოზიტური მხარეა; იგი ძირს უთხრის ფეოდალურ საზოგადოებას, რადგან ფეოდალურ სისტემაში მიწა, ფეოდალს რომ ეკუთვნის, არაფერს არ წარმოადგენს, თუ მასზე მიმაგრებული არაა გლეხის სამუშაო ძალა, რომელიც ფეოდალურ ბატონყმური მეურნეობის აღწარმოების ფუნქციირების საფუძველია. ნ. მურავიოვის

კონსტიტუცია ამასთან ერთად სპობს წოდებრიობას და აწესებს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე.

6. მურავიოვის კონსტიტუცია, მართალია, გლეხობას ათავისუფლებს ყმური მდგომარეობიდან, მაგრამ მიწას ისევ ტოვებს მემამულის საკუთრებაში. ყოფილი ყმა გლეხები მურავიოვს ახალ ვითარებაში წარმოდგენილი ჰყავს როგორც მოიჯარადრენი იმ ნაკვეთებისა, რომლებსაც ადრე, ყმური დამოკიდებულების დროს ფლობდნენ. კონსტიტუციის მეორე ვარიანტში მითითებულია გათავისუფლებული ყმებისათვის საკარმიდამო ნაკვეთის გადაცემის შესახებ, ხოლო მესამე ვარიანტში — დამატებით გარკვეული რაოდენობის სახნავ-სათესი ნაკვეთის მიცემის შესახებაც (2 დესიატინის ფარგლებში). დანარჩენ მიწებს ისინი დაამუშავებენ ხელშეკრულების საფუძველზე.

კონსტიტუციაში ლაპარაკია აგრეთვე ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის მრავალი სხვა ინსტიტუტის ლიკვიდაციის შესახებ. მურავიოვი სასტიკად ილაშქრებს სამხედრო დაბების წინააღმდეგ და მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას, სამხედრო დაბის მცხოვრებთა სახაზინო მდგომარეობაში გადაყვანას.

6. მურავიოვის კონსტიტუციას, როგორც ვნახეთ, უფრო ღრმად ამჩნევია თავადაზნაურული კლასობრივი შეზღუდულობის დაღი. მიუხედავად ამ შეზღუდულობისა, კონსტიტუციის განხორციელება რუსეთის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში იქნებოდა უდიდესი მნიშვნელობის პროგრესული მოვლენა, რომელიც რუსეთს ერთბაშად გახდიდა ბურჟუაზიულ მონარქიად, ძირს გამოუთხრიდა ფეოდალურ რეჟიმს და შექმნიდა წინამძღვრებს ქვეყნის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნისათვის. კონსტიტუციის მრავალი დებულება ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის მთელ სისტემას აყენებდა ისეთ ღრმა დარტყმას, როგორიც რუსეთს საგლეხო რეფორმისა და სხვა ბურჟუაზიული რეფორმების გატარების წლებშიაც კი არ განუცდია. ეს კონსტიტუცია წარმოადგენს თავადაზნაურუ-

ლი რევოლუციის პოლიტიკური შემოქმედების ერთერთ უშესანიშნავეს ძეგლს და ღირსახსოვარ მოვლენას რუსეთის საკონსტიტუციო ისტორიაში.

ჩრდილოეთის და სამხრეთის ფარული საზოგადოებანი 1823—1824 წლებში

ეს პერიოდი ფარული ორგანიზაციების ინტენსიური საქმიანობით ხასიათდება. როგორც სამხრეთის უწყებებში, ისე პეტერბურგში მიმდინარეობს ახალი ადამიანების მოზიდვა შეთქმულებაში, საკონსტიტუციო დებულებათა დაზუსტება, ისევ თავს იჩენს სხვადასხვა მიმდინარეობანი.

პეტერბურგის ფარული საზოგადოება 1823—24 წლებში საგრძნობლად გაიზარდა. მას შეემატნენ ახალი წევრები. 1823 წელს შევიდა ამ საზოგადოებაში კონდრატ რილეევი, რომელმაც შემდეგ შეთქმულთა შორის ერთერთი წამყვანი ადგილი დაიკავა.

კონდრატ რილეევი შედარებით ხელმოკლე ოჯახიდან იყო გამოსული. მისი მამა თადარიგის პოდპოლკოვნიკი იყო და თავად გოლიცინის მამულს განაგებდა. რილეევი სწავლობდა კადეტთა კორპუსში. მან, სავსებით ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო რუსეთის არმიის საზღვარგარეთ ლაშქრობაში. ამ ლაშქრობამ, მისი დროის ევროპამ და განსაკუთრებით პარიზმა, როგორც თვით ამბობდა, მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და გააღვივა მისი სიყვარული თავისუფლებისადმი. 1818 წელს თადარიგში გავიდა, ოჯახით დასახლდა პეტერბურგში, მსახურობდა რუსეთ-ამერიკის კომპანიაში, რომელიც ალიასკის ექსპლოატაციისათვის იყო შექმნილი.

რილეევი ადრევე წერდა ლექსებს. მისი პოეზია დესპოტიზმის სიძულვილით, თავისუფლებისადმი წყურვილით იყო გამსჭვალული. სრულიად ახალგაზრდამ დასწერა ოდა არაკჩეევზე, სადაც სისხლიანი ტირანი ამხილა და უწინასწარმეტყველა დაღუპვა. ამ ლექსმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრი შიშობდა რომ ახალგაზრდა პოეტი ამ გამბედაობას მსხვერპლად შეეწირებოდა, მაგრამ ამჯერად რილეევი გა-

დარჩა. არაკჩეევმა განგებ წაუყრუა, ამ ლექსში თავისი თავი არ დაინახა.

რილეევი პეტერბურგის რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობაში ტრიალებდა. იგი ახლოს იცნობდა პუშკინს, რომელიც რილეევის მგზნებარე ლექსებს მაღალ შეფასებას აძლევდა. ა. ბესტუჟევთან ერთად რილეევმა დასწერა ჯარისკაცთა სიმღერა, სადაც ყღერდა რევოლუციური მოწოდება ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის დასამხობად.

ჩრდილოეთის ფარულ საზოგადოებაში კ. რილეევი 1823 წელს შევიდა. შესვლის პირველი დღიდანვე აქტიურად გააჩაღა რევოლუციური საქმიანობა და სულ მალე ერთერთი ცენტრალური მდგომარეობა დაიკავა. ნ. მურავიოვთან შედარებით კ. რილეევი თვითმპყრობელური რეჟიმისადმი მეტ შეურიგებლობას ამჟღავნებდა და რესპუბლიკისკენ იხრებოდა.

შეივსო რა ახალი წევრებით, ჩრდილოეთის ფარული საზოგადოება პასიური მდგომარეობიდან გამოვიდა. იგი იწყებს მუშაობას, რათა შემოიკრიბოს შეთქმულთა სხვადასხვა კერები. წარმოებს სამზადისი მოსკოვთან, კიევთან, სამხრეთის სხვა უწყებებთან დაახლოებისათვის.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დეკაბრისტული მოძრაობის ერთერთი დამახასიათებელი თვისება მისი განვითარების ყველა ეტაპზე იყო შინაგანი ერთობა. როგორც ნ. ზახაროვი შენიშნავს, ყოველგვარი აზრთა სხვადასხვაობა პროგრამულ და ტაქტიკურ საკითხებში წარმოადგენდნენ მხოლოდ ვარიანტებს ძირითად დებულებებში ერთიანი პროგრამისა. ეს ერთიანობა თავს იჩენდა ორგანიზაციული მიმართულებითაც.[1]

ამ ერთიანობის მნიშვნელობა და აუცილებლობა შესანიშნავად ესმოდა სამხრეთის ფარული საზოგადოების მეთაურს პ. პესტელს. პესტელი ჯანსაღად სჯიდა, რომ მხოლოდ მის უწყებას, რომელიც უკრაინის მიყრუებულ ქალაქებში იყო გა-

---

[1] Н. С. Захаров, Петербургское совещание декабристов. წიგნში— Очерки из истории движения декабристов, Москва, 1954 г.

ფანტული, სრულიადაც არ შეეძლო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება, რომ ძირითადად მოვლენები მაინც პეტერბურგში უნდა გადაწყვეტილიყო და საერთოდ, წარმატებისათვის აუცილებელი იყო მთელი ქვეყნის რევოლუციურ ძალთა ერთიანობა. ამას ჰგულისხმობდა პესტელი, როცა მაგალითად, სამხრეთის ფარული საზოგადოების აღმოცენებისთანავე დირექტორიის შემადგენლობაში ნ. მურავიოვიც შეიყვანა.

მომავალი რუსეთის ძირითად სახელმწიფოებრივ კანონზე მუშაობა რომ დაამთავრა და სამხრეთის შეთქმულთა შორის „რუსკაია პრავდას" ძირითად დებულებებში მხარდაჭერა რომ ჰპოვა, პ. პესტელმა გადაწყვიტა მოლაპარაკება დაეწყო ჩრდილოეთის ფარულ საზოგადოებასთან. ამ მიზნით, 1824 წლის იანვარში სამხრეთის საზოგადოების წარმომადგენლის სახით პეტერბურგში მივლინებულ იქნა ს. გ. ვოლკონსკი. პესტელი თავადაც აპირებდა პეტერბურგში გამგზავრებას და ვარაუდობდა ვოლკონსკისთან ერთად გაემართა მოლაპარაკება ჩრდილოეთელებთან გაერთიანების შესახებ. იანვარში პესტელის პეტერბურგში ჩასვლა ვერ მოხერხდა. ვოლკონსკიმ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია და უკანვე დაბრუნდა. ამავე პერიოდში კიევში, საკონტრაქტო ბაზრობის დროს შესდგა სამხრეთის უწყებათა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პესტელი, იუშნევსკი, სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი, ბესტუჟევ-რიუმინი, პოჯიო, ვოლკონსკი და სხვები. აქ ითქვა იმის შესახებ, რომ პეტერბურგის ფარულ საზოგადოებაში ყველაფერი რიგზე არ არის, რომ იქ შეთქმულთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, საზოგადოება ნელა იზრდება, საჭიროა ნ. მურავიოვის შეცვლა და სხვ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება პესტელის პეტერბურგში გამგზავრების შესახებ.

პეტერბურგში გამგზავრების წინ პესტელმა შეიმუშავა ჩრდილოეთელებთან მოლაპარაკების პროგრამა, რომელიც გაეცნო თავისი ორგანიზაციის აქტიურ წევრებს. მოლაპარაკება ჩრდილოეთელებთან უნდა წარმართულიყო „რუსკაია პრავდას" საპროგრამო დებულებათა ბაზაზე. პეტერბურგში პესტე-

ლი 1824 წ. მარტში ჩავიდა. პირველი შეხვედრა მას ჰქონდა მ. მურავიოვ-აპოსტოლთან, რომელმაც გააცნო რა მდგომარეობა ჩრდილოეთის ფარულ საზოგადოებაში, დაუხასიათა ის იდეური უთანხმოებანი, რომელიც ამ საზოგადოების სხვადასხვა წევრთა შორის თავს იჩენდა.

პესტელმა გადაწყვიტა თათბირამდე მოლაპარაკება საზოგადოების ცალკეულ წევრებთან ეწარმოებინა. ასეთი შეხვედრა ჰქონდა მას ობოლენსკისთან, რომელსაც გადაუშალა სამხრეთის ფარული საზოგადოების მთელი არსი და მიზანდასახულება. ობოლენსკიმ გაიზიარა პ. პესტელის შეხედულებანი როგორც იდეოლოგიურ, ისე ორგანიზაციულ საკითხებში. იგი მოხიბლული იყო პესტელის სილოგიზმის ძალით. თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ პესტელი იყო არაჩვეულებრივი გონების ადამიანი, მჭევრმეტყველი, „ძნელი იყო წინ აღსდგომოდა ადამიანი ასეთ მომხიბვლელ პიროვნებასო".

პესტელის შემდეგი საუბარი ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების მეორე თვალსაჩინო წევრთან — ტრუბეცკოისთან შესდგა, მაგრამ ვერ მოხერხდა მისი გადაბირება. როგორც პროგრამულ, ისე ორგანიზაციულ საკითხებში ტრუბეცკოის სულ სხვა შეხედულებანი ჰქონდა. პესტელის იაკობინურ განწყობილებას იგი სრულებითაც არ თანაუგრძნობდა.

საინტერესოა ის საუბარი, რომელიც პ. პესტელსა და რილეევს შორის შესდგა. კ. რილეევი აჩვენებს, რომ პესტელმა მას გადაუშალა გეგმა რევოლუციური რუსეთის აგებულებისა, ამავე დროს ჰკითხა — რომელი მმართველობა, რესპუბლიკური თუ კონსტიტუციურ-მონარქიული მიაჩნია მას უფრო შესაფერისად. რილეევს უპასუხნია, რომ იგი საერთოდ რესპუბლიკის მომხრეა, მაგრამ ამჯერად ამჯობინებს კონსტიტუციურ მმართველობას, რადგან რუსეთი ჯერ კიდევ არაა მზად რესპუბლიკისათვის. საუბარი შეეხებოდა აგრეთვე აგრარულ, ტაქტიკურ საკითხებს. ბევრ რამეში რილეევი პესტელის მხარეზე აღმოჩნდა. პესტელმა რილეევზე საერთოდ დიდი გავლენა მოახდინა.

პესტელის პეტერბურგში ჩასვლა ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების ხელმძღვანელმა ჯგუფმა სამართლიანად მიიჩნია

მნიშვნელოვან მოვლენად. შესდგა წინასწარი თათბირი, სადაც განხილულ იქნა გაერთიანების შესახებ პესტელის მიერ წამოყენებული წინადადებანი. თათბირს ესწრებოდნენ რილეევი, ტურგენევი, ტრუბეცკოი, მურავიოვ-აპოსტოლი, ობოლენსკი, პუშჩინი და სხვები. აღინიშნა, რომ ის უთანხმოებანი, რომლებიც რიგ ძირითად საკითხებში არსებობს სამხრეთელებსა და ჩრდილოეთელებს შორის, არ შეიძლება გადაიქცეს შემაფერხებელ გარემოებად გაერთიანებისათვის, რადგან იგი აუცილებელია რევოლუციის მთელ პროცესში.

მეტად საინტერესოა პ. პესტელისა და ნ. მურავიოვის შეხვედრა. ორთავე ისინი ორი ბანაკის მესვეურები იყვნენ. დავა ძირითადად მათი კონსტიტუციის მუხლებს შეეხებოდა.

ამ შეხვედრის დროს განხილული იქნა ძირითადი საპროგრამო საკითხები. ნ. მურავიოვი არ დაეთანხმა პესტელის მიერ აღიარებულ არჩევნების სისტემას, აგრარული საკითხის გადაწყვეტას და რიგ სხვა ძირითად საკითხებს. იგი წინაღუდგა აგრეთვე ჩრდილოეთის და სამხრეთის ფარული საზოგადოების დაუყოვნებლივ გაერთიანებას. ამრიგად, შეხვედრაზე ვერ მოხერხდა მურავიოვის და პესტელის შეხედულებათა შეთანხმება.

სამხრეთთან გაერთიანების საკითხს ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების წევრებმა მეორე თათბირი მიუძღვნეს — ამჟამად უფრო გაფართოებული შემადგენლობით. ახლა თათბირს ესწრებოდნენ პესტელი, ნ. მურავიოვი, ნ. ტურგენევი. ნ. მურავიოვის მიერ წამოყენებულ იქნა მოსაზრებანი გაერთიანების შეუძლებლობისა. პესტელი თავისას იჩემებდა და გაერთიანების აუცილებლობას ასაბუთებდა. ნ. მურავიოვის და ნ. ტურგენევის ავტორიტეტმა აქ თავისი გაიტანა. მათ მწვავედ გააკრიტიკეს პესტელის საკონსტიტუციო დებულებანი, ამავე დროს მოითხოვეს გაერთიანების გადადება.

ეს მოთხოვნა პ. პესტელის ღონისძიებათა წარუმატებლობას ნიშნავდა, ამიტომ სავსებით გასაგებია ის მშფოთვარე განწყობილება, რომელიც პ. პესტელს უკანასკნელი თათბირის დროს ჰქონდა. ეს თათბირი შესდგა ობოლენსკის ბინაზე. „პესტელმა,

დაინახა რა, რომ ჩრდილოეთის საზოგადოების წევრებიდან არავინ არ ემხრობა მის წინადადებას დროებითი მმართველობის მიერ ახალი წესრიგის შემოღების შესახებ და ორთავე საზოგადოების გაერთიანების შესახებ, დაჰკრა ხელი მაგიდაზე და თქვა „დაე იყოს რესპუბლიკა!“ — იგონებს ამ თათბირის ერთერთი მონაწილე. აზრთა შეთანხმება ვერც ამ თათბირზე მოხერხდა.

ბევრ მკვლევარს ეს თათბირი საბოლოოდ მიაჩნია, მ. ვ. ნეჩკინას აზრით, თათბირები ამის შემდეგაც გრძელდებოდა. ყოველშემთხვევაში ამ თათბირებზე მართალია, ცხადად გაირკვა ორთავე მხარის შეხედულებანი ყველა არსებით საკითხში, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული აზრთა ერთიანობა, ვერ იქნა მიღწეული ორგანიზაციების გაერთიანება. პესტელი და ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების ხელმძღვანელები მხოლოდ ერთ რამეში შეთანხმდნენ: დატოვებული ყოფილიყო ორივე საზოგადოება არსებულ მდგომარეობაში 1826 წლამდე, ხოლო ამ წელს ისევ მომხდარიყო რწმუნებულთა შეკრება, რომლებიც დასაწყისშივე შეთანხმდებოდნენ და აირჩევდნენ ფარული საზოგადოების საერთო ხელმძღვანელობას.

პესტელის ჩასვლას პეტერბურგში და იქ გამართულ თათბირებს, მიუხედავად იმისა, რომ ვერ იქნა მიღწეული სამხრეთელთა პროგრამის საფუძველზე ფარულ საზოგადოებათა გაერთიანება, მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, პესტელმა ჩრდილოეთის კავშირის მრავალ წევრზე დასტოვა წარუშლელი შთაბეჭდილება. მისი ლოგიკის ძალამ რესპუბლიკელად მოაქცია ზოგი, კონსტიტუციურ-მონარქიულსა და რესპუბლიკურ თვალსაზრისებს შორის მერყეევი შეთქმული. პესტელის ზოგიერთი მოსაზრება, როგორც ამას აღნიშნავენ მკვლევარები, შეტანილ იქნა კიდეც მურავიოვის კონსტიტუციის ახალ ვარიანტში. ერთი სიტყვით, ამ თათბირების შემდეგ ჩრდილოეთის საზოგადოებაში რესპუბლიკის მომხრეთა ჯგუფი გაფართოვდა, გაძლიერდა. მეორეც — ამ თათბირებმა მართალია, დროებით შეაჩერა, მაგრამ საკვლევით არ უარჰყო გაერთიანების იდეა. ამ თათბირების დროს მოხდა არა მარტო

ურთიერთ გაცნობა და საერთოდ, ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების საქმიანობის გაცხოველება, არამედ ახალი წევრების მოზიდვა შეთქმულებაში. პესტელმა პეტერბურგში ყოფნის დროს მოახერხა ჩამოეყალიბებინა სამხრეთის ფარული საზოგადოების ჩრდილოეთის გამგეობა. ეს ახალი ორგანიზაცია ჩრდილოეთის საზოგადოებისაგან განცალკევებულად იმოქმედებდა. ამ ახალ ჯგუფში პესტელმა ჩააბა ვადკოვსკი, პოლივანოვი, სვისტუნოვი, ანენკოვი, დეპრერადოვიჩი და სხვ. პესტელს მიაჩნდა რომ ეს ახალი გამგეობა, რადგანაც გაერთიანება ვერ მოხერხდა, იქნებოდა სამხრეთელთა დასაყრდენი მომავალ აჯანყების დროს პეტერბურგში და მეორეც ეს გამგეობა გარკვეულ დადებით როლს ითამაშებდა იმ მომავლის გაერთიანებაში, რომელიც 1826 წლისათვის იყო გათვალისწინებული.

3. პესტელი რომ არა მარტო რუსეთის მასშტაბით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც რევოლუციურ ძალთა კოორდინაციის თვალსაზრისზე იდგა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა თანაგრძნობის შემოკრებას ვარაუდობდა, ეს ნათლად ჩანს პოლონელთა ფარულ საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში.

პოლონეთში, რომელსაც რუსეთი არაადამიანურად ჩაგრავდა და სადაც პოლიტიკური რეაქციის საერთოევროპული პარპაშის ვითარებაში დაუნდობლად ებრძოდნენ ყოველივე ეროვნულს, პროგრესულს, თანდათანობით და მძლავრად მწიფდებოდა ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის შეგნება. პოლონელი პატრიოტები იბრძოდნენ რუსეთიდან განთავისუფლებისა და იმ საზღვრების აღდგენისათვის, რასაც პოლონეთი პირველ დაყოფამდე ფლობდა. ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი საიდუმლო ორგანიზაცია „ნაციონალური პატრიოტული საზოგადოება“, რომელიც 1821 წელს ჩამოყალიბდა მაიორ ვალერიან ლუკასინსკის მეთაურობით. საზოგადოება არავითარ სოციალურ რეფორმებს არ ითვალისწინებდა, ხოლო მისი ნაციონალური პროგრამა ზოგ სამართლიან მოთხოვნებთან ერთად, მოძმე სლავი ხალხების მიმართ გაბატონებულ

დამოკიდებულებას, მათი ეროვნული ჩაგვრის აღდგენას (ბელორუსიის, უკრაინის ტერიტორიები) ითვალისწინებდა. 1822 წელს ლუკასინსკი დააპატიმრეს და აწამეს. ფარულ საზოგადოებასაც მძიმე დარტყმა მიაყენეს, მაგრამ მან ისევ შესძლო ფეხზე წამოდგომა პოდპოლკოვნიკ ს. კრჟიჟანოვსკის მეთაურობით და ახალი წევრები შემოიკრიბა.

კიევში, საკონტრაქტო ბაზრობის დროს 1824 წელს კრჟიჟანოვსკი და მისი თანმხლები ოფიცრები რუს დეკაბრისტებს გაეცნენ. ვასილკოვის გამგეობის წამყვანმა შეთქმულებმა მურავიოვ-აპოსტოლმა და ბესტუჟევ-რიუმინმა ამ საზოგადოების არსებობის შესახებ ადრევე იცოდნენ. პესტელმა პოლონელ პატრიოტებთან მოლაპარაკება სწორედ ამათ დაავალა. ბესტუჟევ-რიუმინმა და ს. მურავიოვ-აპოსტოლმა შეიმუშავეს მოლაპარაკების მუხლები: რუსი შეთქმულნი პოლონელ პატრიოტებს აღუთქვამდნენ მხარდაჭერას პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში, თუმცა საზღვრები ისევ სადაოდ რჩებოდა. პოლონელ-პატრიოტებს ისინი ურჩევდნენ მონარქიის ლიკვიდაციას, რესპუბლიკური მმართველობის დამყარებას: ამავე დროს მოითხოვდნენ მათგან, რომ არ მოეწყოთ დამოუკიდებელი გამოსვლა, ემოქმედათ რუსეთთან ერთად და ხელი შეეწყოთ რუსი რევოლუციონერებისათვის დაახლოებოდნენ ევროპის ფარულ საზოგადოებებს.

მთავარ პროგრამულ საკითხებში შეთანხმება ვერ მოხერხდა. პოლონელებს რუსეთისაგან დამოუკიდებელი პოლონეთი მონარქიად წარმოუდგებოდათ. ისინი — მსხვილი მაგნატების წარმომადგენლები — სრულებითაც არ ზრუნავდნენ სოციალური პრობლემების დაყენება-გადაწყვეტაზე.

1825 წელს, მომდევნო ბაზრობაზე, პოლონელი და რუსი შეთქმულნი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. სამხრეთელთა მხრიდან ამჯერად მოლაპარაკებას თვით პ. პესტელი და ვოლკონსკი აწარმოებდნენ, პოლონელებიდან — იაბლონოვსკი.

რიგ საკითხებში შეთანხმება მართლაც მოხერხდა, მაგრამ ძირითადი — კერძოდ რევოლუციის შემდეგ პოლონეთის პოლიტიკური წყობილების საკითხი — გადაუჭრელი დარჩა. მი-

უხედავად ამისა, პოლონელები რუს რევოლუციონერთა მზადებას სრული თანაგრძნობით შეხვდნენ და აღუთქვამდნენ მხარდაჭერას თვითმპყრობელობის დამხობისათვის ბრძოლაში.

შეერთებულ სლავთა საზოგადოება.

ეს ფარული ორგანიზაცია რუსეთში აღმოცენდა სავსებით დამოუკიდებლად იმ ფარულ საზოგადოებებისაგან, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი. თვით ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიუთითებს რუსეთში კრიზისულ ვითარებაზე, ქვეყნის რევოლუციური გადახალისების იდეების სიმწიფეზე, დეკაბრიზმის ადგილობრივ წარმოშობაზე.

შეერთებულ სლავთა საზოგადოების ჩასახვა — განვითარების ისტორია ასე წარმოგვიდგება: 1818 წელს პოლტავის გუბერნიის დაბა რეშეტილოვკაში იუნკრებმა ძმებმა პეტრე და ანდრია ბორისოვებმა იუნკერ ვოლკოვთან ერთად შექმნეს საიდუმლო ორგანიზაცია, რომელსაც მათ „პირველი შეთანხმების საზოგადოება“ უწოდეს. მისი მიზანი იყო მაღალი ზნეობრივი პრინციპების ქადაგება და დანერგვა, საზოგადოების სტრუქტურა და მიზან-დასახულება რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული და იმ დროს საერთოდ გავრცელებული სექტების ხასიათს ატარებდა. „პირველი შეთანხმების საზოგადოება“ მალე გარდაიქმნა „ბუნების მეგობართა საზოგადოებად“. მისი ორგანიზატორები ვარაუდობდნენ რუსეთში არსებული უკანონობისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას, თუმცა ამ ბრძოლის ხერხები ჯერ კიდევ დაზუსტებული არ ყოფილა.

საზოგადოების ორგანიზატორები ძმები პეტრე და ანდრია ბორისოვები ხელმოკლე ოჯახიდან იყვნენ. არც მათ, არც მათს მშობელს თადარიგის მაიორ ივანე ბორისოვს არ ჰქონია მამული, არ ჰყოლიათ ყმები. ახალგაზრდების ის ანტიბატონყმური განწყობილება, რომელიც უკვე „ბუნების მეგობართა საზოგადოების“ მიზან-დასახულებაში იგრძნობა, მათი სოციალური მდგომარეობით აიხსნება. ღარიბი აზნაურის შვილები იმ თავითვე განიმსჭვალენ სიძულვილით გულქვა მებატონე-მემამულეებისადმი, რომლებიც მათ თვალწინ, უკრაინაში გლეხებს

ტანჯავდნენ და აშიმშილებდნენ. პოლტავის გუბერნია ანტიბატონყმურ ამბოხებათა ერთერთ მძლავრ კერას წარმოადგენდა. ბუნებით სპეტაკ, მგრძნობიარე ახალგაზრდებს, როგორც ჩანს, იმთავითვე გულთან მიუტანიათ ის დარდი და ბოლმა, რომელიც ადამიანურ ღირსებააყრილ რუს გლეხობას აწვალებდა და ხელში იარაღს აღებინებდა. უსამართლობანი, მემამულეთა ძალადობა და ჩაგვრა, რასაც ისინი გლეხობის მიმართ იჩენდნენ, ჩემში მათდამი თანაგრძნობას ბადებდნენ და აშფოთებდნენ ლიბერალურ აზრებს ჩემს გონებაშიო — იგონებს პ. ბორისოვი.

ოციან წლებში რუსეთში რეაქციის გაძლიერება, გლეხთა მოძრაობის მძლავრი აღმავლობა, მღელვარებანი სამხედრო დაბებში, არმიაში დამკვიდრებული ჯოხის დისციპლინა, ხელქვეითებისადმი არაადამიანური დამოკიდებულება, რაც ბოლო წლებში მაღალ პოსტებზე დაწინაურებულ რეაქციულ ოფიცრობას ახასიათებდა, — და სხვა მრავალი უკანონობანი, რუსეთის თვალუწვდენ ქვეყანაში ყველა ნაბიჯზე რომ მწვავედ იგრძნობოდა, უკრაინის მიყრუებულ პროვინციებში მყოფ მეოცნებე ახალგაზრდებს თანდათან თვალს უხელდა. თანდათან ყალიბდებოდა მათი შეხედულებანი რუსეთის ცხოვრების უარყოფით მხარეებზე, მათი დაძლევის აუცილებლობაზე, ამ დაძლევის ხერხებსა და მეთოდებზე. ერთგვარი გავლენა „ბუნების მეგობართა საზოგადოების“ წევრთა შეხედულებების შემდგომ გარეოლუციურებაზე მოახდინა კავკასიაში ლაშქრობამ, იმ განწყობილებამ, რომელიც „ევერიის პროკონსულის“ გენერალ ერმოლოვის კორპუსში იგრძნობოდა. 1818—1819 წლებში ძმები ბორისოვები საქართველოში არიან. პოლკი, რომელშიაც ისინი მსახურობდნენ, მონაწილეობდა კავკასიის ლაშქრობებში.

კავკასიაში ლაშქრობის შემდეგ ეს პოლკი ისევ რუსეთში დაბრუნდა და ნოვოგრად-ვოლინსკში დაბანაკდა. ამ დროს ბორისოვებს უკვე პრაქტიკული მოქმედების წყურვილი აწუხებდათ. სწორედ 1823 წ. ნოვოგრად-ვოლინსკში ჩავიდა ვარშაველი სტუდენტი ეულიან ლუბლინსკი, რომელიც პოლონელ პატრიოტ შეთქმულთა წრეს ეკუთვნოდა. ლუბლინსკისთან გაცნო-

ბამ და დაახლოებამ ბორისოვების მიზანდასახულებაში მეტი სიცხადე შეიტანა. ისინი ბევრს მსჯელობდნენ ფარული საზოგადოების პროგრამულ საკითხებზე. ბოლოს გადაწყდა ორგანიზაცია ახალი საიდუმლო საზოგადოებისა, რომლის ძირითად მოწოდებად სლავთა საყოველთაო განთავისუფლება უნდა ყოფილიყო. ასე შეიქმნა 1823 წელს შეთქმულთა კიდევ ერთი ფარული ორგანიზაცია, რომელიც თავისი სულისკვეთებით ჩვენს მიერ ზევით განხილულ ფარულ ორგანიზაციებზე რადიკალური იყო.

1824-25 წლებში ეს ფარული ორგანიზაცია სწრაფად იზრდება. მასში ჩაებნენ ვ. ბეჩასნოვი, პ. ვიგოდოვსკი, ი. გორბაჩევსკი, ი. ივანოვი, პ. გრომნიტსკი, ა. უსოვსკი, ა. პესტოვი, ა. ვისოჩინი, პ. გოლოვინსკი, ვ. სოლოვიოვი, ნ. კრასნიცკი, ნ. ლისოვსკი, ა. ტუტჩევი, ი. ანდრეევიჩი. ი. კირეევი, ი. სუხინოვი, პ. ზარეცკი, მ. შეპილო და მრავალი სხვები. ეს იყო უმთავრესად საშუალო და დაბალი ჩინის ოფიცრობა. პროფ. ნეჩკინას გამოთვლით ამ საზოგადოების წევრთა რაოდენობა 51-ს აღემატებოდა.

საზოგადოების წევრები თავიანთი სოციალური მდგომარეობით საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ჩრდილოეთის და სამხრეთის საზოგადოების წევრებისაგან. თუ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფარულ საზოგადოებებში გაერთიანებული იყვნენ უმთავრესად მსხვილ თავადაზნაურთა წარმომადგენლები, ეკონომიურად და პოლიტიკურად ყველაზე უფრო პრივილეგირებული წოდების შვილები, ბრწყინვალე არისტოკრატები, აქ — შეერთებულ სლავთა საზოგადოებაში უმთავრესად მცირექონებიანი აზნაურები იყვნენ წარმოდგენილნი. მათთვის უცხო იყო არისტოკრატული ფუფუნება. დაბალი ჩინის ამ ოფიცრობას ხელფასიც მცირე ქონდა. ეს ქონებრივი მდგომარეობა, მართალია, მათს იდეოლოგიაზე განმსაზღვრელ გავლენას არ ახდენდა, მაგრამ ერთგვარად მაინც უწყობდა ხელს მათი უკიდურესი რადიკალიზმის ფორმირებას. მათთვის უფრო ადვილად შესათვისებელი და დასაგმობი იყო ის სოციალური კონტრასტები, რომელიც ბატონყმურ რუსეთს ახასიათებდა.

როგორი იყო შეერთებულ სლავთა საზოგადოების პროგრამა?

საზოგადოება მიზნად ისახავდა სლავი ხალხების გათავისუფლებას სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრისაგან, მათს გაერთიანებას ერთ ფედერაციულ სახელმწიფოში, თითოეულ ფედერაციაში მმართველობის რესპუბლიკური ფორმის შემოღებას.

საზოგადოება — ნათქვამია გორბაჩევსკის „წერილებში" მთავარ მიზნად ისახავდა ყველა სლავური ტომის გათავისუფლებას თვითმპყრობელობისაგან, ზოგიერთ მათგანში არსებულ ნაციონალური სიძულვილის მოსპობას, და მთელი მათი მიწა-წყლის გაერთიანებას ერთ ფედერაციულ კავშირად. გათვალისწინებული იყო თითოეული სახელმწიფოს საზღვრების მტკიცედ განსაზღვრა; თითოეულში ხალხისათვის დემოკრატიულ-წარმომადგენლობითი მმართველობის ფორმის შემოღება კავშირის საქმეთა მმართველობისათვის და, აუცილებლობის შემთხვევაში, საერთო ძირითადი კანონების შეცვლისათვის. კონგრესის შექმნა; თითოეული სახელმწიფოსათვის შინაგანი აგებულების განსაზღვრაში თავისუფლება და შინაგან მართვა-გამგეობაში დამოუკიდებლობა.

დეკაბრისტები — რუსეთის მაშინდელი ინტელიგენციის ეს საუკეთესო წარმომადგენლები საერთოდ დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ სლავთა საკითხს და სამართლიანად ჰკიცხავდნენ კიდეც თვითმპყრობელობას სლავებისადმი დამოკიდებულების საქმეში რეაქციული მიზან-დასახულობისათვის. ეს იყო პერიოდი, როცა სლავ ხალხში — ბულგარეთში, ჩეხებში, ხორვატებში, ჩერნოგორელებში, პოლონელებში, ბოსნიელებსა და ჰერცეგოვინელებში თანდათან მწიფდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიმდინარეობდა ნაციონალური თვითშეგნების გაღვივება. აჯანყებები თურქი დამპყრობლებისა და ავსტრიელი მოძალადეების წინააღმდეგ სისტემატურ ხასიათს იღებდა, როცა პოლონეთის პატრიოტები რუსეთისა და პრუსიის ჩაგვრისაგან პოლონელი ხალხის განთავისუფლების გეგმეს სახავდნენ. სლავების ეს საერთო

გამოღვიძება, მათი გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა თანაგრძნობას იწვევდა რუსეთის პროგრესულ იხტელიგენციაში, რომელსაც გულწრფელად სურდა დაჩაგრულ თანამოძმეთა განთავისუფლება. ამიტომ თვით თანამედროვეობამ ზედაპირზე ამოატივტივა „საერთო სლავური" ისტორიული ამოცანა — მათი გაერთიანების ამოცანა. რუსეთის იხტელიგენცია მშვენივრად ხედავდა, რომ თვითმპყრობელობის ჩარევა ბალკანეთის საქმეებში სლავ ხალხს მართალია ეხმარებოდა თურქულ-ავსტრიული ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციაში, მაგრამ თვითმპყრობელური ჩაგვრის უღელს უმზადებდა. ეს რეაქციული პანსლავიზმი რუს რევოლუციონერებს უსამართლობად მიაჩნდათ. ამ ვითარებაში დაიბადა ყველა სლავი ხალხის პოლიტიკური თანასწორობის, ერთ ფედერაციულ კავშირად გაერთიანების იდეა.

საზოგადოებას გააჩნდა თავისი წერილობითი წესდება, რომელიც რელიგიურ-მისტიკურ სამოსელში იყო გახვეული, მაგრამ შინაარსით რევოლუციურ-რადიკალურ იდეოლოგიას შეიცავდა. ამ წესდების ანუ კატეხიზისის მეთხუთმეტე პუნქტი ასე ლაკონურად აყალიბებს საზოგადოების წევრის საბრძოლო გეგმას სლავთა ფედერაციის მშენებლობის საკითხში:

„შენ სლავი ხარ და შენს მიწა-წყალზე, იმ ზღვების ნაპირებზე, რომელიც მას გარს ერტყმის, ააგებ ოთხ ფლოტს — შავს, თეთრს, დალმაციურსა და ყინულოვანს, ხოლო მათს შუაგულში აღმართავ ქალაქს, და მასში განათლების ღმერთს თავის ძლევამოსილების ტახტს დაუდგამ".

კატეხიზისიდან ჩანს, რომ მომავალი დიდი სლავური სახელმწიფო ნაგულისხმევი იყო ოთხი ზღვის — შავის, თეთრის, ადრიატიკისა და ბალტიის ზღვების ფარგლებში. ამ სახელმწიფოს ემბლემად შეთქმულებმა ერთმანეთში გადახლართული ოთხი ღუზა დააწესეს.

სლავური სახელმწიფო შეთქმულებს, როგორც აღვნიშნეთ, დემოკრატიულ რესპუბლიკათა თავისუფალ კავშირად ესახებოდათ. აქ ადგილი არ ექნებოდა რომელიმე რესპუბლიკის გაბატონებულ მდგომარეობას. ამ რესპუბლიკათა საერთო ურთი-

ერთ დამაკავშირებელი პრინციპები უნდა ყოფილიყო პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა, ყველა მოქალაქეთა თანასწორობა, და განხორციელება სამი ძირითადი ამოცანისა -- „მრეწველობისა, ზნეობრიობისა და განათლებისა“.

შეერთებულ სლავთა საზოგადოების პროგრამა ბატონყმური წყობილების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას მოითხოვდა. —„ნუ იყოლიეს მონას, როცა თვით შენ არ გსურს იყო სხვისი მონა“ — ამბობს „კატეხიზისის“ ერთერთი პუნქტი. სლავთა საზოგადოების წევრების მკვეთრი ანტიბატონყმური განწყობილება ნათლად მეღავნდება მათს ჩვენებებში.

„ცოლების კვნესა, ბავშვთა ღაღადისი, სამხედრო პირთა ქვრივების ტირილი, მივიწყებული ობლები, ყოველ ნაბიჯზე შემხვედრი მითხოვრები, ბრმა და ნატანჯი, განადგურებული გლეხობა სოფლად — ყველაფერი ეს იმის მომასწავებელი არ არის, რომ სამშობლო მივიწყებულია და მასში იმალება რაღაც საიდუმლო მტერი, რომელიც ყველა ზემოთთქმულ უბედურებას მოუვლენს თანამემამულეთ?“ — ამბობს სლავთა შორის ერთერთი შეთქმული იაკობ ანდრეევიჩი. — „მე არ მესმის რატომ ეძახიან რუსეთს კეთილდღეობის ქვეყანას, როცა მისი ხალხი და ჯარები ცრემლით იხრჩობა“ — განაგრძობს იგი.

იმავე საზოგადოების წევრი კირეევი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა მდგომარეობის ხალხთა დრტვინვა მძიმე გადასახადების გამო, უსაზღვრო მუშაობით მოქანცულთა ჩივილი და მათი მდგომარეობის შემსუბუქების შეუძლებლობა, არმიაში გამეფებული დისციპლინის შეუსაბამობა, მაღალი თანამდებობის პირთა ცუდი მაგალითი — ეს იყო ის პირველი ცუდი შთაბეჭდილებანი, რომლებმაც ქვეყნის მართვის არსებული წესების გადახალისების აზრები გამიღვიძესო.

„ვმსახურობდი რა მეტწილად არმიაში, — აღნიშნავს ამ საზოგადოების წევრი სპირიდოვი, — მე თვით გლეხთა ოჯახებში ვცხოვრობდი და ღრმად ვუკვირდებოდი მათს მდგომარეობას, ვხედავდი ბატონების მხრივ მათდამი მოპყრობას; მე სასო-

წარკვეთილებამდე მივდიოდი და ყოველივე ამ დანაშაულის მიზეზს მათს ყმურ მდგომარეობაში ეხედავდიო".[1]

ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაციას და ახალი, სლავური სამყაროს მშენებლობას შეერთებულ სლავთა საზოგადოების წევრები რევოლუციური გზით, შეიარაღებული აჯანყების გზით აპირებდნენ. მათ ღრმად სწამდათ, რომ თავისუფლება ბრძოლაში იბადება. დეკაბრისტი გორბაჩევსკი აღნიშნავს „სლავთა კავშირი ატარებდა უფრო მებრძოლი ორგანიზაციის კვალს. მხოლოდ თავიანთი მეგობრების, მხოლოდ იარაღის დახმარებით ვარაუდობდნენ ისინი თავისუფლების მოპოვებას. აზრი. რომ თავისუფლება შეიძლება იყიდო არა ცრემლით, არა ოქროთი, არამედ სისხლით, მტკიცედ იყო ჩაქედილი მათს გულებში".

სლავთა საზოგადოების მებრძოლ ხასიათს ნათლად მოწმობს აგრეთვე კატეხიზისის პირველი მუხლი. „ნუ გექნება ნურავის იმედი, გარდა შენი მეგობრებისა და შენი იარაღისა. მეგობრები შენ მოგეხმარებიან, იარაღი შენ დაგიცავს" — ნათქვამია აქ.

საზოგადოების მებრძოლ ხასიათზე მეტყველებს აგრეთვე ტექსტი იმ ფიცისა, რომელსაც საზოგადოებაში შემავალი დებდა ხოლმე. შეფიცვა ხმალზე ხდებოდა. ფიცის ტექსტში ნათქვამი იყო: „ათას სიკვდილს გავიცლი, ათას დაბრკოლებას და უკანასკნელ ამოსუნთქვასაც მივუძღვნით თავისუფლებასა და კეთილშობილ სლავთა ძმურ კავშირს".

შეერთებულ სლავთა საზოგადოებაში ტაქტიკის საკითხები საკვლევით დაზუსტებული არ ყოფილა. მაგრამ სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფარულ საზოგადოებებისაგან განსხვავებით თვალში გვხვდება ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: „არავითარ ამბოხებას არ შეიძლება ჰქონდეს წარმატება მთელი ერის თანხმობისა და თანამოქმედების გარეშე. ამიტომაც პირველყოვლისა ხალხი უნდა მოვამზადოთ ახალი წყობილებისათვის და შემდეგ მივცეთ მას იგი" — ნათქვამია შეერთებულ სლავთა საზოგადოების დოკუმენტში. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უფრო

---

[1] М. В. Нечкина, Движение декабристов, т. II, გვ. 155-156.

მეტად ესმოდათ რევოლუციაში მასების მნიშვნელობა, ვიდრე სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების წევრებს, რომლებიც, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, მასებისაგან შორს იდგნენ, მათი ეშინოდათ და რუსეთში რევოლუციურ გადატრიალებას სამხედრო შეთქმულების გზით მასებისაგან მალულად ვარაუდობდნენ.

შეერთებულ სლავთა საზოგადოების პროგრამა, რომელიც შიგა და შიგ ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებებს შეიცავდა (განსაკუთრებით ორგანიზაციულ საკითხებში), შემდგომ დამუშავებას საჭიროებდა. ამას თვით საზოგადოების წევრები აღიარებენ. 1824 წლისათვის საზოგადოებაში თავი იჩინა ერთგვარმა კრიზისმა — გაზრდილ მოთხოვნილებებთან ამ საზოგადოების ფორმის შეუსაბამობამ. ამას გრძნობდნენ საზოგადოების მესვეურები და უკვე მუშაობდნენ მისი რეორგანიზაციისათვის.

1825 წლის ზაფხულზე შეერთებულ სლავთა საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. მესამე კორპუსის მანევრების დროს ჟიტომირთან თავი მოიყარეს უკრაინის სხვადასხვა მაზრებსა და გუბერნიებში განლაგებულმა სამხედრო ნაწილებმა. ოფიცრებს საშუალება მიეცათ ენახათ ერთმანეთი, გაებათ გულითადი საუბარი. ამ შეხვედრისას ერთმანეთი ნახეს ძველმა მეგობრებმა ტიუტჩევმა, რომელიც შეერთებულ სლავთა საზოგადოების წევრი იყო და სერგეი მურავიოვ-აპოსტოლმა და ბესტუჟევ-რიუმინმა, რომლებიც ვასილკოვოს უწყებას მეთაურობდნენ. იცოდნენ რა საერთოდ ტიუტჩევის ანტიმონარქისტული განწყობილება, მურავიოვ-აპოსტოლმა და ბესტუჟევ-რიუმინმა გაანდეს მას საიდუმლოება, სოხოვეს მათს ფარულ ორგანიზაციაში შესვლა. ტიუტჩევმა, დაინახა რა ძველს მეგობრებში იდეური თანამოაზრენი, გაუმხილა საიდუმლო — შეერთებულ სლავთა ფარული საზოგადოების არსებობა. გაეცვნენ რა სლავთა წესდებას, ფიცს, ძურავიოვ-აპოსტოლმა და ბესტუჟევ-რიუმინმა თხოვეს ტიუტჩევს გაეცნო მათთვის საზოგადოების შემადგენლობა.

აგვისტოს მიწურულში დაიწყო სამხრეთსა და შეერთებულ

სლავთა საზოგადოებების წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირები, რომელიც ბიზნად ისახავდა მათს ორგანიზაციულ გაერთიანებას. სამხრეთელებმა სლავებს გადაუშალეს პროგრამა, შეატყობინეს კონსტიტუციის არსებობაც. მეორე თათბირზე წაკითხულ იქნა პესტელის კონსტიტუციიდან ზოგიერთი ადგილი. თათბირებზე მწვავე შეჯახებებს ჰქონდა ადგილი. როგორც პროგრამულ, ისე ტაქტიკის საკითხებში სლავთა საზოგადოების წევრები არ ეთანხმებოდნენ ბესტუჟევ-რიუმინს, რომელიც მხურვალედ იცავდა სამხრეთელთა თვალსაზრისს.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, შეერთებული სლავთა საზოგადოება სამხრეთის ფარულ ორგანიზაციასთან გაერთიანდა. ახლა სამხრეთში დაიწყო გაცხოველებული საბოლოო მზადება აჯანყებისათვის, რასაც შეთქმულნი 1826 წლის ზაფხულისათვის ვარაუდობდნენ. მაგრამ დეკაბრისტთა ეს გეგმები და სამზადისი შეაჩერა და სულ სხვა მიმართულებით წარმართა ცნობამ, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი გარდაიცვალაო.

აჯანყების წინ

რუსეთის მონარქი ალექსანდრე პირველი გარდაიცვალა 1825 წლის 19 ნოემბერს ტაგანროგში. „მომთაბარე დესპოტს“, როგორც ალექსანდრეს დეკაბრისტები უწოდებდნენ, სიკვდილის დღეებში კიდევ ერთი ეპიგრამა უძღვნეს:

„Всю жизнь провел в дороге
и умер в Таганроге“.

ცნობამ ალექსანდრეს გარდაცვალების შესახებ საიმპერატორო სასახლეში დიდი შეშფოთება და დაბნეულობა გამოიწვია. რუსეთის მომავალი მონარქის საკითხი მძიმე გადასაწყვეტი გახდა. საქმე ისაა, რომ ალექსანდრეს მემკვიდრე არ ჰყოლია. ამ შემთხვევაში, პავლე პირველის მიერ გამოცემული კანონის თანახმად, უპირატესობა ეძლეოდა უფროს ძმას კონსტანტინეს. მაგრამ კონსტანტინეს, რომელიც მეფის მოადგილედ იყო პოლონეთში და ვარშავაში ცხოვრობდა, ალექსან-

�ე I სიცოცხლეშივე აღებული ჰქონდა ხელი რუსეთის საიმპერატორო ტახტის პრეტენზიებზე. იმპერატორის ბრძანებით 1823 წელს მომზადდა მანიფესტი ტახტიდან კონსტანტინეს ჩამოცილებისა და ამ უფლების მომდევნო, უმცროს ძმაზე გადაცემის შესახებ. მანიფესტს თან ახლდა თვით კონსტანტინეს თხოვნა გაეთავისუფლებინათ იმ ვალდებულებისაგან, „რომელიც მას დაბადებიდანვე ჰქონდა დაკისრებული". ეს დოკუმენტი განსაკუთრებული საიდუმლოებით ინახებოდა. მისი არსებობის შესახებ მხოლოდ მეფის ოჯახის წევრებმა და უმაღლესმოხელეებმა იცოდნენ.

კონსტანტინეს მიერ საიმპერატორო ტახტზე უარის თქმა და მის საფუძველზე შედგენილი მანიფესტი ფარავდა ამ საკითხთან დაკავშირებულ მრავალ საიდუმლოებას. ისტორიკოსებს შორის სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა კონსტანტინეს ტახტიდან ჩამოცილებასთან დაკავშირებით. ზოგი მას უკავშირებდა კონსტანტინეს ქორწინებას არა სამეფო სისხლის ქალზე — ვარშაველ გრუდზინსკაიაზე, ზოგიც თვით კონსტანტინეს პირად სურვილს, ზოგი ალექსანდრესა და კონსტანტინეს შორის ფარულად მტრულ დამოკიდებულებას. ერთი რამ ცხადია: ალექსანდრე პირველი სრულიად არ ყოფილა აღტაცებული თავისი ძმის პირადი თვისებებით, რომელიც ამ მხრივ ძალიან ჩამოგავდა მამას. არც ტალანტით გამოირჩეოდა კონსტანტინე, მაგრამ იგი ზოგ საკითხში ოპოზიციაში ედგა იმპერატორს და ძის საბიჯებს, განსაკუთრებით საგარეო ურთიერთობაში, არ იზიარებდა.

ალექსანდრეს იმ მშფოთვარე ეპოქაში, კონსტანტინესათვის ტახტის ჩაბარება რუსეთისათვის დამღუპველად ეჩვენებოდა, ეძებდა კიდეც საბაბს მისი ჩამოცილებისათვის. კონსტანტინეს მეორედ დაქორწინება, ისიც თავადის ქალზე, იმის საუკეთესო საბაბი გახდა. მაგრამ მანიფესტს, რომელიც როგორც ჩანს სრულიადაც არ იყო შედგენილი კონსტანტინეს ხელწერილი თანხმობით, ალექსანდრე უფრო ხელსაყრელი ვითარებისათვის ინახავდა და არ აქვეყნებდა. მანამ, ვიდრე კონსტანტინეს პოლონეთის არმიის სახით გააჩნდა რეალური

ძალა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია, კონსტანტინეს თავისი უფლების აღიარება მოეთხოვა.

ნიკოლოზმა მიიღო თუ არა ალექსანდრეს გარდაცვალების ცნობა, სასწრაფოდ სათათბიროდ საიდუმლოდ მოიწვია პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი მილორადოვიჩი და გვარდიული კორპუსის მეთაური ვოინოვი და გააცნო რა მათ ვითარება, რჩევა-დარიგება სთხოვა. მილორადოვიჩმა გულწრფელად აუხსნა მდგომარეობა: თუ ალექსანდრეს მართლაც სურდა ტახტზე ნიკოლოზის ასვლა, იგი გამოაქვეყნებდა მანიფესტს. ახლა კი ნიკოლოზის ტახტზე ასვლა შეფასებული იქნება როგორც უზურპაცია, მით უმეტეს, რომ კონსტანტინე პეტერბურგში არ იმყოფება. ამ აქტს ადვილი შესაძლებელია მოჰყვეს აჯანყება და თუ გვარდია მასში ჩაბმული აღმოჩნდება, ჩვენ აღარ გვექნება ძალები მის ჩასაქრობად. ამიტომ სჯობია მოხდეს კონსტანტინესათვის შეფიცვა.

ნიკოლოზი ამ რჩევას დაეთანხმა. 27 ნოემბერს მან შეჰფიცა კონსტანტინეს, შეჰფიცა აგრეთვე გვარდიამაც.

მაგრამ კონსტანტინემ არ მოისურვა საიმპერატორო ტახტზე ასვლა. ამასთანავე უარი თქვა გაეკეთებინა რაიმე ოფიციალური განცხადება თავისი უარის შესახებ. შეიქმნა მეტად უხერხული მდგომარეობა. კონსტანტინე აღიარებულია იმპერატორად, იგი პეტერბურგში არ მოდის, მაგრამ არც რაიმე დოკუმენტს იძლევა, რომ ქვეყნის თვალში ნიკოლოზის ტახტზე ასვლა გამართლებული ჩანდეს. კურიერები დაქრიან პეტერბურგსა და ვარშავას შორის, კონსტანტინე მაინც მტკიცე უარზეა.

კონსტანტინეს უარი საიმპერატორო ტახტზე შეიძლება მრავალი მოტივით აიხსნას. ისტორიკოსები მიუთითებენ შემდეგ გარემოებაზე: კონსტანტინე ეშვობდა, რომ ახლა, როცა დოკუმენტი მისი ტახტიდან ჩამოცილების შესახებ, მართალია საიდუმლოდ, მაგრამ მაინც არსებობდა, როცა ტახტის პრეტენდენტი იყო მისი უმცროსი ძმა ნიკოლოზი და რუსეთიდან შორს, ვარშავაში მყოფმა არ იცოდა გვარდიის განწყობილება, მისი ტახტზე ასვლა მეტად სარისკო ნაბიჯი იქნებოდა. არაა

ეამორიცხული, რომ კონსტანტინემ გაიგო ზოგი რამ რუსეთში საიდუმლო ორგანიზაციების არსებობის შესახებაც. ერთ-ერთი უცნაური კარიკატურა პეტერბურგში შექმნილ ვითარებას ასე ხატავდა: ნიკოლოზი და კონსტანტინე ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ დაჯდომას საიმპერატორო სკამზე, რომელზედაც ჯარისკაცის ხიშტი იყო ამოსული. შეიძლება კონსტანტინეს ზეპირი უარი რუსეთის საზოგადოებრიობის განწყობილების ერთგვარ დაზვერვასაც წარმოადგენდა.

კონსტანტინეს ასეთი პოზიციის შემდეგ სასახლეში გადაწყდა მოეწყოთ ნიკოლოზისათვის შეფიცვა. მანიფესტს ნიკოლოზისადმი შეფიცვის შესახებ თან უნდა დართოდა ის პროექტი, რომელიც ალექსანდრე პირველს ჰქონდა შემზადებული და სადაც არსებობდა კონსტანტინეს ნებაყოფლობითი უარის დოკუმენტი.

ნიკოლოზისადმი შეფიცვა 1825 წლის 14 დეკემბერს დაინიშნა. ამით დინასტიური კრიზისი დასრულდა.

დეკაბრისტ შეთქმულთათვის მართლაც მეტად მოულოდნელი იყო რუსეთის მონარქის სიკვდილი; ამან კი ერთბაშად შეცვალა ვითარება, მოულოდნელი აღმოჩნდა ის დინასტიური კრიზისიც, რომელიც ალექსანდრეს გარდაცვალებისთანავე შეიქმნა რუსეთში. აჯანყებას დეკაბრისტები, როგორც ცნობილია, 1826 წლისათვის ფიქრობდნენ და ამ მომენტისათვის სისტემატურ მზადებას აწარმოებდნენ, მაგრამ ახლა იმპერატორის სიკვდილთან დაკავშირებით შეიქმნა აჯანყებისათვის ხელსაყრელი ვითარება, რომლის ხელიდან გაშვება შეთქმულებს დანაშაულად მიაჩნდათ. 27 ნოემბერს, როცა პეტერბურგში მოვიდა ცნობა იმპერატორის გარდაცვალების შესახებ, დეკაბრისტთა ყველაზე აქტიურმა, ხელმძღვანელმა ჯგუფმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა და დაიწყო გეგმის შედგენა.

ამ დღიდან შეთქმულთა შეკრება ყოველდღიურად ხდება და მას მეტად ცხოველი ხასიათი ეძლევა. სამზადისის სული და გული კონდრატ რილეევი, რომლის ბინა აჯანყებისათვის მზადების შტაბად იქცა. აქ იყრიან თავს გამოსვლის ორგანი-

ზატორები ტრუბეცკოი, ძმები ბესტუჟევები, შტეინგელი, კახოვსკი, იაკუბოვიჩი, პანოვი, სუტგოფი, კორნილოვიჩი, არბუზოვი და მრავალი სხვები. იბადება ახალ-ახალი კონკრეტული მგზნებარე რევოლუციური გეგმები, მაგრამ ამასთან ერთად თავს იჩენს დეკაბრისტთა კლასობრივი შეზღუდულობა. მათი გამოსვლის წარუმატებლობის უტყუარი ნიშნებიც.

რა ძალებით აპირებდნენ აჯანყებას დეკაბრისტები? როგორი იყო მათი ტაქტიკა? რევოლუციის ხასიათის დეკაბრისტულ გეგმებში ყველაზე მეტად მოჩანს მათი კლასობრივი შეზღუდულობა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხის განმარტება.

დეკაბრისტთა უდიდესი უმრავლესობა სახალხო რევოლუციის წინააღმდეგი იყო. სახალხო გამოსვლა მათ ესახებოდათ როგორც საყოველთაო ნგრევა და ქაოსი, როგორც შავი ხალხის ინსტინქტების თავაშვებულობა. სახალხო რევოლუციის უარყოფითობის დახასიათებისას დეკაბრისტები პირველყოვლისა მიუთითებდნენ საფრანგეთის 1789—94 წლის მოვლენებზე, რამაც, მათი აზრით, მთელს ქვეყანაში საშინელი სისხლისღვრა გამოიწვია და ქაოსი გააჩეფა. რევოლუციის ფრანგული ტიპის წინაშე შიში, უეჭველია, პირველყოვლისა გამოწვეული იყო იმ აზნაურული წარმოშობით, რომელსაც დეკაბრისტები ეკუთვნოდნენ. დეკაბრისტებს შიშისაგან სისხლს უყინავდა გახსენება იმ ფაქტებისა, რაც გაბოროტებულმა ფრანგმა ხალხმა მათი საუკუნეობრივი მძარცველების — ფეოდალური კლასის მიმართ ჩაიდინა. ამიტომ ისინი სახალხო აჯანყების აზრს უარყოფითად უყურებდნენ და უპირატესობას ანიჭებდნენ სამხედრო გადატრიალებას — რასაც ისინი რევოლუციის ესპანურ ტიპს უწოდებდნენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დეკაბრისტების ტაქტიკა იმეორებდა სასახლის იმ გადატრიალებათა ტაქტიკას, რაც ასე ხშირი იყო XVIII საუკუნის რუსეთში და რომელიც მიზნად ისახავდა არმიის ბრმად გამოყენებას ვიწრო, დინასტიური ინტერესებისათვის. დეკაბრისტებს არმია საყოველთაო სახალხო კეთილშობილური საქმისათვის სჭიროდათ, რუსეთის მთელი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების შეცვლისათვის ბრძოლაში ერთადერთ დასაყ-

რდნენ ძალად მიაჩნდათ, თუმცა ჯარისკაცებსაც კი უნდობლად უყურებდნენ და თავს იკავებდნენ გაენდოთ მათთვის ორგანიზაციის არსებობა და მისი მიზანდასახულობანი.

სამხედრო რევოლუციის მოტრფიალე იყო პავლე პესტელი, ნიკიტა მურავიოვი, ბესტუჟევ-რიუმინი და სხვები. ბესტუჟევ-რიუმინი აღნიშნავს: არსებობს რევოლუციის ორი ტიპი — ფრანგული და ესპანური. ფრანგული დაიწყო შავი ხალხის მიერ და საშინელებებით ხასიათდებოდა, ესპანური დაიწყო მოფიქრებულად, მაგრამ მან ძალაუფლება მეფეს შეუნარჩუნა. „ჩვენი რევოლუცია ესპანური რევოლუციის მსგავსი იქნება,... იგი არ დაჯდება არც ერთი წვეთი სისხლი, რადგან მას მოახდენს მხოლოდ არმია ხალხის მონაწილეობის გარეშე“.

რევოლუციისათვის საჭირო ძალებისადმი უნდობლობა შექმულთ აიძულებდათ ეძებნათ ჯარისკაცთა მასების აღგზნების ადვადასხვა საშუალებანი. გამოსვლის გეგმებზე ცხარე მსჯელობის დროს მაგალითად, იაკუბოვიჩმა წამოაყენა წინადადება, რომ გაეტეხათ სამეკიტნოები, ჯარისკაცები და შავი ხალხი მიეშვათ ლოთობაზე, აღეგზნოთ მათი განწყობილება და წაეყვანათ შემდეგ სასახლეზე იერიშზე. ეს უკვე ნიშნავდა მასების სტიქიური გამოსვლის აუცილებლობის შეგნებას, თუმცა, ეს მასა დეკაბრისტებისათვის იქნებოდა მხოლოდ ბრმა იარაღი, რომელსაც არ ექნებოდა არავითარი მისწრაფება გარდა ნგრევისა და ძარცვა-გლეჯისა. ამ მოსაზრებას იაკუბოვიჩი ასაბუთებდა ჯარისკაცის ფსიქიკით. ჯარისკაცს მოქმედების აღგზნებისათვის სჭირდება ძლიერი საშუალებანი — ამტკიცებდა იგი. უსისხლოდ რომ გამოსვლა ვერ დამთავრდებოდა, ამაში იაკუბოვიჩს სხვებიც დაეთანხმნენ, თუმცა მისი წინადადება, რომელიც დეკაბრისტთა საერთო განწყობილებას ეწინააღმდეგებოდა, მოხსნილ იქნა. რილეევთან განუწყვეტელ თათბირებზე იბადებოდა ახალ-ახალი გეგმები. ტრუბეცკოიმ წამოაყენა გეგმა გამოსვლისათვის მიეცათ შეიარაღებული დემონსტრაციის ხასიათი, რომელსაც მოაწყობდნენ ფიცის მიღებაზე უარისმთქმელი ჯარისკაცთა პოლკები ქალაქგარეთ. შეიარაღებული

დემონსტრაციის მომენტში დაიწყებოდა მშვიდობიანი მოლაპარაკება მთავრობასთან დეკაბრისტთა ულტიმატუმის მიღების შესახებ.

შტეინგელმა სწორედ ამ დროს წამოაყენა წინადადება ტახტზე აეყვანათ განსვენებული იმპერატორის მეუღლე ელისაბედი, რომელსაც, მისი აზრით, თანდათან გაატარებინებდნენ ცხოვრებაში ყველა იმ ღონისძიებებს, რასაც დეკაბრისტული პროგრამა ითვალისწინებდა. „შეიძლება იმედი ვიქონიოთ ამბობდა შტეინგელი — რომ შემდეგში, თუ ეს აუცილებელი იქნება — მან (ე. ი. ელისაბედმა) სავსებით უარი თქვას, მმართველობაზე და შემოიღოს რესპუბლიკური მმართველობა. მან მიეცემა სოლიდური ხელფასი. ჩვენ აღვუმართავთ მონუმენტს და მივანიჭებთ ტიტულს თავისუფალი სამშობლოს დედოფალი. ამასთან გამოითქვა კიდეც აზრი ტახტზე ალექსანდრე ნიკოლოზის ძის (შემდეგ ალექსანდრე მეორის, მაშინ სავსებით მცირეწლოვანის) აყვანის შესახებ.

ცხარე მსჯელობებში, საკითხის ყოველმხრივ შესწავლასა და დადებითი და უარყოფითი შედეგების შეფასებაში ზუსტდებოდა გამოსვლის გეგმა. საბოლოო გადაწყვეტილებით აჯანყებაში ჩაბმული ჯარისკაცთა პოლკები სენატის მოედანზე უნდა გაეყვანათ, სენატი იძულებული უნდა გაეხადათ მიეღო დეკაბრისტთა მიერ წაყენებული მოთხოვნები — კერძოდ რუსი ხალხის მანიფესტი, რომელიც შედგენილ იქნა რილეევისა და ტრუბეცკოის მიერ.

მანიფესტი შემდეგ ძირითად საკითხებს შეიცავდა: იგი დამხობილად აცხადებდა ძველ მთავრობას, აუქმებდა რუსეთში ბატონყმობას, აცხადებდა ყველა წოდების თანასწორობას კანონის წინაშე, აღიარებდა სიტყვის, სინიდისის, საქმიანობის თავისუფლებას, ითვალისწინებდა სასამართლო წარმოების შეცვლას, ღია პროცესების შემოღებითა და ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტის დაწესებით, აწესებდა სათემო, სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო მმართველობას მათი წევრების არჩევითობის წესების განსაზღვრით. (ეს არჩევითი პირები შეცვლიდნენ ყველა დანიშნულ პოხელეს) და სხვ. მანიფესტი ამასთან

ითვალისწინებდა სამხედრო რეფორმას — სამხედრო დასახლებებისა და რეკრუტობის დაუყოვნებლივი ლიკვიდაციითა და სამსახურის ვადის 10 წლამდე შემცირებით, სამხედრო ვალდებულების ყველა წოდებაზე გავრცელებით. ნაკარაუდევი იყო სახალხო მილიციის შემოღება. მანიფესტში ლაპარაკი იყო აგრეთვე სასულადო გადასახადის ლიკვიდაციაზე და მთელ რიგ სახელმწიფო მონოპოლიების მოსპობაზე.

მ. ვ. ნეჩკინა ადარებს რა ამ მანიფესტს სამხრეთის და ჩრდილოეთის საზოგადოებათა კონსტიტუციებს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მანიფესტის მუხლები არ ემთხვევა კონსტიტუციათა პროგრამას, განსაკუთრებით ცხადია გადახვევა ნ. მურავიოვის პროექტიდან. მანიფესტი არაფერს არ ლაპარაკობს მიწის შესახებ და მდუმარედ უვლის გვერდს ნ. მურავიოვის ფორმულას „მემამულეებს რჩებათ თავიანთი მიწა". ასევე მანიფესტში არაფერია ნათქვამი საარჩევნო ცენზზე და მრ. სხვ. ამრიგად, მანიფესტი წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს ნ. მურავიოვის კონსტიტუციასთან შედარებით, თუმცა მასაც ცხადად ამჩნევია კლასობრივი შეზღუდულობის დაღი (მიწის შესახებ საკითხისათვის გვერდის ავლა, ყმა გლეხებისათვის თავისუფლების მინიჭების გაბედული აღიარების წინაშე შიში და სხვ.).

მანიფესტში არაფერი იყო ნათქვამი რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის შესახებ. დეკაბრისტები ვარაუდობდნენ, რომ მანიფესტი წარმოადგენდა პირველ ღონისძიებას, რომელიც აჯანყების დღესვე უნდა გამოქვეყნებულიყო. რაც შეეხება ძირითადად სადაო საკითხებს, ამას გადაწყვეტდა უმაღლესი კრება. მას უნდა განესაზღვრა რესპუბლიკური იქნებოდა რუსეთი, თუ მონარქიული, გადაეცემოდა მიწა გლეხებს, თუ დარჩებოდა ფეოდალთა მფლობელობაში და სხვ.

რუსი ხალხისადმი მანიფესტის ცხოვრებაში გატარება, მანამ, ვიდრე დამფუძნებელი კრება აირჩეოდა რუსეთში, დროებით მმართველობას უნდა დაკისრებოდა. დროებით მმართველობაში უნდა შესულიყვნენ სახელმწიფოში ფართოდ ცნობი-

ლი, აღიარებული პირები. ასეთ კანდიდატთა შორის დასახელებული იყვნენ მ. მ. სპერანსკი, ნ. ს. მორდვინოვი, ა. პ. ერმოლოვი, ნ. ნ. რაევსკი, სენატორი ი. მ. მურავიოვ-აპოსტოლი და სხვები. არჩევანი პირველ სამ კანდიდატზე შეჩერდა. სპერანსკის მთელი რუსეთი იცნობდა როგორც სახელმწიფო საქმეებში ღრმად ჩახედულ და რუსეთის მოძველებული სახელმწიფოებრივი მექანიზმის სრული გადახალისების მოტრფიალე პიროვნებას (ამ დროს სპერანსკი პეტერბურგში იმყოფებოდა. მასთან ცხოვრობდა დეკაბრისტი მ. ს. ბატენკოვი, რომელსაც არაერთხელ ჰქონია გულითადი საუბარი სპერანსკისთან უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებზე. სჩანს სპერანსკი გულით თანაუგრძნობდა შეთქმულებს). ნ. ს. მორდვინოვი აგრეთვე ცნობილი იყო თავისი ლიბერალიზმით, ცოდნით, პატრიოტული თვისებებით. მისით მოხიბლული იყო კ. რილეევი, რომელსაც მორდვინოვი დროებითი მმართველობის ყველაზე შესანიშნავ კანდიდატად მიაჩნდა. რაც შეეხება ერმოლოვს, იგი მართალია ამ დროს კავკასიაში იმყოფებოდა, მაგრამ დეკაბრისტთა შორის ცნობილი იყო როგორც ლიბერალური აზრების ერთგვარად მოტრფიალე, უმამაცესი გენერალი, ჯარისკაცთა მასებში სახელმოხვეჭილი. დროებით მმართველობას ეკისრებოდა: წოდებათა უფლებების გათანასწორება, სათემო სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო ადგილობრივ მმართველობათა ორგანიზაცია, შინაგანი სახალხო დაცვის ორგანიზაცია, სასამართლოს ორგანიზაცია, სარეკრუტო ვალდებულებათა ყველა წოდებაზე დაკისრება, მუდმივი არმიის გაუქმება და სახელმწიფო ორგანოებში არჩევნების წესის დადგენა.

დეკაბრისტების მსჯელობის საგანს წარმოადგენდა აგრეთვე სამეფო ოჯახისადმი დამოკიდებულება. არავისში აღარ იწვევდა ეჭვს ის გარემოება, რომ მეფის ოჯახი გამოსვლის დღესვე უნდა დაეპატიმრებინათ. ეს ამოცანა იაკუბოვიჩს დაეკისრა. აჯანყების დღეს იაკუბოვიჩი სათავეში უნდა ჩასდგომოდა გვარდიულ საზღვაო ეკიპაჟს, შეეყვანა იგი ზამთრის სასახლეში და დაეპატიმრებინა მეფის მთელი ოჯახი. მაგრამ გამოსვლის წინა დღეებში კ. რილეევი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ

მარტოოდენ დაპატიმრება არ იყო საკმარისი. საჭირო იყო მოსპობა იმ ადამიანისა, რომელიც კონსტანტინეს უარის შემდეგ რუსეთის საიმპერატოროდ ემზადებოდა.

13 დეკემბერს რილეევი საბოლოოდ დაადგა იმ აზრს, რომ საჭირო იყო ნიკოლოზის მსხვერპლად შეწირვა რევოლუციისათვის. მისი მოკვლა უნდა მონახდარიყო დილასვე, აჯანყების დაწყების მომენტში და ეს გაადვილებდა გამარჯვებას, ანუ „გზას გაუხსნიდა მას" — როგორც ამბობდა რილეევი. ამ საპასუხიმგებლო დავალების შესასრულებლად შერჩეულ იქნა კახოვსკი, რომელიც ადრევე აცხადებდა თანხმობას მეფის მოკვლაზე.

გამოსვლის წინა დღეებში დაზუსტდა გეგმის დეტალები. გამოსვლის დღის საერთო ხელმძღვანელად ანუ დიქტატორად, როგორც მას შეთქმულნი უწოდებდნენ, საბოლოოდ შერჩეულ იქნა ტრუბეცკოი. რუსი ხალხისადმი მანიფესტის წარდგენა სენატისადმი დაევალათ რილეევს და პუშჩინს. თუ სენატი ამ ულტიმატუმს არ შიიღებდა, ნავარაუდევი იყო შის წინააღმდეგ ძალების გამოყენება. დაზუსტდა ჯარისკაცთა გამოყვანის წესიც: შეთქმული ოფიცრები ჯარისკაცებს ჩააგონებდნენ, რომ უკანონოა ნიკოლოზის ასვლა საიმპერატორო ტახტზე, რომ კონსტანტინეს, რომელიც ლიბერალური აზრების მატარებელია, მეფობაზე იძულებით ააღებინეს ხელი, რომ ნიკოლოზი უზურპატორია, ამიტომ მისდამი შეფიცვა უკანონოა და სხვ. აჯანყებული პოლკები თავს მოიყრიდნენ დილიდანვე სენატის მოედანზე, რომელიც აჯანყების ცენტრი იქნებოდა. ზამთრის სასახლის, პეტრეპავლეს ციხე-სიმაგრის დაკავება დასაყრდენს გამოაცლიდა ხელიდან კონტრრევოლუციას, პეტერბურგში გამოსვლა სიგნალი გახდებოდა აჯანყებისათვის სამხრეთში. აჯანყების წარმატების შემდეგ ჯარისკაცთა პოლკებს ქალაქგარედ გაიყვანდნენ და დროებითი მმართველობა შეუდგებოდა თავისი მოვალეობის აღსრულებას.

გამოსვლის წინა დღეს, როცა თითქმის ყველა დეტალი მოფიქრებულ-დაზუსტებული იყო, ხელმძღვანელმა დეკაბრისტებმა გაიგეს რომ გაცემულნი არიან.

დეკაბრისტულ შეთქმულებას რამდენიმე გამცემი აღმოაჩნდა. პირველი მათ შორის იყო უნტერ-ოფიცერი შერვუდი, რომელსაც დეკაბრისტებმა ნდობა გამოუცხადეს და საზოგადოების არსებობა გაუმხილეს. კარიერისტმა უნტერ-ოფიცერმა ივარაუდა, რომ შეთქმულთა დასმენით კარიერას გაიკეთებდა. მან წერილი მისწერა ალექსანდრე პირველს. ჯაშუში არაკაცევმა დაიბარა, მოუსმინა და ახალი დავალებები მისცა. შერვუდი დასმენებს სისტემატურად გზავნიდა და ამხელდა საზოგადოების იმ აზრებსა და გეგმებს, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა.

მეორე დამსმენი იყო კაპიტანი მაიბოროდა, რომელიც გენერალ როტას აწვდიდა ცნობებს დეკაბრისტთა შესახებ. მაიბოროდა ფარულ ორგანიზაციაში მიიღეს. გაფლანგა სახელმწიფო ფულები და ხელისუფლების წინაშე დანაშაული რომ გამოესყიდა, ხელი მიჰყო ამხანაგების დასმენას.

მესამე წყარო დასმენისა სამხრეთის ერთ-ერთი სამხედრო დასახლების უფროსის გრაფი ვიტტისაგან მოდიოდა; ვიტტე მემამულე ბოშნიაკის დახმარებით მოქმედებდა.

სამივე ეს გამცემი ძირითადში სამხრეთის ფარული საზოგადოების არეში ტრიალებდა. ყოველი მათგანი შეთქმულების ორგანიზატორად და ბელადად პავლე პესტელს ასახელებდა. ამიტომ იყო, რომ პესტელი მთავრობამ დეკაბრისტების გამოსვლამდე ერთი დღით ადრე — 13 დეკემბერს დააპატიმრა.

დეკაბრისტთა ჩრდილოეთის ფარულ საზოგადოებიდან გამცემი აღმოჩნდა იაკობ როსტოვცევი. მართალია, მას შეთქმულთა მესვეურები არ დაუსახელებია და ნიკოლოზს სწორედ გამოსვლის წინ აცნობა მის წინააღმდეგ შეთქმულების მომზადების შესახებ, მაგრამ ამ დასმენას, როგორც აკად. ნეჩკინა შენიშნავს, განსაკუთრებით მძიმე შედეგები ჰქონდა დეკაბრისტებისათვის.

როსტოვცევი ობოლენსკის რეკომენდაციით ახალი მიღებული იყო ფარულ ორგანიზაციაში. იგი იმყოფებოდა იმ გაცხოველებული მზადების კურსში, რომელსაც რილეევის ბინაზე აწარმოებდნენ დეკაბრისტები. მან, სავარაუდოა, იცოდა

ის გეგმაც, რომელიც საბოლოოდ შემუშავდა. როსტოვცევმა შეთქმულების გაცემის დღეს ნიკოლოზს გაუმხილა დეკაბრისტთა გეგმა. ნიკოლოზმა ჩანს, იცოდა რომ დეკაბრისტები სენატზე შეტევით იწყებდნენ, სენატის მეშვეობით აპირებდნენ მანიფესტის გამოქვეყნებას, ამიტომაც იყო, რომ მან სენატის შეფიცვა პირველ რიგში და ადრე დილით ჩაატარა, რითაც ეს სახიფათო უბანი დროულად გააუვნებადა.

როსტოვცევის გამცემლობა დეკაბრისტებმა შეიტყვეს. ეს იყო 13 დეკემბერი. ეს იყო დიდი უბედურება. ამ მომენტიდან ზოგ შეთქმულს შეეპარა ეჭვი წარუმატებლობისა. ეს ეჭვი ახლა რილეევსაც აწუხებდა, მაგრამ უკანდახევა გვიანი იყო. „ქარქაშები დამტვრეულია, ხმლებს ვეღარ დავმალავთ“ — ამბობდა რილეევი, უმჯობესია მოედანზე დაგვხვრიტონ, ვიდრე ლოგინში დაგვიჭირონ. მე გამარჯვება აღარ მწამს, მაგრამ უნდა გავბედოთ. თუ დავიღუპებით, მაგალითს მაინც მივცემთ, რაც სხვებს გამოაღვიძებს — ეუბნებოდა იგი ახლო მეგობრებს და ამხნევებდა.

საქმე ჯერ კიდევ წაგებული არ ყოფილა. შეთქმულები ოპტიმისტურად უყურებდნენ 14 დეკემბრის დილას, რასაც მათი და მთელი რუსეთის ბედიც უნდა გადაეწყვიტა. იმ ღამეს შეთქმულთაგან არავის სძინებია. მაგრამ ღამის ფიქრებმა შეთქმულთაგან ზოგიერთს აზრები შეუცვალეს, რამაც აჯანყების ბედი უკუღმა წარმართა და საბოლოო მარცხში დიდი როლი ითამაშა. მხედველობაში გვაქვს დიქტატორ ტრუბეცკოის, კაპიტან იაკუბოვიჩის და კახოვსკის მოქმედება. არც ერთმა მათგანმა დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა.

გათენდა 14 დეკემბრის დილა. შეფიცვა დაიწყო. მთელმა რიგმა ნაწილებმა შეჰფიცეს ისე, რომ ინციდენტი არ მომხდარა. ადრე დილით შეფიცა სენატმაც, მას არაეითარი ხელისშეშლა არ მოჰყოლია. ეს უკვე დეკაბრისტთა გეგმის ერთი ძირითადი ნაწილის ჩაფუშვას ნიშნავდა.

დილის 9 საათიდან ვითარება შეიცვალა. აჯანყების დროშა პირველმა მოსკოვის პოლკმა აღმართა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ ძმები ალექსანდრე და მიხეილ ბესტუჟევები,

შჩეპინ-როსტოვსკი. მათ შეფიცვის დაწყების მომენტში ჯარისკაცების წინაშე წარმოთქვეს მხურვალე სიტყვა ნიკოლოზის წინააღმდეგ, კონსტანტინეს სასარგებლოდ და მოუწოდეს ჯარისკაცებს გაჰყოლოდნენ სენატის მოედანზე სამართლიანობის აღსადგენად. მოსკოვის პოლკიდან 800 ჯარისკაცი ძმების ბესტუჟევებისა და შჩეპინ-როსტოვსკის მეთაურობით სენატის მოედნისაკენ დაიძრა. მოედანზე აჯანყებული ჯარისკაცები ოფიცრებმა „კარეს“ ყაიდაზე განალაგეს და დაიწყეს თანაშეთქმულთა ლოდინი.

ლეიბ-გვარდიის გრენადერთა პოლკში შეფიცვა თავდაპირველად მშვიდად მიმდინარეობდა. მაგრამ როცა შეთქმულმა სუტგოფმა გაიგო მოსკოვის პოლკის ჯარისკაცთა სენატის მოედანზე გამოსვლის შესახებ, თავისი ასეული ყაზარმიდან გამოიყვანა და გაყინული ნევის გადალახვით მიიყვანა სენატის მოედანზე. ამავე პოლკიდან ჯარისკაცთა ასეულით მოედნისაკენ გაემართა პანოვი, რომელმაც პირველად ზამთრის სასახლეს მიაშურა, მიიჩნია რა მის ირგვლივ განლაგებული ჯარისკაცები თანამოაზრეებად. სასახლეში შეჭრის შემდეგ პანოვი, რომელიც მიხვდა, რომ თავისიანებში არ აღმოჩნდა, უკან გამობრუნდა და მოედანზე განლაგებულ აჯანყებულებს შეუერთდა.

პანოვს, რომელმაც უკვე შეძლო ზამთრის სასახლეში შეჭრა, სრული შესაძლებლობა ჰქონდა კონტრრევოლუციის ეს ბუდე ხელთ ეგდო, რაც შეიძლება აჯანყების ბედს გადასწყვეტდა კიდეც, მაგრამ მას ამის რწმუნება არ ჰქონია და თავშიაც არ მოსვლია ეს გაბედული განზრახვა.

საზღვაო გვარდიულ ეკიპაჟში შეფიცვისთანავე დაიწყო ინციდენტი. გენერალ-მაიორი შიპოვი, რომელიც მანიფესტს კითხულობდა, შეთქმულმა ოფიცრებმა შეაჩერეს. სასწრაფო თათბირზე ოფიცრებმა შიპოვს განუცხადეს, რომ ჯარისკაცებს ეს შეფიცვა მიაჩნიათ უკანონობად, რომ ამას წინათ მათ უკვე შეფიცეს კონსტანტინეს, რომელსაც უარი არ უთქვამს ტახტზე. ასეულის მეთაურები დატუსაღებულ იქნენ. მალე ყაზარმაში შეიჭრა ნიკოლოზ ბესტუჟევი, რომელმაც ჯარის-

კაცებს აცნობა მოსკოვის პოლკის გამოსვლის შესახებ. ისედაც აღგზნებულ ჯარისკაცებისათვის ეს საკმარისი იყო. ჯარისკაცებმა გაანთავისუფლეს ოფიცრები და მათი მეთაურობით გაემართნენ სენატის მოედნისაკენ.

ასე თანდათანობით სენატის მოედანზე თავი მოიყარა და განლაგდა 3 ათასზე მეტი ჯარისკაცი, რომლებიც ელოდებოდნენ მოქმედების დაწყებას, მაგრამ საამისო განკარგულება არ ისმოდა. შეთქმული ოფიცრები რაღაცას ჩურჩულებდნენ ერთმანეთს შორის. რილეევი დარბოდა აქეთ-იქეთ და დაბნეული სახით ეძებდა ვიღაცას... ეს „ვიღაცა" აჯანყების დიქტატორი ტრუბეცკოი იყო, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში მიატოვა საბრძოლო პოსტი, მიატოვა ამხანაგები და დაიმალა. ეს ჯერ კიდევ არ იცოდნენ შეთქმულებმა; ისინი ელოდნენ ტრუბეცკოის გამოჩენას.

დაბნეულობა სუფევდა იმპერატორის ბანაკში. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა მილორადოვიჩმა ძლივს მიაღწია მოედნამდე, მას მუნდირი სანახევროდ ჩამოგლეჯილი ჰქონდა. გაბოროტებული გუბერნატორი ძალის გამოყენებას მოითხოვდა, მაგრამ საკმაო ძალები აჯანყების გასანადგურებლად დაჯგუფებული არ ყოფილა. მილორადოვიჩმა გადაწყვიტა მოლაპარაკება გაემართა აჯანყებულ ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან, მშვიდობიანად გადმოებირებინა ისინი. მილორადოვიჩს იმედი ჰქონდა, რომ შეთქმულები ანგარიშს გაუწევდნენ მის ავტორიტეტს, მის დამსახურებას.

მილორადოვიჩი ცხენით მიიჭრა ჯარისკაცთა მწკრივთან და მათ ასეთი სიტყვით მიმართა: „ჯარისკაცებო, ვინ იყო თქვენგან ჩემთან ერთად კულმასთან, ლიუცენთან, ბაუცენთან, თქვით, მითხარით. არავინ? არავინ არ ყოფილა, არავის არ გაუგონია"? — ის ჯარისკაცები, რომელთაც მილორადოვიჩი ამ სიტყვით მიმართავდა, სწორედ მილორადოვიჩის ხელმძღვანელობით გმირულად იბრძოდნენ ამ ქალაქებთან და ასახელეს რუსული იარაღი, მაგრამ ამჯერად ისინი სდუმდნენ. მაშინ მილორადოვიჩი წამოიწია უზანგებზე და თეატრალური ჟესტით, ხმამაღლა წამოიძახა: „მადლობა ღმერთს, აქ არც ერ-

თი რუსი ჯარისკაცი არ არის!“ ამის შემდეგ მილორადოვიჩმა ანალოგიური მოწოდებით მიმართა ოფიცრებს, მაგრამ პასუხად ისევ დუმილი მიიღო და აქაც განმეორდა პათეტური აპოძახილი: „მადლობა ღმერთს, აქ არც ერთი რუსი ოფიცერი არ ყოფილა!“. როცა ამ ხერხმა არ გასჭრა, მილორადოვიჩმა ქარქაშიდან ამოიძრო ხმალი, რომელზედაც ამოკვეთილი იყო კონსტანტინესაგან სამახსოვრო წარწერა. წაიკითხა რა ეს წარწერა, მილორადოვიჩმა კვლავ პათეტურად წარმოსთქვა: „მილორადოვიჩი არ შეიძლება იყოს თავისი მეგობრის და მეფის ღალატემი“, ამავე დროს მან არ დაიშურა ჯარისკაცური ლექსიკონიდან მოტანილი სიტყვები იმათ სალანძღავად, რომლებმაც ნიკოლოზის შეფიცვაზე უარი თქვეს.

მართალია, მილორადოვიჩის სიტყვის დროს მწკრივში სრული სიჩუმე იყო, მაგრამ ოფიცრებმა შეატყვეს, რომ ჯარისკაცთა გარკვეული ჯგუფი უკვე იწყებდა მერყეობას. მილორადოვიჩს ჯარისკაცები იცნობდნენ როგორც ერთერთ უმამაცეს, ვაჟკაც გენერალს და მისი შთამბეჭდ , სიტყვებიეტყობა, გულს ხვდებოდათ.

დეკაბრისტებმა ობოლენსკიმ და კახოვსკიმ მილორადოვიჩი გააფრთხილეს გასცლოდა ჯარისკაცებს. მილორადოვიჩმა მათ ყურადღება არ მიაქცია. მაშინ ობოლენსკიმ მას ხიშტით ჭრილობა მიაყენა, ხოლო კახოვსკიმ ესროლა და გულმკერდის არეში სასიკვდილოდ დაჭრა.

ნიკოლოზი მაინც ვერ ბედავდა იარაღის ამოქმედებას და ჯერჯერობით, ვიდრე ძალებს დააგროვებდა, მოლაპარაკების ტაქტიკას მიმართავდა. აჯანყებულებს ახლა მან გვარდიული კორპუსის მეთაური ვოინოვი, და დიდი მთავარი მიხეილ პავლეს ძე მიუგზავნა. ჯარისკაცებმა მათ ყურიც არ ათხოვეს. წარუმატებლად დამთავრდა აგრეთვე პეტერბურგის მიტროპოლიტის სერაფიმის შუამავლობა. ჯარისკაცებმა მის უწმინდესობას უწმინდური უწოდეს და უკანვე გაისტუმრეს.

დეკაბრისტები სენატის მოედანზე მარტო არ ყოფილან. მათდამი მხურვალე თანაგრძნობას გამოხატავდა პეტერბურ-

გის „შავი“ ხალხი, რომელიც ისაკის ტაძრის ეზოში და მოედანზე იყო თავმოყრილი.

დეკაბრისტები ობოლენსკი, პოპოვი, სენატორი ოლენინი და სხვ. აღნიშნავენ, რომ მოედანზე, საადმირალოს შენობის წინ, ისაკის ტაძრის მშენებლობის ირგვლივ დიდძალი ხალხი (20-30 ათასზე მეტი) იყო შეჯგუფული. პეტერბურგის დანარჩენ, შორეულ ქუჩებში ამ დროს სიცარიელე იყო. „რაც უფრო შორს მივდიოდი მე საადმირალოდან — აღნიშნავს ტელეშოვი — მით უფრო მეჩხერდებოდა ხალხი. თითქმის ყველამ მოედანს მოაშურა და თავიანთი სახლები ცარიელი დატოვა“. „მთელი პეტერბუგი მოედანზე იყო გამოფენილი და საადმირალოს პირველი ნაწილი იტევდა 150 ათას კაცამდე. აქ იყვნენ ნაცნობნი და უცნობნი, მოყვარენი და მტრები, მათ ახლა თავიანთი თავი დავიწყებოდათ, შეკრებილი იყვნენ წრეებად და მსჯელობდნენ ყოველივე იმის გარშემო, რაც მათ ირგვლივ ხდებოდა“, — აღნიშნავს ერთ-ერთი მეთვალყურე.

პეტერბურგის ეს „შავი ხალხი“ ძირითადად ხელოსნებისაგან, შინაყმებისაგან, გლეხებისაგან, საფაბრიკო-საქარხნო წარმოების მუშა-მოსამსახურეთაგან შესდგებოდა. მათ, ცხადია, არაფერი იცოდნენ დეკაბრისტ შეთქმულთა განზრახვის შესახებ. მოედანზე მათ ჯარისკაცთა მეშვეობით შეიძლებოდა გაეგოთ ერთი რამ: აჯანყებულნი წინააღმდეგნი იყვნენ ნიკოლოზისადმი შეფიცვისა, თავიანთ ერთგულებას კონსტანტინეს უცხადებდნენ. ეს ფაქტი „შავი“ ხალხის უცაბედი აღგზნებისათვის საკმაო მასალას ჯერ კიდევ არ ქმნიდა. ის კი ფაქტია, რომ მოედანზე შეკრებილთა უდიდესი უმრავლესობა აჯანყებულებს თანაუგრძნობდა: ქვებსა და შეშის ნაჭრებს ესროდა მეფის ჯარის ნაწილებს, რომლებსაც აჯანყებულებზე მიქონდათ იერიში. მასების ასეთი განწყობილების ახსნისათვის ანგარიში უნდა გავუწიოთ ფსიქოლოგიურ მომენტსაც. პეტერბურგის ამ ყველაზე ღარიბი, უფლებააყრილი, ექსპლოატირებული ფენის სიმპატია კლასობრივი ალღოთი იმის მხარეზე იხრებოდა, ვინც ამა თუ იმ საბაბით არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ხმას იმაღლებდა. მით უმეტეს, აჯანყებულთა რიგები

შესდგებოდა იმ ვეტერან ჯარისკაცებისაგან, რომლებიც ქვედა ფენებიდან იყო გამოსული და თავიანთი საბრძოლო ტრადიციების გამო პეტერბურგის მოსახლეობის სიყვარულს იმსახურებდა. „შავ“ ხალხში სწორედ ამ დროს ვრცელდებოდა ათასგვარი ხმები კონსტანტინეს „გულკეთილობის“ შესახებ, მისი გამეფების შემთხვევაში „შავი ხალხის“ ხვედრის შემსუბუქების შესახებ და სხვ.[1]

სენატის მოედანზე თავმოყრილი „შავი“ ხალხის ერთი ნაწილი თავის სიმპატიას აჯანყებულებისადმი არა მხოლოდ სიტყვით, არამედ მოქმედებით გამოხატავდა. ისინი, მაგალითად, შეშის ნაპობებს ესროდნენ ცხენოსან გვარდიელებს, რომლებმაც პირველებმა განახორციელეს შეტევა დეკაბრისტ ჯარისკაცებზე, ქვებს ისროდნენ მთავრობის ჯარების მხარეზე, ანგარიშს უსწორებდნენ ცალკეულ სამხედრო პირებს, ჟანდარმერიის მსახურთ და სხვ. ყველაზე აქტიურნი, როგორც ამას დეკაბრისტი ზავალიშინი აღნიშნავს თავის „წერილებში“, მოითხოვდნენ იარაღს, რომ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. მოგვეცით იარაღი — ამბობდნენ ისინი და პეტერბურგს ნახევარ საათში სულ ყირამალა დავაყენებთო.

ამრიგად, პეტერბურგის მშრომელმა მასამ ძირითადად დეკაბრისტების მხარე დაიკავა. იგი აჯანყების მიზან-დასახულებას გაცნობილი არ ყოფილა, მაგრამ დეკაბრისტების გამოსვლაში მაინც დაინახა ხელსაყრელი შემთხვევა ექსპლოატატორებისადმი ანგარიშგასწორებისა. დეკაბრისტებმა ვერც აქ, მოედანზე გამოიჩინეს ხალხის მიმართ გულწრფელობა, ვერ გაბედეს ეთქვათ მათთვის გამოსვლის ნამდვილი მიზანი, დახმარებოდნენ იარაღის შოვნაში, წაექეზებინათ ბრძოლისათვის — ეს მათს პოზიციებს გააძლიერებდა. მაგრამ დეკაბრისტებს ეშინოდათ მასისა, „ბრბოსი“. ისინი მოქმედებდნენ ხალხისათვის, მაგრამ ხალხის მონაწილეობის გარეშე. სწორედ ამან ძირითადად განაპირობა დეკაბრისტთა მარცხი სენატის მოედანზე.

---

[1] დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. М. В. Нечкина,–Движение декабристов II, გვ. 235-294.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა აჯანყებულნი პასიურად ლოდინის ვითარებაში იმყოფებოდნენ, იმპერატორის ბანაკი ძალებს იკრებდა. მისი მომხრე ნაწილებიდან მოედანზე პირველი მოვიდა პრეობრაჟენსკის პოლკის პირველი ბატალიონი, შემდეგ ცხენოსანი გვარდია გენერალ-მაიორ ალექსი ორლოვის მეთაურობით. მოედანზე თანდათანობით მოგროვდნენ საკავალერიო ნაწილები, სემიონოვის პოლკი. ნიკოლოზის ბრძანებით მთავრობის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს მოედნის გასასვლელი, დაიწყეს აჯანყებულთა გარშემო განლაგება. ცხადი იყო იმპერატორის გადაწყვეტილება: — ჩაეკეტა ყველა გზა აჯანყებულთათვის და შემდეგ დაერტყა. დღის მეორე ნახევრისათვის გარემოცვა უკვე დამთავრდა. ახლა მთავრობის ნაწილები გაცილებით სჭარბობდნენ აჯანყებულებს. მათ 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ჰყავდათ.

პირველი იერიში „კარედ" განლაგებულ აჯანყებულებზე ცხენოსანმა გვარდიელებმა მიიტანეს. ეს იყო იმ მომენტამდე, როცა ნიკოლოზის წარგზავნილი პირები დაიწყებდნენ მოლაპარაკებას აჯანყებულებთან (თუმცა ნიკოლოზი თავის „წერილებში" ამტკიცებს, რომ ცხენოსნებს იერიშის ბრძანება მისცა მას შემდეგ, როცა მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა). ცხენოსანთა იერიშები აჯანყებულებმა წარმატებით მოიგერიეს; ისე, რომ მათს რიგებში არავითარი რღვევა არ მომხდარა.

ნიკოლოზი პირველ ხანებში დაბნეული იყო. მას, მაგალითად, სასახლის მდგომარეობა უიმედოდ მიაჩნდა და ბრძანებაც კი ჰქონდა გაცემული — შეემზადებინათ ეკიპაჟი ოჯახის წევრთა ევაკუაციისათვის ცარსკოე სელოში. თვით იგი ყოველ წუთში ელოდა აჯანყებულთა ტყვიას. დამახასიათებელია, რომ შემდეგ თავის ძმას მიხეილს ნიკოლოზი ეუბნებოდა: „მთელი ამ ისტორიიდან ყველაზე საკვირველი ისაა, რომ მე და შენ იქვე არ მიგვახვრიტესო".

აჯანყებულები მოედანზე ბოლომდე ლოდინის მდგომარეობაში დარჩნენ. დილის 11 საათიდან, როცა მოედანზე თავმოყრა იწყეს დეკაბრისტთა მომხრე ნაწილებმა, ვიდრე ოთხ საათამდე. როცა მთავრობის ზარბაზნებმა დაიქუხეს, ე. ი.

მთელი ხუთი საათი დეკაბრისტების მხრივ რაიმე აქტიური, შემტევი ხასიათის ღონისძიება არ განხორციელებულა.

ოფიცრები, რომლებიც აჯანყებულებს ახლდნენ მოედანზე, პოუთმენლობას იჩენდნენ, გრძნობდნენ, რომ უმოქმედობა დაღუპვას უმზადებდა მათ, მაგრამ რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდნენ. მათი მთავარი ყურადღება დატრიალებდა ტრუბეცკოის, რომელიც მოედანზე ერთხელაც არ გამოჩენილა. თათბირის შემდეგ ოფიცრებმა ინფორმაციის შესაგროვებლად მოწინააღმდეგის ბანაკში გაგზავნეს იაკუბოვიჩი, დაგვიანებით აჯანყებულთა რიგები შეავსეს დეკაბრისტ სუტგოფის, ხოლო შემდეგ პანოვის ლეიბ-გვარდიის გრენადერებმა. ამან ერთგვარად ასწია აჯანყებულთა განწყობილება. მეფის ცხენოსანი გვარდიის პირველი იერიშებიც წარმატებით იქნა მოგერიებული, მაგრამ საქმეს კეთილი დასასრული ვერ უჩანდა.

ნიკოლოზმა უკვე შეაგროვა საკმაო ძალები, ჩაჰკეტა ყველა გასასვლელები, ამავე დროს გამოიწვია არტილერიის ნაწილები (დეკაბრისტთა საბედისწერო აღსასრულს ხელი იმანაც შეუწყო, რომ მათ არტილერისტები არ ჰყოლიათ) და გადაწყვიტა შეტევაზე გადასულიყო. „სასწრაფოდ უნდა მომეღო ბოლო ყოველივე ამისათვის (აჯანყებისთვის ა. ს.) აღნიშნავს ნიკოლოზი თავის „წერილებში“, — თორემ ბუნტი შეიძლებოდა შავ ხალხსაც მოსდებოდა და მაშინ, მათ მიერ გარშემორტყმული ჯარები ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ“. ამრიგად ნიკოლოზი გრძნობდა, რომ პეტერბურგის დაბალი მოსახლეობა ყრუდ ღელავდა, აჯანყებისადმი სიმპათიებით იყო განწყობილი და საჭირო იყო სრულიად მცირე რამ, რომ იგი აფეთქებულიყო. ამავე დროს ღამეს შეეძლო სხვა მრავალი მოულოდნელობა მოჰყოლოდა თვით ჯარის ნაწილებშიც. ასე ფიქრობდნენ მაგალითად დეკაბრისტები პუშჩინი და ალექსანდრე ბესტუჟევიც... „მოვუცადოთ დაბნელებას, — ამბობდა პუშჩინი — მაშინ, შეიძლება რომელიმე პოლკი ჩვენს მხარეზე გადმოვიდესო“...

ნიკოლოზს, რომელიც დაბნეული და შეშინებული იყო,

ეხნევებდნენ მისი ერთგული გენერლები და დაჟინებით ურჩევდნენ დაეწყო გადამწყვეტი მოქმედება.

ნიკოლოზმა მის ახლო მდგომ არტილერიის ოფიცერს მისცა ბრძანება პირდაპირი დამიზნებით შეთქმულებისთვის ფინდიხის ჭურვების დაშენის შესახებ. ოფიცერ ბაკუნინის საარტილერიო ქვეგანაყოფის არტილერისტმა ბრძანება არ შეასრულა. „-ისინი ხომ ჩვენები არიან თქვენო კეთილშობილებავ“! — წამოიძახა მან და პატრუქს ხელი გაუშვა. ბაკუნინმა გამოგლიჯა ჯარისკაცს პატრუქი ხელიდან, თვითონ ძიტანა იგი ქვემეხთან და მოუკიდა.

ეს იყო პირველი გასროლა, რომელსაც შეთქმულები „ურას“ ძახილით და საპასუხო ცეცხლით შეხვდნენ. მაგრამ პირველს მოჰყვა მეორე, მესამე და არტილერისტების ძლიერმა ცეცხლმა გააკეთა თავისი საქმე. შეთქმულებზე საარტილერიო ზალპის დაშენის შედეგად დატრიალებული ამბები დაწვრილებით აქვს აღწერილი ნ. ბესტუჟევს:

„პირველმა ზარბაზანმა დაიქუხა — აღნიშნავს იგი — ფინდიხი გაიფანტა, ნაწილი დაეცა ქვაფენილს და მტვრის და თოვლის სვეტები დააყენა, მეორემ — ფრონტიდან რამდენიმე რიგი მოჰგლიჯა, მესამემ ზუზუნით გადაიქროლა თავზე და თავისი მსხვერპლი იპოვა, რომელიც სენატის სახლის კოლონებსა და მეზობელი სახლების სახურავებზე იყო თავმოყრილი. ჩვენს რიგებში მოკლული შვიდი კაცი მოწყვეტით დაეცა მიწაზე, მათი არც ფართხალი დამინახავს, არც დაყვირება გამიგონია — ისეთი იყო ახლო მანძილიდან გასროლილი ფინდიხის ძალა. ცოცხლებსა და მკვდრებს შორის სრული სიჩუმე იყო გამეფებული.

შემდეგმა გასროლამ ჯარისკაცთა მთელი გროვა და ხალხი დააწვინა. ლაწა-ლუწით ცვივოდა დამტვრეული ფანჯრებიდან მინები და მათთან ერთად ცვივოდნენ და უძრავად რჩებოდნენ ადამიანებიც... მე გაქვავებული ვიდექი და ვუცდიდი იმ გასროლას, რომელიც მეც დამაწვენდა. ამ წამში სიცოცხლე ისე მიმძიმდა, ისე მწარედ მეჩვენებოდა, რომ სიკვდილს დამშვიდებით ველოდი. მაგრამ ბედმა სხვაგვარად გადაწყვიტა. მე-

ხუთე თუ მეექვსე გასროლის შემდეგ კოლონა შეირყა, როცა გონს მოვედი, დავინახე რომ მთელ სივრცეზე, ჩემსა და გაქცეულ კოლონას შორის არც ერთი ცოცხალი ადამიანი აღარ იყო. მოედანი მთლად მკვდრებით იყო მოფენილი, არც ყვირილი ისმოდა, არც გოდება. მაგრამ ჩანდა ცხელი სისხლისაგან როგორ დნებოდა თოვლი და როგორ იყინებოდა სისხლი..

ვარდიის ცხენოსანი ესკადრონი დაგვედევნა ჩვენ. როცა ვიწრო (გალერის) ქუჩაში შეუხვია, ბრბომ გზა გადაუღობა მათ. აი აქ წამოვეწიე ლეიბ-გრენადერებს და შევხვდი ჩემს ძმას ალექსანდრეს. ჩვენ რამდენიმე ათეული კაცი შევკრიბეთ, რომ პირდაპირ შევხვედროდით იერიშებს და დაგვეცვა უკუქცეულნი. მაგრამ იმპერატორმა უმჯობესად ჩასთვალა ყუმბარები ქუჩის გასწვრივ დაეშინა, ფინდიხი ცხენზე უფრო სწრაფად გვეწეოდა და იძულებულს გვხდიდა გავფანტულიყავით. ჩვენ ვხედავდით თუ როგორ ეცემოდნენ ყოველ ნაბიჯზე ჯარისკაცები და მოქალაქენი. ჯარისკაცები ჭიშკრებს ურახუნებდნენ და კედლებს ეფარებოდნენ, სადაც მათ მოპირდაპირე კედლიდან ანარეკლი ფინდიხი ხვდებოდათ".

პირველი გასროლის შთაბეჭდილება, აჯანყებული ჯარისკაცების მდგომარეობა ამ მომენტისთვის სხვადასხვა მეთვალყურეებს სხვადასხვა გვარად აქვს აღწერილი. გენერალი ტოლი და თვით ნიკოლოზი თავის „წერილებში" აღნიშნავენ, რომ აჯანყებულებმა საარტილერიო ცეცხლს პირველად თოფის ცეცხლით უპასუხეს. როცა ცეცხლი გაძლიერდა, აჯანყებულთა კოლონა მართლაც შეირყა და უკან დახევა იწყო. მათ მიჰყვა მოედანზე მოგროვილი ბრბო, რომელიც კრიუკოვის არხით ნევისაკენ გაემართა. ნიკოლოზის ბრძანებით გაქცეულ მასას ისევ დააყარეს საარტილერიო ზალპი. აჯანყებულთა ნაწილი გაიქრა მართლაც გაყინულ ნევაზე და ვასილიევის კუნძულზე გადასვლით აპირებდა ეშველა თავისათვის. მაგრამ ქვემეხების ჭურვებმა ნევის ყინული დაამსხვრიეს და ბევრი აჯანყებული და მათზე ადევნებული მშვიდობიანი მოქალაქე ნევაში ჩაიხრჩო. მიხეილ ბესტუჟევი, მაგალითად, იგონებს, რომ მან ნევაზე, თავისი მამაცი უნტეროფიცრების დახმარე-

ბით დაიწყო ჯარისკაცთა რიგების მოწყობა, იმ განზრახვით, რომ ყინულზე განეგრძოთ გზა პეტრე-პავლეს ციხისაკენ და დაეკავებინათ იგი. თუ ჩვენ ამას მოვახერხებდითო — აღნიშნავს მიხეილი — ჩვენ გვექნებოდა შესანიშნავი საყრდენი წერტილი, საიდანაც შეგვეძლო დაგვეწყო მოლაპარაკება ნიკოლოზთან იმ ზარბაზნების ქვეშ, რომელიც სასახლისაკენ იქნებოდა მიმართულიო. მიხეილს მოუსწრია აქ სამი ოცეულის თავმოყრა, მაგრამ გაიზუზუნა ჭურვმა, დაეცა ყინულს და დაიწყო რიკოშეტით ხტომა მდინარის გასწვრივ. მიხეილმა დაინახა, რომ მათ ესროდნენ ისაკის ხიდზე განლაგებული ბატარეები. ამ დროს გაისმა ყვირილი „ვიძირებით" და მან დაინახა მდინარეზე ჩამსხვრეული ყინულები. ჯარისკაცები ნევაში იხრჩობოდნენ.

გამოსვლა სენატის მოედანზე დამთავრდა იმპერატორის გამარჯვებით. გვიან ღამემდე ჰკრებდნენ მოედანზე მოკლულებსა და დაჭრილებს, რეცხავდნენ სისხლის კვალს. ოფიციალური ცნობები მსხვერპლს შემცირებულად წარმოგვიდგენენ, მაგრამ მეთვალყურეთა ცნობების შეჯერებით ცხადი ხდება, რომ, ამ დღეს მარტო მოედანზე 300-ზე მეტი კაცი მაინც დაღუპა.

მოიგო თუ არა ბრძოლა, ნიკოლოზმა, რომელსაც ახლა, როგორც იმპერატორს, გულდამშვიდებითა და მისთვის ჩვეული სისასტიკით შეეძლო მოქმედება, ბრძანება გასცა მოეწყო ჩხრეკა ქალაქში, რომ დაეპატიმრებინა ყველა დეკაბრისტი, ვინც კი მოედანზე დაღუპვას გადაურჩა. პოლიცია ბენკენდორფისა და ა. ორლოვის მეთაურობით მოედო ქალაქს. ისინი აპატიმრებდნენ შეთქმულების მონაწილე ჯარისკაცებს და ოფიცრებს, მოჰყავდათ მოედანზე და აქედან კოლონებად გზავნიდნენ პეტრე-პავლეს ციხეში.

გვიან ღამით რამდენიმე დეკაბრისტი რილეევის ბინაზე ისევ შეიკრიბა სათათბიროდ. აქ იყვნენ თვით რილეევი, ბესტუჟევი, ორჟიცკი, შტეინგელი, ბატენკოვი. აქ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ როგორ დაეპირათ თავი დაკითხვის დროს. ისინი გამოეთხოვენ ერთმანეთს. ნიკოლოზმა ბრძანება

გასცა დეკაბრისტ ოფიცრების დაუყოვნებლივი დაპატიმრების შესახებ. მალე შეთქმულების ყველა მონაწილე პეტრე-პავლეს ციხეში აღმოჩნდა. მათ შესახებ დაიწყო დაუყოვნებლივი კვლევა-ძიება, რომელშიც უშუალო მონაწილეობას იღებდა თვით იმპერატორი.

აჯანყება სამხრეთში

„სამხრეთის უწყება" მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას, როგორც ზევით აღვნიშნავდით, 1826 წლისათვის აპირებდა და ამ პერიოდისათვის ფართო სამზადისს ეწეოდა. ალექსანდრე პირველის გარდაცვალებამ ნოემბერში ვითარება ერთბაშად შესცვალა და სამხრეთშიც, ისე როგორც ჩრდილოეთში, დეკაბრისტები დაუყოვნებლივი გამოსვლის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

სამხრეთელებმა ახალი კონიუნქტურის გათვალისწინებით დაამუშავეს ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლის გეგმა. იგი ითვალისწინებდა მოქმედების დაწყებას 1826 წლის 1 იანვრისათვის. ამ დღეს მეორე არმიის მთავარ ბანაკში საყარაულო სამსახური დავალებული ჰქონდა ვიატკის პოლკს. პესტელი ვარაუდობდა გამოეყენებინა ეს შემთხვევა, დაეტუსაღებინა უმაღლესი სარდლობა, რითაც დემორალიზაცია გამოეწვია მთავრობის წრეებში, დაეწყო დაუყოვნებლივი წინსვლა პეტერბურგზე. პესტელმა ამ დროს ეჭვით უკვე იცოდა საზოგადოების გაცემის შესახებ და იგი საჭიროდ თვლიდა უყოყმანო და გადამწყვეტ მოქმედებას და ვარაუდობდა არ დაეცადა ჩრდილოეთისათვის, სადაც მას ნაკლებად ეგულებოდა დაუყოვნებლივი გამოსვლის ენთუზიასტები.

მაგრამ სამხრეთელთა ცხოვრებაში სამწუხარო ამბავი მოხდა: 13 დეკემბერს, სწორედ პეტერბურგში აჯანყების წინადღით დააპატიმრეს პავლე პესტელი; ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დეკაბრისტების შეთქმულების შესახებ მთავრობას უკვე ჰქონდა ცნობები გამცემების — შერვუდის, მაიბოროდას, კაპიტან როტას მეშვეობით. ყველა ამ დასმენაში ლიდერად პესტელი იყო აღიარებული. ბუნებრივია, ხელისუფლებამ პირველ რიგში მას მოჰკიდა ხელი, ჟანდარმერია ვარაუდობდა, რომ

სწორედ პესტელის მეშვეობით ჩაიგდებდა ხელთ დანარჩენ შეთქმულებს. ამიტომ მისი დაპატიმრება წინასწარ შედგენილი გეგმით მოხდა: იგი გამოიძახეს ტულჩინოში მისი ბრიგადის ოფიცერთა მთლიან შემადგენლობასთან ერთად. მორიგე გენერალმა ბაიკოვმა აქვე პესტელი დააპატიმრა, ხოლო ყანდარმერიის გენერალმა ჩერნიშევმა მისი ბინა გაჩხრიკა და საჭირო ქაღალდები თან წაიღო, თუმცა მასში ვერ იპოვა შეთქმულთა საპროგრამო დოკუმენტი „რუსკაია პრავდა", რომლის არსებობის შესახებ უკვე იცოდნენ დამსმენთა მეშვეობით და ვერც რაიმე ხელშესახები საბუთი საიდუმლო ორგანიზაციის წევრთა შესახებ.

ყანდარმერიის წარმომადგენელთა ტულჩინოში ჩასვლა, პესტელის დაპატიმრება, მიუხედავად მთელი ამ აქტის კონსპირაციულობისა, შეთქმულთ მხედველობიდან არ გამოპარვიათ. ახლა უკვე მათთვის ცხადი გახდა, რომ მთავრობამ მიაგნო შეთქმულთა კვალს, რომ ისინი გაცემული არიან. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის სერგეი მურავიოვ-აპოსტოლისაგან პესტელის სახელზე დაწერილი მოკლე ბარათი ფრანგულ ენაზე: „საზოგადოება გახსნილია, თუ ერთი კაცი მაინც დააპატიმრეს, მე საქმეს ვიწყებ". სამხრეთელებმა ამ დროს ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ პეტერბურგში დატრიალებული ამბების შესახებ. ყანდარმერია კი თანდათანობით ჭკრეფდა შეთქმულებს. მალე დააპატიმრეს იუშნევსკი, კრიუკოვი და სხვები. ამრიგად, ტულჩინოს უწყება მთავრობამ უკვე გაანადგურა. სიტყვა ახლა ვასილკოველებს ეკუთვნოდათ, რადგან ისინი ფლობდნენ იმ საჭირო ძალებს, რომელთაც შეეძლოთ დაეწყოთ პრაქტიკული მოქმედება.

სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი პესტელის დაპატიმრების შემდეგ მთელი სისწრაფით ამზადებს გამოსვლას, რომელიც მას ახლა გადაუდებლად მიაჩნია. იგი სასწრაფოდ გაემგზავრა ჟიტომირში. აქედან სურს გაბას კავშირი პირველ რიგში პეტერბურგთან, შემდეგ სამხრეთის სამხედრო ნაწილებთან. 24 დეკემბერს ჟიტომირში ს. მურავიოვმა გაიგო პეტერბურგის ტრაგიკული ამბავი. ეს იყო თავზარდამცემი ცნობა, რომელმაც ცხადყო, რომ ყველაფერი განწირულია, მაგრამ ახლა

უკანდახევა შეუძლებელი იყო. მურავიოვ-აპოსტოლი, როგორც ეს მასალებიდან ირკვევა, პოლონეთის რევოლუციური საზოგადოების წევრის პ. მოშჩინსკის ელაპარაკება კონსტანტინეს მოკვლის აუცილებლობის შესახებ, წერილს წერს ბესტუჟევ-რიუმინს და აცნობს საქმის ნამდვილ ვითარებას, ძმასთან ერთად სასწრაფოდ მიემგზავრება ლუმარში ახირსკის ჰუსართა პოლკის მეთაურ არტამონ მურავიოვთან.

მაგრამ ამ დროს მურავიოვს უკვე ეძებენ ჟანდარმები. 25 დეკემბერს, როცა სერგეი ჟიტომირში იმყოფებოდა, ჩერნიგოვის პოლკის მეთაურ გებელთან გამოცხადდნენ ჟანდარმთა ოფიცრები — პორუჩიკი ნესმიანოვი და პროპორშჩიკი სკოკოვი — რომელთაც ჰქონდათ პირველი არმიის მთავარი შტაბის უფროსის ბარონ ტოლის განკარგულება მურავიოვ-აპოსტოლის დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ. აქ ვასილკოვოში მურავიოვ-აპოსტოლის ოთახი გაჩხრიკეს. გაიგო თუ არა ეს ბესტუჟევ-რიუმინმა, რომელიც იმ მომენტში იქ იმყოფებოდა, სასწრაფოდ გადასწყვიტა შეეტყობინებინა მურავიოვ-აპოსტოლისათვის მომხდარი ფაქტი. ჟანდარმერიის ჩამოსვლა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ შეერთებულ სლავთა საზოგადოების წევრებს, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება ჩერნიგოვის პოლკის გამოყვანის შესახებ.

ბესტუჟევ-რიუმინი იმავე დღეს გაემგზავრა ჟიტომირში მურავიოვ-აპოსტოლთან. მეორე დღეს დილით იმავე ჟიტომირისკენ მურავიოვ-აპოსტოლის საძებრად გაემგზავრნენ ჩერნიგოვის პოლკის მეთაური გებელი და მისი თანმხლები ჟანდარმთა ოფიცრები.

ლუმარში, სადაც ბესტუჟევ-რიუმინი ჩავიდა, შეთქმულებმა მცირე თათბირის შემდეგ უკვე მიიღეს გადაწყვეტილება ახტირკის პოლკის გამოყვანის შესახებ. ეს იქნებოდა დასაწყისი. მაგრამ ეს გეგმა ჩაშალა პოლკის მეთაურმა არტამონ მურავიოვმა, რომელმაც ამ გადამწყვეტ მომენტში გამოსვლაზე მტკიცე უარი განაცხადა და შეჰპირდა შეთქმულებს მხარს დაუჭერდა მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველად სხვები დაიწყებდნენ.

ძმები სერგეი და მატვეი მურავიოვ-აპოსტოლები და ბესტუჟევ-რიუმინი ახლა ისევ ვასილკოვოსკენ გაემართნენ. 28 დეკემბერს ისინი ჩავიდნენ ტრილესში, ვასილკოვოდან 25 კილომეტრის დაცილებით. ს. მურავიოვ-აპოსტოლმა აქ მოასწრო ზოგიერთი საჭირო განკარგულების გაცემა, რაც ალბათ ჩერნიგოვის პოლკის აჯანყების დაწყებას შეეხებოდა, რომ აქვე მოვიდნენ ჩერნიგოვის პოლკის მეთაური გებელი და ჟანდარმები, რომლებიც კვალდაკვალ მოსდევდნენ მურავიოვ-აპოსტოლს და რომელთაც ახლა ბესტუჟევ-რიუმინის დაპატიმრების განკარგულებაც ჰქონდათ. აქ დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქნენ ძმები მურავიოვ-აპოსტოლები. ბესტუჟევ-რიუმინი ამ დროს ვასილკოვოში იყო წასული კუზმინთან და დილისათვის მასთან ერთად უნდა დაბრუნებულიყო. გებელმა მის მოლოდინში ტრილესში მოიკალათა.

29 დეკემბერს დილით ტრილესში ჩავიდნენ შეთქმული ოფიცრები, რომლებიც დაბარებული იყვნენ მურავიოვ-აპოსტოლის მიერ. მათ შორიდანვე დაინახეს, რომ კუზმინის ბინა გუშაგებით იყო გარშემორტყმული. ამით ყველაფერი ნათელი გახდა. შეთქმული ოფიცრები კუზმინი, სუხინოვი, სოლოვიოვი, შეპილო მამაცურად მოიქცნენ. მათ დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეს. ეს უკვე იყო დასაწყისი სამხრეთელთა აჯანყებისა, რომლის მეთაურობა ახლა სერგეი მურავიოვ-აპოსტოლზე იყო დაკისრებული.

ჩერნიგოვის პოლკიდან პირველ რიგში გამოყვანილ იქნა კუზმინის 2 ასეული, რომლებმაც კოვალევკაში მოიყარეს თავი. აქედან ვასილკოვოზე — პოლკის შტაბის ადგილსამყოფელზე გაემართნენ აჯანყებულები, რომელთაც ახლა სათავეში ედგნენ ძმები მურავიოვ-აპოსტოლები, ბესტუჟევ-რიუმინი. ვასილკოვოში უკვე იცოდნენ ტრილესში მომხდარი ფაქტის შესახებ. მაიორ ტრუხინს, რომელიც ჩერნიგოვის პოლკს მეთაურობდა გებელის წასვლის შემდეგ, უკვე მიეღო სათანადო ღონისძიებანი: დაეპატიმრებინა საეჭვო ოფიცრები, გაეძლიერებინა ყარაული. მაგრამ აჯანყებულთა ავანგარდი სუხინოვის მეთაურობით დაუბრკოლებლად შევიდა ქალაქში. აქ მას შე-

უერთდნენ პოლკის დანარჩენი ძალები. პოლკის სარდლობა დაპატიმრებულ იქნა. ვასილკოვო მთლიანად აღმოჩნდა აჯანყებულთა ხელში.

სამხრეთში აჯანყებას, მას შემდეგ, რაც ცარიზმმა სასტიკად გაუსწორა ანგარიში პეტერბურგელ დეკაბრისტებს, ცხადია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა წარმატება მოჰყოლოდა და მისი ბედი იმთავითვე განწირული იყო. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გამოსვლა მეტად ნაჩქარევად, წინასწარ შემუშავებული გეგმის გარეშე მოხდა. როგორც ზევით ვნახეთ, მოვლენები ისე მოულოდნელად განვითარდნენ, რომ აჯანყებულთა ცენტრალურ შტაბს, მის ე. წ. სამხედრო საბჭოს, რომელსაც ახლა შეადგენდნენ მხოლოდ ს. მურავიოვ-აპოსტოლი, ბესტუჟევ-რიუმინი, სუხინოვი, კუზმინი, შეპილო და სოლოვიოვი, არ გააჩნდა რაიმე ტაქტიკური წინასწარ დამუშავებული ამოცანა. მათ ჩერნიგოვის პოლკი ააჯანყეს, მაგრამ საით აეღოთ მიმართულება, რა დამხმარე ძალები გააჩნდათ — ამის შესახებ მხოლოდ ახლა, აჯანყების შემდეგ იწყებდნენ მსჯელობასა და გეგმების მოხაზვას.

ჩერნიგოველთა გამოსვლაში ერთერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს ე. წ. „კატეხიზისი" წარმოადგენს. იგი, როგორც ჩანს სახელდახელოდ იქნა შედგენილი ს. მურავიოვ-აპოსტოლის და ბესტუჟევ-რიუმინის მიერ და განკუთვნილი იყო ჯარისკაცებისა და ღარიბი მოსახლეობისათვის, რომელთაც დაახლოებით მაინც უნდა სცოდნოდათ აჯანყების მიზანდასახულება, რომ მისდამი ერთგულნი ყოფილიყვნენ. მ. ვ. ნეჩკინა, რომელიც დაწვრილებით განიხილავს ამ დოკუმენტს, მას დეკაბრისტული მოძრაობის ერთერთ უშესანიშნავეს იდეოლოგიურ ძეგლს უწოდებს.[1]

„კატეხიზისი" რელიგიურ გარსშია გახვეული. მასში ხშირადაა დამოწმებული ღმერთი. თითქმის ყოველივე, რასაც აჯანყებულნი ისახავენ მიზნად, ხორციელდება ღვთის ნებითა და მის მიერ დადგენილ კანონიერებათა საფუძველზე. მაგალი-

---

[1] М. В. Нечкина, Движение декабристов, том. II, гз. 365-373.

თად, კითხვა-პასუხისაგან შემდგარ კატეხიზისში ასეთი ადგილია:

კითხვა: რატომაა რომ რუსი ხალხი და რუსი მეომრები უბედურნი არიან?

პასუხი: იმიტომ, რომ თავისუფლება მათ მეფეებმა მოსტაცეს.

კითხვა: გამოდის, რომ მეფენი ღვთის ნების წინააღმდეგ მოქმედებენ?

პასუხი: დიახ, რასაკვირველია.ჩვენმა ღმერთმა თქვა, თქვენში უფროსი თქვენი მსახური უნდა იყოსო, მეფეები კი მარტოოდენ ტანჯავენ ხალხს...

კითხვა: უნდა დავემორჩილოთ თუ არა მეფეებს, როცა ისინი ღვთის ნების წინააღმდეგ მოქმედებენ?

პასუხი: არა.

მისტიკურ-რელიგიურ სამოსელში გახვეული კატეხიზისი სინამდვილეში უაღრესად რევოლუციური დოკუმენტია. მასში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ცარიზმი ესაა „ტირანია", მეფეები ხალხის მწვალებლები არიან, რომ ბედნიერება იქაა, სადაც მეფეები არ არსებობენ, რომ ღმერთმა ადამიანები თანასწორი გააჩინა, ამიტომ საჭიროა მათ იბრძოლონ ამ თანასწორობისათვის, დაამხონ მეფეები და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კატეხიზისი მიმართულია არა მარტო ჯარისკაცებისადმი, არამედ მთელი რუსი ხალხისადმი. უეჭველია, რომ სამხრეთელები, ახლა, როცა ჩრდილოეთში ყველაფერი დაიღუპა, დარწმუნდნენ მაინც, რომ გამოსვლას წარმატება შეიძლება მოჰყოლოდა ხალხთა ფართო მასების მონაწილეობით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ბესტუჟევ-რიუმინის მიერ შედგენილი პროკლამაცია, რომელიც უშუალოდ ხალხისადმია მიმართული. პროკლამაციაში ძირითადად ახსნილია შეთქმულთა მიზან-დასახულობა. „ჩვენ კისრიდან მოვიცილეთ მონობის ბორკილი, რომელიც ქრისტიანულ კანონს ეწინააღმდეგებოდა. ამიერიდან რუსეთი თავისუფალია". პროკლამაცია აღუთქვამს ხალხს, რომ ამიერიდან რუსეთში შეიქმნება „სახალხო მმართველობა". პროკლამაციას, ხალხთან ასე-

თი კავშირისადმი მისწრაფების მიუხედავად მაინც ატყვია თავადაზნაურული შეზღუდულობა: ხალხი აქ მაინც წარმოდგენილია მოვლენების პასიურ მეთვალყურედ. პროკლამაცია მოითხოვს არა რევოლუციურ გამოსვლას, იარაღის აღებას და ბრძოლას, არამედ მხოლოდ სიმშვიდეს და თანაგრძნობას. ბრძოლა მაინც არმიას ეკისრება, ხალხის რისხვისა კი დეკაბრისტებს ამ სიკვდილ-სიცოცხლის ჟამსაც ეშინიათ.

აჯანყებულებს, როგორც აღვნიშნეთ, მოქმედების წინასწარ გამომუშავებული გეგმა არ გააჩნდათ. აჯანყების შემდეგ — 30—31 დეკემბერს, წამოიწერა შემდგომი მოქმედების რამდენიმე თვალსაზრისი: კიევზე, ბელაია ცერკოვზე ან ჟიტომირზე ვალაშქრება. კიევზე გალაშქრება ს. მურავიოვს ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნდა, მაგრამ არ ჰქონდა რაიმე ცნობა კიევში განწყობილების, ან იქაურ შეთქმულთა გეგმების შესახებ. ამ მიზნით კიევში მივლინებულ იქნა ოფიცერი მოგილევსკი. მისი დაბრუნების შემდეგ საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო კიევზე წასვლა-არ წასვლის საკითხი.

მარშრუტების ასეთ ძიებაში ძვირფასი დრო გადიოდა. 31 დეკემბერს აჯანყებული პოლკი დაიძრა ბრუსილოვისკენ, საიდანაც ადვილი იყო კიევზე კურსის აღება და შესვენება მოაწყო სოფელ მოტივილოვკაში. პირველი იანვარი აჯანყებულებმა იზეიმეს. მაგრამ იმ ღამით ზოგიერთმა ოფიცერმა პოლკი მიატოვა და გაიპარა. დაეცა ჯარისკაცთა განწყობილებაც. ს. მურავიოვმა კვლავ შეკრიბა ჯარისკაცები, მიმართა მათ მხურვალე სიტყვით, თითქოს გაამხნევა კიდეც.

აჯანყებული ჯარისკაცებისადმი მხურვალე თანაგრძნობა გამოამჟღავნა ადგილობრივმა გლეხობამ, რომლებიც ამ მხარეში სისასტიკით ცნობილ მდიდარ მემამულეს გრაფინია ბრანიცკაიას ემსახურებოდნენ. „უცნობის წერილებში“ აღნიშნულია, რომ ყმა გლეხობა თავის ოჯახებში სიხარულით იღებდა აჯანყებულ ჯარისკაცებს, ეხმარებოდა მათ ყველა საქმეში, ზრუნავდა მათს კვებაზე. გლეხები იცნობდნენ იმ პროკლამაციას, რომელიც მურავიოვმა დასწერა, იცოდნენ, რომ პოლკი მათთვის ასე ნანატრ თავისუფლების მოპოვებისათვის იბრძოდა, ამიტომაც იჩენდნენ მათდამი ასე გადაჭარბებულ თა-

ნაგრძნობას. მაგრამ საქმე ამ თანაგრძნობის იქეთ არ წასულა. ს. მურავიოვს არ უცდია რაიმე საშუალებით მიემხრო ყმა გლეხობა, არ მოუთხოვია მათთვის იარაღით ხელში გამოსვლა ბატონყმობის და მეფის წინააღმდეგ. გლეხობას იგი მხოლოდ მათთვის მებრძოლი ჯარისკაცებისა და ოფიცრების სიყვარულს ავალებდა.

მოტივილოვკაში მოგილევსკი არ გამოცხადდა. იგი კიევში შეიპყრეს და მურავიოვის დავალება შეუსრულებელი დარჩა. მოგილევსკის დაუბრუნებლობამ მურავიოვს შეაცვლევინა მარშრუტი. მან ივარაუდა, რომ მოგილევსკი დაპატიმრებულია ან კიევში, ან ბრუსილოვში, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ აჯანყების წინააღმდეგ უკვე მობილიზებული და ამოქმედებულია მთავრობის ძალები. ახლა მურავიოვს იმედი აქვს აჯანყებულებს შეუერთოს მე-17 ეგერთა პოლკი. ამ მიზნით იგი მიმართულებას ბელაია-ცერკოვზე იღებს.

2 იანვარს აჯანყებულებმა პოლოგს მიაღწიეს. აქ ღამით ს. მურავიოვმა მიიღო მისთვის ახალი შემაშფოთებელი ცნობა: მე-17 ეგერთა პოლკი, რომელსაც ვადკოვსკი მეთაურობდა, უმაღლესი სარდლობის განკარგულებით გაყვანილ იქნა ბელაია-ცერკოვიდან. ცხადი იყო, რომ ამ პოლკს სარდლობა არ ენდობოდა და აჯანყების რაიონს მოაცილა. ჩაქრა ეს უკანასკნელი იმედიც, დაინგრა ყველა გეგმა. ახლა ისღა იყო გამოსავალი, რომ ჟიტომირის მიმართულებით წასულიყვნენ, თუმცა სტრატეგიულად ეს ყოვლად გაუმართლებელი იყო.

კურსის შეცვლამ კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჯარისკაცებზე, რომლებიც ამის გარეშეც უკვე დრტვინავდნენ, მორალურად უკვე დაცემულიყვნენ და არავითარი ენთუზიაზმი მოქმედებისა აღარ ემჩნეოდათ.

პოლოგიდან კურსი კოვალევკაზე იქნა აღებული. მაგრამ აქ გზაში, 3 იანვარს მათ მოულოდნელად შეეჯახა გენერალ გეისმარის რაზმი, რომელსაც სპეციალური დავალება ჰქონდა აჯანყებულ ჩერნიგოველების გზა-კვალი მოეძებნა. არმიის სარდლობას უკვე მოესწრო საჭირო ზომების მიღება და ჩერნიგოველების წინააღმდეგ მოეშურებოდნენ მსხვილი ძალები. გენერალ გეისმარის რაზმი მზვერავის ამოცანას ასრულებდა.

პირველმავე გასროლამ აჯანყებულებს საკმაო მსხვერპლი მოუტანა. საარტილერიო ცეცხლმა პანიკა შეიტანა აჯანყებულთა რიგებში. პირველსავე შეტაკებაში მოჰკლეს შეპილო. სუხინოვმა, დაინახა რა რომ ბრძოლა წაგებული იყო, გადაწყვიტა თავისათვის გაქცევით ეშველა. მძიმედ დაიჭრა სერგეი მურავიოვი, თავი მოიკლა მისმა უმცროსმა ძმამ იპოლიტ მურავიოვმა, თავი მოიკლა აგრეთვე დაჭრილმა კუზმინმა. თავში დაჭრილი ს. მურავიოვი მალე მოვიდა გონს, მან სცადა უკვე დაფანტული, სავსებით დემორალიზებული აჯანყებულების თავმოყრა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ისიც და ბესტუჟევ-რიუმინიც გეისმარის ჯარისკაცთა მიერ შეპყრობილ იქნენ.

ასე დასრულდა ჩერნიგოველთა გამოსვლა, რომელიც პეტერბურგში განცდილი დამარცხების შემდეგ სულერთია, მაინც განწირული იყო, მაგრამ ასე სწრაფი და სრული განადგურება აქაც ძირითადში შეპირობებულ იქნა ხალხისადმი მოწყვეტილობით და ლოდინის იმ ყოვლად გაუმართლებელი ტაქტიკით, რამაც სენატის მოედანზე დეკაბრისტების ბედი ასე ტრაგიკულად გადაწყვიტა.

დასკვნა

თოთხმეტმა დეკემბერმა პეტერბურგში, და შემდეგ სამხრეთის აჯანყებამ ნიკოლოზ პირველს თვალნათლივ დაანახვა, რომ საქმე ჰქონდა შეთქმულთა მძლავრ ორგანიზაციასთან, რომელსაც ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული რუსეთში. თვითმპყრობელობის რეჟიმის უკიდურესობამდე ერთგულმა, ბუნებით დესპოტმა და თავისთავზე დიდი წარმოდგენის იმპერატორმა გადაწყვიტა სამუდამოდ „ეხსნა რუსეთი“ ასეთი მოსალოდნელი „საშინელებებისაგან“, იმით, რომ მთლიანად ამოეძირკვა შეთქმულების ფესვები, მისი მონაწილეებისათვის მკაცრი ანგარიშგასწორებით მიეცა გაკვეთილი მათთვის, ვინც თავისთავს კვლავ ნებას მისცემდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა გულს გაევლო.

დეკაბრისტების დაპატიმრებისთანავე დაიწყო მკაცრი ძიება, რომელშიც ნიკოლოზი უშუალო მონაწილეობას იღებდა. იგი იყენებდა მუქარის, მოთაფლვის, წამების მეთოდებს, რომ

შეთქმულნი გამოეტეხა, გამოეძალა მათთვის ყველაფერი, რაც კი საიდუმლო ორგანიზაციის შესახებ იცოდნენ.

ნ. ტრუბეცკოი იგონებს: „მე დამიძახეს. იმპერატორი ჩემსკენ გამოემართა შესახვედრად სრული ფორმითა და ლენტით, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ჩემ შუბლთან მიიტანა და თქვა: „რა გქონდათ ამ თავში, მაშინ, როცა თქვენ, თქვენი სახელით, თქვენი გვარით ამ საქმეში ჩაებით? გვარდიის პოლკოვნიკო, თავადო ტრუბეცკოი!.. როგორ არ გრცხვენიათ იყოთ ასეთ ნაყარ-ნუყარებთან ერთად“... ნიკოლოზმა ტრუბეცკოი თვით დასვა მაგიდასთან, უბრძანა დაეწერა წერილი მეუღლესთან... ასეთი მიდგომით იმპერატორმა მართლაც შესძლო ტრუბეცკოისათვის მრავალი ცნობა გამოეძალა და მისგან მონანიება მიეღო. მაგრამ იმპერატორის დაკითხვის ეს „ინდივიდუალური“ მეთოდი სხვა შემთხვევაში მიზანს ვერ აღწევდა. რა ალერსი ან მუქარა არ გამოიყენა მან იაკუშკინის, ლორერის და სხვათა მიმართ, მაგრამ ვერაფერს გახდა.

საძიებო კომიტეტში, რომელიც 17 დეკემბერს შეიქმნა, ნიკოლოზმა შეიყვანა მისი ყველაზე ერთგული პირები თავისი ძმა მიხეილ პავლეს ძე, რეაქციის ბურჯი ა. ნ. გოლიცინი, პეტერბურგის სამხედრო გუბერნატორი პ. გოლენიშჩევი, კუტუზოვი, ა. ჩერნიშევი, ვ. ლევაშევი, ა. პოტაპოვი, ა. ბენკენდორფი და სხვები. კომიტეტის საქმეთა მმართველად — ა. ბოროვიკოვი.

მ. ვ. ნეჩკინას გამოთვლით დეკაბრისტების საქმეზე პასუხისგებაში მიცემული იყო სამი ათასზე მეტი კაცი, აქედან 500-მდე ოფიცერი და ორიათას ხუთასამდე ჯარისკაცი.[1]

საძიებო კომიტეტი დღედაღამ შეუსვენებლივ მუშაობდა. ნიკოლოზი აჩქარებდა მათ, რადგან ეს ადამიანები, ალექსანდრეს რაველინში ჩაკეტილნიც კი, მას შიშს ჰგვრიდნენ.

გამოძიების პროცესში დეკაბრისტთა უდიდეს უმრავლესობას თავი მამაცურად, ამაყად ეჭირა და თავის იდეოლოგიისადმი პატივისცემით განმსჭვალული, ადვილად იტანდა ყველა ტანჯვა-წამებას. აი როგორ ახასიათებს, მაგალითად, პეს-

---

[1] М. В. Нечкина. Движение декабристов, т. II, გვ. 394.

ტელს მისი მოძღვარი: დამნაშავე ესე არს უწარჩინებულესი შეთქმულთა შორის, როგორც აღზრდით, ისე სულის სიმტკიცით. სწრაფი, გამბედავი, უაღრესად მჭერმეტყველი, ღრმა მათემატიკოსი, უაღრესი სამხედრო ტაქტიკოსი. კომისიაში არც ერთი ბრალდებული არ ყოფილა მასზე მეტად დაკითხული, არც ერთისათვის არ წაუყენებიათ პირში იმდენი, რამდენიც მას, ყველგან და ყოველთვის ის თავისთავს არ ღალატობდა. ვერაფერმა ვერ შეარყია მისი სიმტკიცე. კაცს ეგონებოდა, რომ ის მზადაა მარტოდ მარტო თავისი მხრებით ზიდოს ორი ალპის მთის სიმძიმე. კომისიას ყოველთვის სიამაყით და რაღაცნაირი მედიდურობით უპასუხებდა ხოლმეო.

ნებისყოფის სიმტკიცით მას არ ჩამოუვარდებოდა კონდრატ რილეევი, რომელიც, აგრეთვე, თავიდანვე იყო აღიარებული ერთერთ ყველაზე მძიმე დამნაშავედ. ნიკოლოზ I რილეევი სწერდა:

„ხელმწიფეე, შეიწყალე ჩემი უდანაშაულო ამხანაგები, ყველაზე უფრო დამნაშავე მე ვარ, მე დავღუპე ისინი. ჩემი მიზეზით დაიღვარა უდანაშაულოთა სისხლი. ისინი ჩემდამი მეგობრობისა და მათი კეთილშობილების გამო ამას არ იტყვიან, მაგრამ მე ჩემი საკუთარი სინიდისი მამხელს. გთხოვ ხელმწიფეო, აპატიო მათ, მარტო მე დამსაჯე სიკვდილით“.

მაგრამ შეთქმულთა შორის საკმაოდ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც ნებისყოფამ უღალატა, რომლებიც ასახელებდნენ თავიანთ თანამოაზრეებს, დაწვრილებით ყვებოდნენ ყოველივეზე, რაც ენახათ, გაეგონათ. აქ თავს იჩენდა თავადაზნაურულ-რევოლუციური სისუსტე, შეზღუდულობა. გამარჯვებული ცარიზმის წინაშე ეს სულმოკლენი ახლა მონანიების განწყობაზე დგებოდნენ.

1826 წლის პირველი ივნისისათვის ძიება დასრულდა და ნიკოლოზ პირველის ბრძანებით ეს „უმაღლესი სახელმწიფო დამნაშავენი“ სასამართლოზე გაიყვანეს. თითოეული დამნაშავის ბედი იმპერატორს, ცხადია, წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა და სასამართლო პროცესი ამ შემთხვევაში მხოლოდ იმპერატორის ნება-სურვილის შემსრულებელი იქნებოდა, მაგრამ სასამართლო ნიკოლოზს მაინც სჭიროდა. სჭიროდა იგი ქვეყ-

ნის შიგნით და ქვეყნის გარეთ იმ შეხედულების საპირისპიროდ, რომ თვითმპყრობელობა თითქოს სრულიადაც ნებისმიერად არ ექცეოდა დამნაშავეებს და გამოპყავდა კანონიერი სამსჯავროს წინაშე, რომელსაც თითქოს მათი ბედი უნდა გადაეწყვიტა. ტრაგიკული აქ ის არის, რომ ნიკოლოზმა დეკაბრისტების წინააღმდეგ ამ სასამართლო კომედიის მთელი მომზადება და ხელმძღვანელობა დააკისრა მ. სპერანსკის, იმ ადამიანს, რომელიც დეკაბრისტებს განახლებული რუსეთის სათავეში პირველ კანდიდატად მიაჩნდათ. სპერანსკი, ალბათ იმისათვის, რომ დანაშაული გამოესყიდა, თვითმპყრობელობისადმი უდიდესი ერთგულებით მოეკიდა ამ საქმეს და სავსებით გაამართლა ნიკოლოზ პირველის იმედები.

„სასამართლომ" შეთქმულების მონაწილენი თავიანთი „დანაშაულის" მიხედვით 11 თანრიგად დაჰყო. დეკაბრისტული მოძრაობის ლიდერები კი—პავლე პესტელი, კონდრატ რილეევი, სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი, მიხეილ ბესტუჟევ-რიუმინი და პეტრე კახოვსკი — ყოველგვარი თანრიგის გარეშე მოიტოვა მათთვის ყველაზე მკაცრი ანგარიშგასწორებისათვის.

განაჩენით თანრიგ გარეშე ხუთეულს მიესაჯათ ოთხად განკვეთა. პირველი თანრიგის 31 კაცს — სიკვდილით დასჯა თავის მოკვეთით, მეორე თანრიგის 17 კაცს პოლიტიკური სიკვდილი (ეს ნიშნავდა საკვეთელზე თავის დადებას, ხოლო შემდეგ სამუდამო კატორღას), დანარჩენ თანრიგებს სხვადასხვა ვადით სხვადასხვა მხარეში გადასახლება.

ნიკოლოზმა განიხილა რა სასამართლოს მიერ წარმოდგენილი განაჩენი, იგი სავსებით მართებულად მიიჩნია, თუმცა მასში შეიტანა ზოგიერთი შესწორება. რაც ცხადია წინასწარ მოფიქრებული და გამიზნული იყო იმპერატორის გულმოწყალების საილუსტრაციოდ. პირველი თანრიგისათვის სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით შეცვალა. მეორე და მესამე თანრიგის დამნაშავეთათვის სამუდამო კატორღა შეცვლილ იქნა 20 წლიანი კატორღით და შემდეგ გადასახლებით. ნიკოლოზის საიდუმლო მითითებითვე სასამართლომ სპერანსკის ხელმძღვანელობით პირველ ხუთეულს ოთხად განკვეთა შეუცვალა ჩამოხრჩობით. ამ შეცვლის საფუძველს წარმოად-

გენდა ნიკოლოზის საიდუმლო წერილი სასამართლოს თავმჯდომარე ლოპუხინისადმი, სადაც პირმოთნე ნიკოლოზი აღნიშნავდა, რომ მას არ სურს ისეთი სასჯელი, რომელსაც ქვლავ სისხლის დაღვრა მოჰყვება.

დეკაბრისტთა თანამგრძნობი ჯარისკაცები მოსკოვის, ჩერნიგოვის პოლკებიდან, გვარდიული ეკიპაჟიდან ნიკოლოზმა დაასჯევინა შპიცრუტენებით — ათასკაციან მწკრივში 12-ჯერ გატარებით, ე. ი. 12 ათასი როზგის დარტყმით. აქაც თანრიგების მიხედვით დაჰყვეს დამნაშავენი, და ვინც დასჯას გადაურჩა, რუსეთის სხვადასხვა მხარეში გადაასახლეს.

1826 წლის 13 ივლისს პეტრე-პავლეს ციხის რიდეზე ჩამოსახრჩობად გაიყვანეს პესტელი, რილეევი, მურავიოვ-აპოსტოლი, ბესტუჟევ-რიუმინი, კახოვსკი. მათ თავი მხნედ ეჭირათ. სასახლეში ამ დღეს მეტისმეტად ღელავდნენ. ნიკოლოზს შიშის ერუანტელი უვლიდა, მაგრამ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. პეტერბურგის გენერალ გუბერნატორი გოლენიშჩევ-კუტუზოვი ჩამოხრჩობის მთელ პროცედურას თავის დასმენაში ასე აღწერდა: „ეკზეკუცია დამთავრდა საჭირო სიწყნარით და წესრიგით, როგორც მწყობრში მყოფ ჯარისკაცების მხრივ, ისე მაყურებელთა მხრივ, რომლებიც ცოტანი იყვნენ. ჩვენი ჯალათების გამოუცდელობის და უუნარობის გამო — მოაწყონ სახრჩობელა, პირველი ჩამოკიდების შემდეგ სამი, სახელდობრ: რილეევი, კახოვსკი და მურავიოვი ჩამოვარდნენ, მაგრამ სასწრაფოდ ხელმეორედ ჩამოკიდებულ იქნენ და მიიღეს დამსახურებული სიკვდილი, რაზედაც თქვენ უდიდებულესობას უმორჩილესად მოვახსენებ".

დანარჩენ დეკაბრისტებს, ციხის ეზოშივე აჰყარეს ჩინი, გადაამტვრიეს თავზე ხმალი და ტუსაღის ტანსაცმელგადაცმულნი ივლისის ბოლო რიცხვებში შორეულ ციმბირის ყინულებისაკენ გაუყენეს. პირველ ხანებში გადასახლებულ დეკაბრისტთა ცენტრად არჩეულ იქნა ნერჩინსკი, შემდეგ ჩიტა, რომელიც მაშინ ბაიკალს გაღმა პატარა სოფელს წარმოადგენდა.

ცარიზმს სურდა შეთქმულები სამუდამოდ ჩაეკეტა ციმბირის ყინულებს შორის, ცოცხლად დაემარხა ისინი ამ მაშინდელ უკაცრიელ ადგილებში. დეკაბრისტები სულით არ და-

ცემულან. ისინი შრომობდნენ, ეაქაცურად იტანდნენ კატორღის სიმძიმეს, სულიერ საკვებს განცდილ დღეთა ირგვლივ მსჯელობასა და თვითგანვითარებაში ჰპოვებდნენ. ისინი თავიანთი გონებით ისევ მებრძოლ, პროგრესულ, ახალ რუსეთთან იყვნენ დაკავშირებული და ამაყობდნენ თავიანთი ბორკილებით თავისუფალი დღის მოლოდინში. ამ მოლოდინში ბევრი დაიხოცა. მხოლოდ მცირე ნაწილმა გაუძლო კატორღის უმკაცრეს რეჟიმს, მაღაროებში მუშაობის სიმძიმეს. ამ მძიმე წლებში დეკაბრისტები არ მიატოვეს მათმა ცოლებმა. მხოლოდ ნიკოლოზ I გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე მეორემ 1856 წელს გამოსცა მანიფესტი დეკაბრისტთა შეწყალებისა და გადასახლებიდან დაბრუნების შესახებ. მაგრამ გადასახლებული 121 კაციდან მხოლოდ 19-ღა იყო ცოცხალი...

* * *

რუსეთის გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში დეკაბრისტულ აჯანყებას საპატიო ადგილი უჭირავს. დეკაბრისტები პირველი რუსი რევოლუციონერები იყვნენ, რომლებმაც სათაეე დაუდვეს რუსეთში თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ აშკარა შეიარაღებულ გამოსვლას, რასაც ისინი ხანგრძლივად, საიდუმლოდ, ორგანიზებულად, მთელი შეგნებით ამზადებდნენ. რუსეთს დეკაბრისტებამდეც არა ერთხელ უნახავს მასების აღშფოთების მკვეთრი გამოხატულება, იგი იყო ბოლოტნიკოვის, ბულავინის, რაზინის, პუგაჩოვის ქვეყანა, მაგრამ გლეხთა ამ სტიქიურ გამოსვლებსა და დეკაბრისტებს შორის დიდი ზღვარია. რაზინშჩინა და პუგაჩოვშჩინა ეს იყო ბატონყმური ექსპლოატაციისაგან სულშეხუთული გლეხობის სტიქიური გამოსვლა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული მხოლოდ ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლა, მათი შეგნება ვერ ამაღლდა მთლიანად ფეოდალურ ბატონყმური რეჟიმის დამხობის აუცილებლობამდე. დეკაბრისტების იდეოლოგია კი ეს იყო მწყობრი რევოლუციური იდეოლოგია, რომლის ძირითადი შინაარსი გულისხმობდა დრომოჭმული ხრწნადი ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაციას, თვითმპყრობელობის დამხობას და რუსეთში ბურჟუაზიულ-

დემოკრატიული წყობილების დამყარებას. ამ იდეით განმსჭვალული, მისთვის თავგანწირვისათვის მუდამ მზადმყოფნი. დეკაბრისტები იარაღით ხელში რუსეთის ისტორიაში პირველნი გამოვიდნენ ასე აშკარად არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და ამრიგად დასაწყისი მისცეს ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ორგანიზებულ, აშკარა რევოლუციური ბრძოლის პროცესს მთელს რუსეთში.

დეკაბრისტები თავისი ეპოქის ღვიძლი შვილები იყვნენ. რუსეთის მაშინდელი სოციალ-ეკონომიური ვითარება, მისი ცხოვრების სიღრმეში მიმდინარე პროცესები, რაც უკვე დრომოჭმულ ფეოდალურ-ბატონყმურ რეჟიმსა და მის წიაღში შობილ და მზარდ ბურჟუაზიულ ურთიერთობას შორის მწვავე, შეურიგებელი კონფლიქტებით ხასიათდებოდა, ჰქმნიდნენ ხელსაყრელ ნიადაგს დეკაბრისტული იდეოლოგიის ფორმირებისათვის. ეს იდეოლოგია უპასუხებდა იმდროინდელი რუსეთის წინაშე წამოჭრილ ყველაზე არსებით, ყველაზე მტკივნეულ საკითხებს და ემსახურებოდა პროგრესს რუსეთის ისტორიულ ცხოვრებაში.

დეკაბრისტ-რევოლუციონერთა დარაზმული გამოსვლა სენატის მოედანზე იმ ეპოქაში, როცა ცარიზმი ევროპის ჟანდარმის როლში გამოდიოდა და თავისი მუშტი მუდამ აღმართული ჰქონდა ევროპის ქვეყნებში განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, წარმოადგენდა საერთო ევროპული მნიშვნელობის მოვლენას. იგი ეხმაურებოდა ევროპის რევოლუციური ვულკანის მძლავრ მიწისქვეშა ხმაურს, ხელს უწყობდა საღვთო კავშირის ბურჯების მძლავრ რყევას, ასუსტებდა ევროპული რეაქციის ფრონტს, აძლიერებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს იყო ის პირველი მძლავრი ხანძარი, რომელიც ცარიზმმა საკუთარ სახლში იხილა სწორედ იმ დროს, როცა იგი მის კერებს თავგამოდებით აბშობდა ესპანეთსა და ავსტრიაში, იტალიასა და გერმანიაში.

დეკაბრისტები მართალია დამარცხდნენ, მაგრამ თვით ეს მარცხი რევოლუციონერთა შემდგომი თაობის საუკეთესო გაკვეთილად იქცა. დეკაბრისტების მარცხის ძირითადი მიზეზი მათ სიმარტოვეში, ხალხისაგან მათ სიშორეში გამოიხატებო-

და. ესენი იყვნენ ოფიცრები არმიის გარეშე, რომელთაც არ აკლდათ არც რევოლუციური ენთუზიაზმი, არც მამაცობა, არც თავგანწირვის სულისკვეთება, მაგრამ აკლდათ ხალხი, მასა, ის ძალა, რომლის მონაწილეობის გარეშე საერთოდ შეუძლებელია დიდი სოციალ-პოლიტიკური ძვრების განხორციელება ისტორიაში. დეკაბრისტების დამარცხების ეს ყველაზე დიდი და საბედისწერო მიზეზი შემდგომი თაობისათვის ნათელი გახდა. დეკაბრისტული მოძრაობის ანალიზის შედეგად რევოლუციონერთა მომდევნო თაობამ უფრო ღრმად შეიგნო როლი მასებისა რევოლუციურ მოძრაობაში. ამ გამოცდილების საფუძველზე ასკვნიდა გერცენი რომ „დეკაბრისტებს ისაკის მოედანზე არ ჰყავდა ხალხი“.

გერცენი სწორად მიუთითებდა იმასაც, რომ დეკაბრისტებმა სახრჩობელიდან რუსეთს თვალი აუხილეს, გააღვიძეს მთელი თაობა. „დეკაბრისტებამდე—აღნიშნავს გერცენი—რუსეთში დარწმუნებული არ ყოფილან პოლიტიკური აჯანყების შესაძლებლობაში, რომელიც იარაღით ხელში პეტერბურგის ცენტრში შეუტევდა თვით გიგანტს — საიმპერატორო ცარიზმს. ცნობილი იყო, რომ დრო და დრო სასახლეში ჰკლავდნენ ხან პეტრეს, ხან პავლეს, რომ ისინი სხვებით შეეცვალათ. მაგრამ ამ საიდუმლოებით მოცულ ოპერაციებსა, რომლებიც სასაკლაოს გვაგონებს და დესპოტიზმის წინააღმდეგ იმ საზეიმო პროტესტს შორის, რომელიც მოედანზე განხორციელდა და ამ გმირი ხალხის სისხლითა და ტანჯვით აღიბეჭდა, — არავითარი საერთო არ ყოფილა“. ეს იყო გრანდიოზული მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც რუსეთი პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოაფხიზლა, რომელმაც შემდგომ თაობას დაუტოვა მგზნებარე მოწოდება ახალი რუსეთისათვის ბრძოლისა.

დეკაბრისტებმა თავისი იდეოლოგიით მყარი ნიადაგი შეუქმნეს ცარიზმის და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლას რუსეთში. ეს იდეოლოგია შემდეგ კიდევ უფრო გაანაყოფიერა, გააღრმავა მომდევნო თაობამ რევოლუციონერებისა, რომელიც სამართლიანად თავისთავს დეკაბრისტთა შვილებს უწოდებდა. სრულებითაც არ ყოფილა შემთხვევითი ის, რომ რუსეთის ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების რევოლუციური მოძ-

რაობის მთავარი ლოზუნგები დეკაბრისტული იდეოლოგიიდან იყო აღებული, ხოლო დეკაბრისტთა ის ხუთეული, რომელიც გერცენმა საზღვარგარეთ გამოცემულ ჟურნალს „პოლიარნაია ზვეზდას“ გარეკანზე მოათავსა, ახალი თაობისათვის დარჩა მაღალი ადამიანობის, მომავლისთვის დაუცხრომელი ბრძოლის, ბედნიერებისათვის თავგანწირვის მაგალითად.

დეკაბრისტული იდეოლოგია ღრმად შეისისხლხორცა მოწინავე რუსულმა კულტურამ. ეს იდეოლოგია წამყვან როლს ასრულებდა რუსულ ლიტერატურაში, რუსულ მუსიკაში, ბზატვრობაში, რუსულ თეატრალურ ხელოვნებაში. ამ იდეოლოგიიდან ამოდიოდა რუსული ფილოსოფია.

დეკაბრისტებით ყოველთვის ამაყობდა და იამაყებს რუსეთი. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარებისთვის ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მ ი ს ი მშრომელი მასები (ე. ი. მ ი ს ი მოსახლეობის $^{9}/_{10}$) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები 70-იანი წლების რევოლუციონერი — რაზნოჩინელები, რომ ველიკორუსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსმა გლეხმა დაიწყო დემოკრატიად გადაქცევა, დაიწყო ხუცესისა და მემამულის დამხობა“.

---

[1]. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 21, გვ. 111—112.

თავი VII

ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1825-50 წლებში

იმპერატორი ნიკოლოზ I

ნიკოლოზ პირველი რუსეთის საიმპერატორო ტახტზე ავიდა დეკაბრისტთა გვამებზე გადავლით. რევოლუციისა და პროგრესისადმი ზიზღი და სიძულვილი, რომელიც მას ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული ჰქონდა, სენატის მოედანზე დატრიალებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაუძლიერეს. „რევოლუცია რუსეთის ზღურბლთანაა,... მაგრამ ვფიცავარ, იგი ვერ შემოაღწევს რუსეთში, ვიდრე მე სული მიდგას“ — წარმოსთქვა ამ დღეს ნიკოლოზმა. იგი სიცოცხლის ბოლომდე ამ ფიცის ერთგული დარჩა.

ისტორიკოსმა ა. ე. პრესნიაკოვმა ნიკოლოზ პირველს თვითმპყრობელობის აპოგეი უწოდა. იგი მართლაც რუსეთის თავადაზნაურობას და მის პოლიტიკურ ზედნაშენს — ცარიზმს უერთგულეს დამცველად მოევლინა. ნიკოლოზი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა თავისი დასაყრდენის —თავადაზნაურობის გადასარჩენად, რუსეთის პროგრესისათვის მებრძოლებს იგი სახრჩობელით, ჯარისკაცთა ხიშტებით, ციმბირის ყინულებით, საპყრობილით უმასპინძლდებოდა. მისი შეჯავშნული მუშტი რუსეთსა და ევროპაში დაუღალავად ტრიალებდა რევოლუციურ განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. ვ. ი. ლენინი მიუთითებს: „ბურჟუაზიული და მემამულური მთავრობების მსოფლიო გამოცდილებამ გამოიმუშავა ორი საშუალება ხალხის ჩაგვრის შენარჩუნებისა. პირველია ძალმომრეობა. ნიკოლოზ რომანოვმა I-ნიკოლოზ პალკინმა. და ნიკოლოზ II-სისხლისმსმელმა დაანახეს რუს

ხალხს ასეთი, ჯალათური საშუალების შესაძლებლობისა და შეუძლებლობის მაქსიმუმი".[1]

ნიკოლოზ პირველისა და მისი რეაქციული ხროვის ეს გააფთრებული ბრძოლა ქვეყნის ბუნებრივი განვითარების, მისი წინსვლა-განახლების წინააღმდეგ განწირული აღმოჩნდა. უკიდურესობამდე თანმიმდევარმა რეაქციონერმა თვითმპყრობელმა მხოლოდ ცარიზმის ფასადის შელამაზება შესძლო, ისიც დროებით. ქვეყნის შიგნით მოქმედი ძალები კი თავის საქმეს აკეთებდნენ. ძველი, დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის კრიზისმა სწორედ ამ დროს კულმინაციურ დონეს მიაღწია. ბატონყმური რეჟიმის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ნიკოლოზის ცდებმა გააძლიერეს ცარიზმის სიდამპლე და უძლურება, გადააქციეს რუსეთი თიხის ფეხებიან კოლოსად, რომელიც გარედან ბრჭყვიალა, მაგრამ შიგნით უძლური, დახრული და გახრწნილი იყო. ყოველივე ეს ერთის დაკვრით გამოვლინდა იმ განსაცდელის ჟამს, რომელიც რუსეთს ყირიმის ომმა მოუწყო.

რუსეთის შინაგანი უძლურების ამ სწრაფ გამოვლინებას ერთგვარად ხელი შეუწყო თვით იმპერატორის პირადმა თვისებებმაც — მისმა დაბალმა განათლებამ, ჟინიანობამ და იმ უგუნურმა კურსმა, რომელიც მან ორმოციან წლებში საგარეო პოლიტიკაში აიღო. ნიკოლოზის მიზანდასახულობის, მისი პრაქტიკული საქმიანობისა და ამ საქმიანობის შედეგებში უკეთ გარკვევისათვის, პირველყოვლისა, საჭიროდ გვეჩვენება თვით ნიკოლოზის პიროვნების დახასიათება.

ნიკოლოზი პავლეს შვილთა მეორე თაობას ეკუთვნოდა. იგი დაიბადა 1796 წ. ეკატერინეს სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში. ავიდა თუ არა საიმპერატორო ტახტზე, პავლე პირველმა გამოსცა მანიფესტი რომანოვთა ოჯახში საიმპერატორო ტახტის დაკავების წესის შესახებ. ამ წესის თანახმად ნიკოლოზს ტახტი არ ხვდებოდა და ამიტომაც მისი აღზრდისათვის განსაკუთრებული ყურადღება არავის არ მიუქცევია, ბავშვობიდანვე მას არ ჰყოლია ისეთი მზრუნველი, როგორიც

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 24, გვ. 55.

ალექსანდრეს. ნიკოლოზის და მისი უმცროსი ძმების კარიერა სამხედრო მიმართულებით მზადდებოდა. ამიტომ სრულებითაც ზედმეტად მიაჩნდათ იმთავითვე ჩაებათ იგი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში, ან ჩაენერგათ მისთვის იმ დროისათვის ევროპაში მოდაში შემოსული პოლიტიკური იდეები.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პეტრე III დროს, ხოლო განსაკუთრებით პავლე პირველის მეფობაში, რუსეთში მძლავრად მოიკიდა ფეხი პრუსიულმა სამხედრო სულისკვეთებამ. პავლემ სასახლის ცხოვრებაში გაამეფა პრუსიული პარადების სტილი. გატჩინური ატმოსფერო, რაც ყაზარმული ცხოვრების წესებში — ე. ი. უფროსთა შეურყეველ ბრძანებებში, ხელქვეითთა უსიტყვო მორჩილებაში, მკვეთრ შეძახილებში, მკაცრ გაფრთხილებებში, მძიმე დისციპლინარულ სასჯელებში მდგომარეობდა, რომანოვთა ოჯახში და მის ირგვლივ შემოკრებილ მლიქვნელთა ფართო წრეში ტრადიციად იქცა. „თავისი ხელმწიფისადმი“ სამსახური და ერთგულება გახდა მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების სინონიმად.

ამ სულისკვეთებას იმთავითვე შეესისხლხორცნენ ნიკოლოზი და მისი უმცროსი ძმა მიხეილი. მათი აღზრდა ოთხი წლის ასაკიდან პავლემ დააკისრა მათე ივანეს ძე ლამსდორფს, ოსტზეელ მემამულეს, რომელიც მანამდე სახმელეთო კადეტთა კორპუსის დირექტორი იყო. იგი არ გამოირჩეოდა არც ფართო განათლებით, არც პედაგოგიური თვისებებით. ნერვიულმა, უხეშმა პრუსომანმა გენერალმა ნიკოლოზის აღზრდაში ჯოხი მოიშველია, ყაზარმული წესები შემოიღო და აღსაზრდელთა ირგვლივ მთლიანად გააბატონა პრუსიული მუშტროვკის ის მავნე ატმოსფერო, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საერთოდ მძლავრად იყო ფეხმოკიდებული სასახლეში. თვით ნიკოლოზი შემდეგ მწუხარებით იგონებდა მისი აღმზრდელის უვიცობას და აღზრდის მანკიერებას. იგი წერდა: „ლამსდორფს... არ შეეძლო არც ჩვენი გაკვეთილებისადმი ხელმძღვანელობა, არც ის, რომ ჩაენერგა ჩვენთვის ლიტერატურისა და მეცნიერების სიყვარული... ღმერთმა გან-

საჯოს იგი იმ ღარიბი განათლებისათვის, რომელიც ჩვენ მისგან მივიღეთო“.

ამრიგად, ნიკოლოზის აღზრდა იმთავითვე სამხედრო სულისკვეთებით წარიმართა. უფრო გვიან, 1809-10 წლებში რომანოვთა ოჯახში წამოიჭრა საკითხი ნიკოლოზისათვის საერთო განათლების მიცემის აუცილებლობის შესახებ. იყო ლაპარაკი იმაზეც კი, რომ ძმები (ნიკოლოზი და მიხეილი) ლაიპციგის უნივერსიტეტში გაეგზავნათ, მაგრამ ეს აზრი იმპერატორმა ალექსანდრემ არ მოიწონა. ნიკოლოზისთვის პოლიტიკური კურსის წაკითხვა მიენდო პროფ. შტორნს, სამართლის დისციპლინებში მას დაუნიშნეს პროფ. კუკოლნიკი და პროფ. ბალუმიანსკი — იმ დროს ცნობილი იურისტები, რუსეთის ისტორიაში ახვერდოვი, ევროპის ისტორიაში დიუ-პიუჟე, მაგრამ სამხედრო კარიერით გატაცებული, ყაზარმულ წესებს შესისხლხორცებული ნიკოლოზი ჰუმანიტარულ მეცნიერებათადმი დიდ ინტერესს აღარ იჩენდა. მის სტიქიად იქცა სამხედრო საქმე, მის უდიდეს სიამოვნებად პლაც-პარადები. „ნიკოლოზი — წერს ისტორიკოსი პერსნიაკოვი — სამხედრო არტიკულის არტისტი გახდა, თუმცა ამ მხრივ პირველობის პალმას მაინც თავის ძმას მიხეილს უთმობდა. ურთულეს ხელოვნურ ილეთებში, მკაცრად დისციპლინირებულ მასობრივ მოძრაობაში, მექანიკურად მორჩილ კომანდებში გამოწრთობილი არმია მის წინაშე ქმნიდა სურათული ეფექტიანობის წარმტაც შთაბეჭდილებას, რასაც ნიკოლოზი აღტაცებით იგონებს ცოლისადმი წერილებში... არავითარი სხვა განცდები მას არ ჰგვრიდა ასეთ სრულ კმაყოფილებას, თავისი ძლიერების ასეთ ნათელ რწმენას, „წესრიგის“ ძლევამოსილებას ადამიანთა ცხოვრების და ნატურის რთულ წინააღმდეგობებსა და დაუცხრომელ თვითნებობაზე“.[1]

18 წლამდე ნიკოლოზს არავითარი სამსახური არ ჰქონია. მთელ თავისუფალ დროს იგი ალექსანდრე პირველის მსხვილ მოხელეთა შორის ატარებდა, ხალისით მონაწილეობდა სასახ-

[1] Проф. А. Е. Пресняков, Апогей самодержавия Николай I, გვ. 10-11.

ლის ჰორებში, წვრილმან ინტრიგებში, რომელიც იმ დროის მსხვილი მოხელეობის ცხოვრების ორგანულ ნაწილს. შეადგენდა. მხოლოდ 1818 წელს დანიშნეს იგი პირველი გვარდიული ქვეითი დივიზიის მეორე ბრიგადის მეთაურად და ამ პოსტიდან, სრულიად შემთხვევით, რაზედაც ჩვენ ზევით უკვე ვილაპარაკეთ, ნიკოლოზი რუსეთის საიმპერატორო ტახტზე აღმოჩნდა.

ამრიგად, იმპერატორს, რომელიც რუსეთის იმპერიას 1825 წლიდან მოევლინა და მთელი 30 წლის განმავლობაში მართავდა მას, არ ჰქონია არც უხვი ბუნებრივი ტალანტი, არც საჭირო განათლება. იგი ნამდვილად მოუმზადებელი იყო ასეთი მაღალი პოსტისათვის, იმ გრანდიოზული ფუნქციებისათვის, რაც ამ მეტად მშფოთვარე ეპოქაში რუსეთის თავადაზნაურული კლასის დაცვას სჭიროდა. მაგრამ, როგორც აკად. ე. ტარლე შენიშნავს, მიუხედავად ამისა, ხოლო უფრო ზუსტად, როგორც საოცარიც არ უნდა იყოს ამის თქმა, სწორედ ამიტომ. მეფე დაავადმყოფებული იყო თვითრწმენის ყველაზე უიმედო, ყველაზე თვალისმომჭრელი და გამომატვინებელი ფორმით: მას ყოველთვის უმართლებდა, ყოველთვის, მისი ცხოვრების ორ უკანასკნელ წლამდე, ყველაფერში იღბლიანი იყო, და ის ამას არა მარტო გრძნობდა, არამედ გამოთქვამდა ზუსტი სიტყვებით, რომ თუ პირადი ნიჭის განსაზღვრულობის შემთხვევაში მაინც აღწევს ყველა თავის მთავარ მიზანს და ყველაზე რთული ვითარებიდან საბოლოოდ დაუზიანებელი გამოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით განგება იცავს და აღაფრთოვანებს მას.[1] თავის შვილს, ტახტის მომავალ მემკვიდრეს ნიკოლოზი სწერდა: „არავინ ჩემზე მეტად არ გრძნობს იმის მოთხოვნილებას, რომ გასამართლებულ ვიქნე შემწყნარებლობით, მაგრამ დაე მათ, ვინც მე მასამართლებენ, აღმოაჩნდეთ სამართლიანობა მიიღონ მხედველობაში ის არაჩვეულებრივი ვითარება, რომელშიც მე აღმოვჩნდი, როგორც გადასროლილი დივიზიონის გენერლის ახლადმიღებული პოსტიდან იმ

[1] Е. В Тарле, Крымская война, т. I, гз- 65.

პოსტზე, რომელიც ახლა მიჭირავს... მაგრამ მე მაქვს ღრმა რწმენა ღვთიური მფარველობისა, რომელიც ჩემს მიმართ მეტისმეტად ხელშესახებად ვლინდება, ისე რომ მე არ შემიძლია არ ვიგრძნო იგი ყველაფერში, რაც ჩემს გარშემო ხდება, — აი ჩემი ძალა, ჩემი ნუგეში, ჩემი სახელმძღვანელო ყველაფერში".

უსიტყვო მორჩილების, როზგის დისციპლინის სულისკვეთებით აღზრდილმა ნიკოლოზმა, მოექცა რა ქვეყნის სათავეში, რუსეთის იმპერია წარმოიდგინა ვეებერთელა ყაზარმად, სადაც მხოლოდ მას ჰქონდა კომანდების გაცემის უფლება და სადაც ეს კომანდები მექანიკური სიზუსტით, სიტყვა-შეუბრუნებლად უნდა შესრულებულიყო. დისციპლინის უპირატესობა ცოდნის, აზრის, მეცნიერების წინაშე საფუძვლად დაედო მთელს მის საქმიანობას. „მე არ მჭირია ჭკვიანნი, მჭირია მხოლოდ გამგონენი", „მე არ მჭირდება ჭკუით გატენილი თავები, მჭირდება ერთგული ქვეშევრდომები" — ხშირად წარმოსთქვამდა იმპერატორი ამ სიტყვებს ხოლმე და ამ საზომით უდგებოდა კიდეც ადამიანთა შეფასებას. ცნობილ რუს ისტორიკოსს ს. მ. სოლოვიოვს აღწერილი აქვს ასეთი სცენა იმპერატორის მოქმედებიდან: იმპერატორი ერთ სამხედრო სასწავლებელს ათვალიერებს. დირექტორი მას წარუდგენს არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე აღსაზრდელს, რომელიც თვალყურს ადევნებს თანამედროვე ომებს და თავისი მოსაზრებით გამოაქვს სწორი დასკვნები მოვლენების განვითარების შესახებ. რას უპასუხებს იმპერატორი? უხარია, ეფერება ნიჭიერ ახალგაზრდას? სრულიადაც არა. სახემოღუშული ნიკოლოზი უპასუხებს: „მე ასეთები არ მჭირდება, მის გარეშეც მოიძებნებიან ვინც ამაზე იფიქრებს და იმუშავებს. მე აი ასეთები მჭირდება!" ამ სიტყვებზე ის ხელს ჩასჭიდებს და მწყობრიდან გამოჰყავს ჩაფსკვნილი ბიჭი, ხორცის ვეებერთელა ნაჭერი, სახეზე ყოველგვარი სიცოცხლესა და აზრს მოკლებული და მოსწრებაში უკანასკნელი".

ასეთი სტილი, ე. ი. მეცნიერებისადმი, ყოველგვარ შემოქმედებითი აზრისადმი უპატივცემულობა, ხოლო ყაზარმული

მორჩილების წახალისება ნიკოლოზისეული ეპოქის სტილი გახდა. იგი დამკვიდრდა მის ერთგულ ქვეშევრდომებში. მაგალითად, სამხედრო აკადემიის პრეზიდენტმა ი. სუსოზანეტმა თავის სიტყვაში, რომელიც მან 1846 წ. წარმოთქვა პირადი შემადგენლობის საგანგებო კრებაზე, ასეთი „ბრწყინვალე“ აზრები განავითარა: „მეცნიერება სამხედრო საქმეში მეტი არაფერია, თუ არა ღილი მუნდირზე: მუნდირი ღილების გარეშე არ შეიძლება ჩაიცვა, მაგრამ ღილი მაინც მთელ მუნდირს არ წარმოადგენს“, ასეთივე შინაარსი ჩააქსოვა მან აკადემიის ოფიცრებისადმი მიმართულ ბრძანებაში. „მეცნიერების გარეშე გამარჯვება შეიძლება, დისციპლინის გარეშე კი არასოდეს“.

ნიკოლოზს სრულებითაც არ დაუსახავს რაიმე ახალი კურსი ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხებში. მან პირდაპირ გააგრძელა ის პოლიტიკა, რომელიც მის უფროს ძმას ჰქონდა აღებული სამამულო ომის შემდეგ. ეს პოლიტიკა, როგორც ვიცით, მიმართული იყო იქეთკენ, რომ უზრუნველეყო მემამულურ-თავადაზნაურული კლასის ბატონობა. ჩაეხშო რეაქციული აზრი, განეშტიცებინა თვითმპყრობელობა და ბატონყმობა, როგორც რუსეთის ძლიერების ორი აუცილებელი კომპონენტი. არაკჩეევი ნიკოლოზის დროს მართალია აღარ არსებობდა, მაგრამ არაკჩეევშჩინა ისევ ძალაში დარჩა და გამოჩნდნენ არაკჩეევის ისეთი მემკვიდრენი, როგორიც იყვნენ უხეში, უვიცი, ყოველგვარი პროგრესის დაუძინებელი მტერი ბენკენდორფი და სხვები.

განსხვავება ალექსანდრესა და ნიკოლოზს შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ თუ პირველს გააჩნდა თანამედროვეთა წინაშე ლიბერალური კოპწიაობის არტისტული ხელოვნება და მრავალ რეაქციულ ღონისძიებას ლიბერალური ამალგამით მოხერხებულად ატარებდა, — ნიკოლოზი უფრო პირდაპირი და თანმიმდევრული იყო: იგი ყოველგვარი პოზიორობის, ყოველგვარი მაცდუნებელი დაპირებების და ზიგზაგური მოძრაობის გარეშე სალდაფონური პედანტობით ანხორციელებდა თავისი კლასისადმი სამსახურს, განუწყვეტლად

ატრიალებდა მარჯვნივ და მარცხნივ მათრახს, აშკარად, ამასთან ძეტად უხეში მეთოდებით ებრძოდა პროგრესს, და ყოველივე ამას აკეთებდა სიამაყითა და თავმომწონეობით, ყურსაც არ უგდებდა იმას, თუ როგორ აფასებდნენ ასეთ მოქმედებას ჭკვიანი ადამიანები მის ქვეყანაში, თუ მის ფარგლებს გარეთ.

ნიკოლოზი დარწმუნებული იყო, რომ მას ეყოფოდა ძალა რუსეთში მზარდი რევოლუციური ქარტეხილების დასათრგუნავად. ამისთვის შექმნა მან ჟანდარმების მთელი არმია და ცისფერნუნდრირიანი ქოფაკები დარაჯად მიუჩინა ყველა დაწესებულებას, ყველა „საეჭვო პირს“, აამოქმედა სახრჩობელები, არ დაზოგა ტყვიები რუსეთის გუბერნიებში აზვირთებული გლეხური რევოლუციის დასათრგუნავად. ამისთვის შებოჭა მან საგამომცემლო დარგი ცენზურის თუჯის ხუნდებით, ხოლო თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის მარადისობის დასასაბუთებლად მოიშველია ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგია, ამისთვის გზავნიდა იგი საექსპედიციო კორპუსებს უნგრეთში, გერმანიაში, ებრძოდა ივლისის რევოლუციას საფრანგეთში, რომ ევროპული რევოლუციის ნაპერწკლებს რუსეთშიაც არ წამოეწყო ხანძარი. მაგრამ ცარიზმის ასეთი რეაქციული გააფთრება პირუკუ შედეგებს იძლეოდა. რუსეთში სწორედ ამ დროს ყველაზე მეტად იჩინა თავი თვითმპყრობელური სისტემის სიდამპლემ და უილაჯობამ, სწორედ ამ დროს გაშალა ფრთები მთელი სიძლიერით რუსეთის თავისუფალმა აზრმა, ამ დროს დავაჟკაცდნენ და თანდათანობით ფართო მასებში შეიჭრნენ დეკაბრისტების სანუკვარი იდეალები. ისტორიის ეტლი რუსეთს პროგრესის გზაზე მიაქანებდა. ობიექტური პროცესები თავის საქმეს აკეთებდნენ. ნიკოლოზის გააფთრება და ჟინიანობა ამ წინსვლას ვერ აფერხებდა, პირიქით. სწორედ ნიკოლოზის უმეცრობამ და ჟინიანობამ ერთგვარად დააჩქარა კიდეც თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის უკურნებელი წყლულების გამომზეურება და მისი ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნა ზედაფენებშიაც დღის წესრიგში დააყენა.

ნიკოლოზი არ იცნობდა ეპოქის მოთხოვნილებებს, არ აცნობდა მას, რაც სძულდა, არ უკვირდებოდა იმ სიღრმისეულ შოელენებს, რომლებიც ყოველისშემძლე იმპერატორებისაგანაც კი ანგარიშგაწევას მოითხოვდნენ. იგი ღრმად არ იცნობდა არც თავის ქვეყანას, არც მაშინდელ მსოფლიოს, რომლის საქმეებში უცერემონიოდ და უხეშად ერეოდა და რომლის რუკის შეცვლაც კი სურდა.

ამ დროს რუსეთი გარეგნულად მართლაც უძლიერეს იმპერიად ჩანდა მთელს მსოფლიოში. ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო 1812 წლის დიდება. რუსეთის არმიის ძლევამოსილი ლაშქრობა ევროპაში და ნაპოლეონის დამარცხებაში წამყვანი როლი ნიკოლოზის საზღვარგარეთელი მეგობრების თაყვანისცემას, ხოლო მტრების შიშსა და ძრწოლას იწვევდა. ნიკოლოზის პირველი წარმატებანი თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ ომებში, პოლონეთის აჯანყების სისხლში ჩახშობა, ავსტრიის მონარქიისადმი დახმარება ბევრ ფხიზელ ევროპიელ მეთვალყურესაც აიძულებდა ეღიარებინა, რომ რუსეთის გამკლავება არ შეუძლია არც ერთ ქვეყანას, რომ თუ XIX საუკუნის დასაწყისი ევროპაში იყო ნაპოლეონის საუკუნე, მისი ოცდაათიანი-ორმოციანი წლები ნიკოლოზის საუკუნეა, რომელიც ისევე უკარნახებს ევროპას თავის ნება-სურვილს, როგორც ამას თავის დროზე ნაპოლეონი აკეთებდაო. გარეგნულად ეს მართლაც ასე ჩანდა, მაგრამ ვინც რუსეთის მაშინდელ ვითარებას მთელი სიღრმით შეაფასებდა, მას სულ სხვაგვარი დასკვნები უნდა გამოეტანა.

რუსეთი სულ რაღაც სამი ათეული წლის მანძილზე კოლოსალური მანძილით ჩამორჩა ევროპას, რომელმაც ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაციისა და კაპიტალისტური ფორმაციის გამარჯვების ბაზაზე შესძლო მოეპოვებინა გიგანტური წარმატებანი ეკონომიკაში, წინ წაეწია თავისი ტექნიკა, თავისი არმიის შეიარაღება და ამით სავსებით გაეუვნებადებინა ის უპირატესობანი, რომელიც რუსეთის არმიას გააჩნდა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპა დიდი შემოქმედებითი წინსვლით, დიდი აღმოჩენებით, მანქანური ინ-

დუსტრიის დამკვიდრებით, რკინისა და ფოლადის მატერიკად გადაქცევით ხასიათდებოდა. რუსეთი კი ამ დროს, ისევ თითქმის ძველ ადგილს ტკეპნიდა, მისი შებოჭილი საწარმოო ძალები წინსვლას ვერ ახერხებდა, მისი წინსვლის სისწრაფე ისეთივე დაბალი იყო, როგორიც მისი საბარგულებისა და აფრიანი ხომალდისა, მაშინ როცა ევროპა წინ მატარებლითა და ორთქლის გემებით მიექანებოდა.

მსოფლიოში უკვე მომძლავრებული ახალი ფორმაციისათვის— კაპიტალიზმისათვის სავსებით შეუფერებელი, მოუხეშავი იყო რუსეთის სახელმწიფოებრივი მანქანა, მისი ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც დაჟანგებულ აზიურ ბორბლებზე იყო შემდგარი და სიმძიმისაგან ჭრიალებდა. ნიკოლოზის ეპოქაში ეს აპარატი საშინლად გაიბერა, გასივდა. უთვალავ კანცელარიებში, ასობით ახალ დეპარტამენტებში თავმოყრილი იყო მოხელეთა ვეებერთელა შტატი, რომელიც არაფერს სასარგებლოს არ ქმნიდა, ხოლო მატერიალურ დოვლათს კი ანადგურებდა, როცა 1842 წელს იუსტიციის მინისტრმა ხელმწიფეს წარუდგინა წლიური ანგარიში, აღმოჩნდა რომ იმპერიის ყველა სამსახურებრივ ადგილებზე განუხილველი იყო და ელაგა 33 მილიონი „საქმე". ქაღალდის ამ გორებში იხარჯებოდა კოლოსალური თანხა, ხოლო მოხელეებს, რომლებიც მხოლოდ ძვირფასს ქაღალდსა და მელანს ასე უმოწყალოდ ნთქავდნენ, ეძლეოდათ საუკეთესო სახაზინო მამულები და დიდძალი ჯამაგირი.

ეს ვეებერთელა ბიუროკრატიული სამყარო ამავე დროს შეპყრობილი იყო უკურნებელი სენით: მექრთამეობითა და ქურდობით, რომელიც ერთნაირად ახასიათებდა ყველას, უბრალო კანცელარიის მოხელედან, ვიდრე მინისტრამდე. მთელი ევროპა განაცვიფრა იმ კოლოსალური მასშტაბის ქურდობამ, რომელიც ნიკოლოზის ახლო მეგობარმა პოლიტკოვსკიმ ჩაიდინა; იგი წლების განმავლობაში თავისუფლად, ყოვლად უსირცხვილოდ და უშიშრად ფლანგავდა ინვალიდთა ფონდის მილიონებს. ყველაფერი ეს ხდებოდა ნიკოლოზის თვალწინ, მის მიერ წამოწეულ უმაღლეს მოხელეთა წრეში. პოლიტკოვსკის

ვიერ გამართულ მასკარადებზე წარმოდგენილი იყო მაშინდელი პეტერბურგის სასახლის არისტოკრატია, მაგრამ ზღაპრული თანხის ასეთი ფლანგვა ყველასათვის შეუმჩნეველი იყო.

ნიკოლოზის ეპოქაშივე გახმაურდა საბაზინო ქურდობის მეორე დამახასიათებელი შემთხვევა. ნიკოლოზისვე მეგობარმა, უვიცმა და არაკრეეეური რეჟიმის მოტრფიალე მსხვილმა მოხელემ გრაფმა პეტრე კლეინმიხელმა შეკამა 1837 წ. ხანძრის შემდეგ ზამთრის სასახლის რემონტისა და მისი ავეჯით მოსაწყობად გამოყოფილი ვეებერთელა თანხა. ეს ქურდობა 14 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და მხოლოდ 1852 წელს გაიხსნა და მივიდა მეფის ყურამდე, რომელიც პირველ დღეებში მართლა ძალზე განრისხდა, მაგრამ საბოლოოდ მთელი მისი სასჯელი დამნაშავის მიმართ იმით გამოხატა, რომ მას რამდენიმე დღის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა. ასეთი შემთხვევები მცირე და დიდი მასშტაბებით აურაცხელი იყო. თვით ნიკოლოზი სრულიადაც არ მალავდა, რომ იგი გარემოცული იყო ქურდებით, აფერისტებით, სპეკულანტებით, მექრთამეებით, რომლებიც ანიავებდნენ სახელმწიფო ქონებას. მართლაც, რუსეთის სახელმწიფოებრივ სხეულს ამ დროს უკვე შესისხლხორცებული ჰქონდა ეს სენი. ეს დიდი და პატარა კლეინმიხელები და პოლიტკოვსკები მუმლივით ეხვეოდნენ მას და შეუმჩნევლად, მეთოდურად ხრავდნენ მთელს ორგანიზმს.

ნიკოლოზი თავის ქვეყანაზე უფრო ცუდად და ზერელედ იყო გარკვეული მაშინდელი მსოფლიოს საქმეებში. მართალია, მას ჰქონდა ერთგვარი დიპლომატური ნიჭი: შეეძლო მიზნისთვის მოთმინებითი ლოდინი და მტრის დიპლომატურ ზრახვათა ამოცნობა, დიპლომატიური ბრძოლის უკიდურესობამდე მიყვანა და ამ მხრივ იგი გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე რუსეთის დიპლომატიის ოფიციალური მეთაური გრაფი კარლ ვასილის ძე ნესელროდე, რომლის არქივში არ დარჩენილა არცერთი გაბედული, დამოუკიდებელი, გონიერი დიპლომატიური აქტი. მაგრამ ნიკოლოზის დიპლომატიის ყველაზე სუსტ მხარეს, როგორც აკად. ე. ტარლე შენიშნავს, მისი უცოდინარობა

წარმოადგენდა. იგი სავსებით გაურკვეველი იყო იმ ძვრებში, რომელიც ნაპოლეონის შემდეგ მოხდა ევროპაში და სრულებითაც არ იცნობდა იმ ძალებს, რომლებიც მისადმი იყო დაპირისპირებული. ნიკოლოზს ისევ სჯეროდა, რომ ინგლისის ბედში დედოფალ ვიქტორიას გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა. მას სჯეროდა, რომ თურქეთი მომაკვდავი ადამიანი იყო, თუმცა სრულებით არ იცნობდა ამ ქვეყნის ფაქტიურ მდგომარეობას, იგი საშინელი სიძულვილით იყო განმსჭვალული კონსტიტუციური ან დემოკრატიული მმართველობისადმი, რომელიც ევროპაში გზას იკვლევდა, მაგრამ არ იცოდა და არც სურდა სცოდნოდა ამ მმართველობის უპირატესობანი. ნიკოლოზს წარმოდგენაც კი არ ჰქონია იმ ახალ მზარდ ძალაზე, რომელიც ევროპაში წამოიზარდა ოცდაათიან-ორმოციან წლებში — ეს იყო ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელსაც ახლა უკვე ხელთ ეჭირა საგარეო პოლიტიკის სადავეები ინგლისსა და საფრანგეთში და რომელიც რუსეთის ცარიზმისადმი, როგორც საღვთო კავშირის ბურჯისა და მონარქიზმის უკანასკნელი იმედისადმი, საშინელი სიძულვილით იყო გამსჭვალული.

იგი ასევე გაურკვეველი დარჩა ევროპის საკითხებში თავისი სიცოცხლის უკანასკნელ მომენტამდე. ნესელროდე რუსეთის ელჩებს პარიზში, ლონდონში, ვენაში, ბერლინში, კონსტანტინეპოლში აიძულებდა თავიანთ ანგარიშებში წარმოედგინათ არა ფაქტიური ვითარება, არამედ ის, რაც ნიკოლოზს ასიამოვნებდა, ხოლო თუ ეს ტაქტი ვინმეს მიერ დარღვეული იყო, ასეთ მოხსენებას სასიამოვნო სტილზე თვით ნესელროდე შეალამაზებდა ხოლმე. ამრიგად, ნიკოლოზმა ნამდვილად არ იცოდა როგორ მზადდებოდა მის წინააღმდეგ სახელმწიფოთა დიდი კოალიცია, როგორ რჩებოდა იგი იზოლირებული და რა ტრაღიკული აღსასრული ელოდა იმ დიდ გეგმას, რომელიც მან აღმოსავლეთის საკითხში წამოიწყო. ყოველივე ამაზე ქვევით გვექნება საუბარი.

ნიკოლოზის ეს ცოტად თუ ბევრად სრული დახასიათება, ჩვენ შეგვიძლია დავამთავროთ ენგელსის სიტყვებით: ის იყო „საშუალო ნიჭის ადამიანი თავისთავის კმაყოფილი, ასეულის

მეთაურის გონებრივი ჰორიზონტით, რომელსაც სისასტიკე ენერგიად მიაჩნდა და ახირებული ჯიუტობა ნებისყოფა ძალად, ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად აფასებდა ძალაუფლების გარეგნულ მოჩვენებითობას და მზად იყო ამ მოჩვენებითობისათვის ყველაფერზე დათანხმებულიყო".

ცარიზმის საშინაო პოლიტიკა 1826—1847 წწ.

ცარიზმის საშინაო პოლიტიკა ამ პერიოდში საერთოდ დეკაბრისტული იდეებისადმი ანგარიშგასწორების სულისკვეთებით ხასიათდება. ნიკოლოზი ცდილობს რუსეთში ამოძირკვოს ამ იდეოლოგიის ფესვები. მისი პირველი ღონისძიებანიც პოლიტიკური პოლიციის გაძლიერებასა და მის უკიდურეს ცენტრალიზაციას შეეხებოდა.

1826 წლის იანვარში გენერალ-ადიუტანტმა ბენკენდორფმა ნიკოლოზს წარუდგინა პროექტი რუსეთში პოლიციის სამინისტროს აღდგენის შესახებ, რომელიც 1811-1819 წლებში არსებობდა. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ჟანდარმთა განსაკუთრებული კორპუსის შექმნა. ნიკოლოზი ამ პროექტს საერთოდ თანაგრძნობით მოეკიდა, მაგრამ მასში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება: მან უმჯობესად ჩათვალა პოლიტიკური პოლიცია უშუალოდ თავისთვის დაექვემდებარებინა: 1826 წლის 25 ივნისს ბენკერდორფი დანიშნულ იქნა ჟანდარმთა შეფად და მთავარი საიმპერატორო ბანაკის სარდლად. 3 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარია გადაკეთებულ იქნა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კანცელარიის მესამე განყოფილებად. ბენკენდორფი ამ განყოფილების სათავეშიც ჩადგა. უფრო გვიან შეიქმნა ჟანდარმთა განსაკუთრებული კორპუსი. მესამე განყოფილებას დაეკისრა უმაღლესი პოლიციის საქმეთა მართვა, ცნობების შეგროვება სექტებსა და გამთიშველებზე, ყალბი ასიგნაციების, მონეტების, დოკუმენტების მკეთებლებზე და შემდგომი ძიება ყველა იმ პირთა შესახებ, რომლებიც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ეჭვმიტანილ პირთა გადასახლება, საპატიმრო ადგილების ზედამხედველობა, სადაც სახელმწიფო დამნაშავენი

იყვნენ მოთავსებული, უცხოელთათვის თვალყურის დევნება და სხვ. ნიკოლოზი ვარაუდობდა, რომ მესამე განყოფილება ამ ფუნქციათა შესრულებით გადაიქცეოდა ყველგან არსებულ და ყოვლისმმართველ ორგანოდ, სახელმწიფოს თვალ-ყურად, რომლის ყველა ნერვი იმპერატორთან იქნებოდა თავმოყრილი. მესამე განყოფილების სტრუქტურა ასე ჩამოყალიბდა: მთელი რუსეთი გაყოფილ იქნა 5 (1848 წლიდან 8) საჟანდარმო ოლქად, რომელთაც სათავეში განსაკუთრებული გენერლები ჩაუყენეს. ოლქები დაიყო განყოფილებებად (2-3 გუბერნია) შტაბ-ოფიცერთა მეთაურობით, რომელთა ძირითად მოვალეობას შეადგენდა ყოველგვარი მოსალოდნელი „სახელმწიფოებრივი ბოროტების“ ადრევე აღმოჩენა და მათთან ანგარიშგასწორება. ოსტზეელი მემამულის, არაკჩეევისებური წესების მოტრფიალის, გაუნათლებელი, უხეში დეპოტის ბენკენდორფის მეთაურობით, რომელიც ნიკოლოზის უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა, ეს ცისფერ მუნდირიანი ჟანდარმები მოედვნენ მთელ იმპერიას. ისინი ჩასახლდნენ ყველა დაწესებულებაში, ცდილობდნენ ადამიანებს სულსა და გულში ჩაძვრენოდნენ და აპოეკითხათ მათი აზრები. თუ სადმე გაიჭაჭანებდა თავისუფალი აზრი, მაშინვე თავს დაესხმებოდნენ მას და ციხის ცხრაკლიტულებში ათავსებდნენ, რომ მას შემდგომი გასაქანი არ ჰქონოდა. ამ გაშლილი შპიონაჟის დახმარებით მესამე განყოფილება ახერხებდა გამოეკლინებინა რევოლუციური ახალგაზრდობის ცალკეული ჯგუფები, თავისუფალი აზრით განმსჭვალული წიგნებისა და მიმოწერათა ავტორები, რომელთა ხვედრი ხდებოდა ციხე-კაზემატემი, ციმბირის საკატორღო სამუშაოები, გაუპტვახტემი, არმიაში რიგით ჯარისკაცად განწესება და სხვ.

თავისუფალი აზრის შებორკვას ისახავდა მიზნად ახალი საცენზურო წესდება, რომელიც 1826 წლის 10 ივლისს გამოიცა. ნიკოლოზს კარგად ესმოდა, რომ პროგრესული იდეების გავრცელების მთავარ წყაროს ლიტერატურა, წიგნი წარმოადგენდა. ბეჭდვითი სიტყვის ალაგმვა, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა თვითმპყრობელობის ბურჯების სიმტკიცეს. ახალი სა-

ცენზურო წესდება, რომელიც ორასამდე პარაგრაფს შეიცავდა, გაცილებით უფრო ფართო, მკაცრი და მძიმე იყო, ვიდრე ალექსანდრეს დროინდელი. ცენზურა ძველებურადვე განათლების სამინისტროს შემადგენლობაში რჩებოდა, მაგრამ შეიქმნა განსაკუთრებული უმაღლესი საცენზურო კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ განათლების, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრები. კომიტეტს დაევალა მტკიცე კონტროლი მეცნიერებასა და ახალგაზრდობის აღზრდაზე, შინაგანი უშიშროების დაცვაზე, იდეების მიმართულებაზე. ცენზურას სასტიკად უნდა აეკრძალა ყველა ნაწარმოები, რომელიც კი ეჭვის თვალით შეხედავდა რელიგიას, გააკრიტიკებდა არსებულ წეს-წყობილებას, ან წამოაყენებდა რაიმე აზრს ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების რეორგანიზაციის შესახებ. იკრძალებოდა ის საბუნებისმეტყველო ან სამედიცინო თხზულებანი, რომლებიც ეჭვს შეიტანდნენ სულის უკვდავებაზე. ფილოსოფიური თხზულებებიდან შეიძლებოდა მხოლოდ სახელმძღვანელოების ბეჭდვა, სადაც, ცხადია, ადგილს ვერ იპოვიდა მატერიალისტური შეხედულებანი. მტკიცე ცენზურის ქვეშ ტარდებოდა აგრეთვე საზღვარგარეთიდან შემოზიდული ლიტერატურა.

1826 წლის საცენზურო წესდებას თანამედროვეებმა სამართლიანად შეარქვეს „თუჯის პლიტის“ წესდება. იგი ბეჭდვით სიტყვას მართლაც ისე მძიმედ დააწვა, როგორც თუჯის ხუფი და მას სული შეუხუთა.

ნიკოლოზმა განათლების საქმეშიც შეიტანა რეორგანიზაცია იმ მხრივ, რომ მტკიცედ ყოფილიყო დაცული ფეოდალურ-წოდებრივი პრინციპი. ამა თუ იმ პიროვნების განათლების დონეს საფუძვლად დაუდვა მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა. ნიკოლოზს მტკიცედ სწამდა, რომ დაბალი წოდების პირთათვის განათლება მავნეა, მათ წრეში ცოდნის შეტანას მოსდევს თავისუფლებისადმი მისწრაფების გაძლიერება, რაც სახელმწიფოსათვის აძლიერებს საშიშროებას. ამ მხრივ თანმიმდევარი თვითმპყრობელი სავსებით ლოგიკური იყო.

1826 წლის 14 მაისს, განათლების მინისტრის ადმირალ

შიშკოვისადმი რესკრიპტით ჩამოყალიბდა „სასწავლო დაწესებულებათა მოწყობის კომიტეტი“, რომელსაც დაეკისრა შეეგროვებინა ყველა სასკოლო დაწესებულება, მტკიცედ განესაზღვრა მათი სწავლების კურსი და მიეთითებინა სახელმძღვანელო წიგნები. ეს შეეხებოდა სახაზინო და კერძო სასწავლებლებს. მეორე რესკრიპტით, რომელიც 1827 წლის 19 აგვისტოს გამოქვეყნდა, განისაზღვრა თითოეული წოდებისათვის სწავლის დონე და მიმართულება. რესკრიპტი აღიარებდა, რომ აღზრდის ძირითად მიზანს წარმოადგენს ჩამოაყალიბოს სახელმწიფოსათვის საჭირო და ერთგული ქვეშევრდომები. სასტიკად აიკრძალა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ყმა გლეხების შვილთა მიღება. გიმნაზიებსა, უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ თავადაზნაურთა პრივილეგიად იქცა. ყმა გლეხებისა და შინამოსამსახურეთა შვილებისათვის ნებადართულ იქნა მხოლოდ ერთკლასიან სამრევლო სასწავლებლებში მიღება. ვაჭრების, ხელოსნებისა და ქალაქის სხვა თავისუფალ მცხოვრებთათვის — სამკლასიან სამაზრო სასწავლებელში მიღება. ყველა ამ სასწავლებელთა ამოცანად დადგინდა მოსწავლეებისათვის „ღვთისადმი, თავისთავისადმი, მახლობლებისადმი, ზემდგომი ხელისუფლებისადმი პატივისცემისა და მორჩილების შთაგონება“.

ყველა ამ ღონისძიებას ცარიზმი აძლევდა თავის „თეორიულ“ დასაბუთებას. მაგალითად, გრაფი უვაროვი, რომელიც ვალე განათლების სამინისტროს ჩაუყენა სათავეში ნიკოლოზმა და რომელზედაც, როგორც თვითმპყრობელობის აპოლოგეტ „თეორეტიკოსზე“ შემდეგ გვექნება ლაპარაკი, წერდა, რომ საჭიროა „შეჩერდეს საზოგადოების დაბალ ფენებში დაბადებულ ახალგაზრდათა ლტოლვა უმაღლეს სასწავლებლებში, რადგან მათთვის უმაღლესი განათლება უსარგებლო, ზედმეტ ფუფუნებას წარმოადგენს და პირველყოფილ მდგომარეობიდან გამოჰყავს ისინი, ისე რომ ეს არც მათთვის არის სასარგებლო და არც სახელმწიფოსათვისო“.

იგივე უვაროვი 1834 წელს, როცა მას განათლების მინისტ-

რის პოსტი ჩააბარეს, ასე განსაზღვრავდა თავის საბოქმედო პროგრამას: „ჩემი საქმეა არა მარტო ვმეთვალყურეობდე განათლებას, არამედ ვმეთვალყურეობდე თაობის სულსაც. თუ შევძლებ გადავწიო რუსეთი 50 წლით უკან იმისაგან, რასაც მას თეორიები უმზადებენ, ჩემი მოვალეობა შესრულებული იქნება და საფლავში მშვიდათ ჩავალ".

უვაროვმა 1835 წელს უნივერსიტეტებს წაართვა ავტონომია და დაუმორჩილა ისინი ოლქის მზრუნველებს. უნივერსიტეტებში შემოღებულ იქნა სტუდენტთა ფორმა, გაიზარდა სწავლის ქირა, დაწესდა მკაცრი, პოლიციური ზედამხედველობა სტუდენტთა იდეურ ცხოვრებაზე. გიმნაზიებში გაიზარდა მკვდარი, — კლასიკური ენების, საღვთო სჯულის საათები, განმტკიცდა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა.

1825 წლის 14 დეკემბრის ამბებმა ნიკოლოზს თვალნათლივ დაანახვეს თვითმპყრობელური ხელისუფლების წინაშე აღმართული მზარდი საშიშროება. 1825-26 წლებში რუსეთის მთელ რიგ გუბერნიებში მძვინვარებდა გლეხთა ამბოხებანი. სასახლის წრეებში შეშფოთებით აღიარებდნენ, რომ იზრდებოდა ხალხის მისწრაფება თავისუფლებისადმი და რომ ეს განწყობილება ეუფლებოდა არა მარტო ყმურ მოსახლეობას, არამედ ზოგიერთ პირს თვით აზნაურთა წრიდან. როგორც ვნახეთ ამ „სენის" წინააღმდეგ ნიკოლოზმა სასწრაფოდ განახორციელა მკაცრი პროფილაქტიკური ღონისძიებანი, მაგრამ საქმეს როდი შველოდა მარტოოდენ პოლიცია და მათრახები. საჭირო იყო მორიგი, ღრმად ეფექტური ღონისძიებები სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა სისტემის გადასახალისებლად, მიწათმფლობელ აზნაურთა და ყმა გლეხთა შორის ურთიერთობის „მოსაწესრიგებლად", ისე რომ გაჯანსაღებულიყო ცარიზმის სახელმწიფოებრივი სხეული, უფრო განმტკიცებულიყო თვითმპყრობელობა და თავადაზნაურთა კლასი.

ამ მიზნით 1826 წლის 6 დეკემბერს ნიკოლოზმა ჩამოაყალიბა სპეციალური საიდუმლო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შეიყვანა მისი ერთგული პირები — გრაფი პ. ტოლსტოი, გენერალ-ადიუტანტი ვ. ვასილჩიკოვი, თავადი ა. გოლიცინი,

მთავარი შტაბის უფროსი გენერალ-ადიუტანტი დიბიჩი და სპერანსკი, ჩვენთვის უკვე ცნობილ თავად კოჩუბეის თავმჯდომარეობით.

კომიტეტის მუშაობის პროგრამა განსაზღვრა თვით იმპერატორმა. კომიტეტს დაეკისრა იმპერატორ ალექსანდრე პირველის კაბინეტში დარჩენილი ქაღალდების განხილვა, რუსეთის სახელმწიფოებრივი აგებულების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა, განსაზღვრა იმისა, თუ რაა კარგი ამჟამად. რა შეიცვალოს და რით შეიცვალოს. კომიტეტს განსაკუთრებით უნდა გაემახვილებინა ყურადღება ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებზე, სახელმწიფო საბჭოზე, სენატზე, მინისტრთა კომიტეტზე, მათი დამოკიდებულების ნორმალიზაციის საკითხზე, ადგილობრივი მმართველობის საკითხებზე, რუსეთში გენერალ-გუბერნატორობის შემოღების პროექტის დამუშავებაზე, ცალკეული წოდებების მდგომარეობასა და უფლებებზე და სხვ.[1]

როგორც ვხედავთ, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეებში კვლავ ამოტივტივდა სპერანსკის ფიგურა. სპერანსკი ალექსანდრეს მეფობის მეორე ნახევარში ციმბირის გუბერნატორად მუშაობდა. შემდეგ პეტერბურგში დააბრუნეს. სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა. მასში ჩაქრა თვითმპყრობელური რუსეთის კონსტიტუციურ მონარქიად გადახალისების სულისკვეთება, იგი არსებული რეჟიმის ერთგული დამცველი გახდა, ხოლო მის ვეებერთელა ცოდნას და გამოცდილებას შეეძლო დიდი სამსახურის გაწევა თვითმპყრობელობისათვის, რომელსაც ასეთი ნიჭიერი და ჭკვიანი, ამავე დროს ერთგული უმაღლესი მოხელეები თითზე ჩამოსათვლელი ჰყავდა. თვით იმპერატორი სპერანსკის მაღალ შეფასებას აძლევდა: „მე მასში ვიპოვე ყველაზე ერთგული, თავდადებული და მორჩილი მსახური, რომელსაც ამასთან ერთად გააჩნია უდიდესი გამოცდილებაო" — ამბობდა ნიკოლოზი და იგი, როგორც დავინახავთ,

---

[1] М. Полиевктов, Николай I, биография и обзор царствования. Москва, 1918 г.

გამოიყენა კიდეც მრავალი ურთულესი სამუშაოს ჩასატარებლად.

საიდუმლო კომიტეტმა ფორმალურად 1832 წელს, ხოლო ფაქტიურად 1830 წელს შეწყვიტა არსებობა. ამ წლების განმავლობაში მან გამართა 180 სხდომა, დააგროვა ქაღალდების გორა, შეეხო ყველა ძირითად საკითხს, მაგრამ არსებითად ურყევი დატოვა ის ცენტრალური საკითხი — ბატონყმობა, რომელიც ყველა ბოროტების საფუძველი იყო.

კომიტეტმა იმპერატორს წარუდგინა მეტად შეკვეცილი, არათანმიმდევრული, მშიშრული პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ სახელმწიფო საბჭოს და სენატის ფუნქციების შეცვლას, სახელმწიფო გლეხების მმართველობის რეორგანიზაციას, ყმა გლეხების შინამოსამსახურედ გადაყვანის აკრძალვას, საპატიო მოქალაქეთა წოდების დაწესებას ვაჭრებისა და უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის, რომლებმაც განსაზღვრულ მდგომარეობას მიაღწიეს, თავადაზნაურობის გაწმენდას უცხო ელემენტების მოზღვავებისაგან და ამ მიზნით აზნაურობის წოდების მინიჭებას მემკვიდრეობით ან „უმაღლესი წყალობით“ და არა დამსახურებით, გლეხური სოფლების დაქუცმაცების აკრძალვას და სხვ. ყველაფერი ეს წვრილმანად გამოიყურებოდა, რადგან, როგორც ვთქვით, უცვლელი რჩებოდა ბატონყმურ-თვითმპყრობელური რეჟიმი. პროექტი მხოლოდ ნებას რთავდა ყმა გლეხის განთავისუფლების იმ შემთხვევაში, თუ ამის მსურველი იყო თვით მებატონე. მაგრამ ნიკოლოზის ახლო შემოკრებილ რეაქციულ არისტოკრატიას ამ პროექტებისაც შეეშინდა. ნიკოლოზმა არ განახორციელა ისინი, რადგან სწორედ ამ პერიოდში ისევ აზვირთდა რევოლუციური ტალღები საფრანგეთში, ბელგიაში. იმპერატორს შეეშინდა ამ სახის ცვლილებებს რუსეთში კიდევ მეტი გართულება არ გამოეწვია და ამიტომაც ეს პროექტები მაუდის ქვეშ ამოდო.

რუსეთში არსებულ სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის განმტკიცებას ემსახურებოდა აგრეთვე კანონების კოდიფიკაცია, რასაც ნიკოლოზმა მოკიდა ხელი და განახორციელა კიდეც.

კანონთა კოდიფიკაციაზე რუსეთში 1700 წლიდან მუშაობდნენ, მაგრამ შედეგები ამ მუშაობას არ მოჰყოლია. მოქმედ კანონთა გამოყენებაში ქაოსი მძვინვარებდა. ჯერ კიდევ ძალაში იყო 1649 წლის სამართლის წიგნი. ამ დროიდან დაგროვილი ათი ათასობით ბრძანებულებანი ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ კიდეც. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ყველა ამ კანონების სისტემატიზაცია, გაწმენდა ზედმეტობისაგან, მხოლოდ მოქმედი კანონების დატოვება.

ამ საქმის მოსაგვარებლად ნიკოლოზმა შექმნა მისი საკუთარი კანცელარიის განსაკუთრებული, მეორე განყოფილება მ. ბალუგიანსკის თავმჯდომარეობით. კომისიაში მთავარ ფიგურად მალე იქცა მ. სპერანსკი, რომელსაც ნიკოლოზმა დააკისრა კანონთა კოდიფიკაციის გრანდიოზული საქმისათვის მეთაურობა.

სპერანსკიმ ამ მხრივ ჩაატარა მართლაც ვეებერთელა სამუშაო. სხვადასხვა კანცელარიებიდან და არქივებიდან მან შეაგროვა მთავრობის ყველა უქაზი, რაც კი 1649 წლიდან 1826 წლამდე იყო გამოცემული, დაალაგა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და დაიწყო მათი გამოცემა სტამბურად. ასე შეიქმნა „რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული“ 45 ტომად, რომელშიც შევიდა 30.920 კანონი. ეს იყო მნიშვნელოვანი სამუშაო და იგი ამჟამადაც რუსეთის იმპერიის კანონმდებლობის ისტორიის შესწავლის ერთერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.

კანონთა ეს სრული კრებული საფუძვლად დაედო მოქმედ კანონთა კრებულს. მათგან აარჩია სპერანსკიმ ის მოქმედი კანონები, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერებოდნენ თვითმპყრობელობის მაშინდელ სულისკვეთებას. სპერანსკიმ მოქმედ კანონთა კრებული დაალაგა დარგების მიხედვით (სახელმწიფო კანონები, სამოქალაქო კანონები და სხვ). ასეთმა მოქმედმა კანონებმა 15 ტომი შეადგინეს. ეს იყო ნიკოლოზის ეპოქის სასამართლო ორგანოებისათვის პრაქტიკული სახელმძღვანელო.

პარალელურად სპერანსკი აკეთებდა ამ სახის სხვა გრანდიოზულ სამუშაოებსაც. მასვე ეკუთვნის მთელი რიგი სპეცი-

ალური და ადგილობრივი კანონმდებლობათა წესრიგში მოყვანა. მაგალითად, სამხედრო დადგენილებათა კრებული 12 ტომად, ოსტზეელ და დასავლეთ გუბერნიების კანონთა კრებული, ფინეთის დიდი სამთავროს კანონთა კრებული და სხვ.

ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკა

ნიკოლოზ I თავგამოდებით იცავდა რა ბატონყმური სისტემის ხელშეუხებლობას, წინააღმდეგი იყო ქვეყნის ბურჟუაზიული გადახალისებისა. იგი თავის ქვეყანაში „პირველ მემამულეს" წარმოადგენდა და პრინციპულად მტრულად იყო განწყობილი ყოველგვარი ბურჟუაზიული სიახლისადმი.

მაგრამ ქვეყნის ობიექტური განვითარება ნიკოლოზის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა. ეს ეპოქა ხასიათდებოდა ბატონყმურ მეურნეობის საფუძვლებში კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომი ზრდით და ბატონყმური სისტემის კრიზისის უკიდურესობამდე გამწვავებით. რუსეთის ეკონომიკაში მიმდინარე ეს ობიექტური პროცესები ცარიზმს აიძულებდნენ გაეკეთებინა ზოგიერთი დათმობა, გაეტარებინა ზოგი ისეთი ღონისძიება, რომელიც არა თუ გზას უღობავდა კაპიტალიზმს რუსეთში არამედ, პირიქით, აძლიერებდა კიდეც მის პოზიციებს.

რუსეთის ბურჟუაზიას, რომელიც ცარიზმის კალთებქვეშ ნელ-ნელა და მტკივნეულად იდგამდა ფეხს, ჯერ კიდევ არ გაეჩნდა თავისი გამოკვეთილი კლასობრივი სახე, იგი ვერ ახერხებდა ამაღლებულიყო თავისი უახლოესი ეკონომიური ინტერესების დონეზე, პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც იგი ცარიზმზე იყო დამოკიდებული.

ყველაზე დიდი, რაც ამ დროს ბურჟუაზიას შეეძლო მოეთხოვა ცარიზმისაგან მოკრძალებით, — ეს იყო თავისი ტრადიციული შეღავათების დაცვა, თავისი საგილდიო პრივილეგიების დაცვა, ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის სახელმწიფოსაგან დახმარება.

ნიკოლოზის ეპოქაში ცარიზმი ხშირად აწარმოებდა ომებს.

[1] В. О. Ключевский, Соч. т. 5, გვ. 267.

ნიკოლოზს იარაღქვეშ ჰყავდა დიდძალი არმია. ცარიზმის მილიტარისტული მისწრაფებანი თავისთავად აყენებდნენ მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარების გარდუვალ საჭიროებას. ამიტომ ცარიზმი ნებით თუ უნებლიედ, თვით ახორციელებდა ღონისძიებებს, რომლებიც სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. პოსესიური ფაბრიკის მეპატრონეებმა, იმის გამო, რომ რუსეთის ბატონყმურ მეურნეობაში მიმდინარე რღვევითი პროცესების საფუძველზე გაიზარდა ბაზარზე თავისუფალი მუშა-ხელი, 1840 წელს მთავრობას მიმართეს თხოვნით პოსესიური მუშების დათხოვნისა და მათი თავისუფალი მუშა-ხელით შეცვლის შესახებ. ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა, ხოლო ამ ღონისძიებამ რუსეთში კიდევ უფრო გააძლიერა კაპიტალისტური მანუფაქტურა, გამოდევნა მრეწველობიდან ბატონყმური ურთიერთობის ზოგი ელემენტი.

ნიკოლოზის მთავრობა ასევე იძულებული შეიქმნა რუსეთის ახლად ფეხადგმული მრეწველობისათვის მფარველობა გაეწია მშობლიურ ბაზარზე და დაეცვა იგი უცხოური პროდუქციის კონკურენციისაგან. ნიკოლოზის ეპოქაში ძალაში დარჩა პროტექციონისტული ტარიფი, რომელიც გულისხმობდა მაღალ ბაჟებს უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე. ეს საბაჟო პოლიტიკა, გარდა იმისა, რომ რუსეთის მრეწველობას ბაზარს უნარჩუნებდა, დიდ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფოს. 1823—1824 წლამდე საბაჟო შემოსავალი ორნახევარჯერ გაიზარდა.

მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარებამ მოითხოვა ტექნიკური კადრები, რაც რუსეთს არ გააჩნდა. მთავრობა იძულებული გახდა ამ მხრივაც გადაედგა წინ ნაბიჯი. 1828 წელს პეტერბურგში გაიხსნა ტექნოლოგიური ინსტიტუტი, დაარსდა აგრეთვე მოსკოვის საალმშენებლო, გრიგორეცკის სამიწათმოქმედო, ხარკოვისა და დნეპრის ვეტერინარული სასწავლებლები და სხვ.

მრეწველობის განვითარების დონის ერთგვარი მაჩვენებელი

და მისი წამახალისებელი საშუალება იყო სამრეწველო გამოფენები, რომლებიც 1829, 1831 და 1833 წლებში მოეწყო.

ნიკოლოზის ღონისძიებანი სახელმწიფოს ცენტრალიზაციის დარგში იწვევდა სამოხელეო შტატის მეტისმეტად გაბერვას. რუსეთის ბიუროკრატიული აპარატი ნთქავდა ვეებერთელა სახსრებს. ასევე დიდ ხარჯებს საჭიროებდა ის მილიონიანი არმია, რომელიც მთავრობას მუდამ მზად ჰყავდა ევროპაში ჟანდარმული როლის შესასრულებლად. ამ კოლოსალური ხარჯების გამო ცარიზმი ქრონიკულად განიცდიდა სახელმწიფო სახსრების ნაკლებობას. ცარიზმი იძულებული იყო ეძია ახალ-ახალი საშუალებანი დაცარიელებული სალაროს შესავსებად. ნიკოლოზი ამიტომ სიამოვნებით თანხმდებოდა ბურჟუაზიის ისეთ წამოწყებებზე, რაც სახელმწიფოს შემოსავალს მოუტანდა.

ცარიზმმა განახორციელა ღონისძიებანი ფინანსების მოწესრიგების მიზნით. ფინანსთა მინისტრის კანკრინის ინიციატივით განხორციელდა ფულის რეფორმა, რაც ქაღალდის ფულის დევალვაციაში გამოიხატა, ძველი ასიგნაციები შეიცვალა მტკიცე საკრედიტო ბილეთებით (1:3,5-ზე) ამან ფულის კურსი განამტკიცა, რაც ყირიმის ომამდე იქნა შენარჩუნებული.

ეპოქის მოთხოვნებისადმი ცარიზმის დათმობის გამოხატულება იყო აგრეთვე რკინიგზის მშენებლობის დასაწყისი, რაც თავისთავად კაპიტალიზმის განვითარების მძლავრ სტიმულად უნდა გადაქცეულიყო. რუსეთის ვეებერთელა იმპერიას არ გააჩნდა კეთილმოწყობილი გზები. ეს ცალკეულ გუბერნიათა შორის ეკონომიურ კავშირს, შინაგანი ბაზრის გაფართოებას, საქონლის გაცვლა-გამოცვლას დიდად აფერხებდა. გზების მშენებლობას და მოვლა-პატრონობას ცარიზმმა მიაქცია ენერგიული ყურადღება. 1825—1855 წლებში რუსეთში გაყვანილ იქნა 8 ათასი ვერსი შოსე გზა. 1842 წელს დაიწყო მოსკოვ-პეტერბურგის რკინიგზის ხაზის მშენებლობა. იგი არაადამიანურ პირობებში მიმდინარეობდა, დიდძალი მსხვერპლი და თანხები შეიწირა, მაგრამ რუსეთისათვის უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებად იქცა. რკინიგზა გაიხსნა 1851 წელს. რკინიგზის ხაზი

გაყვანილ იქნა პეტერბურგ-ვარშავას შორის. 1855 წელს რუსეთს ჰქონდა 890 ვერსი რკინიგზა. ეს, რუსეთის ვეებერთელა სივრცისათვის ევროპის მსხვილ ქვეყნებთან შედარებით, არარაობას წარმოადგენდა, მაგრამ თავისთავად უკვე იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენის დასაწყისი.

აკეთებდა რა ამ იძულებით დათმობებს ეპოქის სულისკვეთების მიხედვით, ნიკოლოზს ცალი თვალი ყოველთვის თავადაზნაურული წოდებისაკენ ეჭირა, მის სიმტკიცეს და შეურყეველობას ბეჯითად ემსახურებოდა. ნიკოლოზმა რიგი ღონისძიებებისა განახორციელა იმისთვის, რომ თავადაზნაურული წოდება გაეწმინდა დეკლასირებული ელემენტებისაგან და გაემტკიცებინა მისი მატერიალური მიწათმფლობელური საფუძველი. 1831 წელს გამოქვეყნებულ იქნა დებულება, რომლითაც განისაზღვრა თავადაზნაურობის მონაწილეობა სამაზრო და საგუბერნიო ადმინისტრაციაში. ხმის მიცემის უფლებით აღჭურვილ იქნა მემკვიდრეობითი აზნაური, რომელსაც გააჩნდა უძრავი ქონება, სამსახურში დამსახურებული ჰქონდა არანაკლებ მე-14 კლასის ჩინისა, ან სამი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა თავადაზნაურულ არჩევით თანამდებობაზე. ის აზნაურები, რომლებიც ამ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდნენ, თავადაზნაურულ ყრილობებში მონაწილეობას მიიღებდნენ საარჩევნო ხმის უფლების გარეშე. ამავე დროს სამაზრო და საგუბერნიო ადმინისტრაციის საქმეებში და არჩევნებში მონაწილეობის სრული უფლება ენიჭებოდათ იმ მემკვიდრეობით აზნაურებს, რომელთაც ამ გუბერნიაში არანაკლებ 100 სული ყმა ჰყავდათ, ან გააჩნდათ 3 ათასი დესეტინა მამული. ის აზნაურები კი, რომელთაც არ გააჩნდათ, მაგალითად, 5 სულზე მეტი ყმა და 150 დესეტინა მამული, საერთოდ არ დაიშვებოდნენ თავადაზნაურულ არჩევნებზე. ნიკოლოზის ღონისძიებები იმას ითვალისწინებდა, რომ თავადაზნაურობა რუსეთში მარად დარჩენილიყო უმაღლეს ჩაკეტილ, პრივილეგირებულ კასტად, რომელსაც თავისი წოდებრივი ორგანიზაცია ექნებოდა და ცარიზმთან ხელი-ხელ ჩაკიდებული წარუძღვებოდა სახელმწიფოებრივ საქმეებს.

მაგრამ ვერც ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად ბურჟუაზიული მოთხოვნილებისადმი გაღებული ზოგიერთი დათმობანი და ვერც თავადაზნაურული წოდების გადასარჩენად გატარებული ღონისძიებანი ვერ წყვეტდა იმ ძირითად პრობლემას, რომელიც დაყოვნებას არ ითმენდა და პასუხს მოითხოვდა. ერთიც და მეორეც იყო მხოლოდ პალიატივი, დროებითი ხასიათისა და სახელდახელო. რუსეთის ძირითად სახელმწიფოებრივ პრობლემას ბატონყმობის საკითხი, ყმა გლეხთა განთავისუფლების საკითხი წარმოადგენდა.

მასობრივი მოძრაობანი

1826 წლის 13 ივლისს ნიკოლოზ I მანიფესტით მიმართა რუსეთის იმპერიის ხალხებს. მიუთითებდა რა დეკაბრისტ-მეამბოხეებისადმი ანგარიშგასწორებაზე, იმპერატორი აქ უკვე იძლეოდა მისი მომავალი საქმიანობის პროგრამას. დეკაბრიზმს ნიკოლოზი აცხადებდა რუსეთისათვის მავნე და უცხო მოვლენად, ხოლო რუსი ხალხის ძირითად „ბუნებრივ" თვისებად აღიარებდა მონარქებისადმი სიყვარულს და ტახტისადმი ერთგულებას. ეს მანიფესტი გამოიცა სწორედ იმ პერიოდში, რიდესაც რუსეთის მთელ რიგ გუბერნიებში გლეხთა მღელვარებანი მძვინვარებდა და ბატონყმური ექსპლოატაციისაგან სულშეხუთული ყმა-გლეხები ანგარიშს უსწორებდნენ რუს მემამულეებს, მოითხოვდნენ თავისუფლებას.

გლეხთა მღელვარებანი დეკაბრისტული მოძრაობის პერიოდში და მისი დამარცხების შემდეგაც რუსეთში არ დამცხრალა. ამ მხრივ მეტად საშიშმა მდგომარეობამ აიძულა კიდეც ნიკოლოზი 1826 წ. 12 მაისს სპეციალური მანიფესტით საჯაროდ განეცხადებინა: „თუ ჩვენი ამ ბრძანების შემდეგ ადგილი ექნება რაიმე უწესრიგობას სახაზინო ან საბატონო გლეხებში და შინამოსამსახურეთა შორის, იმ ყალბი ცნობების საფუძველზე, რომ თითქოს ისინი თავისუფალნი არიან გადასახადებისაგან და მემამულეთა კანონიერი ხელისუფლებისაგან, დამ-

ნაშავეებს თავს დაატყდებათ ჩვენი კანონიერი რისხვა და დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით". ასეთი განცხადების გაკეთება მართლაც სჭიროდა რუსეთის ახალ თვითმპყრობელს, რადგან სწორედ ამ დროს ქვეყნის განაპირა მხარემდეც მიაღწია სენატის მოედანზე იარაღის ქუხილის ხმამ და გლეხურ მოსახლეობას ბატონყმურ ურთიერთობისათვის თავის დაღწევის მისწრაფება გაუღვივა.

მთელი XIX საუკ. პირველი ნახევრის განმავლობაში ცარიზმის ზღურბლთან იდგა მახვილაღმართული გლეხი და იგი შიშსა და ძრწოლას გვრიდა თავადაზნაურობას. მართალია, ამ დროს არ მომხდარა ისეთი გრანდიოზული მასშტაბის გამოსვლა, როგორც იყო, მაგალითად, რაზინისა ან პუგაჩოვისა, მაგრამ გლეხთა მღელვარებებს, რომლებიც სხვადასხვა ფორმით იფეთქებდნენ ხან ერთ, ხან მეორე გუბერნიაში, გააჩნდათ წინანდელისაგან განსხვავებული ახალი თვისება. ეს იყო თავისუფლების უფლებისადმი ღრმა შეგნება, შეგნება იმისა, რომ ბატონყმობა ან თვითმპყრობელობა არ წარმოადგენს ღვთით დაკანონებულ მოვლენას და რომ გლეხსაც აქვს უფლება ამ ქვეყანაზე იცხოვროს ადამიანურად, თავისუფლად, ბატონის გარეშე. თვით ნიკოლოზის თვალი და ყური — III განყოფილება თავის მოხსენებაში იმპერატორისადმი შემდეგს აღნიშნავდა: „ხალხი ის აღარაა, რაც ამ 30—40 წლის წინათ იყო. ყოველწლიურად გლეხობაში მატულობს თავისუფლების შეგნება. გლეხთა მღელვარებანი ხდება არა მარტო ექსპლოატაციის შედეგად, არამედ იმის გამოც, რომ მათში მტკიცდება შეგნება თავისუფლების უფლების შესახებ". III განყოფილება ყურს უგდებდა იმპერიის გლეხთა ღაღადს, ანალიზს უკეთებდა რა ამ მიმართულებით შექმნილ მდგომარეობას, თვითვე აღიარებდა, რომ საერთოდ ბატონყმური ურთიერთობა არის თოფისწამლის საწყობი სახელმწიფოს ქვეშ. ის დიდათ საშიშია, რადგან ჯარისკაცები იმავე გლეხებისაგან შესდგებიან. გარდა ამისა, ამჟამად იმპერიაში მოიპოვება მთელი მასა უმამულო აზნაურებისა და მოხელეებისა, რომლებიც პატივმოყ-

ვარეობით არიან შეპყრობილნი და არაფერს .კარგავენ რა, მოხარულნი არიან ყოველგვარ უწესოებათაო.

XIX საუკუნის მეორე მეოთხედში გლეხთა მოძრაობის შემთხვევებმა რუსეთში საგრძნობლად იმატეს. 1801 წლიდან 1861 წლის 19 თებერვლამდე — ე. ი. ბატონყმობის გაუქმების შესახებ მანიფესტის გამოქვეყნებამდე რუსეთში აღრიცხულია გლეხთა მღელვარების 1467 შემთხვევა. ამათგან XIX საუკ. პირველ მეოთხედზე (1801—1825 წ.წ.) მოდის 281 შემთხვევა (19%), ხოლო მეორე მეოთხედზე (1826-1854) — 712 შემთხვევა (49%), ყირიმის ომის შემდგომ პერიოდზე (1855-1861 წწ.) — 474 შემთხვევა.[1]

მარტო 1826 წელს გლეხთა მოძრაობას სხვადასხვა ფორმით ადგილი ჰქონდა რუსეთის 26 გუბერნიაში. ამათგან მასობრივობით და გამოკვეთილი ანტიბატონყმური ხასიათით გამოირჩეოდნენ მღელვარებანი კიევის გუბერნიაში, სადაც უსათუოდ იყო დეკაბრისტთა სამხრეთ საზოგადოების, კერძოდ ჩერნიგოვის პოლკის გამოსვლის, გავლენა. წლების განმავლობაში გრძელდებოდა ურალის სამთო ქარხნების ყმა გლეხების მღელვარებანი. 1826 წელს, მაგალითად, გაიფიცნენ რედვინის ქარხნის ყმაგლეხები. 1828—29 წლებში მღელვარებებს ჰქონდა ადგილი ზემო ისეცკის ქარხნის მუშათა შორის, რაც ჩახშობილ იქნა მთავრობის ძალების გამოყენებით. მთელი სამი წლის (1825—1828) განმავლობაში გრძელდებოდა ეკატერინბურგის მაზრის მემამულეების ტურჩანინოვების წინააღმდეგ ყმა-გლეხების ბრძოლა, რომელიც აგრეთვე მკაცრად იქნა ჩახშობილი ჯარების დახმარებით.[2]

1830—1831 წლებში რუსეთს გადაუარა ე. წ. „ქოლერულმა ბუნტებმა". ქოლერამ თავი იჩინა 1828—1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, მოქმედ არმიაში. მთავრობას შეეშინდა რა ამ საშიში ეპიდემიური დაა-

---

[1] И. Игнатович, Крестьянские волнения первой четверти XIX в. жур. „Вопросы истории", 1950 г. № 9.

Я. М. Линков, Очерки истории крестьянского движения в России в 1825—1861 гг. Учпедгиз, 1952 г.

ვადებისა, მიიღო წინასწარი ზომები კარანტინებისა და სხვა სახით. მაგრამ ამან ქოლერის გავრცელება ვერ აღკვეთა. 1830-31 წლებში მთელს რუსეთში, განსაკუთრებით ორენბურგის გუბერნიაში, ასტრახანში, მთელი ვოლგის გაყოლებით, დაბოლოს შიდა რუსეთშიც თავი იჩინა ქოლერის მასობრივმა ეპიდემიამ, რომელმაც რუსეთს თავს დაატეხა დიდი უბედურება. მარტო 1831 წელს არასრული სტატისტიკური მონაცემებით რუსეთში ქოლერით დაავადდა 466 ათასი კაცი, რომელთაგან 42 პროცენტი გარდაიცვალა.

მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებანი ამ გადამდები სენის წინააღმდეგ ქმედითი ვერ აღმოჩნდა. ადგილობრივი ხელისუფლების უილაჯობის, მემამულეთა სიხარბის და თავგასულობის ვითარებაში კარანტინები ხალხისთვის ახალ უბედურებად იქცა. კარანტინებში თვეობით ეყარა მშიერ-მწყურვალი ხალხი. ჩაკვდა ბაზარი, მთელ რიგ ადგილებში დაიწყო შიმშილობა. ზამთარში კარანტინებს არ ათბობდნენ და ხალხი სიცივით იყინებოდა. კარანტინების და ეპიდემიურ საავადმყოფოების მომსახურე პერსონალი ადგილებზე ძირითადად სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან იყო შედგენილი, რომლებიც ამ ვითარებაში ხელს ითბობდნენ და სენს უფრო ავრცელებდნენ. მთავრობის მიერ ასეთმა მიშვებულობამ მოსახლეობას მოთმინება დაუკარგა. გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ადმინისტრაცია და მკურნალები თვით წამლავდნენ ჭებს და განგებ ავრცელებდნენ სენს, რომ შემდეგ ხელი მოეთბოთ. ზოგ ადგილებში გამხეცებული ბრბო დაერია კარანტინებს, საავადმყოფოებს, მთავრობის მოხელეებს და დაუწყო ანგარიშსწორება.

ქოლერის მღელვარებანი, მართალია, ეპიდემიურ დაავადებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ თავისი სოციალური ბუნებით ანტიბატონყმური ხასიათისა იყო. ამ მოძრაობაში ნათლად ჩანდა ფეოდალური ექსპლოატაციისაგან განაწამები, მოთმინება აღვსილი, დაღუპვის პირზე მისული მშრომელი მასების მძაფრი პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

1830 წლის ივნისში სევასტოპოლში დაიწყო მოსახლეობის

ფართო აჯანყება. იგი დაკავშირებული იყო მოსალოდნელ ეპიდემიასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის მიერ გატარებული საკარანტინო ღონისძიებებთან. კარანტინების გამო მოსახლეობას შემოაკლდა საჭირო სურსათი. ბაზარი გაძვირდა, სპეკულაცია გაიზარდა. მოხელეებმა დაიწყეს ხალხის გაჭირვებაზე ხელის მოთბობა. ფლოტის ეკიპაჟის მატროსები და მუშები დაერივნენ უფროსებს. ადგილობრივმა გარნიზონმა აჯანყებულთა მხარე დაიკავა. მეზღვაურებს საარტილერიო და სახომალდო დასახლების მცხოვრებნიც შეუერთდნენ. ქალაქი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები. ჯარის ნაწილები გამოთხოვილ იქნა მეზობელ ქალაქებიდან. თვით აჯანყებულთა შორის არ იყო ერთსულოვნება. სტიქიურ, უპროგრამო გამოსვლას მთავრობამ მალე ბოლო მოუღო.

1830 წლის ნოემბერში მძლავრ გამოსვლას ჰქონდა ადგილი ქალ. ტამბოვის საგარეუბნო სოფელ — ნიკოლსკში. აქ ეპიდემიურ საავადმყოფოში ქოლერით გარდაიცვალა რამდენიმე კაცი. მოსახლეობაში ხმა დაირხა, რომ ისინი მოწამლეს მკურნალებმა, რომლებმაც ამისთვის გამოიყენეს ცხელი ვანები და მიშიაკი. ბრბო თავს დაესხა საავადმყოფოს, დალეწა იგი, ავადმყოფები სახლებში გადაიყვანეს, მკურნალები კი შებოჭეს და ქოლერიანთა პალატაში ჩააგდეს. მალე მღელვარება მთელ ტამბოვს მოედო. მოსახლეობის წინააღმდეგ სცადეს ადგილობრივი შინაგანი დაცვის ბატალიონის გამოყენება, მაგრამ ეს ბატალიონი საიმედო არ აღმოჩნდა. აჯანყების კერა თანდათან ფართოვდებოდა. მოსახლეობა მათთვის საძულველ ადამიანებს ანგარიშს უსწორებდა. საჭირო გახდა ჯარის რეგულარული ნაწილების გამოწვევა მეზობელი გუბერნიებიდან. მდგომარეობა იმდენად სერიოზული შეიქმნა, რომ ტამბოვში ჩავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი. ჯარების დახმარებით ამბოხება ჩააჭრეს.

ქოლერის ეპიდემიასთან იყო დაკავშირებული ნოვგოროდის სამხედრო დასახლებაში დიდი მასშტაბის მოძრაობა, რომელიც 1831 წელს დაიწყო. საბაბი გამოსვლისათვის გახდა მოსახლეობის უკმაყოფილება იმ ღონისძიებათა გამო, რასაც

მთავრობა ქოლერის საშიშროებასთან დაკავშირებით ახორციელებდა. მისი ნამდვილი მიზეზები კი უფრო ღრმა იყო და წარმოადგენდა ბუნებრივ გაგრძელებას იმ მღელვარებებისა, რომლებმაც სამხედრო დაბები მოიცვა 1818—1820 წლებში. სამხედრო დასახლების ჯარისკაცთა და გლეხთა მდგომარეობა აუტანელი იყო. ოფიცერთა თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა.

აჯანყება პირველად ნოვგოროდის გარეუბანში დაბანაკებულ ერთერთ პოლკში დაიწყო. მალე იგი მოედო მთელ ოლქს. ჯარისკაცები აქაც იგივე მეთოდს მიმართავდნენ: ატუსაღებდნენ ოფიცრებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს. მათ მკაცრად სჯიდნენ, ზოგჯერ ჰკლავდნენ კიდეც. სამხედრო მოსახლეთა ანტიბატონყმურმა აგიტაციამ მებატონეთა გლეხებიც ფეხზე დააყენა, რომლებმაც მემამულე შაბრანსკის სახლკარი გაანადგურეს. ნოვგოროდთან ერთად აჯანყდნენ სტარაია რუსას სამხედრო მოსახლენი და საბატონო გლეხებიც. საჯანყებო განწყობილებამ მოიცვა მეზობელი პსკოვის გუბერნია, პეტერბურგის გუბერნიის რიგი სოფლებისა. გლეხობა უარს ამბობდა ყმურ ვალდებულებათა შესრულებაზე, შეიარაღებული რაზმებით ესხმოდა თავს მემამულეებს, ანადგურებდა მათ სახლკარს. ჯარისკაცები ჰკლავდნენ ოფიცრებს. სტარაია რუსაში ჯარისკაცებმა დაანგრიეს ყაზარმები. იქაური პოლკი აჯანყებულებს შეუერთდა. მათ დაანგრიეს დივიზიის შტაბი, მოჰკლეს 20 ოფიცერი, სასიკვდილოდ სცემეს გენერალ ლეონტიევს და მთავრობის მოხელეებს.

ასეთი დიდი მასშტაბის აჯანყებამ მთავრობა დააფრთხო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩერნიშევმა დაიწყო ენერგიული ზომების მიღება. ნიკოლოზი მოითხოვდა სასტიკ ანგარიშსწორებას ამბოხებულებისადმი.

სწორედ ამ დროს ცარიზმი მშფოთვარე დღეებს განიცდიდა. პოლონეთში მძვინვარებდა მძლავრი აჯანყება. მღელვარების ტალღები ედებოდნენ ლიტვასა და ლატვიის მხარეს. ევროპაში აზვირთებული იყო მძლავრი განმათავისუფლებელი მოძრაობა. ნიკოლოზის არმიები პოლონეთში იყო დაბანდებული. ნოვგოროდში ასეთი მასშტაბის გამოსვლა ნიკოლოზისათვის

ნიშნავდა ხანძარს საკუთარ სახლში. ამიტომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მის ჩაქრობას და ამ საქმეს ჩაუდგა სათავეში. ნიკოლოზი გაემგზავრა აჯანყების ადგილზე. იმპერატორი მიზნად ისახავდა აგრეთვე მოეხდინა აჯანყებულებზე პირადი ზემოქმედება და დაეშოშმინებინა ისინი. ეს მან ვერ განახორციელა, თუმცა შემდეგ, ნიკოლოზისვე კარნახით მისმა ისტორიკოსებმა შექმნეს მითი ჯარისკაცების წინაშე მისი გმირობისა და მისი სიტყვების ზემოქმედების შესახებ.

ამბოხება ნოვგოროდის გუბერნიაში ჩახშობილ იქნა მთავრობის ჯარების გამოყენებით. ამ საქმეს ნიკოლოზთან ერთად ხელმძღვანელობდნენ გენერლები ორლოვი და კლეინმიხელი. 3860 მეამბოხე დასჯილ იქნა სხვადასხვა სასჯელით: შპიცრუტენებით, გაროზგვით, ციმბირში გადასახლებით. მრავალ მათგანს ამ სასჯელმა იქვე სიკვდილი არგუნა.

ნოვგოროდის გუბერნიის სამხედრო მოსახლეთა ამ აჯანყებიდან ცარიზმმა თავისი დასკვნები გააკეთა. III განყოფილება თავის ანგარიშში წერდა, რომ ნოვგოროდში 1831 წლის გამოსვლამ დააფიქრა მთავრობა, აღძრა აზრი დედაქალაქის მახლობლად სამხედრო დასახლებათა საშიშროების შესახებ. მიზანშეწონილად იქნა აღიარებული ნოვგოროდის სამხედრო დასახლების დაშლა, მაგრამ იმაზე ყოყმანობდნენ რომ ამ ღონისძიებამ არ აფიქრებინოს მოსახლეობას, რომ მან თითქოს გამარჯვებას მიაღწია.[1]

როგორც ვხედავთ, რუსეთის ცარიზმი გლეხთა მღელვარებებს დაუნდობლად უსწორდებოდა. მაგრამ ამ გზით მას არ შეეძლო ქვეყანაში მშვიდობის დაცვა. გლეხობის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, ამასთან დაკავშირებით ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა მოძრაობის კერებიც. ქოლერის ეპიდემიას რუსეთში დაემატა მოუსავლიანობა ზედიზედ სამი წლის განმავლობაში (1832—1834). უკრაინაში, ვოლგისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ურალში, ბესარაბიაში, რიგ

---

1 Я. И. Линков, Очерки истории крестьянского движения в России с 1826-1861 гг. эз. 81.

ცენტრალურ გუბერნიაში მოუსავლიანობას მოჰყვა მისი განუყრელი თანამგზავრი — შიმშილობა. გაძვალტყავებული გლეხობა უარს ამბობდა ღალა-ბეგარის მოხდაზე. კლასობრივი ბრძოლა სოფლად უკიდურესობამდე გამწვავდა. მღელვარების მძლავრი კერები აღმოცენდა სახაზინო გლეხობაში, რომელიც მთავრობის მოხელეთა თვითნებობის პირობებში აუტანელ ექსპლოატაციას განიცდიდა. 1834 წელს მოძრაობამ თავი იჩინა ციმბირის გუბერნიის სიზრანის მაზრის სახაზინო გლეხებში, რომლებიც სახომალდო ტყეს ამზადებდნენ. 1835 წელს აჯანყდნენ კურსკის გუბერნიის დმიტროვის მაზრის რიგი სოფლები, 1833—38 წლებში არხანგელსკის გუბერნიის რიგ მაზრებში მიმდინარეობდა მძლავრი გამოსვლა, რომელიც გამოკვეთილ ანტიბატონყმურ ხასიათს ატარებდა და სხვ.

ყველაზე მძლავრი ამ პერიოდის სახაზინო გლეხობის გამოსვლათა შორის იყო ურალისპირეთის სახელმწიფო გლეხთა მღელვარება 1834—1835 წლებში. ამ მხარეში მოსახლეობდა ადრე ბატონყმურ ექსპლოატაციისაგან თავშეფარებული გლეხობა, რომელიც ამ დროისათვის უკვე დაკაბალებული იყო ადგილობრივი ბიუროკრატიული -აპარატის მიერ.

გამოსვლის საბაბად იქცა მთავრობის ღონისძიება, ურალისპირეთის გლეხობის საუფლისწულო უწყებაში გადაცემის შესახებ. პერმის გუბერნიის გლეხობამ იცოდა, რომ ეს მათთვის ნიშნავდა ჩაგვრის გაორკეცებას. მღელვარება დაიწყო 1834 წლის ზამთარში. 1835 წლის გაზაფხულზე მან ფართო ხასიათი მიიღო, მასში ჩაბმული აღმოჩნდა ხუთი ათასამდე გლეხი, რომლებმაც მთავრობის ჯარებს ენერგიული ბრძოლა გაუმართეს. მალე მოძრაობაში ჩაებნენ ორენბურგის გუბერნიის ბაშკირები, უფის გუბერნიის სახელმწიფო გლეხები. მთავრობამ სასტიკი ზომებით 1835 წლის აგვისტოს მიწურულში ჩაახშო ამბოხება. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა იგი ბაშკირებს, ამ საქმეში მან გამოიყენა თვით ბაშკირთა გაბატონებული ზედაფენა.

გლეხთა ეს განუწყვეტელი მზარდი მღელვარებანი, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ცარიზმს მოსვენებას არ აძლევდა და

აიძულებდა ეფიქრა ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც ოდნავ ჭაინც დააკმაყოფილებდა გლეხთა მოთხოვნებს, ამავე დროს პატრონობას შეუნარჩუნებდა თვითმპყრობელურ ბატონყმურ რეჟიმს. იგივე III განყოფილება ასეთ რჩევას იძლეოდა: „ოდესღაც და რაღაცათი უნდა დავიწყოთ, და უკეთესია დავიწყოთ თანდათანობით, ფრთხილად, ვიდრე ველოდოთ თუ როდის დაიწყება იგი ქვევიდან, ხალხისაგან. თუ თვით მთავრობისაგან მიღებულ იქნება ჩუმი, უხმაურო ღონისძიება და დაცული იქნება გონიერი თანდათანობითობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გადაიქცეს იგი მბსნელ საშუალებად. რომ ეს აუცილებელია და რომ გლეხობა წარმოადგენს თოფისწამლის ნაღმს, ამაზე ყველანი თანახმანი არიანო". როგორც ვხედავთ, თვით მთავრობის წრეებში თანდათან მწიფდებოდა აზრი ბატონყმურ ურთიერთობაში არსებით ცვლილებათა შეტანის შესახებ. ეს ცვლილებანი ზევიდან, უმტკივნეულოდ უნდა გატარებულიყო. ეს იყო მთავარის შენარჩუნებისათვის მცირედის დათმობის ის მეთოდი, რომელსაც გაბატონებული კლასი და მისი მმართველი ორგანო ხშირად მიმართავს ხოლმე კრიზისულ ეპოქაში. ამ შინაარსის სიტყვები გაიმეორა სწორედ საგლეხო რეფორმის წინ ალექსანდრე მეორემაც და საერთოდ, როგორც ქვევით დავინახავთ, სამოციანი წლების ბურჟუაზიული რეფორმები ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.

ნიკოლოზის მოხელეებს ცალ ხელში ყოველთვის ხიშტი და მათრახი ეჭირათ, მეორე ხელით ფარულად, ფრთხილად, თანდათანობით ადგენდნენ ღონისძიებებს კრიზისულ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. მაგრამ ამ ღონისძიებებს თანმიმდევრული განხორციელება არ ეწერათ. მთავრობის ამ მძიმე მდგომარეობის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა ნიკოლოზის ეპოქის განათლებული მოხელის პ. დ. კისელიოვის სიტყვები სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 1842 წელს. „ეჭვი არ არის — ამბობდა იგი — რომ ბატონყმობა ჩვენში, მის ახლანდელ მდგომარეობაში ბოროტებაა, რაც ყველასათვის თვალსაჩინოა და ხელშესახები, მაგრამ მისდამი შეხება იქნებოდა კიდევ უფრო დამღუპველი".

გლეხთა საკითხის მოწესრიგებისთვის ზრუნვა ნიკოლოზ I დაავალა სწორედ ამ კისელიოვს, რომელსაც იგი უწოდებდა მის „შტაბის უფროსს გლეხურ ნაწილში". კისელიოვი ახლო ურთიერთობაში იყო სპერანსკისთან. ამ ორმა განათლებულმა მოხელემ ცარიზმის ინტერესების შესაბამისად ხელი მოჰკიდა ახალი ღონისძიების დამუშავებას. 1835 წელს ნიკოლოზის ბრძანებით შექმნილ საიდუმლო კომიტეტის სულისკვეთება იმაში მდგომარეობდა, რომ თანდათანობით განხორციელებულიყო რუსეთში ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაცია აზნაურთა ეკონომიური და პოლიტიკური პრივილეგიების შენარჩუნებით. კომიტეტის პირველი ღონისძიება სახელმწიფო გლეხებს შეეხებოდა.

პ. დ. კისელიოვის პროექტის თანახმად 1837 წლის 26 დეკემბრის კანონით შეიქმნა სახელმწიფო ქონების განსაკუთრებული სამინისტრო, რომელსაც დაეკისრა სახელმწიფო გლეხებზე ზრუნვა. მათი დაცვა, მათგან გადასახადების აკრეფა, ერთი სიტყვით, მათი უფლება-მოვალეობის განსაზღვრა და განხორციელება. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, გუბერნიები დაიყო ოლქებად, ოლქები თემებად, თემები სოფლებად. გუბერნიებში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ქონების პალატები. ოლქებს სათავეში ჩაუყენეს უფროსები მოხელეთა დიდი შტატით. ასეთივე გაბერილი მმართველობა შეიქმნა თემებშიც. მთელი ამ ბიუროკრატიული აპარატის ვალდებულება იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო გლეხებისათვის თვალყური ედევნებინა და მტკიცედ დაეცვა მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი, აღეზარდათ გლეხობა ხელისუფლებისა და ეკლესიისადმი ერთგულების სულისკვეთებით.[1]

კისელიოვმა სცადა ყმა გლეხებისა და მათ მებატონეთა ურთიერთობაშიც ცვლილების შეტანა. 1839 წელს შექმნილ ასევე საიდუმლო კომიტეტში დაისვა საკითხი მემამულეებსა და ყმა გლეხებს შორის ნებაყოფლობით შეთანხმებაზე. აქ მკაც-

[1] ამ საკითხზე იხ. სპეციალური ფუნდამენტური გამოკვლევა Н. М. Дружинин, Государственные крестьяне и реформа Киселева, том. I-II.

რად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული გლეხური ნადელები და ვალდებულებანი. პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე გლეხის პირად თავისუფლებას და მის მორჩილებას სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. ეს მართლაც ერთგვარი შეღავათი იქნებოდა გლეხობისათვის, თუმცა მთელი მიწა-წყალი ძველებურადვე რჩებოდა მემამულისა და ხაზინის საკუთრებად. ამ პროექტმა ბატონყმური რეჟიმის თავგამოდებულ დამცველებს მოსვენება დაუფრთხო. ბევრს იგი ბატონყმობის ლიკვიდაციად მოეჩვენა. შეშინდა თვით იმპერატორიც და იგი რეაქციული ჯგუფის მხარეზე დადგა. პროექტი შეიზღუდა, შეიკვეცა და 1842 წელს გამოქვეყნებული იქნა კანონი „ვალდებულ გლეხთა შესახებ", რომელიც მემამულეს, თუ კი იგი ამას თვით მოისურვებდა, უფლებას აძლევდა დაედოთ გლეხებთან ხელშეკრულება, ხელშეკრულებით გლეხებს მიეცემოდა მიწის ნაკვეთი მასთან დაკავშირებული ვალდებულებებით. მიწის მესაკუთრედ რჩებოდა ისევ მემამულე, რომელსაც აგრეთვე შენარჩუნებული ექნებოდა ადმინისტრაციულ-სასამართლო უფლებები. ამ კანონსაც კი რუსეთის მემამულე თავადაზნაურობიდან ძალზე მცირე რიცხვი გამოეხმაურა. 10 მილიონი ყმა გლეხიდან ხელშეკრულება მხოლოდ 24 ათას გლეხზე იქნა გაფორმებული.

მოსალოდნელი შედეგები ვერ გამოიღო ვერც სახელმწიფო გლეხების მართვის საქმეში განხორციელებულმა ღონისძიებამ. მართალია, გლეხობას ერთგვარი შეღავათი მიეცა (მიწების მიცემა, სკოლების გახსნა, გზების შეკეთება და სხვა), მაგრამ სახაზინო გლეხები მალე მრავალრიცხოვან მოხელეთა თვითნებობის მსხვერპლი აღმოჩნდნენ. სათემო ორგანოები თავადაზნაურულ ბიუროკრატიას დაუმორჩილდა. მოხელეთა ბოროტმოქმედებას საზღვარი არ უჩანდა. გლეხობამ ვერ ამოისუნთქა და მას შეუმუშავდა შთაბეჭდილება, რომ მღვდლებმა და მოხელეებმა ისინი მემამულე კისელიოვს მიჰყიდეს (კისელიოვი 1837 წ. შექმნილ სამინისტროს ჩაუდგა სათავეში). მოტყუებული გლეხობა ისევ აღშფოთდა და აღსდგა თავისი უფლებების დასაცავად. 1841—1845 წლებში სახაზინო გლეხთა

მასობრივ მღელვარებებს ჰქონდა ადგილი პერმის და ორენ-ბურგის გუბერნიებში, ვიატკის გუბერნიაში, ვოლგისპირეთში. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მოძრაობამ მიიღო ურალის გუბერნიის ჩელიაბინსკის და შარდინსკის მაზრებში. მთავრობამ კვლავ აამოქმედა შაშხანები და მათრახები. გლეხთა მასობრივი გამოსვლები ჩახშობილ იქნა.

ცარიზმის საგარეო პოლიტიკის ხასიათი 1826—1847 წლებში

ისტორიის გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსი ამ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ხასიათით არის შეპირობებული და მას გაბატონებული კლასის ინტერესები განსაზღვრავს. ფეოდალურ-ბატონყმურ რუსეთში, რომლის პოლიტიკურ ზედნაშენს ცარიზმი წარმოადგენდა, საგარეო პოლიტიკა თავად-აზნაურული ზედაფენის ნება-სურვილს გამოხატავდა და მთლიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერიის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობისა და პრესტიჟის შემდგომ განმტკიცებას ემსახურებოდა.

ალექსანდრე პირველის გარდაცვალებას და რუსეთის საიმპერატორო ტახტზე ნიკოლოზ პირველის ასვლას რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებში არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია. რუსეთი კვლავ რჩებოდა საღვთო კავშირის პრინციპების ერთგული, ლეგიტიმიზმის დამცველი. ამავე დროს თვალი მუდამ სრუტეებზე და ბალკანეთზე ეჭირა, რომ ყოველი ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა ახლო აღმოსავლეთში მტკიცედ დამკვიდრებისათვის.

ვენის კონგრესისა და საღვთო კავშირის პრინციპებისადმი ერთგულება, რა თქმა უნდა, რუსეთის და საერთოდ, ევროპულ სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკაში სრულებითაც არ გულისხმობდა რაღაც განყენებულ, რეალობიდან მოწყვეტილ, მუდმივსა და უცვლელ იდეებს, რომლებიც თითქოს

ყველა ვითარებაში საღვთო კავშირის მონაწილე ყველა ქვეყანისათვის უმაღლესი და წმიდათა წმიდა უნდა აღიარებულიყვნენ. ამ პრინციპებში თვითეული ქვეყანა საკუთარ რეალურ ინტერესებს გულისხმობდა და მხოლოდ ამ კუთხით წარმართავდა მის გაშიფვრას და დაცვას. ევროპაში მონარქიული რეჟიმის სახელმწიფოთა პოლიტიკური წონასწორობის დაცვის თეორიული დასაბუთებისათვის აღიარებული ლეგიტიმიზმიც პრაქტიკულად საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თანდათან ისევ უბრუნდებოდა თავის ტრადიციულ აგრესიულ პოლიტიკას, ხოლო მეორე ევროპაში უძლიერესი და მთელ მსოფლიოში გაბატონებული კოლონიური სახელმწიფო ხდებოდა.

XIX საუკ. პირველ ოცწლედში ევროპის სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში მაინც ამ კონტინენტის გადანაწილების საკითხი იდგა. ნაპოლეონ პირველმა, როგორც ცნობილია, ხელჰყო რა ევროპულ სახელმწიფოთა ნაციონალური ინტერესები, მთელ კონტინენტზე გაბატონება განიზრახა. იგი მცირე მანძილითღა იყო დაშორებული ამ სანუკვარ მიზანს, რომ იძულებით შეკოწიწებული და შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე მისი იმპერია დაიშალა. გამარჯვებულმა მხარემ გულუხვად დააჯილდოვა თავისთავი, უმთავრესად პატარა სახელმწიფოთა ხარჯზე და ხმალამოწვდილი დარაჯობდა თავის მონაპოვარს. ჰაგრამ სწორედ ამ დროს დაქროლა ევროპაში რევოლუციის ახალმა ქარიშხალმა და მონარქისტების გამარჯვების ნაყოფს და ამასთან ერთად მთელ სისტემას განადგურებით დაემუქრა. ასეთ ვითარებაში მეფის რუსეთს, რომელიც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა რეაქციული კავშირის სულისჩამდგმელს და დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა, აღარ ეცალა ახლო აღმოსავლეთისათვის. ალექსანდრე პირველი საღვთო კავშირის კონგრესებზე იყო დაკავებული და პარტნიორებთან ერთად ანაწილებდა ძალებს, რომლებსაც ევროპის რამდენიმე კუთხეში ერთდროულად აღმოცენებული ხანძარი უნდა ჩაექროთ.

ნიკოლოზს, ისე როგორც ალექსანდრეს, პოლიტიკური

წონასწორობის დაცვა ევროპაში უპირველეს ამოცანად ესახებოდა. იგი მთელი სულითა და გულით, ყველა შემთხვევაში ფხიზლად იდგა ფეხზე მონარქისტული ევროპის რევოლუციის ტალღისაგან დასაცავად, მას მუდამ მზადყოფნაში ჰყავდა საექსპედიციო კორპუსები ევროპაში რევოლუციური ხანძრის ჩასაქრობად. მთელი თავისი არსებით თანმიმდევრულად და გულმხურვალედ ახორციელებდა როლს ევროპის ჟანდარმისა და აღსავსე იყო იმის რწმენით, რომ რევოლუციური ხანძრის ჩახშობა მის პირველსავე კერაში რუსეთის თავადაზნაურული რეჟიმის სიმტკიცის მთავარ გარანტიას წარმოადგენდა. მაგრამ იგივე რუსეთი ევროპაში რევოლუციური ქარიშხლის დაცხრომის პირველსავე შემთხვევაში ისევ დღის წესრიგში აყენებდა აღმოსავლეთის საკითხს, რომლის გადაჭრას მისთვის შავ ზღვაზე, კონსტანტინეპოლში, ბალკანეთში უპირატესი პოზიციების შექმნა უნდა მოჰყოლოდა.

„აღმოსავლეთის საკითხი“ როდი წარმოადგენდა მხოლოდ რუსეთის დიპლომატიის კერძო ცენტრალურ ამოცანას. ამ საკითხით დაინტერესებული იყო მთელი ევროპა. ყველაზე მეტად აქ ეჯახებოდნენ ერთმანეთს რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის და ბოლოს პრუსიის ინტერესები. მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა გაშმაგებული ფარული და აშკარა დიპლომატიური ბრძოლა, ხოლო მისი უკიდურესად გამწვავების შედეგად შეიარაღებული ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის. „როგორც კი დროებით ჩაცხრება რევოლუციის ქარიშხალი — მიუთითებენ მარქსი და ენგელსი — დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ისევ ზედაპირზე ამოტივტივდება მუდმივი „აღმოსავლეთის საკითხი“.[1]

„აღმოსავლეთის საკითხის“ ასეთი მწვავე ხასიათი შეპირობებული იყო შემდეგი ვითარებით: ოდესღაც ძლიერი თურქეთია იმპერია XIX საუკუნის პირველ ნახევარში საგრძნობლად ჩამორჩა ქვეყანათა წინსვლის გზაზე და დაუძლურდა. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასა-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. IX, гг. 371-372.

წყისში რუსეთთან ზედიზედ განცდილმა მარცხმა იგი გამოფიტა. მას აღარც ძლიერი და დისციპლინირებული არმია გააჩნდა და აღარც ფინანსები. საწარმოო ძალთა წინსვლაა აფერხებდა უკვე დრომოჭმული, დამპალი ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა. აღმოსავლური დესპოტიზმის ძალებმა ამოსწურეს თავისი თავი. ქვეყანა კრიზისის წინაშე იდგა, გაძლიერდნენ ცენტრიდანული ძალები, გაიზარდა თურქეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების გამათავისუფლებელი მოძრაობა. ბალკანეთის სლავური ქვეყნები და საბერძნეთი შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ თურქეთის უღლისაგან გასათავისუფლებლად. ამ ბრძოლაში თურქეთი კიდევ უფრო სუსტდებოდა. მისი, როგორც დამოუკიდებელი იმპერიის არსებობას ახლა რეალური საფრთხე ემუქრებოდა.

თურქეთის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ასეთი შინაგანი ხრწნის და დასუსტების პროცესი მიმდინარეობდა იმ დროს, როცა ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგ განახლებული და განმტკიცებული ევროპული სახელმწიფოები აღმავლობას განიცდიდნენ. ბურჟუაზია, რომელმაც ინგლისსა და საფრანგეთში პოლიტიკური სადავეები იგდო ხელთ, ახლა გაცხოველებით ეძებდა ახალ სამფლობელოებს, ახალ ბაზარს, ნედლეულის წყაროებს, ახალ სახმელეთო და საზღვაო გზებს კოლონიურ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირისათვის. ასეთი გააფთრებული ძიების ვითარებაში პირველ რიგში თვალს იტაცებდა შავი ზღვის სრუტეები — ბოსფორი და დარდანელი, რომელიც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა ოქროს ხიდს ევროპისა და აღმოსავლეთის დასაკავშირებლად; აქ გადიოდა უდიდესი სავაჭრო გზები, აქ იყო თავმოყრილი ის უპირატესი სტრატეგიული პოზიციები, რომელიც მთელს შავ ზღვასა და არქიპელაგზე გაბატონებულ მდგომარეობას უზრუნველყოფდა.

რუსეთი, რომელიც თავისთავს ამავე დროს შავი ზღვის სახელმწიფოდ თვლიდა, პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა ხსენებული ზღვის სრუტეებს. ასევე მოუცილებლად ეჭირა მას თვალი კონსტანტინეპოლისაკენ და მიაჩნ-

და, რომ აქ გაბატონება შეუქმნიდა მას თავისუფალ გასასვლელს ხმელთაშუა ზღვაში, გააფართოვებდა მის ხელდრით წონას მსოფლიო ეკონომიურ ბაზარზე, განამტკიცებდა მის უპირატესობას ბალკანეთში, კავკასიაში, უზრუნველყოფდა რუსეთის სამხრეთის საზღვრების უშიშროებას და იძულებულს გახდიდა ავსტრიას მისი ნებისაგან დამოკიდებული ყოფილიყო.

XVIII საუკ. მიწურულიდან ბურჟუაზიულმა საფრანგეთმა უკვე შეძლო წინა აზიასა და ეგვიპტეში უპირატესი პოზიციების მოპოვება. მას არ ჩამორჩა ინგლისი, რომელსაც ამ დროისათვის ყველაზე განვითარებული მრეწველობა, უძლიერესი სავაჭრო ფლოტი და დიდი კომერციული ტრადიციები ჰქონდა. ინგლისი თურქეთის ეკონომიკაში ჩაერია. ტრაპეზუნდი თავის დასაყრდენ პუნქტად გადააქცია, ირანის მმართველ წრეებშიც დაიბუდა და ორივე მხრიდან დაიწყო ეკონომიური და დიპლომატიური შეტევა ამიერკავკასიიდან რუსეთის განდევნისა და ბალკანეთში უპირატესი მდგომარეობის მოპოვებისათვის. მოვლენებს არც ავსტრია ჩამორჩა, რომელიც ამ დროს დუნაიზე სავაჭრო ნაოსნობას ეწეოდა და ბალკანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მკვიდრდებოდა.

ევროპის წამყვან ძალთა ამ ჭიდილში იმპერიის მმართველ ზედაფენას არ სურდა მოელენების მშვიდი მაცქერალი ყოფილიყო. შავი ზღვის პრობლემა ცენტრალურ პრობლემად რუსეთისათვის ჯერ კიდევ ეკატერინეს ეპოქაში გახდა. მაშინ თურქეთთან ორი ომის შედეგად მოპოვებული წარმატებანი, რაც 1812 წლის ბუქარესტის ზავით კიდევ უფრო გაფართოვდა, ახლა ნიკოლოზის აზრით შეიძლება ნულამდე ყოფილიყო დაყვანილი, თუ რუსეთი ისევ წინა პლანზე არ წამოწევდა შავი ზღვის პრობლემას და შემტევი პოლიტიკით არ გამოიყენებდა იმ ძალებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ევროპის სახელმწიფოებმა დააჯგუფეს.

ამრიგად: ევროპაში პოლიტიკური წონასწორობის დაცვა. რევოლუციასთან შეუპოვარ ბრძოლაში რუსეთის თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული რეჟიმის შენარჩუნება, ახლო აღმოსავ-

ლეთში ევროპელი მოქიშპეების დაჯაბნვა, შავი ზღვის სრუტეების დაპატრონება და ბალკანეთში უპირატესი პოზიციების მოპოვება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხს წარმოადგენდა. ამასთან ეს საკითხები ერთმანეთს განაპირობებდნენ. თუ მეფის რუსეთი ევროპაში ტონის მიმცემად დარჩებოდა, და საღვთო კავშირში წამყვან როლს შეინარჩუნებდა, მაშინ იგი ახლო აღმოსავლეთიდან თავისი მოქიშპეების განდევნას და შავი ზღვის თავის საკუთრებად გადაქცევას მოახერხებდა.

ამ ძირითად პრობლემათა შუქზე რუსეთის ცარიზმის დამოკიდებულება ევროპის სახელმწიფოებისადმი შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

ცარიზმის თვალსაზრისით ევროპის უშიშროების უზრუნველსაყოფად კვლავ საჭირო იყო საერთაშორისო მეთვალყურეობა და კონტროლი საფრანგეთის მიმართ, რომელიც ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, ბურბონების რესტავრაციის მიუხედავად, კვლავ წარმოადგენდა ევროპის რევოლუციის მთავარ კერას. ივლისის რევოლუციამ საფრანგეთში კიდევ უფრო გააცხოველა ნიკოლოზის ეჭვები: საფრანგეთში მოვლენათა განვითარებას თავისებური გავლენა ჰქონდა პოლონეთზე, რომელიც ნიკოლოზს საკუთარ სახლში ხანძრის საშიშ კერად მიაჩნდა. ლუი ფილიპეც და ნაპოლეონ მესამეც საფრანგეთის ტახტზე ნაკლებად ამშვიდებდა ნიკოლოზს, რადგან ორთავე რევოლუციის მიერ წამოტივტივებულ მმართველებად და არა კანონიერ მონარქებად მიაჩნდა. ნიკოლოზი ასევე ფრთხილად ადევნებდა თვალყურს საფრანგეთის ინტენსიურ ჩარევას ახლო აღმოსავლეთის საქმეებში და ეს ჩარევა საკუთარი ინტერესების საზიანოდ მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ ნიკოლოზის მმართველობის მთელ მანძილზე რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა დაძაბული ჩანდა.

სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა ნიკოლოზის დიპლომატიას ინგლისის მიმართ. მართალია, ინგლისის პარლამენტური წყობილება იმპერატორს ზიზღს ჰგვრიდა, მაგრამ იგი თავს იმით იმშვიდებდა, რომ იმ ქვეყანაში მას მრავალი თანა-

მგრძნობი ჰყავდა კონსერვატორების ბანაკიდან და მეორეც — ინგლისს სათავეში ედგა დედოფალი — კანონიერი მონარქი, რომელთანაც მას შეეძლო ევროპის პოლიტიკური ბედის შესახებ მრავალი საერთო მოენახა: ინგლისთან რუსეთის ურთიერთობა წმინდა პრაქტიკულ მოსაზრებებს ემყარებოდა. ნიკოლოზს, მართალია შეცდომით, მაგრამ ღრმად სწამდა, რომ ნაპოლეონის ეპოქის შემდეგ თითქმის შეუძლებელი იყო ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესების შერიგება. ხოლო მათ შორის ინტერესთა ეს „გარდუვალი" წინააღმდეგობა რუსეთისათვის ხელსაყრელი ჩანდა ერთერთ მათგანზე დაყრდნობით მეორის წინააღმდეგ. ნიკოლოზს ისიც სჯეროდა, რომ ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე უკვე მძლავრად ფეხმოკიდებულ ინგლისს იარაღით ვერ განდევნიდა. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი ჩანდა ინგლისთან გარიგება, მასთან გავლენის სფეროების და კოლონიური ტერიტორიის გაყოფა, რა თქმა უნდა, საფრანგეთის სრულ იზოლაციის ვითარებაში. სწორედ მიუთითებს ისტორიკოსი მ. ნ. პოლიევქტოვი, რომ „იჩენდა რა ინგლისთან, როგორც მის ყველაზე მეტად ძლიერ მეტოქესთან დამოკიდებულებაში მუდამ სიფრთხილეს, იმპერატორი ნიკოლოზ I მასში გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე საფრანგეთში, ხედავდა პრინციპულ მოწინააღმდეგეს და თითქოს სრულიად გულწრფელად მზად იყო ეძია მასთან შეთანხმება ცალკეულ საკითხებში, პირველყოვლისა აღმოსავლეთის საკითხში და ყველა შემთხვევას იყენებდა ხაზი გაესვა ამ მხრივ ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესთა წინააღმდეგობისათვის".[1]

სხვა ხასიათს ატარებდა ნიკოლოზის დამოკიდებულება მისი უშუალო მეზობლების — პრუსიის და ავსტრიის მიმართ. როგორც იგივე პოლიევქტოვი შენიშნავს, ნიკოლოზ პირველის ეპოქაში საღვთო კავშირმა განიცადა საბოლოო კრისტალიზაცია აღმოსავლეთ ევროპის სამი მონარქიის—რუსეთის, პრუსიის და ავსტრიის სახით. ამიტომ პრუსიაც და ავსტრიაც მას წარმო-

---

[1] М. Полиевктов. Николай I, биография и обзор царствования. Москва. 1918, გვ. 93.

დგენილი ჰქონდა თავისი პოლიტიკური სისტემის აუცილებელ შემადგენელ ნაწილებად და ამ სისტემის სიმტკიცე მას სამივე შონარქიის მჭიდრო კავშირით ესახებოდა. ამიტომ განსაკუთრებით აღელვებდა ნიკოლოზს ესა თუ ის მოვლენა მისი მეზობლების ცხოვრებაში, ამიტომ ებრძოდა იგი ნაციონალურ მოძრაობას გერმანიაში, ამიტომ ეხმარებოდა იგი კრიტიკულ წუთებში ავსტრიის სამეფო კარს უნგრეთის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაც შეეხება თურქეთს, ნიკოლოზი სწორედ მის ხარჯზე აპირებდა ახლო აღმოსავლეთში მოკალათებას. მას მიაჩნდა, რომ თურქეთი „ავადმყოფი ადამიანია" და განიცდის კვდომის აგონიას. მისი სიკვდილის შემთხვევაში, ნიკოლოზის აზრით, რუსეთს, როგორც ყველაზე კანონიერ მემკვიდრეს, უნდა რგებოდა სტრატეგიულად ხელსაყრელი ტერიტორია — პირველ რიგში სრუტეები და კონსტანტინეპოლი. პირველ ხანებში ნიკოლოზი ამ სანუკვარ ოცნებას მაინც საიდუმლოდ ინახავდა და თანდათანობით აღწევდა იმას, რომ ჩაეშალა თურქეთში მისი მეტოქეების ზრახვები, შეენარჩუნებინა უპირატესი. ზოგ შემთხვევაში მოკარნახის როლი თურქეთის საშინაო და საგარეო ცხოვრებაში.

აკერმანის კონვენცია

ნიკოლოზის ტახტზე ასვლის მომენტში ბალკანეთში შექმნილი იყო ფრიად დაძაბული ვითარება. ჯერ კიდევ 1821 წელს თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდნენ ბერძნები. თურქეთმა ვერ შეძლო ბერძნების დამარცხება საკუთარი ძალებით და ეგვიპტის ფაშა მუჰამედ-ალი მოიშველია. ფაშას არმიამ ბერძენთა უმსხვილესი ქალაქები დაიკავა. აჯანყებულ ბერძნებს თურქებმა სისხლიანი ანგარიშსწორება მოუწყვეს; მაგრამ ბრძოლას დასასრული მაინც არ უჩანდა. ევროპის დიდი სახელმწიფოები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ბალკანეთის ამბებს და ცდილობდნენ ესარგებლათ ამ შემთხვევით თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად. ავსტრიას თურქეთის მხარე ეკავა და თავის პოზიციას, რომელსაც წმინდა პრაქ-

ტიკული მოსაზრებანი ედო საფუძვლად, ამართლებდა საღეთო კავშირის პრინციპებით. ალექსანდრე პირველმა მოინდომა მხარეთა კომპრომისით მოეგვარებინა თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობა. ბერძნებმა, დაჰკარგეს რა რუსეთის მხრივ ენერგიული მხარდაჭერის იმედი, თავიანთი ბედი ინგლისს ჩააბარეს. ინგლისმა კარგად იცოდა, რომ რუსეთის მონაწილეობის გარეშე ბალკანეთის საქმეებში გამგებლობა შეუძლებელი იქნებოდა და ნიკოლოზის ტახტზე ასვლისთანავე გააჩაღა მოლაპარაკება. ასეთი დავალებით გაგზავნა კანინგმა პეტერბურგში ჰერცოგი ველინგტონი, რომლისადმი ნიკოლოზი საერთოდ დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული. ამავე დროს პეტერბურგში ჩავიდა რუსეთის ელჩი ლონდონში ლიევენი. ნიკოლოზსა და ველინგტონს შორის გაიმართა მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების შედეგი იყო ე. წ. „პეტერბურგის ოქმი“ ხელმოწერილი 1826 წლის 23 მარტს ნესელროდეს, ლიევენისა და ველინგტონის მიერ. პეტერბურგის შეთანხმება ითვალისწინებდა საბერძნეთის საშინაო საქმეების ორგანიზაციას და მისდამი ორი მოქიშპე ქვეყნის — რუსეთისა და ინგლისის დამოკიდებულებას. საბერძნეთი იღებდა სრულ შინაგან ავტონომიას, რჩებოდა სულთანის ნომინალური უმაღლესი ძალაუფლება. საბერძნეთში ახალი წესწყობილების შენარჩუნების გარანტიას რუსეთი და ინგლისი ივალდებულებდნენ. ისინი კისრულობდნენ აგრეთვე კონსტანტინეპოლთან შუამდგომლობას, ამავე დროს აღიარებდნენ, რომ საბერძნეთის მიმართ არ გააჩნდათ არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები ან რაიმე უპირატესობისაკენ მისწრაფება.

რუსეთისათვის პეტერბურგის ოქმს, როგორც ამას შემდეგ ნიკოლოზი აღიარებდა, ჰქონდა ბალკანეთსა და თურქეთში ინგლისის მოქმედების ერთგვარი რეგლამენტაციის დანიშნულება. ეს მართლაც იყო იძულებითი შეთანხმება, რომელიც ორ მოწინააღმდეგეს არიგებდა. პეტერბურგის შეთანხმებას ავსტრია და პრუსია მტრულად შეხვდნენ და მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. საფრანგეთმა კი, რომელიც ამ დროს საბერძნეთთან სავაჭრო შეთანხმებებით იყო დაკავშირებული, გადაწყვიტა შეერთებოდა ინგლის-რუსეთის შეთან-

ხმებას. მოლაპარაკება გაგრძელდა ლონდონში და 1827 წელს პეტერბურგის ოქმი შეიცვალა ლონდონის კონვენციით. სამი ქვეყნის შეთანხმების ფარული დამატებანი ითვალისწინებდნენ აუცილებლობის შემთხვევაში საბერძნეთის საქმეებში შეიარაღებულ ჩარევასაც.

ნიკოლოზ პირველმა მოხერხებულად ისარგებლა რა ინგლისთან შეთანხმებით, ამავე დროს თურქეთის გართულებული მდგომარეობით ბალკანეთში, გადაწყვიტა უფრო ენერგიულად ემოქმედა და გადაედგა პრაქტიკული ნაბიჯი წინ აღმოსავლეთის პროგრამის ნაწილობრივ მაინც განხორციელებისათვის. პეტერბურგის ოქმის ხელმოწერის მეორე დღესვე კონსტანტინეპოლში გაიგზავნა ულტიმატუმის ხასიათის მოთხოვნილება, რომლის დასაკმაყოფილებლად თურქეთს ექვსკვირიანი ვადა ეძლეოდა. რუსეთმა მოთხოვა: თურქეთთან წინათ დადებული ხელშეკრულებების შესრულება არა მარტო რუსეთ-თურქეთის საზღვრების საკითხში, არამედ სერბეთის, მოლდავეთისა და ვალახეთის შინაგანი უფლებების საკითხში. (თურქეთს, წინათ დადებული ხელშეკრულებების მიუხედავად დუნაის სამთავროებიდან არ გამოჰყავდა ჯარები, არ ახორციელებდა იმ შეღავათებს, რაც ამ სამთავროებს მიეცათ)

ულტიმატუმისათვის რომ კატეგორიული ხასიათი მიეცა, რუსეთმა გააძლიერა თავისი შეიარაღებული ძალები თურქეთის საზღვართან და ამით აგრძნობინა სულთანს, რომ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას შეიძლება ომი მოჰყოლოდა. ევროპული სახელმწიფოები ამ ულტიმატუმს დუმილით შეხვდნენ. ავსტრიამაც კი ურჩია პორტას დაეთმო, ვინაიდან რუსეთ-თურქეთის ომს შეიძლება უარესი შედეგები მოჰყოლოდა. თურქეთი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. აკერმანში 1826 წ. ივლის-სექტემბერში სათათბიროდ შეიკრიბნენ ორივე ქვეყნის წარმომადგენლები — მ. ს. ვორონცოვი, ა. ი. რიბოპიერი, სეიდ მეჰმედ ხადი ეფენდი, დეფტერდარი და სხვ. 1826 წლის 26 სექტემბერს ხელმოწერილი იქნა ა კ ე რ მ ა ნ ი ს კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა.

აკერმანის კონვენციით თურქეთმა რუსეთს აღუთქვა 1812

წლის ბუქარესტის ზავის ყველა მუხლის შესრულება. 1791 წლის იასის ზავის და 1783 წ. სავაჭრო შეთანხმებათა დაცვა. რუსეთისათვის უზრუნველყოფილი ხდებოდა ზღვაოსნობისა და ვაჭრობის სრული თავისუფლება, მტკიცედ იქნა განსაზღვრული თურქეთის უფლებები მოლდავეთსა და ვალახეთში. ამ პროვინციებს მიეცათ ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლება, შინაგან მმართველობაში დამოუკიდებლობა. განმტკიცდა სერბეთის შინაგანი ავტონომია — მიეცა მას დამოუკიდებელი ადმინისტრაციული მოწყობის უფლება.

აკერმანის კონვენცია რუსეთის დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება იყო, მაგრამ მას დიდი ხნით არსებობა არ ეწერა. თურქეთი განსაკუთრებით შეაშფოთა საბერძნეთის საკითხში სამი დიდი სახელმწიფოს შეთანხმებამ. თურქეთმა ავსტრიის წაქეზებით უარი სთქვა დაეკმაყოფილებინა ლონდონის კონვენციის მუხლები. სწორედ ამ მომენტში განსაკუთრებული სისასტიკით მიჰყო მან ხელი აჯანყების ჩაქრობას საბერძნეთში და ამ საქმეში ეგვიპტის ფაშა მუჰამედ-ალი გამოიყენა.

მოკავშირეებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ საბერძნეთის საზღვაო სანაპიროების ბლოკირება. 1827 წელს ნავარინის ყურეში შევიდნენ რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის გაერთიანებული საზღვაო ძალები, რომელსაც სარდლობდა ინგლისის ადმირალი კოდრინგტონი. აქვე იყო თავმოყრილი თურქეთ-ეგვიპტის საზღვაო ძალები, რომლებმაც სროლა აუტეხეს მოკავშირეთა ხომალდებს. ნავარინის საზღვაო ბრძოლაში, რომელიც სულ რაღაც სამ საათს გრძელდებოდა, თურქეთის ფლოტი მთლიანად განადგურდა. ეს მოხდა 1827 წ. 20 ოქტომბერს. ნავარინის მარცხმა თურქეთის ხელისუფალნი გააოგნა. სულთანმა გაუქმებულად გამოაცხადა რუსეთთან დადებული ყველა ტრაქტატი, მათ შორის აკერმანის კონვენციაც, დაჰკეტა ბოსფორი და დარდანელი, კონფისკაცია უყო რუსულ საქონელს კონსტანტინეპოლში. სულთანმა რუსეთი გამოაცხადა მთავარ დამნაშავედ ბალკანეთში მისი პოზიციების შესუსტების, კერძოდ ბერძენთა აჯანყების საქმეში და მუსლიმანურ სამყაროს მოუწოდა ქრისტიანების წინააღმდეგ საღვთო ომისაკენ.

რუსეთ-ირანის ომი

გულისტანის ზავი, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში ირანის მფლობელობის აღსასრულს მოასწავებდა. ირანის ხელისუფლება ამ მარცხს ადვილად ვერ შეურიგდებოდა და იგი ეძიებდა ხელსაყრელ შემთხვევას დანაკარგის უკან დასაბრუნებლად. შაჰის ამ მისწრაფებას ყოველმხრივ აქეზებდნენ ინგლისის ირანში მოკალათებული აგენტები, რომლებიც ყველა ღონისძიებას მიმართავდნენ კავკასიაში ირან-რუსეთის კონფლიქტის გაღვივებისათვის. ინგლისის მმართველ წრეებს მოსვენებას არ აძლევდა კავკასიაში რუსეთის დამკვიდრება. ახლო აღმოსავლეთში პოზიციის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ინგლისს გარდუვალად მიაჩნდა კავკასიიდან რუსეთის გაძევება, რის განხორციელებას იგი ირან-თურქეთისა და კავკასიის მთიელ მუსლიმანებზე დაყრდნობით ვარაუდობდა. ამ მიზანს ემსახურებოდა ის „სამხედრო-თავდაცვითი კავშირი", რომელიც 1814 წელს დაიდო ინგლისსა და ირანს შორის. ირანში ჩავიდნენ ინგლისელი სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც ევროპულ ყაიდაზე წვრთნიდნენ შაჰის არმიას.

კავკასიაში ლაშქრობისათვის რომ ემზადებოდა ირანის მთავრობა აზერბაიჯანის პროვინციებში ნიადაგს ამზადებდა აჯანყებისათვის. დამოუკიდებლობის დაკარგვით უკმაყოფილო ხანები ირანის ხელისუფალთა აგიტაციას აჰყვნენ და დახმარებას შეპირდნენ.

1820-იან წლებში ირანის არმიამ ომისათვის სამზადისი დაამთავრა. რუსეთში დეკაბრისტების გამოსვლის ამბავმა ირანში მოამწიფა აზრი კავკასიაზე თავდასხმის ხელსაყრელობის შესახებ: 1826 წლის ივლისში ირანის ტახტის მემკვიდრის აბას მირზას მეთაურობით 60-ათასიანი ლაშქარი შეიჭრა ყარაბახში. აბას მირზას გვერდში ამოუდგნენ აზერბაიჯანელი ხანები, რომლებმაც მთელ რიგ ადგილებში რუსთა გარნიზონების წინააღმდეგ აჯანყება მოაწყეს. გააქტიურდნენ ლეკებიც, რომლებიც კახეთს შეესივნენ.

პირველ ხანებში აბას მირზას ერთგვარი წარმატება ხვდა. მან ხელთ იგდო სამხრეთ აზერბაიჯანი, დალაშქრა განჯა.

ერმოლოვმა მოახერხა რუსთა დაქსაქსული ძალების კონსოლიდაცია და ირანელებს შეუტია. შამქორთან რუსეთის ნაწილებმა გენერალ მადათოვის სარდლობით სასტიკად დაამარცხეს აბას მირზას გვარდიული ნაწილები. მომენტის გამოყენება სცადა ალექსანდრე ბატონიშვილმაც და ირანის კავალერია დასძრა კახეთისაკენ. მაგრამ ეს გეგმებიც ჩაიშალა.

დიდი ინიციატივა გამოიჩინეს ამ ბრძოლებში ქართველმა თავადიშვილებმა. ქართულმა მილიციამ, რომელიც მთავრობის განკარგულების გარეშე შედგა, გ. ორბელიანის, ზ. ანდრონიკაშვილის და სხვათა მეთაურობით თავი ისახელა და მტერს პირი აბრუნებინა.

ომის დაწყებიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ ვითარება შეიცვალა. მეამბოხე აზერბაიჯანელი ხანები დამარცხდნენ: აბას მირზას არმიამ უკან დაიხია. ამიერკავკასიის ტერიტორია განთავისუფლებულ იქნა. ომმა თვით ირანის ტერიტორიაზე გადაინაცვლა.

ირანელთა მოულოდნელი შემოჭრა ამიერკავკასიაში და პირველი თვის წარმატებანი ნიკოლოზ პირველისათვის საკმაო საბაბს წარმოადგენდა ერმოლოვთან ანგარიშგასასწორებლად, რაც იმპერატორს ადრევე სურდა. ლიბერალური იდეების ერთგვარად მოტრფიალე ერმოლოვი, რომელსაც ამასთან დეკაბრისტებისადმი თანაგრძნობასაც კი აბრალებდნენ, რუსეთში გაიწვიეს, ხოლო რუსეთის არმიის სარდლობა და კავკასიაში რუსული მმართველობის ხელმძღვანელობა იმპერატორისადმი უაღრესად ერთგულ გრაფ ი. ფ. პასკევიჩს დაეკისრა.

პასკევიჩმა 1827 წლის აპრილში გააჩაღა მძლავრი შეტევა ერევნის სახანოზე, რომელიც ამიერკავკასიაში ირანის ბატონობის მთავარ ციტადელს წარმოადგენდა. ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის აღსდგნენ სომეხი მშრომელები. სომეხმა მოლაშქრეებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს რუს მეომრებს. 1827 წლის 26 ივნისს დაეცა ნახჭევანი. ირანელებმა ძლიერი წინააღმდეგობა გასწიეს ერევნის ციხე-სიმაგრესთან, მაგრამ ექვსდღიანი ალყის შემდეგ 1827 წ. 1 ოქტომბერს რუსებმა ერევანიც აიღეს.

წარმატებით გაჩაღდა საომარი ოპერაციები თვით ირანის

ტერიტორიაზე. რუსეთის ჯარებმა აიღეს ურმია, არდებილი. გენერალ გ. ერისთავის მეთაურობით რუსეთის ჯარებმა იერიშით დაიკავეს თავრიზი. საფრთხე დაემუქრა ირანის დედაქალაქ თეირანს. შეშფოთდნენ ირანის მმართველები და მათი ინგლისელი მრჩევლები. მათი ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსები არ შეეშვათ სატახტო ქალაქში, შეეჩერებინათ იგი ხელსაყრელი ზავის შეთავაზებით.

ომის გაგრძელება აღარც რუსეთს აწყობდა. ირანი საკუთარ ტერიტორიაზე იქნა დასჯილი. თურქეთთან მოსალოდნელი ომის გამო რუსეთს კავკასიის არმიის გათავისუფლება და თურქეთის საზღვარზე გადასროლა სურდა. ამავე დროს კომუნიკაციები მეტისმეტად გაჭიმული იყო. თეირანში შეჭრას უსათუოდ მოჰყვებოდა ინგლისთან ურთიერთობის გართულება, რასაც ამ მომენტში რუსეთი გაურბოდა. თვით არმიაში ეპიდემია მძვინვარებდა. ამ მდგომარეობათა გათვალისწინებით რუსეთმა მიიღო ირანის მიერ შემოთავაზებული საზავო წინადადება და თურქმენჩაიში დაიწყო მოლაპარაკება ხელშეკრულების დასადებად.

1828 წლ. თებერვალში თურქმენჩაიში ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ირანის ახალი საზავო ხელშეკრულება. რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა ერევნის და ნახჭევანის სახანოები. (სომხეთის მთელი ირანული ნაწილი). რუსეთმა ერთადერთმა დაიმკვიდრა კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება. დამარცხებულმა ირანმა იკისრა 20 მილიონი მანეთის კონტრიბუცია. აქვე აღვნიშნავთ იმ განსაკუთრებულ როლს, რომელიც ამ ზავის პირობების შემუშავებასა და მის განხორციელებაში დიდმა რუსმა მწერალმა ა. გრიბოედოვმა ითამაშა. გრიბოედოვი ამის შემდეგ რუსეთის წარმომადგენლად დაინიშნა ირანში. აქ ის, სასტიკი დიპლომატური მარცხის გამო გაგულისებული ინგლისელი აგენტების წაქეზებით მოკლულ იქნა 1829 წელს.

თურქმენჩაის ზავი კავკასიაში რუსეთის განმტკიცებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენდა. ამ ზავმა უდიდესი განმათავისუფლებელი როლი შეასრულა სო-

მეხი ხალხის ცხოვრებაში. ირანის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ქვეშ ფიზიკური გადაშენების გზაზე მდგარი სომეხი ხალხი ამ დღიდან შევიდა რუსეთის მფლობელობაში, რითაც მან მოიპოვა ეროვნული თვითმყოფობის, ეკონომიური დაწინაურების, კულტურული აღორძინების შესაძლებლობა. სომეხი ხალხის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო.

რუსეთ-თურქეთის ომი

ნავარინის ყურესთან თურქეთის ფლოტის განადგურების შემდეგ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა. თურქეთის მთავრობა არ დაკმაყოფილდა აკერმანის კონვენციის გაუქმებით. მან მუსლიმანურ აღმოსავლეთს მოუწოდა რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ. ეს იყო გამოწვევა. მოკავშირეთა წარმომადგენლებმა კონსტანტინეპოლი დასტოვეს. რუსეთის დიპლომატიას პირველ ხანებში ნავარაუდევი ჰქონდა თურქეთის დასჯაში ჩაეთრია ლონდონის კონვენციის მონაწილე ქვეყნები. მაგრამ ინგლისის კაბინეტში სწორედ ამ ხანებში მოხდა ცვლილება. კანინგი გარდაიცვალა. ჰერცოგი ველინგტონი, რომელიც ხელისუფლებას მოექცა სათავეში, თურქეთთან კონფლიქტის წინააღმდეგ წავიდა. საფრანგეთში მარტინიაკის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა დაფერანემ, რომელიც აგრეთვე მეტისმეტად ფრთხილობდა ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, ნიკოლოზმა უკან არ დაიხია და, მიიღო რა თურქეთის გამოწვევა, 1828 წლის აპრილში გამოსცა მანიფესტი თურქეთის წინააღმდეგ ომის შესახებ. ამავე დღეს მეორე არმიამ გენერალ-ფელდმარშალ გრაფ ვიტგენშტეინის სარდლობით გადალახა მდინარე პრუტი. მანიფესტს ომის შესახებ თან ახლდა საიმპერატორო კაბინეტის დეკლარაცია, რომელშიც მოტივირებული იყო ომის მიზეზები. რუსეთის მთავრობა ასეთ მიზეზებად აცხადებდა რუსეთის ალმიანი გემების დაკავებას, მათი ტვირთის იძულებით გაყიდვას, რუსეთის ქვეშევრდომთა და მოვაჭრეთა იძულებით გასახლებას თურქეთის სამფლობელო-

დან, თურქეთის ღონისძიებებს რუსეთთან ირანის წასაკიდებლად და სხვ.

რუსეთის ჯარებმა დაიკავეს დუნაის პროვინციები. თურქეთის ციხე-სიმაგრეები დუნაის ორთავე ნაპირზე (მაჩინი, ისაჩკა, გირსოვი, ტულჩა, კიუსტენჯე და სხვ.) ზედიზედ ბარდებოდნენ. მაგრამ დუნაის გადალახვის შემდეგ ვითარება შეიცვალა, თურქებმა სილისტრიასთან, შუმლასთან და ვარნასთან თავი მოუყარეს მსხვილ ძალებს. ამასთან ეს ძალები კარგად იყვნენ გაწვრთნილნი და შეიარაღებულნი. რუსი ჯარისკაცის მაღალი საბრძოლო თვისებები ყოველთვის ვერ ახდენდნენ არმიის საერთო ჩამორჩენილობის, მის მეთაურთა შემადგენლობის უმრავლესობის უილაჯობის კომპენსირებას. სილისტრიისა და შუმლას ალყა წარუმატებლად მიმდინარეობდა. რუსეთის არმიაში დაიწყო ეპიდემია. ომი გაჭიანურდა. სარდლობის მტკიცე და ერთსულოვანი მოქმედება ერთგვარად შეაფერხა მოქმედ არმიაში თვით იმპერატორის გამგზავრებამ, რომელსაც თან დიდძალი ამალა ახლდა და რომელიც თავისი ჩარევით სარდლობის გეგმებში მდგომარეობას უფრო ართულებდა. 14 აგვისტოს ჰუსეინ ფაშამ შუმლასთან იერიში მიიტანა რუსთა ნაწილების ფლანგებზე და მას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. სექტემბრის მეორე ნახევარში რუსთა ენერგიული შეტევის შედეგად დაეცა ვარნა, ხოლო სილისტრიის ალყა ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით მოხსნილ იქნა. ამრიგად, 1828 წლის ბრძოლებს რაიმე სერიოზული შედეგები დუნაის ფრონტზე არ მოჰყოლია.

უფრო წარმატებით დაიწყო საომარი ოპერაციები კავკასიის ფრონტზე. ივნისის თვეში კავკასიის კორპუსმა გრაფ პასკევიჩის სარდლობით შეუტია ყარსის მიმართულებით. თურქეთის ეს მძლავრი ციხე-სიმაგრე 1828 წლის 23 ივნისს აღებულ იქნა, ამასთან პასკევიჩის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს ყარსის გარნიზონი. ამ ოპერაციაში რუსების მხარდამხარ მონაწილე-

ობდნენ ქართველი მოლაშქრენიც, რომლებმაც მამაცობა გამოიჩინეს. აგვისტოში კავკასიის კორპუსის ნაწილებმა ახალციხის გარნიზონს შეუტიეს. თურქებს ახალციხე საგანგებოდ გაემაგრებინათ და მიუვალად მიაჩნდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. 16 აგვისტოს დაეცა ახალციხე, 28 აგვისტოს ბაიაზეთი. ამრიგად, ყარსის, ახალციხის და ბაიაზეთის საფაშოები თურქეთს ხელიდან გამოეცალა. რუსეთის ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე ფოთი, სუხუმ-კალე, გურია. საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის გზაზე გადადგმულ იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ქართველი ლაშქარი ზეიმით შედიოდა თავისი ქვეყნის სამხრეთის იმ მიწა-წყალზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თურქეთს ჰქონდა დასაკუთრებული. მთელს საქართველოში ზეიმობდნენ თურქეთის — საქართველოს დაუძინებელი მტრის დამარცხებას.[1]

1829 წელს გამოზამთრების შემდეგ დუნაის ფრონტზე აქტიური საომარი ოპერაციები გაიშალა. მთავარსარდლად დანიშნულმა ი. ი. დიბიჩმა სწრაფი იერიშების ტაქტიკა აირჩია. მაისის დასაწყისში სილისტრიის ირგვლივ განლაგებულ იქნა რუსთა მნიშვნელოვანი ძალები. 30 მაისს აქ. სოფ. კულევჩასთან ბრძოლაში თურქები სასტიკად დამარცხდნენ. 18 ივნისს თურქებმა დასტოვეს სილისტრია. დიბიჩმა ამ მხარის გასამაგრებლად დასტოვა გენ. გრასოვსკის ნაწილები, ხოლო თვით მთავარი ძალებით დაიწყო ბალკანეთის მთების გადალახვა.

3 დღის მარშის შემდეგ დიბიჩის ნაწილებმა გადალახეს ბალკანეთის ძნელი გადასასვლელები. ბრძოლით დაკავებულ იქნა მესემვრია, ახიოლი, ბურგასი. რუსეთის წარმატებებმა აღაფრთოვანა ბულგარეთის მოსახლეობა, რომელიც აღსდგა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. 8 აგვისტოს რუსეთის

---

[1] ამ ომში ქართული რაზმების მონაწილეობისა და ქართველი ხალხისათვის მისი (ომის) ობიექტური მნიშვნელობის შესახებ იხ. ი. ანთელავა- 1822—1829 წლების „რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო" აფხაზ. ენ. ლიტ. ისტ. შრომები XXVIII. 1957 წ.

არმიამ ადრიანოპოლი დაიკავა. მორიგი წარმატება მოიპოვა კავკასიის კორპუსმა, რომელმაც აიღო ერზერუმი. თურქეთის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. კონსტანტინეპოლში ღელავ-დნენ. რუსეთის არმია პორტას სატახტო ქალაქს ემუქრებოდა.

რუსეთის არმიის წარმატებებს ევროპის დიდი სახელმწი-ფოები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს. ინგლისის მთავრობა ახლა იმას ცდილობდა, რომ არ დაეშვა თურქეთის განადგურება. იგი აშკარად თანაუგრძნობდა პორტას და თავის ძალებს აძლიერებდა ხმელთაშუა ზღვაში. ავსტრიის კანცლერ-მა მეტერნიხმა სცადა შუამდგომლობა მეომარ მხარეთა შორის და საერთო ევროპული კონფერენციის წინადადება წამოაყენა. ამავე დროს იგი თავის ჯარებს აგროვებდა სამხრეთით და დუნაის ქვეყნებში შეჭრით იმუქრებოდა. რუსეთის არმიის კო-მუნიკაციები მეტისმეტად გაჭიმული იყო. ჯარისკაცებს სტან-ჯავდა აუტანელი სიცხე და ეპიდემია. ნიკოლოზი მიზანს მიღ-წეულად თვლიდა. ამიტომ მან უყოყმანოდ მიიღო პრუსიის მეფის ფრიდრიხ ვილჰელმ III შუამდგომლობა თურქეთთან საზავო მოლაპარაკების შესახებ. ამ მიზნით გაიგზავნა კონს-ტანტინეპოლში პრუსიელი გენერალი მიუფლინგი. თურქეთი ჯერ კიდევ 1828 წლიდან დანიის ელჩის გიუბშას მეშვეობით თხოულობდა ზავის დადებას. მოლაპარაკება დაინიშნა ქალაქ ადრიანოპოლში. რუსეთის მხრიდან მასში მონაწილეობდნენ გენერალ-ადიუტანტი ა. ფ. ორლოვი, გრაფი პალენი, თურქე-თის მხრიდან კი მეჰმედ სადიკ ეფენდი და აბდულ კადირ ბეი. 1829 წლის 2 სექტემბერს მოლაპარაკება დამთავრდა და ხელ-მოწერილ იქნა ადრიანოპოლის ზავი.

ადრიანოპოლის ზავით რუსეთს გადაეცა დუნაის შესარ-თავი და მასთან მდებარე კუნძულები. შავი ზღვის სანაპი-რო — ყუბანის შესართავიდან წმიდა ნიკოლოზის ყურემდე რუსეთის საკუთრებად გამოცხადდა. თურქეთს უნდა დაენგრია დუნაის ციხე-სიმაგრეები ბრაილოვი და ჟურჟევი. კავკასიის ტერიტორიაზე რუსეთის მფლობელობაში შევიდა ახალციხის საფაშო ქალაქებით ახალციხითა და ახალქალაქით. თურქეთმა აგრეთვე იცნო რუსეთის მიერ თურქმენჩაის ზავით ერევნისა

და ნახევანის სახანოების შეერთება. შავი ზღვის სრუტეები თურქეთმა გახსნა რუსეთისა და ევროპის სავაჭრო ხომალდებისათვის. რუს ვაჭრებს მიეცათ თურქეთის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის უფლება. სამხედრო ხარჯების დასაფარავად თურქეთს დაეკისრა 10 მილიონი ჰოლანდიური ჩერვონეცის კონტრიბუცია. თურქეთმა აღიარა საბერძნეთის შინაგანი ავტონომია 1827 წლ. ლონდონის კონვენციის შესაბამისად. მოლდავეთისა და ვალახეთის მიმართ დადგინდა შინაგანი მმართველობის დამოუკიდებლობა. სამთავროთა მოსახლეობა განთავისუფლდა თურქული გადასახადებისაგან. ძალაში დარჩა მხოლოდ გოსპოდარების ნომინალური დამოკიდებულება თურქულ დივანთან. სერბეთის მიმართ აღდგენილ იქნა აკერმანის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები.

ადრიანოპოლის ხელშეკრულება რუსეთის იარაღისა და დიპლომატიის მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენდა. ცარიზმმა აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის პრობლემა დიდად წასწია წინ, იგი მიუახლოვდა კიდეც მის სანუკვარ მიზანს — კონსტანტინეპოლს, მაგრამ ამჯერად ცარიზმი დაკმაყოფილდა ამ მონაპოვრით, ხოლო პრობლემის სრული გადაწყვეტა უკეთესი მომავლისათვის გადასდო. თურქეთი ერთგვარად დამოკიდებული გახდა მის ძლიერ მეზობლებზე, იძულებული გახდა მისი კარნახით ემოქმედნა.

მაგრამ რამდენადაც ამ ხელშეკრულებამ ხელფეხი გაუხსნა რუსეთს და განუმტკიცა პოზიციები ახლო აღმოსავლეთში, იმდენადაც მან დარტყმა მიაყენა ავსტრიის, ინგლისის, საფრანგეთის ინტერესებს. ინგლისის მთავრობამ საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ ოფიციალური პროტესტი განაცხადა. ავსტრიაში აშკარად აღიარებდნენ, რომ ამ ხელშეკრულების შემდეგ ევროპაში იგი ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა. 1830 წლის ლონდონის კონფერენციაზე ინგლისმა და საფრანგეთმა საბერძნეთის საკითხი გადასინჯეს და მიაღწიეს მის დამოუკიდებელ, მონარქიულ სახელმწიფოდ აღიარებას. ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატია ენერგიულად შეუდგა თურქეთში ახალი კონფლიქტის გაღვივებას რუსეთის საზიანოდ.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები განსაკუთრებით დიდ-

მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის. თავისთავად, მიუხედავად ამ ომის დამპყრობლური ხასიათისა ორთავე მხრიდან, კავკასიელი და კერძოდ ქართველი ხალხისათვის მას განმათავისუფლებელი მისია ეკისრებოდა. თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან ამ ომით განთავისუფლდა საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის ერთი ნაწილი და იგი თავის მშობლიურ მიწა-წყალს შეუერთდა. ამავე დროს თურქეთი იმდენად დასუსტდა და დაუძლურდა, რომ ამიერკავკასიაში მისი მოსალოდნელი ექსპანსია საბოლოოდ აღკვეთილ იქნა.

უნკიარ-ისკელესის შეთანხმება

ადრიანოპოლის ზავის შემდეგ ევროპაში და რუსეთის შიგნით ისეთი ამბები დატრიალდა, რომ ცარიზმი იძულებული შეიქმნა აღმოსავლეთის საკითხი დროებით გვერდზე გადაედო. 1830 წელს საფრანგეთსა და ბელგიაში აზვირთდა რევოლუცია. პოლონეთში იფეთქა აჯანყებამ, რუსეთში დაიწყო ე. წ. „ქოლერის ბუნტები". მონარქიულ რეჟიმს მთელს ევროპაში კვლავ მძლავრად შეუტია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ტალღამ. საღვთო კავშირის პრინციპები ისევ წინა პლანზე წამოიწია და ცარიზმი — ევროპის ჟანდარმი დადგა თავის საბრძოლო პოსტზე.

1830-32 წლებში ცარიზმის ყურადღება საერთო-ევროპული მღელვარების და რუსეთის გლეხთა ბუნტების ჩაქრობისაკენ იყო მიმართული.

ცარიზმი გაუსწორდა პოლონეთს და გლეხთა მღელვარებას. დაცხრა რევოლუცია საფრანგეთშიც. მონარქიის ზეცა ოდნავ გადაიწმინდა და ზედაპირზე ისევ წამოტივტივდა აღმოსავლეთის საკითხი. ახლო აღმოსავლეთში შექმნილმა ვითარებამ ცარიზმს კვლავ შეუქმნა შესაძლებლობა მორიგი ნაბიჯი გადაედგა წინ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის აქტად იქცა რუსეთსა და თურქეთს შორის უნკიარ-ისკელესის შეთანხმება.

საქმე შემდეგში იყო: ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალი, რომელიც აქამდე თურქეთის ვასალად ითვლებოდა, იმდენად გა-

ძლიერდა, რომ აღსდგა დამოუკიდებლობისათვის სულთანის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ფაშას მოქმედებაში ერთგვარად ერია საფრანგეთის დიპლომატიის ხელიც. ფაშამ წარმატებას მიაღწია დასუსტებული თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაიკავა სირია. 1832 წლის 31 დეკემბერს კონიასთან ბრძოლაში მუჰამედ ალის შვილმა იბრაგიმმა სასტიკად დაამარცხა თურქეთის არმია. თურქეთის სულთანს მძიმე გასაჭირი დაადგა. მას არ გააჩნდა არც არმია, არც ფული, არც უნარი ძალების მოსაკრებად და ურჩი ვასალის დასამორჩილებლად.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა სულთანმა დახმარებისათვის ევროპის სახელმწიფოებს მიმართა, მაგრამ ევროპის ქვეყნები შეყოყმანდნენ. ავსტრიას თავისი ძალები მობილიზებული არ ჰყოლია. ინგლისმა თურქეთს ლოდინი ურჩია, ვიდრე ავსტრია თავის ძალებს გამოიყვანდა. რაც შეეხება საფრანგეთს, მისი სიმპათიები, როგორც ვთქვით, ეგვიპტის მხარეზე იყო და იგი სულთანის წინადადებას უარით შეხვდა. ახლა რჩებოდა მხოლოდ რუსეთის დახმარების იმედი, თუმცა სულთანმა მშვენივრად იცოდა თუ რა ძვირად დაუჯდებოდა მას ასეთი დახმარება. დამახასიათებელია დივანის ერთ-ერთი წევრის პასუხი ინგლისელი ელჩისადმი, რომელიც აღშფოთებული სვამდა კითხვას თუ რამ მიიყვანა თურქეთი რუსეთთან დახმარების სათხოვნელად: „როცა ადამიანი იხრჩობა და მის წინ ხედავს გველს, იგი იმასაც წააელებს ხელს, რომ დაეყრდნოს და დახრჩობას გადარჩესო“. რუსეთი კი ადრე, ჯერ კიდევ კონიას ბრძოლამდე სთავაზობდა თურქეთს დახმარებას და ამ მიზნით გენერალი მურავიოვი ბოსფორის ნაპირებზეც კი აღმოჩნდა. რუსეთმა თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტში ჩარევა იმითაც მოიმიზეზა, რომ ეგვიპტის ჯარების წარმატებებმა თავისებური გამოძახილი პოვეს ყირიმელ თათრებში. მურავიოვის მისიამ ბოსფორისა და კონსტანტინეპოლში თავისი საქმე გააკეთა. სულთანი მოხარული იყო რუსეთის შუამდგომლობისა. ეგვიპტის ფაშამ აღუთქვა საბრძოლო ოპერაციების შეწყვეტა. მაგრამ ეგვიპტის ფაშამ არ შეასრულა დაპირება. ეგვიპტელთა ჯარები, რომლებსაც თითქოს ვერ

მოუსწრო ფაშას გადაწყვეტილებამ საომარი ოპერაციის შეწყვეტის შესახებ, ისევ აგრძელებენ წინსვლას ჩრდილოეთით კონსტანტინეპოლის მიმართულებით. მდგომარეობა დაიძაბა, სულთანი შეშინდა და ახლა მუდარით თხოვა დახმარება რუსეთის მისიას, რისგანაც აქამდე თავს იკავებდა. რუსეთს უკვე მზად ჰყავდა ძალები ასეთი დახმარებისათვის. ადმირალ მ. პ. ლაზარევის მეთაურობით რუსული ესკადრა სევასტოპოლიდან დაიძრა. მას მიჰყვა ნ. მურავიოვის სარდლობით სადესანტო კორპუსი. 1833 წლის თებერვალში რუსეთის ხომალდები ბოსფორში შევიდნენ. რუსეთის ასეთმა გადამჭრელმა ღონისძიებებმა შეაშფოთეს ინგლისი და საფრანგეთი. მათი ელჩები სულთანს ურჩევდნენ არ შეეშვათ რუსები კონსტანტინეპოლში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით და ეგვიპტისათვის მხარდაჭერით. სულთანი ორ ცეცხლ შუა აღმოჩნდა. იგი დარწმუნდა, რომ საფრანგეთის წარმომადგენელს მხოლოდ რუსეთის მოცილება სურდა, ამავე დროს ფარულად იბრაგიმის წინსვლასაც თანაუგრძნობდა. უკიდურესი დაძაბულობის ჟამს თურქეთმა ისევ რუსეთს მიმართა. რუსეთის 14 ათასიანი სადესანტო არმია უკვე კონსტანტინეპოლში შევიდა და სულთანის საზაფხულო რეზიდენციის უნკიარ-ისკელესის რაიონში განლაგდა. ამავე დროს პეტერბურგიდან კონსტანტინეპოლს გაემართა ა. ფ. ორლოვის დიპლომატური მისია. როცა რუსების კონსტანტინეპოლში შესვლა ფაქტი გახდა და ყველაფერი ეს თვით სულთანის თხოვნით მოხდა, ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებმა ყველა ღონისძიებას მიმართეს თურქეთ-ეგვიპტის მორიგებისათვის, მათი მიზანდასახულობა ახლა იმაში მდგომარეობდა, რომ მოესპოთ ის საბაბი, რომლითაც რუსეთის არმია კონსტანტინეპოლში დგომას განაგრძობდა. ეს კი შესაძლებელი იყო სტატუს-კვოს აღდგენით, ე. ი. მუჰამედ ალისა და სულთანის შერიგებით. მართლაც, საფრანგეთისა და ინგლისის კონსტანტინეპოლელი ელჩების დაჟინებითი ჩარევით 1833 წლის გაზაფხულზე სულთანი და ფაშა შეთანხმდნენ-ფა-

შამ აღიარა თავისი ვასალური მდგომარეობა, სულთანმა მას სამმართველოდ დაუთმო სირიის პროვინცია. მოწინააღმდეგე მხარეები დაცხრნენ, ამიერიდან კონსტანტინეპოლში რუსთა საექსპედიციო ძალებს აღარაფერი ესაქმებოდა.

მაგრამ მთელ ამ პერიოდში რუსეთის დიპლომატია ორლოვის მეთაურობით ენერგიულად მუშაობდა იმისათვის, რომ კონსტანტინეპოლიდან ხელცარიელი არ წამოსულიყო. ორლოვი, როგორც იგი აღნიშნავს თავის მოხსენებაში ნიკოლოზის მიმართ, მიმართავდა ცალი ხელით ყელში წაჭერის, ცალი ხელით დაყვავების პოლიტიკას და მიაღწია კიდეც ბრწყინვალე წარმატებას იმით, რომ რუსეთის არმიის მიერ კონსტანტინეპოლის დატოვებამდე სამი დღით ადრე სულთანი დადითანხმა ხელშეკრულებაზე, რომელიც დიპლომატიის ისტორიაში ცნობილია უნკიარ-ისკელესის შეთანხმების სახელწოდებით.

უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება გულისხმობდა რუსეთისა და თურქეთის თავდაცვით შეთანხმებას 8 წლის ვადით. ამ ხნის მანძილზე ორთავე მხარე ივალდებულებდა ურთიერთდახმარებას რომელიმე მესამე მხარესთან ომის შემთხვევაში. რუსეთის იმპერატორი აღიარებდა რა თურქეთის ხელშეუხებლობას, აღუთქვამდა მას თავის საზღვაო და სახმელეთო ძალებით დახმარებას საჭიროების შემთხვევაში. თავის მხრით თურქეთი ვალდებულებას იღებდა დაეკეტა დარდანელის სრუტე და არ დაეშვა ამ სრუტეში უცხო სახელმწიფოთა არც ერთი ხომალდი ამა თუ იმ საბაბით.

ეს ხელშეკრულება, რომელმაც დარდანელი რუსეთისათვის გახსნა და მისი მოქიშპეებისათვის კი დაჰკეტა, დიდი წარმატება იყო რუსეთისა. იგი რუსეთს ახლო აღმოსავლეთში შბრძანებლის პოზიციას უმკვიდრებდა და პირდაპირ ურტყამდა პირველ რიგში ინგლისის, შემდეგ ავსტრიის და საფრანგეთის ინტერესებს. გასაგებია ის დიდი შეშფოთება და წინააღმდეგობა, რომლითაც ევროპის სახელმწიფოები ამ ხელშეკრულებას შეხვდნენ და მთელი ძალები იმისაკენ მიმართეს, რომ როგორმე მოესპოთ, ან საერთო ევროპულ შეთანხმებაში ჩაეხშოთ იგი.

ამ პერიოდში რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობა მეტისმეტად დაძაბულობის ფაზაში შედის. კაპიტალისტური ინგლისი ახლა, ვიდრე ოდესმე, მეტის გააფთრებით ეძებს ახალ მიზანს, ნედლეულის ახალ წყაროებს. ახლო აღმოსავლეთი, როგორც ზევით აღვნიშნავდით, განსაკუთრებით კი კონსტანტინეპოლი, ინგლისს მიაჩნია არა მარტო აუცილებელ ხიდად ინდოეთის სამფლობელოებთან, არამედ მეტად ხელსაყრელ ბაზრად და სტრატეგიულ პოზიციად. ინგლისის ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ აზრში ორი მიმართულება ებრძვის ერთმანეთს. ერთს მიაჩნია (რიჩარდ კობდენი, ჯონ ბრაიტი), რომ კონსტანტინეპოლისათვის რუსეთის წაკიდება არ ღირს. დაე, თუნდაც რუსები კონსტანტინეპოლში შევიდნენ. რუსეთის მრეწველობა მისი ჩამორჩენილობის გამო ინგლისს ვერ გადაეღობება წინ. პირიქით, რუსული პოლიცია იძულებული იქნება მოაწესრიგოს ინგლისური ვაჭრობა. ინგლისის მძლავრ ეკონომიურ ხელს ყოველთვის შეუძლია რუსეთის მეტოქეობის დაძლევა. მეორე მიმართულება პირიქით ფიქრობს. მას შიშს გვრის რუსეთის სწრაფვა კონსტანტინეპოლისაკენ. თუ რუსები კონსტანტინეპოლში დამკვიდრდებიან, დაიკარგება არა მარტო ახლო აღმოსავლეთი, არამედ ინდოეთიც და ინგლისი მალე აღმოჩნდება ჰოლანდიის ან ევროპის რომელიმე პატარა სახელმწიფოს მდგომარეობაში. კონსტანტინეპოლისათვის ბრძოლა ინგლისისათვის ბრძოლაა.

1830 წლიდან ინგლისის საგარეო პოლიტიკის სათავეში ჩადგა გამოცდილი დიპლომატი, ლორდი პალმერსტონი, რომელიც ატარებდა აზრს რუსეთის კონსტანტინეპოლში დაუშვებლობის შესახებ. ამიტომ ის გაცოფებამდე მიიყვანა უნკიარ-ისკელესის შეთანხმებამ და მან მიზნად დაისახა, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, ამ ხელშეკრულების გაუვნებადება.

პალმერსტონის ამ მიზანდასახულობის განხორციელებისათვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა 1839 წელს, როცა სულთან მაჰმუდსა და ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალის შორის განახლდა ბრძოლა პირველობისათვის. თურქეთმა ამჟამადაც მარცხი განიცადა. სწორედ ამ ხანებში გარდაიცვალა მაჰმუდი

და სულთანი გახდა მისი შვილი აბდულ მეჯიდი. საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენლები კონსტანტინეპოლში ფხიზლობდნენ. ინგლისმა და ავსტრიამ წამოაყენეს წინადადება თურქეთის საქმეებში ევროპის სახელმწიფოთა კოლექტიური ჩარევის შესახებ. თვით აბდულ მეჯიდმაც ამჟამად დახმარებისათვის მიმართა არა მხოლოდ რუსეთს, არამედ ევროპის დიდ სახელმწიფოებს. რუსეთი ფრთხილობდა, რომ ამ ვითარებაში სავსებით იზოლირებული არ აღმოჩენილიყო და უმჯობესად ჩასთვალა თურქეთის მიმართ კოლექტიურ ღონისძიებებში მონაწილეობა. რუსეთი ბევრს ეცადა ინგლისისა და საფრანგეთის წაკიდებას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მოვლენათა განვითარება იქითკენ მიემართებოდა, რომ ევროპელ სახელმწიფოთათვის გზა უნდა გახსნილიყო დარდანელისკენ. ამ ვითარებაში ნიკოლოზის დიპლომატიამ ამჯობინა ისევ თვით აეღო ხელი უნკიარ-ისკელესით მიღწეულ უპირატესობაზე და წამოეყენებინა წინადადება ყველა სახელმწიფოს სამხედრო ხომალდებისათვის ბოსფორისა და დარდანელის დაკეტვის შესახებ. ამ საკითხებს მიეძღვნა 1840 და 1841 წლების ლონდონის თათბირი. 1841 წ. 1-ლი ივლისის შეთანხმებით აიკრძალა ყველა ქვეყნისათვის ბოსფორსა და დარდანელში სამხედრო ხომალდების შეყვანა. თუ თურქეთი კვლავ ჩაებმებოდა ომში, იგი იტოვებდა უფლებას სრუტეებში გაეტარებინა ხომალდები იმ სახელმწიფოებისა, რომელთანაც იგი მეგობრულად იქნებოდა განწყობილი. ლონდონის კონვენციას საფრანგეთიც შეუერთდა და ხელი აიღო ეგვიპტისათვის მხარდაჭერაზე. ცარიზმმა, მართალია, დაჰკარგა თავისი უპირატესობანი თურქეთში, მაგრამ სამაგიეროდ მიაღწია ეგვიპტის საქმეებში საფრანგეთის ჩარევის აკრძალვას.

პალმერსტონი ზეიმობდა. უნკიარ-ისკელესი ჩახშობილ იქნა თურქეთის მიმართ საერთო ევროპულ შეთანხმებაში. აღმოსავლეთის საკითხში ცარიზმისათვის მოქმედების ახალი ეტაპი დაიწყო.

თავი VIII

1830—1848 წწ. რევოლუციები ევროპაში და ცარიზმი

ივლისის რევოლუცია საფრანგეთში და მეფის რუსეთი

1830—31 წლების მოვლენებმა ევროპაში და რუსეთის იმპერიაში (ივლისის რევოლუცია საფრანგეთში, პოლონეთის ამბოხება, მასობრივი მოძრაობის აღმავლობა და სხვ.) ერთგვარი გავლენა მოახდინეს რუსეთის განაპირა, ნაციონალურ რაიონებზე, უფრო ინტენსიური გახადეს იმპერიაში შემავალ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამავე დროს გააძლიერეს ცარიზმის, როგორც ევროპის ჟანდარმისა და ქვეყნის შიგნით ხალხთა საპყრობილეს, რეაქციული ღონისძიებანი.

1830 წლის ივლისში საფრანგეთში დაიწყო რევოლუცია. კარლოს X ბურბონი, რომელმაც ხელჰყო საფრანგეთის კონსტიტუცია, პარიზში მძლავრი გამოსვლების შედეგად იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო და ტახტი მიეტოვებინა. ბურჟუაზიის ნებით საფრანგეთის სამეფო ტახტზე აყვანილ იქნა ორლეანელი ჰერცოგი ლუი ფილიპე I სახელწოდებით.

რევოლუციურ გამოსვლებს საფრანგეთში მალე მოჰყვა ბელგიის ამბები. ბელგიელი ხალხის მძლავრი ამბოხების შედეგად 1830 წ. ნოემბერში დაემხო ვენის კონგრესის მიერ შეკოწიწებული ნიდერლანდების სამეფო და მოპოვებულ იქნა ნაციონალური დამოუკიდებლობა, ბელგიის დემოკრატიული ძალების თაოსნობით შემოღებული იქნა ბურჟუაზიულ-ლიბერალური კონსტიტუცია. ნიდერლანდების მეფემ ვილჰელმ I ორანელმა რუსეთის იმპერატორს სთხოვა დახმარება რევოლუციის ჩახშობის საქმეში.

ნიკოლოზ პირველმა ღრმად განიცადა ბურბონების დაცემა. „არასოდეს, არასოდეს არ შემიძლია შევურიგდე იმას, რაც საფრანგეთში მოხდა“, — გულმოსული ამბობდა იგი. ლუი ფილიპე, როგორც რევოლუციის მიერ ტახტზე აყვანილი მონარქი, ნიკოლოზმა უზურპატორად ჩასთვალა და მას ზურგი შეაქცია. ნიკოლოზის პირველი ღონისძიებანი იმაში გამოიხატა, რომ ბრძანა პეტერბურგიდან გაეწვიათ საფრანგეთის წარმომადგენლები. საფრანგეთის ელჩთან პირად საუბარში ნიკოლოზი იმუქრებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ ინტერვენციის მოწყობით. მან ამისათვის გადადგა კიდეც პირველი ნაბიჯები. გრაფი ორლოვი მივლინებულ იქნა ვენაში, გენერალი დიბიჩი-ბერლინში. დიბიჩის გეგმის თანახმად რუსეთის არმია პრუსიის ტერიტორიაზე გავლით გერმანელთა კორპუსებთან ერთად შეიჭრებოდა საფრანგეთში. მაგრამ არც ორლოვს, არც დიბიჩს ვენაში და ბერლინში ბოლომდეც არ მოუსმინეს: პრუსიის მეფემ ადვილად ამოიცნო, რომ ამ ავანტიურაში ყველაზე მეტად თვით დაზარალდებოდა, ხოლო მეტერნიხმა გულგრილად მიიღო საფრანგეთში დატრიალებული მოვლენები, რადგან ამ დროს ყველაზე მეტად იტალიაში თავისი სამფლობელოს ბედი აწუხებდა. რაც შეეხება ინგლისს, იგი საფრანგეთში მომხდარი ცვლილებით დიდად კმაყოფილი იყო. ამგვარად, რჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი, რომელსაც ამ დროს უკვე საკუთარ სახლში ჰქონდა გაჩენილი ხანძრის კერები და შიშობდა კიდეც, რომ სამხედრო ძალების შორეულ ლაშქრობებში დაბანდებას მოქმედებისაკენ არ წაექეზებინა რუსეთის დემოკრატიული ძალები.

ამ მიზეზებმა და, კიდევ რაც მთავარია, ამავე წლის ნოემბერში პოლონეთში დატრიალებულმა ამბებმა ნიკოლოზ პირველს საბოლოოდ ააღებინეს ხელი საფრანგეთში ინტერვენციის გეგმებზე. მას შემდეგ, რაც ევროპის სახელმწიფოებმა იცნეს ლუი ფილიპე I, ნიკოლოზიც იძულებული გახდა ასევე მოქცეულიყო. ეს იყო მწარე აბის იძულებითი ჩაყლაპვა. მაგ-

რამ ამის შემდეგ რუსეთის მონარქის დამოკიდებულება საფრანგეთთან მეტად შეზღუდული, ცივი და არამეგობრული გახდა.

პოლონეთის აჯანყება

საფრანგეთის ივლისის რევოლუციამ და ცარიზმის მისწრაფებამ საღვთო კავშირის ძალებით ჩაეხშო იგი, წააქეზეს პოლონეთის ძალები, რომლებიც დიდი ხანია ამზადებდნენ რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ვენის კონგრესმა ალექსანდრე პირველის დაჟინებითი მოთხოვნით პოლონეთის საპერცოგო რუსეთის მფლობელობაში აღიარა. რუსეთის იმპერატორმა, რომელიც თავისი ბუნებით კონსტიტუციურ-დემოკრატიული წყობილების დაუძინებელი მტერი იყო, ანგარიში გაუწია რა რუსეთთან შედარებით პოლონეთის სოციალ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარების უფრო მაღალ დონეს, აგრეთვე იმას რომ, პოლონეთი ევროპული ცხოვრების ორბიტში იყო მოქცეული და მასზე გავლენისათვის ბრძოლა ევროპაში გაცხოველებით მიმდინარეობდა, პოლონეთს მისცა კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციას, რომელიც ჩარტორიისკის მიერ იქნა შედგენილი ალექსანდრემ ხელი მოაწერა 1814 წ. 27 ნოემბერს. უნდა ითქვას, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური იყო იმ დროის ევროპის კონსტიტუციათა შორის, მაგრამ მას არ ეწერა ხელშეუხებლობა. ცარიზმი უხეშად არღვევდა მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე და უცერემონიოდ ახორციელებდა პოლონეთის ამ მოჩვენებითი დამოუკიდებლობის ხელყოფას, მის რუსიფიკაციას. კონსტიტუციის შემოღების შემდეგ ალექსანდრემ მეფის მოადგილედ პოლონეთში დანიშნა მიხრწნილი, ავადმყოფი გენერალი ზაიონჩკი, პოლონეთის არმიის მთავარსარდლობა იმპერატორის ძმას კონსტანტინეს ჰქონდა მინდობილი. უნებისყოფო, უჭკუო „ნამესტნიკი“ მკაცრმა, დესპოტმა, თავნება კონსტანტინემ თავის გავლენის ქვეშ მოიქცია, იგი პოლონეთის შეუზღუდველი ხელისუფალი გახდა და ნებისმიე-

რად არღვევდა კონსტიტუციას. საიდუმლო პოლიციის ხელით სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც გაბედავდა ხმა ამოეღო მისი ძალადობის წინააღმდეგ.

პოლონეთის ეკონომიკაში ამ დროს უკვე მძლავრად იყო შეჭრილი კაპიტალისტური ურთიერთობა. სოფლის მეურნეობაში წამყვან ადგილს იჭერდა მეცხოველეობა და ტექნიკური კულტურები. სოფლის მეურნეობის გარდაქმნა მრეწველობის მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობდა გლეხთა მასების გაჩანაგების ხარჯზე. პოლონეთში თანდათან იზრდებოდა უმიწაწყლო გლეხთა რიცხვი. ამასთან დაკავშირებით ფართოვდებოდა გლეხთა უკმაყოფილება.

პოლონეთის მრეწველობის აღმავლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და იგი მნიშვნელოვანწილად რუსეთის ბაზართან იყო დაკავშირებული. 1818-1828 წლებში პოლონეთში ორი ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო აღმოცენდა. 1828 წელს შეიქმნა პოლონეთის ბანკი:[1] ეკონომიკაში მიმდინარე აღმავლობასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება ეროვნულ სპეციალისტებზე. განათლების მინისტრის სტანისლავ პოტოცკის ღონისძიებანი ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო. 1816 წ. ვარშავაში შეიქმნა უნივერსიტეტი, სამთო აკადემია, აგრონომიული ინსტიტუტი, გაიზარდა სკოლების რიცხვი. შეიქმნა მძლავრი ეროვნული ინტელიგენცია.

ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებათა საფუძველზე პოლონეთში მომძლავრებული მასა ხელოსნებისა, უმიწაწყლო გლეხებისა, ფორმირების პროცესში მყოფი პროლეტარიატისა, უკვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან ძალას იმ რეჟიმის დასამხობად, რომელიც ქვეყნის წინსვლას წინ ეღობებოდა და აუტანელ სოციალურ ჩაგვრას აკანონებდა, მაგრამ ეს მასა დამოუკიდებლად ორგანიზებული ჯერ კიდევ არ ყოფილა, ხოლო პოლონეთის ბურჟუაზია ჯერჯერობით თავს კარგად გრძნობდა და კმაყოფილი იყო იმ ფართო ასპარეზით, რომელიც პოლონურ პროდუქციას რუსეთის იმპერიაში გაეხსნა. იგი ცარიზმში მხარდამჭერ ძალას ხედავდა და კმაყოფილი იყო

[1] А. Я. Манусевич, Очерки по истории польши. Учпедгиз, 1953, გვ. 96

კონსტიტუციისა, წინააღმდეგი სოციალური გარდაქმნებისა. კიდევ უფრო რეაქციულად იყვნენ განწყობილი მიწათმოქმეღი მაგნატები — მსხვილი მემამულეები, რომელთაც პოლონეთის ეკონომიკაში ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. მათ საესებით აკმაყოფილებდათ ცარისტული რეჟიმი პოლონეთში. ისინი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ მხოლოდ პოლონეთის ტერიტორიის მეტისმეტი შევიწროების გამო და ოცნებობდნენ პოლონეთის აღდგენას ძველ საზღვრებში, პირველყოვლისა მის გაფართოებას ბელორუსიისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინის მიწა-წყლის ხარჯზე.

აგრარული მაგნატების ამ პრეტენზიებს თანაუგრძნობდა პოლონეთის შლიახტა — საშუალო და წვრილი აზნაურობა, რომელიც კაპიტალისტურ ვითარებასთან შეგუებას ვერ ახერხებდა, ამავე დროს განიცდიდა რა მიწის ნაკლებობას, მამულის გაფართოების შესაძლებლობას პოლონეთის ძველი საზღვრების აღდგენაში ხედავდა. შლიახტის პოლიტიკური შეხედულება რთული და წინააღმდეგობრივი იყო. მისი ლიბერალურ-დემოკრატიული მოთხოვნები შერწყმული იყო ხშირ შემთხვევაში ველიკოდერჟავულ, კლერიკალურ, რეაქციულ-ბატონყმურ მისწრაფებებთან.

პოლონეთის არისტოკრატიის ეს ნაციონალისტური განწყობილებანი გაფურჩქვნას იწყებდა მასონურ ლოჟებში, რომელიც ამ დროს თვით მთავრობის მიერ იყო ნებადართული. აქვე თავს იჩენდნენ ლიბერალური და დემოკრატიული ტენდენციები. ეს განწყობილებანი და ტენდენციები თანდათან ვითარდებოდნენ და გამოკვეთილ სახეს იღებდნენ იმასთან შეფარდებით, რაც უფრო ალექსანდრე პირველი უხეშად ერეოდა პოლონეთის საქმეებში და ფეხქვეშ თელავდა კონსტიტუციას. მაგრამ მთავრობამ მასონური ლოჟები აკრძალა.

მასონთა ლოჟების იმ აქტიურმა მებრძოლმა ფრთამ, რომელმაც უკვე დღის წესრიგში დააყენა პოლონეთის აღდგენა თავის ძველს საზღვრებში მაიორ ვ. ლუკასინსკის მეთაურობით 1821 წელს შექმნა საიდუმლო ორგანიზაცია — „ნაციონალური პატრიოტული საზოგადოება". ეს საზოგადოება

მხოლოდ ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად, სოციალურ-პოლიტიკურ რეჟიმს ხელუხლებლად ტოვებდა.

1822 წელს საიდუმლო პოლიციამ ლუკასინსკი დააპატიმრა და 7 წლის ციხე მიუსაჯა. საიდუმლო ორგანიზაცია მაინც განაგრძობდა არსებობას. როგორც ცნობილია, დეკაბრისტების სამხრეთის საზოგადოებამ პოლონელ შეთქმულებთან კავშირი გაბა და მოლაპარაკება დაიწყო. დეკაბრისტული მოძრაობის დამარცხებამ და ნიკოლოზის კვლევა-ძიებამ გახსნა პატრიოტული ორგანიზაციის არსებობა და მისი აქტიური წევრები დაპატიმრებულ იქნენ. ნიკოლოზი მათ სასტიკად გაუსწორდა. პოლონეთში რეაქციის პარპაში გაძლიერდა. თვითმპყრობელობის აპოლოგეტი ნიკოლოზ I ვერ იტანდა კონსტიტუციურ საპერცოგოს თავის იმპერიაში. მას პოლონელები სძულდა და ამას არც მალავდა. პოლონელი პატრიოტებიც ნიკოლოზისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი. პოლონეთის კონსტიტუციის შემდგომი შეზღუდვისათვის ნიკოლოზის მიერ გააფთრებული ღონისძიებანი კიდევ უფრო აღრმავებდა უკმაყოფილებას ლიბერალურ და დემოკრატიულ ფენებში.

1828—29 წლებში „საღვთო კავშირის“ შიგნით ღრმა ნაპრალების გაჩენამ, განსაკუთრებით რუსეთის და ინგლისის ურთიერთობის დაძაბვამ, პოლონეთის იმ წრეებს, რომლებიც ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერით აპირებდნენ პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენას, უკარნახა მოქმედების გააქტიურება. ამ დროს უკვე დაისვა საკითხი თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმული ცარიზმის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ. სწორედ ამ ხანებში პოლონეთის სამხედრო ნაწილებში ჩაისახა საიდუმლო ორგანიზაცია, ე. წ. „სამხედრო კავშირი“, რომელსაც სათავეში პოდპორუჩიკი პეტრე ვისოცკი ჩაუდგა. თავდაპირველად ამ ორგანიზაციაში სამხედრო პირები გაერთიანდნენ. შემდეგ მან ლიბერალურად განწყობილი თავისუფალი პროფესიის ადამიანებიც მიიზიდა. „სამხედრო კავშირმა“ ურთიერთობა დაამყარა სეიმის კონსტიტუციურ ოპოზიციასთან. აქ ნიკოლოზის

მოკვლის იდეაც კი დაიბადა (ვარშავაში მისი კორონაციის დროს), მაგრამ სეიმის დეპუტატებმა მას მხარი არ დაუჭირეს.

ნიკოლოზ I პოლონეთში საკორონაციოდ გვიან, 1829 წლის მიწურულს ჩავიდა. 1829 წლის მაისში მოწვეულ იქნა სეიმი, რომლის განწყობილებაზე უსათუოდ რევოლუციურ ზეგავლენას ახდენდა ბალკანეთში აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ინგლისის საპარლამენტო და სოციალური რეფორმები, გერმანიაში დემოკრატიული ძალების გაძლიერება და მასობრივი მოძრაობანი რუსეთში. სეიმში ლიბერალურ და რეაქციულ ბანაკებს შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. რეაქციულ ბანაკს მხარი დაუჭირა ნიკოლოზ პირველმა. სეიმში დემოკრატიული ელემენტების გააქტიურებამ გააცხოველა ანტირუსული მოძრაობა ინტელიგენციაში. სამხედრო წრეებში. მღელვარების წამქეზებელი გახდა ივლისის ამბები საფრანგეთში. აღტაცებით გამოეხმაურნენ პოლონეთში ბელგიის რევოლუციას და მის დამოუკიდებლობას. ვარშავაში დაიწყო პროკლამაციების გავრცელება, საიდუმლო ორგანიზაციის ქსელის გაფართოება. მებრძოლი სულისკვეთება დაეუფლა ახალგაზრდობას.

ზაფხული ამ ფარულ სამზადისში გავიდა. მალე ვარშავაში მიაღწია ხმამ იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ I საფრანგეთისა და ბელგიის წინააღმდეგ ინტერვენციას ამზადებდა და ამ საქმეში პოლონელთა ძალების გამოყენებაც სურდა. პოლონელმა პატრიოტებმა ივარაუდეს, რომ ცარიზმის წინააღმდეგ შეტევისათვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი სწორედ ახლა დადგა, რომ მათი გამოსვლა ჩაშლიდა ინტერვენციას ევროპაში და გააძლიერებდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტს.

1830 წ. 29 ნოემბერს ვარშავაში საიდუმლო ორგანიზაციის ერთი ჯგუფი ლოზუნგით „სიკვდილი ტირანს!“ შეიჭრა ბელვედერის სასახლეში, რომელშიც კონსტანტინე პავლეს ძე ცხოვრობდა. მეამბოხეებმა შეამტვრიეს კარები, მაგრამ ვერ იპოვნეს კონსტანტინე, რომელმაც მოასწრო დამალვა მეუღლის ოთახში, ხოლო შემდეგ ვარშავიდან გაქცევა. ეს იყო

სიგნალი. ამავე დღეს ასორმოცდაათზე მეტი შეთქმული „სამხედრო კავშირიდან" ვისოცკის მეთაურობით თავს დაესხა რუსეთის ულანთა პოლკს, თუმცა აქ წარმატებას ვერ მიაღწია. აჯანყებულები მოედვნენ ვარშავის ქუჩებს და მოსახლეობას გამოსვლისაკენ მოუწოდებდნენ. ისინი ანგარიშს უსწორებდნენ იმ პოლონელ გენერლებს, რომლებსაც ცარიზმის მხარე ეკავათ. მალე აჯანყებულებმა დაიკავეს არსენალი. ახლა მათ მიეცათ მოსახლეობის შეიარაღების შესაძლებლობა. 40 ათასზე მეტმა აჯანყებულმა მიიღო იარაღი. აჯანყებულთა ძალები გაიზარდა.

კონსტანტინეს ვეჟბნოში გაქცევის შემდეგ ვარშავა აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. მაგრამ იმის გამო, რომ გამოკვეთილი პროგრამა არ გააჩნდათ და გარდა პოლონეთის დამოუკიდებლობისა სხვა რაიმე მნიშვნელოვან სოციალურ რეფორმებს არ ითვალისწინებდნენ, მათ ვერ მოახერხეს თავიანთი ორგანოს შექმნა. ძალაუფლება ადმინისტრაციული საბჭოს ხელში დარჩა. იგი შეივსო პოლონეთში გავლენიანი, მაგრამ აქტიური რევოლუციური ბრძოლის მოწინააღმდეგე პირებით (ჩარტორიისკი, ნემცევიჩი, რაძივილი, ხლოპიცკი). ადმინისტრაციულმა საბჭომ მოსახლეობას წესრიგისაკენ მოუწოდა. ეს უკვე იყო აჯანყების ლიკვიდაციის ცდა.

საბჭოს ასეთმა მოქმედებამ ლიბერალური და დემოკრატიული ელემენტების აღშფოთება გამოიწვია. სეიმის მემარცხენე დეპუტატების დაჟინებითი მოთხოვნით ადმინისტრაციული საბჭო გადახალისებულ იქნა. დაითხოვეს ცარიზმის დანიშნული და მისი ერთგული მინისტრები. საბჭო შეივსო უფრო მოლიბერალო პირებით. მის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ცნობილი მოღვაწე, მეცნიერი, დემოკრატიულად მოაზროვნე ისტორიკოსი ლელეველი.

ადმინისტრაციული საბჭო კვლავ წინააღმდეგი იყო სახალხო მღელვარებისა. მან იმ მიზნით, რომ მოვლენები მშვიდათ განვითარებულიყო, დაიწყო მოლაპარაკება კონსტანტინე პავლეს ძესთან. საბჭოს დეპუტაციამ აღუთქვა მეფისნაცვალს მღელვარების ლიკვიდაცია, მოითხოვა მხოლოდ პოლონეთის

კონსტიტუციის აღდგენა თავის უფლებებში და პოლონეთის სამეფოსათვის ლიტვის და ბელორუსიის გუბერნიების შეერთება.

პოლონეთის მსხვილი არისტოკრატიის წარმომადგენლები რომ ცარიზმთან გარიგებას ახდენდნენ, დემოკრატიული ფენები თავის მოთხოვნებს აყენებდნენ. ვარშავაში 1 დეკემბერს შეიქმნა პატრიოტული კლუბი, რომლის გარშემო გაერთიანდა დემოკრატიული ბანაკი. კლუბმა დაჰგმო ადმინისტრაციული საბჭოს საქმიანობა და მოსთხოვა თავისი წევრების შეყვანა ამ ორგანოში, რაც დაკმაყოფილებულ იქნა.

მოლაპარაკება კონსტანტინესთან ჩაიშალა. ადმინისტრაციულმა საბჭომ ამოსწურა თავისთავი, მასში ცარიზმის არცერთი წარმომადგენელი აღარ დარჩა. ამ ვითარებაში იგი დაიშალა და აჯანყებულ პოლონეთში ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჩარტორიისკი.

დროებითი მთავრობა თავისი შემადგენლობით კონსერვატიულ-არისტოკრატიული აღმოჩნდა. იგი მტრულად უყურებდა მზარდ სახალხო მოძრაობას. იმ მიზნით, რომ აჯანყების შემდგომი განვითარებისათვის ხელი შეეშალა, მთავრობამ გამოაცხადა სეიმის მოწვევა, ხოლო თავისი ძალაუფლება მალე გენერალ ხლოპიცკის ჩააბარა. ხლოპიცკი პოლონეთის დემოკრატიული წრეების ნდობით სარგებლობდა. მისი ერთერთი პირველი აქტი გამოიხატა იმპერატორ ნიკოლოზ პირველთან მოლაპარაკებაში, რისთვისაც პეტერბურგში სათანადო დეპუტაცია გაიგზავნა.

ნიკოლოზ I პოლონეთში დაწყებული მოძრაობის შესახებ 2 ნოემბერს გაიგო. მეორე დღეს მას მოუვიდა იქ შექმნილი ვითარების დაწვრილებითი ცნობები. ნიკოლოზმა გადაწყვიტა მკაცრად დაესაჯა პოლონელები, რომლებიც ამის გარეშეც სძულდა. პოლონეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ მომზადებულ იქნა დიდი არმია, რომლის მთავარსარდლად იმპერატორმა ბერლინიდან ახლადდაბრუნებული გრაფი დიბიჩი დანიშნა. ნიკოლოზმა არ მიიღო ხლოპიცკის დეპუტაცია, როგორც მთავრობის წარმომადგენელი. მას არ სურდა არავითარი მოლაპა-

რაკება აჯანყებულთა მთავრობასთან და აპირებდა „წესრიგის“ აღდგენას მხოლოდ იარაღის საშუალებით.

ნიკოლოზ I ეს განზრახვა პოლონეთში მალე ცნობილი გახდა. სეიმმა, პატრიოტული კლუბის გავლენით, ახლა გადამწყვეტი ღონისძიებების გატარება დაიწყო. 17 ნოემბერს სეიმის სხდომაზე აჯანყება მოწონებულ იქნა და გამოიცა „პოლონელი ხალხის მანიფესტი“, რომელიც აცხადებდა, რომ პოლონელი ხალხი იარაღს არ დაჰყრის, ვიდრე არ განახორციელებს თავის მიზანდასახულობას. სეიმის ასეთი განცხადება ცარიზმის პირდაპირი გამოწვევა იყო. ხლოპიცკი შეშინდა და რწმუნებანი ჩააბარა.

1831 წლის 13 იანვარს სეიმმა ორთავე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე ნიკოლოზ პირველის დეტრონაცია გამოაცხადა. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ მრავალტანჯული პოლონეთი, რომელმაც თავის ზურგზე გამოსცადა რუსეთის ორი მონარქის უსამართლობა, ამიერიდან თავისთავს აცხადებს დამოუკიდებლად და უფლებამოსილად ჩააბაროს თავისი ტახტი იმას, ვინც ამის ღირსად მიაჩნია.

დემოკრატიულმა ელემენტებმა სავსებით მოიწონეს რა სეიმის გადაწყვეტილება ნიკოლოზის დეტრონაციის შესახებ, ამავე დროს ხაზი გაუსვეს პოლონელი და რუსი ხალხების ინტერესთა ერთიანობას. პატრიოტული კლუბის თაოსნობით ვარშავაში ჩატარდა გრანდიოზული დემონსტრაცია დეკაბრისტული მოძრაობის პატივსაცემად და გადახდილ იქნა ნიკოლოზის მიერ ჩამოხრჩობილი ხუთი დეკაბრისტ-ბელადის პანაშვიდი.

რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია პოლონეთის აჯანყებას, მართლაც, სულითა და გულით თანაუგრძნობდა. ცარიზმის მკაცრი ცენზურის პირობებში შეუძლებელი იყო რაიმეს თქმა პოლონეთის სასარგებლოდ. მაგრამ რუსეთის ახალგაზრდობა, რომელსაც ცარიზმი სძულდა და თავის გულისნადებს საიდუმლო შეკრებებში თუ გამოთქვამდა, მკაცრად ჰკიცხავდა თვითმპყრობელობას, მხურვალედ ესარჩლებოდა პატრიოტ პოლონელებს, მისი გამარჯვების გულწრფელი

მომხრე იყო. გერცენი იგონებს, რომ „როგორც ახლო აფეთქებულმა ყუმბარამ, ისე გაგვაბრუა ჩვენ ცნობამ ვარშავის ამბოხების შესახებ. ეს ხომ სულ ახლო, ეს ხომ ჩვენს სახლში ხდებოდა და ჩვენ ერთმანეთს თვალებში სიხარულის ცრემლებით შევყურებდით.

ჩვენ სიხარულს გვგვრიდა დიბიჩის თითოეული მარცხი, არ გვინდოდა გვერწმუნა პოლონელების წარუმატებლობა და მე ჩემს ,,ანკელს დავუმატე თადეუშ კოსტიუშკოს...პორტრეტი" პოლონელთა აჯანყებას შორეული ციმბირის ყინულეთიდან გამოეხმაურა დეკაბრისტი პოეტი ა. ოდოევსკი, რომელმაც ამ მოვლენას ლექსი უძღვნა.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის ამბოხებას ფართო რეზონანსი ჰქონდა აგრეთვე დასავლეთის დემოკრატიულ წრეებში. ეს იყო მძლავრი დარტყმა საღვთო კავშირის ბურჯისა და ევროპის ჟანდარმის-ცარიზმისათვის, რომელიც ახშობდა რევოლუციას და ფუშავდა დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციას ევროპაში. მოწოდება „პოლონეთს გაუმარჯოს" თავისთავად ნიშნავს: სიკვდილი საღვთო კავშირს, სიკვდილი რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის სამხედრო დესპოტიზმსო — წერდნენ შემდეგში მარქსი და ენგელსი.

მაგრამ თვით პოლონეთში რევოლუცია სიღრმეში განვითარების შესაძლებლობას მოკლებული აღმოჩნდა. პოლონეთის შლიახტა დაბალი ფენების დემოკრატიულ მოთხოვნებს არ აქცევდა ყურადღებას. პოლონეთის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში რაიმე ცვლილებას რევოლუციის მესვეურნი სრულებითაც არ ითვალისწინებდნენ. არისტოკრატიულ-რეაქციულმა ბანაკმა, მისმა კლასობრივმა ეგოიზმმა გლეხობასა და ქალაქის დაბალ ფენებში ჩაჰკლა ყოველგვარი რევოლუციური ენთუზიაზმი. აგრარულ რეფორმებზე ფეოდალური არისტოკრატიის მტკიცე უარის შემდგომ გლეხობა ჩამოსცილდა ბრძოლას და მას საბოლოოდ გამოეცალა როგორც ეროვნული, ისე სოციალური შინაარსი. ასეთ ვითარებაში აჯანყების რკალი და შესაძლებლობანი შეიზღუდა და ცარიზმს გაუადვილდა მისი დამარცხება.

დიბიჩი 80 ათასიანი არმიით დაიძრა პოლონეთისაკენ. 26 დეკემბერს იგი გროდნოში იყო, 1831 წლის 13 იანვარს პოლონეთის საზღვრებში შეიჭრა. 2 თებერვალს რუსეთის ძალები სტოჩკასთან პირველად შეეჯახნენ პოლონელებს. მაგრამ სერიოზული მარცხი განიცადეს. მაგრამ 7 თებერვალს ვავრასთან ბრძოლაში პოლონელებმა უკვე იწვნიეს საგრძნობი დარტყმა. 13 თებერვალს ვარშავის მახლობლად პრაღასთან ბრძოლაში, პოლონეთის არმიამ დიდი ზარალი ნახა და ვისლის გაღმა — ვარშავისკენ დაიხია. დიბიჩმა არ გამოიყენა ეს უპირატესობა, არ მოუწყო დადევნება უკანდახეულ პოლონელებს. ამან პოლონელებს მდგომარეობა გამოუსწორა. პირველმა პანიკურმა შიშმა ჩაიარა. მთავარსარდლობაში ცვლილება მოხდა. შეიარაღებული ძალების ახალმა უფროსმა სკრჟინეცკიმ რამდენიმე ბრძოლა მოიგო კიდეც.

მაგრამ 14 მაისს ოსტროლენკოსთან დიბიჩმა სასტიკად დაამარცხა სკრჟინეცკი, თუმცა აქაც თავი შეიკავა შემდგომი აქტიურობისაგან. 29 მაისს დიბიჩი ქოლერით გარდაიცვალა, მალე იგივე ბედი ეწვია ვიტებსკში კონსტანტინე პავლეს ძეს.

ნიკოლოზი ბოლო ხანებში უკმაყოფილო იყო დიბიჩის ნელი, ფრთხილი მოქმედებით. ჯერ კიდევ დიბიჩის სიცოცხლეში პოლონეთის ფრონტზე მთავარსარდლობისათვის თბილისიდან გაწვეულ იქნა თურქეთის ომებში სახელმოხვეჭილი გენერალი გრაფი პასკევიჩი. 14 ივნისს პასკევიჩი უკვე პულტუსკში იყო. მან სავსებით გაიზიარა პოლონეთის წინააღმდეგ მოქმედების ის გეგმა, რომელიც თვით ნიკოლოზის მიერ იყო მოხაზული. პასკევიჩი შეუდგა შეტევით ოპერაციებს. პოლონელთა ძალები თანდათან მცირდებოდა. გადამჭრელ ბრძოლას ერიდებოდა სკრჟინეცკიც, რის გამო მას ღალატი შესწამეს და მთავარსარდლის პოსტიდან გადააყენეს. ვარშავაში თანდათან ძლიერდებოდა პანიკა. ადამ ჩარტორიისკიმ დასტოვა პოლონეთი. მთავარსარდლობა მალახოვსკის ხელში გადავიდა. პასკევიჩმა დააჯგუფა თავისი ძალები ვარშავაზე შტურმისათვის. მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. პოლონეთის მთავრობამ გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია, მაგრამ გლეხობა,

რომელსაც ამ აჯანყებაზე გული უკვე აცრუებული ჰქონდა. ამ ლონისძიებას აღარ გამოეხმაურა. 1831 წ. 6 სექტემბერს, პასკევიჩმა იერიშით აიღო ვოლი. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა თავისი რაზმით გენერალი სავინსკი. 8 სექტემბერს რუსები ვარშავაში შეიჭრნენ. აჯანყებულთა ნაწილი ემიგრაციაში გადაიხვეწა. პოლონეთი დამარცხდა. „ისტორიული პასუხისმგებლობა მისი დამარცხებისათვის კისრად ედოთ მაგნატებს, შლიახტას და აგრეთვე ბურჟუაზიას, რომელმაც არ მოისურვა აჯანყების სათავეში ჩამდგარიყო და გამოეყვანა იგი ბურჟუაზიული რევოლუციის გზაზე".[1]

ფ. ენგელსი პოლონეთის 1830—31 წწ. რევოლუციას კონსერვატიულს უწოდებდა, რადგან იგი არავითარ ცვლილებას არ გულისხმობდა ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში. „1830 წელს გაბატონებული კლასი პოლონეთში აღმოჩნდა იმდენადვე ეგოისტური, განსაზღვრული და მშიშარა საკანონმდებლო კრებაში, რამდენადაც თავგანწირული, ენთუზიაზმით აღსავსე და მამაცი იყო იგი ბრძოლის ველზე".[2]

გაცრუვდა პოლონელი პატრიოტების იმედი დასავლეთ ევროპის მხრივ რაიმე დახმარებისა. აჯანყების პომენტში პოლონელებმა არა ერთხელ მიმართეს საფრანგეთს, ინგლისს, ავსტრიას, მაგრამ არავითარი დახმარება ამ ქვეყნებს პოლონეთისათვის არ გაუწევიათ. 1831 წლის ივლისში ინგლისმა და საფრანგეთმა წამოაყენეს მხოლოდ ერთობლივი წინადადება შუამავლობის შესახებ, მაგრამ მას შემდეგ, როცა ნიკოლოზმა კატეგორიულად უარყო იგი, ევროპის ქვეყნები მოვლენათა მსვლელობის მშვიდი მაყურებლები გახდნენ.

მიუხედავად შეზღუდული მიზნებისა, მიუხედავად დამარცხებისა, აჯანყებას მაინც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა და დადებითი შედეგები აღმოაჩნდა. ეს იყო მძლავრი დარტყმა საერთაშორისო ჟანდარმის — მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ეს იყო საღვთო კავშირის რეაქციული სისტემის წინააღმდეგ

---

[1] **А. Я. Манусевич, Очерки по истории Польши, გვ. 113.**

[2] **Маркс и Энгельс, Соч. т. X, გვ. 284.**

მძლავრი გამოსვლა. პოლონეთის აჯანყებამ საბოლოოდ ააღებინა ხელი ნიკოლოზს საფრანგეთისა და ბელგიის საქმეებში ჩარევის გეგმებზე. „1830 წელს, როცა იმპერატორი ნიკოლოზი და პრუსიის მეფე მზად იყვნენ განეხორციელებინათ თავისი გეგმა იმით რომ საფრანგეთზე ახალი თავდასხმით აღედგინათ ლეგიტიმური მონარქია, — ამ დროს პოლონეთის რევოლუციამ... მათ გადაუღობა გზა".[1] პოლონეთის რევოლუციურმა ბრძოლამ წაახალისა აგრეთვე გამათავისუფლებელი ძალები თვით რუსეთის იმპერიაში. ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მზარდ დემოკრატიულ ბანაკს მან მხნეობა და მეტი რწმენა ჩაუნერგა.

ჯერ კიდევ პოლონეთის აჯანყების მომენტში ნიკოლოზ პირველმა შეიმუშავა გეგმა, რომელიც გულისხმობდა მის სასტიკ დასჯას, პოლონეთის დამოუკიდებლობის გაუქმებას, მასში მკაცრი თვითმპყრობელური რეჟიმის დამკვიდრებას და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების ლიკვიდაციას. იმპერატორი პირველ რიგში გაუსწორდა აჯანყების ყველა იმ აქტიურ მონაწილეთ, რომელთა ხელში ჩაგდება მოახერხა. ნაწილი მათგან ხანგრძლივი ვადით გამომამწყვდია ციხეებში, ნაწილი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლა. ნიკოლოზმა თვით ჩამოაყალიბა პოლონეთის დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში პოლონეთის დამოუკიდებლობის დაუძინებელი მტერი, გრაფი პასკევიჩი ჩაუყენა. 1832 წელს გამოცემულ იქნა ე. წ. „ორგანული სტატუტი", რომელიც პოლონეთის მმართველობის ახალ წესებს შეიცავდა. პოლონეთს ნიკოლოზმა წაართვა კონსტიტუცია. პოლონეთი გამოცხადდა რუსეთის იმპერიის „განუყოფელ ნაწილად", პოლონეთის სამეფო გვირგვინი — რომანოვთა საიმპერატორო სახლის მემკვიდრეობით უფლებად. სახელწოდება „პოლონეთის სამეფო" დარჩა, თუმცა რუსეთის იმპერატორის კურთხევა პოლონეთში აიკრძალა. აიკრძალა აგრეთვე პოლონეთის არმია და სეიმი. მხარის შინაგანი მმართველობისათვის დაწეს-

---

[1] Маркс и Энгельс, Соч. т. XV, зд. 548.

და „პოლონეთის სამეფოს მმართველობის საბჭო“, რომელიც რუსეთის ხელმწიფის სახელით და მეფისნაცვლის თავმჯდომარეობით მოქმედებდა. „ორგანულ სტატუტს“ შემდეგ სხვა მუხლებიც დაემატა.

1841 წელს საბოლოოდ გაუქმებულ იქნა ადმინისტრაციული საბჭო. სახელმწიფო დაწესებულებებში სავალდებულოდ გამოცხადდა საქმის რუსული წარმოება. დახურულ იქნა ვარშავის უნივერსიტეტი. მთელს პოლონეთში გამეფდა მკაცრი რუსული პოლიტიკური რეჟიმი. დაწესდა მკაცრი ცენზურა, ენგელსის სიტყვებით „პოლონეთი ოკუპაციის მკაცრი არტახებით იქნა შეკრული“. ნიკოლოზის ბრძანებით ვარშავის ახლო აგებული ციტადელი, რომლის ქვემეხის ლულა პოლონეთის დედაქალაქზე იყო მიმართული, პოლონელებს მოაგონებდა იმპერატორის პასუხს მათს ეროვნულ მისწრაფებებზე.

1835 წელს ავსტრიიდან დაბრუნებულმა იმპერატორმა გზად მოინახულა პოლონეთი, მისი დედაქალაქი ვარშავა. დამახასიათებელია იმპერატორის სიტყვები ქალაქის მეთაურთა მიღების დროს რომ წარმოთქვა. „თქვენს წინაშეა ბატონებო— ამბობდა ნიკოლოზი — არჩევანი ორ გზას შორის: ან დამოუკიდებელი პოლონეთის ოცნებით ჯიუტობა, ან მშვიდად და ერთგულად ცხოვრება ჩემი მმართველობის ქვეშ. თუ თქვენ კვლავ დაჟინებით იოცნებებთ ცალკე ეროვნულობაზე, პოლონეთის დამოუკიდებლობასა და სხვა ქიმერებზე, თქვენ ამით თქვენს თავს დიდ უბედურებას მოუტანთ. ჩემი ბრძანებით აქ აღმართულია ციტადელი და მე თქვენ გიცხადებთ, რომ უმცირესი მღელვარების შემთხვევაშიც მე ვუბრძანებ გაანადგურონ თქვენი ქალაქი. მე დავანგრევ ვარშავას და, ცხადია, მისი ხელახალი აშენება მე როდი მომიხდება“. ამ მუქარის შიშით, პოლონეთის მებრძოლი ძალები, ჯერჯერობით სდუმდნენ. მხოლოდ საზღვარგარეთ — ემიგრანტულ ჯგუფში ისევ დუღდა მუშაობა. პოლონეთი კვნესით იტანდა ნიკოლოზის ჯალათურ რეჟიმს და ფარულად იკრებდა ღონეს რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1848 წ. რევოლუცია ევროპაში და მეფის რუსეთი

1848 წელს ევროპაში იფეთქა მძლავრმა რევოლუციურმა ხანძარმა, რომელიც დიდი ხანია ღვივდებოდა. მიუხედავად იმ ღონისძიებებისა, რასაც საღვთო კავშირი ახორციელებდა „წესრიგის“ დასაცავად. მოძრაობის ავანგარდში ამჟამადაც აღმოჩნდა საფრანგეთის დემოკრატია. 1848 წ. თებერვალში პარიზში დაწყებული მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაციები მალე აჯანყებაში გადაიზარდა. ლუი ფილიპეს ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა ჩაეხშო ხალხის რისხვა. ცენტრს პროვინციებიც გამოეხმაურნენ. მთელი საფრანგეთი რევოლუციის ალში გაეხვია. მეფე პარიზიდან ლონდონს გაიპარა. ხელისუფლებას დაეპატრონა ბურჟუაზია, რომელიც ჯერ კიდევ იდგა „მესამე წოდების“ სათავეში და მასების საერთო უკმაყოფილებას თავისი ვიწრო კლასობრივი მიზნებისათვის წარმართავდა.

ბურჟუაზიის კლასობრივმა ეგოიზმმა, რაც დამფუძნებელი კრების კონტრრევოლუციურ ღონისძიებებში გამოიხატა, საფრანგეთში სულ მალე დაანთო სამოქალაქო ომის ხანძარი. მაისში პარიზში დაიწყო მუშათა მრავალათასიანი დემონსტრაციები, ხოლო ივნისში აღიმართა ბარიკადები. პარიზის პროლეტარიატმა ლოზუნგით „პური ან ტყვია“, „ტყვია ან სამუშაო“ შეუტია თავის კლასობრივ მტერს — ბურჟუაზიას. ბურჟუაზიულმა ხელისუფლებამ ტყვიები არ დაიშურა. ორგანიზაციულად სუსტად მომზადებული აჯანყება დამარცხდა. კავენიაკმა სისხლში ჩაახშო რევოლუცია. მიუხედავად მარცხისა, პარიზის პროლეტარიატის ეს შეუპოვარი შეიარაღებული გამოსვლა უდიდესი მოვლენა იყო მსოფლიოში. ეს იყო „პირველი დიდი ბრძოლა ორ კლასს შორის“ (მარქსი). ეს იყო „პირველი დიდი სამოქალაქო ომი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის“ (ვ. ი. ლენინი).

საფრანგეთში მონარქიის დაცემამ, ხოლო შემდეგ პარიზში დატრიალებულმა ამბებმა, მთელს ევროპაში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. ავსტრიაში, პრუსიაში, ინგლისში, ესპა-

ნეთში, იტალიასა და თურქეთშიც კი. დემოკრატიამ მძლავრად შეუტია მონარქიულ რეჟიმს, აიძულა იგი შეეზღუდა თავისი ბატონობა. მაინის ფრანკფურტში დამფუძნებელმა პარლამენტმა შეიმუშავა კონსტიტუცია და წამოაყენა გერმანიის დემოკრატიული გაერთიანების იდეა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააქტიურდა იტალიაში, ბალკანეთის ქვეყნებში, ირლანდიაში; უნგრეთში აზვირთდა დიდი სახალხო რევოლუცია. უუფლებოთა და ექსპლოატირებულთა მასებს მოევლინა განმათავისუფლებელ ბრძოლაში იმედის შუქურა და უძლიერესი იდეური იარაღი — კომუნისტური პარტიის მანიფესტი, რომელიც ამ დიდი რევოლუციური ქარტეხილების წინადღეებში შექმნეს მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა.

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ახალგაზრდობა აღფრთოვანებით შეეგება რევოლუციის მძლავრ გაქანებას ევროპაში. თვითმპყრობელური რუსეთის მკაცრ ხუნდებში შებოჭილ დემოკრატიას, რომელმაც მძლავრი დარტყმა განიცადა ოციან წლებში, ჯერ კიდევ არ შეეძლო აშკარად, ქუჩაში გამოსვლა და თავისი ხმის შეერთება ევროპული ქუხილისადმი. მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთში ამ დროისათვის უკვე ვრცელდებოდა პროკლამაციები, სადაც მოთხრობილი იყო ევროპის ამბები და წაქეზებული იყო გამოსვლები. მაშინდელი დემოკრატიული ინტელიგენციის განწყობილების დასახასიათებლად საუკეთესო საბუთია, მაგალითად, სტუდენტ ჩერნიშევსკის დღიურები, რომელშიც იგრძნობა რუსეთში მომავალი რევოლუციის შორეული ხმაური და მისდამი ახალგაზრდობის ენთუზიასტური დამოკიდებულება. მოსკოვსა და პეტერბურგში ხარბად ეწაფებოდნენ ყოველ ახალ უცხოურ გაზეთს, რაც ფარულად ვრცელდებოდა და ასე თუ ისე ასახავდა შექმნილ ვითარებას. პროგრესული რუსეთი მიესალმებოდა მონარქიულ რეჟიმის წინააღმდეგ ევროპული დემოკრატიის ერთსულოვან შემართებას და იმედით შეჰყურებდა ახლო მომავალს, რომელსაც ასეთივე შეტევა თვით რუსეთში უნდა წამოეწყო.

მაგრამ რამდენადაც რევოლუციურ-დემოკრატიული ახალგაზრდობა ფარულად ზეიმობდა დიდი ქარიშხლების ეპოქას, იმდენადაც რუსეთის ცარიზმი ცოფს ყრიდა სიბრაზისაგან და მძლავრად კუმშავდა თავის შეჯავშნულ მუშტს ევროპის რევოლუციისათვის დასარტყმელად.

რუსეთის მონარქმა 22 თებერვალს მიიღო პირველი ცნობები საფრანგეთიდან ლუი ფილიპეს გაქცევის და იქ რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ლუი ფილიპე ნიკოლოზს ჭირივით ძულდა და მის დამხობას ერთგვარი ნიშნისმოგებითაც შეხვდა, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა მას შიში და ძრწოლა მოჰგვარეს. მან აშკარად დაინახა, რომ ევროპაში ერთდროულად დაიწყო მძლავრი მიწისძვრა, რომელიც საღვთო კავშირს წალეკვით ემუქრებოდა, და არა მარტო საღვთო კავშირს! ხანძრის გაჩენის რეალური საფრთხე ჩამოწვა თვით რუსეთში. განსაკუთრებით დამაფიქრებელი იყო პოლონეთის განწყობილება, მისი უშუალო მეზობლების — ავსტრიისა და პრუსიის შუაგულში დატრიალებული ამბები.

ნიკოლოზმა ჯერ კიდევ საფრანგეთში რევოლუციის დასაწყისშივე გასცა ბრძანება არმიის მობილიზაციის შესახებ. რევოლუციურ საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილ იქნა. რუსეთის ელჩი პარიზში კისელიოვი პარიზში ცხოვრობდა როგორც კერძო პირი, ოფიციალური რწმუნების გარეშე. პარიზში მყოფ რუს ქვეშევრდომებს ებრძანა საფრანგეთის საზღვრების დატოვება. რუსეთში მყოფ ფრანგ ქვეშევრდომებს მიეცათ გაფრთხილება — მშვიდათ ეგრძნოთ თავი თუ უარყოფითად იყვნენ განწყობილი რევოლუციისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეტოვებინათ რუსეთი. გაიზარდა უცხოელებისადმი პოლიტიკური ზედამხედველობა, ცენზურამ კიდევ უფრო ფხიზლად დაიწყო ბეჭდვითი სიტყვისადმი ზედამხედველობა. ოფიციალურ პრესაში სიტყვასაც არ ძრავდნენ ევროპაში მიმდინარე ამბების შესახებ. ამავე დროს დასავლეთის საზღვრებთან ცარიზმმა დააჯგუფა 420.000-ნი არმია.

ცარიზმის აგენტურას არ გამოპარვია, რომ ოფიციალურ

წრეებში მკაცრი დუმილის მიუხედავად რევოლუციის შესახებ ხმები ფარული წყაროებიდან რუსეთში სწრაფად ვრცელდებოდა და დემოკრატიული ფენების აღფრთოვანებას იწვევდა. თვითმპყრობელობამ საჭიროდ დაინახა ქვეშევრდომების სასტიკი გაფრთხილება. ამას ისახავდა მიზნად 1848 წ. 14 მარტის მანიფესტი, რომელიც თვით ნიკოლოზის მიერ იყო შედგენილი, და წარმოადგენდა ოფიციალურ შეხედულებას ევროპის მოვლენებზე. მრავალი წლის კეთილმყოფელი მშვიდობის შემდეგ — ნათქვამი იყო მანიფესტში — ევროპის დასავლეთი კვლავ შეშფოთდა ახალი არეულობით, რომელიც დამხობით ემუქრება კანონიერ ხელისუფალთ და ყოველგვარ საზოგადოებრივ წესრიგს. აღმოცენდა რა პირველად საფრანგეთში, ამბოხი და უთავბოლობა სწრაფად გავრცელდა მოსაზღვრე გერმანიაში, მთლიანად მოიცვა იგი და იზრდება მთავრობათა დათმობის შესაბამისად, მისი დამანგრეველი ნაკადი ბოლოს და ბოლოს შეეხო ჩვენს მოკავშირე ავსტრიის იმპერიას და პრუსიის სამეფოს. ამჟამად, გადასცდა რა ყოველგვარ საზღვარს, იგი თავხედურად ემუქრება ჩვენდამი ღვთის მიერ ბოძებულ რუსეთს. დაე ეს არ მოხდეს. მანიფესტი მოუწოდებდა თითოეულ ქვეშევრდომს ბრძოლას რევოლუციის წინააღმდეგ რწმენის, მეფისა და მამულის სახელით.

განალაგა რა მსხვილი სამხედრო ნაწილები ბალტიისპირეთში, პოლონეთსა და სხვა სახიფათო ადგილებში, ცარიზმმა უხეშად დაიწყო ევროპის საქმეებში ჩარევა. ავსტრიას ნიკოლოზი შეპირდა დიდძალ ფულად სახსრებს იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს ეცნობა, რომ მათი მხარდაჭერა იტალიის მოძრაობისადმი გამოიწვევდა ავსტრიისათვის რუსეთის იარაღით მხარდაჭერას. ცარიზმმა, დაინახა რა ეროვნული მოძრაობის აზვირთების ნიშნები, წინასწარ შეიყვანა ჯარები მოლდავეთსა და ვალახეთში. იგი მზად იყო საფრანგეთში ინტერვენციის მოსაწყობად, მაგრამ ოდნავ დამშვიდდა, როცა გაიგო პარიზის პროლეტარიატისადმი სისხლიანი ანგარიშგასწორების ამბავი და ჯალათ კავენიაკს მიულოცა გამარჯვება. ნიკოლოზი

ასევე ერევა თავისი მოსაზღვრე და მოკავშირე პრუსიისა და ავსტრიის საქმეებში. თავის ცოლისძმას ფრიდრიხ-ვილჰელმ მეოთხეს იგი ჰკიცხავს უმოქმედობისათვის და მას რჩევას აძლევს სასწრაფოდ მოუღოს ბოლო კონსტიტუციურ მოთხოვნებს. ასეთ რჩევას აძლევს იგი ავსტრიის მონარქ ფრანც იოსებს, რომელიც ასეთ მღელვარე დღეებში ავიდა ავსტრიის საიმპერატორო ტახტზე და ერთგულად დაიწყო რუსეთის მონარქიის მითითებათა განხორციელება.

მაგრამ ავსტრიის იმპერიაში რევოლუციამ მალე ცარიზმისათვის მეტად საშიში ხასიათი მიიღო. ავსტრიის შეკოწიწებულ იმპერიას მძლავრად შეუტია უნგრეთის სახალხო მოძრაობამ, რომელიც საფრანგეთის თებერვლის ამბების ზეგავლენით დაიწყო და მძლავრ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლად გადაიზარდა.

1848 წ. მარტის დასაწყისში უნგრეთის სეიმში კოშუტმა მკაცრად გააკრიტიკა ავსტრიის აბსოლუტიზმის სისტემა, მოითხოვა ბატონყმობის ლიკვიდაცია, სახალხო წარმომადგენლობა და თვითმმართველობა. მალე რადიკალებმა შანდორ პეტეფის მეთაურობით შეადგინეს პეტიცია, რომელშიც ასახული იყო მომავალი რევოლუციის მთელი პროგრამა. უნგრელი რევოლუციონერები კიდევ უფრო გაამხნევა თვით ავსტრიის შუაგულში — ვენაში დაწყებულმა მოძრაობამ. პეშტში რადიკალურ ინტელიგენციას შეუერთდნენ მუშები, ხელოსნები. მათ დაიკავეს მთავარი პუნქტები, ციხიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები, ხელისუფლება გადავიდა საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის ხელში. რევოლუცია გავრცელდა პროვინციაში. გააქტიურდნენ გლეხები. ფეოდალურ-ბატონყმური პრივილეგიების წინააღმდეგ სოფლად დაიწყო მძლავრი შეტევა. უნგრეთში შეიქმნა დემოკრატიული მთავრობა.

ავსტრიის საიმპერატორო კარმა მკაცრი ღონისძიებანი განახორციელა უნგრეთში რევოლუციის ჩასახშობად. საგანგებო არმიები დაიძრა რევოლუციური უნგრეთის წინააღმდეგ, მაგრამ უნგრეთის სახალხო გამათავისუფლებელმა არმიამ, სადაც

აგრეთვე აქტიურად მონაწილეობდნენ პოლონელი ემიგრანტები, დიდი სიმამაცე გამოიჩინა და მთელ რიგ შეჯახებებში გამარჯვებული გამოვიდა.

1849 წლ. მარტიდან უნგრეთის არმია თეით გადავიდა შეტევაზე. უნგრეთის მთავრობამ ამავე დროს გამოაცხადა, რომ იგი აღარ ემორჩილება ავსტრიის ახალ იმპერატორს, არ ცნობს მას უნგრეთის მეფედ, ვიდრე იგი არ შეჰფიცავს ერთგულებას უნგრეთის კონსტიტუციას. მაგრამ ფრანც იოსებმა, რომელმაც ვენასა და უნგრეთში პირველი დარტყმებისაგან უკვე სული მოითქვა, საპასუხოდ დაამტკიცა კონსტიტუცია, სადაც უნგრეთი გაბსბურგების დინასტიის ერთერთ პროვინციად იყო აღიარებული. უნგრეთში ამან მოძრაობის ახალი აზვირთება გამოიწვია. ავსტრიელი გენერლის ვინდიშგრეცის არმია უნგრელებმა სასტიკად დაამარცხეს. მთელი უნგრეთი გათავისუფლდა ავსტრიული ჯარებისაგან. 14 აპრილს კოშუტმა გამოაცხადა უნგრეთის დამოუკიდებლობა. უნგრეთის ჯარებმა ზედიზედ დაამარცხეს რა ავსტრიელები, გზა გახსნეს ვენის კარიბჭეებისაკენ.

ავსტრიის საიმპერატორო კარი დაღუპვის წინაშე აღმოჩნდა. და აი აქ ამოუდგა მას გვერდში ლეგიტიმიზმის ერთგული, მონარქიული რეჟიმის საიმედო დამცველი ევროპაში ნიკოლოზ პირველი, რომელმაც გადამწყვეტი დახმარება გაუწია ფრანც იოსებს და ჰაბსბურგების დინასტია დაღუპვას გადაარჩინა.

ფრანც იოსების თხოვნა ნიკოლოზისათვის კარგი საბაბი გახდა უნგრეთში ინტერვენციის დასაწყებად. უნგრეთის რევოლუცია, გარდა იმისა, რომ სასიკვდილოდ ემუქრებოდა მონარქიულ რეჟიმს ავსტრიაში, ნიკოლოზის აზრით წარმოადგენდა დენთს პოლონეთში ახალი აფეთქებისათვის. ჯერ კიდევ ფრანც იოსების ოფიციალურ თხოვნამდე ნიკოლოზის ბრძანებით რუსთა კორპუსი შეყვანილ იქნა ტრანსილვანიაში, მაგრამ იქ წარუმატებელი ოპერაციების შემდეგ ისევ გამოიწვია ვალახეთში.

ცარიზმის გაფართოებული ინტერვენცია უნგრეთში 1849

წლის აპრილიდან დაიწყო. საინტერვენციო ძალები, რომელშიც 150.000-მდე მეომარი ითვლებოდა, გრაფ პასკევიჩის მეთაურობით შეიჭრნენ უნგრეთის ტერიტორიაზე. შეთანხმების თანახმად რუსებს დამოუკიდებლად უნდა ემოქმედათ. ავსტრიას ევალებოდა რუსეთის არმიის სურსათით უზრუნველყოფა და თავისი ოპერაციების შეთანხმება პასკევიჩის სტრატეგიული გეგმისათვის.

ნიკოლოზის გეგმით რუსეთის საინტერვენციო ძალებს უნგრეთის არმია ერთი დაკვრით უნდა მოესპოთ. „ქუხილივით დაიგრიალეთ“ — ასეთი იყო პასკევიჩისადმი მიცემული მითითება. მაგრამ უნგრეთის ოპერაციები გაჭიანურდა. ავსტრიელთა ძალები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. რუსეთის არმიას საჭირო სურსათი არ აღმოაჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ომი რევოლუციური უნგრეთის წინააღმდეგ სრულიად არ იყო პოპულარული რუსეთის არმიაში და იგი ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე იძულებით მოქმედებდა. ოფიცრებიდან ბევრი აშკარად გამოთქვამდა თანაგრძნობას უნგრელებისადმი. ხშირი იყო დეზერტირობის შემთხვევები.

მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც ცარიზმისათვის უზრუნველყოფილი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ავსტრიის და რუსეთის ძალები დიდად სჭარბობდნენ რევოლუციური უნგრეთის ძალებს, თვით უნგრეთის მთავრობაში როდი იყო მოქმედების სიცხადე და ერთსულოვნება. მთავრობის ზოგიერთი წევრი, რომელიც რეაქციული არისტოკრატიის სულისკვეთებას ასახავდა, ჰაბსბურგების კართან თანამშრომლობის მომხრე იყო. ავსტრიის მხარეზე იყო უმაღლესი კათოლიკური სამღვდელოება. „მშვიდობის პარტია“ უნგრეთის ნაციონალურ კრებაში გერგეის მეთაურობით რუსეთთან და ავსტრიასთან შერიგების თვალსაზრისს იზიარებდა. გერგეის კი უნგრეთის ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში წამყვანი პოზიცია ეკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის რევოლუციის ქარიშხალი ამ დროისათვის დაცხრომას იწყებდა, ხოლო მსხვილი ევროპული სახელმწიფოები სრულებითაც არ უწევდნენ წინააღმდეგობას

ცარიზმის ინტერვენციას, რადგან რუსეთის წინააღმდეგ მათ ძლიერი ავსტრია სჭიროდათ.

უნგრეთის არმიამ რამდენიმე მძიმე ბრძოლა გადაიხადა, მაგრამ მისი ძალები დასუსტდა. ვილაგოშთან ბრძოლა გადამწყვეტი აღმოჩნდა (ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა საბელგანთქმული უნგრელი პოეტი შანდორ პეტეფი). 13 აგვისტოს უნგრეთის არმიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. უფრო ადრე, 10 აგვისტოს რწმუნება ჩააბარა და თურქეთში გაიხიზნა კოშუტი.

რევოლუციური უნგრეთი დაეცა. ავსტრიის სამეფო კარი სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს: 9 გენერალი ჩამოახრჩეს, 4 დახვრიტეს, 386 ოფიცერი ციხეებში გამოამწყვდიეს. რუსეთის არმია დაბრუნდა თავის ქვეყანაში. ნიკოლოზი თავის მისიას შესრულებულად თვლიდა და ამაყობდა ავსტრიისადმი ასეთი ერთგული სამსახურით. მაგრამ მალე, როგორც ქვევით დავინახავთ ეს სამსახური ავსტრიის საიმპერატორო კარმა იმით გადაიხადა, რომ ყველაზე კრიტიკულ ჟამს ყელში წაუჭირა ხელი რუსეთს და მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოკალათებულმა ბალკანეთის პროვინციები მიიტაცა.

უნგრეთის რევოლუცია საერთოევროპულ მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა. მარქსის და ენგელსის თვალსაზრისით ეს იყო უდიდესი მასშტაბის აღმოსავლეთევროპული რევოლუციური ბრძოლა, რომელმაც გადალახა თავისი პირველდაწყებითი ნაციონალური საზღვრები. უნგრელი ხალხის გამარჯვების შემთხვევაში დაემხობოდა მთელი აღმოსავლეთ-ევროპული სახელმწიფოებრივი სისტემა. „ახალი რაინის გაზეთში" მარქსი და ენგელსი ქებას ასხამდნენ უნგრელი ხალხის რევოლუციურ ენთუზიაზმს. ასევე აფასებდნენ მას რევოლუციური დემოკრატები რუსეთში. ჩერნიშევსკი თავის დღიურებში მწუხარებას გამოსთქვამდა უნგრელთა დამარცხების გამო. ევროპაში გადახვეწილი გერცენი ყურადღებით ადევნებდა თვალს უნგრელთა მამაცურ ბრძოლას და წყეულაკრულვას უგზავნიდა რუსეთის ცარიზმს უნგრელი ხალხის ეროვნულ საქმეებში უხეში ჩარევისათვის.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ნახევარი საუკუნის წინათ რუსეთს მტკიცედ დაუმკვიდრდა საერთაშორისო ჟანდარმის სახელი. ჩვენმა თვითმპყრობელობამ გასული საუკუნის მანძილზე ცოტა რამ როდი გააკეთა ყოველგვარი რეაქციის მხარის დასაჭერად ევროპაში და რევოლუციური მოძრაობის პირდაპირი სამხედრო დათრგუნვისთვისაც კი მეზობელ ქვეყნებში. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ნიკოლოზ 1-ის ლაშქრობა უნგრეთში და არა ერთხელ შემუსვრა პოლონეთისა, რათა გავიგოთ, თუ რატომ იყო რომ საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატის ბელადები, 40-იანი წლებიდან დაწყებული, არა ერთგზის მიუთითებდნენ ევროპელ მუშებსა და ევროპულ დემოკრატიას ცარიზმზე, როგორც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში რეაქციის მთავარ დასაყრდენზე“.[1]

ცარიზმი გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგ

ნიკოლოზ I მეორე უხეში ჩარევა ცენტრალური ევროპის საქმეებში გამოიხატა გერმანიის გაერთიანების ჩაშლით 1849 წელს.

ფრანკფურტის პარლამენტის გარეკვის შემდეგ, რაც გერმანიის პირველი რევოლუციის ისტორიის დასასრულს წარმოადგენდა, გერმანიის გაერთიანების ცხოველმყოფელ იდეას ხელი ჩასჭიდა პრუსიის მონარქმა. გაერთიანებული გერმანია ფრიდრიხ ვილჰელმ IV მეთაურობით ცენტრალურ ევროპაში დაიკავებდა გაბატონებულ მდგომარეობას. 1849 წლის გაზაფხულზე პრუსიის მთავრობის ინიციატივით ბერლინში მოწვეულ იქნა გერმანიის რამდენიმე სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენცია. შეიქმნა ე. წ. „სამი ხელმწიფის კავშირი“ (პრუსიის, საქსონიისა და ჰანოვერისა) ამ წამოწყებამ მიიზიდა გერმანიის დანარჩენი წვრილი სამთავროები და ასე შეიქმნა ე. წ. გერმანული უნია პრუსიის მეთაურობით.

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 565.

პრუსიის მეთაურობით წამოწყებულმა ღონისძიებამ გერმანიის ზევიდან გაერთიანებისა, შეშფოთება გამოიწვია ავსტრიაში, რომელსაც სრულებითაც არ აწყობდა გერმანიის საქმეებში პრუსიის პირველობა.

პრუსიის მეთაურობით გერმანიის გაერთიანება არ მოეწონათ არც პეტერბურგში. ცარიზმმა სრულიადაც არ ჩასთვალა საჭიროდ პრუსიის მეტისმეტი გაძლიერება. ამ გაერთიანების წინააღმდეგ რომ ოფიციალური საბაბი წამოეყენებინა, ნიკოლოზმა ისევ მოიგონა ლეგიტიმიზმი. პრუსიასა და ავსტრიას შორის ამავე ხანებში წამოიჭრა მწვავე კონფლიქტი ჰესენის გამო. საჭირო გახდა საქმეში ნიკოლოზ პირველის ჩარევა, ავსტრიის მიწვევით ნიკოლოზმა სიამოვნებით იკისრა ამ კონფლიქტის მოგვარება. პრუსიის, ავსტრიის და რუსეთის წარმომადგენელთა თათბირი მოეწყო ოლმიუცში. რუსეთის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ავსტრიას და დაჟინებით მოითხოვა გერმანიის გაერთიანებაზე ხელი აეღო პრუსიას. პრუსიის წარმომადგენლობა იძულებული შეიქმნა დათანხმებულიყო და ხელი მოეწერა იმ პუნქტებზე, რომელიც ცარიზმის მიერ იყო ნაკარნახევი. „ოლმიუცის დამცირება“ ნიკოლოზის ხელიდან მომდინარეობდა. იგი მეტად მწარე მოგონებად დარჩა გერმანულ წრეებში და რუსეთის საწინააღმდეგო განწყობილება გააღვივა დემოკრატიულ ფენებში.

ნიკოლოზ პირველი ზეიმობდა ამ გამარჯვებას. ევროპაში მისი როლი წამყვანი გახდა. ცარიზმის რეაქციულ ღონისძიებებს თანაგრძნობით ხვდებოდნენ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები და მასში ხედავდნენ თავიანთ საიმედო დასაყრდენს. საყოველთაო აღიარება ჰპოვა რუსეთის დიპლომატიის წარმატებებმა. ევროპაში ვეღარავინ ბედავდა ჩრდილოეთის გოლიათის წინააღმდეგ აშკარა მოქმედებას. იმ დროის ევროპის დიპლომატიურ წრეებში ნიკოლოზს ნაპოლეონსაც კი ადარებდნენ. 1851 წელს ფხიზელი დიპლომატიური მეთვალყურე ბარონი შტოკმარი წერდა: „როცა მე ახალგაზრდა ვიყავ, ევროპის კონტინენტს ფლობდა ნაპოლეონი, ახლა საქმე იმგვარად გამოიყურება, რომ ნაპოლეონის ადგილი რუსეთის

იმპერატორმა დაიკავა და რომ ყოველ შემთხვევაში რამდენიმე წლის მანძილზე იგი სხვა მოსაზრებებითა და სხვაგვარი საშუალებებით კონტინენტს უკარნახებს კანონებსო".[1]

მაგრამ რუსეთის იმპერია გარედან ჩანდა ძლიერი. შორიდან ბრწყინვალე და შიშისმომგვრელი, იგი შიგნით შეუჩერებელ ლპობას განიცდიდა. მისი შინაგანი სიდამპლე და უძლურება ფეოდალურ-ბატონყმური წყობილებიდან მომდინარეობდა. საკმაო იყო ერთი მძლავრი გარეგნული ბიძგი, ან შინაგანი აფეთქება, რომ ეს გოლიათი, თიხის ფეხებზე შემდგარი, წაქცეულიყო. ამ განსაცდელს რუსეთის მმართველი ზედაფენა თვითონ იმზადებდა.

---

[1] История дипломатии, том I, ss. 429.

თავი IX

ეროვნული საკითხი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მის პირველ საფეხურზე რუსეთში

ცარიზმის კოლონიური რეჟიმი და ეროვნული მოძრაობის პირველი ნიშნები უკრაინა — ბელორუსია — ბალტიისპირეთში

XIX საუკ. პირველ ნახევარში ეროვნული საკითხი რუსეთის იმპერიაში მნიშვნელოვან ადგილს იკერს. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასასრულიდან, როცა მოსკოვის სახელმწიფომ თავის მფლობელობაში მოაქცია არასლავური ტომები, იგი თანდათანობით მრავალეროვან, კოლონიურ სახელმწიფოდ იქცა. დაპყრობილ განაპირა მხარეებში მოსკოვის სახელმწიფო, ხოლო XVIII საუკ. მეორე ნახევრიდან თავადაზნაურული იმპერია ახორციელებდა უსასტიკეს ექსპლოატაციას. რუსი მოხელეები გაუგონარი თვითნებობითა და ძალადობით ახორციელებდნენ სიმდიდრის ამოქაჩვას. კოლონიური ჩაგვრა ჯერ კიდევ ბატონყმურ რუსეთში წარმოადგენდა კაპიტალის დაგროვების ერთერთ მნიშვნელოვან წყაროს.

XVII საუკუნის მიწურულიდან რუსეთის იმპერიის საზღვრები ფართოვდება. მის მფლობელობაში ექცევა უკრაინის და ბელორუსიის მიწა-წყალი, ბალტიისპირეთი, XIX საუკუნის დასაწყისიდან კი — ამიერკავკასია. იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, უკრაინელი, ბელორუსი, ბალტიისპირელი, ამიერკავკასიის ხალხების შეერთება რუსეთთან, როგორც ზემოთაც ითქვა, დიდმნიშვნელოვანი პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ ეს ობიექტური მხარე სრულებითაც არ გამორიცხავს იმ რეაქციულ პოლიტიკას, იმ სასტიკ კოლონიურ რეჟიმს, რომელსაც შემოერთებული არარუსი ხალხების მიმართ ახორციელებდა ცარიზმი.

მეფის რუსეთს ვ. ი. ლენინი ხალხთა საპყრობილეს უწოდებდა. ამ საპყრობილეში გაცილებით მძიმე იყო მდგომარეობა იმ არარუსი ხალხებისა, რომლებიც სოციალურ ჩაგვრასთან ერთად, ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდნენ.

განაპირა, კოლონიურ მხარეებში რუსეთი ანგარიშს არ უწევდა ხალხის ტრადიციებს, მის სპეციფიკას. რუსული ადმინისტრაცია ცენტრალურ გუბერნიებსა და ნაციონალურ მხარეებს ერთგვარი წესებით მართავდა. ამასთან განაპირა მხარეებში ერთგვარი სასჯელის სახითაც იგზავნებოდნენ ყველაზე უფრო უვიცი, თავნება, ბიუროკრატი და ბნელ საქმეებში დაოსტატებული მოხელეები, რომლებიც მოკლებული იყვნენ რა სისტემატურ კონტროლს, თავის სამმართველო ერთეულს უყურებდნენ როგორც პირად საკუთრებას, შემოსავლის წყაროს და ძლიერ მდიდრდებოდნენ მოსახლეობის ყვლეფის ხარჯზე.

ცარიზმი მის მიერ დაპყრობილ ნაციონალურ ოლქებში მხოლოდ რუსულ ენას ცნობდა სახელმწიფო ენად. ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ადგილობრივი მოსახლეობის ენას ყოველმხრივ ავიწროებდნენ, აბუჩად იგდებდნენ, საზოგადოებრივი ხმარებიდან იძულებით დევნიდნენ ცარიზმის მოხელეები. ისინი ამავე დროს დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ ხალხის ეროვნულ საუკუნოვან ტრადიციებს, მის კულტურას, თავმომწონედ, ყოყოჩურად ზევიდან დასცქეროდნენ ადგილობრივთ, ფრიად უხეშად, იძულებით ახორციელებდნენ კოლონიური ხალხების გარუსების პოლიტიკას.

ამ ეტაპზე რუსეთის კოლონიური პოლიტიკა მაინც სხვაგვარი, ვთქვათ, ინგლისის კოლონიური პოლიტიკისაგან განსხვავებული იყო. ფეოდალურ-ბატონყმურ რუსეთს, მისი საწარმოო ძალთა ჩამორჩენილობის გამო, ჯერ კიდევ არ გააჩნდა ძალა და უნარი კოლონიური ქვეყნების სრული ათვისებისათვის. ამ დროის კოლონიური პოლიტიკა ძირითადად ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებდა, ამიტომ გამოიყურებოდა იგი უფრო უხეშად, ძალადურად. მაგრამ ამავე პერიოდში, რუსეთის შიგ-

ნით მზარდი და უკვე საკმაოდ მომწიფებული კაპიტალისტური ურთიერთობა კოლონიური მხარეების ეკონომიურ ათვისებისკენაც დგამდა ნაბიჯს. თანდათან ფართოედებოდა ერთიანი საიმპერიო ბაზარი, თანდათან გაქრობას იწყებდა განაპირა მხარეების სამეურნეო კარჩაკეტილობა, სპეციფიკა. მეტროპოლიის ბურჟუაზია თანდათან ქმნიდა თავის საყრდენებს და იხვეწებოდა კოლონიური რეჟიმიც — რაც გულისხმობდა განაპირა, არარუსი ეროვნებებით დასახლებული მხარეების გადაქცევას რუსეთის სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზრად და რუსული მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის მიწოდების წყაროდ.

რუსეთის ცარიზმის ეს უხეში კოლონიური რეჟიმი, ცხადია, ნაციონალურ მხარეებსა და ოლქებში ადგილობრივი ელემენტების მკაცრ წინააღმდეგობას ხვდებოდა და რაც უფრო მეტი და მტკივნეული იყო ეს დაწოლა, იმდენად მეტი იყო წინააღმდეგობა.

XIX საუკ. მეორე მეოთხედიდან რუსეთში და განაპირა მხარეებში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების ინტენსიური პროცესი ამავე დროს შემაპირობებელი ხდება ეროვნული ძალების კონსოლიდაციისა, იგი ბიძგს აძლევს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც უკვე XIX საუკ. ორმოცდაათიანი, სამოციანი წლებიდან გამოკვეთილ სახეს იღებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია მხარში უდგას, თანაუგრძნობს ნაციონალური მხარეების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ააშკარავებს და ჰკიცხავს ცარიზმის უხეშ კოლონიურ პოლიტიკას, მეფის მოხელეთა თავგასულობას, ნაციონალური ტრადიციების, ენის, კულტურის შევიწროების რეაქციულ ღონისძიებებს, ამზადებს ნიადაგს რუსი და არარუსი ხალხების მეგობრობისათვის ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის და მისი ზედნაშენის ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

გადავავლოთ თვალი იმ საზოგადოებრივ პროცესებს, რომ-

ლებიც ამ დროს რუსეთის იმპერიის ნაციონალურ განაპირა მხარეებში მიმდინარეობს.

ავიღოთ უკრაინა XIX საუკ. პირველ ნახევარში. უკრაინაში ინტენსიურად ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობა, იზრდება მანუფაქტურების რიცხვი. 1825 წლისათვის უკრაინაში 649 სამრეწველო საწარმო მოქმედებდა, 1850 წელს მათი რიცხვი 1655-მდე გაიზარდა. წარმოებებში მომრავლდა თავისუფალი მუშა ხელი (1828 წელს იგი 22,5 პროცენტს შეადგენდა). უკრაინაში ჩასახვას იწყებს მეტალურგიული მრეწველობა, შაქრის წარმოება, სოფლად ვითარდება ინტენსიური მეურნეობანი. იზრდება სასაქონლო პურის წარმოება. 30-იანი წლების დასასრულიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის საზღვარგარეთული ბაზარი ფართოვდება.

ყველა ზემოთჩამოთვლილი პროცესი უკრაინაში, სადაც გაბატონებულია ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა, ცხადია, ნელა, მტკივნეულად მიმდინარეობს. უკრაინა კვლავ რჩება სოფლის მეურნეობის ქვეყნად, სადაც მეტად დაბალია ტექნიკა, კვლავ ნატურალური კარჩაკეტილობაა, მიმდინარეობს გლეხთა მეურნეობის გაჩანაგების პროცესი საბატონო სახნავის ზრდის გამო, და სადაც უმიწაწყლო გლეხთა რაოდენობა იზრდება ყოველწლიურად.

ცარიზმი უკრაინაში თანმიმდევრულად ახორციელებს ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკას. ამ საქმეში იგი ეყრდნობა თვით ადგილობრივ თავადაზნაურობას, რომლის სოციალურ-პოლიტიკურ პრივილეგიებს თავგამოდებით იცავს. ცარიზმმა ჯერ კიდევ ადრე კაზაკთა მამასახლისები აზნაურად აქცია, ხოლო გლეხობა დაიყმევა. ტრამალის უკრაინაში ცარიზმმა შემოიღო სულადობრივი გადასახადი, და გლეხობა, რომელიც ბატონყმურ უღელს გამოქცეული შედარებით ნებისმიერად ცხოვრობდა და თავს სეზონური სამუშაოებით ინახავდა, სამუდამოდ მიამაგრა მემამულეებს, ამასთანავე თავადაზნაურობამ ხელი მიჰყო კაზაკური მიწების დატაცებას.

მწვავე სოციალურ და კოლონიურ ჩაგვრას უკრაინელი გლეხობა ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ აქტიური ბრძო-

ლით უპასუხებს. იგი ებრძვის გამძვინვარებულ მემამულეებს, რომლებიც სისხლს სწოვენ, ებრძვის რუს მოხელეებს, რუსულ ადმინისტრაციულ აპარატს, რომელიც იცავს და აკანონებს მემამულეთა ყოვლისშემძლეობას. უკრაინის გლეხობის ეს ბრძოლა ერწყმის იმ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც მთელს რუსეთში ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ეწევიან მშრომელი მასები. დეკაბრისტული მოძრაობის დამარცხების შემდეგ, რომლისადმი უკრაინის ხალხმა დიდი სიმპატიები გამოიჩინა, ამ მხარეში მოძრაობა უფრო აქტიურ ხასიათს იღებს. იგი განსაკუთრებით ცხოველდება პოლონეთის აჯანყების პერიოდში. კიევის გუბერნიაში, ვოლინში გლეხობა უარს აცხადებს ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულებაზე, იარაღით უსწორებს ანგარიშს ცალკეულ მემამულეებს. 1833-34 წლებში მღელვარება ხარკოვის გუბერნიის გლეხობას ედება. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოდოლიის გლეხთა მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგას კარმელიუკი. გლეხები მისი მეთაურობით წვავენ მემამულეთა სახლ-კარს, ისაკუთრებენ მათ ქონებას, ჰკლავენ მეფის მოხელეებს. მხოლოდ 1835 წელს მოახერხეს გამცემლობით კარმელიუკის მოკვლა.

XIX საუკ. 30-იან წლებში უკრაინაში კონსოლიდაციას იწყებენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი ძალებიც. 1833 წელს ცარიზმმა ნება დართო გაეხსნათ კიევში უნივერსიტეტი. იგი იმედოვნებდა, რომ უნივერსიტეტს გადააქცევდა უკრაინაში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების ხელშემწყობ დაწესებულებად. მაგრამ პირიქით მოხდა. კიევის უნივერსიტეტი გადაიქცა უკრაინული ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრად, სადაც მალულად გაჩაღდა პოლიტიკური წრეების საქმიანობა, გაღვივდა ეროვნული იდეალები, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა. ეროვნული ძალების ამოძრავებას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე კიევში არქეოგრაფიული კომისიის ჩამოყალიბებამ. კომისიის მიერ გამოქვეყნებულმა ძველმა აქტებმა და სხვა მასალებმა გააცხოველეს ინტერესი უკრაინის წარსულისადმი. ინტენსიურად დაიწყო უკრაინის ისტორიის, ფოლკლორის შეს-

წავლა, უკრაინული ენის დამუშავება და მხურვალე დაცვა რუსიფიკატორული იერიშებისაგან. ისტორიკოსების და ეთნოგრაფების კოსტომაროვის, ბედიანსკის, მეტლინსკის ნაშრომებმა გამოავლინეს ბრწყინვალე მარგალიტები უკრაინულ ხალხურ პოეზიაში, მუსიკაში, მითოლოგიაში. უკრაინული ენის მხურვალე დამცველად, მისი თვითმყოფობის ქომაგად გამოვიდა პროფესორი სრეზნევსკი.

ეროვნული იდეალები წინა პლანზე წამოიწია ამ ეპოქის უკრაინულ ლიტერატურაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია უკრაინელი მწერლების ი. კოტლიარევსკის, პ. გულაკ-არტემოვსკის, ლ. ბოროვიკოვსკის, გ. კვიტკა-ოსნოვიანენკოს, ე. გრებინკას შემოქმედება, რომელთა სახელთან დაკავშირებულია მხატვრული პროზის დამკვიდრება, ეროვნული დრამატული რეპერტუარის შექმნა, სოციალური სატირა, რომანტიკული ბალადები და სხვ. ამ მწერალთა შემოქმედებაში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს რეალიზმი, ასახულია თანამედროვეობის სოციალური და ეროვნული ტკივილები, მხილებული და გამათრახებულია მეფის მოხელეთა თვითნებობა და უვიცობა, მემამულე თავადაზნაურობისა და სამღვდელოების სიხარბე და სისასტიკე, ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია მაგალითად, ი. კოტლიარევსკის „ენეიდა", სადაც მეტად მახვილგონიერადაა გამასხრებული მეფის მოხელეები და აზნაურობა. მთელი პოემა განმსჭვალულია თავისუფლებისათვის მებრძოლი უკრაინელი გლეხობისადმი გულწრფელი თანაგრძნობით.

უკრაინაში მოწინავე ძალების საზოგადოებრივი პროტესტი თვითმპყრობელური რეჟიმისადმი ყველაზე გამოკვეთილად აისახა კირილე-მეთოდეს ფარულ საზოგადოებაში, რომელიც კიევში აღმოცენდა ორმოციან წლებში სტუდენტთა წრეებში. ამ ფარული საზოგადოების ან ძმობის ლიდერები იყვნენ ნ. ი. კოსტომაროვი, პ. ა. კულიში, ცნობილი უკრაინელი მწერალი ტ. შევჩენკო, ნ. ი. გულაკი, ნ. ი. სავიჩი და სხვები. საზოგადოების წევრები, მძაფრ პროტესტს გამოსთქვამდნენ უკრაინის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, მათ იდეალს წარ-

მოადგენდა სლავი ხალხების პოლიტიკური გაერთიანება ერთ ფედერაციაში, სადაც თითოეულ სლავ ხალხს თავისი ფართო ავტონომია ექნებოდა. ფარულ საზოგადოებაში გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა: ბურჟუაზიულ-ლიბერალური და დემოკრატიული. ამათგან პირველი (კოსტომაროვი, კულიში, ბელოიოროვი) საპროგრამო საკითხების გადაწყვეტას მშვიდობიანი პროპაგანდის საშუალებით ვარაუდობდა, ხოლო მეორე — დემოკრატიული (შევჩენკო, გულაკი), ასახავდა რა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ გლეხობის მისწრაფებებს, ადგა ცარიზმის წინააღმდეგ აქტიური რევოლუციური ბრძოლის თვალსაზრისს, მოითხოვდა ცარიზმის, მემამულური ძალაუფლების განადგურებას, უკრაინისა და რუსეთის შეყვანას სლავურ ფედერაციაში თანასწორი უფლებებით, ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაციას, დემოკრატიულ წყობილებას. მთავრობამ მიაგნო ამ საზოგადოების კვალს და 1847 წელს იგი გაანადგურა, ამასთანავე განსაკუთრებული სიმკაცრით დასჯა სწორედ იმ მიმართულების მესვეურები, რომლებიც რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას იცავდნენ.

უკრაინის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე იყო მგზნებარე პოეტი, რევოლუციონერ-დემოკრატი, ტარას შევჩენკო. მისი შეხედულებები დიდი რუსი განმანათლებლების და რევოლუციონერ-დემოკრატების გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის გავლენით ჩამოყალიბდა. შევჩენკოს თავდავიწყებამდე უყვარდა თავისი სამშობლო უკრაინა, ამავე დროს სძულდა მისი მტრები—უკრაინელი მემამულეები, რუსი მოხელეები, პოლონელი პანები, რომლებიც ხალხს ჩაგრავდნენ და მათს ნაოფლარს ითვისებდნენ. შევჩენკოს შესანიშნავად ესმოდა უკრაინის განთავისუფლების ჭეშმარიტი გზა, ამიტომ იგი თავისი სამშობლოს მომავალ ბედნიერებას, მთელი რუსეთის ბედნიერებას, მის თავისუფლებას უკავშირებდა.

შევჩენკო ყმა გლეხის შვილი იყო და თავად ენგელჰარდტის საკუთრებას შეადგენდა. თავადის ნებართვით ნიჟიერმა ტარასიმ დაიწყო მხატვრობის შესწავლა. მალე იგი დაუახლოვ-

და პეტერბურგის მაშინდელ მოწინავე წრეებს, რომლებმაც დიდი წვალებით და აუარებელი თანხის გაღებით გამოისყიდეს იგი მემამულისაგან.

შევჩენკომ მთელი სიცოცხლის მანძილზე განიცადა ცარიზმის მხრივ სასტიკი დევნა — დაპატიმრება, გადასახლება, შეურაცხყოფა, დაცინვა. თავისი მკვეთრი სიძულვილი რუსი და უკრაინელი ხალხის მჩაგვრელებისადმი პოეტმა წითელ ზოლად გაატარა მხატვრულ შემოქმედებაში („კობზარი", პოემა „ჰაიდამაკები"), რომელიც გადაიქცა დიდ მამობილიზებელ ძალად თვითმპყრობელური და ბატონყმური ჩაგვრისაგან უკრაინელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

XIX საუკ. პირველ ნახევარში ეკონომიური აღმავლობა დაიწყო ბელორუსიასა და ლიტვაში. ამას ხელი შეუწყო რუსეთთან, ეკონომიურად უფრო განვითარებულ და პოლიტიკურად ძლიერ სახელმწიფოსთან შეერთებამ. 1825 წელს ლიტვასა და ბელორუსიაში მოქმედებდა 239 სამრეწველო საწარმო, რომლებშიაც დასაქმებული იყო 3835 მუშა. 50-იანი წლების მიწურულში წარმოებათა რიცხვი ორნახევარჯერ, ხოლო მუშათა რიცხვი 3-ჯერ გაიზარდა. გაიზარდა ნებით დაქირავებულ მუშათა ხვედრითი წონა წარმოებაში. მემამულური მანუფაქტურები კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ვაჭრულმა მანუფაქტურებმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს. გაფართოვდა ვაჭრობა რუსეთთან, ევროპის ქვეყნებთან. სოფლის მეურნეობაში მომრავლდნენ ინტენსიური მეურნეობანი. მართალია, 1812 წლის სამამულო ომმა ლიტვის და ბელორუსიის სოფლის მეურნეობას დიდი ზარალი მიაყენა, მაგრამ ოციან წლებში ისევ დაიწყო მისი გამოცოცხლება. ამას ხელი შეუწყო სასაქონლო პროდუქციის წარმოებით მემამულეთა დაინტერესებამ.

რუსეთის ცარიზმი ბელორუსიასა და ლიტვაში, ისე როგორც უკრაინაში, მწვავე კოლონიურ რეჟიმს ახორციელებდა, რასაც თან ახლდა ადგილობრივი მოსახლეობის ნაციონალური ჩაგვრა. ცარიზმი მიმართავდა გარუსების პოლიტიკას. იგი ცდილობდა ხმარებიდან ამოეღო და გამოედევნა ბელორუსიუ-

ლი ენა. ცარიზმი ყოველმხრივ ებრძოდა ნაციონალურ განკერძოებულობას, ნაციონალურ კულტურას, ტრადიციებს, ყოველივე ამას ხალხის ჩამორჩენილობით ხსნიდა. ცარიზმი ამ მხრივ იქამდეც კი მივიდა, რომ მან 1840 წ. აკრძალა კიდეც „ბელორუსიის“ და „ლიტვის“, სახელწოდებათა ხმარება.

ცარიზმი მეტად ფრთხილ კოლონიზატორულ პოლიტიკას ახორციელებდა ლიტვაში, სადაც გაბატონებულ წოდებას პოლონელი აზნაურობა წარმოადგენდა. აქ ხელუხლებლად იქნა დატოვებული ძველი აზნაურული პოლონური კანონმდებლობა, საერობო სასამართლოები; ამავე დროს ცარიზმი ნელა, თანდათანობით მიმართავდა შლიახტური კასტის დაშლის, მათი განთესვის პოლიტიკას, რომ ამით გაეუვნებადებინა მისთვის მეტად საშიში და კონსოლიდირებული პოლონური ელემენტი.

ცარიზმს მეტად აწუხებდა აგრეთვე გლეხთა საკითხი ლიტვასა და ბელორუსიაში. იგი კარგად ხედავდა, რომ პოლონეთის და საერთოდ დასავლეთის სახელმწიფოებთან მოსაზღვრე ამ განაპირა ქვეყნებში გლეხთა განწყობილება არასაიმედო იყო. მასზე გავლენას ახდენდა პოლონეთსა და ევროპაში მიმდინარე რევოლუციური პროცესები. აქედან ხანძრის გავრცელება მოსალოდნელი იყო შიდა რუსეთშიც.

1831 წლის აჯანყება პოლონეთში ცარიზმმა მოხერხებულად გამოიყენა მისთვის საძულველი პოლონური გავლენის შემცირებისათვის იმით, რომ ანგარიში გაუსწორა პოლონელ აზნაურობას, მაგრამ ამასთან მტკიცედ შებოჭა გლეხობა ფეოდალურ არტახებში. 1835 წელს ბელორუსიაში და ლიტვაში გატარდა ე. წ. ინვენტარიზაცია, რეგლამენტირებულ იქნა ფეოდალური ვალდებულებანი. ცარიზმმა ამ ღონისძიებით განახორციელა ფეოდალური ურთიერთობის კონსერვაცია.

ცარიზმმა ამავე დროს ორმოციანი წლებიდან გადადგა ნაბიჯები ლიტვის თავისებურებათა ლიკვიდაციის საქმეში. გაუქმებულ იქნა ლიტვის სტატუტი და მთელ ლიტვა-ბელორუსიაში დაკანონდა საერთო რუსული კანონმდებლობა. ცარიზმმა ერთის დაკვრით მოსპო საეკლესიო უნია და ამ მხარის

საკულტო სამსახური მთლიანად რუსულ ეკლესიას დაუმორჩილა, რითაც ძირშივე აღმოფხვრა აქ პოლონურ-კათოლიკური გავლენა.

მძიმე სოციალურ და ეკონომიურ ჩაგვრას განიცდიდა ბელორუსიისა და ლიტვის გლეხობა. მას სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ მეფის მოხელეები, პოლონელი პანები — მიწათმფლობელები. გლეხთა აგრარული მოძრაობა აქ მჭიდროდ იყო გადახლართული ეროვნულ მოძრაობასთან. ეს მოძრაობა მიმართული იყო ერთის მხრით ადგილობრივი მოსახლეობისათვის პოლონური გავლენის, მეორეს მხრით ცარიზმის ბიუროკრატიულ, ადგილობრივთათვის უცხო და უხეში აპარატის წინააღმდეგ. XIX საუკ. 20-იან წლებში გლეხთა მძლავრ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ვიტებსკის და მოგილევის გუბერნიებში. გლეხთა მოძრაობამ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო XIX საუკ. მეორე მეოთხედში, რაც შეპირობებული იყო ბატონყმური ჩაგვრის კიდევ უფრო გაძლიერებით. მოძრაობის აღმავლობას ხელი შეუწყო აგრეთვე პოლონეთის 1831 წ. აჯანყებამ ცარიზმის წინააღმდეგ. ვიტებსკის გუბერნიის გლეხობაში სწორედ ამ ხანებში გავრცელდა ხმა „თავისუფლებისა" და გლეხობამ მასობრივად მიატოვა ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულება. გლეხთა მოძრაობა არც შემდეგ წლებში დამცხრალა. 1836 წელს მასობრივი ხასიათით გამოირჩეოდა გრაფინია ბორხის მამულის ყმა გლეხთა გამოსვლები, სადაც მთავრობა იძულებული შეიქმნა შეიარაღებული ძალები გამოეყენებინა.

მიუხედავად იმ სასტიკი კოლონიური ჩაგვრისა, რასაც ცარიზმი ახორციელებდა, XIX საუკ. პირველ ნახევარში თანდათან გამოღვიძებას და აღორძინებას იწყებს ბელორუსია-ლიტვის ეროვნული კულტურა და იგი მიისწრაფვის დაიცვას თავისი ენა, თავისი ტრადიციები პოლონური და რუსული შევიწროებისაგან. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ მეცნიერები, მწერლები, რომლებმაც წინა პლანზე წამოსწიეს ეროვნული საკითხი, თავი მოუყარეს უმდიდრეს ბელორუსიულ ფოლკლორს, დაიწყეს ცარიზმის მიერ შეურაცხყოფილი ბე-

ლორუსიული ენის დაცვა და განვითარება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ახალი ბელორუსიული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პოეტისა და დრამატურგის ვ. დუდინ მარცინკევიჩის მოღვაწეობა. მართალია, ლიბერალური მემამულე დუდინ-მარცინკევიჩი თავისი მრწამსით არასოდეს არ მისულა ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაციის აღიარებამდე და იგი უფრო მეტად მემამულისა და ყმის პატრიარქალური დამოკიდებულების მოტრფიალე იყო, მაგრამ იმ პერიოდში მისი შემოქმედება უწყობდა ხელს ბელორუსიის ლიტერატურული ენის დამკვიდრებას, ამავე დროს ყურადღებას ამახვილებდა ეროვნულ ტრადიციებზე, მაგრამ ჩვეულების ამოძირკვაზე, ამათრახებდა მოხელეთა თავგასულობას.

ცარიზმმა 1832 წელს დახურა ვილნოს უნივერსიტეტი, რომელიც ლიტვა-ბელორუსიის ეროვნული კულტურის უმძლავრეს კერას წარმოადგენდა. მისი ღვთისმეტყველების ფაკულტეტი გადაკეთებულ იქნა რომაულ-კათოლიკურ აკადემიად, ხოლო სამედიცინო ფაკულტეტი სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიად. ცარიზმის ამ ღონისძიებამ ვერ ჩაჰკლა ინტელიგენტურ წრეებში უკვე ფეხმოკიდებული პოლიტიკური მოძრაობა. აქ წარმოიშვნენ ფარული წრეები. ცარიზმი იძულებული შეიქმნა სამედიცინო-ქირურგიული აკადემია დაეკეტა, ხოლო რომაულ-კათოლიკური სასულიერო აკადემია პეტერბურგში გადაეტანა.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ეროვნული კულტურული ძალების გამოცოცხლება ლიტვაში, ლიტვური ენის მოვლა-განვითარებისათვის მოძრაობის გააქტიურება. ასპარეზზე გამოდიან ლიტვური ლიტერატურის შესანიშნავი წარმომადგენლები: პოეტი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიონიზას პოშკა. ანტანას სტრაზდასი; ქვეყნდება XVIII საუკ. ლიტველი მწერლის, ლიტვური ლიტერატურის ფუძემდებლის კრისტიონას დონელაიტის პოემა „წლის დრონი". ყოველივე ეს ხელს უწყობს ლიტვის ეროვნული ძალების კონსოლიდაციას, ლიტვის ისტორიისა და ტრადიციებით ღრმა დაინტერესებას.

ლიტვის კულტურის შემავიწროებელთა წინააღმდეგ ხმის ამაღლებას.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკ. 40-იანი წლებიდან თანდათან იწყებს გაჩაღებას ბალტიისპირეთში — ლიფლანდიის, ესტლანდიის და კურლანდიის გუბერნიებში.

ბალტიისპირეთის შესვლას რუსეთის იმპერიის მფლობელობაში ამ მხარის ხალხებისათვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. გაიზარდა ესტონეთის და ლატვიის კავშირი რუსეთის ეკონომიურ ორგანიზმთან. ბალტიისპირა ნავსადგურები (რიგა, რეველი) უმსხვილეს სავაჭრო პუნქტებად იქცნენ. კაპიტალისტური განვითარებისათვის გზები გაიკაფა. მაგრამ ბალტიისპირეთში კვლავ მძვინვარებდა ბატონყმობა. ამავე დროს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სიჭრელის გამო, აქ ბატონყმური ექსპლოატაცია შესისხლხორცებული იყო ეროვნულ ჩაგვრასთან. საქმე ისაა, რომ ლატვიის და ესტონეთის მოსახლეობის ძირითად, მწარმოებლურ მასას შეადგენდნენ ესტები, ლატვიელები, ხოლო მსხვილ მიწათმფლობელებს— გერმანელი ბარონები. ქალაქად აგრეთვე გაბატონებული იყო გერმანული ბურჟუაზია. გერმანელი გაბატონებული კასტა ზევიდან დასცქეროდა ადგილობრივ მოსახლეობას, სასტიკად ჩაგრავდა მას, ამავე დროს მტრულად იყო განწყობილი ადგილობრივი ენის კულტურისა და ტრადიციებისადმი. აქაც, ისე როგორც ლიტვაში, ეროვნული საკითხი, ამავე დროს იყო გლეხთა საკითხი, ბრძოლა ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ლატვია-ესტონეთში, ამავე დროს შეიცავდა ბრძოლას ოსტზეელი გერმანელების გაბატონებული გაელენის წინააღმდეგ.

პირველ ხანებში მეფის მთავრობა ვერ ბედავდა გერმანული ელემენტის შინასაქმეებში ჩარევას. იგი სარგებლობდა წოდებრივი თვითმმართველობის ფართო უფლებებით. ცარიზმი ამავე დროს არ ერეოდა აგრარულ ურთიერთობაში. გერმანელი ბარონები თავს შეუზღუდველ მმართველებად გრძნობდნენ და თანდათან აძლიერებდნენ გლეხთა ექსპლოატაციას.

XVIII საუკ. მიწურულსა და XIX საუკ. დასაწყისში ბალ-

ტიისპირეთი გლეხთა მღელვარების ერთერთ მძლავრ კერას წარმოადგენდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო კლასობრივი ანტაგონიზმის უკიდურესი გამწვავება, წამაქეზებელი — რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა საფრანგეთში, პოლონეთში. მოძრაობის მეტისმეტი გააქტიურებით დამფრთხალი თვითმპყრობელობა იძულებული გახდა 1804 წელს გაეტარებინა აგრარული რეფორმა, რომელმაც ერთგვარად შეზღუდა გერმანელ მემამულეთა თვითნებობა, მაგრამ, ცხადია, ვერ დააკმაყოფილა გლეხობა. ამიტომ ამ რეფორმის შემდეგაც ბალტიისპირეთში გლეხთა მოძრაობა თითქმის არ დამცხრალა, მეტადრე იმიტომ, რომ ბალტიისპირელმა მემამულეებმა თანდათანობით აღიდგინეს შეზღუდული პრივილეგიები.

1816 — 1819 წლებში ბალტიისპირეთში განხორციელდა გლეხთა „გათავისუფლება". საქმე ისაა, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდა-გაძლიერების ვითარებაში თვით მემამულეებმა დაჰკარგეს ძველი წესებისადმი ინტერესი და თვით გახდნენ ინიციატორები აგრარული საკითხის ახლებური ვადაწყვეტისა. გლეხობამ ახალი რეფორმით მიიღო პირადი თავისუფლება, მაგრამ დაჰკარგა ყოველგვარი უფლება მიწაზე, მემამულეებს დარჩა მთელი მიწა-წყალი. ამ „გათავისუფლებით" მარტო ლიფლანდიის გუბერნიაში მემამულეებმა ათეული მილიონობით მოგება ჩაიჯიბეს.

XIX საუკ. პირველ ნახევარში ბალტიისპირეთში თანდათანობით აღმავლობას იწყებს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. ვილნოს (დერპტის) უნივერსიტეტი ხდება იმ ცენტრად, რომლის გარშემო ჯგუფდებიან საზოგადოებრივ-მეცნიერული და ლიტერატურული ძალები. მართალია, ამ პერიოდში ვილნოს უნივერსიტეტი ინარჩუნებს გერმანულ ხასიათს და ჯერ კიდევ ვერ ახდენს გავლენას ესტებისა და ლატვიელების კულტურულ ცხოვრებაზე, მაგრამ თანდათანობით მდგომარეობა უმჯობესდება. უნივერსიტეტში თითოოროლად მაინც იზრდება ეროვნული ინტელიგენციის კადრები, რომლებიც წინაპლანზე აყენებენ ბრძოლას გერმანული გავლენის წინააღმდეგ. დადებით როლს ასრულებს აგრეთვე 1817 წელს

ჩამოყალიბებული ლიტერატურისა და ხელოვნების შემსწავლელი კურლანდიის საზოგადოება, ლატვიის ლიტერატურული და ესტონეთის სამეცნიერო საზოგადოება. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ლატვიელი პოეტები ინდრიკი, პეტერსონი, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ეროვნული ძალების გამოღვიძებაზე. 40-იანი წლებიდან ბალტიისპირეთში თანდათანობით ძლიერდება გერმანული გავლენისაგან გათავისუფლების ტენდენციები. მზადდება ნიადაგი „ნაციონალური გამოღვიძების ეპოქისათვის", რომელიც ბალტიისპირეთში მტკიცედ დამკვიდრდა XIX საუკ. 60-70-იან წლებში, როცა ლატვიის და ესტონეთის დემოკრატიულმა ინტელიგენციამ მოწინავე რუსულ საზოგადოებრიობასთან ხელიხელჩაკიდებულმა წამოიწყო მძაფრი ბრძოლა ოსტზეელი — გერმანელების წინააღმდეგ.[1]

ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი საქართველოში

XIX საუკ. 30-40-იან წლებში ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ უკვე მძლავრად აიდგა ფეხი ამიერკავკასიაში. ამ მოძრაობიდან ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ორ მოვლენას: 1.1832 წლის თავადაზნაურთა შეთქმულებას საქართველოში და 2. მიურიდთა მოძრაობას კავკასიის მთიანეთში.

ცარიზმის სასტიკი კოლონიური ჩაგვრის პირობებში ნაციონალური საკითხი საქართველოში იმთავითვე ერთერთი მწვავე საკითხთაგანი იყო. მაგრამ ეს საკითხი არ შეიძლებოდა უცვლელ მდგომარეობაში ყოფილიყო. იგი საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებთან ერთად ცვლილებას განიცდიდა და, ამგვარად, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაგვარი შინაარსით იყო წარმოდგენილი. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის: რომ ნაციონალური საკითხი არ წარმოადგენს რაღაც თავისთავად, თვითკმარს, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულსა და შემდეგ უცვლელ მდგომარეობაში მყოფ საკითხს. პირიქით. ნაციონალური საკითხი შემადგენელი ნაწილია საზოგადოების

[1] История СССР, том II, под. редак. члена-корреспондента Академии Наук СССР М. В. Нечкиной издание, третье, зз. 281-320.

სოციალ-პოლიტიკური განვითარების საერთო საკითხისა და იგი თავის მიმართულებასა და ხასიათს იცვლის საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან შეფარდებით.

1801 წლის შემდეგ, როცა ცარიზმმა საქართველოს დამოუკიდებელი მმართველობა გააუქმა და აქ რუსული რეჟიმი გააბატონა, ნაციონალური საკითხი, როგორც ვთქვით, წინა პლანზე დადგა და საზოგადოების თვითეულმა ფენამ მასში ჩადო ის შინაარსი, რაც მის კლასობრივ ინტერესებს, მისი უფლებების დაცვა-გაფართოებას შეესაბამებოდა.

ქართველი ფეოდალური არისტოკრატია, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს ვითარებაში დიდი პოლიტიკური უფლებები ჰქონდა, ცხადია, მტრულად შეხვდა რუსული რეჟიმის დამკვიდრებას. შეეშინდა რა თავისი მემკვიდრეობითი პრივილეგიების დაკარგვისა, იგი რუსეთის მტრულ ბანაკში აღმოჩნდა და მიზნად დაისახა საქართველოდან რუსეთის ხელისუფლების განდევნა, საქართველოს სათავეში ისევ ქართველი მეფეების ჩაყენება და ქართველი ხალხის ბედიღბალის სრული გამგებლობის მოპოვება. საკითხის ასე გადაწყვეტა — ე. ი. ბაგრატიონთა ძველი პრივილეგიების სრული აღდგენა მხოლოდ თავადაზნაურობის ზედაფენის ვიწრო წოდებრივ ინტერესებს შეესაბამებოდა. იგი ძირშივე ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებას. მას არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა მშრომელი კლასების მხარდაჭერა. იგი ცდილობდა საქართველოს ბედის ჩარხის უკუღმა დატრიალებას, ამასთანავე ამ მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში მოკავშირედ უმიზნებდა სწორედ იმ ქვეყნებს (თურქეთს, ირანს), რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში აწიოკებდნენ და აპარტახებდნენ საქართველოს და ქართველ ხალხს ფიზიკური გაქრობის საფრთხეს უქმნიდნენ.

მაგრამ ქართულ ფეოდალურ კლასში ნაციონალური საკითხი მარტო ამ კუთხით არ დასმულა. მისი უფრო გაგებული ვითარებაში ღრმად ჩახედული და პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლები, ითვალისწინებდნენ რა იმ საერთაშორი-

სო გარემოს, რომელშიც ამ დროს საქართველოს უხდებოდა ცხოვრება, საქართველოს რუსეთის მფლობელობაში ჩართვას დადებით მოვლენად თვლიდნენ. მათ საჭიროდ მიაჩნდათ საქართველოს ჰყოლოდა ძლიერი ერთმორწმუნე მფარველი, სწორედ ისეთი, როგორიც იყო რუსეთი თურქეთისა და ირანის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს პროგრესული დასიც მტრულად უყურებდა იმ უხეშ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომლის გატარება ცარიზმმა იმთავითვე უბოდიშოდ დაიწყო. ეს დასი იდეალად მიიჩნევდა იმ ხელშეკრულებას, რომელიც 1783 წელს დადო ერეკლემ რუსეთთან და რომელიც საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობას ითვალისწინებდა. თავისი შინაარსით იგი გულისხმობდა საქართველოს ფართო ავტონომიას რუსეთის მფლობელობაში ან თუ ანალოგიას გავაკეთებთ, ისეთივე მმართველობას, როგორც, ვთქვათ, რუსეთის ცარიზმს ჰქონდა პოლონეთში 1831 წლამდე.

ფეოდალური არისტოკრატიის პირველი ანუ კონსერვატორული დასის წარმომადგენელი იყო ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც იმ მიზნით, რომ რუსული მმართველობა მოესპო და საქართველოს სამეფო ტახტი დაეკავებინა, საქართველოს დაუძინებელ მტერს ირანს შეეხიზნა და მისი დახმარებით იბრძოდა. ამავე დასს მიეკუთვნებოდნენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, რომლებმაც სცადეს მთიულეთის 1804 წლის ამბოხება თავისი ვიწრო ნაციონალისტური ინტერესებისათვის გამოეყენებინათ და გადაექციათ იგი საერთო ეროვნულ ბრძოლად მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ამ დასის სულისკვეთება ბოლომდე შერჩა საქართველოდან რუსეთში იძულებით გადასახლებულ ბატონიშვილებს ოქროპირ გიორგის ძეს, დიმიტრი იულონის ძეს, თამარ იულონის ასულს და სხვებს, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ანტირუსულმა გამოსვლებმა საქართველოში მარცხი განიცადა, მაინც არ ჰკარგავდნენ იმედს, რომ ქართველობას მათი დროშის ქვეშ დარაზმავდნენ და მოიპოვებოდნენ რა საქართველოს დამოუკიდებლობას, აღადგენდნენ ბაგრატიონთა დინასტიას სამეფო ტახტზე, დაიბრუნებდნენ ძველ პრივილეგიებს.

ამ დასის მიერ ნაციონალური საკითხის დაყენება ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილია ფეოდალური ნაციონალიზმის სახელწოდებით და სავსებით მართებულადაა შეფასებული როგორც რეაქციული, ანტიხალხური მოძრაობა. რომელმაც ვერავითარი დადებითი კვალი ვერ დაამჩნია ერის ცხოვრებას, ვერ ისახელა თავი, ხოლო მოვლენათა შემდეგომი განვითარების პირობებში „კლერიკალიზმის" კალთებს ამოეფარა.

თავადაზნაურთა მეორე, პროგრესული დასი, (მისი მეთაური და ტიპიური წარმომადგენელი საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდში იყო გარსევან ჭავჭავაძე), რუსეთის შემადგენლობაში ქართული თვითმმართველობის დაცვისაკენ მიისწრაფვოდა და რუსეთის მფარველობა-დახმარებით ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას, მისი ისტორიული საზღვრების აღდგენას. ამ დასის სოციალურ-პოლიტიკური, მრწამსი, ცხადია, ისევ თავადაზნაურობის კლასობრივი ინტერესების ჩარჩოებში თავსდებოდა და თავგამოდებით იცავდა წოდებრივ პრივილეგიებს. მაგრამ ეპოქის სულისკვეთების შესაბამისად ამ დასის შემადგენლობაში თანდათან იწყებდნენ მომძლავრებას მოლიბერალო ელემენტები, რომლებსაც მომავალი საქართველოს პოლიტიკური მმართველობა წარმომადგენლობით პრინციპებზე ესახებოდათ. ამ დასის შემადგენლობაში იყო გაერთიანებული თავადაზნაურთა ის ახალი თაობა, რომელიც ჩვენში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დავაჟკაცდა და ოცდაათიან წლებში გაბედულად გამოვიდა ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ. აი ამ დასში ჩაისახა და განვითარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც შემდეგ, 60-70-იან წლებში რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ზეგავლენით მარცხნივ განვითარდა და დიდ ეროვნულ და დემოკრატიულ მოძრაობად ჩამოყალიბდა. ამ დასის ბრწყინვალე წარმომადგენლებად 30-იან და 40-იან წლებში მოგვეელინენ ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, სოლ. დოდაშვილი. გ. ერისთავი და სხვები.

ქართველი მშრომელი მასებისთვის საქართველოს შეერთება რუსეთთან დადებითი მოვლენა იყო. რუსეთის მფლობელობაში საქართველოს აღარ მოელოდა ის განუწყვეტელი შემოსევები, რაც მანამდე ქვეყანას აოხრებდა და ყველაზე მეტად მწარმოებლურ მოსახლეობას აპარტახებდა. რუსეთის მფლობელობაში აღკვეთილ იქნა აგრეთვე ლეკთა თარეში. ტყვეთა გაყიდვა, ერთგვარად მაინც რეგლამენტირებული იქნა ქართველ ფეოდალთა თავგასულობა.

მაგრამ ამ დადებით შედეგებთან ერთად მალე იჩინეს თავი რუსული მმართველობის უარყოფითმა შედეგებმა. რუსი მოხელეების თვითნებობამ, უხეშობამ, მექრთამეობამ, მოსახლეობისადმი შეურაცხმყოფელმა დამოკიდებულებამ, ხალხისათვის გაუგებარი რუსული ენისა და რუსული სამართლის გაბატონებამ, ცარიზმის განუწყვეტელი ომიანობის პირობებში მოსახლეობისათვის დაკისრებული დამატებით ვალდებულებათა სიმძიმემ და სხვ. გლეხობაში მალე გააქარწყლეს რუსეთის მმართველობის დამკვიდრებით გამოწვეული კმაყოფილება. გლეხობა აღსდგა იმ მწვავე სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელსაც ცარიზმი აკანონებდა. გლეხთა აჯანყების ყველაზე მძლავრ გამოვლინებას წარმოადგენდა მთიულეთის აჯანყება 1804 წელს, კახეთის აჯანყება 1812 წელს, იმერეთის აჯანყება 1819 წელს. გლეხთა ეს აჯანყებანი, მიუხედავად თავადაზნაურთა კონსერვატიული დასის მცდელობისა, მისთვის წმინდა ნაციონალისტური ხასიათი მიეცათ და საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენისათვის გამოეყენებინათ, სინამდვილეში წარმოადგენდნენ ჩაგრული კლასების სტიქიური აღშფოთების, ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხობის სტიქიური აჯანყების გამოხატულებას. ქართველი თავადაზნაურობისა და გლეხობის გზები ნაციონალურ საკითხში გადამწყვეტ მომენტში საპირისპიროდ იყრებოდა. გლეხობას კი თავისი სტიქიური, სპორადული გამოსვლებითა და ჩამოყალიბებული პროგრამით იმ პერიოდში, არ შეეძლო ხელში აეღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-

რაობის დროშა. ამ მოძრაობას გარკვეული იდეური შემზადება სჭირდებოდა. იგი ისევ თავადაზნაურულ წრეში მზადდებოდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მსგავსად განვლო სამი ეტაპი. უთუოდ მართებულია „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოში გამოთქმული დებულება, სადაც ნათქვამია, რომ, „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ანუ თავადაზნაურული პერიოდი ჩვენში იწყება დაახლოებით 1832 წლიდან და გრძელდება 60-იანი წლების დასაწყისამდე; სამოციანი წლებიდან ოთხმოცდაათიანი წლების ბოლომდე გრძელდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი, ხოლო შემდეგ იწყება პროლეტარული პერიოდი“.[1]

ამრიგად, 1832 წლის თავადაზნაურული შეთქმულება პირველი მიჯნაა, პირველი ძლიერი გამოვლინებაა იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც ჩვენში, საქართველოში მომდევნო ათეულ წლებში მძლავრად გაიშალა.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში 1832 წლის თავადაზნაურული შეთქმულების შესახებ გაბატონებული იყო შეხედულება, რომელიც მას მხოლოდ ფეოდალური ნაციონალიზმის გამოვლინებად თვლიდა და აფასებდა როგორც რეაქციულ, მავნე მოვლენას ჩვენს საზოგადოებრივ-ისტორიულ ცხოვრებაში. ამ შეფასებაში ისტორიკოსები მთლიანად ეყრდნობოდნენ ი. ბ. სტალინის დებულებას, რომელიც მან წამოაყენა თავის სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“.

ი. ბ. სტალინი აქ წერს: „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული, **თავადაზნაურობის «ნაციონალური საკითხი»**, როცა — «საქართველოს რუსეთთან შეერთების» შემდეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა,

1 საქართველოს ისტორია, I, გვ. 530.

რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა «უბრალო ქვეშევრდომობა» და მოინდომა «საქართველოს განთავისუფლება». ამით მას უნდოდა „საქართველოს" სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული «ნაციონალიზმი». ვერცერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ «მოძრაობამ» ქართველების ცხოვრებას, ვერცერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში"[1].

ფეოდალური ნაციონალიზმის ეს შეფასება საერთოდ დავას არ იწვევს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ჩარჩოში 1832 წლის შეთქმულების მოთავსება არაა მართებული. ამ დებულებაშიც ქართველ თავადაზნაურთა „ცალკეული შეთქმულება" მაინც გამოყოფილია და გამოცალკევებულია ფეოდალური ნაციონალიზმის იმ პროცესიდან, რომელმაც ვერავითარი მნიშვნელოვანი კვალი ვერ დაამჩნია საქართველოს ცხოვრებას.

ფეოდალური ნაციონალიზმის შეფასებისას აქ მხედველობაშია მიღებული სწორედ ის კონსერვატორული დასი, რომლის შესახებ ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით და რომელთა აქტიური სეპარატული საქმიანობა რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველ ათეულ წლებს შეეხება. 1832 წლის შეთქმულება კი, მართალია იერთებს ამ კონსერვატორული ბანაკის წარმომადგენლებს, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა აქ სწორედ იმ ახალთაობას უკავია, რომელსაც სრულიადაც არ სურს ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება და საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა მის უცვლელ ფორმებში.

არსებითი, განმსაზღვრელი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ შეთქმულების იდეა პირველად კონსერვატორული დასის ფარგლებში მომწიფდა, რომ მისი პირველი პროპაგანდისტები

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32—33.

სწორედ ის ბატონიშვილები — ოქროპირი და დიმიტრი იყვნენ, რომლებიც საქართველოში დამოუკიდებელი სამეფო ხელისუფლების აღდგენაზე ოცნებობდნენ. თუმცა აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ საეჭვოა პეტერბურგში აღზრდილ ამ ბატონიშვილებს, რომლებიც მშვენიერად იყვნენ ინფორმირებული ევროპაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური პროცესების შესახებ, რომელთა თვალწინ უკვე ნგრევას განიცდიდა დრომოჭმული მონარქიული რეჟიმი ევროპის ბევრ ქვეყანაში და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უკვე ფრთებს ისხამდა (იტალია, პორტუგალია, ბალკანეთის ქვეყნები), რუსეთში კი დეკაბრისტებმა იარაღით ხელში აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს თვითმპყრობელურ რეჟიმს, — ამ ვითარებაში მათ საქართველოში სამეფო ხელისუფლების ძველი ფორმების უცვლელ რესტავრაციაზე ეოცნებათ და ანგარიში არ გაეწიათ იმისათვის, თუ, საერთოდ როგორ შეიცვალა ვითარება, რა ძლიერად დაპბერა ახალმა სიომ, წელი მოიმაგრა ახალმა ეპოქამ. დამახასიათებელია შეთქმულების მონაწილე დ. ჯორჯაძის ჩვენება. იგი ამბობს: „ბატონიშვილი დიმიტრი ძალიან ხშირად მასთან მიმსვლელებს გვიამბობდა თავისუფლებაზე, გვიხსნიდა საფრანგეთის წეს-წყობილებას, მისი მოსახლეობის თავისუფალ ცხოვრებას და მეფის ხელისუფლების შეზღუდულობას, თუ რა უფლება ჰქონდა, საფრანგეთში თვითეულ მოქალაქეს მეფის არჩევნებში“. შეთქმულების მეორე ხელმძღვანელი მონაწილე ალ. ორბელიანი აღნიშნავს, რომ ოქროპირ ბატონიშვილი უამბობდა მას საბერძნეთის ისტორიაზე. მართებულია პროფ. ა. კიკვიძის მიერ დაყენებული კითხვა: „განა ბატონიშვილებმა თვით საქართველოს მაგალითზე არ იცოდნენ, თუ რამდენად დრომოჭმული იყო ბატონყმობა — ფეოდალური წყობილება. ამ წყობილების წინააღმდეგ მოძრაობა და რეფორმატორული მუშაობა დაიწყო ბატონიშვილთა წრეში ჯერ კიდევ გიორგი XII-ის კარზე და იოანე ბატონიშვილის კალმასობა ხომ ბატონყმური საქართველოს წინააღმდეგ შედგენილ საბრალმდებლო აქტს წარმოადგენდა“[1].

[1] აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე) თბ. 1954 წ., გვ. 186.

ძნელია დაბეჯითებით მტკიცება იმისა, თუ რა კურსს აიღებდნენ ბატონიშვილები საქართველოს სამეფო ტახტს რომ დაუფლებოდნენ, მაგრამ თავისთავად ბევრის მთქმელია თუნდაც ის, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ახალგაზრდობის წაქეზებას ისინი თავისუფლების, კონსტიტუციური მმართველობის, არჩევითი სისტემის უპირატესობის მომარჯვებით იწყებენ. ჩანს, ბატონიშვილები უკვე დარწმუნებული იყვნენ, რომ სხვაგვარი აგიტაცია ახალგაზრდობაში ანტირუსული მოძრაობის ენთუზიაზმს ვერ გააღვივებდა.

პეტერბურგში ბატონიშვილების მიერ წამოწყებულმა მოძრაობამ როგორც ვიცით, საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. მასში სხვადასხვა დროს ჩაებნენ საქართველოს XIX საუკ. ისეთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, როგორიც იყვნენ ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე, ვახტანგ, დიმიტრი, მამუკა და გრიგოლ ორბელიანები, ელიზბარ, გიორგი, ბიძინა, ივანე, ლევან ერისთავები, სოლომონ რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, იასე ფალავანდიშვილი, ფილადელფოს კიკნაძე და მრავალი სხვა.

შეუძლებელია იმის მტკიცებაც, რომ ამ წრეში სრული ერთსულოვნება სუფევდა და ყველანი მომხრენი იყვნენ საქართველოში ძველი სამეფო ხელისუფლების აღდგენისა. საგამომძიებლო მასალებიც კი, მიუთითებენ, რომ გარკვეულ ნაწილს საქართველოში არჩევითი ორგანოებით შეზღუდული ხელისუფლება სურდა, რომ მუშავდებოდა პროექტები სამინისტროების ჩამოყალიბებისა, რომ გაისმოდა ხმები რესპუბლიკის შესახებაც კი.

გამოძიების პროცესში, როგორც ეს ცნობილია, შეთქმულნი ყველაზე ძუნწად სწორედ ამ პროგრესულ მხარეზე ლაპარაკობდნენ. მათ იცოდნენ, რომ თვითმპყრობელური რუსეთის სამსჯავრო ყველაზე მკაცრად ადამიანებს პროგრესული პოლიტიკური იდეებისთვის სჯიდა. მართლაც, თუ ღრმად ჩავუკვირდებით ზემოთჩამოთვლილ ქართველ მოღვაწეთა მსოფლმხედველობას საერთოდ, და მას შეთქმულების მიზანდასახულებას შევუფარდებთ, თავს დავაღწევთ იმ წინააღმდეგობას,

რაც ჩვენს ზოგ მკვლევარს გამოუდის. ერთის მხრივ ეს თაობა ქართული აზროვნების ისტორიაში შეფასებულია როგორც პროგრესული თაობა, ეროვნული საკითხის მართებულად დაყენების პირველი ინიციატორები, პროგრესისტები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი, ხოლო მეორეს მხრით „რეაქციული" შეთქმულების წამყვანი ძალები, ადამიანები, რომელსაც თითქოს საქართველოს ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება ეწადათ.

შეთქმულების მასალებით დასტურდება, რომ მისი რიგი მონაწილენი თანაუგრძნობდნენ დეკაბრისტულ მოძრაობას რუსეთში, განსაკუთრებით ახლო ურთიერთობაში იყვნენ კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან, თანაგრძნობით ეხმაურებოდნენ 1830 წ. ივლისის რევოლუციას საფრანგეთში, აღფრთოვანებული იყვნენ პოლონეთის აჯანყებით და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ შეთქმულების ზოგიერთ ხელმძღვანელ მონაწილეს (სოლომონ დოდაშვილი. სოლომონ რაზმაძე), რომლებიც ჩამომავლობით თავადაზნაურულ არისტოკრატიას არ ეკუთვნოდნენ, მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში სრულებითაც არ იტაცებდა ბრწყინვალე წოდების ყოველისშემძლეობა. სოლომონ დოდაშვილი მტრულად იყო განწყობილი ისეთი წყობილებისადმი, სადაც თავადები იტყოდნენ „მე ერისთავი ვარ", „მე — ორბელიანი", ხოლო მას და მისებრ დაბალგვარიანებს მოჰკითხავდნენ „თქვენ კი ვინღა ბრძანდებითო".

შეთქმულების იდეოლოგიის შეფასებისას ყურადღება შემდეგ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ: მისი მონაწილენი მტრულად არიან განწყობილი 1801 წლის მანიფესტისადმი. ადრე ჩვენ ეს მანიფესტი შევაფასეთ როგორც აგრესია ცარიზმის მხრივ. საქართველოს პოლიტიკური მესვეურები მაჰმადიანი მეზობლების წინააღმდეგ ბრძოლაში რომ რუსეთის მფარველობას ეძიებდნენ, იმას გულისხმობდნენ, რომ საშინაო ცხოვრებაში დამოუკიდებელი იქნებოდნენ. რუსეთის ცარიზმმა კი დაარღვია 1783 წლის შეთანხმება, ფარატინა ქაღალდად აქცია

იგი და საქართველოში რუსული რეჟიმი გააბატონა. რატომ უნდა ჩაითვალოს რეაქციულად ქართული დასის ბრძოლა შინაგანი დამოუკიდებლობისათვის, იმ ვითარებაში, თუ იგი საქართველოსათვის ყველაზე უფრო მტკივნეულ სფეროში — საგარეო საკითხებში რუსეთზე იქმნებოდა დამოკიდებული და მისი მფარველობითა და დახმარებით საშინაო ცხოვრებას თვით მოაწესრიგებდა?

ცარიზმმა ამ პერიოდში იარაღით დაიპყრო ფინეთი, მაგრამ როგორც ცნობილია, ანგარიშს უწევდა რა საერთაშორისო ვითარებას, ეპოქის სულისკვეთებას, კონსტიტუცია მისცა მას და ასე თუ ისე ანგარიშს უწევდა მის საშინაო თვითმმართველობას. ცარიზმმა ასევე დაისაკუთრა ვარშავის საჰერცოგო, მაგრამ მასაც კონსტიტუცია მისცა, შინაგანი თვითმმართველობა დაუტოვა, თუმცა რუსეთის ცარიზმი თავისი ბუნებით ვერც კონსტიტუციურ მმართველობას იტანდა და რუსეთის შიდა გუბერნიებში უმკაცრეს მონარქიულ რეჟიმს ახორციელებდა.

ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ აზრი საშინაო თვითმმართველობის, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიური უფლებებით ჩართვის, პროტექტორატის შესახებ იმ ეპოქაში უცხო და უტოპიური არ ყოფილა, ყველაფერი ეს თვით ამ ქვეყნის შინაგან ძალებზე და ევროპაში ძალთა წონასწორობაზე იყო დამოკიდებული.

რა თქმა უნდა, შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა თავადაზნაურული პრივილეგიების თავგამოდებული დამცველი იყო, ისინი ამავე დროს „შორს იყვნენ ხალხისაგან", სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში არსებით რეფორმებს არ ითვალისწინებდნენ და ბატონყმურ რეჟიმს ხელუხლებლად ტოვებდნენ, მაგრამ მარტო ეს სოციალური კონსერვატიზმიც ამ შეთქმულების რეაქციულობის დასამტკიცებლად არაა საკმარისი. ამ შემთხვევაში ჩვენ ანალოგიისათვის ისევ 1831 წლის პოლონეთის აჯანყებას მივმართავთ. ხომ ცნობილია, რომ 1831 წლის მოძრაობამ პოლონეთში წინა პლანზე მხოლოდ ნაციონალური საკითხი წამოაყენა, რომ სოციალური თვალსაზრისით, როგორც კ. მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი მიუთითებენ ეს

კონსერვატორული რევოლუცია იყო, რადგან პოლონეთის ფეოდალურ-პატრონყმურ ურთიერთობას ისევ ძალაში ტოვებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ივივე მარქსი და ენგელსი დადებით შეფასებას აძლევდნენ ამ მოძრაობას, უკავშირებდნენ რა მას საერთო რუსულ ბრძოლას ცარიზმის, როგორც ევროპის ჟანდარმის წინააღმდეგ.

„1830 წ. როცა იმპერატორი ნიკოლოზი და პრუსიის მეფე მზად იყვნენ განეხორციელებინათ თავიანთი გეგმა იმ მხრივ, რომ საფრანგეთზე ახალი თავდასხმით აღედგინათ ლეგიტიმისტური მონარქია, — ამ დროს პოლონეთის რევოლუციამ „მათ გზა გადაუღობა“[1] — წერდნენ მარქსი და ენგელსი.

1832 წლის შეთქმულების მკვლევარებს ამ მხრივ არ გაუმახვილებიათ ყურადღება. საჭიროა კი, რომ ქართველი თავადაზნაურობის ეს მოძრაობა შეფასდეს იმ დროის საერთაშორისო მოვლენების გათვალისწინებით, იმ როლით, რომელიც მას შეეძლო შეესრულებინა საერთო ევროპულ მოძრაობაში.

რით ხასიათდება 1830-იანი წლები ევროპისა და რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში? ესაა ევროპაში რევოლუციის აზვირთების პერიოდი. საფრანგეთში მონარქიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის, ბელგიაში რევოლუციის აღმავლობის პერიოდი. დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდი. რევოლუციის ტალღები მძლავრად ურტყამენ საღვთო კავშირის ბურჯებს. რუსეთის, პრუსიის, ავსტრიის მონარქთა რეაქციულ გარიგებას რევოლუციისა და პროგრესის წინააღმდეგ რეალური საფრთხე ემუქრება. ნიკოლოზს ხანძარი საკუთარ სახლშიც უჩნდება. იარაღით ხელში გამოდის პოლონეთი, რუსეთში მძვინვარებს გლეხთა მძლავრი მღელვარებანი. ახლა ასეთი კითხვა დავაყენოთ: საღვთო კავშირის წინააღმდეგ, ევროპაში რეაქციის ბურჯის წინააღმდეგ ამ საერთო ევროპულ მოძრაობაში განა საქართველოში ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლა რეაქციულად უნდა ჩაითვალოს? იგი ხომ მხარში ამოუდგებოდა იმ

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XV, эз. 548.

ძალებს, რომლებიც უკვე გადავიდნენ პირველ იერიშზე და მეტისმეტად საჭიროებდნენ დახმარებას?

დაბოლოს ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას. ცნობილია, რომ შეთქმულებისათვის მზადების პერიოდში (1827—1832 წ.წ.) ქართული საზოგადოებრივი აზრი დიდი გამოცოცხლებით, შემოქმედებითი ძიებით ხასიათდებოდა. ამ პერიოდში ქართულ აზროვნებაში წამყვან პოზიციას იკერს სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის თავდადება, ჰუმანიზმი; ლიტერატურის ძირითადი პრობლემა ეროვნული საკითხია. ამ პრიზმაშია გადატეხილი იმ დროის მოდური ლიტერატურული მიმართულება რომანტიზმი. გამოცოცხლებით ხასიათდება ქართული ისტორიული მეცნიერება. პ. იოსელიანის, ს. ბარათაშვილის, მ. ბარათაშვილის მოღვაწეობა იქითკენაა გამიზნული, რომ ქართველ ხალხს ღრმად გააცნონ თავისი წარსული, უცხო ქვეყნებში აღძრან დიდი ისტორიული და კულტურული ტრადიციების მქონე ქართველი ხალხისადმი სიმპატია და მხარდაჭერა.

ამ დროს მოწინავე პოზიციებზე დგას ქართული მეცნიერება, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებს, პეტერბურგში რომ მოღვაწეობენ, დიდი წვლილი შეაქვთ საკაცობრიო მეცნიერული აზრის განვითარებაში (იოანე ბაგრატიონი, მისი ძმა დავით ბაგრატიონი, პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი, სოლ. დოდაშვილი, პ. იოსელიანი და სხვ.).

აღორძინებას განიცდის საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი თეატრალური ხელოვნება. სცენის მოყვარე ახალგაზრდები თარგმნიან საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებებს, ახორციელებენ მათ დადგმებს, ემზადებიან ქართული ეროვნული თეატრის შექმნისათვის.

თავადაზნაურულ მოძრაობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული გაზეთისა და ჟურნალის წარმოშობა. ქართული ჟურნალი თავის ფურცლებზე აყენებს მთელ რიგ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემებს, ხოლო წამყვან პრობლემად ეროვნულ საკითხს აღიარებს.

ეს გარემოება, და თავადაზნაურული შეთქმულების ის ინტერპრეტაცია, რომელიც ზევით წარმოვადგინეთ, გვაძლევს

იმის უფლებას, რომ იგი ჩვენში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყის ფაზად გამოვაცხადოთ.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ამ შეთქმულების დეტალურ ანალიზს, მისი დაწვრილებითი ისტორიის გადმოცემას. ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ ზოგ ისეთ საკითხზე, რომელთა გათვალისწინება შეთქმულების სრულყოფილი შეფასებისას საჭიროდ მიგვაჩნია. ასეთ საკითხთა სიმრავლე იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ქართველი თავადაზნაურობის ამ მოძრაობას XIX საუკ. ოც-ოცდაათიან წლებში ღრმა მონოგრაფიული შესწავლა და ცალკე განმაზოგადოებელი ნარკვევი ესაჭიროება.

კავკასიის მთიანეთის ანტიკოლონიური, განმათავისუფლებელი მოძრაობა.

XIX საუკ. 30—40-იანი წლების რუსეთის განაპირა მხარეებში ცარიზმის დამპყრობლური — კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ გაჩაღებულ მოძრაობის ერთერთ შენაკადს წარმოადგენს კავკასიის მთიანეთის ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, რომელიც 1800—1859 წლების მანძილზე გრძელდებოდა და დიდი შეუპოვრობით ხასიათდებოდა.

ცარიზმმა მას შემდეგ, რაც საქართველოში მოიკიდა ფეხი, მტკიცედ მიჰყო ხელი მთელი კავკასიის შემომტკიცებას.

1830 წლისათვის, ირანთან და თურქეთთან ომების მოგების შემდეგ, თურქმენ-ჩაისა და ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებათა საფუძველზე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უკვე მტკიცედ ჩაჯდა აზერბაიჯანი და სომხეთიც. მაგრამ ცარიზმს განსაკუთრებით გაუჭირდა წარმატებით შეეღწია კავკასიის მთიანეთში. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელი მოსახლეობა (დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი), მართალია XIX საუკ. დასაწყისიდანვე ფორმალურად უკვე დაპყრობილი იყო ცარიზმის მიერ, მაგრამ ფაქტიურად კავკასიის მთიელები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ დამოუკიდებლობისათვის, თავიანთი ადათების ყაიდაზე განაგრძობდნენ ცხოვრებას

და ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ ცარიზმის კავკასიელ მოხელეთა ყოველგვარ ცდას დაენერგათ და განემტკიცებინათ აქ რუსეთის ხელისუფლება.

კავკასიის მთიანეთზე, მისი შემომტკიცების მიზნით, აქტიური შეიარაღებული შეტევა კავკასიის მთავარმართებელმა ციციანოვმა დაიწყო. მთიელთა წინააღმდეგობით გაბოროტებული ციციანოვი შემდეგ მედიდურ წერილებს წერდა მათ: „თქვენ გამოგიგზავნით არა გენერალს თავისი ჯარებით, არამედ მე თვითონ მოვალ; თქვენი ოლქის მიწა-წყალს თქვენივე სისხლით დავფარავ და იგი გაწითლდება; მაგრამ თქვენ, ვითარცა კურდღლები, ხევს შეეფარებით. — იქაც მოგწვდებით და არა მარტო ხმლით, არამედ ყინვაში დაგხოცავთო“.

განსაკუთრებული ინტენსიობით წარიმართა ეს პროცესი ერმოლოვისა და შემდეგ ვორონცოვის დროს. ამასთან ცარიზმის ბრძოლას მთიელთა წინააღმდეგ ახასიათებდა აუწერელი სისასტიკე. ხალხის წინააღმდეგობით გააფთრებული მეფის მოხელეები ერთიმეორეს თითქოს ეჯიბრებოდნენ მთიელი მოსახლეობის აწიოკებაში, მათ ძარცვა-გლეჯასა და ჟლეტაში.

„კავკასია ეს ვეებერთელა ციხე-სიმაგრეა, რომელსაც იცავს ნახევარმილიონიანი გარნიზონი. მასზე ან იერიშები უნდა მივიტანოთ, ან ტრანშეებით ავიღოთო — წერდა ერმოლოვი. ერმოლოვის ხსენებაც კი შიშის ზარს გვრიდა მოსახლეობას. „ერმოლუ-სარდარის“ სახელი საფრთხობელა იყო მთიელთათვის და ამ სახელით დედები ბავშვებს აშინებდნენ. ერმოლოვის „დამამშვიდებელი“ მისია მთიანეთში განაგრძო პასკევიჩმა, რომელსაც ნიკოლოზ პირველისაგან მიცემული ჰქონდა დავალება „მთიელი ხალხის სამუდამოდ დამორჩილების“ — შესახებ.

კავკასიის მთიანეთის შემომტკიცებისათვის ბრძოლაში ცარიზმი დამშვიდებული სინიდისით მიმართავდა ადგილობრივი მოსახლეობის ამოწყვეტის პოლიტიკას. იგი მიწასთან ასწორებდა სოფლებს, დაპყრობილ ადგილებში ასახლებდა რუს კოლონისტებს; აწყობდა მიუვალი სოფლების ბლოკირებას და შიმშილით ამოწყვეტის საშიშროებით აიძულებდა მათ მორ-

ჩილებაზე. „რუსეთის ბრძოლა დასავლეთ კავკასიის მთიელებთან ატარებდა განსაკუთრებულ ხასიათს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყანას იპყრობდნენ და დამორჩილებულ მცხოვრებლებს დაუყოვნებლივ ასახლებდნენ იქედან... მარტო ის ამბავი, რომ დასავლეთ კავკასიაში საომარმა მოქმედებებმა ისტორიული რუქიდან ამოიღეს ზოგიერთი კავკასიელი ტომები და გაანადგურეს ხსენებაც კი მათ შესახებ — ლაპარაკობს კავკასიის ომების ამ უკანასკნელი ნაწილის სერიოზული მნიშვნელობის შესახებ“ — ნათქვამია იმ საიუბილეო კრებულში, რომელიც ხსენებული ომების 50 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა თბილისში 1914 წელს.[1]

კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა ცარიზმის ყაჩაღური კოლონიურ-დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ მთელი შესაძლებლობით აღსდგა. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა აქ იარაღით მიმდინარეობდა და ვლინდებოდა მთელ რიგ აჯანყებებში. 1819 წელს ძლიერ აჯანყებას ჰქონდა ადგილი დაღესტანში. ეს აჯანყება ერმოლოვმა სისხლის მორევში ჩაახრჩო. აჯანყება ისევ განმეორდა 1823 წელს, მაგრამ ამჯერადაც მარცხით დამთავრდა. ცარიზმის წინააღმდეგ ჩეჩნების ბრძოლის ერთერთი გულადი მეთაური იყო ბეი-ბულათი, რომელიც მთელი 30 წლის განმავლობაში, მეთაურობდა რა პარტიზანულ ჯგუფებს, მოსვენებას არ აძლევდა რუსეთის საექსპედიციო ძალებს და მათ დიდ ზიანს აყენებდა.

რუსების წინააღმდეგ მძლავრ აჯანყებას ჰქონდა ადგილი აგრეთვე 1830, 1837 წლებში. ეს მოძრაობა შემდეგ თანდათანობით გაძლიერდა და 30—40 წლებში გაეხვია რა მიურიდიზმის რელიგიურ სამოსელში, ქრისტიანების (რუსების) წინააღმდეგ საყოველთაო ომში გადაიზარდა.

ძირითადი მიზეზი ამ პირველი აჯანყებებისა, იყო თვით ცარიზმის უხეში პოლიტიკა. დამამცირებელი, გამომწვევი და-

---

[1] Пятидесятилетие покорения Западного Кавказа и окончания Кавказской войны. Тифлис, 1914, зз. 5.

მოკიდებულება მთიელებისადმი, მათი ადათების, ტრადიციების შეურაცხყოფა.

„...სრულიადაც არაა საჭირო სასწაულების მოშველიება იმისათვის—აღნიშნავდა დობროლიუბოვი—რომ გაარკვიო თავისუფალი მთიელი ხალხის სიძულვილი რუსული მმართველობისადმი; ყოველივე ამის გარკვევა ძალზე ადვილია: პირველი ის, რომ სიძულვილი უცხოელის ბატონისადმი საერთოდ ძლიერი იყო მთიელ ტომებში; მეორეც — ჩვენი მმართველობა კავკასიაში სრულიადაც არ ყოფილა შეხამებული ადგილობრივ მოთხოვნილებებთან და ურთიერთობებთან"; ახასიათებდა რა ამ მოძრაობას საერთოდ, დობროლიუბოვი მიუთითებდა მის ხალხურ საფუძვლებზე, იმაზე, რომ „მთიელთა მხრივ ეს ბრძოლა მიმდინარეობდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, მათი ყოფა-ცხოვრების წესების ხელშეუხებლობისათვის".[1]

XIX საუკ. 30—40-იან წლებში კავკასიის მთიელი მოსახლეობის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მიურიდიზმის ფორმით მიმდინარეობდა. მიურიდიზმი მუსლიმანური რელიგიის ერთ-ერთი რეაქციული სახესხვაობაა. იგი ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში წარმოიშვა ბუხარაში; მისი საფუძვლები სუფიზმშია მოცემული. მიურიდიზმი მართლმორწმუნე მუსლიმანებისაგან მოითხოვს ისლამისადმი მონურ მორჩილებას, მისი სახელისათვის ურწმუნო „გიაურების" (ქრისტიანების) წინააღმდეგ საღვთო ომს. საიქიო შენდობას და ნეტარებას პირდება ყველა იმას, ვინც ამ ქვეყანაზე მეტ ურწმუნოს ანუ ქრისტიანს გაჟლეტს. მიურიდიზმი ისევე, როგორც ყველა სხვა რელიგია, იყო და არის კლასობრივი ჩაგვრის იარაღი. მუსლიმანურ სამყაროში მას გაბატონებული წრეები მოხერხებულად იყენებდნენ თავიანთი ბატონობისთვის, თავიანთი დამპყრობლური მიზნებისთვის.

კავკასიის მთიელ ტომებში მიურიდიზმის (ტარიკატის) პირველი პროპაგანდისტი იყო მოლა მუჰამედი. ტარიკატი შემდგომ განავითარა და მას მეტი პოლიტიკური სიმახვილე გაზი-

---

[1] Н. А. Добролюбов. Полное собрание сочинений. т. IV. М. 1937 г. зд. 149.

მუჰამედმა შესძინა, რომელმაც წამოაყენა რუსეთის წინააღმდეგ „საღვთო ომის“ (ჰაზავატის) იდეაც.

გაზი-მუჰამედის ქადაგებამ ფართო გავრცელება და მხარდაჭერა პოვა მთიელთა შორის. მის გარშემო შემოიკრიბენ მრავალრიცხოვანი რაზმები მეომრებისა (მიურიდებისა), რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ გიაურების წინააღმდეგ. გაზი-მუჰამედი გახდა მიურიდების სასულიერო და საერო ხელმძღვანელი და მმართველი ანუ იმამი. მისმა მეომრებმა მეფის არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში რამდენჯერმე მოიპოვეს წარმატება. მაგრამ ერთერთ ბრძოლაში გაზი-მუჰამედი დაიღუპა.

მის შემდეგ მიურიდებს ახალი ენერგიული წინამძღოლი გამოუჩნდა. ეს იყო შამილი, რომელმაც ამიერიდან იკისრა სათავეში ჩადგომოდა მეომრებს ჰაჯი-მურატისა (რუსეთის მოკავშირის) და რუსი გენერლების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1834 წელს შამილი იმამი გახდა.

შამილის სახელთან, რომელიც 25 წლის განმავლობაში ომობდა, დაკავშირებულია შეუპოვარი ბრძოლა რუსეთის მრავალრიცხოვან მხედრობასთან, მიურიდული მოძრაობის შემდგომი გაფართოება, ე. წ. მთიელთა ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. 30-იანი წლების ბოლოს შამილი თავისი მიურიდებით გამაგრდა მთიანი დაღესტნის ერთერთ მიუვალ პუნქტში ახულგოში, რომლისათვის ბრძოლას ცარიზმმა დიდი ძალები შესწირა. მხოლოდ 1839 წელს ბლოკადისა და საარტილერიო შეტევის შემდეგ შეძლეს მეფის ჯარებმა ახულგოს დანგრევა, მაგრამ შამილი თავისი გადარჩენილი მხედრებით გადავიდა ჩეჩნეთში და ახლა ეს მხარე გადააქცია რუსეთის ძალებისათვის მიუვალად. მიურიდიული მოძრაობა გაფართოვდა. შამილის დროშის ქვეშ დაღესტანთან ერთად გაერთიანდა ჩეჩნეთი. მისი გავლენა გავრცელდა ყაბარდოზეც. შამილმა შექმნა მთიანეთის მართვის თავისებური ორგანიზაცია. 1840—47 წლებში ეს იყო შამილის განსაკუთრებული ძლიერების ხანა, მისი ე. წ. „ბრწყინვალე ეპოქა“ როგორც მას ჩერნიშევსკი უწოდებდა.

ვორონცოვის მეთაურობით მოწყობილი ექსპედიციები შამილის წინააღმდეგ მარცხზე-მარცხს განიცდიდა. 1840, 1845,

1846 წლების ბრძოლებში შამილმა სასტიკად დაამარცხა რუსთა ძალები. მან გადაიბირა აგრეთვე ყოფილი მტერი ჰაჯი-მურატიც.

შამილი დიდ იმედებს ამყარებდა ყირიმის ომზე. ოსმალთა დახმარებით ვარაუდობდა კავკასიიდან რუსების განდევნას და მთიელთა სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებას.

შამილს აქეზებდნენ და იარაღითა და ფულით დახმარებას პირდებოდნენ არა მარტო თურქეთის მმართველი წრეები, არამედ ინგლისიც. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამ მოძრაობით 40—50-იან წლებში ინგლისის აგრესიული საგარეო პოლიტიკის მესვეური პალმერსტონი. ყირიმის ომის პერიოდში შამილმა, როცა თურქები კავკასიას სამხრეთიდან უტევდნენ, სცადა კიდეც გაჭრა საქართველოზე გავლით სამხრეთისაკენ, მაგრამ ამ ცდებს შედეგები არ მოჰყოლია.

შამილის მიერ შექმნილი სახელმწიფო ორგანიზაცია ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მოჩვენებითი იყო მისი დემოკრატიზმი. მისი ნაიბების ფეოდალური პარტიკულარიზმის ტენდენციები თანდათან გაძლიერდა. ყირიმის ომში წარუმატებლობის შემდეგ შეირყა მიურიდთა გამარჯვების რწმენაც. ამავე დროს ცარიზმმა, ხსენებული ომის შემდეგ, გააძლიერა იერიშები, რაც 1859 წელს დამთავრდა შამილის რეზიდენციის — გუნიბის აღებით. შამილი დაპატიმრებულ იქნა. ცარიზმმა უმკაცრესი ზომებით დააშოშმინა მთიანეთი. მისი ცალკე ნაწილების გადასაბირებლად ფართოდ გამოიყენა მოსყიდვის პოლიტიკაც. კავკასიის მთიანეთის დაპყრობა-დამორჩილება, ამრიგად, დამთავრდა.

ისტორიკოსთა შორის დღემდე დავის საგანია რუსეთის წინააღმდეგ შამილის მათაურობით მთიელთა ბრძოლის ხასიათი. 1950 წლამდე ეს მოძრაობა ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში საერთოდ აღიარებული იყო როგორც მთიელი ხალხის ბრძოლა ცარიზმის დამპყრობლური, კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, როგორც განმათავისუფლებელი, პროგრესული მოძრაობა. ერთერთი პირველი ვრცელი გამოკვლევა ამ ბრძოლების შესახებ ჰქონდა ცნობილ ისტორიკოსს პოკროვს-

კის. მაგრამ პოკროვსკის შეხედულებანი საერთოდ, პიროვნების კულტის ბატონობის პერიოდში, როგორც ცნობილია, დაგმობილ იქნა და ეს დიდი ისტორიკოსი, რომლის ნაშრომებით, მიუხედავად ზოგი შეცდომისა, აღფრთოვანებული იყო ვ. ი. ლენინი, გამოცხადებულ იქნა ანტიმარქსისტული ჯგუფის მეთაურად რუსულ ისტორიოგრაფიაში. გარდამტეხ პერიოდად შამილის მოძრაობის შეფასებაში შეიქმნა ბაგიროვის სტატია კავკასიის მიურიდიზმის შესახებ, რომელიც, შამილის მეთაურობით მთიელთა ბრძოლებს ახასიათებდა უკიდურესად რეაქციულ, თურქეთის მიერ ინსპირირებულ მოძრაობად და თვით შამილს აცხადებდა თურქეთის აგენტად კავკასიაში. ამ თემას 1939 წელს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ისტორიკოსმა ს. კ. ბუშუევმა (მთიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის შამილის ხელმძღვანელობით). ამ წიგნში მთიელთა ბრძოლა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ შეფასებულია, როგორც დადებითი, პროგრესული; აღიარებულია მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი.[1] მაგრამ იმავე ბუშუევმა 1950 წლიდან დიამეტრალურად შეცვალა თავისი შეხედულება მთიელთა მოძრაობაზე და 1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ეს მოძრაობა წარმოგვიდგინა როგორც მხოლოდ თურქეთ-ინგლისის აგენტურის შედეგი, როგორც უკიდურესად რეაქციული, ანტიხალხური გამოსვლა.[2] ამ მოძრაობის უარყოფითი შეფასებაა მოცემული აგრეთვე პროფ. ნ. ა. სმირნოვისა და ა. ვ. ფადეევის ნაშრომებში,[3] თუმცა ა. ვ. ფადეევს, რომელიც ჩვენ ამ პერიოდის „კავკასიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარად მიგვაჩნია, წინააღმდეგ სმირნოვისა და ბუშუევისა, მონახული აქვს

---

[1] С. К. Бушуев. Борьба горцев за независимость под руководством Шамиля. Изд. Акад. Наук СССР, 1939, М. Л.

[2] С. К. Бушуев. Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России (20 — 70 годы XIX в.) Москва, 1955 г.,

[3] Н. А. Смирнов. Реакционная сущность движения мюридизма и Шамиля на Кавказе. А. В. Фадеев. О внутренней социальной базе мюридистского движения на Кавказе в XIX веке. (Вопросы истории 1955, № 6).

მიურიდიზმის სოციალური ბაზა კავკასიის მთიანეთში. ისტორიულ-მეცნიერებაში თითქმის ეს გაბატონებული შეხედულება არ გაიზიარეს მხოლოდ ისტორიკოსებმა ა. მ. პიკმანმა და გ. დ. დანიალოვმა, რომლებმაც ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის" ფურცლებზე სცადეს დაემტკიცებინათ ამ მოძრაობის პროგრესული, კოლონიური ჩაგვრისაგან განმათავისუფლებელი ხასიათი.[1]

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიურიდიზმი თავისი შინაარსით რეაქციული იყო ყოველთვის. იგი ისლამის ერთერთი ყველაზე შემტევი, აგრესიული ნაირსახეობაა. მაგრამ აქვე შეგვიძლია დავაყენოთ კითხვა — რატომ გავრცელდა იგი ასე მასობრივად კავკასიის მთიელთა შორის სწორედ XIX საუკ. 20-იანი წლებიდან. რატომ იგი, მანამდე არ იზიდავდა დაღესტნის და ჩეჩნეთის მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIV საუკუნიდან და მუსლიმანობის ზედა ფენებში თითო-ოროლა მიმდევარი ჰყავდა? ამ კითხვას ჯერ კიდევ 1859 წელს პასუხი გასცა ჟურნალმა „სოვრემენიკმა". დობროლიუბოვი ამ ჟურნალის ფურცლებზე წერდა: „ჩვეულებრივად ამ მოვლენას (მიურიდიზმს, ა. ს.) მიაწერენ იმ მღელვარებებს. რომელიც დაიწყო შემდეგ ჩვენ მონა-მორჩილ დაღესტანში. მაგრამ ეს სრულიადაც არაა საკმარისი მართებული. რელიგიას თავისთავად, რა თქმა უნდა, შეუძლია ძლიერ გაიტაცოს ახლადმოქცეულნი, მაგრამ მიურიდიზმი ხომ სრულიადაც არ ყოფილა ახალი რელიგია. ეს იყო ისლამის იგივე მოძღვრება, მთიელთათვის დიდიხნის ნაცნობი, მაგრამ აქამდე იგი მათ შორის ასე გავრცელებული არ ყოფილა. ცნობილია, რომ ყველა მუსლიმანისათვის მკაცრი აუცილებლობაა ყურანის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შარიათად იწოდება და თავისთავში შეიცავს სამოქალაქო დადგენილებებს. მეორე ნაწილი — ტარიკატი, რომელიც ჰგულისხმობს უმაღლეს ზნეობრივ კანონებს, ყველა-

[1] А. М. Пикман. О борьбе кавказских горцев с царскими колонизаторами. („Вопросы истории" № 3, 1956 г.).

სათვის არაა ხელმისაწვდომი და მისი მიმდევრები ყოველთვის წარმოადგენდნენ რაღაც სასულიერო ორდენებს მუსლიმანობაში. ესენი იყვნენ მიურიდები, ე. ი. ჰეშმარიტების მიმდევარნი. მიურიდიზმის მკაცრი მოძღვრება არასოდეს არ პოულობდა მიმდევართა ფართო წრეს. მიურიდები სარგებლობდნენ მუსლიმანთა დიდი პატივისცემით სპარსეთში, ბუხარაში, მაგრამ მას არასოდეს არ გაუტაცია ხალხთა მასები და არ მიუღია პოლიტიკური ხასიათი. უფრო ნაკლები იყო მისი გავლენა კავკასიაში დაქუცმაცებულ ტომებს შორის, რომელიც ამავე დროს ცუდი მუსლიმანებიც იყვნენ.

1824 წელს თითქოს არაფერს აღარ შეეძლო ჩვენი ხელებიდან დაღესტნის გამოგლეჯა, თუმცა სწორედ ამ დროს, გაბატონებისთანავე ჩვენმა ხელისუფლებამ რყევა იწყო. ამის ახსნა ჩვენ უნდა ვეძიოთ არა მიურიდიზმის წარმატებებში. პირიქით — თვით მისი (მიურიდიზმის) წარმატებანი უნდა ავხსნათ რუსული მმართველობისადმი მთიელთა მტრობაში.[1]

აქ სავსებით მართებულადაა საკითხზე პასუხი გაცემული. მიურიდიზმი — ესე იგი ქრისტიანებისადმი შეურიგებელი მტრობა, მათი მოსპობის სულისკვეთება, ამ ქვეყნიური მძიმე ყოფისადმი შერიგება და. მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლა გიაურების გასაჟლეტად იმქვეყნიური ნეტარების მოსაპოვებლად, ხალხში პოპულარული გახდა და მან მასები აიყოლია სწორედ იმ ვითარებაში, როცა რუსეთის ცარიზმი ცეცხლითა და მახვილით შეესია მთას, დაიწყო მთიელი ტომების ჟლეტა, აყრა-გადასახლება, მათი ადათ-ჩვეულების შეურაცხყოფა, მათი კარჩაკეტილი, პრიმიტიული, მაგრამ მაინც თვითმყოფადი ცხოვრების აფორიაქება. ამრიგად, მიურიდიზმის მასობრივი გავრცელების საფუძველი მდგომარეობდა ცარიზმის მიერ მთიელთა წინააღმდეგ აღებულ კურსში, რაც მათს ეკონომიურ გაჩანაგებას და პოლიტიკურ დაკაბალებას იწვევდა. ცხადია, აქ ერთგვარი გავლენა ჰქონდა სულთანური თურქეთის მიერ გაჩაღებულ პროპაგანდასაც, მაგრამ ეს პროპაგანდა ნაყოფიერ ნიადაგს სწორედ ზემოდ დასახელებულ მიზეზთა გამო პოულობ-

[1] Современник, 1859, № 78, გვ. 22-26.

და. ისტორიაში არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ დაჩაგრული მასების სოციალური პროტესტი რელიგიური ბრძოლის სამოსელში გამოვლინებულა. ამაზე მიუთითებს ენგელსი. პოლიტიკური პროტესტით გამოსვლა რელიგიური გარსის ქვეშ — არის ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი მოვლენა მისი განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე და არა მარტო რუსეთისთვისო — წერდა ვ. ი. ლენინი.

ამ მოძრაობის რეაქციულობის დასასაბუთებლად ზოგიერთი მკვლევარი წინა პლანზე აყენებს შამილის კავშირს ინგლისისა და თურქეთის მმართველ წრეებთან. მართლაც, თურქეთის სულთანი და მის ზურგს უკან მდგომი ინგლისელი კოლონიზატორები ყოველმხრივ ცდილობდნენ შამილთან კავშირის დამყარებას, გზავნიდნენ იქ თავის ემისრებს, შამილი იმედოვნებდა, რომ მის ბრძოლას რუსების წინააღმდეგ თურქები და ინგლისელები რეალურად დაუჭერდნენ მხარს. მაგრამ თურქეთის და ინგლისის დახმარება მხოლოდ სიტყვიერი, გამამხნევებელი აღმოჩნდა. პრაქტიკულად ყირიმის ომამდე ინგლისსა და თურქეთს რაიმე სერიოზული დახმარება შამილისათვის არ გაუწევიათ. შამილისათვის წაყენებულ ამ ბრალდებასთან დაკავშირებით ისტორიკოსი ა. მ. პიკმანი წერს: „მთიელებს თავს დაესხნენ მეფის კოლონიზატორები, მათ აულებს წვავდნენ, მოსახლეობას ჟლეტდნენ: განა ამ ვითარებაში შამილს და მთიელებს არ შეეძლოთ ესარგებლათ დახმარებით, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი?

პატარა ხალხი, რომელსაც თავს დააცხრა მეფის კოლოსალური იმპერია, საჭიროებდა დახმარებას იარაღის მხრივ. თავისი სიცოცხლის და თავისი სამშობლოს დასაცავად იგი იძულებული იყო მიეღო იარაღი იქედან, სადაც კი მას იშოვიდა. პოლონელი მეამბოხეებიც, მაძინიც, გარიბალდიც, კოშუტიც ასევე სარგებლობდნენ ამ მიზნით უცხოელთა დახმარებით. თუ მეფის რუსეთს „უფლება ჰქონდა“ უცხოელ სახელმწიფოებთან კავშირისა და მათგან დახმარებას ღებულობდა, რატომ

მთიელებს, რომლებიც თავის ქვეყანას იცავდნენ ცარიზმისაგან, თავისთავისთვის უნდა წაერთმიათ ეს უფლება?".[1]

ცნობილია ხალხური ანდაზა — როცა ადამიანი წყალში იხრჩობა, თავგადასარჩენად ხელს გველსაც კი წაავლებსო. ასეთი მოქმედებისთვის ადამიანს როდი ასამართლებენ. თუმცა ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მთიელები თურქი ემისრების და ინგლისელი აგენტების საქმიანობას სრულებითაც ენთუზიაზმით არ ეგებებოდნენ. დოკუმენტების კრებულში, რომელიც საქართველოს ცენტრალურმა საარქივო სამმართველომ გამოსცა შამილის თურქეთისა და ინგლისის აგენტობის ცხადსაყოფად, ცოტა როდია დოკუმენტი, რომლებიც მიუთითებენ, თურქეთისა და ინგლისის გეგმების კრახზე მთიანეთში. დასახელებული გამოცემიდან ჩანს, რომ მთიელები სრულებითაც არ იყვნენ განწყობილი რომელიმე უცხო სახელმწიფოს ინტერესებისათვის ემოქმედათ. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ თურქეთის იმპერიასთან ჩერქეზეთის შეერთების პერსპექტივა ოდნავადაც არ იწვევს მოსახლეობის აღფრთოვანებასო. თვით შამილი დიდად უკმაყოფილო იყო თურქეთით. ილიკო ორბელიანი, რომელიც ტყვედ იყო შამილთან, თავის ჩვენებაში ამბობს: როცა მე ვკითხე შამილს თუ რატომ არ აიღებს მაგალითს თურქეთის სულთანისაგან და არ იცხოვრებს მეგობრულად რუსეთთან, მაშინ ხომ დაღესტნელები რუსეთთან ვაჭრობით სარგებლობას ნახავდნენ და შეძლებდნენ მშვიდად შეესრულებინათ თავიანთი შარიათიო — შამილმა მიპასუხა: „რასაკვირველია, მაგრამ ნუთუ შენ ფიქრობ, რომ სულთანი მუჰამედის კანონის ერთგული შემსრულებელია, ხოლო თურქები — ჭეშმარიტი მაჰმადიანები? ისინი გიაურებზე უარესნი არიან. ოჰ, რომ ხელში ჩამივარდებოდნენ, მე მათ დავჩეხდი ოცდაოთხ ნაჭრად, დავიწყებდი სულთანიდან. იგი ხედავს, რომ ჩვენ მისი ერთმორწმუნენი ვართ, რამდენი წელია ვებრძვით რუსებს ღვთისა და რწმენისათვის, რატომ არ გვეხმარებიან[2].

---

[1] А. М. Пикман. О борьбе кавказских горцев с царскими колонизаторами. Жур-л „Вопросы истории". № 3. 1956. გვ. 80.

[2] იხ. ჟურნალი „Вопросы истории". № 7, 1956, გ. დ ანიალოვის სტატია О движений горцев под руководством Шамиля. გვ. 70.

დასაბუთებული არაა ზოგიერთი ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს მიურიდიზმს არავითარი დასაყრდენი არ ჰქონია მთიელთა ფართო მასებში, რომ თითქოს შამილი ეყრდნობოდა მხოლოდ „ფანატიკოსთა ხროვას", „მიურიდთა ბანდებს", რომ დაბალი მოსახლეობა, პირიქით, აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა ამ მოძრაობას და რუსეთთან კავშირის მომხრედ გამოდიოდა.

ცნობილია, რომ შამილმა 60-ათასიანი არმია შექმნა. მან კავკასიის მთიანეთი წლების განმავლობაში მიუვალ სიმაგრედ გადააქცია. ასე მრავალრიცხოვანი, მისდამი თავდადებული, ენთუზიაზმით მებრძოლი არმიის შექმნა შამილს, ცხადია, არ შეეძლო არც იძულებით, არც ერთი მუჭა ფანატიკოსებით. ყველა მონაცემით მტკიცდება, რომ რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის დაბალი ფენებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, რომ მის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა უზდენთა მასა, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა ერთი მხრივ ცარიზმის კოლონიური რეჟიმი, მეორეს მხრივ ფეოდალური ექსპლოატაცია. მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს ამ მოძრაობაში, მართალია, სხვადასხვა სოციალური ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ იმ პერიოდში თავისი დამოუკიდებლობის დაცვის სულისკვეთებამ ყველა ისინი გააერთიანა ერთი რელიგიური მოძღვრების ქვეშ და ეს რელიგია, მისი რეაქციული შინაარსის მიუხედავად, წარმოადგენდა მხოლოდ გარსს თავისთავად პროგრესული მიზანდასახულობისათვის ბრძოლაში.

რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ანტიკოლონიური მოძრაობა ამ დროს არ ყოფილა დამახასიათებელი მხოლოდ კავკასიის მთიელებისათვის. ამ მოძრაობის გამომწვევი და გამაღვივებელი არ ყოფილა მხოლოდ მიურიდიზმი.

XIX საუკ. 30-იან წლებში ცარიზმის რეჟიმისა და ადგილობრივი ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ მთიანეთთან ერთად ბრძოლისთვის აღსდგა აზერბაიჯანის გლეხობა. 1830 წელს მსხვილ აჯანყებას ჰქონდა ადგილი ჭარბელაქანში. ამავე წელს სერიოზულ მღელვარებას ჰქონდა ადგილი ტალიშის პროვინციაში. განსაკუთრებით ფართო ხასიათისა იყო

ყუბის გლეხობის აჯანყება 1837 წელს, რომელშიც 12 ათასამდე გლეხი მონაწილეობდა. ყუბელებმა ურთიერთობა დაამყარეს შამილთან. შამილი გლეხებს მოუწოდებდა არ ნდობოდნენ მეფის მოხელეებს და მასთან ერთად ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის. ცარიზმი ყველა ამ აჯანყებებს სასტიკად უსწორდებოდა.[1]

ამავე პერიოდში ანტიკოლონიური ხასიათის აჯანყებანი ცნობილია სამხრეთ ოსეთში, სომხეთში.

ამრიგად, ცარიზმის კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ კავკასიაში თითქმის ერთდროულად გაღვივდა და დაიწყო დაჩაგრული მასების მოძრაობა, იგი მთლიან რკალად ერტყმოდა კავკასიას. მოძრაობის ასეთი მასობრიობა და ერთდროულობა იმაზე მიგვითითებს, რომ იგი აღმოცენებული იყო შინაგან საფუძვლებზე, თავისი ხასიათით, დანიშნულებით თითქმის ერთგვარი იყო. ყველა ეს აჯანყებანი სოციალური და კოლონიური ჩაგვრისადმი მძაფრი პროტესტის გამოხატულებას წარმოადგენდა და შენაკადი იყო იმ მძლავრი ანტიბატონყმური ბრძოლისა, რომელსაც ამ დროს ეწეოდა რუსეთის გლეხობა. ერთიც და მეორეც ურტყამდა, ასუსტებდა ცარიზმის ბურჯებს, მის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას.

შამილის მეთაურობით მთიელთა ბრძოლა რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ, მისი სამართლიანობის, მისი პროგრესული ხასიათის მიუხედავად, მაინც ვერ ჩაითვლება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად. ცნობილია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა შეიცავდეს მაინც ორ ძირითად კომპონენტს. ერთი — ბრძოლა პოლიტიკური მჩაგვრელის, დამპყრობელის წინააღმდეგ, — მეორეც ბრძოლას ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი შინაარსით ბურჟუაზიული ეპოქის მოძრაობაა, ერის კონსოლიდაციის, მისი გათვითცნობიერების, ფეოდალური დაქსაქსულობის და დამყაყებული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლაა, რომელსაც აქვს გარკვეული პოლიტიკური პროგრამა. ასეთი პროგრამა, ასეთი მიზანდასა-

---

[1] იხ. История Азербайджана. том II, 1960, Баку.

ხულობანი კავკასიის მთიელთა ბრძოლაში არ ჩანს. მთიანეთი ამ დროს ფეოდალური ფორმაციის დამკვიდრების პროცესშია. მთის სოციალური წყობა გარდამავალია პატრიარქალურ გვაროვნული ფორმაციიდან ფეოდალურში. აქ არ იყვნენ და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც ფართო ეროვნული პროგრამით გამოვიდოდნენ. ამიტომაცაა, რომ წამახალისებელ ეროვნულ ლოზუნგებს, ეროვნულ პროგრამას მოკლებული გამოსვლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ადვილად ეხვევა რელიგიურ სამოსელში. ამიტომაც გადაჭარბებულად მიგვაჩნია ზოგიერთი ავტორის მისწრაფება მოაქციონ მთიელთა ეს ბრძოლა ეროვნული მოძრაობის ჩარჩოებში. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მისთვის გვეწოდებინა ანტიკოლონიური მოძრაობა, სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც, როგორც ცნობილია, ხშირად ჰქონდა ადგილი ფეოდალურ ეპოქაში იმ ხალხთა ცხოვრებაში, რომლებიც უცხოელ დამპყრობთა უღელ ქვეშ იყვნენ მოქცეული.

ასევე გადაჭარბებულია ზოგი ავტორის მტკიცება შამილის სახელმწიფოს დემოკრატიულობის შესახებ. შამილის ღონისძიებანი, მართალია, მიმართული იყო მთიელი ბეგ-ხანების დამოუკიდებელ, გაბატონებულ მდგომარეობის წინააღმდეგ, მართალია, მან გაანადგურა ხანების და ბეგების ძირითადი პრივილეგიები, ცდილობდა იმასაც, რომ სახელმწიფოს მართვა გონიერად წარემართა, დაეძლია მთის საუკუნეებრივი ჩამორჩენილობა, ერთგვარად ხელი შეუწყო კიდეც პროგრესს მთიელთა სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ისევ ფეოდალური რეჟიმის განმტკიცების გზით მიემართებოდა. მისი ნაიბები ახალ ფეოდალებად იქცნენ მთაში. ლაპარაკი რაიმე დემოკრატიზმზე, რომლის ქვეშ ჩვენ ამ დროისთვის მხოლოდ ბურჟუაზიული — დემოკრატიზმი უნდა გვესმოდეს, ვფიქრობთ რომ შეუძლებელია.

ვაფასებთ რა კავკასიის მთიანეთის ბრძოლას ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ჩვენ ამ მოძრაობის მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ იმ კუთხითაც, რა კუთხითაც შეფასებულია დაახლოებით ამავე პერიოდში რუსეთის განაპი–

რა მხარეებისა და მისი დამორჩილებული ქვეყნების (პოლონეთის და სხვ.) მოძრაობანი. 1830—40-იან წლებში რუსეთის ცარიზმი, როგორც ეს არაერთხელ აღგვინიშნავს, წარმოადგენდა ევროპის ჟანდარმს. იგი რეაქციული საღვთო კავშირის მოთავე იყო და ავსტრიის, პრუსიის, საფრანგეთის რეაქციულ მმართველ წრეებთან ერთად ევროპაში სისხლში ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გამოდიოდა ხალხთა ცხოვრებაში პროგრესის, ფეოდალიზმთან შედარებით მოწინავე-ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების გამარჯვების წინააღმდეგ. პოლონელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 1831 და 1863 წლებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის განაპირა მხარეებში ამ დროს ასუსტებდა რუსეთის ცარიზმის, — როგორც ევროპის ჟანდარმის — პოზიციებს. საკუთარ სახლში ხანძრის შიშით მას ხელ-ფეხს უბოჭავდა. ეს მოძრაობანი არა მარტო ხელს უშლიდნენ ცარიზმის ფართო რეაქციულ გეგმებს ევროპაში ლეგიტიზმის პრინციპების შესანარჩუნებლად, არამედ ასუსტებდნენ თვითმპყრობელობის სამხედრო-პოლიტიკურ სისტემას, აღრმავებდნენ ამ სისტემის კრიზისს, ერთვოდნენ და ავსებდნენ რუსი ხალხის დიდ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი სწორედ ამ კუთხით განიხილავდნენ პოლონეთის მოძრაობის მნიშვნელობას. ამ მხრივ მათ პროგრესულ მოვლენად მიაჩნდათ შამილის ბრძოლაც. 1864 წელს მარქსი ენგელსს წერდა: „საგანგებო ნაბიჯი, რომელიც რუსებმა განახორციელეს ახლა კავკასიაში და რომელსაც ევროპა თვალყურს ადევნებს იდიოტური გულგრილობით, თითქმის აიძულებს მათ დახუჭონ თვალები იმაზე, თუ რა ხდება მეორე მხარეზე და უმსუბუქებს მათ ამ შესაძლებლობას. ამ ორ საქმეს: პოლონეთის აჯანყების ჩახშობას და კავკასიის დაპყრობას მე ვთვლი ყველაზე სერიოზულ ევროპულ მოვლენად 1815 წლის დროიდან“.[1]

ამ წერილიდან ჩანს, რომ მარქსს პოლონეთის აჯანყების

---

[1] Маркс и Энгельс, соч. том XXIII, გვ. 168

ჩაქრობაც 1863 წელს და კავკასიაში მთიელთა დამარცხება მიაჩნდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საერთოევროპულ მოვლენებად ვენის კონგრესის შემდეგ, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენდნენ საერთო ევროპულ პროგრესულ მოძრაობაზე. ენგელსი თავის სტატიაში „მთიან პირობებში ომის შესახებ“ შამილის მოძრაობას ნაციონალური აჯანყებისა და პარტიზანული ომების ჩარჩოებში ათავსებდა. მარქსი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მთიელთა ბრძოლას და წერდა: „კავკასიელ მთიელთა მიერ დაწყებულია საერთო ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ, რომელშიც შამილმა მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება და ხელთ იგდო არა ნაკლებ ოცდასამი ზარბაზნისაო“[1]. ასეთსავე შეფასებას აძლევდნენ ამ მოძრაობას რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი. მათ ესმოდათ, რომ ეს მოძრაობა მართალია სხვა კუთხით, მაგრამ მაინც მიმართული იყო იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელთანაც მათ ბანაკს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჰქონდა გამოცხადებული.

კავკასიის რუსეთთან შეერთებას ობიექტურად კავკასიელი ხალხის ცხოვრებაში მართლაც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს სულ სხვა მხარეა, რაც ცარიზმის სუბიექტურ მიზანდასახულობათა საპირისპიროდ ხორციელდებოდა. ეს მოძრაობა ცარიზმის სუბიექტურ მიზანდასახულობის, მისი კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. კავკასიის ხალხები აქ ებრძოდნენ არა რუს ხალხს, რომელთანაც ერთობა მათ დადებითად მიაჩნდათ, არამედ მეფის რეაქციონერ მოხელეებს, მეფის ჩინოსან გენერლებს, რომლებიც რუს ჯარისკაცებს მათივე ინტერესების წინააღმდეგ მიერეკებოდნენ მრავალ უსამართლო ომში. თუ მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული პერსპექტივის პოზიციიდან გამოვალთ და ყურადღებას არ მივაქცევთ მოძრაობის კონკრეტულ პირობებსა და მიზანდასახულებას, მაშინ საერთოდ უნდა უარვყოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მჩაგვრელთა წინააღმდეგ დაჩაგრულ-

[1] Маркс и Энгельс, соч. т. IX. зд. 410

ოა გამოსელის პროგრესულობა. ეს კი ლენინიზმის დებულებებს ეწინააღმდეგება.

დაბოლოს ერთი საკითხიც. ზოგი ქართველი ისტორიკოსი XIX საუკ. პირველ ნახევარში კავკასიის მთიანეთის, კერძოდ დაღესტნის, ცარიზმის კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის შეფასებაში ვერ იჩენს ობიექტურობას. ისინი მიუთითებენ, რომ ქართველები რუსებთან ერთად იბრძოდნენ შამილის წინააღმდეგ და ამით საქართველოს ინტერესებს ემსახურებოდნენ, რომ ქართველები მიურიდებში ხედავდნენ საკუთარ ისტორიულ მტრებს, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას წინათ ბევრი სისხლი ადინეს და გააუკაცურეს მისი მრავალი კუთხეო და სხვ. ეს თვალსაზრისი არაა მართებული. შამილის წინააღმდეგ ომში მართლაც მონაწილეობდნენ ჩინ-მედლების მოყვარული ქართველი თავადაზნაური გენერლები, რომლებიც ცარიზმის წინააღმდეგ უიღბლო შეთქმულების შემდეგ სახელგატეხილნი, ამ ომში ფიქრობდნენ ცარიზმის გულის მოგებას და ძველი „ცოდვების“ გამოსყიდვას. ქართველი ხალხი კი მთიელთა ამ ომის წინააღმდეგ ბრძოლაში არ მონაწილეობდა და ეს მონაწილეობა არც შეადგენდა მის ინტერესებს, რადგან მთიელები ებრძოდნენ რუს კოლონიზატორებს, რომლებიც საქართველოშიც ატარებდნენ ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას, საქართველოს მოსახლეობა შამილის წინააღმდეგ მართლაც აღსდგა ყირიმის ომის პერიოდში, მაშინ, როდესაც შამილის რაზმები კახეთს დაეცნენ თავს და ვარაუდობდნენ თურქეთის ძალებისაკენ გაჭრას, მაგრამ ეს ცალკე ეპიზოდი არ გამოდგება ამ მოძრაობის საერთო ხასიათის შეფასებისათვის, რომელსაც ერთგვარად, ზოგიერთ მომენტებში მაინც საერთო ჰქონდა იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელიც ამ დროიდან საქართველოში აღმავლობას იწყებდა.

თავი X

იდეური მოძრაობა რუსეთში XIX საუკუნის 30-40-იან წლებში

იდეური მოძრაობის ძირითადი ხასიათი

XIX საუკ. 30—40-იანი წლები რუსეთის იდეურ ცხოვრებაში მეტად საინტერესო, მღელვარე, შემოქმედებითი ძიებით აღსავსე პერიოდს წარმოადგენს. რუსეთის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე ღრმა პროცესი, რომელიც ფეოდალურ-ბატონყმურ გაბატონებულ რეჟიმსა და მის წიაღში უკვე მომწიფებულ კაპიტალისტურ ურთიერთობას შორის შეურიგებელი ბრძოლით ხასიათდებოდა, თავის გამოხატულებას, პოულობდა აზროვნებაში, იდეოლოგიაში. გაბატონებული კლასის იდეოლოგია თავგამოდებით იცავდა თავის პრივილეგიებს, თავისი კლასის ბატონობის უფლებას, რუსეთისათვის მავნედ და უცხოდ აცხადებდა ყოველივე იმას, რაც მის ყოვლისშემძლეობას განადგურებით ემუქრებოდა, თეორიულ საფუძვლებს ეძიებდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მარადიულობის დასასაბუთებლად, ხოლო დემოკრატიული იდეოლოგია თვლიდა რა ბატონყმობას და თვითმპყრობელობას რუსეთი კაპიტალისტური განვითარების შემაფერხებელ ძალად, მას უკვე დრომოჭმულად, ქვეყნის პროგრესის მტრად მიიჩნევდა და მისი დაღუპვის აუცილებლობას ასაბუთებდა.

ხაზს ვუსვამთ რა ამ ორი იდეოლოგიის შეურიგებელ ბრძოლას, ჩვენ ამით არ გვინდა ვთქვათ, რომ რუსეთის იდეური

ცხოვრება მხოლოდ ამ ორი ბანაკის ბრძოლით ამოიწურებოდა, რომ იგი მხოლოდ ამ ჩარჩოებში თავსდებოდა. ცნობილია, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე ობიექტური პროცესები შლიდნენ და ანაწევრებდნენ ძირითად კლასებს, თვით ამ კლასების შიგნით იწვევდნენ ახალი ფენების წარმოქმნას. თავადაზნაურობა ამ ეპოქაში უკვე აღარ წარმოადგენდა ერთ მონოლითურ ერთეულს, ასევე გლეხთა კლასი თავისი წრიდან გამოჰყოფდა ბურჟუაზიას, პროლეტარიატს. თითოეულ ამ საზოგადოებრივ ჯგუფს მისი ძლიერების შესაბამისად თავისი იდეური დამცველები უჩნდებოდა. ამ ფენების ინტერესთა მიხედვით ყალიბდებოდა ფეოდალურ-კონსერვატორული იდეოლოგია, თავადაზნაურული ლიბერალიზმი, ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, რევოლუციური დემოკრატიზმი და სხვ. ამ მიმართულებათა შეუპოვარს ბრძოლაში რუსეთის მომავლის შესახებ იბადებოდა ახალი აზრები, ჩნდებოდა ახალი დასაბუთებანი. უნივერსიტეტის კედლებში, პრესაში, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა ცარიზმის სასტიკი ცენზურა, მიმდინარეობდა შეხედულებათა ბრძოლა. ამ იდეებს და აზრებს ხარბად ეწაფებოდა ახალგაზრდობა.

კლასობრივი ბრძოლის ლოგიკის მიხედვით ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის, ე. ი. გაბატონებული, ოფიციალური იდეოლოგიის წინააღმდეგ რუსეთში ბურჟუაზიული იდეოლოგია უნდა გამოსულიყო, რადგან სწორედ ბურჟუაზია წარმოადგენდა იმ საზოგადოებრივ კლასს, რომელსაც თავისი ბატონობა თავადაზნაურული კლასის, ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის მოსპობით უნდა მოეპოვებინა.

მაგრამ რუსეთის სინამდვილეში ერთგვარ სპეციფიკას ჰქონდა ადგილი. რუსეთის ბურჟუაზია თავიდანვე სუსტი აღმოჩნდა, მან ვერ შეძლო დამოუკიდებელ, კლასობრივად დახვეწილ ერთეულად ჩამოყალიბება, იგი იზრდებოდა თვითმპყრობელობის კალთებქვეშ, ერთგვარად ეგუებოდა კიდეც ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას. მთავრობა დასაშვებ ფარგ-

ლებში თვით გამოდიოდა ბურჟუაზიის ეკონომიური გაძლიერების მოსარჩლედ, ხოლო XIX საუკ. მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი 70—80-იანი წლებიდან, როცა რუსეთში მეტად აქტიური და შეურიგებელი ხასიათი მიიღო პროლეტარიატის კლასობრივმა ბრძოლამ და იგი გაბოროტებით ერთნაირად დაემუქრა ბურჟუაზიას და ცარიზმსაც, მათ უფრო მეტად ჩასჭიდეს ხელი ერთმანეთს, მეტი საერთო ჰპოვეს და ასე შეკავშირებული დარჩნენ მანამ, ვიდრე პროლეტარულმა რევოლუციამ ორთავე არ გააძევა ისტორიის სცენიდან. ამით უნდა აიხსნას, რომ მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკ. პირველ ათეულში, ვიდრე პროლეტარულ რევოლუციამდე, ბურჟუაზიული იდეოლოგია ცარიზმთან გარიგების, მისი კლანჭებიდან ზოგიერთი დათმობების გამოძალვის, ცარიზმის — როგორც პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ შეჯავშნული მუშტის — შენახვის იდეოლოგიად დარჩა. ბურჟუაზიული ლიბერალიზმი რუსეთში მხოლოდ ოპოზიციაში ედგა ცარიზმს, არასოდეს არ ხასიათდებოდა ამ რეჟიმისადმი შეურიგებლობით, პრინციპულობით და ე. წ. რევოლუციური ფრაზეოლოგიის, ან რევოლუციური ამალგამის ქვეშ, სიღრმეში რეაქციულ შინაარსს, რეაქციულ სულისკვეთებას შეიცავდა.

ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლის გააქტიურების ვითარებაში დემოკრატიული იდეები რომელიც დეკაბრისტების დამარცხებით სრულიადაც არ ჩამკვდარა, მეტ და მეტ მომხრეებს იძენდა, სრულყოფილი ხდებოდა, ხალხს უკავშირდებოდა, ძველ შეცდომებს, რაც მასებისაგან მოწყვეტილობაში მდგომარეობდა, თანდათან სძლევდა და სახალხო რევოლუციის აუცილებლობის შეგნებით იმსჭვალებოდა. ასე ყალიბდებოდა რუსეთში რევოლუციური დემოკრატიზმი — იმ დროის რუსეთში ყველაზე უფრო სრულყოფილი და ძლიერი რევოლუციური მიმდინარეობა. ასე მზადდებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, რაზნოჩინცული ეტაპი, რომელიც ერთნაირად შეურიგებელი იყო თავადაზნაურული იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მიმართ და თავისი დაუცხრომელი საქმიანობით ამზადებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე — პროლეტარულ

ეტაპს. რევოლუციური დემოკრატიზმი დეკაბრისტული იდეოლოგიის წიაღში გაიზარდა, მისი მემკვიდრე, მისი ტრადიციების მატარებელი გახდა. მან, როგორც ვთქვით, დახვეწა, გაამდიდრა, სრულჰყო „პირველი თავადაზნაურულ რევოლუციონერთა" მსოფლმხედველობა და ეპოქის მოთხოვნილების შესაბამისად, გამოცდილებათა საფუძველზე იგი ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა.

ვ. ი. ლენინი აფასებს რა დეკაბრისტებს, აღნიშნავს, რომ „მათ საქმეს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი, გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია:

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა — რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას" გმირებით" დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები" — ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი".[1]

ვახასიათებთ რა რევოლუციურ-დემოკრატიზმს, როგორც იმ ეპოქის ყველაზე რევოლუციურ იდეოლოგიას, ჩვენ, ცხადია, არ ვგულისხმობთ, რომ იგი მეცნიერულად სრულყოფილი, ბოლომდე თანმიმდევრული, ბუნებისა და საზოგადოების რთული მოვლენების ახსნაში უშეცდომო იდეოლოგია იყო. მას არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი ახასიათებდა. იგი საზოგადოებრივი მოვლენების ახსნაში იდეალიზმის ტყვეობაში იმყოფებოდა, უტოპიური, განუხორციელებელი იყო რუსეთის საზოგადოების მომავალი მოწყობის, მის მიერ არჩეული გეგმაც, მაგრამ მიუხედავად ამ შეცდომებისა, სწორედ ეს იდეოლოგია ყველაზე ახლო იდგა დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმთან — მეცნიერული სოციალიზმის მსოფლმხედველობასთან, მარქსამდელ თეორიებთან შედარებით მოვლენათა შეფასებაში ეკავა ყველაზე პროგრესული პოზიცია: რევოლუციურ-დემოკრატიზმს ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ის ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, დახვეწის ვითარებაში თანდათანობით ძლევდა ამ შეცდომებს.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., 18, გვ. 19.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ რუსეთმა, ვიდრე იგი გამოვიდოდა სწორ რევოლუციურ გზაზე, განვლო ძიების, შეცდომების წლები. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში 40-90-იან წლებში, რუსეთის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ველური და რეაქციული ცარიზმის უღელქვეშ იტანჯებოდა, მთელი არსებით ეძიებდა სწორ რევოლუციურ თეორიას.

XIX საუკ. 30—40-იან წლებში საზოგადოებრივი აზრის ამ ძიებაზე, შემოქმედებითს წვასა და დუღილზე მიუთითებდა ამ ეპოქის დიდი ფიქრთამპყრობელი ბესარიონ ბელინსკი, როცა წერდა: ანალიზისა და კვლევის სული ეს ჩვენი ეპოქის სულია. კრიტიკის ფარგლებში ექცევა თვით კრიტიკაც. ჩვენი დრო არაფერს არ იღებს აუცილებელ პირობად. არ ნდობს ავტორიტეტს, უარყოფს გადმოცემულს, ჩვენი ეპოქა ბობოქრობს, იგი მოღლილია ჭეშმარიტების შიმშილითო.

↓ ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგია

ევროპასა და რუსეთში რევოლუციური, დემოკრატიული მოძრაობის გაძლიერების ვითარებაში, როცა მისი ნიჭიერი წარმომადგენლები არა მარტო იარაღით უტევდნენ მონარქიზმს და ბატონყმობას, არამედ თეორიულად ასაბუთებდნენ მის დრომოჭმულობას და დაღუპვის აუცილებლობას, საღვთო კავშირი ევროპაში, და მისი ერთ-ერთი ბურჯი — თვითმპყრობელური რეჟიმი რუსეთში, აღმოჩნდა იმის აუცილებლობის წინაშე, რომ არა მარტო სახრჩობელებით, ხიშტებითა და ციმბირის ყინულებით გაესწორებინა ანგარიში მტრებისათვის. არამედ მასებში ჩაენერგა ამ რეჟიმის აუცილებლობის, მისი გარდუვალობის, მარადისობის რწმენა, თეორიულად დაესაბუთებინა თავისი კლასობრივი პრივილეგიები და ბატონობა. თავისი იდეოლოგები თვითმპყრობელობას რუსეთში მისი დაწყებიდანვე გამოუჩნდნენ. XVIII საუკუნეში თვითმპყრობელობის აპოლოგია მთელ სისტემად ჩამოყალიბდა, ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა კლასობრივი ანტაგონიზმი ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების შიგნით უკიდურესობამდე გამწვავდა და საკითხი პრაქტიკულად დაისვა — „ვინ ვის?“, ცარიზმმა, მისმა აპარატმა არსებობის შესანარჩუნებ-

ლად დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალთა უკიდურესი დაძაბვით, ხიშტებთან და მათრახებთან ერთად მოიმარჯვა თავისი თეორიული არსენალიც.

XIX საუკ. დასაწყისში რეაქციული არისტოკრატიული ზედაფენების შეხედულება რუსეთის სოციალეკონომიურ და პოლიტიკურ წყობილებაზე ყველაზე მკაფიოდ გამოხატა კარამზინმა ზოგადად რუსეთის ისტორიის მრავალტომეულში, ხოლო ყველაზე მკაფიოდ თავის „წერილებში ძველი და ახალი რუსეთის შესახებ", რომელიც, როგორც ცნობილია, სასახლის „არისტოკრატიულმა რეაქციულმა კამარილიამ სპერანსკის ლიბერალურ ღონისძიებათა გასაბიაბრუებლად წარუდგინა იმპერატორს. ისტორიკოსი კარამზინი, როგორც ეს თავის ადგილზე გვაქვს მითითებული, რუსეთის ძლიერების ხერხემლად თვითმპყრობელობას აცხადებდა. რუსეთის ისტორიული ექსკურსით „ასაბუთებდა" მონარქიული რეჟიმის უპირატესობას ქვეყნისათვის, თავგამოდებით ილაშქრებდა ყოველგვარ გადახალისებათა წინააღმდეგ და რუსეთის ხსნას ჭკვიან გუბერნატორებსა და მღვდლებში ხედავდა.

1812 წლის შემდეგ, როცა ნაპოლეონის დამარცხებას ევროპაში რეაქცია, საღვთო კავშირი მოჰყვა და ზედაპირზე ამოტივტივდა მისი თეორიული კრედო — ლეგიტიმიზმი, რუსეთს რეაქციის იდეოლოგად მოევლინა განათლების მინისტრი გოლიცინი, რომელმაც რევოლუციური იდეოლოგიის საპირისპიროდ კოსმოპოლიტური მისტიციზმი წამოაყენა.

კოსმოპოლიტური მისტიციზმი საღვთო კავშირის საერთო დებულებებიდან ამოდიოდა, რევოლუციის „დამანგრეველი" საფრთხისაგან ხსნას იგი ქრისტიანული ევროპის მონარქთა ძმობასა და ურთიერთდახმარებაში ხედავდა, „წესრიგის დაცვას", ანუ მონარქიული სისტემის ხელუხლებლობას იგი მიიჩნევდა კაცობრიობის მხსნელ ერთადერთ საშუალებად იმ დამღუპველი შედეგებისაგან, რომელსაც უღვთო, მშფოთვარე თაობა უმზადებდა თითქოს დედამიწას. გოლიცინისეული კოსმოპოლიტური მისტიციზმი მაშინ თვითმპყრობელობის ოფიციალური იდეოლოგია გახდა.

ოციანი წლების მეორე ნახევარში თვითმპყრობელობის თე-

ორიული არსენალი „გამდიდრდა“ რეაქციული ნაციონალიზმით, რომლის პროპაგანდისტად გამოვიდა იმ პერიოდში (1824-1828) განათლების მინისტრი პირწავარდნილი რეაქციონერი შიშკოვი. ამ დროს თვითმპყრობელობამ პირველ პლანზე დააყენა მაჰმადიანური აგრესიისაგან მართლმადიდებელი სლავების დაცვის მისია, რომლისთვისაც თითქოს ისტორიულად მოწოდებული იყო რუსეთი. რუსეთის ადგილი და როლი ევროპულ სახელმწიფოთა სისტემაში აღიარებულ იქნა ტონის მიმცემად. რუსეთი წარმოსდგა ევროპული ცივილიზაციის მემკვიდრედ და მხსნელად, ამავე დროს დაიწყო თვითმპყრობელური რუსეთის „მშვენიერი“ წარსულის, „ბრწყინვალე“ აწმყოს და „ბედნიერი“ მომავლის იდეალიზაცია, რაც გამოიხატა ბენკენდორფის ფორმულაში „რუსეთის წარსული საკვირველია, მისი აწმყო, შესანიშნავს აღემატება, რაც შეეხება მის მომავალს — იგი უფრო დიადია, რაც კი შეიძლება წარმოიდგინოს ყველაზე მახვილმა გონებამ“.

რეაქციული ნაციონალიზმი თვითმპყრობელობას ამ დროს განსაკუთრებით სჭიროდა ერთის მხრივ ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ბალკანეთში უპირატესი პოზიციების მოპოვება-შემომტკიცებისათვის, მეორეს მხრივ საერთო ევროპული კოსმოპოლიტიზმის გაუვნებადებისათვის, რომელმაც ცარიზმისათვის იდეოლოგიურად არახელსაყრელი მიმართულება დაიკავა.

დემოკრატიული მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით ცარიზმი უფრო და უფრო ამდიდრებდა თავის არსენალს. ბრძოლაში შეჰყავდა ახალი ძალები. XIX საუკ. 30-იან წლებში ასეთ ფალავნად თვითმპყრობელობამ გაიჩინა გრაფი ს. ს. უვაროვი, რომელიც 1833 წლიდან ჩაუდგა სათავეში განათლების სამინისტროს და მას 1849 წლამდე განაგებდა.

ს. ს. უვაროვს საფუძვლიანი განათლება ჰქონდა. ალექსანდრეს ეპოქაში ის იყო პეტერბურგის სასწავლო ოლქის პოპეჩიტელი, იმ ხანებში ლიბერალობდა კიდეც, მაგრამ გაქნილმა კარიერისტმა იგრძნო, თუ ვის მხარეზე იყო უპირატესობა, როგორი პოზიციით შეიძლებოდა წინსვლა ნიკოლოზის ეპოქა-

ში და თავგამოდებით დადგა თვითმპყრობელურ-რეაქციულ პოზიციაზე: განათლების მინისტრის პოსტი რომ დაიკავა, უვაროვმა შემდეგ სიტყვებში გამოხატა თავისი მისია: „ჩემი საქმეა არა მარტო ვმეთვალყურეობდე განათლებას, არამედ ვმეთვალყურეობდე თაობის სულსაც. თუ შევძლებ გადავწიო რუსეთი ორმოცდაათი წლით უკან იმისაგან, რასაც მას თეორიები უმზადებენ, ჩემი მოვალეობა შესრულებული იქნება და მე საფლავში მშვიდად ჩავალო“.

უვაროვის სახელთანაა დაკავშირებული ე. წ. „ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგია“, რომელსაც ცარიზმი ჩაებღაუჭა როგორც „ხსნის ღუზას“, როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული ზვირთების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას. ეს იდეოლოგია სრულებითაც არ ყოფილა ახალი და ორიგინალური. უვაროვი ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა თავის რეაქციონერ წინამორბედებს, რომლებმაც რუსეთისათვის თვითმპყრობელობის აუცილებლობის და მართლმადიდებლობის კეთილშობილური მისიის დასაბუთებას დიდი ენერგია შეალიეს. რუსეთის ძლიერებისათვის ამ ორ სახელმძღვანელო პრინციპს უვაროვმა მესამე — ე. წ. „ხალხურობა“ დაუმატა და ასე ჩამოაყალიბა ის „ტრიადა“, ის ე. წ. „უვაროვისეული სამეული“, რომელიც რუსეთის ისტორიული ცხოვრების განმსაზღვრელად, მისი ძლიერების სიმბოლოდ, მისი მომავლის გზად იქნა აღიარებული.

თავისი თეორიული პრინციპები რუსეთის შესახებ უვაროვმა ჯერ კიდევ 1832 წელს — განათლების მინისტრის მოადგილის პოსტზე ყოფნის დროს ჩამოაყალიბა. მოსკოვის უნივერსიტეტის რევიზიის ანგარიშში, რომელიც ნიკოლოზ I სახელზე იყო შედგენილი, უვაროვმა უკვე მონახა „რუსეთის ძალისა და დიდების ეს საიმედო გასაღები“. — თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და ხალხურობა—აი რა პრინციპები მართავენ რუსეთს, — მიუთითებდა იგი. ესენი წარმოადგენენ მისი სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საფუძველს, აი სადაა რუსეთის გადარჩენის საიდუმლო. ეს პრინცი-

პები უნდა დაედოს საფუძვლად მშობლიურ ლიტერატურას, ხელოვნებას, განათლებას, მეცნიერებას, თაობის აღზრდას.

თვითმპყრობელობამ და მისმა უპირველესმა აპოლოგეტმა ნიკოლოზ I უვაროვის ამ შეხედულებებში თავისი პოზიციების დამცველი საშუალება დაინახა. თვითმპყრობელობისა და მართლმადიდებლობის უკვე ცნობილი პრინციპები აქ შეკრული, ერთმანეთს გადაჭდობილი და მოამალგამებული იყო ხალხურობის მაცდუნებელი შენადნობით. ეს სწორედ ეპოქის სულისკვეთებას შეესაბამებოდა. იგი პირდაპირ უმიზნებდა დემოკრატიული ბანაკის კოზირს რუსეთში ხალხისა და ცარიზმის ინტერესთა გათიშულობის, მათი დაპირისპირების შესახებ. ამ პრინციპებით ხელისუფლება რუსეთში მოჩანდა ხალხის, მასების სულისკვეთების დამცველად, ხალხისა და მეფის ინტერესები საერთოდ იყო გამოცხადებული და თუ ეს ასე იყო, ცხადია, რუს ხალხს არაფერი უნდა ჰქონოდა საწინააღმდეგო მისი ერთგული, მისი დამცველი თვითმპყრობელისა. ამიტომ იყო, რომ თვითმპყრობელობამ ჩასჭიდა ხელი ამ იდეოლოგიას, დაჟინებით მიჰყო ხელი მის პროპაგანდას, გამოიყენა მთელი შტატი დაქირავებული ისტორიკოსებისა, ლიტერატორებისა, ჟურნალისტებისა მის დასაბუთებლად და საპოპულარიზაციოდ. ეს იდეოლოგია პირდაპირი და უშუალო თანაშემწე აღმოჩნდა მესამე განყოფილებისა, ცარიზმის პოლიციური აპარატისა. თუ პირველი ახრჩობდა, როზგავდა, ციმბირში ასახლებდა ცარიზმის მტრებს, მეორე თეორიულად ასაბუთებდა ამ ღონისძიებების აუცილებლობას რუსეთის ძლიერებისა და დიდების უზრუნველყოფისათვის. ამავე დროს თაობას აბრუებდა სახაზინო პატრიოტიზმის, რეაქციული ნაციონალიზმის ამ შხამით, რომ დემოკრატიული, რევოლუციური იდეოლოგიის ზეგავლენა შეენელებინა.

ცარიზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პრინციპების დასაბუთებას რუსეთის მთელი ისტორიული ცხოვრების ფონზე. ამ მხრივ მას ისეთი სერიოზული ფალავნები გამოუჩნდნენ, როგორიც იყვნენ რუსეთის ისტორიკოსები მ. პ. პოგოდინი და უსტრიალოვი, ლიტერატურის ისტორიკოსები ს. პ. შევირიოვი, სენკოვსკი და სხვები.

პოგოდინი იმ ხანებში რუსეთის ისტორიის კათედრას განაგებდა მოსკოვის უნივერსიტეტში, უსტრიალოვი — რუსეთის ისტორიის კათედრას პეტერბურგის უნივერსიტეტში. ორივე მკვლევარი საზოგადოების მიერ აღიარებული იყო, როგორც რუსეთის წარსულის კარგი სპეციალისტი, დამოუკიდებელი მოაზროვნე. მათი რეაქციული განწყობილება მთავრობამ უნარიანად გამოიყენა პირველ რიგში ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგიის საპროპაგანდოდ. ამ იდეოლოგიის ისტორიულად დასაბუთებას მიუძღვნა პოგოდინმა თავისი ლექციები და გამოკვლევანი, უსტრიალოვმა კი თავისი სადოქტორო ნაშრომი „რუსეთის ისტორიის პრაგმატული სისტემის" შესახებ და სხვ.

როგორ მიუდგნენ ეს მკვლევარები რუსეთის ისტორიას? რაში ხედავდნენ ისინი თვითმპყრობელობის, მართლმადიდებლობის და ხალხურობის მხსნელ ძალას?

რუსეთის მთელი ისტორიული ცხოვრება — ამტკიცებდნენ ისინი, თავიდანვე წარიმართა სულ სხვა, სრულიად ორიგინალური გზით, ვიდრე კათოლიკურ-ლუთერანული დასავლეთისა. რუსეთს თავიდანვე ჰქონდა თავისი ნაციონალური, დასავლეთისაგან განსხვავებული წარსული. მისი ბუნებრივი განვითარება მიმდინარეობდა და მიმდინარეობს თვითმყოფადად, საკუთარი პრინციპებით.

ძირითადი და განმსაზღვრელია ის, მიუთითებდა პოგოდინი, რომ რუსეთში თვითმპყრობელობა არ შექმნილა იძულებით საფუძველზე. რუსებმა, რომლებსაც მანამ მშფოთვარე, დაუწყობელი ცხოვრება ჰქონდათ, მშვიდი, ნორმალური, თვითმყოფადი ცხოვრების უზრუნველსაყოფად თვით მოიწვიეს მმართველები ვარიაგეთიდან. ამ მტკიცებიდან შემდეგ თავისთავად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ თვითმპყრობელობა რუსეთში სრულებითაც არაა მოძალადე, ხალხისათვის თავზემოხვეული, მისი ინტერესების საწინააღმდეგო დაწესებულება. პირიქით, ოგი ხალხის საჭიროებამ შექმნა, თვით ხალხმა მოიწვია. ეს დასკვნები სჭიროდა ცარიზმს იმისათვის, რომ გაემართლებინა თავისი არსებობა, პირში ჩაეჩარა ბურთი მათთვის, ვინც თვითმპყრობელობის დამხობას მოითხოვდა და ასაბუთებდა.

სულ სხვა ვითარება იყო დასავლეთში — ამტკიცებდა პოგოდინი — იქ სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ დაპყრობის, ძალადობის პრინციპზე. ამ იძულებითი ხასიათით, იმით, რომ ხალხს დამპყრობლებმა იძულებით, მათი ნებასურვილის საპირისპიროდ მოახვიეს თავს თავისი ძალაუფლება, აიხსნება ამ ქვეყნებში მუდმივი შფოთი და ბრძოლა, სახალხო გამოსვლები სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ხალხის მტრული დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დასავლეთში ამითაა შეპირობებული და გამართლებული, ხოლო რუსეთში კი გაუმართლებელი, რადგან იგი არ გამოხატავს ხალხის ინტერესებს და „უკანონო“ ხასიათს ატარებსო.

რუსეთის ისტორიული ცხოვრების გზას აქ სახელმწიფოებრიობის გაჩენის შემდეგ ეს ისტორიკოსები ახასიათებდნენ როგორც მშვიდობიანი, ჰარმონიული განვითარების აგრეთვე თავისებურ, თვითმყოფად გზას. რუსეთში ყველა წოდება ასრულებდა მასზე იმთავითვე დაკისრებულ მოვალეობას, წოდებათა შორის ადგილი არ ჰქონია წინააღმდეგობას, არ იყო მონობა, არ იყო დესპოტიზმი, სახელმწიფო ხელისუფლება ყველა წოდებას მფარველობდა ერთნაირად. ქვეყნის ეს ჰარმონიული ცხოვრება ირღვეოდა მხოლოდ მაშინ, როცა ჩნდებოდა კრიზისი დინასტიური ხაზით, როცა ეცემოდა თვითმპყრობელობა. „ჩვენთან არ ყოფილა მონობა — ამტკიცებდა პოგოდინი,—არ ყოფილა პროლეტარიატი, არ ყოფილა სიძულვილი, არ ყოფილა სიამაყე, არ ყოფილა ინკვიზიცია, არ ყოფილა ფეოდალური ტირანია; სამაგიეროდ იყო მამობრივი მმართველობა. პატრიარქალური თავისუფლება, იყო ოჯახური თანასწორობა, იყო საერთო მფლობელობა, იყო სათემო ყრილობა: ერთი სიტყვით შუა საუკუნეებში ჩვენ გვქონდა ის, რის შექმნასაც ასე ცდილობდა დასავლეთი ახალ ხანაში, ვერ მოასწრო უახლოესში და საეჭვოა შექმნას მომავალშიო“.

უპირისპირებდნენ რა რუსეთის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება იძულებით შეიქმნა და შემდეგ შფოთი და არეულობა არ დამცხრალა, ეს ისტორიკოსები დასავლეთ ევროპაში მხოლოდ ანტაგონიზმის გამოვლინებას, სისხლს და ძალადო-

ბას ჰხედავდნენ. „დაპყრობა, დაყოფა, ფეოდალიზმი, ქალაქები საშუალო წოდებით. სიძულვილი, ბრძოლა, ქალაქების განთავისუფლება — ესაა ევროპის ტრილოგიის პირველი ტრაგედია. თვითმპყრობელობა, არისტოკრატია, საშუალო წოდების ბრძოლა, რევოლუცია — ეს მეორე". — წერდა პოგოდინი, რომელიც საბოლოო ტრაგედიას დაბალი კლასების იმ შეურიგებელ ბრძოლაში ხედავდა, XIX საუკუნისათვის ევროპაში მეტისმეტად რომ გაძლიერდა და მასობრივი გახდა.[1]

თავისთავად ცხადია, თუ რისთვის იყო გამიზნული რუსეთის ისტორიის ასეთი ინტერპრეტაცია, დასავლეთის და რუსეთის ასეთი დაპირისპირება. თუ რუსეთში სახელმწიფო მმართველობა დაფუძნებული იყო საყოველთაო, ყოველმბრივ და განსაკუთრებულ მზრუნველობაზე ხალხის მიმართ, — მაშინ რა საფუძველი უნდა ჰქონოდა ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ? დასავლეთში ასეთი ბრძოლა კანონზომიერი ჩანდა, რუსეთში — უკანონოდ, გაუგებრად, უნიადაგოდ, უცხოეთიდან მოტანილად.

რუსეთის ცარიზმი ადრეც იყენებდა ამ ხერხს. როცა ანგარიშს უსწორებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებს, იგი ყოველთვის იმას იმიზეზებდა, რომ ეს მოძრაობა რუსეთისათვის უცხო, დასავლეთ ევროპიდან არის შემოტანილი. ასე შეაფასა მან დეკაბრიზმი. ნიკოლოზ I თავის მეორე მანიფესტში 1825 წლის 14 დეკემბრის შესახებ ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ განეწმინდა წმიდა რუსეთი „უცხოური, გარედან თავზე მოხვეული ჭირისაგან". ეს ხერხი განსაკუთრებით გამოადგა ცარიზმს მას შემდეგ, როცა ევროპაში რევოლუციური მოძრაობა გაძლიერდა, როცა იქ გაჩნდნენ და მომძლავრდნენ სოციალისტური იდეები, როცა რუსეთის პროგრესულმა თაობამ მიუთითა დასავლეთზე, საიდანაც უნდა აეღოთ მაგალითი ბრძოლისა აბსოლუტიზმის, ბატონყმობის წინააღმდეგ.

---

[1] Окунь С. Б. Очерки истории СССР, вторая четверть XIX века. Ленинград, 1957, ss. 308.

თვითმპყრობელობის იდეალიზაციასთან ერთად ეს ისტორიკოსები ბატონყმობის იდეალიზაციასაც ეწეოდნენ. მათ მოსწონდათ ის კეთილშობილური, —მამაშვილური დამოკიდებულება, რომელიც თითქოს რუსეთში არსებობდა ბატონსა და ყმას შორის. რუსეთის ბატონყმობა, — ამტკიცებდა პოგოდინი, ახლაც ინახავს თავისთავში ბევრს პატრიარქალურს და კარგი მემამულე უკეთესად იცავს გლეხობის ინტერესებს, ვიდრე ეს თვით მათ (ე. ი. გლეხებს) შეუძლიათო.

როგორც ვხედავთ, ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ სერიოზულად გამოიდო თავი უვაროვის თეორიის დასაბუთებისათვის და თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და ხალხურობა რუსეთის ბედნიერ კუთვნილებად გამოაცხადა. ისტორიული პროცესის თავიდან ბოლომდე ყალბი გაგება, ფაქტების შელამაზება, მათი ტენდენციური დალაგება იყო ამ კონცეპციის საფუძველი. იგი რეაქციული იყო თავიდან ბოლომდე, ემსახურებოდა დრომოჭმული სოციალ-პოლიტიკური წყობილების დაცვას და გამართლებას.

ამ მავნე თეორიის პროპაგანდას ეწეოდა ჟურნალი „მოსკვიტიანინი“, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა 1841 წლიდან პოგოდინის და შევირიოვის რედაქტორობით. ჟურნალის პირველსავე ნომრებში პროფ. შევირიოვი გამოვიდა სპეციალური სტატიით „რუსეთის შეხედულება ევროპის შექმნაზე“, სადაც მან განავითარა თეზისები: რუსეთი და დასავლეთი საწინაალმდეგო საწყისებს წარმოადგენდნენ, რუსეთი თვითმყოფადია, რუსეთის ბედნიერებაა ის, რომ დღემდე შემოინახა სამი პრინციპი—თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და ხალხურობა, დასავლეთი შეპყრობილია მძიმე სენით, გავემიჯნოთ დასავლეთს.

ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგიის თავგამოდებული დამცველი შეიქმნა გაზ. „სევერნაია პჩელა“, რომელიც აქამდეც მთავრობის ნახევრად ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა. 1831 წლიდან, როცა გაზეთის რედაქტორები გახდნენ ბულგარინი და გრეჩი, მასში სტატიების მთელი სერია დაიბეჭდა ამ თეორიის სასარგებლოდ. ამ პოზიციიდან ფასდებოდა

რუსეთის ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება. გაზეთი და მისი რედაქტორები ახლო ურთიერთობაში იყვნენ მესამე განყოფილებასთან და დემოკრატიული ძალების უხეშ კრიტიკასთან ერთად ხშირად მათ პირდაპირ დასმენებსაც არ ერიდებოდნენ.

ამ იდეოლოგიის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად აგრეთვე „საკითხავი ბიბლიოთეკა", რომელიც 1834 წლიდან სენკოვსკის რედაქციით რუსეთის ობივატელ მკითხველებს აწვდიდა მოთხრობებს, რომანებს, სადაც განდიდებული იყო თვითმპყრობელური რუსეთის აწმყო და წარსული, მისი ნაციონალური თავისებურებანი, მისი თვითმპყრობელური რეჟიმი და ბატონყმობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობა ამ გაზეთებსა და ჟურნალებს დიდი მონდომებით ავრცელებდა, სავალდებულოდ უხდიდა მის გამოწერას დაწესებულებებს, მაშინ როცა დემოკრატიულ პრესას სასტიკად სდევნიდა.

მთელი ამ რეაქციული ხროვის გვირგვინს წარმოადგენდა, რუსეთის თვითმპყრობელი ნიკოლოზ პირველი, რომელსაც, როგორც მისი თანამედროვე ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი შენიშნავს, უვაროვმა ჩაუნერგა იმის რწმენა, რომ იგი მოწოდებულია სიახლისათვის, რომ მან ამიერიდან სამი პრინციპის — თვითმპყრობელობის, მართლმადიდებლობის და ხალხურობის — საწყისებზე უნდა დაიცვას და განავითაროს რუსეთის ყოვლისშემძლეობა და დიდება.

მაგრამ თვითმპყრობელობის მთელი ეს თეორიული არსენალი და ამასთან ერთად ნიკოლოზისეული მათრახები, ჟანდარმერია და ციმბირის ყინულები — ყველაფერი ეს მაინც უძლური იყო უკვე დრომოჭმული რეჟიმის დასაცავად. რუსეთის წიაღში ფართოვდებოდა მასობრივი მოძრაობანი, ამასთან ერთად იზრდებოდა დემოკრატიული ბანაკი, შეუპოვრად და მტკიცედ მიიკვლევდა გზას მისი იდეოლოგია.

საიდუმლო წრეები და მათი საქმიანობა დეკაბრისტების შემდეგ

ა. ი. გერცენი, აფასებს რა XIX საუკ. მეორე მეოთხედის დასაწყისში რუსეთის საზოგადოებრივ განწყობილებას აღნიშნავს, რომ პირველი წლები, რომელიც 1825 წელს მოჰყვნენ, უსაშინელესი იყვნენ. მხოლოდ 10 წლის შემდეგ შეძლო საზოგადოებამ გამოფხიზლებულიყო დამონებისა და დევნის ატმოსფეროში. მას დაეუფლა ღრმა უიმედობა, ძალის საერთო დაცემა. მხოლოდ ერთი — პუშკინის ეღერადი და ფართო სიმღერა გაისმოდა მონობისა და წამების ველზე. ეს სიმღერა აგრძელებდა წარსულ ეპოქას, ვაჟკაცური ხმებით ავსებდა ახლანდელს და იმედიანად ეხმაურებოდა შორეულ მომავალსო.

დიდი რუსი დემოკრატის ეს შეფასება ზოგადად, რა თქმა უნდა სწორია. მაგრამ გერცენს მაშინ არ შეიძლებოდა სცოდნოდა, თუ სად, რა ძალით კვლავ ღვივოდნენ ცალკეული კერები იმის შემდეგ, როცა 1825 წელს მთავრობამ დიდი გულმოდგინებით ჩააქრო ხანძარი. შემდგომმა კვლევა-ძიებამ, მესამე განყოფილების საქმეების შესწავლამ ცხადყო, რომ ფარული საწრეო მუშაობა რუსეთში კვლავ მიმდინარეობდა. იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ დეკაბრისტთა შვილები.

დეკაბრისტთა შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ თვითმპყრობელობა გაფაციცებით ეძებდა ამ მოძრაობის ფილიალებსა და ნაშთებს. განსაკუთრებით გულმოდგინედ გაჩხრეკილ იქნა დედაქალაქი და მართლაც, იმდენად განუწყვეტელი და ყოველი კუნჭულის მომცველი იყო საიდუმლო პოლიციის თვალთვალი, რომ დედაქალაქში რაიმე საწრეო მუშაობა შეუძლებელი ჩანდა. ამიტომ, გასაგებია, რომ შეთქმულების კერების აღმოცენება ამ დროიდან უფრო მეტად პერიფერიებში ხდება, ხოლო მთავარი ცენტრი რევოლუციური საქმიანობისა შეუმჩნევლად პეტერბურგიდან მოსკოვში ინაცვლებდა.

პუშკინის ის „ეღერადი სიმღერა“ რომელზედაც გერცენი მიუთითებს, ამ დროს მართლაც წვდებოდა რუსეთის ვეებერთელა მიწა-წყალს. გენიალური პოეტის ანტირეჟიმული

ლექსები ხელნაწერის სახით ახალგაზრდულ წრეებში ხელიდან ხელში გადადიოდა. მათ ზეპირად სწავლობდნენ. ტექსტზე ქმნიდნენ სიმღერებს. ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და საიდუმლოდ ვრცელდებოდა რილეევის ლექსები და პოემები. განსაკუთრებით მისი „ვოინაროვსკი" და „ნალივაიკო". გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" და სხვ. 1827 წ. ჟანდარმერიის გენერალ-მაიორი ვოლკოვი ბენკენდორფს მოახსენებდა, რომ „მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობაში ძალიან ცოტაა ისეთი, რომელთაც არ ჰქონდეთ მწერალ.პუშკინის მთავრობის საწინააღმდეგო ლექსებიო".

მთავრობამ ამავე წელს სპეციალურად შეამოწმა მოსკოვის და ხარკოვის უნივერსიტეტები. რევიზორები თავიანთ ანგარიშებში მიუთითებდნენ, რომ ამ დაწესებულებებიდან, როგორც გადამდები სენის კერისაგან, მთელს ქვეყანაში ვრცელდება პუშკინისა და რილეევის აკრძალული ლექსებიო.

1827 წლიდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში იწყება რევოლუციური წრეების აღმოცენება. მართალია, ამ წრეების ორგანიზატორები არ ყოფილან და არც შეიძლება ყოფილიყვნენ დეკაბრისტები, რომლებიც ამ დროისათვის ციმბირის ყინულებში ან კავკასიის არმიაში იხდიდნენ სასჯელს, მაგრამ ამ წრეების აღმოცენება მჭიდროდ იყო დაკავშირებული დეკაბრისტულ მოძრაობასთან და მის უშუალო გავლენას განიცდიდა. რევოლუციური წრეების ორგანიზატორები თავიანთ თავს დეკაბრისტთა შვილებს, მათი საქმის გამგრძელებლებს უწოდებდნენ და ძირითადში დეკაბრისტების მიერ წამოყენებული იდეებით ხელმძღვანელობდნენ. ასეთი წრეები შეიქმნა ნეჟინში, ვლადიმირში, ურალის ქარხნებში, ორენბურგში, მოსკოვში და სხვ.[1]

1826-28 წლებში ნეჟინის გიმნაზიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთი ჯგუფი მტრულად იყო რა განწყობილი რუსეთის მაშინდელი რეჟიმის მიმართ, მოწინავე

[1] Окунь, Очерки истории СССР, вторая четверть XIX века. 83-314.

შეხედულებათა პროპაგანდას ეწეოდა, ამ ჯგუფის იდეურ ხელმძღვანელად ითვლებოდა პროფესორი ბელოუსოვი, რომელიც ამ სასწავლებლებში ბუნებრივი სამართლის კურსს კითხულობდა და თავის ლექციებში ეწეოდა საყოველთაო თანასწორობის პროპაგანდას, ჰგმობდა დესპოტურ რეჟიმს, მონარქიზმს.

სტუდენტებს, რომლებიც ბელოუსოვის და მისი მეგობრის — ფრანგული ენის მასწავლებლის ლანდრაჟინის გარშემო იყვნენ შემოკრებილი, ჰქონდათ აკრძალული წიგნები, ისინი მსჯელობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე, თარგმნიდნენ მოწინავე ფრანგ პოეტთა ნაწარმოებებს, ავრცელებდნენ რილეევისა და პუშკინის ლექსებს, ბაძავდნენ მათ. ამავე დროს ფარული კავშირი ჰქონდათ დეკაბრისტთა ფარული ორგანიზაციის — „კეთილდღეობის კავშირის“ ყოფილ წევრ ლუკაშევიჩთან, რომელიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იყო გადასახლებული თავის მამულში.

ნეჟინის გიმნაზიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ამ ჯგუფის პროგრესული თვალსაზრისი და პრაქტიკული საქმიანობა მხედველობიდან არ გამოპარვია რეაქციულ პროფესურას. პეტერბურგში გაიგზავნა დასმენები. სპეციალურმა კომისიამ სამ თვეს იძია ბელოუსოვისა და მისი ჯგუფის საქმე, მაგრამ ვერ მიაგნო რაიმე ფარული ორგანიზაციის კვალს. მიუხედავად ამისა, ბელოუსოვის, ლანდრაჟინის, შაპალინსკის, ზინგერის და სხვა მასწავლებლების საქმიანობა მოინათლა როგორც ანტისახელმწიფოებრივი პარტიული შეთქმულება. ნიკოლოზ პირველი „შეთქმულების“ ორგანიზატორებს მკაცრად გაუსწორდა.

დეკაბრისტული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა ვლადიმირელი მოხელის პეტრე ოსინინის შეხედულებები. ოკსინინმა 1827 წელს განიზრახა საიდუმლო ორგანიზაციის ჩამოყალიბება, შეადგინა კიდეც ფიცის ტექსტი. მისი პროგრამის ძირითადი საკითხი ითვალისწინებდა რუსეთში მონარქიული ხელისუფლების ლიკვიდაციას.

ასევე საინტერესოა ანდრია ლოცმანოვის ცდები ურალის

ქარხნებში საიდუმლო ორგანიზაციის შექმნისა, დეკაბრისტ დიმიტრი ზავალიშინის ძმის იპოლიტეს საქმიანობა ორენბურგში, ძმების კრიტსკების საიდუმლო წრე მოსკოვში და სხვ.

დეკაბრისტების განადგურების შემდეგ ფარული რევოლუციური მოღვაწეობის ცენტრმა მოსკოვში გადაინაცვლა. მოსკოვის უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობაში წამოიზარდნენ დეკაბრისტთა საქმის გამგრძელებლები. ამ თაობას ეკუთვნიან ძმები კრიტსკები, სუნგუროვი, პოლეჟაევი, სტანკევიჩი და 40-50-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ისეთი თვალსაჩინო მეთაურები, როგორიც იყვნენ ბელინსკი, გერცენი, ოგარევი და სხვები.

<u>სამი ძმა კრიტსკების</u>, პეტრეს, მიხეილის და ვასილის მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული მოსკოვის უნივერსიტეტთან. ისინი ამ უნივერსიტეტში აღიზარდნენ. 1826 წელს, როცა ძმებში საიდუმლო წრის შექმნის იდეა ჩაისახა, ორს უნივერსიტეტი ისევე დასრულებული ჰქონდა, მესამე უკანასკნელ კურსზე სწავლობდა. ძმებმა, რომლებიც წარმოშობით წვრილ მოხელეთა ფენას ეკუთვნოდნენ, ირგვლივ შემოიკრიბეს თანამოაზრენი ასევე დაბალი წოდებიდან. მათ ჭეშმარიტად აღელვებდათ დეკაბრისტების მიერ წამოწყებული საქმე, დიდ უსამართლობად მიაჩნდათ დეკაბრისტებისადმი სისხლიანი ანგარიშგასწორება. კრიტსკებმა მთელი არსებით შეიძულეს თვითმპყრობელურ-დესპოტური რეჟიმი რუსეთში და ხალხის განთავისუფლების ყველაზე ჭეშმარიტ გზად მონარქიზმის ლიკვიდაცია მიიჩნიეს. ძმები კრიტსკები და მათი თანამგრძნობი ახალგაზრდები სისტემატურად იკრიბებოდნენ ფარულად, ცხარედ მსჯელობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე, რუსეთის მომავალზე, თავისუფლებისათვის ბრძოლის გზებს ეძიებდნენ. წრეს არ ჰქონია გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული პროგრამა, მაგრამ მისი უმრავლესობა, როგორც დაკითხვის მასალებიდან ირკვევა, კონსტიტუციურ-მონარქიულ მმართველობას თანაუგრძნობდა. მონარქიზმის დამხობა, მათი აზრით, უნდა მომხდარიყო ჯარისკაცებისა და ფართო მასების გამოსვლით.

კრიტსკების წრის საქმიანობა გამომჟღავნებულ იქნა. ნიკოლოზ I კრიტსკები ყოველგვარი გასამართლების გარეშე უვადოდ გამოამწყვდია შლისელბურგის ციხეში, თანამგრძნობნი კი სხვადასხვა ვადით პოლიციის კონტროლქვეშ შორეულ რაიონებში გადაასახლა.

ცარიზმმა ასევე ანგარიში გაუსწორა ახალგაზრდა პოეტ ალექსანდრე ივანეს ძე პოლეჟაევს, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა და ყურადღებას იქცევდა რუსეთის დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ მკაცრი პროტესტის გამოვლინებით. 1825 წელს პოლეჟაევმა დაწერა პოემა „სამკა", სადაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული რუსეთის თვითმპყრობელობა, გამასხარავებული იყო მისი სამოხელეო აპარატი. ეს პოემა 1826 წელს ხელთ ჩაუვარდა ნიკოლოზ I, რომელმაც ბრძანა ახალგაზრდა პოეტი არმიაში გაეწესებინათ უნტერ-ოფიცრად. მკაცრი მოპყრობით სულშეხუთულმა პოლეჟაევმა სცადა პოლკიდან გაქცევა, რის გამო მას უნტერ-ოფიცრობაც წაართვეს და რიგით ჯარისკაცად დატოვეს. ეს შესანიშნავი პოეტი, რომლის პოეზიას ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, გრძნობის არაჩვეულებრივი ძალა ჰქონდა, სავსებით ახალგაზრდა დაიღუპა. იგი იმსხვერპლა თვითმპყრობელურმა რეჟიმმა, მისმა დესპოტურობამ.

1830-იან წლებში ფარული საწრეო რევოლუციური მუშაობა რუსეთში მნიშვნელოვანი აღმავლობით ხასიათდება. თავისუფალი აზრის გააქტიურებას ამ პერიოდში ხელს უწყობს რევოლუციური მოძრაობის ფართო გაქანება ევროპაში, პოლონეთის აჯანყება. ამ პერიოდს ეკუთვნის გენერალური შტაბის ოფიცრის შტაბს-კაპიტან სიტნიკოვის საქმიანობა, რომელიც რუსეთში თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისა და რუსეთში ვეჩესებური მმართველობის შემოღებას ვარაუდობდა, ძმების რაევსკების წრე, რომელიც 1830 წელს შეიქმნა კურსკში. ამ წრის ორგანიზატორი პეტრე რაევსკი იყო, ცნობილი პირველი დეკაბრისტის ვლადიმერ რაევსკის ძმა. წრეში შედიოდნენ რევოლუციურად განწყობილი აზნაურები, რომლებიც მხურვალედ თანაუგრძნობდნენ დეკაბრისტთა იდეებს. ამავე

პერიოდს ეკუთვნის სუნგუროვის წრე, რომელიც აგრეთვე 1830 წ. მიწურულში ჩამოყალიბდა მოსკოვში და რომელიც თავისი შემადგენლობით ყველაზე ფართო იყო ამ პერიოდის რევოლუციურ წრეებს შორის.

ამ წრის ორგანიზატორს სუნგუროვს დასრულებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტი. მან ირგვლივ შემოიკრიბა ოფიცრები, წვრილი მოხელეები, სტუდენტები და სხვ. სულ 26 კაცი. წრის წევრები რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის შეურიგებელი მტრები იყვნენ. მათ მშვენივრად ესმოდათ, რომ ევროპის ერთი კიდედან მეორემდე დაჰქრის თავისუფლების სულისკვეთება, ძველი სამყაროს დამხობის დროქამი მომწიფებულია. დიდ იმედებს სუნგუროველები ამყარებდნენ პოლონეთის აჯანყებაზე. ისინი პოლონეთის სტუდენტთა რევოლუციურ წრესთან კავშირსაც კი აბამენ და 1830-31 წლებში აცხოველებენ მუშაობას რუსეთის დესპოტური რეჟიმის დასამხობად.

სუნგუროვის წრის იდეოლოგია დეკაბრისტული იყო. თვით ისინი თავიანთ თავს „დეკაბრისტთა ნარჩენებს" უწოდებდნენ. რევოლუციას რუსეთში სუნგუროველები ვარაუდობდნენ აჯანყებით, რომლის ძირითადი ძალა „ქალაქის დაბალი ფენა" უნდა ყოფილიყო. მომავალი რუსეთი სუნგუროველთა ერთ ნაწილს წარმოუდგებოდა როგორც რესპუბლიკა, მეორეს — კონსტიტუციური მონარქია. გადაწყვეტილი იყო მოეკლათ ნიკოლოზ პირველი 1831 წელს მოსკოვში ჩასვლისას, ხოლო მისი მემკვიდრე იძულებული გაეხადათ შეეფიცა კონსტიტუციისადმი ერთგულებაზე.

წრის შემადგენლობაში აღმოჩნდა გამცემი, რომელმაც 1831 წლ. ივნისში გასცა მისი არსებობა. მთავრობამ სუნგუროვი და მისი თანამგრძნობნი მკაცრად დასაჯა.

XIX საუკ. 30-იან წლებში განსაკუთრებით ცხოველი საწრეო მუშაობა მიმდინარეობდა მოსკოვის უნივერსიტეტში; მთავრობის მიერ უნივერსიტეტი აყვანილი იყო აღრიცხვაზე, როგორც „მავნე" შეხედულებათა ბუდე და იგი მუდმივი პოლიციური ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. მოსკოვის სტუდენტთა

ანტიმონარქიული განწყობილების საფუძველი ისიც იყო, რომ სტუდენტთა შემადგენლობის უმრავლესობა დემოკრატიული წრიდან იყო გამოსული: 1830-31 სასწავლო წელს უნივერსიტეტის 710 სტუდენტიდან 206 იყო აზნაური, დანარჩენი კი დაბალი ფენებიდან. თვით თავადაზნაურთა შორისაც მრავალი გაღატაკების გზაზე იდგა. ევროპის მასშტაბით თავისუფალი აზრის მძლავრი დაწოლის ვითარებაში ეს აზნაურობა დესპოტურ რუსეთში თავს შეხუთულად გრძნობდა და ხარბად მონაწილეობდა იმ იდეურ შეთქმულებებში, რომელიც ახალგაზრდობაში ფართოდ ფეხმოკიდებული იყო და მისი პირადი ღირსების, ვაჟკაცობის განმსაზღვრელად ითვლებოდა.

1830-1832 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში თავისუფალ მოაზროვნეთა მცირე წრე ჰყავდა შემოკრებილი გამოჩენილ პოეტს მ. ი. ლერმონტოვს, რომლის პოლიტიკური განწყობილება ამ პერიოდში რევოლუციური იყო. რუსეთის ატმოსფერო სულისშემხუთველად მიაჩნდა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მისი ლირიკული ლექსები („30 ივლისი (პარიზი) 1830 წ.“, „მხიარული საათი“ და სხვ.), სადაც პოეტი დიდი სიმპატიებითაა განმსჭვალული საფრანგეთის ივლისის რევოლუციისადმი, ან მისი ახალგაზრდობის პერიოდის დრამატული თხზულებანი („ადამიანები და ვნებები“, „უცნაური კაცი“ და სხვ.), სადაც წინაა წამოწეული თანამედროვეობის მტკივნეული სოციალური პრობლემები.

მოსკოვის უნივერსიტეტში ლიტერატურის მოყვარული ნიჭიერი ახალგაზრდობა შემოკრებილი იყო აგრეთვე პოეტ სოკოლოვსკის გარშემო, რომლის სატირული, პოლიტიკური შინაარსით გაჟღენთილ ლექსებში გამათრახებული იყო რუსეთის დესპოტური რეჟიმი, მისი უვიცი ბიუროკრატიული აპარატი, გამასხარავებული იყვნენ რუსეთის იმპერატორები და სხვ.

რევოლუციური საწრეო მუშაობის ახალი ეტაპი მოსკოვის უნივერსიტეტში იმ დროიდან იწყება, როცა მისი სტუდენტები გახდნენ შემდეგში რუსეთის რევოლუციურ-დემოკ-

რატიული ბანაკის გამოჩენილი ბელადები ბელინსკი, გერცენი და ოგარევი.

ბ. გ. ბელინსკი 1829 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. მალე აქ მან თანამოაზრე სტუდენტთა ჯგუფი შემოიკრიბა. ასე ჩამოყალიბდა ლიტერატურულ-პოლიტიკური წრე, რომელსაც იმ ოთახის მიხედვით, სადაც წრის წევრთა შეკრება წარმოებდა, ეწოდა „11 ნომრის ლიტერატურული საზოგადოება". ბელინსკისთან ერთად ამ წრეში შედიოდნენ ჩისტიაკოვი, გრიგორიევი, პროზოროვი, არგილანდერი და სხვები. ბელინსკის, როგორც რევოლუციონერის შესახებ ჩვენ ქვევით ვისაუბრებთ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამ წრემ დიდად შეუწყო ხელი ბელინსკის რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ფორმირებას, აქ განმტკიცდა მისი მტრული დამოკიდებულება რუსეთის ბატონყმური რეჟიმისადმი. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს თუნდაც ბელინსკის მიერ ამ დროს დაწერილი დრამატული თხზულება „დიმიტრი კალინინი", რომელსაც იგი წრეში კითხულობდა და რომელიც რუსეთის ბატონყმური რეჟიმის მკაცრ პროტესტს შეიცავდა.

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ ახალგაზრდობაში დიდი გავლენით სარგებლობდა აგრეთვე სტანკევიჩის წრე, რომელშიაც გაერთიანებული იყვნენ კრასოვი, პეტროვი, სტროევი. პოლიანსკი, კლუშნიკოვი, ხომიაკოვი, ბოტკინი, ბაკუნინი, გრანოვსკი, კაველინი და სხვები. ამ წრეში შევიდა ბესარიონ ბელინსკიც. სტანკევიჩი იყო უაღრესად ნიჭიერი, ფილოსოფიურად განათლებული, ფაქიზი და თანამოასაკეთა შორის დიდად პატივცემული ახალგაზრდა, რომელიც 27 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ თანამედროვეთა შორის დიდი სახელი და სიყვარული მოიხვეჭა. სტანკევიჩი და მოსკოვის უნივერსიტეტის ნიჭიერი ახალგაზრდობა ამ დროს დიდად იყო გატაცებული გერმანული იდეალისტური ფილოსოფიით, მკაცრ სინამდვილესთან შეურიგებელი ახალგაზრდობა თითქოს შვებას და სულიერ კმაყოფილებას ამ ურთულეს

ფილოსოფიურ თეორიებში პოულობდა. აქ ეძებდა სინამდვილის გასაღებს. სტანკევიჩის წრე, მართალია, ნიკოლოზისეული დესპოტური რეჟიმისადმი მტრულად იყო განწყობილი, მაგრამ მისი რევოლუციური გარდაქმნისათვის არ მოღვაწეობდა. პრაქტიკულ რევოლუციურ საკითხებს გაურბოდა, მას წვრილმანად თვლიდა და მთლიანად ფილოსოფიურ-ესთეტიკურ პრობლემებში იყო გადაჭრილი. სტანკევიჩის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდები შეუდგნენ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსების კანტის, შელინგის, ფიხტეს თეორიების შესწავლას. მაგრამ ისინი განსაკუთრებით გაიტაცა ჰეგელმა — გერმანული კლასიკური იდეალისტური ფილოსოფიის ამ უდიდესმა წარმომადგენელმა, რომელსაც XIX საუკ. 30-იან წლებში არამარტო გერმანიაში, არამედ მთელ განათლებულ ევროპაში, მათ შორის რუსეთშიც, მრავალი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. გერცენი იგონებს, რომ სტანკევიჩი იყო ჰეგელის პირველი მიმდევარი მოსკოვის ახალგაზრდებს შორის. მან შეისწავლა გერმანული ფილოსოფია ღრმად და ესთეტიურად, მან გაიტაცა მეგობართა დიდი წრე და ჩააბა ამ საქმეში. ამ ჯგუფიდან გამოვიდა შემდეგ მეცნიერთა და ლიტერატორთა მთელი ფალანგა, რომელთა შორის იყვნენ ბელინსკი, ბაკუნინი, გრანოვსკი. იმავე გერცენის სიტყვებით არ ყოფილა არც ერთი პარაგრაფი ჰეგელის „ლოგიკის" სამ ნაწილში ან მის სხვა ნაშრომებში, რომელიც არ გამხდარიყოს რამდენიმე დღე-ღამის მწვავე კამათის საგანი.

სტანკევიჩის წრეს, რომელიც ფილოსოფიურ-მეცნიერული საკითხებით იყო შემოფარგლული მოსკოვის უნივერსიტეტში ერთგვარად დაუპირისპირდა ა. გერცენისა და ნ. ოგარევის წრე, რომელმაც მიზნად დაისახა სოციალურ-პოლიტიკური საკითხების შესწავლა და დეკაბრისტული იდეოლოგია თავის საბრძოლო დროშად გაიხადა. ამ წრეში გაერთიანებული იყვნენ საზონოვი, სატინი, ვ. პასეკი, პავლოვი, კეტჩერი, სოროკინი, პოეტი სოკოლოვსკი. წრის წევრთა ინტერესები თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ სოციალ-პოლიტიკურ პრობლემებს უკავშირდებოდა. „ძნელია თქმა იმისა, — იგონებს გე-

რცენი, — თუ რას ექადაგებდით ჩვენ. ჩვენ ექადაგებდით დეკაბრიზმს და საფრანგეთის რევოლუციას, შემდეგ ექადაგებდით სენ-სიმონიზმს და იმავე რევოლუციას, ექადაგებდით კონსტიტუციას და რესპუბლიკას, პოლიტიკური წიგნების კითხვას და ერთ საზოგადოებაში ძალების დაჯგუფებას, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ ექადაგებდით სიძულვილს ყოველგვარი ძალადობისადმი, ყოველგვარი თვითნებობისადმი. საზოგადოება არსებითად არასოდეს არ შემდგარა, მაგრამ ჩვენმა პროპაგანდამ ღრმა ფესვები გაიდგა ყველა ფაკულტეტზე და შორს გადააბიჯა უნივერსიტეტის კედლებს".

გერცენი და მისი იდეური მეგობრები ამ დროს მხურვალედ თანაუგრძნობდნენ ივლისის რევოლუციას საფრანგეთში, პოლონეთის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ფურიესა და სენ-სიმონის სოციალიზმში ისინი ხედავდნენ კაცობრიობის უმშვენიერეს მომავალს, დეკაბრისტთა განაწამები სახეები საჭრობელიდან მათ მოაგონებდა რუსეთის საშინელ სინამდვილეს და მის წინააღმდეგ ბრძოლის გარდუვალობას. ჩვენ დეკაბრისტთა შვილები, სენ-სიმონის მოწაფეები ვიკრიბებოდით 4-5 მეტრიან ოთახში და მთელი დღეღამე ვმსჯელობდით იმის შესახებ, თუ როგორ მოგვეხმარებინა ჩვენი ძალღონე სამშობლოსათვის, როგორ გაგვეთავისუფლებინა იგი — იგონებს ნ. ოგარევი.

გერცენის და ოგარევის საწრეო მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1834 წ. 9 ივლისს დააპატიმრეს ნ. ოგარევი, 24 ივლისს გერცენი. თვითმპყრობელობა მკაცრად გაუსწორდა სტუდენტ ახალგაზრდობას, რომელთაგან ზოგმა მოასწრო საზღვარგარეთ თავის შეფარება.

სტუდენტობის წლებში გერცენის, ოგარევის, ბელინსკის და მათ ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდობის ენთუზიაზმს ეხმაურებოდა მოსკოვის მაშინდელი ლიბერალურ-დემოკრატიული პრესა. განსაკუთრებით ჟურნალები „მოსკოვსკი ტელეგრაფი" და „ტელესკოპი". „მოსკოვსკი ტელეგრაფის" რედაქტორი ნ. ა. პოლევოი დაჯილდოებული იყო დიდი პუბლიცისტური ტალანტით. ის არ იყო რევოლუციონერი, მაგრამ

მხურვალედ თანაუგრძნობდა ბურჟუაზიის განვითარებას რუსეთში და მისაბაძ მაგალითს ევროპაში ხედავდა. იგი მწვავედ კიცხავდა რუსეთის ჩამორჩენილობას, მოუწოდებდა მის პროგრესულ ძალებს ევროპეიზაციისაკენ.

ერთერთ წერილში ნ. პოლევოი წერდა: 100 წელია, რაც ჩვენ ევროპული ცხოვრების ორბიტში ჩავებით, მაგრამ მხოლოდ ნივთიერად. ჩვენ ძლიერნი, უძლეველნი, ზღაპრული დევგმირები ვართ. ჩვენ ვამსხვრევდით თურქული მთვარის რქებს, ვბოჭავდით ირანის ლომის თათებს, გადავდიოდით ალპებზე, ვწვავდით ნაპოლეონის სიდიადეს მოსკოვში და ვყინავდით მის დიდებას. ჩვენ გავრეკეთ შვედები ბოტნიის ყურეს იქეთ და ხელი მოვაწერეთ ერთ ზავს პარიზთან, მეორეს ცარგრადთან. მაგრამ ამასთან ერთად (რატომ უნდა გვრცხვენოდეს ეშმარიტებისა) გონებრივი განათლებით ჩვენ ყველა ევროპიელზე პატარანი ვართ, ჩვენ ჯერ კიდევ ბავშვები ვართ, ჯერ კიდევ ვერ მოვმწიფდითო. ეს იყო აბუჩად აგდება იმ მჟავე, სახაზინო პატრიოტიზმისა, რომლითაც იმ დროს რუსეთის ყოყოჩა არისტოკრატია იყო განმსჭვალული. მოურიდებლად უკიჟინებდა რა რუსეთის ჩამორჩენილობას, ამით პოლევოი რუსული ცხოვრების ევროპეიზაციაზე ამახვილებდა ყურადღებას. ჟურნალ „მოსკოვსკი ტელეგრაფის“ მიმართულება ნიკოლოზისეულ ცენზურას რევოლუციურად მოეჩვენა და 1834 წელს იგი აკრძალა.

მეორე ჟურნალი, რომელიც რეაქციის ამ შავბნელ ფონზე პროგრესულად მოჩანდა, იყო „ტელესკოპი“. მისი გამომცემელი მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ი. ნადეჟდინი ლიბერალური შეხედულებებით ხასიათდებოდა და თავის ჟურნალში სისტემატურად ეხმაურებოდა თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ საკითხებს. ეს ჟურნალი, ისე როგორც „მოსკოვსკი ტელეგრაფი“ მთავრობის წრეებში ეჭვმიტანილი იყო. უვაროვი სპეციალური ცირკულარით კრძალავდა ამ ჟურნალების გავრცელებას სასწავლო დაწესებულებებში.

1836 წელს ჟურნალ „ტელესკოპის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პ. ა. ჩაადაევის „ფილოსოფიური წერილი ქალბატონ XXX“, რამაც დიდი ხმაური გამოიწვია მთელს რუსეთში. მთავრობა იმდენად აღაშფოთა ამ სტატიის გამოქვეყნებამ, რომ ჟურნალის გამოცემა აკრძალა, რედაქტორ-გამომცემელი ნადეჟდინი უსტ-სისოლსკში გადაასახლა, ხოლო სტატიის ავტორი ჩაადაევი გიჟად გამოაცხადა.

პ. ა. ჩ ა ა დ ა ე ვ ი წარმოშობით არისტოკრატიულ ზედაფენას ეკუთვნოდა. მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება. იბრძოდა ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ, მონაწილეობდა საზღვარგარეთ ლაშქრობებში, როგორც გვარდიის უფროსის ვასილჩიკოვის ადიუტანტი. 1821 წელს გავიდა თადარიგში.

ჩაადაევი პეტერბურგის მაშინდელ მოწინავე წრეებში ტრიალებდა. იგი ახლო მეგობარი იყო პუშკინისა, რომელიც დიდად აფასებდა ჩაადაევის ღრმა ტალანტს და თავისუფლებისმოყვარე გატაცებას. სწორედ ჩაადაევს უძღვნა პუშკინმა თავისი მგზნებარე სტრიქონები:

„ვიდრემდის შვების წყურვილით ვსუნთქავთ,
პატიოსნებით ვიდრე ძგერს გული —
ძმაო, საყვარელ სამშობლოს ვუძღვნათ
ულამაზესი ზრახვანი სულის.

გწამდეს: რიჟრაჟი შუქანთებული
აღმობრწყინდება რუსეთის ველზე,
აღსდგება ხალხი გაღვიძებული
  და თვითნებობის ტახტის ნანგრევზე
დასწერს ჩვენს სახელს გამარჯვებული...“

პ. ა. ჩაადაევი დეკაბრისტთა ფარულ ორგანიზაციაში—„კეთილდღეობის კავშირში“ იყო გაერთიანებული, მაგრამ დეკაბრისტთა აჯანყების დღეს რუსეთში არ ყოფილა. საზღვარგარეთ ყოფნამ იხსნა ჩაადაევი დეკაბრისტთა მძიმე ხვედრისაგან, თუმცა მთავრობას მისი დანაშაული არ დავიწყებია და როცა 1826 წელს დაბრუნდა რუსეთში, დაპატიმრებულ იქნა.

ჩაადაევი პატიმრობიდან სხვა თანამოაზრეთაგან შედარებით ადრე გაათავისუფლეს, მაგრამ იგი, მარტოობაში დარჩენილი, რუსეთში თავს მაინც ისე გრძნობდა, როგორც ციხეში. ამ დროს დაეუფლა მას ღრმა პესიმიზმი, სულიერი კრიზისის მძიმე განცდები. ამ დროს ჩაადაევი იქამდეც კი მივიდა, რომ დაჰგმო მისი ყოფილი თანამოაზრეების — დეკაბრისტების მოღვაწეობა, უგუნურები უწოდა მათ, რომელთაც თითქოს უკან გადასწიეს რუსეთი. ზურგი შეაქცია რა სინამდვილეს, რევოლუციურ იდეოლოგიას, ჩაადაევმა გამოსავალი რელიგიაში ჰპოვა და კათოლიციზმი ქვეყნის ხსნად გამოაცხადა.

ამ პერიოდს ეკუთვნის სწორედ ჩაადაევის ის სტატია, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდით. სტატიაში, წერს გერცენი, გამოსჭვივოდა მძაფრი პროტესტი იმ ადამიანისა, რომელმაც თავის ზურგზე გამოსცადა ცხოვრების მთელი საშინელება... ასე წერენ მხოლოდ ის ადამიანები, — რომლებმაც ბევრი იფიქრეს და ბევრი გამოსცადეს არა თეორიაში, არამედ ცხოვრებაში.. კითხულობ რა შემდეგ, წერილი იზრდება, იგი იქცევა რუსეთის წინააღმდეგ საშინელ საბრალმდებლო აქტად, პროტესტად პიროვნებისა, რომელსაც ყოველივე თავსგადახდილის გამო, სურს თქვას გულში დაგუბებულის ნაწილი მაინც... ეს იყო გასროლა, რომელიც გაისმა ბნელ ღამეში. იხრჩობოდა ვიღაც და თავის დაღუპვას იუწყებოდა, იყო ეს სიგნალი, მოწოდება დახმარებისა, მაუწყებელი განთიადისა, ან იმისა, რომ იგი (განთიადი, ა. ს.) აღარ დადგებოდა — სულერთია, საჭირო კი იყო გამოღვიძება".

ჩაადაევის ფილოსოფიური წერილი პირველყოვლისა უპირისპირდებოდა ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგიას, სახაზინო პატრიოტიზმს. წინააღმდეგ უვაროვისა და ბენკენდორფის მტკიცებისა იმის შესახებ, რომ რუსეთის წარსული დიდებულია, აწმყო ბრწყინვალეა, მომავალი კი იმდენად მშვენიერია რომ ადამიანის ოცნებასაც კი არ შეუძლია უკეთესი რაიმე წარმოიდგინოსო, — ჩაადაევმა რუსეთის წარსულიცა და აწმყოც უნაყოფოდ, შავბნელად, ცარიელ ადგილად დახატა და ეჭვი შეიტანა მის სასიკეთო მომავალშიც. ამ უკიდურესი ნიჰი-

ლიზმით სამშობლოს წარსულისადმი ჩაადაევმა ცივი წყალი გადაასხა პატრიოტული უგარით გახურებულ თავებს, მაგრამ ზომიერება ვერ დაიცვა, ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლა, ერთის მოსმით დაუსვა უარყოფითი ნიშანი მთელს ერს, მის ისტორიას.

ჩაადაევის აზრით რუსეთი იმთავითვე განზე იდგა მსოფლიო ცივილიზაციის პროცესისაგან, მას არაფერი დადებითი და მისაბაძი არ შეუქმნია თავის ისტორიულ გზაზე. ეს გზა, მისი წარმოდგენით, არის საშინელი, უსიხარულო უდაბნო. თვალი გადაავლეთ — აღნიშნავს იგი — ჩვენს მიერ ნაცხოვრებ ყველა საუკუნეს, ჩვენს მიერ დაკავებულ ყველა სივრცეს — თქვენ აქ ვერ იპოვით ვერც ერთ მიმზიდველ მოგონებას, არც ერთ საპატიო ძეგლს, რომელიც თქვენ მედიდურად მიგითითებდათ წარსულზე, წარმოგიდგენდათ მას ცოცხლად და ხატოვანად. ჩვენ ვცხოვრობთ მხოლოდ აწმყოთი და მის ყველაზე უფრო შემჭიდროებულ საზღვრებში, ნამყოსა და მყოფადის გარეშე, მკვდარი უძრაობის ვითარებაში.

ჩაადაევი ბრალს სდებდა რუსეთის წარსულს მის უნაყოფობაში, მის სრულ იზოლირებაში. პეტრე პირველის რეფორმებში იგი ხედავდა მხოლოდ გარეგნულ მიბაძვას ევროპული ცივილიზაციისადმი, რომელმაც ვერ შეძლო გაედგა ფესვები ქვეყნის სიღრმეში. ჩვენ მარტოდ მარტონი, განცალკევებული დავრჩით, ვერც ვერაფერი ვისწავლეთ, ვერც ვერაფერი ვასწავლეთ სხვას. ყოველივე ამის მიზეზი იყო მართლმადიდებლობა, რომელიც მივიღეთ „გახრწნილი“ ბიზანტიისაგან. მართლმადიდებლობა ასულდგმულებდა თვითმპყრობელობას, ბატონყმობას, მონობას, მართლმადიდებლობის მიღებით მოწყდა რუსეთი აღმოსავლეთის არაქრისტიანულ ხალხებს, იზოლირებული აღმოჩნდა დასავლეთის ქრისტიანული ხალხებისაგან, ასე განმარტოვებული იგი აღმოჩნდა თათართა უღელქვეშ და ვეღარ შესძლო შეექმნა თავისი ეროვნული კულტურა.

ჩაადაევი რუსეთს უპირისპირებდა კათოლიკურ დასავლეთს, სადაც მისი აზრით ბატონობს მოვალეობის, სამართლიანობის უფლების იდეები, სადაც ადამიანთა საზოგადოება პროგ-

რესის, ცივილიზაციის გზით წარიმართა. ეს შეძლო კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელმაც შექმნა ნამდვილად ქრისტიანული ქვეყანაო. სად არის გამოსავალი. ამ მძიმე მდგომარეობიდან? ჩაადაევის აზრით ეს გამოსავალი კათოლიკურ რელიგიაშია. ჩვენ უნდა გავაცოცხლოთ ჩვენი რწმენა ყველა არსებული საშუალებით და ჩვენ თავს მივცეთ ჭეშმარიტად ქრისტიანული იმპულსიო" — წერდა იგი.

„პატრიოტებმა" არისტოკრატიის ბანაკიდან ყვირილი ასტეხეს, რომ ჩაადაევს ძულდა თავისი სამშობლო, რომ ეს იყო მიზანტროპის ნაბოდვარი. რუსეთის სიძულვილს ჩაადაევს ვერ დავწამებთ, იგი გაცილებით გულწრფელი და მხურვალე პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა, ვიდრე ვთქვათ ბულგარინი, გრეჩი ან სხვები, რომლებიც ტრაბახობდნენ რა რუსეთის სიყვარულით ამავე დროს ქება-დიდებას ასხამდნენ მის ჩამორჩენილობას და შინაგან სიდამპლეს. სწორედ ასეთი ცილისმწამებლების მიმართ წერდა ჩაადაევი: მერწმუნეთ მე ბევრად უფრო მეტად ვიდრე თქვენ, მიყვარს ჩემი ქვეყანა; შემიძლია შევაფასო მაღალი თვისებები ჩემი ხალხისა, მაგრამ მე არ მისწავლია სამშობლოს სიყვარული დახუჭული თვალებით, დახრილი თავით, მოკუმული პირით. მე ვფიქრობ, ადამიანს შეუძლია გამოადგეს თავის სამშობლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ნათლად ხედავს. მე ვფიქრობ, რომ ბრმა სიყვარულის დრო წავიდა, რომ სამშობლო ჩვენგან, პირველყოვლისა, ჭეშმარიტებას მოითხოვსო.

ჩაადაევმა რუსეთის ისტორიის შეფასებაში მრავალი შეცდომა დაუშვა. მან ვერ გაიგო თავისი ხალხის წარსული, ვერ ახსნა მისი ეროვნული თავისებურება, ხელაღებით უარჰყო ის წვლილი, რომელიც რუსეთმა საკაცობრიო ცივილიზაციაში შეიტანა. ეს გადაჭარბება შეიძლება ერთგვარი პუბლიცისტური ხერხიც იყო იმათ წინააღმდეგ, რომლებიც თავისი ერის ჩამორჩენილობასა და მრავალ ისტორიულ უკუღმართობას განგებ აფუჩეჩებდნენ და ხალხს თვალს უხვევდნენ. „შეშლილის აპოლოგიაში", რომელიც მისი სტატიის მძიმე შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად შემდეგ დაწერა ჩაადაევმა, მან

გადააფასა მრავალი ადრინდელი მოუფიქრებელი დებულება. აქ, მაგალითად, იგი იმასაც აშტკიცებდა, რომ რუსეთისათვის უკეთესია ის განცალკევება, რომელშიც მიმდინარეობდა მისი ისტორიული ცხოვრება, რომ მომავალში რუსეთი შეიძლება გახდეს მსოფლიოს გონებრივი ცენტრი, რომ რუსეთი, რომელიც დაუწერელი ქაღალდია, შეძლებს ევროპიდან მხოლოდ კარგი გადმოიღოს, ცუდი კი უარჰყოსო.

დადებითი ჩაადაევის პუბლიცისტიკაში პირველყოვლისა ის იყო, რომ მან როგორც ზევით აღვნიშნეთ, გააბიაბურა ოფიციალური პატრიოტიზმი, ეს იყო რეაქცია თავადაზნაურული ნაციონალიზმისა. მან აალაპარაკა მთელი რუსეთი, გამოაფხიზლა ორი მტრული ბანაკი, მოძრაობაში მოიყვანა საზოგადოებრივი აზრი. რა თქმა უნდა, რუსეთის რევოლუციურ თაობას არ შეეძლო გაეზიარებინა ჩაადაევის სკეპტიციზმი, მისი საერთოევროპული კოსმოპოლიტიზმი, რომელიც გუნდრუკს უკმევდა რეაქციულ კათოლიციზმს. „ეს იყო ხმა სამარიდან“ — სამართლიანად შენიშნავს გერცენი, მაგრამ მეტად მძლავრი ხმა, რომელმაც ძილი დაუფრთხო არა მარტო თვითდამშვიდებისა და კმაყოფილების თვლემაში მყოფ რეაქციულ არისტოკრატიას, არამედ ბიძგი მისცა დემოკრატიულ მსოფლმხედველობის ფორმირებას რუსეთში.

ჩაადაევმა მას შემდეგ, რაც თვითმპყრობელობამ იგი შეშლილად გამოაცხადა, ოცი წელი იცოცხლა. როგორც ა. ი. ტურგენევი შენიშნავს მთელ ამ ხნის განმავლობაში მასთან ყოველდღე მიდიოდა მთვრალი „შტაბს-ლეკარი“ — ექიმი, რომელიც გონებრივ მეთვალყურედ იყო მიჩენილი. ამ მდგომარეობაში მართლაც იყო საშიშროება იმისა, რომ იგი შეშლილიყო. ჩაადაევმა გაძლო, იგი მართალია, მარტოობაში ცხოვრობდა. მაგრამ ფხიზლად მეთვალყურეობდა იმ იდეურ ბრძოლას, რომელიც 40-იან წლებში რუსეთში მიმდინარეობდა, იმ რევოლუციურ ქარიშხლებს, რომლებმაც ევროპას 1848 წელს გადაუარა. საგულისხმოა, რომ სწორედ 1848 წლის ევროპის რევოლუციის პერიოდში დაწერა მან მოწოდება რუსი გლე-

ხებისადმი, სადაც რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლას ქადაგებდა.

თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ლიბერალიზმი XIX საუკ. 30-40-იან წლებში (სლავოფილები და მედასავლეთელები)

XIX საუკუნის 40-იანი წლების რუსეთში ფეოდალურ-ბატონყმური სოციალ-პოლიტიკური წყობილების კრიზისის ზრდასთან დაკავშირებით იდეურ ცხოვრებაში აზრთა დიდი ჭიდილი მიმდინარეობდა. რუსეთის საზოგადოებრივი აზრი დასტრიალებდა ერთ ძირითად საკითხს: როგორია არსებული კრიზისული მდგომარეობიდან უკეთესი გამოსავალი, საით, როგორი მიმართულებით უნდა წავიდეს რუსეთის ცხოვრება, სავალდებულოა მისთვის იმ ისტორიული გზით გაევლა, რომლითაც კაპიტალისტური ევროპა მიდის, თუ მას თავისი, ევროპისაგან განსხვავებული, ნაციონალური, თავისებური წმინდა რუსული ცხოვრება გააჩნია და მისი დაცვა-შენარჩუნებისათვის არის მოწოდებული.

ამ საკვანძო, რთული პრობლემური საკითხებისადმი პასუხისათვის რუსეთში მრავალი სტატია და ნაშრომი დაიწერა, ამ საკითხების გარშემო მიმდინარეობდა მხურვალე დისკუსიები უნივერსიტეტის კედლებში, კერძო სალონებში, თუ პრესაში.

სწორედ ამ პერიოდისათვის რუსეთში მეტად მძლავრი ინტელიგენცია წამოიზარდა. თუ დეკაბრისტებამდე ინტელიგენტის ტიპი რუსეთში სამხედრო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და გონებრივი მოძრაობის ცენტრებს უმთავრესად სამხედრო სალონები წარმოადგენდნენ, 30—40-იან წლებში ასპარეზზე გამოვიდნენ სამოქალაქო სასწავლებლებში, უმთავრესად მოსკოვის და პეტერბურგის უნივერსიტეტებში აღზრდილი, რიგ შემთხვევაში ევროპაში განათლებამიღებული ახალგაზრდები, რომელთა სოციალური შემადგენლობა სრულებითაც არ იყო წმინდა აზნაურული და რომელთაც გააჩნდათ არა მარტო ევროპული და რუსული ცხოვრების მწიგნობრული ცოდნა,

არამედ პრაქტიკულ-რევოლუციური ბრძოლის სახელოვანი ტრადიციებიც.

როგორც ცნობილია, რუსეთის თვითმპყრობელობამ ამ საკითხს თავისებური პასუხი მოუნახა. ეს იყო უვაროვის ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგია, რომელიც რუსეთის მომავალი ცხოვრების ხერხემლად, მისი ხსნის ღუზად, მისი ძალისა და ძლიერების შესანარჩუნებლად სამ პრინციპს — თვითმპყრობელობას, მართლმადიდებლობას და ხალხურობას აღიარებდა. ეს იყო ძირმომპალი, ცხოვრების ობიექტური ნსვლელობის ვითარებაში -დაწყლულებული, დრომოჭმული ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის დაცვა მეტად ხელოვნური, თითებიდან გამოწოვილი თეორიული დებულებებით. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მისი დაქირავებული პირების საშუალებით ამ თეორიის გაცხოველებულ პროპაგანდას ეწეოდა, მისი არავის არ სჯეროდა, არც გაბატონებულ, არც დაჩაგრულ კლასებს.

პ. ჩაადაევის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც გააბიაბრუა უვაროვის ოფიციალური იდეოლოგია, თავადაზნაურულ წრეებში საჭიროდ დაინახეს რუსეთის განვითარების თავისებური გზის ასლებური, უფრო არგუმენტირებული დასაბუთება. ეს ამოცანა იკისრა იმ მოლიბერალო თავადაზნაურულმა ინტელიგენციამ, რომელსაც უფრო ღრმად ესმოდა ეპოქის სულისკვეთება, ვიდრე იმ რეაქციულ ჩინოვნიკურ ხროვას, რომელსაც არ სურდა ანგარიში გაეწია ცხოვრების მოთხოვნილებისთვის და თუნდაც ოდნავი ცვლილება შეეტანა რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში, რომ ამით გაეხანგრძლივებინა მაინც მისი არსებობა.

ასეთ ვითარებაში წარმოიშვა რუსეთში ე. წ. სლავოფილობა — ლიბერალურ-თავადაზნაურული რეაქციული იდეოლოგია, რომელიც ძირითად დებულებებში ახლო ენათესავებოდა ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგიას, მაგრამ მისგან განსხვავებით მაინც შეიცავდა ზოგიერთ პროგრესულ ელემენტს.

სლავოფილების ხმაურიან გამოსვლას საზოგადოებრივ ასპარეზზე ცხოველი პოლემიკა მოჰყვა. ამ იდეოლოგიის წინააღ-

მდეგ ხმა აღიმაღლეს იმათ, ვისაც რუსეთის კაპიტალისტური განვითარება იმავე გზით, როგორც ეს ევროპაში მოხდა, გარდუვალად მიაჩნდათ, იმათაც, ვისაც ყველაზე საუკეთესო გამოსავალად მიაჩნდათ რუსეთის თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის დამხობა დემოკრატიული რევოლუციის გზით. და რადგან ერთიც და მეორეც ამ შემთხვევაში მაგალითისთვის დასავლეთ ევროპას მიმართავდნენ (თუმცა სხვადასხვა პოზიციებიდან) სლავოფილების საპირისპიროდ მათ მედასავლეთეები ეწოდათ.

ტერმინი „სლავოფილი" და „მედასავლეთე" პირობითი ხასიათისაა. ერთიც და მეორეც შეეთხვევით — პოლემიკურ მეტსახელად წარმოიშვა იმ ცხოველ კამათში, რომელიც თავადაზნაურულ-ლიბერალური და ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ინტელიგენტებს შორის წარმოებდა. სლავოფილობა თავისი შინაარსით სრულიადაც არ გულისხმობდა სლავი ხალხების ბედის გადაწყვეტას. სლავთა საკითხს საერთოდ მათს პროგრამაში მცირე ადგილი ეკავა. ეს იყო რუსეთის „ნაციონალური იდეის" თეორიული არგუმენტაცია, მაგრამ თავადაზნაურულმა ლიბერალებმა ასეთი მეტსახელი მიიღეს და შეისისხლხორცეს. ხომიაკოვი ამ სახელწოდების შესახებ წერდა: „ზოგიერთი ჟურნალი ჩვენ დაცინვით გვიწოდებს სლავოფილს, სახელს, რომელიც უცხოურ ყაიდაზეა შედგენილი, მაგრამ რომელიც რუსულ თარგმანში იქნებოდა სლავთმოყვარეობა. მე ჩემის მხრივ მზად ვარ მივიღო ასეთი სახელწოდებაო".

საპასუხოდ სლავოფილებმა თავიანთ იდეურ მოწინააღმდეგეებს „მედასავლეთეები", „ევროპიელები" უწოდეს. ეს სახელწოდებაც, როგორც ნ. ჩერნიშევსკი მიუთითებს, აგრეთვე დაცინვითი იყო. იგი ერთგვარად მართლაც შეეფერებოდა იმ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ მიმდინარეობას, რომელიც ყოველივე დასავლურის წინაშე ქედს იხრიდა, დასავლეთის კაპიტალისტური წყობილება იდეალად მიაჩნდა, დასავლურ ბურჟუაზიულ დოქტრინებს უკრიტიკოდ იზიარებდა და რუსეთს მექანიკურად უყენებდა, მაგრამ ეს სახელწოდება არ შეეფერე-

ბოდა იმ რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებას, რომელიც თანდათან ყალიბდებოდა რუსეთში როგორც ყველაზე პროგრესული ძალა, როგორც ბოლომდე თანმიმდევრული, რევოლუციური ბანაკი და რომელიც დასავლეთის იდეოლოგიიდან იზიარებდა მხოლოდ საუკეთესოს, მოწინავეს, რევოლუციურს, რომელსაც ბურჟუაზიული წყობილება სრულებითაც არ მიაჩნდა იდეალად და სოციალიზმის აღიარებამდე მიდიოდა. ცნობილია, რომ ბელინსკი და გერცენი ამ ტერმინს პირობით, წინწკლებში ხმარობდნენ. მათ თავიანთი თავი სრულიადაც არ მიაჩნდათ ისეთ მედასავლეთედ, როგორი შინაარსითაც აღჭურვეს ეს ტერმინი სლავოფილებმა.

სლავოფილების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები რუსეთში იყვნენ ძმები ივანე და პეტრე კირეევსკები, ძმები კონსტანტინე და ივანე აქსაკოვები, ა. ს. ხომიაკოვი, ა. კოშელიოვი, ი. სამარინი და სხვები. მათი მოღვაწეობის ცენტრს წარმოადგენდა მოსკოვი, მათ ბეჭდვით ორგანოს ჟურნალი „მოსკვიტიანინი“.

სლავოფილებმა წინა პლანზე წამოწიეს რუსეთის ნაციონალური იდეა, მისი ცხოვრების განვითარების სპეციფური ხასიათი, მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. ამ მხრივ ისინი ორიგინალური არ ყოფილან. მაგრამ სლავოფილები არ დაკმაყოფილდნენ „ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგიის“ ულტრა-პატრიოტული დეკლამაციებით და მოინდომეს რუსული „ნაციონალური იდეის“ თეორიულ-ფილოსოფიური დასაბუთება. ეს თეორიული საფუძველი მათ აიღეს შელინგის და ჰეგელის ფილოსოფიური სისტემებიდან, რომლებიც ისტორიული პროცესის განსაზღვრისას თითოეულ ერს თავის ნაციონალურ იდეას მიაკუთვნებდნენ და მის მოწოდებად ამ იდეის სრულყოფას აღიარებდნენ. როგორც ცნობილია შელინგის, ხოლო შემდეგ უფრო სრულყოფილად ჰეგელის ეს პანგერმანული იდეალისტური სქემა „ისტორიულ“ ხალხებად, რომლებმაც თითქოს წამოაყენეს და სრულყვეს ნაციონალური იდეა, მსოფლიოს მხოლოდ მცირე ნაწილს და პირველ რიგში გერმანულ ერს აღიარებდა. ჰეგელი მაგალითად, რუსებს

სრულიადაც არ სცნობდა ისტორიულ ერად, რადგან თურმე „გონების გამოვლინებათა რიგში სლავთა ვეებერთელა ნაცია ჯერ კიდევ არ გამოსულა როგორც თავისთავადი მომენტი“. მაგრამ სლავოფილებმა გაიზიარეს რა ისტორიული პროცესის შელინგისეული და ჰეგელისეული ახსნა, მთელი ძალღონე იმის დასაბუთებას მოანდომეს, რომ რუსეთს ჰქონდა თავისი ნაციონალური იდეა, თავისი ისტორიული ცხოვრება და მისია.

სლავოფილებმა ასევე ხელი ჩასჭიდეს შელინგის დებულებას იმის შესახებ, რომ მსოფლიოს განვითარება „ღვთის არსებობის თანდათანობითი დადასტურებაა“. რწმენა მათ ადამიანის შინაგანი განვითარების საზღვრად გამოაცხადეს. დასავლეთევროპის ხალხებისგან განსხვავებით რუსეთის ისტორიული პროცესი წარმოადგინეს როგორც „შინაგანი განვითარების“ გზა და მის საწყისად აღიარეს მართლმადიდებლური რელიგია.

რუსეთის თვითმყობადობის მეორე კომპონენტად სლავოფილებმა გამოაცხადეს თემი; თემი, მაგი გაგებით, რუსული ცხოვრების სპეციფიკური მოვლენა იყო განვითარების ყველა საფეხურზე. რუსეთს არ გაუვლია გვაროვნული წყობილება. იგი თავიდანვე თემურ ყოფაში აღმოცენდა და მასში თავსდება მთელი მისი ისტორიული და თანამედროვე ცხოვრება. „თემი,— წერდა ხომიაკოვი, — არის რუსეთის მთელი ისტორიის ერთი გადარჩენილი სამოქალაქო დაწესებულება. წაართვი მას ეს — აღარ დარჩება არაფერი. მისი განვითარებიდან შეიძლება განვითარდეს მთელი სამოქალაქო სამყარო“. სლავოფილების აზრით, სახელმწიფოებრიობის შექმნამდე სლავი ტომები რუსეთში თემებად მოსახლეობდნენ, ატარებდნენ უბრალო ტერიტორიულ სახელწოდებას. „მხოლოდ საგარეო თავდასხმებმა და შინაგანმა ბრძოლამ შესწყვიტა „უსახელმწიფოებრივო“ მშვიდობიანი მიმდინარეობა მათი ცხოვრებისა და მაშინ, რომ გადაერჩინათ თავიანთი თემური ცხოვრება, თავიანთი მიწა, სლავებმა მოიწვიეს რიურიკები, შექმნეს სახელმწიფო, ამით დაიცვეს თემი. მთელი შემდგომი ისტორიული პროცესი სლავოფილებს წარმოუდგებოდა როგორც წყნარი, ჰარმონიული

განვითარება, სადაც მუდამ ბატონობდა ნებაყოფლობითობა, თავისუფლება, მშვიდობა, მოვალეობის შეგნება, სადაც ხალხი მიწას ხნავდა, რეწავდა, ეხმარებოდა სახელმწიფო ხელისუფლებას გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთში აღმოცენებული არეულობანი მხოლოდ ხელმწიფის კანონიერების საფუძველზე ხდებოდა. — ამტკიცებდნენ სლავოფილები. ივანე IV შემდგომი მღელვარებანი რუსეთში იმით იყო გამოწვეული, რომ ხალხმა ბორის გოდუნოვში კანონიერი მემკვიდრის მკვლელი დაინახა. თვით პუგაჩოვიც მოსკოვისაკენ მიიწევდა კანონიერი მეფის სახელით. სხვა შემთხვევაში რუსი ხალხი ყოველთვის „წყნარი", მეფისა და მეძამულის მორჩილი იყო, მისთვის უცხო და მიუღებელი იყო ანტისახელმწიფოებრივი ბრძოლა. რუსი ხალხი არასოდეს არ ყოფილა პოლიტიკური, არასოდეს არ იბრძოდა თავისი პოლიტიკური უფლებებისათვის, „...იგი არა პოლიტიკური, არამედ სოციალური ერია, რომლის ძირითად ამოცანას შინაგანი ცხოვრება, თემური ცხოვრება წარმოადგენსო".[1]

„რუსი ხალხი — წერდა აქსაკოვი — არაა სახელმწიფოებრივი. სახალხო საწყისი თავისი არსებით ანტირევოლუციურია, კონსერვატულია". „ხელისუფლება უნდა დარჩეს მეფის ხელში — ამბობდნენ სლავოფილები — ხალხს კი უნდა შევუნარჩუნოთ „თვალსაზრისის ძალა".

რუსი ხალხისთვის ეს ცილისმწამებლური თეორია ერთი ძირითადი მიზნისთვის იყო შეთხზული. მას წმინდა პოლიტიკური ამოცანა ეკისრებოდა: საერთო ევროპული რევოლუციებისა და კატაკლიზმების ეპოქაში დაესაბუთებინა რუსეთის არა რევოლუციურობა, აჯანყებათა და გადატრიალებათა შეუთავსებლობა რუსი ხალხისთვის, მისი მონური მორჩილება ხელმწიფისა და ბატონისადმი; ერთი სიტყვით, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის გადარჩენა.

მართლმადიდებლური რუსეთის ამ მშვიდ, იდილიურ ისტორიულ ცხოვრებას სლავოფილები უპირისპირებდნენ კათოლი-

---

[1] Окунь, Очерки истории СССР, вторая половина XIX века, გვ. 359.

კურ-ლუთერანულ დასავლეთს, რომლის დამახასიათებლად ისინი აღიარებდნენ წოდებათა შორის მუდმივ სიძულვილს და ბრძოლას, სახელმწიფოებრიობის აღმოცენებას იძულებითს საფუძველზე, როგორც მუდმივი ბრძოლის და შფოთის საფუძველს. დასავლეთი დახრულია რაციონალიზმის სენით, იგი იხრწნება. ისტორიული ცხოვრების დასავლური გზა რუსეთს მხოლოდ დაღუპვას მოუტანსო — ამტკიცებდნენ ისინი, და მაგალითისათვის მიმართავდნენ პეტრე პირველის ეპოქას. პეტრე — ამბობდნენ ისინი — შეეცადა რუსეთი ამოეგდო თავისი ნაციონალური ცხოვრების ბუნებრივი არხიდან. პეტრემ გადაამსხვრია რუსული ცხოვრების მთელი აგებულება, მხოლოდ ამ დროიდან დაიწყო რუსეთში ძალადობა, დამყარდა მონობა, რომელიც მანამდე უცხო იყო რუსეთისათვის. პეტრემდელი პერიოდი რუსეთის ცხოვრებისა (ე. წ. მოსკოვის პერიოდი) რუსეთის ნაციონალური იდეის სრულყოფისთვის შეუნელებელ სწრაფვაში მდგომარეობდა, პეტრეს შემდგომ ეპოქას კი (ე. წ. პეტერბურგის პერიოდი) დასჩემდა დასავლური სენის ზოგიერთი გამოვლინება, რაც პეტრეს ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგად მოხდა. აქედან მოწოდება: დავუბრუნდეთ პეტრემდელი დროის ზნეობრივ კანონს. რუსეთის ბედნიერება ისაა, ამბობდნენ სლავოფილები, რომ პეტრეს გამხრწნელმა რეფორმებმა ვერ მიაღწია დაბალ წოდებამდე, ევროპულმა კულტურამ ვერ გახრწნა იგი. დაბალი ხალხის მაღალი ზნეობრივი პრინციპი რუსულ თემშია დარჩენილი. იგი და მხოლოდ იგია რუსეთის მხსნელიო.

სლავოფილები მწვავედ განიცდიდნენ მათი თანამედროვე რუსეთის სოციალურ და პოლიტიკურ ტკივილებს. მათ არ შეეძლოთ არ დაენახათ ნიკოლოზისეული რეჟიმის შეუთავსებლობა ხალხის ინტერესებთან, რომელთა დამცველის როლშიც ისინი გამოდიოდნენ. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ხალხის ინტერესების დაპირისპირების საწყისად სლავოფილები ისევ პეტრეს ეპოქას აღიარებდნენ და რუსეთისათვის უკვე შეჩვეული სოციალ-პოლიტიკური წყლულის მალამოდ მიაჩნდათ პეტრემდელი ეპოქის ზოგიერთ ღონისძიებათა გატარება.

ისინი მაგალითად, დიდ იმედებს ამყარებდნენ საერობო კრებაზე და რჩევას აძლევდნენ ნიკოლოზ I მთავრობას შეეკრიბა ასეთი ყრილობა. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ სლავოფილები საერობო ყრილობას არავითარ საკანონმდებლო უფლებას არ ანიჭებდნენ. მთელი ძალაუფლება, როგორც ამას მიუთითებდა აქსაკოვის ფორმულა — მეფის ხელში უნდა დარჩენილიყო, საერობო კრებას კი შერჩებოდა თვალსაზრისის ძალა. („Сила власти — царю, сила мнения — народу").

სლავოფილებს არ შეეძლოთ არ დაენახათ ბატონყმური რეჟიმის უკიდურესობამდე მისული კრიზისი, გლეხთა საკითხის მოუგვარებლობა და არ განეჭვრიტათ მისი საეალალო შედეგები. მათ იდეალს წარმოადგენდა ის პატრიარქალური, „მამაშვილური" ბატონყმური ურთიერთობა, რომელიც თითქოს ახასიათებდა ძველ რუსეთს. ხედავდნენ რა ერთი მხრით გაუმაძღარი, სისხლისმწოველი მებატონის თავაშვებულობას, ხოლო მეორეს მხრივ ექსპლოატაციით განაწამები ყმა გლეხის მოღერებულ მუშტს, ისინი გრძნობდნენ რომ ასეთი მდგომარეობის დიდხანს შენარჩუნება შეუძლებელია, შეუძლებელია მათ შორის ძველი იდილიური დამოკიდებულების აღდგენაც. ამ სამწუხარო ვითარებამ ისინი მიიყვანა დასკვნამდე ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობის შესახებ. „დღევანდელი მონები, ხვალინდელი მეამბოხეები არიან, მონობის ჯაჭვიდან იჭედება ამბოხების ულმობელი დანა" — ამბობდნენ ისინი და ეშინოდათ რა ამ დანისა, ე. ი. ეშინოდათ რა რევოლუციისა, მთავრობას აძლევდნენ რჩევა-დარიგებას ზემოდან რეფორმების გზით მოეგვარებინა გლეხთა საკითხი, სლავოფილები არ იყვნენ წინააღმდეგი ისეთი რეფორმისა, რომელიც ყმა გლეხს მიწის მესაკუთრედ გადააქცევდა, მაგრამ რომლის შედეგადაც შენარჩუნებული იქნებოდა სასოფლო თემი და თვითმპყრობელობის ძალაუფლება.

სლავოფილების მთელი ეს თეორია, როგორც ვხედავთ, წარმოადგენდა გაბატონებული კლასის რევოლუციისადმი შიშის გამოხატულებას. მოსახლეობის აღზრდა ბატონებისადმი შონური მორჩილების სულისკვეთებით, პატრიარქალური ბა-

ტონყმური ურთიერთობისათვის ქება-დიდების შესხმა, რევოლუციური დასავლეთისადმი სიძულვილი და მისგან სრული იდეური გამიჯვნა — ასეთი იყო სლავოფილური კონცეპციის საფუძვლები. ეს იყო მონარქისტული, რეაქციული იდეოლოგია. შემთხვევითი როდია, რომ ნიკოლოზ პირველის მთავრობა სლავოფილებისადმი კეთილგანწყობილებას იჩენდა, მხოლოდ ზოგჯერ ტუქსავდა მათ მამაშვილური ტონით, მაშინ როცა ჭეშმარიტ რევოლუციონერებს იგი ულმობლად სდევნიდა და ანადგურებდა.

40-იანი წლების სლავოფილობა, როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ს. ბ. ოკუნი, წარმოადგენდა ერთგვარ შუალედ რგოლს ოფიციალური ხალხურობის თეორიასა და ლიბერალურ მედასავლეთეობას შორის და ასახავდა თავადაზნაურობის იმ ნაწილის ინტერესებს, რომელიც ობიექტურად იბრძოდა კაპიტალიზმში ნელი შეზრდისათვის იმ პირობით, რომ შენარჩუნებული იქნებოდა გაბატონებული კლასის არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური პრივილეგიებიც.

რათქმა უნდა, შეუძლებელია ყველაფერი სლავოფილების მოღვაწეობაში უარყოფითად, რეაქციულად გამოვაცხადოთ. სლავოფილების გამოჩენა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოიხატა როგორც რეაქცია იმ საერთო ევროპული კოსმოპოლიტიზმისა, რომელიც მაშინ ერთგვარად ფეხს იკიდებდა რუსეთში და რომლის ცოცხალი გამოხატულება იყო ჩაადაევისა და პეჩერინის საკმიანობა. სლავოფილებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მონურ ქედმოხრას ევროპის წინაშე, რუსული ცხოვრებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, მათ საზოგადოების ყურადღება გაამახვილეს რუსეთის წარსულისადმი, უბრალო ხალხისადმი. სამართლიანად მიუთითებდა ბ. ბელინსკი, რომ სლავოფილების გამოჩენა განსაზღვრულ მომენტამდე იყო მნიშვნელოვანი მოელენა, როგორც უცხოურისადმი მონური მიბაძვის პროტესტი და როგორც რუსეთის თვითმყობადი განვითარებისაკენ საზოგადოების მისწრაფება. სლავოფილები გულწრფელად თანაუგოძნობდნენ და პროპაგანდას უწევდნენ სლავი ხალხის ერთიანობას, მათთვის უცხო იყო ის

რეაქციული პანსლავიზმი, რომლითაც ცარიზმი ხელმძღვანელობდა. სლავოფილები რუს ხალხს, როგორც ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანს სლავებს. შორის, გულწრფელად მიმართავდნენ მიეხედა თავისი უმცროსი ძმებისათვის და ეხსნა ისინი მონობისაგან. დადებითად უნდა შეეფასოთ სლავოფილების ოპოზიციური განწყობილება თვითმპყრობელობისადმი, გლეხთა განთავისუფლების ის მშიშრული მოთხოვნაც კი, რომლითაც ისინი გამოვიდნენ.

სლავოფილების წინააღმდეგ მწვავე პოლემიკა გააჩაღა თავადაზნაურული ინტელიგენციის მეორე ჯგუფმა, რომელიც რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების პროპაგანდისტად გამოვიდა და მისაბაძი მაგალითი ამ მხრივ რუსეთისათვის სწორედ დასავლეთ ევროპაში დაინახა.

ეს ბურჟუაზიული ლიბერალები, ანუ მედასავლეთენი რომელთაც ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები ჰყავდათ, როგორიც იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები კ. დ. კაველინი, ს. მ. სოლოვიოვი, ტ. ნ. გრანოვსკი, პუბლიცისტები და საზოგადო მოღვაწენი პ. ვ. ანენკოვი, ვ. პ. ბოტკინი, ე. ფ. კორში, ნ. მ. სატინი და სხვ. უმთავრესად დაჯგუფებული იყვნენ ჟურნალების „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ და „სოვრემენნიკის“ გარშემო. მათი მოღვაწეობის ცენტრს აგრეთვე მოსკოვი წარმოადგენდა.

მედასავლეთენი უარჰყოფდნენ სლავოფილების მიერ გამოგონილ რაღაც სპეციფიურ გზას რუსეთის ისტორიული ცხოვრებისა. ისინი ამტკიცებდნენ რომ რუსეთის ის ვითომცდა განსხვავება დასავლეთისაგან, რასაც ასე ეჭიდებიან სლავოფილები, მხოლოდ მისი (რუსეთის) ჩამორჩენილობით აიხსნება. დასავლეთმა დიდად წინ გაუსწრო რუსეთს, რომელმაც გვიან დაიწყო თავისი ისტორია და მიემართება იმავე გზით, რომელიც საერთოა ადამიანთა საზოგადოებისათვის; რაც შეეხება თემურ წყობილებას, რომელიც ასე გაბერეს და ხელოვნურად შეალამაზეს სლავოფილებმა, იგი სრულიადაც არ წარმოადგენს რაღაც წმინდა რუსულს და სპეციფიურს, თემი თავის დროზე ჰქონდათ გერმანელებს, ფრანგებს, ინგლისელებს. დროთა

მსვლელობამ იქ თემი დაშალა და გზა გაუკაფა უფრო მოწინავე საზოგადოებრივ ურთიერთობას. თემის შემონახვა სრულებითაც არაა რუსეთის ბედნიერება, რადგან იგი არა თუ იცავს პიროვნების თავისუფლებას, არამედ ბოჭავს მას, ახშობს პირად ნიჭს, თავისუფლებას, ხოლო იქ, სადაც პიროვნება შებოჭილია, ინდივიდუალობას არა აქვს გასაქანი, საზოგადოებრივი წინსვლაც შეფერხებულია. რუსი ხალხისთვის სრულებითაც არ ყოფილა ბედნიერება არც თვითმპყრობელობა, არც მართლმადიდებლობა, არც თემური თანაცხოვრება, რადგან პირველი ართმევდა მოქალაქეობრივ თავისუფლებას, მეორე — სინდისის თავისუფლებას, მესამე — ეკონომიურ თავისუფლებას.

რუსეთის ისტორიული წარსულის სლავოფილურ სქემას მედასავლეთეებმა დაუპირისპირეს თავისებური სქემა, რომელიც აგრეთვე თეორიულ საფუძვლებს იმავე ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაში პოულობდა. ეს სქემა გარკვევითაა ჩამოყალიბებული ისტორიკოსების კაველინისა და სოლოვიოვის ნაშრომებში. მათმა კონცეფციამ რუსეთის ისტორიაზე ე. წ. სახელმწიფოებრივი სკოლის სახელი დაიმკვიდრა, რადგან რუსეთის ისტორიულ პროცესს იგი განიხილავდა როგორც თანდათანობით გადასვლას გვაროვნული ურთიერთობიდან ოჯახურზე, ხოლო ოჯახურიდან უმაღლეს ფორმაზე— სახელმწიფოზე.

ძველი რუსეთის მკვიდრთა ცხოვრება და ურთიერთობა — ამტკიცებდნენ ისინი — წმინდა გვაროვნული სისხლით ნათესაური იყო. პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის ვითარებაში (სწორედ ეს მიაჩნდათ მედასავლეთეებს ისტორიის მამოძრავებელ ძალად) გვაროვნული წყობილება თანდათანობით სუსტდება. ოჯახის უფროსებსა და გვარის უფროსებს შორის ბრძოლა თანდათან მთავრდება პირველის გამარჯვებით და რუსეთის ისტორიაში იწყება ვეჩეს პერიოდი. ვეჩეს მიერ მთავრების მოწვევა ახალ ეტაპს წარმოადგენს გვარისა და ოჯახის შეურიგებელ ბრძოლაში. მთავრები იქცევიან მსხვილ მიწათმფლობელებად, ჰქმნიან თავიანთი მმართველობის ორგანიზაციას. ამ პროცესს შეესატყვისება ე. წ. საუფლისწულო პერიო-

დი რუსეთის ისტორიაში. მაგრამ იგივე პიროვნების თავისუფლებისათვის განუწყვეტელი ბრძოლა იწვევს საუფლისწულო პერიოდის კრიზისს. ოჯახური ტენდენციები, მაგალითად, მოსკოვის სამთავროში თანდათან ადგილს უთმობენ პოლიტიკურ მოთხოვნებს. წინა პლანზე დგება არა სისხლით ნათესაობითი, არამედ საზოგადო ინტერესები. ეს იმაშიც ვლინდება, რომ მოსკოვის დიდი მთავრები მიწებს თანასწორად შვილებს შორის აღარ ანაწილებენ და ყველაზე დიდ ნაწილს ტოვებენ უფროსი შვილის საკუთრებაში. აქ უკვე იჩენს თავს აშკარა ტენდენცია შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნას დიდი მთავრის ძალა. ეს უკვე პირველსაწყისია სახელმწიფოსი, რომლის დამკვიდრებაში განსაკუთრებით დადებითი როლი ივანე IV ეკუთვნის. ივანე მეოთხის ყველა ღონისძიება მიმართული იყო სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად, თუმცა ამ მხრივ მან მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ მიაღწია. სახელმწიფოებრიობის საბოლოო გამარჯვება დაკავშირებულია პეტრე პირველის სახელთან, რომელმაც რუსეთში გააბატონა საზოგადოებრივი განვითარების ეს უმაღლესი პრინციპი. პეტრეს ეპოქაში დასრულდა რუსეთის ნაციონალური განვითარების გზა და ამიერიდან იგი შედგა საერთო ევროპული ცხოვრების გზაზე, აქედან იწყება პიროვნების განთავისუფლება მისი შემაფერხებელი გვაროვნული და ოჯახური ბორკილებისაგან.

როგორც ვხედავთ, წინააღმდეგ სლავოფილებისა, მედასავლეთეებმა პეტრე I შეაფასეს დადებითად, მის მიერ გატარებული ღონისძიებები აღიარეს რუსეთში პიროვნების განთავისუფლების „პირველ ფაზად". რომელსაც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა შემდეგი ფაზა. მეორე ფაზის განხორციელებას მედასავლეთეები ნიკოლოზ პირველის ეპოქას აკუთვნებდნენ და მათი აზრით ეს უნდა ყოფილიყო რუსეთში ბატონყმობის გაუქმება, კონსტიტუციურ-მონარქიული მმართველობის შემოღება.

მედასავლეთენი მიუთითებდნენ რა დასავლეთ ევროპაზე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების იმ საუკეთესო მაგალითზე, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა რუსეთს, მეტისმე-

ტად აჭარბებდნენ. რა თქმა უნდა, სწორი იყო მათი თეზისი იმის შესახებ, რომ არავითარი სპეციფიური გზა რუსეთისათვის არ არსებობს, რომ რუსეთის ეს „სპეციფიკა“ მხოლოდ მისი ჩამორჩენილობის დასაფარავადაა მოგონილი, მაგრამ სრულიად ხელოვნური, იდეალისტურ საწყისებზე აგებული და ანტიისტორიული იყო მათ მიერ შემუშავებული სქემა. ამასთან, მედასავლეთენი გაცილებით უფრო შორს წავიდნენ რუსი ხალხისადმი ცილისწამებაში, როცა სერიოზულად ამტკიცებდნენ მის ბუნებრივ მიდრეკილებას მიმბაძველობისადმი. კაველინი ამტკიცებდა, რომ მიმბაძველობა რუსეთისათვის დამახასიათებელი იყო მთელი მისი ისტორიული ცხოვრების მანძილზე. „ჩვენი გონებრივი აპათია და უძლურება — ამბობდა იგი, ისევე ძველია, როგორც თვით ჩვენ... აზრისა და გაგების სფეროში ჩვენ უძველესი დროიდანვე ვიყავით სხვისი მორჩილი მსახური და ჩვენი ცხოვრება მიდიოდა თავისი გზით, ხოლო თავები — თავისით“. კაველინის აზრით, პეტრემდელ პერიოდში რუსები იყვნენ ჯერ ბიზანტიელთა, შემდეგ ლიტვა-პოლონეთის მიმბაძველნი, ხოლო შემდეგ დასავლეთ ევროპის — ხან გერმანელების, ხან ფრანგების; პეტრეს დროს გაიმარჯვეს გერმანულმა პრინციპებმა. ყოველივე ამას კაველინი იმით ასაბუთებდა, რომ მიმბაძველობა გარდაუვალი იყო რუსეთისათვის, რადგან საუკუნოებრივმა ჩამორჩენილობამ შებოჭა მისი ნაციონალური აზრი, მისი შემოქმედებითი ენერგია.

მედასავლეთენი ევროპის კაპიტალისტურ განვითარებას იდეალად მიიჩნევდნენ რუსეთისათვის. კაპიტალიზმი მათ ესახებოდათ არა როგორც პროგრესული მომენტი საზოგადოების ისტორიაში, როგორც ფეოდალიზმის დამთრგუნველი ძალა, არამედ როგორც მარადიულად მისაღები, ყველაზე მაღალი და პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება. მათ ვერ დაინახეს კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეები, მისი წყლულები, მის მიერ დამკვიდრებული მძიმე ექსპლოატატორული რეჟიმი. ისინი ჰკიცხავდნენ ევროპის დემოკრატიულ ძალებს, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მაგალითად, ჩიჩერინი თუ პირველ ხანებში აღტაცებული იყო

1848 წ. თებერვლის ამბებით საფრანგეთში, შემდეგ, როცა ივნისში ბრძოლის ველზე გამოვიდა პარიზის პროლეტარიატი, აღშფოთებას გამოსთქვამდა მათი თავხედობის გამო და მიესალმებოდა კავენიაკის ჯალათობას. „ჩემთვის მეხისდამცემი იყო ივნისის დღეები — წერდა ჩიჩერინი — როცა დემოკრატული მასა, რომელსაც მე ვენდობოდი, უეცრად ყოველგვარი საბაბის გარეშე და ყოველად უაზროდ გამოვიდა როგორც აღვირახსნილი ბრბო და მზად იყო დაემხო თვით ის დაწესებულებანი, რომელიც მისთვის იყო შექმნილი... დავკარგე რა დემოკრატიის სასიცოცხლო ძალებისადმი რწმენა, დავკარგე რწმენა სოციალიზმის თეორიული მნიშვნელობისა"... ასეთივე პოზიციები 1848 წლის რევოლუციის მიმართ დაიკავეს ბოტკინმა, ანენკოვმა, სოლოვიოვმა და სხვებმაც.

ბურჟუაზიული ლიბერალები მართალია, მოითხოვდნენ რუსეთში ბატონყმობის გაუქმებას და კონსტიტუციურ-მონარქიას, მაგრამ სრულიადაც არა რევოლუციის გზით. მათ, როგორც ახლახან ვნახავთ, ეშინოდათ რევოლუციისა, დემოკრატიული მასების დამოუკიდებელი გამოსვლისა და რუსეთის დასავლეთევროპულ კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაქმნას ისევ თვითმპყრობელობას აკისრებდნენ.

მათ პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა 1830 წ. ივლისის მონარქია საფრანგეთში, ლუი ფილიპესა და გიზოს პარლამენტარიზმი. ასეთი ფორმა, მათი აზრით, მოსპობდა რუსეთში რევოლუციურ აფეთქებათა შესაძლებლობას.

მედასავლეთეთა ბანაკი იდეურად ერთგვაროვანი არ ყოფილა. ისტორიკოსები სამართლიანად მიუთითებენ აქ ორი მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის არსებობაზე. მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები (ბოტკინი, ანენკოვი და სხვ.) ვერ სცნობდნენ რაიმე უარყოფით გამოვლინებას კაპიტალიზმში. კაპიტალიზმს, მათი აზრით, ბედნიერება მოაქვს ხალხებისათვის, მათ შორის პროლეტარიატისათვის. მედასავლეთეთა მემარცხენე ფრთის საუკეთესო წარმომადგენელია გრანოვსკი, რომლის მოღვაწეობას XIX საუკ. 40-იან წლებში რუსეთის

საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ტიმოთე ნიკოლოზის ძე გრანოვსკი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი. ადრე იგი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანიაში გაემგზავრა და იქ ცნობილ მკვლევარებთან მუშაობდა. აქ შეითვისა მან გერმანული იდეალისტური ფილოსოფია, ღრმად გაიცნო ცნობილი ევროპელი ისტორიკოსების ნიბურის, გიზოს, ტიერის, მიშლეს შეხედულებები, დასპეციალდა ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაში. 1839 წელს გრანოვსკი დაბრუნდა მოსკოვში და აქტიურად ჩაება პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. 1843-46 წლებში, ხოლო შემდეგ 1851 წელს იგი კითხულობდა საჯარო ლექციებს ინგლისისა და საფრანგეთის შუასაუკუნეების ისტორიაში. ისტორიული პირველწყაროების ზედმიწევნითი ცოდნა, მათი მეცნიერული ანალიზის და განზოგადების განსაკუთრებული უნარი, ბრწყინვალე ორატორული ხელოვნება გრანოვსკის ლექციებს უაღრესად მიმზიდველს ხდიდა. მისი აუდიტორია ყოველთვის გაჭედილი იყო და ყოველ ლექციას მჭუხარე ტაშით აჯილდოებდნენ. მაგრამ გრანოვსკის ლექციების წარმატების მიზეზი მარტო მისი ღრმა მეცნიერული ცოდნა და მისი გადმოცემის უნარი არ ყოფილა. ეს მიზეზი მდგომარეობდა იმ პროგრესულ-დემოკრატულ მიმართულებაში, რომლითაც განმსჭვალული იყო მისი თხრობა ევროპის შორეულ წარსულზე. დიდი პათოსით ლაპარაკობდა რა ფეოდალური ურთიერთობის მსხვრევაზე ინგლისსა და საფრანგეთში, მუქი ფერებით ხატავდა რა შუასაუკუნოებრივ ფეოდალურ ტირანიას, მგზნებარედ მოუთხრობდა რა მის დამანგრეველ რევოლუციურ ძალებზე, გრანოვსკი ამით მსმენელების თვალწინ უსიტყვოდ ხატავდა ნიკოლოზისეული რუსეთის დესპოტიზმს, მის საშინელებას და ყურადღებას ამახვილებდა იმ ძალებზე, რომლებიც ამ დესპოტიზმის საპირისპიროდ იზრდებოდნენ რუსეთში. ჩაადაევი გრანოვსკის ლექციებს მიიჩნევდა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად. გერცენი აღნიშნავდა, რომ „მოსკოვში გრანოვსკის

კათედრა გადაიზარდა საზოგადოებრივი პროტესტის ტრიბუნადო".

გრანოვსკი მართალია, რუსეთის ევროპეიზაციის ენერგიული დამცველი იყო და ფეოდალიზმის დამხობას და კაპიტალიზმის გამარჯვებას აუცილებლად და პროგრესად თვლიდა, მაგრამ მემარჯვენე მედასავლეთეებისაგან განსხვავებით იგი სრულებითაც არ სახავდა კაპიტალიზმს უმაღლეს იდეალად, არ იყო აღფრთოვანებული კაპიტალისტურ ევროპაში მშრომელთა მდგომარეობით. კაპიტალიზმი მას იზიდავდა მხოლოდ როგორც ტექნიკური პროგრესი, როგორც ცივილიზაციის მძლავრი გაქანება, როგორც მძიმე შრომისგან ადამიანის გათავისუფლების საწყისი.

გრანოვსკის სულს უხუთავდა მაშინდელი რუსული თვითმპყრობელური გარემო. იგი შენატროდა ბელინსკის, რომელმაც ადრე დატოვა საძულველი რუსეთი, „როდის დაინგრევა ეს ქვეყანა?" — მოუთმენლად კითხულობდა იგი. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გრანოვსკი „კოლოკოლის" ფურცლებზე წერდა (წერილი გამოქვეყნდა გრანოვსკის სიკვდილის შემდეგ): „სივრცე, მოგვეცით სივრცე! თითოეულ ჩვენგანს — დაწყებული გლეხიდან დიდკაცობამდე, მხოლოდ ეს გვწყურია ისე, როგორც გამომხმარ მიწას სწყურია მაცოცხლებელი წვიმა. ყველა ჩვენგანს მიუპყრია ხელი ტახტისკენ და ლოცულობს: მოგვეცით გასაქანი ხელმწიფევ, ჩვენი ენა დამუნჯებულია, ჩვენ გადავეჩვიეთ თავისუფალ სუნთქვას, ჩვენ გვინდა სივრცე, ისე როგორც ჰაერი, როგორც პური, როგორც ღვთიური სინათლე. იგი სჭირია მთელ რუსეთს, მისი შინაგანი აყვავებისათვის, მისი დაცვისა და სიმტკიცისათვის" აქ გრანოვსკი ჩანს მთელი თავისი არსებით. მას რუსეთი წარმოდგენილი აქვს როგორც სულისშემხუთველი საპყრობილე, მაგრამ ისე როგორც ყველა ბურჟუაზიულ ლიბერალს, ამ საპყრობილედან განთავისუფლების გზად იმპერატორისათვის თხოვნა — მუდარა აურჩევია.

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოდთქმულს მედასავლეთეთა შესახებ, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ეს იყო რუსეთში

კაპიტალიზმის განვითარების რეფორმისტული (პრუსიული) გზის იდეოლოგია, დასაბუთება საგლეხო რეფორმის ზევიდან გატარებისა, ისე, რომ შემორჩენილიყო თვითმპყრობელური მონარქია და მემამულის ძალაუფლება. ეს იყო კონსერვატული ლიბერალიზმი, რომელსაც ეშინოდა სახალხო რევოლუციისა და იმას ცდილობდა რომ იგი რუსეთისათვის როგორმე თავიდან აეცილებინა.

რუსეთის რევოლუციური გზით წინსელისათვის უცხო და მავნე იყო როგორც სლავოფილების, ისე მედასავლეთეთა მიერ შემუშავებული სქემები და რეცეპტები. გერცენი, ადარებდა რა კოსმოპოლიტ ჩაადაევს და მართლმადიდებლობის მეხოტბე სლავოფილებს, სწორედ მიუთითებდა, რომ ორთავე ისინი ერთნაირად იდგნენ რუსეთის ცხოვრების აუხსნელ სფინქსის წინაშე, სფინქსისა, რომელსაც ეძინა ჯარისკაცის მაზარისა და მეფის მეთვალყურეობის ქვეშ. ისინი ადრე კითხულობდნენ, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, რა მოჰყვება ყოველივე ამას, სად არის გამოსავალი? მაგრამ სასაცილო იყო მათი რეცეპტები. სასაცილოა იოცნებო დასავლეთში კათოლიციზმის აღდგენაზე, სასაცილოა კათოლიკე გახდე და იეზუიტიზმი იქადაგო რუსეთში, მაგრამ ასევე სასაცილო და მავნეა სლავოფილთა ფანატიზმიო.

გერცენი და ბელინსკი მწარედ დასცინოდნენ მედასავლეთეებს, რომელთაც არ სურდათ დაენახათ რუსეთის ნაციონალური ძალა, რომლებიც მონურად იხრიდნენ ქედს ყოველგვარი დასავლურის წინაშე და ვთქვათ პარიზში დიდიხანია დავიწყებული საგაზეთო ფელეტონი რუსეთისათვის აღმოჩენად მიაჩნდათ, მაგრამ ისინი ასევე დასცინოდნენ სლავოფილებს და მიუთითებდნენ რომ მათი სიძულვილი დასავლეთისადმი ამავე დროს არის სიძულვილი პროგრესისადმი. რომ სლავოფილების თეორია — ეს რუსეთის საზოგადოებრივი აზრისთვის ყელში გაჩხერილი ძვალიაო.

სლავოფილური და მედასავლეთური ანუ თავადაზნაურულ-ლიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ ამ დროს რუსე-

თში თანდათანობით ყალიბდებოდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ა. გერცენი და ბ. ბელინსკი.

ა. ი. გერცენი

დიდი რუსი განმანათლებელი, თავადაზნაურული რევოლუციონერი და დემოკრატი ალექსანდრე ივანეს ძე გერცენი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც რუსეთის სიამაყეს და დიდებას შეადგენენ. მისი დაუცხრომელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, XIX საუკ. 30-იან წლებში რომ დაიწყო, 60-იანი წლების მიწურულამდე გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაში მას წამყვანი ადგილი ეკავა და ბელინსკისთან, ჩერნიშევსკისთან და სხვებთან ერთად განასახიერებდა დემოკრატიული ბანაკის პოლიტიკური ბელადის როლს. ჩვენ აქ შევეხებით გერცენის მოღვაწეობის მხოლოდ პირველ პერიოდს — ოცდაათიანი წლებიდან 1848 წლის რევოლუციის დასასრულამდე.

ა. ი. გერცენი თავადაზნაურული წრიდან გამოვიდა. იგი დაიბადა 1812 წელს 25 მარტს (6 აპრილს) მდიდარი რუსი მემამულის იაკოვლევის ოჯახში. დედა ლუიზა ჰააგ წარმოშობით გერმანელი იყო. გვარი — ჰერცენი („გულის შვილი") მამამ მისცა. გერცენის ბავშვობა ჯერ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის, შემდეგ ამ ომის ჭრილობების მოშუშების ვითარებაში მიმდინარეობდა. პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი ომის ამბები გერცენს ბავშვობის წლების საუკეთესო მოგონებად დარჩა. „მოსკოვის ხანძრის, ბოროდინის ბრძოლის, ბერეზინას, პარიზის აღების ამბები იყო ჩემი იავნანა, ჩემი საბავშვო ზღაპრები, ჩემი ილიადა და ოდისეა" — აღნიშნავს იგი თავის მემუარებში.

გერცენს თავს დატრიალებდნენ სპეციალურად დაქირავებული მასწავლებლები. ბუნებით ბეჯითი და ნიჭიერი გერცენი, ადრე გაეცნო რუსულ და უცხოურ ლიტერატურას, განსაკუთრებით თბილი მოგონება გერცენში დასტოვა რუსული ენისა

და სიტყვიერების მასწავლებელმა პროტოპოპოვმა, რომელსაც, გერცენის სიტყვით რომ ვთქვათ, ჰქონდა არაჩვეულებრივად თბილი, ადამიანური გული და რომელმაც განსაკუთრებით შეაყვარა მას რუსული სიტყვიერება.

გერცენმა 14 წლის ასაკში, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობდა მისი ფიზიკური და გონებრივი ჩამოყალიბება, მძიმე სულიერი ტრაგედია განიცადა. ეს იყო დეკაბრისტული გაბოსვლის მარცხი და ის მკაცრი ანგარიშგასწორება, რომელიც ნიკოლოზმა რუსეთის ამ საუკეთესო ადამიანებს მოუწყო. ბუნებით კეთილი, ფრანგი განმანათლებლების განმათავისუფლებლური იდეებით აღჭურვილი ჭაბუკი დეკაბრისტების ჯალათებისადმი საშინელი შურისძიებით აღენთო. „ამბოხების, სასამართლოს, მოსკოვის საშინელების ამბებმა — იგონებს გერცენი — ააფორიაქეს ჩემი სული. ჩემს წინაშე გაიხსნა ახალი სამყარო, რომელიც უფრო და უფრო ხდებოდა ჩემი ზნეობრივი არსებობის ამოსავალ წერტილად. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ცოტათი და ძალზე არეულად მესმოდა თუ რაშია საქმე, მე ვგრძნობდი, რომ არა ვარ იმათი მხრიდან, სადაც იყო კარტეჩი და გამარჯვება, ციხე და ბორკილები. პესტელის და მისი ამხანაგების დასჯამ საბოლოოდ გამოაფხიზლა ჩემი სულის ბავშვური ძილი“. როდესაც 1826 წელს მოსკოვში გერცენი დაესწრო ნიკოლოზ პირველის გამეფებისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალს, მან კრემლში, საკურთხეველთან შეჰფიცა თავის თავს, რომ შურს იძიებდა თვითმპყრობელური ტახტის წინააღმდეგ დეკაბრისტთა წმინდა სისხლისათვის.

ამ დიდი სულიერი მღელვარების პერიოდში დაუმეგობრდა გერცენი ნიკოლოზ ოგარევს, რომელიც სულ რაღაც წლინახევრით იყო მასზე უმცროსი.

გერცენის ხასიათი, იდეური მისწრაფებანი და ოცნებანი სავსებით შეუსისხლხორცდა ოგარევის ჭაბუკურ განცდებს. ოგარევში გერცენმა, როგორც თვით აღნიშნავს, იპოვა პირველი აუდიტორია და ეს ორი ჭაბუკი მსჯელობდა, ოცნებობდა, გეგმებს აწყობდა, ერთმანეთს უზიარებდა თავიანთ აზრებს წაკი-

თხულის, განცდილის, გაგონილის შესახებ. მათი სათაყვანებელი ადამიანები ამ დროს იყვნენ შილერი, ვოლტერი, რუსო, რადიშჩევი, დეკაბრისტები, პუშკინი.

ოგარევთან მეგობრობამ გერცენის ჭაბუკურ სულში დაგუბებულ სამოღვაწეო ენერგიას თითქოს სარქველი ახსნა. სწორედ ამ ხანებში ორთავემ, მოსკოვის წინაშე დასდეს ნიკოლოზისეული სულისშემხუთველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის წმინდა ფიცი. გერცენი იგონებს ამ ამაღელვებელ მომენტს ვორობიოვის მთებზე. „...მზე ჩადიოდა, გუმბათები ბრწყინავდნენ, მთის ძირას ქალაქი თვალუწვდენ სივცეად იყო გაწოლილი, სასიამოვნო ნიავი გვიბერავდა, ვიდექით ჩვენ, დიდხანს ვიდექით ერთმანეთზე დაყრდნობილი და უეცრად ხელგადახვეულებმა მთელი მოსკოვის წინაშე დავდეთ ფიცი შეგვეწირა სიცოცხლე ჩვენს მიერ არჩეული ბრძოლისათვის“.

1829 წელს გერცენი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ჩვენ ზევით უკვე ვნახეთ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტი ამ დროს რუსეთის გონებრივ ცენტრს წარმოადგენდა. გერცენი სტუდენტობის იმდროინდელ განწყობილებაზე შენიშნავს: „მოსკოვი ამაყობდა თავისი უნივერსიტეტით, მას უყვარდა თავისი სტუდენტები. როგორც მომავალი, ყველაზე სასარგებლო, შემდეგში საზოგადოების მაღალი, ბრწყინვალე მოღვაწენი. სტუდენტები ამაყობდნენ თავიანთი წოდებით და უფრთხილდებოდნენ სწავლას, ხედავდნენ რა მათდამი საერთო სიმპათიებს და პატივისცემას... თვით უბრალო ადამიანები, ისინიც კი, შეხვედრისას სიყვარულით აყოლებდნენ თვალებს იმ მალინისფერ საყელოებიან ახალგაზრდებს“.

გერცენი ოგარევთან ერთად ჩაება სტუდენტთა მღელვარე ცხოვრებაში და ორგანიზატორი და მეთაური გახდა იმ წრისა, რომელმაც თავისთავი დეკაბრისტთა მემკვიდრედ გამოაცხადა და მხურვალედ დაეწაფა თანამედროვე მწვავე სოციალ-პოლიტიკური საკითხების გარკვევას. უნივერსიტეტის წლები გერცენის სწრაფი ინტელექტუალური ჩამოყალიბების პერიოდი იყო. იგი ბევრს მუშაობდა თავისთავზე, გატაცებით ეცნობოდა გერ-

მანული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლებს, მოხიბ-ლული იყო შილერის რევოლუციური რომანტიზმით, კაცობ-რიობის მომავალი ეხატებოდა შარლ ფურიესა და სენ-სიმონის სოციალისტური ფანტაზიების მიხედვით. ამავე დროს უკვე ცდიდა საკუთარ კალამს ფილოსოფიურ ასპარეზზე. უნივერ-სიტეტში სწავლის პერიოდში დაწერა მან თავისი პირველი ფილოსოფიური ნაშრომი „ბუნებაში ადამიანის ადგილის შე-სახებ", სადაც უკვე სცადა მოეცა გერმანული იდეალიზმის და ფრანგული მეტაფიზიკური მატერიალიზმის კრიტიკა. 1833 წელს მან დაწერა საკანდიდატო ნაშრომი „კოპერნიკის მზიური სისტემის ანალიტიკური გადმოცემა", სადაც ძირითად-ში უკვე მოხაზა ის თეორიული დებულებები, რომელიც შემ-დგომ განავითარა თავის სახელგანთქმულ ნაშრომში „წერილე-ბი ბუნების შესწავლის შესახებ".

სტუდენტთა საწრეო მუშაობა განსაკუთრებით ცხოველი იყო იმ პერიოდში, როცა საფრანგეთში ივლისის რევოლუცია დაიწყო და განსაკუთრებით, როცა ნიკოლოზის რუსეთს ომი გამოუცხადა პოლონეთმა. გერცენი და მისი მეგობრები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ დღეებზე, ემზადებოდნენ დიდი მოღ-ვაწეობისათვის, გამოთქვამდნენ მზადყოფნას აშკარა ბრძოლი-სათვის, მაგრამ ცარიზმმა ჩაახშო რევოლუცია, დაიმსხვრა მეოცნებე სტუდენტთა იმედები. ცარიზმის ჯაშუშებს არ გამო-პარვიათ გერცენის და მისი ჯგუფის განწყობილება და საქმია-ნობა. 1834 წელს დააპატიმრეს ჯერ ოგარევი, შემდეგ გერცე-ნი. ციხემ, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც არისტოკრა-ტიის წარმომადგენელს, შედარებით უკეთესი პირობები ჰქონ-და, გერცენზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. აქ მან თვალ-ნათლივ დაინახა მთელი საშინელება ნიკოლოზისეული დესპო-ტიზმისა. ამასთან მას უეცრად წაგებულად მოეჩვენა ყველაფე-რი. ამ დღეებში სწერდა იგი თავის ერთგულ მეგობარს ნატა-ლია ალექსანდრეს ასულს: „ნუთუ ჩვენ გვიწერია დაღუპვა, და როგორი დაღუპვა — მუნჯი, ყრუ, რასაც ვერავინ გაიგებს! რა-ტომ დაგვაჯილდოვა ჩვენ ბუნებამ ასეთი ცეცხლოვანი სულით,

რომელიც მოღვაწეობისა და დიდებისაკენ გვეწევა? ნუთუ ეს დაცინვაა?“

ჟანდარმერიის კვლევა-ძიებამ გერცენის საქმიანობაში ხელმოსაკიდი ვერაფერი აღმოაჩინა. დაკითხვა და კვლევა-ძიება 9 თვეს გრძელდებოდა. დაბოლოს გერცენის დანაშაული ფორმულირებულ იქნა როგორც გაბედული, საზოგადოებისათვის ფრიად საშიშარი ტრფიალი თავისუფლებისადმი. 1835 წლის მარტში გამოტანილ იქნა განაჩენი, რომლითაც გერცენს მიესაჯა პერმის გუბერნიაში გადასახლება.

გადასახლებაში გერცენი მუშაობდა ვიატკის გუბერნიის კანცელარიაში უბრალო გადამწერად. მეტად მძიმე, სულისშემხუთველი იყო გერცენისათვის ვიატკის ატმოსფერო. ჩუმად, უსიტყვოდ იტანდა იგი ამ დამცირებას და არაადამიანურ ყოფას, ერთადერთი მისი შვება იყო ისევ წიგნები და ნაცნობთა ის მცირე წრე, რომელიც გერცენმა ცარიზმის მიერ დევნილთა შორის გაიჩინა. აქ შეხვდა იგი სხვათაშორის ცნობილ ქართველ განმანათლებელს, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ აქტიურ წევრს სოლომონ დოდაშვილს, რომელიც გადასახლებაში უკურნებელი სენით დაავადებული, თავის სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა.

გადასახლების პერიოდში გერცენი ღრმად გაეცნო პრაქტიკულ ცხოვრებას. მან საკუთარი თვალით იხილა ბრაკალტანჯული რუსეთი, არისტოკრატიული ფანჯრები დაიხურა. მან ჩაიხედა გლეხური ცხოვრების სიღრმეში და დაინახა არაადამიანური ტანჯვა-წამება, ცრემლების მორევი. ყოველივე ამან მასზე წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა. „ერთადერთი სარგებლობა, რომელიც მე შევიძინე, ეს ისაა რომ ახლა გავიცანი კანონმდებლობის ზოგიერთი ნაწილი და თვით რუსეთი. გამოცდილება — მნიშვნელოვანი საქმეა: თუ ნაწერს ცულით ვერ ამოსჭრი, გამოცდილებით შეძენილს ცეცხლითაც ვერ ამოსწვავ“ — წერდა იგი. ამ დღეებში ვიატკაში წაიკითხა მან ჩაადაევის ფილოსოფიური წერილი, რომელმაც მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და დაინახა, როგორც თვითონ აღნიშნავს, რომ თვითმპყრობელურ-ბატონყმური ჩაგვრის საშინე-

ლებამ უკვე გამოჟონა ზედაპირზე. ჩაადაევის წერილი, მისი მცდარი დებულებების მიუხედავად, გერცენისათვის მაინც იყო საბრძოლო მოწოდება.[1]

გერცენი ვიატკაში უკვე ემზადებოდა დიდი მოღვაწეობისათვის. მას ახლა სწყურიოდა დაგუბებული ენერგიის პრაქტიკულ საქმეებში გამოცდა. „მოღვაწეობისაკენ მისწრაფება კვლავ დუღს ჩემში და მწვავს. ადამიანებო, ხალხო, ხალხო, მომეცით მე ასპარეზი და თქვენგან სხვა არაფერი მინდა. მომეცით საშუალება გამოვცადო ძალა, რატომ უნდა დაიღუპოს იგი უსარგებლოდ ჩემს გულ-მკერდში?"

მალე გერცენის მისწრაფებისათვის გზა, მართლაც, გაიხსნა. 1837 წლის მაისში ვიატკაში ჩავიდა ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე, რომელსაც თან ახლდა მისი აღმზრდელი პოეტი ვ. ა. ჟუკოვსკი. გერცენი შეხვდა ალექსანდრეს და მის ამალას გამოფენაზე, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ვიატკაში. გერცენმა აქ მიიქცია ჟუკოვსკის ყურადღება. დიდმა პოეტმა დაწვრილებით გამოკითხა მისი გადასახლების ისტორია და ბოლოს იშუამდგომლა კიდეც გერცენის გათავისუფლებისათვის.

1838 წ. იანვარში გერცენი ვლადიმირში ჩავიდა, ამავე წლის მარტში აქ ჩავიდა ოგარევი, შემდეგ კეტჩერი. მეგობრები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. გერცენი ამ დროს ეწეოდა ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას. და თანაც მსახურობდა გუბერნატორის კანცელარიაში. მხოლოდ 1839 წლის ივლისში მოხსნეს გერცენზე პოლიციური ზედამხედველობა და მან მიიღო სანუკვარ მოსკოვში ჩასვლის უფლება.

მოსკოვში გერცენი კვლავ ახლო მეგობრების წრეში მოხვდა. აქ იყვნენ ოგარევი, კეტჩერი, სატინი; გერცენი აქ დაუახლოვდა ბელინსკის, გრანოვსკის, ბაკუნინს, გაეცნო სლავოფილების წარმომადგენლებს და ჩაება იმ გაცხარებულ პოლემიკაში, რომელიც ამ დროს დაიწყო მოსკოვის ინტელიგენტთა წრეებში რუსეთის ცხოვრების გზების შესახებ. გერცენის

[1] Я. Эльсберг, А. И. Герцен. Жизнь и творчество, Издание третье, Москва, 1956 г.

თანმიმდევრულმა მატერიალისტურმა თვალსაზრისმა ბუნების ურთულეს მოვლენებზე დიდად დააინტერესა ბელინსკი, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ იმყოფებოდა ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის ტყვეობაში და რუსული სინამდვილისათვის, ჰეგელის ფორმულებიდან გამომდინარე, მეტად მცდარ დასკვნებს აკეთებდა. ბელინსკი მოიხიბლა გერცენით, მასში დიდი მოაზროვნე და თანამოაზრე დაინახა. გერცენმა უსათუოდ იქონია გავლენა ბელინსკიზე და დააჩქარა მისი გათავისუფლება იმ მცდარი შეხედულებებისაგან, რომელიც ამ დაუცხრომელ მოაზროვნეს გააჩნდა მისი შემოქმედებითი ძიების გზაზე.

1839 წლის ბოლოს პეტერბურგში გადავიდა ბ. ბელინსკი და ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის" რედაქციაში დაიწყო მუშაობა. პეტერბურგშივე 1840 წელს ჩავიდა გერცენი. ისევ დაისახა დიდი საქმისათვის მათი გაერთიანებული მუშაობის გეგმები; 1841 წელს „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის" ფურცლებზე ისკანდერის ფსევდონიმით გამოქვეყნდა გერცენის ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულება „ერთი ახალგაზრდა კაცის წერილები", ამ ნაწარმოებმა, სადაც გამათრახებული იყო ჭუჭყიანი და სულშეხუთული ობივატელურ-ჩინოვნიკური რუსეთი, საერთო ყურადღება მიიქცია. მაგრამ გერცენს დიდხანს არ დასცალდა მოღვაწეობა. მამისადმი ერთი გულახდილი წერილის გამო, რომელიც ფარულად გასინჯეს პოლიციის აგენტებმა, გერცენს კვლავ წილად ხვდა გადასახლება, ამჯერად ნოვგოროდში, სადაც გერცენისათვის ცხოვრება არანაკლებ უხალისო და აუტანელი გახდა, ვიდრე ვიატკაში, მიუხედავად იმისა, რომ ნოვგოროდში იგი გუბერნიის მმართველის მრჩევლად მუშაობდა და „მაღალ" საზოგადოებაში ტრიალებდა. სწორედ ამ მაღალი საზოგადოების ფუქსავატობა, ბოროტმოქმედება, ამორალიზმი, უსამართლობა იყო აუტანელი გერცენისათვის.

მხოლოდ 1842 წ. ივლისში დართეს გერცენს მოსკოვში გადასვლის უფლება. მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იგი 5 წელი, მანამდე, ვიდრე საზღვარგარეთ გაემგზავრებოდა. ეს ხუთი წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მის ცხოვრებაში. გერცენი ცხოველ მონაწილეობას იღებდა გაჩაღებულ

იდეურ ბრძოლაში, თავისი ულმობელი ლოგიკით ამზეურებდა სლავოფილურ ფანატიზმს, ოფიციალური ხალხურობის იდეოლოგიის აპოლოგეტების შევირიოვისა და პოგოდინის, მედასავლეთეთა კოსმოპოლიტიზმის იდეურ უნიადაგობას, ეწეოდა ინტენსიურ ლიტერატურულ საქმიანობას. ამ პერიოდში გერცენი უკვე ჩამოყალიბდა როგორც ერთერთი უდიდესი მოაზროვნე მატერიალისტი, როგორც 40-იანი წლების რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე.

1843 წელს ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის" ფურცლებზე გამოქვეყნდა გერცენის პირველი წმინდა ფილოსოფიური ნაშრომი „დილეტანტიზმი მეცნიერებაში". ამ ნაშრომში მთელი სიმძლავრით გამოჩნდა გერცენის ჩამოყალიბებული, ორიგინალურად მოაზროვნე, მატერიალისტურად განწყობილი ფილოსოფიური ფიგურა. გერცენმა აქ მძლავრად აღიმაღლა ხმა მეცნიერებაში დოგმატიზმის და დილეტანტიზმის წინააღმდეგ, მკაცრად გააკრიტიკა გერმანული იდეალისტური ფილოსოფია, რომელსაც მაშინ რუსეთში მრავალი ბრმა თაყვანისმცემელიც ჰყავდა. სტატიების ეს რიგი შეიცავდა გაბედულ თავდასხმას რუსულ და ევროპულ დამყაყებულ საზოგადოებრივ აზრზე. ამიტომ კითხულობდნენ მას გატაცებით რუსი დემოკრატები. გერცენი თავის დღიურში წერდა ამ ნაშრომის შესახებ: „მას ან დაამახინჯებს ცენზურა, ან ამ სტატიას შეიძლება მოჰყვეს თავისი შედეგები — შესაძლებელია მესამე გადასახლება. მწარე იქნება მაგრამ მე მზადა ვარ. მე გავმაგრდი და დავვაჟკაცდი უკანასკნელ ხანებში". იმავე ჟურნალში 1845-1846 წლებში დაიბეჭდა გერცენის შემდეგი სახელგანთქმული ფილოსოფიური ნაშრომი „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ", სადაც მან მოგვცა ბუნების მატერიალისტური გაგება, გამოთქვა გენიალური აზრები მის დიალექტიკურ განვითარებაზე, განიხილა ფილოსოფიურ მოძღვრებათა გზა იონიელ მოაზროვნეთაგან ფრანგ მატერიალისტებამდე. ეს ნაწარმოები იყო ახალი ნაბიჯი გერცენის იდეურ ცხოვრებაში. იგი მტკიცედ დადგა მატერიალიზმის პოზიციაზე.[1]

---

[1] Из истории русской философии. Сборник статей, 1951, ვ3. 182.

გერცენის კალამს ამ პერიოდში, გარდა ფილოსოფიური თხზულებებისა, ეკუთვნის შესანიშნავი ბელეტრისტული ქმნილებანი, მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „ქურდი კაპკაპი“ და „ვინ არის დამნაშავე?“. პირველში გამოყვანილია ბეჩავი მდგომარეობა ყმა გლეხებისა, რომელთაგან მრავალი დაჯილდოებულია ხელოვანის ბრწყინვალე ნიჭით, მაგრამ ამ ნიჭის გაფურჩქვნის შესაძლებლობა დახშული აქვთ. ნაწარმოების გმირი ყმა-გლეხის ქალიშვილი ანეტა ბრწყინვალე არტისტია, პირველმა ბატონმა მას მისცა ამ ნიჭის გამოვლენის საშუალება, მაგრამ როცა ანეტა რუსეთში დაბრუნებული უკვე პროფესიონალი არტისტი ახალი ბატონის მფარველობაში გადავიდა, მისი ცხოვრება ტანჯვა-წამებად იქცა. ტლანქმა და უგულო ბატონმა მისი ხასად დასმა გადაწყვიტა, მაგრამ როცა თავისი განზრახვა ვერ აღასრულა, დაუწყო დევნა და უდროოდ სიცოცხლე მოუსპო. მეორე მოთხრობაში აღძრულია თავისუფალი სიყვარულის პრობლემა. გერცენის მოთხრობის მოქმედი პირები — კრუციფერსკი, მისი მეუღლე ლიუბანკა და კრუციფერსკის მეგობარი ვოლდემარ ბელტოვი შესანიშნავი ადამიანები არიან, მაგრამ თითოეული მათგანის ცხოვრება უკუღმართად მიმდინარეობს, დიდი ტანჯვით სრულდება. ვინ არის დამნაშავე მათს დაღუპვაში? ასეთი კითხვა აღიძვრის მკითხველის წინაშე და ავტორის მთელი თხრობა იძლევა უყოყმანო პასუხს: — დამნაშავეა თვით გარემო, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც არ იძლეოდა ენერგიის გამოყენების, ნიჭის გასაქანის შესაძლებლობას. 1847 წელს „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა გერცენის მოთხრობა „ექიმი კრუპოვი“, რომელიც წარმოადგენდა მახვილ პამფლეტს თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ.

1844—1845 წლებში ბრძოლა სლავოფილებსა და მედასავლეთეთა შორის მეტად მწვავე ხასიათს იღებს, თვით „მედასავლეთეთა“ ბანაკში როდია აზრთა ერთიანობა. გერცენი, მაგალითად, სერიოზულად ემიჯნება გრანოვსკის, რომელსაც სრულიადაც არ მოსწონს მატერიალისტი მოაზროვნის ცივი მოსაზრებანი „სულისა და სხეულის ერთიანობის“ შესახებ. გრანოვს-

კი უფრო და უფრო იხრება იდეალიზმისაკენ. მაშინ როცა გერცენი მატერიალიზმის ახალ-ახალ პოზიციებს იპყრობს. სლავოფილებთან და მედასავლეთეებთან გათიშვის შემდეგ გერცენის მეგობართა წრე თანდათან ვიწროვდება. დიდი მოაზროვნე, ამასთან, ვერ ურიგდება რუსეთის შეხუთულ ატმოსფეროს, მას გააჩნია დაუცხრომელი ენერგია, რომ ემსახუროს ხალხის კეთილდღეობას, მაგრამ რუსეთში ვერ ხედავს ასპარეზს ასეთი მოღვაწეობისათვის. იგი ვერ იღებს ნებართვასაც კი ჟურნალის გამოსაცემად. ამ ვითარებაში მას თანდათან ღრმად ეუფლება აზრი ევროპაში გამგზავრებისა. ამ დროს უკვე რუსეთამდეც აღწევდა ევროპის 1848 წლის რევოლუციის შორეული, მიწისქვეშ ხმაური. დიდი მოაზროვნე ფიქრობს, რომ ევროპაში გაფართოვდება მისი მოქმედების ჰორიზონტი, იქ გაშლის ფრთებს, იტყვის მართალ სიტყვას რუსეთის შესახებ და თავის ხალხს, რომელიც ეს-ეს არის იღვიძებს, დარაზმავს დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. გერცენს ამ პერიოდში სჯერა იმ ლამაზი სოციალისტური თეორიებისა, რომელიც ევროპაში იბადება. მას გულწრფელად სჯერა, რომ რევოლუციის ვულკანი ხმაურობს ევროპაში და ამ დიდ საკაცობრიო მიწისძვრისას სურვილი აქვს მოვლენათა შუა გულში იყოს. ასეთი ფიქრებით, ოცნებებითა და გეგმებით ტოვებს გერცენი რუსეთს და ევროპაში მიემგზავრება.

1847 წ. მარტში გერცენი პარიზში ჩავიდა. პარიზში ამ დროს იყვნენ მისი უნივერსიტეტელი მეგობრები ბაკუნინი, ხაზონოვი. პარიზის ხმაურმა და ბრწყინვალებამ გერცენი ვერ გააბრუა. პარიზში, მიუხედავად გარეგანი ბრწყინვალებისა, მან ამოიცნო მძაფრი სოციალური კონტრასტები, ბურჟუაზიის გათახსირება, მედასავლეთეთა ამ სანუკვარი წყობილების მანკიერი მხარეები. წერილებში მოსკოველი მეგობრებისადმი გერცენი გაბედულად იძლევა ბურჟუაზიული რეჟიმის მამხილებელ დახასიათებას, დასცინის ბურჟუაზიული „თანასწორობის" ფორმალობას, ამხელს ბურჟუაზიის ზნეობრივ დაცემას. 1847 წელს პარიზში ჩადის ავადმყოფი ბელინსკი, რომელიც ამ დროისათვის გერცენის სრული თანამოაზრეა რუსე-

თის ცხოვრებისა და ევროპის მოვლენათა შეფასებაში. „ქარიშ-ხლის წინ“ გერცენი ოჯახით მიემგზავრება იტალიაში, სადაც მოწმე ხდება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთებისა, მონაწილეობს იმ დემონსტრაციაში, რომელიც კონსტიტუციის გამოქვეყნების დღეს გაიმართა ნეაპოლიტანის მეფის სასახლის წინ. აქვე იღებს ცნობას საფრანგეთში რევოლუციის დაწყების შესახებ, იტალია მასზე ახდენს წარუშლელ შთაბეჭდილებას, რომელიც ამაღელვებლადაა გადმოცემული მეგობრებისადმი წერილებში.

პარიზიდან უფრო და უფრო მძლავრად ისმის რევოლუციის გუგუნი და გერცენი დიდი იმედებითა და ოცნებებით აღფურ-ვილი ბრუნდება რევოლუციის ქალაქში.

გერცენი საფრანგეთის რევოლუციის გულდამშვიდებული მჭვრეტელი არ ყოფილა. იგი უშუალოდ მონაწილეობდა საქა-ლაქო დემონსტრაციებში 13 ივნისს და შემთხვევით გადაურჩა რა კავენიაკის ჯალათებს, იძულებული გახდა მიეტოვებინა პა-რიზი. რევოლუციასთან იყო დაკავშირებული მისი იმედები, ოცნებანი მომავალზე, მაგრამ გაცრუვდა ეს ილუზიები. ფრან-გმა რევოლუციონერებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო სიმტკიცე და შეუპოვრობა, ხოლო მსხვილმა ბურჟუაზიამ არ დაიშურა ტყვიები. გერცენმა ამ პერიოდში შექმნა თავისი შესანიშნავი თხზულება „იმ ნაპირიდან“, სადაც აისახა მისი მძაფრი სულიე-რი ტკივილები, მისი თვალსაზრისი.

1848 წ. ივნისის შემდეგ გერცენს ჯერ კიდევ არ მიაჩნდა წაგებულად რევოლუციის საქმე. მართალია მას საბოლოოდ გაუცრუვდა იმედები ლიბერალურ ბურჟუაზიაზე, რომელიც ეთამაშებოდა რევოლუციას და დაღუპა იგი, მაგრამ არ გაცრ-უებია იმედები პროლეტარიატზე. იგი ისევ ელოდა ბარიკადებს და რუს მეგობრებს სწერდა, რომ ისინი შორიდან ისევ დაინა-ხავენ „ცეცხლის დაფიონს“, „შურისგებას“. მაგრამ არც ეს მოლოდინი გამართლდა. რეაქციის განმტკიცებამ, ნაპოლეონ მესამის დიქტატურამ გერცენის პესიმიზმი გააძლიერა „1849 წლის ეპილოგში“ იგი მწუხარებით აღნიშნავს, რომ „უკანასკ-ნელი იმედი, რომელიც მათბობდა, მხარში მედგა, — იმედი.

თავდავიწყებული, ველური შურისძიებისა, რომელიც, შეიძ-ლება არ იყო საჭირო, მაგრამ, რომელიც იმას მაინც დაამტკიცებდა, რომ თანამედროვეთ მკერდში გული უცემთ — გაჰ-ქრა".

1848 წლის რევოლუციის დამარცხებამ ევროპაში გერცენს გაუცრუა ის იმედები, რომელსაც ევროპის დემოკრატიაზე ამ-ყარებდა. ეს იყო ამავე დროს კრახი მისი ლამაზი სოციალის-ტური ოცნებებისა, ეს იყო მისი მძაფრი სულიერი დრამა.

ვ. ი. ლენინი წერს, რომ „გერცენის სულიერი კრახი, მისი ღრმა სკეპტიციზმი და პესიმიზმი 1848 წლის შემდეგ — ეს იყო კრახი ბურჟუაზიული ილუზიებისა სოციალიზმის მიმართ. გერცენის სულიერი დრამა იმ მსოფლიო-ისტო-რიული ეპოქის ნაყოფი და ანარეკლი იყო, როცა ბურ-ჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა უ კ ვ ე კვდებოდა (ევროპაში), ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევო-ლუციურობა ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ მომწიფებულიყო".[1]

მაგრამ როგორი იყო ის სოციალიზმი, რომელსაც გერცენი ქადაგებდა? ის იყო უტოპიური სოციალიზმის ნაირსახეობა. 1848 წლამდე მას სჯეროდა, რომ ხელისუფლება ყველა კლასის, მათ შორის, ბურჟუაზიის საკუთრება უნდა ყოფილიყო და სო-ციალიზმის პირველი ციტადელი ევროპაში აღიმართებოდა. 1848 წელმა ნათლად დაანახა ბურჟუაზიასა და მშრომელ მა-სებს შორის აღმართული სოციალური უფსკრული. ამიერიდან გერცენი წვრილბურჟუაზიული, გლეხური სოციალიზმის მოტ-რფიალე გახდა და რუსეთში დაინახა მისი განხორციელების ყველაზე ხელსაყრელი ვითარება. გერცენის აზრით სწორედ რუსეთს ჰქონდა იმისი შესაძლებლობა, რომ გვერდი აევლო კაპიტალისტური განვითარებისათვის და გლეხური თემიდან, სადაც ყველაზე უკეთ შემოინახა კოლექტივიზმის სულის-კვეთება, გადასულიყო სოციალიზმში, თუ განხორციე-ლდებოდა ბატონყმობის გაუქმება და გლეხობისთვის მი-წების გადაცემა. ცხადია, გერცენმა ვერ გაიგო მეცნ-ნიერული სოციალიზმის თეორია, რომელსაც მაშინ ევ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 13.

როპაში მტკიცე საძირკველი ეყრებოდა მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში, მან ვერ გაიგო აგრეთვე რუსული თემის ხასიათი, ბურჟუაზიული რევოლუციის ბუნება რუსეთში. მისი მცდარი შეხედულებანი რუსულ სოციალიზმზე საფუძვლად დაედო შემდეგში ნაროდნიკების მცდარ თეორიას.

ლენინი მიუთითებს: „გერცენმა, რომელმაც ვერ გაიგო 1848 წლის მთელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული არსი და მარქსამდელი სოციალიზმის ყველა ფორმა, მით უმეტეს ვერ გაიგო რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ბუნება“...[1]

„... გერცენის ამ მოძღვრებაში... სოციალიზმის ნასახიც არ არის“. „...მისი „სოციალიზმი“ ეკუთვნოდა 1848 წლის ეპოქაში არსებულ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის იმ უამრავ ფორმათა და ნაირსახეობათა რიცხვს, რომლებიც საბოლოოდ ჩაკლეს ივნისის დღეებმა, არსებითად ეს სრულებითაც არ იყო სოციალიზმი, არამედ ყოვლადკეთილი ფრაზა, კეთილი ოცნება, რომლითაც მოსავდა თავისი მ ა შ ი ნ დ ე ლ რევოლუციურობას როგორც ბურჟუაზიული დემოკრატია, ისე მისი გავლენისაგან გაუთავისუფლებელი პროლეტარიატი“.[2]

სწორედ ამ ხანებში ნიკოლოზ პირველის მთავრობამ გერცენს მტკიცედ მოთხოვა რუსეთში დაბრუნება. თუ გერცენი არ შეასრულებდა ამ მოთხოვნას მისთვის სამუდამოდ იკეტებოდა სამშობლოს კარები. გერცენის წინაშე მძიმე ალტერნატივი დაისვა. დაბრუნებულიყო რუსეთში — ეს იმას ნიშნავდა, რომ დადუმებულიყო ცოცხლად, რადგან რუსული ცენზურა და საპყრობილე არასოდეს არ მისცემდნენ მას საშუალებას ეთქვა სიმართლე ან ემოქმედა ხალხის საკეთილდღეოდ. მას მოქმედება სწყუროდა, მაგრამ, შეიძლება ეს მისი შეცდომა იყო, რუსეთში მოქმედ ძალებს ვერ ამჩნევდა.

გერცენის არჩევანი მისი პირადი ცხოვრებისათვის მეტად

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 13.
[2] იქვე, გვ. 12.

სამძიმო იყო. მან გადაწყვიტა დარჩენილიყო ევროპაში, ხოლო თუ ევროპაშიც ხელებს შეუკრავდნენ, გადასულიყო ამერიკაში, მხოლოდ იმისთვის, რომ რუსეთის კეთილდღეობისათვის ემუშავა, ეთქვა ის, რის თქმაც არ შეიძლებოდა რუსეთში, ამგვარად მან გაიღო დიდი პირადული მსხვერპლი, აირჩია სამუდამო განშორება მხოლოდ იმ მიზნით, რომ მთელი სიცოცხლე ებრძოლა მონატრებული სამშობლოს გასათავისუფლებლად. რუსი მეგობრებისადმი მიმართვაში („მშვიდობით") გერცენი ასე ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას: „დაუძლეველი ზიზღი და მძლავრი შინაგანი ხმა, რომელიც რაღაცას მპირდება, უფლებას არ მაძლევენ გადმოვაბიჯო რუსეთის საზღვრებს, განსაკუთრებით ახლა, როცა თვითმპყრობელობა, გაბოროტებული და შეშინებული ყოველივე იმით, რაც ევროპაში ხდება, გაორკეცებული გააფთრებით ახშობს ყოველგვარ გონებრივ მოძრაობას... მე შევეჩვიე თავისუფალ სიტყვას და არ შემიძლია კვლავ ყმად ვიქცე"... „საჭირო რომ იყოს თავგანწირვა საერთო საქმისთვის — მაშინ ძალა შეყოფოდა. მაგრამ სადაა ამ მომენტში ჩვენი საერთო საქმე? თქვენ სახლში არ გაქვთ ნიადაგი, რომელზედაც შეუძლია დადგეს თავისუფალი კაცი. შეგიძლიათ განა ამის შემდეგ მომიწოდოთ?.. ბრძოლაში? — წავიდეთ! ყრუ წამებაში, უნაყოფო სიჩუმეში, მორჩილებაში — არავითარ შემთხვევაში!"... „მე ვრჩები აქ... იმისთვის, რომ ვიმუშაო... აქ მე არ მაქვს სხვა საქმე გარდა ჩ ვ ე ნ ი საქმისა. აქ მე — თქვენი ცენზურის გარეშე სიტყვა, თქვენი თავისუფალი ორგანო, თქვენი შემთხვევითი წარმომადგენელი ვარ"... — გულისტკივილით წერდა გერცენი.

ჩვენი განშორება კიდევ დიდხანს გაგრძელდება —მიმართავს გერცენი რუს ამხანაგებს — შეიძლება სამუდამოც იყოს. ახლა მე არ მსურს დავბრუნდე, შემდეგ შესაძლებელი იქნება თუ არა ეს, არც ის ვიცი. არა ჩემო მეგობრებო, მე არ შემიძლია გადავაბიჯო ამ თვითნებობის, გარინდების, უკვალოდ დაღუპვის, პირში ცხვირსახოცგაჩრილის წვალების სამეფოში. გთხოვთ თუ შეიძლება არ შეცდეთ. არა სიხარულმა, არა დასვენებამ, არა პირადმა უშიშროებამ მომიყვანოს მე აქ. რატომ

ვრჩები? ვრჩები იმიტომ, რომ აქ ბრძოლაა, რომ მიუხედავად სისხლისა და ცრემლებისა, აქ ხდება საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტა...

გერცენი თავისი სიტყვის ერთგული დარჩა. რუსეთის მძაფრი სოციალური ძვრების მთელ პერიოდში ემიგრაციაში გადახვეწიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი ტიტანური ძალით ებრძოდა რუსეთის ბატონყმობას და თვითმპყრობელობას. მისი მძლავრი ზარი სახალხო რევოლუციისაკენ მოუხმობდა რუსეთის მშრომელებს, იგი ყველგან, ყველა შემთხვევაში იცავდა რუსეთის დემოკრატიის ღირსებას. ამ ბრძოლაზე ჩვენ შემდეგ, 60-იანი წლების რუსეთის მოვლენებთან კავშირში ვისაუბრებთ.

ბ. ბ. ბელინსკი

დიდ რუს მოაზროვნეს და რევოლუციონერ-დემოკრატს ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკის სამართლიანად უწოდებენ ორმოციანი წლების რუსეთის ფიქრთა მპყრობელს. მის ხანმოკლე, დაუცხრომელ, მღელვარებით აღსავსე ცხოვრებაში ძალიან ცოტა იყო პირადული და სასიხარულო, იგი შეეწირა თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას და მომავალ თაობას დაუტოვა დემოკრატიული აზროვნების უმდიდრესი სალარო, რომელმაც გააღრმავა მისი მომდევნო თაობის ცოდნა ბუნებისა, საზოგადოებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ.

ჯერ კიდევ 1859 წ. ბელინსკის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემის გამო დობროლიუბოვი წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „რუსეთის ყველა კუთხეში არიან ამ გენიალური ადამიანისადმი ენთუზიაზმით განმსჭვალულნი და რასაკვირველია, ისინი რუსეთის საუკეთესო ადამიანებს წარმოადგენენ. ბელინსკის რომ ეკითხულობდით, გვავიწყდებოდა ყოველივე წვრილმანობა და უხამსობა, რაც გარშემო გვერტყა. ჩვენ ვოცნებობდით სხვა ადამიანებზე, სხვა მოღვაწეობაზედ და გულწრფელად ვიმედოვნებდით, რომ ოდესმე შევხვდებოდით

ასეთ ადამიანს. ჩვენ აღტაცებული ვდებდით პირობას ასეთი მოღვაწეობისათვის შეგვეწირა მთელი სიცოცხლე".

ბელინსკი 1811 წელს დაიბადა ქ. სვეაბორგში სამაზრო ექიმის ოჯახში. მისი მშობლები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ და ბესარიონმა ბავშვობიდანვე იწვნია ცხოვრების სიმძიმე, სიღარიბე, ოჯახური აყალ-მაყალი. ბელინსკი ჯერ ჩემბარის სამაზრო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ პენზის გიმნაზიაში გადაიყვანეს. ოჯახური პირობების გამო იგი ხშირად აცდენდა მეცადინეობას, მაგრამ ძალზე ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით რუსულ და დასავლურ ლიტერატურას და მიუხედავად იმისა, რომ გიმნაზიიდან გარიცხეს, სწავლის წყურვილმა მიიყვანა მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც 1829 წელს ჩააბარა გამოცდა და ჩაირიცხა სიტყვიერების ფაკულტეტზე.

მოსკოვის უნივერსიტეტი პროვინციელი ბელინსკისათვის, რომელსაც მანამდე გარდა ოჯახური კონფლიქტისა, სამაზრო ქალაქის მოსაწყენი ერთფეროვნებისა, გონებაჩლუნგი მოხელეების უხეშობისა და დაბეჩავებული ხალხის მდუმარებისა არაფერი უნახავს, წარმოადგენდა სრულიად ახალ სამყაროს, სიცოცხლის დაუცხრომელ მაჯისცემას, აზრის შეუპოვარ ჭიდილის ცენტრს, ნიჭისა და უნარის გამოვლინების საუკეთესო საშუალებას. მას სულითა და გულით მოეწონა ყველაფერი აქაური, რაზედაც საზეიმო ტონით სწერდა თავის მშობლებს.

ბელინსკი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტში სტუდენტთა საწრეო მუშაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი გახდა. აქ დაეწაფა იგი მთელი მონდომებით ფილოსოფიური სისტემების შესწავლას, რაშიდაც ბრწყინვალე ნიჭი და უნარი აღმოაჩნდა.

უნივერსიტეტის კედლებში დაიწყო ბელინსკის ინტელექტუალური ჩამოყალიბება, აქ გამოვლინდა ბავშვობის წლებში დაგუბებული ბოღმა და სიძულვილი არსებულ რეჟიმისადმი. პირველ ნაწარმოებში, მხატვრულად სუსტ, მაგრამ პოლიტიკურად მახვილ დრამაში (დიმიტრი კალინინი) ბელინსკიმ აღიმაღლა მკაცრი პროტესტის ხმა იმათ წინააღმდეგ, რომლე-

ბიც უსამართლოდ და უხეშად ქელავდნენ მათ მსგავს ადამიანთა უფლებებს და სვამდნენ მათ სისხლსა და ცრემლებს.

ასეთი აზრებისათვის ბელინსკი უნივერსიტეტიდან გარიცხეს. ამ დროიდან დაიწყო მისი შეუპოვარი ბრძოლა არსებობისათვის, ლუკმა პურისათვის. იგი არ თაკილობდა არავითარ საქმეს, ეწეოდა შავ ლიტერატურულ მუშაობას, ასწორებდა კორექტურას, ფრანგულიდან თარგმნიდა მოდურ რომანებს, ხშირად შიმშილობდა კიდეც, მაგრამ დაუცხრომლად მეცადინეობდა მაინც, აფართოებდა თავის გონებრივ ჰორიზონტს და დიდი ბრძოლისთვის ემზადებოდა.

1833—1836 წლებში ბელინსკი ნადეჟდინის ჟურნალ „ტელესკოპში" და მის დამატება „მოლვაში" მუშაობდა. ამ პერიოდში უკვე ჩამოყალიბდა მისი პირველი შეხედულებანი რუსეთის ლიტერატურულ ცხოვრებაზე, რაც აისახა კიდეც სტატიაში „ლიტერატურული ოცნებანი". ეს სტატია 1834 წელს გამოქვეყნდა „მოლვაში" და მიიქცია ლიტერატურული წრეების საერთო ყურადღება. რეაქციის ბანაკიდან ბელინსკის მკაცრი თავდასხმით უპასუხეს. მეგობრები მიესალმნენ.

რევოლუციურად მოაზროვნე თაობამ ბელინსკის სახით დაინახა ორიგინალური, ღრმა მოაზროვნე, რომელსაც ჰქონდა დიდი ლიტერატურული ალღო, ფაქიზი გემოვნება და ლიტერატურული ნაწარმოების სიღრმეში ჩაწვდომის უნარი. ბელინსკიმ, აქ მართალია, მეტად სკეპტიკურად შეხედა რუსული ლიტერატურის აწმყოს და წარსულს, მაგრამ პირველად რუსეთის სინამდვილეში მკაცრად განსაჯა ლიტერატურის მიერ განვლილი გზა, გამოამზეურა ბევრი, თითქმის უკვე აღიარებული მწერლის უნიჭობა, ამავე დროს უწინასწარმეტყველა რუსეთს ბრწყინვალე ლიტერატურული მომავალი.

„ლიტერატურულ ოცნებებს" მოჰყვა ბელინსკის ბრწყინვალე კრიტიკული სტატიები, სადაც მან არა მარტო შეაფასა გოგოლის პროზა, ბენედიქტოვის, კოლცოვის პოეზია, არამედ წამოაყენა მეტად ორიგინალური, ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებანი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

ბელინსკი ამ დროს გერმანული ფილოსოფიით იყო გატაცე-

ბული. მან შეისწავლა გერმანელი ფილოსოფოსების შელინგის, ჰეგელის მსოფლმხედველობა. განსაკუთრებით გაიტაცა ჰეგელმა, რომლის გავლენა დაეტყო კიდეც მის ნაშრომებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, სადაც იგი იცავდა აზრს, რომ ყველაფერი, რაც ამ ქვეყნად არსებობს, უსაზღვრო მსოფლიო სულის განსაზღვრული გამოვლინებაა, ხოლო ხელოვნება ამ გამოვლინების უმაღლესი ფორმა.

1836 წლამდე ბელინსკი ნადეჟდინის ჟურნალში მუშაობდა, მაგრამ როცა ჩაადაევის წერილის გამო მთავრობამ ეს ჟურნალი აკრძალა, დიდი კრიტიკოსი ისევ ულუკმაპუროდ დარჩა. იგი შიმშილობდა და არსებობის შენარჩუნებისთვის შემთხვევით საქმეებს აკეთებდა. მხოლოდ 1838 წელს შეძლო მან დაეწყო მუშაობა ჟურნალ „მოსკოვსკი ნაბლუდატელში". აქ მან მიიზიდა თავისი მეგობრები სტანკევიჩი, ბაკუნინი, აქსაკოვი, ა. კოლცოვი და სხვები. ჟურნალში გამოქვეყნდა მრავალი კრიტიკული სტატია და დრამა „ორმოცდაათწლიანი ბიძია ანუ უცნაური სენი". ჟურნალი ბელინსკის მატერიალურად არაფერს აძლევდა. იგი იძულებული გახდა ეძია სხვა წყარო არსებობისათვის. შემოდგომაზე მიაღწია ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის" რედაქციაში მოწყობას და აქ სათავეში ჩაუდგა კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებას. ენერგიის მთელი დაძაბვით მუშაობდა იგი აქ და ჟურნალი ერთერთ საუკეთესო გამოცემად გადააქცია მთელს რუსეთში. ამ პერიოდს ეკუთვნის მკვეთრი გარდატეხა ბელინსკის იდეურ ცხოვრებაში, მისი გამოღვიძება იმ სიზმარეულიდან, რომლის მოგონებაც კი შემდეგ ზიზღს გვრიდა. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი" 1840—46 წლებში, ვიდრე მასში თანამშრომლობდა ბელინსკი რუსეთის რევოლუციური თაობის მესიტყვედ იქცა. მოუთმენლად ელოდნენ ჟურნალის გამოსვლას, ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს ახალგაზრდები და გატაცებით კითხულობდნენ ბელინსკის, რომლის სტატიებიდან ჭქროდა რევოლუციური სული, მოედინებოდა მატერიალისტური, სოციალისტური, ათეისტური აზრების ნაკადი.

ჟურნალში დაძაბულმა მუშაობამ მეტისმეტად ნატანჯი ბე-

ლინსკის ისედაც სუსტი ჯანმრთელობა გაანადგურა. მატერიალურად იგი კვლავ ნაკლოვანებას განიცდიდა. ჟურნალის გამომცემელ-რედაქტორი კრაევსკი უსინდისოდ ყვლეფდა მას და გროშებს აძლევდა. ბელინსკი სამუშაოდ გადავიდა „სოვრემენიკში“. აქ მისი მდგომარეობა ნეკრასოვის მზრუნველობით გაუმჯობესდა, მაგრამ ბელინსკი მოტყდა. 1846 წლის ზაფხული მან რუსეთის სამხრეთში გაატარა, ხოლო 1847 წ. გაზაფხულზე სამკურნალოდ გაემგზავრა ევროპაში.

ამ დროს ბელინსკი მთელს რუსეთში სახელგანთქმული რევოლუციურად მოაზროვნე თაობის პოლიტიკურ ბელადად იყო აღიარებული. თვითმპყრობელობა ამზადებდა მისთვის ანგარიშ-გასწორებას. III განყოფილებაში შესული დასმენები ბელინსკიზე მიუთითებდნენ, რომ იგი მეამბოხური, კომუნისტური სულისკვეთებით განაწყობდა ახალგაზრდობას. დიდ კრიტიკოსს მოელოდა შლისელბურგის კაზემატი, მაგრამ ბელინსკი, ამ დროს უკვე უკურნებელი სენით შეპყრობილი, ლოგინად იყო ჩავარდნილი. 1848 წ. 26 მაისს, ევროპაში რევოლუციური ქარიშხლების დღეებში, რასაც ასე შენატროდა დიდი მოაზროვნე, იგი გარდაიცვალა.

ბელინსკის იდეური ცხოვრება დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიებით ხასიათდება. ამ ძიების გზაზე მას ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ბელინსკიმ საბოლოოდ დაძლია ისინი და რუსეთის რევოლუციური იდეოლოგიის საგანძური გაამდიდრა უმდიდრესი შენატანით, რამაც მას საბოლოოდ დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის, განმანათლებლის, მატერიალისტი ფილოსოფოსის ადგილი დაუმკვიდრა.

თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში (1840 წლამდე) ბელინსკი, როგორც აღვნიშნეთ, გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის გავლენას განიცდიდა. განსაკუთრებით გაიტაცა იგი ჰეგელმა და მისი მრავალი მომემარცხენო მიმდევარის მსგავსად, იზიარებდა აბსოლუტური სულის ყოვლისშემძლეობის გაგებას. მაგრამ ჰეგელის მრავალი მიმდევრისაგან განსხვავებით იგი ყურადღებას ამახვილებდა ამ მარადიული იდეის დაუსრულებელ მოძრაობაზე, განვითარებაზე. „ამ იდეისთვის

— წერდა იგი — არაა მოსვენება. იგი ცოცხლობს განუწყვეტლივ, ესე იგი ჰქმნის განუწყვეტლივ, რომ დაანგრიოს და ანგრევს, რომ შექმნას. იგი განსხეულებულია ბრწყინვალე მზეში, უმშვენიერეს პლანეტაში, მოციალე კომეტაში; იგი ცოცხლობს და სუნთქავს, — ზღვათა მქუხარე მოქცევასა და უკუქცევაში, უდაბნოს სასტიკ ქარბურქშიც, ფოთლების შრიალშიც, მდინარეთა ბუტბუტშიც, ლომის ღრიალშიც, ყრმის ცრემლებშიც, სილამაზის ღიმილშიც, ადამიანის ნებისყოფაშიც და გენიის მწყობრ ქმნილებებშიც...“ სიკვდილი ანადგურებს სიცოცხლეს, სიცოცხლე სპობს სიკვდილს, ბუნების ძალები იბრძვიან, მტრობენ ერთმანეთს და ისევ მშვიდდებიან შუალობითი ძალებით და ჰარმონია სუფევს ამ მარადიულ (დუღილში) საწყისებისა და ნივთიერებათა ამ ბრძოლაში. ასე—„იდეა ცოცხლობს: ჩვენ ნათლად ვხედავთ მას ჩვენი სუსტი თვალებით“.— წერდა ბელინსკი. როგორც ვხედავთ, იგი ცდებოდა, მაგრამ ინტუიციით ესმოდა დიალექტიკის არსი, პროგრესი და მისი ძალა.

ბელინსკი ამ პერიოდში რუსეთის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას მის ლიტერატურასა და ხელოვნებას იდეალისტური პოზიციებიდან იხილავდა. იგი, მაგალითად, იზიარებდა მავნე თეზისს „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ და მიუთითებდა, რომ პოეზია მხოლოდ პოეზიისთვის არსებობს, უარყოფდა ხელოვნების საზოგადოებისადმი სამსახურს. მიუთითებდა, რომ თუ ხელოვანი თავის შემოქმედებაში ამა თუ იმ პოლიტიკური, ან სოციალური მოვლენის გამართლებას დაისახავს, მაშინ ნამდვილი პოეზია მოკვდება .მის შემოქმედებაში, იგი ტენდენციურ ნაძალადევ სუბიექტური ჭკუის ნაკარნახევ შემოქმედებად გადიქცევაო.

ბელინსკი იზიარებდა ჰეგელის ცნობილ ფორმულას —ყველაფერი რაც ნამდვილია, გონიერია. ამ ფორმულით, მაგალითად, იგი ამართლებდა და გონივრულს უწოდებდა ნიკოლოზისეულ რეჟიმს, — თვითმპყრობელობას და ბატონყმობას, რადგან იგი ნამდვილად არსებობდა. „აბსოლუტური მორჩილება მეფის ხელისუფლების წინაშე არამც თუ სასარგებლო და

საჭიროა, არამედ ამაშია ჩვენი ცხოვრების უმაღლესი პოეზია, ჩვენი ხალხურობა, თუ ამ ხალხურობას ჩვენ გავიგებთ, როგორც კერძო ინდივიდუმთა შეერთებას სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და დამოუკიდებლობის საზოგადო შეგნებაში" — წერდა იგი „ბოროდინოს ბრძოლის ნარკვევებში". ბელინსკის მცდარად ჰქონდა წარმოდგენილი რუსული ცხოვრების შინაარსი, იგი მაშინ ვერ ამჩნევდა ქვეყნის მებრძოლ ძალებს, ნაადრევად თვლიდა პოლიტიკურ ბრძოლას და მთავარ დანიშნულებას პროგრესული ძალებისა ხალხის განათლებაში ხედავდა. ბელინსკის შემოქმედების ამ პერიოდის ძირითადი კონცეფცია, რათქმა უნდა, მცდარია და მიუღებელი, მაგრამ ამ პერიოდშიც, ამ დებულებათა გვერდით გვხვდება მრავალი ორიგინალური და გენიალური მოსაზრება, რომლებიც ამ იდეალისტურ ჩენჩოში მარგალიტებად იყო გაბნეული.

ბელინსკის იდეურ გარდაქმნას ხელი შეუწყო რუსეთის მკაცრ სინამდვილეზე უფრო ღრმა დაკვირვებამ, დასავლეთის რევოლუციური თეორიების, მათ შორის უტოპიური სოციალიზმის შესწავლამ, გერცენთან სიახლოვემ. გერცენთან მეგობრული შეხვედრები, მასთან კამათი ბელინსკის თანდათანობით არწმუნებდა მისი მოსაზრებების ცალმხრივობასა და უკიდურესობაში.

ბელინსკიმ თანდათან დაძლია იდეალიზმი, გადალახა ჰეგელი, ბრძოლა გამოუცხადა მის სქოლასტიკურ დასკვნებს, მის შერიგებას პრუსიულ სინამდვილესთან. 1840 წ. 11 დეკემბერს ბოტკინისადმი წერილში ბელინსკი თვით ჰკიცხავს საკუთარ შეცდომებს. „ეშმაკმა იცის, როცა დაფიქრდები, როგორი ზიგზაგებით ხორციელდებოდა ჩემი განვითარება, როგორი საშინელი დაბნეულობის ფასად ვიყიდე მე ჭეშმარიტება და როგორი მწარე ჭეშმარიტება — რომ ყველაფერი ქვეყანაზე საზიზღარია და განსაკუთრებით ჩვენს გარშემო"... ვწყევლი ჩემს შავბნელ მისწრაფებას შევრიგებულიყავ შავბნელი სინამდვილისადმი. ღმერთო ჩემო, საშინელია იმაზე ფიქრიც კი, თუ რა მემართებოდა, ციებ-ცხელება თუ ტვინის შერყევა — ახლა მე გამოჯანმრთელებული ვარ". — მე საშინლად გამოვიცვა-

ლე, — წერდა იგი ბოტკინს — მაგრამ ამისი სრულიადაც არ მეშინია, თანდათან ზურგს ვაქცევ უხამს სინამდვილეს, სულში ვგრძნობ მეტ სიცხოველეს და ენერგიას, მეტ მზადყოფნას მოვკვდე ჩემი რწმენისთვისო.

...მე დიდი ხანია ვფიქრობდი, რომ ჰეგელის ფილოსოფია ვხოლოდ მომენტია, მისი შედეგების აბსოლუტურობა არაფრის მაქნისია, სჯობს მოკვდეს კაცი, ვიდრე მას შეურიგდეს. კარგი რამ ყოფილა თქვენმა მზემ პრუსიის მთავრობა! რა დიდი ჩიჩინი უნდა: არამზადები არიან, კაცობრიობის ტირანები და სხვა არაფერი. პრუსიის მთავრობა თავისუფლების და გონებით ჯალათების სამთა კავშირის წევრია, ესეც შენი ჰეგელი".

ამ იდეურმა გამოღვიძებამ 1841 წლიდან თვალსაჩინო ასახვა პოვა ბელინსკის მთელს შემდგომ სოციალ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებებში, იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც მატერიალისტი და რევოლუციონერ-დემოკრატი.

ბელინსკიმ პირველ ყოვლისა მკაცრად დაჰგმო რუსეთის მაშინდელი სინამდვილე, შეიზიზღა თვითმპყრობლური დესპოტიზმი, ბატონყმობაში მან დაინახა კაცობრიობის სამარცხვინო სენი და რუსეთის მთელი ცხოვრების ძირითად საკითხად გამოაცხადა მისი დაუყოვნებლივ მოსპობა. ბელინსკიმ ნათლად დაინახა არა მარტო ბატონყმობის, არამედ კაპიტალისტური წყობილების საშინელება, მეოცასავლეთეთა მიერ ხოტბაშესხმული ბურჟუაზიული დემოკრატიზმის სიყალბე. მის პოლიტიკურ იდეალად გადაიქცა სოციალიზმი. „და ასე, ახლა მე ახალ უკიდურესობაში ვარ — წერდა იგი ბოტკინს 1841 წ. 8 სექტემბერს — ესაა სოციალიზმის იდეა, რომელიც ჩემთვის იქცა იდეათა იდეად, არსის არსად, საკითხთა საკითხად, რწმენის და ცოდნის ალფად და ომეგად. ყველაფერი მისგანაა, მისთვისა და მასშია. ისაა საკითხი და საკითხის გადაწყვეტა. მან (ჩემთვის) ჩაჰყლაპა ისტორიაც, რელიგიაც, ფილოსოფიაც. და ამიტომაც მისით ვხსნი მე ცხოვრებას ჩემსას, შენსას და ყველასას, ვისაც კი შევხვედრივარ ცხოვრების გზაზეო. სოციალიზმის იდეით ღრმად განმსჭვალულმა ბელინსკიმ კაცობრიო-

ბის მომავალი წარმოადგინა იმ სოციალური ჩაგვრის, ადამიანის მიერ ადამიანის დამცირებისა და გაქელვის გარეშე, რაც მის გარშემო ხდებოდა რუსეთში და ბურჟუაზიულ ევროპაში. „დადგება დრო—წერს იგი, მე ღრმად მწამს ეს, დადგება დრო, როცა არავის არ დასწვავენ, არავის არ მოკვეთენ თავს... ქალი არ იქნება საზოგადოების და მამაკაცის მონა... არ იქნებიან ბდიდრები, არ იქნებიან ღარიბები, არც მეფეები და ქვეშევრდომები, მაგრამ იქნებიან ძმები, იქნებიან ადამიანები... ჩემში განვითარდა რაღაც ველური, გახელებული, ფანტასტიკური სიყვარული ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ სიმართლესა და ქველობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაშიო“.

ბელინსკის სიყვარული სოციალიზმისადმი, მისი უტოპიური წარმოდგენა მომავალ სოციალისტურ ქვეყანაზე, განსხვავდებოდა დასავლეთის უტოპიური სოციალიზმისაგან იმით, რომ იგი შერწყმული იყო რევოლუციურ-დემოკრატიზმში. თუ დასავლეთელ უტოპისტებს სენ-სიმონს, ფურიეს, რობერტ ოუენს მიაჩნდათ, რომ ეს იდეალური წყობილება მშვიდად, ადამიანთა შეგნების შედეგად მოევლინებოდა ხალხებს, ბელინსკი ფიქრობდა, რომ სოციალიზმისათვის საჭირო იყო ხალხების ბრძოლა, საჭირო იყო სიტყვის ორლესული მახვილი და რობეს-პიერებისა და სენ-ჟიუსტების საქმეები, საჭირო იყო ათასების სისხლი, ესე იგი საჭირო იყო დიდი გლეხური რევოლუცია. ბელინსკის მიაჩნდა, რომ ადამიანთა საზოგადოების ისტორია არაა ნევის პროსპექტი, რომ წინსვლა ისტორიაში ძნელად დასაძლევი ბილიკებით ხორციელდება, რომ დიდ პროგრესს სჭირია დიდი მსხვერპლი, დიდი ძალადობანი და გადატრიალებანი.

აქვე შევნიშნავთ, რომ ბელინსკის მრავალი ბრწყინვალე დაკვირვება აქვს ადამიანთა საზოგადოების ისტორიაზე საერთოდ და რუსეთის ისტორიაზე კერძოდ. იგი იცნობდა კიდეც მარქსის პირველ შრომებს და მათ, როგორც ეს გერცენისადმი 1845 წ. მიწერილ წერილიდან ჩანს, დიდად აფასებდა, მაგრამ ბელინსკის, რუსეთის მაშინდელ ვითარებაში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა პროლეტარიატი და გაჩაღებული არ ყოფი-

ლა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ანტაგონისტური ბრძოლა, არ შეეძლო ამაღლებულიყო ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე, მეცნიერულ სოციალიზმამდე. ბელინსკის არ ჰქონდა წარმოდგენა პროლეტარულ რევოლუციაზე, მისი სოციალიზმი მხოლოდ ლამაზი ფრაზები, განუხორციელებელი ოცნება იყო.

ორმოციან წლებში ბელინსკი ჩამოყალიბდა როგორც მტკიცე მატერიალისტი, ამას ხელი შეუწყო ამ პერიოდის აღმოჩენებმა გეოლოგიაში, პალეონტოლოგიაში, ზოოლოგიასა და ბიოლოგიაში. თვით რუსეთს, როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავს, უკვე გააჩნდა სოლიდური მატერიალისტური ტრადიციები ისეთ მოაზროვნეთა სახით, როგორიც იყვნენ ლომონოსოვი, რადიშჩევი, გერცენი.

ბელინსკი მატერიალისტური პოზიციებიდან აშუქებს ყოფიერებისა და აზროვნების დამოკიდებულებას, მიაჩნია რომ, ბუნება წარმოადგენს გამოსავალ საწყისს, რომ მატერია პირველადია. მას მიაჩნია, რომ აზროვნება წარმოადგენს მატერიალურ სუბსტრაქტს, ტვინის ნაყოფს, რომ მასში არფერია არაბუნებრივი, ზეციური. თვით ადამიანი მისი აღიარებით ბუნების ქმნილებაა და არა ღვთის ნაყოფი.

ბელინსკის მატერიალიზმი არ ყოფილა სრულყოფილი, დასრულებული. მას ახასიათებდა ცალმხრივობა, ანთროპოლოგიზმის გავლენა. მატერიალისტური შეხედულებანი ბელინსკიმ ვერ მიუყენა ისტორიული პროცესის ახსნას. აქ იგი ისევ იდეალისტად დარჩა. მიუხედავად ამისა, ბელინსკის მატერიალიზმი წარმოადგენდა გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ მისწრაფებათა გამოხატულებას. იგი 40-იანი წლების რუსეთის ვითარებაში გულისხმობდა ულმობელ შეტევას არა მარტო თვითმპყრობელობის რეაქციულ კლერიკალიზმზე, არამედ სლავოფილებისა და მედასავლეთეების რელიგიურ შეხედულებებზე, რომლებიც საზოგადოებრივი მოვლენის ახსნისას საფუძველს ღვთის ყოვლისშემძლეობაში ეძებდნენ.

40-იანი წლების შემდეგ მწყობრ რევოლუციურ თეორიად ჩამოყალიბდა ბელინსკის ესთეტიკური შეხედულებანი. ბელინსკიმ ხელოვანის, მწერლის მთავარ მოვალეობად აღიარა

საზოგადოებისადმი სამსახური და დაგმო „ხელოვნების ხელოვნებისთვის“ უშინაარსო, იდეალისტური თეზისი, უაზროზად გამოაცხადა იგი. „ვინც ხელოვნებას ართმევს უფლებას ემსახუროს საზოგადოებრივ ინტერესებს, ის კი არ ამაღლებს, არამედ ამდაბლებს ხელოვნებას, ვინაიდან ის აცლის ხელოვნებას ყველაზე უფრო მაცოცხლებელ ძალას, ე. ი. აზრს და აქცევს ხელოვნებას რაღაც სიბარიტული განცხრომის საგნად და უსაქმო ხარაბუზების გასართობად“.. მხოლოდ ჩიტი გალობს იმიტომ, რომ გალობა მას მოეწადინა, გალობს თავისი თანამოძმე ჩიტების მწუხარებისა და სიხარულისადმი ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე“, მაგრამ „პოეტი უწინარეს ყოვლისა არის კაცი, შემდეგ კი თავისი ქვეყნის მოქალაქე, ამიტომ ის დროს უნდა ემსახურებოდეს“ — ამბობს ბელინსკი.

ბელინსკის ამ დროის თხზულებებში, მიუხედავად იმისა, რომ იგი 100 წლის წინად იწერებოდა, მოცემულია მრავალი მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულება ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, მოცემულია ისეთი აღმოჩენები, რომელსაც უყოყმანოდ იზიარებს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა.

ბელინსკისთვის ბრძოლა ნატურალიზმის და ფორმალიზმის წინააღმდეგ ხელოვნებაში, ორგანულად იყო შერწყმული თავისი საუკუნის გამათავისუფლებელ ბრძოლასთან, რომლის ცენტრში 40-იან წლებში იდგა ეს დაუცხრომელი მოაზროვნე.

ბელინსკი გმობდა რა ხელოვნების ცალმხრივ გაგებას, ხელოვნებაში სილამაზის თვითმიზნად გამოცხადებას, წერდა, რომ „ჩვენი ეპოქა განსაკუთრებით ემტერება ხელოვნების ასეთ მიმართულებას; იგი გადაწყვეტილად უარჰყოფს ხელოვნებას ხელოვნებისთვის, სილამაზეს სილამაზისთვის“.

ბელინსკიმ შესანიშნავად გაიგო ნამდვილი, თავისუფალი შემოქმედების ბუნება, მისი ხასიათი. „შემოქმედების თავისუფლება — წერდა იგი — ადვილად უთავსდება თანამედროვეობის სამსახურს. ამისთვის არაა საჭირო აიძულო თავისთავი წერო ასეთ თემებზე. შებოჭო ფანტაზია; ამისთვის საჭიროა მხოლოდ იყო მოქალაქე, შენი საზოგადოების და შენი ეპოქის შვილი, შეისისხლხორცო მისი ინტერესები, შეუწყო შენი მის-

წრაფებანი მის მისწრაფებებს. ამისთვის საჭიროა სიმპათია, სიყვარული, ჯანსაღი პრაქტიკული გრძნობა ჰეშმარიტებისა, რომელიც არ განაცალკევებს რწმენას საქმისაგან, შემოქმედებას ცხოვრებისაგან".

ბელინსკის ამ დროის ლიტერატურული წერილები, რომლებიც პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ტურგენევის, გონჩაროვის, გერცენის და სხვ. შემოქმედებას შეეხებოდნენ, თამამად მიუთითებდნენ ლიტერატურის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე და ამ საზოგადოებაში თითოეული მათგანის შეტანილ წვლილზე, შეიცავდნენ არა მარტო წმინდა ლიტერატურულ ანალიზს, არამედ ორიგინალურ ფილოსოფიურ აზრებს, რუსული ცხოვრების უმკაცრეს კრიტიკას რევოლუციური პოზიციებიდან, რუსეთის მომავლის გენიალურ განჭვრეტას.

ბელინსკის იმ მძაფრ იდეურ ბრძოლაში, რომელიც XIX საუკ. 40-იან წლებში გაჩაღდა რუსეთის ინტელიგენციაში, მთავარი საცეცხლე პოზიცია ეკავა და ულმობლად აკრიტიკებდა როგორც სლავოფილთა ნაციონალიზმს, ისე მედასავლეთეთა კოსმოპოლიტიზმს. მას სასაცილოდაც არ ყოფნიდა სლავოფილების თვითკმაყოფილება რუსეთის ცხოვრების ორიგინალობის შესახებ, რუსული თემის რაღაც საგანგებოდ მოვლენილ ბედნიერებად გამოცხადება, ზურგშექცევა დასავლეთისაკენ, მისი გახრწნილებად, ლეშად აღიარება.

როგორ შეიძლება წერო და ბეჭდო ასეთი რამ ქრისტეს დაბადებიდან 1841 წელს? ევროპა საფსეა ფარული შხამით, ის მომავალი ლეშია, რომელსაც უკვე სუნი უდის? ეს ხომ ცილისწამებაა ყოველგვარი მეცნიერებისადმი, ყოველგვარი სიცოცხლისადმი, ადამიანურისადმი, კაცობრიობის პროგრესისადმი? აღნიშნავდა იგი.

მაგრამ ბელინსკი სრულიადაც არ იყო მოხიბლული ყოველივე ევროპულით, ისე როგორც მოხიბლული იყვნენ ბურჟუაზიულ-ლიბერალები. მას, მედასავლეთეთა საპირისპიროდ, მიაჩნდა, რომ რუსეთს აქვს თავისი ნაციონალური ცხოვრება, ჰყავს თავისი მძლავრი ძალები და ამ ძალებით შეუძლია დიდი

საკაცობრიო იდეების განხორციელება. ბელინსკი სასტიკად დასცინოდა დასავლეთის წინაშე მონურ ქედმოხრას, დასცინოდა ნიჰილისტებს, ანტიპატრიოტებს, რომელთაც კაცობრიობის უპასპორტო მაწანწალებს, გულცივ სკეპტიკოსებს უწოდებდა.

ამ ბრძოლაში ბელინსკისათვის არ არსებობდა არაფერი პირადული. იგი ყველაფერს ზომავდა სამშობლოსათვის სარგებლიანობის თვალსაზრისით. იგი ულმობელი იყო ყველას მიმართ, თუ შეამჩნევდა არჩეული გზისთვის ღალატს, ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახურში უკან დახევას, ობივატელურ შიშს, ან განცხრომას და პირადულ თავდაიწყებას. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ბელინსკის გოგოლისადმი დამოკიდებულება. ბელინსკი ახლო მეგობარი იყო დიდი რუსი მწერლის გოგოლისა, თაყვანს სცემდა მის ნიჭს, მის რეალიზმს, მისი მართალი სიტყვის ძალას, რომელიც შესანიშნავადაა ამეტყველებული „რევიზორსა“ და „მკვდარ სულებში“. გოგოლის ყველაზე ღრმა, სწორი შეფასება სწორედ ბელინსკიმ შეძლო, მაგრამ მოხდა ბელინსკისთვის მოულოდნელი რამ. გოგოლმა თავისი კალამი პუბლიცისტიკაში სცადა და გამოაქვეყნა „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან“. ამ თხზულებაში გოგოლი გამოვიდა სინამდვილისადმი შერიგების მქადაგებლად, დამცველად ყოველივე იმისა, რასაც თავის მხატვრულ ქმნილებებში უდიდესი დაუნდობლობით, ოსტატობით და სიმართლით ამზეურებდა და გმობდა. გამოვიდა მემამულური მათრახების ქომაგად, ე. ი. თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის ადვოკატად.

ბელინსკი, როცა გოგოლის ამ წიგნს გაეცნო, მძიმედ იყო ავად. იგი მაშინ საზღვარგარეთ, ზალცბრუნში მკურნალობდა. დიდი სულიერი მღელვარების გადატანა მოუხდა მაშინ ბელინსკის. მან დაივიწყა პირადი მეგობრული დამოკიდებულება გოგოლთან და დაწერა მკაცრი წერილი. ეს წერილი იმ დროს არ დაბეჭდილა, მაგრამ რევოლუციურ თაობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. იგი რევოლუციურ-დემოკრატიული ბანაკის მანიფესტად იქცა და 40—50-იანი წლების პუბლიცისტიკის უბადლო ნიმუშად დარჩა შემდეგ თაობას. როდესაც პარიზში შეხ-

ვედრისას ბელინსკიმ ეს წერილი გერცენს წაუკითხა, გერცენი აღფრთოვანებული დარჩა. ანენკოვს მან უთხრა ამ წერილის შესახებ — „ეს გენიალური რამაა, როგორც ჩანს ეს მისი აღსარებაც არისო“.

ბელინსკი წერილში არ მორიდებია გოგოლს, როგორც პირად მეგობარს. მან ნერვების უძლიერესი დაჭიმვით დაძლია პირადული და სთქვა სიმართლე. „მე არ შემიძლია ცბიერება; ეს ჩემს ბუნებას არ სჩვევია. დეე, თქვენ დამიმტკიცეთ, ან თვით დრომ დამიმტკიცოს, რომ მე ვცდებოდი ჩემს დასკვნებში თქვენს შესახებ. პირველს მე გამეხარდებოდა ეს, მაგრამ არ ვინანებ იმას, რაც გითხარით. აქ საქმე ეხება არა ჩემს ან თქვენს პიროვნებას, არამედ ისეთ საგანს, რომელიც არა მარტო ჩემზე, არამედ თქვენზედაც კი გაცილებით მაღლა დგას. აქ საქმე ეხება ჭეშმარიტებას, რუს საზოგადოებას, რუსეთს“.

ბელინსკიმ ამ წერილში სწორად მიუთითა რუსეთის ყველაზე მტკივნეულ საკითხებზე, მიუთითა ამ საკითხებისადმი გოგოლის მცდარ, მიუტევებელ დამოკიდებულებაზე.

„რუსეთს ესაჭიროება არა ქადაგებანი (საკმაოდ მოუსმენია ისინი!) არა ლოცვანი (საკმაოდ უზეპირებია ისინი!), არამედ ხალხში იმ ადამიანური ღირსების გრძნობის გაღვიძება, რომელიც ამდენი საუკუნეა დაკარგულია სიბინძურესა და ნაგავში, — არა ეკლესიის მოძღვრების, არამედ საღი აზროვნებისა და სამართლიანობის შესაბამისი სამართალი და კანონები და შესაძლებლობისამებრ მათი ზუსტი აღსრულება... ახლა რუსეთში ყველაზე ცხოველი, თანამედროვე, ნაციონალური საკითხებია: ბატონყმობის გაუქმება, ფიზიკური დასჯის მოსპობა, შეძლებისამებრ თუნდაც იმ კანონების მტკიცედ შესრულება, რომელიც უკვე გვაქვს.

აი საკითხები, რომელზედაც შეშფოთებული ფიქრობს მთელი რუსეთი თავის აპატიურ ძილში. და სწორედ ამ დროს დიდი მწერალი, ვინც თავისი საუცხოო მხატვრული, ღრმად ჭეშმარიტი ქმნილებებით ასე მძლავრად შეუწყო ხელი რუსეთის თვითშეგნებას, შესაძლებლობა მისცა მას დაენახა თავისთავი, — გამოდის წიგნით, რომელიც ქრისტეს და ეკლესიის

სახელით ასწავლის ბარბაროს მემამულეს მეტი ფული ააძროს გლეხებს, აგინოს და პირდაუბანელი უწოდოს მათ, და ამას არ უნდა გამოეწვია ჩემი აღშფოთება?..

მათრახის მქადაგებელო, უმეცრების მოციქულო, ობსკურნატიზმისა და წყვდიადის ქომაგო, თათრულ ზნეჩვეულებათა პანეგერისტო — რას ჩადიხართ, ძირს დაიხედეთ, თქვენ ხომ უფსკრულის პირად დგეხართ...“ ეს წერილი იყო არა მარტო გოგოლის, არამედ მთელი XIX საუკ. ოფიციალურ შეხედულებათა დაგმობა. იგი იყო რევოლუციურ-დემოკრატიული თაობის მანიფესტი.

ამ წერილის შემდეგ ბელინსკის მიმართ გაძლიერდა ჟანდარმერიის მეთვალყურეობა. დიდ კრიტიკოსზე ზედიზედ მიდიოდა დასმენები, როგორც თავისუფლებისმოტრფიალე, მებრძოლ, საშიშ ადამიანზე. 1848 წლის თებერვალში იგი დუბელტთან დაიბარეს. მაგრამ ამ დროს ბელინსკი სასიკვდილო სარეცელზე იწვა. 1848 წლის 26 მაისს იგი გარდაიცვალა.

პეტრაშევსკის წრე

XIX ს. 40-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულ ბანაკის თვალსაჩინო წარმომადგენლებს რუსეთში წარმოადგენენ პეტრაშეველები, რომლებიც გერცენის სიტყვებით რომ ვთქვათ, განვითარდნენ ბელინსკის მოღვაწეობის დასასრულისა და ჩერნიშევსკის მოღვაწეობის დასაწყისის შუალედ პერიოდში. ეს პერიოდი, როგორც ცნობილია, ევროპის ასპარეზზე დემოკრატიული რევოლუციის მომწიფებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღის ზრდით, სოციალისტური იდეების ფართო გავრცელებით ხასიათდებოდა. ამავე პერიოდში ნიკოლოზ პირველის დესპოტიზმი რუსეთში აღწევს თავის აპოგეას, ხოლო რუსეთის რევოლუციონერთა თაობა გაბედულად იწყებს სახალხო რევოლუციის პროპაგანდას თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, მწყობრში დგება რევოლუციონერი — რაზნოჩინელი, რომელიც ახერხებს რა თავადაზნაურული რევოლუციურობის შეზღუდულო-

ბის გადალახვას, ორიენტაციას თანდათან იღებს ხალხზე, როგორც პროგრესის მთავარ ძალაზე.

1845 წელს მ. ვ. ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკის გარშემო გაერთიანდა პეტერბურგის რევოლუციური ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა რუსეთში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ჯგუფში შევიდნენ ნ. ა. სპეშნევი, დ. დ. ახშარუმოვი, ნ. ა. მომბელი, ნ. ს. კაშკინი და სხვები. პეტრაშეველთა „პარასკევების“ აქტიური მონაწილენი გახდნენ აგრეთვე იმ დროის ისეთი ცნობილი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, როგორიც იყვნენ მ. ე. სალტიკოვი, თ. მ. დოსტოევსკი, ა. ნ. პლეშჩევი, ა. ნ. მაიკოვი, მეცნიერი-გეოგრაფი პ. პ. სემიონოვი, პიანისტი ა. ნ. რუბინშტეინი.

საზოგადოების ორგანიზატორი მ. ვ. ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკი თავადაზნაურულ ფენას ეკუთვნოდა. იგი დაიბადა 1801 წელს. სწავლობდა ცარსკოე სელოს ლიცეუმში, სადაც გამეფებული იყო მკაცრი რეჟიმი, მოსწავლეთა გაჯოხვამდეც კი. ლიცეუმის მოსწავლენი მოტრფიალენი იყვნენ პუშკინის ტრადიციებისა. უხეშ დირექციასა და ლიბერალურად განწყობილ მსმენელთა შორის ხშირი იყო შეტაკება. პეტრაშევსკი ამ დროს გამოირჩეოდა თავისი ლიბერალური შეხედულებებით და ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ მიუხედავად მაღალი მოსწრებისა, მას გამოშვებისას სხვებთან შედარებით დაბალი წოდება მიანიჭეს.

1840 წელს პეტრაშევსკი მოეწყო საგარეო საქმეთა სამინისტროში, ამავე დროს თავისუფალ მსმენელად შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ დროს უკვე საბოლოოდ ყალიბდება მისი ინტელექტუალური სამყარო, იგი იმსჭვალება მკაცრი პროტესტით თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, მის იდეალად იქცევა დესპოტიზმისაგან, ადამიანთა ჩაგვრისაგან გათავისუფლებული ქვეყანა. ჩემს მოვალეობად გავიხადე კაცობრიობის სამსახური და აღნიშნავს პეტრაშევსკი ამ პერიოდის მისი იდეების შესახებ — საერთო კეთილდღეობისაკენ მისწრაფებამ შესცვალა ჩემში ეგოიზმი და თვითდაცვის გრძნობა, ჭეშმარიტებისადმი პატივი-

სცემამ ჩაახშო ჩემში თავმოყვარეობის ყოველგვარი აღგზნება... ჩემი უნარის გამოყენების შესაფერისი ადგილი რომ მომენახა, სრულიადაც არ იყო საჭირო შორს წასვლა, საკმარისი იყო მხოლოდ მიმექცია ყურადღება ჩემი სამშობლოსათვის! პეტრაშევსკი ამ პერიოდში აპირებს ჟურნალის გამოცემას, მაგრამ ვერ ახორციელებს. ჩანაწერებში („ჩემი აფორიზმები" „საერთო სასარგებლო მარაგი"), რომელიც ამ პერიოდს ეკუთვნის და დაპატიმრებისას ჩაუვარდა ხელში ჟანდარმერიას, პეტრაშევსკი მონარქიზმის მოწინააღმდეგედ, დემოკრატიზმის, რესპუბლიკური მმართველობის მოსარჩლედ გვეელინება. მას მიზანშეწონილად მიაჩნია სახელმწიფოთა ორგანიზაცია ეროვნული ნიშნების მიხედვით, სახელმწიფოში რესპუბლიკურ-წარმომადგენლობითი მმართველობა, ექსპლოატაციის მოსპობა, ადამიანური ღირსებების ყოველმხრივ დაცვა, ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფალი განვითარება, სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება, არმიისა და შეიარაღების შემცირება და სხვ. მისი ეს შეხედულებანი დიდად ენათესავება უტოპიურ სოციალიზმს, თუმცა ამ პერიოდში იგი ჯერ კიდევ არ მოჩანს როგორც გატაცებული ფურიეისტი.

ფრანგული უტოპიური სოციალიზმის თეორია, რომლის წარმომადგენლები არიან სენ-სიმონი და შარლ ფურიე, XVIII—XIX საუკ. მიჯნაზე ჩამოყალიბდა. სენ-სიმონის ნაშრომი „ჟენევის მკვიდრის წერილები" 1802 წელს გამოვიდა. სენ სიმონი აქ ამტკიცებდა, რომ ისტორიული პროცესის საფუძველია ადამიანების გონების განვითარება, რომელიც სამ ფაზას გაივლის: თეოლოგიურ, მეტაფიზიკურს და პოზიტიურს. ამ სამ ფაზას შეესატყვისება პოლიტიკური წყობილების განვითარების სამი პერიოდი. ფეოდალიზმი და მიწის საკუთრების ბატონობა, შემდეგ — გარდამავალი პერიოდი, როცა სამხედროებმა და იურისტებმა გაიყვეს ძალაუფლება და მესამე ინდუსტრიული პერიოდი, როცა პოლიტიკური ძალაუფლება მრეწველების ხელში უნდა იყოს. პირველ პერიოდში სულიერ ხელმძღვანელობას რელიგიური კულტის მსახურები ან-

ხორციელებენ, მეორე პერიოდში — მეტაფიზიკოსები, მესამე პერიოდში მეცნიერებისა და ტექნიკის წარმომადგენლები.

სენ-სიმონი იმედით შეცქეროდა მომავალს და მიაჩნდა, რომ საზოგადოებაში, სადაც ყველა იმუშავებს, არ იქნება ჩაგვრა და უთანასწორობა. ნაშრომში „ახალი ქრისტიანობა", რომელიც 1835 წელს გამოვიდა, იგი მიუთითებდა, რომ კაცობრიობის ოქროს საუკუნე წინაა, ადამიანებმა იგი თავიანთი გონებით უნდა შექმნანო.

მომავლის წარმტაცი სურათი უფრო კონკრეტულად დახატა მეორე ფრანგმა მოაზროვნემ შარლ ფურიემ, რომელიც 1772 წელს დაიბადა. ფურიემ თავის თხზულებებში მკაცრად გააკრიტიკა მისი თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილება, მდიდართა ყოვლისშემძლეობა, სიღარიბის უფსკრულში მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გადაჩეხვა და ამ უსამართლო წყობილებას დაუპირისპირა ბრწყინვალე საზოგადოებრივი წყობილება, როგორსაც ადამიანები შეგნების საფუძველზე ნებაყოფლობით შექმნიდნენ.

ამ მომავალი საზოგადოების ძირითად უჯრედად ფურიეს ესახებოდა ფალანგა-თემი, რომელიც თავისთავში შეაერთებდა სოფლის მეურნეობას და მრეწველობას. ფალანგის წევრები იქნებოდნენ მშრომელები და კაპიტალისტები. პირველნი ფიზიკურად იშრომებდნენ, მეორენი — აქციონერები გახდებოდნენ. წარმოების ორგანიზაციას საფუძვლად ამ საზოგადოებაში დაედებოდა შრომითი შეჯიბრი, შრომისადმი მიმზიდველობის იდეა. ფალანგის საერთო შემოსავალი გაიყოფოდა ორ ნაწილად. ერთი მოხმარდებოდა საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებათა საჭიროებას, მეორე — წარმოების ხარჯების გამორიცხვით განაწილდებოდა სამ ნაწილად—კაპიტალსა, ტალანტსა და შრომას შორის.

ფალანგის ცენტრებში აიგებოდა ვეებერთელა სასახლეები — ფალანგსტერები, სადაც იქნებოდა საზოგადოებრივი სასადილო. ქალი განთავისუფლდებოდა მძიმე ოჯახური შრომისაგან და დაიკავებდა თანასწორ საზოგადოებრივ ადგილს

ფალანგაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა ახალგაზრდობის აღზრდას და სხვ.

ფურიეს სჯეროდა, რომ ასეთი წყობილება ადამიანთა შეგნების შედეგად უნდა შექმნილიყო. საჭირო არ იყო ძალადობა, კლასობრივი ბრძოლა. კაპიტალისტები ბოლოსდაბოლოს თვით დარწმუნდებოდნენ ასეთი საზოგადოების მიზანშეწონილობაში და ნებაყოფლობით გაერთიანდებოდნენ მასში, გადასცემდნენ თავის ქონებას ფალანგებს. ივი იმდენად დარწმუნებული იყო ამაში, რომ ელოდა კიდეც „განათლებულ" მილიონერს, რომელიც თავისი სურვილით გაიღებდა სიმდიდრეს პირველი ფალანგის ჩამოყალიბებისათვის.

მაგრამ ასეთი კაპიტალისტებს შორის არავინ აღმოჩნდა. უტოპისტ სოციალისტებს არათუ დაუჭირეს მხარი მილიონერებმა, არამედ სასაცილოდ აიგდეს. ნაკლები იყო ამ მოძღვრების გავლენა მშრომელ მოსახლეობაში. მაგრამ სენ-სიმონს და ფურიეს მრავალი მოწაფეები და მიმდევრები გამოუჩნდათ წვრილი ბურჟუაზიის რიგებში.

სენ-სიმონისა და შარლ ფურიეს მთელი ეს მოძღვრება უტოპიური იყო. მარქსი და ენგელსი მკაცრად გამოვიდნენ მისი კრიტიკით. ენგელსი ჯერ კიდევ 1845 წელს მიუთითებდა, რომ „ყველა იმ სისტემებიდან, რომელთაც ამჟამადაც შეუნარჩუნებიათ თავისი არსებობა, ერთადერთი არაკომუნისტური ფურიეს სისტემაა, რომელიც მთელ თავის ყურადღებას მიმართავს ადამიანთა მოღვაწეობის სოციალურ ორგანიზაციაზე, და არა მის მიერ წარმოებულ პროდუქტების განაწილებაზეო. მარქსი სენ-სიმონს და ფურიეს აპოლიტიკურ ადამიანებს უწოდებდა.

პეტრაშევსკის შეხედულებებში 40-იან წლებიდან თანდათან წამყვან ადგილს იჭერს ფურიეს გავლენა. 1845 წელს პეტერბურგში შტაბს-კაპიტან კირილოვის ინიციატივით დაიწყო ჯიბის სიტყვარის გამოცემა, სადაც უნდა განმარტებულიყო უცხოურიდან რუსულ ენაში შესული სიტყვები. ამ სიტყვარის მეორე ტომის რედაქტირება და რიგ განმარტებათა შედგენა მოუხდა პეტრაშევსკის, რომელმაც აქ გააპარა თავისი შეხედუ-

ლებანი. რეაქციონერებმა ხმა აღიმაღლეს ამ შეხედულებების წინააღმდეგ. სიტყვარის გამოცემა შეწყვიტეს, ხოლო დაბეჭდილს, რაც კი შეაგროვეს, კონფისკაცია უყვეს. დადებითი შეფასება სიტყვარს მისცა „სოვრემენნიკმა“ იმ რეცენზიაში, რომლის ავტორი იყო ბ. ბელინსკი.

ფურიეს შეხედულებანი პეტრაშევსკიმდე რუსეთისათვის სრულიად უცნობი არ ყოფილა. „სოვრემენნიკისა“ და „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ფურცლებზე მანამდე იბეჭდებოდა სტატიები ფურიესა და სენ-სიმონზე. პეტრაშევსკისეული პროპაგანდა იმითაა აღსანიშნავი, რომ აქ წინაპლანზეა წამოწეული არა ფურიეს მიერ დახატული გეგმები, არა მის მიერ არჩეული გზა ასეთი საზოგადოების დამყარებისა, არამედ თანამედროვე წყობილების ფურიესებური კრიტიკა. მომავლის საზოგადოებაშიც პეტრაშევსკი ყურადღებას ამახვილებს შრომის ორგანიზაციაზე, რისი ყურადღების მიუქცევლობასაც უსაყვედურებდა ფურიეს ენგელსი. მაგალითად, „ნორმალური მდგომარეობის“ განმარტებისას პეტრაშევსკი მიუთითებს, რომ „ნორმალურად განვითარებული ანუ კეთილმოწყობილი საზოგადოება, საზოგადოება, რომლის მდგომარეობა ნორმალურია, — იქნება იგი, რომელიც ყველა წევრს თავისი სახსრებიდან მისცემს იმდენს, რამდენიც საჭიროა მის დასაკმაყოფილებლად პროპორციულად მოთხოვნილებისა“. პეტრაშევსკის მოსწონდა ფალანგის შემოსავლის განაწილება კაპიტალსა, ტალანტსა და შრომას შორის. ამასთან აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობის მკაცრი კრიტიკა პეტრაშევსკის მიერ შერწყმული იყო ნიკოლოზ პირველის რეჟიმის გაშიშვლება-გამომზეურებასთან. პეტრაშევსკის და მის გარშემო შემოკრებილ რუს ფურიერისტებს სრულიადაც არ აკმაყოფილებდა სოციალისტური საზოგადოების შექმნის ის გზა, რომელსაც ფურიე ქადაგებდა. გამოდიოდნენ რა რუსეთის კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილიდან, ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ბრძოლაზე, რომელიც რუსეთის პროგრესულ ძალებს დაჭირდებოდათ არსებულის შესაცვლელად. პეტრაშევსკის სწამდა, რომ საზოგადოების ისტორიაში არ

ყოფილა მაგალითი, როცა დაჩაგრულებს თავისი უფლებები მსხვერპლისა და სისხლის გარეშე აღედგინოთ. პირველი რიგის ამოცანად რუსეთისათვის პეტრაშევსკის მიაჩნდა მონარქიზმის ლიკვიდაცია, ბატონყმობის გაუქმება.

1845 წლიდან პეტრაშევსკის თანამოაზრეთა წრე ფართოვდება. ყოველ პარასკეობით მასთან თავს იყრიან თანამოაზრენი. საგამომძიებლო მასალებში აღნიშნულია, რომ 1845 წლიდან პეტრაშევსკიმ დაიწყო მოქმედება უკვე პროპაგანდის სულისკვეთებით და გარკვეულ დღეებში მასთან შეკრებაზე მოდიოდნენ მასწავლებლები, ლიტერატორები, სტუდენტები და საერთოდ სხვადასხვა წოდების პირები. ამ შეკრებებზე მიმდინარეობდა ცხარე მსჯელობანი რუსეთისა და ევროპის თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებზე, რუსეთის მომავალზე, მისი განხორციელების გზებზე, ქალთა ემანსიპაციაზე, კითხულობდნენ და არჩევდნენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მთელი ამ მსჯელობის ხელმძღვანელი—წარმმართველი, ნათქვამია ძიების დასკვნებში, იყო თვით პეტრაშევსკი.

პეტრაშევსკის „პარასკევების" მონაწილეთა შეხედულებანი სავსებით ერთგვარი არ ყოფილა. ნაწილი ლიბერალურ-რეფორმისტულ პოზიციას ადგა. მემარცხენე ფრთას შეგნებული ჰქონდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის აუცილებლობა. ამ ფრთას ეკუთვნოდნენ ნ. ა. სპეშნევი, ა. ვ. ხანიკოვი, ნ. ა. მომბელი და სხვები, რომლებიც ამ შეკრებებზე გამოდიოდნენ თანამედროვეობის მკვეთრად მამხილებელი მასალებით, აყენებდნენ მისი მოსპობის რევოლუციურ ღონისძიებებს, მოითხოვდნენ პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლას. ნ. ა. სპეშნევს, რომელიც პეტრაშეველთა წრეში 1847 წლიდან ჩაება, უკვე ჰქონდა რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება. 1842 წლიდან ის საზღვარგარეთ იმყოფებოდა და შვეიცარიაში, როგორც ვოლონტერი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა კლერიკალების წინააღმდეგ ბრძოლაში, კარგად იცნობდა ვაიტლინგისა და დეზამის კომუნისტურ მოძღვრებებს. პარასკეობებზე სპეშნევმა საყოველთაო პატივისცემა მოიხვეჭა, როგორც განათლებულმა, გამოცდილმა, მგზნებარე მებრძოლმა. იგი აქ მხურ-

ვალედ ეწოდა „სოციალიზმის, ათეიზმის, ტერორის“ — როგორც ეს ნათქვამია ჟანდარმერიის დასკვნებში — პროპაგანდას. რუსეთის სოციალ-პოლიტიკური წყობილების რევოლუციური გარდაქმნის მხურვალე პროპაგანდისტები იყვნენ აგრეთვე მომბელი, ფილიპოვი, ახშარუმოვი, გოლოვინსკი, ხანიკოვი, რომლებიც არა მარტო პეტრაშევსკისთან, არამედ საკუთარ „პარასკეობებზედაც“ ეწოდნენ რევოლუციური იდეების პროპაგანდას. აღსანიშნავია, რომ ამ საზოგადოების ენთუზიასტთა მეშვეობით სოციალური იდეების პროპაგანდა მიმდინარეობდა აგრეთვე მოსკოვში, ყაზანში, რეველში და სხვაგან, სადაც პეტრაშეველებს თანამგრძნობთა მცირე ჯგუფები ჰყავდათ. მაგრამ, ამასთან ერთად, საზოგადოებაში ისეთი პირებიც მონაწილეობდნენ, რომელთაც რევოლუციურობა არაფერში ეტყობოდათ, რომელთაც საერთოდ აინტერესებდათ უტოპიური სოციალიზმის მოძღვრება, მაგრამ რუსეთში რაიმე რევოლუციური ღონისძიებისაგან თავს იკავებდნენ. ასეთი ზომიერი ლიბერალები (დანილევსკი და სხვ.) და სხვა შემთხვევითი პირები საზოგადოებისათვის მხოლოდ საზიანონი იყვნენ.

1848 წლიდან, ევროპაში რევოლუციის აზვირთებასთან დაკავშირებით, პეტრაშეველთა საქმიანობამ უფრო ცხოველი ხასიათი მიიღო. იმის გათვალისწინებამ, რომ ევროპაში დაწყებულ ხანძარს შეიძლება დიდი მასშტაბები მიეღო და რუსეთშიაც გაეღვივებინა ნაპერწკლები, მემარცხენე ჯგუფი პეტრაშევსკისა და სპეშნევის მეთაურობით მიიყვანა რევოლუციური წრის გაფორმების აუცილებლობამდე. საგამომძიებლო საქმეებში ნათქვამია, რომ „1848 წ. ბოლოს პეტრაშევსკი, რომელშიც მომწიფდა აზრი გადატრიალების სწრაფად მოხდენისა, არა პროპაგანდის გზით, არამედ ძალადობაზე დამყარებული მოქმედებით, ცდილობდა შეექმნა საიდუმლო საზოგადოებანი თავისი კრებებისაგან განცალკევებით“. იმავე დასკვნებში ნათქვამია, რომ სპეშნევმა წამოაყენა გეგმა საიდუმლო ორგანიზაციისა, მომბელმა შეიტანა წინადადება შეექმნათ ორგანიზაცია „ურთიერთდახმარების ძმობა“. ფარული ორგანიზაციის აგებულებასა და გეგმებზე რევოლუციური ფრთის წარმომადგე-

ნელთა შორის ცხარე კამათი მიმდინარეობდა. ასეთი ორგანიზაციის შექმნისკენ პირველი ნაბიჯი იყო ტექსტი ფიცისა, რომელზედაც ხელი უნდა მოეწერათ ფარულ საზოგადოებაში შესვლის მსურველებს. ამ დოკუმენტის ავტორია სპეშნევი. აქ ნათქვამია: მე ქვემოდ ხელისმომწერი, ნებაყოფლობით, საკუთარი განსჯით და სურვილით, შევდივარ რა რუსულ საზოგადოებაში, თავისთავზე ვიღებ ვალდებულებებს, რომელთაც ზუსტად შევასრულებ: როდესაც საზოგადოების განმკარგულებელი კომიტეტი საზოგადოების ძალთა და ხელსაყრელი შემთხვევის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით გადაწყვეტს, რომ დადგა აჯანყების დრო, მე პირობას ვდებ თავდაუზოგავად მივიღო სრული და აშკარა მონაწილეობა აჯანყებასა და ბრძოლაში, რომ კომიტეტისაგან ცნობისმიღებისთანავე დანიშნულ დღეს, დანიშნულ საათს ვიყო დანიშნულ ადგილზე, გამოვცხადდე იქ შეიარაღებული ცეცხლმსროლი ან ცივი იარაღით, ან ერთითაც და მეორითაც, თავდაუზოგავად მივიღო მონაწილეობა ბრძოლაში და რამდენადაც შემიძლია, ხელი შევუწყო აჯანყების წარმატებას.

ეს დოკუმენტი უკვე გვარწმუნებს, რომ გათვალისწინებული ყოფილა ფართო რევოლუციური საზოგადოების ორგანიზაცია, რომელსაც ეყოლებოდა თავისი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც აწონიდა რა ძალებს, მიიღებდა გადაწყვეტილებას მოქმედების შესახებ.

ამ პერიოდს განეკუთვნება პარასკეობის გაცხოველებული ხასიათი, ფართე მსჯელობანი, ცხარე შეხლა-შემოხლა. პარასკეობამ მიიღო ნამდვილი პოლიტიკური კლუბის სახე, თუმცა, ორგანიზაცია ჯერ კიდევ გაფორმებული არ ყოფილა. აქ ერთ-ერთ პარასკეობაზე დოსტოევსკის მიერ დიდი პათოსით იქნა წაკითხული ბელინსკის ცნობილი წერილი გოგოლისადმი, რომელიც მაშინ რუსეთში რევოლუციურ თაობაში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ამ პერიოდში პეტრაშეველთა საზოგადოების არსებობას შეიტყობს ახალგაზრდა ჩერნიშევსკი. იგი ხანიკოვის საშუალებით უკავშირდება საზოგადოებას, სადაც ამ დროს, ჩერნიშევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველა-

ზე მეტად ლაპარაკობდნენ ჩვენში რევოლუციის შესაძლებლობისა და სიახლოვის შესახებ“.

პეტრაშეველთა საზოგადოების კვალს მიაგნო შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მეთვალყურეობა პეტრაშეველთა საქმიანობისადმი დაეკისრა ლიპრანდის, რომელმაც მოახერხა გაეპარებინა ამ საზოგადოებაში თავისი ჯაშუში ანტონელი. როცა ლიპრანდიმ დააგროვა საჭირო მასალა, საქმე გადაეცა III განყოფილებას და მოხსენდა იმპერატორს. 1849 წ. 22 აპრილს ნიკოლოზის ბრძანებით პეტრაშეველთა საზოგადოება დააპატიმრეს. სამართალში მიცემულ იქნა 23 კაცი.

საგამომძიებლო ორგანოები ბევრს ეცადნენ დაედგინათ პეტრაშეველთა მოღვაწეობაში საიდუმლო ორგანიზაციის არსებობის რაიმე ნიშანი. ეს შეუძლებელი გახდა და ძიება იძულებული შეიქმნა მოენათლა იგი „იდეურ შეთქმულებად“. სასამართლომ საზოგადოების 21 მონაწილეს, მათ შორის პეტრაშევსკის, სპეშნევს, დოსტოევსკის, მომბელის და სხვ. დახვრეტა მიუსაჯა. 1849 წ. 22 დეკემბერს დახვრეტა-მისჯილნი პეტრეპავლეს ციხიდან გაიყვანეს სემიონოვის მოედანზე, სადაც მათ წაუკითხეს სასამართლოს განაჩენი. შესრულებულ იქნა დასჯის ყველა ცერემონია და ბოლოს, როცა გაიცა ბრძანება ცეცხლის შესახებ, უეცრად გაისმა ნიშანი, გამოჩნდა სასახლიდან მომავალი ეკიპაჟი. ფლიგელ-ადიუტანტმა მოიტანა შეწყალება, — იმპერატორმა აჩუქა მათ სიცოცხლე. სიკვდილი შეუცვალა კატორღით. ყველაფერი ეს წინასწარ შემზადებული ინსცენირება იყო, რომლის დანიშნულება იყო ბრალდებულებისათვის განეცდევინებინა სიკვდილის მთელი საშინელება. ნიკოლოზ პირველს, ცხადია ხელი არ აუკანკალდებოდა მოეწერა პეტრაშეველთა სიკვდილით დასჯის განაჩენზე, მაგრამ 1849 წ. ევროპაში მძვინვარე რევოლუციის, უნგრეთში დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთების ვითარებაში ერთგვარად თავს იკავებდა სისხლიანი ანგარიშგასწორებისაგან. გზავნიდა რა დამნაშავეებს ციმბირის ყინულებში ჩუმი სიკვდილისათვის იმპერატორი მოხერხებულად თამაშობდა როლს გულმოწყალე მეფისა.

„ყველაფერი ეს — შენიშნავს ჰერცენი — იყო უბრალო ფარსი, დეკორაცია; ზედმეტი პარადი, რომელიც ხელმწიფემ მოაწყო. გენერალი როსტოვცევი უცხადებს მსჯავრდებულთ, რომ მეფემ მათ აჩუქა სიცოცხლე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ყველა გენერლიდან შეწყალების გამოსაცხადებლად არჩეულ იქნა სწორედ ის, იმიტომ, რომ იგი ენაბლუ იყოო“.

პეტრაშეველთა მნიშვნელობა, როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ოკუნი, მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მონაწილეთა და თანამგრძნობთა რაოდენობის მხრივ როგორც დედაქალაქში, ისე პროვინციებში ეს იყო ყველაზე დიდი წრე დეკაბრისტების შემდგომ პერიოდში. უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს წრე უკვე იმყოფებოდა საიდუმლო ორგანიზაციად გადაზრდის ზღურბლთან. პეტრაშეველთა ჯგუფის მოქმედებაში გამოვლინდა 40-იანი წლების იდეური მოძრაობის განვითარების სპეციფიკურობა, როცა რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების საფუძვლები ეს ეს იყო მკვიდრდებოდა რუს რევოლუციონერთა წიაღში, როცა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული გამიჯვნა რევოლუციონერებსა და ლიბერალებს შორის. ამ პერიოდის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები აისახა პეტრაშეველთა საქმიანობაში, მაგრამ რამდენადაც აქ წამყვანი როლი მაინც რევოლუციურ-დემოკრატიულად განწყობილ ფრთას ეკავა, პეტრაშეველებმა მაინც დიდად სასარგებლო საქმე გააკეთეს და დაიმკვიდრეს თავისი ადგილი რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

თავი XI

ყირიმის ომი

ომისწინა ვითარება და მიზეზები

1853-1855 წლების ყირიმის ომი თავისი მასშტაბებით ერთ-ერთი უდიდესი იყო რუსეთის და ევროპის ხალხთა ცხოვრებაში. ომმა, რომელიც თავდაპირველად რუსეთსა და თურქეთს შორის დაიწყო, თავის ქსელში ჩაითრია ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, ნეაპოლის სამეფო. ამ მსხვილი ქვეყნების დაჯგუფება სხვაგვარად წარიმართა, ვიდრე ნაპოლეონის ეპოქაში და ომის შედეგებიც სხვაგვარი აღმოჩნდა. ომის წარმოშობა, მისი პროცესი და შედეგებიც შეპირობებული იყო თითოეული ამ ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული ცხოვრების მთელი მსვლელობით და შედეგებიც მათი სოციალეკონომიური განვითარების დონეს შეესაბამებოდა.

ყირიმის ომის მთავარ დამნაშავედ ტრადიციულად აღიარებულია ნიკოლოზ პირველის რუსეთი. რუსეთი მართლაც გამოვიდა ამ ომის ინიციატორის როლში. მან წამოიწყო და წააგო კიდეც ეს ომი, მაგრამ ომი აგრესიული იყო არა მარტო რუსეთის მხრიდან და მის გაღვივებას ხელს უწყობდა არა მარტო ცარიზმი. ომის გაჩაღებაში რუსეთთან ერთად დანაშაული მიუძღვის თურქეთს და მის მოკავშირეებს ინგლისსა და საფრანგეთს. მათ აგრესიულ გეგმებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ყირიმის ომის ისტორიოგრაფია მეტად მდიდარია და შეხედულებებით მრავალფეროვანი. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ამ ომის რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიას მოსაზრებათა მრავალფეროვნების მიუხედავად, ორ ძირითად მიმართულებას შევამჩნევთ. დასავლეთ ევროპის — უმთავრესად საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს ამ ომში დამნაშავედ

მხოლოდ რუსეთი გამოჰყავთ და ინგლისის და საფრანგეთის ომში ჩაბმის ძირითად მიზეზად სუსტი და უსამართლოდ დასჯილი თურქეთის დაცვასა და გადარჩენას აღიარებენ. თურქული ნაციონალისტური ისტორიოგრაფია ომის გაჩაღებას მთლიანად რუსეთის აგრესიულ მიზნებს უკავშირებს და განგებ მხედველობიდან უშვებს იმ რევანშისტულ მისწრაფებებს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ იმ დროს თურქეთის მმართველი წრეები. რუსეთის თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია (მ. ი. ბოგდანოვიჩი, ნ. ფ. დუბროვინი, ა. მ. ზაიონჩკოვსკი და სხვ.) კი პირიქით, მთლიანად ამართლებდა რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკას, განგებ აფუჩეჩებდა მის აგრესიულ, შემტევ, რეაქციულ ხასიათს, რუსეთის ჩაბმას ომში ხსნიდა მოძმე სლავი ხალხების განთავისუფლების პატრიოტული მისწრაფებებით და ომს ახასიათებდა როგორც რუსეთის ერთიანობის გამოვლინებას „რწმენის, მეფისა და სამშობლოსათვის“ ბრძოლაში.

ყირიმის ომის მიზეზების, მისი ბუნების, მისი შედეგების ანალიზი მოცემულია მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებში. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ამ ომის მომზადების პერიოდში გამოვიდნენ ასპარეზზე. ისინი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ომის მთელ მსვლელობას და თავიანთ წერილებში მოგვცეს კიდეც მისი შინაარსის ახსნა. მათ ცხადყვეს არა მარტო მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკის რეაქციული ხასიათი და მისი სამხედრო-ეკონომიური ჩამორჩენილობა, არამედ ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების დამპყრობლური ბუნებაც. გამოამზეურეს ამ ომში მათ მიერ გათამაშებული ვერაგული როლი. ვ. ი. ლენინმა ომის წინა და ომის პერიოდის რუსეთის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების შესანიშნავი ანალიზი მოგვცა და უჩვენა, რომ ყირიმის ომი წარმოადგენდა რუსეთის შინაგანი სიდამპლისა და უძლურების გამოვლინებას.

საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ყირიმის ომის ისტორიის შესწავლის საქმეში წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ამ ომზე, ომში სევასტოპოლის გმირულ დაცვაზე გამოიცა დოკუ-

მენტები და მასალები. დაიწერა მრავალი გამოკვლევა, რომელთა თვალსაზრისს საფუძვლად დაედო მარქსის, ენგელსის, ლენინის დებულებები. საბჭოური ისტორიოგრაფიის დიდი მიღწევა ნათლად ჩანს აწ განსვენებულ აკადემიკოსის ე. ვ. ტარლეს მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ყირიმის ომი", რომელიც ორ ტომად გამოვიდა სამამულო ომის წლებში. ამ ნაშრომში მოცემულია ომის მიზეზების, მისი მომზადების, მსვლელობის, შედეგების ყველაზე სრული, საფუძვლიანი დახასიათება.

ვიწყებთ რა საუბარს ყირიმის ომის მიზეზებზე, აქ პირველ რიგში ისევ უნდა გავიხსენოთ მარქსის ცნობილი მითითება: დაცხრება თუ არა რევოლუციის ქარიშხალი ევროპაში, ზედაპირზე კვლავ წამოტივტივდება მუდამ გადაუჭრელი აღმოსავლეთის საკითხიო. 1848 წლის შემდეგ, როცა რეაქციულმა მონარქებმა მოიგერიეს რევოლუციის შეტევა და თავიანთ ტახტებზე თავი ასე თუ ისე მტკიცედ იგრძნეს, ისევ მიაპყრეს თვალ-ყური ახლო-აღმოსავლეთს და თავიანთი დიპლომატური არსენალი გამოიყენეს, რომ შეექმნათ ან განემტკიცებინათ აქ თავიანთი პოზიციები და უპირატესობა.

როგორი იყო საერთაშორისო ვითარება 1848-1853 წლების ევროპაში? — ე. ი. იმ ომის წინ, რომელიც ამ პერიოდში მომზადდა და რომელმაც რუსეთის ცარიზმს სასიკვდილო დარტყმა მიაყენა?

1848 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ცარიზმის ძალა და ავტორიტეტი ევროპის რეაქციული ბანაკის თვალში კიდევ უფრო გაიზარდა. რუსეთის მონარქის დახმარებით ჩახშობილ იქნა უნგრეთის რევოლუცია, რუსეთი უცერემონიოდ ერეოდა გერმანულ სახელმწიფოთა საქმეებში. რუსეთის საექსპედიციო კორპუსები მზად იყვნენ მახვილი ჩაეცათ რევოლუციისათვის, თუ კი იგი კვლავ წამოყოფდა თავს სადმე. ნიკოლოზ პირველი ზეიმობდა ამ გამარჯვებას, თავბრუდახვეული იყო წარმატებისაგან და სერიოზულად სჯეროდა, რომ ევროპაში აღარ არსებობდა ძალა, რომელსაც შეეძლო რუსეთის მისწრაფებათა შეჩერება. თვით ევროპიელი დიპლომატები შეშფოთებული უყურებდნენ რუსეთის იარაღისა და დიპლომა-

ტიის მიერ ზედიზედ მოპოვებულ წარმატებებს და მათაც სერიოზულად სჯეროდათ, რომ რუსეთის იმპერია წარმოადგენდა ევროპაში უძლიერეს სახელმწიფოს, რომელთანაც ძალის პოზიციიდან ლაპარაკი ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანდა და რომელსაც შეეძლო ყველასათვის ანგარიშგასწორება.

წარმოიდგინა რა თავისთავი ძლიერების ზენიტში, ნიკოლოზ პირველმა ამ დროიდან საგარეო პოლიტიკაში ენერგიულად მოჰკიდა ხელი იმ საკითხების გადაწყვეტას, რომელიც მას ყოველთვის აწუხებდა და რუსეთის შემდგომი გაძლიერების ერთერთ ძირითად ფაქტორად მიაჩნდა. ეს იყო ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ თურქეთის სრუტეების საკითხი, რომლის დაპატრონება ნიკოლოზს ესახებოდა როგორც მოხერხებული პოზიცია ბალკანეთსა და ზღვაზე სრული ბატონობისათვის. ევროპის რუკას რომ გაჰყურებდა, ნიკოლოზს ახლა, 1848 წლის შემდეგ, ეჩვენებოდა ყველაზე ხელსაყრელი ვითარება მოქმედების დასაწყებად. მისი აზრით, რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებას ვერ გაბედავდა ავსტრია — მისი ერთ-ერთი შეუპოვარი მოქიშპე ბალკანეთში, ვინაიდან იგი, ჯერ ერთი, დიდად იყო დასუსტებული უნგრეთის რევოლუციის მძლავრი შეტევისა და ამ რევოლუციისათვის ანგარიშგასწორებისას გაღებული მსხვერპლის გამო. მეორეც იმიტომ, რომ ავსტრია ყველაზე მეტად დავალებული იყო სწორედ რუსეთისაგან, რადგან რუსეთის სამხედრო ძალებმა გადაარჩინეს დაღუპვას. აფასებდა რა პრუსიის პოზიციას, ნიკოლოზი აქაც გულდამშვიდებული იყო, რადგან პრუსიის სამეფო კარი მისი ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელი ჩანდა, გარდა ამისა, ახლო აღმოსავლეთით უშუალო დაინტერესება პრუსიაში ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო.

გულდამშვიდებულად გრძნობდა თავს იმპერატორი საფრანგეთის მხრიდანაც, სადაც ის ის იყო წელში მომაგრებას იწყებდა მონარქიული ხელისუფლება და დიდი საგარეო საკითხების იარაღით გადასაწყვეტად ძალები ჯერ კიდევ მობილიზებული არ ყოფილა. ნიკოლოზს რატომღაც მტკიცედ სწამდა ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობათა შერიგების შეუძლე-

ბლობა და აქედან გამომდინარე საფრანგეთი მას საშიშ ძალად არ მიაჩნდა ახლო აღმოსავლეთში ხელგახსნილი მოქმედებისათვის. ყველაზე მეტად ნიკოლოზს აფიქრებდა ინგლისი, მისი შესაძლებლობანი, მაგრამ აქ გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ ინგლისს დააინტერესებდა ახლო აღმოსავლეთში გათვალისწინებულ ოპერაციებში. მეორეც, ხელსაყრელად მიაჩნდა ინგლისის პარლამენტში მომხდარი ცვლილებანი, რომელმაც ქვეყნის სათავეში ტორების კონსერვატორული პარტია ჩააყენა, ცარიზმისადმი, პირადად ნიკოლოზისადმი, კეთილგანწყობილებას რომ იჩენდა.

ნიკოლოზის ასეთი ვარაუდები სრულიადაც არ ემყარებოდა ვითარების ღრმა ანალიზს, არ ითვალისწინებდა იმ სერიოზულ ცვლილებებს, რაც უკანასკნელ წლებში ევროპის ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მოხდა. ეს ვარაუდები იმპერატორის სურვილებზე იყო აშენებული, მას საფუძვლად ედო უცოდინარობა და ის საშინელი მლიქვნელობა, რომელიც ნესელროდეს და მის ელჩებს ევროპასა და თურქეთში აიძულებდა ეთქვათ არა ის, რაც სინამდვილეში ხდებოდა, არამედ ის, რაც ასიამოვნებდა იმპერატორს, დაადასტურებდა მის აკვიატებულ აზრებს.

ნიკოლოზი პირველ რიგში სასტიკად ცდებოდა იმ მხრივ, რომ მხედველობიდან უშვებდა ახალ ძალას, რომელიც ევროპის ქვეყნებში წამოიზარდა და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. ეს იყო ბურჟუაზია. ბურჟუაზიის ნებასურვილი, მისი მისწრაფებანი, გეგმები ამოქმედებდნენ ამიერიდან ინგლისის პარლამენტს, მიუხედავად იმისა, მის სათავეში კონსერვატორები იქნებოდნენ თუ სხვანი.

ბურჟუაზიის ინტერესები თავის ნებაზე ათამაშებდა საფრანგეთის უკანასკნელ მონარქს ნაპოლეონ მესამეს, რომელსაც ნიკოლოზზე უკეთ ესმოდა ეპოქის ძალა და ტახტის შენარჩუნების წყურვილი აიძულებდა თავისი მახვილი იქეთკენ მიემართა, საითკენაც ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი ხელს გაიშვერდა. ბურჟუაზიის ინტერესები და გეგმები წინა პლანზე დგებოდნენ ავსტრიასა და პრუსიაში, მიუხედავად იმისა,

რომ ფრანც იოსები და ფრიდრიხ ვილჰელმ IV პირადად ზიზღით იყვნენ განმსჭვალული ამ ახალი ძალისადმი და ყველა საშუალებით ავიწროებდნენ მის პოზიციებს. ევროპაში მტკიცედ დამკვიდრდა ბურჟუაზიის ბატონობის ეპოქა, რამაც გააძლიერა სწრაფვა ახალი ბაზრებისაკენ, ნედლეულის ახალი წყაროებისაკენ. კოლონიური დაპყრობის პოლიტიკა, გავლენის სფეროების გაფართოების პოლიტიკა ამ პერიოდიდან ყოვლისმომცველი და თითქმის აშკარა გახდა. ინგლისის ბურჟუაზიული წრეების ახლო აღმოსავლეთით დაინტერესება იმდენად ძლიერი ფაქტორი იყო, რომ იგი თავის ნებაზე ათამაშებდა ინგლისის დედოფალს, პარლამენტს და კონსერვატორული პარტიის კეთილგანწყობილებას ნიკოლოზისადმი ოდნავადაც არ შეეძლო შეებრუნებია ბურჟუაზიის მიერ აღებული კურსი. ამგვარად, ნიკოლოზის ვარაუდი კონსერვატორული პარტიის მსხვილ წარმომადგენელთა მხრივ კეთილგანწყობილებისა, სრულიად უმნიშვნელო ფაქტორი იყო და მას არ შეეძლო თურქეთის საკითხში რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულებაში რაიმე გავლენა ჰქონოდა.

ახლად წელმომაგრებული ბურჟუაზიის ინტერესები ასევე გადამწყვეტ გავლენას ახდენდნენ ავსტრიის მომავალ ორიენტაციაზე, მართალია, ავსტრიის ახალგაზრდა იმპერატორი ფრანც იოსები და მისი მენტორი პირწავარდნილი რეაქციონერი შვარცენბერგი დიდი მადლიერი იყვნენ ნიკოლოზისა, მაგრამ იმავე ბურჟუაზიული წრეების გავლენით ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებდნენ რუსეთის გაბატონებას ბალკანეთში. ეს ნიშნავდა არა მარტო ბურჟუაზიული წრეების საბაზრო ურთიერთობათა მკვეთრ შეზღუდვას, არამედ დიდ საშიშროებას ავსტრიის სამხრეთის საზღვარზე, ავსტრიის იმპერიაში მოქცეული სლავი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წისქვილზე წყლის მიშვებას. ამრიგად, ბალკანეთის საკითხი გადარჩენილ ავსტრიას უფრო აწუხებდა, ვიდრე სამაგიეროს მიზღვევა მხსნელი ნიკოლოზისათვის. ავსტრია აღმოსავლეთის საკითხში შეურიგებელი იყო რუსეთთან და მას მტრული პოზიცია უნდა დაეკავებინა. ტყუილად როდი ლაპარაკობდნენ ამ დროს ავსტრიის დიპლომატურ წრეებში, რომ „ავსტრია მსოფლიოს მალე განაცვიფრებს თავისი უმადურებითო“.

მოვლენები გაცილებით რთულად განვითარდნენ საფრანგეთში, ვიდრე ეს ნიკოლოზს ეგონა. 1851 წლის დეკემბერში საფრანგეთში მთელი სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ იგდო ლუი ნაპოლეონმა, რომელმაც 8 თვის შემდეგ თავი მემკვიდრეობით იმპერატორად გამოაცხადა. ნაპოლეონის პირველმა ნაბიჯებმა რუსეთის მონარქიულ წრეებში მოწონება ჰპოვეს, რადგან ამ აქტში მათ დაინახეს „წითელი რევოლუციის" დასამარება. მაგრამ როცა ლუი ნაპოლეონმა ესეც არ იკმარა და მემკვიდრეობითი ხელისუფლება დაიმკვიდრა, რუსეთის, ავსტრიის, პრუსიის მონარქთა სამეული შეშფოთდა, შეურაცხყოფილად მიიჩნია თავი, რადგან ეს აქტი შეფასებულ იქნა როგორც ვენის კონგრესის გადაწყვეტილებათა გადასინჯვა, როგორც ერთგვარი გამოწვევა, იმ მარცხისათვის, რომელიც ამ ქვეყნებმა ნაპოლეონ პირველს მიაყენეს. მემკვიდრეობით მონარქთა სამეულში მაშინ დაიბადა აზრი, არ ეცნოთ ლუი ნაპოლეონი როგორც მემკვიდრეობითი იმპერატორი, როგორც ნაპოლეონ III და მათი თანასწორი. რუსეთის მონარქმა ეს პირობა დაიცვა, მაგრამ ავსტრიის და პრუსიის მართველებმა იგი დაარღვიეს, ნაპოლეონ III იცვნეს. ნიკოლოზი კი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი მოქმედებით საგრძნობლად იყო განაწყენებული პატივმოყვარე უზურპატორი და ალბათ სამაგიეროს მიზღვევის მოხერხებულ საბაბსაც ეძებდა.

მაგრამ ეს პირადი განაწყენება სრულიადაც არ ყოფილა საფრანგეთ-რუსეთის მტრული დამოკიდებულების განმსაზღვრელი მიზეზი. საფრანგეთი ის ქვეყანა იყო, რომელსაც ადრიდანვე გაუჩნდა დაინტერესება ახლო აღმოსავლეთისადმი. მისი პოლიტიკა ეგვიპტესა და სირიაში უპირისპირდებოდა რუსეთის მომავალ გეგმებს. ავანტიურისტმა ლუი ნაპოლეონმა უკვე იცოდა, რომ თურქეთის წინააღმდეგ ნიკოლოზი ფართო ოპერაციებს ამზადებდა, რასაც შესაძლებელია ომი გამოეწვია. ამ ომს ახლა ნაპოლეონი მისთვის ყველაზე ხელსაყრელად თვლიდა და მზად იყო პირველი შესაძლებლობისთანავე ჩაბმულიყო მასში. საქმე ისაა, რომ საფრანგეთის საშინაო საქმეები მას მეტისმეტად აწეწილად ეჩვენებოდა. მისი მტრული ოპოზიცია თანდათან იზრდებოდა. არმიის რიგებში მიმდინა-

რეობდა განუწყვეტელი პროპაგანდა უზურპატორის წინააღმ-
დეგ. შეთქმულებათა ბუდე იზრდებოდა. ასეთ ვითარებაში,
ლუი ნაპოლეონის აზრით, ყველაზე საუკეთესო გამოსავალი
იყო საგარეო ომი, რომელიც ქვეყნის შიგნიდან გაიყვანდა მეა-
მბოხურად განწყობილ არმიას და ზარბაზნების ხმაურში ჩაჰკ-
ლავდა, ან მიაყუჩებდა მათს მტრულ სულისკვეთებას. ნაპო-
ლეონს ასევე სჭიროდა საგარეო გამარჯვებანი, რომელიც საფ-
რანგეთს მოაგონებდა ნაპოლეონ პირველის ბრწყინვალე ხანას
და გაფანტავდა იმ ეჭვებს, რომელიც უზურპატორის მიმართ
თანდათან იზრდებოდა. ამრიგად, საფრანგეთი არა თუ არ იყო
მზად ომისთვის, როგორც ეს ნიკოლოზს ეჩვენებოდა, არამედ
თვით ეძებდა ამ ომს, ეძებდა მეტადრე რუსეთის წინააღმდეგ,
რომელიც ბოჭავდა მის შესაძლებლობას ახლო აღმოსავლეთ-
ში და რომლის მონარქის მედიდურება ლუი ნაპოლეონის აზ-
რით უსათუოდ მკაცრ სასჯელს იმსახურებდა.

ზევით ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ნიკოლოზ I ინგლისი, მარ-
თალია, მიაჩნდა აღმოსავლეთის საკითხში ყველაზე საშიშ მე-
ტოქეტ, მაგრამ ვარაუდობდა, რომ ამ მეტოქეობას დაძლევდა
ინგლისის დაინტერესებით, მისი პარტნიორობით. ასეთი ცდა
რუსეთის იმპერატორმა უკვე გააკეთა 1844 წელს, როცა იგი
საგანგებო ვიზიტით ეწვია ინგლისის დედოფალ ვიქტორიას.
ინგლისში ნიკოლოზს დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. კონ-
სერვატორულ წრეებში საგანგებოდ აღნიშნავდნენ მის დამსახუ-
რებას რევოლუციიდან ევროპის ხსნის საქმეში. იგრძნო რა თა-
ვისთავი თანამოაზრეთა შორის, ნიკოლოზმა კონსერვატო-
რული ბანაკის ლიდერებთან უკვე წამოიწყო ლაპარაკი ახლო
აღმოსავლეთის მომავალ გეგმებზე და კერძოდ ლორდ ებერ-
დინს გაუზიარა აკვიატებული აზრი თურქეთის აგონიური
მდგომარეობის შესახებ.

— თურქეთი მომაკვდავი ადამიანია — ამბობდა ამ საუ-
ბარში ნიკოლოზი, — ჩვენ შეიძლება ვისწრაფვოდეთ მისი სი-
ცოცხლის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამაოდ, ჩვენ ამას ვერ

შევძლებთ. იგი უნდა მოკვდეს და მოკვდება კიდეც. ეს იქნება კრიტიკული მომენტი. მე წინასწარ ვეკვრეტ, რომ მომიხდება ვაიძულო ჩემი არმია ილაშქროს. მაშინ ავსტრიაც იძულებული იქნება ასევე მოიქცეს. ამასთან მე არავინ არ მაფიქრებს, გარდა საფრანგეთისა. რას მოისურვებს იგი? შეშინია, რომ ძალიან ბევრს აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვაში და თვით აღმოსავლეთში... შეუძლებელია გადავწყვიტოთ ახლა, თუ რა უნდა მოვიმოქმედო თურქეთის მიმართ, როცა იგი მოკვდება. ასეთი გადაწყვეტილება დააჩქარებს მის სიკვდილს. ამიტომ მე ყველაფერს გვაკეთებ, რომ სტატუსკვო შევინარჩუნო. მაგრამ ხომ საჭიროა პატიოსნად და გონივრულად განვსაჯოთ ყველა მოსალოდნელი შემთხვევა, საჭიროა მივაღწიოთ გონებრივ მოსაზრებებს, სწორ, კეთილსინდისიერ შეთანხმებას"...

ამავე საკითხზე ნიკოლოზს საუბარი ჰქონდა რობერტ პილთან. ამ საუბრების მიზანდასახულება ძირითადად მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთს და ინგლისს თავიდანვე აეწონ-დაეწონათ ვითარება, მიეღწიათ კეთილსინდისიერ შეთანხმებისათვის თურქეთის საკითხში. გაენაწილებიათ იქ ტერიტორიაც და სფეროებიც. ამასთანავე ეს შეთანხმება უნდა მომხდარიყო საფრანგეთისაგან სავსებით იზოლირებულად, უნდა მიეღწიათ საფრანგეთის ჩაურევლობისათვის, რადგან მისი ინტერესები ერთნაირად უპირისპირდებოდა როგორც რუსეთის, ისე ინგლისის ინტერესებს.

ამახვილებდა რა ყურადღებას საფრანგეთზე ამ საუბარში, ნიკოლოზ I ამით ვარაუდობდა საფრანგეთის ჩამოცილებას ანგარიშიდან. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ნაპოლეონ პირველის შემდეგ ვერ მოხერხდებოდა ინგლისის და საფრანგეთის ინტერესთა შერიგება, ხოლო თუ ამ ორ ქვეყანას შორის ძველი ბზარი არ ამოივსებოდა, მას ხელფეხი ეხსნებოდა უფრო გაბედული მოქმედებისათვის. ყოველ შემთხვევაში მისი ყველაზე საშიში მეტოქე ინგლისი რუსეთთან ომს ვერ დაიწყებდა კონტინენტური მოკავშირის გარეშე.

ინგლისში მოუსმინეს ნიკოლოზს, თუმცა გარკვეული პასუხი მის მიერ დაყენებულ საკითხებზე არ მიუციათ. მაგრამ ის

თბილი გარემო, რომელშიც ეს საუბრები მიმდინარეობდა, ნიკოლოზს დიდხანს რწმენას უნერგავდა, რომ ბოლოს და ბოლოს შეძლებდა ინგლისთან საერთო ენის გამონახვას, მით უმეტეს, რომ მის აზრებს ერთგვარად თანაუგრძნობდა ინგლისის დედოფალი. მაგრამ იმპერატორი სწორედ აქ ცდებოდა სასტიკად. მას არ ჰქონდა წარმოდგენილი ან არ სურდა გაეგო, რომ დედოფალს ინგლისის კოლონიურ პოლიტიკაში არავითარი როლი არ შეეძლო ეთამაშა და რომ ინგლისის პარლამენტში მომხდარ არც თუ იშვიათ ცვლილებებს სრულიადაც შეეძლო გაექარწყლებინა ეს იმედები.

თავის ვარაუდებში ნიკოლოზი მხედველობიდან უშვებდა კიდევ ერთ მძლავრ ფაქტორს, რომელმაც განაპირობა მისი მორალური იზოლიაცია მომავალ ომში. ეს იყო ევროპის დემოკრატიული აზრი. დემოკრატიული ძალები 1848 წლის შემდეგ განმტკიცდნენ ევროპაში, ისე რომ, სურდათ თუ არა, ევროპის მმართველი წრეები იძულებული ხდებოდნენ მათთვის ანგარიში გაეწიათ. ამ ძალებს კი საშინლად ძულდათ მონარქიული რუსეთი, რომელიც წარმოადგენდა რეაქციის ბურჯს და უხეშად ერეოდა ევროპის საქმეებში სწორედ დემოკრატიული ფენების საზიანოდ. ამ ძალებს კარგად ახსოვდათ მეფის რუსეთის ბნელი საქმიანობა პოლონეთში, უნგრეთში, მისი ცდები გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგ. ხედავდა რა რუსეთში მონარქიზმის კონსერვაციისა და აღდგენის ხელშემწყობ ძალას, ევროპის დემოკრატია აქეზებდა ევროპის ქვეყნებს მის წინააღმდეგ საბრძოლველად, წინ ეღობებოდა და ყოველმხრივ სახელს უტეხდა რუსეთის გეგმებს ახლო აღმოსავლეთში, განაპირობებდა ცარიზმის სრულ იზოლაციას, რაც ბოლოს და ბოლოს რუსეთისათვის საბედისწერო აღმოჩნდა კიდეც.

ომის საბაბი და დასაწყისი

1850 წელს ჯერ კიდევ პრინცპრეზიდენტმა ლუი ნაპოლეონმა, ამზადებდა რა თავის ავანტიურას ნაციონალური კრების წინააღმდეგ, კათოლიკური ეკლესიის მიმხრობის მიზნით

წამოიწყო დავა ე. წ. „წმინდა ადგილებზე“ პალესტინაში, რომელიც მაშინ თურქეთის იმპერიის აზიურ ზონაში შედიოდა. კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის ცილობა ამ „წმინდა ადგილებზე“, სადაც თითქოს დაიბადა ქრისტე და იმყოფებოდა „ღვთის საფლავი“, ძველი იყო. 1740 წელს ამ ადგილებში უპირატესობა კათოლიკებს ჰქონდათ, შემდეგ XVIII საუკუნის მიწურულიდან იგი მართლმადიდებლებმა მოიპოვეს. ნაპოლეონმა გადაწყვიტა კათოლიკური ეკლესია თურქეთში აღედგინა ძველს უფლებებში. ეს მას საფრანგეთში კლერიკალური წრეების მხარდაჭერას მოუპოვებდა. 1850 წლის 23 მაისს ლუი ნაპოლეონის ელჩმა კონსტანტინეპოლში გენერალმა ოლიკმა სულთან აბდულ მეჯიდს მოთხოვა ბეთლემსა და იერუსალიმში კათოლიკეთა უპირატესი უფლებების აღდგენა და გარანტია. ამ მოთხოვნის წინააღმდეგ კონსტანტინეპოლში ხმა აღიმაღლა რუსეთის დიპლომატიამ, საქმეში თვით ნიკოლოზი ჩაერია და სულთანისადმი წერილში მოითხოვა მართლმადიდებელთა უპირატესი უფლებების დაცვა. თითქოს საქმე ამით დამთავრდა.

„იერუსალიმის წმინდა ადგილები“ ნამდვილად არც რუსეთს აინტერესებდა, არც საფრანგეთს. ამ საფარქვეშ მიმდინარეობდა მხოლოდ ბრძოლა თურქეთის იმპერიაში გავლენისათვის. თვით კათოლიკური ეკლესია და მისი მამა რომის პაპი მეტად ინდეფერენტულად უყურებდა პალესტინის წმინდა ადგილების საკითხს. ასევე გულცივი იყო მისდამი მოსკოვის უმაღლესი სამღვდელოება. და თუ საერო ხელისუფალნი ასე დიდ გულისყურს იჩენდნენ ქრისტეს ბაგისა და ბეთლემის გასაღების მიმართ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საბაბით სურდათ გაბატონებული პოზიცია დაეკავებინათ თურქეთში. „წმინდა ადგილები“ მოხერხებულ საბაბს წარმოადგენდა თვით თურქეთის წინააღმდეგ და იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომლებიც საფრანგეთს, ან რუსეთს დაუპირისპირდებოდნენ თურქეთში.

1852 წლიდან ლუი ნაპოლეონმა, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, წყუროდა საგარეო ომი და აგრეთვე ამოქმედებდა

ნიკოლოზ პირველის მიმართ შურისძიების გრძნობა, თურქეთში წმინდა ადგილებზე დავა ისევ განაახლა. 1852 წ. აგვისტოში საფრანგეთის ელჩმა ლავალეტმა სამხედრო მუქარის ვითარებაში სულთანი აიძულა ისევ კათოლიკების მხარე დაეჭირა. 1853 წ. იანვარში სულთანის რწმუნებულმა აფიფ ბეიმ კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიების წარმომადგენლებს აცნობა, თუ რომელი რელიქვია იქნებოდა მათს განკარგულებაში. კათოლიკური ვერცხლის ვარსკვლავი, რომელზედაც ამოტვიფრული იყო საფრანგეთის ღერბი, დიდი და საჩვენებელი ზეიმით აღმართეს ბეთლემზე იმ ნიშთან, სადაც ლეგენდით იყო ახლადშობილი ქრისტეს ბაგა. ამავე დროს, იერუსალიმის წმინდა საფლავის გასაღებიც კათოლიკებმა ჩაიბარეს. მთელი ეს პროცედურა მიმდინარეობდა განგებ გაბერილი ხმაურის ვითარებაში და მას ანტირუსული დემონსტრაციის ხასიათი ჰქონდა.

ნაპოლეონ III მხრივ ეს იყო გამოწვევა, გამოწვევა იმ ადამიანისა, რომელიც ამ დროს თვით იყო შეპყრობილი აღდგენოფური ფიქრებით კონსტანტინეპოლსა და სრუტეებში ბატონობაზე. ნიკოლოზ პირველმა მიიღო ეს გამოწვევა და გადაწყვიტა ეს საბაბი გამოეყენებინა მისი ადრინდელი გეგმების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ნიკოლოზი ამ დროს უკვე ეწევა გაცხოველებულ სამზადისს, მუშავდება კონსტანტინეპოლში რუსეთის არმიის შეჭრის ვარიანტები. ამასთან ნიკოლოზ პირველი მორიგ ამოცანად ისახავს მოაგვაროს საკითხი ინგლისთან, და თუ ბრიტანეთის მმართველი წრეების თანხმობას მიაღწევს, დარწმუნებულია, რომ სამი-ოთხი დღის შემდეგ კონსტანტინეპოლი მის განკარგულებაში იქნება.

1853 წლის 9 იანვარს, სწორედ ლუი ნაპოლეონის მხრივ გამომწვევი პროვოკაციების წინ დიდი მთავრის მიხეილ პავლეს ძის სახლში გამართულ ბალზე ნიკოლოზმა სცადა ინგლისის პოზიციის ზონდირება. მან ასეთი საუბარი გამართა პეტერბურგში ლონდონელ ელჩ ჰამილტონ სეიმურთან:

„— ახლა მე მსურს ვილაპარაკო თქვენთან როგორც მეგობარმა და როგორც ჯენტლმენმა. თუ ჩვენ მივაღწიეთ შეთანხ-

მებას — მე და ინგლისი — დანარჩენი ჩემთვის არც ისე მნიშვნელოვანია. ჩემთვის სულერთია, თუ რას აკეთებენ ან რას გააკეთებენ სხვები. გულახდილად რომ ვილაპარაკოთ, მე თქვენ პირდაპირ გეუბნებით, თუ ინგლისი ახლო მომავალში ფიქრობს დასახლდეს კონსტანტინეპოლში, ამას მე არ დავუშვებ. მე თქვენ არ მოგაწერთ ასეთ განზრახვებს, მაგრამ მსგავს შემთხვევებში უკეთესია ვილაპარაკოთ გარკვეულად. ჩემის მხრივ მზად ვარ მივიღო ვალდებულება არც მე დავსახლდე იქ, ცხადია, როგორც მესაკუთრე. მაგრამ როგორც დროებითი დამცველი — ეს სხვა საქმეა. შეიძლება მოხდეს, რომ მდგომარეობამ მაიძულოს მე დავიკავო კონსტანტინეპოლი, თუ წინასწარ რაიმე გათვალისწინებული არ იქნება, თუ ყველაფერი შემთხვევაზე იქნება დამოკიდებული". ნიკოლოზი არწმუნებდა სეიმურს, რომ კონსტანტინეპოლს ვერ დაისაკუთრებს ვერც რუსეთი, ვერც საფრანგეთი, ვერც ინგლისი და ვერც საბერძნეთი. გამორიცხულია თურქეთის დაშლა პატარა რესპუბლიკებად. ნიკოლოზმა ამასთან წამოაყენა მის მიერ მოფიქრებული გეგმაც:

დუნაის სამთავროები (მოლდავეთი და ვალახეთი) შექმნიან ფაქტიურად უკვე არსებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ჩემი პროტექტორატით, ასევე მოხდება სერბეთში, ბულგარეთში. რაც შეეხება ეგვიპტეს, ჩემთვის საკუთრივ გასაგებია ამ ტერიტორიის მნიშვნელობა ინგლისისათვის. მე ვამბობ, რომ თუ ოტომანთა იმპერიის დაცემის შემდეგ მისი მემკვიდრეობის განაწილებისას თქვენ დაეუფლებით ეგვიპტეს, მე საწინააღმდეგო არაფერი მექნება. ამავეს ვიტყვი მე კანდიის (კუნძულ კრიტოსის ა. ს.) შესახებაც. შეიძლება თქვენ გაწყობთ ეს კუნძული და რატომ არ უნდა გეკუთვნოდეთ.

ნიკოლოზმა თხოვა სეიმურს გადაეცა ეს თვალსაზრისი ინგლისის მთავრობისათვის და მიეღწიათ ჯენტლმენური შეთანხმებისათვის თურქეთის ამ მომავალი დანაწილების საქმეში.[1]

ნიკოლოზ პირველის წინადადებას ინგლისის მმართველი

---

[1] Е. В. Тарле, Крымская война, Изд. 1950 г., том I, гл. 144-145

წრეები უარყოფითად შეხვდნენ. მთავრობის საპასუხო წერილში ის აზრი გამოსჭვივოდა, რომ ინგლისი ამჟამად ვერ ხედავს რაიმე რეალურ მიზეზს თურქეთის დაცემისა და რომ ინგლისს არ მიაჩნია მიზანშეწონილად რაიმე შეთანხმება თურქეთის შესახებ, თურქეთის გაყოფას, რომელსაც ინგლისს სთავაზობს რუსეთი, მხარს არ დაუჭერენ არც ავსტრია, არც საფრანგეთი.

მაგრამ თავის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებულ ნიკოლოზს ღრმად ჰქონდა გადაწყვეტილი ემოქმედა მარტო, თუ ვერ ჰპოვებდა ინგლისის მხარდაჭერას. მისი რწმენით ევროპა თურქეთის საკითხში ვერ მიაღწევდა ურთიერთშეთანხმებას, იგი გაითიშებოდა. ავსტრია მის მხარეზე იომებდა, ხოლო საფრანგეთისა და ინგლისის შეურიგებელი წინააღმდეგობის გამო ამ ქვეყნიდან ვერც ერთი ვერ გაბედავდა თურქეთის საქმეებში ჩარევას რუსეთის წინააღმდეგ. ნიკოლოზის ამ ვარაუდებს თითქოს ადასტურებდნენ კიდეც რუსეთის ელჩები ლონდონსა, პარიზსა და ვენაში, რომლებიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დასმენებს უფრო იმ ყაიდაზე წერდნენ, როგორიც იმპერატორის განწყობილებას შეესაბამებოდა.

ნიკოლოზმა გადაწყვიტა, პირველ რიგში, კონსტანტინეპოლში დაენიშნა ახალი საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი, რომელსაც ან უნდა მიეღწია რუსეთის პრეტენზიების დაკმაყოფილებისათვის, ან ვითარება გაემწვავებინა ომამდე. ეს ბოლო არჩევანი მას უფრო იზიდავდა და მომავალ საგანგებო ელჩ მენშიკოვთან საუბარში არც კი ფარავდა თავის განწყობილებას.

1853 წლის თებერვლის შუა რიცხვებში გენერალ-ადიუტანტი მენშიკოვი კონსტანტინეპოლისკენ გაემგზავრა. მისი მარშრუტი წინასწარ ისე იყო შედგენილი, რომ თურქეთის მმართველი წრეები უნდა მიხვედრილიყვნენ — რუსეთი სერიოზული ოპერაციებისთვის ემზადებოდა. მენშიკოვი თავისი დიდი ამალით პირველად ჩავიდა ბესარაბიაში, კიშინიოვში დაესწრო დათვალიერებას საარმიო კორპუსისა, რომელიც სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა და დუნაის პროვინციებს

უმიზნებდა, აქედან ელჩი სევასტოპოლში გაემგზავრა და შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ძლიერების დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო შემდეგ ჩაჯდა რა გემ „გრომონოსეცში", კურსი კონსტანტინეპოლისაკენ აიღო.

ინგლისის დიპლომატია გარეგნულად თავს ისე იჭერდა, თითქოს არც კი სურდა ჩარეულიყო რუსეთ-თურქეთის კონფლიქტში, თუ იგი „წმინდა ადგილებს" არ გასცდებოდა. სინამდვილეში იცოდნენ რა რუსეთის მმართველი წრეების განზრახვა და შიშს ჰგვრიდათ რა რუსეთის ძლიერება და ავტორიტეტი, ინგლისის მმართველი წრეები ფარულად ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩაეშალათ ნიკოლოზის გეგმები, ხოლო თუ რუსეთი უკან არ დაიხევდა, წაექეზებინათ იგი ომისთვის. ინგლისსა და საფრანგეთის მთავრობებს შორის უკვე გაიბა მეგობრული ურთიერთობის ძაფები. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ გაერთიანებული ძალით მოქმედების ვითარებაში რუსეთი დამარცხებული გამოვიდოდა.

სწორედ მენშიკოვის საგანგებო ელჩობის დროს კონსტანტინეპოლში ინგლისმა შეცვალა თავისი ელჩი. პოლკოვნიკი როზი გაწვეულ იქნა. მის ადგილზე დაინიშნა ნიკოლოზის პირადი მტერი, მოხერხებული დიპლომატი, გამოცდილი ინტრიგანი სტრადფორდ კანინგი (რედკლიფი), რომელიც ახლო აღმოსავლეთის საქმეთა საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა.

მენშიკოვი როგორც დიპლომატი ახლოსაც ვერ მივიდოდა კანინგთან. იგი იყო რუსეთის იმპერატორის ერთი იმ ფავორიტთაგანი, რომელნიც მაღალ სახელმწიფო პოსტებს მოიპოვებდნენ ხოლმე არა პირადი ნიჭისა და უნარის მიხედვით, არამედ იმპერატორის კეთილგანწყობილებათა შედეგად. საზღვაო საქმეთა მინისტრი მენშიკოვი ოცი წელი მსახურობდა საზღვაო უწყებაში, მაგრამ ყველას აოცებდა თავისი უცოდინარობით, იგი ამავე დროს იყო ფინეთის გუბერნატორი, თუმცა ამ ქვეყანაში არ გაევლო როგორც ტურისტსაც კი. ეს ყოყოჩა რუსი თავადი, სარგებლობდა რა იმპერატორის დიდი ნდობითა და სიყვარულით, სრულიადაც არ უწევდა ანგარიშს რუსეთის დიპლომატიის მითითებებს, მოქმედებდა გამომწვევად,

უხეშად, პირადად ნიკოლოზის ინსტრუქციით და სრულებითაც არ ყოფილა ჩახედული იმ დიპლომატურ ინტრიგებში, რომლითაც საერთოდ იყო განთქმული კონსტანტინეპოლი და რაც სწორედ მის წინააღმდეგ სტრადფორდ კანინგის მეთაურობით ინასკვებოდა.

მენშიკოვს კონსტანტინეპოლში დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. შეშფოთებული სულთანი მზად იყო ვაეღო ზოგიერთი დათმობანი. მენშიკოვის სურვილისამებრ გადაყენებულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრი ფუად ეფენდი, რომელმაც ადრე „წმინდა ადგილებზე" დავაში საფრანგეთის მხარე დაიკავა. მენშიკოვმა კონსტანტინეპოლში მთელი ევროპის ყურადღება მიიქცია პირდაპირ პროვოკაციული მოქმედებით, მაგალითად, დიდი ვეზირი მან ინახულა ქუდით და პალტოთი, მეტად მკვეთრი ტონით ლაპარაკობდა სულთან აბდულ-მეჯიდთან და სხვ.

მენშიკოვმა სულთანს მოთხოვა არა მარტო მართლმადიდებელთა უპირატესობის აღიარება „წმინდა ადგილების" მფლობელობაში, არამედ ამასთან დაკავშირებით სპეციალური ხელშეკრულების დადება რუსეთსა და თურქეთს შორის. სულთანი ამ წინადადების სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ, ამასთან დაშინებული რუსეთის სამხედრო ძლიერებით და ორ ცეცხლს შუა მყოფი ბოლოს და ბოლოს მიჰყვა კანინგის რჩევას, რომელმაც მშვენივრად ამოიცნო რა რუსეთის ელჩობის მიზანდასახულება, მიზანშეწონილად ჩათვალა საზოგადოებრივი აზრისათვის თურქეთის მხრივ მეტი დამთმობლობა. კანინგი ერთ-ერთი მთავარი დაინტერესებული პირი იყო რუსეთ-თურქეთის ომის გაჩაღებისა, ვარაუდობდა რა, რომ იგი გადაიქცეოდა საერთო ევროპულ ომად რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ეს რომ მომხდარიყო, საჭირო იყო პარლამენტის მხარდაჭერა, ევროპული საზოგადოებრივი აზრის დამუშავება. ამ მიზნით მან მოხერხებულად გამოიყენა რუსეთ-თურქეთის კონვენციის ის ტექსტი, რომელიც მენშიკოვმა წარუდგინა საგარეო საქმეთა ახალ მინისტრს რიფაატ-ფაშას და რომლის ტექსტს კანინგისაგან მოითხოვდნენ პარლამენტში. კანინგმა

გაგზავნა რა ეს ტექსტი, განგებ დაამახინჯა მისი შინაარსი, იქ სადაც ლაპარაკი იყო, რომ რუსეთის მთავრობა, ისე როგორც წარსულში, უფლებას იტოვებს გააკეთოს წარდგინება (თურქეთის მთავრობისადმი) ეკლესიისა და სამღვდელოების სასარგებლოდ, კანინგმა „გააკეთოს წარდგინება" შეცვალა სიტყვებით „გასცეს ბრძანებანი". ტექსტის ასე გადასწორება ცვლიდა მთელ მის შინაარსს და მეტყველებდა რუსეთის ახალ დაწოლაზე. კანინგის ვარაუდით პარლამენტში ეს შეფასებულ იქნებოდა როგორც თურქეთის საქმეებში ჩარევის და იძულების აქტი, ხოლო ეს კლარენდონს — ინგლისის საგარეო საქმეთა ახალ მინისტრს და მის ჯგუფს, რომელსაც პალმერსტონი მეთაურობდა, მიცემდა საბუთს დაეწყოთ გადამწყვეტი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ.[1]

თურქეთის სულთანმა კანინგის ჩაგონებით მართლაც გამოსცა ფირმანი, რომელიც მართლმადიდებელ ქრისტიანთა უპირატესობას ადასტურებდა თურქეთში. როგორც მოსალოდნელი იყო, მენშიკოვი ამით არ დაკმაყოფილდა. ხელშეკრულების ტექსტზე ხელის მოწერაზე სულთანმა იმავე კანინგის ჩაგონებით უარი თქვა. მენშიკოვისათვის ეს საკმარისი იყო. 1853 წლის 21 მაისს მან თავისი ამალით დატოვა კონსტანტინეპოლი. ნიკოლოზისათვის ეს უკვე საკმაო საბაბი იყო შემდგომი ნაბიჯის გადასადგმელად. მან გამოსცა მანიფესტი, იმის შესახებ, რომ იცავს რა თურქეთში მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესებს, რაც ბოლო დროს სულთანმა შელახა, იძულებულია დაიკავოს დუნაის პროვინციები (მოლდავეთი და ვლახეთი). მართლაც, 1853 წლის 14 (26) ივნისს რუსეთის 80 ათასიანი არმია მ. დ. გორჩაკოვის მეთაურობით დუნაის პროვინციებში შევიდა.

რუსეთის ასეთ ნაბიჯს ინგლისის და საფრანგეთის მმართველი წრეები საპასუხო ღონისძიებით შეხვდნენ. ნაპოლეონ III საფრანგეთის სამხედრო საზღვაო ფლოტს, ტულონში რომ საბრძოლო მდგომარეობაში იყო თავმოყრილი, უბრძანა

---

[1] История дипломатии, Том. I, зз, 440.

კურსი სალამინისაკენ აეღო. ასეთივე ბრძანება მიიღო ინგლისის ფლოტმა. 1853 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში ინგლის-საფრანგეთის ფლოტი უკვე შეეიდა ბეზიკის ყურეში დარდანელის სრუტის სათავესთან.

ომი ჯერ კიდევ ოფიციალურად გამოცხადებული არ ყოფილა, მაგრამ მეომარი ძალები უკვე ძირითადად დაჯგუფდნენ. ვითარება დაიძაბა. ორთავე მხრის დიპლომატია გაცხოველებით მუშაობდა ავსტრიისა და პრუსიის მისამხრობად.

ავსტრიის დიპლომატია ბუოლ ფონ შაუენშტეინის მეთაურობით ერთის მხრივ ცდილობდა, რომ რუსეთ-თურქეთის შეთანხმებისათვის მიეღწია და მოესპო დუნაის პროვინციებში რუსეთის არმიის შეჭრის საბაბი, მეორეს მხრივ, ფარულად ვაჭრობდა ინგლისთან და საფრანგეთთან. იმის შესახებ, თუ რას მიიღებდა ავსტრია უკეთუ იგი გამოვიდოდა ამ ომში რუსეთის წინააღმდეგ. პრუსიის მმართველ წრეებში ჯერ კიდევ მერყეობდნენ, რადგან ერთი გავლენიანი პარტია გენერალ ლეოპოლდ ფონ გერლასის მეთაურობით რუსული ორიენტაციისა იყო, ხოლო მეორე, რომელსაც წარმართავდა პრუსიელი ელჩი ლონდონში ბუნზენი, გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის ანტირუსულ პოზიციას იცავდა. უკეთეს შემთხვევაში რუსეთისათვის, პრუსიას შეეძლო მხოლოდ ნეიტრალიტეტი აერჩია ამ ომში. რუსეთის ეფექტურ მომხრედ იგი ვერ გამოვიდოდა, რადგან ეს ნიშნავდა ჯერ ერთი, რუსეთისადმი მტრულად განწყობილი გერმანული ბურჟუაზიისადმი დაპირისპირებას, და მეორეც, იძულებით ჩაყოლას ისეთ კონფლიქტში, რისთვისაც იმ პერიოდში პრუსია ჯერ კიდევ დაინტერესებული არ ყოფილა.

ამ მშფოთვარე მომენტში ვენაში შეიკრიბნენ ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრიის წარმომადგენლები. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეადგინა პროექტი შეთანხმებისა, რომელსაც მშვიდობიანად უნდა გადაეწყვიტა რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი. შეთანხმება ითვალისწინებდა თურქეთისათვის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის ვალდებულებათა აღიარებას და დაცვას, ნიკოლოზისათვის დუნაის პროვინციების დატოვებას.

ნიკოლოზი დათანხმდა ვენის ნოტის მოთხოვნებზე, მაგრამ მიუთითა თუ თურქეთი უარს იტყოდა ნოტაში წამოყენებულ პირობებზე, მას ხელფეხი უნდა გახსნოდა თავისუფალი მოქმედებისათვის.

16 სექტემბერს ნიკოლოზ პირველი და ფრანც იოსები ერთმანეთს შეხვდნენ ოლმიუცში. აქ გამომუშავებულ იქნა დაზავების ახალი გეგმა. 21 სექტემბერს მოეწყო რუსეთის, ავსტრიის და პრუსიის მონარქთა შეხვედრა ვარშავაში. პრუსიამ ოლმიუცის შეთანხმებაზე ხელი არ მოაწერა. ამავე დროს სტრაფორდ კანინგს, რომლის უკან იდგნენ რუსეთისადმი მტრულად განწყობილი და მისი ომში ჩათრევისათვის მებრძოლი წრეები, სრულებითაც არ ესიამოვნა ვენაში და ოლმიუცში მიმდინარე მოლაპარაკება, რომელიც გულდაგულ მომზადებულ ომს აღკვეთას უქადდა. კანინგმა ჩააგონა სულთანს უარი ეთქვა ვენის ნოტის მუხლებზე. კანინგისავე რჩევით სულთანმა 1853 წლის 27 ოქტომბერს რუსეთს წაუყენა ულტიმატუმი და მოითხოვა დუნაის პროვინციების გაწმენდა რუსეთის არმიისაგან. ულტიმატუმის ვადა არც კი იყო გასული, რომ 1853 წ. 4 ოქტომბერს თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა რუსეთის მეფის მანიფესტი თურქეთთან ომის შესახებ. აკად. ე. ვ. ტარლე შენიშნავს, რომ „ნიკოლოზის სიბრმავე 1853 წ. მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში იყო სიბრმავე ადამიანისა, რომელსაც არ სურს დაინახოს, რომელსაც ატყუებენ და რომელსაც სურს სიმართლისთვის გზისახვევა[1]. ომის მანიფესტში რუს ხალხს იგი არწმუნებდა ევროპის სახელმწიფოთა კეთილგანწყობილებაში რუსეთისადმი, თუმცა ამ დროისათვის საკვლევით გამორკვეული იყო, რომ რუსეთი მარტოდ მარტო აღმოჩნდა თურქეთისა და მისი მოკავშირე ევროპის პირისპირ, რომ ამ ომით იგი ეჯახებოდა არა მარტო თურქეთს, არამედ მთელ ევროპას.

---

[1] Е. В. Тарле, Крымская война. Том II, გვ. 280-281.

მეოთხარ მხარეთა ძალები

რუსეთის არმიის მაღალი საბრძოლო თვისებები ცნობილი იყო მთელს ევროპაში. XIX საუკ. პირველი ნახევრის ომებმა საფრანგეთის, თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოს დაანახვეს რუსეთის არმიის მაღალი დონე, მისი შეუპოვრობა და სიმამაცე, ამასთან რუსეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა ევროპის არც ერთი ქვეყნის არმიის რაოდენობას არ ჩამორჩებოდა. მას გააჩნდა აგრეთვე რეზერვების დიდი შესაძლებლობანი, მანევრირებისათვის ხელსაყრელი ტერიტორია და სხვ.

მაგრამ ამ პერიოდში, როცა ომში ძირითად ფაქტორს უკვე ტექნიკა იკავებდა, რუსეთის მდგომარეობა არც ისე სახარბიელო ჩანდა. დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა, სადაც მრეწველობა გაცილებით მაღალ დონეზე იდგა ვიდრე რუსეთში, რუსეთი შორი მანძილით მოიტოვეს უკან არმიის შეიარაღების საქმეში. რუსეთის ქვეითი არმია ომის წინ შეიარაღებული იყო უმთავრესად კაჟის გლუვლულიანი თოფებით, რომლებიც 300 ნაბიჯზე შორს ვერ ისროდნენ, მაშინ როცა საფრანგეთის და განსაკუთრებით ინგლისის ქვეით ჯარს შორსმსროლელი შაშხანები ჰქონდათ. რუსეთი ასევე დიდად ჩამორჩებოდა საარტილერიო შეიარაღების საქმეში. მართალია, ქვემეხების რაოდენობა რუსებს საკმაო ჰქონდათ, მაგრამ ისინი ძველი ნიმუშისა იყვნენ და საბრძოლო თვისებებით დიდად ჩამოუვარდებოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის ქვემეხებს, რომლებიც შორსაც ისროდნენ, გაცილებით მსუბუქი იყვნენ და ცეცხლის მეტი სიხშირე გააჩნდათ.

XIX საუკ. 20—30-იან წლებიდან ევროპასთან შედარებით უკან ჩამორჩა რუსეთის არმიის საბრძოლო მომზადებაც. არმიის გარეგანი მოხდენილობის მოტრფიალე ნიკოლოზი როდი აქცევდა საკმაო ყურადღებას ჯარისკაცების საბრძოლო წრთვნას. არმიაში თანდათან დავიწყებულ იქნა სუვოროვისა და კუტუზოვის შესანიშნავი ტრადიციები, რომელიც ყურადღებას ჯარისკაცის საბრძოლო მომზადებაზე, მის ტაქტიკურ—

საცეცხლე წვრთნაზე ამახვილებდა. პაროდომანია, შაგისტიკა, მუშტრუკა—აი რაში იხარჯებოდა ჯარისკაცის მთელი სასწავლო დრო. ეპოქის სულისკვეთებას ბოლოს და ბოლოს აჰყვა ოფიცრობაც, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა არა სამხედრო ხელოვნებაში ახალ მიღწევებზე, არამედ ხელქვეითების სამწყობრო ილეთებში წრთვნაზე. ევროპული არმიები გაწრთვნილი იყო მანევრული ოპერაციებისათვის, რომელიც ჯარისკაცისაგან მეტ დამოუკიდებლობას, მოხერხებულობას, პირადი ინიციატივის გამოჩენას მოითხოვდა.

ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობანი გაცილებით მეტი იყო ამ პერიოდში, ვიდრე რუსეთისა. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შედგებოდა იალქნიანი ხომალდებისაგან, რომლებიც სისწრაფესა, ტევადობასა და ტვირთუნარიანობაში ინგლის-საფრანგეთის ბრახნიან გემებთან ახლოსაც ვერ მივიდოდნენ. ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ხომალდები შორსმსროლელი ქვემეხებით იყვნენ შეიარაღებული და მათ ისე შეეძლოთ დაეზიანებინათ რუსეთის ხომალდები, რომ ახლო მანძილზეც კი არ მიეშვათ. რუსეთს საკმაოდ ძლიერი ფლოტი ჰყავდა შავს ზღვაზე, მაღალი საბრძოლო თვისებებით ხასიათდებოდა მისი პირადი შემადგენლობაც, მაგრამ ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებული ძალებისათვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა მას მაინც არ შეეძლო.

რუსეთის დიდი ჩამორჩენილობის მომასწავებელი იყო აგრეთვე პრიმიტიული ტრანსპორტი და უკზოობა.

რუსეთს არ ჰქონდა რკინიგზა სამხრეთში. შავი ზღვის სანაპირომდე, სადაც მოსალოდნელი იყო ძირითადი საომარი ოპერაციები, სამხედრო ძალებინ გადაყვანას თვეები სჭიროდა, რადგან არმია ფეხით ფარავდა ასე შორ მანძილს. მეომარი ევროპელი სახელმწიფოები, მაგალითად, უფრო სწრაფად ახერხებდნენ გადმოესროლათ სამხედრო ძალები ატლანტიკის ოკეანეს ნაპირებიდან რუსეთის ტერიტორიაზე, ვიდრე რუსები — გადაეყვანათ სამხედრო ძალები დედაქალაქიდან შავი ზღვის სანაპირომდე, რადგან მანძილი 2500 კილომეტრი რუსეთის

არმიას ფეხით უნდა გაევლო, ინგლის-საფრანგეთის არმია კი სარგებლობდა რკინიგზებით, არხებით და ზღვაზე სწრაფმავალი ხომალდებით, რაც რუსეთს არ გააჩნდა. წვიმასა და თოვლში ეს გზები ზოგჯერ გაუვალი ხდებოდა. ამ ვითარებაში თითქმის შეუძლებელი ხდებოდა ძალების მანევრირება იმ სხვადასხვა ფრონტებზე, რომელიც შემდეგ ინგლის-საფრანგეთმა გახსნეს. იმავე უგზოობის გამო, შეფერხებული იყო არმიის მომარაგება საომარი საჭურველით, სურსათით, ტანსაცმლით.

დიდი ქაოსი და ბოროტმოქმედება იყო გაბატონებული რუსეთის საინტენდანტო სამსახურში. ქურდობა, სპეკულაცია, მექრთამეობა, რითაც საერთოდ ხასიათდებოდა ნიკოლოზისეული ეპოქა, თავის გამოვლენას საარმიო ცხოვრებაში პოულობდა. ინტენდანტები ურცხვად ქურდობდნენ და ვაჭრობდნენ ჯარისკაცის უფლებით. ამიტომ იყო, რომ ჯარისკაცებს ყოველთვის აკლდათ ტანსაცმელი და სურსათი, განსაკუთრებით საფრონტო ვითარებაში.

კაპიტალისტურ ეპოქაში ტექნიკა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გადამწყვეტი ფაქტორის როლს იკავებდა. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ეკონომიკის მაღალ დონეს, მის უნარს დაემზადებინა მეტი შაშხანა, ქვემეხი, საომარი მასალა, ეწარმოებინა მეტი სურსათი და საბრძოლო საქონელი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მეტალურგიულ მრეწველობას. რუსეთი ამ მხრივ ძალიან დაბალ დონეზე იდგა. მისი სამრეწველო სიმძლავრე ევროპის ქვეყნების სამრეწველო სიმძლავრესთან შედარებით არარაობად ჩანდა. დიდი ეკონომიური შესაძლებლობანი გამოყენებული არ ყოფილა. რუსეთს არ ჰქონია ქვანახშირის წარმოება, რაც ასე სჭიროდა მეტალურგიულ მრეწველობას. მეტალურგიული ქარხნების წარმადობა სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა ომის მოთხოვნილებას. ყოველივე ამის მიზეზი კი, რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი იყო, რომელიც აფერხებდა ქვეყნის სამრეწველო-ეკონომიურ წინსვლას და აპირობებდა სამხედრო-ტექნიკურ ჩამორჩენილობას.

მეტად უნიჭო იყო რუსეთის არმიის გენერალიტეტი. ფელ-

დმარშალი პასკევიჩი, რომლის ანგარიშზე მრავალი ვამარჯვება იყო ჩაწერილი, ამ დროს მოხუცი იყო. ომის გაღვივებასა და ძის გეგმებში იგი ნიკოლოზს ჩუმ ოპოზიციაში ედგა, არავითარ საბრძოლო ენთუზიაზმს არ იჩენდა, აშავე დროს აშკარად ხედავდა რა ევროპის სამხედრო შესაძლებლობათა დიდ უპირატესობას, სრულიადაც ვერ იჩეხდა გაბედულებას, ინიციატივას. გორჩაკოვი, რომელიც ნიკოლოზმა დუნაის არმიის სათავეში ჩააყენა, აგრეთვე უნიჭო, უინიციატივო, გაუბედავი, ევროპის არმიის სარდლობის სამხედრო ხელოვნებაში ვაუთვითცნობიერებელი მოხუცი იყო.

ომს აგრეთვე არავითარი პოპულარობა არ ჰქონია არმიაში. ჯარისკაცებს აკლდათ ის საბრძოლო ენთუზიაზმი, რომელსაც ისინი, მაგალითად ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში იჩენდნენ. მათთვის უცხო და გაუგებარი იყო ამ ომის მიზანი. რა თქმა უნდა, ეს მორალური ფაქტორი ჯარისკაცთა საბრძოლო უნარზე უარყოფითად მოქმედებდა.

რუსეთის არმიის მოუმზადებლობაზე, ძის განწყობილებაზე მოგვითხრობს ამ ომის მონაწილე ოფიცერი ალაბინი. „...მზად ვართ ჩვენ ომისათვის? — წერს იგი — სინდისის ქვეშ რომ ვთქვათ, არა, სრულიადაც არა. პირველყოვლისა, ჩვენ ცუდად ვართ შეიარაღებული. ჩვენი ქვეითები აღჭურვილი არიან გლუვლულიანი თოფებით, რომელთა ხრახნები, უმთავრესად განგებ მორყეულია,... ხოლო ლულის შიგხითა ნაწილი დაზიანებულია. ყოველივე ამის გამო, დამიზნებითი სროლისათვის ჩვენი თოფები საკვლებით გამოუსადეგარია... ამასთან ძალიან ცოტა გვყავს სროლის მცოდნე ადამიანები, რადგან ამ ხელოვნებას არასოდეს არ გვასწავლიდნენ უნარიანად, სისტემატურად, არასოდეს არ იყენებდნენ დანიშნულებისათვის თოფის წამალს, რომელსაც გვაძლევდნენ მეტად მცირე რაოდენობით პრაქტიკული სროლისათვის, მის დიდ ნაწილს ურიგებდნენ ნაცნობ მემამულეებს... სხვა იარაღი ქვეითებს არ გააჩნიათ, რადგან არ შეიძლება ხუმრობის გარეშე იარაღად ჩაითვალოს მახვილი, რომლებიც ჯარისკაცებს და უნტერ ოფიცრებს უკან ულაყლაყებთ... ეს მახვილი არაფრისათვის არაა გამოსადეგი.

...საერთოდ რომ ვთქვათ, არც ოფიცრებმა, არც ჯარისკაცებმა თავისი საქმე არ იციან და არაფრისათვის არ არიან მომზადებული საკმარისად... ჩვენ ყველაფერი ვანაცვალეთ ბარშირებას, ფეხის ჭვინტების სწორად დაყენებას... ჩვენი ჯარისკაცი არა მარტო ცუდადაა შეიარაღებული და ცუდადაა დაუფლებული თავის საქმეს, არამედ ის ცუდადაც ჩაცმულია. მისი ფეხსაცმელი ვერ უძლებს შორეულ ლაშქრობას, იგი ცუდადაა გამოკვებილი, ვისაც არ ეზარება, ყველა მას ძარცვავს, იგი დატვირთულია იმდენად, რომ უნდა ჰქონდეს ზეადამიანური ძალა და ჯანმრთელობა, რომ ზიდოს მისთვის განკუთვნილი ნორმა... ჯარისკაცის ისედაც მცირე ულუფის საქურდლად მზად არიან კაპტენარმუსიც და ფელდფებელიც, და ყველა შემდგომი სამხედრო და სამოქალაქო მოხელე, ვის ხელშიც წინასწარ გადის ჯარისკაცის კუთვნილი ულუფა"[1].

რუსეთის არმიის ეს შინაგანი წყლულები, რაც მთელი იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკური სისტემის წყლულთა გამოვლინებას წარმოადგენდა, რუსეთის არმიას უმზადებდა მეტად მძიმე ხვედრს, რომელსაც სრულიადაც არა ჯარისკაცის მიზეზით უნდა გაექარწყლებინა რუსეთის არმიის უწინდელი საბრძოლო დიდება და სახელი.

საომარი ოპერაციების დასაწყისი

1853 წლის 20 ოქტომბერს თურქთა ნაწილებმა ტურტუკაისთან გადალახეს მდინარე დუნაი და დაიკავეს ოლტენიცის კარანტინი. რუსებს აქ შედარებით მცირე ძალები ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, სარდლობის ბრძანებით რუსთა ნაწილები გადავიდნენ იერიშზე, მაგრამ ამ იერიშებს წარმატება არ მოჰყოლია, რაშიაც ძირითადი დანაშაული გენერალ დანენბერგს მიუძღოდა, რომელმაც თავისი უნიჭობით ისევე მოჰპარა ოლტენიცასთან გამარჯვება რუს ჯარისკაცს, როგორც მას ინტენდანტები პარავდნენ კუთვნილ ულუფას" (ტარლე) თურქები-

---

[1] Е. В. Тарле, Крымская война, том. I, გვ. 282-283.

სათვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში დანენბერგმა გასცა ბრძანება უკანდახევის შესახებ. მეორე ბრძოლაში ჩეტატთან, რუსეთის ძალებმა ასევე მარცხი განიცადეს. ასე რომ, ომის პირველსავე თვეებში დუნაის ფრონტზე რუსეთის არმიამ, უპირატესად მისი სარდლობის დაბნეულობისა და უნიჭობის შედეგად, ორი მძიმე მარცხი განიცადა და დაჰკარგა ორი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

1854 წლის დასაწყისში რუსეთის დასავლეთი საზღვრების ჯარების და დუნაის ფრონტის მთავარსარდლად დანიშნული იქნა გრაფი პასკევიჩი. ბალკანეთში ამ დროს შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება თურქეთის უღელქვეშმყოფი სლავი და ბერძენი ხალხების დასარაზმავად. ბოსნიაში და ჰერცეგოვინაში უკვე აღმოცენებული იყო საჯანყებო კერები. გააქტიურდნენ ბერძენი პატრიოტები, რომლებმაც 1854 წ. წამოიწყეს კიდეც აჯანყება კუნძულ კრიტოსზე. ადვილი შესაძლებელი იყო აგრეთვე სერბიის ამოქმედებაც, მაგრამ ნიკოლოზმა და პასკევიჩმა ეს ხელსაყრელი ვითარება უნარიანად ვერ გამოიყენეს. ბერყეობა, დაბნეულობა, ხელსაყრელი მომენტებისადმი უყურადღებობა დამახასიათებელი იყო დუნაის მთელი კამპანიისათვის. მხოლოდ 1854 წლის მარტში გაბედა გორჩაკოვმა გაეჩაღებინა საბრძოლო ოპერაცია. რუსების 50 ათასიანმა კორპუსმა ამ დროს გადალახა მდინარე დუნაი და ალყა შემოარტყა თურქების ციხე-სიმაგრე სილისტრიას. ამ მნიშვნელოვანი ობიექტის ალყა რუსებმა მტკიცედ და გეგმიანად ვერ განახორციელეს. თვით მთავარსარდლობაში არავითარი შეტევითი გეგმები არ მუშავდებოდა. პასკევიჩი ფარულად თანაუგრძნობდა რუსეთის არმიის დუნაიდან გაყვანას და იგი ყოველგვარ წინსვლა-წარმატებას შიშით უყურებდა. ერთ-ერთი მეთვალყურე სილისტრიის ალყის პერიოდში პასკევიჩს ასე ახასიათებს „პასკევიჩს სილისტრიის წინ არაფერი არ უნდოდა, არაფერს არ სარდლობდა, არაფერს არ ბრძანებდა, მას არ უნდოდა სილისტრიის აღება, მას საერთოდ არაფერი არ უნდოდა“. რუსების იერიშს ციხეზე წარმატება არ მოჰყოლია და იგი

გრძელდებოდა. მანამ, ვიდრე ავსტრიის ულტიმატუმის შედეგად რუსეთმა საკუთარი არ დატოვა დუნაის პროვინციები.

სამაგიეროდ ბრწყინვალე იყო რუსეთის სამხედრო საზღვაო ძალების გამარჯვება, რომელიც მათ თურქეთის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში სინოპის ბუხტასთან მოიპოვეს. სინოპთან — შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ყურესთან რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა აღმოაჩინა თურქეთის საზღვაო ძალების დაჯგუფება, რომელიც 7 ფრეგატისა, 3 კორნეტის, 2 გემის, 2 ტრანსპორტის და რამდენიმე სავაჭრო ხომალდისაგან შედგებოდა. მთელი ეს ძალები იმისათვის იყო განკუთვნილი, რომ დესანტი გადაესხათ კავკასიის სანაპიროებზე, სადაც თურქები ფართე ოპერაციების ჩატარებას აპირებდნენ. ეიცე ადმირალმა პავლე სტეფანეს-ძე-ნახიმოვმა, რომელიც ესკადრას ხელმძღვანელობდა, გადაწყვიტა დაუყოვნებლივ მოეწყო სინოპის ყურეს ბლოკირება. მიუხედავად იმისა, რომ მისი ძალები თურქეთისას რაოდენობის მხრივ დიდად ჩამოუვარდებოდა. 16 ნოემბერს ნახიმოვის ძალებს შეუერთდა ნოვოროსიისკის ესკადრა. მისი ძალები გაიზრდა. ახლა მის განკარგულებაში აღმოჩნდა 6 სახაზო გემი და 2 ფრეგატი. თურქეთის ფლოტს, გარდა იმისა, რომ რიცხობრივად მაინც უპირატესობა ჰქონდა, შესანიშნავად იცავდა აგრეთვე სინოპის სანაპირო არტილერია.

ნახიმოვმა 18 ნოემბერს დაიწყო სინოპის ყურეზე შეტევა. ორ კოლონად მოწყობილი ესკადრა დილიდანვე გადავიდა იერიშზე და მოწინააღმდეგეს გრიგალისებური საარტილერიო ცეცხლი დააყარა. საფლაგმანო ხომალდი „მარია", რომელზედაც ნახიმოვი იყო, თურქების ჯვარედინი ცეცხლის ქვეშ გაიჭრა წინ, ღუზა ჩაუშვა თურქეთის საფლაგმანო ფრეგატის „აუნი-ალაჰის" პირდაპირ და მას ერთდროულად დააყარა ცეცხლი 40 ქვემეხიდან. „აუნი-ალახი" გაიქცა, მაგრამ მოჰყვა რა სხვა რუსული ხომალდების შუა, იძულებული შეიქნა ნაპირზე გარიყულიყო. რუსებმა მალე ხაძირეს მეორე გემი, აფეთქდა მესამე, მეოთხე ნაპირზე გაირიყა. სულ რაღაც 4 საათის ბრძოლაში თურქეთის ძლიერი ფლოტიდან სინოპთან აღარაფერი დარჩა. ბრძოლას უვნებლად გაექცა მხოლოდ ერთი ხომალდი,

რომლის მეთაური იყო ინგლისელი სლედი, რომელსაც ვითომ მაჰმადიანობა ჰქონდა მიღებული და მუშავერ-ფაშას სახელს ატარებდა. საბოლოოდ თურქეთის 14 გემისაგან 13, სანაპირო ბატარეა და მისი პირადი შემადგენლობის უმრავლესობა განადგურებულ იქნა. ცოცხალი ძალის დანაკარგი ინგლისელთა ცნობით 4 ათასს შეადგენდა. რუსებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე, რომელთა შორის იყო თვით ფრეგატის მეთაური ოსმან-ფაშა. რუსებმა მხოლოდ 38 კაცი დაკარგეს.

სინოპთან ბრძოლა თურქეთის დიდ მარცხს მოასწავებდა. მან ცხადყო თუ რაოდენ უკეთესი იყო თურქულზე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ტექნიკური აღჭურვილობა და პირადი შემადგენლობის მომზადება. მაგრამ ამავე ბრძოლამ საბოლოოდ მოუღო ბოლო ინგლის-საფრანგეთის მერყეობას და წააქეზა ისინი თვით ეკისრათ რუსებისაგან შავი ზღვის დაცვის საქმე. აქ კი რუსეთის ფლოტი, მიუხედავად მთელი პირადი შემადგენლობის შესანიშნავი გაწვრთნილობისა, ვერას გააწყობდა, რადგან საქმე ჰქონდა იმ დროს პირველხარისხოვან ფლოტთან, რომლის რაოდენობაც და ტექნიკური სიმძლავრეც დიდად ჭარბობდა რუსეთისას.

სინოპის ბრძოლამ ამ დაძაბულ ატმოსფეროში მეხის გავარდნის შთაბეჭდილება მოახდინა. თურქეთის სულთანი დაფრთხა. ახლა იგი უფრო მეტად აღმოჩნდა გახლართული სტრადფორდ კანინგის ქსელში, რომელმაც სინოპის ტრაგედია მიიჩნია საუკეთესო საშუალებად ინგლის-საფრანგეთის საზღვაო ძალების ამოქმედებისა, რომლებიც დარდანელში სრულ მზადყოფნაში ელოდნენ ბრძანებას. კანინგის მოხსენება რომელიც ინგლისის მთავრობას გაეგზავნა, მეტად მუქ ფერებში ხატავდა ამ მარცხს. ინგლისის მმართველ წრეებში სინოპმა აგრეთვე გააძლიერა შფოთი და შეხედულებათა ბრძოლა. ლორდმა პალმერსტონმა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა, პრემიერ მინისტრ ლორდ ებერდინს მრთხოვა დაუყოვნებლივ შეეყვანათ შავ ზღვაში დიდი ესკადრა და ოფიციალურად გაეცხადებინათ რუსეთის მთავრობისათვის რომ მანამ, ვიდრე რუსები არ დაცლიან დუნაის პროვინციებს, არც

ერთ რუსულ ხომალდს არ ექნებოდა შავ ზღვაზე გამოჩენის შესაძლებლობა. მაგრამ ებერდინმა ასეთი მკვეთრი ულტიმატუმისაგან თავი შეიკავა. მაშინ ლორდი პალმერსტონი გადადგა. ამ აქტმა აახმაურა მთელი ინგლისი და ევროპა. პალმერსტონის ეს მანევრი ინგლისის აგრესიული წრეების შემდგომი გაძლიერებისაკენ იყო მიმართული. არავის ეპვი არ ეპარებოდა, რომ მას ისევ აიძულებდნენ დაბრუნებულიყო მთავრობაში და ეს იქნებოდა მისი და მისი მომხრეების საბოლოო გამარჯვება.

სინოპის ბრძოლას ასევე დიდი გამოხმაურება ჰქონდა საფრანგეთში. ამ აქტის შემდეგ ნაპოლეონმა გადაწყვიტა თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების შეყვანა შავ ზღვაში და ასეთივე მოქმედება მოითხოვა ინგლისისაგან. ინგლისის იმპერიალისტური წრეების გააფთრება უკიდურესობამდე მივიდა. ლორდ ებერდინს ცილი დაწამეს ინგლისის ინტერესების ღალატსა და რუსებთან ფარულ კავშირში. იგი იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. მალე პალმერსტონი ვამარჯვებული ღაბრუნდა თაკის კაბინეტში. ამავე დღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა კლარენდონმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სინოპის შემდეგ, სადაც თურქეთის ფლოტი განადგურებულ იქნა ნახიმოვის მიერ, ინგლისს, არ სურს რა კვლავ განმეორდეს მსგავსი უბედურება, რომელიც თურქეთს ყოველ წუთს ემუქრება, შეკყავს თავისი ესკადრა შავ ზღვაში.

1854 წლის დასაწყისში ინგლის-საფრანგეთის საზღვაო ძალები შავ ზღვაში შევიდნენ. ომში თურქეთის მოკავშირეები ოფიციალურად ჯერ კიდევ ჩაბმულნი არ ყოფილან. მათ გამოუცახდეს მხოლოდ რუსეთის მთავრობას, რომ შავ ზღვაში უშიშროების მიზნით აწესებენ სადერმარკაციო ხაზს, რომლის გადმოლახვა რუსებს ეკრძალებოდათ.

სინოპის ბრძოლა აგრესიულად განწყობილ ინგლის-ფრანგული პრესისათვის საუკეთესო საბაბი აღმოჩნდა საზოგადოებრივი აზრის დასამუშავებლად. ფარავდა რა თავის ღამპყრობლურ ზრახვებს ახლო აღმოსავლეთში, პრესა ვითარებას ისე ხატავდა, რომ თითქოს ევროპის ქვეყნები მოწოდებული არიან დაეხმარონ თურქეთს, რომელსაც უსამართლოდ დაესხა თავს

რუსეთი და მას განადგურებას უქადის. საფრანგეთის საიმპერატორო ოფიციოზში „მონიტერში“ გამოქვეყნდა საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ მესამის წერილი რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზისადმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ სინოპის ქუხილმა შეურაცხყვეს საფრანგეთის და ინგლისის ნაციონალური ინტერესები. ამ „შეურაცხყოფის“ გამოსასწორებლად ნაპოლეონი რჩევას აძლევდა ნიკოლოზს — გაეყვანა ჯარები დუნაის პროვინციებიდან. ნაპოლეონის ასეთი გამოსვლა, — როგორც ეს მთელმა ევროპამ სამართლიანად შეაფასა, მხოლოდ დიპლომატიური ტრიუკი იყო იმისათვის, რომ ომის ძთელი პასუხისმგებლობა თავიდან აეცდინათ და დაენახვებინათ საკუთარი „მშვიდობისმოყვარეობა“. სინამდვილეში ინგლისიც და საფრანგეთიც, როგორც ის ზევით ვნახეთ, ყოველმხრივ აქეზებდნენ ამ ომს და თავისი დიპლომატიით მიაღწიეს კიდეც მის გაჩაღებას. ახლა ევროპის დემოკრატიის თვალში ინგლისის და საფრანგეთის შეიარაღებული ჩარევა თურქეთის მხარეზე თითქოს ყოველმხრივ გამართლებული ჩანდა. 1854 წ. 22 თებერვალს თურქეთსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეიკრა თავდაცვითი და შეტევითი კავშირი. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ ინგლისი და საფრანგეთი დათანხმდნენ რა სულთანის მოწვევას თურქეთის დასაცავად, ვალდებულებას იღებენ გაგზავნონ ამისათვის საჭირო ძალები საომარი მოქმედების როგორც ევროპულ, ისე აზიურ ფრონტებზე. ამის შემდეგ სულ მალე 1854 წლის 15 მარტს ინგლისმა ოფიციალურად ომი გამოუცხადა რუსეთს. მეორე დღეს ასევე მოიქცა საფრანგეთი.

ჩაებნენ რა ომში რუსეთის წინააღმდეგ, ინგლისის და საფრანგეთის აგრესიულმა წრეებმა წამოაყენეს ფართო გეგმები, რაც გულისხმობდა რუსეთის დანაწილებას და მის ხარჯზე ინგლის-საფრანგეთის შემდგომ გაძლიერებას.

ინგლისის აგრესიული წრეების მესვეური პალმერსტონი აშკარად აღიარებდა, რომ ინგლისის ისტორიაში არ ყოფილა ომის უფრო ხელსაყრელი შემთხვევა. არ არსებობს ქვეყანა, რომელიც უფრო ნაკლებს წააგებდა ამ ომისაგან, ვიდრე ინგ-

ლისიო —ამბობდა იგი. პალმერსტონი ვარაუდობდა რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა ავსტრია, პრუსია, შვეცია და ამრიგად. ეგლიჯა ნარ-ეკალი ამ ქვეყნების საშუალებით, ხოლო თვით, გამარჯვებულს მიეღო ყველაზე დიდი ნადავლი. პალმერსტონის გეგმა ითვალისწინებდა შვეციისათვის ფინეთის და ალანდიის კუნძულების დაბრუნებას, ბალტიისპირეთის გადაცემას პრუსიისათვის, პოლონეთის სამეფოს აღდგენას, მოლდავეთის, ვალახეთის და დუნაის შესართავის გადაცემას ავსტრიისათვის, ყირიმის და კავკასიის გადაცემას თურქეთისათვის[1]. ყველაფერ ამას პალმერსტონი, როგორც მისი პრესა აღიარებდა, აკეთებდა „ცივილიზაციისათვის ბარბაროსობის წინააღმდეგ". ინგლისი თითქოს არაფერს არ იღებდა, მაგრამ არავისთვის დამალული არ ყოფილა, რომ ამ გადანაწილებათა შემდეგ ინგლისი ახლო აღმოსავლეთის ფაქტიური მფლობელი და ევროპული პოლიტიკის ტონის მიმცემი უნდა გამხდარიყო.

ნაპოლეონ მესამე პალმერსტონის ამ გეგმებს, რაც ისე იყო შედგენილი, რომ ინგლის-საფრანგეთის მხარეზე ახალი ძოკაუშირეები უნდა მიეზიდა, დუმილით შეხვდა. თუმცა მან კარგად დაინახა, რომ გეგმის ასე განხორციელება მეტისმეტად გააძლიერებდა ინგლისს. ეს მას სრულიადაც არ აწყობდა. ომის პირველ წლებში ინგლის-საფრანგეთის მმართველ წრეებში ომის გეგმებზე აშკარა ბრძოლა არ გაჩაღებულა, მაგრამ ომის ბოლო პერიოდი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ნაპოლეონმა იმისათვის გამოიყენა, რომ პალმერსტონის მადა შეეკვეცა.

ნიკოლოზი ბოლო ხანებში ეჭვის თვალით უყურებდა ავსტრიის პოზიციას, მაგრამ მის ასე აშკარა „ღალატში" დარწმუნებული არ ყოფილა. ავსტრიის პოზიციის საბოლოოდ გარკვევის და რუსეთის მხარეზე მისი გადმობირების მიზნით 1854 წლის იანვარში ვენაში გაგზავნილ იქნა გრაფ ა. ფ. ორლოვის მისია, რომელმაც ფრანც იოსებს შესთავაზა მეგობრული ნეიტრალიტეტის პოზიცია. სამაგიეროდ რუსეთი ავსტრიას ჰპირდებოდა ავსტრიის მფლობელობისათვის ხელშეუხებლობის გა-

[1] История дипломатии. Том. I. зз. 447.

რანტიას მისი და პრუსიის მხრივ, ხოლო თურქეთის იმპერიის დაცემის შემთხვევაში რუსეთ-ავსტრიის საერთო პროტექტორატს სერბეთზე, ბულგარეთზე, მოლდავეთსა და ვლახეთზე. მაგრამ ფრანც-იოსებმა, რომელსაც ამ დროს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ინგლის-საფრანგეთის მხარდაჭერით დუნაის პროვინციებში გაბატონება, ისეთი პირობები წამოუყენა ორლოვს, რომ იგი რუსეთის მთელი პოლიტიკის შემობრუნებას მოითხოვდა. მისიას არავითარი წარმატება არ მოჰყოლია. მალე ავსტრიამ დუნაის პროვინციებთან დააჯგუფა თავისი ძალები. ტრანსილვანიაში სამოქმედოდ გაგზავნა ერთი კორპუსი. ფაქტიურად რუსეთისადმი მტრული პოზიცია დაიკავა პრუსიამაც, შეუერთდა რა ავსტრიას, მან ნიკოლოზს მოთხოვა დუნაის პროვინციებიდან ჯარების გაყვანა. სავსებით იზოლირებულ ნიკოლოზ პირველს სხვა არაფერი დარჩენოდა. 1854 წლის ივლისის დასაწყისში დუნაის პროვინციებთან უკვე იდგა ავსტრიის 200 ათასიანი არმია. ავსტრიის ულტიმატუმი რუსეთისადმი — დუნაის პროვინციებიდან ჯარების გაყვანის შესახებ იმას ნიშნავდა, რომ უარის შემთხვევაში რუსეთს გარდა ინგლისისა და საფრანგეთისა, ავსტრიასთანაც უნდა ეომნა, მით უმეტეს, რომ მისი ძალები ამ ფრონტზე ავსტრიისაზე დიდად ნაკლები იყო. ნიკოლოზმა ბევრი იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა გაეცა ბრძანება (1854 წლის სექტემბერში) მოლდავეთიდან და ვალახეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ. დუნაის პროვინციიდან ჯარების გაყვანით თითქოს დაკმაყოფილდა ის პრეტენზიები, რომელსაც ევროპის მეომარი სახელმწიფოები აყენებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ომის მიზეზად. მაგრამ ამ დროს ინგლისი და საფრანგეთი უკვე როლში იყვნენ შესული, იზოლირებული რუსეთის დამარცხება გარდუვალი ეჩვენებოდათ, სრულებითაც არ აქცევდნენ ყურადღებას რომ რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მახვილის ჩაგების და მშვიდობიანი დიპლომატიური მოლაპარაკების საფუძვლებს ქმნიდა.

კავკასიის ფრონტი

თუ გავითვალისწინებთ იმ გეგმებს, რომლებიც ამ ომში თურქეთის და ინგლის-საფრანგეთის მმართველ წრეებს გააჩნდათ, მაშინ ცხადი გახდება ის დიდი საშიშროება, რომელშიაც ომის დაწყებიდანვე კავკასიის ხალხები აღმოჩნდნენ. თურქეთის მმართველი წრეები, ჩაებნენ რა ამ ომში სწორედ დასავლური „მეგობრების“ წაქეზებით, პირველ რიგში წარმატებას ამიერ-კავკასიის ფრონტზე ვარაუდობდნენ. მათ მიზანდასახულებას შეადგენდა რევანში რუსეთის მიმართ — ე. ი. იმ სამფლობელოთა უკან დაბრუნება, რომელიც წინა ომებში მათ რუსეთმა გამოგლიჯა ხელიდან. ამ რევანშს თურქი პანისლამისტები აღრევე ამზადებდნენ. კავკასიის მთიანეთში დაწყებულ მიურიდული მოძრაობის გამოყენებით ისინი ვარაუდობდნენ რუსეთის განდევნას ამიერკავკასიიდან, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში გაბატონებას. პალმერსტონის გეგმები უფრო შორს მიდიოდა. ინგლისის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში ამიერკავკასიას ხომ ადრევე ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი. თურქეთისა და ირანის დახმარებით კავკასიიდან რუსეთის განდევნას, ამ ხელსაყრელი სტრატეგიული პლაცდარმისათვის დაპატრონებას ინგლისის მმართველი წრეები დიდი ხანია ამზადებდნენ. ეს მიზანდასახულება რეალურად ეჩვენებოდა პალმერსტონს სწორედ 1853 წლისათვის. მის მიერ შედგენილ რუქაში, რომელიც რუსეთის დამარცხების შემდეგ გეოგრაფიული საზღვრების ახალ მოხაზულობას ითვალისწინებდა, კავკასია რუსეთის მფლობელობის გარეთ იყო დატოვებული. პალმერსტონმა კარგად იცოდა, რომ ჩამორჩენილი თურქეთის არმია თუ ამიერკავკასიას დაიპყრობდა, ეს იქნებოდა სწორედ ინგლისისთვის მოპოვებული კოლონიური შენაძენი.

გამოდიოდა რა რევანშისტული გეგმებიდან, თურქეთმა კავკასიის ფრონტზე დიდი სამხედრო ძალები დააჯგუფა. ომის დასაწყისშივე იგი აქტიურ მოქმედებას შეუდგა. რუსეთის ძალები კავკასიაში გაცილებით ნაკლები იყო, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ სწორედ ომის ამ ასპარეზზე იქნა მოპოვებული

ყველაზე მეტი წარმატება. სამართლიანად შენიშნავს ე. ვ. ტარლე, რომ თუ ამ ომში რუსეთისათვის შექმნილი მეტად მძიმე პირობების მიუხედავად კავკასიის ფრონტზე მოპოვებული იქნა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებანი და ბოლოს და ბოლოს სწორედ ამ გამარჯვებებმა კავკასიაში (თუნდაც მარტო ყარსის აღებამ) ძალზე დიდი გავლენა მოახდინეს პარიზის საზავო მოლაპარაკებისას, — ყოველივე ეს შედეგი იყო არა მარტო მოქმედი არმიის ოპერატულობისა და მამაცობისა, არამედ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების პატრიოტიზმისა და მამაცობისა. ამიერკავკასიის ხალხებს ამ ომში კვლავ დაემუქრა ის დიდი საფრთხე, რომელიც მას საუკუნეთა მანძილზე ფიზიკურ გადაშენებას უქადდა. თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა ბუნებრივი გაგრძელება იყო იმ გამათავისუფლებელი ბრძოლებისა, რომელსაც ეს ხალხები ადრეულ ეწეოდნენ, იცავდნენ რა თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობას, სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს. ომი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამიერკავკასიის მოსახლეობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა ომის მთელ მანძილზე სამხედრო ოპერაციებში, ის შეუპოვრობა, მაღალი ეროვნული თვითშეგნება, რომელიც ქართველმა მოლაშქრეებმა გამოიჩინეს.[1]

კავკასიის ფრონტი ვეებერთელა სივრცეზე იყო გაჭიმული. რუსეთის სამხედრო ძალები კავკასიაში სრულიადაც არ იყო საკმაო ამ ვრცელი საზღვრების დასაცავად. საკალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა ამ საზღვარზე აქა-იქ განლაგებული საგუშაგოები. მდგომარეობის ფხიზელი მეთვალყურენი სამართლიან შეშფოთებას გამოთქვამდნენ . სასაზღვრო დაცვის სისუსტისა და მოუმზადებლობის შესახებ, მაგრამ ნიკოლოზს არ ჰქონდა ღრმად გააზრებული ის საშიშროება, რომელიც ამ პერიოდში ემუქრებოდა რუსეთის მფლობელობას კავკასიაში და მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარი ღონისძიებანი არ მიუღია.

---

1 ყირიმის ომში ქართველი ხალხის როლის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა გამოაქვეყნა პროფ. ერ. ბურჭულაძემ. იხ. მისი „ყირიმის ომი და საქართველო", თბილისი, 1960 წ .

თურქებმა, დააჯგუფეს რა დიდი ძალები კავკასიის ფრონტზე, ომის გამოცხადებისთანავე დაიწყეს საომარი მოქმედება. 1853 წ. 15 ოქტომბერს თურქთა რეგულარულმა ნაწილებმა ბაშიბუზუკთა ბრბოებთან ერთად შეკვეთილის საგუშაგოს შეუტიეს. ორ დღეს მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა, სადაც თურქთა ჭარბმა ძალებმა, დიდი მსხვერპლის მიუხედავად, ვერ მოახერხეს წარმატების მოპოვება. შეკვეთილის დაცვისათვის ბრძოლებში დიდი გმირობა გამოიჩინეს ქართველებმა, კერძოდ ქართველთა დრუჟინის მეთაურმა გიორგი გურიელმა და მისმა 16 წლის ვაჟმა იოსებ გურიელმა. ამ ვაჟკაცობის შესახებ საგანგებოდაა ლაპარაკი მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებითს ბარათებში.

თურქებმა ერთდროულად შეტევითი ოპერაციები გააჩაღეს ალექსანდროპოლზე, ახალციხეში. თურქები ვარაუდობდნენ სწრაფი შეტევით შეჭრილიყვნენ ამიერკავკასიის სიღრმეში და დაეკავებინათ მეფისნაცვლის სარეზიდენციო ქალაქი, გაეერთიანებინათ ფრონტი კავკასიის მთიელებთან, რომლებიც ამ დროს შამილის მეთურობით იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. პალმერსტონისა და ლუი ნაპოლეონის პრესა განგებ ბერავდა თურქეთის ამ პირველ წარმატებებს აზიაში, შამილის მოძრაობას გამათავისუფლებელი ელფერით მოსავდა, წინასწარმეტყველებდა რუსეთის კავკასიიდან განდევნის ჟამის მოახლოებას.

თურქებმა განსაკუთრებით დიდი ძალები ახალციხეს მოაყარეს. ეს სიმაგრე იცავდა უახლოეს გზას თბილისისაკენ და ცხადია, თურქებს პირველ რიგში მისი დაპატრონება ეწადათ. ახალციხესთან დაჯგუფდნენ ალი ფაშას ოციათასიანი არმია და მრავალრიცხოვანი ირრეგულარული ნაწილები. თურქებმა განახორციელეს ციხე-სიმაგრის ალყა და გარემოიცვეს ქალაქში გამაგრებული გენ. კოვალევსკის ნაწილები. მდგომარეობა რომ გართულდა, ამ უბანზე ვორონცოვმა თბილისის გუბერნატორი გენერალი ანდრონიკაშვილი გაგზავნა. ნიჭიერმა ქართველმა გენერალმა შესანიშნავად შეამზადა ოპერაცია თურქების წინააღმდეგ. 14 ნოემბერს ახალციხის მახლობლად,

ფოცხოვთან რუსთა ნაწილები ქართველ მილიციასთან ერთად ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს და მას სასტიკი მარცხი აგემეს. თურქთა კორპუსმა დიდი ზარალით უკან დაიხია. ანდრონიკაშვილის ნაწილებმა სდიეს მოწინააღმდეგეს და მთლიანად გაწმინდეს ახალციხის სექტორი. ახალციხისათვის ბრძოლაში დიდად გამოიჩინა თავი ქართულმა მილიციამ. მთავრობამ სპეციალური ჯილდოებით აღნიშნა გენერალ ანდრონიკაშვილისა და ქართველი მოლაშქრეების ეს დიდი საბრძოლო დამსახურება. ამ გამარჯვებას გამოეხმაურა მთელი ევროპა. პალმერსტონის პრესა და თურქული ოფიციოზი აფუჩეჩებდა თურქული კორპუსის კატასტროფას. სწორი შეფასება მისცა ამ ბრძოლას კ. მარქსმა; სტატიაში „სინოპი და ახალციხე“ — იგი აღნიშნავდა: თურქები შეავიწროვეს თავიანთი „შეტევითი მოძრაობის დროს საქართველოს საზღვარზე. შეკვეთილის დაკავების დროიდან მათ მიერ არ ყოფილა აღებული არცერთი საგუშაგო... არ მოუპოვებიათ არცერთი, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო გამარჯვება და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც რუსები იძულებული არიან აწარმოონ ბრძოლა ყოველმხრივად არახელსაყრელ პირობებშიო.

ნოემბრის თვეში თურქებმა მარცხი განიცადეს აგრეთვე ბაინდურთან, ბაშკადიკლართან, აწყურთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაშკადიკლართან გამარჯვებას. ამ უბანზე თურქთა კორპუსს მეთაურობდა ანატოლიელი სერასკირი ახმეტ-ფაშა, რომელსაც რეგულარულ ნაწილებს გარდა ჰყავდა დიდძალი მოლაშქრენი. 19 ნოემბერს გენერალ ბებუთოვის მეთაურობით დაიწყო რუსთა შეტევა. ძირითადი ნაწილები ბრძოლაში გაიყვანა გენერალ-მაიორმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ და თავადმა ჭავჭავაძემ. ცხარე, ხელჩართული ბრძოლების შემდეგ თურქები შედრკენ და უკანდახევა დაიწყეს. დიდი იყო მათი ზარალი.

ამრიგად, კავკასიის ფრონტზე 1853 წლის შემოდგომის კამპანია ბრწყინვალედ განხორციელდა. საიმპერატორო სასახლეს მხიარული განწყობილება დაეუფლა. ნახიმოვის ბრწყინვალე ოპერაცია შავ ზღვაში და ანდრონიკაშვილისა და ბებუ-

თოვის გამარჯვებანი კავკასიაში თითქოს მიუთითებდნენ თურქეთთან ომის სასურველ შედეგებზე. ამაო იყო ეს ვარაუდები. კავკასიასთან და სინოპში რუსული იარაღის გამომჟღავნებულმა უპირატესობამ დააჩქარა ინგლის-საფრანგეთის ჩაბმა ამ ომში თურქეთის მხარეზე. ხოლო ინგლისის და საფრანგეთის ომში ჩაბმა იმას მოასწავებდა, რომ რუსეთის წარმატებათა პერიოდი დამთავრდა და ომის ყველაზე მძიმე და კრიტიკული ეტაპი დაიწყო.

1854 წლის საომარი კამპანია

ინგლის-საფრანგეთის სარდლობამ შესანიშნავად იცოდა რუსეთის სუსტი მხარეები ამ ომში. რუსეთს დიდი არმია ჰყავდა და რეზერვების ამოუწურავი შესაძლებლობა გააჩნდა, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ არმიის მანევრირება და საომარი მოქმედების რაიონში დაჯგუფება შეუძლებელი ხდებოდა, რადგან არ იყო სარკინიგზო ტრანსპორტი, არ იყო არმიის ერთი კუთხიდან მეორეში სწრაფი გადასროლის საშუალებანი. მოკავშირეთა სტრატეგიული გეგმა პირველ ხანებში ამ სუსტ მხარეს ჩაეჭიდა. გადაწყდა რუსეთისათვის დარტყმა სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულ პუნქტებში მოეწყოთ. შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მასზე თავდასხმას აწარმოებდნენ ყოველი მხრიდან, რათა დაექსაქსათ, გაეთიშათ რუსეთის შეიარაღებული ძალები, დეზორგანიზაცია შეეტანათ ომის რუსულ გეგმებში.

1854 წლის 10 აპრილს მოკავშირეთა ფლოტმა, რომელშიაც 45 ხომალდი იღებდა მონაწილეობას, დაბომბა ოდესა. 12 საათის განმავლობაში ოდესის ფორტებს და ქალაქს განუწყვეტლივ უშენდა 200 სახომალდო ბატარეა. ოდესის სანაპირო ბატარეების საპასუხო მოქმედება არ იყო ეფექტური, რადგან ოდესას უშენდა მტრის შორსმსროლელი არტილერია, რაც რუსეთს არ გააჩნდა. მოკავშირეებმა ისიც სცადეს, რომ ოდესასთან საზღვაო დესანტი გადმოესხათ, მაგრამ ვერ განახორციელეს, რადგან ქალაქის გარნიზონმა და სანაპირო არტი-

ლერიამ მტრის გემები ახლოს არ მოუშვა. ამ ოპერაციაში დაზიანდა მოწინააღმდეგის ერთერთი საუკეთესო ხომალდი „ტიგრი“, რომელიც მეჩეჩზე დაჯდა და შემდეგ დაწვეს რუსმა არტილერისტებმა, ეკიპაჟი კი ტყვედ წამოიყვანეს.

ერთდროულად მოკავშირეებმა ოპერაციები ბალტიის ზღვაზედაც დაიწყეს. მოკავშირეებს მიაჩნდათ, რომ რუსეთის ბალტიის ფლოტი ერთერთი ძლიერი იყო მსოფლიოში, ისიც იცოდნენ, რომ პეტერბურგს რუსეთის არმიის დიდი და საუკეთესო ნაწილი იცავდა. ამიტომ მათ გეგმაში არ ჰქონიათ შეტევის ძირითადი მიმართულება რუსეთის დედაქალაქზე აეღოთ. მათი ოპერაციები აქაც ზემოდნათქვამ გეგმებს ექვემდებარებოდა და უფრო პანიკის გამოწვევას ვარაუდობდა, ვიდრე სერიოზული შედეგების მოპოვებას. ბალტიკაში მოკავშირეთა ფლოტის სარდლობა დაკისრებული ჰქონდა გამოცდილ ადმირალს ჩარლზ ნეპირს. მის განკარგულებაში იყო კარგად შეიარაღებული მძლავრი ესკადრა, რომელსაც მალე შეუერთდა საფრანგეთის საზღვაო ძალები ადმირალ პარსევალ-დეშენის მეთაურობით. ადმირალებმა იცოდნენ რომ კრონშტადტი შესანიშნავად იყო დაცული და ვარაუდობდნენ ბალტიკის ფლოტი ღია ზღვაში საბრძოლველად გაეწვიათ. ეს განზრახვა არ განხორციელდა. ინგლის-საფრანგეთის ფლოტი მთელი 6 დღის განმავლობაში მხოლოდ დაზვერვით ოპერაციებს აწარმოებდა. თვით ნეპირი თავს იმით იმართლებდა, რომ შეუძლებელია სვეაბორგის და კრონშტადტის დაპყრობა მცურავი მოტორების გარეშე. რამდენიმე წარუმატებელი დაზვერვითი ოპერაციის შემდეგ მოკავშირეთა ფლოტი კრონშტადტს გაცილდა. ინგლისის მმართველი წრეები ბალტიის ოპერაციებზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ეს იმედები გაუცრუვდათ. მათი მთელი წარმატება ამ ოპერაციაში მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ალანდის კუნძულებზე დაპყრობილ იქნა ბომარძუნის ციხე-სიმაგრე, რომელსაც სულ 1600 კაცი იცავდა და რომლის წინააღმდეგ ინგლისელებმა 30 000 კაცი გამოიყვანეს.

ბალტიის ფრონტზე იმედგაცრუების საკომპენსაციოდ მოკავშირეთა ფლოტმა რუსეთის შორეულ საზღვაო სანაპიროებს

შეუტია. აგვისტოს შუა რიცხვებში მოკავშირეთა ხომალდებმა დაბომბეს პეტროპავლოვსკი კამჩატკაზე, გადმოსხეს კიდეც ქალაქში დესანტი 900 მეომრის რაოდენობით, მაგრამ პეტროპავლოვსკის გარნიზონმა გენერალ-მაიორ ზაეოიკის მეთაურობით ჩაშალა მოწინააღმდეგის ყველა განზრახვა. თვით ფრანგი ისტორიკოსის აღიარებით კამჩატკასთან მოკავშირეთა ფლოტმა სამარცხვინო მარცხი განიცადა. სერიოზული წარმატება არ მოჰყოლია მოკავშირეთა ოპერაციებს თეთრ ზღვაში. მოკავშირეებმა დაბომბეს სოლოვეცკის მონასტერი, მაგრამ ვერ მიაღწიეს რაიმე წარმატებას აქაური მცირეგარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი. მათ დაწვეს აგრეთვე ქალაქი კოლი, მაგრამ ვერ გაბედეს აქ დესანტის გადასხმა.

ყველაზე სერიოზულ ოპერაციებს მოკავშირეები მაინც სახმელეთო ძალებს აკისრებდნენ. ლუი ნაპოლეონმა სპეციალური დეკრეტით რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ შექმნა განსაკუთრებული აღმოსავლური არმია, რომლის სარდლობა დააკისრა აკანტიურისტ, ფათერაკების მაძიებელ მარშალ სენტ-არნოს. საფრანგეთის ეს არმია, რომელიც 40 ათას კაცს მოითვლიდა, დაჯგუფებას იწყებდა ვარნას რაიონში, რუსეთის სამხრეთში სამოქმედოდ. რუსეთის წინააღმდეგ ვარნას რაიონში თავმოყრა იწყეს ინგლისელთა ძალებმაც, რომლის მთავარსარდლობა დაკისრებული ჰქონდა ადმირალ ლორდ რაგლანს. ვარნას რაიონში განლაგდნენ აგრეთვე თურქული ნაწილები ომარ ფაშას მეთაურობით.

ვარნაში მოკავშირეთა არმია ჯერ კიდევ სავსებით დაკომპლექტებული არ ყოფილა, რომ ივლისის შუა რიცხვებში სენტ არნოს და რაგლანს ებრძანათ მთელი ძალები მოემზადებინათ ყირიმში ექსპედიციისათვის. ამ მოულოდნელი აჩქარების მიზეზი, როგორც აკად. ტარლე შენიშნავს, იმაში მდგომარეობდა, რომ მოკავშირეებმა ვერ აიძულეს ვერც შვედეთი და ვერც ავსტრია რუსეთის წინააღმდეგ მოქმედება დაეწყოთ. რუსეთის სამხრეთში ეფექტურ ოპერაციებს ამ მხრივ ვითარება უნდა შეეცვალათ.

ეპიდემიურმა ავადმყოფობამ, რაც არმიაში დიდ მსხვერპლს

იწვევდა და ხანძარმა, რომელიც 10 აგვისტოს გაჩნდა ქალაქში, სენტ-არნო და რაგლანი ააჩქარეს. აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოკავშირეთა მთელი ძალები ვარნიდან ყირიმისაკენ დაიძრნენ. ეს არმია საუკეთესოდ იყო მომარაგებული საბრძოლო საჭურვლით და სურსათით. კურსი სევასტოპოლის მიმართულებით იქნა აღებული.

შავი ზღვის სანაპიროთა გასამაგრებლად რუსეთის სარდლობას არავითარი ეფექტური ღონისძიებანი არ მიუღია. ყირიმის მთელი ნახევარკუნძული, თუ არ ჩავთვლით სევასტოპოლს, სრულიად გაშიშვლებული იყო და მტრისათვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. ყირიმის ნახევარკუნძულზე მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ გამიზნული იყო სულ 35 ათასიანი არმია, რომლის მეთაური მენშიკოვი თავისი უნიჭობით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სენტ არნოსა და რაგლანს. მენშიკოვმა თავისი ძალები განალაგა ალმასთან. სენტ-არნოს მიერ გამოყოფილმა სადაზვერვო კომისიამ აღმოაჩინა, რომ არავითარი სანაპირო სიმაგრეები ყირიმის ნახევარ კუნძულზე არ არსებობს. ამით გამხნევებულმა მოკავშირეებმა გეზი ევპატორიაზე აიღეს. 13—14 სექტემბერს ევპატორიაში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადასხდნენ მოკავშირეთა ძალები.

ევპატორიაში მოკავშირეთა დესანტის გადასხმა თითქმის მენშიკოვის არმიის თვალწინ მოხდა, მაგრამ რუსების სარდალს ხელიც არ გაუნძრევია და იგი გულდამშვიდებული შეცქერიდა მთელ ამ პროცესს. მოკავშირეებმა კი არ დააყოვნეს. მეორე დღეს მათ კურსი სევასტოპოლისაკენ აიღეს. ინგლისსაფრანგეთ-თურქეთის ახლა უკვე სახმელეთო არმიას, რომელიც ზღვის სანაპიროთი მიემართებოდა სევასტოპოლისაკენ, მიაცილებდა მათივე სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც თავისი ძალების რაოდენობით და საცეცხლე საშუალებათა სიძლიერით სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო ძალებს დიდად აღემატებოდნენ.

მოკავშირეთა ძალები ყირიმში ამ დროს 55 ათას მეომარს უდრიდა. ფრანგებს აქ ჰყავდათ 27.600 კაცი და ჰქონდათ 62

ქვემეხი. ინგლისელებს 21 ათასი მეომარი და 60 ქვემეხი. ოურქებს — 6 ათასი კაცი. მენშიკოვს კი, რომელსაც თავდაცვითი პოზიცია ეკავა მდინარე ალმასთან, თავის განკარგულებაში 35 ათასი კაცი ჰყავდა. რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობას არ ჰქონია ღრმად შეგნებული მთელი ის საშიშროება, რომელიც ყირიმის ნახევარკუნძულს და კერძოდ სევასტოპოლის ციხე-სიმაგრეს ელოდა. გორჩაკოვი ვარაუდობდა, რომ მოკავშირენი აქ მცირე ოპერაციებს მიმართავდნენ და შემდეგ უკანვე გაბრუნდებოდნენ. სევასტოპოლის დასაცავად ენერგიული ღონისძიებანი არ ტარდებოდა. თვით მენშევიკოვს არ ჰქონია მოქმედების წინასწარ დამუშავებული გეგმა. ყველაფერი თვითდინებაზე იყო დაყრდნობილი. ეს ინერტიულობა, პასიურობა, დაბნეულობა, რომელიც მთელი ომის განმავლობაში ახასიათებდა რუსეთის მთავარსარდლობას, საბედისწერო აღმოჩნდა.

8 სექტემბერს მოკავშირენი მოუახლოვდნენ მენშიკოვის თავდაცვის პოზიციებს ალმასთან. შუადღიდან უკვე დაიწყო ბრძოლა. მარცხენა ფლანგიდან შეტევა განახორციელეს ფრანგებმა, მარჯვნიდან ინგლისელებმა. შემტევთ დიდ დახმარებას უწევდა მოკავშირეთა საზღვაო ესკადრა, რომელიც ახლო ვიეიდა ნაპირთან და საარტილერიო ცეცხლს აყრიდა რუსებს. ბრძოლის პირველსავე ეტაპზე გამომჟღავნდა მოკავშირეთა შეიარაღებისა და სამხედრო-ტექნიკური გაწვრთნილობის უპირატესობა. ერთერთი მონაწილე ასე აგვიწერს ალმასთან დატრიალებულ ამბებს: „...მოწინააღმდეგე უფრო და უფრო გვიახლოვდება ჩვენ, ისე რომ ჩვენი ჭურვები უკვე აღწევდა მათთან და იწვევდა მსხვერპლს. აი მოვიდნენ ისინი საქვემეხო მანძილზე, ჩვენი არტილერია ზედიზედ აწვენდა მათ რიგებს, მაგრამ არ ერიდებოდნენ რა მსხვერპლს, ისინი ჰაინც წინ მოიწევდნენ. ბოლოს ისინი სათოფე მანძილზე მოგვიახლოვდნენ და აი სცენაზე გამოჩნდა მათი სასიკვდილო, მომსვრელი შტუცერები, ხოლო ზღვიდან წამოვიდა ჭურვების ისეთი სეტყვა, რომ რამდენიმე წუთში ერთიანად მოსპო მინსკის პოლ-

კი, რომელიც ვინ იცის რატომ და რა მიზნისთვის განლაგებული იყო ზედ ზღვის პირზე პირდაპირ მოწინააღმდეგის ცეცხლის სამიზნოდ. ...მე ვლაპარაკობ „სასიკვდილო შტუცერებიო" იმიტომ, რომ მათი ყოველი ტყვია დანიშნულებისამებრ მიდიოდა. დაიჭრა მრავალი ოფიცერი, შტაბ-ოფიცერი, და განსაკუთრებით გენერლები, ყველა ისინი ვინც ცხენებზე ისხდნენ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ჩვენი არტილერია მძლავრად ურტყამდა, მათ რიგებს ათხელებდა, და აი უბედურება... გამოილია ჭურვები. სირცხვილი, თავისმოჭრა! რა კარგად მოვმზადებულვართ? ჭურვების ყუთები თურმე შორს, ორი კილომეტრის დაცილებით იყო დალაგებული იმის შიშით რომ არ აფეთქებულიყო... და აი ჩვენი არტილერიის ცეცხლი, რომელიც ასე მშვენივრად დაიწყო, შუა გზაზე შეწყდა... გადავედით ხიშტით კვეთებაზე, მაგრამ მოწინააღმდეგის ფინდიხი ჩვენს რიგებს ზედიზედ აწვენდა. მაინც განუწყვეტლივ მოქმედებდა რუსების ხიშტი და დუგლუგი. მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენებს მტრისათვის მაინც უნდა დაეთმოთ პოზიციები, რადგან ვერავითარ გონივრულ განკარგულებას ვერ ვისმენდით, არავისაგან დახმარებას არ ვიღებდით და იყო იმის საშიშროება, რომ მოწინააღმდეგე ფლანგებიდან მოგვიელიდა და ჩვენებს სავსებით მოგვწყვეტდა".

ბრძოლის შემდგომი ეტაპი რუსებისათვის კიდევ უფრო სავალალო აღმოჩნდა. ფრანგების ბრიგადამ დაიკავა მთელ საბრძოლო ასპარეზზე ერთადერთი ბორცვი, რომლის წინასწარი გამაგრებისათვის ან მიუვალობისათვის სრულიადაც არ იზრუნა რუსების სარდლობამ. ფრანგებმა ამ ბორცვზე განალაგეს თავისი ბატარეები. ლოთმა გენერალმა კორიაკოვმა, რომელსაც ამ ბორცვის დაცვა ჰქონდა დავალებული, თავისი საუკეთესო პოზიცია მიატოვა და ფრანგებმა უმსხვერპლოდ დაიკავეს ეს მოხერხებული ადგილები, ფრანგებმა ახლა ბორცვიდან დაუშინეს რუსებს. — ეს იყო საშინელი, მომსპობი ცეცხლი და ჩვენ იძულებული ვიყავით გავქცეულიყავით, მაგრამ საით? ეს კი არ ვიცოდითო — იგონებს ომის მონაწილე.

პიუხედავად ამისა, რუსები შეუპოვრად იბრძოდნენ. რუსთა 10 ათასიანი კორპუსი შვიდი საათის განმავლობაში აჩერებდა ფრანგთა მოძალებას. პირდაპირ, ხიშტით ბრძოლაში რუსები გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. მთავარი დანაშაული მიუძღოდა უნიჭო სარდლობას, რომელმაც ვერ გაითვალისწინა მოწინააღმდეგის საფლანგო იერიშები. ბრძოლის მომენტში ვერ უზრუნველყო გონივრული ბრძანებების გაცემა. რუსებმა ალმასთან 5000 ჯარისკაცი და 145 ოფიცერი დაკარგეს. მოკავშირეებმა — 4500. ალმას ბრძოლაში თითქოს გაპოჩნდა ამ ომის მთელი შემდგომი ბედი: რუსი ჯარისკაცების მამაცობით შეუძლებელი იყო კომპენსირება იმ უნიჭობისა, რომელიც მის სარდლობას ახასიათებდა, იმ დიდი უპირატესობისა, რომელიც მოკავშირეთა საბრძოლო აღჭურვილობას ქონდა, იმ მაღალი საველე ტაქტიკური გაწვრთნილობისა, რაც რუსეთის არმიაში მივიწყებული და გაცვლილი იყო პრუსიულ პარადომახიასა და მუშტროვკაზე.

განუზომლად დიდი იყო ალმასთან რუსების მარცხის შთაბეჭდილება. ომის წინ რუსები ბევრს ტრაბახობდნენ თავიანთ საბრძოლო ძლიერებაზე. რუსების ურაპატრიოტული პუბლიცისტიკა ლუი ნაპოლეონს მოაგონებდა ძისი ბიძის ხვედრს რუსეთში. რუსეთის არმიამ აქამდე თითქმის არ იცოდა რა იყო სერიოზული მარცხი. სლავოფილები გაბერილად წერდნენ რუსეთის გამათავისუფლებელ მისიაზე ბალკანეთის სლავების მიმართ და ბრწყინვალე ფერებით ასურათებდნენ ომის შედეგებს. სასახლე დარწმუნებული იყო პირველსავე სახელოვან გამარჯვებაში და აი უეცრად თავზარდამცემი ცნობა... რუსები გარბიან, მაშინ რუსეთის საზოგადოებრივ აზრს დაეუფლა სამართლიანი შიში და შეშფოთება, გამოფხიზლდა პატრიოტული ბანგით გახურებული მრავალი გონება და აღიმართა რეალური საშინელება ომის სამარცხვინო აღსასრულისა.

ალმასთან კატასტროფის შემდეგ რუსთა ძალებმა სევასტოპოლისაკენ დაიხიეს. მაგრამ მენშიკოვმა საჭიროდ არ ჩათვალა თავისი ძალებით ქალაქის გამაგრება. გასცა რა საჭირო განკარგულებანი, მან არმია გაიყვანა ქალაქიდან, 12 დეკემ-

ბერს თითონაც დატოვა იგი და კურსი ბახჩისარაისაკენ აიღო. სევასტოპოლისაკენ დაიძრნენ მოკავშირეთა ნაწილები. მათი ძლიერი საზღვაო ესკადრა უკვე ლუკულის კონცხთან იყო თავმოყრილი სრულს საბრძოლო მზადყოფნაში. შავი ზღვის ამ უძლიერეს ფორტზე — სევასტოპოლზე ჩამოწვა შავი ღრუბლები ზღვიდან და ხმელეთიდან ძას გარს ერტყმოდა რიცხვჭარბი და საუცხოოდ შეიარაღებული მტერი.

სევასტოპოლის შავი ზღვის სარდლობა რუსეთის საუკეთესო, ბრძოლაში გამობრძმედილ, მამაც და პატრიოტ ადამიანებისაგან შედგებოდა. მათ შორის წამყვანი ადგილი ეკავათ სინოპის გმირს ადმირალ ნახიმოვს, ადმირალ კორნილოვს ინჟინერ ტოტლებენს. ისინი რუსული საზღვაო ფლოტის გამოჩენილი სარდლის ლაზარევის პრინციპებზე იყვნენ აღზრდილნი და ზიზღით უყურებდნენ იმ საშინელ რუტინას, პრუსიულობისადმი მიმბაძველობას, რაც რუსეთის შეიარაღებულ ძალებს იმ დროს სენად ჰქონდათ მოდებული. სუვოროვისა და კუტუზოვის ტრადიციების ამ სახელოვან გამგრძელებლებს შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად დიდი მუშაობა ჰქონდათ ჩატარებული. მართლაც შავი ზღვის ფლოტს მისი შეიარაღების პირობებში შეეძლო ღირსეულად მოეხადა თავისი მოვალეობა. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო თუნდაც სინოპის ბრძოლა, მაგრამ ახლა, როცა მოკავშირეთა გაერთიანებულ ფლოტთან შეჯახების მომენტი დადგა, მათ მხედართმთავრულ ნიჭს, პირადი შემადგენლობის მამაცობასა და გაწვრთნილობას მაინც არ შეეძლო მოწინააღმდეგის ჭარბი ძალისა და დიდი ტექნიკური უპირატესობის კომპენსირება.

ალმასთან მარცხის მეორე დღესვე შავი ზღვის ფლოტის შტაბის უფროსმა კორნილოვმა შეკრიბა ფლაგმანთა და კაპიტანთა საბჭო, რომელზედაც რუსეთის საზღვაო ძალების შემდგომი მოქმედების საკითხი დააყენა. გმირული და გულწრფელი პატრიოტული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი საბჭოზე კორნილოვის მიერ წარმოდგენილი გეგმა ლუკულის კონცხთან მოწინააღმდეგის ესკადრაზე თავდასხმის შესახებ. — ბრძო-

ლის ბედნიერი დასასრულის ვითარებაში ჩვენი ფლოტი მიმოფანტავს მოწინააღმდეგის არმადას და ამით მის არმიას დატოვებს სურსათის და დამხმარე ძალების გარეშე. წარუმატებლობის შემთხვევაში ჩვენ თავს დავაღწევთ სამარცხვინო ტყვეობას, და თუ აბორდაჟი არ გვიშველის, მივეხლებით მოწინააღმდეგის ხომალდებს და ავაფეთქებთო — ამბობდა კორნილოვი.

ეს იყო ჭეშმარიტად გმირული გეგმა, მაგრამ თვით კორნილოვიც ეჭვობდა იმაში, რომ ამას სევასტოპოლის გადარჩენისათვის რაიმე არსებითი როლი ეთამაშა, ვინაიდან სადესანტო არმიას სურსათისა და საბრძოლო საჭურველის მარაგი უკვე ნაპირზე გადმოტანილი ჰქონდა. იყო მეორე საშიშროებაც: მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს დიდი მსხვერპლის შემდეგ მაინც შეეძლოთ ჩაეკეტათ სევასტოპოლის სიმაგრეში შესასვლელი. ამასთან მხედველობაში იყო მისაღები ისიც, რომ რუსეთის იალქნიანი ფლოტის მთელი წარმატება მხოლოდ ამინდზე, ქარზე იყო დამოკიდებული. მოწინააღმდეგეს კი ხრახნიანი ხომალდებისაგან შემდგარი ესკადრა ჰყავდა.

ფ. ენგელსი რუსეთის ფლოტის დასახასიათებლად წერს, რომ ყირიმის ომში საბრძოლო ხომალდს წარმოადგენდა ხის ორ, ან სამ გემბანიანი გემი, რომელსაც 60-დან 100-მდე ქვემეხი ჰქონდა. იგი უმთავრესად იალქნებით მოძრაობდა და ჰქონდა სუსტი ორთქლის მანქანა მხოლოდ დამხმარე სამუშაოთათვის. მასზე თავსდებოდა უმთავრესად 32 დიუმიანი ქვემეხები 50 ცენტნერის წონადობით და მხოლოდ რამდენიმე დიუმიანი ქვემეხი 96 ცენტნერის წონადობით. სულ სხვა ძალა ჰქონდა მოკავშირეთა ხომალდებს. მარტო ინგლისელთა ესკადრა 37 გემისაგან შედგებოდა, რომლებზედაც იდგა 1329 ქვემეხი. ინგლისური ესკადრის ორთქლის მანქანების სიმძლავრე 5859 ცხენისძალას უტრიდა. ფრანგების ესკადრა სიძლიერეში თითქმის უტოლდებოდა ინგლისელებისას. ასეთი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთის შავი ზღვის ფლოტს, ცხადია, არ შეეძლო.

კორნილოვის ამ გაბედულ, მაგრამ დიდ რისკთან დაკავში-

რებულ გეგმას უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. ამის კატეგორიული წინააღმდეგი აღმოჩნდა აგრეთვე მენშიკოვი. რომელმაც გაიზიარა საბჭოს უმრავლესობის მოსაზრება და კორნილოვს მისცა ბრძანება სევასტოპოლის ბუხტასთან ფლოტის ჩაძირვის შესახებ, ხოლო თვითონ, დაუცველად, ბედის ანაბარა მიატოვა ქალაქი.

— „თავადმა (მენშიკოვმა) — ვკითხულობთ კორნილოვის 15 სექტემბრის დღიურში — პასუხი უნდა აგოს რუსეთის წინაშე ქალაქის მტრისათვის გადაცემაში. იგი რომ არ წასულიყო — ღმერთმა იცის საით — ჩვენ გავუძლებდით. რომ მცოდნოდა იგი ასეთ სულმდაბალ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ასეთ შემთხვევაში არას გზით არ დავთანხმდებოდი ფლოტის ჩაძირვაზე, არამედ გავიდოდი და ორგზის ჭარბ მტერს შევებმებოდი... საშიშროება დიდია, მაგრამ ეს საქმეს როდი შველის. ხომალდები და გემები მზადაა ჩაძირვისათვის. დაე მტერს ნანგრევები დარჩეს. საღამო — (გავატარე) რუსეთის მომავალზე შავბნელ ოცნებებში“.

12, 13, 14 სექტემბერს სევასტოპოლის ყურეში გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა. ხომალდებიდან გადმოქონდათ ზარბაზნები, საბრძოლო საჭურველი, ყველა საჭირო მოწყობილობა სახმელეთო დაცვისათვის. მთელი ეკიპაჟი ხელახლა ფორმდებოდა უკვე მშენებლობის პროცესში მყოფ სიმაგრეთა დამცველ ჯგუფებად. დაცარიელებული ხომალდები ჩაძირულ იქნა და ამრიგად ჩაიხერგა ზღვიდან სევასტოპოლთან მისასვლელი.

მაგრამ ხმელეთიდან სევასტოპოლი დაუცველი იყო. სრულიად დაუცველი იყო იგი ჩრდილოეთის მხრიდან, მაგრამ მოკავშირეებმა შეტევისათვის მაინც სამხრეთი მხარე აირჩიეს. მოკავშირეთა სარდლობამ სწორად ივარაუდა, რომ ცდა სევასტოპოლის სწრაფი აღებისა, რაც ჩრდილოეთის მხრიდან უფრო მოსახერხებელი ჩანდა, განწირული იყო. რუსები არავითარ შემთხვევაში არ დათმობდნენ ამ ციხე-სიმაგრეს ძალთა უკანასკნელი შესაძლებლობის გამოყენების გარეშე. წინ იყო არა იოლი და სწრაფი გამარჯვება, არამედ გაცილებით სისხ-

ლისმღვრელი და ძნელი ოპერაციები, ვიდრე ალმასთან. ამიტომ ისინი ემზადებოდნენ გულმოდგინედ. ამასთან ვარაუდობდნენ, რომ სამხრეთი მხრიდან უფრო ეფექტური იქნებოდა საზღვაო ესკადრის მხარდაჭერა.

სევასტოპოლის ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ მოკავშირეებმა განალაგეს 67 ათასი მეომარი, 126 ქვემეხი. ქალაქის ახლოს დაჯგუფდა მათივე საზღვაო ესკადრა. ქალაქი ზღვიდან და ხმელეთიდან მტრების მჭიდრო რკალში მოექცა და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლისათვის მზადება იწყო.

ფლოტის ჩაძირვის შემდეგ მეზღვაურთა პირადი შემადგენლობისაგან სევასტოპოლში კორნილოვისა და ნახიმოვის მეთაურობით ჩამოყალიბდა 17 ბატალიონი. დაიწყო ქალაქის მისასვლელების გამაგრება. ინჟინერ ტოტლებენის ხელმძღვანელობით სასწრაფოდ აიგო ბასტიონები, სადაც დაიდგა ხომალდებიდან გადმოზიდული ქვემეხები. ამ მშენებლობაში და საერთოდ ქალაქის თავდაცვით სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდა მოსახლეობა. სევასტოპოლის დაცვა საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა. სევასტოპოლის დამცველთა პირადი შემადგენლობის საბრძოლო ლოზუნგი გახდა შეუპოვარი თავდაცვა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი ადმირალ კორნილოვის ბრძანება: „ამხანაგებო! ჩვენ წილად გვხვდა პატივი დავიცვათ სევასტოპოლი, დავიცვათ ჩვენი მშობლიური ფლოტი! ვიბრძოლოთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ჩვენ უკანდასახევი არსად არ გვაქვს. — ჩვენ უკან ზღვაა. ყველა მხედართუფროსს მე ვუკრძალავ გამოაცხადონ ბრძოლის შაბაში. მედოლეებმა უნდა დაივიწყოთ ეს შაბაში. თუ რომელიმე უფროსი უბრძანებს მათ დაუკრან შაბაშისა, ასეთი უფროსი ხიშტზე ააგეთ, ხიშტებზე ააგეთ მედოლეც, რომელიც სამარცხვინო შაბაშს დაუკრავს. ამხანაგებო, თუ მე გიბრძანეთ შაბაში, თქვენგან არამზადა იქნება იგი, ვინც მე არ მომკლავს“.

სევასტოპოლის მთელი გარნიზონი 30 ათასამდე კაცს ითვლიდა. კორნილოვმა გარნიზონის გასამაგრებლად ძლივს წაგ-

ლიჯა მენშიკოვს 9 ათასამდე მეომარი. ეს იყო და ეს. მოკავშირეთა ძალები კი, რომელთაც საუკეთესო შეიარაღება ჰქონდათ, 60 ათასს აღემატებოდნენ. გარდა ამისა სევასტოპოლს არ ჰქონდა საკმაო საბრძოლო საჭურველი, სურსათი, ტანსაცმელი. მიუხედავად ყოველივე ამისა, მთელი გარნიზონი ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით ემზადებოდა მტრისათვის დასახვედრად.

მოკავშირეთა ძალებმა დაიკავეს სევასტოპოლის მისასვლელები ბალაკლავასთან. სევასტოპოლელთა ბასტიონების წინააღმდეგ მათ მიმართეს 126 ქვემეხი. საბრძოლო პოზიცია კამიშის ყურესთან დაიკავა მოწინააღმდეგის საზღვაო ესკადრამ.

1854 წლის 5 ოქტომბერს დილის 6 საათიდან დაიწყო სევასტოპოლის ბომბარდირება. პირველად იგი დაიწყო სახმელეთო არტილერიამ. მალე ბრძოლაში მოკავშირეთა ესკადრაც ჩაება. 1400 ქვემეხი განუწყვეტლივ გზავნიდა ჭურვებს სევასტოპოლზე, ანგრევდა მის ბასტიონებს, მიწა-თხრილებს, ქალაქის ნაგებობებს. მარტო ამ დღეს ქალაქს 60 ათასი ჭურვი დააყარეს.

სევასტოპოლელები თავს გმირულად იცავდნენ. ამ თავდაცვის სულსა და გულს წარმოადგენდნენ კორნილოვი და ნახიმოვი, რომლებიც ბრძოლის ყველაზე საშიშ უბანზე იდგნენ. ამხნევებდნენ მეომრებს, იძლეოდნენ საბრძოლო განკარგულებას, აჩვენებდნენ უშიშროების, მამაცობის მაგალითებს. 11 საათზე, ყველაზე უფრო ინტენსიური ბომბარდირების პერიოდში კორნილოვი გაეშურა მალახოვის ყორღანისაკენ, სადაც განუწყვეტლივ ურტყამდნენ ინგლისელთა ბატარეები და სადაც ბასტიონი თითქმის დანგრეული იყო, ხოლო პირადი შემადგენლობის უმრავლესობა დახოცილი. ამ უბანს მეთაურობდა ისტომინი, რომელმაც მოახსენა კორნილოვს, რომ მალახოვის კოშკის ზემო ნაწილი სავსებით დანგრეულია, პირადი შემადგენლობა დაეცა ბრძოლის ველზე და სთხოვა არ წასულიყო იმ მიმართულებით.

კორნილოვმა მიიღო გადაწყვეტილება წასულიყო უშაკო-

ვის ხევთან, რომ პირადად გაემხნევებინა იქ მებრძოლი ბუტირსკის და ბოროდინის პოლკები. ინგლისელთა მხრიდან კონონადა ყოველ წუთს ძლიერდებოდა. ყუმბარები სკდებოდა კოშკის ძირას და ამსხვრევდა ისტომინის მიერ მოწყობილ „მიწურ ბატარეებს“. ფლანგ-ოფიცერმა ადმირალ კორნილოვს თხოვა დაბრუნებულიყო თავის საკომანდო პუნქტზე. მაგრამ ადმირალმა გეზი მაინც ბრუსტვერისაკენ აიღო. ამ დროს მას თავზე გადაუარა რამდენიმე ჭურვმა, ხოლო ერთი მათგანი მუხლის ზემო ნაწილში და ფერდში მოხვდა. იგი სასიკვდილოდ დაიჭრა. მამაცი გენერალი ლაზარეთში გაიყვანეს. „რა სასიამოვნოა სიკვდილი, როცა სინდისი დამშვიდებული გაქვს“...-- ამბობდა იგი. უკანასკნელ წუთებში, როდესაც ადმირალს მოახსენეს, რომ ინგლისელთა ბატარეების ნაწილი განადგურებულია, კორნილოვს სახე გაუბრწყინდა, „ურა“ წამოიძახა და სული განუტევა.

12 საათზე, როცა კორნილოვი დაიღუპა, ბრძოლამ კიდევ უფრო გააფთრებული ხასიათი მიიღო. ნახიმოვს ამ დროს მოახსენეს სამწუხარო ცნობა კორნილოვის შესახებ, მაგრამ იგი თავდაცვის შუაგულში იდგა და ამ უბანს არ მოცილებია. ამიერიდან სევასტოპოლის დამცველთა სული და გული ნახიმოვი გახდა. მოწინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ის შეუპოვრობა და მამაცობა, რომელსაც სევასტოპოლელები იჩენდნენ. ეს სახელდახელოდ აგებული სიმაგრეები მიუვალი ჩანდა. რუსთა ქვემეხების საპასუხო ცეცხლი ანგრევდა მოკავშირეთა ბატარეებს. აფეთქდა ფრანგებისა და ინგლისელების თოფისწამლის საწყობი, დაზიანდა ფრანგების ხუთი სახაზო გემი და ფრეგატი, ინგლისელთა სამი ხომალდი. მოკავშირეთა იმედი, რომ 5 ოქტომბრის იერიში საკმაო იქნებოდა სევასტოპოლის დასაპყრობად, ამაო გამოდგა. ბომბარდირება გვიან საღამოს შეწყდა. სევასტოპოლი კვლავ ურყევად იდგა, ხოლო მსხვერპლი დიდი იყო ორთავე ბანაკში.

თვით ფრანგი ოფიციალური ისტორიკოსი ბარონი დე ბაზანკური სევასტოპოლთან ამ პირველი ბრძოლის შედეგებს ასე ახასიათებდა:

„17 ოქტომბრის დღემ მთელ რიგ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო არ გაამართლა ის იმედები, რომელსაც მასზე აპყარებდნენ. ამ დღემ დაამსხვრია მრავალი ილუზია... მან გვაჩვენა, რომ საქმე გვაქვს შეუპოვარ, ჭკვიან მოწინააღმდეგესთან. საფრანგეთი და ინგლისი სევასტოპოლის კედლებზე ვერ აღმართავენ თავიანთ დროშებს სერიოზული, სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლების გარეშე“...[1]

მომდევნო დღეებში მოკავშირეებს აღარ გააჩნდათ შესაძლებლობა გაეგრძელებინათ ისეთივე ინტენსიური ბომბარდირება, როგორიც პირველ დღეს. მათს რიგებში ნგრევა და ზარალი მეტად საგრძნობი იყო. ახლა უფრო მეტად სევასტოპოლელები აქტიურობდნენ, რომლებიც განუწყვეტლივ უშენდნენ ჭურვებს მოწინააღმდეგეს.

სახმელეთო ოპერაციები ყირიმში და კავკასიის ფრონტზე

სევასტოპოლის გარნიზონი გმირულად იცავდა თავს 11 თვის განმავლობაში. მისი შემდგომი ბედი დამოკიდებული იყო იმაზე, შეძლებდა თუ არა რუსეთის სამხრეთის არმია ეხსნა იგი სახმელეთო ალყისაგან. რუსეთს გააჩნდა საამისო ძალები და შესაძლებლობანი, ახლა ვნახოთ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ყირიმსა და კავკასიაში.

სევასტოპოლის მიტოვება მენშიკოვის მიერ და ქალაქის მისადგომებთან გაჩაღებული შეუპოვარი ბრძოლის ამბები პეტერბურგში დიდ შეშფოთებას იწვევდნენ. ნიკოლოზს არ სურდა სიტყვის გაგონებაც კი სევასტოპოლის ჩაბარების შესახებ და იგი მენშიკოვს, სახმელეთო ძალების სარდალს ყირიმში, განკარგულებებს განკარგულებებზე უგზავნიდა, ავალებდა დაუყოვნებლივ შებმოდა მოწინააღმდეგეს, გაეხსნა სევასტოპოლზე გზა.

თვით მენშიკოვს ამ ოპერაციების წარმატებისა არ სჯეროდა. იგი პესიმისტურად უყურებდა მის შედეგებს, ამჯობინებ-

[1] იხ. Е. В. Тарле. Крымская война, т. II, зз. 100-162.

და კიდეც თავშეკავებას, მაგრამ პეტერბურგიდან მითითებანი იმდენად კატეგორიული იყო, რომ მან გადაწყვიტა დაეწყო მოქმედება.

მენშიკოვმა თავის ნაწილებს. გენერალ დანენბერგის მეთაურობით მიზნად დაუსახა შეტევა ბალაკლავაზე, სადაც ჯერ განლაგებული იყო თურქთა ნაწილები, ხოლო შემდეგ ინგლისელებისა და ფრანგებისა.

13 სექტემბერს ადრე დილით საარტილერიო ზალპის შემდეგ ბალაკლავის რედუტებისაკენ დაიძრა რუსეთის კავალერია. თურქთა ნაწილებმა, რომლებიც ამ რედუტებს იცავდნენ, ვერ გაუძლეს იერიშს და პირი იბრუნეს. მათგან უმრავლესობა ბრძოლის ველზევე იქნა დაჩეხილი. პირველსავე იერიშზე რუსები მოწინააღმდეგის ოთხ რედუტს დაეუფლნენ. მალე ბრძოლაში ჩაებნენ ინგლისელი კავალერისტები, რომლებმაც რუსები შეავიწროვეს და ჩორგუნთან ჩარეკეს. მოწინააღმდეგის მხრივ ოპერაციებს განაგებდნენ ადმირალი რაგლანი და კანრობერი, ვინაიდან სენტ-არნო ამ დროს ხოლერით დაავადებული, უკვე სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. რაგლანის მოუფიქრებელ ბრძანებას შეეწირა ამ დღეს ინგლისის ერთერთი საუკეთესო საკავალერიო დივიზია. რუსებს ბრძოლის ველზე ჭარბი ძალები ჰყავდათ (35 ათასი 17 ათასის წინააღმდეგ) მაგრამ სარდლობამ ეს ბრძოლა არ მიიყვანა ბოლომდე, არ განავითარა შემდგომი საკავალერიო იერიშები ქვეითებთან ერთად და ვერ გახსნა გზა სევასტოპოლისკენ. საღამოს რუსებმა ისევ დატოვეს დაკავებული რედუტები. ამრიგად, ბალაკლავის ბრძოლა მიუხედავად ორთავე მხრივ დიდი მსხვერპლისა, უშედეგო აღმოჩნდა, მოსალოდნელი კი იყო, რომ იგი რუსების გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო.

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა ბალაკლავის ბრძოლამ ერთგვარად ასწია მენშიკოვის არმიის პირადი შემადგენლობის და თვით მენშიკოვის მორალური სულისკვეთება. რუსებს დარჩათ დიდძალი ნადავლი. ბალაკლავის ცნობამ გაამხნევა სევასტოპოლის გმირი დამცველებიც. მოკავშირეთა ბანაკში კი შეშფოთებამ იმატა. ღელავდნენ ლონდონსა და პარიზშიც, სადაც

მოკავშირეთა მთავარსარდლობის ცნობა ბალაკლავასთან „გამარჯვების“ შესახებ მეტად საეჭვოდ ეჩვენებოდათ.

ამ ხანებში მენშიკოვს ახალი შევსება მოუვიდა ორი დივიზიის რაოდენობით. ახლა ყირიმში რუსთა ძალები ასიათას კაცს აღემატებოდა. საჭირო იყო ფიქრი გადამწყვეტ ოპერაციაზე, რომელსაც პეტერბურგიდან დაჟინებით თხოვდნენ მენშიკოვს.

მენშიკოვმა მშვენივრად იცოდა, რომ მას მოკავშირეებთან შედარებით ჭარბი ძალები ჰყავდა. იცოდა ისიც, რომ სწორედ ახლა, როცა მოკავშირეთა არმიაში ხოლერა მძვინვარებდა. ხოლო დამხმარე ძალები, რომელსაც მოელოდნენ, ჯერ კიდევ მოსული არ ყოფილა, ყველაზე საუკეთესო მომენტი იყო ბრძოლისათვის. მაგრამ მენშიკოვს, როგორც აკად. ე. ტარლე შენიშნავს, არ ჰქონდა საკუთარი თავის იმედი, ამავე დროს არც სურდა შურისა და პატივმოყვარეობის გამო გვერდით ვინმე მასზე გამოცდილი და ჭკვიანი სარდალი ჰყოლოდა. ცნობილი სამხედრო კომენტატორი, ყირიმის ომის მონაწილე დ. ა. მილიუტინი ასე ახასიათებს მენშიკოვს:

„თავად მენშიკოვს არ გააჩნდა სარდლის არც უნარი და არც გამოცდილება და ამასთან გვერდით არ ჰყავდა არცერთი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც შეეძლებოდა მისი სახელით საქმე ენერგიულად და გონივრულად წარემართა... მენშიკოვს არ უნდოდა და არც შეეძლო შეექმნა კარგი შტაბი...“ მომავალი დიდი ოპერაციის წინ მენშიკოვმა თავიდან აიცილა მთავარსარდლობა. საბრძოლო დისპოზიცია, მართალია, თვითონ შეადგინა, მაგრამ ბრძოლის ხელმძღვანელობა მასზე უფრო უნიჭო გენერალ დანენბერგს დააკისრა. ეს იყო პასუხისმგებლობის მოხსნის ხერხი. ინკერმანის სამარცხვინო შედეგების შემდეგ მენშიკოვი მთელ დანაშაულს დანენბერგს აკისრებდა, ხოლო ეს უკანასკნელი თავს იმით იმართლებდა, რომ შებოჭილი იყო თავის ფუნქციებში და ამ ბრძოლაშიც ასრულებდა მხოლოდ და მხოლოდ მენშიკოვის მითითებებს. ეს ის დანენბერგი იყო, რომელმაც რუსი ჯარისკაცების გამარჯვება ოლტენიცასთან ნულამდე დაიყვანა. მის მხედართმთავ-

რულ უნარს რუსი გენერლები მეტად დაბალ შეფასებას აძ-
ლევდნენ.

მოკავშირეთა წინააღმდეგ ეს გენერალური ბრძოლა ინკერ-
მანთან მოხდა. 24 ოქტომბერს გათენებისთანავე რუსთა ნაწი-
ლები ცალ-ცალკე ჯგუფებად დაიძრნენ ინკერმანის სიმაღლეე-
ბისაკენ, სადაც მოკავშირეთა სიმაგრეები იყო განლაგებული.
დილა იყო ნაწვიმარი და ნისლიანი. რუსებმა ენერგიულად მიი-
ტანეს იერიში ინგლისელ ქვეითებზე — ფრონტიდან. ბრძო-
ლაში .მალე ჩაებნენ კარაბელნი ბუხტიდან და ჩორნაია რეჩ-
კადან დაძრული რუსი ქვეითებიც. ინგლისელი მეომრები მა-
მაცურად იგერიებდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ რეზერვები
თანდათან ელეოდათ. რუსები მათ ავიწროებდნენ და ატოვე-
ბინებდნენ პოზიციებს. უკიდურესი გაჭირვების ჟამს რაგლანმა
დახმარებისათვის ფრანგთა ნაწილებს მოუხმო. ფრანგების
ფრთაზე ამ დროს რუსების სხვა ჯოლონებს მიქონდათ იერიში,
მაგრამ წარმატება არ ჩანდა, 11 საათზე ინგლისელთა მხარე-
ზე ბრძოლაში ჩაება ფრანგების არტილერია გენერალ ბოსკის
მეთაურობით და ფრანგი ქვეითები. ფრანგების საარტილერიო
და შტუცერების ცეცხლის ძალა გამანადგურებელი აღმოჩნდა.
რუსები შევიწროებულ იქნენ. ბრძოლაში ორთავე მხრიდან
ახალ-ახალი ძალები ებმებოდა. გმირული გაჭრა სევასტოპო-
ლიდან მოაწყო გენერალ ტიმოფეევის ნაწილებმა. ამ გაჭრას
შეიძლებოდა გადამწყვეტი შედეგები მოჰყოლოდა, მაგრამ
ტიმოფეევს მეტად მცირე ძალები ჰყავდა. ტიმოფეევის მეომ-
რებმა მტერს დიდი ზიანი მიაყენეს, მაგრამ თვითონაც, რიგებ-
შეთხელებულნი, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ბრძოლის
მთელი ბედის გადაწყვეტა შეეძლო მაშველ ძალას, რომელსაც
რუსეთის სარდლობა გორჩაკოვისაგან ელოდა, მაგრამ გორჩა-
კოვი ადგილიდან არ დაძრულა.

ფრანგების დაწოლის მომენტში დანენბერგმა ვერ გამოი-
ჩინა მტკიცე ნებისყოფა. სრული კატასტროფის შიშმა მას
უკარნახა გაეცა ბრძანება უკანდახევის შესახებ. ეს უკანდახე-
ვა „ლომური იყო", მაგრამ რუსებს უფრო ძვირი დაუჯდათ.
ფრანგების არტილერია მათ შეურყეველ რიგებს ცელავდა.

ინკერმანის ბრძოლა რუსების მარცხით დამთავრდა. დიდი იყო ზარალი. რუსებმა 12 ათასზე მეტი მეომარი დაჰკარგეს. მოკავშირეთა დანაკარგი 4.500 უდრიდა. ინკერმანის კატასტროფის მიზეზი იგივე იყო, რაც წინა ოპერაციებისა. მთავარსარდლობის უუნარობამ და დაბალმა შეიარაღებამ გადაწყვიტა ყველაფერი. იერიშებისა და ხიშტით კვეთებაში რუსთა ნაწილებს ვერ უძლებდნენ მოკავშირეები, მაგრამ მათი ცეცხლის ძალა და ტაქტიკური ხერხები რუსებისას გაცილებით სჯობნიდა.

ინკერმანი ყველაზე ცხადი ილუსტრაცია იყო რუსეთის სამხედრო უილაჯობისა, კაპიტალისტურ ევროპასთან შედარებით იმ დიდი ჩამორჩენილობისა, რომელიც ყველაფერში უკვე იჩენდა თავს და რაც ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმით იყო შეპირობებული. სწორედ ამ ბრძოლის შედეგებზე წერდა კ. მარქსი: „ნიუ-იორკ ტრიბუნში“ — ეს ბრძოლა გვიჩვენებს, რომ რუსეთის ქვეითთა დიდება ქარწყლდება. იგი გვიჩვენებს, რომ რა წარმატებასაც არ უნდა მიაღწიონ რუსებმა, დასავლეთი წინ მიიწევს სულ ცოტა ორჯერ უფრო სწრაფად და რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დაძლიოს დასავლეთის ჯარები არა მარტო ძალთა თანასწორობის ვითარებაში, არამედ მაშინ, როცა უპირატესობა აქვთ, როგორც ეს, მაგალითად, ინკერმანთან იყოო.

ინკერმანთან კატასტროფის მომაკვდინებელმა ცნობამ, რომელიც ნიკოლოზმა 7 დღის შემდეგ მიიღო, მისი სულიერი განწყობილების სრული მოშლა გამოიწვია. რუსეთის იმპერატორი ახლა იმკიდა თავისი უვიცობის, პატივმოყვარეობის, დესპოტიზმის ნაყოფს. იგი საპასუხო წერილში მენშიკოვს ემუდარებოდა გაემხნევებინა არმია, არ მიეტოვებინა ბედის ანაბარა სევასტოპოლი, არ შეერცხვინა რუსული ტრადიცია, ბოლომდე შეენარჩუნებინა „რუსული სული“. ნიკოლოზი ამ საშინელი შედეგების შემდეგაც კი ვერ მივიდა იმის შეგნებამდე, რომ ეს უნიჭო, თავხედი, სასახლის გაქსუებული დიდებული, რომელსაც პატრიოტი რუსი ოფიცრები მოღალატეს უწოდებდნენ, ყირიმისათვის მოეშორებინა.

ინკერმანის კატასტროფა საშინლად შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა რუსი ხალხისათვის. სასახლეში თანდათან ისადგურებდა პანიკა. თვითმპყრობელობის თავგამოდებული დამცველებიც კი აღშფოთდნენ იმ მოუმზადებლობისა და თავგზააბნეულობის გამო, რომელიც ამ ომში ნიკოლოზმა და მისმა გენერალიტეტმა გამოიჩინა.

ამ მხრივ მეტისმეტად დამახასიათებელია თვითმპრობელობის ერთგული მოსარჩლის, მისი იდეოლოგიის სერიოზული პროპაგანდისტის ისტორიკოს პოგოდინის წერილი იმპერატორისადმი. პოგოდინი გამოაფხიზლა ამ ომმა, დაანახა რუსეთის საშინელი ჩამორჩენილობა. „ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, წერდა იგი — რომ ყირიმში ოდესმე მოხვდებოდა უცხოეთის არმია, რომელსაც თითქოს ჩვენ ქუდებით ვფანტავდით... იქ კი აღმოჩნდა ასიათასი უცხოელი, რომელთა გამოდევნა აღარ ძალგვიძს იმის გამო, რომ მათ მოკლე ხანში ააგეს ჩვენთვის მიუვალი სიმაგრეები. ჩვენ ვერ წარმოგვედგინა დესანტის გადმოსხმა დიდი გაჭირვების გარეშე, ნამდვილად კი მათი სამოცდაათი ათასი ჯარისკაცი ისე გადმოვიდა ნაპირზე, როგორც ერთი კაცი გუბეზე ძელით გადადის. ვინ დაიჯერებდა უწინ, რომ უფრო ადვილი იყო მარაგის მიტანა ლონდონიდან ყირიმამდე, ვიდრე ჩვენთვის — ყურისძირში, ან რომ პარიზში შეიძლებოდა აგებულიყო ყაზარმები ბალაკლავას ბანაკისთვის?“.

და ამ საშინელებათა ხილვით გამოფხიზლებული პოგოდინი, — ვიმეორებთ — თვითმპყრობელობის უკიდურესად ერთგული, მიმართავდა იმპერატორს: აღსდექ რუსეთის მეფეე, შენ მოგიწოდებს შენი ერთგული ხალხი! მისი მოთმინების ფიალა აივსო, იგი არაა მიჩვეული ასეთ დამცირებას, უბედურებას, სირცხვილს. მას რცხვენია წინაპრებისა, რცხვენია თავისი ისტორიის წინაშე... შორს განდევნე შენი ტახტიდან გამხრწნელი სიცრუე და მოუწოდე მკაცრ, უხეშ ჭეშმარიტებას. უღმერთო მლიქვნელებისათვის დაიხშე ყურები და ისმინე მწარე სიმართლე...“

ეს სიმართლე პოგოდინის აზრით იმაში მდგომარეობდა.

რომ ნიკოლოზს გარს ერტყა უცხო, უთვისტომო, რუსეთისათვის მტრული ხროვა, რომელიც მას დაღუპვისაკენ მიაქანებდა.

რუსეთის შინაგან წყლულებზე უკვე იწყებდა შეშფოთებულ ლაპარაკს მთელი სლავოფილური პრესა. რუსი თავადაზნაურები გოდებდნენ მათს ჩამორჩენილობასა და უილაჯობაზე. ამაო იყო ეს გოდება. კიდევ უარესი იყო მოლოდინი. მხოლოდ ერთი — რევოლუციურ-დემოკრატიული აზრი აცხადებდა გაბედულად, რომ ყოველივე ამის მიზეზი იყო რუსეთის მაშინდელი რეჟიმი, რომ ამ მარცხით რუსეთს თვალი უნდა ახელოდა.

კავკასიის ფრონტზე. ნიკოლოზ პირველი თურქეთთან ომის აზიურ პლაცდარმს, ე. ი. კავკასიის ფრონტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი მიუთითებდა, რომ კავკასიის მხრიდან თურქეთის სიღრმეში შეტევით ოპერაციებს და მის წარმატებას თურქეთისათვის კვლავ უნდა დაენახვებინა რუსული იარაღის ძალა და იძულებული გაეხადა იგი მიეღო რუსეთისათვის ხელსაყრელი საზავო პირობები მანამ, ვიდრე მისი მოკავშირენი დაიწყებდნენ მოქმედებას. ნიკოლოზისეულ გეგმებში მითითებული იყო ყარსის, ბაიაზეთის, არდაგანის, ბათუმის დაკავება. ბათუმსა და ყარსს ორთავე მეომარი მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „ბათუმი — როგორც ამას კ. მარქსი შენიშნავდა, — წარმოადგენს საომარ მოქმედებათა ასპარეზის და მთელი აზიური თურქეთის გასაღებს, რადგან მას გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ერთადერთ გამავალ გზაზე სანაპიროდან ქვეყნის სიღრმეში, გზაზე, რომლითაც შეიძლება მოუარო თურქეთის ყველა პოზიციას ერზერუმამდე"...[1] თუ რუსეთი ყარსთან — სომხეთის ამ ყველაზე მდიდარ და ყველაზე კულტურულ ნაწილთან ერთად მოახერხებდა კიდევ ბათუმის დაკავებას, იგი მაშინ შეძლებდა გაეწყვიტა ინგლისის და სპარსეთის ვაჭრობა, რომელიც ტრაპეზუნდიდან წარმოებს და შეექმნა თავისთვის საოპერაციო ბაზა როგორც ინგლისის, ისე მცირე აზიის წინააღმდეგო.[2]

რუსეთში ესმოდათ ბათუმ-ყარსის ეს მნიშვნელობა. მაგ-

[1] Маркс и Энгельс, соч. том. IX, გვ. 555.
[2] იქვე, გვ. 400.

რამ რატომღაც უპირატესობას ისევ ყირიმის ფრონტს ანიჭებდნენ, სადაც მიყრილი იყო ვეებერთელა არმია უნიჭო სარდლების მეთაურობით. კავკასიის დაცვის და ამ უბანზე წინსვლის მოვალეობა დაკისრებული ჰქონდათ რუსთა მცირერიცხოვან ძალებს, რომლებსაც კავკასიელი ხალხების გასაოცარი საბრძოლო შემართება რომ არა, თურქეთის სიღრმეში წინსელა და ბათუმ-ყარსის დაუფლება კი არა, ამიერკავკასიის შენარჩუნებაც არ შეეძლოთ.

მაგრამ ნიკოლოზის ეს გეგმები სრულებითაც არ იყო შეფარდებული კავკასიის მეომარი ძალების შესაძლებლობასთან, რასაც ნიკოლოზი ღრმად არ იცნობდა. მეტად უნიჭოდ გამოიყურებოდა პეტერბურგში ნიკოლოზისა და მისი მთავარსარდლის გრაფ პასკევიჩის მიერ შედგენილი გეგმები. კავკასიის ვითარებას უფრო ახლო იცნობდა მთავარმართებელი ვორონცოვი, რომელმაც 1854 წელს პეტერბურგში წარადგინა კიდეც კავკასიაში საომარი მოქმედების გეგმა, მაგრამ ეს გეგმა მოწონებული არ ყოფილა. ღრმად მოხუცმა ვორონცოვმა, რომელსაც მისი კარიერის ფინალი ამ მძიმე ომის ვითარებაში მეტად სახიფათოდ ეჩვენებოდა, ავადმყოფობის მომიზეზებით გადადგომა ითხოვა და დატოვა კავკასია.

1854 წლის გაზაფხულზე თურქებმა კავკასიაში სამოქმედოდ თავი მოუყარეს დიდ ძალებს. ანატოლიის არმია 60 ათას მეომარს მოითვლიდა. ამ არმიამ ყარსიდან ალექსანდროპოლისკენ აიღო მიმართულება, რომ ერევნის პლაცდარმზე დაერტყა. მუშიხ სელიმ ფაშას არმია 36 ათასი მეომრის შემადგენლობით დაჯგუფებულ იქნა ქობულეთის სინჯაყში, რომ გურიაზე, სამეგრელოსა და იმერეთზე შეეტია. დიდი საშიშროება მოელოდა საქართველოს აგრეთვე შავი ზღვიდან. მოკავშირეთა ფლოტის შავ ზღვაში გამოჩენა იმას ნიშნავდა, რომ მოსალოდნელი იყო დესანტის გადმოსხმა. ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებული მეჩხერი ფორტები სრულიად უვარგისი იყო სერიოზული თავდაცვისათვის. საჭირო იყო ზღვისპირა რაიონებში გარნიზონების გაძლიერება. ეს კი რუსეთის ისედაც მცირე ძალებს კავკასიაში ფანტავდა და გა-

მორიცხავდა ერთი რომელიმე მიმართულებით მძლავრ დაჯ-
გუფებას.

თურქებმა მაისის ბოლო რიცხვებში აქტიური მოქმედება
დაიწყეს დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. პირველ
რიგში სელიმ ფაშამ დაზვერვის მიზნით გურიაში გაგზავნა
ქართველი ხალხის მოღალატე ჰასან-ბეგის ლაშქარი, რომელსაც
უნდა დაეზვერა ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილება
და ამავე დროს ნაწილ-ნაწილ დაემარცხებინა იქ გამაგრებული
რაზმები. ნიგოეთის რაზმს თავად ერისთავის მეთაურობით არ
გამოპარვია ჰასან ბეგის განზრახვა და მისი ფარული მოძრაო-
ბა. ერისთავმა ჰასან-ბეგს პირველი დახვედრა ლანჩხუთის
ტყეში მოუწყო და სასტიკად დაამარცხა. ჰასან-ბეგი ფარული
გზებით გაეცალა ბრძოლის ველს და ნიგოეთის ბანაკს დაესხა.
ერისთავი მიუხვდა რა ამ განზრახვას, გეზი ნიგოეთისაკენ აიღო.
ნიგოეთთან ჰასან-ბეგის 10 ათასიანმა ლაშქარმა საშინელი კა-
ტასტროფა განიცადა. ქართულმა მილიციამ რუსთა ბატალიო-
ნებთან თანამოქმედებით თურქებს მუსრი გაავლო. დიდად
ისახელა აქ თავი იმერეთის ცხენოსანმა ჯარმა თავ. მიქელაძის
ხელმძღვანელობით.[1] ლტოლვილ მოღალატე ჰასან-ბეგს გუ-
რულმა რაზმელებმა თავი წააცალეს.

გურიისა და ახალციხის რაზმების უფროსად ამ დროს იყო
ივანე ანდრონიკაშვილი — ბრწყინვალე ქართველი არისტოკ-
რატი, ერეკლე მეორის შვილიშვილი, რომელსაც, მართალია,
არ ჰქონია სპეციალური სამხედრო განათლება, მაგრამ გააჩნდა
შესანიშნავი ბუნებრივი ნიჭი. მას უკვე იცნობდნენ როგორც
ახალციხესთან ბრძოლის გმირს. ანდრონიკაშვილს გააჩნდა
შესანიშნავი სამხედრო ალღო. მის მიერ ჩატარებული ოპერა-
ციები ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალური გაზრებით.
იგი უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა
პირად შემადგენლობაში. ივანე მალხაზის ძე ეკუთვნის ბუნებ-
რივი ნიჭით დაჯილდოებულ იმ ბელადებს, რომლებსაც შეუძ-
ლიათ მოიპოვონ გამარჯვება და, რომლებიც მიუხედავად მეც-

---

[1] ე. ბურჭულაძე, „ყირიმის ომი და საქართველო", გვ. 293.

ნიერული განათლების ნაკლებობისა, თავიანთ სახელებს ტოვებენ ისტორიაშიო, წერდა მის შესახებ გაზ. „კავკაზი“.[1]

თურქეთის დიდი შეტევის მზადების წინ ანდრონიკაშვილმა დასცალა ჩოლოქის სანაპირო და მთელი თავისი ძალები რიონთან დააჯგუფა. ის იყო გონივრული გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავდა თურქთა დიდი ძალების შემოტყუებას სიღრმეში. მოსალოდნელი საფრთხის წინ ერთსულოვნად აღსდგა გურიის მოსახლეობა. სოფლებში ხატის წინაშე ფიცულობდნენ დაეცვათ თურქი დამპყრობლებისაგან თავიანთი მიწა-წყალი. უჩვეულო საბრძოლო აღტყინება იყო მთელს დასავლეთ საქართველოში. ქართულ ლაშქარს ემატებოდა ძალები. ომი თურქების წინააღმდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და საყოველთაო-სახალხო ომის ხასიათს იღებდა. აღმოსავლეთ საქართველოდან ანდრონიკაშვილს შეემატა ქართლ-კახეთის ლაშქარი სახელგანთქმული ვაჟკაცის გიორგი ჯანდიერის მეთაურობით. ამ ლაშქარში შემავალი ქვეგანაყოფები გიორგი მაჩაბელის, ზაქარია ანდრონიკაშვილის, ნიკო ჭავჭავაძის, დავით ვახვახიშვილის, ელისბერიძის, გიორგი ერისთავის და სხვათა მეთაურობით ერთიმეორეს სჯობდნენ ვაჟკაცობასა და სიმამაცეში. დარჩეული მეომრებისაგან შედგებოდა იმერეთის ცხენოსანთა რაზმი, რომელსაც სათავეში ედგა 75 წლის მოხუცი ქაიხოსრო მიქელაძე. ანდრონიკაშვილმა ქართულ ლაშქარში, რომელიც პატრიარქალურ ადათ-წესებზე იყო შექმნილი და ორგანიზებული, მწვრთნელ ინსტრუქტორად მიუჩინა სამხედრო საქმეში დაოსტატებული ამილახვარი, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში მოახერხა ლაშქრის საუკეთესოდ მომზადება.

მაისის ბოლოს ანდრონიკაშვილის რაზმები დაიძრნენ სელიმ ფაშას წინააღმდეგ, რომელიც ოზურგეთში იყო გამაგრებული. ფაშამ ოზურგეთი მიატოვა და მთელი თავისი ძალები განალაგა მდინარე ჩოლოქს გაღმა. უკანდახევის პრო-

---

1 ე. ბურკულაძე. „ყირიმის ომი და საქართველო“. გვ. 276.

ცესში გურულმა პარტიზანებმა თურქებს დიდი ზიანი მიაყენეს.

4 ივნისს მოხდა ჩოლოქის სახელგანთქმული ბრძოლა. თურქთა ძალები 35 ათას აღწევდა. სარდლობდა თვით სელიმ ფაშა. შეჯახება დაიწყო საარტილერიო დუელით, სადაც მამაცაშვილის მეომრებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. ქართულმა მილიციამ თურქებს მარჯვენა ფლანგიდან დაარტყა. მოდელის კოლონა და კურინსკის პოლკი ხიშტით კვეთებაზე გადავიდნენ, მაგრამ გენერალმა ბრუნერმა ფლანგიდან არ დაუჭირა მხარი საფრონტო იერიშებს. ამან იხსნა სელიმ ფაშა სამარცხვინო ტყვეობისაგან. თურქებმა ისარგებლეს რა ბრუნერის დაყოვნებით, გადავიდნენ კონტრშეტევაზე მოდელის წინააღმდეგ და მას დიდი ზარალი მიაყენეს. ყველაზე კრიტიკულ მომენტში ანდრონიკაშვილმა თავისი კავალერია დაძრა თურქების წინააღმდეგ. მტერს ზურგიდან შემოუარა. ძლიერმა საფლანგო იერიშებმა და განსაკუთრებით ზურგში დარტყამმა შეარყია თურქთა ძალები. მათ რიგებში მამაცურად შეიჭრნენ ხარიტონოვის დონელი კაზაკები, რომელთაც მიყვნენ მიქელაძის ცხენოსნები. თურქებმა პირი იბრუნეს, ანდრონიკაშვილის რაზმები კვალდაკვალ მისდევდნენ უწესრიგოდ უკანდახეულ თურქებს და მუსრს ავლებდნენ. თურქებმა ამ ბრძოლაში 4 ათასზე მეტი მეომარი დაჰკარგეს. ანდრონიკაშვილს დარჩა დიდი დავლა. შერცხვენილი სელიმი თავისი ნარჩენებით ქობულეთს შეეფარა.

ჩოლოქთან ბრძოლაში ქართველთა ლაშქარმა განსაკუთრებული მამაცობა გამოიჩინა. მეომართა ეს საგმირო საქმეები ძალიან ძუნწადაა აღწერილი ოფიციალურ მოხსენებებში, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია თვით ამ ომის მონაწილეთა მოგონებებით. თურქი დამპყრობლებისაგან საუკუნეთა განმავლობაში გამწარებული ქართველობა ახლა შურს იძიებდა ყველა იმ სისხლისათვის, რაც თურქებმა დაღვარეს ჩვენს მიწა-წყალზე, როცა ისინი, რიცხვობრივად ჭარბი, ჩვენს განმარტოებულ ქვეყანას აოხრებდნენ და აქ ქართველობის მოსპობას ვარაუდობდნენ.

ჩოლოქთან გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო კავკასიაში თურქეთის და მისი მოკავშირეების გეგმების მნიშვნელოვანწილად ჩაშლა. ანატოლიის ძლიერი არმია თითქმის მწყობრიდან გამოვიდა.

ჩოლოქთან გამარჯვების შემდეგ ი. ანდრონიკაშვილის რაზმები თბილისით გაემართნენ ალექსანდროპოლის უბანზე სამოქმედოდ.

თურქებმა მომდევნო ბრძოლებში ზედიზედ მწვავე მარცხი განიცადეს. გენერალ ვრანგელის ნაწილებმა 17 ივლისს ბაიაზეთთან ჩინგილის სიმაღლეებზე სასტიკი მარცხი მიაყენეს თურქეთს. ვრანგელი ბაიაზეთში შეეიდა და ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი, მათ შორის სურსათის დიდი მარაგი.

თურქების მარცხი აზიის ფრონტზე 1854 წელს დააგვირგვინა ბებუთოვმა, რომელიც ყარსის მიმართულებით მოქმედებდა. თურქეთის 60 ათასიანი არმია ზარიფ-ფაშას მეთაურობით კიურუკ-დარას მიდამოებში იყო განლაგებული და ალექსანდროპოლ-ერევანზე სალაშქროდ ემზადებოდა. ბებუთოვის ნაწილებმა ალექსანდროპოლიდან დაიწყეს წინსვლა. 14 ივლისს გადალახეს საზღვარი და 24 ივლისს მტრის განლაგებას მიადგნენ. იერიშები პირველად თურქებმა დაიწყეს. გაუძლეს რა მტრის ჭარბი ძალების დაწოლას, ბებუთოვის რაზმები შემდეგ თვით გადავიდნენ კონტრშეტევაზე. თურქების რიგები შეირყა და გაქცევა იწყო. გენერალ ბოგაუტის კავალერისტებმა მათ თვით ყარსის კედლებამდე სდიეს. ბრძოლის ველზე სამი ათასი მოკლული დატოვეს თურქებმა. 1800 ტყვედ ჩავარდა.

კავკასიის არმიის ამ წარმატებათა ვითარებაში თურქეთმა მოწინააღმდეგისათვის მახვილის ზურგში ჩასაცემად გამოიყენა დაღესტნელი მიურიდები, რომლებიც შამილის მეთაურობით სწორედ იმ დროს დაესხნენ თავს კახეთს, როცა რუსთა ძალები ქართულ ლაშქართან ერთად თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში იყვნენ დაკავებული.

დაღესტნის იმამ შამილს განზრახული ჰქონდა ღრმად შეეჭრილიყო საქართველოს სიღრმეში და შეერთებოდა სამხრეთში

განლაგებულ თურქთა ნაწილებს, გააერთიანებინა ფრონტი, რომ უფრო გეგმაზომიერად შეეტია რუსებისათვის და განეხორციელებინა მათი განდევნა. ეს განზრახვა თვალსაჩინო ხდება თვით შამილის წერილიდან ზარიფ ფაშასადმი. „ჩვენ გამოვიყენეთ ყოველგვარი საშუალება, ვეძიეთ უზენაესი ალაჰის კეთილგანწყობილება, ჩვენი უდიდესი სურვილი იყო შეგხვედროდით, ამიტომ გამოვეშურეთ თქვენსკენ ყველა იმ მებრძოლებით, რომლებიც ჩვენს ძალაუფლებას ემორჩილებიან... ჩვენსა და ურწმუნოებს შორის გაიმართა ბრძოლები და შეტაკებანი. თქვენთან შეხვედრის მტკიცე რწმენით ჩვენ შემდეგში კვლავ მეორედ დავლაშქრეთ საქართველო. ისინი შეგვებრძოლენ ჩვენ და ყოვლისშემძლე ალაჰის მადლით უკუიქცნენ. ჩვენ ისინი დავხოცეთ, დავატყვევეთ, მათი სოფლები და ციხე-დარბაზები ცეცხლს მივეცით.

შემდეგ, როდესაც ამ წყეულებმა... შეიტყვეს ჩვენი განზრახულობა შეგხვედროდით თქვენ, ურწმუნოებმა გზები ვადაკეტეს, საშიშ ადგილებში ჯარი ჩააყენეს. ჩვენ შეერთებას ისინი დიდ უბედურებად მიიჩნევენ... ამის გამო ვერცერთმა ჩვენთაგანმა ვერ შეძლო თქვენსკენ გამოღწევა“.

ისახავდა რა ასეთ მიზანს, შამილის მრავალრიცხოვანი მიურიდები მოულოდნელად შეიჭრნენ კახეთში, ცეცხლს მისცეს აქაური სოფლები, გაულტეს მოსახლეობა, ააოხრეს ქართველ თავადაზნაურთა, მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის მამული, წაასხეს ტყვეები, გარეკეს საქონელი. მართალია, კავკასიის არმიის ნაწილები ამ დროს ფრონტზე იბრძოდნენ, მაგრამ შამილმა მაინც ვერ განახორციელა განზრახვა. შამილის წინააღმდეგ აღსდგა კახეთის მოსახლეობა. მათ სახელდახელო ლაშქარს გვერდით რუსთა ნაწილები ამოუდგნენ. შამილის წინააღმდეგ დაიძრნენ გენერალ ანდრონიკაშვილის რაზმელები, რომლებიც ამ დროს ალექსანდროპოლისკენ ბებუთოვის დასახმარებლად მიემართებოდნენ და სურამის უღელტეხილთან გაიგეს შამილის თავდასხმის ამბები.

ამრიგად, 1854 წელს კავკასიის ფრონტზე ნიკოლოზს შეეძლო თავი დამშვიდებულად ეგრძნო. თურქთა გეგმები

ჩაიფუშა. ასევე ჩაიფუშა შამილის გეგმაც. კავკასიის ძალები, მოიგერიეს რა თურქთა შემოტევანი, საფუძვლიანად ემზადებოდნენ საომარი ოპერაციების თვით თურქების ტერიტორიაზე გადასატანად, მაგრამ საქმეს ეს მაინც არ შველოდა. რუსეთისათვის ყველაზე მძიმე ოპერაციები ამ დროს ყირიმის ნახევარკუნძულზე მზადდებოდა.

დიპლომატიური ბრძოლა

ინკერმანმა ომის ბედი სრულებითაც ვერ გადაწყვიტა. ასევე ჩაიშალა კავკასიაში თურქეთის არმიის შეჭრის ცდები. სევასტოპოლზე პირველმა იერიშებმა ცხადყო, რომ ამ ციხე-სიმაგრის დაუფლებას მეტი დრო და ძალები სჭიროდა. ევროპის პრესაში, მიუხედავად ინგლის-საფრანგეთის ოფიციოზთა მტკიცებისა ფრონტებზე წარმატებების შესახებ, უკვე გაისმა ეჭვის ხმა ომის ბედნიერი დასასრულის გამო. მოკავშირეებს კი წინ ედგათ რუსეთის მკაცრი ზამთარი. არმიაში მძვინვარე ეპიდემიამ მდგომარეობა გაართულა. ამას თან მოყვა მძაფრი ქარიშხალი შავ ზღვაში, რამაც ინგლის-საფრანგეთის ესკადრას მძიმე ზარალი მიაყენა. დაიწყო შემოდგომის განუწყვეტელი წვიმები. მოკავშირეთა მეომრები ასეთი ხანგრძლივი ზამთრისათვის სათანადოდ მომზადებული არ ყოფილან. ინგლის-საფრანგეთის ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების კურსი თანდათან ეცემოდა. აუცილებელი იყო ომის სწრაფად დამთავრება და რადგან ეს ინგლისმა და საფრანგეთმა ვერ უზრუნველყვეს საკუთარი ძალებით, რჩებოდა ერთი გამოსავალი: რუსეთის წინააღმდეგ ომში ავსტრიის და შვედეთის ჩაბმა. აი ძირითადი პრობლემა, რაზედაც ომის პერიოდში მუშაობდნენ ინგლისის და საფრანგეთის დიპლომატები.

ავსტრიის მმართველმა წრეებმა თითქმის მიაღწიეს მიზანს იმით, რომ რუსეთი აიძულეს დაეტოვებინა დუნაის პროვინციები, რომელიც შემდეგ ავსტრიის ჯარებმა დაიკავეს. მთელი ეს „შავი უმადურება" რამაც რუსეთისადმი დამოკიდებულებაში იჩინა თავი, ნამდვილად აშინებდა ფრანც იოსებს და მის კანცლერ ბუოლს. ისინი სწორად ვარაუდობდნენ, რომ ნი-

კოლოზი ასეთ ვერაგულ ღალატს არ აპატიებდა, თუ ხელფეხს აიხსნიდა ყირიმში, ისევ დაბრუნდებოდა დუნაის პროვინციებში და ავსტრიას სამაგიეროს მიუზღავდა. მაგრამ ავსტრიაზე დაწოლას აწარმოებდა ნაპოლეონ მესამე და ავსტრიის მმართველ წრეებს ემუქრებოდა იტალიიდან გამოდევნით, თუ იგი რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას არ დაიწყებდა. 1854 წლის აგვისტოში ვენაში შეიკრიბა კონფერენცია, რომელსაც ავსტრიის, საფრანგეთის, ინგლისის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ავსტრია იძულებული გახდა ხელი მოეწერა ოქმზე, რომელიც გულისხმობდა რუსეთთან მოლაპარაკების პირობებს. აქ მითითებული იყო, რომ რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკების საფუძვლად აღიარებულ უნდა იქნას შემდეგი მუხლები: 1) რუსეთის პროტექტორატის გაუქმება ვალახეთზე, მოლდავეთზე, სერბეთზე. მისი შეცვლა ევროპის სახელმწიფოთა კოლექტიური გარანტიებით; 2. დუნაის შესართავში ნაოსნობის თავისუფლება; 3. სრუტეების შესახებ კონვენციის გადასინჯვა; 4. რუსეთის მიერ უარის თქმა თურქეთის ქრისტიანთა მფარველობაზე. ევროპის დიდი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ ეღიარებინა სულთანს ქრისტიანების (კათოლიკებისა და მართლმადიდებლების) პრივილეგიები თურქეთში. ნიკოლოზს ამ პუნქტებზე პასუხი არ გაუცია და ეს საკითხი ღიად დარჩა. ავსტრიის მმართველი წრეები ამის შემდეგაც მერყეობდნენ. მრიხსანე მეზობლის წარუმატებლობა ინკერმანთან მათ სრულიადაც არ აძლევდა იმის გარანტიას, რომ რუსეთი ამ ომში ძალებს ვეღარ მოკრებდა და ვერ განდევნიდა ყირიმიდან ინგლის-საფრანგეთის ძალებს, რომელთაც წინ ედგათ მეტად მძიმე ზამთარი. რუსეთის ახალი ელჩი ავსტრიაში გამოცდილი დიპლომატი ალექსანდრე მიხეილის ძე გორჩაკოვი ხედავდა რა ფრანც იოსების მერყეობას, ცდილობდა ჩაეშალა ავსტრიის კავშირი ინგლის-საფრანგეთთან. მაგრამ ნაპოლეონ მესამის დაწოლამ ავსტრიაზე და იმის შიშმა, რომ იტალიაში ავსტრიის ბატონობას ბოლო ეღებოდა, ავსტრია აიძულა ახალი ნაბიჯები გადაედგა რუსეთის წინააღმდეგ. 1854 წლის 20 ნოემბერს ავსტრიასა, საფრანგეთსა და ინგლისს

შორის ხელმოწერილ იქნა სამოკავშირეო ტრაქტატი. სამივე სახელმწიფო პირობას დებდა არ დაედოთ რუსეთთან რაიმე სეპარატული შეთანხმება. ავსტრია თავისთავზე იღებდა დუნაის სამთავროთა დაცვას ამ მიმართულებით რუსეთის ახალი შეტევის ვითარებაში. ინგლისი და საფრანგეთი ავსტრიას დაეხმარებოდნენ ამ ბრძოლებში. ამ შეთანხმებას ახლდა საიდუმლო დამატება, სადაც ნათქვამი იყო, რომ თუ 1855 წლის 1 იანვრამდე არ იქნება ხელმოწერილი ზავი რუსეთთან, მოკავშირეები დაუყოვნებლივ ერთობლივ განიხილავდნენ იმ გადამწყვეტ ღონისძიებებს, რომლებიც ომის სწრაფ დასასრულს უზრუნველყოფდა.

ამაზე შორს წასვლა ავსტრიას არ უნდოდა. მოკავშირეებს არ გამოპარვიათ ავსტრიის ხელისუფალთა ფეხისთრევის პოლიტიკა და მოლაპარაკება გააჩაღეს სარდინიის სამეფოსთან (პიემონტთან) რომ რეალურად დაენახვებინათ ავსტრიისათვის თუ რა საშიშროებას უმზადებდა მას ამ ომში მონაწილეობის დაყოვნების პოლიტიკა. სარდინიის სამეფო, რომელსაც მაშინ ვიქტორ ემანუილი ედგა სათავეში, ნაპოლეონ მესამეს იმედიანი თვალით შეჰყურებდა და ვარაუდობდა სწორედ მისი დახმარებით დაეწყო ვენეციიდან და ლომბარდიიდან ავსტრიელთა განდევნა და ამ პროვინციების შემოერთება. ნაპოლეონ მესამემ სარდინიის მეფეს და მის მინისტრს, უნარიან დიპლომატ კამილო კავურს აღუთქვა დახმარება. 1855 წლის 26 იანვარს დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლითაც ვიქტორ ემანუილ მეორემ იკისრა მოკავშირეთა მხარეზე 15 ათასი, პიემონტელი მეომრის გამოყვანა. ეს ხელშეკრულება ავსტრიის გამაფრთხილებელ აქტს წარმოადგენდა, იგი მას უბიძგებდა ყოყმანის შეწყვეტასა და იარაღით ომში ჩაბმისაკენ.

მოკავშირეები, განსაკუთრებით ინგლისი, რომელსაც რუსეთთან ანგარიშგასწორების ფართო გეგმები ჰქონდა, რუსეთის წინააღმდეგ კვლავ ახალ მებრძოლ ძალებს დაეძებდნენ. პალმერსტონი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა შვედეთზე, ვარაუდობდა მისი არმიების შეტევას ფინეთის მხრიდან. ახალი ფრონტი ფინეთში, ინგლის-საფრანგეთ-შვედეთის ფლოტის

ახალი დარტყმები ბალტიის ზღვაში, პალმერსტონის აზრით დაუყოვნებლივ დაეჩოქებდა რუსეთს და აიძულებდა მას მიეღო მოკავშირეთა საზავო წინადადებანი.

მაგრამ შვედეთის მეფე ოსკარ პირველი რუსეთთან ომის გაჩაღებას მისთვის დამღუპველად თვლიდა. იგი მოითხოვდა მოკავშირეებს მისთვის მიეცათ 50 ათასი ჯარისკაცი ფინეთის შესანარჩუნებლად, რასაც იგი თავისი ძალებით ვერ უზრუნველყოფდა. სანამ რუსები პეტერბურგში არიან — ამბობდა იგი — არცერთ ქვეყანას არ შეუძლია დამშვიდებული ფლობდეს ფინეთს. ოსკარ პირველთან მოლაპარაკებას შედეგები არ მოჰყოლია. საფრანგეთის იმპერატორს, განსაკუთრებით სევასტოპოლის დაცემის შემდეგ, აღარავითარი სურვილი არ ჰქონდა ომის გაგრძელებისა და იმ გეგმებისათვის ხელშეწყობისა, რაც ინგლისის მიერ იყო დასახული. შვედეთთან მოლაპარაკების წარუმატებლობის შემდეგ მოკავშირეები მიუბრუნდნენ ისევ ავსტრიას, რომელიც სანაბევროდ უკვე ჩართული იყო ამ ომში.

სევასტოპოლის გმირული დაცვა

1854—1855 წლის ზამთრის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. მოკავშირეთა ძალები ყირიმში გაიზარდა იმით, რომ იქ გადასხმულ იქნა 15 ათასი პიემონტელი ჯარისკაცი. ინგლის-საფრანგეთის მთავრობები ვარაუდობდნენ სევასტოპოლის საალყო ძალების გადიდებას და ამზადებდნენ ახალ კორპუსებს, რომ გაზაფხულის იერიშებს ერთი ხელის დაკვრით გადაეწყვიტათ ომის ბედი. ევპატორია წარმოადგენდა იმ ძირითად ბაზას შავ ზღვაზე, საიდანაც მოკავშირეები ახალ-ახალ შევსებას გზავნიდნენ სევასტოპოლისაკენ. ნიკოლოზ პირველი დაჟინებით მოითხოვდა ევპატორიაზე შეტევას და მის დაკავებას. მენშიკოვი, რომელიც ინკერმანის შემდეგ სრულ პესიმიზმში ჩავარდა და საქმეს წაგებულად თვლიდა, სრულიად უხალისოდ ემზადებოდა ამ ახალი ოპერაციისათვის. ევპატორიაზე იერიშები მან მიანდო გენერალ ს. ა. ხრულევს.

1855 წლის 5 თებერვალს ხრულევის ნაწილებმა დაიწყეს ევპატორიაზე იერიში. ბრძოლის წინ რუსებს არ უწარმოებიათ დაზვერვა და არ ჰქონდათ ზუსტი ცნობები მოწინააღმდეგის ძალების შესახებ. ევპატორიას კი იცავდა 40 ათასამდე კაცი. ამავე დროს ქალაქის დაცვას რუსთა შეტევისაგან დიდ დახმარებას უწევდა სახომალდო არტილერია. მოკავშირეთა 12 ხომალდი და 12 იალქნიანი გემი ევპატორიის ნაპირებიდან განუწყვეტლივ ურტყამდა მოიერიშეებს. რუსთა იერიშებმა მტრის ბანაკში დიდი მსხვერპლი გამოიწვიეს, მაგრამ გადამწყვეტი წარმატება ვერ მოიპოვეს. მოკავშირეთა ძალებმა შეინარჩუნეს ქალაქი. რუსებმა უკან დაიხიეს.

12 თებერვალს ნიკოლოზმა გაიგო ევპატორიაზე იერიშების წარუმატებლობის ამბავი. მის ისედაც მძიმე სულიერ განწყობილებაზე ამ ცნობამ ძალზე ცუდი გავლენა იქონია. იგი გაციებისაგან ლოგინად იყო ჩავარდნილი. ევპატორიის შემდეგ ნიკოლოზს დიდხანს აღარ უცოცხლია. 17 თებერვალს ღამით გარდაიცვალა. რუსეთში და უცხოეთში გავრცელდა დაჟინებითი ხმები იმპერატორის თვითმკვლელობის შესახებ. ბევრი ნიკოლოზის ასეთ უეცარ აღსასრულს მის კარის ექიმ მანდტს აბრალებდა, რომელმაც ნიკოლოზის სიკვდილის შემდეგ სწრაფად დატოვა რუსეთი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში სევასტოპოლი ურყევად იდგა. ზამთრის განმავლობაში მოკავშირეები ბომბავდნენ მას, თუმცა ძლიერი იერიშების ცდა არ ყოფილა.

ენით აუწერელ მძიმე ვითარებაში უხდებოდა სევასტოპოლის გმირულ გარნიზონს ცხოვრება და თავდაცვა, გარნიზონს არ ჰქონდა საზამთრო ტანსაცმელი, საკმაო სურსათი. მუხლამდე ტალახში მეომრები აგებდნენ ახალ-ახალ სიმაგრეებს, არემონტებდნენ მტრის არტილერიით დანგრეულ ბასტიონებს. თებერვალში აიგო მძლავრი რედუტი მალახოვის ყორღანის დაცვისათვის. ტოტლებენი სევასტოპოლის დაცვის აღწერაში მიუთითებს იმ განსაკუთრებულ მძიმე ვითარებაზე, რომელშიაც მიმდინარეობდა მთელი ეს თავდაცვითი სამზადისი, დიდი იყო მსხვერპლი როგორც ბასტიონზე, ისე

თვით ქალაქში. ადამიანები იხოცებოდნენ შიმშილისა და სიცივის შედეგად.

თებერვლის შუა რიცხვებიდან ფრანგებმა უკვე დაიწყეს მძლავრი იერიშები. სევასტოპოლელებმა ეს იერიშები გმირულად მოიგერიეს და ფრანგები აიძულეს ისევ გადასულიყვნენ საალყო მდგომარეობაზე. მაგრამ სევასტოპოლის დამცველებს თანდათან ელეოდათ ჭურვების მარაგი. ნახიმოვი, რომელიც კორნილოვის დაღუპვის შემდეგ სევასტოპოლის დაცვის მეთაური და მისი სული და გული გახდა, არტილერისტებს საგანგებოდ აფრთხილებდა გამოზოგვით ეხარჯათ ჭურვები და. ეს მაშინ, როცა მოწინააღმდეგე თანდათან აძლიერებდა თავის საარტილერიო იერიშებს. სევასტოპოლის მეორე ბომბარდირება, რომელიც თებერვლიდან დაიწყო, 18 აპრილამდე გრძელდებოდა. მოკავშირეებმა ამ ხნის განმავლობაში ციხესიმაგრეს 168.700 ჭურვი დააყარეს. ამავე ხნის განმავლობაში რუსებმა 88.700 ჭურვით უპასუხეს. მიუხედავად ამისა, მეორე ბომბარდირებაც, ისე როგორც პირველი, უშედეგო აღმოჩნდა. ნახიმოვის მითითებით გმირი სევასტოპოლელები განსაკუთრებით უნდა გაფრთხილებოდნენ სამ განძეულს — სისხლს, თოფისწამალს და საარტილერიო ჭურვებს, რადგან სამივე ერთგვარად ძვირფასი იყო ამ ციტადელის შენარჩუნებისათვის.

აპრილში ფრანგების მთავარსარდალი კანრობერი გაწვეული იქნა. მის ადგილზე დაინიშნა გამოცდილი, ენერგიული გენერალი პელისიე, რომელმაც გადაწყვიტა რჩეული ნაწილებით იერიშები მიეტანა მალახოვის ყორღანზე და მისი დაუფლებით გაეხსნა კარები ძირითად სიმაგრეებში შეჭრისათვის.

11 მაისს გენერალმა პელისიემ 10 ათასი მეომრით შეუტია სევასტოპოლელთა რედუტებს. გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც 7 საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ტრანშეები რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ფრანგებმა თავიანთი შემადგენლობის ნახევარი დაჰკარგეს, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს.

პელისიემ მეორე დღისათვის გადაწყვიტა ახალი ძალებით იერიშების განმეორება. გენერალი ხრულევი კვლავ მოემზადა

თავდაცვისათვის, მაგრამ გორჩაკოვის ბრძანებით იძულებული შეიქმნა მოგერიების ხაზი დაეტოვებინა. ფრანგებმა დაიკავეს ქალაქის სასაფლაოს უბანი.

სევასტოპოლის მესამე მძლავრი ბომბარდირება მოკავშირეებმა 26 მაისს განახორციელეს. ახლა ფრანგებმა სახომალდო მხარეს შეუტიეს 40 ათასი მეომრით. ამ მხარეს რუსთა მხოლოდ 2 ბატალიონი იცავდა. ფრანგები შეიჭრნენ სევასტოპოლელთა ლუნეტში, მაგრამ ნახიმოვის მეთაურობით რუსებმა, ისევ მოიკრიბეს რა ძალა, გრიგალისებური ცეცხლის გაჩაღებით ფრანგები უკან გააბრუნეს. კამჩატკის ლუნეტის გარშემო ბრძოლამ მთელი დღე-ღამის განმავლობაში უკიდურესობამდე გააფთრებული ხასიათი მიიღო. ამ ლუნეტის მისასვლელთან დაიღუპა მოკავშირეთა მრავალი პოლკი. დიდი იყო ზარალი მის დამცველთა შორის, განსაკუთრებით იმ გრიგალისებური საარტილერიო ცეცხლის შედეგად, რომელსაც მოკავშირეები თანდათან აძლიერებდნენ და ანგრევდნენ ყველაფერს — ბასტიონებსაც, ქალაქსაც.

აი, როგორ აგვიწერს სევასტოპოლელი მეომარი 25—26 მაისის თავდასხმას ციტადელზე: „26 მაისის შუადღის 3 საათზე მოწინააღმდეგემ, ზღვიდან მიცემულ ნიშანზე ქვემეხიდან სამი გასროლით გახსნა უძლიერესი საარტილერიო ცეცხლი ჩვენი ბატარეების მარცხენა ფლანგზე და უმეტესად კამჩატკის, სოლინგერსკის, ვოლინსკის რედუტების და მალახოვის ყორღანის (კორნილოვის ბასტიონის) წინააღმდეგ. ეს ბომბარდირება გაგრძელდა მეორე დღის 3 საათამდე. 26 მაისის დაახლოებით 3 საათზე ზღვიდან მიცემულ იქნა ისეთივე ნიშანი, როგორც წინადღით, და დაუყოვნებლივ ცეცხლი გახსნილ იქნა ჩვენი თავდაცვითი ხაზის მარჯვენა ფლანგზე, ხოლო მარცხენა ფლანგზე სროლა თითქმის შეწყდა. ბომბარდირების ჯოჯოხეთური ცეცხლი გაგრძელდა 6 საათამდე. ისევე რაკეტების ნიშანზე, კანონადა დაიწყო მარცხენა ფლანგზეც და შეერწყო რაღაც საშინელ გრიალს. მე მომეჩვენა, რომ დაიწყო მსოფლიოს აღსასრული. თუჯის უდიდესი კალიბრის ათასობით სახომალდო ქვემეხები ორივე მხრიდან, ქალაქის თავზე განუწ-

ყველტლივ მოზუზუნე ბომბები, ჩვენი გემებიდან ყუმბარების სეტყვა კილენ-ბალკის ბუხტზე, საიდანაც ფრანგები აწარმოებდნენ იერიშებს სელენგინსკის და ვოლინსკის რედუტებზე... საშინელი სურათი შეიქმნა. მე ამ დროს ვიყავ მალახოვის ყორღანზე, აქ გავატარე მთელი ღამე და ყოვლისშემძლე ღმერთის წყალობით ხელფეხი ისე შემრჩა...

28 მაისს გენერალმა პელისიემ ჩვენს უფროსს თხოვა რამდენიმე საათით დაზავება რომ შესაძლებლობა მისცემოდათ გაეტანათ მოკლული ფრანგი ჯარისკაცების გვამები. დღის 12 საათზე აღმართულ იქნა თეთრი ალამი კორნილოვის ბასტიონზე და გამოცხადდა დაზავება. მთელ ხაზზე გამეფდა ღრმა სიჩუმე და ბევრი, მათ რიცხვში მეც, გავედით ნეიტრალურ ზონაში. მალახოვის ყორღანის იქეთ ჩვენი მხრიდან მოწყობილ იქნა ეგერთა მჭიდრო ჯაჭვი, ხოლო მოწინააღმდეგის მხრივ ასევე ფრანგების ჯაჭვი სახაზო პოლკებიდან. დაიწყო გვამების აკრეფა: ჩვენ ჯარისკაცებს ჩვენი მხრიდან მიჰქონდათ ფრანგთა გვამები, ხოლო ფრანგები გვაწოდებდნენ ჩვენი ჯარისკაცების გვამებს. აქ აშკარად შეიძლებოდა დაგვენახა თუ როგორი იყო მოკავშირეთა დანაკარგი: იგი ოთხჯერ აღემატებოდა ჩვენსას[1]..."

ფრანგებმა რამდენიმე მძლავრი იერიშის შემდეგ დიდი მსხვერპლის ფასად იგდეს ხელთ კამჩატკის ლუნეტი. ადმირალი ნახიმოვი ლუნეტის გმირ დამცველთა შუაგულში იდგა. ამ დღეს მან კანტუზია მიიღო, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. ფრანგთა ჭარბმა ძალებმა დაიკავეს აგრეთვე ვოლინსკის და სელენგინსკის რედუტები. მას შემდეგ, რაც კამჩატკის ლუნეტი და რედუტები დაკავებულ იქნა მოწინააღმდეგის მიერ, სევასტოპოლის თავდაცვითი პოზიცია დიდად გაუარესდა. მტრის ხელში აღმოჩნდა მალახოვის ყორღანი. ამიერიდან ყოველდღე მოსალოდნელი იყო საერთო იერიში სევასტოპოლზე.

1825 წლის 13 მაისს მოკავშირეებმა საზღვაო ოპერაციე-

---

[1] Хрестоматия по русской военной истории. Москва, 1947 г. зз. 446-447.

ბის შედეგად, რომელშიც 80-მდე ხომალდი მონაწილეობდა, ქერჩი დაიკავეს.

სევასტოპოლელთა მდგომარეობა კი დღითი-დღე უარესდებოდა. მაისიდან ქალაქის ბომბარდირებამ ქრონიკული ხასიათი მიიღო. ქალაქის დაცვის ერთ-ერთი მონაწილის მიერ აქ შექმნილი მდგომარეობა ასეა აღწერილი: „თქვენ იცით, თუ რა გადაიტანა სევასტოპოლმა უკანასკნელი სამი მძიმე კვირის მანძილზე, მაგრამ ალბად ვერც კი წარმოიდგენთ მის ნამდვილ მდგომარეობას და ყველა იმათ სულიერ მღელვარებას, რომლებიც მომავალზე მსჯელობენ დამშვიდებით, ყოველგვარი მღელვარებისა და გატაცებების გარეშე. ჩვენ ვუახლოვდებით როგორც ჩანს იმ კრიტიკულ წუთებს, როცა ჩვენი მთელი ფიზიკური და მორალური ძალა ადგილს დაუთმობს ყველგან საშინელ დაღლილობას და დახმარებისადმი უიმედობას. როდის და რით გათავდება ყოველივე ეს — მარტო ღმერთმა იცის. მაგრამ შეუძლებელია რომ დასასრული ახლოს არ იყოს., იმ მეზღვაურთა რიცხვი, რომლებიც ჯერ კიდევ ფეხზე დგანან, ყოველდღიურად დნება — ხოლო სევასტოპოლის არსებობის საწინდარს სწორედ ეს მეზღვაურები წარმოადგენენ. ეს რომ ჰეშმარიტებაა, შეიძლება ითქვას სინდისის ქვეშ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე და ამაზე ასობით საბუთი შეიძლება მოვიტანოთ. მატერიალური სახსრები უფრო სწრაფად ქრება, ვიდრე ის მოაქვთ. გააკეთეთ აქედან ლოგიკური დასკვნა და განსაჯეთ რა გვემუქრება. არა მგონია, რომ მე ამ საქმეს ჰესიმისტური თვალსაზრისით ვსჯიდე... მე ვლაპარაკობ არა ჩემს საკუთარ თვალსაზრისს. ის რაც ზევით ითქვა, გონიერი და გამოცდილი ადამიანების უდიდესი უმრავლესობის შეხედულებათა და შთაბეჭდილებათა ნაკრებია — და მე ჩემსას ძალზე ცოტას ვუმატებ. ბევრი რამ ჩვენ ყველას გვაფიქრებინებს, რომ პეტერბურგში სრულიად ვერ აფასებენ ამ მდგომარეობის სიმძიმეს და საშიშროებას. ხუთუ ვერ უნდა მიხვდნენ, რომ ყოველგვარი ძალა შეიძლება დაიშრიტოს ისევე, როგორც უვარგისი ხდება იარაღი, რომელსაც იყენებენ იმაზე მეტი დატვირთვით, ვიდრე ეს თეორიით და გამოცდილებით არის

დაშვებული. ნუთუ შეუძლებელია გაგვიწიონ ჩვენ დროზე ქმედითი დახმარება იმ მასშტაბით, რომ ყირიმის არმიას შესაძლებლობა მისცემოდა დაეწყო შეტევის ცდა! აი საკითხები, რომელიც ყველას და თვითეულს აწუხებს და ყველა ლაპარაკის და მსჯელობის უცვლელ თემას შეადგენს. თუ რაა შიშიეს ჩვენ ყველამ, ქალაქის ჩრდილოეთის მშვიდობიანმა მცხოვრებლებმაც დავივიწყეთ! ახლა სევასტოპოლში არ არსებობს უბანი, რომელსაც არ ურტყამდნენ მოწინააღმდეგის რაკეტები და ფინდიხებიც კი".

აქ აღწერილი მდგომარეობა კვლავ გართულდა მას შემდეგ, რაც სევასტოპოლელებმა ლუნეტი და რედუტები დაჰკარგეს. ფრანგების ტრანშეებმა ნახევარი კილომეტრით წინ წაიწიეს.[1]

მოწინააღმდეგე სევასტოპოლზე ახალ, უფრო მძლავრ იერიშებს ამზადებდა. ივნისის დასაწყისში მოკავშირეთა მთავარსარდლობის თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ პელისიე, რაგლანი და ომერ ფაშა, გადაწყდა იერიშები მიეტანათ პირველ, მეორე და მესამე ბასტიონებზე — მალახოვის ყორღანზე. 5 ივნისს ქალაქის ყველაზე შეუპოვარი და ძლიერი ბომბარდირება უნდა მოეწყოთ, ხოლო შემდეგ, საღამოთი კვლავ შეკრებილიყვნენ, შეეფასებინათ ვითარება, გაენაწილებინათ ძალები და დაეწყოთ იერიშები.

5 ივნისს, დილიდანვე დაიწყო სევასტოპოლის საშინელი დაბომბვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოწინააღმდეგის სახმელეთო და საზღვაო ძალები. მოკავშირეთა სარდლობა ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ასეთი ინტენსიური დაბომბვით ისინი საბოლოოდ დაანგრევდნენ რუსთა ბასტიონებს, რომელთა შეკეთებას სევასტოპოლელი მეომრები ღამით ვერ მოახერხებდნენ, ხოლო ადრე დილიდანვე იერიშზე გადავიდოდნენ. სევასტოპოლს მალახოვის ყორღანის მხარეზე ურტყამდა ფრანგების 421 ქვემეხი. მესამე ბასტიონს — ინგლისელთა 166 ქვემეხი. სევასტოპოლის დამცველ მეომართა რიცხვი ამ

---

[1] Е. В. Тарле, Крымская война, том II, зз. 396.

დროისათვის აღწევდა სამოცდათხუთმეტ ათასამდე კაცს, ხოლო მოკავშირეთა ძალები — ასსამოცდაათათასს. ამასთანავე ჭურვების მარაგი თითოეულ რუს მეომარზე მოდიოდა მოწინააღმდეგესთან შედარებით 3—4-ჯერ ნაკლები. ამ დღეს მტრის საარტილერიო ცეცხლი შეუწყვეტლივ მთელი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. აი რას აგვიწერს მონაწილე: „მიცემულ ნიშანზე ერთდროულად ყველა ბატარეიდან ქალაქს დააყარეს: 36 გირვანქიანი და 3 ფუთიანი ჭურვები, ხუთ ფუთიანი ბომბები, გრანატები, რაკეტები. ცეცხლი ისე ხშირი იყო, რომ თითქოს არავითარი შუალედები არ არსებობდა და ყველაფერი ეს წივილითა და გრუხუნით სკდებოდა ჰაერში და თავს ეყრებოდა ქალაქს, როგორც სეტყვა!.. მსხვრევის ამ საშინელი სურათის წარმოდგენა შეუძლებელია. ეს მოულოდნელად დატრიალებული ჯოჯოხეთი აურზაურს იწვევდა მშვიდობიან მოსახლეობაში, რომელიც აქამდე მიუხედავად ბრძანებისა, გონივრული განსჯის გარეშე ქალაქში იყო დარჩენილი. ბავშვების და ქალების საშინელ ყვირილზე — ღამით, ყველა ვინც როგორ იყო ჩაცმული, გამოცვივდნენ გარეთ და გაქანდნენ ყურესაკენ... სიკვდილი... სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით ამ წუთში მბრძანებლობდა მთელ ქალაქში. ასე გაგრძელდა ომების ისტორიაში ეს უმაგალითო ჯოჯოხეთი ან ცეცხლი ორთავე მხრივ გვიან შუაღამემდე, ოდნავი შეჩერებისა და შესუსტების გარეშე. ქალაქი ნამდვილად ბომბებით და რაკეტებით იყო დაცხრილული, მაგრამ ვინაიდან სახლები ქვისა და ამასთან ნახევრადდანგრეული იყო, საერთო ხანძარი არ გაჩენილა. ერთი ყუმბარა დაეცა სახელოსნოს, სადაც ვაზნები მზადდებოდა და ეწყო ათასამდე გრანატი. ვაზნები თეალის დახამხამებაში აფეთქდნენ და ჰაერში იქნენ ატყორცნილი, ხოლო გრანატები სკდებოდა მიყოლებით... და გარედან საშინელებას თან ერთვოდა შინაგანი საშინელება. არავინ იყო ცეცხლის ჩამქრობი. შუაღამე გადავიდა. მოწინააღმდეგის ცეცხლი კი გაძლიერდა და გახშირდა. ბომბები და რაკეტები აკეთებდნენ ცეცხლოვან რადიუსებს და სერავდნენ ზეცას. ბატარეე-

ბი, ჩვენი და მტრისაც ალში იყო გახვეული და იდგა სიკვდილის საშინელება“...

6 ივნისს გათენებამდე ერთი საათით ადრე დაიწყო ფრანგების იერიში. პირველ იერიშზე წავიდა მეირანის დივიზია, მაგრამ თვით მეირანი მოკლეს, მისი დივიზია გრიგალისებურ ცეცხლში მოხვედრილი, იძულებული შეიქმნა უკან დაეხია. პელისიემ მალახოვის ყორღანის იერიშზე წაიყვანა თავისი რჩეული ნაწილები. ეს იყო მოწინააღმდეგეთა შეჯახება და ჯერ კიდევ სიბნელეში მალახოვის ყორღანს ირგვლივ ერტყა ცეცხლის უწყვეტი რკალი. ფრანგები უტევდნენ გააფთრებით. ასევე შეუპოვრად იცავდნენ თავს რუსები. საქმე გადავიდა ხელჩართულ ბრძოლაზე, ხიშტით კვეთებაზე. ბრძოლა გრძელდებოდა შეუნელებლივ, მაგრამ ფრანგებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ასევე წარუმატებლად დამთავრდა ინგლისელთა პოლკების ცდები შეჭრილიყვნენ რუსთა ბასტიონებში. მოკავშირეთა იერიშები ჩაიშალა. ფრანგები ამ წარუმატებლობას ინგლისელებს აბრალებდნენ, რომლებიც მართლაც, გაცილებით მეტ სიფრთხილეს და ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენდნენ ამ იერიშებში. დიდი იყო მოწინააღმდეგის ზარალი. რუსების ბანაკში იყო 783 მოკლული, 3197 დაჭრილი და 350 კანტუზირებული. მოკავშირეებმა ამ დღეს დაჰკარგეს 7 ათასი მეომარი და 3 გენერალი.

6 ივნისის ბრძოლაში სევასტოპოლელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მოკავშირეთა სარდლობა იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მათმა იერიშებმა სევასტოპოლზე კრახი განიცადა.

8 ივნისს ერთერთი ბატარეის დათვალიერების დროს მძიმედ დაიჭრა სევასტოპოლის სიმაგრეთა მშენებლობის სული და გული ინჟინერი ტოტლებენი, რომელიც მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ქალაქიდან გაიყვანეს (მაგრამ იგი გადაურჩა ამ ჭრილობას). ტოტლებენს ნახიმოვი ამ საშინელ დღეებში სევასტოპოლისათვის უსაჭიროეს ადამიანად თვლიდა. „გაუფრთხილდით ტოტლებენს, მისი შემცვლელი არავინაა, — ხშირად ამბობდა ნახიმოვი.

მაგრამ ტოტლებენზე მეტად სევასტოპოლს ამ ვითარებაში ნახიმოვი სჭიროდა. ეს უაღრესად გულადი, თავმდაბალი; მორალურად კრისტალური ადმირალი სევასტოპოლის დაცვის მთელ პერიოდში წარმართავდა მის ურთულეს ოპერაციებს, სათავეში ედგა სიმაგრეთა მშენებლობასაც, ყველაზე ცხარე ბრძოლების ჟამს იყო იმ უბანზე, სადაც მოწინააღმდეგე დიდი გააფთრებით უტევდა, ყოველთვის აღაფრთოვანებდა მეომრებს პირადი მამაცობით, ამტანიანობის, ნებისყოფის სიმტკიცის მაგალითებით.

ნახიმოვი გაბედული მებრძოლი იყო ყოველგვარი ჩამორჩენილობისა და რუტინის წინააღმდეგ. სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ხელოვნებაში იგი გამოირჩეოდა თავისი ნოვატორული ტალანტით. მას ყოფნიდა გამბედაობა წინ აღდგომოდა ნიკოლოზისეული რუსეთის სამხედრო უწყებებში გამეფებულ კანცელარშჩინას, პედანტობას. უყვარდა რა თავისი ჯარისკაცები და მატროსები, საინდენტანტო სამსახურის პედანტების წინააღმდეგ, მეომრებს იგი თვითნებურად ამარაგებდა ყოველივე იმის მაქსიმუმით, რაც კი საწყობებში ინახებოდა, ამასთან მწარედ იტყოდა ხოლმე, რომ შესაძლებელია იგი ამისთვის გადასცენ სამხედრო-საველე სასამართლოს. ხელქვეითებისადმი მაღალ მომთხოვნელობას ნახიმოვი ყოველთვის ათავსებდა მათდამი მამობრივ ზრუნვას. ამიტომ უყვარდა იგი არა მარტო სევასტოპოლის გმირ დამცველებს, არამედ მთელ პროგრესულ რუსეთს. ნახიმოვი და მის გარშემო შემოკრებილი ოფიცრობა — კონტრ-ადმირალი ვ. ი. ისტომინი, ვიცე ადმირალი ფ. მ. ნოვოსელსკი, გენერალ-ლეიტენანტი ს. ა. ხრულევი, კონტრ-ადმირალი ა. ი. პანფილოვი, გენერალ მაიორი ა. პ. ხრუშჩოვი, პოლკოვნიკი ვ. ი. ვასილჩიკოვი, პირველი რანგის კაპიტანი ა. ა. ზორინი, მეორე რანგის კაპიტანი გ. ი. ბუტაკოვი, სამხედრო ინჟინრები ე. ი. ტოტლებენი, ვ. პ. პოლზიკოვი, ა. ვ. მელნიეკი და სხვები[1], ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც თავისი მხრებით ეკავათ სევასტოპოლის ციხე-სიმაგრე, რომელთა დაუღალავი ორგანიზატორული ხელმძღვანელობის, გასაოცა-

[1] И. В. Бестужев. Крымская война. Изд. Акад. наук СССР, Москва, 1956, გვ. 134.

რი მხედრული შეუპოვრობის, ნიჭისა და. უნარის, პირადი მამაცობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დიდების იმ უჭკნობი სახელის დამკვიდრება, რომელიც სევასტოპოლმა დასტოვა შთამომავლობაში.

28 ივნისს ნახიმოვი მესამე და მეოთხე ბასტიონების დასათვალიერებლად გაემგზავრა. ამ ბასტიონებს იმ დღეს გაძლიერებით ბომბავდა მოწინააღმდეგე. მიუხედავად მასირებული ცეცხლისა, ადმირალი მიიწევდა წინ და მტრის ყუმბარები მას მიჰყვებოდნენ კვალდაკვალ. მოგვითხრობენ, რომ ამ დღეს იგი მხიარული იყო ჩვეულებრივზე მეტად და თავის ადიუტანტს, რომელიც გვერდიდან არ სცილდებოდა, ეუბნებოდა: „რა სასიამოვნოა სიარული ისეთ ვაჟკაცთან ერთად, როგორც თქვენა ხართ. ასეა საჭირო, ჩემო მეგობარო. ყველაფერი ხომ განგების საქმეა! რაც არ უნდა გავაკეთოთ ჩვენ აქ. რასაც არ უნდა შევაფაროთ თავი, სადაც არ უნდა დავიმალოთ, — ამით ჩვენ ვაჩვენებთ მხოლოდ ჩვენი ნებისყოფის სისუსტეს. სულით კეთილშობილი კაცი სიკვდილს ყოველთვის შეხვდება მშვიდად და მხიარულად, ხოლო მშიშარას ეშინია სიკვდილისა, როგორც მშიშარას". ისინი ავიდნენ იმ ბასტიონზე, სადაც 5 ოქტომბერს დაეცა კორნილოვი და ამ დღიდან მის სახელს ატარებდა. ნახიმოვმა გაამხნევა ბასტიონის ჯარისკაცები, მადლობა უთხრა მათ გამოჩენილი მამაცობისათვის. იგი, მიუხედავად ოფიცრების დაჟინებითი თხოვნისა, ავიდა სასროლო მოედანზე, საიდანაც სულ ახლოს მოჩანდა ფრანგების ბანაკი. ოქროს ეპოლეტებიანი ადმირალი პირდაპირი სამიზნოდ აღმოჩნდა მტრისთვის. მას რამდენჯერმე ესროლეს შტუცერიდან: ერთერთმა ტყვიამ სახე და თავის ქალა გაუხვრიტა: იმავე საღამოს სევასტოპოლის დაცვის მთავარსარდალი გარდაიცვალა.

ეს იყო ჭეშმარიტად აუნაზღაურებელი დანაკლისი. ტოტლებენი, რომელმაც ნახიმოვის სასიკვდილო დაჭრის ამბავი გაიგო, საავადმყოფოდან მეუღლეს წერდა: „გუშინ საღამოს ნახიმოვი საშიშრად დასჭრეს თავში მალახოვის ყორღანზე. ამ სამწუხარო ცნობამ მე საშინლად შემაშფოთა. მე მიყვარდა

ნახიმოვი როგორც მამა. ამ კაცს მიუძღვის დიდი დამსახურება. ის ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა. ფლოტზე მისი გავლენის შედეგი იყო მრავალი რამ, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა... ის იყო გულწრფელი პატრიოტი, რომელსაც რუსეთი უყვარდა უსაზღვროდ, ყოველთვის მზად იყო გაეწირა ყოველივე მისი დიდებისათვის, ძველი რომის და საბერძნეთის კეთილშობილ პატრიოტთა მსგავსად და ყოველივე ამასთან ერთად როგორი სათუთი გული, როგორ ზრუნავდა იგი თვითეულ მებრძოლზე, იგი ყველას ნახულობდა, ყველას ეხმარებოდა[1]".

ნახიმოვთან, ტოტლებენთან, ისტომინთან, ხრულევთან და სხვებთან ერთად სევასტოპოლმა უკვდავების სახელი დაუმკვიდრა მრავალ რიგით მეომარს, ჯარისკაცსა და მეზღვაურს, რომლებმაც სევასტოპოლის დაცვის უმძიმეს დღეებში უჩვენეს მხედრული მამაცობის, მოსაზრებულობის უბადლო ნიმუშები და განახორციელეს მტრის ჭარბი ძალების განუწყვეტელი იერიშების ჩაშლა და ქალაქის შენარჩუნება 349 დღის განმავლობაში. ასეთ მეომართა რიგებს ეკუთვნოდნენ, მაგალითად ბირიულევი, ასტაპოვი, ზავალიშინი, გოლოვინსკი, დანილენკო, კოშკა, ზუბკოვი, დიმჩენკო, ზაიკა, ელისეევი, ჩუმატჩენკო და სხვები, რომლებზედაც მაშინ აღტაცებული წერდა და ლაპარაკობდა მთელი რუსეთი. ეს მეომრები თავიანთი სიმაგრეებიდან ღამ-ღამობით სისტემატურად აწყობდნენ გაჭრას მტრის განლაგებაში, ახშობდნენ მათ საცეცხლე წერტებს. სპობდნენ ცოცხალ ძალას, მოჰყავდათ მოენეები. ისინი ზამთარ-ზაფხულ არ სცილდებოდნენ თავიანთ ქვემეხებს, არ სტოვებდნენ საბრძოლო პოზიციას უკიდურესი უიმედობის ვითარებაშიც. ქვემეხების განლაგებაში შემოჭრილ მტრებს ხიშტებით და დუგლუგებით იგერიებდნენ. დაჭრისა და კანტუზიის შემდეგაც ქვეგანაყოფებში რჩებოდნენ. თავიანთი უშიშრობით ამხნევებდნენ თანამებრძოლებს.

„რამდენი ადამიანი გყავთ ბასტიონზე?" — ჰკითხა ერთხელ გორჩაკოვმა სევასტოპოლელ არტილერისტს. „სამ დღეს იკმა-

---

[1] Шильдер, Граф Э. И. Тотлебен, т. I, прилож. гз. 76.

რებს" — იყო არტილერისტის პასუხი. ამ პასუხში გამოსჭვივოდა უდრეკი ნებისყოფა იმ ადამიანისა, რომელიც უეჭველ სიკვდილზე მიდიოდა სრული რწმენით მთელ თავის დანაყოფთან ერთად. ასეთი ადამიანები იცავდნენ ქალაქს და თვით მტრებიც კი იძულებული იყვნენ სევასტოპოლელთათვის „ფოლადის გარნიზონი" შეერქვათ.

მრავალი საოცარი გმირობაა დაკავშირებული პეტრე კოშკას სახელთან. იგი არაჩვეულებრივი მოხერხებით სისტემატურად იჭრებოდა მტრის საცეცხლე წერტილების სისტემაში, სპობდა მათ გუშაგებს, მოჰყავდა მოენეები. ერთ-ერთი ასეთი გაჭრის დროს მან 3 ფრანგი ტყვე წამოიყვანა. მეორე გაჭრის დროს გამორეკა 10 ინგლისელი მსროლელი. მან მარტოდ მარტომ გააბრუნა უკან მტრის მთელი ქვეგანაყოფი.

ცნობილი რუსი ქირურგის პიროგოვის ერთერთ წერილში კოშკას შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „ახლა ჰოსპიტალში შემხვევ პუნქტში წევს მატროსი, მეტსახელად კოშკა. იგი საყოველთაოდ ცნობილი ადამიანი გახდა. ინახულეს დიდმა მთავრებმაც. ეს კოშკა მონაწილეობდა. ყველა გაჭრაში არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც და სასწაულებს ახდენდა მტრის ცეცხლის ქვეშ. ინგლისელებმა თავის ტრანშეაში მოკლული იპოვნეს ორი ჩვენი მატროსი. მიაბეს ისინი მისასვლელთან იმ განზრახვით, რომ ჩვენებს თითქოს გუშაგები ეგონებოდათ. კოშკა დღისით ხოხვით მიიპარა ტრანშეასთან, იპოვა ინგლისური ტილოს საკაცეები, გვამი ამ საკაცეებზე დასდო, გამოსჭრა საკაცე ხელის გასაყოფად, იგი გვამიანად ზურგზე მოიდო და ხოხვით გამოსწია თავისიანებისაკენ. ტყვიების სეტყვა დააყარეს, 6 ტყვია გვამს მოხვდა, თვით კი მოხოხდა უვნებელი. ახლა იგი წევს ჰოსპიტალში. ერთ-ერთი გაჭრის დროს ხიშტით მუცელში დაუჭრიათ, მაგრამ საბედნიეროდ, ხიშტმა მხოლოდ ტყავი გაუჭრა და ნაწლავებს არ შეხებია". ახლა ის უკვე გამოჯანსაღებულია..."

ერთხელ, მაგალითად, მტრის ხუთფუთიანი ყუმბარა დაეცა თოფისწამლის საწყობის მახლობლად. რომ აფეთქებულიყო, იგი ჰაერში ასტყორცნიდა მთელ საწყობს და იქ განლაგებულ

ბატარეას. არტილერისტმა კანდაგურმა დაინახა თუ არა ეს, თანამებრძოლებს დაუყვირა: „მსურველებო მომყევით“. მას დაუყოვნებლივ გაჰყვა ორი ათეული მოხალისე. მათ ყუმბარა საწყობის ტერიტორიიდან გადააგორეს და შემდეგ გაერთხნენ მიწას. ყუმბარა აფეთქდა, მაგრამ ვერ მისწვდა ვერც საწყობს, ვერც ბატარეას. ნახიმოვი, რომელიც ამ დროს საწყობიდან 10 ნაბიჯის მოცილებით იდგა, ყოველივეს ხედავდა. იგი მიიჭრა აფეთქების ადგილზე. დაინახა რა მებრძოლთა ეს არაჩვეულებრივი გმირობა, დაჰკოცნა ისინი სათითაოდ, გულიდან მოიხსნა გიორგის ჯვარი და მამაც კანდაგურს მკერდზე დაუბნია.

არაჩვეულებრივი მამაცობით მუშაობდა სევასტოპოლის მედპერსონალი გამოჩენილი რუსი ქირურგის ნ. ი. პიროგოვის მეთაურობით. სევასტოპოლელ სანიტრებს, მოწყალების დებს სეტყვისებური დაბომბვის ვითარებაში პოზიციებიდან გამოჰყავდათ მძიმედ დაჭრილები, უწევდნენ მათ საჭირო სამედიცინო დახმარებას. განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი იყო მოწყალების და დარია, რომელმაც ათასობით მეომარს შეუნარჩუნა სიცოცხლე.[1]

ქალაქის გმირულ დაცვაში თავიანთი მამების გვერდით მონაწილეობდნენ ბავშვებიც კი. ამაღელვებელია 12 წლის ყმაწვილის რიბალჩენკოს მამაცობა, რომელიც დაჯილდოებულ იქნა ვერცხლის მედლით „მამაცობისათვის“. აი რას ვკითხულობთ გენერალ გორჩაკოვის მოხსენებით ბარათში მინისტრის მიმართ:

„ფლოტის 37-ე ეკიპაჟის მატროსის 12 წლის შეილ მაქსიმ რიბალჩენკოს 1854 წ. 5, 6 და 7 ოქტომბერს სევასტოპოლის ბომბარდირებისას უმაგალითო სიმამაცით აჰქონდა ჭურვები კორნილოვის ლუნეტზე, სადაც სევასტოპოლის ბომბარდირების დაწყებიდანვე ნებაყოფლობით ჩადგა ქვემეხების სამსახურში“.[2]

სევასტოპოლის დამცველთა მთელი კოლექტივი ერთი

---

[1] И. В. Бестужев, Крымская война, გვ. 43-46.

[2] Хрестоматия по русской военной истории, გვ. 495.

აზრით, ერთი მისწრაფებით შედუღებულ გრანიტოვან კოლექტივს წარმოადგენდა. აქ ადგილს ვერ პოულობდნენ მშიშრები, პანიკიორები, სულმოკლენი. ყველა ოპტიმისტურად უყურებდა მომავალს და მშვიდად, უდრტვინველად კვდებოდა თავის პოსტზე იმ რწმენით, რომ იხდიდა მოვალეობას ქვეყნის წინაშე. დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი, რომელიც სევასტოპოლის გმირ დამცველთა შორის იყო, მიუთითებდა, რომ შეუძლებელია ადამიანებმა ჩაიდინონ ამდენი გმირობა ჯვრების სიყვარულის, წოდების სიყვარულის, ან შიშის გამო. მათი გმირობა შეპირობებული იყო უფრო მაღალი დანიშნულებით. ეს იყო მხოლოდ სიყვარული სამშობლოსადმი. „დიდხანს დასტოვებს წარუშლელ კვალს რუსეთში სევასტოპოლის ეს ეპოქა, რომლის გმირი იყო რუსეთის ხალხი — წერდა ლ. ტოლსტოი.

სევასტოპოლზე იერიშების წარუმატებლობამ მოკავშირეები აიძულა გაეაქტიურებინათ სამხედრო ოპერაციები სხვა მიმართულებითაც. ბალტიის ფრონტს ისინი თვითონვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და 1854 წლის უშედეგო რეიდების შემდეგ კვლავ დაიწყეს სამზადისი კრონშტადტზე თავდასხმისათვის. შეცვლილ იქნა ესკადრის მთავარსარდლობა. ნეპირისა და პერსევალის ნაცვლად ბალტიკაში მოქმედი ესკადრის მეთაურებად დაინიშნენ დონდასი და პენო: ბალტიის ესკადრა ახლა 52 სახაზო ორთქლის გემს მოითვლიდა. კრონშტადტის მიუვალობის გამო მოკავშირეებმა გადაწყვიტეს იერიშები სვეაბორგზე მიეტანათ. 26 ივლისს მოკავშირეთა ესკადრა მიადგა სვეაბორგს, რომელიც ამ დროს კარგად იყო გამაგრებული და ზღვიდან დანაღმული. 28 ივლისს მოკავშირეებმა დაიწყეს მისი დაბომბვა, რაც 2 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. სვეაბორგის სანაპირო ბატარეებმა მოწინააღმდეგე ახლოს არ მიუშვეს. დაბომბვას არავითარი ეფექტური შედეგები არ მოჰყოლია. სვეაბორგში შეჭრა მოკავშირეებმა ვერ გაბედეს. ბალტიის კამპანია სამარცხვინოდ ჩაიშალა.

ასევე წარუმატებლად დამთავრდა მოკავშირეთა ხელახალი ექსპედიცია წყნარ ოკეანეში. 1855 წლის გაზაფხულზე მა-

თი ფლოტი ისევ გამოჩნდა პეტროპავლოვსკში კამჩატკასთან. 1855 წლის ნოემბერში მოკავშირეთა ფლოტი თავს დაესხა ნიკოლაევს. ოპერაციაში მონაწილეობდა ინგლის-საფრანგეთის 90 საბრძოლო ხომალდი. მათ შეძლეს მხოლოდ კინბურნის ფორტში შეპრა, მაგრამ ნიკოლაევში, რომლის მისასვლელები დანაღმული იყო, ვერ შეაღწიეს და უშედეგოდ გაბრუნდნენ უკან.

მაგრამ ყირიმში, სევასტოპოლთან მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. მის გმირულ დამცველთა შემადგენლობა დღითი-დღე მეჩხრდებოდა, მოკავშირეებს კი ემატებოდა ახალ-ახალი ძალები.

რუსეთის მთავარსარდლობამ ხანგრძლივი მერყეობის შემდეგ ერთხელ კიდევ განიმეორა ცდა ყირიმის მთელი ძალებით შეტევისა. გადაწყდა თავი მოეყარათ რეზერვებისათვის და ერთდროულად გარედან და ციხე-სიმაგრიდან შეეტიათ მოწინააღმდეგისთვის ჩორნაია რეჩკას რაიონში, რომ გამოედევნათ იგი ფედუხინის, საპუნ — გორას სიმაღლეებიდან.

ჩორნაია რეჩკასთან რუსების შეტევა 4 აგვისტოს დაიწყო. მაგრამ ეს ოპერაციაც, ისე როგორც წინანდელნი, სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდა. მტრის პოზიციები გაცილებით უკეთესი იყო და იგი ნაკლები მსხვერპლით ახერხებდა რუსთა შემტევი ძალების შეჩერებას. რუსებმა ვერ განახორციელეს ერთდროული მასირებული შეტევა ორივე მხრიდან. ამ ოპერაციას შეეწირა 8 ათასი კაცი (მოკავშირეებისა ოთხჯერ ნაკლები) დასახული გეგმა კი ვერ განხორციელდა. ამ ბრძოლის წარუმატებლობას უკვე მომაკვდავი პასკევიჩი გორჩაკოვს აბრალებდა. ეს უკანასკნელი კი ბრძოლის ველზე დაღუპულ გენერალ რეადს და იმპერატორის ჟინიანობას, რომელიც გორჩაკოვს ავალებდა განეხორციელებინა შეტევა. 4 აგვისტოს ბრძოლაში უდანაშაულო იყო მხოლოდ რუსი ჯარისკაცი, რომელიც ჩვეულებრივი სიმამაცით იბრძოდა და მიდიოდა უეჭველ სიკვდილზე, ხოლო ბრძოლის საავალალო შედეგების გამო დანაშაული თანაბრად ეკისრებოდათ ხელმწიფესაც, გორჩაკოვსაც და პასკევიჩსაც, რომლებიც ამ ბრძოლას ამზადებდნენ

ისე, რომ წინასწარ არ ითვალისწინებდნენ მხარეთა შესაძ-ლებლობებს.

მეორე დღეს, 5 აგვისტოს, მოკავშირეებმა განაახლეს სევასტოპოლის დაბომბვა. ამჯერად დაბომბვაში მონაწილეობდა მოწინააღმდეგის 800-მდე ქვემეხი. სამი დღის განმავლობაში სევასტოპოლს შეუჩერებლივ ურტყამდნენ ეს ქვემეხები. ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი, ინტენსიური და საშინელი წინანდელ დაბომბვებთან შედარებით. სევასტოპოლელთა გარნიზონი კი ამ დროს მეტად შეთხელებული იყო. მტრის 57 ათას-ჭურვს, რომელიც ქალაქს დააყარეს, რუსების მხრივ მხოლოდ 29 ათასი გასროლა მოჰყვა.

27 აგვისტოს ამ გამანადგურებელი დაბომბვის შემდეგ მოკავშირეებმა დაიწყეს გადამწყვეტი იერიშები. მარტო ფრანგების მხრივ ამ იერიშებში მონაწილეობდა 8 დივიზია (50 ათასზე მეტი მეომარი) სამ საათიანი განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ მოკავშირეებმა მოახერხეს აჭრა მხოლოდ მალახოვის ყორღანზე. დანარჩენი ბასტიონები ისევ შეინარჩუნეს ქალაქის დამცველებმა. მოწინააღმდეგემ იმდენად დიდი ზარალი ნახა, რომ მან ვეღარ მოახერხა იერიშების სიღრმეში განვითარება.

მაგრამ მალახოვის ყორღანის დაკარგვა სევასტოპოლის დაკარგვას ნიშნავდა. ქალაქის დაცვას აზრი ეკარგებოდა. მტერს ხელში ჩაუვარდა სიმაგრე, რომელსაც გაბატონებული პოზიცია ეჭირა. ამის შემდეგ სევასტოპოლის მცირე გარნიზონი, როცა სხვა ბასტიონებიც უკვე სანახევროდ დანგრეული იყო, ვეღარ შეძლებდა პოზიციის შენარჩუნებას, თუმცა სევასტოპოლელთა უმრავლესობა კვლავ განწყობილი იყო ქალაქის დაცვისათვის.

გორჩაკოვმა, რომელსაც არ ჰქონდა ამის შემდეგ ქალაქის შენარჩუნების იმედი, ბრძანება გასცა დაეცალათ სევასტოპოლის სამხრეთი ნაწილი. დაიწყო ევაკუაცია. ბასტიონები, საწყობები და სახელდახელოდ აგებული ხიდი, რომელიც ქალაქის სამხრეთ ნაწილს ჩრდილოეთთან აკავშირებდა, ევაკუაციის შემდეგ აფეთქებული იქნა. მხოლოდ ამის შემდეგ შევიდნენ მოკავშირეები დაცარიელებულ სევასტოპოლში, მაგრამ უაზ-

როდ ჩასთვალეს რა იქ გაჩერება, დაბრუნდნენ პირვანდელ პოზიციებზე. ამგვარად, სევასტოპოლი, რომელიც გმირულად იცავდა თავს 11 თვის განმავლობაში, გმირულად დაეცა.

ომერ ფაშას შემოსევა და ყარსის ოპერაციები კავკასიაში

1854—55 წლის ზამთრის განმავლობაში კავკასიის ფრონტზე ფართო საომარი ოპერაციები არ ჩატარებულა. ორივე მხარე ლოდინის მდგომარეობაში იმყოფებოდა და ემზადებოდა სერიოზული მოქმედებისთვის, რაც 1855 წლის გაზაფხულზე უნდა გაჩაღებულიყო. ამასთან თურქები ინგლისელ ინჟინერთა დახმარებით საგანგებოდ ამაგრებდნენ ყარსის ციტადელს, რადგან მათთვის ნათელი იყო, რომ კავკასიის სარდლობა სწორედ ამ მიმართულებით უმიზნებდა.

1855 წლის მარტში თბილისში ჩამოვიდა კავკასიის ფრონტის ახალი მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი. მურავიოვის სახელთან დაკავშირებულია ყარსის სახელგანთქმული ოპერაცია, თუმცა, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ამ ოპერაციაში უფრო დიდი იყო კაზაკთა ნაწილების სახელგანთქმული მეთაურის ბაკლანოვის დამსახურება, ვიდრე მურავიოვისა. ეს მურავიოვი ძმა იყო დეკაბრისტ მურავიოვისა, მაგრამ როგორც ტარლე შენიშნავს, არ ეკუთვნოდა არც იმ მურავიოვებს, რომლებიც ახრჩობენ, არც იმათ, რომლებსაც ახრჩობენ. კავკასიაში დანიშვნის წინ მას არ ჰქონია თვალსაჩინო საბრძოლო დამსახურება, არც თავისი მხედართმთავრული ტალანტით ბრწყინავდა, მაგრამ ბედის გაღიმებამ უეცრად წამოჭიმა ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე, სადაც მას გაუმართლდა კიდეც ისეთი მხედართუფროსების დახმარებით, როგორიც იყვნენ ბებუთოვი, ბაკლანოვი და სხვები.

1855 წლის ზაფხულზე დაიწყო კავკასიის ფრონტზე შეტევა ყარსის მიმართულებით. რამდენიმე წარმატებითი ოპერაციის შემდეგ ივლისში რუსები უკვე მიადგნენ თურქთა ამ უძლიერეს ციხე-სიმაგრეს, „თურქეთის აზიის საზღვრების გასა-

ღებს“ და მას ალყა შემოარტყეს. ყარსი საგანგებოდ იყო გამაგრებული და მისი გარნიზონი თავს მშვიდად გრძნობდა.

ყარსის ციხეზე ალყამ თურქეთის მმართველი წრეებისა და მათი ინგლისელ-ფრანგი მრჩევლების საფუძვლიანი შიში გამოიწვია. საჭირო იყო არა მარტო ყარსის გარნიზონის გაძლიერება დამხმარე ძალებით, არამედ კავკასიის ფრონტის გარღვევა სხვა მიმართულებით, რომ რუსების ყურადღება სხვა მხარეზეც ყოფილიყო გადატანილი და შესუსტებულიყო მასზე შეტევის ძალა. ამ ამოცანას ისახავდა მიზნად ომერ ფაშას საექსპედიციო კორპუსის შეჭრა დასავლეთ საქართველოში. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ თურქთა შეჭრა დასავლეთ საქართველოში წარმოადგენდა „ერთადერთ სტრატეგიულ იდეას, რომელიც ამ ომში წარმოიშვა. იგი ნიშნავდა ექსცენტრული პოზიციის დატოვებას გარემომცველი არმიის მიმართ — მუქარას თბილისისათვის, აზიაში რუსების ძალაუფლების ამ ცენტრალური პუნქტისათვის, მუქარას, რომელიც მურავიოვს იძულებულს გახდიდა უკან დაეხია ყარსიდან იმის შიშით, რომ იგი მოწყვეტილი იქნებოდა ოპერატიული ბაზისა და საკომუნიკაციო ხაზებისაგან... სამეგრელოს ექსპედიციას არა მარტო უნდა გადაერჩინა ყარსი, არამედ შეექმნა პირობებიც საყოველთაო შეტევითი ტაქტიკისათვის და ამრიგად, მიეღწია ომში შესაძლებელი ყველაზე დიდი უპირატესობისათვის“.[1]

პროფ. ე. ბურჭულაძე თავის ნაშრომში „ყირიმის ომი და საქართველო“ სამართლიანად გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ომერ ფაშას ლაშქრობის დანიშნულება სრულიადაც არ იყო მხოლოდ მურავიოვის დეზორიენტაცია, რომ ის უფრო საბურველს, შირმას წარმოადგენდა. „ნამდვილად კი დესანტის ორგანიზატორთა სამხედრო-სტრუქტურული ჩანაფიქრი გაცილებით შორს მიდიოდა, თურქთა საექსპანსიო მისწრაფება აქ მჭიდროდ იყო გადახლართული მათ უკან მდგომ ინგლისელთა სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებთან და ვარაუდებთან“.[2]

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. соч. т. X. გვ. 155, 1938 წ.

[2] ე. ბურჭულაძე ყირიმის ომი და საქართველო, გვ., 324.

საქართველოში საექსპედიციო კორპუსით შეჭრა მოკავშირეებმა დიდი ჭოჭმანის შემდეგ ომერ ფაშას დააკისრეს, რომელიც ამ დროს ყირიმში იმყოფებოდა და მოკავშირეთა სარდლობაში მეტად უმნიშვნელო პოსტი ეკავა.

1855 წლის სექტემბრის დასაწყისში ომერ ფაშას პირველი 8 ათას მეომრიანი ეშელონი გადმოსხდა ბათუმში. მისი ძირითადი ძალები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ. ფაშამ ხმა დაარხია, რომ მას თითქოს განზრახვა აქვს უმოკლესი გზით გაემგზავროს ყარსის მიმართულებით და შეებას მურავიოვის ძალებს. ნამდვილად ამ ძალებისა მას პანიკურად ეშინოდა და ვარაუდობდა ოპერაციები დაეწყო გურია-სამეგრელოში, სადაც ამ დროს რუსებს მეტად მცირე ძალები ჰყავდათ.

ომერ ფაშას საქართველოში შემოჭრამ მურავიოვი ააჩქარა ყარსზე საიერიშოდ, თუმცა კაზაკთა ირრეგულარული ცხენოსანთა რაზმის მეთაური გენერალი ბაკლანოვი გადაჭრით წინააღმდეგი იყო ამ იერიშებისა მანამ, ვიდრე ალყაშემორტყმულ ყარსის გარნიზონს გააჩნდა საბრძოლო საჭურვლისა და სურსათის მარაგი. მურავიოვი თავის აჩქარებას ორი გარემოებით ამართლებდა: დაეპყრო ყარსი მანამ, ვიდრე მას მაშველი ძალები მოუვიდოდა და მეორე — გათავისუფლებული ნაწილები დაეძრა ომერ ფაშას წინააღმდეგ.

17 სექტემბერს რუსთა ნაწილები ყარსის ციხე-სიმაგრის იერიშზე გადავიდნენ. მოიერიშეებს თურქებმა გრიგალისებური საარტილერიო ცეცხლი შეაგებეს. მიუხედავად ყუმბარების სეტყვისა, რუსებმა მოახერხეს სამი რედუტის დაკავება. დიდი მსხვერპლის გამო გენერლები ბაკლანოვი და ბაზინი მურავიოვს თხოვდნენ მაშველ ძალებს, მაგრამ ძალები საკმარისი არ აღმოჩნდა. მურავიოვი იძულებული გახდა გაეცა ბრძანება იმ რაზმების უკან დახევისა, რომლებიც სანახევროდ შეჭრილი იყვნენ უკვე ციხე-სიმაგრეში. თურქები კონტრიერიშზე გადავიდნენ. რუსეთის არმიამ დაიხია წინანდელ პოზიციებზე. მსხვერპლი კი დიდი იყო. დაიღუპა 8 ათასამდე რუსი მეომარი.

ყარსის იერიშებში აქტიურად მონაწილეობდა ქართული

ლაშქარი. ქართველები აქ მთავარსარდლის პირად რაზმს შეადგენდნენ და კაზაკების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე. ბრძოლაში დაიღუპა მრავალი ქართველი ვაჟკაცი.

ყარსის იერიშების მოგერიებას მოკავშირეთა ბანაკში ზეიმობდნენ. მურავიოვის სულწასულობის გამო გამოწვეული ეს მარცხი მართლაც მძიმე იყო. მაგრამ თურქებმა ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი ვითარება. ისინი კვლავ ყარსში ჩაკეტილნი დარჩნენ. კავკასიის სარდლობა კი ამ მარცხით სულიერად არ დაცემულა და ისევ შეუდგა სამზადისს ყარსის აღებისათვის. ამიერიდან იგი ხანგრძლივ, მომქანცველი ალყის ტაქტიკაზე გადავიდა.

ომერ ფაშამ ჩათვალა რა ყარსისათვის მიშველიება ზედმეტად, თავისი ძირითადი ნაწილების სადესანტო პუნქტად სუხუმ-კალე აირჩია. სექტემბერში სუხუმის რაიონში თავი მოიყარეს თურქთა ძირითადმა ძალებმა, რომელთაც დასავლეთ საქართველოს სიღრმეში უნდა შეეტიათ. ბათუმისა და ქობულეთის სანჯაყებში განლაგებული იყო მუსტაფა-ფაშას ნაწილები, რომლებსაც უნდა შეებოჭათ გურიაში მოქმედი რუსული ნაწილები და ქართული მილიცია. ომერ ფაშას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ მის მხარეზე გადავიდოდნენ გურიის, აფხაზეთის, სამეგრელოს თავადები. ამ მიზნით იგი გზავნიდა წერილებს, ეპატიჟებოდა ადგილობრივ წარჩინებულთ, აღუთქვამდა მათ დიდ ჯილდოსა და სულთანის წყალობას. მაგრამ ქართველი მოსახლეობა თავიდანვე ზიზღით და სიძულვილით შეხვდა თურქ-დამპყრობლებს. მთელი დასავლეთი საქართველო აღსდგა თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ოქტომბრის დასაწყისში ომერ ფაშა თავისი ნაწილებით აფხაზეთიდან სამეგრელოსკენ დაიძრა. იგი ტრაბახობდა, რომ „ქუთაისამდე თოფის გაუსროლველად ჩავალო“, სინამდვილეში მას უკვე ირგვლივ ფრონტი ჰქონდა გახსნილი, რადგან ქართველთა და აფხაზთა პარტიზანული რაზმები მოსვენებას არ

აძლევდნენ, ხოლო ენგურის ნაპირებზე ბაგრატიონ-მუხრანსკის რაზმები ელოდა.

ენგურთან ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ომერ ფაშას მრავალრიცხოვან არმიას გმირული დახვედრა მოუწყო. ბრძოლა 25 ოქტომბერს დაიწყო. მტერს გააფთრებით ეკვეთნენ რუსული რეგულარული ნაწილები, ქართველი მოლაშქრენი. ამ ბრძოლებში ისახელეს თავი გრიგოლ დადიანმა, სვიმონ წერეთელმა, პოლკოვნიკმა იოსელიანმა, პოდპოლკოვნიკმა ზვანბაიამ, სიკო წულუკიძემ, ბებე აგიაშვილმა, დიმიტრი შერვაშიძემ და სხვებმა. მაგრამ მტრის სიმრავლემ სძლია გურიის რაზმების მამაცობას. მურავიოვის ბრძანებით ბაგრატიონ-მუხრანსკიმ დასტოვა ენგურის პოზიცია და ცხენისწყლისკენ გადაინაცვლა. ომერ ფაშა ზუგდიდში შევიდა. სამეგრელოს მოსახლეობა თურქებს საშინელი სიძულვილით შეხვდა. თურქი მტაცებლები მოედვნენ სამეგრელოს სოფლებს, დაიწყეს ძარცვა და მოსახლეობის აწიოკება. სამეგრელოს მთავარი ეკატერინე ჭავჭავაძე — დადიანისა ადრე გაიხიზნა ლეჩხუმში. ომერ ფაშა ბევრს ცდილობდა მის გადმობირებას და მოთაფლულ წერილებს წერდა, მაგრამ ეკატერინე ამ წერილებს ბებუთოვს უგზავნიდა და თხოვდა დაეჩქარებინა თურქებზე გადამწყვეტი შეტევა. ეკატერინე ჭავჭავაძის მაღალი პატრიოტული სული გამოვლინდა იმაში, რომ იგი თვით ჩაუდგა სათავეში მეგრელთა მილიციას თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამეგრელოში ხელმოცარულმა ომერ ფაშამ, რომელსაც ახალი დამხმარე ძალები მოუვიდა, კურსი ქუთაისისაკენ აიღო. მაგრამ ცხენის წყლის გადალახვა ვერ გაბედა, რადგან მის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული იყო რუსთა ნაწილები და ქართული ლაშქარი.

ომერ ფაშას არმია პარტიზანული ომის რკალში იყო მოქცეული. მთელი დასავლეთი საქართველო იარაღს ისხამდა და საშინლად უსწორდებოდა დამპყრობლებს, რომლებიც ყველაფერს ანადგურებდნენ. კავკასიის მთავრობა მოუწოდებდა ქართველებს გამოეჩინათ გმირობა და მამაცობა ისტორიული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს მოწოდება არც იყო საჭი-

რო, — ქართველობა ღირსეულად შეხვდა თურქ დამპყრობლებს. ქართველთა ლაშქრის და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეს გმირული დახვედრა კავკასიის სარდლობას იმის საშუალებას აძლევდა, რომ გული დასავლეთ საქართველოს საქმეებზე დამშვიდებული ჰქონოდა და პირველ რიგში ყარსის აღებისათვის ეზრუნა.

მურავიოვს 17 სექტემბრის იერიშების წარუმატებლობის შემდეგაც ყარსისათვის თავი არ მიუნებებია. ყარსი გარშემორტყმული იყო. მისი დამცველი გარნიზონი უსურსათობის გამო საშინლად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ციხე-სიმაგრის დამცველები და ქალაქის მოსახლეობა შიმშილისაგან წყდებოდა. კიდევ ერთი თვე გაუძლო ყარსმა. 12 ნოემბერს მურავიოვს შეხვდა ინგლისელი გენერალი ვილიამსი, რომელმაც ყარსის გარნიზონის უფროსის ვასიფ ფაშას თანხმობით კაპიტულაცია გამოაცხადა.

გენ. მურავიოვი იმპერატორს მოახსენებდა: „ღვთის წყალობითა და თქვენი კურთხევით აღსრულდა საქმე ჩვენი. ყარსი უკვე თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ფერხთქვეშაა განრთხმული.

დღეს ჩაგვბარდა შიმშილითა და გაჭირვებით დაუძლურებული მცირე აზიის ციხე-სიმაგრის გარნიზონი. ჩვენთან ტყვედ იმყოფება ანატოლიის 30 ათასიანი გამჭრალი არმიის მთავარსარდალი თვით მუშირი ვასიფ-ფაშა. მის გარდა 8 ფაშა, შტაბის ოფიცრობა და უფროსი ოფიცრების მთელი შემადგენლობა, მათთან ერთად, ინგლისელი გენერალი ვილიამსი თავისი შტაბით, ჩვენ გადმოგვეცა 130 ქვემეხი და მთელი შეიარაღება“.[1]

ყარსის დაცემამ ყირიმის ომის მსვლელობაში დიდმნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა. მან ერთის დაკვრით გააქარწყლა ის აღფრთოვანება, რომლითაც ლონდონში, პარიზში, კონსტანტინეპოლში შეხვდნენ სევასტოპოლში გამარჯვებას. თურქეთის და მისი მოკავშირეების წინაშე აღიმართა რეალური საშიშროება კავკასიის მხრიდან თურქეთის სიღრმეში შეჭრისა.

---

1 კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები (Акак), ტომი XI., გვ. 152.

ომში იოლი წარმატებების ილუზიები გაქრა და მისი სწრაფი დამთავრების აუცილებლობა წამოიჭრა. „ყარსის დაცემა — წერდა კ. მარქსი — წარმოადგენს შეტრიალების პუნქტს.... ომის ისტორიაში. ყარსის დაცემის გარეშე არ იქნებოდა ხუთი პუნქტი, არ იქნებოდა კონფერენცია, არც პარიზის ხელშეკრულება, ერთი სიტყვით არ იქნებოდა... ზავი".[1]

ყარსის დაცემის ცნობა თავზარდამცემი აღმოჩნდა ომერ-ფაშასთვის, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ცხენის-წყალს ვერ გასცდა და ვერაფერი გააკეთა ალყაშემორტყმული ყარსის დასახმარებლად. მას აქამდეც დიდად უშირდა დროებით ოკუპირებული დასავლეთ საქართველოს შენარჩუნება. ახლა მთლიანად დაიმსხვრა მისი გეგმები, რაც ასე გულმოდგინედ იყო დამუშავებული მოკავშირეთა სარდლობის შტაბში. ასევე დაიმსხვრა იმედები შამილისა, რომელიც ძალებს იკრებდა და ისევ ემზადებოდა სამხრეთისკენ გაჭრისა და ომერ ფაშასთან შეერთებისათვის.

ომერ ფაშამ სასწრაფოდ დაიხია ცხენის წყლიდან. იგი მზად იყო გასაქცევად. თუმცა კავკასიის სამხედრო ძალებმა ვერ მოაწყვეს მისთვის დაუყოვნებლივი დადევნება. დაიწყო შემოდგომის განუწყვეტელი წვიმები, ადიდდა ცხენის წყალი. შეუძლებელი შეიქმნა სწრაფი წინსვლა. არ იყო სურსათი, რომელიც ბაგრატიონ-მუხრანსკიმ გაანადგურა სამეგრელოდან უკანდახევის დროს. უმოქმედობას იჩენდა ბაგრატიონ-მუხრანსკის ნაცვლად გურიის რაზმის სარდლად დანიშნული გენერალ-მაიორი ბრუნერი. ყოველივე ამან ომერ ფაშას შესაძლებლობა მისცა მაინც გამოეზამთრებინა სამეგრელოში. მაგრამ ეს გამოზამთრება მისი ძალების განუწყვეტელი დნობის ვითარებაში მიმდინარეობდა. იარაღასხმული დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა პარტიზანული თავდასხმებით მუსრს ავლებდა ოკუპანტებს. 1855 წლის დეკემბერში ომერ ფაშას ზუგდიდში თავს დაესხა მეგრელთა ძლიერი რაზმი გრიგოლ დადიანის მეთაურობით და მტერს დიდი ზიანი მიაყენა. ასეთი თავდასხმები თანდათან ძლიერდებოდა. ომერ ფაშა იძულებული შეიქმნა

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр. 551.

საქართველოს გასცლოდა, სადაც მან მისდამი ზიზღისა და შურისძიების გარდა ვერაფერი ნახა. 1856 წ. თებერვალში ომერ ფაშას შემეჩხერებულმა არმიამ მთლიანად დატოვა საქართველო და კონსტანტინეპოლს მიაშურა. გააფთრებულმა ოკუპანტებმა მოასწრეს გაეძარცვათ სამეგრელოს მოსახლეობა. დიდძალი ქონება გაიტაცეს მათ სამეგრელოს მთავრინის სასახლიდან, რომელიც გაძარცვის შემდეგ ცეცხლს მისცეს.

ამრიგად, კავკასიაში თურქეთისა და მისი მოკავშირეების ყველა გეგმები და ვარაუდები სამარცხვინოდ ჩაიფუშა. კავკასიის დაცვის საქმეში რუსეთის რეგულარულ ნაწილებთან ერთად გადამწყვეტი როლი შეასრულა ამიერკავკასიის მოსახლეობამ, რომელმაც შესანიშნავად გაიგო ამ ომის დანიშნულება, ის დიდი საფრთხე, რომელიც მას თურქეთის ან ინგლის-საფრანგეთის გამარჯვების შემთხვევაში ემუქრებოდა. აკად. ე. ვ. ტარლე აფასებს რა კავკასიის ოპერაციებს ამ ომში, შენიშნავს, რომ რუსეთის ჯარების და აგრეთვე ქართული მილიციის საბრძოლო წარმატებებმა და ქართული, სომხური, აზერბაიჯანული მოსახლეობის მგზნებარე პატრიოტიზმმა, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულმა უზრუნველჰყო შეგვენარჩუნებინა ამიერკავკასია, რომელმაც, მიიზიდა და გაანადგურა რა თურქეთის დიდი არმია, ამით ითამაშა უაღრესად დიდი როლი მტრებისაგან რუსეთის სახელმწიფოებრივი ტერიტორიის დაცვის საერთოდ რთულ საქმეში... „...უმადურობასა და ისტორიის უმეცრებაში შესცოდავს ყველა ის, — წერს ე. ვ. ტარლე, — ვინც სათანადოდ არ შეაფასებს იმ ძალზე არსებით როლს, რომელიც კავკასიის ფრონტმა შეასრულა 1853—1855 წწ. ომში და იმ მაღალ მორალურ მამაცობას, რომელიც გამოამჟღავნეს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის სახალხო მასებმა მშობლიური მიწა-წყლის დაცვის საქმეში თურქეთის ხარბი, დამპყრობლური გეგმებისაგან, რომელიც დიდად იყო წახალისებული მოკავშირეების (უფრო ზუსტად, ინგლისელების) მიერ მის ყველაზე უფრო აულაგმავ. ყაჩაღურ ფორმებში“.[1]

---

[1] Е. В. Тарле, Крымская война, том. II, зг. 541.

პარიზის კონგრესი. ზავი

1855 წლის მიწურულისა და 1856 წლის დასაწყისისათვის მეომარ მხარეთა შორის საზავო მოლაპარაკების ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა.

რუსეთის მმართველი წრეები ამ დროისათვის უკვე შერიგებული იყვნენ იმ აზრს, რომ მეფის რუსეთმა წააგო ეს ომი. სევასტოპოლის დაცემა და ყირიმის ნახევარკუნძულის დაკავება მოკავშირეთა მიერ იმას მოასწავებდა, რომ ამ უბანზე რუსეთის წინანდელი პოზიციების აღდგენა იარაღის მეშვეობით უნაყოფო ილუზია იყო. მართალია, რუსეთს დიდი რეზერვები გააჩნდა, მაგრამ შეუძლებელი იყო სასწრაფოდ ისეთი არმიის ფორმირება და ბრძოლაში ჩაბმა, რომელიც მოახერხებდა ინგლის-საფრანგეთის ჯარების მიერ დაკავებული სევასტოპოლის, ევპატორიის, ქერჩის დაბრუნებას. მართალია, რუსებმა აიღეს ყარსი და ამით ანატოლიაში ღრმად შეჭრის საშიშროების წინაშე დააყენეს თურქეთი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ომის საერთო ბედზე გადამწყვეტ ზეგავლენას ვერ მოახდენდა. სამაგიეროდ ყარსის აღებას შეეძლო საზავო მოლაპარაკებისას ეთამაშა გადამწყვეტი როლი ყირიმში მოკავშირეთა ტერიტორიული პრეტენზიების უკიდურესობამდე შეკვეცის საქმეში.

თურქეთ-ინგლის-საფრანგეთის კოალიციასთან ორწლიანმა ომმა ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის ძალები თითქმის გამოფიტვამდე მიიყვანა. ომის პერიოდში დამატებით არმიასა და ფლოტში მობილიზებულ იქნა დაახლოებით ერთი მილიონი მამაკაცი. ჯანსაღი მუშახელის გაწვევამ დიდი ზიანი მიაყენა ისედაც ჩამორჩენილ სახალხო მეურნეობას, რომელსაც ამავე პერიოდში 150 000 ცხენი წაართვეს. სოფლები გაჩანაგდნენ. სოფლის მეურნეობის ისედაც დაბალი პროდუქტიულობა მკვეთრად დაეცა. ომი კი თავისას მოითხოვდა. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა არმიის შეიარაღების დარგში. რუსეთის საიარაღო ქარხნების სიმძლავრე მეტად დაბალი იყო. ომში მობილიზებულთა შეიარაღება სწარმოებდა იმ მარაგიდან, რომელიც რუსეთს ადრევე გააჩნდა. მაგრამ ეს მარაგიც გამოილია. რუ-

სეთის საწყობებში 1856 წლისათვის ნახევარმილიონი თოფიდან 90 ათასიღა დარჩა, 1656 ქვემეხიდან — 253. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინგლის-საფრანგეთის სამხედრო მრეწველობა გაცილებით დიდი რაოდენობით და უკეთესი ხარისხის იარაღს აწარმოებდა, ცხადი გახდება, რომ რუსეთის არმიის შეიარაღების საქმე კატასტროფამდე იყო მისული. მას არავითარი საიმედო პირი არ უჩანდა.

ომმა შთანთქა დიდძალი ფული. ომის ორი წლის განმავლობაში სამხედრო საჭიროებაზე დაიხარჯა 500 მილიონი მანეთი. საჭირო იყო ახალი სახსრები, მაგრამ მისი ამოქაჩვა გაჩანაგებული მოსახლეობიდან შეუძლებელი ხდებოდა. ცარიზმმა გაზარდა გადასახადები, მაგრამ ათჯერ მეტად გაიზარდა ხარჯები. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 1855 წლისათვის უდრიდა 282 მილიონ მანეთს და არსაიდან ჩანდა წყაროები მის დასაფარავად, ქაღალდის ფულის გაძლიერებულმა გამოშვებამ ინფლაცია გამოიწვია.

ამრიგად, სამეურნეო კრიზისი ძლიერდებოდა. ცარიზმს, უდიდესი მატერიალური შესაძლებლობათა მიუხედავად, აღარ შეეძლო მისი დაძლევა. იგი გახლართული იყო საკუთარი ჩამორჩენილობის ბადეში და უმწეოდ ფართხალებდა. ამასთან იზრდებოდა არა მარტო მასობრივი მოძრაობანი სოფლად, არამედ ოპოზიციური განწყობილება ინტელიგენტურ წრეებში. სახალხო რევოლუციის მძინარე ვულკანი გამოფხიზლებას იწყებდა. ცარიზმს თავისი არსებობის გადასარჩენად დროულად მიაჩნდა ომის დამთავრება და ანგარიშგასწორება შინაურ ფრონტთან, რომლის მასშტაბები საგარეო ომის წარუმატებლობის ვითარებაში ფართოვდებოდა და საშიშ ხასიათს იღებდა. რუსეთს პანიკურად ეშინოდა აგრეთვე პოლონეთისა და ფინეთისა. იგი სწორად ვარაუდობდა, რომ საომარი ვითარების გახანგრძლივებას და რუსეთის შემდგომ დასუსტებას შესაძლებელია მოჰყოლოდა ახალი აჯანყება პოლონეთში, განმათავისუფლებელი მოძრაობა ფინეთში. და განა ეყოფოდა ძალები ამ ქვეყნებში ბატონობის შესანარჩუნებლად?

ომის შემდგომი გაგრძელების საქმეში ერთსულოვნება არც რუსეთის მტრულ ბანაკში იყო. ინგლისის მმართველი წრეები მართლაც არ ჩქარობდნენ ომის დამთავრებას. სევასტოპოლმა ინგლისის არმიას ვერავითარი სახელი და დიდება ვერ მოუხვეჭა. პალმერსტონის დამპყრობლური გეგმების განხორციელება ჯერ კიდევ შორს იყო. კავკასიის ოპერაციებმა ჩაშალეს ეს ვარაუდები. ინგლისის რეაქციული წრეები ვარაუდობდნენ ომის გაჟიანურებით მოეხერხებინათ კავკასიაში ვითარების გამოსწორება, ავსტრიის და შვედეთის ომში ჩაბმით რუსეთის დაჩოქება, მისი ტერიტორიული დაქუცმაცება. მაგრამ ასე როდი ფიქრობდნენ საფრანგეთში. ნაპოლეონ მესამემ ამ ომით თავის მიზანდასახულობას მიაღწია. მსოფლიოში უკვე ლაპარაკობდნენ საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ძლიერებაზე, მისი სარდლობის მაღალ უნარზე. რუსეთის დასასჯელად და საკუთარი პრესტიჟის განსამტკიცებლად საკმარისი იყო ის, რაც ფრანგებმა სევასტოპოლთან გააკეთეს. ომის შემდგომი გაგრძელება კი ინგლისის გაძლიერებას ემსახურებოდა, რაც სრულიად არ სურდა და არ აწყობდა საფრანგეთს. ამიტომ არაოფიციალურ წრეებში უკვე სევასტოპოლის დაცემიდანვე ინასკვებოდა მოლაპარაკებისა და დაახლოების ძაფები.

რაც შეეხება ავსტრიას, ხანგრძლივი მერყეობის შემდეგ მისი მმართველი წრეების სასწორი საბოლოოდ მოკავშირეთა მხარეზე გადაიხარა. ავსტრიამ გადაწყვიტა თავადაც ეომა რუსეთის წინააღმდეგ, თუ დაუყოვნებლივ არ დაიდებოდა ზავი და არ დაკმაყოფილდებოდა ავსტრიის პრეტენზიები. ფრანც იოსებისა და ბუოლის ეს საბოლოო გადაწყვეტილება გამოხატული იქნა იმ ულტიმატუმით, რომელიც 1855 წლის დეკემბერში რუსეთს წარედგინა.. ულტიმატუმი მოითხოვდა: მოლდავეთზე, ვლახეთზე და სერბეთზე რუსეთის პროტექტორატის ყველა დიდი სახელმწიფოს პროტექტორატით შეცვლას, დუნაის შესართავზე თავისუფალი ნაოსნობის დაწესებას, ბოსფორიდან და დარდანელიდან შავ ზღვაში ვისიმე ესკადრის გაშვების დაუშვებლობას, რუსეთისა და თურქეთისათვის შავ ზღვაზე სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოლისა და ამ ზღვის ნა-

პირებზე არსენალისა და სამხედრო სიმაგრეების აკრძალვას, რუსეთის უარს სულთანის მართლმადიდებელ ქვეშევრდომთა მფარველობაზე, მოლდავეთის სასარგებლოდ რუსეთისაგან ბესარაბიის დათმობას; ეს პუნქტები (განსაკუთრებით მეხუთე) გაცილებით უფრო მძიმე და დამამცირებელი იყო რუსეთისათვის, ვიდრე წინანდელი. ავსტრიამ რუსეთს ყელში ხელი წაუჭირა მისთვის ყველაზე მძიმე წუთებში. იგი ომით იმუქრებოდა. სწორედ ამავე პერიოდში ცხადი შეიქმნა აქამდე შენიღბული პოზიცია პრუსიისა. პრუსიის მეფის ფრიდრიხ ვილჰელმ IV წერილში ალექსანდრე მეორისადმი აშკარად იყო ნათქვამი, რომ თუ რუსეთი არ მიიღებდა ავსტრიის ულტიმატუმს, პრუსია რუსეთის წინააღმდეგ იომებდა.

1856 წ. 20 დეკემბერს ავსტრიის ულტიმატუმის შესახებ ალექსანდრე მეორესთან სათათბიროდ სასახლეში შეიკრიბნენ კანცლერი ნესელროდე, გრაფი პავლე კისელიოვი, თავადი მ. ს. ვორონცოვი, გრაფი ა. ფ. ორლოვი, გრაფი ნ. დ. ბლუდოვი. ნესელროდემ თათბირზე განაცხადა, რომ 1856 წელი რუსეთს სასიკეთოს არაფერს უქადის ომში და რომ მიზანშეწონილია ზავზე მოლაპარაკების დაწყება, თუმცა რუსეთი უნდა ეცადოს როგორმე გაემიჯნოს ავსტრიის ულტიმატუმის მეხუთე პუნქტს (ბესარაბიის შესახებ), რომელიც დამამცირებელია ქვეყნისთვის. ზავის დროულობის თვალსაზრისი გაიზიარეს კისელიოვმა, ვორონცოვმა, ორლოვმა. წინააღმდეგ გამოვიდა მხოლოდ ბლუდოვი, რომელიც იმედს გამოსთქვამდა რუსეთის მომავალ წარმატებებზე და პერსპექტივაში სლავური სამყაროს გაერთიანებისათვის ხელსაყრელ ვითარებას ხედავდა. გადაწყდა, რომ რუსეთი თანახმა იყო მიეღო ოთხი პუნქტი, მაგრამ უარეყო მეხუთე.

მაგრამ ავსტრიაში მეხუთე პუნქტის დათმობის შესახებ ლაპარაკიც კი არ სურდათ. რუსეთის საპასუხოდ ფრანც იოსებმა განაცხადა: თუ რუსეთი არ მიიღებს ხუთივე პუნქტს, ავსტრია იწყებს საომარ მოქმედებას. პასუხისათვის ვადად განსაზღვრულ იქნა 6 დღე.

1856 წლის 3 იანვარს სასახლეში კვლავ შეიკრიბნენ სათათბიროდ. ახლა უფრო გაფართოებულ თათბირს ესწრებოდნენ სამხედრო მინისტრი დოლგორუკოვი, დიდი მთავარი კონსტანტინე და მაინდორფი. იმპერატორმა საკითხი ასე დააყენა: თუ არ იქნება მიღებული ავსტრიის ულტიმატუმი, 6 იანვარს ავსტრიასა და რუსეთს შორის წყდება დიპლომატური ურთიერთობა. ავსტრია იწყებს ომს.

ნესელროდემ აქაც ზავის დაუყოვნებლივი შეკვრის თვალსაზრისი წამოაყენა. გამარჯვების არავითარი შანსი არ არსებობს. რაც უფრო გახანგრძლივდება ომი, მით უფრო დაუძლურდება რუსეთი, მით უფრო სასტიკი იქნება საზავო პირობები. კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალი ვორონცოვი აგრეთვე ზავის მომხრედ გამოვიდა. იგი ამბობდა, რომ ომის გაგრძელება რუსეთს არ უქადის არაფერს იმაზე უკეთესს, რასაც ეს საზავო პირობები ითვალისწინებს, უკეთესია ეს პირობები მივიღოთ ნებაყოფლობით, ვიდრე ახალი მსხვერპლის შემდეგ გვაიძულონ მისი მიღება.

გრაფი ორლოვი, რომლის თვალსაზრისს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მიუთითებდა, რომ „მოსახლეობის მასა, რომელიც დაღლილია ომის მსხვერპლით, სიხარულით შეეგებება ცნობას ზავის შესახებ, რომ ომის გაგრძელების ვითარებაში რუსეთს საფრთხე ემუქრება პოლონეთისა და ფინეთის მხრიდან, რომლებიც ჯერ კიდევ არაა შემომტკიცებული. იმ საშიშროებასთან შედარებით, რომელიც ახლა რუსეთს ემუქრება, ზავით გათვალისწინებული მსხვერპლი მინიმუმია. ასევე საბუთიანად ზავის სასარგებლოდ გამოვიდა კისელიოვი, რომელმაც გადმოშალა რუსეთის ფინანსების უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. ამრიგად, მეორე სხდომაზე ზავს ერთსულოვანი მხარდაჭერა ხვდა და ავსტრიას გაეგზავნა თანხმობის პასუხი.

საზავო კონგრესზე, რომელიც პარიზში იქნა დანიშნული, ალექსანდრე II გაგზავნა იმ დროის ყველაზე გამოჩენილი დიპლომატი გრაფი ორლოვი, რომელსაც თანაშემწედ გრაფი ბრუნოვი დაუნიშნა. ბრუნოვი პირველი წავიდა პარიზს და 14 და 16 თებერვალს შეხვედრა ჰქონდა კონგრესის თავმჯდომარეს-

თან, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვალევსკისთან (ნაპოლეონ I უკანონო შვილთან). ამ პირველმა მოლაპარაკებამ ცხადჰყო, რომ საფრანგეთის მესვეურები რუსეთისადმი მტრულად განწყობილი არ ყოფილან, რომ ვალევსკი კონგრესზე იმპერატორის მითითებით შეეცდებოდა შეეკვეცა ინგლისისა და ავსტრიის ფართო პრეტენზიები და აეცდინა რუსეთისათვის სამძიმო პირობები. 21 თებერვალს პარიზს თავისი ამალით ჩავიდა გრაფი ორლოვი. ჯერ ვალევსკისთან, ხოლო შემდეგ იმპერატორ ლუი ნაპოლეონთან შეხვედრებმა ორლოვი დაარწმუნეს, რომ მას თამამად შეეძლო კურსი აეღო საფრანგეთზე, რომელიც მოწადინებული იყო არა მარტო ზავის სამართლიან ჩარჩოებში წარმართვისა, არამედ რუსეთთან მეგობრული დაახლოებისაც კი.

ორლოვმა შეატყო ისიც, რომ ნაპოლეონს არ სურდა კავშირი გაეწყვიტა ინგლისთან. ნაპოლეონის გეგმებში არ შედიოდა ინგლისის გაძლიერება რუსეთის ხარჯზე. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა გაკეთებულიყო ზომიერად, მოხერხებულად, რათა ინგლისს თავი არ ეგრძნო შეურაცხყოფილად და არ შეებრუნებინა ზურგი საფრანგეთისათვის. ამიტომ რუსეთის წარმომადგენელს მართებდა დამთმობლობა იმ პუნქტებში, რომლებიც ინგლისისა და საფრანგეთის საერთო ინტერესებს გამოხატავდნენ, ხოლო შეუპოვარი ბრძოლა იქ, სადაც ინგლისი საკუთარ, საფრანგეთისათვის სრულიადაც არა აუცილებელ, პრეტენზიებს აყენებდა. ასეთ საკითხთა რიგს შეადგენდნენ მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის ტომებზე ინგლისის მფარველობის, უუბანის იქეთა ტერიტორიის თურქეთისათვის გადაცემისა და სხვ. საკითხები.

პარიზის კონგრესის პირველი პლენუმი გრაფ ვალევსკის მეთაურობით 1856 წ. 25 თებერვალს შესდგა. აქ გადაწყდა დროებითი დაზავება. უნდა შეწყვეტილიყო საომარი მოქმედება ხმელეთზე; ზღვაზე ბლოკადის უფლება მოკავშირეთა ესკადრებს ისევ დარჩათ, ოღონდ ორლოვის წინადადებით გადაწყდა — ეცნობებინათ ესკადრების მეთაურთათვის თავი შეეკავებინათ აქტიური საბრძოლო მოქმედებისაგან.

კონგრესის შემდგომ სხდომებზე შეუპოვარი ბრძოლა გაიშალა რუსეთის, ინგლისისა და ავსტრიის წარმომადგენელთა შორის. დიდ სადავო პრობლემად იქცა ბესარაბიის საკითხი. ავსტრიის წარმომადგენელი ბუოლი დაჟინებით მოითხოვდა რუსეთისათვის ბესარაბიის ჩამოჭრას. ინგლისი დიდად არ ყოფილა დაინტერესებული ბესარაბიით, მაგრამ სჭიროდა რა ავსტრიის მხარდაჭერა სხვა პუნქტებში, ამ შემთხვევაში ავსტრიის მომხრედ გამოვიდა. ორლოვი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ავსტრიელებს ხელი აეღოთ ბესარაბიაზე იმ კომპენსაციის გათვალისწინებით, რომელიც რუსეთმა ყარსის დათმობით გაიღო. ორლოვმა შემდეგ ამ საკითხზე სპეციალური მოლაპარაკება გამართა ლუი ნაპოლეონთან. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის იმპერატორი საჭიროდ თვლიდა ამ შემთხვევაში მისი მოკავშირეების მხარე დაეჭირა. სამაგიეროდ ნაპოლეონი შეჰპირდა ორლოვს, რომ დაეხმარებოდა ბესარაბიის ახალი საზღვრების რუსეთის სასარგებლოდ დაზუსტებაში. ბრძოლის შემდგომ გაგრძელებას ამის შემდეგ აზრი ეკარგებოდა და რუსეთმა ბესარაბია დათმო.

კონგრესის მესამე სხდომაზე ინგლისის წარმომადგენელმა კლარენდონმა დააყენა საკითხი კავკასიაში რუსეთის მფლობელობის შესახებ. კავკასიის რუსეთიდან ჩამოცილება ხომ პალმერსტონის გეგმების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ ინგლისის ამ პრეტენზიებს შეუპოვრად შეებრძოლა ორლოვი, რომელიც ამ შემთხვევაშიც ითვალისწინებდა ნაპოლეონის მხარდაჭერას. ამ საკითხის განხილვა კონგრესზე გაჭიანურდა, მაგრამ ინგლისის წარმომადგენელმა ვერ მიაღწია ვერავითარ წარმატებას, ვალევსკიმ ყარსის თურქეთისათვის ჩაბარება გამოაცხადა რუსეთის მხრივ დიდ მშვიდობისმოყვარე და დამთმობლურ ნაბიჯად, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე ინგლისის მფარველობის მოთხოვნა, აგრეთვე შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე რუსეთის სიმაგრეთა დანგრევის წინადადებანი დაჭსამარა. ეს რუსეთისათვის დიდმნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენდა.

სამაგიეროდ ორლოვი იძულებული შეიქმნა შავი ზღვის ნე-

იტალიზაციის საქმეში დაეთმო, მაგრამ სამაგიეროდ ინგლისის დაჟინებითი მოთხოვნა, აზოვის ზღვის ნეიტრალიზაციის შესახებ, შეძლო ჩაეშალა.

ავსტრია, რომელმაც ამ ომში თავისი მხსნელი და მეგობარი რუსეთი გასწირა, ვარაუდობდა ჯილდოდ დუნაის პროვინციებს მიიღებდა, რომელთა ოკუპაცია მას უკვე განხორციელებული ჰქონდა. კონგრესზე ავსტრიის წარმომადგენელი ინგლისის წარმომადგენელთან ერთად გამოდიოდა რუსეთის ყველაზე შეუპოვარ მოწინააღმდეგედ. მაგრამ ავსტრიის წარმომადგენლის გავლენა ამ პერიოდში მეტისმეტად სუსტი იყო და ერთ-ერთი თანამედროვე ბელგიელი ჟურნალისტის გამოთქმით მას „ჩაის სმის დროს გამოწურული ლიმონის საპატიო პოზიცია ეკავა". ნაპოლეონ მესამემ ავსტრიისაგან მიიღო ყოველივე, რის მიღებაც სურდა, ამიერიდან კი სრულებითაც არ იყო დაინტერესებული მის გაძლიერებაში. პირიქით — ნაპოლეონი უმიზნებდა ავსტრიის სამფლობელოებს იტალიაში. დუნაის პროვინციების საკითხის განხილვისას ორლოვმა გამოაცხადა, რომ მას არ აქვს რაიმე პრეტენზიები მის მიმართ და არც იმას დასთანხმდება რომ იგი ავსტრიამ შეიერთოს. ბუოლი დაჟინებით მოითხოვდა ეს პროვინციები ავსტრიის იმპერიისათვის შეეერთებინათ. ავსტრიის მხარდამჭერად გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი. მაგრამ ამ პროვინციების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო ლუი ნაპოლეონის მიერ და გრაფმა ვალევსკიმ კონგრესის დასასრულს ბუოლს მოთხოვა წარმოედგინა ვადები, როცა ავსტრია თავის ჯარებს გამოიყვანდა მოლდავეთიდან და ვალახეთიდან. ამრიგად, ავსტრია პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. ინგლის-საფრანგეთისათვის ერთგული სამსახურის საფასური ვერ მიიღო.

კონგრესზე მხარეთა შეუპოვარი ბრძოლა 18 მარტამდე გრძელდებოდა. მაგრამ გადაწყდა რა ძირითადი სადავო საკითხები, მეორეხარისხოვან საკითხებზე შედარებით ადვილად მოხდა შეთანხმება. 18 მარტს კონგრესის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს პარიზის ზავს, რომელმაც დაამთავრა ეს სისხლიანი, ხანგრძლივი და ხალხთათვის ყოვლად უსარგებლო ომი.

პარიზის საზავო ხელშეკრულების ძირითადი მუხლები ითვალისწინებდნენ: თურქეთისათვის ყარსის გადაცემას და ყველა იმ ტერიტორიის უკანვე დაბრუნებას, რომელიც ომის პერიოდში რუსებმა დაიკავეს. სანაცვლოდ რუსეთს დაუბრუნდა ქალაქები და ნავსადგურები: სევასტოპოლი, ბალაკლავა, კამიში, ევპატორია, კერჩ-ენიკალე, კინბრუნი და ყველა ის ადგილები, რომელიც ომის დროს მოკავშირეებს ჰქონდათ ოკუპირებული. სამხედრო ტყვეები დაუყოვნებლივ უბრუნდებოდნენ როგორც ერთ, ისე მეორე მხარეებს. ომის მონაწილე ყველა ქვეყანამ აღიარა თურქეთის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა, რაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ამ ქვეყნების საერთო შეთანხმების საფუძველზე.

შავი ზღვა გამოცხადდა ნეიტრალურად. აიკრძალა მასში სამხედრო ფლოტის შეშვება. ნებადართულ იქნა ზღვით სარგებლობა ყველა ქვეყნის მხოლოდ სავაჭრო ფლოტისათვის. ამ მუხლით რუსეთს ეკრძალებოდა შავ ზღვაში ჰყოლოდა სამხედრო ფლოტი, ხოლო მის სანაპიროებზე სამხედრო-საზღვაო არსენალი. ბესარაბიის სამხრეთი ნაწილი გადაეცა მოლდავეთს. მოლდავეთის და ვალახეთის სამთავროები, სერბეთი აღიარებულ იქნა პორტას უმაღლესი ხელისუფლების ქვეშ და ხელშეკრულების დამდეგ ქვეყნების თავმდებობით დაუმტკიცდა ის შეღავათები, რომლითაც ომამდე სარგებლობდა. აიკრძალა რომელიმე ქვეყნის კერძო მფარველობა ამ პროვინციებისადმი, გაუქმდა მის შინაგან საქმეებში ჩარევის განსაკუთრებული უფლება. თურქეთის ქრისტიანული ქვეშევრდომებისადმი მფარველობა დაეკისრა ევროპის დიდ სახელმწიფოებს.

საზავო ტრაქტატს თან დაერთო განსაკუთრებული კონვენცია დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების შესახებ. შავ ზღვაზე რუსეთის და თურქეთის სამხედრო გემების შესახებ, ალანდის კუნძულების შესახებ. ეს სრუტეები ამიერიდან დაიკეტა ყველა უცხო სახელმწიფოსათვის. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებმა იკისრეს არ ჰყოლოდათ შავ ზღვაში სამხედრო გემები, იმათ გარდა, რომელთა რიცხვი, ძალა და მოცულობა განსაზღვრული იყო კონვენციის მუხლებში. რუსე-

თის მთავრობამ იკისრა, არ გაემაგრებინა ალანდის კუნძულები, არ აეგო მათზე არავითარი სამხედრო ან საზღვაო დაწესებულებანი.

პარიზის ზავი, როგორც დავინახეთ, რუსეთისათვის გაცილებით უფრო ნაკლებად მძიმე და დამამცირებელი აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ჩაიფუშა ავსტრიის ვარაუდები. ინგლისმა ვერ განახორციელა თავისი ფართო მიზან-დასახულობანი. საფრანგეთის მოგება კი იმაში მდგომარეობდა, რომ განიმტკიცა საშინაო მდგომარეობა საგარეო ომის ხარჯზე და მიაღწია რუსეთთან დაახლოებას. საერთოდ ომის შედეგები გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა ყველა მეომარი მხარისთვის. ფრანგების ელჩმა ვენაში ბარონმა დე ბურკნემ ასე შეაფასა ეს ზავი: „ეცნობი რა ამ დოკუმენტს, არავითარ შემთხვევაში არ შეგიძლია მოისაზრო ვინაა აქ გამარჯვებული და ვინაა დამარცხებულიო“.

* * *

1853—1855 წლების ყირიმის ანუ სხვაგვარად აღმოსავლეთის ომი თავისი მიზანდასახულებით, თავისი შინაარსით უსამართლო ომების რიცხვს განეკუთვნება. რუსეთის ცარიზმიც და მისი მოწინააღმდეგენი — თურქეთი, ინგლისი, საფრანგეთი ამ ომში მიზნად ისახავდნენ სხვისი ტერიტორიის მიტაცებას, ახალი ბაზრების, ნედლეულის წყაროების შეძენას, გავლენის სფეროების გაფართოებას. ეს მიზანდასახულობა სრულიადაც არ შეესაბამებოდა მშრომელი მასების ინტერესებს. ომმა სამამულო ხასიათი რუსეთისათვის მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, როცა მის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ ფრანგი, ინგლისელი, თურქი დამპყრობლები. სევასტოპოლის გმირული დაცვა წარმოადგენდა რუსი ხალხის პატრიოტიზმის, მამაცობის, სამშობლოსადმი თავდადების ნათელ ილუსტრაციას და სევასტოპოლმაც სავსებით სამართლიანად დაიმკვიდრა რუსეთის დიდების ქალაქის სახელი. ასევე, ომი სამართლიანად სამამულოდ გადაიქცეოდა ფრანგი ხალხისათვის, ან ინგლისელი ხალხისათვის, რუსებს რომ განეხორციელებინათ საფრანგეთის, ან ინგლისის ტერიტორიაზე შეჭრა და მათი პროვინციების ოკუპაცია.

რა მოჰყვებოდა ომში მეფის რუსეთის გამარჯვებას? იგი გამოიწვევდა ცარიზმის, როგორც საერთაშორისო რეაქციის ბურჯის განმტკიცებას, ხოლო ცარიზმი თავისი ჩვეულების თანახმად ევროპის დემოკრატიული მოძრაობის ჩასახშობად არ დაიშურებდა თავის ძალას და ენერგიას. ცარიზმის სრული კატასტროფა ამ ომში კი დიდად სასარგებლო ჩანდა იმ საერთო ევროპული რევოლუციური მოძრაობისათვის, რომელიც 1848 წლის შემდეგ ისევ იწყებდა აღმავლობას ევროპაშიც და რუსეთშიც. მარქსი და ენგელსი სამართლიანად მიუთითებდნენ, რომ ცარიზმის სრული დამარცხება უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის ფაქტი იქნებოდა, რადგან იგი გზას გაუწმენდდა ევროპის რევოლუციის ძალებს. შემთხვევითი როდია საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის მმართველი წრეების თავშეკავება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ცარიზმისა, რომელიც მათ რევოლუციური აფეთქების ჟამს ყოველთვის ესახებოდათ როგორც მხსნელი ძალა. რუსეთის იმპერიის განაპირა ხალხებისათვის, ბალკანეთის სლავი ხალხებისათვის ასევე დიდი უბედურება იქნებოდა ინგლისის დამპყრობლური გეგმების განხორციელება, რადგან ეს გეგმა მათ კოლონიური ჩაგვრის ახალ უღელს უმზადებდა.

ეს ომი ყველაზე შედეგიანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის დემოკრატიული მასა და ევროპის რევოლუციური ბანაკი ერთსულოვნად აღსდგებოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ და ინგლისისა და საფრანგეთის „ოქროს კერპის“ ფლიდი, პირმოთნე და უნამუსო თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ, ე. ი. ინგლისის და საფრანგეთის მაშინდელი მთავრობების წინააღმდეგ. მაგრამ ეს არ მოხდა. არც ევროპაში, არც რუსეთში რევოლუციური ძალები მაშინ სათანადოდ მობილიზებული არ ყოფილან. ამიტომ ტყუილუბრალოდ დაიღვარა აურაცხელი სისხლი. „40 წლის განმავლობაში ევროპამ არ იცოდა ომის ასეთი საშინელება... მაგრამ ომის შედეგად არ შერყეულა ევროპის არც პოლიტიკური, არც სოციალური წყობილება. ყველა ამ ვეებერთელა ხარჯებმა და სისხლის ნი-

აღვრებმა ხალხს არაფერი არ მისცა“ — მიუთითებენ მარქსი და ენგელსი.[1]

მაგრამ ამ ომმა, როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავს, „გამოავლინა ცარიზმის სრული სიდამპლე და უძლურება“, ომმა გააშიშვლა ცარიზმის და ბატონყმობის უკურნებელი წყლულები, თვალი აუხილა ამ სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის ფანატიკურ დამცველებს, ომმა გამოაფხიზლა ის თავბრუდახვეული ულტრა პატრიოტები, რომელთაც რუსეთის აწმყო ბრწყინვალედ წარმოუდგებოდათ და ცარიზმისა და ბატონყმობის მარადიულობაში ხედავდნენ რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სიდიადეს. ომმა გააძლიერა გლეხთა მასობრივი მოძრაობები, გაბატონა პორაყენცული განწყობილებანი ინტელიგენტურ წრეებში. ცარიზმის გამოუვალი კრიზისი თვალსაჩინო გახდა. ამ ვითარებაში დაჩქარდა მთავრობის ღონისძიებანი რუსეთის სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის გადასახალისებლად, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული მძლავრი სახალხო რევოლუცია, რომელიც ამ დროიდან მთელს იმპერიაში უკვე იწყებდა აზვირთებას.

თავი XII

რუსეთის კულტურა XIX საუკ. პირველ ნახევარში.

ორი ბანაკი — ორი კულტურა

კულტურა განათლების, მეცნიერების, ხელოვნების და სულიერი ცხოვრების სხვა დარგებში საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობაა, იმის უნარია, რომ ეს მიღწევები გამოყენებულ იქნას ბუნების ძალთა დამორჩილებისათვის, წარმოების ზრდისათვის, საზოგადოების წინაშე მომწიფებულ ამოცანათა გადასაწყვეტად.

ნაციონალური კულტურა — ამა თუ იმ ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურაა. იგი გამომხატველია ერის სულიერი სახის იმ სპეციფიკისა, რომელიც ამ ერის თავისებური, სხვებისაგან განსხვავებული არსებობისა და ცხოვრების

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. X, გვ. 596.

მთელ მანძილზე ყალიბდებოდა. თვითეულ ერს, დიდსაც და პატარასაც, აქვს თავისი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ მას ახასიათებს და სხვა ერს არ გააჩნია. ეს თავისებურებანი წარმოადგენენ იმ წვლილს, რომელიც თითოეულ ერს შეაქვს საკაცობრიო კულტურის საერთო საგანძურში, იგი ავსებს და ამდიდრებს მსოფლიო კულტურას.

რუს ხალხში თავისი ხანგრძლივი, თავისებური ნაციონალური ცხოვრების მანძილზე მუშავდებოდა და ყალიბდებოდა ნაციონალური კულტურა, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ვითარდებოდა ხალხის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების წინსვლის შესაბამისად.

XIX საუკუნემდე, ფეოდალური სოციალ-ეკონომიური ფორმაციის განუყოფელი ბატონობის ვითარებაში, რუსეთის ნაციონალური კულტურა ნელა და მტკივნეულად მიიკვლევდა გზას. მიუხედავად ამისა, ეს კულტურა მსოფლიო საგანძურში შევიდა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი შენატანით ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების დარგებში. რუსეთის ნაციონალური კულტურის სწრაფი წინსვლა და გაფურჩქვნა-აყვავება დაიწყო XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან და მიმდინარეობდა მთელი XIX საუკუნის მანძილზე. კულტურის ზრდის ტემპის ასეთი გაცხოველება XIX საუკუნეში შეპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებით: საერთოდ ევროპაში ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ბურჯების მსხვრევით და ახალი, ძლავრი ბურჟუაზიული კულტურის შემოქმედებითი გაქანებით, რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუხრელი აღმავლობით, ნაციონალური ცხოვრებისათვის ხალხის გამოღვიძებით, რაც 1812 წლის ომს მოპყვა, რევოლუციურ-დემოკრატიული ბანაკის შეუპოვარი ბრძოლით თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ, ამ ბანაკის ბიერ სწორი რევოლუციური გზის დაუცხრომელი ძიებით.

საერთოდ აღიარებულია, რომ ცივილიზაციის ეპოქის დამწყებმა XIX საუკუნემ — წინათ არნახული სისწრაფით და გაქანებით წასწია წიხ საკაცობრიო კულტურა, დაიპყრო აზრის

მწვერვალები. თითოეულმა ქვეყანამ ამ ეპოქაში წინა საუკუნეებთან შედარებით გასაოცარი გულუხვობით გადახსნა, და ამოალაგა თავისი სულიერი საგანძური.

ერთის შეხედვით გასაოცარი სიდიადით წარმოდგა ამ საუკუნეში რუსეთის ნაციონალური კულტურაც. ეს იყო თითქოს ეცრად გამოღვიძება აქამდე მძინარე გოლიათისა, რომელმაც ძლავრად გაშალა თავისი მხრები და ამოზიდა ხალხის სულიერ სიღრმეში ჩაძირული მარგალიტები მხატვრულ სიტყვასა თუ მუსიკაში, არქიტექტურასა თუ მხატვრობაში — ერთი სიტყვით ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების ყველა დარგში. და, ეს სწორედ მაშინ, როცა ეს გოლიათი თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის რკინის ბორკილებით, აზრის საკეტით ანუ ცენზურით იყო შებოჭილი. ბევრი უცხოელი მკვლევარი, რომელთაც არ შეეძლოთ თვალი დაეხუჭათ რა XIX საუკუნის რუსეთის კულტურის ფართო მასშტაბებსა და ბრწყინვალებაზე, გაკვირვებას გამოსთქვამდა და არაკანონზომიერ მოვლენად მიიჩნევდა რუსეთის ნაციონალური კულტურის ასეთ მძლავრ გაქანებას. მაგრამ შემთხვევითობას აქ ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. რუსეთი თავისი ისტორიული ცხოვრებით სავსებით მომზადებული იყო ამ პროცესისათვის. მის წიაღში დაგუბებული შემოქმედებითი ენერგია, რომელიც საერთოდ ცარიზმის რეაქციული რეჟიმის ხუფით იყო დაცობილი, დრო და დრო მაინც ახერხებდა ეპოვა გასაქანი და ეჩვენებინა ერის შესაძლებლობანი. შემთხვევითი როდია, მაგალითად, რომ ყველაზე დიდი წარმატებანი XIX საუკ. რუსეთის კულტურაში მოპოვებულ იქნა ლიტერატურის სფეროში. იმ ქვეყანაში, სადაც ცენზურის ბორკილებით შებოჭილი იყო პოლიტიკური აზროვნება, სადაც ფილოსოფიურ-პოლიტიკური ტრაქტატები მხოლოდ იმპერატორისა და საიდუმლო პოლიციის მესვეურთა თანხმობით უნდა დაბეჭდილიყო, მხატვრული სიტყვა წარმოადგენდა ერთადერთ ტრიბუნას, საიდანაც თუნდაც შენიღბულ ფორმებში შეიძლებოდა თქმულიყო სიმართლე რუსული ცხოვრების შესახებ. რუსეთის ლიტერატურამ სწორად გაიგო რა თავისი მოწოდე-

ბა, რუსეთის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე დადგა და ამ ბრძოლაში, ყველა ქვეყნის ლიტერატურაზე უფრო უკეთ და სრულყოფილად, შეძლო ეჩვენებინა ერთის მხრივ გაბატონებული რეჟიმის უვარგისობა და სიდამპლე, მეორეს მხრივ ხალხის დაუშრეტელი ენერგია, სულიერი სიფაქიზე და თავისუფლებისაკენ დაუცხრომელი მისწრაფებანი.

რუსეთის ნაციონალური კულტურის განვითარება XIX საუკუნეში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, მიმდინარეობდა არა ჰარმონიულად, არა ყველა კლასის, საზოგადოების ყველა ფენის მშვიდობიანი თანამშრომლობითა და საერთო ძალღონით, არამედ ამ კლასებსა და ფენებს შორის დაუცხრომელი ბრძოლის ვითარებაში. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კლასობრივ საზოგადოებაში კულტურაც კლასობრივია და კლასთა შორის შეურიგებელი ბრძოლა ვლინდება არა მარტო ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში, არამედ კულტურის ყველა დარგში.

კლასობრივ საზოგადოებაში როგორც წესი, საქმე გვაქვს ორ კულტურასთან. ერთის მხრივ არსებობს გაბატონებული კლასის კულტურა, როგორც კულტურა საზოგადოდ, მეორეს მხრივ, დაჩაგრული, ექსპლოატირებული კლასების კულტურა. ეს კლასები ერთმანეთის წინააღმდეგ დაუცხრომელ ბრძოლაში თავიანთ კულტურას იყენებენ როგორც ყველაზე ბასრ, იდეოლოგიურ იარაღს. ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე", ეკამათება რა ბუნდელებს, მიუთითებს: „თ ვ ი თ ე უ ლ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, ვინაიდან თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის აგრეთვე ბურჟუაზიული კულტურა (ხოლო უმრავლესობაში კიდევ — შავრაზმული და კრელიკალურიც) — ამასთან არა მარტო „ელემენტების" სახით, არა-

მედ გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კულტურის სახით. ამიტომ „ნაციონალური კულტურა“ საზოგადოდ ა რ ი ს მემამულეების, ხუცების, ბურჟუაზიის კულტურა“.[1]

XIX საუკ. პირველი ნახევრის რუსეთში, სადაც გაბატონებულ კლასს წარმოადგენდა მემამულე-თავადაზნაურობა, ხოლო მისი პოლიტიკური ძალაუფლების გამოხატულებას თვითმპყრობელობა, გაბატონებული იყო თავადაზნაურულ-თვითმპყრობელური კულტურა. ამ კულტურის წარმომადგენლები იყვნენ რუსეთის მონარქები და მისი რეაქციული მოხელეების მთელი ხროვა, — არაკჩეევები და ბენკენდორფები, გოლიცინები და უვაროვები, ხუცები და ცისფერ მუნდირიანი მეძებრები, რომელთაც შემუშავებული ჰქონდათ რუსეთში ყოველივე ახალისა და პროგრესულის, რევოლუციურისა და დემოკრატიულის დასამარების, თავიანთი ყოვლისშემძლეობის უზრუნველყოფის, არსებობის გახანგრძლივების, მასების მორჩილებაში ყოფნის მეთოდები და საშუალებანი. ამ გაბატონებულ ზედაფენას გააჩნდა თავისი ჩვეულებები და ტრადიციები, თავისი იდეურ-მორალური სამყარო, ჰქონდა თავისი ჩაკეტილი წრე, თავისებური გართობა და განმტკიცებული შეხედულება ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე.

გაბატონებული სოციალური ფენის სათავეში იდგა იმპერატორი, რომლის ძალაუფლება რუსეთში განუსაზღვრელი იყო და რომელსაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი შეგნება არა მარტო თავისი ყოვლისშემძლეობისა, არამედ ყოვლისმცოდნეობისაც კი. მეფის ნება-სურვილი, ხშირად მეფის კაპრიზი, მეფის ენინიანობა — ეს იყო უმაღლესი და საბოლოო კანონი იმპერიისა. მაგალითად, ნიკოლოზ პირველი ასწავლიდა ექიმებს როგორ ემკურნალათ ავადმყოფებისათვის; როდის და ვისთვის მოეკიდებინათ წურბლები. იგი ინჟინრებს აძლევდა მითითებას როგორ აეშენებინათ ნავსადგურები, იგი ამტკიცებდა სახაზინო ნაგებობების, ეკლესიების, მსხვილი კერძო შენობების პროექტებსა და ნახაზებს, შედიოდა რა ტაძრებში, მიუთითებდა არქიტექტორთა შეცდომებზე, იგი ასწავლიდა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 10.

მსახიობებს როგორ ეთამაშათ ესა თუ ის როლი, იყო პუშკინის ლექსების ცენზორი, „უსწორებდა" კომპოზიტორებს. განათლების მინისტრი უვაროვი პროფესორებს ხშირად ეუბნებოდა, რომ მის სამინისტროს ხელმძღვანელობს არა თვითონ, არამედ იმპერატორიო[1]. ნიკოლოზმა შექმნა ზეცენტრალიზებული სისტემა, სადაც თეორიულად ყველაფერი დამოკიდებული იყო მხოლოდ ერთი ადამიანის ნება-სურვილზე და სადაც ამ ვეებერთელა მანქანის ყველა ნაწილი შეუთანხმებლად, მოუფიქრებლად მოქმედებდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა ამ ერთი ადამიანის ნება-სურვილს.

ლევ ტოლსტოი „ჰაჯი მურატში" შენიშნავს, რომ გამუდმებულმა, უზომო მლიქვნელობამ იმ ადამიანებისა, რომლებიც იმპერატორს ირგვლივ ერტყა, იგი მიიყვანა იქამდე, რომ უკვე ვეღარ ხედავდა საკუთარ წინააღმდეგობებს, ვეღარ ახერხებდა საკუთარი ქცევა და სიტყვები შეეთავსებინა სინამდვილესთან, ლოგიკასთან და თვით უბრალო გონიერ აზრთანაც კი. იგი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ყველა მისი განკარგულება, როგორადაც უაზრონი, უსამართლონი და ერთმანეთთან შეუთანხმებელი არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ხდებოდნენ გააზრებულიც, სამართლიანიც და შეთანხმებულნიც ურთიერთ შორის მხოლოდ იმიტომ, რომ ამას იგი თვითონ აკეთებდა.

მაგრამ იმპერატორისადმი ასეთი უსიტყვო მორჩილება. მისი ასეთი ყოვლისშემძლეობა მაინც მხოლოდ თეორიული იყო. იგი გარეგნულად ჩანდა ასე. სინამდვილეში, პრაქტიკაში კი ცხოვრება თავისას აკეთებდა. ეს ზეცენტრალიზებული მანქანა მიდიოდა თავისი გზით და მოქმედებდა უპირატესად ინერციით. იგი მხოლოდ გარეგნულად აჩვენებდა თავს ისე, თითქოს ემორჩილებოდა უმაღლეს ხელისუფალს. ნიკოლოზი მაინც უძლური იყო გადაელახა ეს თვითკმარი ბიუროკრატიული მექანიზმის საშინელი ინერტულობა. აქედან იბადებოდა „საყოველთაო ოფიციალური სიცრუის" ის ატმოსფერო, რომელიც მთელ ქვეყანას ხვევდა შხამიან, დამღუპველ ბურუსში[2]. ნი-

---

[1] М. Гус. Гоголь и Николаевская Россия, Москва, 1957, გვ. 125

[2] იქვე, გვ. 26.

კოლოზ პირველს ატყუებდნენ მისი მოხელეები. საკუთარი ქვეყნის და ევროპაში მიმდინარე მოვლენების შესახებ წარდგენილ მოხსენებებს ალამაზებდნენ იმ გვარად, როგორადაც ეს იმპერატორს უნდა მოსწონებოდა. განგებ აფუჩეჩებდნენ იმ არასასიამოვნო სინამდვილეს, რასაც შეეძლო დაერღვია ყოვლისშემძლე ხელისუფალის სასიამოვნო განწყობილება. მოჩვენებითობა, საკუთარი ძლიერებით ყოყოჩობა, „რუსეთის ყოვლისშემძლეობის“ გაბერვა, შინაგანი წყლულების დამალვა, ძირმომპალ ნაგებობათა ლამაზად მოფასადება, უცხოელთათვის თვალისახვევა — ყოველივე ეს იყო ეპოქის გაბატონებული სტილი. ამ სტილის კლასიკური ფორმულა ეკუთვნის ბენკენდორფს, რომელიც ურცხვად ამტკიცებდა რომ „რუსეთის წარსული გასაოცარია, მისი აწმყო ზეშესანიშნავია, რაც შეეხება მომავალს — მისი მშვენიერება აღემატება ყოველივე იმას, რაც კი შეუძლია ყველაზე მახვილმა გონებამ წარმოიდგინოს“

იმპერიის ასეთმა ზეცენტრალიზებულმა სისტემამ მთელს ქვეყანაში გაამეფა პირმოთნეობის, ბიუროკრატიულობის, მექრთამეობის, სახაზინო ქურდობის ისეთი ატმოსფერო, რომელიც მანამდე არ ახსოვდა არცერთ ქვეყანას. პირმოთნეობის სტილი, რა თქმა უნდა, ისევ ზევიდან მკვიდრდებოდა. მისი კლასიკური განსახიერება იყო თვით იმპერატორი. პეტერბურგში ერთხელ ნიკოლოზი ნიკოლოზის ხიდთან შეხვდა მეფორნეს, რომელსაც ცხედარი მიჰქონდა სასაფლაოსკენ და არ ახლდა არცერთი გამცილებელი. მეფე ჩამოვიდა თავისი ეკიპაჟიდან და გაჰყვა ცხედარს ვასილიევის კუნძულზე. როცა ფორნის უკან შეგროვდა ვეებერთელა ბრბო ცხედრის გამცილებლებისა, ნიკოლოზმა პირჯვარი გადაისახა და გაშორდა იქაურობას...

ნიკოლოზმა რომ ბენკენდორფი მესამე განყოფილების მეთაურად დანიშნა, მას აჩუქა ბატისტის ცხვირსახოცი და უთხრა:

— მოსწმინდე ცრემლი ქვრივებსა და ობლებს...

როცა ნიკოლოზ პირველს მოახსენეს ორი ჯარისკაცის მეამბოხური დანაშაულის შესახებ, იმპერატორმა ბრძანა მიეყენე-

ბინათ მათთვის 12 ათასი ჯოხდარტყმა, ამასთან გულდამშვიდებით დასძინა: მადლობა ღმერთს, ჩვენში სიკვდილით დასჯა არ არის და არც ჩემი საქმეა შემოვიღო იგიო.

პირმოთნეობის სულისკვეთებას ნერგავდა მესამე განყოფილებაც მთელი თავისი სამმართველო აპარატით. მაგრამ მთელი ამ პირმოთნული გულჩვილობის უკან განუკითხავად ასრჩობდნენ ადამიანებს, სულს ხდიდნენ როზგის ქვეშ, ჰყინავდნენ ციმბირში, უმასპინძლდებოდნენ ჯარისკაცთა ხიშტებითა და ტყვიებით. ნიკოლოზის სისტემა ხრწნიდა ადამიანებს, უნერგავდა მათ ბიზანტიური მონობის ჩვევებს, რომელიც უკვე გაბატონებული იყო ვეებერთელა სამოხელეო აპარატში. ამ სისტემის ტიპიური წარმომადგენელია, მაგალითად, გენიალური გოგოლის „შინელში" დახატული აკაკი აკაკის ძე ბაშმაჩკინი, რომელიც ოცდაათწლიანმა სამსახურმა ერთერთ სამოხელეო აპარატში სრულიად გამოატვინა და რომელიც ამ ცხოვრებაში არაფერს ხედავდა დიადს, ამაღლებულს, ერთადერთ სიამოვნებას მხოლოდ ასოების ლამაზად გამოყვანაში ხედავდა და წერდა და წერდა. ა. ვ. ნიკიტენკო — თანამედროვეობის ფხიზელი მეთვალყურე — ასე ახასიათებს ამ ეპოქას: „სამწუხარო სანახაობას წარმოადგენს ჩვენი თანამედროვე საზოგადოება: მასში არაა არც დიდსულოვანი მისწრაფებანი, არც მართლმსაჯულება, არც სისადავე, არც ზნეობრივი ღირსება, ერთი სიტყვით — არაფერი, რაც ზნეობრივი ძალების ჯანსაღ, ბუნებრივ და ენერგიულ განვითარებაზე მიგვითითებდა. კაცუნები გამოფიტული არიან საზოგადოებრივი ქაოსის წვრილმან ჭორებში... ჭკუა და გაიძვერობა—სინონიმებია... სიტყვები: პატიოსანი კაცი ჩვენში ნიშნავს მიამიტს, დოყლაპიას, რომელიც სულელს ენათესავება, იმავეს რასაც კეთილი ადამიანი. საზოგადოებრივი გახრწნილება იმდენად დიდია, რომ წარმოდგენა ღირსებაზე, სამართლიანობაზე ითელება ან სულმოკლეობად, ან რომანტიკულ აღტაცებულებადო..."[1]

ამ საზოგადოების ზედაფენაში სამოღვაწეო ასპარეზი გადაშლილი იყო ქურდებისა და აფერისტებისათვის. უმოწყა-

[1] А. В. Никитенко, Записки и дневник, т. I, 1906, ss. 309-310.

ლოდ ძარცვავდნენ ხალხს და სახელმწიფოს მსხვილი და წვრილი მოხელეები, კანცელარიის გადამწერლები, გოროდნიჩები და გუბერნატორები, ინტენდანტები და მინისტრები. ამასთან ამ ქურდებსა და მექრთამეებს საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა ეკავათ, სარგებლობდნენ უფროსთა მფარველობით, რომელთაც ნაქურდალის ნაწილი ეძლეოდათ.

გასაოცარი რელიეფურობით, მხატვრული სისრულით დახატა რუსეთის იმდროინდელმა ლიტერატურამ იმპერიის გაბატონებული ფენების ეს „კულტურა", მათი წრე, მათი ზნეობრივი კრედო, მათი დიდკაცური ყოყოჩობა და შინაგანი გახრწნილება. ესენი არიან მაგალითად, გრიბოედოვის გენიალური „ვაი ჭკუისაგან"-ის გმირები — ფამუსოვი, პოლკოვნიკი სკალოზუბი, მოლჩალინი, პირველი მსხვილი სახელმწიფო მოხელეა, დიდი ჩინების მქონე, მაგრამ ნამდვილი ხორცმეტი სახელმწიფო აპარატში. მას არც საქმეების გაძღოლა შეუძლია და არც თავისი ერთადერთი შვილის აღზრდა. მეტად მაღალი წარმოდგენა აქვს თავისთავზე, ნაცნობ-ნათესავებში დიდი პატივისცემით სარგებლობს, მაგრამ არაფერი აქვს ნამდვილი ადამიანისა, ლეშია მხოლოდ. სკალოზუბი დღეს თუ ხვალ გენერლობას მოელის, უკვე პოლკს განაგებს, თუმცა ეს დამსახურება მას ბრძოლაში არ შეუძენია, სამსახური პირადი გამდიდრების წყაროდ გადაუქცევია, მოხიბლულია საკუთარი ეპოლეტების ბრჭყვიალით, პოლკის მხოლოდ გარეგნული შესახედაობითაა დაინტერესებული, აყოლილია თითქოს ეპოქის სტილს, მაგრამ სინამდვილეში სრული არარაობაა. მოლჩალინი კი მლიქვნელის განსახიერებაა. მას საკუთარი მე არ გააჩნია, ყოველთვის ისე აზროვნებს, როგორც თავისი უფროსი. ასეთი უსიტყვო მორჩილებით, მონური ლოკვის ოსტატური ჩვევებით უზრუნველყო მოლჩალინმა პირადი ცხოვრება, შეიძინა ქონება და დაიკავა თავისი ადგილი მაღალ საზოგადოებაში. ფამუსოვებისა, სკალოზუბების და მოლჩალინების წრეში მოდაშია უცხოურის წინაშე ქედმოხრა, ამასთან მამულიშვილური ყოყოჩობა, ძველი რუსული ტრადიციებისადმი პატივისცემა. გარეგნულად ამ წრეში ყველაფერი მშვიდად და ჰარმო-

ნიულად მიმდინარეობს. კულისებში კი ამაზრზენი გარყვნილება და ბოროტებაა.

რუსეთის სამოხელეო აპარატის არარაობის კლასიკური სახე შექმნა დიდმა რუსმა რეალისტმა გოგოლმა. მის მიერ „რევიზორში" დახატული ქალაქის უფროსი სკვოზნიკ-დმუხანოვსკი, რომელიც როზგის, ქრთამების დიდოსტატია და მთელ ქალაქს ძარცვავს, ხოლო თავის ხელმრუდობის გასამართლებლად ამბობს „ყველა ასე იქცევა, მაშასადამე მეც ასე უნდა ვიქცეოდეო", ან საქველმოქმედო დაწესებულებათა ზედამხედველი ზემლიანიკა, რომლის საავადმყოფოში ავადმყოფები ბუზებივით იხოცებიან წამლის უქონლობისა და მოუვლელობის გამო და რომელიც საავადმყოფოსათვის განკუთვნილი თანხებით თვითონ ისქელებს ჯიბეებს; ან მოსამართლე ლიაპკინ-ტიაპკინი, რომელიც ნადირობის ტრფიალია და სამსახურის საათებს ნადირობაში ატარებს, ხოლო დაწესებულებაში უყრია წლობით დაგროვილი საქმეები, რომელთაც მისივე სიტყვით სოლომონ ბრძენიც კი ვერ მოუვლის; ან ფოსტის გამგე შპეკინი, რომელიც თავს იმით ირთობს, რომ სხვის წერილებს კითხულობს; — დაბოლოს გაიძვერა ხლესტაკოვი, რომელიც მშვენივრად სარგებლობს რა ქალაქის მოხელეობის ყეყეჩობითა და მონური სულისკვეთებით, ერთობა, როშავს სისულელეებს, რომლისაც თითონაც სჯერა. — ერთი სიტყვით მთელი ეს გალერეა გოგოლის „რევიზორიდან" წარმოადგენს მხატვრულ ასლს ნიკოლოზისეული რუსეთის სამოხელეო აპარატისა, რომელიც პარაზიტებად ასხდა რუსეთის სახელმწიფოებრივ სხეულს და მას გაფთრებით, ასეთი მოქმედებისათვის უფლების შეგნებით ღრღნიდა.

რუსეთის გაბატონებული წრეების კულტურა მათი მორალური კრედო თვალსაჩინო გამომსახველობითაა მოცემული აგრეთვე იმავე გოგოლის „მკვდარ სულებში", სადაც ეს სობაკევიჩები, ნოზდრიოვები, მანილოვები, პლუშკინები, კოროობოჩკები და სხვები წამლავენ ატმოსფეროს, ცხოველური ცხოვრებისთვის არიან მოწოდებული, არ შედრკებიან არავითარი საზიზღრობისა და მაქინაციების წინაშე (მაგ. ჩიჩიკოვი)

და მაითვის სამოქმედო ასპარეზი გადაშლილი არის იმიტომ, რომ თვით სახელმწიფოებრივი სისტემაა უვარგისი. რუსეთის მაშინდელი გაბატონებული, სახაზინო კულტურა, რომელიც თავისთავში ამდენ სისაძაგლეს შეიცავდა, ახერხებდა ეს შინაგანი სრული გახრწნილება შეეთავსებინა გარეგნულ ბრწყინვალებასთან. მაღალ არისტოკრატიულ წრეებში სრულიადაც არ ითელებოდა უხერხულად, ვთქვათ, ჯოხით დაესისხლიანებიათ შინაყმები, ამავე დროს სალონებში ემსჯელად კაცთმოყვარეობაზე და რუსულ დემოკრატიზმზე, ყმებსა და მემამულეთა შორის მაშშვილურ დამოკიდებულებაზე, ეკოპწიავათ პატრიოტული სადღეგრძელოებით და უმოწყალოდ ეძარცვათ რუსეთი, გამოწყობილიყვნენ ევროპულ ფრაკებში და აბუჩად აეგდოთ თავიანთი მშობლიური ენა, დაეწყოთ მეურნეობის ინგლისურ ყაიდაზე გარდაქმნის გეგმები და სულის ამოხდამდე გაერეკათ საბატონო სამუშაოზე ყმა-გლეხები.

თვითმპყრობელურ-მონარქიული, ფეოდალურ-აზნაურული, რელიგიურ-ხუცური კულტურის, იდეოლოგიის წინააღმდეგ რუსეთში XVIII საუკუნის მიწურულიდან თანდათან აღმოცენებას იწყებს, ხმას იმაღლებს, ფორმდება პროგრესულ-დემოკრატიული იდეოლოგია. ეს ახალი იდეოლოგია გამომხატველია მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ინტერესებისა, რომლებიც მიისწრაფვიან ბატონყმობის და თვითმპყრობელობის მოსპობისაკენ და თანდათან მეტი შეუპოვრობითა და სიმძლავრით აჩაღებენ ბრძოლას მათთვის საძულველი რეჟიმის დასამხობად.

ახალი, მოწინავე კულტურის ელემენტები წარმოდგენილია იმ რევოლუციურ იდეოლოგიაში, რომელიც ევროპასა და რუსეთში რევოლუციური მოძრაობის შესაბამისად ვითარდება. დემოკრატული სულისკვეთება, რომელიც ამ პერიოდში ახასიათებს ევროპის ბურჟუაზიას — ფეოდალური ფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში რომ ავანგარდული პოზიცია უკავია— თავის გამოხატულებას პოულობს რუსეთში, სადაც აგრეთვე დღის წესრიგში დგას ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის დამხობა, სადაც ნელნელა მწიფდებიან მის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები. ეს სულისკვეთება უკვე მძლავრ გამოხატულებას

პოულობს ლომონოსოვის მატერიალისტურ შეხედულებებში, რადიშჩევის რევოლუციურ დემოკრატიზმში; ნოვიკოვის განმანათლებლურ იდეებში, პნინის, უვაროვის ეკონომიურ თხზულებებში, რომლებიც მხურვალედ თანაუგრძნობენ ბურჟუაზიულ რევოლუციას ევროპაში, ამათრახებენ და დასცინიან ბატონყმური რუსეთის სინამდვილეს, ქადაგებენ ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობას.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით 1812 წლის სამამულო ომის შემდეგ განმათავისუფლებელი, რევოლუციური იდეოლოგია რუსეთში მძლავრდება, გაბედულად იმაღლებს ხმას რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ და თავის გამოვლინებას პოულობს არა მარტო დეკაბრისტთა აშკარა შეიარაღებულ გამოსვლაში, არამედ იდეოლოგიის სხვადასხვა დარგებში — ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, მეცნიერებაში. ამ იდეოლოგიის საუკეთესო და საამაყო წარმომადგენლებად გვევლინებიან პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი, გლინკა, ფედოტოვი, შჩეპკინი და ათეულობით სხვები. ეს იდეოლოგია თავგამოდებით ებრძვის ყოველივე ძველსა და დრომოჭმულს, მას გარდუვალად მიაჩნია ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაცია, არ რცხვენია ცხოვრების იმ რუსული წესის მხილება-გამასხარავებისა, რომელიც ძველ არისტოკრატიას რუსეთის სპეციფიკად მიაჩნია და რომელიც თავისთავში შეიცავს ჩამორჩენილობას და აზიურ დესპოტიზმს, სხვისი ადამიანური ღირსებების გაქელვასა და უცხოურისადმი გარეგნულ მიმბაძველობას. ეს იდეოლოგია წინა პლანზე აყენებს ინტერესებს სახალხო მასებისა, რომლებიც სიბნელესა და უვიცობაში იხრჩობიან და შებოჭილი არიან ბატონყმური იძულების ბორკილებით, წართმეული აქვთ შესაძლებლობა გამოავლინონ ის ნიჭი და ენერგია, რომელიც მათ წიაღში იმალება.

რუსეთის XIX საუკ. პირველი ნახევრის მოწინავე იდეოლოგიის წარმომადგენლების უმრავლესობა თვით თავადაზნაურული წოდებიდან იყო გამოსული. ეს გარემოება ზოგიერთ მკვლევარს საბაბს აძლევდა, რომ ამ პერიოდის ლიტერატურა გამოეცხადებინა „თავადაზნაურულ ლიტერატურად“ და ეთქვა:

ეს იყო ლიტერატურა, რომელიც თავადაზნაურობის მისწრაფებებს, მათ ინტერესებს გამოხატავდა და ემსახურებოდაო. საკითხის ასე დასმა არაა მართებული. ამა თუ იმ შემოქმედის წოდებრივი წარმოშობილობა სრულებითაც არ წარმოადგენს განმსაზღვრელ მომენტს მისი შემოქმედების კლასობრივი სახის განსაზღვრაში. ამ სახეს განსაზღვრავს შემოქმედის იდეურ-კლასობრივი აზრი, მიმართულება, ამ შემოქმედების ობიექტური ისტორიული ფუნქცია. რუსეთის დრომოჭმულ თავადაზნაურობას მართლაც ჰქონდა თავისი თავადაზნაურული ლიტერატურა, ჰყავდა ბატონყმურ-თვითმპყრობელური რეჟიმის იდეოლოგები (ბულგარინი, გრეჩი, შევირიოვი და სხვ.), რომლებიც ამართლებდნენ მის ბატონობას, წოდებრივ პრივილეგიებს, ბერავდნენ მის ისტორიულ დამსახურებას, იდილიურად, შელამაზებულად ხატავდნენ ბატონისა და ყმის დამოკიდებულებას, მაგრამ რუსეთის იმავე თავადაზნაურულ წოდებიდან წარმოშობილი დეკაბრისტები და გამოჩენილ მოღვაწეთა მთელი თაობა თვისივე წოდების მოსისხლე მტრად გამოვიდნენ. დეკაბრისტებს, რომლებიც რუსეთის ბრწყინვალე არისტოკრატიულ ზედაფენას ეკუთვნოდნენ, რევოლუციურმა იდეოლოგიამ უკარნახა იარაღი აეღოთ ხელში თავიანთი წოდების წინააღმდეგ, გაეწირათ პირადი კეთილდღეობა, სიცოცხლეც კი, ოღონდ ბატონყმობა და თვითმპყრობელობა დაემხოთ რუსეთში. დეკაბრისტების მსგავსად პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი, გოგოლი, ნეკრასოვი, გერცენი — ასევე თავადაზნაურული წოდების შვილები — თავიანთი მოღვაწეობით, შემოქმედებით გაბედულად გამოვიდნენ იმავე თავადაზნაურობის კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგ, ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ, მემამულე — აზნაურთა წოდებრივი პრივილეგიების, თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების ანტიხალხური ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. ამრიგად, XIX საუკუნის მოწინავე ლიტერატურა, მიუხედავად მისი თავადაზნაურული საფუძვლებისა, თავისი არსებით ანტიფეოდალური იყო და მის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში მოწინავე პოზიციებზე იდგა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს წოდებრივი კუთვნილება ერთგვარ დაღს მაინც

ასვამდა შემოქმედის გაქანებას, ზღუდავდა მის მსოფლმხედ-ველობას, ამუხრუჭებდა რევოლუციურობას და საშუალებას არ აძლევდა ბოლომდე თანმიმდევრული ყოფილიყო. დე-კაბრისტებისათვის თავადაზნაურულ-წოდებრივი შეზღუდ-ულობა იმაში გამოიხატა, რომ მათ ორიენტაცია ხალხზე ვერ აიღეს, შიშითა და ძრწოლით იყვნენ შეპყრობილი მასებისად-მი, ეს წოდებრივი შეზღუდულობა ახასიათებდა აგრეთვე პუშ-კინსაც, გრიბოედოვსაც, გლინკასაც, გოგოლსაც, რომელ-თაც ასევე არ შეეძლოთ დაენახათ მასების რევოლუციური სულისკვეთება და თავიანთ შემოქმედებაში გაბედულად დაეყე-ნებინათ სახალხო რევოლუციის იდეა, ექადაგათ რევოლუციუ-რი დემოკრატიზმი.

მიუხედავად ამ კლასობრივი შეზღუდულობისა, რუსეთის ლიტერატურამ ჩაატარა უაღრესად დიდი და ძნელი ისტორიუ-ლი მნიშვნელობის მუშაობა, შეიტანა თავისი წვლილი ძველი, საფუძვლებშერყეული წყობილების დამხობაში, ძველზე ახლის გამარჯვებაში. იგი აღაფრთოვანებდა თავის მკითხველებს ბრძოლისათვის, უღვივებდა მათ ზიზღს არსებული რეჟიმი-სადმი და განაწყობდა მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. რუსე-თის ლიტერატურამ დახატა, ერთის მხრივ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არა მარტო რეაქციული, დრომოჭმული და გაბრწ-ინილი თვითმპყრობელურ-თავადაზნაურული ბანაკი თავისი მოლჩალინებითა და სკალოზუბებით, ნოზდრიოვებითა და ბაშ-მაჩკინებით, ობლომოვებითა და ტოვსტოგუბებით, არამედ მათ წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლების მთელი გალერეაც—ჩაც-კები და რახმეტოვები, რომლებიც გაბედულად ებრძვიან დამ-ყაყებულ ტრადიციულ ყოფას, აშიშვლებენ ბრჭყვიალა ტან-საცმლის ქვეშ დამალულ წყლულებს, გატაცებული არიან ახალი ცხოვრების იდეალებით, ეძიებენ გზებსა და საშუალე-ბებს სამშობლოში დესპოტიზმის დასამხობად.

XIX საუკ. პირველი ნახევრის რუსეთში გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყალიბდებიან ახალი ტიპის ადამიანები, რომელთა ცხოვრების დანიშნულებად იქცევა სა-ზოგადოებრივი პროგრესისათვის დაუცხრომელი სამსახური.

პირადულის განწირვა საერთო კეთილდღეობის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ასეთი ახალი ტიპის ადამიანები პირველყოველისა იყვნენ დეკაბრისტები — სამშობლოს ეს გულწრფელი პატრიოტები, რომლებმაც პირადი კეთილდღეობა თავიანთ რევოლუციურ იდეალებს ანაცვალეს. შემთხვევითი როდია, რომ ოცდაათიანი და ორმოციანი წლების თაობა დეკაბრისტების რევოლუციურ ენთუზიაზმს, მაღალ მორალურ თვისებებს, მათს შეუპოვრობასა და თავგანწირულობას ბაძავდა და ეამაყებოდა თავისი თავი დეკაბრისტების შვილებად გამოეცხადებინა. დეკაბრისტული სულისკვეთების ქვეშ აღიზარდნენ რუსეთის თავადაზნაურულ და რაზნოჩინულ რევოლუციონერთა ისეთი უდიდესი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკი, ტარას შევჩენკო და ათეულობით სხვები, რომლებმაც არათუ წმინდათ შემოინახეს მათი იდეური მამების მორალური კოდექსი, მათი რევოლუციური მგზნებარება, არამედ გააფართოვეს და წინ წასწიეს იგი, დაძლიეს მათი შეზღუდულობა და რევოლუციური შეგნება სახალხო აჯანყების დონემდე აიყვანეს.

ამ ადამიანების დამახასიათებელ თვისებებს შეადგენდა: ფოლადისებური ნებისყოფა, მაღალი იდეურობა, ზედმიწევნითი პატიოსნება ამხანაგისთვის თავდადება, მტრებისადმი შეურიგებელი სიძულვილი და რაც მთავარია, ფანატიკური სიყვარული თავისი ქვეყნისა, რომლის სახელისა და დიდებისათვის ბრძოლაში თავგანწირულება ითვლებოდა უმაღლეს პატიოსნებად და გმირობად, მათი, როგორც ადამიანის, ძირითად და მთავარ დანიშნულებად.

ფეოდალურ-ბატონყმურ რუსეთში, სადაც მათრახით, ტყვიებითა და სახრჩობელებით უმასპინძლდებოდნენ თავისუფალ აზრს, სადაც თუჯის ცენზურა არ აჭაჭანებდა არაფერს, რაც ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული, და ყველაზე საჭირო ადამიანებად ჟანდარმები და ქურდი მოხელეები იყვნენ მიჩნეულნი, მრავალ, პატიოსან, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს გზა ჰქონდა დახშული, რომ ეს ნიჭი და უნარი გაეშალათ, საზოგადოების სამსა-

ბურში გამოეყენებინათ. ისინი ვერ ახერხებდნენ მოენახათ თავისი ადგილი ცხოვრებაში, რადგან არ იყო გასაქანი, ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა მძლავრად საზოგადოებრივ აზრთა შეჯახება. ბევრი მათგანი გარბოდა ევროპაში, სადაც ამ დროს რევოლუციის ქარიშხალი ბობოქრობდა, ბევრი კი ეგუებოდა გარემოს, პასიურად აჰყვებოდა ცხოვრების დინებას, თანდათან დუნდებოდა, ან ლოთობასა და უაზრო დროსტარებაში ახშობდა თავის ბოღმას, ნიჭსა და დაგუბებულ ენერგიას. ამ ადამიანების ტრაგედია ადრევე შენიშნა რუსეთის ლიტერატურის ფხიზელმა თვალმა და შესანიშნავად დახატა ონეგინისა (პუშკინის „ევგენი ონეგინი") და პეჩორინის (ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი"), ჩელკატურინის (ტურგენევის „ზედმეტი ადამიანის დღიური") და ბელტოვის (გერცენის „ვინ არის დამნაშავე?") სახით.

მრავალი ასეთი, თავისი ბუნებით შესანიშნავი, ნიჭიერი და საინტერესო ადამიანი შეიწირა მაშინდელი რუსეთის მოშხამულმა ატმოსფერომ. ა. ი. გერცენი რუსეთის მოაზროვნე თაობის ამ საშინელ ბედზე აღნიშნავდა: საშინელი, შავი ბედია ხვედრი თითოეული ჩვენგანისა, ვინც კი გაბედავს თავი აიღოს იმპერატორის სკიპტრის მაღლა. პოეტს, მოქალაქეს, მოაზროვნეს ულმობელი ბედი საფლავისკენ უბიძგებს. ჩვენი ლიტერატურის ისტორია კატორღის რეგისტრია. ისინიც კი, ვინც მთავრობამ შეიბრალა, იღუპებიან, გაფურჩქვნას ვერ ასწრებენ, სწრაფად ტოვებენ ქვეყანას...

რილეევი ნიკოლოზმა ჩამოახრჩო.

პუშკინი მოკლეს დუელში, ოცდათვრამეტი წლისა,

გრიბოედოვი მოკლეს თეირანში.

ლერმონტოვი მოკლეს დუელში, 30 წლისა, კავკასიაში.

ვენევიტინოვი მოკვდა ოცდაორი წლისა,

კოლცოვი მოკლეს ოჯახში, ოცდაცამეტი წლისა,

ბელინსკი მოკვდა 35 წლისა შიმშილსა და სიღარიბეში,

პოლეჟაევი მოკვდა სამხედრო ჰოსპიტალში, კავკასიაში ჯარისკაცად 8 წლის სამსახურის შემდეგ.

ბარიტინსკი გარდაიცვალა თორმეტწლიანი გადასახლების შემდეგ.

ბესტუჟევი მოკვდა კავკასიაში ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა ციმბირში საკატორღო მუშაობის შემდეგ...

ამას შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ ჩერნიშევსკიმ სიცოცხლის ნახევარი ციმბირის გადასახლებაში გაატარა, ხოლო სალტიკოვ-შჩედრინი სასამართლო სკამზე დასვეს, როგორც „დამნაშავე", დობროლიუბოვი სრულიად ახალგაზრდა 25 წლის ასაკში იმსხვერპლა გარემომ, ხოლო გოგოლი, დოსტოევსკი, ჩაადაევი და მრავალი სხვა თვითმპყრობელობის დარტყმებისაგან დამახინჯდნენ.

ამ „თვითნებობის, გარინდების, უკვალოდ დაღუპვის, პირში ცხვირსახოცგაჩრილის წვალების სამეფოში", რასაც გერცენი ნიკოლოზისეულ რუსეთს უწოდებდა, მართლაც გასაოცარი გმირობა იყო შრომა და ბრძოლა შხამიანი სინამდვილის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ბრძოლა არა თუ დუნდებოდა და ცხრებოდა, არამედ ცხოველდებოდა და მაღლა მიიწევდა ისეთი ადამიანების მეთაურობით, როგორიც იყვნენ დეკაბრისტები და გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, ნეკრასოვი, დობროლიუბოვი და სხვები. მათ მაღლა ეჭირათ დემოკრატიზმის დროშა. მთელი მათი დაუცხრომელი საქმიანობა თავისთავში განასახიერებდა იმ მაღალ ველიკორუსულ ნაციონალურ კულტურას, რომელმაც მძლავრად გაშალა რა თავისი მხრები ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ახალი შინაარსი და გაქანება ჰპოვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და თავისი ტრადიციებით შეუსისხლხორცდა ლენინიზმს, როგორც რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უდიდეს მონაპოვარს XX საუკუნეში. ძველისა და ახლის, რეაქციულისა და რევოლუციურის ეს შეუპოვარი ბრძოლა წითელი ზოლივით გასდევს რუსეთის ნაციონალური კულტურის მთელ ისტორიას XIX საუკ. პირველ ნახევარში და თავის გამოვლინებას პოულობს არა მარტო ლიტერატურაში, არამედ სახალხო განათლებაში, ჟურნალისტიკაში, თეატრალურ და მუსიკალურ ხელოვნებაში, მხატვრობაში, მეცნიერებაში. განვიხილოთ თითოეული მათგანის მდგომარეობა XIX საუკ. პირველ ნახევარში.

სახალხო განათლება

ცარიზმის ინტერესებს სრულიადაც არ შეადგენდა ხალხთა მასების განათლებაზე ზრუნვა. მეფის მოხელეები იქეთკენ მიისწრაფვოდნენ, რომ მშრომელები სიბნელესა და უვიცობაში ჰყოლოდათ. განათლება წოდებრივ პრინციპზე იყო დაფუძნებული და მხოლოდ თავადაზნაურობის პრივილეგიას შეადგენდა. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის 40 მილიონიანი მოსახლეობიდან დაწყებით სკოლებში სწავლობდა მხოლოდ 20 ათასამდე კაცი. 1804 წელს სახალხო განათლების დარგში ცარიზმმა წამოიწყო ლიბერალური ხასიათის რეფორმები, მაგრამ ისინი თანმიმდევრულად და ბოლომდე არ განხორციელებულა. პოლიტიკური რეაქციის ეპოქაში, რაც რუსეთში 1812 წლის ომის შემდეგ დაიწყო, რეფორმების ჩარჩოები ისევ შეიზღუდა.

ცარიზმს მიაჩნდა, რომ მოსახლეობის ფართო განათლება „საზოგადოებრივი სიმშვიდის" საზიანო იქნებოდა. განსაკუთრებით საშიშრად იყო მიჩნეული დაბალი წოდების შვილების სწავლება, რადგან ეს ხელს შეუწყობდა შეგნების ამაღლებას ამ ფენებში. ეს შეგნება კი საფუძველს გამოუთხრიდა იძულებაზე დამყარებულ ფეოდალურ-ბატონყმურ წესწყობილებას. განათლების მინისტრი შიშკოვი, მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა: მთელი ხალხისათვის ცოდნის მიცემა, ან მცოდნეთა განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტის ყოლა სახელმწიფოში იქნებოდა უფრო მეტად საზიანო, ვიდრე სასარგებლო.

მაგრამ ვითარება თვით ცარიზმს აიძულებდა განათლებაზე მისივე შეხედულების საწინააღმდეგოდ ემოქმედა. კაპიტალისტური ურთიერთობის თანდათანობითი ზრდის ვითარებაში, როცა ფართოვდებოდა ქალაქები, ვაჭრობა და მრეწველობა წინ მიიწევდა, როცა მსხვილი სახელმწიფოებრივი აპარატი და ეკონომიკის სხვადასხვა დარგები მეტი რაოდენობის კვალიფიციურ სპეციალისტებს მოითხოვდნენ, იქმნებოდა ინტელიგენციის ეროვნული კადრების ზრდის გარდუვალი საჭი-

როება. ამ მოთხოვნათა შესაბამისად მაინც ყალიბდებოდნენ ახალი ზოგადი და სპეციალური განათლების სასწავლებლები. იზრდებოდა აგრეთვე დაწყებითი სკოლების რიცხვიც. თუ 1800 წელს რუსეთის იმპერიაში სწავლობდა 19915 კაცი, 1824 წლისათვის ეს რაოდენობა 263.223-მდე გაიზარდა, ხოლო 1856 წლისათვის 450 ათასამდე.

მაგრამ ქვეყნის მოთხოვნილებებთან შესაბამისად ეს ზრდა მაინც არა დამაკმაყოფილებელი იყო. 1830 წლისათვის რუსეთში სულ 62 გიმნაზია და 416 სამაზრო სასწავლებელი არსებობდა. 1855 წლისათვის გიმნაზიების რიცხვი 78-მდე გაიზარდა. სამაზრო სასწავლებლებისა 439-მდე. სამრევლო სასწავლებლების ზრდა კიდევ უფრო შეზღუდულად მიმდინარეობდა. 25 წლის მანძილზე მათი რიცხვი მხოლოდ 288-ით გაიზარდა.

XIX საუკ. დასაწყისში განათლების დარგში ლიბერალური რეფორმების ყველაზე თვალსაჩინო შედეგი იყო უმაღლესი სასწავლებლების ქსელის გაფართოება. ამ საუკუნის დამდეგისათვის რუსეთში მხოლოდ ერთი — მოსკოვის უნივერსიტეტი არსებობდა. 1802 წელს გაიხსნა დერპტის უნივერსიტეტი, 1803 წელს —ვილნოსი, 1804 წელს — ყაზანისა, 1805 წელს ხარკოვისა. 1819 წელს პეტერბურგის პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტად გადაკეთდა. 1830 წელს მთავრობამ დაკეტა ვილნოს უნივერსიტეტი და მის სანაცვლოდ გახსნა კიევის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტთან დაახლოებული კურსით მიმდინარეობდა მეცადინეობა ახლად გახსნილ ცარსკოე სელოს, ნეჟინის, დემიდოვის (იაროსლავლი), ოდესის ლიცეუმებში. XIX საუკ. პირველ ნახევარში გაიხსნა სამოქალაქო ინჟინერთა, ტექნოლოგიური, სატყეო, გზათა საინჟინრო ინსტიტუტები, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები.

მთავრობა უნივერსიტეტების და სხვა უმაღლეს სასწავლებლების წინაშე აყენებდა ამოცანას აღეზარდათ ცარიზმისადმი ერთგული ადამიანები. დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებიც იმგვარად

იყო შედგენილი, რომ მათ ახალგაზრდისათვის ღვთიმსმენ-
შობა, თვითმპყრობელური რეჟიმისადმი ერთგულება უნდა
ჩაენერგათ. მაგრამ ცარიზმი ამ მიზანდასახულებას ვერ ახო-
რციელებდა. პირიქით, სწორედ ეს უმაღლესი სასწავლებლე-
ბი — განსაკუთრებით უნივერსიტეტები — ლიბერალური და
დემოკრატიული აზროვნების კერებად ხდებოდნენ და მათში
განსწავლული ახალგაზრდობა იდგა თვითმპყრობელობის წი-
ნააღმდეგ ბრძოლის წინახაზზე. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ
მოსკოვის უნივერსიტეტი XIX საუკ. 30-იანი წლებიდან რე-
ვოლუციურ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ბუდედ იქცა.
აქ სწავლობდნენ გერცენი, ბელინსკი, ოგარევი და სხვები. პე-
ტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდნენ ჩერნი-
შევსკი და დობროლიუბოვი, ცარსკოე სელოს ლიცეუმიდან გა-
მოვიდა ბევრი მომავალი დეკაბრისტი, ყაზანის უნივერსიტეტ-
მა რუსეთს მისცა რევოლუციონერ-რაზნოჩინელთა მრავალ-
შესანიშნავი წარმომადგენელი, ხარკოვის, კიევის უნივერსი-
ტეტებში მომწიფდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-
რაობის თვალსაჩინო ძალები.

მთავრობა ხედავდა რა ამ სასწავლებლებში მისთვის სა-
ზიანო მიმართულებათა გაჩენას, ებრძოდა მათ ყველა საშუა-
ლებებით: სასწავლებლებიდან აძევებდა რევოლუციურად გან-
წყობილ სტუდენტობას და პროფესურას, უხეშად ერეოდა
უნივერსიტეტების ავტონომიაში, ზოგ შემთხვევაში ხურავდა
კიდეც სასწავლებლებს და სხვ. მაგრამ ცარიზმი საბოლოო ან-
გარიშში მაინც უძლური აღმოჩნდა ამოეძირკვა სასწავლებლე-
ბიდან მისთვის საზიანო შეხედულებანი და მიმართულებანი.
შემთხვევითი როდია, რომ XIX საუკ. მეორე ნახევრიდან რუ-
სეთის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობა ანტითვითმპ-
ყრობელური მოძრაობის აქტიური მონაწილე გახდა.

მეცნიერება

XIX საუკ. პირველი ნახევრის მანძილზე რუსეთში, მისი
საერთო ეკონომიურ-კულტურული დაბალი დონის მიუხედავად
წინსვლა-განვითარებას განიცდის რუსული მეცნიერება. ცა-
რიზმი მეცნიერების განვითარებას არ აქცევდა სათანადო ყუ-

რადღებას. ამ უმნიშვნელოვანესი დარგისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში მეტად უმნიშვნელო თანხები იყო გათვალისწინებული. მეცნიერებს, რომლებიც მოწინავე აზრებს ავრცელებდნენ, პირიქით, დევნიდნენ და ავიწროებდნენ.

მეცნიერული აზრის უმნიშვნელოვანეს კერებს ქვეყანაში წარმოადგენდნენ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია და უმაღლესი სასწავლებლები — განსაკუთრებით უნივერსიტეტები. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში — პეტრე პირველის თაოსნობით. იგი სულ მალე გადაიქცა ახალი რუსული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს კერად. XVIII საუკუნეში პეტერბურგის აკადემიაში მიმდინარეობდა გაცხოველებული კვლევა-ძიებითი საქმიანობა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მრავალ დარგში. აქ მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული რუსი მეცნიერები მ. ვ. ლომონოსოვი, ს. პ. კრაშენინიკოვი, ვ. კ. ტრედიაკოვსკი და მრავალი უცხოელი მეცნიერი, რომელთათვისაც რუსეთი მეორე სამშობლოდ იქცა (მაგ. ლ. ეილერი და სხვ.).

XIX საუკ. პირველ ნახევარში რუსეთში სამეცნიერო ასპარეზი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. სამეცნიერო აკადემიის გვერდით კვლევითი მუშაობის კერები აღმოცენდნენ უნივერსიტეტებში, სამეცნიერო საზოგადოებებში, სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში. მეცნიერებათა აკადემია ამ მანძილზე განაგრძობდა თავის სამეცნიერო საქმიანობას, მაგრამ იგი უკვე აღარ წარმოადგენდა მონოპოლიურ სამეცნიერო ცენტრს რუსეთში. ამასთან აკადემიაში თანდათან იკიდებდა ფეხს კარჩაკეტილობა, კასტურობა. მთავრობა აქ განგებ გზავნიდა მისი იდეოლოგიით აღჭურვილ უნიჭო ადამიანებს, რომ ზეგავლენა მოეხდინა მეცნიერული აზრის საერთო მიმართულებაზე. მთავრობის მხრივ ასეთი ღონისძიების მიუხედავად მეცნიერებათა აკადემია მაინც განაგრძობდა სამეცნიერო მოღვაწეობას და რუსულ სამეცნიერო აზრს ამდიდრებდა ახალი მიღწევებით. აკადემიაში მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები — ქიმიკოსები ვ. მ. სევერგინი და ი. დ. ზახაროვი, ფიზიკოსები — ვ. ვ. პეტროვი, ე. ხ. ლენცი, ბ. ს. იაკობი, მათემატიკოსები —

მ. ვ. ოსტროგრადსკი, ვ. ი. ბუნიაკოვსკი, პ. ლ. ჩებიშევი, ბიოლოგები — კ. მ. ბერი, ა. ო. კოვალევსკი და სხვ. 1838 წელს აკადემიასთან დაარსდა პულკოვოს ობსერვატორია, რომელმაც ასტრონომიულ მეცნიერებაში მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენები გაანახორციელა. შეიქმნა ზოოლოგიური, ბოტანიკური, მინერალოგიური მუზეუმები და სხვ.

სამამულო მეცნიერების განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ნებაყოფლობითმა სამეცნიერო საზოგადოებებმა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი XIX საუკ. პირველ ნახევარში აღმოცენდა. ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდნენ რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა მოსკოვის საზოგადოება, ბუნების გამომცდელთა მოსკოვის საზოგადოება, მათემატიკოსთა საზოგადოება, რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოება, პეტერბურგის მინერალოგიური საზოგადოება, არქეოგრაფიული კომისია, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება, რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოება და სხვ.

მსხვილ სამეცნიერო ცენტრებად იქცნენ მოსკოვის, დერპტის, ყაზანის, ხარკოვის, პეტერბურგის უნივერსიტეტები, სადაც უმთავრესად თავმოყრილი იყვნენ პროგრესულად განწყობილი მეცნიერი-მკვლევარები. უნივერსიტეტებში ჩამოყალიბდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სახელგანთქმული რუსული სკოლები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოკვლევები დაიწერა რუსეთის ისტორიის, ენის, ლიტერატურის და სხვა დისციპლინებში.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსული სამეცნიერო აზრის კორიფეთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ნიკოლოზ ივანეს ძე ლობაჩევსკი (1793-1856), ნ. ი. ლობაჩევსკი იყო ღარიბი ჩინოვნიკის შვილი. სწავლობდა ყაზანის გიმნაზიაში, ყაზანის უნივერსიტეტში. 1822 წელს უკვე პროფესორის წოდებით ასწავლიდა ყაზანის უნივერსიტეტში. 1846-1856 წ. იყო ყაზანის სასწავლო ოლქის პოპეჩიტელი, უნივერსიტეტის რექტორი და მაგნიცკის რეაქციულ ლონისძიებათა მიუხედავად, შეძლო ეს უნივერსიტეტი გადაექცია პირველი კლასის უმაღლეს სასწავლებლად.

ლობაჩევსკის ნაშრომებმა მათემატიკის დარგში შექმნეს

მთელი ეპოქა. პრობლემა, რომელზედაც იგი მუშაობდა შეეხებოდა პარალელური ხაზების თეორიას, რაზედაც მანამ უშედეგო იყო მსოფლიოს მათემატიკოსთა კვლევა-ძიება. ამ მუშაობის პროცესში ლობაჩევსკიმ შექმნა ახალი გეომეტრია, ე. წ. სივრცისეული, რომელიც სავსებით განსხვავდებოდა მანამდე ცნობილი და კლასიკურად აღიარებული — ევკლიდური გეომეტრიისაგან. ლობაჩევსკის ეს ახალი სიტყვა მათემატიკურ მეცნიერებაში ხასიათდებოდა დიდი რევოლუციურობით და მან მეცნიერის სიკვდილის შემდეგ მსოფლიო აღიარება ჰპოვა. ლობაჩევსკის აღმოჩენების დიდმა მნიშვნელობამ უკარნახა მეცნიერებს, რომ მისთვის გეომეტრიის კოპერნიკი ეწოდებინათ. მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა ყაზანის უნივერსიტეტში ვერ ეგუებოდა იმ დროს გამეფებულ რეაქციულ ატმოსფეროს. მთავრობა ჩაერია ყაზანის უნივერსიტეტის საქმეებში და იგი რექტორობიდან გადააყენა.

გამოჩენილი რუსი მათემატიკოსი იყო აგრეთვე გ. ვ. ოსტროგრადსკი (1801-1862), რომელიც მათემატიკურ ფიზიკაში მუშაობდა და თავისი ნაშრომებით დიდად გაამდიდრა მათემატიკური მეცნიერების მსოფლიო საგანძური. ოსტროგრადსკი მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი იყო. იგი არჩეული იყო რომის, ტურინის აკადემიების წევრად, პარიზის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მრავალი ამოცანა, რომელზედაც მსოფლიოს მათემატიკოსები დაძაბულად მუშაობდნენ, რამდენიმე წლით ადრე წარმატებით იყო გადაწყვეტილი ოსტროგრადსკის მიერ.

რუსეთის მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი იყო აგრეთვე პ. ლ. ჩებიშევი (1821-1894 წწ.) მისმა ნაშრომებმა მათემატიკასა და გამოყენებით მექანიკაში სახელი გაითქვეს მთელ მსოფლიოში.

XIX საუკ. პირველ ნახევარში რუსეთში მრავალი გამოჩენილი მეცნიერი მუშაობდა ელექტროტექნიკაში, მეტალურგიაში, გამოყენებით ქიმიაში. ფიზიკოსმა ვ. ვ. პეტროვმა ინგლისელ დევიზე ადრე შექმნა ელექტრორკალი, მსოფლიოში ყველაზე მსხვილი გალვანური ბატარეა. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარეს ელექტროენერგეტიკის და ელექტრომეტალურ-

გიის განვითარებას. აკადემიკოსებმა ბ. ს. იაკობმა (1801-1874 წწ.) და ე. ხ. ლენცმა (1804-1865) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ელექტრომაგნიტური მოვლენების შესწავლის საქმეში. იაკობმა მაგ. მსოფლიოში პირველმა შექმნა და გემზე მოაწყო ელექტროძრავა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა მთელი მექანიზმი.

რუსეთის ტექნიკური აზრის წინსვლის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით გამოჩენილ რუს მეტალურგს ინჟინერ პ. პ. ანოსოვს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ლითონების მიკროანალიზს, ინჟინერ დ. კ. ჩერნოვს, რომელმაც დაამუშავა ლითონების დნობის საქმეში კრიტიკული ტემპერატურის თეორია, ვ. ს. პეტროვს რომელმაც გამოიმუშავა ლითონის სიმტკიცის საშუალებანი, პ. ლ. შილინგს, რომელმაც პირველმა შექმნა წყალქვეშა ნაღმების ელექტრონით აფეთქების მეთოდი და შექმნა ელექტრომაგნიტური ტელეგრაფი მორზეზე ხუთი წლით ადრე.

რუსეთის მეტალურგიულ მრეწველობაში XIX საუკ. პირველ ნახევარში მრავალი თვითნასწავლი გამომგონებელი აღმოჩნდა, რომელთაც განახორციელეს მნიშვნელოვანი გამოგონებანი, ან შეიტანეს არა ერთი და ორი რაციონალური წინადადება წარმოების პროცესის გასაუმჯობესებლად; მაგრამ რუტინული ტექნიკის პირობებში და ცარიზმის მოხელეთა ბიუროკრატიული დამოკიდებულების შედეგად ეს გამოგონებანი და წინადადებანი გზას იშვიათად მიიკვლევდნენ და დასამარებას განიცდიდნენ. მაგალითად, თვითნასწავლმა მექანიკოსებმა ინჟინრებმა მამა და შვილმა ე. ა. და მ. ე. ჩერეპანოვებმა ნიჟნი ტაგილის მეტალურგიულ ქარხანაში 1833-1834 წლებში ააგეს რუსეთში პირველი რკინიგზა. ძმებმა დუბინინებმა, რომლებიც მემამულე პანინის ყმები იყვნენ, გამოიგონეს შავი ნავთობის გაწმენდის საშუალებანი, 1823 წელს მოზდოკში ააგეს მსოფლიოში პირველი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. რუსმა ვ. პიატოვმა მთელი რიგი გამოგონებანი განახორციელა ლითონის გლინვის საქმეში და სხვ.

მნიშვნელოვანი წარმატებანი იქნა მოპოვებული სამედიცინო მეცნიერებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოჩენილი რუ-

სი ქირურგის ნ. ი. პიროგოვის მოღვაწეობა. პიროგოვმა, რომელსაც უდიდესი სამედიცინო პრაქტიკა ჰქონდა სევასტოპოლის გმირული დაცვისა და სხვა ომების დროს, შექმნა მთელი სკოლა რუსულ ქირურგიაში. მას ეკუთვნის 12.000 ოპერაცია. უდიდესი გამოცდილება პიროგოვმა განაზოგადა თავის კაპიტალურ ნაშრომებში, რომლებმაც მას მთელ მსოფლიოში გაუთქვეს გამოჩენილი ქირურგ-მეცნიერის სახელი.

სამედიცინო მეცნიერების წინსვლაში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით აგრეთვე ს. პ. ბოტკინს, რომელმაც მსოფლიოში პირველად დაადგინა გულისა და ბრონქიალური ასთმის დიაგნოსტიკა, შეიმუშავა მოძრავი თირკმლის დიაგნოსტიკა და კლინიკა, მ. ი. მოუროვს, ინოზემცევს და სხვ.

XIX საუკ. პირველ ნახევარში რუსეთში დიდ აღმავლობას განიცდის ფილოსოფიური აზრი, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი. მათი ნაშრომები რუსული ფილოსოფიური აზროვნების მატერიალისტური დალაგების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

XIX საუკ. პირველ ნახევარში იწყებს თავის შესანიშნავ სამეცნიერო მოღვაწეობას გამოჩენილი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი (1824-1870).

გეოგრაფიული მეცნიერება დიდად გაამდიდრეს გამოჩენილი რუსი გეოგრაფების და მოგზაურების ლისიანსკის, კრუზენშტეინის, ნეველსკის, პუტიატინის, ლიტკეს, კოცებუს, ვრანგელის, კარელინის და სხვ. აღმოჩენებმა. რუსული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს კარამზინმა, სოლოვიოვმა, ჩიჩერინმა, პოგოდინმა და სხვებმა.

რუსეთის ლიტერატურა XIX საუკ. პირველ ნახევარში

რუსეთის სულიერი ცხოვრების მრავალი დარგიდან XIX საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე მეტი სიდიადით წარმოსდგა ლიტერატურა.[1] დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ

[1] რუსეთის XIX საუკ. ლიტერატურის შესახებ დაწვრილებით ქართულ ენაზე იხ. პროფ. ს. დანელია, ნარკვევები XIX საუკ. რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1955 და „რუსული ლიტერატურის ისტორია", ტ. II, სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებლებისათვის. თბილისი, 1962.

ამ პერიოდში მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ შექმნილა ისეთი ლიტერატურული შედევრები, როგორც რუსეთში, არსად ლიტერატურას არ შეუსრულებია ხალხის გამომაფხიზლებელი და დამრაზმველი ისეთი დიდი როლი, როგორიც მან რუსეთში შეასრულა, მსოფლიო ისტორიის თანავარსკვლავედში არსაიდან არ ყოფილა წარმოდგენილი ისეთი შუქურები, როგორც რუსეთიდან. რუსეთის ლიტერატურის ასეთი ბრწყინვალე წარმატებები, მისი ასეთი მებრძოლი ხასიათი, მისი პოლიტიკური როლი რუსეთის ცხოვრების თავისებურობით, მის სიღრმეში მიმდინარე პროცესებით, ცარიზმის ველური ცენზურის პირობებში მხატვრული სიტყვის ტრიბუნის საყოველთაო — სახალხო დანიშნულებით იყო შეპირობებული. რუსეთის შავბნელ სინამდვილეში მხოლოდ ლიტერატურაში, მიუხედავად თათრული ცენზურისა, არის სიცოცხლე და წინსვლა, ამიტომაა, რომ მწერლის სახელი ჩვენში საპატიოაო — წერდა ბელინსკი.

რუსეთის მწერლები მხატვრულ სიტყვას ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისათვის იმარჯვებდნენ. რუსეთის მწერლობის დროშაზე ყოველთვის იყო წარწერილი ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის დიადი ლოზუნგები. იგი ამხელდა და ამზეურებდა რუსეთის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას, გაბატონებული წრეების შინაგან სიცარიელეს და გათახსირებას, მახვილი თვალებით ეძიებდა ახალ პროგრესულ წამოწყებას ცხოვრებაში, მას ამაყად ეჭირა ხელში ჩირაღდანი და შუქს ჰფენდა ქვეყნის ცხოვრების ყველა კუნჭულს, მოურიდებლად გმობდა ამ კუნძულებში მიმალულ არამზადებს, თავს ევლებოდა დამყაყებულობისა და სიდამპლის ვითარებიდან თავის დაღწევისათვის მებრძოლ ელემენტებს. რუსეთის ლიტერატურა მთელი ამ ხნის განმავლობაში შეუდრეკლად იდგა პროგრესისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ცეცხლის ხაზზე და მისი მძლავრი სიტყვა ჰქუხდა როგორც ვეჩეს ზარი პროგრესისათვის მოწოდებით. თამამად შეიძლება ითქვას ისიც, რომ ლიტერატურას არც ერთი ქვეყნის ცხოვრებაში არ შეუსრულებია ისეთი დიდი საზოგადოებრივი როლი, როგორიც მან რუსეთში შეასრულა.

რუსეთის ლიტერატურის იდეურ-მხატვრული ზეგავლენა მეტად დიდი იყო არა მარტო იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა სულიერ ცხოვრებაზე, არამედ აღმოსავლეთ ევროპის— განსაკუთრებით სლავური სამყაროს სულიერ ცხოვრებაზე. ამ გავლენის შემაპირობებელი იყო რუსული ლიტერატურის მებრძოლი ბუნება, მისი დიდი დემოკრატიული ტრადიციები, მისი შეუპოვარი სწრაფვა პროგრესისა და თავისუფლებისაკენ.

XIX საუკ. პირველი ნახევრის რუსეთში სწრაფად ხდებოდა ლიტერატურულ მიმართულებათა ცვლა, რაც ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიური პროცესებით იყო შეპირობებული.

XIX საუკ. პირველ ათწლეულს რუსეთში XVIII საუკუნიდან შემოჰყვა კლასიციზმი, რომელიც გაბატონებული ლიტერატურული მიმართულება იყო მთელს XVIII საუკუნეში. კლასიციზმი — ეს იყო ერთ-ერთი ადრინდელი მიმართულება ევროპის მხატვრულ ლიტერატურაში, რომელიც ჩამოყალიბდა ფეოდალურიდან ბურჟუაზიულ ფორმაციაში გადასვლის ეპოქაში. რაციონალისტური მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი კლასიციზმმა გადაიტანა ხელოვნების დარგში, მიიჩნია იგი სტიქიურ, ინდივიდუალისტურ ტენდენციებზე მოქალაქეობრივი მოვალეობისა და გონების გამარჯვების ძირითად თემად. მან ბრძოლა გამოუცხადა რელიგიურ-ასკეტურ სქოლასტიკას, წინა პლანზე წამოწია ადამიანის გონება, გამოაცხადა „მშვენიერი“, „გაკეთილშობილებული“ ბუნების იდეალი, ხელოვნებაში ჩასდო დიდი საზოგადოებრივი გმირული შინაარსი. ამ იდეალების სრულყოფილობას კლასიციზმი ანტიკურ სამყაროში ხედავდა და ამიტომაც თავის საზოგადოებრივ-ეთიკური იდეალების გამოსახატავად მიმართავდა ანტიკური კლასიკური ხელოვნების ფორმებსა და ნიმუშებს. კლასიციზმის პირველი სამშობლო იყო საფრანგეთი. რუსეთში ეს მიმართულება მტკიცედ დამკვიდრდა პეტრე პირველის ეპოქაში, როცა აქ ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მემამულეთა და ვაჭართა ნაციონალური სახელმწიფო. კლასიციზმის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ა. პ. სუმაროკოვი, მ. მ. ხერასკოვი, ა. დ. კანტემირი, ვ. კ. ტრედიაკოვსკი, მ. ბ. ლომონოსოვი, უფრო გვიან დ. ი. ფონვიზინი და სხვ.

ივანე ანდრიას ძე კრილოვის (1769-1844) აქტიური ლიტერატურული საქმიანობა XVIII საუკ. 90-იანი წლებიდან იწყება. სხვადასხვა დროს იგი მეთაურობდა ჟურნალების „სულების ფოსტა", „მაყურებელის", „სანკტ-პეტერბურგის მერკურის" გამოცემას, წერდა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, პიესებს, სადაც გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ფეოდალურ ბატონყმური სინამდვილისადმი. მთავრობამ კრილოვს დევნა დაუწყო, დახურა მისი ჟურნალები, მასზე დააწესეს პოლიციური ზედამხედველობა. კრილოვი გაეცალა პეტერბურგს. მისი აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა შეწყდა. მხოლოდ 1801 წლიდან, როცა პავლე I მოჰკლეს და ალექსანდრე პირველმა ერთგვარად მოლიბერალო ღონისძიებათა განხორციელება იწყო, კრილოვი ისევ შეუდგა ინტენსიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას. მალე კრილოვმა სახელი მოიხვეჭა როგორც იგავარაკების უბადლო ოსტატმა. მისი იგავები იბეჭდებოდა ჟურნალებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. იგავარაკის „ეზოპური ენა" კრილოვს საშუალებას აძლევდა თამამად გამოეთქვა თავისი ოპოზიციური შეხედულებანი სინამდვილეზე. ბელინსკის შეფასებით კრილოვის იგავარაკები იყო არა მარტო იგავარაკი—„ეს იყო მოთხრობა, კომედია, იუმორისტული ნარკვევი, მწვავე სატირა, ერთი სიტყვით ყველაფერი და არა მხოლოდ იგავარაკი". კრილოვი ყველასათვის გასაგებად, გულში ჩამწვდომად დასცინოდა საზოგადოებრივ მანკიერებას, ექსპლოატატორული სისტემის მიერ დამკვიდრებულ სიძუნწეს, სიცრუეს, მლიქვნელობას, უმეცრებას, ეგოიზმს, ძლიერთა ყოვლისშემძლეობას. მისი დიდი შემოქმედება, რომელიც ხალხური თქმულებების უხვი წყაროთი-საზრდოობდა, ამავე დროს მის და შემდგომ თაობებზე უდიდესი ზემოქმედების ძალით ხასიათდებოდა, რადგან მისი იგავარაკების მორალური ატმოსფერო ყოველთვის იყო სამშობლოსადმი სიყვარული, თავდადება, სიკეთე, თავმდაბლობა, შრომისადმი პატივისცემა, ჩაგრულებისადმი სიმპათია.

კლასიციზმის გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა დიდი რუსი

მწერლის ა. ს. გრიბოედოვის (1795-1829 წწ.) ლიტერატურული გემოვნებაც. გრიბოედოვი რუსი სენტიმენტალისტების მოწინააღმდეგეთა ჯგუფში იყო გაერთიანებული და დასცინოდა მათ თვალსაზრისს ლიტერატურის დანიშნულებაზე.

გრიბოედოვის შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი დაკავშირებულია თბილისთან. იგი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე. ცხოვრობდა თბილისში 1818 წლიდან. აქ მოიფიქრა მან თავისი უკვდავი კომედია — „ვაი ჭკუისაგან", რომელიც რუსული კლასიკური ლიტერატურის საგანძურში შევიდა როგორც უდიდესი შენაძენი.

„ვაი ჭკუისაგან" თავისი ფორმით კლასიცისტურ ყაიდაზეა დაწერილი, მაგრამ თავისი იდეური შინაარსით რუსული რეალისტური ლიტერატურის დაწყებად გვევლინება. გრიბოედოვმა აქ, როგორც ზევით აღვნიშნავდით, შექმნა მხატვრულად სრულყოფილი გალერეა მისი თანამედროვე ტიპებისა, პასუხი გასცა თავისი ეპოქის მომწიფებულ, ყველაზე უფრო ცხოველმყოფელურ სოციალ-პოლიტიკურ საკითხებზე. აქ გამოჩნდა თვით გრიბოედოვის მთელი სიმპათია იმ ადამიანებისადმი, რომლებიც დასავლურ კულტურაზე აღზრდილნი დაბრუნდნენ რუსეთში და გატაცებით ჩაებნენ რუსული თავადაზნაურული თვითკმაყოფილების, მცონარობის, ჩინისმოყვარეობის, მლიქვნელობის, დამყაყებული ოჯახური ტრადიციების, აღზრდის მანკიერი სისტემის, დამპალი ობივატელური სულისკვეთების წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლად ამ უკვდავ კომედიაში გამოყვანილია მთავარი მოქმედი პირი ჩაცკი, რომლის რევოლუციური სულისკვეთება, მართალია, ჯერ კიდევ გარკვევით ჩამოყალიბებული არაა, მაგრამ გაჟღენთილია რუსეთის რეაქციული გარემოსადმი სიძულვილის, შეურიგებლობისა და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის სულისკვეთებით. ამ მხრივ ჩაცკი დეკაბრისტების ღვიძლ ძმად გვევლინება.

გრიბოედოვის კალამს ეკუთვნის რამდენიმე შესანიშნავი მხატვრული ქმნილება. ბატონყმური რეჟიმისადმი მკვეთრი სიძულვილითაა გამსჭვალული მისი დაუმთავრებელი დრამატული

თხზულება „ქართული ღამე“. ა. გრიბოედოვი ახლო მეგობრობდა და დიდად თანაუგრძნობდა დეკაბრისტებს. იგი იყო დიდი რუსი პატრიოტი, თავისუფალი ცხოვრების მოტრფიალე შემოქმედი, ამავე დროს დიდი მეგობარი საქართველოსი, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრების ყველაზე ინტენსიური შემოქმედებითი პერიოდი.

კლასიციზმის იდეური მოტივებით იყო განმსჭვალული ვ. ა. ოზეროვის შემოქმედება. მისი ტრაგედიები („ოიდიპოსი ათენში“, „დიმიტრი დონელი“ და სხვ.), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ და რუსეთის თეატრების რეპერტუარში წამყვანი ადგილი ეკავათ, პატრიოტულ მოტივებზე იყო აგებული და განსაკუთრებით, ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის პერიოდში ესიტყვებოდნენ რუსი მაყურებლის სულისკვეთებას. ოზეროვის დრამატურგიაში კლასიციზმის გვერდით უკვე მძლავრად იჩენდა თავს სენტიმენტალიზმის გავლენა, რომელიც ამ დროს უკვე მძლავრად იკიდებდა ფეხს რუსეთის ლიტერატურაში და გაბედულად იბრძოდა კლასიციზმის ლიტერატურული ტენდენციების წინააღმდეგ.

სენტიმენტალიზმი XVIII საუკ. მეორე ნახევრის ლიტერატურულ მიმართულებად იქცა ევროპაში. მისი საშობლო იყო ინგლისი. სახელწოდება ლ. სტერნის „სენტიმენტალური მოგზაურობიდან“ მიიღო. სენტიმენტალიზმი აღმავალი ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგია იყო. იგი გაბედულად დაუპირისპირდა თავადაზნაურულ კლასიციზმს და რაციონალიზმს. სენტიმენტალიზმმა კლასიციზმის საპირისპიროდ ლიტერატურაში წინა პლანზე დააყენა ადამიანის მე, მისი შინაგანი განცდები, სინამდვილის შემეცნების წყაროდ მან ნაცვლად გონებისა, გრძნობა გამოაცხადა, გააღვივა ინტერესი ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, შექმნა „გულის რელიგია“.

სენტიმენტალიზმმა ლიტერატურულ პერსონაჟად პირველად გამოიყვანა უბრალო ადამიანები, მოქმედების ადგილი სასახლეებიდან და თავადაზნაურული კოშკებიდან სოფლის მშვიდ, იდილიურ სამყაროში გადაიტანა. აამეტყველა ადამიანები უბრალო ხალხური ენით. ეს იყო თავისებური პროტეს-

ტი სასახლის აზნაურული კოპწიაობისა და ხელოვნურობის წინააღმდეგ.

ახასიათებდა რა ზედმეტი მგრძნობელობა, ცრემლების ფრქვევა, სენტიმენტალიზმმა ადამიანის ფსიქოლოგიური ანალიზის მრავალი საშუალება შეიმუშავა, რითაც ერთგვარად გზა გაუკაფა კიდეც რეალიზმს, მაგრამ ამასთან ერთად ლიტერატურაში შეიტანა ინდივიდუალიზმი, პასიური მეოცნებეობა.

რუსეთში სენტიმენტალიზმისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ჰქმნიდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი. სენტიმენტალიზმის დიდი წარმომადგენელი იყო კარამზინი — ჩვენთვის უკვე ცნობილი ისტორიკოსი, რომელიც ამასთან ერთად იყო თავისი ეპოქის გამოჩენილი ბელეტრისტი, პოეტი და ჟურნალისტი. კარამზინის „საწყალი ლიზა“ სენტიმენტალური მოტივებით დაწერილი პირველი მოთხრობა იყო რუსეთში, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სენტიმენტალიზმის იდეებით იყო გაჟღენთილი აგრეთვე მისი „რუსი მგზავრის წერილები“, რომელიც სტერნის ყაიდაზე იყო დაწერილი.

სენტიმენტალიზმის გავლენას განიცდიდა დიდი რუსი რომანტიკოსი პოეტი ვ. ა. ჟუკოვსკი. მისი პირველი ნაწარმოებები („სოფლის სასაფლაო“) სენტიმენტალურ-ელეგიური განწყობილებით ხასიათდება. კარამზინსა და ჟუკოვსკის გარდა სენტიმენტალიზმი რუსეთში ფართოდ იყო წარმოდგენილი პ. ი. ლეონოვის, ვ. ვ. იზმაილოვის, პ. ი. შალიკოვის (შალიკაშვილის), ი. უ. ნელედინსკ-მელეცკის და სხვ. შემოქმედებაში.

სენტიმენტალიზმმა რუსულ ლიტერატურაში პირველმა გამოიყენა ხალხური ცოცხალი სასაუბრო ენა, იგი გაემიჯნა XVIII საუკ. კლასიციზმის მიმდევართა „მაღალ სტილს“ და ამგვარად ხელი შეუწყო ენის დემოკრატიზაციას. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია რუსული სენტიმენტალიზმის მამამთავრის კარამზინის დამსახურება. კარამზინმა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში უკუაგდო ის საეკლესიო-სლავური სტილი, რომლითაც წერდნენ XVIII საუკუნის პოეტები, ენაში შეიტანა

მრავალი ახალი სიტყვა, რითაც მიაღწია იმას, რომ მხატვრული ნაწარმოები ადვილად გასაგები, მიმზიდველი გახადა მკითხველთა ფართო წრეებისათვის. მისი დევიზი იყო „ერთიანი ლიტერატურული ენა წიგნისათვის და საზოგადოებისათვის, წერა ისე, როგორც ლაპარაკობენ, ლაპარაკი ისე, როგორც წერენ“.

ენის კარამზინისეული რეფორმის წინააღმდეგ გამოვიდნენ თავადაზნაურული კლასიციზმის წარმომადგენლები, რომელთაც რუსული ენისათვის შეურაცხყოფად მიაჩნდათ მისი გადემოკრატიულობა, სასაუბრო ენასთან დაახლოება. ამ კონსერვატორებს სათავეში ჩაუდგა რეაქციონერი, პოლიტიკური რეტროგრადი ადმირალი შიშკოვი, რომელმაც 1811 წელს თანამოაზრეთაგან ჩამოაყალიბა ლიტერატურული ფართო ჯგუფი „რუსული სიტყვის მოყვარულთა საზოგადოება“. შიშკოვის გარშემო გაერთიანდნენ ძველი მიმართულების მწერლები დერჟავინი, შახოვსკოი, კრილოვი, გორჩაკოვი, ხვოსტოვი და სხვ. შიშკოვმა მკვეთრად გაილაშქრა კარამზინის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1803 წ. დაწერილ თხზულებაში „რუსული ენის ძველი და ახალი წყობისათვის“. აქ იგი ამტკიცებდა, რომ ენა ერს ზეციდან აქვს მინიჭებული და მასში რაიმე ცვლილების შეტანა ენის გარყვნას ემსახურება. კარამზინის ღონისძიებებს შიშკოვი უკავშირებდა საფრანგეთის რევოლუციური იდეების გავრცელების საშიშროებას და თვით კარამზინს რუსეთის სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის მტრად აცხადებდა. ამ ლიტერატურული საზოგადოების წევრმა შახოვსკოიმ კომედიაში „ახალი სტერნი“ სასაცილოდ აიგდო კარამზინი.

რეაქციონერთა შემოტევას კარამზინისტებმა საკადრისი პასუხი გასცეს. 1815 წელს ჩამოყალიბდა ლიტერატურული საზოგადოება „არზამასი“, რომელშიც კარამზინთან ერთად შევიდნენ ვიაზემსკი, ბატიუშკოვი, ძმები ტურგენევები, ვასილ პუშკინი, ორლოვი, დაშკოვი, ბლუდოვი და სხვები. ამ ლიტერატურულ საზოგადოებაში მონაწილეობდა მაშინ ახალგაზრდა ალექსანდრე პუშკინიც. ბრძოლამ ამ ორ ლიტერატურულ მიმართულებას შორის მწვავე ხასიათი მიიღო. არზამასისტებმა მოიმარჯვეს მახვილი იუმორი თავიანთი მტრების წინააღმდეგ

და ამხილეს მათი უნიადაგობა. არზამასი ცხოველ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. ძველი და ახალი თაობის ამ ბრძოლაში უპირატესობას ახალი მიმართულება იკავებდა, ამასთან რუსული ლიტერატურა მდიდრდებოდა ახალი მხატვრული ქმნილებებით, ახალი აზრებით საზოგადოების მიმართ ლიტერატურის დანიშნულებაზე.

XIX საუკ. დასაწყისიდან რუსეთის ლიტერატურაში სენტიმენტალიზმის გვერდით ფეხი მოიკიდა რომანტიზმმა, რომელიც ამ დროისათვის თითქმის გაბატონებული ლიტერატურული მიმართულება იყო დასავლეთ ევროპაში.

რომანტიზმის იდეურ წყაროს წარმოადგენდა ის საერთო გულგატეხილობა, რომელიც ევროპის საზოგადოებრიობას საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაეუფლა. საფრანგეთის რევოლუციამ დაამხო ფეოდალური აბსოლუტიზმი, ძირფესვიანად შეარყია თავადაზნაურული კლასის ბატონობა, მოსპო მათი პრივილეგიები. რევოლუციის შემდგომი სინამდვილისადმი ეს გულგატეხილობა გამოვლინდა მხატვრულ ლიტერატურაში და გამოიხატა განმანათლებლური იდეებისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში.

კ. მარქსი რომანტიზმს ახასიათებდა როგორც რეაქციას საფრანგეთის რევოლუციისა და მასთან დაკავშირებულ განმანათლებლობისადმი.

უკმაყოფილონი იყვნენ რა ემპირული სინამდვილით, რომანტიკოსებმა ზურგი შეაქციეს მას, დაიწყეს წარსულის იდეალიზაცია, რეალური გარემოს ნაცვლად ოცნებით შექმნეს იდეალური სამყარო, ყველაფერი საკუთარ „მეს“, თავიანთ განცდებს დაუქვემდებარეს, დაიწყეს გლოვა და ჩივილი დაკარგულის გამო და კეთილი სურვილებისა და ოცნების ნისლში გახვეულ ირეალურ სამყაროში გადასროლილი აღმოჩნდნენ. ამასთანავე რომანტიზმი თავისი ბუნებით ერთგვარი, მწყობრი ლიტერატურული მიმართულება არ ყოფილა. თუ ერთმა ნაწილმა რომანტიკოსი მწერლებისა აწმყოში ყველაფერი დაკარგულად მიიჩნია და წარსულის, აწ დაკარგულის იდეალიზაცია დაიწყო, მეორე ნაწილმა მთელი იმედები მომავალზე გადაი-

ტანა, მასზე დაამყარა თავისი ოცნებების განხორციელების იმედები. ასე გაჩნდა რომანტიზმში ორი მიმართულება პასიური და აქტიური, ან რეაქციული და რევოლუციური, აქტიური, რევოლუციური რომანტიზმის ბუნება მებრძოლი აღმოჩნდა, იგი გაბედულად შეებრძოლა სინამდვილეს და რევოლუციური ენთუზიაზმის სულისკვეთება წამოაყენა. ევროპაში რეაქციული რომანტიზმის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ შატობრიანი, ნოვალისი, ტიკა და სხვ. რევოლუციურისა — შელი, ბაირონი.

რუსეთში რეაქციული რომანტიზმის ტიპიურ წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს ჟუკოვსკი. რევოლუციური რომანტიზმის ელემენტები კი მოცემულია დეკაბრისტულ ლიტერატურაში, იგი დამახასიათებელი იყო აგრეთვე პუშკინის და ლერმონტოვის შემოქმედების ადრეული პერიოდებისათვისაც.

ვასილ ანდრიას ძე ჟუკოვსკი რუსეთის მაღალ არისტოკრატიულ წრეებში ტრიალებდა. ჯერ იგი მასწავლებლად მიიწვიეს სასახლეში, ხოლო 1827 წელს მიანდეს ტახტის მემკვიდრის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის აღზრდა. მისი პოლიტიკური მრწამსი საკუთარი ეგუებოდა თვითმპყრობელობას. პარლამენტარიზმი, სახალხო წარმომადგენლობა სისულელედ მიაჩნდა.

ჟუკოვსკი სასახლეში სამსახურთან ერთად აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. რუსეთის ლიტერატურა მან გაამდიდრა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების მაღალმხატვრული თარგმანებით. მისი ორიგინალური პოეზია რომანტიკული ელფერით ხასიათდებოდა, უჩიოდა ამქვეყნიური ცხოვრების არარაობას, ამჟღავნებდა მუდმივი სევდის, ცხოვრებისაგან განდგომის ტენდენციებს. ძირითადი თემა მისი ლირიკული ლექსებისა იყო უიმედო სიყვარული, მისი ბალადები აღსავსეა შიშით, მოჩვენებებით, ეშმაკებით, მომაკვდავებით. მოქმედების ტრადიციული დროა ღამე, ადგილი — სასაფლაო.

ჟუკოვსკის პოეზია თანამედროვეებზე დიდ გავლენას ახდენდა. მისი ლექსი გამოირჩეოდა სიმსუბუქით, ადამიანურ-

განცდების მაღალმხატვრულად გადმოცემის უნარით. ბელინსკი ჟუკოვსკის უწოდებდა იმ ლიტერატურულ კოლუმბს, რომელმაც აღმოაჩინა რომანტიკული პოეზიის ამერიკა. მას ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა.

XIX საუკ. პირველი ნახევრის რუს რომანტიკოსებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე კუკოლნიკი, ბესტუჟევ-მარლინსკი, ზაგოსკინი, ოდოევსკი, ბარიატინსკი, პოლევოი და სხვები.

რევოლუციური რომანტიზმის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი შემოქმედება პოეტი დეკაბრისტებისა, რომელთა საუკეთესო წარმომადგენლებად შეიძლება ჩაითვალონ: კ. თ. რილეევი, ა. ი. ოდოევსკი, ვ. ფ. რაევსკი, ვ. კ. კუხელბეკერი და სხვები.

დეკაბრისტთა ცნობილი ლიდერის კ. თ. რილეევის შემოქმედებითი დებიუტი 1820 წელს არაკჩეევის წინააღმდეგ მიმართული ოდით დაიწყო. ახალგაზრდა პოეტმა ამ ლექსში უდიდესი გაბედულება გამოიჩინა და მრისხანედ აღიმაღლა ხმა რუსეთის ტირანის არაკჩეევის წინააღმდეგ, რომელიც მთელ ქვეყანას შიშის ზარს სცემდა.

რილეევის მთელი შემდგომი ლიტერატურული მოღვაწეობა რუსეთის სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა. პოეზიის დანიშნულებას რილეევი დაჩაგრული ხალხისადმი სამსახურში ხედავდა. იგი მას გამოყენებული ჰქონდა ბასრ იარაღად თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ; მას სწამდა, რომ იგი პირველ რიგში მოქალაქეა და მისი პოეზიაც მოწოდებულია ემსახუროს საზოგადოების პროგრესის საქმეს. კ. რილეევის მრავალი ლექსი, რომელთა დაბეჭდვა მაშინ შეუძლებელი იყო, ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა რუსეთში. ისინი შეიცავდნენ პირდაპირ საჯანყებო მოწოდებას ტირანიის წინააღმდეგ:

„С самопалом и булатом,
С пылкой храбростью в сердцах,
Смело, други, брат за братом
На лихих своих конях,
Смело грянем за свободу,
Оградив себя крестом.

Возвратим права народу
Иль со славою умрем".

— წერდა ერთერთ თავის მომწოდებელ ლექსში პოეტი. რილეევს ღრმად სწამდა, რომ თავისუფლება არ მოიპოვება ბრძოლის, სისხლისღვრის, მსხვერპლის გარეშე. ამ მსხვერპლს დიდი იდეებისათვის პოეტი კანონიერად თვლიდა და თანამედროვეებს განაწყობდა საბრძოლო შემართებისათვის, მას შეუძლებლად მიაჩნდა მოწინააღმდეგე კლასების ინტერესთა შერიგება.

,,Нет примирения, нет условии
Между тираном и рабом:
Тут надо не чернил, а крови!
Нам надо действовать мечом".

პოეტმა დეკაბრისტებმა რუსეთის ლიტერატურაში მოიტანეს მოწინავე, რევოლუციური იდეები. ცხოველმყოფელი პოლიტიკური საკითხები პოეზიასა და პროზაში თანდათან გაბატონდა. რუსული ლიტერატურა გაბედულად დადგა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საცეცხლე პოზიციაზე. პოეზიაში ამ შესანიშნავი თაობის დიდი ტრიბუნი და მედროშე გახდა გენიალური რუსი პოეტი ალექსანდრე სერგის ძე პუშკინი.

ა. პ უ შ კ ი ნ ი (1799—1837) უდიდესი მოვლენაა რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაში. იგი სამართლიანად ითვლება ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებლად, ახალი რუსული ენის შემქმნელად, მისი შემოქმედება მსოფლიოში ყველაზე პროგრესული ლიტერატურის სათავეა.

პუშკინის უდიდეს მნიშვნელობას რუსული ლიტერატურისათვის ერთხმად აღიარებდნენ მისი თანამედროვეენი. „პუშკინი იყო თავისი დროის არა მარტო დიდი რუსი პოეტი — ამბობდა ბელინსკი,—არამედ ყველა ხალხის და ყველა საუკუნის დიდი პოეტიც, ევროპის გენია, მსოფლიოს დიდება". „პუშკინის სახელის ხსენებასთან იმ წუთშივე გაიელვებს აზრი რუს ნაციონალურ პოეტზე. მართლაც ჩვენი პოეტებიდან არავინ დგას მასზე მაღლა და არც შეიძლება უფრო მეტად იწოდებოდეს ნაციონალურ პოეტად. ეს უფლება მტკიცედ ეკუთვნის მას...

მასშია რუსული ბუნება, რუსული სული, რუსული ენა, რუ-
სული ხასიათიო“ — წერდა გოგოლი.

პუშკინი შეურიგებელი სიძულვილით იყო განმსჭვალული ალექსანდრე პირველისა და ნიკოლოზ პირველის რეჟიმისადმი. იგი უახლოესი მეგობარი იყო დეკაბრისტებისა, მაგრამ თუ მათს ფარულ ორგანიზაციაში არ აღმოჩნდა, ალბათ იმიტომ, რომ მეგობრები განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ მას, არ სურდათ რისკი გაეწიათ რუსეთისათვის ასეთი გენიალური ადამიანის სიცოცხლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პუშკინი ფარული საზოგადოების წევრი არ ყოფილა, იგი მაინც მათ პოეტურ ტრიბუნას წარმოადგენდა. მისი ლექსები აღაფრთოვანებდა მებრძოლთა სულისკვეთებას, ზეპირად იცოდა იგი რევოლუციურმა თაობამ.

ეს სიძულვილი ტირანიისადმი ბოლომდე გაჰყვა პოეტს. ამის გამო იგი მუდმივ დევნას, შევიწროებას განიცდიდა. თავის ლექსებში („ჩაადაევის მიმართ“, „თავისუფლება“, „სოფელი“, ზღაპრები და სხვ.) პუშკინი გატაცებით უმღერდა თავისუფლებას, რომლის მოპოვება მას სწამდა, უმღერდა თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, რუს ხალხს, მის შეურყვნელ ხასიათს, ამასხარავებდა მეფე-დესპოტს, ცბიერსა და მატყუარა ალექსანდრე პირველს.

პუშკინი დიდხანს არ მოღვაწეობდა ლიტერატურის სარბიელზე. ნიკოლოზ პირველის სულშემხუთველმა რეჟიმმა ახალგაზრდულ ასაკში იმსხვერპლა ეს გენიოსი პოეტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას დარჩა უდიდესი მემკვიდრეობა. რუსული ლიტერატურის ყველა ჟანრის განვითარებაში პუშკინმა უდიდესი წვლილი შეიტანა. მისი ლირიკა იყო რუსული სულის სწორუპოვარი ამეტყველება და ასევე დარჩა მის შემდეგაც. მის ეპოსში აისახა არა მარტო რუსი ხალხის გმირული წარსული, არამედ თანამედროვეობის ცხოველმყოფელი საკითხები, მის მიერ გამოკვეთილი ტიპები მტკიცედ დამკვიდრდა ლიტერატურაში. მისი „ევგენი ონეგინი“, მაგალითად, სამართლიანად იქნა აღიარებული რუსული ცხოვრების ენციკლოპედიად. ასევე დიდი მოვლენა იყო პუშკინის პროზა, რომელიც რუსუ-

ლი პროზის მარგალიტად არის მიჩნეული. პუშკინის ზღაპრები გაჟღენთილი იყო რუსი ხალხისადმი უფაქიზესი სიყვარულის, მისი ეროვნული ტრადიციებისადმი ტრფიალების, რუსეთის მჩაგვრელებისადმი, ბიუროკრატ-ჩინოვნიკებისადმი, მებატონე აზნაურებისადმი სიძულვილის სულისკვეთებით, განუზომლად დიდია პუშკინი აგრეთვე როგორც რუსული დრამების ოსტატი. უაღრესად ბასრი იყო დიდი პოეტის ეპიგრამებიც, სადაც იგი დასცინოდა ტირან მეფესა და მის უნიჭო მოხელეებს, სასახლის გაბერილი არისტოკრატიის გონებრივ შეზღუდულობასა და გარყვნილებას.

პუშკინის მრავალფეროვანი და მაღალი შემოქმედების უშრეტი წყარო ხალხური პოეზიიდან-თქმულებებიდან, ზღაპრებიდან მოედინებოდა. ხალხის სიბრძნის წიაღში შექმნილ შემოქმედებას დიდი პოეტი თავის ლაბორატორიაში ამუშავებდა. მისი გენიის ქურაში ატარებდა და ამაღლებულს, თანამედროვეობის სულისკვეთებით გაჟღენთილს ისევ ხალხს უბრუნებდა.

განსაკუთრებული როლი ეკუთვნის პუშკინს ახალი რუსული ნაციონალური სალიტერატურო ენის შექმნაში. ახალი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა, როგორც ვნახეთ, ჯერ კარამზინმა წამოიწყო, მაგრამ პუშკინმა ამ მხრივ გააკეთა უდიდესი საქმე, რაც მთელი თაობის შრომასაც კი დააშვენებდა. ახალ სალიტერატურო ენას მან საფუძვლად დაუდო ხალხის ცოცხალი სალაპარაკო ენა, დაამსხვრია ის ზღუდეები, რომელიც მანამ ხალხსა და სლავურ-საეკლესიო ენაზე მოლაპარაკე თავადაზნაურულ მწერლობას შორის არსებობდა. ამით პუშკინმა გააფართოვა მკითხველთა არე, არაჩვეულებრივად გაზარდა ლიტერატურის ჰორიზონტი, ხელი შეუწყო რუსული კულტურის მონაპოვარის ხალხში გატანას, მის ზემოქმედებას რუსეთის ხალხებისა და ევროპის კულტურულ განვითარებაზე.

უდიდესი იყო პუშკინის ზეგავლენა თანამედროვეობაზე, მის მომდევნო თაობებზე. ბელინსკი შენიშნავს, რომ „პუშკინის ენერგიული, მძლავრი, გულისწყრომით აღსავსე ხმა, მისი მგზნებარე, კეთილშობილური პათოსით განმსჭვალული სიტყვა

აღვივებდა რუსეთის საუკეთესო შვილთა შეგნებას, ადიდებდა თავისუფლებას, გმობდა მეფის თვითმპყრობელობის უხამსობას, ცეცხლს აღუგზნებდა გულში ადამიანებს, ასულდგმულებდა მათს რწმენას წყვდიადზე მზის გამარჯვებისადმი".

პუშკინის შემოქმედება, რომლის ადრეული პერიოდი რევოლუციური რომანტიზმის გავლენით ხასიათდებოდა, შემდეგ ჩამოყალიბდა და განმტკიცდა რეალიზმის ჩარჩოებში. რეალიზმი რუსულ ლიტერატურაში თავის სათავეს პუშკინიდან იღებს. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა თუნდაც მისი „ევგენი ონეგინი", რომელიც ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ არის ამ ეპოქაში რუსული საზოგადოების პოეტური ნამდვილი სურათი.

რუსული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ს. დანელია, პუშკინი იყო უდიდესი მნათობი და როგორც ასეთს მას მრავალი თანამგზავრი ჰყავდა. პუშკინის ამ პლეადას ეკუთვნოდნენ დელვიგი, იაზიკოვი, ბარიატინსკი, ვიაზემსკი, ვენევიტინოვი, რილეევი, ტიუტჩევი, პოლეჟაევი, ტუმანსკი და სხვ.[1]

მ. ი. ლერმონტოვი. პუშკინის ღირსეულ მემკვიდრეს რუსეთის XIX საუკ. პირველი ნახევრის ლიტერატურაში წარმოადგენდა მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი. მისი ბრწყინვალე ლიტერატურული კარიერა დაიწყო პუშკინის დუელში მოკვლის გამო დაწერილი მრისხანე ლექსით („პოეტის სიკვდილი") სადაც პოეტმა ფარდა ახადა ცარიზმის შავბნელ საქმიანობას, ცხადჰყო მათი დანაშაული პუშკინის მოსპობაში. პუშკინის უდროო დაღუპვით გულმოკლული რუსი საზოგადოებრიობისთვის ეს ლექსი ასრულებდა პროკლამაციის როლს, სადაც მაღალი პოეტური მგზნებარებით, უდიდესი გამბედაობით იყო დახატული პოეტის მკვლელი სასახლის კამარილია, მათი სისხლიანი ხელი. ახალგაზრდა პოეტს მოაზროვნე რუსეთი აღტაცებით შეხვდა, დაინახა მასში პუშკინის ნიჭის თანაბარი, ღი-

---

[1] პროფ. ს. დანელია, ნარკვევები XIX საუკ. რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1955 წ. გვ. 175.

რსეული მემკვიდრე. გერცენი წერდა რომ „პისტოლეტიდან გასროლამ, რომელმაც მოჰკლა პუშკინი, გააღვიძა ლერმონტოვის სული“.

ამ ლექსის გამო ლერმონტოვი დააპატიმრეს. მის საქმეს იძიებდა ნიკოლოზ პირველი, რომელმაც ახალგაზრდა პოეტი იმით დასაჯა, რომ გააძევა კავკასიის ფრონტზე შიმილის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლერმონტოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლებში, მრავალჯერ ისახელა თავი, თუმცა ცარიზმისაგან ვერავითარი ჯილდო ვერ დაიმსახურა. ლერმონტოვი ცხოვრობდა თბილისში. აქ დაუახლოვდა იგი გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს: ალ. ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკ. ბარათაშვილს. ამ დროს იგი ინტენსიურად მუშაობდა. მისი ლექსები და პოემები, რომლებიც რუსულ პროგრესულ ჟურნალებში ქვეყნდებოდა, იწვევდა მკითხველთა აღტაცებას. ბელინსკი აღფრთოვანებული იყო ლერმონტოვის მაღალი პოეტური ტალანტით. ბოტკინს იგი წერდა: „საშიშია ამის თქმა, მაგრამ მე მგონია, რომ ამ ახალგაზრდაში ჩზადდება მესამე რუსი პოეტი და რომ პუშკინი არ მომკვდარა მემკვიდრის გარეშე“.

გავლენიანი პირების შუამდგომლობით ლერმონტოვმა 1838 წელს მოახერხა პეტერბურგში დაბრუნება. ამ დროს იგი ცნობილი პოეტია და დედაქალაქის ლიტერატურული საზოგადოებრიობა აღტაცებით ეგებება. ინტენსიურად მუშაობს პოეტი. იგი ამთავრებს თავის გენიალურ პოემას „დემონს“ და რომანს „ჩვენი დროის გმირი“, რომელიც ეპოქალური მოვლენა იყო რუსულ ლიტერატურაში. წერს ლირიკულ ლექსებს. მაგრამ პოეტს არ დასცალდა პეტერბურგში ყოფნა. საფრანგეთის ელჩ დე ბარანტის შვილთან დუელის გამო პოეტი ისევ გადაასახლეს კავკასიაში, სადაც იგი მონაწილეობდა მთიელთა წინააღმდეგ რუსეთის არმიის სისხლისმღვრელ ბრძოლებში. 1841 წელს თებერვალში მიიღო სამთვიანი შვებულება და ისევ დაბრუნდა დედაქალაქში; ნიკოლოზმა პოეტს ნება არ დართო გაეგრძელებინა შვებულება. აპრილში იგი ისევ კავკასიაში დააბრუნეს. პიატიგორსკში, სადაც ლერმონტოვი მცირე ხნით ისვენებდა

და ყოყოჩა აზნაურების წრეში მოხვდა, ბენკენდორფის ფარული წაქეზებით განგებ გააბეს ინტრიგებში, რასაც დუელი მოჰყვა და ახალგაზრდა პოეტი იმსხვერპლა კიდეც. ლერმონტოვის მკვლელობა ცარიზმმა მოამზადა ისევე ფარულად და ვერაგულად, როგორც პუშკინისა. ამ ბნელი საქმეების ინიციატორი იყო ბენკენდორფი.

ლერმონტოვი ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელია დეკაბრისტთა შემდგომი იმ თაობისა, რომელმაც თავის მოწოდებად რუსეთის დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა. თავის შესანიშნავი ლექსებით მებრძოლ რუსეთს ლერმონტოვი მოევლინა როგორც მგზნებარე ტრიბუნი, რომელმაც მისი ეპოქის მტკივნეული საკითხები შეიტანა ლიტერატურაში. მან მოურიდებლად გამოამზეურა თავადაზნაურულ-ბატონყმური რუსეთის წყლულები — დაჰგმო აქ გამეფებული ეგოიზმი, გაიძვერობა, გაუტანლობა, აპათია, მისი თაობისაგან მოითხოვა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება. იგი თანაუგრძნობდა მასობრივ აჯანყებებს ნიკოლოზისეული რეჟიმის წინააღმდეგ, მიესალმებოდა ივლისის რევოლუციას საფრანგეთში მისი დაუცხრომელი მეამბოხური სული დემონის სახით იცავდა ადამიანის უფლებას თავისუფლებაზე.

მ. ი. ლერმონტოვის შემოქმედებითი გზა რევოლუციური რომანტიზმით დაიწყო, მაგრამ შემდეგ მასში ჩამოყალიბდა დიდი რეალისტი. მის პოეზიაში ადრინდელ ეტაპზეც კი სინამდვილის რომანტიკული აღქმა იყო შერწყმული მისწრაფებასთან აესახა კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე, დაეხატა ცხოვრების მართალი სურათები. მისი „ბოროდინო“ — ესაა ღრმად რეალისტური სახალხო თხრობა რუსეთის სახელოვან წარსულზე, მის შვილთა სიმამაცესა და გმირობაზე, მგზნებარე პატრიოტიზმზე. ნაციონალურ-პატრიოტული მოტივი ედო საფუძვლად მის შესანიშნავ რეალისტურ-ეპიკურ პოემას „სიმღერა მეფე ივანე ვასილის ძის შესახებ“, სადაც პოეტმა გამოკვეთა ივანე მრისხანის ძლევამოსილი ფიგურა და დახატა XVI საუკუნის მოსკოვის სახელმწიფო თავისი ჩვეულებითა და სულისკვეთებით.

ლერმონტოვის რეალიზმი ყველაზე გამოკვეთილად გამომჟღავნდა რომანში „ჩვენი დროის გმირი“, რომელიც XIX საუკ. მსოფლიო პროზის მარგალიტს წარმოადგენს. მწერალმა აქ დააყენა თანამედროვეობის უაღრესად აქტუალური საზოგადოებრივი საკითხები, ოსტატურად დახატა ის გარემო, სადაც ნიჭიერი, ბუნებით კეთილი ადამიანებისათვის დახშული იყო შემოქმედებითი საქმიანობის, ნიჭისა და უნარის გამოყენების გზა და სადაც ისინი სასარგებლო საქმიანობის ნაცვლად ქვეყნის, ადამიანების საზიანოდ წარმართავდნენ თავიანთ ენერგიას.

ლერმონტოვი ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდა რუსეთის წიაღში მზარდ რევოლუციურ ძალებს და თავისი გმირებისათვის არ შეეძლო მიეთითებინა თუ რა საქმისათვის მოეხმარებინათ თავიანთი დაგუბებული ენერგია. რუსულ ლიტერატურაში იგი უკვე ამთავრებდა თავადაზნაურული რევოლუციურობის ეტაპს და გაბედული ნაბიჯებით მიისწრაფვოდა რევოლუციურ დემოკრატიული ბანაკისაკენ. ამ გზაზე შეწყდა დიდი შემომქმედის სიცოცხლე, მაგრამ დარჩა იმდენად დიდი და ზეგავლენის ძალის მქონე მემკვიდრეობა, რომ მან ორმოციანი წლების რუსული ლიტერატურა მნიშვნელოვნად წასწია წინ, ხელი შეუწყო მასში კრიტიკული რეალიზმის საბოლოო გამარჯვებას.

ნ. ვ. გოგოლი. XIX საუკ. 40-იანი წლების დიდი რომანისტების მამას წარმოადგენს ნ. გოგოლი (1809-1852), რომლის შემოქმედება რუსული სინამდვილის უტყუარი სარკეა და რომლის შესახებ სამართლიანად თქვა ჩერნიშევსკიმ: „დიდი ხანია უკვე მსოფლიოში არ ყოფილა მწერალი, რომელიც ისე მნიშვნელოვანი ყოფილიყოს თავისი ხალხისათვის, როგორც გოგოლი იყო რუსეთისათვის“.

გოგოლი სამწერლო ასპარეზზე ნიკოლოზ პირველის შავბნელი რეაქციის პერიოდში გამოვიდა. იგი ცოცხალი მოწმე იყო თავადაზნაურულ-ბატონყმური რუსეთის მძაფრი კრიზისისა, მისი გაბატონებული ზედაფენის მორალური გათახსირებისა და გადაგვარებისა, მისი მოხელეების უსირცხვილო ქურდობისა და მექრთამეობისა. სულისშემხუთველ ატმოს-

ფეროში გზა ჰქონდა დახშული ჭეშმარიტ ნიჭს, იდევნებოდა პატიოსნება, მთელს რუსეთს მუმლივით ეხვევნენ და ღრღნიდნენ დიდი და პატარა ქურდები, აფერისტები. ამ ვითარებაში უდიდესი გმირობა იყო (ამიტომაც გოგოლი მწერალს გმირს უწოდებდა) აშმორებულ მორევში ხელის დარევა და მასში მომრავლებული მახინჯების მზის სინათლეზე გამოტანა. ეს იყო ამბოხება იმ საზოგადოებრიობის წინააღმდეგ, რომელსაც ხელში ჰქონდა მთელი ძალაუფლება და ულმობლად იყენებდა კიდეც ყველა კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის წინააღმდეგ. გოგოლი ტიტანური ძალით შეებრძოლა ბატონყმურ ურჩხულს და მას სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. მისმა გენიალურმა რეალისტურმა მხატვრულმა ტილოებმა ბურუსიდან გამოიყვანა მრავალი ადამიანი, რომლებიც იმდენად იყვნენ შეჩვეული ამ მოწამლულ ატმოსფეროს, რომ იგი ნორმალურად ეჩვენებოდათ, მან ააფორიაქა მთელი რუსეთი, უკიდურესობამდე გააბოროტა ისინი, ვინც ამ ტილოებში საკუთარი თავი დაინახეს, ხოლო აღტაცებაში მოიყვანა ისინი, რომელთაც ამ საზოგადოებრიობის მანკიერება შეგნებული ჰქონდათ და მხარდამჭერად ისეთი ენაბასრი, გენიალური მესიტყვე და მხატვარი სჭიროდათ, როგორიც იყო გოგოლი. „რევიზორის“ წარმოდგენის შემდეგ ნიკოლოზ პირველმა თქვა: „ყველას მოხვდა, ხოლო ყველაზე მეტად მეო“.

გოგოლი კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი და მამამთავარი იყო რუსულ ლიტერატურაში. მან არა მარტო ასახა თავისი ეპოქა, არამედ მას სათანადო მსჯავრიც გამოუტანა. გოგოლმა ცხადჰყო ამ სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის დაღუპვის აუცილებლობა, თუმცა ვერ მიუთითა სწორ გზებსა და მეთოდებზე, რომლებიც მას დაასამარებდნენ. აქ თავი იჩინა გოგოლის კლასობრივმა შეზღუდულობამ, მისმა მერყეობამ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში, შემარიგებლობამ სინამდვილისადმი, რამაც დიდი მხატვარი გაიყოლია განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა იგი შორს იყო სამშობლოსაგან.

გოგოლი უბადლო ოსტატი იყო ტიპების გამოკვეთისა. იგი ფლობდა გასაოცარ ნიჭს ამა თუ იმ ტიპის ცხოვრების ჩვენე-

ბისას. შეეძლო ხელი ჩაეჭიდა პატარა დამახასიათებელი დეტალისათვის და მისი საშუალებით შეექმნა დასრულებული მხატვრული სახე. მისი გესლიანი იუმორი ყოველთვის ზუსტად ურტყამდა მიზანში. მისი „რევიზორის“ თუ სხვა კომედიების წარმოდგენისას ძალაუნებურად იცინოდა აუდიტორია, რომლის უმრავლესობას შეადგენდნენ კომედიაში გამოყვანილი ტიპები. ისინი დასცინოდნენ თავის თავს. არც ერთი დადებითი პიროვნება არ ჩანდა სცენაზე, მაგრამ დადებითი — რასაც სამართლიანად შენიშნავდა გოგოლი თავისი კრიტიკოსების მისამართით, იყო სწორედ ეს სიცილი, სიცილი საკუთარ თავზე, ამ მოხელურ გადაგვარებულ რუსეთზე.

„არავის არასოდეს მანამდე — წერდა გერცენი გოგოლის შესახებ — არ წაუკითხავს ასე სრული პათოლოგიურ-ანატომიური კურსი რუსი მოხელის შესახებ. იგი ხარხარით, მაგრამ ულმობლად შეიჭრა უწმინდური, ბოროტი ჩინოვნიკური სულის ყველაზე სანუკვარ ხვეულებში“.

„რევიზორსა“ და „მკვდარ სულებში“ გოგოლმა დიდი ძლიერებით დახატა თავადაზნაურულ-მოხელური. რუსეთის ტიპიური სურათი, მწარედ დასცინა ადამიანებს, რომლებიც ამ ცხოვრებაში ვერაფერს ხედავენ დიადს და ამაღლებელს, რომელთაც გონიათ, რომ ოდითგანვე დაწესებულია მათი ბატონობა, ქურდობენ და მიიჩნიათ იგი კანონიერად, მაგრამ პანიკურად ეშინიათ რევიზორისა, რომელიც ისევე მექრთამეა როგორც ყველა სხვა დანარჩენი. ამ საცოდავ ქმნილებებს მხოლოდ სახე აქვთ ადამიანური, გული კი მხეცისა, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ რა სჭამონ დღეს, სიცოცხლეს იმწარებენ უბრალო წალაპარაკებაზე.

გოგოლმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ფეოდალურ ბატონყმური და ბურჟუაზიული ურთიერთობა, გვიჩვენა რომ ამ საზოგადოებაში შეუძლებელია შეიქმნას ნამდვილი ხელოვნება, რომ ხელოვანი იძულებულია ფულზე გაჰყიდოს თავისი ნიჭი. გოგოლმა ჩაიხედა პატარა ადამიანების სულის სიღრმეში, გადაშალა მათი კაცუნური ფილოსოფია, მათი არარაობა. იმავე გოგოლმა შეძლო დაეხატა თავისი ხალხის გმი-

რული წარსული, გაეხსნა სახალხო სულისკვეთების უდიდესი ძალა. ტარას ბულბას სახით გოგოლმა წარმოადგინა სამშობლოსათვის და თავისუფლებისათვის უშიშარი მებრძოლის სახე, რომელიც საერთო სახალხო საქმეს, მამულს, მის პატიოსნებას სწირავს მოღალატე საკუთარ შვილსაც კი.

უდიდესი იყო გოგოლის გავლენა მის თანამედროვე რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაზე. ცნობილი დანიელი ლიტერატურული კრიტიკოსი გიორგი ბრანდესი აღნიშნავდა, რომ გოგოლის შემდეგ რუსულმა ლიტერატურამ დიდად გაუსწრო დასავლეთს და გოგოლის სიმაღლემდე ასვლა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შეძლო მხოლოდ იბსენმა, ხოლო გერმანული დრამა ჯერ კიდევ იქამდე ვერ მიწვდაო.

რუსულ ლიტერატურაში „გოგოლის მიმართულებამ" მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ამ მიმართულებით ჩამოყალიბდა პროგრესულად მოაზროვნე მთელი ჯგუფი მწერლობისა. ამ ჯგუფის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ნ. ა. ნეკრასოვი, ი. ს. ტურგენევი, ი. ა. გონჩაროვი, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, დ. ვ. გრიგოროვიჩი და სხვ. მწერალთა ეს ახალი თაობა შემოქმედებით ასპარეზზე ორმოციანი წლების მიწურულსა და 50-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა და სრულად გაიფურჩქნა 60—70-იან წლებში. მათ შესახებ სხვა დროს გვექნება საუბარი.

რუსეთის ხელოვნება XIX საუკ. პირველ ნახევარში

თეატრი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის თეატრალური ხელოვნება ვითარდებოდა იმ მიმართულებათა გზით, რომლითაც ლიტერატურა ხასიათდებოდა. გადალახარა კლასიციზმი და რომანტიზმი, რუსეთის ლიტერატურამ, როგორც ვნახეთ, მტკიცედ გაიკვლია გზა კრიტიკული რეალიზმისაკენ. ამავე გზით წავიდა რუსული თეატრიც. XIX საუკ. 30—40-იან წლებში რუსულ თეატრში მტკიცედ დამკვიდრდა დემოკრატიზმი. მისი გამარჯვება დაკავშირებულია რუსული დრამატურგიის ისეთი შედევრების სცენაზე გამო-

ტანასთან, როგორიც იყო გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, გოგოლის „რევიზორი“ და სხვები.

XIX საუკ. დასაწყისში რუსულ სცენაზე გაბატონებული იყო „მაღალი ჟანრის“ ხელოვნება. მოდაში იყო კლასიცისტური სტილის პიესები — ოზეროვის „ოიდიპოსი ათენში“, „დიმიტრი დონელი“, კუკოლნიკის „ყოვლისშემძლის ხელმა სამშობლო იხსნა“, ნ. პოლევოის „იგოლკინი — ნოვგოროდელი ვაჭარი“, კრიუკოვსკის „პოჟარსკი“ და სხვ. ეს პიესები წარმოადგენდნენ პეტერბურგის და მოსკოვის თეატრების წამყვან რეპერტუარს. ამ სპექტაკლებში წინ იყო წამოწეული ღვთის ყოვლისშემძლეობა, მეფის კეთილშობილური, მამობრივი როლი. აწეული ტონით, მაღალი პათოსით მიმდინარეობდა სცენაზე თამაში. ეს მიმართულება თეატრალურ ხელოვნებაში რეაქციული თავადაზნაურობის გემოვნებას სავსებით შეესაბამებოდა. ამ დროს გამოჩენილი არტისტები იყვნენ ე. სემენოვა, ი. შუშერინი, ა. იაკოვლევი, კარატიგინი და სხვ.

რუსეთის თეატრალურ ხელოვნებაში კლასიციზმის წინააღმდეგ ბრძოლა და რეალიზმის სცენაზე დამკვიდრება დაკავშირებულია მოსკოვის მცირე თეატრის სახელთან.

მუდმივი თეატრალური დასის ჩამოყალიბება მოსკოვში XVIII საუკ. 50-იან წლებში მოხდა. 1806 წელს აქ შეიქმნა მუდმივი სახაზინო თეატრი. მაგრამ ამ პერიოდში დრამატული დასი საოპერო დასთან იყო გაერთიანებული და ხშირად ერთი და იგივე არტისტი ოპერაშიც გამოდიოდა და დრამატულ სპექტაკლშიც. ოციან წლებში თეატრალური კულტურის განვითარებასთან და მისი საზოგადოებრივი როლის ზრდასთან დაკავშირებით მომწიფდა დრამატული თეატრის საოპეროსაგან გამოყოფის აუცილებლობა.

1824 წელს დრამატული სპექტაკლები გადატანილ იქნა პეტრეს მოედანზე არქიტექტორ ბოვეს პროექტით რეკონსტრუირებულ შენობაში და მას ეწოდა მცირე თეატრი, განსხვავებით იმ დიდი თეატრისაგან, რომელიც ამავე მოედანზე იყო და საოპერო დასს დარჩა. ამ დროიდან იწყებს თავის

სახელოვან ისტორიას მოსკოვის მცირე აკადემიური თეატრი, რომელმაც მსოფლიო თეატრალურ კულტურაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

მცირე თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი დამოუკიდებლად ფორმირების პერიოდში უკვე განიცდიდა რუსეთის დემოკრატიული იდეოლოგიის ზეგავლენას. განსაკუთრებულ გავლენას მასზე ახდენდა ის რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკა, რომლის პროპაგანდისტებად 30—40-იან წლებში გამოვიდნენ გერცენი, ბელინსკი. თეატრმა თავისი მოწოდება იმაში დაინახა, რომ სცენაზე აემეტყველებინა გრიბოედოვის, გოგოლის, ოსტროვსკის ის ტიპები, რომლებიც თავადაზნაურულ-ვაჭრულ-ბიუროკრატიულ რუსეთში ყოველ ნაბიჯზე ბოგინობდნენ და წამლავდნენ საზოგადოებას.

1831 წელს ნოემბერში თეატრმა მაყურებელს უჩვენა გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან". ჩაცკის როლს ანსახიერებდა მოჩალოვი. ეს იყო დიდი საზოგადოებრივი მოვლენა. მოჩალოვმა შესანიშნავად შეძლო ჩაცკის პიროვნებით აესახა ის საყოველთაო პროტესტი, რომელსაც მოწინავე საზოგადოებრიობა გამოსთქვამდა რუსეთის დამყაყებული ცხოვრების გამო. ამავე როლში თეატრალურმა საზოგადოებამ შემდეგ იხილა შჩეპკინი, რომელმაც მძლავრი დემოკრატიული სულისკვეთებით აღჭურვა ჩაცკის პიროვნება და გამოკვეთილად ასახა ის უფსკრული, რომელიც რუსეთის ძველსა და ახალ თაობას შორის იზრდებოდა.

პ ა ვ ლ ე ს ტ ე ფ ა ნ ე ს ძ ე მ ო ჩ ა ლ ო ვ ი (1800—1848) რუსეთის XIX საუკ. პირველი ნახევრის ერთ-ერთი უდიდესი ტრაგიკოსი მსახიობი იყო. პირველ ხანებში კლასიცისტური მიმართულების პიესებში გამოდიოდა. მისი მძლავრი არტისტული ფიგურა განსაკუთრებით გამოჩნდა რომანტიკული ხასიათის როლებში. მან შექმნა უკვდავი სახეები იმ გატაცებული მეამბოხეებისა, რომლებიც უშიშრად იბრძოდნენ უსამართლობის, დამცირების წინააღმდეგ. განმსჭვალული იყვნენ მომავლისადმი რწმენით, დაჯილდოებული იყვნენ მაღალი ადამიანური თვისებებით. რუსულ სცენაზე განასახიერა მრავა-

ლი დაუვიწყარი სახე (ჩაცკისა, ჰამლეტისა, ოტელოსი, რიჩარდ მესამისა და სხვ.).

მდიდარი ინტუიცია, ღრმა ემოციურობა, ნათელი პოეტური ფანტაზია მოჩალოვს საშუალებას აძლევდა სიღრმემდე ჩაწვდომოდა როლს, გაეხსნა გმირის შინაგანი ბუნება, ამავე დროს წინ წამოეწია მისი ჰუმანური მხარე, მებრძოლი ხასიათი. რეაქციული კრიტიკა მოჩალოვის ხელოვნებას განგებ აფუჩეჩებდა, უპირისპირებდა და მასზე მაღლა აყენებდა პეტერბურგელ ტრაგიკოსს კარატიგინს. სამაგიეროდ, მისით მოხიბლული იყო დემოკრატიული ინტელიგენცია. ბელინსკიმ სპეციალური სტატია უძღვნა მოჩალოვის ჰამლეტს.

რუსულ სცენაზე კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება შჩეპკინს ეკუთვნის.

მ. ს. შ ჩ ე პ კ ი ნ ი (1788—1863) წარმოშობით ყმა გლეხი იყო. მისი არტისტული კარიერა პროვინციული სცენებიდან დაიწყო. 1823 წელს მივიდა მოსკოვის მცირე თეატრში და ამ დროიდან გარდაცვალებამდე 40 წლის მანძილზე სცენაზე მრავალი უკვდავი სახე შექმნა.

შჩეპკინი მოსკოვის პროგრესულ-დემოკრატიული ბანაკის შჩქეფარე შემოქმედებით ცხოვრებაში ჩაება. იგი უახლოესი მეგობარი იყო შევჩენკოსი, გოგოლისა, გერცენისა. მთლიანად იზიარებდა რევოლუციურ-დემოკრატიულ თვალსაზრისს ესთეტიკაზე. მან უდიდესი მხატვრული სიმართლით აამეტყველა სცენაზე გრიბოედოვისა და გოგოლის გმირები. შჩეპკინი, რომელიც დაბალი საზოგადოებიდან გამოვიდა, შესანიშნავად იცნობდა ხალხის ცხოვრებას, მის ბუნებას, მის მისწრაფებებს და ყოველივე ამას იგი უდიდესი ოსტატობით ანსახიერებდა სცენაზე. შჩეპკინი დასცინოდა იმ არაბუნებრივ, ყალბ პათოსს, რომლითაც კლასიცისტური სტილის მსახიობები ხასიათდებოდნენ. ბუნებრიობა, მოქმედი პირის ჩვენება ისე, როგორც იგი ყოველდღიურ ცხოვრებაშია, შჩეპკინის შემოქმედების დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა. ადამიანი მასაში უნდა შევისწავლოთ, ჩავძვრეთ მოქმედი პირის ტყავში, შევითვისოთ მისი იდეები — ამბობდა შჩეპკინი. ხელოვ-

ნება იმდენად მაღალია, რამდენადაც იგი ახლოა ბუნებასთან — ასეთი იყო ამ დიდი ხელოვანის დევიზი.

შჩეპკინის რეალისტურ თამაშს უდიდესი ზეგავლენითი ძალა ახასიათებდა. მისი ბუნებრივი, ყოველგვარ ზედმეტობას მოკლებული განსახიერებით საზოგადოების წინაშე წარსდგა ფამუსოვების, მოლჩალინების, სკვოზნიკ-დმუხანოვსკების, დერჟიმორდების ქვეყანა. მაყურებელმა ჩაიხედა მართალ სარკეში და დაინახა ის სულისშემხუთველი, სიმახინჯით აღსავსე გარემო, რომელიც მის გარშემო იყო გამეფებული. ეს იყო დიდი გამარევოლუციურებელი მნიშვნელობის აქტი და სამართლიანად მიუთითებენ, რომ შჩეპკინმა იმდენად დიდი საქმე გააკეთა რუსული თეატრისათვის, რამდენადაც პუშკინმა, გოგოლმა და სხვ. რუსული ლიტერატურისათვის. შჩეპკინის თამაშით აღფრთოვანებული გერცენი წერდა, რომ შჩეპკინმა შექმნა სიმართლე რუსულ სცენაზე, იგი პირველად იყო არათეატრალური თეატრში, რომ შჩეპკინის შემდეგ მცირე თეატრი გადაიქცა სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტის უმაღლეს ინსტანციად, მოსკოვის მეორე უნივერსიტეტად. ამ მოწინავე, დემოკრატიულ-რეალისტურმა მიმართულებამ მცირე თეატრს არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპის მასშტაბით წამყვანი როლი დაუმკვიდრა, ხოლო რუსული თეატრალური კულტურა მაღალ, მანამდე მიუღწეველ დონეზე დააყენა.

მუსიკა. XIX საუკ. პირველ ნახევარში სწრაფი განვითარება განიცადა რუსულმა ნაციონალურმა მუსიკალურმა კულტურამ. ეს განვითარება პირველყოვლისა დაკავშირებულია გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის მ. ი. გლინკას სახელთან, რომელიც სამართლიანად ითვლება რუსული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლად. გლინკამდე რუსულ საოპერო მუსიკას გააჩნდა ერთგვარი ტრადიციები. XVIII საუკუნეში კომპოზიტორმა ფომინმა დაწერა ოპერა. საოპერო ჟანრში სცადეს თავიანთი ნიჭი აგრეთვე კომპოზიტორებმა ა. ა. ალიაბიევმა, ნ. ვერსტოვსკიმ, ა. ე. ვარლამოვმა, მაგრამ ეს ოპერები არ-

იყო პირველხარისხოვანი. მათგან სცენა მხოლოდ ვერსტოვსკის „ასკოლდის საფლავმა“ იხილა.

მ ი ხ ე ი ლ ი ვ ა ნ ე ს ძ ე გ ლ ი ნ კ ა ს (1804—1857) გამოჩენა რუსულ მუსიკალურ ასპარეზზე თავისი მნიშვნელობით ტოლფასოვანი იყო პუშკინისა რუსულ ლიტერატურაში. მან რუსული ნაციონალური მუსიკალური კულტურა უეცრად გვერდში ამოუყენა ევროპულ მუსიკალურ კულტურას, შექმნა პირველხარისხოვანი ნაწარმოებები, რომელთაც აღტაცებაში მოიყვანეს მთელი მსოფლიო.

1836 წელს გლინკამ შექმნა რუსული საოპერო მუსიკის შედევრი „ივან სუსანინი“. საიმპერატორო თეატრის რეაქციონერი მესვეურნი, როცა გლინკას ოპერის შექმნა შესთავაზეს, მოელოდნენ რომ იგი დაწერდა მონარქისტული სულისკვეთებით განმსჭვალულ ნაწარმოებს. ლიბრეტოს ავტორი როზენი ისე წარმართავდა მოქმედებას, რომ ეჩვენებინა მეფისათვის რუსი ხალხის თავგანწირვა. მის სათაურად ნაგულისხმევი ჰქონდათ „სიცოცხლე მეფისათვის“. მაგრამ გლინკამ დაძლია რეაქციონერთა ასეთი დაწოლა. ოპერას მან საფუძვლად დაუდო სახალხო, გლეხური პატრიოტიზმი სამშობლოსათვის ბრძოლაში, მუსიკა მთლიანად ააგო ხალხურ საწყისებზე. ოპერა დემოკრატიული სულისკვეთებისა გამოვიდა. მასში ნათლად გამოვლინდა სახალხო შურისგების ძალა.

გლინკას მეორე გენიალური საოპერო ნაწარმოები იყო „რუსლან და ლიუდმილა“, რომელიც კომპოზიტორმა შექმნა პუშკინის ამავე სახელწოდების პოემის სიუჟეტზე 1837—1842 წლებში. ოპერის წარმოდგენას რეაქციული წრე აღშფოთებით შეხვდა. ნიკოლოზ პირველმა დასტოვა სპექტაკლი, რადგან ეს „კუჩერული მუსიკა“ მაღალი გემოვნებისათვის შეუფერებლად მიიჩნია. მაგრამ უდიდესი იყო პროგრესული წრეების აღტაცება. აქაც, ისე როგორც „ივან სუსანინში“. ძლავრად ეღერდა რუსული ხალხური მუსიკა, რომლის მარგალიტები დიდმა კომპოზიტორმა უხვად შეიტანა თავის ნაწარმოებში.

ოპერების გარდა გლინკამ ამ პერიოდში შექმნა მრავალი შესანიშნავი სიმფონიური ნაწარმოები, რომანსები.

დიდი წარმატება ხვდა გლინკას კონცერტებს პარიზში, იტალიაში, ესპანეთში 1844—1847 წლებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან შექმნა მრავალი გენიალური ნაწარმოები, რომელთაც სამუდამო ადგილი დაიმკვიდრეს რუსულ მუსიკალურ ხელოვნებაში.

გლინკა უდიდესი მოვლენა იყო რუსეთის XIX საუკ. მუსიკალურ ცხოვრებაში. მან განაზოგადა რუსული მუსიკის წინანდელი განვითარების ყველა მონაპოვარი და დასაბამი მისცა ახალ, კლასიკურ პერიოდს. თავისი პოლიტიკური მრწამსით გლინკა ეკუთვნოდა რუსეთის იმ პროგრესულ ახალთაობას, რომელიც გაბედულად გამოვიდა ძველი, დამყაყებული რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. ეს თავისი დემოკრატიული აზრები და სულისკვეთება გენიოსმა შემომქმედმა აამეტყველა მუსიკის ენით, წინა პლანზე დააყენა ხალხი, მისი იდეალები, მისწრაფებანი, გახსნა რუსული ხასიათი, პირველად უჩვენა ხალხის წიაღში დაგუბებული შურისძიების ძალა, მისი ცხოველმყოფელი პატრიოტიზმი.

გლინკას მუსიკის მაღალი დონე პირველყოვლისა შეპირობებული იყო ხალხურობით. თვით კომპოზიტორს მტკიცედ სწამდა რუსული ხალხური მუსიკის ძალა. ის, რომ ჭეშმარიტი შემოქმედება ხალხურ საწყისებზე იზრდება და ცოცხლობს. „მუსიკას ქმნის ხალხი, ჩვენ კი მხოლოდ მისი არანჟირისტები ვართ“ — ამბობდა იგი. ამოდიოდა რა ხალხური საწყისებიდან, გლინკა ყოველმხრივ ცდილობდა, რომ მუსიკა მსმენელთა ფართო წრეებისათვის მისაწვდომი, გასაგები გაეხადა. გლინკამ რუსულ მუსიკაში მტკიცედ ჩაუყარა საფუძველი დემოკრატიულ მიმართულებას, რომელსაც შემდეგ უყოყმანოდ გაჰყვნენ გლინკას მომდევნო რუსი კომპოზიტორები.

გლინკას სახელოვანი თანამედროვე იყო ა. ს. დარგომიჟსკი (1813—1869), რომლის მუსიკალური შემოქმედება რეალიზმის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა. დარგომიჟსკის ოპერებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ალი“ — ეს პირველი დემოკრატიული მუსიკალური დრამა, რომლის სიუჟეტს საფუძვლად უდევს სოციალური უთანასწორობა, რამაც მეწისქვილის ოჯახი დაღუპვამდე მიიყვანა. უდიდესი იყო წარმატება ამ ოპერისა, რომელიც რუსული და მსოფლიო საოპერო სცენის მუდმივ რჩეულ რეპერტუარში შევიდა.

XIX საუკ. პირველ ნახევარში თვალსაჩინო შემოქმედებითი წინსვლა განიცადა რუსულმა ფერწერამ. ფერწერაში გაბატონებული მიმართულება ამ პერიოდში იყო აკადემიური კლასიციზმი, რომლის ტრადიციებს მტკიცედ იცავდა საიმპერატორო სამხატვრო აკადემია. ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელი იყო პარადული ტილოები, კარგად მოფიქრებული, რთული კომპოზიციით, სიუჟეტის თეატრალური ტრაქტოვკით, ეფექტური განათებით. სიუჟეტი უმთავრესად ანტიკური, ძველი და საშუალო საუკუნეებიდან იყო აღებული. ეს აკადემიური სკოლა, მართალია, გამოჩენილ მხატვრებს აერთიანებდა და მათი შექმნილი პროდუქციაც მხატვრული ოსტატობის მხრივ უნაკლო იყო, მაგრამ არ ეხმაურებოდა ეპოქის ცხოველმყოფელ საკითხებს, შორს იდგა რეალიზმისაგან და რუსეთის იდეურ ცხოვრებაში ვერ უპასუხებდა თავის მოწოდებას.

აკადემიური სკოლის ყველაზე შესანიშნავი წარმომადგენლები იყვნენ კ. პ. ბრიულოვი (1799—1852) და თ. ა. ბრუნი (1779—1875) ბრიულოვის მრავალ შესანიშნავ ტილოს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „პომპეის უკანასკნელი დღე“. ეს მონუმენტური სურათი უდიდესი გამომსახველობითი ძალით გვიხატავს პომპეის დაღუპვას, სადაც კატასტროფის მომენტში ადამიანების საშინელი განცდების მთელი გამა განსაკუთრებით დამარწმუნებელია. ამ სურათს

დიდი გამოხმაურება ჰქონდა მთელს რუსეთში და ევროპაში. გოგოლმა და გერცენმა მასში თანამედროვეობის სუნთქვა იგრძნეს. გერცენის აზრით ნიკოლოზის ეპოქაში, (სადაც ინგრეოდნენ ბრწყინვალე აზრები და იღუპებოდნენ საუკეთესო ადამიანები), აღზრდილი დიდი შემოქმედისათვის ბუნებრივი იყო ასეთი სიუჟეტის არჩევანი. ფერწერის კლასიცისტური მანერაა დამახასიათებელი აგრეთვე ბრუნისათვის. მისი ტილოების სიუჟეტი ანტიკური სამყაროდან, ძველი თქმულებებიდან იყო აღებული. თავისი შესანიშნავი ტალანტი ბრუნმა უმთავრესად ოფიციალურ შეკვეთებს მოახმარა, ჩაიკეტა სქოლასტიკურ, რელიგიურ ფერწერის ჩარჩოებში. მისი შემოქმედება ასახავდა აკადემიური ხელოვნების კრიზისს.

რეალიზმის საწყისებს რუსული ფერწერა იღებს ვენეციანოვიდან. გასწყვიტა რა კავშირი აკადემიურ კლასიციზმთან, შემოქმედებით თემად მან აირჩია რუსული ცხოვრება, რუსეთის გლეხური სამყარო, თუმცა იგი მეტად გაიდეალებულ ფორმებში წარმოგვისახა.

რეალისტურმა მიმართულებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა პ. ა. ფედოტოვის შემოქმედებაში. რუსეთის ფერწერაში იგი გამოვიდა იმ „ნატურალისტური სკოლის“ წარმომადგენლად, რომელიც ლიტერატურაში დამკვიდრდა გოგოლის მეთაურობით. ფედოტოვის ტილოები გვიხატავენ ნამდვილ ცხოვრებას, ეხმაურებოდნენ თანამედროვეთა განცდებს, სულისკვეთებას, სატირულად ასახავდნენ თავადაზნაურთა ყოფაცხოვრებას, ვაჭრულ-მეშჩანურ გემოვნებას. ფედოტოვზე დიდი გავლენა მოახდინეს 40-იანი წლების რუსეთის პროგრესულმა მოაზროვნეებმა. მისი კრიტიკული რეალიზმი რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის გავლენით ყალიბდებოდა. დიდი რუსი ხელოვნებათმცოდნის სტასოვის აზრით ფერწერაში რეალისტური მიმართულების დამკვიდრება მსოფლიო მასშტაბით დაკავშირებულია ფედოტოვის სახელთან.

რუსეთის ფერწერული ხელოვნების უდიდესი წარმომად-

მენელია ალექსანდრე ანდრიას ძე ივანოვი (1806—1858), რომელიც მართალია, თავისუფალი არ ყოფილა წერის კლასიცისტური მანერისაგან, მაგრამ ადამიანური ტიპების შინაგანი სამყაროს განუმეორებელი გადმოცემით, გზას უკაფავს რეალისტური ფერწერის შემდგომ ზრდას რუსეთში. ივანოვი თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე მუშაობდა ერთ დიდ ტილოზე — „ქრისტეს მოვლენა ხალხში", რომლის მრავალი ესკიზი და ეტიუდი თავისთავად ფერწერის შედევრებს წარმოადგენენ. პროგრესულად მოაზროვნე მხატვარს სურდა ამ დიდ ტილოში გადმოეცა ის განმათავისუფლებელი სულისკვეთება, რომელიც თანდათან ეუფლებოდა რუსეთის საზოგადოებრიობას. სურათის წინა პლანზე ავტორმა გამოიყვანა ხალხი, რომელიც განთავისუფლების მოლოდინშია და მესიას მოელის.

XIX საუკ. პირველ ნახევარში რუსეთში შეიქმნა მრავალი შესანიშნავი სკულპტურული ნაწარმოები, განსაკუთრებით აღსანიშნავია მარტოსის, პიმენოვის, კლოდტის, ტოლსტოის ნამუშევრები. ამავე პერიოდში პეტერბურგში, მოსკოვში გამოჩენილი არქიტექტორების ა. ნ. ვორონიხინის, კ. ი. როსის, ა. დ. ზახაროვის და დ. ი. ჟიალიარდის პროექტებით აგებულ იქნა ულამაზესი მონუმენტური ნაგებობანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვორონიხინის ყაზანის ტაძარი და ზახაროვის საადმირალო.

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს რუსეთის კულტურის შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის კულტურა XIX საუკ. პირველ ნახევარში იყო რუსი ხალხის ნიჭისა და შესაძლებლობის გამოვლინება, მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელთა გადალახვა წინსვლის გზაზე უდიდეს გმირობასა და შეუპოვრობას მოითხოვდა. რუსულმა კულტურამ, ყველა დარგში ისახელა თავი და თავისი ნაციონალური სიტყვა თქვა საკაცობრიო კულტურის საკრებულოში. რუსული კულტურის საერთო დემოკრატიული მიმართულება

მძლავრ ფაქტორს წარმოადგენდა ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იდგა რა ყოველთვის ცეცხლის წინა ხაზზე რეაქციასთან ომში, ამ კულტურამ დააჩქარა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის მოსპობა და გზა გაუკაფა იმ სოციალისტურ კულტურას, რომლის მომწიფება რუსულ წიაღში უკვე XIX საუკუნის მიწურულიდან დაიწყო.

რედაქტორი ი. ანთელავა
ტექრედაქტორი შ. ხუხიაშვილი

АКАКИЙ НЕСТОРОВИЧ СУРГУЛАДЗЕ

РОССИЯ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

(На грузинском языке)

Издательство ЦК КП Грузии
Тбилиси 1963 г.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1963 წ. 23 აპრილს ანაწყობის ზომა 5½×9, ქაღალდის ზომა 60×84. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 48½. შეკ. № 1941 უფ 07892ტირ. 7.000

ფასი 1 მ. 20 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.